ალექსი ოჩიაური

მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი ოჩიაური

მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში

თბილისი
2019

UDC(უაკ) 392(=353.1)
ო-917

წიგნში წარმოდგენილია ალექსი ოჩიაურის მიერ გასული საუკუნის 30-50-იან წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები მოსისხლეობის და ჭრა-ჭრილობის შესახებ ხევსურეთში. ავტორი, როგორც თვითმხილველი, მედიატორი და უშუალო მონაწილე იმდროინდელი ხევსურული ყოფისა, ზედმიწევნით ზუსტად და დეტალურად აღწერს იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ცოცხალ ტრადიციებს.

ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ მთიელთა ტრადიციული სოციალური ყოფის და მეზობელ კავკასიელ მთიელებთან მათი ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეებისთვის.

რედაქტორები: † თინათინ ოჩიაური
ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნათია ჯალაბაძე
ეთნოლოგი, ისტორიის დოქტორი

წიგნის დაკაბადონება: ჯუანშერ ამირანაშვილი

ყდის დიზაინი: ნუგზარ მეტრეველი

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 2019.

ISBN 978-9941-9640-5-3

ალექსი ოჩიაური

1892 - 1972 წწ.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ალექსი ალეკას ძე ოჩიაური, პედაგოგი და ეთნოგრაფი, დაიბადა 1892 წელს არხოტის თემის სოფ. ახიელში. მისი მამა ხევსურეთში ცნობილი დასტაქარი ალეკა ოჩიაური იყო, რომელიც თავის ქალის ოპერაციებსაც აკეთებდა. ალექსი ოჩიაური 1912 წელს ჯარში გაიწვიეს, საიდანაც კვლავ არხოტში დაბრუნდა. 1917 წელს იგი იყო ფშავ-ხევსურეთის ოლქის შუაფხოს წმინდა გიორგის სახელობის საყდრის მედავითნე, საიდანაც ეპისკოპოს ლეონიდეს ხელდასმით, სოფ. ახიელის ეკლესიის მღვდლად აკურთხეს. ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იგი გაკრიჭეს და სასულიერო საქმიანობა აუკრძალეს.

არხოტში შეხვდა იგი აკაკი შანიძეს, რომელიც მაშინ ფშავ-ხევსურეთში ფოლკლორულ მასალებს კრებდა. ალექსი ოჩიაური ხალხური პოეზიის კარგი მცოდნე იყო და თავადაც წერდა ლექსებს. ამ შეხვედრამ დიდი როლი ითამაშა მის შემდგომ საქმიანობაში; ალექსი ოჩიაურმა საკუთარი და მის მიერ ჩაწერილი სხვა ლექსები აკაკი შანიძეს გადასცა, რომელიც მან თავის ხევსურული პოეზიის კრებულში გამოაქვეყნა (ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931).

1924 წლიდან ალექსი ოჩიაური პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. იგი 1930-იან წლებში ასწავლიდა ბარისახოს სკოლა ინტერნეტში, შემდგომ, შუაფხოს სკოლაში. 1936 წელს იგი დააპატიმრეს ცნობილი ე.წ. "ამერიკელების საქმესთან" დაკავშირებით (ხევსურების წერილი ამერიკის მთავრობას); ალექსი ოჩიაურის "დანაშაული" ის იყო, რომ მან წერილი გაატანა ამერიკელ ტურისტს ლიქოკში თავის ახლობელთან სტუმრის პატივისცემისა და მისი დაბინავების თხოვნით. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

1930-იანი წლებიდან ალექსი ოჩიაური, თავის მეულღე ნათელა ბალიაურთან ერთად, ჩაება ენიმკის (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, 1936-1941 წწ.; შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ ფართოდ გაშლილ შემკრებლობით საქმიანობაში ქართული ეთნოგრაფიის ფუძემდებლის – გიორგი ჩიტაიასა და ეთნოლოგ ვერა ბარდაველიძის ხელმძღვანელობით. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად იგი

სისტემატურად იწერდა მოიელთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და ეთნოგრაფიულ მასალებს. ეს მასალები მოიცავს ხევსურთა და ფშაველთა რელიგიური და სოციალური ყოფის ძირითად მხარეებს. მის მიერ შეკრებილი განუზომლად ფასეული მასალების ნაწილი გამოცემულია: ფშავ-ხევსურული პოეზია (1970); სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში (1980); ქართული ხალხური დღეობების კალენდარი ხევსურეთი (არხოტის თემი) (1988); ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ფშავი (1991); ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი) (2005); ალექსი ოჩიაურის გამოუქვეყნებელი ხელნაწერები დაცულია ივ. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში. ესენია: თქმულებები ხევსურულ ღვთაებათა და ღვთისშვილთა შესახებ (1938); ფშაური წაწლობა და ნადობ-ნაძმობა, ნ. ბალიაურთან ერთად (1941); მასალები სამამო მიწათმფლობელობის შესახებ ხევსურეთში (1950); სახატო მიწები ხევსურეთში; ხევსურეთის ზოგიერთი ამბები (1950); ხევსურული მასალები (1937, 1948-1951, 1949, 1950) და სხვ.

ალექსი ოჩიაურს და ნათელა ბალიაურს 4 შვილი ჰყავდათ – ორი ქალი და ორი ვაჟი: ბოტანიკოსი დედიკა და ეთნოლოგი თინათინი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მამის ხელნაწერების გამოქვეყნებაში. მისივე ინიციატივით მომზადდა წინამდებარე წიგნიც, რომლის გამოცემაც მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. ალექსი ოჩიაურის ვაჟები ცნობილი მოქანდაკეები - ირაკლი და გოგი ოჩიაურები იყვნენ.

ალექსი ოჩიაური გარდაიცვალა 1972 წელს. დაკრძალულია სოფელ შუაფხოში.

ღირსეული მტრობის ვიწრო ბილიკებზე

„რა პატარა არის საქართველო და რა დიდი ამბები ხდება“.

რეზო ჭეიშვილი

ალექსი ოჩიაურის ეთნოკულტუროლოგიური ნაშრომი „**მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში**“, რომელიც დაგვიანებით ქვეყნდება წიგნად, ნატურალისტური სიცხადით და დოკუმენტური სისწორით ათვალსაჩინოებს კონკრეტული კუთხის ჰეროიკული ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, მოთხრობილს მეანდრეზე რჯულისკაცთა, ჯვარხატების მოწმიდარ მსახურთა თუ რიგით „ერისაგანთა“ მიერ. ესაა არასტანდარტული, ერთობ მრავალფეროვანი ნაკრები საუკუნისწინანდელი სისხლიანი ამბებისა, მთიელთა ცხოვრების წესის მკაფიო გამოვლინებებისა, სადაც ფანტაზიისა თუ მხატვრული წარმოსახვის მკრთალ კვალსა და განასახსაც ვერ აღმოაჩენს თუნდაც დეტალებზე ორიენტირებული ცნობისმოყვარე მკითხველის მახვილი თვალი. და, ამდენად, ინტერესი და სანდოობაც დიდია მართალ და სიტყვაშეუშლელ ხალხურ მემატიანეთა შეულამაზებელი ნაამბობის მიმართ.

უამწიგნოდ, დღეის ამას იქით, ჩვენი უნიკალური ეთნოკულტურის მთლიანობაში დანახვა და გააზრება, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, სრულფასოვანი ვეღარ იქნება. და ამიერიდან მოულოდნელობებით აღსავსე ზეპირი ისტორიების მოყვარულთათვის იხსნება დიდწილად ახალ, აქამდე მოუხილველ „საკვირველებათა“ სამყაროს კარი, რომლის სიღრმეში ზნეობრივი გმირობისა და უსასტიკესი შურისძიებების, მშობლიური მამულწყლისა და თვისტომთათვის უყოყმანო თავდადების, ღირსეული მტრის საკადრისად დახვედრისა და ჯეროვნად დაფასების, უშიშარ მოწინააღმდეგეთა დანდობისა და პატივისცემის ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის მოტივთა მკაფიო ანარეკლები იკვეთება...

ალ. ოჩიაურის უკიდეგანო ღვაწლსა და დამსახურებას ეროვნული ეთნოლოგიის სფეროში ემატება კიდევ ერთი ქვაკუთხედი, კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი, რომლის წყალობით ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დასაზღვრული სივრცე ბევრი ღირებული წიბო-წახნაგით უნდა შეივსოს.

ალ. ოჩიაური უშუალო მხილველი და მონაწილე გახლდათ ხევსურეთში მომხდარი არაერთი „საარდარაო“ ამბისა და დრამატული მოვლენისა; მას მონაწილეობა მიუღია სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ მოსისხლეთა შერიგების ურთულეს პროცედურებში. საკუთარი (და ხშირად გადამწყვეტი) სიტყვა უთქვამს ხევსურული რჯულ-სამართლის განმტკიცებისა და ქმედითუნარიანობის ამაღლების საპასუხისმგებლო საქმეში... მის თვალწინ ხდებოდა სალოცავებისთვის

„სამეშვლოს“ შეოქმა და ჭირისპატრონთან „სამანანულო“ საკლავით მისვლა, მკვლელის „ჯვარში შაჯდომა“ და „ოოფის აღება“, დაზარალებული მხარისთვის „რიგის ყენება“ და „საძმოს გაღება“, „პატივის დადება“ და „დრამის“ მიცემა, გაარჯლებული ჭრილობის მკურნალობა და „სააქიმოს“ გადახდა, ფიცვერცხლით შერიგებულთა დაძმობილება და ქვრივი ანდა ქმარსგაყრილი ქალის „კვეთილში“ ჩასმა... და ყოველივე ეს მყარი პოსტულატებია საიმისოდ, რომ „წინიდგე ოოფით, ხმლითა და ისრით“ თავშენახული ეთნოსის მრწამსს, მის მონოლითურ ერთიანობასა და შინაგან შეუვალობას გაბზარვის საფრთხე არ დამუქრებოდა. დაუწერელი იურიდიული კოდექსის ძალით ინარჩუნებდა ხევსურეთი სულის სიმტკიცეს, „ჭირსა შიგან გამაგრების“ საარაკო უნარსა და „სახელმწიფოებრივ“ სუვერენიტეტს...

ორიოდე სიტყვა ნაშრომის დასათაურებაზე: შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს უმდიდრესი სპექტრის მომცველი კარდინალური საკითხებისა თუ უტყუარად გადმოცემული ყოფითი ამბების იმ ერთობლიობას, რაც ამ ნაშრომის გულისგულურ ნაწილს შეადგენს. სხვაგვარად: წიგნი არ ეხება მხოლოდ ჭრა-ჭრილობასა და მოსისხლეობას ხევსურეთში. მისი თვალსაწიერი გაცილებით ფართოა. გამომდინარე აქედან, ამ წიგნით, გარდა ეთნოლოგებისა, უეჭველად დაინტერესდებიან ისტორიკოსები და ფოლკლორისტები, ლინგვისტები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და მედიცინის მუშაკები რელიგიისა თუ ძველი კულტურების მკვლევრები და, რაც მთავარია, სამართალმცოდნეები, ვისთვისაც უაღრესად ფასეული და პრაქტიკაში გასათვალისწინებელი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი წინამდებარე გამოცემაში...

* * *

რამდენიმე მოკლე ამონარიდი ნაშრომიდან:

„სულ ძველ დროს წესი ყოფილა საბნელოს შაჯდომა მამკლავისა და იმით თავის მაჭდა, სისხლის მაშორება“... „მთიელები როცა ერთიმეორეს ლაშქრავდნენ, ქალებთან სრულ თავდაჭერილობას იჩენდნენ და ცუდი თუ რამე ვისმეს ჩაედინა, თავისი ამხანაგები არ აცოცხლებდნენ. აგრეთვე პატივს სცემდნენ მოხუცებს და ბავშვებს“...

გონივრული დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ ამონარიდებიდან. ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების უალტერნატივო აუცილებლობა მოითხოვს ამას. წინაპართა ნაცადი გზიდან განზე გახვევას სიკეთე არავისთვის მოუტანია. დაკარგულის (თუ დავიწყებულის) ძიების საჭიროებას ჩვენი დღევანდელი არასახარბიელო მდგომარეობა გვკარნახობს; მდგომარეობა, რომელიც საყოველთაო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში წაშლას და წალეკვას უქადის ყოველივე ეროვნულს, ჩვენეულს, ქართულს...

განსაცვიფრებელია ალ. ოჩიაურის არაოდრინარული ნიჭი და უნარი, მეხსიერებაში აღიდგინოს და ფურცელზე უდანაკარგოდ გადაიტანოს ხალხურ მთხრობელთა თუ ინფორმატორთა ნათქვამ-ნაამბობი. სამაგალითოა ნარატორებთან მისი მუშაობის მანერა და მეთოდი...

ოთხი სახელოვანი შვილის მამა ამ თვალსაზრისითაც მისაბაძი მოღვაწე, მოძღვარი და მასწავლებელია...

* * *

როცა ხევსურეთში უანდრეზო ამბები ხდებოდა (ვთქვათ, ქალის მკვლელობა) და აქაურ კითხულკაცებს უჭირდათ უმწვავესი ვითარების განმუხტვა, რჩევის საკითხავად ქისტეთიდან მოჰყავდათ „მაცოდარი“ ადამიანები! ქისტები, თავის მხრივ, არხოტში აგზავნიდენ თავიანთ წარმომადგენლებს, რათა თათია ბალიაურისა თუ სხვა ხევსური ბრძენკაცებისგან მოესმინათ უპრეცედენტო ცხოვრებისეული ფაქტების სამართლებრივი შეფასება...

ერთმანეთზე ნადირობდნენ (სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმას, რაც ხევსურებსა და ქისტებს შორის მაშინ ხდებოდა!), საზღვრებზე დღე და ღამ ვეშაგებად იდგნენ, მეწვერეობასა და მენაპირეობაში იწროობოდნენ, არ ემეტებოდათ და მაინც კლავდნენ („ელდასავით მაგარი“ ღილღველი ჯერნალის შემოხვევა!), „სირცხვილიანის სიარულს სიკვდილი ერჩიათ“, თემიდან თემში „სახელის მისალოცავად“ მიდიოდნენ და, იმავდროულად... ერთურთს იურიდიული ნორმების დადგენასა და მოგვარება-მოწესრიგებაში ეხმარებოდნენ!...

* * *

ნაშრომის რამდენიმე ეპიზოდში მეორდება საკვანძო სიუჟეტური დეტალი, რომლის პირდაპირი გამოძახილია ვაჟას „ალუდა ქეთელაურის“ შესაბამისი ფრაგმენტი.

როგორ ეპყრობა ზნესრული ვაჟკაცი მისგან მოკლული „საღირალი“ მტრის ცხედარს?

ალუდამ ცდაგაცუდებულ მუცალს იარაღები არ აჰყარა: ხანჯალი თავთით დაუდო, თოფი გულზე, ხოლო მკლავზე – ფრანგული ხმალი. ამის მერე ცხონება და გვარის დღეგრძელობა უსურვა. ბოლოს კი: „სიგრძივ გაჰხურა ნაბადი, ზედ გადაადვა ფარიო“.

ახლა ვნახოთ, როგორია ავკარგიანი ხევსურების ქმედება და საქციელი მსგავს სიტუაციებში: „ჩოდრიშვილმა ტუჩა გზის თავზე შამოაწვინა, დაამკაცრა, თოფიც გვერდზე დაუწვინა, მისივე ნაბადი დახურა და წამოვიდა“. „დახოცილი ქისტები წყლის პირზე შამააწვინესა-დ იმათაივ ყარწიკებ შამახურეს. წამავიდეს, იარაღი არ წამაიღეს, იმ დროს წეს არ იყვ, მაკლულს იარაღს არ აჰყრიდეს ადვილად...“

მთიელ მოყმეთა ქცევის ნორმების განმსაზღვრელ მედიატორთა („კაც-შუაკაცთა“) გონივრულ გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული მშვიდობიანობის შედარებით ხანგრძლივი პერიოდების ჩამოგდება დაპირისპირებულ მხარეებში.

დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ორ გვარს შორის ატეხილი შუღლის მიზეზად მავანი ქალის ცუდი ენაპირი სახელდება და რამდენიმე მკვდარი ერთდროულად ასვენია ერთსა თუ ურთიერთმომიჯნავედ მდებარე რამდენიმე სოფელში...

ალ. ოჩიაური არ იზღუდება მხოლოდ არხოტის თემის სინამდვილით და გვაცნობს შუღლის, ჭრა-ჭრილობისა თუ გრძელვადიანი მოსისხლეობის ღირსსახსოვარ მაგალითებს შატილ-მიღმახევისა და ბუდე ხევსურეთის უახლოესი წარსულიდან... წიგნში იხსენიებიან ის თვითნასწავლი აქიმები თუ დასტაქრებიც, ვისმა სამკურნალწამლო საიდუმლოთმცოდნეობამ „სარჩოობაზე“ დააყენა და გამოამჯობინა მძიმედ დაჭრილ-დაჩეხილი, გაუსაძლისი ტკივილების დამთმენი არაერთი ხევსური ახალგაზრდა. ეს მკურნალებია: კარწაულთელი მშაველათ გიგია, არხოტიანი ალეკა ოჩიაური, ჯუთელი მინდიათ შიშია, მუცოელი თათო დაიაური, შატილიონი გუგუა ჭინჭარაული, არჭილოელი ფაშქოშა, გურიელი ბერდია გოგოჭური (მკურნალობდა მხოლოდ ჯიხვის ნაღველით).

* * *

წიგნში თავმოყრილი ამბების უჩვეულო აზრობრივი დიაპაზონისა თუ შინაარსობრივი განზომილების გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვითეული სიუჟეტი, ყოველი ცალკეული ტექსტი თუ წიგნის ნებისმიერი მონაკვეთი რაღაც ტრაგიკულად დიადის, ამაღლებულის, ასე ვთქვათ, შემზარავი სილამაზის წარუვალი განცდითაა გაჯერებული.

არ გვაქვს უფლება, კვალიფიციური ავტორის კომპეტენციაში ჩავერიოთ და შევარბილოთ და შევამსუბუქოთ თუნდაც ყველაზე უფრო მძიმე, სასტიკი, დაუნდობელი ეპიზოდები...

იმისათვის, რომ გავიგოთ და გავაცნობიეროთ, „რაისთვის აქებდა ქისტებს ბერდედა“ (ანა) და რატომ ეძებდა ხევსურეთში „საფერი“ „საფერს“ (ვეფხვისა და მოყმის ბალადაც გავიხსენოთ: „შენც იმის საფერ ყოფილხარ...“), საჭიროა გულდასმით წავიკითხოთ და შეძლებისდაგვარად გავიშინაგანოთ ეს მართალი, „მოუსყიდველი“, ჭეშმარიტების მაუწყებელი არაორდინარული ისტორიები...

ამირან არაბული
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

როგორც ყველგან, ისევე ხევსურეთშიც ჩხუბი (შუღლი) ბევრ რამეზე ხდება: ქალ-ვაჟის საქმე, ადგილ-მამულის საზღვრის გადალახვა-მითვისება, ჭირნახულის წახდენა და სხვა მრავალი. უფრო ხშირ შემთხვევაში სმაში ხდებოდა ჩხუბი. მაშუღლარი (მოჩხუბარი) კაცი სახელოვან კაცად ითვლებოდა. „ჭელგამოტანილი კაცი", მაგას ერთ კაც ვერ დახკრავს, ხუთთ ჭრისა-დ ხუთთ უფარებს, ერთ მგელ ვერ შაშჭამს, სიწითეს ვერ ვინ გამაართომს (ვერავინ დაასისხლიანებს), ეგეთ შვილ უნდა გაზარდას დედამ, ნეტავ მაგის დედას!" – ასე მრავალ საქებ სიტყვებს იტყოდნენ მაშუღლარ კაცზედ და, ხშირ შემთხვევაში, ისიც აყვებოდა ქებას და ამაყობდა. ამას კიდევ არ დაელეოდა ტოლი და თუნდაც მჯობი. ასეთი ამაყი ახალგაზრდები ქალებსაც მოსწონდათ და საქებ ლექსებს ეუბნებოდნენ. ამაზე ახალგაზრდებში ჩამოვარდებოდა შური და ქალების გამჩვენეობას (სხვისთვის საჩვენებლად რამის კეთება) ხშირ შემთხვევაში შუღლობდნენ, ვინ-ვის სათითით (ღაჯიაით) სცემდა, ხანჯრით და ხმლით ჭრიდა და სხვა. სათითით ცემა იმდენად სასახელო არ იყო, რამდენადაც ხანჯრით და ხმლით ჭრა. ხანჯრით ჭრა და ხმლით ჭრა უფრო სასახელო იყო, თუ მსუბუქად იქნებოდა დაჭრილი. თუ მძიმედ დასჭრიდა, იტყოდნენ: „დაშინებულმა ვეღარ გაიგო და მძიმედ ჭრაო". ან იტყოდნენ: „ეეგ რა კაცი, იარაღის ჭმარება არ იცისო". სათითით თუნდა ძალიან დაესისხლიანა, მაინც იმდენი სისხლი არ იყო. ხანჯლით მიყენებული ჭრილობა, თუნდა სულ მცირე ყოფილიყო, ესახელებოდათ. სათითით ნაცემზე არც გადასახადი რამე იყო, მარტო არაყით მივიდოდა დამნაშავე და შეირიგებდა ნაცემს. ხანჯრით დაჭრილს კი თავისი საკუთარი სამართალი ჰქონდა, იმის მიხედვით, თუ სხეულის რა ნაწილი იყო დაჭრილი და რამდენი სიდიდის ნაჭრევი იყო (ამაზე მე აწერილი მაქვს ხევსურეთის რჯული და გადაცემულია მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში). შუღლი ჯოხით და ქვით ხევსურეთში სირცხვილი იყო. „ეგ რა კაციავ – ტყოდნენ – ბარის კაცივით ქვითა-დ ჯოხით შუღლობსავ". თოფითაც არ შუღლობდნენ, თუ თავ-სისხლი არ ემართა. თოფით მაშუღლარსაც დასცინოდნენ: „იარაღით ახლო მისვლა ვერ გაბედაო-დ შორითავ თოფ ესრივავ". სათითით დაკაწვრა უბრალო შუღლში ხდებოდა, როცა წინანდელი მტრები არ იყვნენ და რამე უბრალო საქმეზე იშუღლებდნენ. მერე როცა გამწვავდებოდა მტრობა და ერთმანეთს დაემუქრებოდნენ, უკვე სათითით შუღლი აღარ იყო. შეხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინვე ხანჯარსა და ხმალს ამოიღებდნენ და იმით ხდებოდა შუღლი. ერთიმეორისაგან რომ ცუდ რამეს გაიგონებდნენ, მაგ. ცუდ ნათქვამს, დიაცის გალანძღვას და სხვა მრავალ ასეთს, მაშინ მტრობას დაუბარებდნენ: მტერი ვარ, სადაც შეგხვდები, მზას იყავი, სუდარი უბით ზიდე (ატარე), სადაც შეგხვდები,

ან შენ მახკვდები, ან მეო. მაგალითისათვის ერთ ასეთ მუქარის, ანუ მტრობის დაბარებას მოვიყვანთ. სოფელ ახიელში მცხოვრებ გარსია ოჩიაურს შუღლის დროს შემოეჭრა მეშველი ჯუთელი ქალი, ე.ი. შემოხვევით მოხვდა სხვისთვის მოქნეული ხანჯარი და ქალი დაიჭრა. ამ ქალს ყავდა ბიძაშვილი გიგიტა არაბული, შუღლით სახელგანთქმული კაცი. გიგიტამ დაუბარა გარსიას: „უპატრონო ხო არ ggონავ ეს ქალი, რო ხანჯარს შააჭერი? რადარ ისრ ამაიღი იარაღი, რო მეშველ არ შაშჭრიყვ? ეხლა მე მტერი ორ, სადაც შაგხვდები, ან შენ მახკვდები-დ ან მე. სუდარი უბით ზიდი, სადაც წახოლ, თორე რო შაგხვდები, იცოდ, რო დაგჭირდების".

გარსიამ დაუბარა: „აქ დუქან არცად ას, მანდ ყაზბეგისკეს ას დუქნები. შენ იყიდი სუდარი, ზიდი. მე გიზამაობით არავის დაგკარით, იშობარ მამივიდა-დ, თუ არ დაიშლი, სადაც შავიყრებით, თან კი იქონიე, ან შენ გამაგადგებისა-დ, ან მე ის სუდარი".

მანამდინ შაიყრებოდესა-დ იშუღლებდეს, აუტყდ კაც-შუაკაცი, შაარიგნეს. გარსიას დაადვეს საკლავითა-დ სასმლით შინ მისვლა (შინ მისვლა უდრის ხუთ ძროხა დრამის მიცემას). გარსიამ მიღგვარ ერთ საკლავი-დ ერთ ქინთ არაყ მიუტან. მაიყვანეს ხუცესი-დ საკლავი ორთავ სამწყალობნელოდ დაკლეს ჯუთის წმიდა გიორგიში. ხუცესმა შეახვეწა: „ერთუცის მოდავეთ სწყალობდიო, რაც ავ ჩამოუვარდავ, ნუღარას მარცხსა-დ ზიანს ჩამაუგდებავ, დაინდვენ დალოცვილო ჯუთის წმიდაო გიორგიო, როგორც დაინდობენ ერთუცს! აქამდენ მტრობა ხქონდა-დ აწიდგე ძმობაი-დ ერთუცის ნდობა-სიყვარულ მიეცი". საკლავის ტყავი შუაკაცებს მისცეს, ხორცი ადუღეს, კაც-შუაკაციც, მეზობლები-დ თავისებიც ყველა აწიესა-დ არაყიც სვეს. არაყ რო წამაასხეს, წინწინა ყანწები უფროსებს მისცეს, იმათ დალოცეს ორივე მხარე და უსურვეს ამის შემდეგ ძმობა და მეგობრობა. ბოლოს ყანწი გიგიტას მისცეს, როგორც უმცროსს. გიგიტამ გარსია ადღეგრძელა და უთხრა: „მე ძალიან ვცდილობდი შაგყრიყავი და მარტოთ გვეშუღლ, მაგრამ არ იქნ. ძალიან ვიყავ გაჯავრებულ შენკე. მუქარაიც დაგიბარე-დ შენ სიტყვა ძალიან მამეწონ: შენ ზიდევ უბითავ სუდარიო-დ ერთ-ეროს გამაგვადგებისავ. შენ თუ დაბალი შამაგექცივ, უფრო არ მესიამოვნებოდ. მაშინ მიაც ვოქვი, რო მაგ კაცსავ გიზამაობით არა დაუკრავავ ჩვენდავ, იშობარ მაუვიდაო-დ იმით თამამად ასავ. მე მაინც მაგარ კაცი-დ მაგარ სიტყვა მამწონს; მემრ კი გადავსწყვიტი შარიგება, ცოდოიავ, ვოქვი, მაგარ ოშკაციავ, იშობარ მაუვიდაო-დ დავანებავ თავივ. თორე რო შავიყარნათავ, ერთმანეთს დავასახიჩრებთაო-დ მემრავ იქავ შარიგება გვინდაო-დ ეხლავ შავღრიგდათ, სჯობავ. ღმერთმა ამ შუაკაცებსაც უშველას, კაის თქმადა-დ კაის გონებად ნუ დალივნას. შუ გაგვიარესა-დ შაგვარიგნეს. ჩემის გულისად კი ამ შუაკაცებს ფეკზე ადგომაიც არ ეკადრებისა-დ იმით გაუგონი მიაც. აქამდენ

მტერ ვიყავი-დ ააწიდგე მაკეთე ვიქნები-დ ძმასავით ძმა გარსიაისაი. გამიშვავა-დ გამითავებავ ჩვენ მტერობაი”. გიგიტამ ეს ყანწი გამოცალა, მერე შუაკაცები ადგნენ. ეს ყანწი ისევ არაყით აავსეს, გიგიტაი და გარსია ერთად დააყენეს, აჭსენეს ჯუთის და არხოტის სალოცავები, ყანწში ვერცხლი ჩაუფხიკეს და ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მტერი აძმობილეს. ის ყანწი, ერთი-მეორის სადღეგრძელო, ორივემ ნახევარ-ნახევარ დალია. მერე ისევ არაყით აავსეს და კიდევ მათვე ნახევარ-ნახევარი დალიეს (ამ უკანასკნელ ყანწს წამოსარეცხი ჰქვია, რომ ყანწში ფიცის ვერცხლი აღარ დარჩეს) და მერე შუაკაცებმა დალიეს მათი სადღეგრძელო და კიდევ უსურვეს შერიგებულთ ერთი-მეორის ძმობა და დანდობა. ამის შემდეგ გაგრძელდა ჩვეულებრივი სმა. საკლავის ხორცი რომ მოიხარშა, ტაბლა დადგეს და სასმელსა-დ ტაბლას ორთავ მკვდრებისად უთხრეს შანდობა.

ასე ხდებოდა შუღლი და შუღლს ხშირ შემთხვევაში მოყვებოდა ჭრა-ჭრილობა. ჭრა-ჭრილობას მოყვებოდა მამკლავ-მამკვდრობა. ამიტომ გვინდა დაიწეროს ჯერ შუღლი (მომხდარი ამბები) და ჭრა-ჭრილობა და მემრე მოსისხლეობა, ე.ი. მამკლავ-მამკვდრობა. ეს იმიტომ, რომ მამკლავ-მამკვდრობა და შუღლი ერთი-მეორეში არ იყოს არეული. ვისაც შორიდან გაუგონია ეს ამბები, ყველანი არა, მაგრამ ზოგიერთები უბრალო შუღლსაც მოსისხლეობას ეძახიან. მოსისხლე კი მამკლავი და მისი გვარია მოკლულისა და მისი საგვარეულოსი. აქ პირველად საჭიროა ზოგიერთი იშობრები (უცბად, მოულოდნელად, ძალაუნებურად, თავის სურვილის გარეშე, შემთხვევით მომხდარი ამბები) მოვიყვანოთ და მათი შერიგება-დაბოლოებანი ხევსურულ წესებში.

მონადირენი – ადუა და გიგიტა

სოფელ ჭიმღაში (არხოტის სასოფლო საბჭო) ცხოვრობდა ნადირობით სახელგანთქმული კაცი ადუა (მონადირედ ხევსურეთში ითვლება მარტო ჯიხვებზე მონადირე კაცი; დანარჩენ ცხოველებზე და ფრინველებზე მონადირე მონადირედ არ ითვლება). ადუამ ბევრჯელ მოკლა ერთ სროლაში შვიდი-რვამდინ ჯიხვი. იმის სახლი ისე სავსე იყო ჯიხვის გვერდებით, რომ ადგილი აღარსად იყო, რომ შესულიყო კაცი (არხოტში ჯიხვის გვერდებისა ჭერში იცოდნენ ჩამოკიდება და გაშრობა). ერთ ცოლთან ერთი ქალი ყავდა და სხვა შვილი აღარ ეყოლა, მეორე ცოლიც მოიყვანა, მაგრამ არც ამასთან ეყოლა შვილი. ხალხი ამბობდა: ბევრ ნადირს რომ ხოცს, ნადირთ წყემსისაგან არის შემოწყეული და შვილი იმიტომ აღარა ყავსო. ადუა დადიოდა მკითხავებთან, ხოცდა ჯვარებში საკლავებს, კურეტებს, ხარებს. სწირავდა ვერცხლს, სხვადასხვა შესაწირავებს, მაგრამ მაინც არ იქნა, ასრულებოდა სურვილი. ხალხმა დაამტკიცა: უეჭველად ნადირთ წყემსის შემოწყეულიაო. მაგათი გვარი შემოწყეული იყო მზემამსწვრალი ეშმაისაგან (გაბურთ ეშმა). ბავშვებმა რომ ჭმლის ქარქაშიდან მისი ფრჩხილები წამოყარეს და გაიქცა (გაბურთ ეშმა აწერილია და ინახება საქ. აკადემიის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში), მაშინ გაბურთ ეშმას დაუწყევლია: „შვიდს მამასამც ნუც გაღბევრდებითა-დ, ნუც გასთავდებით!" ეს დაწყევაც ხომ შვიდ მამამდინ იყო, ახლა მეათე მამა არის მას შემდეგ. მაშ, ნამდვილად ადუა უნდა იყოს ნადირთ წყემსის დაწყეული! ადუას ერთხელ ღამისთევები ქონდა იმ მიზნით, რომ რომელიმე ჯვარი შეიწყნარებდა მის ვედრებას და შვილი ეყოლებოდა რომელიმე ცოლთან (ორი ცოლი ყავდა), შვილი და ისაც ვაჟი, წილის პატრონი (ვაჟს პატრონს ეძახდნენ ხევსურები, „ქალი სხვათ ყორის ქვაიას", – იტყოდნენ, – „ქალი სხვათა გვარს ამრავლებსა-დ ვაჟი თავისას). არხოტში არც ერთი გვარი არ იყო, რომ ადუა საკლავით ან კურეტით არ მისულიყოს. ახლა ყველა ჯვარები ისტუმრა, დროშები ბანზე არ ეტეოდა და ხალხი, იმდენი ჯვარივნები მიიყვანა. ყველა ჯვარს თითო საკლავი შეაკლა, ღამის სამოევლო და ჟამსაწირი ჩვეულებრივი, ლუდი და არაყი სხვა იყო. ჯვარივნები იქაურის წესით წმიდად არიან და სიზმარსაც მნიშვნელოვანს ნახავენ. მკითხაობაც ეადვილებათ, უფრო ხუცეს-ჭელოსნებს და ხანდახან დასტურებსაც. ჯვარივნები რომ მოუვიდნენ, ჩვეულებრივი წესები – საკლავის დაკვლა, ჯვარიონთად მოვლა და სხვა, ყველაფერი შეასრულეს (ღამისთევის წესები აწერილია რელიგიურ დღესასწაულების აღწერაში). თენების დრო იქნებოდა, რომ დაიძინეს. ადუას იმედი ჰქონდა – დილას რომელიმე ხუცესი ან ხელოსანი, ან დასტური სასარგებლო სიზმარს ნახავდა და ადუას ეტყოდნენ. თუ ვინმე შვილის (ვაჟის) შეძენაზე რამეს ეტყოდა, რომელი ჯვარიც მოითხოვდა საკლავს, კურეტს თუ ხარს, მზად იყო და მაშინვე შეასრულებდა.

ამ დროს არხოტის ჯვარის (მიქიელ მთავარანგელოზის) დასტური იყო ადუას უმცროსი ცოლის დედიძმა იონა. დილაზე რომ გაიღვიძეს, ადუამ ჯვარივნებს არაყი მიუტანა ლოგინში თავის მოსარჩენად. თან თვალყურს ადევნებდა – ვინ რას იტყოდა. სხვამ არავინ უთხრა ისეთი, რაც ადუას ესიამოვნებოდა. იონამ უთხრა, – მე ისეთი სიზმარი ვნახე, თეორი მოზვერი რომ გყავთ, ის უნდა არხოტის ჯვარში დახკლა და შენს უნცროსს ცოლს ვაჟი ეყოლებაო. ადუამ ამაზე მაშინვე მადლი მოსთხოვა არხოტის ჯვარს და შეუოქვა ეს კურეტი. ჯვარი რომ სასტუმროდან დაბრუნდა, მიაყოლა ადუამაც კურეტი და დაკლა არხოტის ჯვარში. მაგრამ იმედი გაუცრუვდა, იმის ცოლებს შვილი არ ეყოლათ, არც ვაჟი და არც ქალი. მაგრამ იმედი შემდეგისთვის ისევე ჰქონდა. ამთვენ ზღვნობა არ დაიკარგებისავ ჯვართანავ, მაგრამ ხალხს კი მაინც ერთი და იგივე სჯეროდა, ადუა ნადირთ წყემსისგან არის შემოწყეულიო და შემოწყეული მაშინ, როცა ყველა დახოცა, რაც ერთ ფარაში იყო (მონადირეები ერთს ან ორს ცოცხალს გაუშვებდნენ, იმის შიშით, რომ მთლიანად რო გაეთავათ ნადირნი, იმათ წყემსი დასწყევდ „ქოოდ ნადირთ გათავებისად"). ადუას როგორ მოუვიდა, არ ვიცი და ერთს თოფვაში სრუ გაეთავნეს ნადირნი. აი, მაშინ იყო საეჭვო შემოწყევლა.

მეორე მონადირე იყო გიგიტა ცისკარაული სოფელ ახიელიდან. მას ესეთი შემთხვევა არ ჰქონია, რომ ნადირნი სრუ გაეთავნენ, მაგრამ თითო წასვლაზე ოთხ-ხუთს კი კლავდა. ხალხი გიგიტაზედაც ამბობდა, რომ მეტად ბევრს ნადირობს, ბევრსა ხოცავსო და კარგი არაფერი დაემართებაო. მხოლოდ შეწყევლა და ასეთი კი მასზე არავის უთქვამს. მას ცოლი ნათხოვი (დანიშნული) ყავდა, მოყვანილი კი არ ყავდა.

ეს ზემოთ აწერილი ორი მონადირე შეპირდნენ ერთმანეთს და ერთის კვირით წავიდნენ ქისტების საზღვარზე, სახელდობრ ტერღას, სანადიროდ. ტერღას ბევრი ჯიხვები იცოდა, რადგან არხოტივნები და ქისტები ერთი-მეორის მტრები იყვნენ და ერთი-მეორეზე ნადირობა უფრო ეხალისებოდათ და ესახელებოდათ, ვიდრე ჯიხვებზე ნადირობა. ამიტომ ტერღას იშვიათად დადიოდნენ მონადირეები. ერთი-მეორის შიშით წასვლას ვერ ბედავდნენ, თუ რისკს ვინმე გასწევდა და წავიდოდა, იქ ძალიან ფრთხილად იქცეოდა. დურბინდით მტერს ათვალიერებდა, ვიდრე ჯიხვებს, – არსად ჩამისაფრდეს და მომკლასო. ასეთ საშიშ სანადირო ადგილას წავიდნენ ადუა და გიგიტა ერთი კვირის საგძლით. ადუა ჯიხვებს რომ დაინახავდა, თურმე ისეთი სწრაფი სროლა იცოდა, რომ კაცი თვლას ძლივს მოასწრებდა. ისე განერვიულდებოდა, აღელდებოდა, რომ გაგიჟებულს დაემსგავსებოდა; ისედაც ძალიან ფიცხი კაცი იყო. ტერღას რომ მივიდნენ, ჯერ დაათვალიერეს და იქ ვერავინ შენიშნეს. მერე დაიწყეს ნადირობა, დურბინდებით ნახეს ერთ-ერთ ჯიხვების საწოლში დაწოლილი ჯიხვები (ჯიხვები დღისით წვანან და საღამო ხანზე ჩამოვლენ საწოლებიდან და მთელი ღამე სძოვენ. თენებას რომ დაიწყებს, ისევ მაღლა წავლენ საწოლებში. საწოლები უფრო

ათეგრებული აქვთ ისეთ ადგილებში, საიდანაც მიდამოები სჩანს და მონადირე ადვილად ვერ მიეპარება. მონადირეებმა იციან, სად არის ჯიხვების საწოლი და იქ ათვალიერებენ და ისე მიდიან, რომ ჯიხვებმა საწოლებიდან არ დაინახონ. აგრეთვე მიდიან ნიავის მოწინააღმდეგე მხრიდან, რომ ჯიხვებს ნიავი არ დააყაროს – ადამიანის სუნს შორს გრძნობენ ისინი და არ დაფრთხნენ). ადუამ და გიგიტამ აირჩიეს ნიავის მოწინააღმდეგე მხარე და მიეპარნენ ჯიხვებს, დაუმიზნეს, ანიშნეს ერთიმეორეს და აუტეხეს სროლა, რამდენიმე მოკლეს და სხვები გაიქცნენ. ადუა განერვიულდა, დაავიწყდა, რომ თოფში ვაზნა იყო და თოფიც ფეხზე დაყენებული დარჩა. მოიბრუნა თავი საყუჩიდან, როცა ჯიხვები აღარ იყვნენ. თოფი უცბად დასხლიტა, გავარდა და გიგიტას ტყვია მოხვდა მუხლში. მუხლის ძვალის ერთი მხარე ტყვიამ გაიტანა. ამ დროს ჯიხვები მეორე გორზე გაჩნდნენ. ადუამ რომ ამხანაგი დაჭრა, შეკრთა, საშინლად ეწყინა და გიგიტას თოფი მიაწოდა: „აჰა, თოფ დამკარ შენაც", უთხრა. გიგიტა ისეთი მაგარი კაცი აღმოჩნდა, რომ ამხანაგს უთხრა: „ნუ გეშინის, მე ისეთ არა ი მჭირს, აგერ ჯიხვებ მიდიან, ნუ გაუშობთ". გიგიტამ კიდევ ესროლა და მოკლა ერთი ჯიხვი. ადუამ კი თოფი გადააგდო და გიგიტასთან მივარდა, დაუწყო ნატყვიარს სინჯვა. მემრე კი გიგიტაც ფეხზე ვეღარ ადგა, როცა ბევრი სისხლი დაღვარა და დაინახა, ერთი მხარე ძვალიც გატანილი იყო. აბა, რაღა ჯიხვების დრო ჰქონდათ. დაანებეს თავი ჯიხვებს. ადუამ გიგიტა აიკიდა და წამოიყვანა ქვეით. თანაც დაღამდა. დეკემბერი იყო და მთაზე ძალიან ციოდა. იქ არც შეშა-ტყე არის, ვეღარც ეხში მიაღწიეს, თანაც ძალიან დაბნელდა და კლდეში სიარული აღარ შეიძლებოდა. დაჭრილი ტანიანი, მძიმე კაცი იყო, დამჭრელი – მომცრო ტანის და ისე ადვილად ვერც ერეოდა; თან ფეხი ტკიოდა, ვეღარ ღუნავდა და ჩაკიდებული ფეხი კლდეებს ედებოდა. მეტი გზა აღარ იყო, დარჩნენ ერთ პატარა ქვიშიან ადგილას. ადუამ ქვიშა არგნით (სანადირო ჯოხი) გამოთხარა და დაჭრილი იქ დააწვინა, თავისი ყარწიკაც იმას დაახურა და დაჭრილის ყარწიკაც. თვითონ ამ სიცივეში დარჩა ჩოხის ამარა (ყარწიკა შალისაგან მოქსოვილი საწვიმარი, რომელსაც მონადირეები ატარებდნენ. ისედაც სოფლელ ხალხს ყარწიკები ჰქონდა საწვიმრად).

ის ღამე დიდის წვალებით გაათიეს. თენება რომ დაიწყო, ადუა წავიდა ქისტების სოფელ ნეთხაში. ნეთხა იქედან უფრო ახლო იყო და არხოტი ამ მანძილთან შედარებით ხუთჯერ-ექვსჯერ უფრო შორს იყო. ქისტები და არხოტივნები მტრები იყვნენ, უფრო ნეთხელნი, რადგან ის სოფელი უფრო ახლო იყო არხოტთან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მტრობას თავს ანებებდნენ და ეხმარებოდნენ ერთი-მეორეს; ადუა მზის მოსვლის დროს მივიდა ქისტის სოფელ ნეთხაში. ისინი სტუმართმოყვარე ხალხი იყო. მიეგებნენ და უმალვე ჰკითხეს მოსვლის მიზეზი. ადუამ თავისი თავგადასავალი უამბო და დახმარება სთხოვა. ადუას ვიდრე პურს აჭმევდნენ და ფეხზე ჯღნებს ხელმეორედ ჩაიცვამდა, ხუთი-ექვსი ახალგაზრდა ქისტი მოემზადა

და გაყვნენ მას. წაიღეს თან საკაცე და ფიჩხის ხეები. შუადღის დროს მიაღწიეს გიგიტასთან. ფიჩხები დაბლა დატოვეს, საიდანაც ჩამოთრა შეიძლებოდა, საკაცე კი იქ მიიტანეს. სახვიელი მიიტანეს, ჭრილობა შეუხვიეს, დააწვინეს საკაცეზე და წამოიყვანეს. მანამდინ კლდიანი იყო, საკაცით მოყავდათ. მერე ჩამოვიდნენ ისეთ ადგილას, საიდანაც გლუვი საძოვრიან-ბალახიანი რუვი იწყებოდა. ფიჩხი დააწყვეს, ზედ ბლომად გრძელი ბალახი დაადვეს და ზედ ავადმყოფი დააწვინეს და ჩათარეს რუვ-და-რუვ. ის რუვი პირდაპირ ნეთხისკარ ჩავა და იქიდან ნეთხა ახლო არის. იქიდან საკაცით ნეთხას მიიყვანეს და ასმათის სახლში დააწვინეს. ასმათი ყოჩაღი ქისტი იყო და ავადმყოფს კარგად უვლიდნენ. ადუა წამოვიდა და მომხდარი ამბავი არხოტში შეატყობინა. არხოტიდან ხალხი წავიდა და ავადმყოფი თავის სოფელში მიიყვანეს. ფეხი სულ მოტეხილი არ იყო. მუხლის გარეთა მხარე იყო და ძვალი და რბილი ტყვიისაგან გატანილი. რადგან ფეხი სულ მოტეხილი არ იყო, ამიტომ მოხერხდა ცხენით წამოყვანა. მაგრამ ისეთი სიცივე იყო, რომ წყალსარევებში (წყალში გასვლა-გამოსვლის დროს) დასველდა და უზანგებში გაიყინა. ბევრი მოძრაობა ავადმყოფს აღარ შეეძლო და ახლა ფეხები დაზრა. მიიყვანეს სოფელში და, რადგან იმ დროს ნამდვილი ექიმი ხევსურეთში არსად იყო, ექიმად დააყენეს სოფლელი ექიმი. თან ჭრილობა, თან დაზრობა და გიგიტა ძალიან მძიმე ავადმყოფი შეიქნა, სასიკვდილოდ მიიწურა. ვიდრე ჯვართ ზღვნობის და მისი მორჩომა-დაბოლოების საკითხს შევუდგებოდეთ, აქ უნდა მოვიყვანოთ ამ ამბავზე გრანჯა წიკლაურის ნათქვამი ლექსი:

ოჭერო ჩვენო ტერღაო, სადგომო ჯიხვებისაო,
სრუ მუდამ სისხლით მასვრილო ჩვენო და ქისტებისაო.
დადიან არხოტივნები, სანადიროო სხვისაო,
ადუამა და გიგიტამ ფერი დაიდვეს მგლისაო,
შამაგიარეს შავწყალო, ბოლოო გორებისაო,
დაგაწიოკნეს ჯიხვებო, არ დაგიფერესთ სხვისაო,
ჩემსამც მაუვა დამწყევსა ხიფართი ეშმაკისაო,
ამხანიგს თოფი მაუხვდა, დღე დადგა ცოდობრლისაო,
ოდინათასა გიგიას გული ზდებივა ქვისაო,
აისრავ თოფავს ნადირთა, ვითამ სრუ არა სჭირსაო.
მარტიათაი ადუა დასანანები მტრისაო.
მამრჩალან რაჭელ ადგილსა, შავწყალის წვერის ძირსაო.
გათენებს ჩოჭიანაი, დიდო ღამეო სთვლისაო,
ამაედ, ნუმც ამახჭდები, ცისკარო თენებისაო,
გათენებისად მაგივა სოფელო ქისტებისაო.

მელექსე თუ რას ხკითხულობთ, ნათქვამ ას გრანჯაისაო,
სალექსოდ გამამიტენეთ თითო გილდ ხაზინისაო.

ძალიან მწუხარე ავადმყოფი შეიქმნა. ფეხი დასივდა, დაჩირქდა და რამდენიმე ადგილას ჩირქი მოსდიოდა. მკურნალობდნენ სოფლური წამლებით. აყრიდნენ ბალახებისგან დამზადებულ წამლებს, რეცხდნენ წყლით ჭრილობებს, ღრუბელს დაასველებდნენ წყალში და ჩირქს იმით მოსწმედავდნენ ჭრილობის ნაპირებიდან. ძალიან გართულდა საქმე, მიმართეს მკითხავებს. მკითხავები სხვა¬და სხვა მიზეზს ეუბნებოდნენ და ახოცინებდნენ ხატებში საკლავებს.

ამდაში, ჭიმღაში და ახიელში ყველა სალოცავებში დაკლეს თითო საკლავი. ზოგან შესწირეს ვერცხლის თასები, ქვაბები სპილენძისა, ზოგან კიდევ შაუოქვეს, რაც ხელზე არ ჰქონდათ. ეუბნებოდნენ მკითხავები: ხიფათი ეშმაკისაგან არის და ხთიშვილთ უნდა უშველონო. არხოტში, სოფელ ახიელში არის მთელი არხოტის სალოცავი მიქიელ მთავარანგელოზი, ყველაფერში მისი იმედი აქვს არხოტივნებს. აქ ერთი კურეტი და ერთი საკლავი მოიყვანეს (საკლავში იგულისხმება: ცხვარი, ჭედილა ან ბატკანი, შეიძლება იყოს მაწოვარი ხბო, განურჩევლად, სახარეა ის, თუ საფურე; მერე რომ მოიზრდება, ე. ი. წლისა გახდება, საფურე ხბო ჯვარში არ იკვლოდა. სახარე კი მუდამ იკვლოდა ჯვარში. ჯერ ხბო, მერე ხუთ წლამდინ კურეტი და ბოლოს ხარი). მეხვეწურად მოიყვანეს ახიელელთ დედანი და ზოგები ჭიმღიდანაც მოვიდნენ. მკითხავებმა უთხრეს: დედან მივიდანავ მიქიელის კარზედაო-დ შაეხვეწნანავ, დედათ უხოიშნებსაო-დ იქნება სულნ ჩაუბრუნნასავ (უხოიშნებს: აპატიებს, ხათრს გაუწევს და მათის ხათრით ავადმყოფს დაეხმარება). მავიდეს დედან მინდორ, სადამდინაც შეიძლებოდა ქალის მისვლა. დასტურებმა წამოაყენეს კურეტი და საკლავი. ხუცესმა იხუცა. შეახვეწა ავადმყოფი და ხუცობაში ჩაურთო: „შენს კალთაში სახვეწრად მასულან მანდილოსანნი, უშველე, უხოიშნი, მუჭლმაყრითა-დ თავმანდილით გეხვეწებიან. უშველე, უმეშვლ, დალოცვილო, მაურჩინი ავადმყოფი, ზიანი შორიულს მტერზე გადაიღი. შენ ყმანი ქუდიანნიცა-დ მანდილიანნიც ზღვნითა-დ სანთლით იმსახურენ, თავ ყმად არავის შურსა-დ საქონი ზღვნად". ამ დროს მანდილოსნები პირჯვართკე სხედან მუხლმოყრილები. მანდილები ყველას მაჭდილი აქვა-დ გადაყრილი მინდორზე თავთავის წინ. იწერენ პირჯვარსა-დ ეხვეწებიან: „დალოცვილო ახიელის სალოცავო, უშველი შენს ყმას გიგიტას, ჩვენის ბეჩავის თავმანდილით შამაგხვეწნიორთა-დ შაგვიხვეწენი, მიეც შვება შენს ყმას, აუშვი-დ ადირსი შენს კარზე ზღვნითა-დ სანთლით თავის ფეჭით მასვლა".

ხუცესმ რო საკლავები დაკლა, დაამწყალობნა ჯერ ავადმყოფი და მისი ოჯახი, აგრეთვე დამჭრელი (საკლავები ორივესი იყო ზიარად) და ბოლოს დაამწყალობნა

მანდილოსნები. დამწყალობნების დროს დიაცები ადგნენ და დაიხურეს მანდილები და ნელის ხმით თვითონაც ამწყალობნებდნენ ავადმყოფს (სხვა დროს ქმრის სოფელში ხევსური ქალი მანდილს არ მოიხდიდა, გარდა ამ მეხვეწურისა, თუ მოიხდიდა, სირცხვილი იყო). რა თქმა უნდა, ეს ამბავი უდღეობოდ მოხდა. ხუცესმა მარტო თავები წაიღო. ხორცი, უმეტესი ნაწილი, ავადმყოფს დაუტოვეს და ცოტა ადუამ წაიღო. აგრეთვე ჯიხვის ხორციც არ აკლდა, თუკი ჭამდა რამეს ავადმყოფი. მაგრამ ის უარესად ხდებოდა და მისი მორჩენის იმედი აღარავის ჰქონდა.

მართალია, ეს საქმე იშობრად მოხდა, მაგრამ კაცი რომ მოკვდეს, მაინც თავი დაედება, არაფერი არ შველის, არც იშობრობა და არც სხვა. ხევსურები იტყოდნენ: „მაგან მამკლ, თუნდა კოცნით მავეკალ, იარაღით კი არ, მაინც კაც მაგისგან მამიკვდ". აიღებდნენ იარაღს და ეძებდნენ მკვლელს და იმის ნათესავებს მასაკლავად და სისხლის ასაღებად. მკვლელი და მისი მოგვარეები გაიხიზნებოდნენ და იმალებოდნენ.

თავ-სისხლი რომ არ დაზდებიყო, ამის საშველი იყო ერთი წესი: „სამთელ-სამკვდრო". როცა ავადმყოფი (დაჭრილი) ძალიან სწუხდა და მისი სიცოცხლე ბევრად არ იყო საიმედო, მაშინ დამნაშავე მონახავდა თაოსან კაცებს, ვის სიტყ-ვასაც უფრო გასავალი ჰქონდა, წააყვანინებდა ავადმყოფთან ერთ საკლავს და შუაკაცები სთხოვდნენ „სამთელ-სამკვდროს" აღებას. ავადმყოფს, რა თქმა უნდა, იმ დროს იმდენი ძალ-ღონე აღარ ჰქონდა, რომ შუაკაცებისათვის პასუხი გაეცა, მაგრამ იმის ძმა-ბიძაშვილები აძლევდნენ პასუხს. „სამთელ-სამკვდრო" იყო ნახევარი კაცის თავი. სრული კაცის თავი დაფასებული იყო სამოც ძროხად და სამთელ-სამკვდრო იყო კაცის თავის ნახევარი – ოცდაათი ძროხა. ავადმყოფი სამთელ-სამკვდროს რომ აიღებდა, თუ მორჩებოდა, ხმას ვეღარავინ გასცემდა, შერჩებოდა ოცდაათი ძროხა. თუ მოკვდებოდა, იმ შემთხვევაში თავ-სისხლი იკარგებოდა. თავს აღარ დაიდებდა დამნაშავე, არც ადგილიდან აიყრებოდა და არც რიგს უყენებდა. ვერც გადაემტერებოდნენ, საამისო უფლებები აღარ რჩებოდათ დაზარალებულის ოჯახს და ნათესავებს. მხოლოდ, სიკვდილის დღეს, ხარჯების დროს და სხვა ასეთებში არ მივლენ დამნაშავე და მისი ახლობლები. ერიდებიან აღელვების დროს არავინ ასტეხოს შუღლი. მათ შორის უბრალო შუღლი არც მოხდებოდა. თუ მომხდარიყო კი უეჭველად მოკვდებოდა ვინმე. მხოლოდ არავის ახსოვს, რომ სამთელ-სამკვდროს აღების შემდეგ კიდევ რამე მომხდარიყოს შერიგებულთ შორის, რადგან ხელი აქვთ შეკრული ჯვარისაგანაც და ხალხისგანაც. მხოლოდ დროთა განმავლობაში თუ ვისმე მოუხდებოდა შუღლი ამ ორი გვარიდან, არა ამ საქმეზე, არამედ სულ სხვა რამეზე, და დაიჭრებოდა ვინმე ძველი დამნაშავის გვარიდან, შეიძლება შაეწირა თავის მიცვალებულისათვის, ე. ი. იგი მათგან მოკლულისათვის, რომელზედაც აღებული იყო სამთელ-სამკვდრო. მხოლოდ შეწირვაზე ჩვეულებრივად მიუყვანდნენ საკლავს

და მიუტანდნენ არაყს. არავითარ გავლენას აღარ ახდენდა მათგან მოკლულობა, თუ სამთელ-სამკვდრო აღებული იყო.

შეწირვა მკვდრისად ასეთი წესით ხდებოდა: რომ დასჭრიდა, თუ ძალიან გაჯავრება უნდოდა, ეტყოდა: „უნცროსიმც ხარ (ახსენებდა თავის მიცვალებულის სახელს), ჯღანთამც უბანდავ, წყალსამც უზიდავ, ქვემც ემსახურები". შეწირული კაცი სიკვდილის შემდეგ ვისაც შესწირეს, იმის მოსამსახურედ ითვლებოდა საიქიოში.

გიგიტა სასიკვდილოდ იყო განწირული. მისი სიცოცხლის იმედი აღარავის ჰქონდა. ადუას და იმის ძმა– ბიძაშვილებს ეშინოდათ თავსისხლისა. ამიტომ შეუდგნენ სამთელ-სამკვდროს მიცემას. თუმცა ეს საქმე ადვილი არ იყო. ჯერ იმიტომ, რომ ოცდაათი ძროხის გადახდა ადვილი არ იყო. მეორე იმიტომ, რომ სამთელ-სამკვდროს აღებას გიგიტა და მისი ბიძაშვილები ადვილად არ გაბედავდნენ. ცოტა არ იყოს სასახელო ამბად არ ითვლებოდა დრამის აღება, ერთი იმიტომ, რომ მამკლავის მოკვლის თავი არა აქვსო, იტყოდა ხალხი, მეორეც, დრამის აღებას დაეშურაო. მესამე კიდევ, გიგიტა რომ მომკვდარიყო, მამკლავი თავისუფალი რჩებოდა და შურს ვეღარ იძიებდნენ, ჯავრს ვეღარ ამოიყრიდნენ. ამიტომ შეარჩიეს არხოტში თაოსანი ხალხი შუაკაცებად და სთხოვეს დახმარება. რაც არ უნდა დაჯდეს, მოახერხონ და როგორმე ააღებინონ სამთელ-სამკვდრო. შუაკაცები იყვნენ ხალხი, ვის სიტყვასაც ხალხში გავლენა ჰქონდა და მრავალი მტრები შეურიგებია. საამისო გამოცდილებით და გავლენით სავსე ხალხი იყო. ახიელში თათია ბალიაური და გიგია ოჩიაური, ამღაში თოთა წიკლაური, ჭიმღაში ბაჭყი გიგაური (გიგიტას სასიმამრო), ახიელში არხოტის ჯვარის გამძღო ქორია ჯაბუშანური. მისცეს ერთი საკლავი, სასმელი და ზემოაღნიშნული შუაკაცები მიუგზავნეს გიგიტას და იმის ბიძაშვილებს (გიგიტას ძმა არა ჰყავდა). გიგიტა თვითონ ძალიან მწუხარე ავადმყოფი იყო და ბიძაშვილებმა შუაკაცებს არ გაუგონეს, უარი თქვეს სამთელ-სამკვდროს აღებაზე. კარგა ხნის შემდეგ ავადმყოფმა ცოტა იმჯობინა და შუაკაცები განმეორებით მოუვიდნენ. ბევრის ხვეწნის შემდეგ დაითანხმეს დრამის აღებაზე. ჯერ არხოტის ჯვარში საკლავი დაკლეს და მემრე წავიდნენ ჭიმღაში დრამის გადასაფარავად. დრამა გადაფარეს ოცდაათი ძროხის ანგარიშით. ამ დრამაში ერია: ვერცხლის ქამრები, ვერცხლითავე მორთული ხანჯრები, ვერცხლის ფული, სპილენძის ქვაბები, ფარდაგები და სხვა. ხუთი ძროხა ფეჭითიც იყო. დანარჩენი სულ საჭელითო. საჭელითო ძველი ხუთი მანეთის ანგარიშით იყო დაფასებული ერთ ძროხად. ამნაირად შერიგდნენ ამ იშობარ საქმეზე. მაგრამ დაჭრილი წელიწადზე მეტ ხანს იწვა და ფეხი სულ დაჩირქებული იყო. ერთი წლის შემდეგ დაიწყო გაუმჯობესება. ჩირქის დენა შეწყდა და ჭრილობები თანდათანობით იკურნებოდა. ბოლოს გამორჩა, მაგრამ ფეხი მოხრილი (მოღუნული) დარჩა და დააკოჭლა.

რადგან წინათ კარგი ამხანაგები იყვნენ და იშობრად მოუვიდა ხიფათი, ბოლოს მშვიდობიანადვე შერიგდნენ. მორჩომის შემდეგაც ისევ კარგი განწყობილება ჰქონდათ და ისე უყურებდნენ ერთიმეორეს, როგორც ძმა და უახლოესი მეგობარი. მუხლი მოხრილი დარჩა, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ ისევ დაიწყო ჯიხვებზე ნადირობა. ისე კარგად ვეღარ დადიოდა, მაგრამ ჯიხვებს მაინც კიდევ ხოცავდა. ცოლი ნათხოვი ჰყავდა, მაგრამ შინ არ იყო მოყვანილი, დაკოჭლების შემდეგ ქალს მისივე ნათესავები ეუბნებოდნენ: „კოჭლი ას, ნუ წაუხოლ მაგას". მაგრამ ქალმა სთქვა: „განა ცუდ რაიმ საქმეში დაკოჭლდ, დაკოჭლდ ნადირობაში, სწორთად მჯობნობაში". ქალი ისევ გაყვა და ერთად ვაჟებიც შეეძინათ. ადუა კი მოკვდა უბედო.

ლელას მოკვლა იშობრად

იგივე გიგიტა ცისკარაული დაკოჭლების და მორჩომის შემდეგ (ისევე კი კოჭლობდა) წავიდა არხოტის ჭალას ჩირახობად. არხოტის ჭალა არხოტიდან მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. აქ ძალიან ვიწრო ხეობა არის და მიედინება არხოტის წყალი – მდინარე ასა. ეს ჭალა ისეთი ვიწროა, რომ წყალი ძლივს ეტევა. სასიარულო ბილიკი ხან ერთ მხარეზე არის, ხან მეორეზე. აქ პატარა ხიდებია გადებული და მგზავრები ხან გაღმა გავლენ, გაყვებიან პატარა ბილიკს, ბილიკი მიადგება ფრიალო კლდეს, აქ კიდევ პატარა ხიდია და ახლა სხვა მხარეზე უნდა გადავიდნენ და გაყვნენ ვიწრო ბილიკს. ამ ხეობაში აუარე-ბელი ფიჭვის ხეებია. არხოტივნები ჯორის საპალნით ეზიდებიან აქედან შეშას და ჩირახს (ჩირახი: კვარი, ფიჭვის ძირი ან ღერო ფიჭვისა, რომელსაც აქვს საკმელის მსგავსი ლორწო და ცეცხლი ძალიან ეკიდება). რადგან არხოტს გზა არ ჰქონდა და ნავთი მუდამ ვერ მოჰქონდათ, ამ ფიჭვის ძირს, ჩირახს იყენებდნენ ლამფის მაგიერ.

როგორც ვოქვით, გიგიტა წავიდა ჩირახობად არხოტის ჭალას. იქ ერთ-ერთ ადგილს ჯარაის წყარო ეწოდება. წყალი ძალიან მაღალ კლდეზე გადადის და დაბლა რომ ეცემა, დიდი მორევი ტრიალებს გარშემო. იმიტომ დაურქმევიათ ჯარაის წყარო. ამ მორევის პირზე ვიწრო ბილიკია გასავალი. ზევით, მაღლა ფიჭვიანი და კლდიანი ადგილებია. გიგიტა იქ ავიდა ჩირახის დასამზადებლად, ამოთხარა ერთი ყუნჭი (ყუნჭი ჰქვიან ხის ძირს, ძირკვს) და გამოაგორა ჭალაში. მერე სხვაგან გადავიდა და დაუწყო ჩირახს მზადება. სადაც პირველად ამოთხარა ყუნჭი, იქ კლდეები დაიძრა და როცა გიგიტა სხვაგან გადავიდა, ისინი დაგორდნენ ქვევით. ამ დროს ტანიიდან (ტანიე საზამთრო ადგილია ამღივნების და ახიელლებისა.

იქ ზაფხულში თიბენ, საზამთრო სახლები აქვთ და პირუტყვს ზამთრობით იქ კვებავენ) მოდიოდა ერთი ახალგაზრდა ქალი სოფელ ამღიდან, ლელა ბაბუას ასული. დაგორებული ქვა ფეხში მოხვდა მას და ძალიან დააზიანა. ერთი გვერდი სულ გააცალა და დიდი ჭრილობა მიაყენა. გაიარეს სხვა მგზავრებმა და ქალი საკაცით შინ წაიყვანეს. გიგიტა იყო ცისკარაული და ქალი წიკლაური. ცისკარაულებს წიკლაურებისა სხვა თავსისხლიც ემართათ. აბა ცისკარაულს ბავშვობაში შემოაკვდა გიგი წიკლაური და თავ-მეთავეები იყვნენ იქაურის წესით. ეხლა ეს დაემატა და ჩავარდა მათ შორის დიდი მტრობა. ცისკარაულები კი წიკლაურებს ხელს ვერ შეუქცევდნენ მოკვლის დროსაც კი, მაგრამ წიკლაურები გამწარდნენ. გიგიტა ამბობდა: ქვები რომ დაგორდა, მე იქ აღარ ვიყავი, მე დამნაშავე არ ვარ, ქვები თვითონ დაგორდაო. მაგრამ ვინ უგონებდა? ქალი ჭრილობისაგან ძალიან შეწუხდა და სასიკვდილოდ მიიწურა. მოიყვანეს მკითხავი ხოშექა. მან მიზეზი უმკითხავა. დამნაშავემ და დაზარალებულმა ორივემ ერთად ერთი საკლავი იაჭსარში დაკლეს, ერთი სვეტის ანგელოზში და ერთი პეტრეს (ჯვარს) დაუკლეს. არხოტის ჯვარში კურეტი და საკლავი მიიყვანეს. თითო საკლავი ჯაჭველში და მთიშეშაგში დაკლეს. მაგრამ ქალს აღარაფერი ეშველა და გარდაიცვალა. გვარად წიკლაურები იყვნენ დაზარალებულები და მამად ბერდიშვილნი. დამნაშავენი გვარად ცისკარაულები იყვნენ, მამად ჭარანი. ეს მეოთხე თავ-სისხლი დაემართა ჭარათ ბერდიშვილებისა და დაეძებდნენ მოსაკლავად თუ ვისმე შეხვდებოდნენ. მაგრამ ისინი იმალებოდნენ და ვერ მოხერხდა მოკვლა (სხვათა შორის გიგიტას დედა ბერდიშვილთ ქალი იყო) დაუდიოდა კაც-შუაკაცი და დიდხნობამდინ არც რიგი იყენეს. ჩვენ რიგის ყენება რად გვინდა, ორი კაცი მოგვიკლეს და უნდა მოვკლათო (რიგის ყენების წესები აწერილია თავ-მეთავეობაში, ხევსურეთის რჯულში). კაც-შუაკაცი ეუბნებოდა: ძველი თავი ხომ რიგ ნაყენებია, დამნაშავე გადახიზნულია (გიგიას მკვლელი აბა გადაიხიზნა ჩრდილო კავკასიაში, კავკავში და მისი ახლო ბიძაშვილებიც სამუდამოდ იქ დარჩნენ ყველანი). ქალის მაგიერ კაცს მოვკლავთ და გიგის თავი ისევ თავად დარჩება. ჭარათ ერთი თავსისხლი ისევ ედება და იმის რიგს ჩვეულებრივად ვიყენებთო. შუაკაცები მაინც ყელს იმით სტეხდნენ: ეგ საქმე ჯერ იშობრად მოხდა, მერე დიაცის თავი ნახევარს უდრის კაცის თავისას და რიგი უნდა იყენოთო (რიგის უყენებლობა მოასწავებს აუცილებლივ მოკვლის სურვილს, რიგის ყენების შემდეგ დაზარალებული ნაწილობრივ მშვიდდება. ამიტომ ცდილობენ შუაკაცებიც, რომ დაზარალებულს რიგი მალე ეყენა). ბევრი ბრძოლის და ხვეწნის შემდეგ შუაკაცებმა შეძლეს რიგის ყენება. სახლმა სახლს უყენა რიგი (დამნაშავის ოჯახმა დაზარალებულის ოჯახს) ერთი კურეტი სამი წლის და სამი საკლავი პირველი რიგი იყო. დასაფლავების დროს საფლავ-სამარის სამჭსნელო კიდევ ერთი საკლავი (ამათ ნაწილობრივ კაცის რიგი იყენეს და ნაწილობრივ

დიაცის რიგი. ამიტომ მთლიანი რიგის ყენება დაიწერება რომელიმე სხვა მამკლავ-მამკვდართ აღწერაში).

რიგი რომ იყენეს, ბერდიშვილებმა ნება მისცეს გარეთულ სახლისკაცებს მისულიყვნენ თავის სოფელში და მიპატრონებოდნენ თავის ოჯახს. ახლო სახლის¬კაცები და თვითონ მოხელე კი ისევ იმალებოდნენ (მკვლელს, მამკლავს მოხელეს//მეჭველეს ეძახოდნენ. ან მამკლავს იტყოდნენ ან მეჭველეს). კაც-შუაკაცი სთხოვდა: იშობრად მომხდარი ამბავია, გიგიტა დამნაშავე არ არის და უმსუბუქეთ, თავ-სისხლის სახით მაგათი წვალება არც მკვდრისათვის არის კარგი, არც ცოცხალისთვისო. ისინი მაინც ჯავრის გულზე თავისას არ იშლიდნენ. ქვის ნაგორს მიყვნენ და დამტკიცდა მაშინვე, რომ საიდანაც ქვები დაგორდა, იმ დროს გიგიტა იმ ადგილზე არ ყოფილა. მაგრამ მაინც იმათ აბრალებდნენ. გიგიტა აიყარა და კახეთში გადაიხიზნა. გაუჩნდა რადაც ავადმყოფობა მოკლული ქალის მშობლებს, და-ძმებს და იმათ ოჯახში სულ აუღებელი ლოგინი იყო ავადმყოფისა. არ დარჩა არხოტში არც ერთი ჯვარი, რომ იმათ საკლავები და საწირი არ მიეყვან-მიეტანა. მაგრამ არაფერი შველოდა. სადაც მკითხავთან წავიდნენ, ყველამ უთხრა: გიგიტა დამნაშავე არ იყო, ტყუილად დასტანჯეთ, იმიტომ იმისი სალოცავი მთიშეშაგი და არხოტის ჯვარი გამწყრალი არიან და მანამ თავს არ აპატიებ, არაფერი გეშველებაო. თუმცა თავ-სისხლის დაკარგვა ეძნელებოდათ, მაგრამ გასაქანი არ მისცეს არც მკითხავებმა და არც ავადმყოფობამ და გადაწყვიტეს თავის პატიება. ქალის მამას ბაბუა ერქვა (მოკლული ქალის მამას). ძალიან რომ შეწუხდა უფრო ოჯახის წევრების ავადმყოფობით, მან დაიბარა შუაკაცები და უთხრა: მე თქვენის და ჯვართ ხათრით მაგათ თავს ვაპატივებ და იმათგან რაც მიღებული მაქვ, იმასაც იქავ დაუბრუნებ, ხოლოთ ყველა ერთად შავეხვეწნათ არხოტის ჯვარსაცა-დ სხვა ხთისშვილთაც, რომ მაპატივან, რაც უცოდრობით ვაწყინე-დ ჩამააგდან მშვიდობა, მაიყვანეთ გიგიტა ჩემს სახლში. შუაკაცებმა დაუმადლეს და ჯვარის წყალობაც უთხრეს. შუაკაცებმავე დაიბარეს გიგიტა და ბაბუას სურვილი გამოუცხადეს.

რადგან დადებული თავ-სისხლის ასე უცბად პატიება ხევსურეთში არ მომხ-დარა, ამიტომ გიგიტას ეშინოდა, არ ენდობოდა, არ მიმიტყუონო, ფიქრობდა, მაგრამ უარს ხომ ვერ იტყოდა, რაც ბაბუამ მოისურვა. შუაკაცებმა ეს კაცი წაიყვანეს და იმათ სოფელში, ამღაში მიიყვანეს. ის სხვა ოჯახში დატოვეს, თვი-თონ ერთი საკლავი დაიჭირეს ხელში და ბაბუასთან მივიდნენ. ბაბუამ გაგზავნა და გიგიტაც იქ მოაყვანინა, მაგრამ ის შემოსული კარებთან ქუდმოხდილი ცალ მუხლზე დაჯდა. რასაც ვინ ეტყოდა, ის ხათრით ხმას ვერ იღებდა. ბაბუამ ეს საკლავი აღარ დააკვლევინა, უთხრა, ეგ ხვალ იახსარში დავკლათ ორივე მხარის სამწყალობნელადაო. სასმელს დაუწყეს სმა. ბაბუამ არ დალია, ადგა, გიგიტას მხარზე მოკიდა ხელი და ააყენა ფეხზე, წამოაყენა და სკამზე დასვა. გიგიტა სწუხდა,

იხათრებოდა და ოფლი ჩამოსდიოდა. მერე ბაბუამ უთხრა: „შენ ნუ სწუხდები, ნუ იტანჯები; ერთი, დისწული ხარ ჩვენი, შენ დედა ჩვენს ქალი ას, მეორე, იშობარ მახვდ. შვილ ყველამ იცით რაი ას დედ-მამისად. ძალიან მტკიოდ შვილის სიკვდილი-დ გადაწყვეტილი მქონდ შენ მაკვლაი. მე თაოდაც დამიდგ საოცარი-დ ქადაგ-მკითხავნიც მეუბნებოდეს. თანაც ყველა ლოგინჩი ჩავიყარენით. ამან ყველამ დამაფიქრ, იქნება ცოდოში ვდგებივ. ახლა ამ შუაკაცებსაც ღმერთმა უშველას, კაის თქმადა-დ კაის გონობად ნუ დალივნას. ჩვენს შუაჩი ბევრ კა სიტყვა დახარჯეს. მათ სიტყვებმაც ჩემზე იმოქმედა-დ დამაფიქრ, საბოლოოდ გადავსწყვიტი თავის პატივება. აბა შენი ღონებით მე რა ქალ გამიცოცხლდების. იქნება დამნაშავეი ხარ, იქნება სრუ ცამდინ მართალიც ხარ. ახლა მე იმას აღარ ვიძევ. ჯვართაც მიზდიოდასა-დ ღმერთსაც, ემ ხალხთაც. დღემდინ შენს შახვედრასა-დ მაკვლას ვცდილობდი, დღესიდგეს გამიშობავ, გამითავებავ თავ-სისხლი, ჯვართადაც მიპატივებავა-დ ხალხთადაც. დღესის იქით მე შენთან აღარა საქმე მექნების, შენ თავისუფლად მასავალი გაქვ ჩემთან, როგორც წინავ მაზდიოდი, რაც დაიტანჯი, იმასაც ვსთხოვ არხოტის ჯვარსაცა-დ ლაღს იაკსარსაც, ისიც მაპატიონ. ამიშვან, დაიკსნან ჩემ ხიზანი სნეულობისაგან. თავზდებად იყვნან არხოტის ჯვარი-დ იაკსარი, რომ მე გული მაქვ ამარეცხილი, აღარას გედავები”. ამ სიტყვებს რომ ლაპარაკობდა, ბაბუას არაყიანი ყანწი ეჭირა ხელში, ბოლოს გიგიტა ადღეგრძელა და დალია. შუაკაცები ადგნენ, ქუდები მოიხადეს და კარგი სიტყვების და საქციელისათვის ბაბუას მადლობა გადაუხადეს. მერე იმათაც დალიეს ორივე მხარის სადღეგრძელო ერთად და დასხდნენ. ბაბუამ გიგიტას უთხრა: „თუ ჩემდ კა გინდა-დ ჩემ ხათრი გაქვ, ეეხლა ხათრს თავ დაანები, იყავ ისრ თავისუფლად, როგორც ჩვენ, აი, მე ამას მასიამოვნებ”.

მეორე დღეს ეს საკლავი წაიყვანეს და იაკსარში დაკლეს ერთურთის მედავეთ სამწყალობნელოდ. ხორცი მოიტანეს, სახლში მოხარშეს და სუფრა გამართეს. ტყავი შუაკაცებს დარჩა. ამის შემდეგ მათ მტერობაზე ხმა აღარავის ამოუღია.

უთურგით თათარაისაგან ბერდიათ ჯურჭაის მოკვლა იშოგრად

ჯურჭა იყო სოფელ ჯუთიდან, გვარად არაბული, მამად მარაიზძეთი. მარა-იზძენი სახელგანოქმული მამიშვილობა იყო. ჯერ კაცმრავლობით და, მერე, ამათ მამაში სულ კარგი ახალგაზრდობა იზრდებოდა თვალად-ტანად და გულადად. თათარა კი სოფელ ამღიდან იყო გვარად წიკლაური, მამად ჭოლიკაურთი. გადმოცემით იციან, რომ ჭოლიკაურნი თათრის ჩამომავალნი არიან. საიდან მოსულა, არ იციან, მხოლოდ ნამდვილად იციან, რომ მაგათი წინაპარი არხოტში თათარი ყოფილა. ამბობენ, როცა საქართველოს თათრები ებრძოდნენ, მაშინ ერთი კოჭლი თათარი დამრჩალაო და იმის ჩამომავალნი ვართო. სახითაც ამათი მამისკაცნი ძალიან გვანან თათრებს. ისეც ამაყი და მოუთმინარი ხალხნი არიან. ჯუთაში რადაც სმურობა იყო და უთურგით თათარაც თავისებური წესით არაყით იქ იყო მისული. ზემოაღნიშნული ჯურჭა და თათარა კარგი ძმაკაცები იყვნენ, ძალიან კარგად მიაჩნდათ ერთიმეორე. თათარა სხვებთან იყო სტუმრად, მაგრამ ჯურჭა არსად არ უშვებდა, სულ ყოველ სადილ-ვახშამზე თავის სახლში მიყავდა და პატივსა სცემდა. არც დასაძინებლად უშვებდა სხვაგან.

ერთ დღეს ხალხი ძალიან დათვრა და შუღლი ასტყდა. თათარა სრულიად ახალგაზრდა იყო და ერთმა ჯუთელმა ახალგაზრდამ სახელად ნათელიზძემ ამა-საც „შუღლად გაუჭადა" (ჩხუბი აუტეხა). ჯერ ღაჯიაით იშუღლეს და, ბოლოს ხანჯლები ამოიღეს. ამ დროს მოვიდა თათარას მეგობარი ჯურჭაც და გაშველება დაუწყო. მეშვლები სხვებიც მოვიდნენ და მაშუღლარებს ერთიმეორისათვის არ დააკვრევინეს. მიუხედავად იმისა, რომ თათარასთან მაშუღლარი ნათელიზძე ჯურჭას ახლობელი იყო, ჯურჭამ მაინც თავისი ძმობილი თათარა დაიჭირა და ხალხს გააცილა იმიტომ, რომ არ უნდოდა თათარა ან დაჭრილიყო, ან იმას ვინმე დაეჭრა. სადაც შუღლი იყო, ეს ადგილი გვერდალი და შამბიანი იყო. მეშველ-მაშუღლარნი თათარა და ჯურჭა მოულოდნელად შამბიან ბექში გადავარდნენ და დაგორდნენ. თათარას ხელში შიშველი ხანჯარი ეჭირა და შემოხვევით ჯურჭას მოხვდა წვერით მუხლის ქვევით წვივში და დაიჭრა. არ გავიდა დიდი ხანი, რომ სისხლი დაიცალა და კაცი მოკვდა. მარაიზძეთი აქ ამ დროს არავინ იყო. თათარას ჯერ უნდოდა თავის ხანჯრით თავიც მოეკლა, რადგან ასეთ მეგობართან ესეთი ცუდი საქმე დაემართა. უცბათ მოიფიქრა: მე რომ თავი დავიხანჯრა და მოვიკლა, სულ ერთია თავს არ აპატიებენ ჩემს ძმაბიძაშვილებს, ისევ თავი დაედებათ, აზირ ჯურღაის ძმებმა მამკლანო. გაიქცა და პირდაპირ იმათ სახლში შევარდა. კაცები შინ არავინ იყო. ჯურჭაის ცოლი იყო სახლში. ჯურჭაის ცოლი ძალინ კარგი ადამიანი იყო და არ უნდოდა თათარაც მომკვდარიყო. თათარამ უთხრა, სად არიან ჯურჭაის ძმები, მამკლან,

სიცოცხლე აღარ მინდა, რადგან ის კაცი მოკვდაო. ჯურჭაის ცოლმა უთხრა: „წადი, მაშორდ აქაობას, შენ სისხლი აღარ მანახვივ დაღვრილი". გაიყვანა გარეთ. ამ დროს მოვარდნენ სხვა მეშვლებიც, გაიყვანეს და სხვა სახლში აბიკათ გიორგითას დამალეს. მარაიზძეთ ვეღარ გაიგეს, ის კაცი სად გაქრა და ძევა დაიწყეს. მეშველებმა გზა-კვალი აურიეს და ვეღარ ნახეს. მარაიზძეთ ეგონათ შინისაკე გაიქცეოდაო და არხოტისაკე წავიდა მთელი გვარი – ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით (ჯუთიდან არხოტისაკე მთა არის გადასავალი და ერთი დღის სასიარულოა). თათარა ღამით სხვა გზაზე გააცილეს და ბუდე-ხევსურეთში გადავარდა. მეორე დილას მარაიზძეთ მამის ხალხნი არხოტში ჩავიდნენ, ამდას მომავალი გზა ახიელის სოფლის ბოლოზე გაივლის. ახიელელთ გაიგეს ეს ამბავი და გაჰყვნენ ამდისაკე მიმდინარს მარაიზძეთ, რომ წინანდებურად სახლების დაწვა ან ბან-სანაპიროს ნგრევა არ დაეწყო, ან ჭოლიკაურთა ვინმე არ შეხვედროდა, მანამ გაიგებდნენ და მარაიზძეთ არ მოეკლა (ძველად იცოდნენ: მამკლავ-მამკვდრობა რომ მოხდებოდა და გვარი წავიდოდა, თუ კურეტს და საკლავებს გზაში არ მიაგებებდნენ და მოსული გვარი სოფელში შევიდოდა, თუ სახლი ცალკე იყო და სოფლელების სახლებს ცეცხლი არ გადაედებოდა, იმ შემთხვევაში მამკლავის სახლს ცეცხლს წაუკიდებდნენ. ან ბან-სანაპიროს დაუწყებდნენ ნგრევას. თუ ამ გვარში ხნიერი ჭკვიანი კაცი ვინმე იქნებოდა, შეიძლება ამას მთლიანად ბევრი ნგრევა დაეშალა, არ ეკადრა, ხოლოთ წესის მიხედვით ორ-სამ სანაპიროს მაინც აღგლეჯდნენ სახლს და თავს დაანებებდნენ (სანაპირო ჰქვიან სახლის ბანის ნაპირებზე შემოვლებულ სიპებს).

ზოგიერთი ახიელლები ცხენებით წინ წასულიყვნენ, ჭოლიკაურთად შეეტყობინა, გზაში საკლავი და კურეტი მოაგებეს და გვარი ამდასთან ახლოს შეაჩერეს. მეჭელისა და იმის ძმის გარდა გვარმა გვარს მიაგება ერთი სამი წლის კურეტი, სამის ჩარექის სპილენძის ქვაბი და ორი საკლავი. უფრო ძველად ის წესი იყო, რომ თუ მოსული გვარი მამკლავის მიწა-წყალზე გადაასწრობდა და უფრო შორს არ მიაგებებდნენ გვარის რიგს, მაშინ სახლის დაწვა-დანგრევის გარდა, ერთ საკლავს მესამეს კიდევ ღებულობდნენ. ჯუოლებისთვის, ე. ი. მარაიზძეთ გვარისთვის, რიგის შორს მიგებება ვერ მოასწრეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მიწა-წყალზე კი არა, სოფელში იყვნენ მისულები, მაინც არც სახლის ბანზე შაჭდნენ და არც ზედმეტი რიგი მოუთხოვიათ, გარდა ორი საკლავის, კურეტისა და სამის ჩარექის ქვაბისა; და დაბრუნდა გვარი.

თათარა ჯერ ბუდე-ხევსურეთში გადავიდა. აქაც მარაიზძეთ მოგვარეები ბევრგან არიან და სად დაიმალებოდა, სულ ღამი-ღამ და უგზოზე სიარულით მიაღწია არხოტში. მხოლოდ თავის სოფელში იშვიათად მივიდოდა, იმალებოდა ახიელში.

ახლა საჭირო იყო რიგის ყენება, მაგრამ ისინი ისეთი თავმომწონე და ამაყი მამის ხალხნი იყვნენ, რომ ძალიან გაძნელდებოდა რიგის ყენება (რიგს ისინი ადვილად არ

იყენებდნენ, ვისაც აუცილებლივ გადაწყვეტილი ჰქონდა მამკლავის მოკვლა, ან მისი ძმა-ბიძაშვილებისა. ფიქრობდნენ: ხომ უნდა მოვკლათ და რიგის დაბრუნებას რაღა ჭკვა აქვს. აზირ რიგს არ ვიყენებთ, და როცა მოვკლავთ, თავიც და რიგიც ერთი მეორეში გაიბრებაო). მხოლოდ აუცილებელი იყო ერთი საკლავი დამარხვამდინ (მიწად მიტანას ეძახდნენ) უნდა მიეყვანათ, ერთი საკლავი მიწად მიტანის წინ. საკლავს დაკლავდნენ მიცვალებულის სულისათვის. თუ ეს საკლავი დასაფლავებამდინ ვერ მიასწვრეს, მაშინ „გამაუმბენ ხუთ ძროხა ჯურემს" (საკლავის დაგვიანებაზე ხუთი ძროხა უნდა გადაეხადა დამნაშავეს და მერე მიიღებდნენ დაგვიანებით მიყვანილ საკლავს). არაბულთ გვარი დაბრუნდა თუ არა, ჭოლიკაურებმა გაგზავნეს კაცი და წაიყვანეს მიწად მიტანის წინ დასაკლავი საკლავი (ეს საკლავი აუცილებელი იყო და უკან არ აბრუნებდნენ, არც ხვეწნა უნდოდა, როგორც სხვა რიგის ყენების დროს ეხვეწებოდნენ შუაკაცები). შუაკაცმა საკლავი დროზე მიიყვანა და ჩვეულებისამებრ დაკლეს ის. ახლა საჭირო იყო სახლის რიგის დაყენება, მაგრამ მანამდე დედულნიც მოვიდნენ. ხევსურულის თქმით, დედა მოვიდა. ჯურჭას დედა ქმოსტელთ ქალი იყო, ყარდანაულთა, და ყარდანაულნი ისეთივე წესით მოვიდნენ, როგორც მარაიზძენი. ძველის წესის მიხედვით, დედულნიც წვავდნენ მეჭელის სახლს და ანგრევდნენ კიდეც. ამათაც მესამე საკლავი კიდევ აჰყვანდა, თუ მამკლავის მიწაწყალზე მისვლამდინ ვერ მიაგებებდნენ: სამი წლის კურეტს, ორს საკლავს და სამის ჩარექის ქვაბს (ჩარექი არის ერთი კილო). დედულთ მოსვლა კი ადრევე შეიტყვეს ჭოლიკაურებმა და თავის მიწაწყლის გარეთ მიაგებეს სადედო რიგი (სადედო რიგს უყენებდა ის ხალხი, რომელიც საგვარო რიგიდან დარჩა თავისუფალი; გვარს რომ რიგი უყენეს, ეს დამნაშავის გვარის ხარჯი იყო. წესის მიხედვით ერთი ან ორი სახლი (ოჯახი) არ მიიღებდა გვარის რიგის ყენებაში მონაწილეობას. რჩებოდა მეჭელესთან ერთად, ეს სახლი იქნებოდა ან ძმა ან ბიძაშვილი. მოსულს დედას ეს ოჯახი უყენებდა რიგს და თვითონ მეჭელეს სახლი მოკლულის სახლს უყენებდა ყველა რიგს, რაც ხევსურეთის რჯულში იყო). ასე დედასაც უყენა რიგი ჭოლიკაურთ მეორე სახლმა – ძმამ (მესამე სახლი არის ბიძაშვილი და ყველა მოგვარე მასთან ერთად არის, თუ ძმა არა ჰყავს, მაშინ მეორე სახლად რჩება ბიძაშვილი, თუ ესეც არ არის, მაშინ რჩება მეორე სახლად უფრო ახლობელი ბიძაშვილი და ეს მეორე სახლად დარჩენილი, რომელიც უნდა იყოს, დედის რიგს ის უყენებდა). დედულნი დაბრუნდნენ ისე, რომ ამღის მიწა-წყალზე არ მისულან. ახლა საჭირო იყო სახლის რიგის ყენება. სახლის რიგის საყენებლად გაგზავნილ შუაკაცებს ყოველთვის ხელში უნდა ჰყოლიყო თითო საკლავი. ამ საკლავს ეწოდებოდა ასამტეხლო (ატეხა – საუბრის დაწყება ამა თუ იმ საქმეზე. ამ შემთხვევაში, რიგის ყენებაზე საუბრის დაწყება). ჭოლიკაური გაგზავნეს რიგის საყენებლად და თან წააყვანინეს ერთი საკლავი ასამტეხლო. შუაკაცები ისე

მიიღეს, როგორც სტუმრები. მათ ჯერ ვერაფერი გაბედეს ეთქვათ, მაგრამ ბოლოს დაიწყვეს თავის მოსვლის მიზეზი და გამოსთქვეს რიგის ყენების სურვილი. მოუყვანეს მომხდარი ამბების მრავალი მაგალითები და საბოლოოდ მაინც რიგის ყენება; მაგრამ მარაიზძეთ ბევრად არ იყურეს (ყურადღება არ მიაქციეს მათ ლაპარაკს). უთხრეს შუაკაცებს: „ჩვენ ჭოლიკაურთ ნაყენებ რიგი სირცხვილს არ მაგვჭდის, არც გულს დაგვიოხებს ბედენად. ჩვენ განა თავგზა რაისამ გვაქვ, ან განა ქვე ვისამ მავხკლავთ, მაგრამ აბა რად გვინდ ჩვენის სირცხვილის საკლავები ნაჭოცები?!. ჩვენ რიგის ყენებით აბა რა კაცობა მაგვემატების ან უყენებლობით. დარჩას ეეგრ. თუ მახჭდ ისრ, რო დავსწორდით, კაი ას, თუ არა, ათასი გვყავ ამხანიგი. ჩვენ თქვენი ძალიან მადლობელნი ორთ, რო სწვალობთ. ჩვენის გულისად ფეჭზე ადგომაიც არ გეკადრებისთ. აწიდგე ნუღარ შასწუხდებით, ჩვენ მაგათგან ვაშკაც მაგვიკვდ. სხვათ სწორ კი არ იყვა-დ ჩვენს ჟამზე ჩვენდ კა იყვ". შუაკაცებმა ბევრი იწვალეს, ქუდების მოხდითაც კი ეხვეწნენ, რიგი იყენეთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ბოლოს სთხოვეს ეს ასამტეხლო საკლავ მაინც დაეკლათ. ამაზედაც ჯერ უარი უთხრეს და ბოლოს, მარაიზძეთ მამაში უფროსმა და მცოდნე კაცებმა ბაბუკმა და გოგიტამ აღარ ხკითხეს თავის სახლისკაცებს და დაიკლა საკლავი. დავკლათ „სულისადო". შუაკაცები დაბრუნდნენ და ნაწილობრივ გამარჯვებულად სთვლიდნენ თავს, რადგან ასამტეხლო საკლავი მაინც დაკლეს. გადიოდა დრო, გზავნიდნენ შუაკაცებს, მაგრამ მარაიზძეთ რიგი მაინც არ იყენეს. დაუწყეს მოსაკლავად მიყოლა. სად წისქვილში ჩაუსაფრდნენ, სად ტყეში, კლდეში და სხვაგან. მარტო ახლობლები კი არ მოჰყვებოდნენ, მთელი მათი გარეთელი სახლისკაცებიც დადიოდნენ. არა მარტო ჯუთიდან, დათვისიდანაც კი. მაგრამ, ჭოლიკაურნი ისე გამთხილებულები იყვნენ, რომ ვერ ჩაიგდეს ვერავინ მათგანი ხელში, რომ ესროლათ და მოეკლათ. ერთხელ სხვა ახალგაზრდა აფერეს (ამსგავსეს) ჩასაფრებულებმა თათარას და კინაღამ მოკლეს. მანამ ახიელში იმალებოდნენ, ხან ვის ქუდით და ტანისამოსით გამოდიოდნენ და ხან ვისით. ბოლოს ქისტების ბინებზედაც კი გაიხიზნენ მთაში. შატილშიც წავიდნენ, უკანხადუშიც დაიმალნენ და არ ჩაუვარდნენ ხელში. შუაკაცებს კი ყოველთვის გზავნიდნენ რიგის საყენებლად. სადაც ჩასაფრდებოდნენ და ხალხი გაუგებდა, თითო საკლავს იქ უგზავნიდნენ ჭოლიკაურნი (მოსისხლეები რომ ჩაუსაფრდებოდნენ და ხალხი ჩასაფრებულებს მიაგნებდა, მამკლავის ოჯახი შუაკაცების ხელით საკლავს გაუგზავნიდა, რომ ისინი ამდგარიყვნენ და წასულიყვნენ. ეს მათი გულის მოგება იყო და მამკლავის თავმდაბლობის ნიშანი). ჩასაფრება, გაგება და საკლავის მიყვანა რამდენჯერმე განმეორდა და კარგა დროც გავიდა. ერთმა ძმამ ჯურჭაის ამ სასმლიანობის დროს სულ სხვა კაცი მოკლა, ამღიონი, გვარად კი წიკლაური იყო, მაგრამ ჭოლიკაუროი ის კაცი არაფერი არ იყო. ეს კაცი ხნიერი იყო, სახელად სუმელჯა. სუმელჯა ჯუთაში სტუმრად მისულიყო და სადღაცა სმაში შეხვედროდა

ჯურჭაის ძმას პეტრეს (ჯურჭაის ძმებს ეროს პეტრე ერქვა, ეროსა კი ადა, მესამეს ჯოყოლა. მაშინ ჯოყოლა პატარა იყო). პეტრეც ცოტა ნასვამი ყოფილიყო და სუმელჯაც. პეტრემ თურმე მოითხოვა, რომ სუმელჯა მასთან ხათრით ყოფილიყო, როგორც ამდიონი და წიკლაური, მაგრამ სუმელჯას ეთქო: ჭოლიკაურნი ჩემი არაფერი არ არიან და მე ხათრს არ გაგიწევო. წესის, რჯულის მიხედვითაც სუმელჯას მათთან არავითარი მოსისხლესებური ხათრი არ ეკუთვნოდა, მაგრამ პეტრემ უცბად ხანჯარი ამოიღო და სუმელჯას დასცა წვერით და მოკლა. სუმელჯა გაჯალათ მამიდან იყო. ამაზე პეტრე დაიჭირეს და ციხეში მოკვდა. ამათი მოსისხლეობა კი დიდხანს არ გაგრძელებულა. პეტრე რომ მოკვდა, კაც-შუაკაცმა რჯულში გაიყვანა და თავი თავში გაიბარა. მხოლოდ გაჯალათ უნდა მიეცა საუკენმამკვდრო, თუ მათ ნაჩივარზე დაეჭირათ და მაშინ მომკვდარიყო; მაგრამ გაჯალათ არ უჩივლია, ისე დაიჭირეს და ამიტომ საუკენმამკვდრო არ მიუციათ გაჯალათ; რაც რიგი იყენეს, ის რჯულმა ისევ დაუბრუნა მარაიზძეთ.

ამ ამბავმა მარაიზძეთ და ჭოლიკაურთ საქმე უფრო გაამწვავა. მარაიზძენი ამბობდნენ: პეტრეც მაგათ საქმის გულისად მოკვდა. ჯურჭა რომ არ მოეკლა, პეტრე სუმელჯას არ მოკლავდა და დღესაც ცოცხალი იქნებოდაო. ჭოლიკაურთ ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდათ, მარაიზძეთ რაც უნდა ეთქვათ. ჯოყოლაც მოკვდა და ჯურჭაც და მისი კიდევ სამი სხვა ძმიდან დარჩა მარტო ერთი ძმა, სახელად აკია. აკია მაშინ ახალგაზრდა იყო და ფიცხობდა. ამოდენა ძმების დახოცამ და განვლილმა დრომ დაადინჯა და დაამშვიდა. თან მოიქანცა კაც-შუაკაცის სიარულით, მტრისად მიყოლით და ბოლოს რიგი იყენა. სახლის რიგი იყო ერთი სამი წლის კურეტი, სამი ჩარექის ქვაბი და სამი საკლავი; მიწად მიღების დღეს რომ დაიკლა, მესამე საკლავად ის ითვლებოდა, ახლა მარტო ორი საკლავი მიუყვანეს. მაგრამ რიგის ყენების წინ ასეთი წესი იყო: დაზარალებული იძიებდა, საჯურუმო ხომ არავინ ჰყავდა: ეს ოჯახი როგორ იქცეოდა, ხათრიანად თუ უხათროდ, ხო არსად ითამაშა, ან იმღერა, ხო არსად ვისთან თქვა, რომ არაფერი ჩაიდინა მამკლავ-მამკვდრობის წესის წინააღმდეგი. თუ რამე ასეთი იყო, ჭირის პატრონი ჯურუმს გამაუბემდა. ძველად ჯურუმი ცხრა ცხვარზე ზევით არ მიდიოდა. მერე ათი ცხვარი იყო, მერე ხუთი ძროხა და ათ ძროხამდენაც აჰყვანდა. ბოლო დროს, როგორც ჭირის პატრონი იტყოდა, ვერავინ გადაუხვევდა. შუაკაცებს ჭირის პატრონი გამოუცხადებდა – ამდენი და ამდენი ჯურუმი გადაიხადოს ამა და ამ დანაშაულზე და რიგს მემრე ვიყენებო. შუაკაცები იმის ნათქვამ დრამას მიიტანდნენ, დააწყობდნენ და მემრე იყენებდა რიგს ჭირის პატრონი.

აკიამ მთავარ დანაშაულად ის ჩაუთვალა, რომ თათარა ჯურჭაის სიკვდილის დღეს იმის სახლში შევიდა – მამკლანო (ხალხი კი უჭურავდა: თათარამ სასიკვ-დილოდ დასდო თავი,იმდენად შეინანა ჯურჭას სიკვდილი; იმის სიკვდილის შემდეგ

სიცოცხლეს სიკვდილი ირჩია და აკიას ჯურუმი არ უნდა გამაებაო). ხუთი ძროხა ამის ჯურუმი დაადო, კიდევ სხვა რაღაცეები მოუკრიფა და სხვა ჯურუმებიც დაადო, რაც შუაკაცებმა ყველაფერი ულაპარაკოდ მიიტანეს და დააწყვეს. მემრე უყენეს სახლის რიგი ჩვეულებრივი წესით. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ შუაკაცებმა მოაწყვეს თათარაის ბიძაშვილების პირსშასამყრელო. რა თქმა უნდა, ესაც აკიას და მარაიზძეთ ნებართვით. შუაკაცებმა მიიტანეს ფორის ფქვილი და სვე და ლუდი ადუღეს ჯუთის წმიდა გიორგიში და იქვე კოდში დააფუვლეს.

აკიამ და მარაიზძეთ დაუნიშნეს პირშასამყრელოს დღე. თუ ვინმე საჯურუმები იყო, ჯურუმიც გამოუცხადეს. დანიშნულ დღეს შუაკაცებმა მოიყვანეს ჭოლიკაურები ჯვარში და მარაიზძენიც მოიყვანეს ყველანი. რა თქმა უნდა, დასტურ-ხელოსნები და შუაკაცებიც აქ იყვნენ. ჭოლიკაურები მოშორებით მუხლით დასხდნენ, შუაკაცები, მარაიზძენი და დასტურ-ხელოსნები ერთად ისხდნენ ჯვარში დაწყობილ ქვის სკამებზე. პირის შასამყრელოში მოყვანილი ჰყავდათ ჭოლიკაურებს ერთი საკლავი. ხუცესმა საკლავი დაკლა ერთურთის მოდავეთ სამწყალობნელოდ, ჭოლიკაურები მუხლითვე ისხდნენ და სხვა ხალხი ფეხზე იდგა. დაკვლის შემდეგ, ჯერ ხუცესმა და მერე ყველა ხალხმა დაამწყალობნეს ერთუცის მედავენი, უსურვეს, რაც ავი ჩამოუვარდათ, მეტი ავი საქმე აღარ ჩამოვარდნოდეს; ამის მერე, ერთიმეორის დანდობა მისცეს. ჭოლიკაურებიც ფეხზე იდგნენ, მარაიზძენი მანამ სკამებზე არ დასხდნენ. მერე ჭოლიკაურები ისევ მუხლზე დასხდნენ მოშორებით. ხუცესმა სანთლები აანთო და კოდი გახსნა წმიდა გიორგის სადიდებლად (ამ დროს ამათგან მოკლულ მიცვალებულს არ ახსენებდნენ, არც შენდობას ეუბნებოდნენ აქ, როცა ეს ხალხი პირსეყრებოდა. იმიტომ იყო ასეთი წესი, რომ მამკლავის მოგვარეებს პირველად ნახულობდნენ. მიცვალებულის ხსენებაზე კი შეიძლება ვინმე აღელვებულიყო და თავის უნებურად მკვლელობა გამოეწვია. თუმცა, კი არ ყოფილა ასეთი რამ, რადგან პირშასამყრელო ჯვარში ხდებოდა და ჯვარი ყველას აშინებდა, ხევსურეთის რჯულს ემორჩილებოდა ყველა). ლუდი საწდეში დაასხა, დასტურმა საწდე მოიტანა და ხალხის წინ დადგა. ერთ-ერთმა შუაკაცმა ამოიღო თასები და ყველას დაურიგა. ყველამ დაილოცა, ადიდეს ჯუთის წმიდა გიორგი და დალიეს. დალოცვაში ლოცავდნენ ერთუცს (ერთიმეორეს), მოდავეებს, შუაკაცებს, მადლობას უხდიდნენ და ეუბნებოდნენ: „კაის თქმადა-დ კაის გონებად ღმერთმა ნუ დაგლივნასთ, რომ ავს საქმეს კარგად აქცევთ, ხალხს მარცხს, ზიანსა-დ მტერობას აშორებთ, ჯვარზე არიგებთა-დ სიმშვიდეს სთესავთ ხალხში". თასები როცა ყველამ დალია, მერე ჭოლიკაურებს მიუტანეს, მაგრამ ისინი არც მუხლიდან ადგნენ და არც დალიეს, მანამ თითო თასი იმათი გაგზავნილი ყველამ არ შესვა მარაიზძეთამ. ერთი საწდე კიდევ მოიტანეს და პატივად დადგეს მარაიზძეთ წინ. მაიღეს ერთი თასი ლუდი და ხუცესს მისცეს, რადგან აქ ის უფროსი იყო. ეს საწდე რჯულის

მიხედვით, ხუცესმა ჭოლიკაურთ მიცვალებულისად დალოცა, კიბილაურისად (კიბილაური სახელოვანი კაცი იყო ჭოლიკაურთაში) შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, დიდება შენდა! ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, სულიც შენ გებარებისა, კაციც შენ გეჴმარების. ღმერთო, გაუმარჯვი ჯუთის წმიდას გიორგისა! წმიდაო ᾽გიორგიო, შენ უშველი ერთუცის მედავეთ მარაიზძეთა-დ ჭოლიკაურთ! რაც ავ ჩამაღვარდნივ, ღმერთო და წმიდაო გიორგიო, ნუღარას ავს ჩამაუგდებ. ღმერთო და წმიდაო გიორგიო, ნუ იქთ ისრ მარაიზძეთ საქმეს, რომ კაცნი არ ხედებდან, პატივ არ მიუდიოდას. ნუც ჭოლიკაურთ საქმეს იქთ ისრ, რო გასაგონ არ გაიგან, საპატიოს პატივ არ დაზდონ. ხთისა კვირაისა-დ წმიდის დიდებითა-დ ჩემის სიტყვის მაჴსენებით სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებული იყოს, ხთის წესითა, მღვდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ეს თასიცა-დ საწდეიც სულსამც კიბალაურისას მაეჴმარების". „შაუნდნას ღმერთმა, მააჴმარას", უთხრეს სხვებმაც. ხუცესმა კიდევ დალოცა თასი და დალია. მერე თითო თასი ყველას დაალევინეს. ეს რომ ყველაფერი მოთავდა, აკია ადგა, ამოიღო თასით ლუდი, წამოაყენა ერთ-ერთი ჭოლიკაური, დასვა სკამზე და მისცა ხელში თასი. სხვებიც ყველა ააყენა საათითაოდ და მოიყვანა სკამზე, ყველას თასები დაურიგა და დაალევინა. მერე უთხრა: „ჩემგან სათოფედ ნუღარავის გეშინისთ, ვინაც აქ ხართ, ამიდავ თქვენზეით თოფი, მიპატივებავ ე ჯვართაცა-დ ხალხთადაც. დანარჩენი თქვენ იცით, თუ რას ხათრს იქონიებთ, თქვენს თავს გაუწევთ იმ ხათრს, თუ არა, ისიც თქვენ იცით. მე ვინაც თავის ჴელით მავნ, იმასთან მაქვ საქმე. ის არ იქნებისა-დ სხოი სტანავ, ისიც ისი, ჩემდ არა ბედენები. თქვენ კი, როგორც გითხარით, ჩემგან ნუღარ გეშინისთ, ნუც ჩემების სახლისკაცებისაგან, თქვენთან სათოფე აღარაი გვაქვ, თუ თქვენ თავის ჴკვით არ გაიჴდით საქმეს სათოფედ. ეს თქვენზე იქნების. რაჴელც მაიქცევით, ჩვენაც აისრ მაგექცევით" (როცა დაზარალებული და დამნაშავის სახლისკაცები პირშასამყრელოს იზამდნენ წესით, თვითონ მკვლელი და ერთი ვინმე მისი ახლობელი, ან ძმა, ან ბიძაშვილი დარჩებოდნენ ისევ სათოფედ. ამ ორ კაცს ისევ ეძებდნენ მოსაკლავად. შეიძლება დამნაშავის გვარიდან ვინმემ რამე აწყენინა დაზარალებულს და იმაზე იყონ გაჯავრებული, უწესოდ მოიქცა მამკლავ-მამკვდრობის წესებში, უხათროდ, ასეთს დაატანდნენ მოხელეს და რომელსაც შეხვდებოდნენ, მას მოკლავდნენ. ბოლოს, რამდენიმე წლის შემდეგ მოხელესთან რომ ექნებოდათ პირშასამყრელო, მაშინ მოხელეს ვინაც დაატანეს, იმას დანაშაულისათვის ჯურუმს დაადებდნენ და მეჴელესთან ერთად შეიყრიდნენ პირს). ყველას რომ თასები მიუტანა და სკამზე დასვა, მემრე აკიამაც გაიარა და დაჯდა. ჭოლიკაურებმა თითო თასი კი დალიეს, ისევ ბოლოსაკე გადავიდნენ და მუხლით დასხდნენ. ხორციც მოიხარშა იმ საკლავისა, რომელიც აქ დაიკლა (ამ ხორცის მოხარშვას და ტაბლის გამზადებას ვინმე ახალგაზრდა თავობს, საკლავსაც ის გაატყავებს. ეს იქნება სულ სხვა ვინმე, ერთი-

მეორის მოდავეთ გარეშე პირი. მათი გვარებიდან არ იქნებოდა). ხორცი ამოიღეს და ტაბლაზე დააწყვეს, პური და მარილიც ჭოლიკაურებს ჰქონდა მიტანილი. ტაბლა მოიტანეს შუაკაცებმა და თვითონ დადგნენ ფეხზე. მარაიზძენი და ჭოლიკაურნი დასვეს და ერთ ტაბლაზე აჭმიეს პური. მემრე ადგნენ ჭოლიკაურები და ისინი დადგნენ ზედამდეგად. დასვეს შუაკაცები, დაუდგეს ტაბლა და ახლა ამათ აჭმიეს პური. პურის ჭამა რომ მოთავდა, ერთ-ერთი შუაკაცი გაუძღვა წინ, ერთი საწდე ლუდი წაიღო და ჭოლიკაურნი წაიყვანა ჯურჭაის სახლში. ამ დროს მარაიზძენი და სხვა შუაკაცები ჯვარში დარჩნენ და ლუდს სვამდნენ. ჯურჭაის სახლში შუაკაცი წინ შაუძღვა, გაიარა, „აშენდით" უთხრა. მოეგებნენ შინ ვინც იყო – ჯურჭაის ცოლი და სხვები, „მოგვიხვეით მშვიდობითო", „მშვიდობით დაგვხვდითა, კარგად", უპასუხა შუაკაცმა. ჭოლიკაურებმა ხათრით ჭმა ვერ ამაიღეს და კართან მუხლით დასხდნენ (კარებთან ახლო). აქ შუაკაცმა საწდეშიით თასი ამოიღო და ჯურჭაისად დალოცა. ჭოლიკაურნი მუხლზე ისხდნენ თავდახრილები (მუხლზე დაჯდომა ხევსურეთში გამოხატავს უაღრეს ხათრს, თავმდაბლობას. ორივე მუხლზე კი არ ჯდებოდნენ, არამედ ცალ მუხლზე). მერე ჯურჭაის ცოლმა მიუტანა ლუდიანი თასები და უთხრა: „ადეგით, თქვენ არა ბრალ გიტანავთ იმ კაცის მაკვლაში. ჯერ ვინაც მეჭელეი ას, იმას იშობრად მაუჭდ. ალბათ ეგრ ეწერ, აბა თქვენი სრუ რა ბრალი". იმათ ხათრით ხმა არ ამოუღიათ. თასები გამაროვეს, ძალიან ხათრიანად და ხმადაბლა დაილოცეს, თითო თასი დალიეს და გავიდნენ სახლიდან. შუაკაციც თან გამოჰყვა და ისევ ჯვარში წავიდნენ.

ზემოთ გამოგვრჩა: მანამ საკლავს დაჰკლავდნენ და ერთად შაიყრებოდნენ, შუაკაცებმა, სხვა წესების გარდა, მოიტანეს ხუთი ძროხის სპილენძი „საძმო". საძმო უნდა გაიღოს მესაძმოემ, გარეთულმა სახლისკაცებმა. პირველმა სახლმა რიგი უყენა სახლს. როგორც ზემოთ ვთქვით, მეორე სახლმა რიგი უყენა მოკლულის დედულებს და მესამე: საძმოს იხდის მესაძმოე, ვისაც შაბათი არა აქვს გაყრილი (შაბათის გაყრა, ანუ მეშაბათე. შაბათის რიგი აწერილია მიცვალებულის კულტში). საძმო უნდა გაიღონ ბრალდებულის გარეთ სახლისკაცებმა და ეძლევა მოკლულის გარეთ სახლისკაცებს. ზემოხსენებული საძმო გაიღეს ჭოლიკაურების იმ პირებმა, რომლებსაც ეხლა პირშასამყრელო ჰქონდა და გაინაწილეს მარაიზძეთ აკიას გარეთ ბიძაშვილებმა.

თავიდანვე გამოგვრჩა: სადო აიღო დამ, ათი ცხვარი და სამამიდო მამიდამ– ხუთი ცხვარი. ეს ხარჯი გადაიხადა მეჭელის სახლმა მამკლავ-მამკვდრობის ჩამოვარდნის შემდეგ მოკლე ხანშივე. ეს გადასახადი (დრამა) თათარაის სახლმა (ოჯახმა) მამიდასაც და დასაც გაუგზავნა შუაკაცების ხელით ჯურჭაის სიკვდი-ლის მეორ-მესამე კვირასვე. დაგვიანებაზე დაადებდნენ ჯურუმს.

ჯურხაის სახლიდან ჭოლიკაურები და შუაკაცები რომ ჯვარში დაბრუნდნენ, იქ ჭოლიკაურები ისევ მუხლზე დასხდნენ. თითო-ოროლი თასი კიდევ დალიეს და

წამოვიდნენ. წასული ჭოლიკაურები მარაიზძეთ გააცილეს, ლუდიანი საწდე გააყოლეს და ლუდი დაალევინეს. მარაიზძენი (წესის) რჯულის მიხედვით ისე იქცეოდნენ, როგორც ერთიმეორესთან და სხვებთან. ჭოლიკაურებთან არ იმჩნევდნენ რამე ოდნავ მიზეზს, ვითომც მათ შორის არაფერი მომხდარიყოს და ისინი, ვითომც ჩვეულებრივი სტუმარ-მასპინძლები იყვნენ. ჭოლიკაურები კი ისე მოხათრებით იყვნენ, რომ ლაპარაკშიაც კი ენა ებმოდა. ამ სახით გაისტუმრეს და კიდევ გამეორებით გამოუცხადეს: „ჩვენგან სათოფედ ნუდარ გეშინისთ, თოფი თქვენზეით აღებული, თუ თქვენ თაოდ აღარ გაიჭდით სათოფედ საქმეს, ჩვენ თავდებად გიყენებთ ამ ჯუთის წმიდა გიორგის, რომ თქვენზეით თოფს ვიღებთ. აღარვის გიძევთ სათოფედ. ამის შემდეგ ეს ხალხნი აღარ იმალებოდნენ. მხოლოდ, გზაში შეყრილს გზას გაუწირავდნენ, გზის ძირზე შორს გაივლიდნენ ქუდმოხდილები. თუ ისეთ გზაში შეხვდებოდნენ, რომ გზის ძირზე გასავალი არ იყო, ან უკან დაბრუნდებოდნენ, ან მუხლით დაჯდებოდნენ და ისე გაიცილებდნენ. დარჩა მამკლავად ორი კაცი – თათარა და მისი ძმა. ისინი დიდხანს იმალებოდნენ. მარაიზძენი ეძებდნენ მათ მოსაკლავად.

ამნაირად გაიარა სამმა წელმა და შუაკაცებმა თათარას ურჩიეს ჯვარში შეჯდომა („ჯვარჩი შაჯდომა” ხდება მკვლელობის შემდეგ ერთი წლის მერე და უფრო გვიან). რადგან მარაიზძენი ძალიან მკაცრი ხალხი იყო, თათარამ ვერ გაბედა სამ წლამდინ ჯვარში შეჯდომა და მემრე კი გაბედა და მოემზადა. წავიდა ჯუთისაკე. წაჰყვა თან ხუთი-ექვსი ახალგაზრდა. წაიყვანეს ერთი კურეტი და ერთი საკლავი, ერთი სანდო კაცი წინ გაგზავნეს იქ ხუცესის მოსამზადებლად და საოვალყუროდ – სად ვინ არის მარაიზძენიო. გაგზავნილმა კაცმა მოიტანა სხვა საქმე, ვითომ უბრალო მგზავრად მივიდა ჯუთაში. იქ სანდო პირები ჰყავდა თათარას ნათესავები, ვინც არ გასცემდა მის მოსვლას (მარაიზძენი თუ გაიგებდნენ ჯვარში შასაჯდომად მოდისო, შეიძლება გზა შეეკრათ და მოეკლათ, ვიდრე ჯვარში შეჯდებოდა). მოსულმა კაცმა ხუცესს გაანდო ამაღამ თათარაის მოსვლა ჯვარში შესაჯდომად. სხვებსაც უთხრა, ვისაც ენდობოდა, რომ დახმარებოდნენ და მარაიზძეთ არცაით რა გაეგოთ, ან ვინ სად იყო მათი მამის ხალხი. ეს დაწვრილებით გაიგეს და გაგზავნილი კაცი უკან დაბრუნდა, ვითომც ისევ არხოტში წავიდა. თათარა და მისი გამყოლი ამხანაგები ერთ მოფარებულ ადგილას ელოდებოდნენ დაღამებას. გაგზავნილმა კაცმა იცოდა, ისინი სად იყვნენ და იქ მივიდა. მიიტანა ამბავი, რომ ჯუთაში ყველაფერი წესრიგზე არისო. დაღამდა და ყველანი წავიდნენ. ჯუთის სოფლის ბოლო ისე გვიან გაიარეს, რომ ყველას ეძინა (აქ მე ვიყავი, თათარა ცხენის გავაზე მეჯდა, ზედ ნაბადი მეხვია, ისე მივაცილე და წამოვიყვანე ჯუთაში. მაშინ მე ვიყავი ახალგაზრდა და ყველა ამ ამბის მოწმე ვარ). თათარა ერთ-ერთი საუკეთესო ცხენის გავაზე იჯდა იმიტომ, რომ თუ რამე მოხდებოდა და მტერი გადაეღობებოდა, მეორე კაცის გამო ცხენზე თოფს ვერ ესროდნენ. მეორე იმიტომ, რომ საიმედო ცხენი იყო და სწრაფად გააქანებდა ორივე

მხედარს. ჯუთაში ჯვარნი სოფლის ბოლოს იქით მხარეზე არიან და მისულები ჩუმად იქ მიიპარნენ. ერთი კაცი არხოტიდან მიმავალ გზაზე სოფლის პირში დააყენეს, რომ მარაიზძეთ არ ეგრძნოთ და გზის შესაკრავად ვინმე არ გაპარულიყო. ჯვარში რომ მივიდნენ, ხუცესი იქ დაუხვდათ და სამი-ოთხი ახალგაზრდა ჯუთელები, თათარას ნათესავები. კურეტი და საკლავი ხუცესმა იხუცა ძალიან ნელის ხმით, დაამწყალობნა ორივე მხარე მოდავეები, კაც-შუაკაცი და თათარაისად გამყოლი კაცები. დაკლეს ორივე ჩუმად. მოსულებს არაყი ჰქონდათ, თითო-ოროლა ყანწი საჩქაროდ დალიეს და წამოვიდნენ ცხენებით ნელის ნაბიჯით, მანამ ჯუთას გასცდებოდნენ, მერე კი ცხენებს გაუჩქარეს და გათენებამდინ არხოტში გადავიდნენ. ჯუთაში ხუცესმა და ახალგაზრდებმა კურეტი აწევით წაიღეს და საკლავიც. მიიტანეს იქ ხუცესის სახლში და მათვე გაინაწილეს ტყავიც და ხორციც. რჯული ასეთი იყო, რომ დამხმარეები ინაწილებდნენ და შუაკაცები.

ჯვარში შაჯდომის დროს ერთი სამის წლის კურეტი უნდა იყოს და ერთი საკლავი, მამკლავ-მამკვდრობა თუ ერთ სოფელში მოხვდა, ე.ი. მამკლავი და მამკვდარი ორივე ერთი სოფლიდან არიან, მაშინ ჯვარში შაჯდომის დროს მარტო კურეტი დაიკვლებოდა, საკლავი დილამდინ რჩებოდა და მეორე დღეს მოკლულის სახლში დაიკვლებოდა. თუ ასეთი შემთხვევა იყო, როგორც ზემოთ აიწერა, როცა მამკლავ-მამკვდარი სხვადასხვა სოფლიდან იყო, მაშინ საკლავიც და კურეტი ორივე ჯვარში დაიკვლებოდა. მხოლოდ მოკლულის სახლში დაკლულის საკლავის ტყავი და ხორციც შუაკაცებს და ხუცესს მიჰქონდა. ასე მოხდა თათარას ჯვარში შაჯდომა. მეორე დღეს ხუცესი მივიდა მარაიზძესთან და გამოუცხადა ჯვარში შაჯდომის ამბავი და სთხოვა წმიდა გიორგის სახელით, რომ თოფი აეღო. იმათაც უთხრეს: „ჭევსურეთის რჯულს ჩვენ ხომ არ დავშლით, სხვასაც მასვლივ ეს საქმეი-დ ეგრ გაუკეთებავ. ჯვარჩი შაჯდომის მერჯულედ არ გავხჭდით. ავიღებთ თოფს იმ პირობით, რომ ჩვენ იმას ძევას აღარ დაუწყებთ, ხოლოთ გზაჩი ნუ შაგვეყრების. ნუც გათამამდების მაგით. ჩვენ მაგის ჯვარჩი შაჯდომით არც მკვდარ გაგვიცოცხლდა-დ არც სირცხვილ მაგვჭდ. თქვენაც იცოდათ, ჯვარმაცა-დ სხვა ხალხმაც, მაგათ მაკლულ კაც ჩვენ იქავ მკვდარი გვყავა-დ უწესო ქცევას ვერ მავითმენთა-დ ბრალს ნუღარ ვინ დაგვდებთ, თუ მაგან თავის ბრალით თოფ აგვაღებივ. ჩვენ ბევრ ვეცადენით მაგვეკლა-დ, ალბათ არ ეწერ ჩვენს ჭელს. ბევრჯელ მიმარჯვებულიც გვქონდ საქმე, რომენს გზაზედაც გამაივლიდ, იქ ვისხეითა-დ სხვას გზაზე გაიპარებოდ. აწიდგეს ჩვენ აღარ ვიძევთ მასაკლავად. თუ ძალად არ მაგვეკვლივ, იცხოვრას თავის სახლშია-დ საქმეიც აკეთას. ხოლოთ ჩვენ ამღას ქალ-დისწული გვყავა-დ უწესრიგობა, უხათრობა არც იმათთან ვარგ, თორემ იარაღ რო ვინ მაუქნივას, ჩვენ ჭელს ვერცაით ვის შაუკრავთ. უბრალოდ, უდანაშაულოდ კი ისეები იარაღს არავის მაუქნევენა-დ, თუ რა მახჭდ, ისიც მაგის

ბრალ იქნების. სხვა აბა რა გვეოქმის, რჯულ-რჯული ასა-დ, რაც რჯული გვაქვ, აბა სად ვინ წაუოლთ, ხალხსაც ეგ მაგვიდისა-დ მიწაწყალთაც. ამის შემდეგ გაიარა კიდევ ერთმა წელმა და შუაკაცები საკლავით ჭელში კიდევ მიუვიდნენ აკიას და სთხოვეს: პირშასამყრელოს ნება მიეცა თათარაისად და იმის ძმისად, რომელიც თათარასთან ერთად იყო რჯულის მიხედვით გაწირული. აკიამ და იმის სახლისკაცებმა კიდევ მოკრიფეს მიზეზები და ჯერ-ჯერობით უარი უთხრეს პირშასამყრელოზე. შუაკაცებმა საკლავი უკან აღარ დააბრუნეს და იქ დაკლეს. ამის შემდეგ კიდევ გაიარა ერთმა წელმა და მიუვიდნენ შუაკაცები. შუაკაცები ახლა იმედიანად მივიდნენ, რადგან გაგებული ჰქონდათ, რომ აკიას ოჯახში ხშირი გახდა ავადმყოფობა და მკითხავები ეუბნებოდნენ: „ეყვ მაგოვენ წვალება თქვენს მესისხლეს, სრუ ერთი, ის თქვენს ჭელს არ სწერავ, არც გიზამაობით მაუვიდ, ჯურჭას ეგრ სიკვდილ ეწერა-დ ის ვაუიც ჯურჭაის უკლოობამ გახვივ ამ ხიფართში. არხოტულნ ხთიშვილნი შასაწყინებულნი ამოვენ ამბით. ჯუოურ ხთიშვილნიც არხოტულთ ემჭრობიანა-დ თუ გულ არ ამაირეცხეთა-დ პირს არ შაიყარეთ, არას კას იქამთ”. ახლა მესულეთეს მაუვიდეს ჯურჭაის სულნი-დ ატანებივ: „ეყვ იმ კაცს წვალება, თქვენ რო იმას აწუხებთ, აქაურის წესით აქ (საიქიოში) მე ვდონდები. იმ კაცს გიზამაობით არ მასვლივ, იშობარ მაუვიდ. მე ვყოფილორ უკლოი ეგრ სიკვდილ მწერებივა-დ ისიც ჩემმ უკლოობამ გახვივა-დ დააღონ. აკმაეთ, ახლ კი ნუც მე მაღონებთ”.

შუაკაცებს ეს გაგებული ჰქონდათ ყველაფერი და იმედიანად მივიდნენ. აკიამ სახლისკაცები შეყარა და შუაკაცებმა თავის მოსვლის მიზეზი უთხრეს და სთხოვეს: „ახლა კი ახენეთ ღმერთს, დაგვდევით პატივი ჩვენაცა-დ აპატივეთ ჩვენებს სალოცავებსაც. აკმაეთ მაგოვენს ხანს ეგრ სიარული, შაიყარეთ პირად. ჭევსურეთის მიწაწყალს ეგ მაუდის, ბევრი გყავთ ამხანაგი-დ არვინ დამრჩალ ამოვენ ხანსაც პირსაშამყრელოს გარეშე”. აკიას აღარ დააცალა მარაიზძეთ უფროსმა კაცმა გოგიტამ და შუაკაცებს უთხრა: „შასწუხდით თქვენაც ამოვნივ სიარულით, მემრ განა ახლოი, მთას იქი-აქათ ორთ. ჩვენსა ჭოლიკაურთ გულისად ფეჭზე ადგომაიც არ გეკადრებისთ, დაზდით თავის კაცობის გულისად. ღმერთმა კაის თქმადა-დ კაის გონებად ნუ დაგლივნასთ. ჩვენც რაიმ გაგვიგონავ ჭევსურეთის რჯულისაი, ვიცით, რო ყველაის დროი ას, ხანი ას, მაგრემ არც ჩვენ გვედების ბრალი. შინ ნაჯდომ კაცი მაგვიკლ უნაკიდებლოი. ეგ რო არხვატით აქ არ მასულიყვა-დ, აქ კიდევ არ ეჯაბარდელავ, ჩვენ არვინ მაგკვლევდ, ჯურჭა დღესაც ცოცხალ გვექნებოდ. მაგრამ მაჭდ უბედურობაი. ჩვენ იმოვენ თავი, კაცობა ნიადე ვინ მაგვც, რო დავსწორებულიყვენითა-დ ისრ გაგვეთავ საქმე (დავსწორებულიყვენით: ჩვენც რომ მოგვეკლა და თავი თავში გაგვებარაო). მაგრემ რა უყვათ, ე მირგვალს ჭევსურეთ მაგის ამხანაგიც ბევრი გვყავ. ჩვენ მაინც სირცხვილიანნი დავდითად

მაინც. ახლა აღარც აკიას ვკითხავა-დ აღარც სხვას ვის, იმით რო ყველა ჩემზე უნცროსები არიან. დაამზადეთ პირშასამყრელოი-დ შავიყრით პირს". ხოლოთ დადოს ერთუცზე იმდენ-ამდენი ჯურუმიო, უთხრა, რომელიც მარაიზძეთ წინასწარ ჰქონდათ მოლაპარაკებული და გადაწყვეტილი. ჯურუმის მიზეზიც უთხრა: როდის და რა ჩაიდინა საჯურუმო და რომელ დანაშაულზე რამდენი ჯურუმი დაადვეს. დაუნიშნა დრო პირშასამყრელოსი და დაჯდა გოგიტა. მანამდე ფეხზე მდგომი ესაუბრებოდა შუაკაცებს. სხვას ხმა არავის ამოუღია. შუაკაცები ადგნენ, ქუდები მოიხადეს და უთხრეს: „აი, ე ქუდით მადლობლები ორთ, რო პატივ დაგვდევითა-დ კაცად ჩაგვყარენით". ქუდები გოგიტას წინ გადაუყარეს. ერთი ახალგაზრდა ადგა, ქუდები აიღო, გაბერტყა და პატრონებს დაურიგა. საკლავი დაკლეს. მოიხარშა, შუაკაცებს პური აჭმიეს და გამოისტუმრეს. შუაკაცები დაბრუნდნენ, სვე და ფორი დაამზადებიეს, გადაიტანეს და ჯუთაში ადუღეს ლუდი. დანიშნულ დღეს წავიდნენ ჯუთაში და მივიდნენ ღამე ჯვარში. ჯვარში დახვდნენ ზოგიერთი ჯუთელები, რომლებიც მარაიზძეთ მამას არ ეკუთვნოდნენ და შუაკაცობაში ღებულობდნენ მონაწილეობას. არხოტიდან მიიყვანეს ერთი მესამის კურეტი, ორი საკლავი და დრამა იმ რაოდენობით, რამდენიც გოგიტამ ჯურუმი გამოუცხადა შუაკაცებს. შუაკაცებმა მოიყვანეს მარაიზძეთ მამის კაცნი უკლებლად. ახალგაზრდებმა კურეტი და ერთი საკლავი წამოაყენეს სასაკლაოში. თათარა და მისი ძმა აქამდინ დამალულები იყვნენ და ახლა მოიყვანეს, მოვიდნენ და შორს მუხლით დასხდნენ. ხუცესმა იხუცა საკლავი და კურეტი. მარაიზძენი და სხვა ხალხი ფეხზე იდგნენ. დაამწყალობნეს ერთურთის მოდავენი. მერე მოიტანეს ლუდი და კიდევ ადიდეს ჯვარნი. ხალხმა რომ ლუდი დალია, ერთი საწდე კიდევ მიუტანეს მარაიზძეთ პატივად. ეს საწდე პატივის წესით დაილოცა ჭოლიკაურთ მკვდართად. მერე თვითონ აკიამ მოკიდა მხარზე ხელი, ააყენა თათარა, წამოიყვანა, სკამზე დასვა და მისცა თასი, მერე მისი ძმაც ასე, და უთხრა: „მამეკალ მინდოდ, მაგრამ ალბათ ჩემს ჭელს არ ეწერი. ახლა ჩემგან ნუღარ გეშინის, თუ ძალად არ მამეკვლევი, მე აღარ მაგკლავ". ბევრი არ ელაპარაკა და დაჯდა. თითო თასი რომ დალიეს, შუაკაცებმა ერთი საკლავი და ჭოლიკაურნი წაიყვანეს ჯურჭაის სახლში. თათარა აქ ისე შეწუხდა, რომ სულ ოფლი სდიოდა. აქედან სულ მოკლე ხანში გამოიყვანეს და ჯვარშივე წავიდნენ. აქ შეასრულეს ყველა ის წესი, რაც წინა პირშასამყრელოში შესრულდა.

ამის შემდეგ ერთ საკლავს უკლავდნენ ჭოლიკაურნი მარაიზძეთ. თუ ვინმე ახლობელი მოუკვდებოდა, მაშინაც საკლავ-პატივს უგზავნიდნენ და იქცეოდნენ მუდამ ხათრით.

მამკლავ-მამკვდროება ახიელში

სოფელ ახიელში ცხოვრობდა ხუთი მთავარი გვარი და ისინი კიდევ იყვნენ დაყოფილი მამებად. მთავარი გვარები იყო: ცისკარაულები, ოჩიაურები, ნაროზაულები, ჯაბუშანურები და ბალიაურები. ცისკარაულები კიდევ იყოფოდნენ მამებად: ჭარანი და თათიანი. ჭარანი კიდევ მამებად ცალ-ცალკე: ძუნძულნი, გაგუჩანი და ხომიზურანი. თათიანი აღარ იყვნენ დაყოფილი.

ოჩიაურები იყოფოდნენ მამებად: საჩინანი, ალუდიკანი და ქალიელნი. კიდევ ყოფილან ჭირჩანი და ისინი ამოწყვეტილან. ნაროზაულნი იყოფოდნენ: ჩაბაკაურნი, ქავთარნი და ბოდანი. ქავთარნი კიდევ იყოფოდნენ: გუგუანი და ყურფარანი. ჯაბუშანურნი იყოფოდნენ: ბაჭანი და ალიანი. ბალიაურთ დაყოფა არა ჰქონდა. როგორც ძველები იტყოდნენ, ბალიაურთ წინაპარი გადმოსულა ბლოდან, ჯაბუშანურნი თათრები არიანო – ტყოდნენ. ცისკარაულები, ოჩიაურები და ნაროზაულები განაყრები არიანო. უწინ კარგი განწყობილება ჰქონია ამ განაყრებს და ბოლო-ბოლო რაღაც შური ჩამოუვარდათ ერთიმეორეში. ჭარა-ოჩიაურებსაც ხშირ შემთხვევაში მოზდიოდათ ჭრა-ჭრილობა (ბოლო ხანებში), მერე ისევ რიგდებოდნენ (ჭრა-ჭრილობა მერე სხვა ადგილზე იქნება აწერილი). ნაროზაულებთან უფრო იშვიათად იყო ჭრა-ჭრილობა, მაგრამ სხვადასხვა საქმეებზე ჩამოვარდებოდა ამ ორ გვარს შორის უფრო შურმაქნეობა. უფრო ადრე თავის სოფლელთ ნაცოლარი არ მიყავდა მეორეს, არც ქვრივი და არც ქმარს გაყრილი. ამ სამ, ერთიმეორის განაყარ გვარებს შორის ხომ სულ არ შეიძლებოდა ასეთი რამ (ერთი ქმარს გაყრილი გ. ოჩიაურის ყოფილი ცოლი გ. ცისკარაულმა მოიყვანა და ამის შურზედაც მაგარი ჭრა-ჭრილობა მოხდა, რაც მერე დაიწერება). ბოლოს ასეთი ამბავი მოხდა: ერთი ამღელი ქალი ნაროზაულ ახალგაზრდას ყავდა ნათხოვი. ამ ქალს ყველანი ისე ექცეოდნენ, როგორც რძალს ქმრეულები, მაზლები. ამასობაში ამ ქალს შეუყვარდა ოჩიაური ახალგაზრდა. ერთიმეორე ძალიან უყვარდათ, მაგრამ მისი ცოლად წაყვანა არ შეიძლებოდა არსებული რჯულის, წესის მიხედვით, რადგან ყველანი რძალს ეუბნებოდნენ. მაგრამ ამ ქალ-ვაჟმა გადათელა ეს წესი და ერთიმეორეს შეპირდნენ ცოლ-ქმრობაზე. აქ მათი ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, თუ ისინი ერთიმეორეს გაყვებოდნენ და ამიტომ ვაჟი ქისტეთში წავიდა საცხოვრებლად, იქ მიიღო მათი სარწმუნოება მაჰმადის სჯული, ისწავლა მათი ენა, დალოცვა მათებურად და მოეწყო იქ საცხოვრებლად. ქისტები იქ მას კარგად ეპყრობოდნენ. თავის მოსავლის ათისთავს აძლევდნენ. მაგალითად: ათი ურემი სიმინდი რომ მოსვლოდა ამა თუ იმ ოჯახს, ერთი ურემი მასთან მიჰქონდა. ცხოვრობდა ჩრდილოკავკასიაში, კავკავის მარჯვეს, ქისტებით დასახლებულ სოფელ ბაზურგანზე. ქისტებმა სახლიც მისცეს

მას. ძალიან უხაროდათ რომ ქრისტიანობიდან გადავიდა იმათ სარწმუნოებაზე და ყოველგვარ დახმარებას პირდებოდნენ.

აქ ქალმა დაიწყო ქმრის დაწუნება, მაგრამ ეჭვი იყო ქისტეთში წასულ კაცს მიყვებაო და ქმარი თავს არ ანებებდა, არ ანთავისუფლებდა (ხევსურეთის წესით ქმარს უფლება ჰქონდა ცოლი არ გაენთავისუფლა და სხვაგან გათხოვების ნება არ მიეცა, თუნდაც ის ისევ მამის სახლში ყოფილიყო. მანამ ქმარი არ იტყოდა: „მე თავს ვანებებ, ვისაც უნდა გახყვას, მე საქმე აღარა მაქვო", მანამდინ ვერავინ წაიყვანდა. იმის უფლებაც ჰქონდა ქმარს: თუ ვისმეზე ეჭვი ეპარებოდა – ჩემი ნათხოვი ქალი იმას მიჰყვებაო, იმ კაცზე გათხოვებას უკვეთდა (აუკრძალავდა) და თუ ის წაიყვანდა, მოკლავდა აუცილებლივ. თუ ვერ მოკლავდა, სირცხვილი იყო სამუდამოდ. ეს ყველაფერი ხდებოდა სახლში მოყვანამდინ. ცოლს რომ სახლში მიიყვანდა, მერე კი სხვისად გაყოლა აღარ ხდებოდა). ქალი უბარებდა – დამანებე თავი, არ გამოგყვებიო. ქმარი უბარებდა: „სრუ მამის სახლში იყავი, მანდ დაგაბერებ და გაქმრიანების ნებას არ მაგცემ, ვისაც სიცოცხლე აღარ უნდა, იმან წაგიყვანას. შენაც გაიგება-დ ისიც, რას ხანთ გაგახარებთ". ქალი და მისი საქმრო ამ ამბავში იყვნენ და ის მესამე პირი ქისტეთში ცხოვრობდა. ქისტებმა სახელიც თავისი დაარქვეს – მაჰმადი. გავიდა დრო და მიმშვიდდა ეს მითქმა-მოთქმა. თიბა-მკის დრო იყო და სათიბზე წასული ქალი შინ აღარ დაბრუნდა. ქისტეთში წასული ახალგაზრდა მოსულა ჩუმად, დაუთვალიერებია, ის ქალი სად წავიდა სამუშაოდ, მისულა და წაუყვანია ქისტეთში. მოხდა არაჩვეულებრივი ამბავი სოფელში, ორი გვარი ერთიმეორეს უნდა მოხვედროდა და ვინც როგორ მოასწრებდა, ამოეხოცა ერთმანეთი. მოვიდა ხალხი, უფროსები სხვა სოფლიდანაც. ახიელელი უფროსებიც ჩაერივნენ და ამშვიდებდნენ ხალხს. ბოლოს ნაროზულებმა მოითხოვეს ჯვარჩი საკლავი დაკლან ოჩიაურთა-დ მაიკვეთან ის კაცი, იმას ნუღარ იძმობენ: „ის რო მოვკლათ, თავს ნუ დაგვდებენ; თუ ვინ იმან მაგვკლ, ჩვენაც ოჩიაურთ თავს არ დავზდებთ. გაყარან ძმობაი-დ ჩვენ მაგათან სადაო აღარა დაგვრჩების, ჩვენ ვიცითა-დ იმ კაცმ". ბოლოს შუაკაცებმა ოჩიაურები დაიყოლიეს და იმათ მოიკვეთეს ის, რომელმაც წესი დაარღვია და ქალი გაიტაცა. მიიყვანეს საკლავი, დაკლეს ჯვარში და საქვეყნოდ უარყვეს მისი ძმობა. ჩვენს თვალწინ რომ ვინმემ ეგ მოკლას, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ და თუ მაგან ვინმე მოკლა, მოკლულის გვარს ჩვენთან საქმე ნუ ექნებაო.

ასე დამშვიდდა ვითომ ეს ორი გვარი, მაგრამ შური მაინც არ ცხრებოდა, ერთიმეორესთან ძველებურად კარგად განწყობილნი მაინც არ იყვნენ, აღარც დადიოდნენ სმაში ერთად. დღეობებში ლუდს მასმურზე ყოფდნენ და ცალ-ცალკე მიჰქონდათ (მანამდინ ერთად დღეობობდნენ). უფრო ნაწყენი იყვნენ ნაროზაულები. ამ მოკვეთას მაინც არაფრად აგდებდნენ – ჩვენ რომ მოვკლათ, ეგენი ისევ ძმები იქნებიანო, ამბობდნენ. ოჩიაურთ ახალგაზრდებმა მათ უბანზე კვიცი ცხენი ჭენებით გაატარეს

და იმათაც მეტი არაფერი დასჭირდა: „აქ რო ცხენს ათამეშებთ, რო ვინ გალაჯას, რაიღ გგულავთ, მემრ სადაღ დაგვიძვრებით", უთხრეს ნაროზაულებმა. თუმცა ცხენებით სიარული აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ საშარო მიზეზი იპოვნეს. ოჩიაურებმაც არ დაუთმეს და მოხდა შუღლი. ხანჯარი აქ არავის ჰქონდა, ყმაწვილები იყვნენ და სათითით დაკაწრეს ერთიმეორე. დიდმნიშვნელოვანი შუღლი არ ყოფილა, რადგან არც ერთი გვარის ხალხი არ იყო ამ დროს აქ, ვისაც ხანჯრით შუღლი შეეძლო. თუმცა კი, ნაროზაულებს ადრევე ჰქონდათ პირობა შეკრული. ეს ყველას სირცხვილია და, თუ ვისმე ამ საქმეზე შუღლი და ჭრა-ჭრილობა მოგვიხდა, დრამა ყველამ თანასწორად გადავიხადოთო. ეს ზოგიერთ ოჩიაურებს საიდუმლოდ გაეგოთ. ეს ამბავი გაიგეს დანარჩენმა ოჩიაურებმაც და სოქვეს: „ჩვენ მაგათ სახლისკაც მაგვაკვეთიეს, ძმობა გაგვაყრიესა-დ იქავ ცუდგულობენ, არ ისვენებენ". მეორე დღე იყო. გამოვიდა ქალის წამყვანის უფრო ახლობელი კაცი და დაუწყო ნაროზაულებს წირვა-გინება. თუ შუღლი და მტრობა გინდათ, აი ვიშუღლათო. ნაროზაულთ გვარი შედარებით კაცმრავალი (კაცრიელი) იყო და გამოვიდნენ ბევრნი. ოჩიაურები ამ დროს სულ არავინ იყო სახლში. როცა ზოგები წინ შაეგებნენ, ამ დროს ერთი ნაროზაულთაგანი ზურგიდან მოუვიდა და ორჯელ დაჰკრა ხანჯარი თავში. ისე მოხდა, რომ ორივე მოქნეული ხანჯალი ერთსადაიმავე ადგილზე მოხვდა და მძიმედ დაიჭრა. დამჭრელი ვერა და ერთ-ერთი ნაროზაული ამ კაცმა დაჭრა, მხოლოდ მსუბუქად. დაჭრილ ოჩიაურს თამარიზძე ერქვა და თუშსაც ეძახოდნენ. ჩავარდა თუში ლოგინად, რადგან ძვალიც გაჭრილი იყო და ტვინის სკაც დაზიანებული. შეიქნა ძალიან მწუხარე ავადმყოფი. დასივდა ჭრილობა, თუმცა არ დაჩირქებულა, მაგრამ მთელი თავი დასივდა. გადავიდა სიმსივნე ტანზედაც. იმ დროს ხევსურეთში ექიმი არსად იყო (ეს მეფის რუსეთის დროს იყო და მაშინ სოფელში ექიმი სად იყო). დააყენეს სოფლური ექიმი. მკურნალობდა ბალახის წამლებით. ბალახები ჰქონდა გამხმარი და წმინდად გაზელილი, რომელიც წამლად იყო მიღებული. ჭრილობას თბილი წყლით მობანდა, შეამშრალებდა, მერე ბალახის წამალს დააყრიდა, ჭრილობაში დაძენძილ კანაფს ჩასჭედდა მაგრად, რომ ჭრილობა არ შემოყრილიყო, მერე ზედ პატარა რამეს ფართლის პირს დააფარებდა და ზედ თავშლებს მოახვევდა. ჯერ, დღეში ერთხელ შეუხვევდა ასე და, როცა თანდათან ცუდად გახდა, დილით და საღამოობით ორჯელ დაუწყო შეხვევა. მაგრამ ავადმყოფს გაუმჯობესება არ ეტყობოდა. არხოტში რაც მკითხავები იყო, ყველასთან მივიდნენ, ზოგი ავადმყოფთან მოყავდათ და აქ ქადაგობდნენ. ყველანი სხვადასხვა ჯვარის მიზეზს ეუბნებოდნენ. უფრო კი მიზეზად ამბობდნენ: „არხოტის ჯვარი გამწყრალი, იმის ყმათ გათავთავადებაზე და ცალ-ცალკე სმაზე. მე მიქიელი ორ, თხა-მგელთ ერთად ვაძოებ, თქვენ კი ყმანი თავს წამიხვედით. ჩემ სადიდებელს ცალ-ცალკე სცქამლავთ. აღარ მაფასებთ. მკლავ მკლავს გამისწორეთ, კისერ კისერს". ამასთან, მუქარას

ითხოვებოდა – თუ ჩემს ჭკვაზე არ მახოლთ, სულ გაგანადგურებთო. ოჩიაურნიც და ნაროზაულნიც ყველანი ამბობდნენ: „ოღომც ეს კაც მორჩას, ერთუცში სისხლ ნუ ჩამაგვივარდებისა-დ ყველას დავსთმობთ, ჯარსაც იქავ ვაჯარებთა-დ სოფელსაც იქავ ვასოფლებთ. ჭიმღას ხოშექამ, ამღას ნინომ, წმიდად ნამყოფ ჯვარის გამძღოებმ, ყველამ იმკითხავა არხოტის ჯვარში კურეტი და საკლავი და მეხვეწურად დედანი. ჯერ არხოტის ჯვარში მიიყვანეს კურეტი და საკლავი დაკლეს მარტო ავადმყოფის სამხვეწროდ. დედანი მოვიდნენ და ჯვართ პირდაპირ მუჭლმაყრილები დასხდნენ. ხუცესმა რომ ხუცობა დაიწყო, დედათ მოიჭადეს თავმანდელი და გადაყარეს წინ და ეხვეწებოდნენ არხოტის ჯვარს: „შამაგხვეწნიორთ დალოცვილო ახიელის სალოცავო, შენთ ყმათ ახიელელთ დედანი. შაგვიხვეწენი, დაეჭმარი ავადმყოფს, მაარჩინე, აღირსი შენს კარზე თავის ფეჭით, ზღვნითა-დ სანთლით მასვლაი. შაგვიბრალენ დალოცვილო, ნუ წაგვიჭდენ სოფლობას, ნუ წააჭდენ შენთ ყმათ შენად სამსახურად”. ხუცესმა დაამთავრა ხუცობა და დაკლა კურეტი და საკლავი. გაატყავეს ორივე, რაც კარგი ნაჭრები იყო, წაიღეს ავადმყოფთან და დანარჩენი ჯვარიონთ და სოფელმა წაიღ-წამოიღო. ამავე სახით იზღვნეს, მხოლოდ თითო საკლავი მიიყვანეს ჯაჭველში და მთიშეშაგში. მაგრამ ავადმყოფს არავითარი სიკეთე არ ეტყობოდა. თანდათან მწუხარე გახდა. ოჩიაურები ღამეებს თეთრად ათევდნენ ავადმყოფთან. ნაროზაულები ფრთხილად იძინებდნენ, რომ გარდაიცვალოს, ვეღარ გავასწრებთ და ერთმანეთის ხოცვა მოყვებაო. ეს კაცი შემოდგომით დაიჭრა, ზამთარი მიიწურა და ისევ მძიმე ავადმყოფი იყო.

უკანასკნელ ღამეს ოჩიაურები, ორი კაცი იყო ავადმყოფთან. ავადმყოფს დაეტყო, რო აღარ იცოცხლებდა დილამდინ. ავადმყოფის ცოლი გაიპარა ისე, რომ ოჩიაურებმა ვერ გაიგეს და შეატყობინა ახლო მეზობელს: ჩემი ქმარი ამაღამ აღარ იცოცხლებს, წადი და ჩუმად შეატყობინე ნაროზაულებს, რომ თავს უშველონო. ნაროზაულები ყოველთვის მომზადული იყვნენ გასახიზნად და გაგებისთანავე დასტოვეს თავისი სოფელი და წავიდნენ სოფელ ამღაში. ზამთარი იყო და სხვაგან წასვლა დიდი თოვლების გამო არ შეიძლებოდა, აღნიშნული სოფელი ორი ვერსით იყო დაშორებული, იქ წავიდნენ, მაგრამ აქაც ოჩიაური ქალები იყვნენ გათხოვილი და მათთანაც საჭირო იყო დამალვა, ოჩიაურთ დისწულებთანაც. მაგრამ ნაროზაულები თავის ნათესავებთან მივიდნენ და დაიმალნენ. ავადმყოფი რომ გარდაიცვალა და დაამკაცრეს (ხელები გულზე დაუწყვეს, თვალები დაუხუჭეს და პირიც მოუკუმეს), იარაღი აიღეს და პირდაპირ მამკლავის სახლს მიაშურეს. კარები დაკეტილი არ დახვდათ და პირდაპირ სახლში შევიდნენ, მაგრამ იქ აღარავინ დახვდა. ახლა ამის ბიძაშვილების სახლები ნახეს და აქედანაც გახიზნულიყვნენ. გატყდა ხმა სოფელში და სხვა გვარების ხალხი, კაცი და დიაცი, ყველანი მოვიდნენ. ოჩიაურებმა იცოდნენ, რომ ამღის გარდა სხვაგან ვერსად წავიდოდნენ

და უნდოდათ დასდევნებოდნენ უკან, მაგრამ სოფლელებმა არ გაუშვეს. სოფელი მთლიანად აქ იყო, ნაროზაულთ გარდა. მეორე დღეს თემებშიც გაიგეს, ოჩიაურთ ნათესავები ყველანი მოვიდნენ და უნათესაო ხალხიც მოვიდა ხნიერები და კაც-შუაკაცები მოსიარულენი, ხევსურეთის რჯულის მცოდნენი და დაიწყეს შუაკაცობა მშვიდობის ჩამოსაგდებად. ესაუბრებოდნენ ჭირის პატრონებს წარსულ, მომხდარ ამბებზე, მერე შერიგებაზე და სხვა. მიცვალებულს ქალები და სხვა მამის კაცნი ტიროდნენ. ოჩიაური მამაკაცები არ ტიროდნენ, რადგან სხვათაგან მოკლულზე ტირილი კაცისათვის სირცხვილია. შუაკაცებმა მაშინვე დაიწყეს რიგის ყენებაზე საუბარი, მაგრამ ოჩიაურებმა არ იყენეს რიგი. მოკლულს ძმა-ბიძაშვილი არავინ ჰყავდა. ალუდიკათ მამიდან მარტო ეს იყო და მეორე ის, რომელიც ქისტეთში წავიდა და ქალი წაიყვანა. დანარჩენი ოჩიაურები ცოტა შორიელები იყვნენ. მოკ-ლულს შვილები პატარები ჰყავდა. ოჩიაურები შუაკაცებს ეუბნებოდნენ: „ამას აქ ახლოელი არვინ ხყავ. ნაროზაულთაგან ის კაციც მავიკვეთეო, ეს კაციც მაგათავ მაგვიკლეს, ჩვენ გავაგებიებთ ამის ახლოელს, მავა-დ ის იყენებს რიგს”.

მესამე დღეს დასაფლავების დღე იყო. მოიყვანეს ერთი მიწად მიტანის საკლავი და სულისათვის დაკლეს (არხოტში მიცვალებულის ხარჯები თავზე ე. ი. როცა მოკვდება მაშინვე არ იცოდნენ. ხარჯებს გადაუხდიდნენ მაშინ, როცა შესძლებდნენ მომზადებას). მიცვალებული დაასაფლავეს და საპირისჭსნო ოჯახმა დაკლა (საპირისჭსნოს დაკლავენ დასაფლავების შემდეგ, ხორცი მოიხარშება და ნარევებს დაუდგამენ ტაბლას). კაც-შუაკაცი მაინც თავისას არ იშლიდა. აქ ცუდი მდგომარეობა იყო, რადგან ერთ სოფელში იყო მამკლავიც და მამკვდარიც. მამკლავის გვარი გაიხიზნა. თან ზამთარი იყო და პირუტყვიც იყო უპატრონოდ დარჩენილი ბაგაზე. თან თოვდა და ბანებზე მძიმე თოვლი იდო დასახვეტი. უფლება არავის ჰქონდა ოჩიაურების უნებართვოდ ხელი ვისმე რამისათვის მიეკარა. შუაკაცებმა შესძლეს საკლავის მოყვანით და ხვეწნით ის, რომ გარეთული სახლისკაცების დიაც-ყმაწვილს მისცეს ნება თავის სახლებში დაბრუნებისა, პირუტყვის და სახლ-კარის მოვლისა. მამკლავის და მისი ალალი ბიძაშვილების პირუტყვისათვისაც სხვებს მისცეს ნება, მემრე კიდევ მოჰგვარეს ერთი საკლავი და ბიძაშვილების ხიზანსაც მისცეს სოფელში მოსვლის ნება. ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ მოკლულის ცოლმა თხოვა თავის ქმრის მოგვარეებს, რიგი მიყენეთო (სამტრო-სამოსისხლეო საქმეში ხევსურეთში დედაკაცი ნაკლებ მონაწილეობას ღებულობდა). ახლა შუაკაცებმა საკლავით და ქუდით სთხოვეს და დაითანხმეს რიგის ყენებაზე [ჯერ ხომ მეჭელემ გვარს მისცა ერთი საკლავი და კურეტი, სამის ჩარექის ქვაბი. მემრე სახლის რიგი მოიტანეს და თუ ვინმე დასაჯურუმებელი იყო, ჯურუმიც მოაყოლეს, სახლის რიგი იყო ერთი სამის წლის კურეტი, სამი საკლავი (თუ სხვადასხვა სოფელშია მამკლავ-მამკვდარი – მაშინ ორი საკლავი უნდა, თუ ორივე ერთ სოფელში არის, მაშინ სამი) და სამის

ჩარექის ქვაბი. კურეტი გაუშვეს, საკლავები დაკლეს და ტყავ-ხორცი შუაკაცებმა წაიღეს]. სადედო დარჩა გაზაფხულამდინ, რადგან მოკლული ბუდე-ხევსურეთიდან ზეისტეჩოვლების დისწული იყო და ზამთარში იქ გზა არ არის. ისინი გაზაფხულზე მოვიდნენ გვარად და ჩვეულებრივი რიგი იყენეს (სამის წლის კურეტი და ერთი საკლავი – სამის ჩარექის ქვაბიც. აგრეთვე, სადო და სამამიდაოც ჩვეულებრივ გადაიხადეს). სოფელში ბავშვები და დიაცები ყველა მოუშვეს, მხოლოდ კაცები იმალებოდნენ ამდაში (მათ გვარში ვიღაც მოხუცი მოკვდა და საჭირო იყო მისი დასაფლავება. მაგრამ რადგან საფლავ-სამარე ერთგან ჰქონდათ, ამიტომ საჭირო იყო საფლავ-სამარის სამჭსნელო ერთი საკლავი, უამისოდ არ შეიძლებოდა აქ მათი ვისმე დასაფლავება. ახალ მიცვალებულის პატრონმა გამოუგზავნა დაზარალებულის ოჯახს ერთი საკლავი და იხსნა საფლავ-სამარე, დაასაფლავა თავისი მკვდარი). იმალებოდნენ ერთ სოფელში მთელი გვარი. დადიოდნენ ოჩიაურები შურის საძებრად, მაგრამ ისეთი გაფრთხილებული იყვნენ მათი მასპინძლები, რომ ოჩიაურებმა თავის მოსისხლეთ გვარებისა ერთი კაცი ვერა ნახეს. სახლებშიც კი ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ისინი დღისით გარეთ არ გამოდიოდნენ, ღამით მასპინძელი და ის, ორივე მასპინძლის ტანისამოსში გამოწყობილები, გამოდიოდნენ და გამოცნობა ძნელი გახდა. რამდენჯერმე შენიშნეს ჩასაფრებულები და საკლავი მოუყვანეს, მაგრამ საკლავი არც ერთხელ არ მიიღეს, უკან აბრუნებდენ. „ჩვენ საკლავისად არ მავსულორთ აქ, ჭირს მავზდევთ თავისას" – იტყოდნენ და წამოვიდოდნენ. გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა გაზაფხულამდინ; ერთმა თუ ორმა კაცმა კი მოახერხა შატილში გადასვლა, დანარჩენები კი ტრიალებდნენ ამ წვალებაში. გაზაფხულის პირზე, როცა მთაზე თოვლი გამაგრდა და ზვავისათვის საშიში აღარ იყო, მთელი გვარის მამაკაცები, ნაროზაულები, წავიდნენ კახეთისაკე. მთამდინ მოკეთეებმა გააცილეს (რა თქმა უნდა, არხოტიდან ღამე წავიდნენ ისე ჩუმად, რომ არავის გაუგია), იქიდან ჩამოვიდნენ, არაგვის ხეობა გაიარეს, იქიდან თიანეთში გადავიდნენ და თიანეთიდან კახეთში. კახეთის ტყეებში ხევსურები მოსახლეობდნენ, ზოგი არხოტივნები და ზოგები ბუდე-ხევსურეთიდან და ნაროზაულებიც ზოგი სად, ზოგი სად, შეეხიზნენ. მათ არც პური ჰქონდათ, არც ფული, არც ბინა და არც ჩასაცმელ-დასახური. მუშაობდნენ დღიურად და ირჩენდნენ თავს. ერთ ადგილას ახმეტის ახლო დაიწყეს ტყის გაველება, გაიკეთეს პატარა ქოხები და დაბინავდნენ იქ.

გაზაფხულზე, როცა გზა კარგად გავიდა, გარეთულმა სახლისკაცებმა, შუაკაცების დახმარებით, მოაწყვეს პირსშასამყრელო. პირშასამყრელო მოეწყო იმავე წესით, როგორც აიწერა წინ, მამკლავ-მამკვდროვმაში. არხოტის ჯვარში ადუღეს ლუდი. შუაკაცებმა დანიშნულ დროზე მოიყვანეს ნაროზაულები. მოიტანეს ხუთი ძროხა საძმო (დრამა), ჯურუმები, თუ რა ვის დაედო ჭირის პატრონისაგან. ეს ყველაფერი თვითონ შუაკაცებმა გადაფარეს, რამდენი ძროხის ანგარიშიც იყო. მერე დაკლეს საკლავი და

შეასრულეს ყველა წესი, რაც პირშასამყრელოში სრულდება. ნაროზაულები ძალიან ხათრიანად იქცეოდნენ, მაგრამ ოჩიაურები თვითონვე ანუგეშებდნენ: „რა უყოთ, ეგ საქმე ეგრ ალბათ გვეწერ. ჩვენ ერთუცს მაინც ვერცად წაუოლთ. ჩვენ ვინაც თავის ჭელით დაგვიშავ საქმე, თუ შავხვდით კაი ასა, თუ არ შაგვხვდა იმის ამხანაგიც ბევრი გვყავ, მირგვალს ჭევსურეთ სრუ მამკლავ-მამკვდრობაში მადის ხალხი, თქვენ ჩვენგან ნუღარაად გეშინისთ თუ თქვენი ჭკვით თავს არას დაუშავებთ, ჩვენგან ნუღარ გეფიქრებისთ”.

ასე მოკლულის სახლშიც წაიყვანეს ნაროზაულები, დიდხანს არ დაგვიანებულან და წავიდნენ. მერე ნება მისცეს სახლების, ავეჯის და მამულების გაყიდვისა, რადგან ნაროზაულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ კახეთში გადასახლება და საჭირო იყო აქაური უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვა და იქ ყიდვა. ახიელში რჩებოდა მამკლავის, ერთი მისი ბიძაშვილისა და ერთი ქავთართ მამის კაცის საძმო ოჯახის ხიზანი. მისი ბიძაშვილი მამკლავს დაატანეს. ქავთართ მამის კაცს, სახელად იმედას რაღაცა უწესობა ჩაედინა, ეთამაშა, ემღერა სადაც არ შეიძლებოდა და ამიტომ მას არ ირიგებდნენ. რჯულის მიხედვით კი, სახლიკაცების პირშასამყრელოს და საძმოს გაღების შემდეგ, ერთი კაცი რჩებოდა მამკლავსთან, მაგრამ აქ ორი კაცი დარჩა: ერთი, მამკლავის ბიძაშვილი და მეორე, ქავთართ იმედა. დანარჩენმა ნაროზაულებმა გაყიდეს სახლები, ავეჯი და მამულები, წავიდნენ და კახეთის ტყეებში დაიწყეს ცხოვრება. ზოგიერთებმა გაყიდვა ვერ მოასწრეს და აქვე მოხნეს. ჭირის პატრონს ერთი საკლავი გაუგზავნეს, აქვე ხვნად გასვლის სამჭსნელო. მათ ნება დართეს ხვნა-თესვისა. თანდათანობით მთელი გვარი წავიდა. წასვლის დროს ყველა ოჯახი ზღვნობდა ჯვართ და ისე მიუდიოდა ხიზანი. ერთ საკლავს კლავდნენ არხოტის ჯვარში, მეორეს ჯაჭველში და მესამეს მთიშეშაგში, უზღვნელად არავინ არ მიდიოდა. ჯაჭველთან იყო ჩაბაკაურთ სალოცავი გიორგი, ანუ მინდორაის ჯვარი. ჩაბაკაურნი წასვლის შემდეგაც ზაფხულის დღეობებში მიდიოდნენ და ასრულებდნენ ისევ ისეთ დღეობებს, რაც წინათ იცოდნენ, საჭელოსაც ისევ აკეთებდნენ, საწმიდრობდნენ და სხვა.

მამკლავი დააპატიმრეს და სამი წელიწადი მიუსაჯეს. სამი წელიწადი სადღაცა გადასახლებაში იყო. დარჩა ჯვარში შაჯდომის და პირშასამყრელოს წესები შესასრულებელი; თუმცა რჯული ნებას არ აძლევდა, მაგრამ მამკლავის დაპატიმრების გამო გახანგრძლივდა პირშასამყრელო. შუაკაცებმა მოაგვარეს ამ ორი კაცის საქმე, რომლებიც მამკლავთან იყვნენ დაწირულები და მოამზადეს პირშასამყრელო. ეს ჩატარდა იმავე წესით, როგორც სხვა დანარჩენ სახლისკაცებთან. ესენი ორივენი დასაჯურუმები იყვნენ, დააჯურუმეს და პირშასამყრელოს შემდეგ აქ, თავის სოფელში, ცხოვრების ნებაც მისცეს.

ცხოვრობდნენ თავის ოჯახებში, მაგრამ ძალიან ხათრიანად, სოფელში ხმა-მაღლა ვერ აჩქამდებოდნენ, ვერ იმღერებდნენ, ვერ ითამაშებდნენ. მხოლოდ, რჯულის მიხედვით, ოჩიაურები იცავდნენ მათ, არავის დააჩაგვრინებდნენ; თუ ვინმე რამეს აწყენინებდა და ისინი ამ სოფელში ოჩიაურთ ხათრით ხმას ვერ ამოიღებდნენ, მაშინ ოჩიაურნი მათ შეურაცხმყოფელს სამაგიეროს გადაუხდიდნენ – „ეგენი ჩვენის ხათრით ხმას არ იღებენ და თქვენ ვინ მოგცათ მაგათ ჩაგვრის უფლებაო" – ეტყოდნენ და ნაროზაულთ მოწინააღმდეგეს თვითონ ეშუღლებოდნენ. როცა ოჩიაურნი იმათ გულისათვის შუღლობდნენ, მაშინ კი ამათაც შუღლის ნება ეძლეოდა და ისინიც ჩაერეოდნენ შუღლში. სადაც სმაში მივიდოდნენ, ბოლოსაკე მუხლით დასხდებოდნენ და ოჩიაურთ ერთ თასს ან ყანწს პატივად გაუგზავნიდნენ. მერე ოჩიაურთ გვარის კაცი ააყენებდა მუხლიდან, მოიყვანდა, სკამზე ადგილს მიუჩენდა, დასვამდა და თასს ან ყანწს მისცემდა. მაგრამ ის აქ მაინც დიდხანს არ დაჯდებოდა, ამ თასს დაილოცებდა, დალევდა, ისევ ბოლოსაკე გადმოვიდოდა და მუხლით დაჯდებოდა. ასე მიდიოდა დრო და საქმე თანდათან დამშვიდდა. მათი ხათრიანი საქციელის გამო ოჩიაურებს უფრო მეტი ხათრი რჩებოდა და აღარ იყო მათ შორის შური. ერთიმეორის სახლებშიც თავისუფლად დაიწყეს მისვლა-მოსვლა და სტუმარ-მასპინძლობა. ბოლოს, მკვლელიც ჩამოვიდა საპატიმროდან და შაუჯდა არხოტის ჯვარში (ჯვარში შაჯდომის წესი აწერილია მამკლავ-მამკვდრობაში. მხოლოდ აქ ერთ საკლავში არის განსხვავება. საკლავი, ორი და ერთი კურეტი, ყველა ჯვარში იკვლის, თუ სხვადასხვა სოფელშია მამკლავ-მამკვდარი. აქ, რადგან ერთ სოფელშია – ერთი კურეტი და ერთი საკლავი ჯვარში დაიკვლის ღამე და მეორე საკლავი დილას მოკლულის ოჯახში დაკლეს – ასეთი იყო ხევსურეთის რჯული). მამკლავი ასეთივე წესით მოიპარა ჯვარში და გაიპარა იქიდანაც, ხალხის თანდაყოლით. ჯვარში შაჯდომის მერე თოფი აღებული იყო და მოსაკლავად აღარ ეშინოდა. მას მოყვა პირშასამყრელოც. პირშასამყრელოს გულისთვის შუაკაცებმა დაიწყეს სიარული ჩვეულებრივი წესით, საკლავით. ოჩიაურები ჯერ უარზე იყვნენ, მაგრამ ბოლოს დათანხმდნენ. მოამზადეს ლუდი და მამკლავი მოიყვანეს ჩუმად ჯვარში. ოჩიაურებმა რაც ეკუთვნოდა, ჯურუმი დაადვეს და კაცებმა ისიც მოიტანეს. დაღამდა და ოჩიაურებიც ყველანი მოიყვანეს ჯვარში (აქ უნდა ყოფილიყო „გვერდი სამჯდომლო" ხუთი ძროხა, თუ მამკლავ-მამკვდარი სხვადასხვა სოფლებიდან ყოფილიყო და, თუ ერთი სოფლიდან არის, მაშინ ხუთი წერის მამული იყიდება სასუდარმამკვდრო). სხვა გვარის ხალხი ნაწილობრივ და შუაკაცებიც იყვნენ აქ. ხალხი რომ მოგროვდა, კურეტი და ერთი საკლავი სასაკლაოში წამოაყენეს. მამკლავი შორს მუხლით იჯდა და სხვა ხალხი ქუდ-მოხდილი ფეხზე იდგა. ხუცესმა ორივე მოდავეთ სამწყალობლოდ დაკლა კურეტი და საკლავი, მერე ლუდიც გახსნეს და ჩვეულებრივი წესით შეასრულეს

ყველაფერი. მერე წაიყვანეს მამკლავი მოკლულის სახლში და ერთი საკლავი წაიყვანეს, წაიღეს ლუდიც. მამკლავი იქ ვერ დაგვიანდა, საკლავი მისი წასვლის შემდეგ დაკლეს სულისათვის (აქ დაწვრილებით აღარ იწერება წესების შესრულება, რაც კი ერთნაირად შესრულდა ზემოთ აწერილ მამკლავ-მამკვდროობაში და აქ). ყველა წესი შესრულდა. ერთი მამული ხუთი წერისა დაასახელეს ადგილობრივ სადუცოვანას. ეს მოკლულის ოჯახის საკუთრებად გადავიდა. საბოლოოდ დარჩა წლიური რიგი ერთი საკლავი. მამკლავიც გადასახლდა კახეთში.

მამკლავ-მამკვდროობა სოფელ ჭიმღაში

სოფელი ჭიმღა არხოტის სასოფლო საბჭოში შედის და ეს სოფელი სხვა არხოტის სოფლებიდან დასავლეთ მხარეს უფრო მთა ადგილას არის. აქ ცხოვრობდნენ სამი გვარის ხალხნი, ძალიან მორწმუნე თავისებური სალოცავებისა და კარგი სოფლობის და ნათესაობის მქონე. ცხოვრობდნენ სხვა სოფლებიდან მოშორებით და ერთიმეორეს ძალიან პატივს სცემდნენ. გაბურები, თეორაულები და გიგაურები. გაბურების გვარი მამებად აღარ იყო დაყოფილი, გიგაურებში იყვნენ: ბოლოკაურნი და მამუკაურნი. თეორაულებიც იყოფოდნენ: ციანი, ბერდიკუნანი და იონანი. ამ სამში არავინ იყო ისეთი, რომ ერთიმეორის ნათესავი არ ყოფილიყოს.

ბოლოკაურთ მამაში ცხოვრობდა ერთი ობლად გაზრდილი ახლად დაცოლშვილებული ახალგაზრდა მიხიელი. იმავე სოფელში ციათ მამაში ცხოვრობდნენ ციათ გიორგის შვილნი სამნი ძმანი: მიხიელი, ჯურჭა და ჭირჩლა. მიხიელი იყო უმცროსი ძმა და ჭირჩლა უფროსი. ეს ორი უფროსი ძმა დაცოლშვილდა და მესამეს ახლად მოყვანილი ცოლი ჰყავდა. ეს ბოლოკაურთ მიხიელი და ციათ გიორგის სამი შვილი დედით ნათესავები იყვნენ. მათი დედები ერთიმეორის ბიძაშვილები იყვნენ და ერთიმეორესთან ისე კარგად იყვნენ განწყობილი, როგორც ერთი ოჯახის წევრები. მისვლა-მოსვლა ერთიმეორესთან, ისე რომ უერთმანეთოდ პურსაც არ ჭამდნენ. ახლად მოყვანილი ციათ მიხიელის ცოლი ხევსურული წესით დაახლოვებული იყო ბოლოკაურთ მიხიელთან, როგორც, იქაურის წესით, ნათესავის ცოლი. ეს ამბავი არ მოსწონდა ბოლოკაურთ მიხიელის ცოლს. ერთხელ კიდეც სცემა და გააგდო მის ქმართან მოსული. მერე წავიდა და იმ ქალის ქმარს უთხრა: შენი ცოლი ჩემს ქმარს მოაშორე, თუ მეტი თავი არა გაქვს, მაშინ დაითხოვე და შინ გაგზავნეო. იმან უპასუხა: „რა უნდა, ჩვენ მაკეთეები ორთ, ჭევსურეთის წესი მაკეთეებისა ერთად და-ძმურად წოლა-დგომა, მე მაგას ვერას დაუშლი". კარგიო – უთხრა იმ ქალმა, და იცოდე კარგი

საქმე კი არ მოყვება ამდენ მიყოლ-მოყოლასო. რიგზე ყველაფერი შეიძლება და შენი ცოლი იმას აღარ შორდებაო. ეს კაცი, ცოტა არ იყოს, ბეჩავ კაცად ჩაითვლებოდა ამ მხრივ; ცოლსაც ხელში ყავდა ჩაგდებული და ვერაფერს ეუბნებოდა, იტყოდა თურმე: მებრალების ეგ დიაცი, ახალგაზდა ქალი ას აქ მასული-დ, თუ კი სად სწადის წასვლა-მოსვლა, ან ჩემს მაკეთეებში თუ ვინ მეეწონების, მე ვერას დაუშლი". უფროსი ძმა ჭირჩლა ამას კარგი ყავდა და იმანაც უთხრა: „ცოლს მირგვლივ სიარულის ნებას ნუ აძლევ, ან გაწურთნე, ან შინ წალალე, თუ შენს სიტყვას არ იგონებს". მიხეილმა მაინც არ მიაქცია ყურადღება. მერე ამას ორი შვილიც უკვე ეყოლა და მირგვლივ სიარულს უკლო, როგორც შვილების დედამ. ბოლოს რაღაცაზე იშუღლეს (ჩხუბი მოუვიდა). ამ ქალის ქმარს და მათ ნათესავ მიხიელს. ეს მიხიელი თავხედი კაცი იყო და ცუდი ლაპარაკი იცოდა, ამ ქალის ქმარს შეაყვედრა: „მე შენ ცოლთან ისე ვიყავი, როგორც ქმარი და ეგ შვილებიც ჩემები გყავსო". ეს გაიგონა ამის უფროსმა ძმამ ჭირჩლამ. შევარდა სახლში, გამოიტანა თოფი. მიხიელმა ერთი კი მოასწრო, რას შვრები, თოფი არ დამკრაო. გავარდა თოფი და იქვე მკვდარი დაეცა. შუღლში მოსული იყო სოფლის ხალხი, კაცი და დედაკაცები, ჭირჩლას დაჭერა ვეღარ მოასწრეს და მოკლა კაცი. ციანი შინ შევარდნენ და მეშველებმა დანარჩენი ბოლოკაურები დაიჭირეს. ციათ და მთლიანად თეორაულთ მამაკაცები საჩქაროდ გავიდნენ სოფლიდან და გაიხიზნენ ახიელში (ამღაში ვერ წავიდნენ, რადგან მოკლული მათი დისწული იყო). ახიელში იმიტომ გაიხიზნენ, რომ ზამთარი იყო, დიდი თოვლი და სხვაგან წასვლა არსად შეიძლებოდა, მაგრამ აქაც კარგი საცხოვრისი ვერ ჰქონდა. ერთმა კახეთში გადასულმა თეორაულმა გაგამ მოკლა იქვე კახეთში გადასული ცისკარაული ბაბო. ბაბოს აქ ყავდნენ ბიძაშვილები, მეტი გზა არ იყო, შეიხიზნენ სხვა ნათესავებთან და ცისკარაულებს კი ემალებოდნენ. მკვლელი გაგა თეორაული კი იყო, მაგრამ ციათი ახლობელი არ იყო. ციათ ცისკარაულებს გაუგზავნეს საკლავი და თხოვეს ნება მიეცა გაზაფხულამდინ ამ სოფელში დამალვისა, ცისკარაულები შევიდნენ მდგომარეობაში და შუაკაცებს უთხრეს: „აბა რა ვქნათ, ჯვართ ხათრითაცა-დ თქვენის ხათრითაც დავსთმობთ, თორემ არ გვეჭდინებიან კი, მამკლავნი. მაგათ სახლისკაცისგან დიდ ხან არ ას, რო კაცი გვყავ მაკლული, სისხლნი ფუიან ჩვენს შუაჩი, მაგრამ იყვნან გაზაფხულამდინ. გზაში ნუ შეგვეჭეჩებიანა-დ, უკან ქვე არას გამაუდგებით, არც მავზძევთა-დ, იცოდან გზაჩი შაყრილსად ვერ გავსცილდებით (ვერ გავსცილდებით ნიშნავდა იმას, რომ თუ გზაში შეხვედროდნენ, ჭრიდნენ და ბაბოს შეწირავდნენ). ასე იცხოვრეს წვალებით გაზაფხულამდინ. გარეთულ სახლისკაცები მალე შეიყარეს პირს და საძმოც აიღეს მათგან ხუთი ძროხა. გარეთულ სახლისკაცებს ნება მისცეს ყველა საქმიანობისათვის თავის ოჯახში, მხოლოდ ფრთხილად იყვნენ, გზაში არ ეყრებოდნენ.

აპრილში რომ შემოიხიზნენ, აქედან შუაკაცები დაგზავნეს რიგის საყენებლად. წააყვანიეს მიწადმიტანის საკლავი და ერთი ასამტეხლო, რიგის საყენებლად (ასამტეხლო ჰქვია იმას, რომ თუ შუაკაცებს საკლავი არ ექნება ხელში, ჭირის პატრონს ვერ დაუწყებენ საუბარს, რიგი იყენეო, ვერ აუტეხენ ამ სასაუბროს. საკლავი რომ ხელში ყავს, ეს პატივდება არის, საკლავით ხვეწნა საუბრის დაწყებისათვის). შუაკაცებმა მიაღწიეს იმას, რომ რიგი აყენებინეს ბოლოკაურებს. რიგის ყენება მოხდა ზევით აწერილ მამკლავ-მამკვდრობის წესის მიხედვით. როგორც იქ იყო ნათქვამი და შესრულებული, აქაც ისე შესრულდა, მხოლოდ ჯურუმები ბევრი გადაახდევინეს, სხვასთან შედარებით. გაზაფხულზე ადგნენ ახლობლები და გადასახლდნენ კახეთში. ერთი ძმა ყაზბეგის რაიონში წავიდა სოფელ ართხმოში, მეორე ძმაც იქ წავიდა, მაგრამ ამანათობა გაუძნელდა და უკან დაბრუნდა. ერთმა თეორაულთაგანმა ვედარ მოუთმინა მეტისმეტი შევიწროება. აღელვებულმა, თან მთვრალიც ალბათ იყო, რევოლვერი ესროლა მოკლულის ბიძაშვილს, ვერ მოხვდა, მაგრამ ამის შემდეგ აღარც ამას მიეცა აქ ცხოვრების საშუალება და სულ გადაიკარგა. ციათ მამისა კი არ იყო, მაგრამ არც ძალიან შორეული იყო მათი, ხთისო ბაბუასძე. მოსაკლავად ჭირჩლას ეძებდნენ, მაგრამ ის სადღაც კახეთში დასახლდა და მერე იქ აღარავინ წასულა. ჯვარში შეუჯდა ჭიმღის, ანუ ჭიშველის მთავარანგელოზში, ყველა არსებული რჯულის მიხედვით. საბოლოოდ პირშასამყრელოც ჰქონდა და კიდევ ჯურუმები გადაახდევინეს. სასუდარმამკვდროც ხუთი წერის მამული დადვეს და ყველა წესი შეასრულეს რჯულის მიხედვით. აქ განსაკუთრებული აღარაფერი მომხდარა და ამიტომ დაწვრილებით აღარ იწერება, რადგან ხევსურეთის რჯულის მიხედვით ზევით ითქვა ყველაფერი.

ცისკარაულების და თეთრაულების მამკლავ-მამკვდროება

ჩვენ ზემოაღწერილობაში ვთქვით: ცისკარაულები ახიელის მცხოვრებნია და თეორაულები ჭიმღის. თეორაულთ გვარის კაცმა გაგამ ითხოვა ცისკარაულთ გვარის ქალი მაია. ითხოვეს ხევსურულის წესით და პატარა ქორწილიც მოაწყვეს (ორივე ოჯახი ღარიბები იყვნენ და დიდ ქორწილს ვერ მოაწყობდნენ). ასე წაიყვანა გაგამ მაია და ცხოვრობდა იქ. მერე გაგა ახიელში მოვიდა – ჩემი ცოლი მაია დაიკარგა და აქ ხომ არ მოვიდაო. მაიამ დაიწყო გაგას დაწუნება და იმალებოდა. ეძებეს და ვერსად ვერ ნახეს. ბოლოს გაგამ ისე მოაჩვენა თავი, ვითომც ჭიმღაში წავიდა, ღამე დაბრუნდა და ახიელში დაიმალა. ორ-სამ დღეს იქ იმალებოდა და ჩუმად უთვალთვალებდა მაიას ოჯახს. მაია რომ დარწმუნდა გაგა აქ აღარ არისო, გამოვიდა გარეთ. გაგაც გამოვიდა, დაიჭირა ქალი და ძალით წაიყვანა (ხევსურეთში ჩვეულება არის: თუ ცოლმა დაწუნება დაიწყო და ქმარმა ის ძალით წაიყვანა, ასეთ

დროს ადვილად არავინ გაუწევდა პატრონობას. ასე იტყოდნენ: თავისი ცოლი მიყავს და მაგის ნება არის, როგორც უნდა ისე მოიქცევაო. პატრონობა რომ ვისმე გაეწია და ქალს დახმარებოდა, ამას მოყვებოდა ჭრა-ჭრილობა და სიკვდილიც. ცოცხალი იმ ქალს თავს არ დაანებებდა, მაინც წაიყვანდა, ან მოკვდებოდა). მაია წაიყვანა, მაგრამ გაგას მაინც იწუნებდა. რამდენჯერმე გაიპარა, მაგრამ გაგამ მაინც ისევ წაიყვანა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ გაგამ გადაწყვიტა თავი დაანებოს ამ ქალს, მხოლოდ დაასახიჩროს, რომ კაი ქმარმა აღარ წაიყვანოს (ხევსურებმა ასეთ შემთხვევაში იცოდნენ, ან ცხვირზე დასჭრიდნენ, ან პირისახეზე, რომ სახე დამახინჯებოდა, ან ბერა თითს მოსჭრიდნენ, რომ სთვა, ჩეჩა და სხვა სამუშაოს შესრულება აღარ შესძლებოდა. და, როცა ჯავრით ასე დაამახინჯებდნენ, მემრე მისცემდნენ უფლებას სადაც უნდა გათხოვილიყო). ქალი არ უსვენებდა: თავი დამანებე, მე შენთან არ ვიცხოვრებ, მძულხარო. ბოლოს გაგამ უთხრა: წავიდეთ, გამოგყვები, მამისახლს ჩაგაბარებ და თავს გაგანებებო. მაიამ უთხრა: მე შენი გამოყოლა რად მინდა, გამიშვი და თვითონ წავალო. გაგა მაინც გაჰყვა. ქალმა იცოდა, რომ გაგა ძალიან ამაყი და თავმოყვარე კაცი იყო, ცნობილი მაშუღლარი და შეუპოვარი. მაია გზაში თანდათან შიშს გრძნობდა. ბოლოს ხვეწნა დაუწყო: დავბრუნდეთ უკან და მე ჩემს სიცოცხლეში შენ საწუნებლად ხმას აღარ ამოვიღებო. მაგრამ გაგა აღარ იბრუნებდა გულს. ჩამოვიდნენ ნებიერისკარ, ჭიმღის და ახიელის საშუალო ადგილზე. ქალი ებრძოდა, მაგრამ გაგამ ხელები დაუჭირა და პირისახეზე დანა გამოუსვა. დასჭრა ლოყაზე და ცხვირზე დიდი ჭრილობა მიაყენა და უთხრა: „ეხლა სადაც გინდა იქ წადი, შენ ჩემზე აღარც მთელი ხარ, აღარც მკვდარიო". გაგა დაბრუნდა და წავიდა შინ. ქალი სისხლიანი პირისახით მამისახლში მოვიდა. ეხლა კი გამწარდნენ ცისკარაულები და გაემზადნენ ჭიმღაში წასასვლელად. გაგაისად სამაგიეროს გადასახდელად. მაგრამ ხალხმა ისინი არ გაუშვა. ქალს ჭრილობა მოურჩინეს, მაგრამ სახე მართლაც დაუმახინჯდა – ერთი მხარე სახისა და ცხვირი სულ გაჭრილი და ცუდად განკურნვილი. ამაზე დიდხანს იმტერეს. ცისკარაულები თხოვდნენ პირისახის დრამას ქალის დაჭრისას, მაგრამ გაგა არას აძლევდა, ის ხუთ ძროხას სამწუნობროს სთხოვდა, ან რას მისცემდა, გაგა ძალიან ღარიბი იყო და არაფერი არ ჰქონდა, გარდა მამულებისა, მამულებიც სხვადასხვა შუღლებში მისგან მიყენებულ ჭრილობებზე თავისავე სოფლელებზე ჰქონდა გაცემული და ბევრი აღარაფერი გააჩნდა. მერე შუაკაცებმა ნაწილობრივ დააშოშმინეს და ვითომ შეარიგეს. ერთი საკლავი და სასმელი გაგას დააკისრეს ქალის დაჭრაზე. დრამა სამწუნობროში გაუბარეს, მაგრამ ცისკარაულები მაინც დროს ეძებდნენ, რომ გაგა დაეჭრათ. ერთხელ ჭიმღაში მკვდრის ხარჯები იყო და ცისკარაულებიც იქ მივიდნენ. აქ დრო იხელთა ერთმა ცისკარაულთაგანმა. გაგა დაჭრა ხანჯლით მსუბუქად. გაგამ

უფრო მძიმედ დაჭრა მათი გვარის კაცი ბაბო. ბაბო მწუხარე ავადმყოფი შეიქმნა. მკითხავების თქმით ორივე მხარემ იზღვნა: არხოტის ჯვარში, მთიშეშაგში და ჭიშველის ჯვარში. ავადმყოფი ნახევარ წელს იწვა და მერე გამორჩა. შუაკაცებმა ისევ შეარიგეს. გაგას დრამა დააკისრეს, მამული თავის სოფლელებს მიყიდა და გადაიხადა. მაგრამ შური მაინც იყო ერთიმეორეში. სასმელში ერთიმეორეს ერიდებოდნენ, რომ ცუდი საქმე არ ჩამოვარდნოდა.

ქალი ბუდე ხევსურეთში ატაბეში გაჰყვა თორელს. პატარა ქორწილიც გადაუხადეს, წაიყვანეს და ხუთი-ექვსი თვე იქ იყო, მერე იქიდანაც გამოიქცა – დაიწუნა ის ქმარი და მოვიდა ისევ მამისახლში. ქმარი მოუვიდა საწევრად. რად წამოხვედიო – კითხა. შენთან ცხოვრება არ მინდოდაო – უპასუხა ქალმა. ეს ხევსური ბევრს არ გამოეკიდა, თავისი დანახარჯი გამოართვა და დაანება თავი. უთხრა: „სადაც გინდა იქ გათხოვდი, ნუღარც მთელი ხარ ჩემობაზე, ნუღარც მკვდარი" და წავიდა შინ. გაგამ სხვა ცოლი ვეღარ მოიყვანა და გაიტაცა ისევ მაია. იწყინეს ქალის მოგვარეებმა, მაგრამ ქალი აღარ წამოვიდა და დარჩა გაგასთან. შვილებიც შეეძინა, მაგრამ ქალის მოგვარეებს არც ქალი უნდოდათ და არც სიძე. ჯერ იმიტომ, რომ ქალი დაჭრა, დაუმახინჯა სახე. მერე ქალი ჯერ სხვაგან გათხოვდა და მერე ისევ გაგას დაუბრუნდა, რაც დიდი სირცხვილი იყო ხევსურეთის წესით. მესამე ის, რომ კიდევ კაცი ჭრა იმათ გვარში, ისაც ისეთი, რომელიც ამათ გვარში პირველი კაცი იყო და უფროს კაცად ითვლებოდა. მერე გაგა თავის ცოლ-შვილით კახეთის ტყეში გადასახლდა. ცისკარაული ბაბოც თავისი ძმისწულებით იმავე რაიონში გადასახლდა (ბაბოს შვილი არ ჰყავდა, ძმისწულები ჰყავდათ ამ ცოლ-ქმარს შვილების მაგიერ თან შემოყრილი, ობლები). სადღაც სმაში კიდევ შეხვდნენ ერთიმეორეს, მოუხდა შუღლი, ისევ გაგამ დაჰკრა თავში ხანჯარი და ბაბო დაჭრა. ჭრილობა ძალიან მძიმე არ იყო, მაგრამ ბაბო მალე ჩავარდა ლოგინად. ალბათ სისხლი მოეწამლა. დაუჩირქდა ჭრილობაც. მკითხავებმა უთხრეს, არხოტში სამეშვლოები დაკალით და ჯვართ შეუძლია მოარჩენონო. არხოტის ჯვარის ნიში აქ ბაბოს სოფელში იყო და აქაც დაკლეს თვალმიმავალი ზღვენი (კარგი საკლავი). არხოტის ჯვარის კოშკიდან ერთი ქვა წაიღეს, რამდენიმე თასი და იქ გაიჩინეს სალოცავი იმავე ფორმით, როგორც არხოტში იყო. ჯვარმა ხუცესი გააქადაგა და მიიყვანა ცისკარეულების გვარიდან, დასტურებიც ისე დააყენეს და დღეობებიც იმავე სახით დააწყეს, როგორც არხოტის ჯვარში. აქ რომ საკლავი დაკლეს, ბაბოს ერთ-ერთი ძმისწული არხოტშიც წავიდა და სამეშვლოები დაკლა არხოტის ჯვარში, მთიშეშაგში და ჯაჭველში. ჭრილობას სოფლური ექიმი უხვევდა, მაგრამ ავადმყოფი თანდათან უარესად ხდებოდა. კვერნაძეულში სამეშვლოდ კურეტიც დაკლეს, ხარიც შეუსახელეს, მაგრამ ავადმყოფს უკვე ენა აღარ ჰქონდა და ბოლოს გარდაიცვალა. გაგას შვილები პატარები იყვნენ, მათ არავინ მოკლავდა, მაგრამ თვითონ კი ადრევე

გაიხიზნა თავის სახლიდან. ბაბო დაასაფლავეს იქვე კვერნაძეულში. მიწადმიტანის დღეს ერთი საკლავიც დაკლეს მკვლელისაგან გამოგზავნილი. გვარმაც რიგი იყენა, ერთი კურეტი და ერთი საკლავი. დედიძმათაც თავისი რიგი იყენეს (დედიძმანი ჭიმღაში გიგაურები იყვნეს). სადო და სამამიდაო რიგიც იყენეს, მაგრამ სახლის რიგი ბაბოს ძმისწულებმა არ იყენეს. შუაკაცებმა ბევრი იწვალეს, მაგრამ მათ ვერაფერი გააგონეს. „ჩვენ მაგან უფროსი ბიძა მოგვიკლა და რიგი არ გვინდა, ჩვენ მაგას მოვკლავთ და თავი თავში გაიბრეგაო". დანარჩენ თეორაულებთანაც პირშასამყრელო დააგვიანეს; რადგან მოკლულის ძმისწულები კახეთში ცხოვრობდნენ და მკვლელის მოგვარეები ჭიმღაში, ამიტომ მათ არ აუკრძალეს თავის სოფელში და სახლკარში ცხოვრება, რა თქმა უნდა, საკლავის მიყვანის და საკლავით თხოვნის შემდეგ დაროეს ნება გარეთულებს თავისუფლად ეცხოვრა თავის სოფელში (გაგას ახლობელი არავინ ყავდა). მოკლულის ძმისწულებმა დაიწყეს მიყოლა გაგაის მოსაკლავად. ბევრჯერ ჩაუსაფრდნენ, ერთხელ კიდეც ესროლეს, მაგრამ მან ხერხი იხმარა: ტყვიამ რომ გაუარა, ის წაიქცა და გაგორდა, ვითომც მოკვდა, მოსისხლე მტრებს ეგონა მოკვდაო და აღარ ესროლეს. როცა ისინი წამოვიდნენ, გაგა ადგა და ტყეში მიიმალა. გაგამ ბევრჯერ მიუგზავნა შუაკაცები საკლავით, რიგი იყენეთო და ძლივს მოხერხდა რიგის დაყენება. სახლმაც ჩვეულებრივი რიგი იყენა. სახლისკაცებსაც მისცეს პირშასამყრელოს ნება. პირშასამყრელო სახლისკაცებმა არხოტის ჯვარში, არხოტში დაამზადეს იმ დროისათვის, როცა ბაბოს ძმისწულები და ბიძაშვილები არხოტში მოვიდნენ კახეთიდან. რა თქმა უნდა, მარტო პირშასამყრელოსათვის კახეთიდან აქ (არხოტში) ვერ წამოვიდოდნენ, რადგან შორი გზა არის, მაგრამ დრო დანიშნეს ათენგენას. მაშინ მათ არხოტში წამოსვლა საზღვნელადაც უნდოდათ და სხვა საქმეებიც ჰქონდათ. იმ დროს არხოტის მთაზე გზაც არის გადასული და ცხენით სიარული შეიძლება (ათენგენა ძველის სტილით ივლისის ცამეტ რიცხვში არის და იმ დროისათვის მთებზე ცხენებით სასიარულო გზები უკვე გასულია). თეორაულებმა არხოტის ჯვარში ლუდი ადუღეს. დასაჯურუმები ვინ იყო, შუაკაცებს წინასწარ ჰქონდათ გაგებული და მოიტანეს თავის დროზე. საკლავიც მოიყვანეს და თეორაულები ისეთ ადგილას დასვეს, სადაც ცისკარაულები არაფრად გაივლიდნენ და ვერ შეხვდებოდნენ მათ, ვიდრე პირშასამყრელოს წესები არ შესრულდებოდა.

მოვიდნენ ცისკარაულები, ქუდები მოიხადეს, ჯვარს მადლი მოსთხოვეს და იქვე მუდმივად დაწყობილ ქვის სკამებზე დასხდნენ. წავიდნენ შუაკაცები და საკლავი მოიყვანეს. დრამა დააწყვეს, ჯურუმები ცალკე, რაც ნათქვამი ჰქონდა, და საძმო ხუთი ძროხა, ცალკე. უთხრეს ცისკარაულებს: ეს ჯურუმია, ამდენი ამის გამოღებული, ამდენი ამისი, ვისზე რამდენიც იყო დავალებული (ჯურუმის დადება ჰქვიან), ეს საძმო არის ხუთი ძროხაო, დრამა თითოობით აიღეს და გადადეს

იქით. სპილენძის ქვაბები. ოუნგები, ოულუხები და სხვა. ამასთან უთხრეს: ჩვენ ეს ავწონეთ და გადავფასეთ, თუ იტყვით კიდევ გადავწონათო. ცისკარაულებმა უთხრეს: „ყველა წესი ას, თორემ როგორ ასწონეთა-დ, როგორ გადაფასეთ ეგ თქვენ იცით. ესი ჩვენის სირცხვილის დრამაი ას, ჩვენ ამას ეხლა წონას არ დაუწყებთ. წყალობა მაგცასთ ა ემ ჩვენ სალოცავმ, თქვენ სწვალობთ ჩვენის გულისად, ფეჭზე ადგომაიც არ გეკადრებისთა-დ თქვენს აწონილ დრამას ეხლა ჩვენ წონას ხო არ დაუწყებთ". საკლავი სასაკლაოში წამოაყენა დასტურმა და შუაკაცებმა თეთრაულებიც მოიყვანეს. მანამდინ ხუცესი ხუცობას დაიწყებდა, ყველანი ცალ მუხლზე დასხდნენ და ხუცობის დროს ფეხზე ადგნენ. ხუცესმა ორივე მხარის სამწყალობნოდ დაკლა საკლავი და იქ მყოფმა ხალხმაც ყველანი დაამწყალობნა. მერე თეთრაულები მოშორებით დასხდნენ ისევ მუხლით. ხუცესი და დასტურები წავიდნენ და ლუდიანი კოდი გახსნეს ჩვეულებრივი წესით. საწდე ლუდიანი მოიტანეს და ცისკარაულების წინ დადგეს. ახალგაზრდა სოფლელებმა (ცისკარაულები და თეთრაულები არ ზედამდეგობდნენ) ლუდი ყველას დაალევინეს. მხოლოდ თეთრაულებმა ჯერჯერობით არ დალიეს. მეორე საწდე კიდევ გაავსეს ლუდით და მიუტანეს ცისკარაულებს პატივად (პატივის დალოცვის წესი ზემოთ მამკლავ-მამკვდრობის წესში აიწერა). პატივი ხუცესმა დალოცა თეთრაულების მკვდართად და აქედანაც თითო თასი ყველას დაალევინეს. მემრე ადგა ბაბოს ერთ-ერთი ძმისწული და ჩვეულებრივი წესით თითოობით მოიყვანა ისინი, დასვა სკამზე და მისცა ლუდიანი თასები და შეასრულეს ყველა ჩვეულებრივი წესი, რადგან მოკლულის ოჯახის სახლი აქ არ იყო. ჩვეულების შესრულებისათვის წამოიყვანეს ისინი და ბაბოს ბიძაშვილის სახლში შეიყვანეს იქ შესვლის წესით. თეთრაულები აქ არ დაგვიანებულან, შუაკაცებთან ერთად წავიდნენ ისევ ჯვარჩი. იქაც დიდხანს ვერ დაიგვიანეს, ჯვარს მადლი მოსთხოვეს და წავიდნენ (ჯვარის მადლის მოთხოვა ყოველ მისვლაზე და წასვლაზე იცოდნენ ჯვარში. ქუდს მოიხდიდნენ, მუხლს მოიყრიდნენ, პირჯვარს იწერდნენ, ზოგი მიწას აკოცებდა და ეხვეწებოდნენ, გვაპატიე თუ რამე გაწყინეთ ჩვენი მოსვლით, ან ცოდნით ან უცოდინრად. გვიშველე და მეწაღმართე ანგელოზი გამოგვაყოლეთ). დარჩნენ აქ შუაკაცები და თეთრაულები და სვეს ლუდი ჩვეულებრივი წესით.

გაგა დარჩა მარტო და მას არავინ დაატანეს, რადგან ახლობელი არავინ ჰყავდა და თეთრაულების გვარში არც ვინმე დამნაშავე რამისა იყო, რომ ის დამრჩალიყო. დაუწყეს მას ისევ ძებნა მოსაკლავად. ერთხელ ჩაუსაფრდნენ და სახლიდან გარეთ გამოსულს ესროლეს. შორს იყვნენ და ტყვიები ასცდა. მეორეჯერ სხვა სოფლიდან მომავალს ჩაუსაფრდნენ, ძალიან ახლოს ესროლეს. ტყვიამ ტანისამოსში გაუარა და ხორცზე არ მოხვდა. კიდევ გადარჩა და, რაკი მესამედაც გადარჩა, ბაბოს ძმისწულმა ბაისერმა დაუძახა, დედა გაულანძღა: „თუ ეეხლადაც გადაგვირჩი-დ

არ მახკვდ ჩვენგან, ნუღარ გეშინიან აწიდგე, ჩვენ აღარ მაგძევთ მასაკლავად, თუ ძალით არ მაგვეკვლი". დედის გალანძღვაზე ხალხმა კიდეც გაკიცხა ბაისერი, რადგან მესისხლეობაში ლანძღვა-გინება არ იციან და ძალიან სირცხვილია ასეთი.

ამის შემდეგ დაანებეს თავი გაგაისად მიყოლას. ჩვენს ჭელს თუ ეწერავ, მავხკლევდითავ სამჯერ ნასრევი ტყვიითავ. მკითხავმაც უთხრა: ტყუილად სწვალობთავ, თქვენს ჭელს არ სწერავავ. ამის შემდეგ გაგამ ჯერ ვერ გაბედა და მერე კვერნაძეულში შეუჯდა ჯვარში. მიიყვანეს ღამი-ღამ ერთი კურეტი და ორი საკლავი ჯვარში დაკლეს, მესამე საკლავი მეორე დილას ბაბოს სახლში მიიყვანეს. ბაბოს ძმისწულებმა მაშინღა გაიგეს, რომ გაგა ჯვარში შეუჯდა. ბაბოს ძმისწულებმა მაინც აღარაფერი თქვეს, რადგან უკანასკნელი სროლის დროს ნათქვამი ჰქონდათ – თოფი აღებულია, ჩვენ მაგას აღარ მოვკლავთო. ეს საკლავი იქ დაკლეს, კურეტი და ერთი საკლავი შუაკაცებმა გაატყავეს და გაინაწილეს. ეს საკლავიც კანონით შუაკაცებს უნდა წაეღო, მაგრამ შუაკაცების თხოვნით ის საკლავი იქ გაატყავეს, ხორცი მოხარშეს და პური ჭამეს. ტყავი კი შუაკაცებმა წაიღეს.

ჯვარში შაჯდომის შემდეგ გაგას იმდენი მალვა აღარ დასჭირდა, თავის სახლშიაც მოდიოდა, მხოლოდ გზაში ფრთხილობდა, რომ ბაბოს ახლობელს არავის შეხვედროდა. თუ ვისმე გარეთულებს შეხვდებოდა, ქუდს მოიხდიდა, იქ დააგდებდა და თვითონ გზას მოშორდებოდა, შორს წავიდოდა და იქ რამეს მოეფარებოდა. გამვლელი ცისკარაული გზაში ნადებ ქუდს ზედ არ გადახდებოდა, გზის ზემოთ დადებდა და გაივლიდა. გაიარა ასე კიდევ ორმა წელმა და შუაკაცები შეუდგნენ გაგას პირშასამყრელოზე საუბარს და მოაგვარეს კიდეც ეს საკითხი. რადგან გაგაც კახეთში ცხოვრობდა და ცისკარაულებიც, კვერნაძეულში არხოტის ჯვარში ადუღეს ლუდი და დანიშნულ საღამოს შუაკაცებმა მოიყვანეს გაგა. მოიყვანეს კურეტი და ორი საკლავი. ცისკარაულებიც მოვიდნენ. ზემოთ აწერილ პირშასამყრელოების მსგავსად შეასრულეს ყველა წესები. ერთი საკლავი და კურეტი აქ დაკლეს, ბაბოს სახლშიაც წაიყვანეს გაგა, ლუდი წაიღეს და ერთი საკლავიც წაიყვანეს. ჯვარში საკლავის ხორცი ადუღეს და მამკლავ-მამკვდარნი ერთად დასვეს ტაბლაზე და პური ერთად აჭმიეს. მხოლოდ, როცა ცისკარეულებს თასები მისცეს, გაგა იქიდან ადგა, სულ ბოლოში წავიდა და მუხლით დაჯდა. როცა ამათ პური ჭამეს, მერე ცისკარაულებმა ზედამდეგები დასვეს და აჭმიეს პური. კურეტი შუაკაცებმა წაიღეს, ამის შემდეგ დარჩა რიგი, წელიწადში ერთი საკლავი.

უძველესი დროის მამკლავ-მამკვდროობა

ეს ამბავი 1937 წელშივე მიამბო და ჩამაწერინა მინდია ლიქოკელმა, 75 წლისამ, მამად ბასხაჯაურთ მამის კაცმა, კარატის ჯვარის მორიგემ და მკითხავმა.

მინდია ამბობს: „ლიქოკ სამ ციხე მდგარ; ერთი ბასხაჯაურთა, ჭალაის სოფელ, მეორე იმის პირდაპირ, ბორტველთ ციხე მდგარ, მესამე ციხე კვაოელთა ყოფილ. ბასხაჯაურთ ციხეს ბასხაჯაური პატრონობდა-დ, ამის ახლო-მახლო მამულებსაც. ბორტველთ ციხე მამულებს – ბორტველი-დ კვათიონთას – კვათიონი. ბასხაჯაური-დ ბორტველი ერთუცის მემიჯნენ იყვნესად მამულებზე მაზდიოდ შუღლი. ბასხაჯაურნი უკაცურად იყვნეს. იმ დროსაც ერთ კაც ყოფილა-დ ერთ და ხყონივ. დას კი ჯავარა ხქვივნებივა-დ ძმის სახელ არ ვიცი. ამათ მამულებზე მუდამ დავა ხქონივა-დ უკაცურობით უჩაგრავ ბორტვიონთ ბასხაჯაურთაი. ბორტვიონნი ბევრებ ყოფილანა-დ ბასხაჯაურს კაც მიულალავ: „ნუ მატანთავ ძალსავ, თორე სისხლივ ყელჩი მავიდავ. ერთ დღე გაჩენისაიავ, მეორე სიკვდილისაივ. თქვენაც მაგკლავთაო-დ თავსაც მავხკლავავ. მისულ კაცი სასაცილოდ აიგდეს, არცრუ იყურეს იმისი საუბარი. გამწარებული ბასხაჯაური შაჯდ ციხეში, ესრივ ისარი-დ მაკლ ბორტველთა ერთ-ერთ ძმაი. თაოდ ციხეში დაჯდ. ამის შემდეგ ბორტველთ ბევრ იწვალეს ბასხაჯაურის მასაკლავად, მაგრამ ვერ ჩაიგდეს ჭელჩი. მაშინ შაუთვალეს, ან კაცის თავ დაიდევიო-დ ან ხუთ წელს საბნელოს შაჯედიო-დ იმით მაიჭადევ თავივ. ბასხაჯაურმ შაუთვალ, დავჯდებივ საბნელოსავ (მინდიამ მიამბო და სხვა მცოდნე ხევსურებმაც დაადასტურეს: სულ ძველ დროს წესი ყოფილა საბნელოს შაჯდომა მამკლავისა და იმით თავის მაჭდა, სისხლის მოშორება; საბნელოს უნდა მჯდარიყო, ან სამ წელს ან ხუთ წელს, როგორც ციხის პატრონი დაავალებდა. ამ საბნელოს ჯდომის ვადა რომ შეუსრულდებოდა, კაცის თავ-სისხლი მოშორებული ექნებოდა და იქნებოდნენ, ისე როგორც ჩვეულებრივ – არამოსისხლე ხალხი. საბნელოს ჯდომა იყო: დღე და ღამე ბნელში უნდა მჯდარიყო, თმა-წვერ გაუპარსავი, გარეთ გამოსვლის ნება ღამით ჰქონდა ერთხელ; სხვათა შორის, წლის შესრულებამდინ მამკლავი ახლაც თმა-წვერმოშვებული დადის და ზოგი უფრო მეტ ხანსაც). ასე ბასხაჯაური საბნელოს შაჯდა. გაიარა კარგა ხანმა; თავის დას საბნელოს ნაჯდომი ძმა ძალიან ებრალებოდა. ბოლოს დამ გადაწყვიტა: მოეკვლევიოს ბორტვიონთა-დ ძმას მახჭადას, რო საბნელოს გამავიდას. ბასხაჯაურ რო საბნელოთ იჯდ, იმის ჯალაფთ ნებაი ხქონდ ჯარჩი სიარულისაი. ხოლოთ ბორტვიონთან არ მივიდოდეს. ბოლოს ბასხაჯაურთსთან დაი მივიდა-დ მშვილდისარნი მასთხოვნ, ამა ნაჭნავებჩიავ ტრედები დადიოსაო-დ დავხჭოცავ ისრითავ. ძმამ მშვილ-ისარნ მისცნ. შაიპარა-დ ციხის ქვეთვალჩი ძმის ტალავარ ჩაიცვ, ქუდიც დაიხურა-დ წავიდ, ბორტველთ სახლის პირდაპირ ტრედებს დაუწყ პარებაი. ამ დროს კარჩი გამავიდ ბორტველთ

მამაი, გამახენა, ნახ რო იმის შვილის მამკლავი ტრედებს ეპარების, საბნელოთაც გამასულ. შავიდ ბორტველთ მამაი-დ შვილებს უთხრ: „დამეჭოცენითავ, თქვენის ძმის მამკლავივ თქვენ საბნელოს გგონავითა-დ, ის გამასულაო-დ ტრედებს ეპარებისავ დასაჭოცადავ. გამახენეს შვილებმა-დ ნახეს მართლა იმის ძმის მამკლავი. ესრიეს ისარი-დ დახკრეს. რო დახკრეს, გამაგორდა-დ ქალის თმან გადმაიშალნეს. იქავ მამამ უთხრა:ᾶ „მაგიკვეითავ, ქალიც მაგაკვლიეთავ ეგ ჯავარაიავ, ძმის ტალავარ ჩაუცომაო-დ ძმის ქუდ დაუხურავავ. შასცხვენდ ძმებსა-დ შასწუხდეს ქალის მაკვლაზე. შავიდესა-დ შასხდეს საბნელოს. აღარ გამადიოდეს კარჩი. ბასხაჯაური გამავიდ, დაიც დაღმარხა-დ თაოდაც კარჩი დაიწყ სიარული. აუტყდ კაც-შუაკაცი-დ სთხოვდეს ბოლოს გასვლას, რო ერთუცისად აღარა დაეცხ (აღარაფერი ცუდი ჩაედინა). მაგრემ კაც-შუაკაცს იმათ დარიგება ძალიან გაუჭირდ; რაკი ჯერ ესეთა საქმე არ იყვ მამჭდარი ჭევსურეთა-დ ამის რჯულ არ იყვ დადებულ, რო კაცის მაგივრად ქალ მაეკლას მესისხლეთად. ესენ როგორ უნდა გაერჩივნეს, აღარვინ იცოდ. ჭევსურეთის რჯულჩი ჯერ ესეთ ამბავ არ იყვ შასული. ბასხაჯაურს კვათიონთ ქალ ხყონივ ცოლად. კვათიონნი ჯერ კაის ჩამამავლობის კაცნ იყვნესა-დ ბასხაჯაურის ცოლის ძმანი ძალიანაოდ კან იყვნეს. როგორ მავიქცავ? ბასხაჯაურმ ცოლის ძმათ ხკითხ. ეგ ქალ რომ მაკლესავ, მე ეგ კაცის თავზე მეტი მგონავავ. ცოლის ძმათ უთხრეს: ეგ შენის დის თავივ მაგათ ძმის თავში გაღბარეო-დ შაღრიგდივ. ერთ კაცი ხარავ. შენ რო მახკლავ, ეგენ კიდევ დარჩებიანაო-დ შენ რო მაგკლანავ, ქოოდ გასთავდებივ, კაცი პატრონ აღარ დაგჩებისავ. ამ დროს ერთ ჭევსურ იყვ ცოდნით სახელგანოქმული გელდიაური. ბასხაჯაურმ იმასაც ხკითხა-დ იმან უთხრ: „წაედიო-დ ქისტ მაიყვანევ, მაგას აქ ვერ გავარჩევთავ. მაგის რჯულ იქნება იმან იცოდესავ. ქისტეთ უფრო ბევრ მამკლავ-მამკვდრობაიაო-დ, იქნება იმათ ხქონდასავ მაგის რჯულივ, ჩვენაც იმათ რჯულს დავჟჯერდათაო-დ ეგ საქმე იმათ რჯულით გავარჩიოთავ”.

გელდიაურის უცოდარი არაფერი იყო ხევსურეთის რჯულში, მაგრამ ეს ვერ გარჯულა. გელდიაურზე ძველი ლექსიც არის:

ხკითხევდეს გელდიაურსა, ძველსა ამბავსა წინასა,
ურჩევდა, გამაურჩევდა ჯერ ჭკვასა, მემრა რკინასა.

ბასხაჯაურ წავიდ ქისტეთსა-დ ერთ მაცოდარ ქისტ მაიყვან. ქისტმ აიღა-დ ერთ დიდ ქვა დახყუდ, ორ ქვა ცოცოტეები გვერდებზე დაუყუდ იქი-აქათი. ერთ ქვა ცალკე დახყუდ შორს. ქისტს ხკითხეს: „რაის ლიშნად დახყუდევ ეგ ქვებივ. ეგ დიდ ქვა დედაიავ, ეგ ორ ქვა მაგის შვილებიავ – ქითი რო ხყუდავავ ეს მამაიავ. ეს ყველა იმის ლიშანიავ, რო დედა შვილებსთან ახლოს ასავ, მამა შორსავ. მაშ კაცთ გამრავლება

დიაცისგან ყოფილაო-დ დიაცის თავ მეტად უნდა დაფასდასავ". აქ ჭევსურებიც იყვნეს რჯულის კაცები-დ ისენ არ დასთანხმდეს – დიაციც განა მეომარიავ, დიაცის თავი კაცის თავს უდრისავ. ჭევსურის რჯულის კაცებმ ისიც იფიქრეს: ქისტივ ბასხაჯაურმ მაიყვანაო-დ იმისკე იხრებისავ. მემრ იქავ ქისტმ უთხრ: „აბა, თუ კაცივ მეომარიავ, მარჯვენა ჭელით ომობსავ კაცივ. მარჯვენა ჭელით ყოფილავ მეტივ, მარჯვენა ჭელ თექვსმეტ ძროხაი ღირსავ ჭევსურეთის რჯულითაო-დ თექვსმეტი ძროხით მეტ ყოფილავ კაცივ დიაცზედავ. ეს ქისტი გავლენიან კაც იყვა-დ ეს სიტყვა კი გააგონ ჭევსურის რჯულის კაცებს. გარჯულეს, რო რაკი ბასხაჯაურთა ქალი იყვ მამკვდარი-დ ბორტვიონთა კაცი, თავი თავში გაბრილიყვ, ხოლოთ ბასხაჯაურთ ბორტვიონთად უნდა მიეც თექვსმეტ ძროხა. ნარჯულავი ორსავ მჭარეს გამაუცხადეს. ბასხაჯაურს არ მაეწონ, მაგრამ შუაკაცებმ ბევრის ხვეწნის მემრ დააჯერეს. გადაფასეს თექვსმეტ ძროხაი-დ ბორტვიონს ჩააბარეს. პირშასამყრელოიც ორსავ სახლშიით დაამზადეს, კარატის ჯვარში თითო სახლშიით თითო საკლავ მიიყვანესა-დ შაყარნეს ერთად მამკლავ-მამკვდარნი.

მინდიამ და სხვა მცოდნე ხევსურებმა ასე ჩამაწერინეს ეს პირველი რჯული, მაგრამ ამას დასძინეს: „მეორე მამკლავ-მამკვდრობა იქავ ლიქოკ მახჭდ. მეშვლო-ბაში დიაც შაშჭრივ ვისამ ხანჯარს (ვინ ყოფილა, მთხრობელმა ვერ სოქვა, მხოლოდ ეს ამბავიც რომ ლიქოკში მომხდარა, ეს იცოდა გადმოცემით). ნაჭრევ წინ-წინ ცოტა ყოფილა-დ ყურადღება არ მიუქცევავ. დაჩირქებულ ნაჭრევი-დ მამკვდარ. მამისახლს მაუთხოვავ სრულ კაცის თავი, მაგრამ ჭევსურეთის თავ-თავ ხალხ შაყრილ ყველა თემშიით, ქისტის დადებულ რჯულზედაც უარ უოქომ – კაც რო თექვსმეტი ძროხით მეტად შაუფასებავ, კაცივ ორჯელ მეტი ღირსავ დიაცზედავ. გვარს, თემ-სოფელს, ადგილს ყველას ამაგრებსავ. ომში გადისავ. დიაც ზისავ, ასთავს, ჩეჩსა-დ საქონო ხყურებს, სხვა რა საქმეი აქვ დიაცს. ამ თემ-თემის მცოდნე კაცებმ მაშინ დაადგინეს დიაცის თავსისხლი კაცის ნახევარ თავსისხლად: კაცის თავი სამოც ძროხაი-დ დიაცის თავი ოცდაათ ძროხაი. ამ დიაცის მამისახლი ძალიან უარზე დამდგარ, ჩემს თავზე რაად არჯულებთავ მაგ რჯულსავ, რო დიაცის თავივ ნახევარ კაცის თავად ჩააგდითავ. რაიც ბასხაჯაურთ ქალის თავ დაფასდავ, ჩვენის ქალის თავიც იმთვენი ღირსავ. მაგრამ თემ-თემის ხალხმ კარატის ჯვარის დროშაით სთხოვეს: „ეს რჯულივ ყველაისად იქნებისავ, ნიადეგ ერთ ვინ იქნებისავ წინწინავ. ქალის მამისახლსაც ჯვარის ხათრით უარ ვეღარ უოქომა-დ მაშინ გარჯულებულ დიაცის თავი ნახევარ კაცის თავად". ამავე ამბავს მინდიამ და სხვებმა დაუმატეს: „ეს იმასაც გააჩნავ, ვის რაჭელ ზედამრჩოი ხყავ. ვინაც კაცრიელ გვარია-დ თავ რაისაი აქვ, მეტს რიგს სთხოვს. ვინც უკაცურია-დ უთაური, ნახევარ რიგს უყენებენ დიაცის თავში. მაგალითად, როშკიონ ჯოყოლიკათგან მეშვლობაში დაჭრილი გუდანელ უჭკუათ

ქალ მამკვდარა-დ მანამდენ ჯოყოლიკანი კარჩი არ გამაუშვიან, მანამ სრულ კაცის რიგ არ უყენებავ. მემრაც წლის რიგს კაცის თავის ოდნად უყენებდეს. კაცის რიგი სრუ წლისთაოდ თითო საკლავი ასა-დ დიაცის რიგის საკლავი, წელშუ ას წესი (წელგამოშვებით). უჭკუან კი სრუ წლით იყენებდეს დიაცის რიგს ჯოყოლიკათაგან". კიდევ მეორე ასეთი: „მოწმაოს მამისახლმ ხონდათ მაკლეს გუდანელ ბურკვათ ქალი თავის ქმარ-შვილთან ერთად. მამისახლმ ხონდან კარში არ გამაუშვნ, მანამ კაცის რიგ არ უყენეს დიაცის თავში. საერთო რჯულით კი ნახევარს უდრის დიაცის თავ-სისხლი კაცის თავ-სისხლს".

აბაისგან გიგის მოკვლა

რელიგიური დღესასწაულების კალენდარის აღწერილობიდან ვიცით, რომ არხოტის ჯვარს არხოტის ყველა სოფლები ეყმობოდნენ, მორიგეობით დასტურებად დგებოდნენ, ავადმყოფობის დროს ზღვნობდნენ. ათენგენას და წელწადში ამღივნები და ჭიმღივნები მოდიოდნენ და ერთ-ერთ დღეს არხოტის ჯვარში დღეობობდნენ. ცალკე ამღიონთ ჯვარი დასხდებოდა, ცალკე ჭიმღიონთა და სვამდნენ ლუდს. ახიელელნი კიდევ ცალკე ჯარობდნენ. ამღივნები და ჭიმღივნები თითო საწყავ ქერს აძლევდნენ ჯვარს. ამას „ღალა" ეწოდებოდა.

ათენგენა იყო და თემი მოსული იყო (როცა ამღივნები და ჭიმღივნები მოდიოდნენ, ამ დღეს თემობა დღეს ეძახოდნენ, იმათ მოსვლას – თემის მოსვლას). როცა თემი მოსული იყო და თავ-თავის საჯარეში ისხდა, მაშინ ერთი-მეორის მიპატიჟება იცოდნენ თავის ჯარზე და პატივს სცემდნენ ლუდით. ამღივნებმა ახიელლები აწიეს (წევა – დაპატიჟება) და თავის ჯვარზე ლუდით სცემდნენ პატივს. ხალხი რომ დაითვრა, ასტეხეს შუღლი, ახიელში ცისკარაულებმა და ამღაში ბერდიშვილებმა, გვარად წიკლაურებმა. შუღლი იყო ხანჯრებით, მაგრამ მძიმედ არავინ დაჭრილა. როცა ხალხი შუღლობდა, ყმაწვილები ცალკე გასულიყვნენ და მოშუღლარებს ქვას ესროდნენ. ახიელლები ამღივნებს და ამღივნები ახიელლებს. ახიელელთ ყმაწვილებისაგან გასროლილი ქვა მოხვდა ერთ ბერდიაშვილს გიგის, თავი ცოტა გაუტყდა და სისხლი გადმოვიდა. გიგიმ ეს ჭრილობა არაფრად ჩააგდო და პირველ ხანებში სულ არ შეიხვია. ორი-სამი დღის შემდეგ ჭრილობა დასივდა და თავი და სახეც მთლად დაუსივდა (ჭრილობა იყო თავში). დაუწყო ტკივილი. მაშინ არც ექიმები იყო და სოფლის ექიმი უხვევდა ბალახის წამლებით. თავი ჯერ დასივდა და მერე დაჩირქდა კიდეც. მკითხავებმა უთხრეს: არხოტის ჯვარია გამწყრალი იქ შუღლზე, იქ სამეშვლო დაკალით, სხვა ჯვარებშიაც დახოცეთ სამეშვლოები და მორჩებაო. დაჭოცეს ამღას და ახიელ ყველა ჯვარებში საკლავები. სამანანულო, სამეშვლო და სხვა (სამანანულო ზღვენი ნიშნავს: დანაშაული ჩაიდინა, იმას ნანობს და პატიებას

სთხოვს დანაშაულისას. სამეშვლო: უშველოს და მოარჩინოს ავადმყოფი. სამხვეწრო – ეხვეწება, შველას ე. ი. სთხოვს დახმარებას). არხოტის ჯვარში სამანანულოდ კურეტიც კი დაკლეს, ე. ი. შეინანეს არხოტის ჯვარში შულლი. ცოტა ხანს თითქოს კარგად შეიქმნა ავადმყოფი, მაგრამ ჩირქის დენამ ჭრილობიდან უმატა და ბოლოს ენა ჩაუვარდა და მეორ-მესამე დღეს გარდაიცვალა. ენა რომ ჩაუვარდა, ცისკარაულებმა თავის სოფელი მაშინვე დატოვეს და გაიხიზნენ სხვა სოფლებში. მამკლავი ნამდვილად კი არ იცოდნენ, რადგან მაშინ ქვებს ბევრი ბავშვები ესროდნენ, მაგრამ დააბრალეს ცისკარაულების გვარში გაგუჩათ მამის ერთ-ერთ ობოლ ყმაწვილს, აბას. აბა მაშინ თორმეტ ან თერთმეტ წლისა იქნებოდა, მამა ცოცხალი აღარა ჰყავდა, მამის ალალი ბიძაშვილები ჰყავდნენ უთაური კაცები და, რაკი ერთმა ვიღაცამ თქვა, აბაის გასროლილი ქვა მოხვდაო და გიგი იმით დაიჭრაო, უპატრონობით ვეღარაფერი საშველი გამონახეს და ამ ბავშვს თავი დაედო. სინამდვილე ჯერაც არავინ იცოდა, ვისი გასროლილი ქვა მოხვდა გიგის. გიგი რომ გარდაიცვალა, რიგის ყენება არ გაჭიანურებულა. ბერდიშვილებმა ყველა რიგი მაშინვე იყენეს (რიგის ყენების წესები აწერილია ზემოთ აწერილ მამკლავ-მამკვდრობაში და აქ აღარ ვიმეორებთ). გაგუჩათ ვაუები მაშინვე კავკავში გადაიხიზნენ. აბაის დედა ბერდიშვილთ ქალი იყო და ნება მისცეს დრომდინ ეცხოვრა თავის სახლში. სხვა ცისკარაულები ცოტახანს გაიხიზნენ და საკლავის და შუაკაცების მიყვანა-დახმარებით ისინიც მოუშვეს თავის სოფელში. მერე მოვიდნენ ჩუმად გაგუჩანი და თავისი დიაც-ყმაწვილნიც წაიყვანეს. ადგილ-მამული თავის სახლისკაცებს გადასცეს და დაავალეს ბერდიშვილთათვის რიგის ყენება. აბაის ბიძებმა რამდენიმე წლის შემდეგ პირშასამყრელო გააკეთეს და ისევ კავკავში წავიდნენ. აბა კი აღარც მოვიდა, არც ჯვარჩი შეუჯდა და არც პირშასამყრელო გააკეთა. კავკავში სახლები გაიკეთეს, სამუდამოდ იქ დარჩნენ. აბა გაიზარდა და ისაც იქ დაცოლშვილდა. მისი ბიძები იყვნენ ბაბო და ქარჩაული, ისინი აქედანვე ცოლ-შვილიანები წავიდნენ. უმცროსი ძმა ადია ყავდათ და ისიც კავკავში დაქორწილდა, ხოლო დაავადდა და მალე მოკვდა. ბერდიშვილთ რიგის ყენება გაუჭდა ხათაბალა ცისკარაულებს, გაგუჩათ გარეთულებს. გაგუჩანი რაკი სამუდამოდ მოშორდნენ აქაობას, იმათ სულ თავი დაანებეს ბერდიშვილებმა და იმათ გარეთულ სახლისკაცებს არ აძლევდნენ მოსვენებას. ზოგები ჭრეს და შასწირეს გიგის. ერთხელ დამბაჩა ესროლა გიგის ძმამ ჭირჩლამ გაგუჩათ შორეულ სახლისკაცს ფუნჩათ დავითს. სმაში ბერდიშვილთან სულ არ მიდიოდნენ, პატივს ხო მიუტანდნენ, მაგრამ მაინც მიზეზს მოუგონებდნენ და იარაღს უქნევდნენ. ერთხელ დავით ცისკარაულს გაუხვრიტეს ხანჯრით ბარკალი. მისივე ბიძაშვილი ჯურჭა თავში დაჭრეს; ბერდიშვილნი თუ ხედავდნენ, ცისკარაულთ გვარის კაცი ცხენზე ვერ შეჯდებოდა. თამაშობა და მღერა ხომ შეუძლებელი იყო მათის გაგებით,

ე. ი. ისეთ ადგილას არც იმღერებდნენ და არც ითამაშებდნენ, სადაც ბერდიშვილთ ოდნავ მონათესავეც ვინმე იქნებოდა. ხევსურეთის რჯულში რაც არ იყო, ისეთ ხათრს თხოულობდნენ ბერდიშვილნი ჭარათაგან. გაგუჩათ მამული ჯერ ეროს ეჭირა ჭარათას და ის უყენებდა რიგს, მერე ის მოკვდა და მამული სხვას მისცეს და ის უყენებდა რიგს. ამან ბერდიშვილთ ვერ გაუძლო და კახეთში გადასახლდა თავის მამულ-სახლ-კარსაც თავი დაანება და გაგუჩათასაც. ბოლოს ერთი კომლის გარდა სულ აიყარა მთელი გვარი და ახმეტის რაიონში გადასახლდნენ. იქ ტყეში ახოებს აკეთებდნენ, თოხით მიწას თხრიდნენ, სიმინდი მოყავდათ და ამით საზრდოობდნენ. ბერდიშვილთ რიგის ყენება დაეკისრა იმ კაცს, ვინც ახიელში დარჩა. მერე ბერდიშვილებმა იწყეს კაცით ზარალი. იხოცებოდა ახალგაზრდობა. ზოგს ქისტები კლავდნენ, ზოგი ავადმყოფდებოდა და ისე კვდებოდა. აღარ იყო მათი მდგომარეობა წინანდებურად.

ბოლოს მკითხავებზე მიდგა საქმე. მკითხავებმა უთხრეს: არხოტის ჯვარის ყმათ, ახიელელთ შევიწროებას არხოტის ჯვარი არ იჭდენსო, თუ არ დასთმობთ და ჭარათ შეწუხებას თავს არ დაანებებთ, კარგი არაფერი დაგემართებათო. ამას თან ურჩიეს არხოტის ჯვარში ღირებული ზღვნის მიყვანა და შეხვეწნა – შანაცოდვარი გვაპატივეო. ეს ყველაფერი შეასრულეს და საბოლოოდ თავ-სისხლი გაათავეს. ახალი რჯულის თანახმად, რომელიც ჭევსურთა საერთო ყრილობამ შემოიღო, ძველი თავ-სისხლები გაათავა. თავს ათავებდნენ მაშინ, როცა მამკლავი ცოცხალი აღარ იყო. აგრეთვე პაპის-პაპისობინდელი თავებიც გაათავეს. თავის გათავების დროს მეთავე ადუღებდა ლუდს იმ სალოცავში, რომელი სალოცავის ყმაც იყო მოკლული. იქ მიიყვანდა ეროს კურეტს და საკლავს. მიიტანდა თექვსმეტი ძროხის დრამას (რა თქმა უნდა, შუაკაცების საშუალებით ხდებოდა ყველა ეს. შუაკაცები აგვარებდნენ ყველა ამ საქმეს). შეიყრებოდნენ ერთად მამკლავ-მამკვდარნი, ჩააბარებდნენ დრამას და ამით თავდებოდა ძველი თავ-სისხლი; ბერდიშვილებმა და ჭარათაც ამ სახით საბოლოოდ მოსპეს ერთმანეთთან თავ-მეთავეობა. ბერდიშვილთ აღარც დრამა აიღეს, აპატიეს არხოტის ჯვარს და ამის შემდეგ გათავდა მათ შორის ხათრი და ყველაფერი. ბერდიშვილნი ხათრს აღარ თხოულობდნენ, მაგრამ ჭარანი შეჩვეულნი იყვნენ მათგან ხათრს და ნაწილობრივ განაგრძობდნენ.

ჯაბუშანურთა და გაჯალათ თავ-მეთავეობა

არხოტის ჯვარში იდგა ერთი თიხისაგან გაკეთებული ქვევრი. ვიღაცა ბერდიშვილთ კაცს მოუტანია ჯორის საპალნით ბარიდან და შეუწირავს არხოტის ჯვარისათვის. არხოტის ჯვარში პირველად საქვაბეში, სადიასახლისოსთან ჩააგდეს (ჩადეს) ის მიწაში და მემრე იქიდან გაიტანეს და საპურედ გაკეთებულ პატარა ბეღელში ჩააგდეს. დააწესეს, რომ წელიწადში ერთხელ სოფელი არყით გაავსებდა. ყველა კომლი საარაყეს გამოხდიდა. ერთი ჭურჭელი ჰქონდათ საჯვარო, ყველა კომლი იმას ავსებდა და ასხამდნენ ქვაბში. რომელი კომლიც არაყს მიიტანდა, დაუძახებდა დასტურ-ჭელოსნებს. სანთელსაც არაყის მიმტანი მიიტანდა, აანთებდნენ, ჯვართ ადიდებდნენ, დასტურ-ჭელოსნები და მიმტანი არაყს დალევდნენ, შეამოწმებდნენ როგორი იყო და ჩაასხამდნენ ქვევრში. როცა არყების ჩასხმა მოთავდებოდა, საბოლოოდ დასტურ-ჭელოსნები გამოაცხადებდნენ ვისი არაყი ჯობდა: ამა და ამის არაყი იყო უკეთესიო. როცა ქვევრი აივსებოდა, სოფელი მოვიდოდა დანიშნულ დღეს, ერთს სარიგო საკლავს მიიყვანდნენ, დაკლავდნენ, სანთლებს აანთებდნენ და გახსნიდნენ ქვევრს. სვამდა სოფელი, ვისაც რამდენი შეეძლო. გამვლელ-გამომვლელსაც ეპატიჟებოდნენ და ამ დღეს უფასოდ ასმევდნენ. მეორე დღეს ბერდიშვილნი მოვიდოდნენ, რადგან ქვევრი იმათგან იყო შეწირული. მოიყვანდნენ ერთ საკლავს, დაკლავდნენ არხოტის ჯვარში ბერდიშვილთ სამწყალობნოდ და ამ დღეს ისინი სვამდნენ უფასოდ. ამ დღის გარდა კი თავისებური ფასი ჰქონდათ გადაწყვეტილი და ყიდულობდა ხალხი. ეპატიჟებოდნენ ერთი-მეორეს, არაყს იქიდან ვერ ამოიღებდნენ, მანამ საკლავი არ დაიკვლოდა, რომელიც უნდა დღე ყოფილიყო. დილით ვინმე ერთ საკლავს დაკლავდა, გაიხსნებოდა ქვევრი და მერე ფასით ყველა ყიდულობდა. არაყი ბოთლებით არ იყიდებოდა. ერთი სპილენძის თუნგი ჰქონდათ და იმას ყიდულობდნენ აბაზად, ან ერთ ნასამალ ქერზე. ფული და პური რჩებოდა საჯვაროდ. არაყს კარგს ასხამდნენ ქვევრში. ყველა ცდილობდა სხვაზე უკეთესი არაყი გამოეხადა და ჩაესხა. ამიტომ მაგარი არაყი დგებოდა და ხალხს ძალიან ათრობდა. ხშირ შემთხვევაში ხდებოდა შუღლიც. ვინც იშუღლებდა, მანამდინ საკლავს არ მიიყვანდა, ქვევრი აღარ გაიხსნებოდა და ეს ძალიან სამრისხველოდ მიაჩნდათ. მაშუღლარები, რომ მოიფხიზლებდნენ, მიიყვანდნენ საკლავს, შუაკაცები იმათაც შეარიგებდნენ და გაიმართებოდა ისევ სმა და სიმთვრალე. ერთხელ ასეთ სიმთვრალის დროს იშუღლეს ახიელლებმა და ამღივნებმა. ამღიონმა გაჯალათ გაგამ ხანჯარი გაუშვა სხვა კაცისაკენ წვერით დასაკრავად. როგორღაცა იმ კაცს ასცდა და სხვა კაცს მოხვდა მუცლის არეში. გვარად ჯაბუშანურს, ალიათ მამის კაცს გიორგას. გიორგა მძიმედ დაიჭრა და დაეცა. გაჯალათ გაგას ეს თავის უნებურად მოუვიდა. მაგრამ კაცი მისგან კვდებოდა და გაიხიზნა აქედან. დაჭრილი

კაცის ძმა-სახლისკაცები მეშვლებმა დაიჭირეს და ის თავის სოფლისკენ გაიქცა. იქ რომ მივიდა იმის ძმა-სახლისკაცებმა მაშინვე საკლავი წააყვანინეს, არხოტის ჯვარში დაჭრილის სამეშვლოდ. ჯაბუშანურთაც დახოცეს სამეშვლოები, მაგრამ დაჭრილი მალე გარდაიცვალა. გაჯალათ გაგას კიდევ ჰყავდა ორი ძმა – ჩაჩური და სუმელჯა. სხვა გარეთული სახლისკაცებიც ჰყავდა. ეს ძმები რიგის ყენებამდინ იმალებოდნენ არხოტის სოფლებში. შუაკაცებმა მალე შესძლეს რიგის ყენება ყველა წესის, რჯულის მიხედვით და მემრე გაგა და მისი ძმები გაიხიზნენ კავკავში და მათ გარე ბიძაშვილებს ნება მისცეს თავის სოფელში და ხიზანში ცხოვრებისა. რიგის ყენების წესები ყველა დაწერილია ზემოთ აწერილ მამკლავ-მამკვდრობაში და ამიტომ აქ აღარ ვიმეორებთ. რიგი, რჯულის მიხედვით, ყველა სრულდებოდა. ბოლოს მამასახლისმა მკვლელობის ამბავი პრისტავს აცნობა. მან კავკავიდან გაგა ჩამოაყვანინა, სასამართლომ კაცის მოკვლისათვის სამი წელიწადი ციხე მიუსაჯა და სადღაცა გადაასახლეს საქართველოდან. ეს რომ დააპატიმრეს, ამის ძმებსაც ჯაბუშანურებმა თავის ოჯახებში დაბრუნების ნება მისცეს და პირშასამყრელოც მოაწყვეს. სხვა ყველაფერი შესრულდა, მხოლოდ გაგამ ვერ მოასწრო პირსშაყრა და ჯვარში შაჯდომა. მან სადღაც ციმბირის მხარეს სამი წელი საპატიმროში დაჰყო და მერე ჩამოვიდა. ჩამოსული ისევ იმალებოდა. მერე ჯვარში შაუჯდა თავის წესით. ჯვარში შაჯდომის შემდეგ კიდევ ერთმა წელმა განვლო და შუაკაცები შეუდგნენ პირშასამყრელოსთვის მზადებას და მოაგვარეს კიდეც. პირშასამყრელოს ნება რომ მიეცა, არხოტის ჯვარში შუაკაცებმა ადუღეს ლუდი და დანიშნულ დღეს მოიყვანეს გაგა და ჯაბუშანურები და პირშასამყრელოს ყველა წესი შეასრულეს. საბოლოოდ დარჩა „წლის რიგი," წელიწადში ერთი საკლავი და სასმელი უნდა გაეგზავნა გაგას დაზარალებულის ოჯახში შუაკაცების ხელით. თუ რომელიმე წელს ეს საკლავი დროზე არ მოუვიდოდა, მაშინ აიღებდნენ ისევ თოფს მკვლელის მოსაკლავად, მაგრამ ეს არ მომხდარა მათ შორის, ყოველთვის დროზე მოუდიოდა რიგი. მამკლავ-მამკვდრობის წესით მთელ გაჯალათ ხათრი ჰქონდა ჯაბუშანურთი. ერთხელ გაჯალათ ბეწიკამ რაღაც აწყენინა ჯაბუშანურ აბიკას. აბიკამ თავში ხანჯალი დაჰკრა, მძიმედ დაჭრა და იმათგან მოკლულს შასწირა. ბეწიკა ისევ გამორჩა და ვერცარა ბევრი დრამა მიიღო დამჭრელისაგან. ბოლოს მკვლელიც მოკვდა და მისი შვილები დარჩნენ. აუტყდა კაც-შუაკაცი და ახალი რჯულის მიხედვით თავი გაათავეს. მხოლოდ გაჯალანი მაინც ხათრს უწევდნენ ჯაბუშანურებს. ისინი კი აღარ მოითხოვდნენ მათგან ასეთს.

მამკლავ-მამკვდრობა შუქიაურთა და მამუკაურთა

შუქიაურნი იყვნენ არხოტის ერთ-ერთ სოფელ კვირიწმიდაში. ამ სოფელში მარტო ამ მამის კაცნი მოსახლეობდნენ, გვარად გიგაურები და ქვეგვარი შუქიაური. ესენიც კიდევ ორ მამად იყოფოდნენ: კვირიკანი და ბათირანი. სოფელ ჭიმღაში მოსახლეობდა ერთი კომლი მამუკაურთ მამიდან. გვარად ესენიც გიგაურები იყვნენ. მამუკაურების მამის ხალხნი უფრო ბლოში მოსახლეობდნენ. გვარად კი ბლოელნი მთლიანად გიგაურები იყვნენ, მამები კი სხვადასხვა. კვირიწმიდელნიც მათი მოგვარეები იყვნენ. ე. ი. გიგაურები ძირითადად ბლოში ცხოვრობდნენ და იქიდან გადმოსულნი ჭიმღაშიაც არიან და კვირიწმიდაშიც.

ძველ დროს არხოტის ხალხი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა და სამუშაოდ დადიოდნენ ზამთრობით კავკავის ტყეებში. საჟენებს დგამდნენ, ფულს იღებდნენ. იმ ფულით პურს ყიდულობდნენ და საპალნეებით (ცხენის ზურგით) მოქონდათ ოჯახის გამოსაკვებად. ასეთ სამუშაოზე წასულები იყვნენ სოფელ კვირიწმიდაში მცხოვრები თორღვა და ჭიმღაში მცხოვრები მამუკაურთ მამის კაცი ჭადელა. სხვა ამხანიგებიც ბევრნი ჰყავდნენ. ერთხელ ტყიდან კავკავში (ქალაქში) ჩავიდნენ ფქვილის საყიდლად. იყიდეს, არაყი დალიეს და დათვრნენ; იშუღლეს მთვრალებმა, თორღვამ ხანჯარი ჰკრა ჭადელას, მუცლის კანი გაუჭრა. ნაწლავები გადმოვიდა (ალბათ მაშინ ექიმები არ ვარგოდნენ). ნაწლავები დაზიანებული სულ არ იყო, მაგრამ ექიმებმა მოსჭრეს მთლიანი ნაწლავები და ისეთი დააწვინეს საავადმყოფოში. სამი-ოთხი დღე იცოცხლა და მოკვდა. სამუშაოდ წასულმა ამხანაგებმა საკაცეზე მოათავსეს და მიცვალებული სამი დღის სასიარულო გზაზე არხოტში მოასვენეს. არხოტში შუქიაურები მიიმალნენ, მაგრამ დიდი შიში მაინც არა ჰქონდათ, რადგან მამუკაურების მამიდან არავინ იყო აქ. ჭადელას მარტო ერთი ძმა დარჩა ალუდაური და იმასაც არაფრად აგდებდნენ, რადგან მაშუღლარი და ანჩხლი კაცი არ იყო. რიგი მაშინვე იყენეს, უარის საოქმელად. შუაკაცები რიგს ხანდახან ძალად ართვამდნენ და ისე უყენებდნენ. ალუდაურს კი არ ეუბნებოდნენ. ეტყოდნენ, ძალიან დაღონებულები არიან და გვეხვეწებიან, რიგი აყენებიეთო. გაიარა დრომ, წლებმა და პირშასამყრელოც ჰქონდათ. თორღვა მოვიდა და თავის სოფელში დაიწყო ცხოვრება. შუქიაურები ბევრ ხათრს არ უწევდნენ ალუდაურს. მამკლავ-მამკვდრობის წესებს ნაკლებად ემორჩილებოდნენ, რადგან მამუკაურები არავინ იყო ერთი კაცის მეტი, შუქიაურები კი ბევრნი იყვნენ. მამკლავის მოგვარე, მამკვდრის მოგვარეს ცხენზე მჯდომი რომ შეხვდეს, ცხენიდან უნდა გადმოხტეს, ქუდი მოიხადოს და გადააგდოს მისკენ. თვითონ გზის ძირში გადახტეს და გაჩერდეს. მაგრამ შუქიაურები არც ასე იქცეოდნენ. ალუდაურს არ

ეპუებოდნენ, ეგონათ, ეს არაფერს გვიზამსო. შუქიაურთ მამაში იყო თორღვას ბიძაშვილი დავითი, თავმომწონე და ამაყი კაცი, ამასთან, თავხედიც. ერთხელ ჭიმღას მივიდა, ცხენიდან არ ჩამოვიდა და ისე გაიარა ალუდაურის სახლის წინ. ალუდაურმა დაინახა, მაგრამ ვერაფერი მოასწრო, რადგან აჩქარებული ცხენით გაიარა. ალუდაური უკვე გამოსული იყო მოთმინებიდან და ელოდებოდა იმის გამოვლას; დავითი მოვიდა ისევ ცხენდაცხენ და ალუდაურის ბანზე გამოატარა ცხენი. ალუდაური ახლა კი მზად იყო თავხედი მტრის დასახვედრად, გამოუვარდა და თავში გაარტყა ხანჯარი კარგა ღონივრად. დავითს გონება წაუვიდა და იქვე დაეცა. გვიან მოვიდა გონს, დაეხმარნენ და წამოიყვანეს კვირიწმიდაში. ალუდაური თავის სახლს არ მოსცილებია. წაიყვანეს სოფლის ექიმი, დაუჩირქდა ჭრილობა და შეიქმნა მძიმე ავადმყოფი. ალუდაურს ურჩევდნენ, სახლიდან გახიზნულიყო, მაგრამ ის ამბობდა: კაცი მომიკლეს და კაცი მოუკალი, რჯულის მიხედვით გასწორებული ვართო. მაგრამ ალუდაური ჯავრით ჯიუტობდა, რომ ‘შუქიაურები, როცა ძმა მოუკლეს, არ ეპუებოდნენ, ალუდაურს არაფრად აგდებდნენ. ეხლა ეს უხდიდა სამაგიეროს. დავითს დიდხანს არ უცოცხლია და გარდაიცვალა. მაშინ კი შუაკაცებმა ალუდაურს ძალა დაატანეს და სახლს მოაშორეს. რჯულის მიხედვით, ისიც იმდენ ხანს უნდა გადამალულიყო, რამდენ ხანსაც შუქიაურები იმალებოდნენ. შუაკაცებმა ის რიგი და დრამაც მოლიანად დააბრუნებინეს, რაც ალუდაურს ჰქონდა აღებული. ყველა ისეთი რიგი უყენა, როგორიც ალუდაურმა თვითონ იყენა. დადგა საკითხი თავის გაბრაზე თავში. მაგრამ დავითის ძმამ თქვა: მე თავს თავში არ გაუბრი, რადგან თორღვას ძმა არა ვარო და მოშორებით ვარო. ალუდაურმა ჩემის ძმის თავი უნდა დაიდვას და თორღვამ ალუდაურის ძმის თავიო. მაგრამ შუაკაცებმა მოუყვანეს მაგალითები, სადაც თავი თავში გაიბარა. მაინცდამაინც ძალიან შორიელები არ იყვნენ; ხევსურეთის რჯულით, თავის გაბრა ეკუთვნოდა. თორღვა და ბათირათ დავითი ბიძაშვილები იყვნენ. შუაკაცებმა თავისი გაიყვანეს და დაითანხმეს თავის გაბრაზე. მხოლოდ ხუთი ძროხის დრამა ალუდაურს დააკისრეს „საუკენმამკვდრო”. ბოლო დროს ვინც მოკლავდა, ხევსურეთის რჯული იმას გადაახდევიებდა საუკენმამკვდროს. ბოლოს ყველანი ერთად შეყარეს არხოტის ჯვარში. ერთი საკლავი დაკლეს და თავი თავში გაიბარა. აღარც ხათრი ჰქონდათ ერთიმეორისა და აღარც რიგს უყენებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელები ცოცხლები იყვნენ. ალუდაური დააპატიმრეს და სამი წელიწადი ციხეშიც იყო. მერე სმაში კი ერთიმეორესთან ადვილად არ მიდიოდნენ. დანარჩენი ყველა გასწორდა რჯულის მიხედვით.

გიორგათა და ჭოლიკაურთ მამკლავ-მამკვდროება

ამდა არხოტის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია. როგორც გადმოცემით იციან, აქ სხვადასხვა ჯიშის ხალხი უნდა იყოს, სხვადასხვა კუთხიდან მოსული, მაგრამ ყველანი ერთ გვარზე იწერებიან – ჭოლიკაურნი. ამბობენ ისინი თათრების ჩამომავალნი არიანო. თათრიანობას ერთი კოჭლი თათარი დამრჩალა აქ და იმაზე გამრავლებულან ჭოლიკაურნიო. ამ სოფელში მათი გვარის სამი კომლია, მხოლოდ ერწოში გადასახლებულან და იქ კი ყავთ ამათი მამის ხალხი. ამათ მამას ორგვარი სახელწოდება აქვს: ჭოლიკაურნი და ციანი. ამათი მამის კაცნი სახელგანოქმულნი არიან მამაცობით და სიბრიყვით. იტყოდნენ: ჭოლიკაურთ მამაცობის მეტი არაფერი იციანო.

ამათ გარდა კიდევ იყვნენ: უოურგანი. ესენიც რადღაცა უფრო ჭოლიკაუროკე იხრებოდნენ, „ერთუცისები ორთავ" – ტყოდნენ. აქვე იყვნენ ქარჩანი. ქარჩანიც არხოტში ბევრნი აღარ იყვნენ, წასულან და ერწოში უფრო ბევრნი არიან. არიან კიდევ ჩინგლანი; მაგათაც ერწოში ყავთ ახლო მოგვარეები. იყვნენ კიდევ ძამურანი – სინი სულ ერწოში გადასახლებულან. ძამურათან ახლო მდგომი მამა იყო გილანი; ისინი ყაზბეგის რაიონში სოფელ ართხმოში გადასახლებულან. ამდაში უფრო ბევრნი იყვნენ ბერდიშვილნი. ბერდიშვილთან ახლობლები იყვნენ გიორგანი და აბაიზძენი. ბერდიშვილნი კიდევ იყოფოდნენ. ბაჭანი უფრო შორს იყვნენ. ერთიმეორის ახლო განაყრები იყვნენ: ბათანი, ნისლაურნი, გაგანი, მზევინარანი. ამათ მამებში სახელგანოქმულნი იყვნენ გიორგანი მონადირეობით, ქისტებთან ბრძოლით და ვაჟკაცობით. ამ გიორგათ მამაში განსაკუთრებით კარგი ახალგაზრდა წამოიზარდა ხომიზურათ ბაბუა. პატარაობიდანვე დაიწყო ქისტებზე შურისძიება. ქისტებმა მოუკლეს ახლობელი ბიძაშვილი. მაშინ ბაბუა ცამეტი წლისა იყო და მონაწილეობა მიიღო სისხლის აღებაში, სამაგიერო ქისტი მოკლეს, მერე კიდევ ორი ქისტი მოკლა ძმის ჯავრზე. ასე გათამამებული იყო და ხალხიც აქებდა.

ბაბუას შეუყვარდა თავის მოგვარე – ბაიათ დისწული ქალი. თავისი ცოლი დაითხოვა და ის ცოლად მოიყვანა. ეს ამბავი იწყინეს მისმა სახლისკაცებმა და მოიკვეთეს. ჩვენი დისწული ცოლად არ ერგებოდა და რად მოიყვანაო. არ მოიკვეთა უფრო ახლობელმა, უშიშამ. უშიშა კახეთში გადასახლდა და დარჩა ბაბუა ამდაში. ერთი სხვა ახლობელი მოგვარეც დარჩა ამდაში – მედა. ხალხში ისეთ ხმას აგდებდნენ, თითქოს იმედას ბაბუა მოკვეთილი ჰყავდა; მაგრამ იმედას ბაბუა უყვარდა და არ იყო გულით მოკვეთილი. ამ დროს ბაბუას კაცი შემოაკვდა შემდეგნაირად: ბაბუას მამა, ხომიზურა, ფიცხი კაცი იყო და ადვილად იცოდა ჩხუბი. ჭირნახულში პირუტყვის შესვლაზე ხომიზურამ გალანძღა ერთ-ერთი ჭოლიკაურთ დედაკაცი. ჭოლიკაურთ მამაშიც იყო ძალიან ამაყი და თავმომწონე კაცი ჯღუნა. ჯღუნამ,

როგორც მოხუც კაცს, ხომიზურას ვერაფერი უთხრა და იმის შვილს ბაბუას დაუხვდა გზაში. ჯღუნა ხელდახელ შაებრძოლა, ბაბუამ კი ხანჯარი ამოიღო, დაკრა თავში და დაჭრა. ჭრილობა ძალიან დიდი არ იყო. დააყენეს სოფლის ექიმი. ჭრილობას თავიდანვე დაეტყო შესიება და ავადმყოფი შეწუხდა. მკითხავებმა უმკითხავეს არხოტის ჯვარში სამეშვლო და ამდას სამივე ჯვარში იაკსარში, სვეტის ანგელოზში და პეტრეში. ეს ყველაფერი შეასრულეს. კარგა ხნის შემდეგ ავადმყოფი კარგად შეიქმნა და სარჩოობაზე დადგა. ჭრილობა დაცხრა და რჩებოდა; ამავე დროს სოფელ ამდაში მიცვალებულის ხარჯები იყო და სასმლიანობა. ბერდიშვილთ მამის კაცთ ჯღუნა არ უყვარდათ, რადგან ამაყი იყო და არ უთმობდა. ხშირ შემთხვევაში მოსდიოდათ ჯღუნასთან შუღლი და აი ამ სიმთვრალის დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ ის ნაჭრევიანი იყო, შუღლი ატეხეს. შუღლი მოხდა წინგარდაზე (დაბლა სართულის ბანზე). ბანი პატარა იყო, მეშვლები და მაშუღლარები ბანიდან გადაიყარნენ; გადავარდნილმა ჯღუნამ რაღაცას დაჭრილი თავი დააჯახა და ძალიან დაიუეჟა, სისხლი წავარდა და ძლივს შეაჩერეს. სისხლის შესაჩერებლად ადებდნენ: აბლაბუდას, დამწვარ ქაღალდს, მარილს და სხვა ათასგვარ სოფლურ წამლებს. ჯღუნა ამბობდა: „რო გადავვარდი-დ თავ დავხკარი, გაწყდ რაიმ ნაჭრევშია-დ ძალიან მაგრადაც მეტკივნ. აბა, რა მექნ, მანამ პირში სულ მედგ, ადგომა მინდოდ. გმინვას ხო არ დავიწყებდ, ხალხ იყვ, თორე გონთა-უგონთ ვიყავ, რო ავდეგი, გვიან ჩავვარდი გონთ". ერთ დღეს კიდევ იყო ფეხზე ამ გადავარდნის შემდეგ და მერე სულ ჩავარდა ლოგინად. ის ამბობდა: „მე იქ რო არ გადავეგდი, ის ნაჭრევი ვერ მამკლევდ. ეხლა კი ძნელიღ ას ჩემ მარჩომაი". შეწუხდა ავადმყოფი, გაიმეორეს სამეშვლოების დახოცა, მეხვეწურად დედანიც მივიდნენ ჯვარისკარ, მაგრამ ავადმყოფი თანდათან უარესად ხდებოდა. გიორგანი ამბობდნენ: „ჩვენ ნაჭრევ მაგას ეკურნებოდა-დ ბანზე გადავარდნამ დაუმატ, თორე მარჩებოდ". ხევსურეთის რჯულით, მეხელე მაინც ხანჯრის დამკრავი რჩებოდა. თუ სხვას ვისმე დაეკრა იმ ადგილზე, მაშინ რჯულით დამკრავი ჭელჩასამრთაოს – ხუთ ძროხას გადაიხდიდა დრამით. როგორც მეჭელე ანუ მამკლავი მაინც პირველი დამჭრელივე რჩებოდა, თუ ის ჭრილობა კლავდა, სადაც პირველმა დაჰკრა იარაღი. თუ სხვა ადგილზე დაჰკრა მეორემ და ამ დაკრულმა მოკლა, მაშინ თავი მეორეს დაედებოდა და ჭელჩასამრთაო ხუთ ძროხას პირველი გადაიხდიდა. მხოლოდ ჯღუნას მეორე ხელით არაფერი დაჰკრა ვინმემ და იგივე ჭრილობა კლავდა, რომელიც პირველად მიაყენეს; ამიტომ, ხომიზურათ ბაბუა მამკლავად რჩებოდა. ჯღუნა რომ სწუხდა, ხომიზურა და ბაბუა ფრთხილად იყვნენ, რომ ის თუ მოკვდებოდა, ჭოლიკაურები თავს არ დასხმოდნენ და ერთიმეორე არ ამოეწყვიტათ. ჯღუნას ღამე თავი არ ნებდებოდა და ისეთი კაცებიც ყოველთვის იქ მიდიოდნენ, ვისაც ბაბუას დაზიანება არ უნდოდა. ბოლოს, ღამით ჯღუნა

გარდაიცვალა. სანთელნი რომ მისცნეს, ერთი სოფლელი კაცი მოვარდა ბაბუასთან და გახიზნა ისინი (მეზობლად ცხოვრობდნენ ბაბუა და ჯღუნა). ისინი გაიხიზნენ სოფელ ახიელში ნათესავებში. ჯღუნა დაამკაცრეს (დამკაცრება ჰქვიან მოკვდომის დროს, რომ თვალებს დაუხურავენ, ხელებს გულზე დაუწყობენ, მუხლებს გაუსწორებენ და პირსაც მოუკუმავენ. დააწვენენ გულაღმა). ჭოლიკაურთ ეგონათ, ბაბუას სახლში მოვამწყვდევთ და მოვკლავთო, მაგრამ ხალხიც მოვიდა და ბაბუა ადრევე გახიზნულიყო. ჯღუნას დარჩა ძალიან მკაცრი ცოლი და წვრილი შვილები, ქალებიც და ვაჟებიც. ძმისწულები და ერთი გარეთ ბიძაშვილი, ე. ი. მოგვარე. მეორე დღეს თემშიც გაიგეს ეს ამბავი. ნათესავები სატირლად მოვიდნენ და თავ-თავი უფროსი კაცები – შუაკაცებად. შუაკაცებმა ითხოვეს რიგის ყენება, მაგრამ ჯღუნას ცოლმა არაფერი არ იკითხა და თვითონ მოკრიფა აუარებელი მიზეზები და დაადო ჯურუმები. ვიდრე ამდენ ძროხას ჯურუმს არ მოიტანთ, რიგს არ ვიყენებო. ხევსურეთის რჯულის და წესის მიხედვით, დიაცი არც უნდა ერეოდეს სისხლის საქმეში. სამტერო საქმეები დიაცს სულ არ ეხება და სირცხვილიც არის, დიაცი რომ ერეოდეს სამტრო-სამოკეთო საქმეში. მაგრამ ამ დიაცმა გაითავწვერა, არავის არაფერი ჰკითხა და თვითონ როგორც სურდა, ისე ადებდა ჯურუმებს. ხალხი კიცხავდა ამ საქციელისათვის, მაგრამ ის მაინც ჯურუმს ჯურუმზე უბამდა. შუაკაცმა რომ ვერაფერი გააწყო, მიუხედავად ჯღუნაის ძმა-ბიძაშვილების სურვილისა (მათ ცხვენოდათ ამდენი ჯურუმების გამობმა და სამტრო საქმეში დიაცის თაურაობა, რითაც მამა ილანძღებოდა, იკიცხებოდა), მოზიდეს ყველა ის ჯურუმები, რაც ჯღუნაის ცოლმა თქვა და მერე უყენეს მამკლავ-მამკვდრობის დროს რჯულით დაწესეული ყველა რიგი. სახლის რიგი სახლმა იყენა, დედიძმათ სადედო აიღეს, სადო, სამამიდაო და სხვ. მკვლელის ოჯახი კარგად ცხოვრობდა და ყველაფრის შესაძლებლობა ჰქონდა. ამ ოჯახს სვილი და ქერი ჰქონდა ბევრი, კიდობნები და გოდრები სავსე იყო. დღიდან ამ სიკვდილიანობისა და მკვლელის გახიზვნისა, ჯღუნაის ცოლმა ნება აღარავის მისცა იმათ სახლის ახლოს გაევლო, მიწური ბანი ან დაეტკეპნა, ან მოევლო. სხვა მამკლავ-მამკვდრობის დროს, ცოტა ხნის შემდეგ ან ნათესავს, ან შუაკაცებს ნებას მისცემდნენ ბან-კარისა და სახლისად ყური ეგდო. რა თქმა უნდა, ეს მოხდებოდა საკლავის მიყვანის და შუაკაცების ხვეწნის შემდეგ. მაგრამ მიუხედავად შუაკაცების მრავალჯერ თხოვნის და სათანადო საკლავის მიყვანისა, ჯღუნაის ცოლმა არავის ნება არ მისცა ეპატრონა ამ უპატრონოდ დარჩენილი ქონებისა და სახლ-კარისათვის. ამან გამოიწვია სახლში წყლის ჩასვლა ავდრის დროს, ჩავიდა პურიან კიდობნებში და სულ ყველაფერი დალპა. არა მარტო პური, სახლში რაც რამე იყო, ყველაფერი განადგურდა. ბოლოს სახლის ხეებიც დალპა და დაიწყო ჩამატეხვა. ეცემოდა ოჯახში, რაც რამე იყო და ტეხდა იქაც. ბაბუა ჯერ ახიელში ნათესავებთან იმალებოდა და მერე გაიხიზნა

კავკავში. იქ სახლი დაიქირავა და დაბინავდა. ცოლიც იქ წაიყვანა. დაიწყო დღიურად მუშაობა და იმით თავის რჩენა. სახლიდან კი ბაბუას აღარაფერი უსარგებლია. მხოლოდ პირუტყვი რაც ჰყავდა, ის იყო გახიზნებული და ამით ისარგებლა. გაყიდა პირუტყვი და სახლში ამით მოაწყო ყველაფერი. ჭოლიკაურები ცდილობდნენ, როგორმე მოეკლათ, მაგრამ კავკავში მოკვლას ვერ ბედავდნენ. ელოდებოდნენ: როგორმე გამოსცილდებოდა ამ ქალაქს და სადმე სოფლებში ჩაეგდოთ ხელში. ერთხელ დაიჭვეს, რომ ყაზბეგის რაიონში, სოფელ ჯუთაში იყო ამოსული. ჯუთას ჩუმად ათვალიერებდნენ, რადგან იქ ბაბუას დედულები ჰყავდა და იცოდნენ, იქ სიარულს დაიწყებდა. დანამდვილებით გაიგეს, რომ ბაბუა ჯუთაში იყო და სოფლის პირდაპირ ჩაუსაფრდნენ. ორი დღე ერთ კლდესთან იყვნენ ჩასაფრებულები სამი კაცი. მესამე დღეს ბაბუა წავიდა კავკავისაკენ. სამივე ჭოლიკაურმა ერთბაშად ესროლეს და ტყვიებმა ტანისამოსში გაუარა, ხორცზე ტყვია არ მოხვედრია, მაგრამ ტყვიის ქარმა გზის ძირში გადააგდო. მოვარდა რამდენიმე ახალგაზრდაც ჯუოიდან და დაეფარნენ ბაბუას. მათ პირველად კი ეგონათ, მოვკალითო და მერე, ხალხის გამო ვეღარ ესროლეს. ჯუოლებმა ბაბუას მაგიერ ადგილზე მიუყვანეს საკლავი. საკლავი არ დაკლეს, ადგნენ და წავიდნენ არხოტში. ბაბუა კიდევ ჯუოელმა ახალგაზრდებმა ყაზბეგამდინ გააცილეს. მეორედ დაიჭვეს ბაბუა სოფელ ახიელში მოსული და ყოველ ღამე მოდიოდნენ ჩუმად და უსაფრდებოდნენ მისი ნათესავების სახლების მიდამოს; მაგრამ ბაბუას ნათესავები ფრთხილობდნენ. ღამე ბაბუას გარეთ არ უშვებდნენ, მანამ საშიშ ადგილებს არ დაათვალიერებდნენ და მერე თან გაჰყვებოდნენ ახლო, რომ მტერს საშუალება არ ჰქონოდა თოფის სროლისა. ბოლოს ბაბუა წავიდა კავკავისაკენ. თავის სოფელი ამდა უნდა გაევლო და ასის ხეობით გადავიდოდა იქ. გავლა ამ გზით სახიფათო იყო, რადგან ჭოლიკაურები ამ გზითვე გამოივლიდნენ თავის მამკლავის მოსაკლავად და მოსალოდნელი იყო გზაში შეხვედროდნენ და მოეკლათ. ზამთარი იყო და გზა ერთის მეტი არ იყო, სხვა გზა არ იყო, არჩიეს საუკეთესო ცხენი. ვახშმობის დროს ერთი ახალგაზრდა შეჯდა ამ ცხენზე. ცხენის გავაზე ბაბუა შემოისვა. ზედ ნაბადი მოახვია და წავიდა სახიფათო გზით. ამდის და ახიელის შუა გზაში რომ გავიდნენ, ახალგაზრდამ თოვლში შენიშნა, სამი კაცი მიდის. ამ კაცებმაც ნახეს, რომ ცხენიანი კაცი უახლოვდება. ესენი იყვნენ ბაბუას მოსაკლავად მომავალი ჭოლიკაურები. ამათ არ უნდოდათ, რომ გზაში ვინმე შეხვედროდა, რადგან ბაბუას გააფრთხილებდა შემხვედრი კაცი: ჭოლიკაურები წამოსული არიან შენს მოსაკლავად და ფრთხილად იყავიო. რა თქმა უნდა, ის უფრო მეტად გაფრთხილდებოდა. ამიტომ, ჭოლიკაურებმა გზიდან შორს გადაუხვიეს და გაეცალნენ იქით. ცხენიანებსაც ეს უნდოდა – ვითომ არაფერი, გზაზე წყნარად გაიარეს და გასცილდნენ მტერს. ბაბუა თავის სოფელში ცოტა ხანს მიბრუნდა და იმავე ღამეს

კავკავში წავიდა. ჯღუნაის ცოლმა ეს ყველაფერი გაიგო და თავის სოფლის შელახვაზე ხუთი ძროხა ჯურუმი გამოუბა.

ჯღუნას რომ დასასაფლავებლად მიასვენებდნენ, ამ დროს თურმე ბაბუამ ჩასაცმელი ტყავი გამტვერიანებულიყო და გაბერტყა. ესეც გაუგო ჯღუნაის ცოლმა და ხუთი ძროხა ჯურუმი ამ ამბავზე დაადო. ჩემი ქმარი, მისგან მოკლული სამარისაკენ მიჰქონდათ და ის მტვერს იბერტყავდა, იმის მეტად არ ედარდებოდა მისი მოკვლაო. ვინ მოსთვლის, სხვა რამდენ ცუდ-უბრალო საქმეზე გამოუბა ჯურუმი. მამკლავი ჯურუმზე უარს ვერ ეტყვის, შეიძლება შუაკაცები ეცადონ და რამე დაათმობინონ, ან დაუმტკიცონ: რაზედაც ჯურუმი დაადვეს, ის მართალი არ არის და ვიღაცამ ტყუილი მოიგონაო, ან თხოვნით დაათმობინებდნენ.

ახლა ამ სოფელში იყო ერთი, გიორგათ მამის ახალგაზრდა – იმედა. ჭოლიკაურთ მოითხოვეს, ეგ აქედან აიყაროს, თორემ მოვკლავთო. იმედამ უპასუხა: ბაბუა მოკვეთილი გვყავს და მე ჭოლიკაურთ მამკლავად არ დაუდგები, რადგან იმასთან ძმობა გაყრილი მაქვსო. სინამდვილეში კი, როცა ჭოლიკაურთ ბაბუას მოსაკლავად წავიდოდნენ, იმედა მათ წინააღმდეგ ჩუმად ამზადებდა ტყვია-წამალს, ამას ჭოლიკაურებიც გრძნობდნენ. ბოლოს ჯღუნაის უფროსი შვილი შეხვდა გზაში და იმედას ხანჯარი დაჰკრა თავში. იმედამაც ამოიღო ხანჯარი და ორი იმდენი დაჰკრა. მე მამაშენის მამკლავთან ძმობა მაქვს გაყრილი და შენ ხათრს არ შეგინახავო. ორივენი მძიმედ დაიჭრნენ, ისე, რომ სამაშვლოები ყველა ჯვარებში ამდას და არხოტის ჯვარშიც დაკლეს. სოფლის ექიმმა ძლივს მოარჩინა. იმედა მაინც მამკლავად არ დაუდგა და არც რჯულმა გაამტყუნა, რადგან ბაბუა მოკვეთილი ყავდა. რომ გამორჩნენ, რჯული ჰქონდათ და ნაჭრევების (ჭრილობების) მიხედვით მისცეს ერთიმეორეს დრამა. იმედა თუ თავდაბლად შეხვედროდა, აუცილებლად მეთავედ დაიჭერდნენ, მაგრამ თავი გაიტანა და თავისუფალი დარჩა. ბაბუა ბოლოს „ჯვარჩი შაუჯდ" – ჭსარში. ჯვარჩი რომ შაუჯდ, ადგა და კახეთში თელავის რაიონში სოფელ ბაკანაში გადასახლდა. ჯვარში შაჯდომის შემდეგ ჭოლიკაურები კიდევ ფიქრობდნენ მოეკლათ, მაგრამ იაჭსარმა მოამიზეზა: „ჩემს კალთაში თავშამაფარებული" არისო და თქვენ კიდევ არ ინდობთო. და ბოლოს, გული ამოირეცხეს, რომ სულ აღარ ყოფილიყვნენ იმ აზრის, რომ ბაბუას რამე ავნონ. იაჭსარში სამანანულო საკლავიც კი დაკლეს, რომ ჯვარში შაჯდომის შემდეგ კიდევ ფიქრობდნენ მამკლავის მაკვლას. ბოლოს შუაკაცებმა იქამდინ მიიყვანეს საქმე, რომ პირშასამყრელო მოამზადეს იაჭსარში. დანიშნულ დღეს (საღამოს) მოიყვანეს ორი საკლავი, მოიყვანეს მამკლავიც და მოშორებით დასვეს. მოიტანეს ხუთის ძროხის დრამა „გვერდი საჯდომლო" და მიიტანეს დაზარალებულის ოჯახში, ჯურუმებიც თუ რამე იყო დარჩენილი. შუაკაცებმავე მოიყვანეს ჭოლიკაურებიც და ჩვეულებრივად დაკლეს ერთი საკლავი,

მამკლავ-მამკვდართ ორივეთ სამწყალობნოდ. მერე ლუდიანი კოდიც გახსნეს და ჯვარნი ადიდნეს ისევ იმათ სამწყალობნელოდ. მერე შუაკაცებმა ბაბუა წაიყვანეს დაზარალებულის ოჯახში. წაიღეს ერთი საწდე ლუდი, ერთი საკლავი წაიყვანეს და თორმეტი აბაზი ვერცხლის ფული პატივად, ექვსი აბაზი ზღუბლზე ფეჭის გადადგმისა და იმ ოჯახში შესვლის პატივი და ექვსი აბაზი იქიდან გამოსვლისა და ზღუბლის ისევ გადმოლაჭვის პატივი.

ბაბუა სახლში შესული ძალიან იხათრებოდა. საკლავი დაკლეს, მოვიდა ჯღუნაის ცოლი, მხარზე ხელი მოჰკიდა, წაიყვანა და სკამზე დასვა და უთხრა: „ჩვენ კა მეზობლობაი გვქონდ, კეებ ვიყვენით ერთმანეთსთან. ეს მაუჭდ ბედსად წერას. ალბათ, ჩემ ქმარსაც ეგრ სიკვდილ ეწერა-დ, არც შენ ხარ გახარებული, შენაც ეგ დაღონება თუ გეწერ. გასწირი სახლ-კარი, მთაბარი, მიწა-წყალი-დ სხვაგან გადაიკარგი. აქამდინ კი არას ვინაღვლიდი რო მაეკალ ვისა-დ, აღარც შენ გევლ მზეზე, ეხლა კი აღარ მინდ შენ სიკვდილი, საკმაო დაიტანჯი. შენაც მაგივ თავის დღეი, მიაცა-დ, სხვასაც ყველას". ამ სიტყვების შემდეგ ლუდიც დაალევინა. ბაბუა ხმას არ იღებდა ხათრის გამო და ვერც დაიგვიანა იქ. მალე გამოვიდა და შუაკაცებთან ერთად ჯვარჩი წავიდა. აქაც დიდხანს არ დაგვიანებულა, შემდეგ ნება მიეცა თავის სოფელში მოსვლისაც. როცა სტუმრად სადმე მოვიდოდა, ჯღუნაის შვილებიც წაიყვანდნენ სახლში და როგორც სტუმარს ისე პატივს სცემდნენ. ბაბუა კი ყოველთვის ძალიან იხათრებოდა და იმათ გულში კი თითქმის ცუდი განზრახვა რამე აღარ იყო იმის წინააღმდეგ.

არხოტის ჯვარში ღილღველ–არხოტივნების შუღლი

აქ მოგვყავს არხოტივნების და ღილღვლებისაგან ერთიმეორის დახოცა, რადგან ეს ამბავი მოხდა არხოტის ჯვარში, მისივე „მიზეზით". არხოტის ჯვარში ყოფილან მებეკურად ერთი კომლი ღილღველი თავისი ოჯახით სოფელ ნეთხიდან. მათ სათიბესთან ახლო ჰქონდათ სახლი (არხოტის ჯვარის გვერდზე ერთი ადგილი ყორის გალავნით იყო შემოღობილი და ამას სათიბეს უწოდებდნენ). თუმცა კი აქ არავინ არა თიბდა, შემოდგომამდინ დაცული იყო და შემოდგომაზე ერთ-ერთ დღეს სოფლის ნახირს შეუშვებდნენ შიგ და ის ძოვდა აქაურ ძალიან მდიდარ ბალახს. ამ სათიბესთან იყო მებეკურის სახლი, აქვე იყო ერთი არხოტის ჯვარის მამული, მებეკურისათვის მიცემული, ამ მამულით სარგებლობდა მებეკური (ქისტი) ღილღველი. თესავდა ქერს და კარგიც მოუდიოდა. მებეკურს ევალებოდა არხოტის ჯვარის მამულების და სათიბეების დაცვა. აგრეთვე დარბას-საქვაბეებსაც ისინი უვლიდნენ, გარდა თას-განძისა. თას-განძს კი ალბათ იმას არ ანდობდნენ და დასტურს ებარა. აგრეთვე დღეობებშიაც მებეკური დასტურებს ეხმარებოდა და

ნახევრის წილსაც აძლევდნენ. ჯვარის სათიბეებსაც მებეკური თავის სასარგებლოდ თიბდა.

ამ ქისტის ოჯახმა დიდხანს იცხოვრა აქ და ქართული კარგად ისწავლეს. რამდენიმე შვილი ჰყავდა და ქართულს სულ თავისუფლად ლაპარაკობდნენ. დიდი ხნის შემდეგ აყრილან და წასულან ისევ ღილღოს, თავის სოფელში. მათი შვილები გამოვიდნენ ჩვეულებრივ ქისტზე მეტი ქურდები. მათ, როგორც აქ დაზრდილებმა, კარგად იცოდნენ ხევსურეთის გზები, როგორც არხოტისა, ისევე ბუდე ხევსურეთისა. დაიწყეს აქედან ხარების და ცხენების პარვა. შინაურ საოჯახო ნივთებსაც იპარავდნენ, როგორიც არის სპილენძის ქვაბები, მაშინდელი საგებ-სახური და სხვა. მათ გაუძმობილდა ერთი თავაგდებული კაცი სოფელ ამღიდან, ბერდიშვილთ მამიდან გაგათ ჩაჩაური. ეს კაცი იყო არაჩვეულებრივად ამაყი, არც ღილღვლებს ეპოვებოდა და არც არხოტივნებს, ჯვარ-ჯვარისკარიც არაფრად გააჩნდა. როგორც მისი სურვილი იყო, ყველგან ისე იქცეოდა, ან სათიბში, ან სამკალში. ის რომ მუშას შეყრიდა, იმის მაგიერ რომ ეთხოვა: მუშა მყავს და მომეშველეთო, ის სოფელში დაიძახებდა: ამა და ამ დღეს მუშა მყავს და მომეშველეთ, წამოხვალთ – თქვენ იცით, არ წამოხვალთ, თქვენ იციოთ. ყველანი მიდიოდნენ მასთან დასახმარებლად; ვინც არ წავიდოდა, იმას კაი დღეს არ დააყრიდა – ან ქისტებს რამეს მოაპარვინებდა, ან სხვა რამეს ავნებდა შუღლით და სხვა. ეს კაცი ღილღვლებს უძღვებოდა წინ და ხელს უწყობდა ქურდობაში. მკითხავებიც და სხვა ხალხიც ამბობდნენ: „ეგ არხოტის ჯვარის ყმათ ღალატობსა-დ დალოცვილი მიქიელი მაგას კას არას უზამს. ისით ადგილას დაამარცხებს, რო სრუ არ ეგონას". პირში თქმას ასეთი რამისას კი იმ კაცს ვინ გაუბედავდა. ბოლოს ეს თავის ძმობილი ქისტებიც აღარაფრად ჩააგდო. ბუდეხევსურეთიდან ნაპარევი რამეები შეუჭამა და აღარ აძლევდა; მოდიოდნენ ღილღვლები და სთხოვდნენ ვალის გასწორებას, მაგრამ მან არაფერი მისცა. იქამდინ მივიდა საქმე, რომ ღილღვლებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს და ორი ძმა წამოვიდა არხოტში (გადმოცემით იციან, რომ ისინი არხოტში სულ ჭკვაზე შეშლილი მოვიდნენ. გიჟებივით იყვნენ. სულ შარზე იდგნენ – „ჯვარი აჩქარებდაო"). არხოტის ჯვარში ერთ-ერთი დღეობის ღამისთევა იყო. ჩაჩაურიც აქ სადმე მოვიდა. ის რომ აქ მოსული გაიგეს, ღილღვლებიც იქ მივიდნენ უწევლად. ღილღვლებს მოლაპარაკებული ქონდა: როცა დრო იქნება, ერთიმეორეს ვანიშნოთ და ჩაჩაური დავხანჯროთ ე. ი. ხანჯრებით მოვკლათო. დარბასში, როგორც სტუმრებს, კარგად დახვდნენ. სასმელი ღილღვლებმაც დალიეს, მაგრამ ძალიან ცოტა. ისხდა ხალხი ჯვარიონთან ერთად, სვამდნენ ლუდს და საუბრობდნენ ძველ ამბებზე. ღილღვლებმა ქართული კარგად იცოდნენ, მაგრამ ბევრ მონაწილეობას არ იღებდნენ საუბარში. ხელები ხანჯრის ტარებზე ჰქონდათ ორივეს. ბოლოს ერთმა უცბად თავის ძმას უთხრა: „ღათ მაირ (ქართულად რომ გადავთარგმნოთ: მზათა ხარ მაირო. მაირა იმ

ერთ-ერთი ძმის სახელი იყო). „დელარ ღათ” – მზათა ვარო. ეს თქმა და ხანჯლებმა სწრაფად გაიელვა და ჩაჩაურს რამდენიმე ადილას დასცეს ხანჯალი და მეორე მხარეს გააგდებინეს. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. არხოტივნებმა რომ ღილღვლებისაგან დახანჯრული კაცი ნახეს, ამათაც ასეთისავე სისწრაფით დასცეს ღილღვლებს ხანჯრები, იმათაც კიდევ რამდენიმე კაცი დაჭრეს და სამი კაცი, ორი ღილღველი და ერთი ჩაჩაური არხოტიონი მკვდრები დაეცნენ. ეს პატარა დარბასი სისხლით შეიღება. მკვდრებისას დაჭრილების სისხლიც დაემატა.ვინც უჭირვლად გადარჩა, იმათ ასწიეს მკვდრები და გარეთ გამოიტანეს (ამის შემდეგ აიკრძალა დარბასში ჯვარიონთა გარდა კაცის შეყვანა). აღარც დარბასის კარში გააჩერეს, ქისტები შორს გაიტანეს, დაასვენეს და ზედ ნაბადი გადააფარეს. ჩაჩაურიც დაასვენეს და ნაბადი დახურეს. ამღაში ამავე ღამეს გაგზავნეს კაცი და ჩაჩაურის სიკვდილი შეატყობინეს. მოვიდა ხალხი და წაასვენეს. მეორე დღეს ღილღოსაც გაგზავნეს კაცი და მაირას და მისი ძმის სიკვდილი შეატყობინეს. მოვიდნენ ღილღვლები და ხალხს უსაყვედურეს: თქვენი სტუმრები იყვნენ, ან კაცი რად მოაკვლევინეთ, ან ისინი რად დახოცეთო. ხალხი ბრალს იხდიდა და მათ აბრალებდა. ეს ასე მოხდა, მაგრამ ამის შემდეგ მოსისხლეობა ღილღვლებსა და არხოტივნებს შორის უფრო გაძლიერდა და ორივე მხარეს ბევრი მოკვდა ერთიმეორისაგან. ამ დახოცის მიზეზად კი არხოტის ჯვარისად შაცოდებას აწერდა მაშინდელი ხალხი. მან „უბირკვლა და ერთიმეორე დაახოცინაო”.

ეს სისხლის დაღვრა მოხდა ღამით, თითქმის შუაღამის დროს. როცა მკვდრები იქიდან გარეთ გამოიტანეს, თვითონაც ყველა ხალხი და ჯვარიონნიც გარეთ გამოვიდნენ. ჯვარიონთ დარბასი დაკეტეს და სადიასახლისოში გავიდნენ. დარბასის კარში ერთი დასტური დარჩა ყარაულად. დილით, რომ გათენდა, დასტურებმა დარბასიდან კაცის სისხლი მიწიანად გამოხვეტეს, ახალი მიწა შეიტანეს და ქაზდარს ის დააყარეს. წყალი დაასხეს და გატკეპნეს. დარბასის დანათვლამდინ ჯვარის რიგი არ უყენებია. ვინც ამ შუღლში იარაღით მიიღო მონაწილეობა, იმათ მოიყვანეს წელგამოვლილი ვერძი და დარბასი დანათლეს. მერე შეასრულეს ჯვარის რიგის წესები: ჟამის წირვა და სხვა. მერე, ჯერ ჯვარიონთ გადაწყვიტეს, რომ დარბასში ჯვარიონთ გარდა სხვა კაცი არ შემოსულიყო. მერე, სოფლიდან და თემიდან დაიბარეს უფროსი კაცები და მათ გამოუცხადეს თავისი გადაწყვეტილება: „დარბასში ხალხ რო შამადის, ხო ვერ იზამ ისრ რო მასულს კაცს სასმელ არ შაასმივ. ითვრების ხალხი-დ აი, რაც ვნახეთ, ეგ უბედურება მაზდევს. ეს ჩვენაც ჯვარს გვაცოდვებსა-დ, ვინც აქ კაცის სისხლს დაღვრის, ის ხომ ნიადეგ კას აღარას იქამს. კაცის სისხლზე მიმრევ რაიასა-დ დარბასი სისხლით ივსების. აი ამით გადავსწყვიტეთ, აქ გარეშე ხალხი ნუღარ ივლის”. დათანხმდა ყველა, მერე სადიდებელი დადგეს და დაარისხეს

ის, ვინც დარბასში უწევლად შევა. დაარისხეს ისიც, ვინც აწევს და დარბასში შეიყვანსო. ამ დღიდან იყო აკრძალული არხოტის ჯვარის დარბასში ნაწევი ხალხის შეყვანა. ეს გადაწყვეტილება თაობიდან თაობებზე გადადიოდა, მაგრამ ხალხს თანდათან მიავიწყდა და დაიწყეს შესვლა. მაგრამ თუ ვისმე რამე ხიფათი მოუვიდოდა, ბრალდებოდა დარბასში სიარულს. ამ ამბავზე წინ აწერილი ბერდიას და გიორგას შუღლიც დარბასში სიარულს დააბრალეს. არხოტის ჯვარის დარბასში სიარული კარგად არავის წაუვაო – ტყოდნენ შუღლისათვის გარედან მაყურებელი ხალხნი.

ღილღველ ანდარუყოს და მისი ორი ამხანაგის დახოცა

ეს ამბავი მიაწერეს არხოტის ჯვარს და სხვა ხევსურულ ხთიშვილთ, რადგან იმათ ყმათ ღალატობდნენ და ურჯულოთ იმათ საყმოში ხელს უმართავდნენ ქურდობაში. ამიტომ გვინდა ეს მომხდარი ამბავი მოვიყვანოთ. არხოტში იყო ხუთი სოფელი: ჭიმღა, კვირიწმიდა, ახიელი, ამღა და კალოთანა. პირველი ოთხი სოფელი ერთიმეორესთან ახლო-ახლო იყო და მეხუთე სოფელი, კალოთანა, უფრო მოშორებით კალოთანის ხეობაზე. მათ ქისტები ახლო ჰყავდათ უფრო. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ერთი გვარის ხალხნი: ქიბიშაურები. ქიბიშაურები კიდევ ორ მამად იყოფოდნენ: ხირსილნი და სოფარანი. ეს ხალხნი იყვნენ ძალიან ამაყი და თავმომწონე. უფრო მეტად ხირსილნი ამაყობდნენ. ხირსილთ მამაში ორნი ძმანი იყვნენ: გიორგი და კვირიკა, სიმამაცით და ვაჟკაცობით სახელგანთქმული. ორივე ძმას ისეთი ხუჭუჭი თმა ჰქონდა, რომ სულ დაგრეხილი და ამიტომ მათ კრავლიანათ ეძახოდნენ (კრაველი ბატკნის მატყლს ეწოდება და იმას ამსგავსებდნენ მათ თმას). ეს ძმანი სახელგანოქმულნი იყვნენ როგორც ხევსურეთში, ისევე ღილღოსაც. ღილღვლებში ვინც უფრო ვაჟკაცი და ქურდ-ყაჩაღი კაცი იყო, ყველა მათი ძმობილი და ნაცნობ-მეგობარი იყო (მაშინდელ დროში ღილღოსაც და ხევსურეთშიც ასეთ ხალხს აქებდნენ). ღილღოსაც იყო ერთი ქურდობა-ყაჩაღობით და ყოჩაღობით სახელგანოქმული კაცი სოფელ ნეთხაში – ფარეშაის შვილი ანდარუყო, გვარად მარსაგოვი. ნეთხა არხოტთან ახლო იყო სხვა ღილღოზე მეტად. ანდარუყოს და კრავლიანათ კარგი განწყობილობა ჰქონდათ და ხშირი სტუმრები იყვნენ ერთი-მეორისა. ანდარუყო მათ უწყობდა ხელს ღილღოდან ჭარ-ცხენის გამორეკაში და ისინი ხევსურეთში უწყობდნენ ხელს მას. ბოლოს ანდარუყომ რაღაცა ნადავლი შეუჭამა. აღარ მისცა კრავლიანათ. ისინი თხოვდნენ მოგვეცი, ჩვენი ხვედრი ნადავლიო, მაგრამ ანდარუყო არ ეპოვებოდა და მიცემაზე უარს ეუბნებოდა. ბოლოს მათ გადაწყვიტეს, არ აპატიონ ამ ურჯულოს და სამაგიერო გადაუხადონ მას.

ზაფხული იყო და მთებში ცხვარი იყო მოსული. კალოთანელთ საძოვარი მთები ბევრი ჰქონდათ და ერთ-ერთი მთა გაქირავებული ჰქონდათ უძილაურ

ფშაველზე, ჯლუგა ჩორხაულზე. ჯლუგას ბევრი ცხვარი ჰყავდა და ხევსურეთის მთებს ქირავნობდა საზაფხულო საძოვრად. ეს ამბავი ღილღვლებმა გაიგეს, რომ კალოთანის მთაში ფშავლის ცხვარი იდგა და ანდარუყოს მეთაურობით სამი კაცი წამოვიდა საქურდლად. შუადამე იქნებოდა, რომ კალოთანაში მოვიდნენ და კრავლიანათას მივიდნენ. კვირიკამა და გიორგიმ ღილღური ენა კარგად იცოდნენ, გამოეგებნენ და სახლში შეპატიჟეს სტუმრები. იმ ღამეს კარგად დაუხვდნენ და მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. ანდარუყომ დაუფარავად უთხრა: ფშავლის ცხვარი უნდა მოვსხლიტოთ და გავლალოთ; ვინც ძალზე დაგვიდგება, მოვკლავთო. კვირიკამ და გიორგიმ ჩუმად მოილაპარაკეს, ამას აქ ჩვენ სახლში ვერაფერს დაუშავებთ, რადგან სტუმარია და სირცხვილია ვერშენახვა; დაპირდნენ, ხვალ წავიდეთ, ჩვენ გამოგყვებით და ხელს შეგიწყობთო. ერთიმეორეს კი უთხრეს, ამის ჯავრს იქ ამოვიყრით, რომ კაცად არ ჩაგვყარნა და ვალი დაგვხუთაო.

მეორე დღეს საღამო ხანზე წავიდნენ კალოთანის მთაში ადგილობრივ წყაროსთავს. ღამდებოდა, რომ ჯლუგაის ბინაზე მივიდნენ (კრავლიანათ მოითათბირეს: წყემსებს რომ დაეძინება, მაშინ მოვსხლეტთ ცხვრის ფარის ნაწილს და გავლალავთო. თქვენ როგორმე წყემსებს გზა-კვალი აურიეთ, რომ მალე არ დაგვედევნონო). ბინაზე რომ მივიდნენ, ჯლუგა მოეგება სტუმრებს. ღილღური ენა მან არ იცოდა; გიორგის და კვირიკას თარჯიმანობით ამბავი ჰკითხა და ესაუბრებოდა მათ (გიორგიმ და კვირიკამ თავისი ბიძაშვილი ჭაბუკათ გიორგიც თან წაიყვანეს და თავისი განზრახვაც გააცნეს მას). ჯლუგა სტუმართმოყვარე კაცი იყო, ბინაში ხორცი ბევრი ჰქონდა, მაგრამ მაინც ერთი საუკეთესო ვერძი დაიჭირა და სტუმრების პატივსაცემად დაკლა. ღილღვლები ქრისტიანი კაცისაგან დაკლული პირუტყვის ხორცს არ ჭამდნენ და ვერძს თვითონ ანდარუყომ გამოსჭრა ყელი. ხორცი მოხარშეს და ივახშმეს. ანდარუყომ უთხრა: ჩვენ მოვედით ცხვრების საყიდლად და, რამდენიც შეგიძლიანთ გაყიდოთ, ჩვენ ვიყიდითო. ჯლუგამ უთხრა: ეხლა ხომ ღამეა, რა იქნება და დილაზე ვნახოთ, რამდენიმეს, თუ ბევრს ვერა, ცოტას მაინც მოგყიდითო. ღილღვლები ნაპირზე გავიდნენ და ერთად დაწვნენ. ფიქრობდნენ, ამით მოატყუებდნენ მეცხვარეებს; როცა ისინიც დაწვებოდნენ და დაეძინებოდათ, მაშინ მოიპარავდნენ ცხვრის ნაწილს; თუ ვინმე გაუგებდა და წინააღმდეგობას გაუწევდა, მოკლავდნენ. მაგრამ, კალოთანელებმა ჯლუგას გააგებინეს მათი ბოროტი განზრახვა; მოითათბირეს და გადაწყვიტეს მათი დახოცვა.

ჯლუგას აინალი თოფი ჰქონდა, ბერდენკის მსგავსი. ჭაბუკათ გიორგას ქართული კაჟიანი თოფი ჰქონდა. კვირიკას და გიორგის კი სასროლი იარაღი იქ არაფერი ჰქონდათ. ქისტები სადაც დაწვნენ, ოთხივე კაცი მიიპარა ახლო და ნაწოლებს გვერდიდან თოფები ესროლეს, თან ხანჯლებით მივარდნენ და დახანჯრეს ორი დაჭრილი ღილღველი. ანდარუყოს ტყვია ყბაში მოხვდა და ქვედა ყბა მოაგლიჯა.

იგი ასეთი მძიმედ დაჭრილი, ისევ წამოხტა და გაიქცა, ჭაბუკათ გიორგი წამოეწია და ქართული თოფი მოქნეული დაარტყა თავში. თოფი ორად გატყდა და ანდარუყო დაეცა. მიყვა მარტიას გიორგიც (კრავლიანა), ხანჯალი დასცა ბეჭში და იმანაც იქვე სული დალია. ახლა საჭირო გახდა ამ ამბის დამალვა, რომ თავ-სისხლი არ დაედოს ღილღვლებისა; აიკიდეს მკვდრები ზურგზე იმავე ღამეს, წაიღეს და შორს ქვიშაში დამარხეს. ზედ ბევრი ქვიშა გამოაქანეს. ჩამოვიდნენ და სისხლიც მოაშორეს იმათ დანახოც ადგილზე, ზედ ახალი მიწა დააყარეს იმათ ნასისხლარს. გაიარა კარგა ხანმა და ქისტები აღარ დაბრუნდნენ. მოვიდა ანდარუყოს მამა ფარეშა და დაიწყო მათი ძებნა. კრავლიანათ უთხრეს: შენი შვილი ანდარუყო და მისი ამხანაგები პირიქით ხევსურეთში წავიდნენ ცხვრების სავაჭროდაო. ფარეშა და სხვა, მისი შვილის ამხანაგების პატრონები ბუდე ხევსურეთშიც წავიდნენ მათ საძებრად. მაგრამ წყაროსთავ ქვიშაში დამარხულ ღილღვლებს სად იპოვიდნენ. იმ ღამეს თოფის ხმა გაიგონეს სოფელ ამღის მცხოვრებმა მემთეებმა და ამის გამო მითქმა-მოთქმა დაიწყო. ეჭვი აიღეს, რომ ისინი წყაროსთავ ვიღაცამ დახოცა მაშინ, როცა თოფის ხმა ისმოდაო. ეს მითქმა-მოთქმა ჯლუგამაც გაიგო, ღილღვლების შიშით ცხვარი აჰყარა და წავიდა ფშავში. ღილღვლები და ხალხი ამ ამბავმა უფრო დააეჭვა და კრავლიანათაზედაც ეჭვი ეპარებოდათ, რადგან მათი მნახველი, ე.ი. ქისტების მნახველი, სხვა არავინ აღმოჩნდა. როგორც იყო და როგორც არა, კრავლიანათ ვისღაცა ასწავლეს, რომ ისინი ამა და ამ ადგილზე ქვიშაში დამარხულები არიანო. მოვიდნენ ღილღვლები, ამოთხარეს სამი მიცვალებული და წაიღეს თავის ქვეყანაში. კალოთანელნი მთლიანად კი არ გამოტყდნენ მათ დახოცვაში, ისინი ამბობდნენ, მეცხვარეებმა დახოცესო, მაგრამ ხალხმა მაინც გაიგო საქმის სინამდვილე და კალოთანლების მტრებმა ღილღვლებსაც უთხრეს. კალოთანელნი მთელი სოფელი აიყარა და გადასახლდნენ კახეთის ტყეში, ახმეტის რაიონში. იქ ტყე გააველეს და დაბინავდნენ ადგილობრივ ასხაბარში. აქაური ადგილი ამღაში მცხოვრებლებს მიჰყიდეს, მაგრამ ღილღვლებმა დაიწყეს დავა: ამ ადგილში ჩვენი სამი ვაჟკაცი მოკვდა, ამიტომ სოფელი აიყარა და ადგილი იმ კაცის თავებში ჩვენთვის დარჩაო. ამ ადგილის მყიდველი ერთი ამღიონი, ახვათ ბეწინა, კიდეც მოკლა ანდარუყოს ძმამ, ფარეშაის შვილმა ოსიმ. ოსი უთვლიდა ამღივნებს: მაგ ადგილს თუ თავი არ დაანებეთ, ყველას მოგკლავთ, ვისაც იქ მოგასწრობთო. ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ადგილის გულისათვის ჩაუსაფრდნენ და მოკლეს ახვათ ბეწინა, ამღაში მოწინავე კაცი; მერე, ბეწინას შური იძიეს და ბეწინაის ახლობლებმა მოკლეს ნეთხელი ღილღვლელი, სიროღაის შვილი ისა; მერე კიდევ, ბეწინაის ახლობელმა ხომიზურათ ბაბუამ მოკლა ჩარგეზათ ნეთხელი. ეს სისხლი ძალიან გაბევრდა და ორივე მხარეს ბევრი მოკვდა ერთიმეორის ხელით.

კალოთანელთაგან მოკლულ ანდარუყოს დარჩა ორი ვაჟიშვილი. მაშინ სულ პატარები. უფროსი იყო ინალი, მეორე ალბერდი. წამოიზარდნენ. ინალი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და ალბერდი მამას გაცილებული ყაჩაღი. არხოტივნებს ზამთრის გზა კავკავისაკენ ჰქონდა. ღილღოს გაივლიდნენ და იქიდან გადავიდოდნენ კავკავში. ალბერდი თითქმის სულ გზას ყარაულობდა და მგზავრებს უხვდებოდა. მამაჩემი არხოტივნებმა მოჰკალით, ჩვენ დაგვაობლეთ, ეხლა გავიზარდე და თქვენზე შური უნდა ვიძიოვო, ან წელიწადში კომლზე თითო ცხვარი მომეცით, თუ არადა, ამ გზაზე არავის გაგიშვებთ, ყველას დაგხოცავთო. ის დადიოდა შეიარაღებული და უიარაღო მგზავრებს ძარცვავდა. ინალი კავკავში ვიღაცა რუსმა მოკლა და სახლში დარჩა მარტო ალბერდი. შეაწუხა ხალხი. ერთ-ერთ შემოდგომაზე სოფელ ამღიდან ბერდიშვილთ მამის კაცი – მზევინარათ მინდია, ნადირობად წასული აღარ დაბრუნდა. მთელი სოფელი და თემი დადიოდა მის საძებრად, მაგრამ ვერ იპოვნეს, დაზამთრდა კიდეც და დაანებეს თავი ძებნას. ღილღოსაც ეძებეს და იქიდან ეჭვად გაიგეს, რომ ღილღვლებისაგან უნდა იყოს მოკლული და წყალში ჩაგდებული. გაზაფხულის პირზე არხოტის ჭალას, ადგილობრივ ამჟორიტეს, წყლის პირზე იპოვნეს ერთი ხელი, მიძებნ-მოძებნეს და წყალში ნახეს მისი გვამი – მგლებისაგან თუ სხვა ნადირისაგან განადგურებული, აღარც ხელები ჰქონდა ზედ და აღარც ფეხები. ნადირობად მიმავალს, როგორც შემდეგ გამოირკვა და ალბერდმაც აღარ დამალა, ალბერდი შეხვდა ორი ამხანაგით, არხოტისაკენ კაცის მოსაკლავად მომავალი. ესროლეს და მინდია მძიმედ დაჭრეს, ცოცხალ-მკვდარს ზურგზე დიდი ქვა დააკრეს, რომ წყალში ჩაძირულიყო და გადააგდეს არხოტის წყალში (ასაში). მთელი ზამთარი წყალში იყო და გაზაფხულზე იპოვნეს. მოკრიფეს სხეულის ნაწილები, მოიტანეს და არხოტში დამარხეს. ამ ამბის შემდეგ წავიდნენ ბერდიშვილები და კიდევ სხვა ღილღვლები დახოცეს. ამ ამბავზე რაც მოხდა, ყველა შორს წაგვიყვანს.

ანდარუყოს მოკვლაზე კალოთანელებს საქებ ლექსებს ეუბნებოდნენ. მაგრამ ისინი თვითონ გადაიხიზნენ და ხათაბალა სხვა ხალხს გაუხდა. კალოთანლებისად ნათქვამი მაშინდელი საქები ლექსებიდან მოვიყვანთ ზოგიეროს:

I ლექსი

წამავლენ ნასირივლები, შამაიარნეს გ ზანიო.
მაუვლენ ანდარუყოსა: დიჩინ გვიჭირე მჭარიო.
ემზადა ანდარუყოი, იწროდ გაბანდა ჯღანიო,
უბეს ჩაიდვა სუდარი, ჯალაფთ დასწერა ჯვარიო.
წამავლენ ეასაარხვატოდა, შამოიარნეს გ ზანიო.

კალოთანაში მავიდეს თვალშუაღამის ხანიო.
გამაეგებნეს ხირსილნი, მარტიაის შვილნ ძმანიო,
ღილღურად ხკითხეს ამბავი, დაიწყეს საუბარიო,
ეტყოდა ანდარუყოი: ფშავლებს სად უდგას ცხვარიო?
ვიდინათ ანდარუყოო, აღარა ბევრნი გზანიო.
კალოთანის ჰორჭ ავიდეს, ცხვარ-წყემსს დაავლეს თვალიო.
გიორგიმ ანდარუყოსა არ მისცა ომის ხანიო,
მაგ კვირიკაის ხანჯარმა აისხა სისხლის ცვარიო.
გამადიოდა ღვედრაი – ქიბიშაური ვარიო!
ვინ იყავ, ენა ვის გაგკმა, ჰორჭში დგას ცოდობრალიო?
სალექსოდ გამამიგზავნეთ, ტერღულის ჯიჭვის რქანიო.
გავაწყვნა ბედლის ყორესა, შორით ემბოდას თვალიო.
მე თქვენსა ქებას არ მავშლი, სადაც დასხდების ჯარიო.

II ლექსი

ცდა უნდა აეგეთაი – მანდ რო კრაველან ცდიანო (ცდა: ომი, ბრძოლა),
ოჭშამთ წინ, ოჭშამთ უკენა საბაკეს* სისხლით სვრიანო
გიორგიმ კრავლიანამა ომი არ დააგვიანო,
მაგ კვირიკაის ხანჯარმა გალოზე გაიჭმიანო.
გიორგიმ ჭაბუკათამა თოფ წვერით მაიტრიალო,
რას სწყალობს მგელაის თოფსა, ნამტვრევნი გადადიანო,
ჯლუგამა ფშავლის გაზრდილმა, აინალ დააძგრიალო,
ორთ ერთუცს აფარებიებს, რაით დაჭვრიტნა ტყვიამო.
ფარეშათ ანდარუყომა ცივ-ცივაც წამაიარო,
რაი ხკრეს ანდარუყოსა, ლაშნი რო გვერდზე ღბიანო.
სატყავენ გააყრევივნეს, მარტიას არ უცვიანო.
გიორგი ეუბნებოდა: ერთს ტყავს ჩემობა ხქვიანო.
დედუნაისად მინდოდა, ტყავთ საჭელნ არ უბიანო.
წყაროსთავისკე გასწიეს, ჭარნი უღელში ღბიანო.
ზედ დააყრიან ქვიშასა, დაბრუნდეს, ჩამადიანო.
აეგ ლექს გამაგიგზავნათ ღულით ბაბილის ნიამო.

ასეთივე საქები ლექსები სხვებიც იყო კალოთანელთათვის ამ საქმეზე. მაშინდელ ხალხში დიდი სახელი დაიმსახურეს ამ ქისტების დახოცით, მაგრამ იმასაც ამბობდნენ:

---

* საბაკე – ადგილის სახელია.

ჭევსურეთის ხოიშვილთ უბირკვლეს (ბირკოლი//ბირკვლა - მარცხი, უბედურება) იმათ ყმათად ღალატზედო. ჭევსურეთს ღალატობდნენ და აქედან ნაპარევი მიუდიოდა ღილღოს და ამას რა ხოიშვილნი მოიწონებდნენო. ახლა ღილღვლები კალოთანელთ ხელით დაიხოცა და არცარას კალოთანელნი გაიხარებენო. მარტიათ გიორგის ცოლ-შვილი დაეხოცა და მისი ძე არ დარჩა. კვირიკაისა ერთი შვილი დარჩა და ბევრი კარგი არც რამე იმას აყრიაო. ფარეშაის შვილმა ოსიმ ერთი გუდამაყრელი წყემსი მოკლა ანდარუყოს სისხლზე. ანდარუყოს მოკვლის მონაწილე იყო ფშაველი ჩორხაული ჯლუგა. ეს ამბავი მის ბინაზე მოხდა და მას აქეთ იმას არხოტის არემარე არ გაუვლია, რადგან ეშინოდა. მაგრამ გუდამაყრელებმა არ იცოდნენ, თუ ფშავლის დანაშაულზე გუდამაყრელს მოკლავდნენ; გუდამაყრელებიც არხოტივნების მთებს ქირავნობდნენ საზაფხულოსაძოვრებად და ცხვარი გადმოუდიოდათ. აქ, ტანიეში ერთი კარგი საძოვარი ადგილი იყო და ამ ადგილში იყო გუდამაყრელთ ცხვარ-ბინა, ადგილობრივ მთას ტანიეს. ოსი ნეთხიდან შურის საძებრად წამოვიდა, დღისით საძოვარზე გაშლილ ფარაში ერთ მწყემსს მიეპარა და ტყვიით მოკლა. თვითონ გაიქცა და წავიდა ღილღოს, არხოტივნების დახმარებით მოკლული მწყემსი გუდამაყარში წაასვენეს.

ჯღუნათ მიხიელისაგან თავის ძმის გამიხარდის მოკვლა

(ჩამაწერინა გიგი წიკლაურმა. 50 წლისამ. სოფელი ამდა)

ჯღუნა იყო სოფელ ამღიდან, წიკლაურების გვარისა, ჭოლიკაურთ მამის კაცი. ჭოლიკაურებზე ამბობდნენ: როცა თათრები საქართველოში თარეშობდნენ, მაშინ ერთი კოჭლი თათარი აქ დამრჩალა და ჭოლიკაურნი იმაზე გამრავლებულანო. როცა ამდაში წიკლაურების გვარი გამრავლებულა და ჭოლიკაურნი ცოტანი ყოფილან, მაშინ უკაცურობის გამო ისინიც წიკლაურებს მიეკედლენ და მათ გვარზე დაწერილან. დღესაც ისევ უკაცურად არიან. მხოლოდ ერწოში კი ჰყვანან თავისი ახლო ბიძაშვილები, რომლებიც ხანდახან მოდიოდნენ ათენგენას. მართლაც ჭოლიკაურთ მამის კაცნი სახით თათრებსა ჰგვანან და მამაცი ხალხნიც არიან.

როგორც ვთქვით, ამათ მამაში იყო ჯღუნა კიბალაურის შვილი, მაშუღლარობით და მამაცობით სახელგანოქმული. ჩვენ ზემოთ აწერილი გვაქვს: ხომიზურათ ბაბუაისაგან ჯღუნაის მოკვლა. მას დარჩა ორი ვაჟი და ორი ქალი ობლები, ერთმა ქალმა თავი მოიკლა, ერთი გათხოვდა. სახლში დარჩნენ დედა და ორი ვაჟი მიხიელი და გამიხარდი. ორივენი დაცოლშვილდნენ და გაიყარნენ. ხევსურეთში მშობლებმა „გაკვირაება" იცოდნენ: ერთ კვირას ერთ შვილ-რძალთან იქნებიან, მეორე კვირას მეორე შვილთან და რძალთან და ასე შემდეგ. ერთ ძმასაც პატარა შვილები ჰყავდა და მეორესაც. ოჯახში კაცი იყო საჭირო მოსავლელად პატარა შვილებისა. უფროსი

შვილი მიხიელი იყო ძალიან ჭკვიანი და წყნარი კაცი. დედა უფრო მეტ დროს იყო მიხიელთან. ანჩხლი და შარიანი გამიხარდი ამაზე ბრაზობდა. ხშირ შემთხვევაში დედასაც ეჩხუბებოდა და ძმასაც: დედა ჩემიც არის და რატომ უნდა იყოს მეტ ხანს მიხიელთანაო. ამ საკითხზე მათი ოჯახი ბევრჯელ აქოთებულა და არეულა, მერე ისევ მიხიელი მოეფერებოდა და დამშვიდდებოდნენ. ბოლოს გუროდან სტუმრები არყით მოუვიდნენ, თორელი და სხვები. მათ მოიტანეს ქინთებით (ტიკები) ბევრი არაყი. როგორც ვიცით, ხევსურებმა ძალადობა იციან არყის და ლუდის სმაში, კისერზე ხელს მოხვევენ და ძალით დაალევინებენ. ეს პატივისცემად ითვლება. ისეც სმის მოყვარული ხალხი დაითვრნენ, ნამეტნავად, გამიხარდი და ისევ დედის თაობაზე ძმას აუტეხა შარი. მიხიელი უთმენდა. ბოლოს გამიხარდიმ თავის უფროს ძმას მიხიელს ცემა დაუწყო და დაასისხლიანა. სამამაცოს ეკიდა სტუმრების თოფები. ჯერ მთვრალმა და ახლა მოთმინებიდან გამოსულმა მიხიელმა მოავლო ხელი ერთ-ერთ სტუმრის თოფს, მთვრალმა ხალხმა დროზე ვერ დაიჭირა ეს კაცი, მოუბრუნდა და გამიხარდის ესროლა. „რაად მამკალი" – ეს კი სთქვა გამიხარდიმ, იქვე დაეცა და მოკვდა. მიხიელმა თოფი წვერით თავისაკენ შეაბრუნა, უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ აღარ დაანებეს და თოფი ხელიდან წაართვეს. მიხიელი გავიდა სახლიდან და სოფლელებმა თავის სახლში წაიყვანეს, თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ იარაღს უმალავდნენ. მე ცოცხალი ჩემგან დაობლებულ, ჩემის ძმის ცოლ-შვილს აღარ ვნახავო – ამბობდა და ტიროდა. გამიხარდის დარჩა ცოლი, ერთი ვაჟი და ერთი ქალი. შვილები პატარები იყვნენ, თორემ ხევსურეთის რჯულით, რიგის ყენებას მოითხოვდნენ; მაგრამ გამიხარდის ცოლმა თქვა: ან ჩემი რა საქმეა და ან ჩემი შვილებისა, ძმამ თავისი ძმა მოკლა და მაგას ჭირად თავისი დარდი ეყოფა, როცა თავის ძმისწულებს თავისგან დაობლებულებს ნახავსო. მოვიდეს და მე, როგორც ვიყავი მაგასთან, ისევ ისე რძალი ვიქნები, მიპატრონდეს, თავისი ძმაც თვითონ დამარხოს და ობლებსაც პატრონობა გაუწიოსო. ეხლა შუაკაცებმაც შეაგულადეს და მიიყვანეს ისევ თავის სახლში. ბევრს ნანობდა, ტიროდა, მაგრამ ისევ თვითონ დაასაფლავა თავისი ძმა. რძალი ისე ექცეოდა, ვითომც სულ არაფერი მოხდა. მან პირველ ნახვისთანავე უთხრა: ჩემი საქმე არ არის, შენ შენი ძმა მოკალი, ჭირიც შენია და ლხინიც, სახელიც და სირცხვილიც. მკვდარსაც შენ უნდა უპატრონო და იმის დანარჩენ ოჯახსაცო. ეს ქალი ძალიან წყნარი და ჭკვიანი იყო, თორემ სხვა ქალი სოფელში არ მოუშვებდა და არც ხმას გასცემდა, შვილები როცა გაეზრდებოდნენ, რიგსაც აყენებინებდა, მაგრამ ეს ასე არ მოიქცა. მიხიელმა და მისმა რძალმა, აგრეთვე დედამ, გამიხარდი ჩვეულებისამებრ დაასაფლავეს. ხარჯები გადაუხადეს და დაიწყეს ისევ ცხოვრება. მიხიელი პირველ ხანებში დარდისაგან გადარევამდინ მივიდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია და დამშვიდდა; თავის ძმისწულ პატარა აბიკას

(აბიკა სახელია) ლოგინში თან იწვენდა და ხშირად ეტყოდა: „ბუძია მაგიკვდას, როს გაიზრდებ იმოვენ, რო მამის მამკლავ მახკლ თავის ბიძაი. შენ ბიძამ შენ დაგაობლ, არცად თავ მაიკლა-დ შენ მაინც აგებ მახკლ წყეულ შენ ბიძაი". ძალიან ხშირად ესაუბრებოდა თავის ძმისწულს ასეთი სიტყვებით. ცხოვრება გამიხარდისავე სიცოცხლეში ჰქონდა გაყოფილი, ახლაც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ ქვრივ-ობლებს მაინც დიდ ყურადღებას აქცევდა. ასე გაიზარდნენ გამიხარდის ობლები. მხოლოდ დედა ყოველთვის აფრთხილებდა: ბიძას ნურას აწყენთ, მაგან თავის ძმა მაკლ, თავის გულ ეყვ. ეგ მაინც თქვენ ბიძაი. ეგ თქვენ იქავ გიპატრონებსთო. ეგ რო არ გყვანდასთ, თქვენ, ობლებს ყველა დაგჩაგრავსთ". ასეთი შთაგონებით აღზარდა დედამ თავისი შვილები. მაგრამ აბიკა (გამიხარდის ვაჟი) როცა დავაჟკაცდა, თუ ოდნავ ვინმე რამეს აწყენდა, ბიძაშვილი ან ბიძა, ის ძალიან ღელავდა: მამა მაგათაგან მაკლული მყავ, ობოლი გავიზარდე, რიგი არ მოვთხოვე და ისევ მე მაწყენენო. ისინიც კი ძალიან ერიდებოდნენ მისთვის წყენას, მაგრამ მას ცოტა მიზეზიც აღელვებდა. ბოლოს ცუდი არაფერი მომხდარა, მაგრამ მიხიელი და მისი შვილები მასთან ხათრით იყვნენ. სისხლი არ აფუვდეს და რამე არ მოხდესო.

ალუდაურისაგან თავის ძმის ბაბოს მოკვლა

მიამბო აბაიზძე გაბურმა, 62 წლისამ, სოფ. ჭიმღაში

ალუდაური იყო გაბუურების გვარიდან. გაბუურებს ანუ გაბურებს მეორე სახელს კიდევ ეძახოდნენ – შეღმათ. შეღმანი, ეს იმიტომ, რომ ჭიმღას ერთი ხევი ორ ნაწილად ყოფს. გაბურები ცხოვრობდნენ ხევის შეღმა მხარეს, გაღმა მხარეს კი, აღმოსავლეთისაკენ, ცხოვრობდნენ სამი გვარის ხალხნი: თეორაულები, მამუკაურები და ბოლოკაურები. ამ ორ უკანასკნელ მამებს საერთო გვარი ჰქონდათ გიგაური და თავისი მოგვარეები ბლოში ჰყავდნენ. თეორაულებს და გაბუურებს სხვაგან არ ყავდა მოგვარე. ამ რუვს, ანუ ხევს გაღმა ამ სამ გვარს ეძახოდნენ „გაღმათ". ბაბო და ალუდაური იყვნენ შეღმათ მინდიაის შვილები, სხვადასხვა დედისა. მინდიას პირველი ცოლი რომ მოკვდომია, ამასთან დარჩენია სამი ობოლი. ბაბო, თათუა და ძილა. ძილა გათხოვდა, თათუა დაცოლშვილებამდინ მოკვდა. დარჩა ბაბო და გაეყარა მამას. მეორე ცოლთან მინდიას ყავდა ქალ-ვაჟი: ვაჟი ალუდაური და მისი და. ქალი გათხოვდა და ალუდაური დარჩა დედ-მამასთან. მინდია გარდაიცვალა. ალუდაურმა თავის ძმას ბაბოს უთხრა: მამა შენიც იყო და ორივემ გადავიხადოთ მისი სამარხიო. ბაბომ უპასუხა: მე რომ გაგეყარეთ, ჩემი წილი ქონება წავიღეო, მამაჩემს და შენ თავისი წილი ქონება დაგრჩათ, მამაჩემს თავისი ქონება დამარხავსო. ალუდაური მაინც ისევ დავობდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაბო მართალი იყო. დაიწყეს ამაზე ჩხუბი და უბედურება. ბაბოს თავისი ცოლ-შვილი ჰყავდა და თავისი

საკუთარი ქონება ჰქონდა, თანაც ბაბო ჭკვიანი და მშვიდი იყო და ბევრს უომენდა. ბოლოს ბაბო მოდიოდა გაღმათ სოფლიდან და ყანაში ჭიმას კრეფდა (ჭიმა საჭმელი ბალახია). ალუდაური თავის ბანზე იჯდა და თოფს წმენდდა, დაინახა თავისი ძმა და დაუძახა: შენ არამ გაგაძღო და მე გაგაძღებო და დაუმიზნა თოფი. ბაბომ დაუძახა: „რას ღმასხარაობ, ე თოფ არა გაგივარდას მიიბრუნე თოფის წვერ სხვაკე". მანამდე ამ სიტყვას დააბოლოვებდა, გავარდა თოფი და ბაბო იქვე დაეცა გულში ნატყვიარი და გარდაიცვალა. ალუდაური გაიქცა და ყაზბეგის რაიონში, სოფელ ართხმოში თავის გათხოვილ დასთან შეიხიზნა. ბაბოს შვილი დავითი მაშინ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა და ძალიან ანჩხლი და მაშუღლარი. ალუდაურს ამისი ეშინოდა – მომკლავსო. რიგის ყენება დააპირა, მაგრამ დავითმა არ მიიღო, მაგან თავისი ძმა მოკლა და მე მაგის რიგი რად მინდაო. ალუდაური ამიტომ უფრო შეშინდა, რომ რიგი სულ არ იყენა. ალბათ მოკვლას მიპირებს ჩემი ძმისწულიო. დავითმა შეუთვალა: მოდი, თავის სახლ-კარს და ადგილ-მამულს მოპატრონდიო, მაგრამ ალუდაური მაინც არ მიენდო და არ წამოვიდა ართხმოდან. მერე იქიდანაც წავიდა და თბილისში დაიწყო დღიურ მუშად მუშაობა. ერთხელ სასადილოში დათვრა და ჩხუბი ატეხა. დააპატიმრეს და ჩხუბისათვის რამდენიმე წელი მიუსაჯეს. დავითმა გაიგო და წავიდა თავის მამის მკვლელ ბიძის სანახავად და გასანთავისუფლებლად. ნახვის ნება აიღო და მივიდა მასთან. ალუდაურმა რომ ნახა, ხმა ვერ გასცა და დაიწყო ტირილი. დავითმა უთხრა: ნუ გეშინია ჩემგან. შენ შენი ძმა მახკალ. როგორც მე, შენც ისე დაგაკლდა ის კაცი, ახლა მე იქ არვინ მყავ, უკაცურ კაცი ორ, როგორმე უნდა დაგეხმარო და გაგანთავისუფლებინო, უნდა მოხვიდე იქ და ვიცხოვროთ, როგორც ბიძა-ძმისწულნი. მე შენ მეტი არვინა მყავს, არც მტერთან გვერდი დამდგომი, არც მაკეთესთანო. ალუდაური დარცხვენილი იდგა და ხმას ვერ იღებდა. მერე დავითმა მის გასანთავისუფლებლად ბევრი იწვალა და ვერაფერი გააწყო. ალუდაური ციხეში ავად გახდა და იქვე გარდაიცვალა. მერე დედაც მოკვდა; რადგან მის სახლში ქუდიანი აღარავინ დარჩა, დავითს დაინაბრდა მისი სამარხის გადახდა და წილ-ნაწილიც მასვე დარჩა თავისი ბიძისა. მერე დავითიც ხევსურებმა მოკლეს და დარჩა ერთი პატარა ბავშვი. მინდიას ჩამომავლობიდან ეს პატარა ბავშვიდა არის და მათი უძრავ-მოძრავი ქონებაც მას ეკუთვნის. ამბობენ, ამათი მამა ასეთი ბედის არის, რომ არ მრავლდებიანო. ეს ბავშვიც ჯვართ ძალით ჰყავსო, ისე არ გაივლის წელიწადი, რომ მის სამხვეწრო შვიდი-რვა საკლავი მაინც არ დაკლან სხვადასხვა ჯვარებშიო.

შინშის სისხლზე თავის შვილის მოკვლა

ჩამაწერინა სოფ. გუროში მცხოვრებმა იმედა თათიკასძე გოგოჭურმა, 76 წ.

სოფელ გუროში ყველანი გოგოჭურები არიან, მხოლოდ იყოფიან მამებად. ერთ-ერთი მამა არის ქერხოსანანი. ქერხოსანათ ბათირაის შვილმა კვირიკამ მოკლა თავისი შვილი ამავე კვირიკაის შინშის (ბიძაშვილის) მოკვლისად. კვირიკას ჰყავდა ორი შვილი: ბათირა და ხოლიგა. ბათირა უფრო სრული გონების კაცი იყო, ხოლიგა – ცოტას ნაკლები ჭკუისა. ხშირად დასცინოდნენ (ხუმრობდნენ) თავმომწონე კაცები და ეს ამას ვერ იტანდა. ხოლიგას ცოლი მოჰგვარეს და დაუწყეს ცოლის მოყვანაზე დაცინვა. დასცინოდა თავის მამიშინში წიქა, ბათაკათ ივანე და გიორგით მშაველაც დასცინოდნენ. ხოლიგამ დაცინვას ვერ გაუძლო და ცოლი დაითხოვა. მეორე ცოლი მოუყვანეს და ამ კაცებმა უფრო მოუმატეს დაცინვას. ხოლიგამ მეორე ცოლიც ისევ დაითხოვა, რადგან ვერ გაუძლო ამათ ხუმრობა-დაცინვას. მესამე ცოლი მოიყვანა და გადაწყვიტა: თუ კიდევ რამე მითხრეს, მაგ კაცებს სამივეს მოვკლავ და მერე მოვისვენებო. წიქამ ისევ დაუწყო ხუმრობა. ხოლიგამ აიღო თოფი, მიიპარა წიქაის საკომთან, ესროლა და მარჯვენა ბარკალი დაუმტვრია. თვითონ გაიქცა და თავის ლოგინში ჩაწვა. ბნელი ღამე იყო და თან გვიანი, რომ სოფელში ვერავინ დაინახა. გატყდა ხმა სოფელში, ხალხი იქ მოგროვდა, სადაც თოფის ხმა იყო. ხოლიგაც აქ მოვიდა და ის უფრო ეძებდა თოფის მსროლელს და წიქაის დამჭრელს. ვერაფერი ვერ გაიგეს, ვინ იყო დამნაშავე.

სოფელ გუროში ცხოვრობდა ერთი კანათათ მამის კაცი თორელი. ეს თორელი სახელგანთქმული იყო მაშულლარობით და სიმამაცით; მეტსახელად ეძახოდნენ მონა თორელს (შატილის ხევსურები მონას ეძახიან ავს, ცუდს, ასეთ შემთხვევაში, როგორიც არის შულლი, მონა ავკაცს, საშიშს ნიშნავს). ეს მონა თორელი და ახლად მოკლული წიქა გადამტერებულნი ყოფილან ერთიმეორეს და რაკი წიქაის მამკლავი ვერ გაიგეს, ეჭვი ქონდათ – მონა თორელს ჰქონდა მაგისი ჯავრი და ეგ მოკლავდაო. რადგან მოწამე არ იყო, არაფერს ეუბნებოდნენ, მხოლოდ ჩუმადვე აპირებდნენ იმის მოკვლას. ხოლიგას სინიდისი აწუხებდა: ის კაცი მე მოვკალი და ალალმართალი, ე. ი. უდანაშაულო, თორელი რად უნდა მოკლანო. ხოლიგამ ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა თავის ძმისათვის ეთქვა: ის კაცი, ე. ი. თორელი, უდანაშაულოა და ნუ მოკლავთო. ერთხელ ლაპარაკში ძმას უთხრა: თორელი წიქაის მამკლავი არ არის, იმას ნუ მოკლავთო. ბათირამ უთხრა: სხვა ვინ მოკლავდა? შენ თუ იცი, მითხარიო. ხოლიგამ უთხრა მე გეტყოდი, მაგრამ მეშინიან, მამას ეტყვიო. ბათირა დაპირდა, თუ სათქმელი არ არის, რად ვეტყვიო. ხოლიგა გამოუტყდა და ძმას ყველაფერი უამბო. დამცინოდა, ორი ცოლი გამაშვებინა და მესამესაც დამათხოვინებდა, მოვკალ და თავიდან მოვიშორეო.

გავიდა კიდევ დრო და ეჭვი თორელზე იყო მაინც. ერთხელ ბათირა და კვირიკა სათიბზე წავიდნენ, მამა-შვილნი. ხოლიგა იქ არ იყო. ამათ პირდაპირ თიბდა მონა თორელი. კვირიკამ უთხრა თავის შვილს ბათირას: ამ კაცმა შინში მომიკლა და უნდა მოვკლათო, ეგ ჩვენი მამკლავია და, უყურე, როგორ თავისუფლად დადის საქმის სამუშაოდაო. ბათირამ უთხრა მამას: ეგ ჩვენი მამკლავი არ არის და ცოდვას ნუ იდებ თავზედო. აბა, მაშ ვინ არისო, მითხარიო, – დაადგა თავს კვირიკა. ბათირა გამოუტყდა, უთხრა: წიქა ხოლიგამ მოკლა, ჩემმა ძმამ და შენმა შვილმაო. მოუყვა მოკვლის მიზეზსაც, რაზეც მოკლა. კვირიკამ არაფერი თქვა, წამოვიდა სახლში და შევიდა თავის ქვიტკირში. ხოლიგა სადღაც წასასვლელად ემზადებოდა და კარზე ჯორს კაზმავდა. ესროლა მამამ შვილს თოფი და ტყვია გულზე მოახვედრა. ხოლიგა დაეცა და დიდხანს აღარ უცოცხლია, დალია სული. სულის დალევის დროს, რომ წუხდებოდა, მამამ, კვირიკამ, უთხრა: იტანჯე, ჩემი შინში წიქაც ეგრე იტანჯებოდა შენ რო მოკალიო; მაგრამ შვილის მოკვლამ კვირიკაზე ცუდად იმოქმედა. ხალხი რომ მოვიდა და უთხრეს: რა ქენი, შვილი რად მოკალიო? კვირიკა უპასუხებდა: შინში მომიკლა და ეგრე უნდაო, თუმცა, ერთიც მე დამაკლდა და მეორეცო. ისე გადარეულაო, – თქვა მთხრობელმა, როცა ხალხი მივიდა და ესაუბრებოდნენ, თურმე ყალიონს სირა გამოაძრო, ყალიონი გადააგდო და ცარიელა სირას ეწეოდა, როგორც ყალიონს, ბოლი კი აბა საიდან მოვიდოდა, როცა ყალიონი აღარ იყო, მაგრამ ის ამას ვერ ამჩნევდა. შვილს როცა თოფი დაჰკრა, თურმე ხოლიგას პატარა ნაბადი ეჭირა და ის დაუვარდა, ზედ დაეცა და სისხლიც დაედინა. როცა ბევრი დრო გავიდა და შვილის მოკვლის გამო ნატკენი გული დაუმშვიდდა, მერე კი იტყოდა: „თოფ რო დავხკარ იმ უკლოს, ნაბადა ჩაუვარდ ჭელჩიითა-დ ზედ სისხლ დაედინ, რო მივედ, იმის ჭელჩი ნაჭერა ნაბადა ავიღი-დ ცუდ გულ მიყვ". თურმე იმ ნაბდის ძველს სახლში ინახავდა – ჩემის შვილის უკანასკნელს დღეს ხელში ნაჭერიაო. მაგრამ ისე კი მაინც არ ტყდებოდა, რომ ამის შესახებ ვინმე რამეს ეტყოდა, ის მაინც იმას ამბობდა: „მამკლავ – მამკლავი ას, თუნდა შვილ იყოს, თუნდა სხოი. მამკლავს მაკვლა უნდ. თუ სიკვდილ ცუდი, თაოდ რაად კლავს სხვას".

მიამბო და ჩამაწერინა მანვე, თათიკათ იმედამ, 76 წ., სოფ. გურიოში

კვირიკამ რომ თავისი შვილი მოკლა, მაგათ მამის კაცო ეგეთი ჩამომავლობა ჰქონდა. აბა, სტუმრის მოკვლაზე ცუდი რაიღ უნდა გააკეთას კაცმა. მაგ კვირიკაის მამამ, ბათირამ, თავისი სტუმარი მოკლა თავის სახლში შემდეგ ამბავზე:

ოურმე, გურიოდან ღილღვლებმა წაიყვანეს ტყვეები, ერთი ქალი და ერთი კაცი, ორივე ქერხოსანათ მამიდან, და-ძმანი ყოფილან – კაცი, საყურათ სანათიზძეი-დ იმის დაი (ქალის სახელი მთხრობელმა არ იცოდა). ქისტები იყვნენ შატილის ახლო დასახლებული. ამათ საერთო ადგილს მითხო ერქვა. ღილღვლები კი მოსახლეობდნენ არხოტის ახლო. ამათში განსხვავება არ იყო, მხოლოდ ენაში ჰქონდათ ცოტა განსხვავება კილოებში, როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გამონათქმებში არის განსხვავება. მითხოვლები ღილღვლებს არაფრად აფასებდნენ და ღილღვლები მითხოვლებს. ორივე მხარე თავისი კუთხის ხალხს მაღლა აყენებდა. ქურდობაში და ყაჩაღობაში ერთიმეორეს არ ჩამოუვარდებოდნენ. ქალები ადვილად არ თხოვდებოდნენ თავის კუთხის ხალხის გარეშე, მაგრამ ქურდობა ყაჩაღობაში კი ერთიმეორეს არ გასტეხდნენ გაგებით, ჩუმად კი ერთიმეორეს არ ინდობდნენ. ზემოთ ნათქვამი ტყვეები ღილღვლებმა წაიყვანეს, მითხო უნდა გაევლოთ, ქორაის მთაზე გადასულიყვნენ და ჩავიდოდნენ თავის ღილღოში (ქორაის მთა დაბალი გადასასვლელია და საზღვრავს მითხოს და ღილღოს. ქორაის მთიდან ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ღილღვლები მოსახლეობდნენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მითხოვლები). გურიოშატილის საზღვარზე იყო სოფელი ჯარეგო. ტყვეები ღილღვლებმა ამ სოფელში მიიყვანეს და დაისვენეს აქ. სანათიზძე, ტყვე, პურმარილიანი კაცი იყო და მითხოვლები მეგობრები ჰყავდა. ღილღვლების და ქისტების საერთო წესის მიხედვით, ნადავლს ვერ ჩამოართმევდნენ უსიკვდილოდ. მითხოვლებს სანათიზძეს დატყვევება ეწყინათ, მაგრამ ვერაფერი თქვეს. მხოლოდ სანათიზძეს უთხრეს: გაიქეცი, თუ ვერ გაიქცევი, გაგორდი მაინც და შენდ დადევნებაში ჩვენ ხელს შევუშლითო. მთელი სოფელი, კაცი და ქალი, ტყვეებთან იყო მოგროვილი. ჯარეგოს ბოლოზე ძალიან გვერდალი ბექი აქვს. სანათიზძე უცბად გადახტა და დაგორდა. ღილღვლებს ეგონა დაგორვილი მოკვდებაო, უკან დადევნებაზე ძალიან თავი არ შეიწუხეს; ახლა, მითხოვლებმაც უთხრეს, დაგორვილი პირდაპირ არლოს წყალში ჩავარდებაო. მაგრამ, სანათიზძემ სიმარდე გამოიყენა, როცა ხალხის თვალს მიეფარა, ფეხზე ადგა და შატილისაკენ გამოიქცა. დარჩა მისი და ტყვედ და წაიყვანეს ღილღოს. საჭირო იყო სახსრის მოგროვება და ქალის გამოხსნა ტყვეობიდან. საჭსარი ოცდაათი ძროხიდან სამოც ძროხამდინ იცოდნენ. როგორც მოითხოვდნენ ტყვის წამყვანები, ან როგორც შეთანხმდებოდნენ. ქერხოსანათ ამდენი შესაძლებლობა არა ქონდათ და ითხოვეს მოკეთეებში ზოგი დახმარება და ზოგი სესხად. ბათირაის შინშს ჰყვანდა

ბერდიშვილთ ქალი ცოლად და როგორც მოკეთეებთან, არხოტსაც მოვიდა ბათირა და მოკეთეებში ითხოვა დახმარება. ბერდიშვილთ მამის კაცმა, გაგათ მინდიამ შეძლებისდაგვარად გაუწია დახმარება – ზოგი რამ აჩუქა და ზოგი რამ სესხად მისცა. ამნაირად მოაგროვეს საჭსარი და მოიყვანეს ტყვე ქალი.

მეორე თუ მესამე წელს გაგათ მინდია მივიდა ბათირასთან და მოსთხოვა მიცემული ვალი. მან უთხრა, ახლა არა მაქვს და მადროვეო. ბათირას ცოლი შატილიდან კოკოთ ქალი ჰყავდა, ანჩხლი და ბრაზიანი დიაცი. მან უთხრა თავის ქმარს: შამილი შატილს ვერ ატანდა იმდენ ძალას, შენ რომ გაგათ მინდია გადგას თავზე და ძალას გატანსო. როგორ თუ ძალას მატანს, მაშ მე კაცი აღარ ვყოფილვარო!– თქვა ბათირამ, იშიშვლა ხანჯარი, დასცა წვერით მინდიას და იქვე მოკლა. არხოტში მტყობიე გაგზავნეს. მოვიდნენ არხოტივნები და წაასვენეს თავისი მიცვალებული საკაცით. ბერდიშვილებმა რიგი არ იყენეს, მხოლოდ მიწად მიტანის საკლავი დაკლეს და გვარმა და დედიძმათ წაიღეს თავისი კუთვნილი რიგი. დაიწყეს ბერდიშვილებმა შურის საძებრად სიარული. სანათიზძისად ნათხოვი ქალიც ბერდიშვილებმა, თავდაუნებები, ბლოს გაათხოვეს; გუროვლები კიდევ ბლოვლებს ემტერებოდნენ, ჩვენი ცოლი რად წაიყვანესო. ერთხელ, კიდევაც ესროლეს და მისი საქმრო ხელში დასჭრეს. ბერდიშვილებმაც ესროლეს და ვერ მოკლეს ბათირა. ბათირამ დაიკვეხა: ნისლაურის ნასრევ ფირფიელამ ვერა დამაკლოო. ნისლაური ერთ-ერთი ბერდიშვილთაგანი იყო, რომელიც ბათირაისად სროლის მონაწილე იყო (ფირფიელა ნიშნავს მსუბუქ რამეს, უფრო იმას, რომ მაღლიდან ფირფიელა თოვლი ჩამოდის). ბერდიშვილებმა დაიგულვეს, რომ ბათირა მუცუს წავიდაო. მუცუს ჭალაში შეუკრეს გზა და მოკლეს. როცა ესროლეს და წაიქცა, ნისლაურმა დაუძახა: ვერც რას ეხლა გამაგრჩა ნისლაური ფირფიელაიო? ამნაირად ორი კაცი მოკვდა. შუაკაცებმა თავი თავში გაუბარეს. ტყვის სახსრად მიცემული ვალიც ბერდიშვილებს დაუბრუნეს. ქერხოსანათ საუკენმამკვდრო ერგებოდა და რჯულმა ისიც დაუკარგა, რადგან ვალის სათხოვრად მისული, სიკეთის მოქმედი კაცი, თავის სტუმარი, თავის სკამზე მოკლა. ასე დაბოლოვდა მათი საქმე.

მიამბო და ჩამაწერინა იმედა თათიკას-ძე გოგოჯურმა.

მამად ქაცუართამ, 76 წ., სოფ. გუროში

ხევსურეთში სახელები ხშირ შემთხვევაში გადადის მემკვიდრეობით, მიცვალებულის სახელს სხვა ნათესავ-მეგობარსაც დაარქმევენ, მაგრამ მემკვიდრეობაში, უფრო ხშირ შემთხვევაში, გადადის სახელი. ავიღოთ, მაგალითად, ამას ზემოთ მოყვანილი ამბები ქერხოსანათ მამის ერთ-ერთ განშტოებაზე. ჯერ იყო ბათირა,

რომელმაც თავისი სტუმარი მოკლა, გაგათ მინდია, ისაც მოკლეს ბერდიშვილებმა. იმისი შვილი იყო კვირიკა, რომელმაც თავისი შვილი მოკლა. კვირიკას ჰყავდა ორი შვილი – ბათირა და ხოლიგა. ხოლიგა თვითონ მამამ მოკლა და დარჩა ბათირა. ბათირას ჰყავდა ორი შვილი, იმასაც ბათირა ერქვა. ამ უკანასკნელ ბათირას ჰყავდა შვილი ისევ კვირიკა, რომელიც სოფლელებმა მოკლეს და ამით დაბოლოვდა მათი ჩამომავლობა, ბევრი ცუდის და უწესო საქმის ჩამდენები იყვნენ და ამიტომ მათი გვარი (განშტოება) საბოლოოდ ამოწყდა.

უკანასკნელი კვირიკა მოკლეს თავის სოფლელთ შემდეგ საქმეზედ: სუიკათ მამის კაცი იყო მანგიათ აპარეკა. მან ცოლად მოიყვანა შატილიონი ქალი, თოთიათ თარუა. ეს თარუა ისევ შატილში, ანატორელთ ხთისოს ნაცოლარი იყო. ანატორელთა და აპარეკას დიდი ბრძოლა ჰქონდათ და ბოლოს შუაკაცებმა შეარიგეს. თარუასთან აპარეკას ვაჟიც ჰყავდა და ცხოვრობდნენ კარგა ხანს. მერე აპარეკა ციხეში მოკვდა და თარუა დარჩა ქვრივი. ამ თარუას მაზლის, ტუჩას, ცოლიც ქვრივი იყო (ის ძმები ორივენი დაიხოცნენ ციხეში). ტუჩას ცოლმა თავისი მაზლის ცოლი დაუახლოვა ზემოთ დასახელებულ ქერხოსანათ ბათირათ კვირიკას. ჯერ ისე მეგობრები იყვნენ და ბოლოს კვირიკამ ცოლად წაიყვანა და მითხოში გაიქცა. ხევსურეთის წესით, ცოლი მანამ ქმრის სახლში არის, გათხოვება არ შეიძლება. თუ ვინმემ ქმრის სახლიდან წაიყვანა ქვრივი, ან ქმრიანი ქალი, ის უეჭველად უნდა მოკლან, ან სამუდამოდ შერცხვენილი უნდა დარჩეს მთელი გვარი. როცა ქმრის ოჯახიდან გაისტუმრებდნენ, მამის სახლიდან უფლება აქვს გათხოვდეს, მხოლოდ ვერ გათხოვდება ცოცხალი კაცის ნაცოლარი იმაზე, ვისაც უკვეთენ. თუ ეჭვია, რომ სხვა ვინმე მოსწონს და მას მიყვება, მაშინ ეტყვიან: წადი მამისახლში, ჩემგან თავისუფალი ხარ, გათხოვდი სადაც გინდა, მხოლოდ დაუსახელებენ იმ კაცს, ვისზედაც ეჭვი იყო და ეტყვიან: იმ კაცზე გათხოვების ნებას არ გაძლევთ, თუ გახყვები ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ. ამას ჰქვიან კვეთილიანი ქალი. თუ ის კაცი არ დაიშლიდა და წაიყვანდა, ისე დაედევნებოდნენ, როგორც მესისხლეს და, თუ ხელში ჩაიგდებდნენ, აუცილებლად მოკლავდნენ. თუ გადაიხვეწებოდა სადმე შორს, შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ შუაკაცების ძალით მომხდარიყო შერიგება. შერიგება მოხდებოდა ჯვარში (კურეტი, ლუდი და სხვა). ამასთან, დრამა უნდა მიეცათ თექვსმეტი ძროხიდან ზევით, თექვსმეტ ძროხაზე დაბლა არ იყო. გააჩნდა შუაკაცებსაც და იმასაც, რა პირობებში წაიყვანა; თუ ის დაამტკიცებდა, რომ ქალის კვეთილიანობა ვერ გაიგო და ისე წაიყვანა, მაშინ შეღავათი ჰქონდა. ისეც ხდებოდა, რომ რჯული ორივე მხარეს თავს ანებებინებდა ამ ქალისათვის და ქალი მამისახლში მიდიოდა. მემრე იქიდან სხვაგან გათხოვდებოდა. მიცვალებულის ცოლზე ასე არ იყო; მას თუ რამეს შეამჩნევდნენ, გააფრთხილებდნენ: ჩამოშორდი,

ეგ კაცი არ მოგვაკვლევინოო. ადგებოდნენ და ქალს გაისტუმრებდნენ მამისახლში. მაგრამ ქმრის სახლიდან ვისაც დამეგობრდა (იშვიათი შემთხვევა იყო ასეთი), თუ იმას გაყვებოდა, როგორც მესისხლეს, ისე არ დაედევნებოდნენ, მაგრამ მასთან შური მუდამ გულში ჰქონდათ და ავნებდნენ რასმე, ე.ი. ჭრიდნენ.

როგორც ზემოთ ვოქვით, აპარეკას ცოლი თარუა ქმრის სახლიდან გაყვა კვირიკას. მითხოში (ქისტეთში) გაიქცა და იქ დაიწყო ცხოვრება. აპარეკას და ტუჩას უმცროსი ძმა დარჩა ცოცხალი, გიორგია. ქვრივი რძალი რომ გაუთხოვდა მკვდარი ძმის ოჯახიდან, გიორგიამ ქუდი მოიხადა და თავზე შალი მოიხვია. მე კვირიკამ თავზე ქუდი მომხადა და ახლა დიაცის თავსახვევი უნდა ვატარო, კაცს ნუღარავინ დამიძახებთ, მანამ კვირიკას არ მოვკლავო. დადიოდა გიორგია თავშ-ლით, წვალობდა კვირიკას მოსაკლავად, მაგრამ კვირიკა ძალიან ფრთხილად იყო, რადგან იცოდა სუიკანი ავი ხალხნი იყვნენ და ხელში ვერ ჩაიგდეს. მერე ქისტეთში რომ იყო შეხიზნული, იქ მოკვლა ადვილი არ იყო, რადგან ქისტები იცავდნენ მას და მასპინძელი მის მოკვლაზე შურსაც იძიებდა.

კვირიკა უზგავნიდა შუაკაცებს, ხან ქისტებს, ხან შატილივნებს – შემირიგდით, რასაც შემომითვლით ჭარს, ქვაბს, დრამას – ყველაით წინ გიდგევართ, ხოლოთ თოფი აიღით, მოსაკლავად ნუ მეძებთო. გიორგია და სხვა სუიკანი შერიგებისათვის მოსულ შუაკაცებს ეუბნებოდნენ: რად უნდა შერიგება, ის მითხოს ზის და ჩვენ აქა ვართ, ჩვენ იქ ხომ ვერ მოვკლავთ და იყოს ეგრე, რა აშინებსო. მითხოს კვირიკა არ სცილდებოდა, მაგრამ ბოლოს გაიგეს, რომ მუცუსაკე შეიარა ღამით. წავიდა გიორგია, ორი კაცი თავის სახლისკაცებიდან გაჰყვა. მუცუს ჭალაში შეუკრეს გზა. მეორე ღამეს მოვიდა კვირიკა. ჩასაფრებულებმა ესროლეს და მოკლეს. მათი გვარიდან უფრო ახლოელი დარჩა გუგო. მოასვენეს და ისევ გუროს დაასაფლავეს. გუგომ მოითხოვა სუიკათაგან სრული კაცის თავი, მაგრამ სუიკანი არ დათანხმდნენ. ბოლოს რჯული ჰქონდათ და სუიკათ დაადვეს ნახევარი თავი. ნახევარი თავი მკვდრის ცოლის წაყვანაში გაბარეს. მერე უყენეს ხევსურეთის რჯულით გათვალისწინებული რიგის ნახევარი. პირველ რიგის ყენების შემდეგ წელგამოშვებით უვლევდნენ თითო საკლავს, რადგან გუგოს აღარავინ ჰყავდა და სუიკანი ძალმომრეობდნენ. ბოლოს ნახევარი რიგიც დახყარეს და სულ აღარ უყენებდნენ რიგს.

თარუა მითხოდან წამოვიდა და არდოტში გათხოვდა სულ ახალგაზრდა კაცზე, ჯარჯოზე. აქაც კიდევ ეყოლა შვილები და მერე, როცა დაბერდა, მისმა ახალგაზრდა ქმარმა სხვა ცოლი მოიყვანა და თარუაც გარდაიცვალა. ასე დაბოლოვდა ამ ბევრი უწესოს გამკეთებელი მამის საქმე.

შატილივნები, მანგიანი და მუცუვლები, დაიაურნი
მათი თავ-სისხლი

მომითხრო და ჩამაწერინა ხთისო ვაჟუნასძე ჭინჭარაულმა, 69 წ., სოფ. შატილში.

მუცუ იყო ხევსურების სოფელი და ნაწილობრივ ქისტებიც ცხოვრობდნენ. ერთ სოფელში არა, მაგრამ ერთიმეორეს ნახევარი კილომეტრის დაშორებით. მათ ერთიმეორესთან ნათესაობაც ქონდათ. აქაური ხევსურების ქალები ქისტებზედაც თხოვდებოდნენ. იშვიათ შემთხვევაში, ქისტის ქალებიც თხოვდებოდნენ ხევსურებზე. ქისტის ქალები უფრო ვერ ეგუებოდნენ ხევსურების ცხოვრებას და ამიტომ ნაკლებად თხოვდებოდნენ. ენა ერთიმეორისა ორივემ კარგად იცოდა. უფრო ხევსურებმა ქისტური ენა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ. ხევსურები ერთიმეორეშიც ქისტურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ქცევაც ქისტებიდან ჰქონდათ გადმოღებული. უფროს-უნცროსობა, სტუმართმოყვარეობა, სტუმრის დაცვა, სისხლის აუცილებელი აღება, ქურდობაც კი, ქისტების მსგავსად აუცილებლად მიაჩნდათ. ვინც არ იქურდებდა, ის ახალგაზრდა ვაჟკაცად არ ითვლებოდა და ვაჟკაცობის სახელს ვერ დაიმსახურებდა. ამ სოფელ მუცუში ცხოვრობდა ერთი ვაჟკაცობით სახელგანთქმული კაცი ჩხუბრე (ჩხუბიძე) სუხიასძე დაიაური. ჩხუბრეს აქ ნათქვამი ვაჟკაცობის შესრულება, ყველაფერი ეხერხებოდა და ამიტომ იყო იგი მაშინდელი ხევსურებისათვის ქებული ვაჟკაცი. ერთხანს ნამდვილ ყაჩაღადაც კი გავიდა. ძარცვავდა მგზავრებს, იპარავდა პირუტყვს და სხვა. ამავე დროს, სოფელ შატილში მანგიათ მამაში ცხოვრობდა მგელია ბოციასძე ჭინჭარაული. მოწინავე ვაჟკაცებში არა ჩანდა, მაგრამ საშუალო ვაჟკაცად მაინც ითვლებოდა. გაზაფხული იყო და მგელიას თივა გაუთავდა. შოვნაც არსად იყო. მგელიამ ჩხუბრეს დაავალა: ვისმეს თივა მოპარე, მე მომეცი და ხუთ ცალს ბერდენკის ვაზნებს მოგცემო. ჩხუბრემ შეუსრულა თხოვნა, თავისავე თანასოფლელს, ვაჟიკათ გიორგიას, მოპარა თივა და მგელიას მისცა. მგელიამ თივა ღამით წაიღო ისე, რომ ის ვერავინ დაინახა. მგელიას პატრონები თან არ ჭჰქონდა და ვალად დარჩა. კარგა ხნის შემდეგ ჩხუბრე მოვიდა მგელიასთან, ვალის გამოსართმევად. მგელიამ ნაწილი მისცა და უთხრა: ეხლა აღარა მაქვს, მადროვე, ვიშოვნი და მოგცემო. ჩხუბრე მეტად ამაყი კაცი იყო და დაიწყო ჩხუბი, ახლავე მიშოვნე, თუარა შენს პირუტყვს რამეს წავიყვანო. მგელია ჯერ არაფერს ეუბნებოდა და ბოლოს ამანაც უთხრა: მე კაცი ვარ და ჩემს პირუტყვს არ გაგატან ცოცხალიო. მოუვიდათ შუღლი და ცარიელი ხელით გაარტყეს ერთიმეორეს. მანგიათ მამისავე კაცი იყო წიქა (მეტსახელათ ბრუცას ეძახოდნენ). მას სამი შვილი ჰყავდა: ნიკო, ჩალხია და ბათაკა. მგელიას ერთი ძმაც ჰყავდა, ვაჟკაცად ქებული სამუკა. ჩხუბრემ ჯერ მგელიას სცა და მემრე მთელ მანგიათ დაუწყო გინება. ამ დროს სამუკას

ვაჟი ჰყავდა მომკვდარი და მანგიანი იმის სასამარხე პურს აცხობდნენ. ჩხუბრემ მიცვალებულს შეუწირა და მემრე სამუკამაც დაჰკრა ჩხუბრეს, ბრუცათ ნიკომ ხანჯარი დაჰკრა ჩხუბრეს და ჩალხიამ – ჯოხი, იმავე ნახანჯლარში. ჩხუბრე წავიდა შინ და თანდათან ტკივილი დაუწყო ნახანჯლარმა და ნაჯოხარმა თავმა. დააყენეს სოფლური ექიმი, დაუჩირქდა თავი და გარდაიცვალა. ბევრი საკლავები დაკლეს ორივე მხარემ შატილში, ანატორის ჯვარში, მუცუს ჭონის ჯვარში. ჩხუბრე რომ გარდაიცვალა, საჭირო გახდა რიგის ყენება საარდარაოდ. ბრუცა ამბობდა: ჩემმა შვილებმა მგელიაის გულისად იშუღლეს, მერე მაგათმა ნაჭრევმა არც მოკლა, სამუკამაც დაკრა ჯოხი და იმან მოკლაო. სამუკა ეუბნებოდა: მართალია ჩვენის გულისად იშუღლეს, მაგრამ დრამა და სისხლისათვის გაძღოლა ჭელს მისდევს, მე არც დამიკრავს რამე ჩხუბრესათვისო. გახდა საფიცრად. რჯულმა ბრუცათ ფიცი დაავალა. თექვსმეტი კაცი მაიკიდეს ჭელს სახლისკაცები და გადაიგდეს ჩხუბრეს სისხლი, მაგრამ დაიაურთ თქვეს: ჩვენ რო ჩხუბრე მოგვიკალით, მაშინ ეროუცს გვერდით ედეგით, ეროუცისებ იყვენით, ჩვენდ სრუ ეროები ხართ, ვისაც შაგხვდებით, მაგკლავთო. ფიცი არაში ჩაუთვალეს. ახლა სამუკამ მაძახურობა ქნა: „ბრუცათან ძმობა გამიყრავის, მაგათ მახკლავს ვინ, არ მივზდევ, მახკვლენ ვის, ნუ ვინ მამყვების, მე მაგათ გვერდი არ უდგეორ. ცასაც მიზდიოდასა-დ დედამიწასაც, ჯვართაცა-დ ღმერთსაც, ხალხთაც, რომ მე ბრუცაი-დ მაგის შვილები ძმად აღარ მინდან". ამნაირად სამუკამ ბრუცანი მაიკვეთნა, მაგრამ დაიაურთ არც მაკვეთა მიიღეს, როსაც კაც მახკალით, ძმებ იყვენით, ეხლა ჩვენ მოკვეთას აღარ ვღებულობთო – უთხრეს დაიაურთ, მაგრამ სამუკა მეტად ამაყი კაცი იყო და აღარ იმალებოდა, ის ამბობდა: „ჩხუბრეს მამკლავნი ბრუცანი მე მავიკვეთენი, მე თავ აღარ მძეს, რაც უნდა ქნან, თუნდა ჭოცან ეროუცი, თუნდა თავ აპატივან, მე თავისუფალი ორ". დაიაურნი გაჩუმდნენ და შესაფერ დროს ეძებდნენ, ან ეროი მოეკლათ, ან მეორე. ეროი ადგილი შატილივნებს მითხოს ახლო აქვს, ამ ადგილს სახელად „კეხი" ჰქვიან. ამ ადგილზე უნდა გაიაროს მითხოს წამსვლელმა ხევსურმა. აქ ხნავდნენ მგელია და სამუკა, ძმები. ამ დროს მითხოდან მოდიოდა ჩხუბრეს ბიძა (მამის ძმა), ხაძე. ხაძემ მუქარის სახით, იმათ დანახვაზე თავი ჩამოძრა. თავის ჩამოძვრის დროს მგელიამ შაასწრო თვალი და სამუკას უთხრა: ხაძე მუქარას გვთხოვს, თავი ჩამოძრაო. სამუკამ მისი მუქარა არაფრად ჩააგდო. მაგრამ საკვირველი ის იყო, კაცი მოკლეს, რიგს არც ეროი უყენებდა, არც მეორე. ამიტომ, აუცილებელი იყო, ერთ-ეროს მოკლავდნენ. ხაძე შინ რომ მივიდა, აღელვებული იყო და თავის შვილ ბაბოსთან რაღაც პატარა ჩხუბი მოუვიდა; ხაძემ უთხრა: „ჩემთან კი ნუ შუღლობ, შენის შინშის ჩხუბრეს მამკლავი კეხს ჭნავსა-დ, თუ კაცი ხარ, ის მაკალი." ბაბო მაშინვე წავიდა ჩხუბრეს ძმა გუასთან და უთხრა ეს ამბავი. აიღეს იარაღი გუამ და ბაბომ და წამოვიდნენ

კეხს. დურბინდით შორიდან დაინახეს. მიეპარნენ დღისით, ესროლეს და მოკლეს სამუკა. თვითონ დაბრუნდნენ და მუცუში მოვიდნენ.

აღარც იმათ უყენეს რიგი და მოითხოვეს თავის გაბრა თავში. ბოციათ თქვეს: ჩვენ თავს თავში არ გავბრით, იმიტომ რომ ჩვენ ტყუილად მოგვკლეს. მეთავე ბრუცათ ჩალხიაი ხყვანდა მამკლავი და ჩვენ მართალი ვიყავით. ტყუილად ძალით გვადებენ თავსო. ეხლა მანგიათ, ე. ი. ბოციათ, დაუწყეს ისევ მიყოლა მოსაკლავად. ბოციათ მამაში იყვნენ ხთისო ვაჟუნასძე ჭინჭარაული და კურდღლიშვილი გიგია. მგელია, სამუკას ძმა, ამ დროს კოჭლი იყო, საკომიდან თოფი დაჰკრეს და ფეხით გახაიბრდა. უფრო მიჰყვებოდნენ ხთისო და გიგია შურის საძებრად. უფრო უნდოდათ ბაბოს მოკვლა, რადგან გაგებული ჰქონდათ, რომ სამუკა მოკლა ბაბოს ნასროლმა ტყვიამ. ერთხელ კურდღლიშვილი გიგია ქისტეთში იყო წასული, სოფელ ჯარეგოში. იქ ნახა რომ სამუკაის მამკლავი ბაბო იდგა „მაჟდაგის" (მაჟდაგი იმათი სამლოცველო სახლიაო, ასე სთქვა მთხრობელმა) კარზე. გიგია ასე მოიქცა, ვითომ ბაბო ვერ დაინახა, მობრუნდა და აჩქარებით წამოვიდა შატილში. ვაჟუნათ ხთისო საბოსლოს იყო მუცუს ჭალას და გიგია პირდაპირ მასთან მივიდა. ყოველივე უამბო. აიღეს იარაღები და წამოვიდნენ ბაბოს გზის შესაკრავად. აპირებდნენ: სადაც სამუკა მოკლეს, იქ უნდა შაეკრათ გზა და ისიც იქ უნდა მოეკლათ. ერთი ქისტის დიაცი შეხვდა გზაში და მან უთხრა: ბაბო ისევ ჯარეგოს იყოვო. აქ დღისით წასვლა აღარ შეიძლებოდა, რადგან ნახავდა ვინმე და მტერს გაუფრთხილებდა.

დაიღამეს და ღამით მიდიოდნენ გზის შესაკრავად. მიდიოდნენ იმ გზით, რომელ გზაზედაც უნდა გამოევლო იმათ მტერს, ბაბოს, და, უსათუოდ, ღამით გამოივლიდა. ამიტომ, დიდის სიფრთხილით და მომზადებულის თოფებით მოდიოდნენ. წინ გიგია მოუძღვებოდა და ახლო ხთისო მოყვებოდა. გიგია უფრო კარგად იცნობდა ბაბოს, რადგან წინა დღეს ნახა და მისი ჩაცმულობაც იცოდა. თუ გზაში შეხვდებოდა, გიგიას უნდა ეთქვა ხთისოსათვის „აჰა". ეს იყო ნიშანი და ხთისო მიხვდებოდა, რომ ეს იყო ბაბო და თოფს დაჰკრავდა. მოახლოვდნენ „ეკალდამათ". აქ პატარა აღმართი ჰქონდათ ამოსასვლელი. მზირები აღმართს შემოუდგნენ და ღამის სიბნელეში ცის ტატნობზე კაცის ლანდი დაინახეს. გიგიამ იცნო, მაგრამ არც სულ გარკვეულად, მაგრამ მაინც, ამხანაგს ნიშანი მისცა. ორივე თოფი ერთბაშად გავარდა და ბაბო ძირს დავარდა. კაცი რომ წაიქცა, ჯერ ახლო არ მიენდვნენ– ვაითუ ცოცხალი იყოს და დაგვაზიანებსო. როცა დარწმუნდნენ რომ მკვდარი იყო, მივიდნენ და შეამოწმეს – დარწმუნდნენ, რომ ის იყო მათი მტერი. ბაბო გზის თავზე შემოაწვინეს, ზედ მისივე „ყარწიკა" შემოხურეს და წამოვიდნენ შატილში. ხთისო აღარც საბოსლოს წასულა, პირდაპირ შატილში მოვიდნენ და მგელიას უამბეს მისი ძმის, სამუკას, მკვლელის მოკვლის ამბავი. იცოდნენ, ახლა დაიაურნი დაიწყებდნენ მოყოლას მოსაკლავად და ამიტომ სიფრთხილე მართებდათ.

მეორე დღეს, შემოხვევით ამ გზაზე გამვლელმა მგზავრმა, ლეკო ჭინჭარაულმა, დაინახა მოკლული და მუცუში კაცი გაგზავნა შესატყობინებლად. მოვიდნენ და თავისი მიცვალებული მუცუში წაასვენეს. გაცხარდა უფრო მეტი მტრობა. რა თქმა უნდა, იცოდნენ მანგიათ მოკლული იქნებოდა, რადგან მათ დიდი მტრობა ჰქონდათ. ახლა იმათ დაუწყეს მიყოლა მოსაკლავად. გიგია და ხოისო ადგნენ და არხოტში გადაიხიზნენ, სოფელ ახიელში მოვიდნენ და სთხოვეს ამანათად მიღება. ახიელლებს ამანათის მიღება უყვარდა და მიიღეს ისინი. ამანათებში ერთი საკლავი მიიყვანეს და არხოტის ჯვარში დაკლეს. ახიელელთ და არხოტის ჯვარს მიაბარეს თავის თავი. საკლავი დაიკლა ახიელელთ და ამანათების სამწყალობნელოდ. არხოტის ჯვარს შეახვეწეს ის, ვინც ამანათებს ხელს შეუწყობს და დაიცავს მტრისაგან. მისცეს თითო ოროლი დღის საჯვარო მამულები, ზოგი თავის მამულებს ახვნევინებდა და თავის ოჯახის წევრებით დაბინავდნენ ახიელში.

მანგიათ რომ ერთუცი მოიკვეთეს, ე. ი. ბოციათ სამუკამ მაძახურობა ქნა: „ბრუცაიდ მაგის შვილებივ ძმად აღარ მინდანავ, მამიკვეთიანავ, თუ მაგათ ვინ მაკლეს, თავს არ დავიდებავ, თუ ეგენ ვინ მაკლავ, მამკლავს თავს არ დავზდებთ, მესისხლედ არ დავიჭერთავ". ახლა ბრუცათ ფიცი და ბრუცანი ვითომც გამართლდნენ. ატყდა კაც-შუაკაცი, ბრუცანი და დაიაურნი შეარიგეს. ჯვარში პირშასამყრელო ქნეს და შერიგდნენ. ბოციანი და დაიაურნი დარჩნენ ერთიმეორის მოსისხლედ (ეს ბრუცანი მამად კიწუანი იყვნენ და მეორენი მამად მანგიანი; საერთო მამად კი მანგიანი იყვნენ). ბრუცანი და დაიაურნი ერთიმეორის მოსისხლედ აღარ ითვლებოდნენ. აღარც ერთიმეორის ხათრი რამე ჰქონდათ, იყვნენ ერთი¬მეორესთან ჩვეულებრივი ხევსურები. ერთიმეორის არც მტრები და არც მოკეთე.

ერთ-ერთ დაიაურთ კაცს, ბოციათ მოსაკლავად მოსულს, ბრუცანი წინაც ედგენ, ე. ი. ხელს უწყობდნენ მათ მოსაკლავად მოსულებს. ერთხელ ბრუცათ ჩალხიასად ეროს დაიაურს, სახელად აკუშელას, მოუვიდა შუღლი. ჩალხია ბრაზიანი კაცი იყო და აკუშელასაგან გაბრაზებულმა უთხრა: „თქვენს ჩხუბრეს ჯოხიც მე დავკარ, ხანჯარიც და ხელიც ჩემ იყვ, მე მაგიკალით ჩხუბრე". წამოვიდა აკუშელა და სახლისკაცებს ეს ამბავი უამბო. უთხრა, ჩვენი ჩხუბრეს მამკლავი ბრუცათ ჩალხია ყოფილა და ჩვენ ბოციათ ვედავებითო. დაიაურთ ვითომც ეს ამბავი სულაც არ გაიგეს, ისე მოაჩვენეს თავი. დაიაურთ გუროვლებთან, ჩალხიას ცოლის ძმა ჩუასთან, რაღაც პატარა მტერობა ჰქონდა. მოიგონეს რომ უნდა წაიღონ არაყი, გაიყოლონ გუროვლების სიძე ბრუცათ ჩალხია და შერიგდნენ გუროვლებს. მართლაც მოემზადნენ, წამოვიდნენ და მოვიდნენ შატილში. შატილიდან გაიყოლეს ჩალხია და წავიდნენ გუროში კანეშათ ჩუაის შესარიგებლად. გაიარეს დიდი მანძილი და გუროს რომ მიუახლოვდნენ, დაისვენეს ადგილობრივ ველისწყალზე. ღამე იყო. დასხდნენ და დალიეს არაყი. ჩალხია დაბლა იჯდა, ერომა დაიაურმა არაყიანი

ყანწი მიადო პირზე, დაადარილეს, მეორეებმა ხანჯლები დაარტყეს თავში. ისეთი ძალით სცემდნენ ხანჯლებს, რომ ჩალხია მაშინვე უსულო დაეცა დაბლა. თუ ასე არ მოახერხებდნენ, ჩალხიასაგან ეშინოდათ, რადგან ის ძალიან ყოჩაღი იყო და მოსალოდნელი იყო მისგან დიდი ზიანი მიეყენებინა მოპირდაპირისათვის. ჩალხიას ნაბადი დააფარეს და დაბრუნდნენ შინისაკენ. გზაში შატილივნების ქოხი იყო, იქ დიაცები იყვნენ პირუტყვის მოსავლელად. დაიაურები მივიდნენ და უთხრეს: ბრუცათ ჩალხია მოვკალით და მიხედონ, ველის ნადირმა არ გააფუჭოსო. დიაცებმა შატილში გატეხეს ხმა და მიცვალებული შატილივნებმა თავის სოფელში მოასვენეს.

ახლა ბრუცათ და დაიაურთ მტრობა გაძლიერდა. ბრუცას დარჩა ორი შვილი: ნიკო და ბათაკა. ახლა ისინი მიყვებოდნენ დაიაურთ მოსაკლავად, მაგრამ დაიაურები ძალიან ფრთხილად იყვნენ და ვერ მოხერხდა მათი მოკვლა.

ზემოთ დასახელებული დაიაური ჩხუბრე თავის სიცოცხლეში ყაჩაღად დადიოდა, ძარცვავდა ხალხს, გზაში ეცემოდა, იპარავდა ხარებს და ცხენებს. არც კაცის მოკვლას გაურბოდა, კაცის მოკვლა სასახელო და სასიხარულო ამბად მიაჩნდა. ერთხელ მან ერთი ფშავლის, სახელად ნაცისის ამხანაგობით იორზე სოფელ სიონში მოიპარა ორი ხარი. სოფელმა გაიგო და მდევარი დაადევნა. სიონში ჩასახლებული იყო ერთი არხოტელი, მამად ბერდიშვილი ახალგაზრდა, სახელად ქორძო. ქორძო ძალიან ყოჩაღი იყო და წამოეწია ქურდებს. საჭირო გახდა მისი მოკვლა ან ხარების დაწირვა. ფშაველმა უთხრა: მე ქრისტიანი კაცის სისხლში ვერ შევალ, დავანებოთ ხარებს თავიო. ჩხუბრემ უპასუხა: მე შევალ ქრისტიანი კაცის სისხლში და სისხლს თუნდა თასით დავლევო. ესროლა თოფი და მოკლა ქორძო. ხარებიც გაიტაცეს და გაყიდეს. ქორძოს მკვლელი ჯერ ვერ გაიგეს, მაგრამ ხევსურები ამბობენ: „კაცის ბეჭი არ იკარგებაო” და ქორძოს მკვლელიც ნელ-ნელა გამოჩნდა და ბერდიშვილებმაც გაიგეს. მხოლოდ ჩუმად იყვნენ. დაიაურებმა რომ ბრუცათ ჩალხია მოკლეს და მაგარი მტრობა ჩაუვარდათ, ბრუცაის შვილებმა ბერდიშვილებს უფრო კარგად გააგებინეს ჩხუბრესაგან ქორძოს მოკვლის ამბავი და სთხოვეს: ერთად წავიდეთ, ჩვენ გზები კარგად ვიცით და დაიაურების სისხლი ავიღოთ, დავხოცოთო. ბერდიშვილებიც დათანხმდნენ და მუცუელთ საბოსლოებთან დაიაურები დათოფეს. ამ სროლის შედეგად მოკვდა ტრია დაიური. თვითონ მშვიდობიანად შინ დაბრუნდნენ. უფრო ემატებოდა მოსისხლეობას. ახლა, ბრუცამ უჩივლა და დააჭერინა დაიაურთ ტუჩა და ქოთილა. ერთი წელიწადი არ უცოცხლია და ორივენი ციხეში დაიხოცნენ. ახლა, ეს კაცის თავებიც ბრუცათ დააბრალეს – თქვენს საჩივარზე დაიხოცნენო. ბერდიშვილებმა დაიფიცეს, ჩვენი ტყვიით არ მოკვდა დაიაურიო და დადგა თავ-სისხლი ისევ ბრუცაის შვილებზე. ორი ციხეში მომკვდარი, ერთიც ისე მოკლული – დაედოთ ბრუცათ სამი კაცის თავი. ადგნენ და ბრუცანი გადაიხიზნენ სადღაც ბარში.

ბოციათ და დაიაურთ აუტყდა კაც-შუაკაცი, სოფელ გუროში მცხოვრებ ნიკო გოგოჭურის მეთაურობით, შეყარეს რჯულის კაცები. რჯულმა ბოციათ დაადო ხუთი ძროხა, საუკენმამკვდრო. ადუღეს ჯვარჩი ლუდი. დაკლეს საერთო ერთი კურეტი და შეიყარნეს პირს და შერიგდნენ. დაიაურთ კურეტი და ბოციათ ხთისო აძმობილეს ერთიმეორეს და დაბოლოვდა მათი მესისხლეობა.

მანგია-დაიაურთ თავ-სისხლის შესახებ ლექსი ჰქონდა ნათქვამი სოფელ გუროში მცხოვრებ გუგო გოგოჭურს, რომელიც თვითონც მტრობდა დაიაურთ, მაგრამ ლექსი მაინც მათთვის საწყინოდ არ არის ნათქვამი:

მანგია– დაიაურნი
ლექსს იტყვის დაბალ გუგოი, ფანდურს დაუკრავ ხისასა,
ფანდურო ჩირახისაო, კიდე სჯობიხარ რვლისასა,
ქალალდის წერას დავიწყებ, ნუმერს დაუსომ წლისასა,
წამოალ ნადირობადა, გადავლა მგულავ მთისასა.
შამამეყარა სიკვდილი, ჩამამავალი გზისასა.
მახურვილი აქვს ნაბადი, ხეტარს ანათებს ჴმლისასა.
კაცი ორ შაშინებული, თავს მამჭრის, როგორც თიკანსა.
სიკვდილო, მე თუ არ მამკლავ, დაგიკლავ ჴარსა ნისლასა,
გადმამიტრიხა თვალები, ვინ მახკლავს შენფერ ციცასა!
შატილისაკე წავიდა, ცხენას გადაჯდა წითლასა.
შატილს ხოლიგას მაუკლავს, ირემს ჩაუქცევ ტყისასა,
წიქათ ბეწიკას მაუკლავს, გამრიგეს ბევრის მტრისასა,
ბრუცათ ჩალხიას მაუკლავს, კულას დაუქცევს ქვისასა,
სუხიათ ჩხუბრეს მაუკლავს, შუქს დაუბნელებს მზისასა,
ხაძეთ მაუკლავს ბაბოსა, ქვიტკირს დაუქცევს ქვისასა,
გაგათ სამუკას მაუკლავს, სიმაგრეს შატილისასა.
მანგია-დაიაურნი თესლს ლევენ ერთუცისასა.
კაებს ვაშკაცებს არჩევენ, გულს ალაღებენ მტრისასა.
სრუ ყველას მართალს ვიამბობ მაკეთისასა, მტრისასა.
ჩალხიას წამაიყვანენ: გამაგვყევ ცოლისძმისასა.
უყურეთ უბედურებას, ხიფართსა ეშმაკისასა.
ჴორუს ძირ შამამავალსა, ჴიდს გაუტეხენ ხისასა,
საჩქაროდ შამაავლევენ, ცხენსა გადასმენ ნიშასა.
მავიდეს წინაჭალასა, ყანწს მიაწვდიან რქისასა,
სიმირგვლივ შამაეხვივნენ, ლეკვს ვერ დასწონენ მგლისასა.
მარტო ჩალხია რას იქამს, თავს დაინატრის ძმისასა.

ცუდად ქნეს დაიაურთა, ცოდოს იდებენ მკვდრისასა.
შატილს ცოდო-ბრალს კვირობენ, ტირილსა ორის დისასა,
ბებერთ დედ-მამათ მასწირავს ტირილსა ბიძაისასა.
ახლის დიაცის გაწირვას, ჭყივილსა ლურჯაისასა.
ამაგის მალექსებელი გამამავლიეს ზღვისასა,
სიცივე რას გამამრჩების, ტანზე ჩავიცომ მჩვრისასა.

ლექსის დამწერი იყო ჩალხიას ცოლის ბიძა გუგო გოგოჭური. ამ ლექსში ორი უფროსი კაცი ჰყავს დასახელებული: ხოლიგა და ბეწიკა, შატილიენები, ჭინჭარაულები, დანარჩენები სულ მანგია-დაიაურები არიან, ერთი მეორისაგან მოკლულნი. ჩხუბრე და ბაბო არიან ერთიმეორის ბიძაშვილები, მანგიათაგან მოკლულნი, სამუკა და ჩალხია, მანგიათ მამის კაცნი არიან დაიაურთაგან მოკლულნი. ეს მოსისხლეობა დაიწყო ხუთი ვაზნის გულისათვის, პირველად, უბრალო შურით და დაიხოცა ამდენი ხალხი. ორი დაიაური: ტუჩური და ქოთილა ციხეში დაიხოცნენ ბრუცას ჩივილის შედეგად; ერთი დაიაური კიდევ სხვა მოკლეს აკუშელა ბერდიშვილებმა და ბრუცაის შვილებმა. და როგორც ვთქვით, ბოციანი და დაიაურნი შერიგდნენ, ბრუცათან ისევ გრძელდება მტერობა.

ჩამაწერინა იმედა თათიკასძე გოგოჭურმა, ქაცუაურთ მამისამ

ქაცუაურნი კიდევ იყოფოდნენ მამებად. იმედა არის სოსანათ მამიდან, მეორე მამა – კვირიკანი. ერთი-მეორესთან შორეული განაყრები არ არიან, მაგრამ თავ-თავის პაპების სახელზე წარმოიშვა ახალი მამები. სოსანათ მამაში თათიკას ყავდა ერთი ვაჟი იმედა და ერთი ქალი. იმედას თავისი და ძალიან უყვარდა და ჯვარებში პირიქით-პირაქეთ ხევსურეთში, ყველგან დაჰყავდა საზღვნელად. უკანასკნელად ლიქოკში იყვნენ და-ძმანი და კოპალაში ერთი ჭედილა მიიყვანეს. ჯვარშიით დაბრუნების შემდეგ დაიწყო თიბაც. იმედა და კვირიკათ მამის ერთ-ერთი კაცი ხთისო იმედასთან ერთად თიბდა და ორნი მისი, ე.ი. ხთისოს, ძმანი ქვევით მოშორებით თიბდნენ (ამ სამ ძმათ მამას ერქვა აპარეკა). იმათ ახლოს ნამგლით თიბდა თათიკას იმედაის დაც.

აპარეკაის შვილები ცოტას თავმომწონეობდნენ კიდეც; სულ უბრალო საქმეზე ერთი ქისტიც მოკლეს და ქისტები მოსაკლავად მოჰყვებოდნენ. ძმები, ქისტების შიშით, ძალიან ფრთხილად იყვნენ; თოფები სულ თან დაჰქონდათ, პურის ჭამის დროსაც კი თოფები კალთაში ედოთ. ღამე ხომ უიარაღოდ გარეთ ფეხს არ გადადგამდნენ. ერთხელ ერთ-ერთი ძმა ღამით გარეთ გავიდა. ამ დროს თურმე მათი დედაც გარეთ იყო გასული. დაინახა ღამის სიბნელეში რაღაც შავი ლანდი. ადგა

და მისკენ წამოვიდა. აპარეკაის შვილს ეგონა შურის საძებრად მოსული ქისტი. არც, ხმა ამოუღია, ვინა ხარო, რადგან ეშინოდა ხმის გაგონებაზე ქისტი თოფს დაკრავდა. სწრაფად ესროლა და მოკლა თავისი დედა. დედამ ერთი კი ამოიკვნესა რად მომკალო და იქვე სული დალია. სხვა ასეთებს ბევრ რამეს შვრებოდნენ, თამამობდნენ და ამაყობდნენ, არავის არაფრად არ აგდებდნენ.

როგორც ზემოთ ითქვა, ორნი ძმანი, აპარეკაის შვილნი, ახლო თიბდნენ იმედაის დასთან. თოფები ორივეს თან ჰქონდა. იმედას დაც დაჯდა და დაისვენა. აპარეკაის შვილებმაც დაისვენეს. ერთ-ერთმა ძმამ, გამახელამ, თოფი აიღო და იმედას დას დაუმიზნა. დაავიწყდა, რომ თოფში ვაზნები ეწყო, მას თოფი ცარიელი ეგონა. ძმას უთხრა: ის რომ ქისტი იყოს, როგორ გამოვაგორებდიო. თოფი ფეხზე დააყენა და დასხლიტა. ქალი მძიმედ დაიჭრა და პირქვე დაეცა. ძმები შეკრთნენ ამ იშობარი ამბით. ბევრად ინანეს, მაგრამ გვიანდა იყო. საჭირო გახდა მისი დამალვა და ქისტებისათვის დაბრალება. მაგრამ მათდა სამწუხაროდ, ქალი ჯერ ისევ ცოცხალი იყო და ის იტყოდა თავის მკვლელებს. მაგრამ იმას, რომ ქალი მოკვდებოდა, მანამდინ იტყოდა რამეს და ვეღარას ვინ გაიგებდა, მაინც დამალვა ამჯობინეს. წამოვიდა ერთ-ერთი ძმა სოფელში და ხმა გატეხა: ქისტებმა გვესროლეს და თათიკაის ქალი მოგვიკლესო. მოგროვდა ხალხი და დაჭრილი ქალი სახლში წაიყვანეს. თოფის ხმა იმედამ და ამ ქალის მკვლელის ძმამ ხთისომაც გაიგონეს. ჯერ შეკრთნენ, ქისტების თავდასხმა ეგონათ და მეორე თოფი რომ აღარ გავარდა, დამშვიდდნენ. საღამოზე წამოვიდნენ სახლში და იმედას დახვდა დაჭრილი და. სიკვდილის პირას იყო მისული, მაგრამ გონება და ენა მაინც ისევ შერჩენოდა. მკვლელები იქ არ იყვნენ და იმედას ეჭვი შეეპარა, რატომ აქ არ არიანო და ჰკითხა თავის დას, ვინ გესროლა, ვერა ნახეო? დამ იმედას არაფერი უთხრა. თავისი სოფლელი სუიკათ მამის კაცი, თაველექათ ბიძურა, შეიყვანა და იმას უთხრა: ქისტები არ იყვნენ, აპარეკაის შვილთ მესროლესო. ბიძურამ ჯერ მკვლელები გაახიზნა და მერე იმედას ყოველივე უამბო. აპარეკაის შვილები მოწმაოში ექიმთან წამოვიდნენ და, მანამ დაბრუნდებოდნენ, ქალი გარდაიცვალა. იმედამ სიცოცხლითვე უთხრა: რადგან უგონებლივ მოუხდა, სიცოცხლით არაფერს ვეტყვი და როცა გარდაიცვლება ჩემის დის თავს არ დავკარგავ, უთუოდ შურს ვიძებნიო. ქალი რომ დაასაფლავეს, იმედამ კაცის რიგი მოითხოვა, მაგრამ მათ დიაცის თავის წესით ნახევარი რიგი გაუგზავნეს. თან ამბობდნენ, ჩვენ იშობარი მოგვივიდა, ჩვენ ნახევარი რიგის ყენებაც არ გვეკუთვნისო. იმედა გაჩუმდა და მარჯვე დროს ელოდა, მათ მოსაკლავად. თავის დის სიკვდილისა მეცხრე დღე იყო, რომ იმედა ჩაუსაფრდა მოხერხებულ ადგილას. ესროლა თოფი და თავის დის მამკლავი გამახელა მოკლა. გამახელას ორმა ძმამ თქვეს: ჩვენ ჯერ იშობარი მოგვივიდა, მემრე დიაცის თავის ნახევარი კაცის თავს უდრის და ვაშკაცი რომ მოგვიკლა, ჩვენ მაგას მოვკლავთო.

აუტეხა იმედამ შუაკაცები, რჯულში გავიდეო და რჯული როგორც იტყვის, ისე შევრიგდეთო. მაგრამ გამახელას ძმა, ხთისო, ამბობდა: მე მაინც მოვკლავ და მერე შევრიგდეთო. იმედამ შუაკაცების ხელით რვა საკლავი გაუგზავნა შერიგების სათხოვრად და მეცხრე ჭარ-მაზველი ე. ი. ოთხი წლის კურეტი. მაგრამ ხთისომ არც ერთხელ თქვა თანხმობა შერიგებაზე. მაინც ამბობდა, მეც მოვკლავ და მერე შევრიგდეთო. იმედას ჰყავდა ბიძაშვილები, ხახონი და აბა. ერთხელ ხთისო ჩაუსაფრდა და ესროლა ხახონს. ტყვიამ ტანისამოსში გაუარა და ხახონი გადარჩა. მან სწრაფად მოასწრო, ესროლა და ისევ ხთისო დაჭრა ფეხში. ამით გამწვავდა საქმე. იმედამ თქვა: მე ჭევსურეთის რჯულისა არ ვიცი. მე ჩემი და ხუთ ვაშკაცს მერჩივნა და ახლა თუ არ იშლიან, ვნახოთ ვინ ვის მოკლავსო. ხახონმა, აბამ და იმედამ თქვეს: სულ ერთია ხთისო არ მოისვენებს, მოვკლათ ეგეც და მოვისვენოთო. ჩაუსაფრდნენ, ესროლეს და ხთისოც მოკლეს. დარჩა ერთი ძმა კვირიკაის შვილებიდან. მას ახლობელი აღარავინ ჰყავდა და თუ არ შერიგდებოდა, იმასაც მოკლავდნენ და მოიშორებდნენ თავიდან. ატყდა კაც-შუაკაცი და გაიყვანეს რჯულში. რჯულმა დიაცის თავში მაინც ნახევარი თავი გაუბარა. დარჩა ერთი კაცის თავი სრული და ერთი ნახევარი. ერთი კაცის თავის ნახევარი უნდა ეზღო დრამით და ერთი კაცის თავი რჩებოდა რიგის საყენებლად. კაცის თავის ნახევარში უნდა მიეცა ოცდაათი ძროხის დრამა, მაგრამ რჯულის კაცებმა ათი ძროხის დრამა გააბარეს იმედასაგან გაწეულ სხვადასხვა ხარჯებში და დარჩა ოცი ძროხის დრამა. ამასთან კიდევ იმედას დაედო გასაღებად ხუთი ძროხის საუკენმამკვდრო. იმედამ ჩააბარა სულ ოცდახუთი ძროხის დრამა და უყენა ერთი კაცის თავის მთლიანი რიგი. დანარჩენი ყველაფერი გასწორდა, მხოლოდ იმედა დარჩა ერთი კაცის მამკლავად, რომელიც ასრულებდა მამკლავის ყველა ვალდებულებებს.

გუროელ-შატილიონთ შუღლი

(გუროელ-შატილიონთ ომსაც უწოდებენ)

ეს ამბავი ჩამაწერინა მგელია ჭინჭარაულმა 1937 წელს. მგელია მაშინ იყო ორმოცდაათის წლისა. მისი თხრობის მიხედვით სხვა ადგილას დაიწერა იმ ომში მოკლული გუროელ-შატილიონების ვინაობა. ახლა უფრო ვრცლად ჩამაწერინა სოფელ გუროში მცხოვრებმა იმედა თათუკასძე გოგოჭურმა 76 წლისამ, ამ ომს ის კარგად არის მომსწვრალი და, მისი გადმოცემით, ბევრი რამ ახსოვს. როგორც მგელია ჭინჭარაულმა, ისევე იმედა გოგოჭურმაც პირველი დასაწყისი ამ ომის ერთნაირად მიამბეს:

ჩვენ სათანადო ადგილზე აწერილი გვქონდა ის, რომ ჯალაბაურნი შატილში ცხოვრობდნენ და მეტისმეტი ამაყი ხალხი იყო. შატილივნები ასე ამბობდნენ:

ჯალაბაურთ თავის სიამაყით ამოწყვიტეს თავისი საგვარეულო ანუ მამა. ისინი გათაულან და მათი ქალი ნათულა გუროში იყო გათხოვილი ჩონქარა გოგოჭურზე. ჩონქარა ცხოვრობდა შატილივნებისა და გუროვლების საზღვართან ახლო, ადგილობრივ, ჭორუ-ს. შატილის და გუროს ადგილს საზღვრავს პატარა მდინარე, რაზედაც ხის ხიდი იყო გადებული. ნათულას ამ ხიდზე ოცამდინ თიკან-ბატკანი გაუდიოდა და უშვებდა შატილიონთ ადგილში. ამ ადგილს შატილივნები არაფრად იყენებდნენ, არც იყო რამე, გარდა კლდეებისა და უბრალო ფიჭვნარისა, მაგრამ შატილივნებს მაინც სწყინდათ, ჩვენს ადგილში ნუ გადმოდიხართო; კაცებიც მიუგზავნეს: თიკან-ბატკნები ნუ გადმოგიდისთ, თორემ გაგილალავთო, ე. ი. წაგართვამთ და შატილში გავრეკავთო; მაგრამ, ნათულა ამბობდა: მე შატილიონთ ქალი ვარ და ისინი ჩემს თიკან-ბატკნებს არ გალალავენო, და ისევ დაუდიოდა თიკან-ბატკნები. ბოლოს შატილივნებმა პირი შეკრეს, თუ არ დაიშალეს, თიკან-ბატკნები შინ გამავლალათო. უკანასკნელად შატილიონთ თქვეს: ბოლოს გუროვლები მაგ ადგილს სულ წაგვართვამენ და ჩვენთვის დიდი სირცხვილი იქნებაო და შატილიონთ მწყემსებმა ეს თიკან-ბატკნები შატილისაკენ გარეკეს. ნათულა წამოეწია, ეხვეწებოდა ნუ მიგიდისთ თიკან-ბატკნები, მე თქვენი მამიდა ვარო, მაგრამ აღარ დაიშალეს და გარეკეს შატილში. ამ დროს გუროს ჯვარში ათენგენა იყო, დღეობა და მთვრალი ხალხი იყო. გუროელმა ხოლიგამ გაიგო თიკან-ბატკნების გარეკა, სოფლის ჯარზე მივიდა და უთხრა: „დღეს შატილიონთ სირცხვილ დაგვდვეს, თიკან-ბატკნები გაგვილალეს, თუ ამაზე არაი ხქენით, ხვალ მავლენ შატილიონნი, ცოლებსაც გაგვილალვენ". მთვრალ ხალხს მეტი არ დასჭირდა, გაიქცნენ სახლებში და ფარ-ხმლებით შეიარაღდნენ, წავიდნენ შატილზე დასაცემად. მათი გასავალი გზა ჩონქარაის კარზე იყო. ჩონქარამ და ნათულამ რომ გაიგეს გუროელნივ შატილისად დასაცემად მიდიანავ, საკლავ მიაგებეს, საკლავს ყელზე ნათულას მანდელ მაახვიეს და იმით შაეხვეწნეს გუროვლებს – ნუ მიზდითავ შატილავ. გუროელთ არც მანდელს უგდეს ყური-დ არც საკლავს. ხევსურეთის წესით, მანდლის გადალაჭვა არ შეიძლებოდა, მანდელი და ისიც საკლავით.

ჩონქარათ ჰყავდათ ალალი ბიძაშვილი (შინში) კარკილა. სუიკათ ჰყავდა კირკილაის მამა მოკლული და თავი ემართა. კირკილას ეთქვა სუიკათად: მამის თავს გაპატივებთ, თუ ეხლად დაღბრუნდებით და შატილს არ წახოლთავ. სუიკათ აღარც კირკილას უხათრეს და წავიდნენ წინ. ბოლოს ჩონქარამ გალანძღა ხალხი: ჩემებ თიკან-ბატკნებ გალალესაო-დ მე თაოდ მავიჭდივ სირცხვილსავ, მე თქვენ მაჭდილ სირცხვილ რად მინდავ". მაინც ვერაფერმა ვერ გასჭრა მთვრალ გუროვლებთან. გუროელი ბათირა ძალიან ამაყი კაცი იყო და მან თქვა: დედა შეირთას ცოლად, ვინც დაბრუნდას და შატილ არ წავიდასავ. გავარდა ხიდზე და გაჰყვა სხვა ხალხიც. თან მისდევდა დიაც-

ყმაწვილი და მოხუცი ხალხი. დიაცები და მოხუცები ეხვეწებოდნენ – ნუ მიზდითავ, მაგრამ არას ვის უგონებდეს. მეშვლად მაინც გამავადგებითავ, ამბობდნენ დიაცები და მოხუცი ხალხი და მისდევდნენ თან. გზაში შეხვდათ ერთი შატილიონი კაცი, ჩალხია. საკლავი მიხყვანიყვ გუროს ჯვარში, საზღვნელად მიმავალიყვ. გუროელთ იმისად ცუდი არაფერი ეოქვა, რადგან ის მარტო იყო, სირცხვილი იყო ერთ კაცთან ბევრის ხალხის შუღლი. ხოლოდ გუროვლებს ჩალხიაისად ეოქვა, ჩვენ შატილს მივდით საშუღლარადა-დ შენ გუროს რაღა გინდაო. დაბრუნვილიყო უკან ჩალხიაც, გზაში ენახა შატილიონი წყემსები, გიორგით ჩუა ყოფილიყო ერთ-ერთი წყემსი ყმაწვილი. ჩალხიას ის გაეგზავნა შატილში და ეოქვა: მიდი, შატილს გააგებიევ, რო გუროელნ მადიანავ შაიარაღებულნივ შატილივნებსთან საშუღლარადაო-დ შატილივნებმავ იარაღ აიღანავ. ჩუას გაეტეხ ჴმა. შატილიონთ ეგონა, რომ გუროელნი ახლოს თუ მოვიდნენ სოფელთან, დიაც-ყმაწვილი დაშინდებაო. აჩქარებულიყვნენ, რომ სოფლიდან შორს როგორმე შევხვდეოო. თოფები აეღო და სიჩქარის გამო ფარ-ხმალი ვეღარ წაეღო. მთხრობელმა თქვა: ხალხი ისე აჩქარებით წავიდა, როგორც წავა მოსისხლე მტრისაკე, სინამდვილეში კი გუროელ-შატილიონი ხალხი სულ ერთი მეორის ნათესავი იყო. დისწული, დედიძმა, სიძე-ცოლეული და სხვა. გუროელი და შატილიონი ქალი სხვაგან იშვიათად გათხოვდებოდა, თუ ამ სოფლებში არა. ერთი, იმიტომ, რომ ერთიმეორესთან ახლო ცხოვრობდნენ, მეორე, იმიტომ, რომ ერთი მეორის მსგავსი ხალხი იყო ადათ-ჩვევებით, სიყოჩაღით და სხვა. ეგუებოდნენ ერთი¬მეორეს. ახლა კი თიკან-ბატკნების გადასვლის გამო ორი სოფელი იარაღით გამოვიდა ერთიმეორესთან საშუღლარად.

შატილის ჭალაზე ერთი ვიწრო ადგილია მდინარე არღუნის პირზე და იქვე პატარა ხიდია. ამ ხიდზე შეხვდნენ ერთიმეორეს გუროვლები და შატილივნები. ამ ხიდზე პირველად შატილივნები მივიდნენ, ხიდზე გადაეღობა დიაცები და ხნიერი ხალხი და აღარ უშვებდნენ მათ. ამ დროს გამოჩნდნენ გუროვლები; ხიდზე რომ გზა არ დაანებეს, შატილივნები წყალში გადახტნენ და გავიდნენ. ზოგები კლდის თბეს ამოეფარნენ თოფიანები. მთხრობელმა მგელიამ ასე მიამბო: „მაშინ მე ცამეტი წლის ვიყავ, იარაღ კი არ მქონდ, მაგრამ იქ კი ვიყავ. აერივნეს ერთუცში გუროელ-შატილიონნი, დადგ ჴმლების ჯაჭ-ჯუჭი, თოფების ტრიალი (სროლა). თოფის ჴმა კლდეებს უჴმობდა-დ, თოფის ბოლი ნისლივით დაიდვ (იმ დროს ბოლიანი თოფები იყო, ქართული თოფები და ბერდანკები). ზოგი იქ წაიქც ხალხი, ზოგი აქ დაეყარ რიყესავით. ჩვენ სისხლმაგოზებულ ხალხ გვეგონა-დ ისეებ მკვდრებ ყოფილიყვ (სისხლ მაგოზებული: ზოგს სისხლზე გული უწუხდება და დროებით უგრძნობლად ვარდება). შუღლი არ გაგრძელებულა, ცოტა ხანს იყო, დიაცებიც მეშვლობდესა-დ სისხლმაც შაზარ ხალხი-დ დაანებეს თავი ერთსხვის ჴოცას”.

ადგილზე მკვდარი დარჩა: ორი შატილიონი და ექვსი გუროელი. მომკვდრების გარდა, მძიმედ დაიჭრა და საკაცით წაიღეს: ექვსი გუროელი და ერთი შატილიონი. გუროვლები მეტი იმიტომ დაზარალდნენ, რომ შატილივნები თოფებით შუღლობდნენ და გუროვლებს თოფები არ ჰქონდათ წამოღებული, ჴმლებით შუღლობდნენ, სასიკვდილო ნაჭრევები თითქმის არ დაითვლებოდა, იმდენი იყო. რომლებიც თავის ფეხით წავიდნენ, თითო კაცს რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ხალხი დამშვიდდა და ერთი მეორისაკე აღარ იწევდნენ. წავიდნენ, მკვდრებიც წაიღეს და მძიმედ დაჭრილებიც საკაცეებით. დაჭრილებს სოფლური ექიმები დააყენეს, მაგრამ მაინც დაიხოცნენ ამ ომში მიყენებული ჭრილობებისაგან. ადგილზე დაიხოცნენ შატილივნები: იმედა გორგალათი – მოკლა თუკათ თოთიამ, გუროელმა, იქვე ომში. თუკათ თოთიათ შინში, გიგიათ წიქა, დაიჭრა ამ ომში და ბობღაცობდა, ეს მოკლული იყო შატილიონ ბოციათ მგელიაისაგან, მაგრამ ტყუილად დაღბრალდა გორგალათ იმედას. თუკათ თოთიამ რომ თავისი შინში წიქა სასიკვდილოდ დაჭრილი ნახა, სხვას წაართვა თოფი, გორგალათ იმედას დახკრა და უთხრა: ეემაჩი რო ეს ჩემ შინში ბობღაცობს, ეემის უნცროსიმც ხარ. წიქასავ საფარშიით ქუდ გამაუგორდავ, იმას ჩამახყვავ, გორგალათ იმედამ ესრივაო-დ მაკლავ, დააბრალეს. ამაზე ბძოლაც იყო. გორგალა ამბობდა, ჩემმა შვილმა იმედამ წიქა არ მოკლა და თუკათ თოთიამ ჩემი შვილი ტყუილად მოკლაო. მკვდრის ამოღებაც გაბედეს; ტყვია, რომელიც მეორე მხარეს არ იყო გასული, უნდა ეცნო ვისი იყო, მაგრამ არც ეს მოხერხდა. წიქაისა და გორგალათ იმედაის თავი რჯულმა ერთიმეორეში გადბარა. მაგრამ, გორგალაის მეორე შვილმა, ნანაიზძემ, მაინც მოკლა თუკათ თოთია, თავის ძმის, იმედაის სისხლისად. ნანაიზძემ რომ მოკლა თოთია და შატილისაკე წამოვიდა, მდევარი დაედევნა. თოთიაის ახლო სახლისკაცი, ხოლიგათ თათარა, წამოეწია და ნანაიზძეც გზაში მოკლა. ნანაიზძის და თოთიაის თავიც რჯულმა ერთიმეორეში გადბარა.

ამავე ომში მოკვდა მამულა შატილიონი, ბულაურთ მამიდან. მამულა მაშინ ყმაწვილად იყო და დედა იჭერდა და ხალხს ეხვეწებოდა: თქვენი ჭირიმე, ნუ მომიკლავთ, ერთი შვილი მყავსო. გუროელმა სიგირგალმა დედის ხელში დაჰკრა თოფი და მოკლა მამულა. ამ დროს მამულას დაც აქ იყო, ლელიკა. ამავე ომში მოუკლეს ახალგაზრდა საქმრო – გუროელი გიგიათ წიქა. ახლა ეს ძმაც მოუკლეს, ქალმა ვეღარ აიტანა და გადახტა წყალში. ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს, მაგრამ დაავადდა და მალე მოკვდა. ამ ომში გუროელი ხთისიათ სამუკა მოკვდა, სუკიათ გვარიდან. ეს დაბრალდა სიგირგალისაგან მოკლულ მამულას სახლისკაცებს, ე. ი. ბულაურთ ჩუას და გამახელას. სამუკას სამი ნატყვიარი სჭირდა და სამივე აქ აღნიშნულ პირებს დაბრალდა. თუმცა ესენი მამულას ახლობლები არ იყვნენ, მაგრამ რჯულმა სიგირგალისაგან მოკლული მამულას თავი გაბარა მამულაის შორეულ სახლისკაცებისაგან მოკლულ სიგირგალის სახლისკაც ხთისიათ სამუკაის თავში.

ამ ომში თორელთ ჩონქარამ ჴმლით დაჭრა შატილიონი თიაყათ ნია, რომელიც ამ ჭრილობისაგან მოკვდა. რამდენიმე წლის შემდეგ, რადგან ჩონქარა დაავადებული იყო და მისი მოკვლა სასახელოდ აღარ მიაჩნდათ, ჩონქარას ცამეტი წლის შვილი – ხთისო მოუკლეს. ხთისო პატარა მშვილდ-ისრით ჩიტებზე სანადიროდ გამოსულიყო. ჩონქარასაგან მოკლულ ნიაის შვილმა, მიხამ და მისმა ბიძაშვილმა ხოლიგამ ესროლეს და ნიაის სისხლისად მოკლეს ეს ყმაწვილი. მერე რჯულმა ამათი თავიც ერთიმეორეში გაღბარა.

ამავე ომში დაიჭრა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა კოკოთ გიგია, შატილიონი. მისი ნაჭრევი საარდარაოდ გახდა, ჩონქარაი და სიგირგალი (გუროვლებია) იბრძოდნენ: არა შენმა ნაჭრევმა მოკლა და არა შენმაო. რჯულმა სიგირგალს ფიცი უთვალა, მან თექვსმეტი კაცი ხელს მოიკიდა და დაიფიცა; თავი დაედო ჩონქარას (კაცის თავზე თუ იფიცავდნენ, თექვსმეტი კაცი უნდა მოკიდებიყო ხელს სახლისკაცებიდან. თუ დიაცის თავზე იყო ფიცი, მაშინ რვა კაცი უნდა ჰყოლოდა ხელსმომკიდე და მაშინ იყო ფიცი სრული. თუ ამდენი ხელსმომკიდე არ მოუგროვდებოდა, მაშინ ფიცი გატეხილად ჩაითვლებოდა და გამტყუვნდებოდა ის, ვისაც ფიცი ჰქონდა რჯულისაგან დავალებული). ამ სისხლზე მოკლეს ჩონქარაის სახლისკაცი, თოთიათ ივანე. ეს მოკლა გიგიაის შვილმა – გიორგიმ და ორი სახლისკაცი ეტანა თან – თათიაურთ გიგია და ნათელიზძეთ გიგია. კოკოთ გიგიაის და თოთიათ ივანეს თავი რჯულმა ერთიმეორეში გაღბარა. საუკენმამკვდრო ხუთი ძროხა გუროელ ბათაკათ აიღეს (წინწინ, პირველად მომკვდარი თუ უბედო ან უცოლშვილო იყო და იმის სისხლზე მოკლეს კაცი, მაშინ საუკენმამკვდრო გაუდის; ეს, რომ უბედო, უცოლშვილო კაცის სიკვდილი მწვავედ დგას, რადგან ის სულ ისპობა უშთამომავლობოდ და მისი მკვლელის მოკვლა სამართლიანია; თუ პირველად მოკლულს შვილები, შთამომავლობა დარჩა და სულ არ ისპობა, მაშინ შედარებით მსუბუქად ითვლება ასეთი კაცის სიკვდილი და მისი მკვლელის მოკვლისათვის უნდა გაიღოს ხუთი ძროხა საუკენმამკვდრო). რიგის ყენებისათვის პირველ ხანებში გუროელ-შატილივნებს თავი ჰქონდა მინებებული, რამდენიმე წლის შემდეგ კი ხევსურეთის რჯულის მიხედვით იწყეს რიგის ყენება, რომელიც მთხრობლებმა ვერ გადმომცეს, ვინ როგორ უყენა რიგი.

ლეგუა შატილიონი ბულაურთ მამიდან იყო და შატილიონთაგან გუროვლებისათვის ნასროლი ტყვიით დაიჭრა. ამისი დაჭრა დაბრალდა ჯალაბაურთ ლევანს. ბოლოს ლევანი ხანჯლით მოკლა ამავე ბულაურთ ერთ-ერთმა კაცმა ნიკომ. ლევანს ორი პატარა ბავშვი დარჩა და თავი თავში გაბარეს.

თათართ ხთისო მოკლეს სუიკათ: თაველექათ ბიძურამ, ხოლიგათ თათარამ და სამუკათ ბესომ (იმათ სახლისკაცის ჭირზე). ჭიელთ ნიკო, გუროელი სუიკათი, მოკლა მანგიათ ბეწიკაის შვილმა – კვირიკამ ომშივე და დააბრალა ჯალაბაურთ ოჟიათ ბაბოს შვილს, ბაჭყიას. რჯულმა ფიცი ბაჭყიას დაავალა, მაგრამ ხელს მომკიდეები

არ მოუგროვდა. მერე მანგიათავ დაიფიცეს ტყუილად და დაუმტკიცეს ისევ ბაჭყიას, რადგან მანგიანი ბევრნი იყვნენ და ჭელსმომკიდეებიც მოუგროვდნენ. ჭიელთ ნიკოს ცოლად ჰყავდა კვირიკაის და. ხალხმა გაიგონა, როცა კვირიკას ეუბნებოდნენ თავისი დედა და თავისი და, რა ქენი, სიძე რად მოკალი ნიკოო, როგორი საცოდავი დედა-დები დარჩა მაგისიო. მაგრამ იმან ტყუილად ფიცით თავი მოიშორა და ბაჭყიას გადააბრალა. მერე წამოვიდნენ სუიკანი, საფეხვნოსთან ახლოს ჩაუსაფრდნენ და ფეხონში ნაჯდომი ბაჭყია მოკლეს მანგიათ აპარეკამ და ძაღლიკათ იმედამ. სუიკათ ახალგაზრდები, კიდევ ოთხი კაცი, შატილის პირდაპირ მსხდარიყვნეს, მდევრად წასულ შატილივნებს აუტეხეს სროლა და არ გაუშვეს. მთხრობელმა თქვა: „ამ ტყუილად ფიცზე მანგიანი გათავებაზე მივიდეს; კვირიკა, იდუკათ ჯოყოლაის ცხენმ გალაჭ. ერთი შვილი მაუკვდ, ერთ შვილიც ასეთ უბედური, რომ დიდხანს არ გასტანს მაგის სიცოცხლე. სახლისკაცებიც, ვინაც ტყუილად ფიცზე ჭელს მაეკიდნეს, სრუ გათავებაზე არიან მიმდგარნი.“

რჯულმა ბაჭყიაის და ჭიელთ ნიკოს თავი ერთიმეორეში გაბარა, ხოლოთ, ტყუილად დაბრალდა ბაჭყიას უკაცურობის გამო. ზემოთ ითქვა, რომ კვირიკა ცხენმა მოკლაო. კვირიკა რომ ჯოყოლამ გაალაჭვინა ცხენს (ჯოყოლა არდოტელია), კვირიკაის შვილმა ივანემ და შიშიათ იმედამ, ივანეს სახლისკაცმა, მაკლეს ჯოყოლას მამა იდუკა და გაიბარა თავი თავში. საუკენმამკვდრო აიღო ჯოყოლამ, რადგან კვირიკა ცოლშვილიანი იყო.

ამ ლევანსა და ბაჭყიას რადგან ჭელსმამკიდეები არავინ ხყვანდა, ამიტომ ტყუილად ბევრი კაცის თავები დააბრალეს (ლევანი და ბაჭყია ძმები იყვნენ). ისევ მანგიათ მამიდან იყო გაგათ სამუკა. მისაგან მოკლული იყო გუროელი ბადათ იმედა (სუიკათ მამიდან). ისევ მანგიათ დაიფიცეს, რომ ლევანმა მოკლაო და ტყუილად დაუმტკიცეს მას ფიცით. წამოვიდნენ სუიკანი – მედაის ძმა თორელი და თაველექათ ბიძურა, ესროლეს ლევანს და ორი ტყვია დახკრეს, მაგრამ ისევ გადარჩა. ლევანის ძმას, ბაჭყიას, ნამდვილად მოკლული ჰყავდა გუროელი ბენტერი, ბაჭყია აღარ იყო და ერთი ტყვია ბენტერის შვილმა დაჰკრა ლევანს; ის ისევ გამორჩა. მთხრობელმა თქვა, ლევანს მუცელში გველი ჰყავდა, ჭრილობებს ულოკავდა და იმიტომ რჩებოდაო.

ლევანს ორი ობოლი შვილი დარჩა, როცა ის ლეგუაის სისხლზე მოკლა ნიკომ. ის ობლები გაიზარდნენ და სადღაც ჩრდილო კავკასიაში წავიდნენ. ბადათ იმედაის თავი გაუთავებელი დარჩა. თავი თუ გათავებულიყო, იმედაის თავში თექვსმეტი ძროხაღა ერგებოდა, რადგან ლევანი იმათთაგან თოფდაკრული იყო.

ამ ომში მოკლეს გუროელი ძაღლიკა, ბათაკიათი. მანგიათ ვაჟუნამ მოკლა. ამის სისხლზე მანგიათ აპარეკამ და თაველექათ ბიძურამ ვაჟუნას ესროლეს და ფეხში დაჭრეს, ხოლოთ ცოცხალი გადარჩა. ამის შემდეგ აღარ უსროლიათ და თავი დარჩა. ვაჟუნათ ხთისო რიგს უყენებს. ომში დაჭრილი იყო გუროელი იმედათ ბათირა,

სუიკათ მამიდან. ეს იყო დაჭრილი ანატორელთ ნიაისაგან და ამ ჭრილობისაგან მოკვდა. ანატორელთ დაედო სუიკათ თავი. მერე სუიკათ მამის კაცმა აპარეკამ ცოლად წაიყვანა ანატორელთ ხთისოს ცოლი, თარუა; ხთისოს მამა აბულეთი იყო და სუიკათ ჭელისქვეითად აღარ დაუდგა – თქვენ ჩვენი ცოლი წაიყვანეთო, მაგრამ აქ სისხლის საქმე უფრო მძიმე იყო და ამიტომ ისევ სუიკათ კაცმა უოურგამ აბულეთი მოკლა ხანჯრით. ესენი ახლობლები არ იყვნენ, მაგრამ რჯულმა თავი თავში გააბრივა.

ამ ომში და ომის შემდეგ სისხლზე სულ დაიხოცნენ შატილივნები: 1. იმედა, 2. მამულა, 3. ნია, 4. გიგია, 5. ლეგუა, 6. თათართ ხთისო, 7. ბაჭყია, 8. აბულეთი, 9. ნანაიზძე, 10. სადარა; ქალი – ლელიკა (თავი მოიკლა). გუროვლები არიან, მაშინვე და შემდეგ დახოცილნი ამ სისხლზე: 1. წიქა, 2. შალიკა, 3. თოთია, 4. სამუკა, 5. პენტერი, 6. იმედა, 7. ძაღლიკა, 8. ჭიელთ ნიკო, 9. ბათირა, 10. ჩონქარათ ხთისო, 11. თოთიათ ივანე. ამ ამბავზე ვინც დაიხოცნენ, ზოგიერთის ცნობების უქონლობის გამო, ვერ დაიწერა, ვინ ვისგან იქნა მოკლული, ან ვის სისხლზე. ამავე ომში დაიჭრა ქაცუაურთ თორელი, ბარკალში იყო დაჭრილი გორგალაისაგან. გორგალასაც სჭირდა პატარა ნაჭრევი თორელისაგან. გორგალაის შვილის ნანაიზძის მოკვლაში თორელიც მონაწილე იყო. თორელი გორგალასაგან მოითხოვდა სამთელსამკვდროს ოცდაათ ძროხას, რადგან ტყვიით იყო დაჭრილი; მაგრამ, აღარ ერგებოდა ამდენი, რადგან თორელსაც ჰქონდა ზემოთ აღნიშნული დანაშაულები და ამიტომ ვერ თანხმდებოდნენ. ადგა თორელი და გორგალაის სახლისკაცს, ხახუათ სადარას, თოფ დაჰკრა და მოკლა.

თორელის და იყო გათხოვილი ლიქოკში და შვილებიც ჰყავდა. თორელის შვილი და მისივე დისშვილი ძალიან გავდნენ ერთიმეორეს. შატილივნებს უნდოდათ თორელის შვილი მოეკლათ. მაგრამ ვერ იცნეს და, მისი გონებით, მის მაგიერ მაკლეს თორელის დისშვილი ხახუამ და გორგალათ ბათირამ. მერე მოინდომეს თავის გაბრა თავში. მაგრამ ლიქოკლებმა უარი თქვეს: ჩვენი შვილის თავს გუროვლის თავში არ გავბრითო. თორელი რიგს უყენებდა შატილივნებს და შატილივნები ლიქოკლებს, თუმცა, ხევსურეთის რჯულის მიხედვით, არასწორად; მაგრამ მაინც, რჯულმა შემდეგნაირად შეათანხმა: რიგის საკლავი თორელმა თავის დისშვილებს უნდა მოუყვანოს წელიწადში თითოჯერ, როგორც რიგის ყენების წესია, რადგან მისი დისშვილი შატილივნებმა მოკლეს მისი შვილის გონებით. შატილიონთ კი რიგს აღარავინ უყენებს, რადგან თორელს მათთვის მისაყვანი რიგის საკლავი, მათგან მოკლული თავის დისშვილის რიგის საკლავად მიყავს შატილივნების მაგიერ. ამ სისხლის საქმეზე ქაცუაურთ ერთიმეორე მოიკვეთეს. ქაცუაურნი ორ მამად იყრებიან: ბიჩინაგანი და სოსანანი. თორელი ბიჩინაგათია და სოსანანი

მათი განაყრები იყვნენ. შატილიენებმა შემოუთვალეს: თუ ბიჩინაგათან ძმობას გახყრით, თქვენ ჩვენი თავი აღარ გემართებათ, თავისუფლები დარჩებითო. ადგნენ და სოსანათაც მაკვეთნეს ბიჩინაგანი და დარჩნენ შატილიონთ მოსისხლეობიდან თავისუფალნი.

ბაბუკთ ნათელიზძე

ჩამაწერინა ბაბუა არაბულმა 1940 წელში, 75 წლისამ, სოფ. დათვისი

არაბულების გვარი ხევსურეთში ცნობილია ხალხის სიმრავლით. ისიც ცნობილია, რომ ისინი კიდევ ორად იყოფიან: ბიჩინაგურები და ჩუჩაყეურები. მერე კიდევ მამებად იყოფიან. ბაბუკი და მისი შვილი ნათელიზძე არაბულები იყვნენ, არაბულებიდან ბიჩინაგურნი, ბიჩინაგურებიდან – მარაიზძეთი და მარაიზძეთანით კიდევ ცალკე მამა – გაგიელანი. ბაბუკი ცხოვრობდა ყაზბეგის რაიონში, სოფელ ჯუთაში. სახელგანოქმული იყო ვაჟკაცობით, ჯიხვებზე ნადირობით და ოჯახისშვილობით, პურმარილით. ჩვენ ვიცით, რომ არაბულები ჯუთაშიც ცხოვრობენ და ბუდე-ხევსურეთშიც სხვადასხვა სოფლებში არიან დასახლებულნი. მარაიზძეთ მამის ხალხნი ცხოვრობენ ჯუთაში, დათვისში და ზეისტეჩოში, სოფელ ესაჩუში. ამ ხალხთ, როგორც ერთ სოფელში, ისევე სხვა სოფლებშიც ჰქონდა ადგილის წილი, რადგან ერთიმეორესთან ახლო განაყრები იყვნენ. სადაც ვინ მოისურვებდა, იქ დასახლდებოდა. გადაუცვლიდნენ ერთიმეორეს სახლ-კარს, მამულს, ან სახლს იყიდდნენ და მოსულს სახლისკაცები მამულს თავის თანასწორად მისცემდნენ.

ბაბუკი, როგორც ვოქვით, სახელგანოქმული იყო ყველაფრით, რაც ხევსურეთში ვაჟკაცს უნდა ახასიათებდეს. ერთხელ ბაბუკსთან იშუღლა ხუთმა ხევსურმა სანეს სანე გუდანის ჯვარის მთავარი სადღეობო ადგილი იყო, სანეობა წელიწადში ერთხელ მოდიოდა ივლისის თვეში. ეს ადგილი მდებარეობს გუდანის ზევით მთაზე და ამ დღეობაში თავს იყრიდა მთელი მაგანძური, არაბული, ჭინჭარაული და გოგოჭური. მათი ქალ-ქალიშვილი და მრავალი ხალხი მოდიოდა. ხშირ შემთხვევაში ხდებოდა შუღლი, მიუხედავად იმისა, რომ აკრძალული იყო ჯვარისაგან. როგორც სხვა ხალხი, ბაბუკიც აქ იყო მოსული, ფარით და ხმლით შეიარაღებული. ერთ ხევსურთან მოუვიდა ჩხუბი და ბაბუკმა ის რომ დაჭრა და დაამარცხა, მას სახლისკაცები მიეშველნენ და ხუთი კაცი გახდა ბაბუკთან მაშუღლარი. ხევსურები იტყოდნენ: ხუთი სცა და ხუთთავე უფარაო. ხუთნივე ჭრნა და მას კი სიწითე ვერ გამოართვესო, ე.ი. ხუთი ხევსური დაჭრა-დაასისხლიანა, ფარი ისე მარჯვედ იხმარა, რომ ერთი ჭრილობა ვერ მიაყენეს. სხვაფრივაც ბაბუკი ძალიან თავმოყვარე იყო.

ჯუთაში ხალხი გაქურდებული იყო, იპარავდნენ ერთიმეორის ოჯახებიდან ერბოს, ცხვრებს და სხვა წვრილმან რამეებს. ბაბუკს ჰყავდა შვილები – ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ნათელიზძე ჯერ კიდევ პატარა იყო, რომ ჯუთლებმა ჩაითრიეს და წვრილმან ქურდობაში მიაღებინეს მონაწილეობა. ბაბუკმა ეს იუკადრისა და გადაწყვიტა: თუ ეს ბავშვი აქედან არ მოვაშორე, ეს ხალხნი დამიღუპავენ, ქურდობას ასწავლიანო. ადგა, დათვისში იყიდა სახლი და იქ გადასახლდა თავის ცოლ-შვილით. აქაც კაი ცხოვრება შეიძინეს და ყველაზე უკეთესად ცხოვრობდნენ. წამოიზარდნენ ქალ-ვაჟებიც. ბევრი სტუმარი და მიმსვლელ-მომსვლელი ჰყავდათ, რადგან ძალიან კარგი ოჯახი იყო დედ-მამიან - შვილებიანად და ცხოვრებაც ხელს უწყობდა.

ამავე სოფელში ცხოვრობდა არაბულების გვარიდან ერთ-ერთი მამა, დავითაურნი. ესენი მარაიზძეთ მამასთან შორს იყვნენ, მაგრამ გვარი ერთი ჰქონდათ. დავითაურთ მამაში წამოიზარდა ერთი ძალიან კარგი ახალგაზრდა – ბაბუა ჩალხასძე. ხევსურები იტყოდნენ,ჸჩალხათ ბაბუას ხევსურეთში ბადალი არა ხყავსო. ბაბუა და ბაბუკის ქალი თამარი ერთიმეორეს დაუახლოვდნენ, როგორც ერთი გვარის ქალ-ვაჟები. დაიწყეს სწორფრობა და ერთიმეორისათვის მიყოლ-მოყოლა. ერთიმეორე ძალიან შეუყვარდათ, მაგრამ რჯული უფლებას არ აძლევდა ცოლ-ქმრობისას, როგორც ერთი გვარისებს.

არაბული გამრავლდა და ქალი ველარსაიდან მოგვყავსო. ერთხელ კრება მოიწვიეს არაბულებმა: გვარი დავშალოთ და სხვადასხვა მამის ხალხმა არაბულმა არაბული შეირთოს, გარდა თავის მამის ქალ-ვაჟისაო. ეს პირი სწორედ ბაბუკმა, მინდიათ აბამ და გოგიტამ ჩაუშალეს (ესენი არაბულების გვარში მოწინავე ხალხნი იყვნენ). კრებაზე ისინი რომ მოვიდნენ, ხალხს უთხრეს: „ჩვენ უცოლობის გულისთვის გვარს და ძმობას ვერ გავხყრით. თავის დას ვინც შეირთავს, ის რა ცოცხლებში უნდა ითვლებოდას. ვინც ცოლს ვერ მაიყვანს, უცოლო დაბერდას და მაკვდას. ჩვენ იმის რჯულს ვერ დავზდებთ, რომ და-ძმებმ იცოლქმრან. მაშ რას ხქვიან კაცობა, სირცხვილ-ნამუსი, და-ძმობა, თავისობა". ამ სიტყვებს ზოგიერთმა სხვებმაც დაუჭირეს მხარი და ჩაიშალა პირი. დარჩა ისევ ისე, რომ არაბული ქალვაჟი ერთიმეორის და-ძმად ითვლებოდა და გაცოლქმრების უფლება არ ეძლეოდათ. ეს უშლიდა ხელს თამარს და ბაბუას, მაგრამ ეს ახალგაზრდა იქამდინ თამამი იყო, რომ არც პირი და არც ხალხი არაფრად ჩააგდო და თამარი ცოლად მოიყვანა. გამწარდა ბაბუკი და ნათელიზძეც. სხვა გარეშე, ამათი მოგვარე ხალხიც წყინობდა ამ ამბავს და ნათელიზძეს აქეზებდნენ ბაბუას მოსაკლავად. ბაბუას მოკვლა არ უნდოდა ნათელიზძეს, რადგან ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო და არ ემეტებოდა, თან კი ნაწყენიც იყო მასზე. ბოლოს ნათელიზძეს ბაბუკმაც უსაყვედურა: ჩალხაის შვილმა და გაგტაცა და თავისუფლად დადის, არ გეპოვებაო. ბაბუკს ვიღაცამ კი

მოუტანა ამბავი: ბაბუამ თქვა, მე გაგიელანი ვერ მამკლავენ, იმათ ნასროლ ტყვიას ხელს შეუღობებ და ისევ იმათაკე მივაბრუნებო. ბაბუკმა ეს ამბავიც უთხრა შვილს და დაუმატა: აი, ჩალხაის შვილი ამის მეტად არ გვაფასებსო.

ნათელიზძეს მეტი გზა აღარ ჰქონდა, წავიდა ღამით და ბაბუას სახლის პირდაპირ ტყეში ჩასაფრდა. ბაბუა ჯერ-ჯეროობით სოფელში არ გამოდიოდა. მაგრამ თავის სახლის მიდამოს კი დღისითაც დადიოდა, არ იმალებოდა. თან იმედი ჰქონდა, ნათელიზძე მე მოსაკლავად არ გამიმეტებსო. ნათელიზძე კი იმის მოსაკლავად უკვე ჩასაფრებული იყო და ელოდა იმის გამოსვლას. გათენდა. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუა გამოჩნდა ჭერხოს კართან. ნათელიზძემ ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა. თვითონ ადგა და სოფელ გველეთში გადავიდა. დარჩა თამარი ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ხევსურეთის წესით მისი აქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა, რადგან ბაბუა კვდებოდა იმის ძმისაგან. თან აღარსად ჰქონდა წასასვლელი. ბაბუაც ძალიან უყვარდა და მოშორება ეძნელებოდა. ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. დედ-მამას და სახლისკაცებს სთხოვა: თამარს ნურასვინ აწყენთ, ესეც ჩემგან ჩავარდა ამ უბედურ მდგომარეობაშიო. ბაბუას სიტყვა გაიგონეს და თამარს ყველანი კარგად ექცეოდნენ. ბაბუამ ორი დღე კიდევ იცოცხლა და თამარი სულ გვერდზე ეჯდა. ბაბუამ თქვა: არ მეგონა თუ ნათელიზძე ასე გამიმეტებდაო. თამარი უვლიდა და ეუბნებოდა: შენ თუ ვერ მორჩი, მეც მალე თავს მოვიკლავ და საიქიოში შენთან მოვალო. ბაბუა გარდაიცვალა. მის დასაფლავებამდინ კი იქ იყო თამარი. მერე თანდათან უხერხული გახდა ამის აქ ცხოვრება და წავიდა აქედან. სახლში მისვლა ვერ გაბედა, რადგან მისი ბრალი იყო ეს უბედურება და სხვა ნათესავებში მივიდა. რიგის ყენების ამბავს აქ აღარ ვეხებით, რადგან რიგის ყენების წესები ზემო თავში არის აღნიშნული. მხოლოდ, ხევსურეთის რჯულის მიხედვით, ყველა რიგი უყენეს. მოსისხლეები ხანდახან რიგს არ იყენებენ. დავითურებმა რიგი მაშინვე იყენეს. სახლის რიგი, გვარის რიგი, სადედო – დედამ. ერთი სიტყვით, რიგი უყენეს. რიგის ყენებამდინ ბაბუკი აქ იმალებოდა. მერე ადგნენ და არხოტში გადაიხიზნენ. ბაბუკის ცოლი სოფელ ახიელიდან იყო, ოჟია ოჩიაურის ქალი და ამ სოფელში მივიდნენ ამანათად. ერთი საკლავი არხოტის ჯვარში მიიყვანეს და მიაბარეს თავი ჯვარს და ხალხს. სოფელმა ამანათობაზე უარი არ უთხრა და მიიღო ისინი. ერთი სახლიც უშოვნეს, ჯვარის მამულიც მისცეს და თავის საკუთარ მამულებსაც ახვნევინებდნენ. ისინი ძალიან მშრომელი ხალხნი იყვნენ და აქაც მალე კარგად მოეწყვნენ. სოფელმა ნება დართო, სახლი და მამულები ეყიდა. სახლიც იყიდეს და მამულებსაც ყიდულობდნენ, ბარში გადასული ხევსურებისას. ხევსურები ე.ი. დავითაურები ცდილობდნენ: ან შვილი მოეკლათ ან მამა, მაგრამ არხოტში ადვილი არ იყო ასეთი რამე. ერთხელ ბაბუკი მთაში ჯოგს აძოვებდა და ერთი ხევსური მოვიდა, რაღაც ამბავი მოუტანა მისი სახლისკაცების დაზიანებისა და უთხრა: დაგიბარესო, მამა და შვილი წამოვიდნენო. ეს ყოფილიყო ჯანიკთ ჭირჩლაის

შვილი ხოისო, დავითაურთ გარეთული სახლისკაცი. თურმე ეს კაცი ბავშვობიდანვე ბაკურხევში გაიზარდა, არც ბაბუკს იცნობდა და არც ბაბუკი მას. მერე ის კაცი წასულიყო და არხოტის მთაზე სანგალი გაეკეთა და ჩასაფრებულიყო. მამა-შვილი ან ორივე, ან ერთი წამოვა, აზრით გავიგებ, რომ შეიარაღებული იქნებიან, შეემჩნევა, ვინ არიან და მოვკლავო. მაგრამ ბაბუკი ბრიყვი კაცი არ იყო, ეჭვი აედო, რომ ვიღაცა დავითურთ კაცი უნდა ყოფილიყო და აღარ წავიდნენ. თუმე ჯანიკთ ხოისო ორ დღეს ელოდა არხოტის მთაზე ბაბუკის და იმის შვილის მისვლას, მაგრამ ისინი არ მივიდნენ იქ.

თანდათანობით დრომ გაიარა. დავითაურთ გულიც დამშვიდდა. დავითაურთ ჯერ ბაბუკის ახლო სახლისკაცები შეიყარეს პირს და ბოლოს ბაბუკი და იმის შვილიც პირს შეიყარნეს და თოფი აიღეს, აღარ იძევდნენ თოფით მოსაკლავად. მხოლოდ სადაც დავითაურთ ვინმე იყო, ისინი ადვილად არ მიდიოდნენ. წელიწადში თითო რიგის საკლავს და არაყს უგზავნიდნენ და იმასაც სხვის ხელით. დავითაურთ არ ენდობოდნენ, რადგან ძალიან ამაყი და შურისმაძიებელი ხალხი იყო. ხევსურები ამბობდნენ: სადაც დავითაურნი არ არიან, იქ ეშმაკი ვერ გაიმარჯვებს, შუღლი არ იქნებაო. ერთხელ ეშმაკმა მოინდომა ჯარზე მისულიყო და ხალხი ეშუღლა (შუღლი ეშმაკის საქმედ ითვლებოდა, შერიგება – ანგელოზის საქმედ). წავიდა ეშმაკიო, ამბობდნენ ხევსურები, მივიდა ჯარზე, სადაც სმა იყო. დაათვალიერა და იქ დავითაურთი ვერავინ ნახაო. მობრუნდა და უკან წამოვიდა, აქ დავითაურთი არავინ ურევია და მე რას გავიმარჯვებო. ასეთი ხმები იყო დავითაურებზე. მაგათი ჭირი ქვასაც არ სცხავავ, თორე კაცს ეგენ რას შაარჩენენავ. ამიტომ განზე იდგნენ და ახლო არ მიდიოდნენ. დათვისშიც აღარ წავიდნენ. სახლიც ჩაჭოვლდა (დაინგრა). მამულებიც გაყამირდა და ბაბუკთ ყველაფერს თავი დაანებეს. ნათელიზძეს იქვე არხოტში, სოფელ ამდაში, ქალი მოეწონა; ცოლად მოყვანა უნდოდა, მაგრამ მოსისხლეთ ნებადაურთველად ვერ მოიყვანდა. ბაბუკმა შუაკაცი გაგზავნა, ერთი საკლავი წააყვანინა, ტიკით არაყი და დავითაურთაგან ითხოვა, ნება მიეცა ნათელიზძისათვის ცოლის მოყვანისა. დავითაურებმა ნება დართეს და ნათელიზძემ მოიყვანა ბერდიშვილთ მამიდან აბიკათ გაგაის ქალი ნანუკა.

თამარი ჯერ ნათესავებთან იყო და მერე დედიძმათ მოიყვანეს და მამა-ძმებმაც აპატიეს უწესო გათხოვება და შეირიგეს. ბაბუა ჯერ კი ახსოვდა, მერე კი გაერთო ისევ სწორფრობაში და ბაბუა თანდათან დაავიწყდა. ერთი კარგი ახალგაზრდა იყო ბერდიშვილთავე მამაში. ის სახელიანი იყო, ქისტების მხოცელი და თამამი, სახელად ერქვა ბაბუტა, რომელიც მტერ ქისტებს შიშის ზარს სცემდა და ამის სახელით მთელი გვარიც ამაყობდა. თამარმა რომ დაინახა ასეთი სახელოვანი ახალგაზრდა, არანაკლები ჩალხათ ბაბუაზე, ჩალხათ ბაბუას ხსოვნა მის გულში სულ გაქრა და ახლა ახალი მეგობარი გაუჩნდა, გაყვა მას ცოლად. კარგ ქმარ-

შვილში ჩავარდა, კარგ ოჯახში, მაგრამ იმის მამა-ძმათ კი კაცის თავსისხლი არ მოშორდა. ხათრი, მრავალი ხარჯი, ადგილის დაკარგვა და სხვა.

ბაბუკი დაბერდა, მაგრამ ჯიხვებზე ნადირობას მაინც ვერ იშლიდა, რადგან ახალგაზრდობაში დიდი მონადირე იყო. უკანასკნელად ჭიმღის კლდეში წავიდა სანადიროდ და დაიკარგა. ერთი კვირის განმავლობაში თემი და სოფელი ეძებდა, ხან ფიქრობდნენ: დავითაურთ ხომ არ მოკლეს და დამალესო. მერე მოკლულ ჯიხვს შეხვდნენ კლდეზე გადმოვარდნილს, მოძებნეს და ბაბუკიც იმის ზემოთ მკვდარი იპოვეს. თურმე ესროლა ჯიხვს და მოკლა, ჯიხვი ძალიან ცუდ მისასვლელ ადგილას გაჩერებულიყო. ბაბუკი ახალგაზრდობის დროს ნაჩვევი იყო კლდეში სიარულს, მაგრამ სიბერის დროს ისე მარდად ვეღარ მოიქცეოდა. მისულიყო ჯიხვთან და კლდიდან დაეგორა (მერე ნავალზე გამოარკვიეს ეს ამბავი). ჯიხვი რომ დაგორებულიყო, რქა, რამეს მოედო თუ თავი ვეღარ შეიმაგრა, ბაბუკიც თან გადმოჰყოლოდა დაგორებულ ჯიხვს. ამ ფიცარ კლდის ბოლოში ბალახიანი პატარა ადგილი ყოფილიყო და ბაბუკი იქ გაჩერებულიყო. თავი ჰქონდა ცოტათი გატეხილი. ამდგარიყო, ცოტა იქით გაევლო და კლდის პირას მიწოლილი მომკვდარიყო. მოასვენეს და არხოტში სამი დღე იყო. ხარჯები აქ არხოტში გადაუხადეს, ცხენ დოღვი და სხვა. დარჩნენ ნათელიზძე და მისი დედა. ცოლიც მოიყვანა და შვილიც ეყოლა, ქალი.

ნათელიზძე პირველ ხანებში ჭკვიანად ცხოვრობდა და მერე დაიწყო ამაყობა. არხოტივნები, ზოგიერთი ახალგაზრდები ქისტეთიდან იტაცებდნენ ცხენებს, ცხვრებს და ნათელიზძეც ამათ აჰყვა და მონაწილეობას ღებულობდა. მშვიდობიან ხალხს ეს არ მოსწონდა, ისინი ეუბნებოდნენ ყველა ქურდებს: დაანებეთ თავი, ქისტეთში ნუ ქურდობთ, თორემ ქისტები ბევრნი არიან, ამასთან, თქვენზე მეტად ქურდები და ყოჩაღები, მოვლენ, გაგვანადგურებენ და მერე ჩვენ თქვენგან მოვითხოვთ ზარალის ანაზღაურებასო. მართლაც, აღნიშნულმა ქურდებმა ჯერ ოცი ცხენი მოიტაცეს, მერე ორასზე მეტი ცხვარი მოიტაცეს, მწყემსიც მოკლეს. ქისტებმა კაცი მოგზავნეს საითა (საითამ ქართული ენა კარგად იცოდა), დაგვიბრუნეთ ცხენები და ცხვარი, თორემ კაი საქმე არ იქნება ჩვენსა და თქვენს შორისო. მიუხედავად ხალხის თხოვნისა, გათამამებულმა ქურდებმა არაფერი დაუბრუნეს.

გაიარა ზაფხულმა. შემოდგომის ხანზე მთელმა ქისტეთის ლაშქარმა მოიყარა თავი. დაეცნენ არხოტში და ორი სოფელი – ამღა და ახიელი სულ გაანადგურეს. მესამე სოფელს, ჭიმღას, ხელი არ ახლეს, რადგან ისინი ბეგარასაც აძლევდნენ და ქურდობაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. ქისტებმა, ანუ ღილღვლებმა (ერთი და იგივე არიან) ღამე ორივე სოფელს ალყა შემოარტყეს და ხელში ჩაიგდეს. სოფელ ახიელიდან ტყვეებიც წაიყვანეს, პირუტყვიც გარეკეს და შინაური ქონებაც წაიღეს. ამღაში კი ხალხმა გაუგო მისვლა და ქვიტკირებში გამაგრდნენ. ნაწილი

პირუტყვი აქედანაც გარეკეს, ერთი კაცი, ერთი დიაცი და ერთი პატარა ქალიც მოკლეს. აგრეთვე მოკლეს ერთი ცხვრის მწყემსი, გუდამაყრელი. ამის შემდეგ ნათელიზძეს ხშირად ხვდებოდა უსიამოვნება ხალხში. ხალხი საყვედურს აძლევდა: თქვენ იპარეთ და სამაგიეროდ ჩენ კი გავნადგურდითო. ბოლოს იძულებული გახდა, რომ აქაობას გაშორებოდა. სახლი და ნაყიდი მამული გაყიდა და თავის დედით და ცოლშვილით ისევ ჯუთაში წავიდა. ჯუთაში სახლი იყიდა და მამულის წილი სახლისკაცებმა მისცეს. რაკი ქისტეთში მიეჩვია ქურდობას, ჯუთაშიც ვეღარ იშლიდა და ხელმრუდობას ეწეოდა, სახლისკაცებიც ეჩხუბებოდნენ, მაგრამ გაიალღოვა და ვეღარ იშლიდა. ჯუთლები ამბობდნენ: ჯვართაც გადასულია და ხალხსაც აღარაად აგდებს, ამას კარგი არაფერი დაემართებაო. მას ერთი ქალი არხოტშივე ეყოლა და ტყუპად, ქალ-ვაჟი ჯუთაში შაეძინა. უფროსი ქალი ხუთი წლისა იქნებოდა, როცა პატარა და-ძმა წლისა გახდნენ და იწყეს ფეხით სიარული. ნათელიზძეს შრომაც ძალიან უყვარდა. ბევრი ნახნავ-ნათესი ჰქონდა და შემოდგომაზე ბევრი საჩადლი მოიტანა სახლთან ახლო (საჩადლი ჰქვიან აგებულ ძნებს ერთად). პატარა ქალ-ვაჟი ფეხით დაცოცავდნენ და დიდი ქალის წინძღოლით ძნებში შესულიყვნენ და იქ თამაშობდნენ. სხვა ბავშვებიც იყვნენ მათთან ერთად. რომელმა ბავშვმა მოიტანა ასანთი, ეს გაუგებარი დარჩა. უფრო ეჭვი იყო, რომ ნათელიზძის უფროსი ქალი უნდა ყოფილიყო დამნაშვე. საჩადლში ერთ სერკვს ცეცხლი წაეკიდა (სერკვი: დადგმული ძნა), ქარი იყო და უცბად მთელ საჩადლს მოედო. აქ ამ დროს უფროსი ვინმე არ იყო ბავშვების გარდა. მოზრდილი ბავშვები საჩადლიდან გაიქცნენ და გადარჩნენ ცეცხლში დაწვას. ნათელიზძის ორი ბავშვი ცეცხლმოკიდებულ საჩადლში დარჩნენ და ორივენი დაიწვნენ. მოსულმა ხალხმა ეს ვერც კი გაიგეს, მანამ ნახევრად დამწვარ ბავშვებს არ წააწყდნენ. ამ დროს ნათელიზძე იქ არ იყო. მეორე დღეს მოვიდა. ბავშვები დაასაფლავეს და დაიწყო ცეცხლის წამკიდებელი ბავშვის ძიება. აქ ამ დროს ერთი მარაიზძეთ მამის ბავშვი ყოფილიყო, ხუთი თუ ექვსი წლისა, ნათელიზძის უფროსი ქალი – ამაზე უფროსი. ნათელიზძის დედა ამტკიცებდა, ცეცხლი ჩვენმა ქალმა არ წაუკიდა. ცეცხლს წაუკიდებდა ეგ სხვა ბავშვიო. სპიჩკა აღებული იყო ისეთი სიმაღლიდან, რომ ნათელიზძის ქალი სწვდებოდა იქ მხოლოდ; ხალხის შემოწმებით, მეორე ბავშვი იქ ვერ შესწვდებოდა. მაგრამ ნათელიზძე და მისი დედა მაინც ამბობდნენ – ჩვენი ბავშვი არ იყო, ჩაჩაური წაუკიდებდა ცეცხლსაო (მეორე ბავშვს ჩაჩაური ერქვა). ბავშვები ორივენი უარს ამბობდნენ, მე არ ვიყავიო, ერთიც ამას ამბობდა და მეორეც. ბევრი აწვალეს, აწამეს ჩაჩაური, მაგრამ ის ამბობდა: სპიჩკა მე არ მქონდა, ნათელიზძის ქალმა მოიტანა სპიჩკა სახლიდან და ცეცხლიც ალბათ იმან წაუკიდა, მე კი ცეცხლის წაკიდებაში არ მინახავსო. ნათელიზძემ ზარდონათ კაცი მიუგზავნა (მარაიზძეთ მამა კიდევ იყოფოდა მამებად: ზარდონანი, გაგიელანი და სხვა): მე შვილები თქვენმა შვილმა დამიწვა, თუ

დაიდებთ ორი კაცის თავს, ის არის, თუ არა, მეც მოგკლავთო. ზარდონათ ერთი ამაყი კაცი ყავდათ გოგიტა და ამან თავის დადებაზე უარი უთხრა და, პირიქით, ლანძღვაც დაუწყო – ტყუილად რად გვაბრალებსო. შუაკაცებმა გოგიტას ლანძღვა და მუქარა ნათელიზძეს არ უთხრეს. მათ უთხრეს, გოგიტა ამბობს: გამოვიძიოთ და თუკი დაგვიმტკიცდება, მაშინ კაცისთავს დავიდებთო, მაგრამ ნათელიზძემ გიგიტას ყვირილსა და მუქარას თვითონ მოკრა ყური და გადაწყვიტა, გოგიტას მოუკლას ერთი შვილი. გამოიტანა თოფი, სოფელს ზევით ეგულვებოდა გოგიტას უმცროსი შვილი, ხუთმეტი წლის თათუა. სოფელს რომ გასცდა, დაინახა, რომ ეს ყმაწვილი კლდეზე იჯდა და დაბლა მყოფ ბავშვებს რაღაცას ეხუმრებოდა. ნათელიზძემ ესროლა და ბავშვი იქვე, ადგილზე მოკლა. თოფის ხმაზე ხალხი მოვიდა და ბავშვი უკვე მკვდარი იყო. ნათელიზძე სოფელს უჩინარი გზით გაშორდა. გოგიტამ ბავშვი რომ დაინახა, უთხრა: „მოგიკვდეს შენი მამა გოგიტა, თუ შენებ თვალებ დავიცილა-დ ბაბუკის შვილს ეგ შავარჩინ". მისულებს უთხრა, თათუა წამაიყვანეთ და თავის სახლში დააწვინეთო. თვითონ გაბრუნდა და შინ წავიდა. ეხლა გახდა რიგის ყენებაზე დავა. ნათელიზძე მოითხოვდა ორი კაცის რიგს, ე.ი. ორი კაცის თავსისხლს, გოგიტა და მისიანები ამბობდნენ: ჩვენ ნათელიზძეს არავინ მოვუკალით, ტყუილად გვაბრალებს, მაგან კი თავის ხელით მოგვიკლა. ჩვენ არ ვუყენებთ რიგს, იმიტომ, რომ მართალი ვართ, მაგან კი რიგი გვიყენოს, თუ არ გვიყენებს - ჩვენ მოვუვლითო.

კაც-შუაკაცმა ბევრი იბრძოლა და ბოლოს ასე დაიყაბულეს ორივე მხარე: ზარდონათ ერთი კაცის თავი უნდა დაიდვან, რადგან ბავშვების დაწვა ნამდვილად იმათ არ უმტკიცდებოდა. ერთი კაცის თავი ხომ ნათელიზძეს დაედო. ჩაჩაურის მშობლებმა რიგი უყენეს ნათელიზძეს, ნათელიზძემ რიგი უყენა გოგიტას. სოფელსაც გაშორდა და გადავიდა ისევ არხოტში. აქ მას აღარც სახლ-კარი ჰქონდა და აღარც ნახნავ-ნათესი. გოგიტა სულ გაჩუმებული იყო, არც მუქარას ამბობდა. თავის გულში კი ნათელიზძის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ნათელიზძე თავისთვის ბრაზობდა: იმათ ორი შვილი მომიკლეს, მე ერთი მოვკალი. ადგილიც მე გავწირე და ისინი ისევ თავის ადგილში არიანო. უგზავნიდა კაცებს: დავაბოლოვოთ საქმე, რჯულში გავიდეთ და რასაც რჯული გვეტყვის, ისე მოვიქცეთ, ისე შევრიგდეთო. გოგიტასგან დადებით პასუხს ვერ ღებულობდა. ჯერ მადროვოსო, ამბობდა გოგიტა. იქნებ როგორმე გავიგოთ, ცეცხლი ვინ წაუკიდა და იმის მიხედვით გავარჩიოთ საქმეო. ამას ნათელიზძეც ფიქრობდა, მაგრამ თან ცხოვრებაც გაუძნელდა და უნდოდა მალე დაბოლოვებულიყო საქმე და მისულიყო ისევ თავის სოფელში. მას არხოტში ნახნავ-ნათესი რომ არ ჰქონდა, ამიტომ ხიზნის შენახვა უძნელდებოდა. პური არხოტში არ იშოვებოდა და ცხენის საპალნით გადაჰქონდა ყაზბეგის რაიონიდან ნაყიდი სიმინდი. გზა ჯუთაზე მიდიოდა, ყაზბეგში მიმავალს ჯუთის, სოფლის ბოლოზედ უნდა გაევლო. დღისით ჯუთაში ვერ გაივლიდა, ღამიღამ უხდებოდა სიარული, რაც

ძალიან მობეზრდა და უკლო თანდათანობით სიფრთხილეს. ჯუთას რომ გასცდებოდა, დღისით დადიოდა გზაზე. არხოტიდან გადასული ერთ-ერთ ჯუოელთან მივიდოდა, თოფ-იარაღს იქ დამალავდა. იქიდან რომ დაბრუნდებოდა, ისევ ღამით გამოივლიდა, წაიღებდა თოფ-იარაღს და წავიდოდა. ამასობაში წლებმა გაიარა. გიოიტას გული სულ სხვანაირად შეიცვალა. აგონდებოდა თავის სახლისკაც ბაბუკთან უახლოესი მეგობრობა და ფიქრობდა: თუ წესიერად მოიქცევა და აღარაფერს მაწყენს, მე ბაბუკის შვილს მოსაკლავად აღარ გავიმეტებო. მაგრამ როცა გაიგებდა, რომ ნათელიზძე ჯუთაში ყოფილაო, ისევ ცეცხლი ეკიდებოდა – ბრაზობდა, ჩემი ხათრი და რიდი არა აქვსო. ერთხელ ჯუოლებს უთხრა: ნუ დაგყავთ აქ ბაბუკის შვილი, მაგან მე შვილი მომიკლა, მაგრამ ახლა მე აღარ მინდა ისიც მოვკლა, რადგან ისიც ჩვენს გვარს დააკლდებაო. თუ მაინც არ მაიშლის აქ სიარულს, იცოდეს იმანაც და თქვენაც, რომ შემომაკვდებაო, მაგრამ მაინც არ დაიშალა და მაინც დადიოდა. უკანასკნელად გოგიტამ გაიგო, რომ ნათელიზძე ჯუთაში მოსულა და ყაზბეგისაკენ ჩაუვლია. იარაღი ჯუთაში დაუტოვებია და ამ ორ დღეში აუცილებლივ უნდა მოვიდეს. გოგიტამ თავისი ძმა ქუქუ ელქეშად გააყოლა; ქუქუ მიდიოდა ნათელიზძისგან შეუმჩნევლად. ჩავიდნენ მოხევეებში და ქუქუმ აქ გაიგო, ნათელიზძე რომელ ღამეს ამოივლიდა. წამოვიდა და გოგიტას შეატყობინა. გოგიტამ ქუქუ ხიდზე დაუყენა ყარაულად. მას გოგიტასათვის უნდა შეეტყობინებინა, ნათელიზძე როცა ჯუთაში მოვიდოდა. თვითონ გოგიტა სხვაგან ყარაულობდა. მოლოდინის დრო რომ გათავდა და ნათელიზძე არ მოუვიდა, გოგიტა ქუქუსთან მოვიდა. წამოვიდნენ და რომელ ოჯახშიც ნათელიზძე მოდიოდა, იმ ოჯახის ფანჯარასთან იყურიადეს. ნათელიზძის ხმა იქიდან ისმოდა. ახლა კი მიხვდნენ, რომ ნათელიზძე ბინდს გამოჰყოლოდა და ვიდრე ქუქუ ჩავიდოდა ხიდთან საყარაულოდ, ის უკვე გამოსული ყოფილიყო. ესეც აუცილებელი იყო, რომ ნათელიზძე დილით ღამიანად წავიდოდა აქედან. ქუქუ და გოგიტა წამოვიდნენ და ჯუთის შაღმა, არხოტისაკე წასასვლელი გზა შეკრეს. ჩაუსაფრდნენ გზის პირზე საირმე კლდესთან (აქ დიდი კლდე იყო, საირმე კლდეს ეძახოდნენ). თენდებოდა, როცა ნათელიზძე მოვიდა; ერთ ხელში საპალნიანი ცხენი ეჭირა, მეორე ხელში – თოფი. სულ ახლო რომ მოვიდა, ესროლა გოგიტამ და პირველივე ნასროლი გულში მოახვედრა. ისე აეშალა ნერვები გოგიტას, რომ ხუთივე ტყვია ესროლა შაშხანით. ქუქუ ხელში მივარდა თოფს, გეყოფა, ნუღარ ესვრიო. გოგიტამ იმასაც თოფის კონდახი მიარტყა გულში. მერე რომ გონს მოვიდა, ქუქუს უთხრა: მიდი– უსაკადრეოდ არ იწვას, დააწვინე რიგზე და ნაბადი დაახურეო. ქუქუმ მკვდარი გზის ზემოთ დააწვინა და მისი ნაბადი დაახურა. გოგიტა სოფელში ყვირილით და სოფლელების გინებით შემოვიდა: მანამდინ ავლიეთ, მანამ არ მომაკვლევიეთ. ჩემი შვილიც მე დამაკლდა, ეგიც ჩემი ახლოელი იყო, მამაკვლევიეთ და ჩემს გვარს დააკლდა, ეხლა თქვენ გასვენებით დასხდებითო.

ჯუოლები წავიდნენ მიცვალებულის მოსასვენებლად. გოგიტამ უთხრა ხალხს, მოასვენეთ აკიასთან (აკია მისი მამისკაცი იყო), თუ იმან სახლში არ მიიღო, ჩემს სახლში მოასვენეთ, მე გავალ სახლიდან, ის ჩემი ძმა იყოვო. მოასვენეს აკიასთან, კაცი გაგზავნეს და დათვისიდანაც მოუვიდნენ სახლისკაცები. არხოტიდანაც მოუვიდნენ თავის დედა და ცოლი, აგრეთვე დედულები და ნათელიზძე დაასაფლავეს. გოგიტამ თავზე ყველაფერი რიგი უყენა. მარაიზძეთ არხოტიდან მოიყვანეს ნათელიზძის ოჯახი და ჯუთაში დააბინავეს. მისი ვაჟი– , ცოტას რომ წამოიზარდა, რჯული ქონდა და ყველა თავები ერთიმეორეში გაიბარა. შერიგდნენ და ნათელიზძის ბავშვს გოგიტა თავის სიკვდილის დღემდინ უვლიდა და პატრონობდა. საუკენმამკვდრო და ასეთები ერთიმეორისაგან აღარ აუღიათ, რადგან ძმურად შერიგდნენ და დაიწყეს ძველებურად ძმური ცხოვრება.

კინწანი და ჩოდართ მამუკა

მიამბო ბაბუა ქეთელაურმა, სოფელ ბისოში, 55 წლისამ

ბისოში ცხოვრობდნენ ქეთელაურები; ხოლო, კიდევ არიან მამებად დაყოფილნი. ჩოდართ მამუკა და კინწანი ერთიმეორის შორიული განაყრები იყვნენ, მაგრამ მამუკას, გარდა ორი ბიძაშვილისა, კინწათაზე ახლობელი სახლისკაცი არ ყავდა. კინწათ ჩალხი მარტო კაცი ყოფილა, უძმო და არც ღვიძლი ბიძაშვილი ყავდათ: ჩალხი იყო მამაცი და ამასთან ცნობილი ქურდი – ცხენებს, ხარებს და სხვა, რაც კი შეხვდებოდა, ყველაფერს იპარავდა. მას წამოეზარდა ექვსი შვილი – ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. მამუკა, გიორგი, ტუჩა, ადუა, გიგია და ქალი– მზექალი. ამ შვილებმა მალე ისწავლეს მამის ხელობა და ქურდობით მამას გადააჭარბეს. იპარავდნენ ცხენებს, ხარებს ფშავიდან და კახეთშიც კი გადადიოდნენ. ტეხდნენ სახლებს, უხვდებოდნენ მგზავრებს, ძარცვავდნენ. ხევსურეთშიც არ ინდობდნენ, თუ ან ნივთი, ან პირუტყვი რამე ჩაუვარდებოდათ ხელში.

ამავე სოფელში ცხოვრობდა მამუკა ჩოდრიშვილი. მას მამა ადრე გარდაეცვალა და იზრდებოდა ობოლი, დედა-დების ხელში. კინწანი მასთან კარგად იყვნენ. ერთხელ ქისტეთშიაც გაიყოლეს საქურდალად. ხარები მოიპარეს, წამოეწია მდევარი, ადუა მძიმედ დაჭრეს ტყვიით და ცოტათი გადარჩნენ ამოწყვეტას, ღამე რომ არ დასწრებოდა. ჩოდართ მამუკას ბევრი მამული ჰქონდა და კინწანი უმამულოდ იყვნენ. პირველად ქირაობდნენ მამუკას მამულებს, ან ღალას აძლევდნენ და ისე ხნავდნენ. ბოლოს მოხნეს და მამუკას აღარაფერი მისცეს. ახლა, მეორე წელს, სადაც მისი მამული მოეწონათ, გააბეს ხარები და ხნავდნენ. მამუკამ ჯერ თვითონ სთხოვა, ნუ ხნავთ ჩემს მამულს, სხვასთანაც თქვენ უნდა მიპატრონოთ, არამც თუ თქვენ დამჩაგროთო. კინწათ ყური არ უგდეს და ისევ ხნავდნენ მის მამულებს. მერე კაცი

მიუგზავნა და სთხოვა, ნუ ხნავთო, მესამედ საკლავი წააყვანინა, ჩემს მამულებს ნუ ხნავთ, ნუც მე გამხვევთ ჭირში და ნუც თქვენს თავსო; საკლავიც უკან დააბრუნეს და მოსული კაციც გამოაგდეს. უთხრეს: ჭკვიანად იყოს, თორემ ემაგ სახლკარსაც წავართმევთო. ამ დროს კინწანი ოთხნი ძმანიდა იყვნენ. მეხუთე ძმა გიგია თოვლის ზვავმა მოკლა. კინწათ რომ არ დაიშალეს, მაშინ კი ჩოდრიშვილმა გადაწყვიტა – სინიც ყველანი დახოცოს და თუნდა თვითონაც მოკვდეს, არ დაუთმოს მათ არაფერი და შეუთვალა: მე გთხოვეთ, და ახლა ჩემი ბრალი ნუღარ იქნება. ნათქვამია: „კაცი მაკვდების ცოლზედა, ადგილზე საკუთარზედა". თქვენ დამწვარაის შვილი ცოლის ცვლაზე მახკალით, მე რაიღ მებრალების, რო მამულის გულისად მაგკლათ. ჩემ ბრალ (დამწვარაიშვილის მოკვლა შემდეგ დაიწერება) აღარ იქნების. კინწათ ამ მუქარაზე ბევრი იცინეს. დასცინეს, ახლა ჩოდრიშვილი დაგვხოცავსო.

მამუკას ერთი და ადრე ჰყავდა გათხოვილი და მეორე დაც გაათხოვა. ადგა და დედა მის ძმასთან ე. ი. თავის დედიძმასთან წაიყვანა, ქონებაც მას მისცა. თვითონ გამოიხურა სახლის კარები და სადღაც გაქრა. კინწანი კიდე დასცინოდნენ: მამუკა ახლა კი ამოწყვეტას გვიპირებსო. ტუჩას რაღაცაზე დასჭირდა შატილში წასვლა. გიორგის კარგი ცხენი ჰყავდა, გამოართვა ეს ცხენი და წავიდა შატილში. შატილში ორი დღე მოუგვიანდა. მამუკამ გაიგო მისი იქ წასვლა და გადაწყვიტა პირველად ის მოეკლა, რადგან ტუჩა ძმებზე მეტად ყოჩაღი იყო და, თუ სხვა რომელიმეს მოკლავდა და ტუჩა დარჩებოდა, ის ძმის მკვლელს დიდხანს არ აცოცხლებდა. წამოვიდა და შატილში გადასასვლელი მთა „დათვისჯვარი" შეკრა, ტუჩას შეატყობინეს, რომ მაგ გზით ნუ წახვალ, გზა გაქვს შეკრულიო, მაგრამ მან ეს არაფრად ჩააგდო. შეჯდა ცხენზე და წამოვიდა: მე ჩოდრიშვილი ვერ მომკლავს, იარაღებს ავყრი და ისე გაუშვებო. ამოვიდა დათვისჯვარზე, თოფი მხარზე ჰკიდია, ხელშიაც არ დაიჭირა, ისე არ ეპოებოდა ჩოდრიშვილს. ჩოდრიშვილი გზის მარჯვეს, კოშკის ნანგრევში, გზის ზევით იყო ჩასაფრებული. ტუჩა რომ ახლო მოვიდა და გაუსწორდა, ზევიდან ქვევით ესროლა, ტყვია ისე მოხვდა, რომ ტუჩას და ცხენს ორივეს გაუარა და ორივე იქვე ადგილზე მოკვდა. ჩოდრიშვილმა ტუჩა გზის თავზე შამოაწვინა, დაამკაცრა. თოფიც გვერდზე დაუწვინა, მისივე ნაბადი დაახურა და წამოვიდა. მწყემსები ნახა და მომხდარი ამბავი უთხრა. მწყემსებმა ბისოში შეატყობინეს. წამოვიდა ხალხი და მიცვალებული სახლში მოასვენეს. გამწარდნენ ძმები და დაიწყეს ჩოდრიშვილის ძებნა მოსაკლავად. მაგრამ ის ხან ერთ მხარეს მოექცეოდა ხევსურეთში, ხან მეორეს, ვინ იპოვიდა მას. ის კიდევ თავის მხრივ ადევნებდა თვალყურს, დანარჩენი კინწათ ძმები სად ვინ წავიდოდა, რომ ისინიც დაეხოცა. მამუკამ გაიგო, რომ გიორგი სადღაც ბარში წავიდა მგზავრად. წამოვიდა და ხევსურეთის ჭალაზე ვიწრო ადგილას შეუკრა გზა გველეთსა და ბარისახოს შუა ადგილას. ორი დღე ელოდა და მესამე დღეს

მოვიდა გიორგიც. როცა მოუახლოვდა, ესროლა და პირველივე ნასროლი ტყვიით წააქცია. ეგონა, ვაითუ მატყუებსო და რამდენიმე ტყვია წაქცეულს კიდევ მიარტყა. როცა დარწმუნდა, რომ ის ცოცხალი აღარ იყო, დაანება სროლას თავი. გზაში არ ჩასულა, რადგან აქ ბევრი ხალხი დადის და აღარ უნდოდა კიდევ რამე ხათაბალა მოსვლოდა. შემთხვევით გამვლელმა მგზავრებმა ნახეს, ბისოში შეატყობინეს და ეს კაციც წაასვენეს. ჩოდრიშვილი დანარჩენ ძმებს უთვლიდა: აბა, ეხლა მიდით ჩემს მამულებში, თუ კაცები ხართო, მაგრამ მამუკასთან ბრძოლა ახლა ძნელი გახდა და მის მამულებს ვინ მიეკარებოდა. კარგა ხანმა განვლო და ჩოდრიშვილმა გაიგო, კინწათ მესამე ძმა ადუა ბარში სადღაცა უნდა წავიდეს. წამოვიდა და „მოწმაოსძირს" (მოწმაო სოფელია და მოწმაოსძირი ამ სოფლის დაბლა ჭალას ჰქვიან, რომელზედაც ხევსურეთში შესასვლელი გზა გაივლის. ხევსურეთისაკენ რომ მივდივართ, ხევსურეთი პირველად იწყება მოწმაოსძირიდან). ვიწრო ადგილას შეკრა გზა. მეორე დღეს ადუა მოვიდა თავის ოჯახის წევრ ქალებთან ერთად. ჩოდრიშვილმა ამასაც ესროლა, ადუა წაიქცა. ორი ტყვია მამუკამ კიდევ ესროლა წაქცეულს. ყველა ტყვიები მოხვდა, მაგრამ ცოცხალი დარჩა, მძიმედ დაჭრილი; მაგრამ ექიმმა ადუა ისევ გამოარჩინა. ორი ძმა მოკლა, ერთი სასიკვდილოდ დაჭრა. იმათ უფროს ძმას მამუკას არ ებრძოდა, რადგან ის უშლიდა ძმებს ჩოდრიშვილის ჩაგვრას.

ადუა დიდხანს იწვა ჭრილობებისაგან და მერე, როგორც იყო, გამორჩა. გამორჩა, მაგრამ კარგად მაინც არ იყო, ჭრილობებისაგან დაავადმყოფდა. ჩოდრიშვილის მოკვლას კი მაინც ისევ ცდილობდა. უფრო იმიტომ ბრაზობდა, ერთმა ობოლმა და არაფრად ჩასაგდებმა ახალგაზდამ ორი ძმა მოუკლა. თვითონაც ჭრილობებისაგან დაავადმყოფდა. ჩოდრიშვილმა არც თავი დაიდო, არც რიგი უყენა და არაფრად არ ჩაყარა ისინი.

მამუკა პირველ ხანებში ფრთხილად იყო, მაგრამ, თანდათან გაბრიყვდა, გათამამდა და მოურიდებლად დაიწყო სიარული. დადიოდა ხალხის ჭირ-ლხინში, დღეობებში, ჯვარში და სხვა. ადუას კი ყველგან კაცები ყავდა დაყენებული. სადაც დაიგულვებდნენ ჩოდრიშვილს, მაშინვე ადუას შეატყობინებდნენ. როგორც საბოლოოდ გამოირკვა, ყავდა ისეთი კაცებიც, რომლებიც თვითონ მოკლავდნენ, ისე მოაწყობდნენ საქმეს, რომ ადუას დააბრალებდნენ თუკი საამისოდ ხელსაყრელ დროს იხელთებდნენ. როგორც მთხრობელმაც თქვა და სხვებიც ამტკიცებდნენ, ასეც მოხდა ბოლოს – მამუკა ჭაჭმატის ჯვარში აღმოჩნდა მოკლული. ადუა ამბობდა, რომ: მე დავიგულვე მამუკა, ჭაჭმატის ჯვარში მოვიდა და ლუდსა სვამდა. ადუასავე გადმოცემით იგი მიიპარა ჯვარში, შეიხედა და დაინახა მამუკა. რადგან არ უნდოდა, რომ შიგ ჯვარის ქაზდარში მოკვლა, გარეთ ჩასაფრდა და მოუცადა მის გამოსვლას. ბოლოს მამუკამ აიღო თოფი, გარეთ გამოვიდა. კარებს რომ გამოსცდა ესროლა

ადუამ და სასიკვდილოდ დაჭრა. ჩოდრიშვილი დაჭრილი იყო, მაგრამ ელვასავით სწრაფად გაქანდა და ადუას ხელდახელ შეებრძოლა. მაგრამ მალე მოედო ღონე, დავარდა და მალე გარდაიცვალა. ადუა ასე ამბობდა, სხვა ხალხმა სხვანაირად გამოთქვა მისი მოკვლის ამბავი:

სოფლები ბისო და ხახმატი ერთიმეორესთან ძალიან ახლოს არიან. სოფელ ხახმატში იყო ერთი ოჯახი, რომელსაც კინწათან მტრობა ჰქონდა. ამიტომ მამუკა ამ ოჯახს ენდობოდა. ადუამ იმდენი მოახერხა, რომ ამ ოჯახს შეურიგდა და მოისყიდა ისინი. მამუკა მათთან ღამით მივიდა, ისინი კარგად შეხვდნენ, ლუდი და არაყი დაალევინეს და ბოლოს მთვრალი ტახტში დააძინეს. ერთმა მათგანმა თოფი ესროლა და მოკლა ის. მერე ადუას შეატყობინეს, მამუკა ფარდაგით ჭაჭმატის ჯვარში მიიტანეს და აქ ადუამ რამდენიმე ტყვია დაკრა. ხევსურებმა ეს ამბავი მეორე დღესვე შეამჩნიეს, რომ პირველ ნატყვიარიდან სისხლი იყო გამოსული და სხვა ტყვიები მკვდრისათვის დაეკრა. ამ ნატყვიარებში სისხლი სულ არ იყო. ჩოდრიშვილი დედიძმებმა სოფელ კისტანში წაასვენეს და იქ დაასაფლავეს. ასე ჩაიარა მათმა თავ-სისხლმა – არც ხევსურეთის რჯული და არც რიგის ყენება.

ადუას მოკვლა

მიამბო მანვე – ბაბუამ

ადუა ამ ამბების შემდეგ ხევსურეთს გაშორდა და დაიწყო ფშავში ცხოვრება, სახელდობრ, შარახევში. ერთი ხევსური, სოფ. გუდანში მცხოვრები მინდია ჭინჭარაული, საპატიმროში გარდაიცვალა. ადუას დააბრალეს მისი დაპატიმრება და მინდიას ძმა-ბიძაშვილები გადაემტერნენ მას. როგორც შემდეგში გამოირკვა, ადუა დამნაშავე არ იყო – ს დაპატიმრებული ყოფილიყო თავის დანაშაულისათვის, მაგრამ ისინი მაინც ადუას ეძებდნენ მოსაკლავად. ხან სად უსაფრდებოდნენ და ხან სად, მაგრამ ის ფრთხილად იყო და რჩებოდა,"რომლითავ გზით წავიდოდა, იმ გზით აღარ ბრუნდებოდა". ბოლოს მინდიას ბიძაშვილი ქალი დააყენეს ამბის შესატყობინებლად, სად წავიდოდა ადუა, როდის დაბრუნდებოდა და რომლის გზით. ქალმა ძმა-ბიძაშვილების დავალება შეასრულა. გაიგო, რომ ადუა თიანეთში წავიდა და მეორე დღეს უნდა მოსულიყო. ქალი წამოვიდა და ეს ამბავი თავის ძმა-ბიძაშვილებს უამბო. ისინი იმავე ღამეს მოვიდნენ და მოსასვლელი გზა შეკრეს. შუადღის დროს ადუა მოვიდა. თოფი ხელში ეჭირა და იქით-აქეთ ბუჩქებს ათვალიერებდა. მაგრამ ისინი შეუმჩნეველ ადგილას ისხდნენ. გავარდა ორი თოფი და ადუა იქვე უსულოდ დაეცა. ორი ტყვია კიდევ ესროლეს წაქცევის შემდეგ და წამოვიდნენ ტყე-ტყე. აქ მცხოვრებლები ახლო იყვნენ, სროლის ხმაზე მოვიდნენ და ადუა მკვდარი ნახეს.

წაასვენეს და შარახევის სასაფლაოზე დაასაფლავეს. არც ამისი რიგი უყენებია და აღარც შურისმაძიებელი დარჩა ვინმე. დარჩა ერთი მოხუცი ძმა მამუკა, ერთი, თავის ძმის გიორგის ბავშვი და ერთი ტუჩასი. ასე მოეღოთ კინწათ ბოლო, რასაც ხევსურები მათ სიამაყეს და გადასულობას აბრალებდნენ და ამბობდნენ: თავის გადასულობით გათავდნენ კინწანიო.

ადუაის მკვლელის მოკვლა

ადუას მკვლელები მიიმალნენ. მინდიას ძმა ხთისო და ერთი მისი ბიძაშვილი კობახაისშვილი იმალებოდნენ იმიტომ, რომ კინწათ ნათესავები მათ არ დაინდობდნენ. თუმცა ხევსურეთის წესით, თავის მოგვარის გარდა სხვა ნათესავი ვერ მოკლავს მკვლელს; თუ მოკლა, თავი თავში არ გაიბრება. მაგრამ, რადგან კინწათ მეგობრების გარდა თავისი აღარავინ დარჩა შურისმძებნელი, ამიტომ მათი მეგობრები ცდილობდნენ ადუას მკვლელთან შეხვედრას და საიდუმლოდ მოკვლას. გაიგეს, რომ მისი მკვლელები არხოტში იყვნენ გადასულები და მოკლე ხანში დაბრუნდებოდნენ იქიდან. ყოველ ღამე ყარაულობდნენ ბლოს ჭალაში, სადაც ვიწრო ადგილი იყო, რომელზეც მათ უნდა გამოევლოთ. და აი, ერთ ღამეს მოვიდნენ ორივენი. მომავალმა მგზავრებმაც შენიშნეს, რო ვიღაცეები გზიდან გადავიდნენ და ბუჩქებში მიიმალნენ. მაგრამ მათ აქ შიში არ ჰქონდათ, რადგან ეგონათ, რომ მათი ნამდვილი მტრები ვერ გაიგებდნენ, სად იყვნენ წასული, ან როდის დაბრუნდებოდნენ და რომელი გზით გამოივლიდნენ. ამიტომ მათ ბიჯი არ შეშალეს და თავისუფლად მოდიოდნენ. ფიქრობდნენ: ეგ ვიღაცა მტრიანი კაცია და გზას მოერიდაო, მაგრამ ისინი კი სინამდვილეში ამათ დაეძებდნენ დასახოცად. შენიშნეს, რომ ეს ორი მგზავრი არხოტიდან გადმოსულან და ისინი იქნებიან, ვისაც ელოდებოდნენ. მოვიდნენ სულ ახლოს და იცნეს შეიარაღებული ხალხი. გაიგეს, სინამდვილეში ისინი არიან და აუტეხეს სროლა. ხთისო იქვე მოკლეს, მისი ბიძაშვილი კი წყალში გადახტა და წყალდაწყალ გაიქცა. იმასაც ბევრი ესროლეს, მაგრამ არასასიკვდილოდ დაჭრილი გაიქცა. თოფის ცეცხლზე იმანაც ესროლა, მაგრამ მათ არ მოხვდა, რადგან კარგ საფარში იყვნენ ჩასაფრებულნი. მკვლელები გაქრნენ და ხთისო იქ დარჩა მკვდარი. მეორე დღეს ხალხმა გაიგო, რომ ვიღაცას ხთისო მოეკლა და მკვლელის ვინაობა დაუდგენელი დარჩა. მოვიდა ხალხი, ხთისო გუდანში წაასვენეს და იქ დაასაფლავეს. იმის მკვლელებზე ეჭვი ქონდა ხალხს, მაგრამ, არც მნახველი იყო და არც სხვა რამე დამამტკიცებელი საბუთი. ხთისოს არც ახლობელი პატრონი ვინმე ჰყავდა, რომ თავი გადაედო ამ საქმისათვის, ხთისოს მკვლელები აღმოეჩინა და შური ეძია ხევსურული წესით. დარჩა ამისი რიგი უყენებელი.

კინწათ გიორგისაგან დამწვარათ ხთისოს მოკვლა

მიამბო მანვე, ბაბუამ, სოფელ ბისოში

კინწანი, ვიცით ვინც და სადაურიც, ან როგორი კაცები იყვნენ. დამწვარათ ხთისო სოფელ უკანხადუში მცხოვრები იყო, ატაბურათ მამიდან. ხთისო იყო სიმამაცით სახელგანთქმული ვაშკაცი, პურადი, სწორების და პურმარილის მოყვარული, თანაც, ძალიან ამაყი. წინხადუს სოფელში ცხოვრობდა ერთი დაქვრივებული ოჯახი. ბათირა მომკვდარიყო, მისი ცოლი და ორი ქალიშვილი იყვნენ ოჯახში. უფროსი ქალი ძალიან ლამაზი იყო და ბევრი მთხოვრები ჰყავდნენ. ზოგი ძალით და მუქარით, ზოგი მოხერხებით, ეს ქალი დანიშნეს კინწათ გიორგისათვის. ხევსურეთში ქალი დანიშვნის შემდეგ დიდხანს არის მამისახლში, ზოგჯერ აკვანშივე დანიშნვენ, იმათობაზე იზრდებოდა გათხოვების დრომდინ. ითვლებოდა მის ცოლად, ვისთვისაც ნათხოვი იყო და არავის უფლება არ ჰქონდა მისი წაყვანისა, როგორც ოჯახში მოყვანილი ცოლის წაყვანის უფლება არავისა აქვს. თუ ვინმე გაბედავდა და სიტყვასაც იტყოდა იმის წაყვანის შესახებ, ის უსიკვდილოდ ვერ გადაურჩებოდა ქალის საქმროს და მერე იმის გვარს. ხოლოთ ქალს სწორფრობის უფლება ჰქონდა და ამ სწორფრობაში ბევრი ჰყავდა გულის მტეხელი მოსაუბრე, თუ ის კარგი ქალი იყო და სხვას ვისმე მოსწონდა თავისთვის, ხოლოთ ეს საუბარი ხდებოდა ძალიან ჩუმად. ამას ეწოდებოდა ცოლის ცვლა და თუ გაიგებდნენ, ესეც სასიკვდილო ამბავი იყო. ახალგაზრდები ხშირ შემთხვევაში ქალს საქმროს დაუცინოდნენ, თუნდაც ის კარგიც ყოფილიყო. ეუბნებოდნენ: ბეჩავია, არ ვარგა, ეს რამე ჩაიდინა, ისო, მამაცი ვერ არის, დავიჭერ და ტანისამოსს სულ გავხდი, ვცემ, ვჭრი, დავაშინებ, გავაქცევ და სხვა. ქალის საქმრო თუ ამას გაიგებდა, აუცილებლად მოჰყვებოდა ჭრა-ჭრილობა და სიკვდილი. ბათირათ მზექალა სილამაზით, მუშაობით, ჭკვა-გონებით და ნამუსიანობით სახელგანთქმული ქალი იყო. ბევრს უნდოდა კინწათ მასზე ხელი აეღო და სხვას წაეყვანა, მაგრამ კინწათ შიშით ხმას ვერავინ იღებდა (მანამ ქმარი არ იტყოდა: „ჭელ ამიღავ, თავ დამინებებავ, ვისაც უნდ იმან წაიყვანას, ვინაც უნდ იმას წაუვიდას, ნუც მოელი ას ჩემობაზე, ნუც მკვდარი", მანამდინ მისი წაყვანის უფლება არავის ჰქონდა. თუ ქმარი ვისმეზე გათხოვებას უკვეოდა, აუკრძალავდა, ისაც ვერ წაიყვანდა. თუ წაიყვანდა, სიკვდილი ან ჭრა-ჭრილობა მოყვებოდა. უკვეოდნენ იმ კაცისად გაყოლას, თუ ეჭვი ეპარებოდათ: ქალი ქმარს იწუნებს რომელიმე სხვა ახალგაზრდისათვის გაყოლის გუმანზეო. ჩუმად კი, ძალიან ჩუმად, მზექალას ქმარზე გულის მტეხელი არ დაელეოდა. ამ გულის მტეხლების რიცხვს ეკუთვნოდა დამწვართ ხთისოც. იმათ კინწათან კარგი განწყობილება არ ჰქონდა და ამიტომ მზექალას ეუბნებოდა: გაეყარე მაგ ქმარს, ეგ საშენო ვერ არის და სხვა კარგ ვაშკაცზე გაგათხოვებო. ეს ამბავი კინწათ

ყურამდინ იყო მიღწეული, რომ დამწვართ ხთისო ჩვენს ცოლს სცვლის ე.ი. ჩვენზე გულს უცვლისო და უფრო მეტად ცხარობდნენ ხთისოსაკე. ქალის წამოყვანა და იქიდან მოშორება უნდოდათ, მაგრამ დაემალა და ვერ წამოიყვანეს. ახლა კი აშკარა გახდა, რომ მზექალა გიორგის სწუნობდა და ვიღაცა გულს უავებს.

უკანჭადუვლებს დისწული ჰყავდათ სოფელ ამღაში, გამიხარდი ჯღუნასძე წიკლაური, ჭოლიკაურთ მამიდან. ამავე სოფელში ცხოვრობდა ერთი კარგი დედისერთა ახალგაზრდა დავით წიკლაური, ჩინგლათ მამიდან. გამიხარდი, როგორც დისწული, ისე დადიოდა ჭადუს. როგორც მამიდაშვილს, კარგად ექცეოდნენ ქალებიც და ახალგაზრდებიც. მზექალასთან, როგორც დედიდასთან სწორფრობა გააბა და ეუბნებოდა: შენ კინწანი დაიწუნენ, გაეყარე მათ, ისინი საშენო ვერ არიან. შენ ეგეთი ვაშკაცის საფერო ხარ, როგორც არის დავითი, ადეგი და იმას გამოყევიო. დამწვარათ ხთისოც ამასვე ეუბნებოდა, მაგრამ კინწანი ქალს თავს არ ანებებდნენ. ისინი ამბობდნენ: ვისაც თავი სასიკვდილოდ აქვს გამეტებული, ეგ ქალი იმან წაიყვანოსო. დავითი ქალს არ დაიწუნებდა, რადგან ხევსურეთში ქებული ქალი იყო. მაგრამ გაიგო, რომ კინწანი თავს არ ანებებდნენ და იმის მოყვანაზე უარი თქვა. ის უკაცური კაცი იყო, ერთი ბიძის მეტი არავინ ჰყავდა. მისი ბიძა, მარაიზძეთ თოთა, ამღაში პირველი კაცი იყო, მაგრამ უკაცურობის გამო ცუდ საქმეს და ხათაბალას ერიდებოდა. ძმისწულს თოთამაც უთხრა: ჩვენ უკაცურნი ვართ, სხვის ცოლი არ გვინდა, სხვის ცოლის მოყვანას სიკვდილი და მტრობა მოსდევს, ჩვენ კი იმდენი კაცი არა გვყავს, რომ ასეთი სიტუტუცის გულისათვის მტერი გადავიკიდოთო. ამ დროს ქალის საქმე შიროშარაში იყო, კინწათ ის აღარც მიყავდათ და არც ჭელი აიღეს. მხოლოდ ქალი იქ წამსვლელი აღარ იყო, გიორგისად გაყოლაზე ცივ უარს ამბობდა. დამწვარათ ხთისომ გამიხარდის უთხრა: ეს ქალი ან დავითისად წაიყვანე, ან შენთვისო. მართალია, შენ ჭადუელთ დისწული ხარ, მაგრამ შენი ნამდვილი დედულნი სხვა მამის კაცნი იყვნენ და ეგ სხვა მამა არისო (გამიხარდის დედული ამოწყდენ, მამად ბაჭუანი იყვნენ და მათ გვარში ქალების მეტი აღარავინ იყო). გამიხარდიმ ქალი გაიტაცა, ვითომ დავითისათვის, მაგრამ სინამდვილეში, თავის ცოლად. ჯერ სხვაგან იყო გახიზნული და მერე ქალი შინ მოიყვანა. დედას და ძმას გამიხარდისას პირველად არ ესიამოვნა ამ ქალის მოყვანა, ერთი იმიტომ, რომ ჭადუელი ქალი იყო და როგორც დედისდა, ისე იყო ამათთან. მეორე მიტომ, რომ, თუ კინწათაგან თავდანებებული არ იყო, ისინი ძალიან ავი ხალხნი არიან; ან ამ საქმისათვის ხელის შემწყობს, დამწვარათ ხთისოს, მოკლავენ, ან ქალის წამყვან გამიხარდის. რისთვის უნდა გაეხადა მტერი? მერე, არც ამათი მამის კაცნი იყვნენ მრავალნი. ჭოლიკაურნი უკაცური მამის კაცნი იყვნენ. არ იყო დიდი კაცმრავალი მამა. არ ესიამოვნა, მაგრამ გამიხარდი ანჩხლი კაცი იყო და წყენას მოერიდნენ. არაფერი არ უთხრეს. კინწათ ეს ამბავი რომ გაიგეს, თქვეს: ჩვენ ქალზე ჭელი გვქონდა

აღებული, სადაც უნდა გათხოვილიყო, ჩვენ ამას აღარ ვიდავებდით, არხოტიონსთან სულ არ გვაქვს საქმე, რადგან ჩვენ ვიცით, ქალმა იმის გულისათვის არ დაგვიწუნა. ქალს ჩვენზე გულს უავებდა დამწვარათ ხთისო და ჩვენ მაგას არ ვაპატიებთო. გაიარა კარგა ხანმა და არაფერი ხმა იყო საქმეზე. ბოლოს ლიქოკში ქორწილი იყო და კინწათ გიორგიც ქორწილში იყო ნაწევი. დამწვარათ ხთისოც ამ ქორწილში იყო მყოლად (მყოლი: მაყარი). ხალხმა იცოდა, რომ კინწანი და დამწვარანი ერთიმეორეს ემტერებოდნენ და ამიტომ ერთიმეორეს არ ახვედრებდნენ. სადაც ერთი იყო, მეორეს იქ არ მიიყვანდნენ. მაგრამ ბოლოს ერთ მასპინძელს აღარ მოაგონდა მათი მტრობა და ორივენი აწივნა (ხევსურულ ქორწილში, სოფელში ყველა კომლი ამზადებს სასმელს და საჭმელს. აწევენ ყველა მაყარს და სოფლელებს. ახლა სხვა და, ქორწილის მეორე დღეს ქორწილის პატრონის სახლში მცირედი რამ იხარჯება. ამ დღეს სოფლელების ხარჯია მთელი დღე). ხთისო და გიორგი პირველ ნახვაზედვე შეკამათდნენ. გიორგიმ უთხრა ხთისოს: შენ ჩემთვის საქმის გამკეთებელი ხარ და ჩემს გვერდით აღარ უნდა მოხვიდე. მე შენზე კაი გული არა მაქვსო. ხთისომ უფრო უხეში სიტყვებით უპასუხა და თან სილაც გაარტყა. გიორგიმ ხანჯარი მოუქნია მაგრამ მეშვლებმა დროზე დაიჭირეს და ხანჯარი ხთისოს ვეღარ მისწვდა. ხთისომაც ხანჯარი ამოიღო და ერთიმეორეს ხელი მიჰყვეს. ქორწილის ხალხი, კაცი და დიაცი, ყველა მეშვლად მივიდა და ერთიმეორესთან მაშუღლარები აღარ მიუშვეს. ლანძღავდნენ ერთიმეორეს, ემუქრებოდნენ და თან თუ რამე საყვედური მოაგონდებოდათ, ერთიმეორეს ასაყვედურებდნენ. სხვათა შორის ხთისომ უსაყვედურა გიორგის: „შენ ის კაცი ხარ, რო არხოტიონთ ცოლი წაგართვეს. ის მე წავიყვანე-დ კიდევაც უარეს გიზამ. ცოლ ხო წაგართვესა-დ, შენაც ცოლად ვის წაგაყვანიებ". გიორგი ისე ააღელვა ამ საყვედურებმა, რომ გიჟივით მიიწევდა მისკენ. მეშვლებმა რომ არ გაუშვეს, ჯავრისაგან ცრემლები ჩამოყარა, რაც ხევსურეთში შერცხვენაა – ვაშკაცის თვალზე ცრემლის ნახვა. რომ ვეღარაფერს გახდა, დაჯდა და დაისვენა. მერე ადგა და წამოვიდა შინ. მასპინძელი და უფროსი კაცები ეხვეწებოდნენ: ნუ წახვალ, უშუღლარი ვინ არის, შუღლი ჭევსურეთის მიწა-წყალთ მაუდის შუღლი-დ ჭრაჭრილობაი. გიორგიმ უთხრა: „ეგ კი მართალი შუღლი-დ ჭრა-ჭრილობა ჭევსურეთის მიწაწყალთ მაუდის, მაგრამ ცოლის წართმაით-დ, მემრ თაოდავ ყვედრება. რა უნდ მაგას, თუ ეგ შაშჩების, ალალ იყოს მაგაზე". გიორგის გამოაყოლეს ლუდი და არაყი. შეჯდა ცხენზე და წამოვიდა შინ. ლიქოკიდან ხახმატში გადასასვლელი პატარა მთა არის, გიორგის ცხენმა საჩქაროდ გადაირბინა და ჩავიდა ბისოში. ეტყობოდა არეულ გუნებაზე იყო. რატომ ხარ გაჯავრებულიო, ოჯახის წევრების კითხვაზე უპასუხა: არა, გაჯავრებული კი არა ვარ, ნასვამ-ნატანჯი ვარ და თქვენ გაჯავრებული გგონივართო. აიღო თოფი, ჯალაფთ შეუმჩნევლად გავიდა და წავიდა ისევ ლიქოკში. სულ უგზოზე იარა და მიიპარა ისევ იმ სახლის ახლოს, სადაც ქორწილი იყო. იქ ახლო ტყის ბუჩქები იყო და ჩასაფრდა.

ქორწილის ხალხი გარეთ გამოსულიყო და თამაშობდნენ. თან ლუდიანი საწდე ედგა და ლუდსა სვამდნენ. დამწვართ ხთისოც ამ ხალხში იყო, მაგრამ გიორგიმ დრო ვერ ნახა, რომ ხთისო ხალხიდან გამოცალკევებულიყო და ნასროლი ტყვია აღარავის მოხვედროდა. გიორგის დიდხანს დასჭირდა ლოდინი, ბოლოს ხთისო ხალხიდან გამოვიდა და, პატარა გორი იყო, იქ დაჯდა. გიორგიმ კარგად დაუმიზნა. ნასროლმა ტყვიამ გულში გაუარა. ხთისო დაგორდა და, მანამ ხალხი მოვიდოდა, გიორგიმ მეორის სროლაც მოასწრო. მეორე ტყვიაც მოხვდა ისევ ხთისოს. მოვიდა ხალხი. მასპინძელმა მოინდომა სტუმრის მოკვლაზე შური ეძია, წამოვიდა იმ მხარისაკე, საიდანაც სროლა იყო. აქ გიორგიმ დაუძახა: „შენ ნუ მახოლ, მე შენი არაი მმართებს, მე თავის მტერს მავხყევი, მიბრუნდი, თორემ რაიც არ მინდ, იმას მაქნევ, შენაც ამაგის გვერდი გაგაგორებ". ხალხიც ჩაერია და მოაბრუნეს გიორგისკე წასული კაცი. გიორგი ადგა და ამ სოფლისათვის მოფარებული გზით წავიდა. თოფი კი მზად ეჭირა, ვინიცობაა, ან მასპინძელი, ან სხვა ვინმე მაგისი ნათესავი წამოეწიოს, ისიც უნდა მოვკლაო. მაგრამ აღარავინ გაბედა მდევრად დაზდევნებოდნენ. მერე იმ დროს კინწანი ისე გათამამებული და გაამაყებული იყვნენ, რომ მთელ ხევსურეთს შიშის ზარს სცემდნენ. არა მარტო ხევსურეთს, მეზობელ მთიელებსაც შიში ჰქონდა მათი ავკაცობისა. გიორგი შინ მოვიდა გახარებული სახით და ახლა უამბო თავისი აწინდელი ამბები. ძმებმა არ დაუწუნეს მისი მოკვლა, რადგან ჯერ მისგან დაედოთ საყვედური, მერე თვითონვე აყვედრიდა და კიდევაც მუქარას სთხოვდა.

ქორწილი აირ-დაირია, შეიცვალა ლხინი ტირილად. გააკეთეს საკაცე და ხთისო ჭადუს წაასვენეს. ხთისოს ამ დროს პატრონი აღარ ჰყავდა, მამა დამწვარაც გარდაეცვალა. ერთი უმცროსი ძმა ჰყავდა, გოგოთური, და ამ წინა წელს ისიც გარდაცვლილიყო. ჰყავდა მარტო ცოლ-შვილი, ორი ქალი და ერთი ვაჟი, პატარები. კინწათ აღარავის შიში ჰქონდა და არც ადგილიდან აყრილან, არც რიგი უყენეს. ერთი კაციც არ გაუგზავნია შუაკაცად ამ საქმისათვის. ისინი ამბობდნენ: სირცხვილი დაგვდვა, სასაცილოდ აგვიყარნა და ამიტომ მოვკალითო. კინწათ უნდოდა ქალის წამყვანი გამიხარდი ჩაეგდოთ ხელში და მოეკლათ. არხოტში კაცის მოკვლა ადვილი არ იყო. ვერც თვითონ წამოვიდოდნენ მშვიდობიანად. გამიხარდი არხვატს არ სცილდებოდა. მერე კინწანიც დაიხოცნენ, გამიხარდიც მოკვდა და საქმე გაურჩეველი დარჩა. კინწათ მამუკა უფროსი ძმა იყო და იმან ძმებზე დიდხანს იცოცხლა. დამწვარათ ხთისოს შვილი რომ წამოიზარდა, ტუჩაის და გიორგის შვილებზე დააპირა შურისძიება. მაგრამ მამუკამ წინასწარ მიუგზავნა კაცები და რაც აკლდა, ყველა რიგი უყენა. კინწათ ვერ დაამტკიცეს ის, რომ მათი ცოლი ჭელაუღებელი იყო მათგან. დამტკიცდა, რომ თავი ჰქონდა დანებებული და მერე გათხოვდა. ამიტომ მათ ცოლის გათხოვების გამო რჯულმა არაფერი აკუთვნა. ისინი კი მოითხოვდნენ თექვსმეტ ძროხა დრამას.

შიშიასაგან კოხიოთ ყუდიაის მოკვლა მამულის თაობაზე

ჩამაწერინა შიშია ქერაულმა, 56 წლისამ სოფელ ჭადუში

შიშია იყო სოფელ ჭადუდან, ქერაულთ გვარისა. ყუდიაც აქაურივე იყო, კოხიოთ მამიდან. ყუდია იყო ცნობილი კაცი ხევსურეთში, ის იყო მაცოდარი, ხევსურეთის რჯულის კარგი მცოდნე და კაც-შუაკაცში მაარული. მას ყველაფერი კარგი თვისება ჰქონდა, მხოლოდ, სხვის მამულს ეტანებოდა. მიწით გაუმაძღარიაო – ტყოდნენ ხევსურები. არ შეიძლებოდა, რომ ერთი კვალი სხვის მამულში არ გადაეხნა; როცა მამულები ერთიმეორეზე იდო და თავის მამულს მორჩებოდა, ერთ კვალს მაინც მიაყოლებდა სხვისას. ხევსურეთში მამულების სამძღვრად სამნის (გრძელი ქვა) ჩაგდება იცოდნენ მძღვარში, მაგრამ ყუდია მაინც ლიბუს გამოულევდა სამანს და გადმოაქცევდა.

შიშია, ობლობით გაიზარდა ჭადუში, მამულიც ბევრი ჰქონდა და სანახევროდ აქირავებდა მამულებს. სხვათა შორის, ერთი კარგი მამული იყო ყუდიას მამულის თავზე. ყუდია ყოველწლიურად მიიწევდა ზევით შიშიას მამულში. სამნებს გადმოყრიდა და თითო კვალს ზევით მისწევდა. შიშია როცა წამოიზარდა, აფრთხილებდა: ნუ იქცევი ეგრე, თორემ მწყინს და ხათაბალა საქმე მოგვიხდებაო. ყუდია თითქმის დაპირდებოდა არაო, რაღაცას დააბრალებდა სამნების გადმოყრას, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ბოლოს შიშია მოთმინებიდან გამოვიდა და როცა სამნები გადმოყრილი დაინახა, მივიდა და უთხრა: რად შვრები ამას მაგ ხნის კაცი, რომ ჩემს მამულში მიიწევო. ყუდიამ უთხრა: აქ შენი არაფერია, წადი მოშორდიო. მერე კი შიშიამ მოთმინება დაკარგა და გალანძღა. იმანაც უპასუხა და იშუღლეს. შიშიამ ხანჯარი თავში დაჰკრა მსუბუქად. ყუდია გაეშმაკებული კაცი იყო. იშუღლებდა, იარაღს დააკვრევინებდა სხვას და მერე დრამას იღებდა. შიშიასთანაც ეს უნდოდა, რადგან შიშია ობოლი იყო და ღარიბი, დრამა არ ჰქონდა გასატანი. ამიტომ ყუდია ფიქრობდა – შიშიას ვეჭრევი, ნაჭრევს ისევ გავიკურნავ, ის დრამას ვერ იშოვის და ამ მამულს ჩემს მამულს გადავაბამო, ე. ი. მამულს სულ წავართვამ, რასაც მედავება, რომ ზევით ნუ მოდიხარო. ყუდიას ეშმაკობა შიშიამაც იცოდა და ამიტომ მსუბუქად დაჰკრა, რომ სად რამე არ ყოფილიყო. ხევსურის აქიმებს ერთი წამალი რაღაცა ქონდათ, ამ წამალს „დარიშკანას" ეძახოდნენ. ასეთი გამსუნაგებული კაცები ამ წამალს თავის ნაჭრევში (თავში მიყენებული ჭრილობა) დააყრევიებდნენ, ეს ისეთი რაღაცა იყო, რომ ძვალს სულ დასჭამდა, დაცხრილავდა, ხევსური ექიმი ამ წამლისაგან დაზიანებულ ძვალს ხოწის (ხვეწის) პირით ამოტეხდა და იარაღისაგან დატეხას დააბრალებდა. ვითომც ხანჯარი რომ დაჰკრა, იმან ძვალი დატეხა და ის ამოვიღეო. მაგრამ დარიშკანა ძვალს აშავებდა და გამოცდილი ხევსურები ამჩნევდნენ, რომ დარიშკანასაგან იყო გაფუჭებული. ასეთ

რამეზე ბევრჯელ დავაც იყო. ბევრჯელ ექიმიც დააფიცეს, რომ მას დარიშკანა არ დაუყრია და სხვა. ყუდიამ გაიგო, აქ ძვალი არ ამოვიდოდა და შიშიასაგან დრამა არ ერგებოდა, ექიმი მოისყიდა და დარიშკანა დააყრევინა. ეს ამბავი ექიმისათვის ხეირი იყო– დრამის პროცენტებს იღებდა სააქიმოდ. თუ ნაჭრევიდან ძვალი არ ამოვიდოდა, სადრამე არ იყო და აქიმსაც არაფერი ერგებოდა; ამიტომ აქიმები ნაჭრევიანს არც კი ეუბნებოდნენ და თავში დაჭრილს ჩუმად აყრიდნენ დარიშკანას ძვალის ამოღების და თავის სარგებლობის მიზნით. აქიმი ყოველ ხუთ ძროხა დრამაზე, სააქიმოდ იღებდა სამის ცხვარის დრამას და ამიტომ ცდილობდა ბევრი დრამა ყოფილიყო გასაღები. თუ ზეთა ძვალს ამოიღებდა, ხუთი ძროხა იყო დრამა და აქედან აქიმს სამი ცხვარის დრამა ერგებოდა. ჩხიმიან ძვალს თუ ამოიღებდა, რვა ძროხა დრამა იყო. თუ ტვინზეით ამოიღებდა, ეს თექვსმეტი ძროხა იყო დრამა. ხანდახან ხელის და ფეხის ნაჭრევსაც მოხიბლავდნენ, რომ დასახიჩრებულიყო და მეტი სადრამე ყოფილიყო და აქიმსაც მეტი სააქიმო რგებოდა. ამნაირად ყუდიას დარიშკანა დააყარეს და სულ პატარა ნაჭრევი მოუხიბლეს. ძვალი დაიცხრილა, ჩირქი დადგა და შეიქმნა მძიმე ავადმყოფი. ახლა მიმაროეს მკითხავებს, მათის რჩევით, სანების ჯვარს სამეშვლოდ დაუკლეს ერთი სამის წლის კურეტი. ცროლს დაკლეს ვერძი. შეუოქვეს ღამისთევები, მაგრამ ტვინი დაუზიანდა და ყუდია გარდაიცვალა. როცა ყუდია სასიკვდილოდ სწუხდა, შიშია მაშინვე გაიხიზნა სოფლიდან და სხვა სოფელში გადავიდა. აქ მოუვიდა ამბავი ყუდიას გარდაცვალებისა. შუაკაცები მაშინვე მივიდნენ დაზარალებულის ოჯახში. ყუდიას ჰყავდა ორი ბიძაშვილი, მგელია და ყუდია. დარჩა ერთი თავისი ვაჟი. ამას უფრო არაფერი ეკითხებოდა, როგორც პატარას. ამ ჭირ-სირცხვილს უძღვებოდნენ ბიძაშვილები. პირველ ხანებში რიგს არ იყენებდნენ. რიგის არ ყენება ნიშანია იმისა, რომ ჭირის პატრონს გადაწყვეტილი აქვს მამკლავის მოკვლა და ასანაზღაურებლად აღარ გაუხდება მიღებული რიგი. ამიტომ შუაკაცები ცდილობდნენ, რიგი აუცილებლად ეყენა. რიგის ყენება ჭირის პატრონის გულს ამშვიდებსო, იმასაც იტყოდნენ.

როგორც ვოქვით, პირველად არ იყენეს რიგი, მაგრამ, შუაკაცების მეცადინეობით და თხოვნით, რიგი აყენებიეს (აქ რიგის ყენების წესებს აღარ ავწერთ, რადგან ის უკვე დაწერილია ზემო თავში). გვარმაც რიგი იყენა, სახლმაც, დედულთაც, დამ, მამიდამ. ყველამ იყენა რიგი, ვისაც რა ეკუთვნოდა. შიშია ხან სად იმალებოდა, ხანს სად, რადგან ყუდიას ბიძაშვილები ეძებდნენ მოსაკლავად. შიშიას თავისიანი ერთი ოჯახი ჰყავდა – ღანიშათ ჭირჩლა. ესეც სოფლიდან იყო გახიზნული. ჭირჩლას მალედ აქნიეს პირშასამყრელო და სოფელში მოუშვეს. შიშიამ კი ბევრი იწვალა, ჯურუმებიც ბევრი გადაახდევიეს, სადღაცა იმღერაო, სადღაც რაღაცა სოქვაო, – დაადებდნენ ჯურუმს და, რასაც ისინი იტყოდნენ, მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა ეხადა. ამასობაში სულ განადგურდა, გაღარიბდა და ბოლოს ერწოში წავიდა საცხოვრებლად. განვლო

წლებმაც და ყუდიაის შვილიც წამოიზარდა. ბოლოს მისცეს პირშასამყრელოს ნება. ადუღებიეს სანების ჯვარში ლუდი და ჩვეულებრივი რჯულით შეიყარნენ სანების ჯვარში. ამის შემდეგ დარჩა წელიწადში ერთი რიგის საკლავის დაკვლა, დანარჩენი რიგი მოთავდა. მამკლავი ხომ სულ მონა იყო იმათი თავის სიცოცხლეში.

უჭკუანი და კოკონი

ჩამაწერინა გიორგი ჯაბუშანურმა სოფელ ახიელში, 72 წლისამ

ამბავი იწყება ქისტებთან მოსისხლეობით და გადადის ბარისახოს უჭკუათ და შატილში კოკოთ ერთიმეორის დახოცაზე და მათ მოსისხლეობაზე.

ერთხელ ფშავლებმა, თუშებმა და ხევსურებმა მოიყარეს თავი მითხოვლების დასაბეგრავად. ეს იყო მენშევიკების მთავრობის დროს. ამ დროს ქისტები ძალიან თარეშობდნენ ზემოაღნიშნულ მოიელებზე, იტაცებდნენ ცხვრის ფარებს, ასობით ცხენებს და მსხვილფეხა პირუტყვს. მენშევიკებმა ვერ შეძლეს ამ მოძალადე ხალხის ალაგმვა და რაც იმათ სურდათ, იმას აკეთებდნენ. იმათ ბუნებრივად თანდაყოლილი ჰქონდა ქურდობა და ყაჩაღობა. ვისაც ეს არ შეეძლო, იმას კაცად არ სთვლიდნენ და ქალიც კი არ გაჰყვებოდა ცოლად. ასეთ კაცზე ქისტის ქალი იტყოდა: ისაც ქალია და მეც ქალი ვარ, ვაჟკაცობის თავი მაგას არა აქვს და ცოლად რად გავყვებიო. ასეთები იყვნენ ქისტები და მენშევიკების დროს ხელიც ეწყობოდათ დროებითი მთავრობის სისუსტის გამო. ქისტებმა მეზობელი მოიელები ძალიან რომ შეაწუხეს, ამათ თხოვეს მაშინდელ მთავრობას, ნება მოგვეცი გავილაშქროთ, თან იარაღითაც დაგვეხმარენით, ქისტებს ჩვენ დავეცემით და ჩვენიდან მოტაცებულ პირუტყვს მაინც დავიბრუნებთო. მაშინდელმა მთავრობამ ხელი შეუწყო იარაღით. მაშინ ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი თიანეთის რაიონს ეკუთვნოდნენ. რაიონმა ერთ-ორი სტრაჟნიკი და თავისი წარმომადგენელიც გააყოლა და აღნიშნული მოიელები გადავიდნენ მითხოში. პირველად სოფელ ჯარეგოში ჩავიდნენ. სოფელს ალყა შემოარტყეს, ხალხი დაიჭირეს და მათი უძრავ-მოძრავი ქონება მთლად ლაშქრის ხელში ჩავარდა. პირუტყვი გამოგზავნეს და ოჯახში, რაც რამ ნივთი მოეწონებოდათ, იმასაც აქეთ გზავნიდნენ. თვითონ ლაშქარი კიდევ სხვა სოფლებზე თარეშობდა და მოუდიოდა პირუტყვი. მთავრობის წარმომადგენლებს და ლაშქარს მათი მთავარი ძალა ხელში ჩაგდებული ჰყავდა. გამოცდილი მოიელები ურჩევდნენ მთავრობის წარმომადგენელს, ვიღაც მენთეშაშვილს: ეს დაჭერილი ხალხი შატილში გავგზავნოთ, იქ ყარაული დაუყენოთ, როცა ჩვენ წავალთ, – , თიანეთამდინ ჩავიყვანოთ, მერე მართალი ხალხი გავუშვათ და ქურდები ციხეში დაიჭირეთო (მაშინ მითხოც თიანეთის მაზრაში შედიოდა). ქისტები კი ტკბილი ენით ელაპარაკებოდნენ: ჩვენ მთავრობის ერთგულნი ვართ, რად გვაპატიმრებთ, გაგვიშვით, ვინც აქ ქურდები და ავაზაკები არიან,

დავიჭერთ და ჩაგაბარებთ. აბა, ჩვენ, ალალ ხალხს, რას გვემართლებითო. თუშ-ფშავ-ხევსურები კი ამათ ეშმაკობას იცნობდნენ და ურჩევდნენ მენთეშაშვილს, ესენი არ გაუშვას, მანამ აქედან ჩვენ არ გავსცილდებითო. მაგრამ მან ქისტების ლაპარაკი უფრო დაიჯერა, იფიქრა: ეს ხალხი ქურდ-ყაჩაღებს დაგვაჭერინებს და ნასახელარი დავბრუნდებიო. მაგრამ ამან ქისტების ადათი არ იცოდა, რომ მათ ქურდები და ყაჩაღები უფრო დიდ კაცად მიაჩნია და არც ერთი მათგანისათვის მთელი სოფელი თავს არ გასწირავდა. ადგა ეს მენშევიკების წარმომადგენელი და ეს დაჭერილი ხალხი სულ გაანთავისუფლა. განთავისუფლებული ქისტები პირველად აქ ტრიალებდნენ. მერე დავარდა ამბავი, რომ თუშები ერთს ოჯახში ცუდად მოიქცნენო და ამ ამბავზე ეს ქისტები სულ გაქრნენ. ამ საკითხში ისინი ძალიან თავმოყვარენი იყვნენ და ამას აღარავის აპატიებდნენ. ეს იცოდნენ ფშავ-ხევსურებმა და თუშებმაც. ლაშქარი ჯარეგოში იყო დაბინავებული, ხარები დაკლეს, ხორცი მოხარშეს და ივახშმეს. მერე ქისტების სახლებში დაიძინეს, ზოგმა შიგ, ზოგმა გარეთ.

განთავისუფლებული ქისტები წასულიყვნენ და, სადაც ვინ ქისტი იყო დამალული თუ საცხად, ყველანი მოეყვანა და ამავე ღამეს ჯარეგოსათვის ალყა შემოერტყა. გათენდა დილა და ქისტებმა დაიწყეს სროლა. ვინც გარეთ იყო, ყველანი დახოცეს, ლაშქრის ნაწილი ჯარეგოს ბოლოზე წამოვიდა და სულ ამოწყვიტეს ქისტებმა. ვინც მოასწრო, სახლში გამაგრდნენ. თუ ვინმე გამოიხედავდა ან საკომში, ან კარებში, მაშინვე კლავდნენ. ტყვია წვიმასავით მოდიოდა. თუში, ფშაველი და ხევსური სამოცამდინ მოკვდა და დაიჭრა. ამ დროს ერთ სახლში გამაგრებულიყვნენ: სოფ. ბარისახოს მცხოვრები გიგია ბაბუასძე ჭინჭარაული და სოფელ აკუშოში მცხოვრები იმედა კირკილასძე ლიქოკელი. ერთი თავმომწონე ქისტი შევიდა ამ სახლში ამათ დასახოცად, მაგრამ მათ დაასწრეს და მოკლეს ეს ქისტი ტყვიით. ამის გაგებაზე ქისტებმა მოინდომეს სხვა კარებიდან შესვლა და მათი დახოცა. ამათ ამჯობინეს გარეთ გასვლა და იქ ბრძოლაში დახოცა, თუ გაქცევით ვერ გადაირჩენდნენ თავს. გამოვარდნენ გარეთ, მომზადებული თოფები ეჭირა, მაგრამ ქისტები ჩასაფრებული იყვნენ და ვის დაინახავდნენ. იმათ კი გამოსული ხევსურები დაინახეს და იქვე დახოცეს. გათავდა ბრძოლა. მისული ლაშქრიდან ნაწილი გადარჩა, ვინც სახლებში იყო გამაგრებული. ახლა ამათ მიუგზავნეს კაცები, გაგვიშვითო. აქ ქისტებს ხელმძღვანელობდა იმ დროს სახელ¬განთქმული ყაჩაღი ბაგი. ის დიდი გავლენიანი კაცი იყო ქისტეთში. რა არ ჩაუდენია მას თავისებური საგმირო საქმე. პირუტყვის მოტაცების გარდა, ერთი ტყვეც კი წაიყვანა სოფელ მათურიდან, მწარია თადიაური და ოცდაათი ძროხა მიუყვანეს ტყვის საკსრად. ყველა ასეთებით სახელი ჰქონდა განთქმული მთიელ ხალხში და ქისტებიც ამის სიტყვას კანონად ღებულობდნენ. თუშებისაგან შეურაცხყოფილი ქალების პატრონები მოითხოვდნენ: დაგვანებეთ თავი და ამ ხალხს სულ ამოვწყვეტთ, რომ ის ბოროტმოქმედი ვიღაცა იყო, ცოცხალი არ

წავიდესო (ისინი მართლა გაპარულიყვნენ და გადარჩნენ). მაგრამ ბაგიმ თქვა: ეყოფა ამდენი სისხლის დაღვრა, ვინც ცოცხალია, გაუშვით, მხოლოდ თავისი იარაღი და ცხენები აქ დატოვონო. თუმცა ეს სამარცხვინო იყო, მაგრამ სიცოცხლე არჩიეს და წამოვიდა ცარიელი ხალხი. მერე მკვდრებსაც აღარ ანებებდნენ უსაქსროდ, რამდენიმე თუმანს თხოულობდნენ; საქსარს მკვდრის პატრონი მიუტანდა და მოჰქონდა თავისი მიცვალებული. ზოგი დარჩა იქ: სადღაც ხრამში ჩაყარეს – ყო ხმები. უჭკუათ გიგია და იმედა წამოასვენეს (გიგია ჭინჭარაული იყო, უჭკუათ მამიდან), სახსარი მისცეს (მთხრობელმა არ იცის რამდენი) და თავ-თავის სოფელში დაასაფლავეს. გიგიას სიკვდილის გაგონებაზე, იმისმა დამაც წყალში დაიხრჩო თავი. გახდა მოსისხლეობა. გიგიას დარჩა ერთი ბიძაშვილი სულხანური. ეს კაცი რუსეთის ძველი მთავრობის დროს ყაჩაღად იყო გასული – ხოცავდა სტრაჟნიკებს, ქისტებს და ერთი ხევსურიც შემოაკვდა ქისტისათვის ნასროლი ტყვიით. ნიკოლოზის მთავრობის სტრაჟნიკები დაზდევდნენ მას დასაჭერად, მაგრამ ვერ დაიჭირეს. ხევსურეთში სულხანური სახელგანოქმული ყაჩაღი იყო. ნიკოლოზის ჩამოგდების შემდეგ კი იმას აღარ უყაჩაღნია. დაიწყო ამან სიარული შურის საძებრად. სულხანურს შატილში ჰყავდა ერთი ძალიან კარგი ძმობილი – გიგიათ აბა. სულხანური რომ ქისტეთში შურის საძებრად წავიდოდა, გავლით აბასთან მიდიოდა. ის ხელს უწყობდა, საგზალს უდებდა და გზაკვალს ასწავლიდა. სულხანურმა მოკლა ქისტის მოლა და მისი თავი გუდაში ჩადო და შინ მოიტანა. ეს იმიტომ, რომ ქისტებმა გიგიას ცხედრის საქსარი რომ წაართვეს, ამას ეგონა, მოლაის თავს აქ არავინ დასტოვებს, იმ საქსარს ისევე დავიბრუნებ, რაც იმათ წაიღეს და ამით ჯავრს ვიყრიო. მაგრამ, რატომდაც, ქისტებს ეს თავი აღარ მოუთხოვიათ და სულხანურსვე დასჭირდა მისი ჩამარხვა მიწაში. ჯერ რამდენი სიმძიმე ატარა ამსიშორე მთა-გზაზე. სულხანურმა მოლაის მოკვლით კიდევ გული ვერ იჯერა და უნდოდა, მისი ბიძაშვილის მოკვლისათვის, რამდენიმე ქისტი მოეკლა. ბევრჯელ დადიოდა ამ საქმეზე, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა. ბოლოს წამოვიდა და ორი ამხანაგი გამოჰყვა. გიგიათ აბა სახლში არ დაუხვდა; წავიდა, შატილის და ჯარეგოს საზღვართან შეკრა გზა. ელოდა ერთი დღე და ქისტი არავინ მოვიდა. სულხანურს გადაწყვეტილი ჰქონდა, ვინც უნდა ქისტი მოსულიყო, მოკლავდა. იმან თავის ბიძაშვილის მკვლელები ვერ გაიგო და გარჩევას არ აძლევდა, ვინც უნდა ყოფილიყო.

შუადღის დრო იქნებოდა, რომ ქისტეთის მხრიდან მოვიდა ორი მგზავრი. ერთი ხევსური და ერთი ქისტი ახალგაზრდა. ხევსური იყო კოკოთ გიგია, ნათელიზძის შვილი, სულხანურის ძმობილის – აბას მამა. ქისტი ძალიან მოეწონა და იფიქრა: ეს არის ჩემი ბიძაშვილისათვის უნცროსად შესაფერი, ამას რომ მოვკლავ, მერე კი გული დამიმშვიდდებაო. ამოიღეს კარგად მიზანში. სამი თოფი ერთად გავარდა და

ქისტი მიწას დაენარცხა. სულხანაურს გაეხარდა და დაუძახა: „უნცროსიმც ხარ ჩემის შინშისა, ჯღანთამც უბანდავ, წყალსამც უზიდავ". გიგია მოვარდა წაქცეულ კაცთან და ხმამაღლა დაიძახა: „რომენ იყავ, რაზე მამიკალ შვილი, რავისა მემართ!" შამოაწვინა და დამკაცრა. ახლა კი სულხანაური მიხვდა, რა ჩაიდინა. ქისტი ეგონა და თავისი საუკეთესო ძმობილი აბა მოკლა და ამხანაგებს უთხრა: ახლა გაწყრა ღმერთი. ქვეყანაზე ვინც ყველაზე კარგად მაჩნიყო, ის კაცი მოვკალიო. ეხლა იციან, რომ შატილში ხმა გატყდება, გზას შეუკრავენ და ცოცხლების წასვლა ძნელი იქნება. გზადაგზა წამოსვლა აღარ შეიძლებოდა. აქვე შეუხვიეს და ანატორიდან მოიდიმოივ წამოვიდნენ. თოფის ხმაზე შატილივნები მოვიდნენ და ნახეს, აბა უკვე მკვდარი იყო. მნახველებიც მოვიდნენ, რომ სულხანაური ჩავლილი იყო შურის საძებრად. ყველა მიხვდა, რომ ეს მან ჩაიდინა ქისტის გონობით. აბა ხევსურულ ტანსაცმელს არ იცვამდა, ნამეტნავად მაშინ, როცა ის ქისტეთში წავიდოდა, ქისტურ ჩოხა-ახალუხში და ქამარ ხანჯარში გამოეწყობოდა, ტანი და მიხრა-მოხრაც ქისტური ჰქონდა და ამიტომ ვერ იცნო სულხანაურმა. აბა სახლში მოასვენეს და შატილივნები მოემზადდნენ სულხანაურისათვის გზის შასაკრავად. უნდა შაუკრან გზები რამდენიმე ადგილას, რომ ცოცხალი არ წაუვიდეს, თორემ ხელში ვეღარ ჩაიგდებდნენ და შური დარჩებოდა საძებნი. მაგრამ ერთი ამბავი უშლიდა ხელს: სულხანაური რომ მოკლას კოკოთ მამის გარდა სხვა კაცმა, ეს არ შეიძლებოდა. თავი თავში არ გაიბრებოდა და დანაშაულიც იყო, სხვა მამის კაცის გულისათვის რომ სხვა მამის კაცს მოეკლა. გიგია ამ ამბავს მიუხვდა და თავის თანასოფლელებს უთხრა: „ჭევსურეთის რჯულით, სხვა მამის კაცმ, რო მაკლას სხვა მამის კაცის სისხლზე, ეს არ ას წესი, არც თავ თავში გაიბრების, მაგრემ, ვითამ ჩემნ მუშან ყოფილხართ, ჩემ საქმე გიკეთებავისთ, ჩემის შვილის გულისად ვინაც კაცს მახკლავთ, ჩემის აბაის მამკლავს, მე თავს თავში გავღბრი. აგებ მაიგონათ, ყველასთან კა იყვ, აგებ იმის მამკლავს თოფ დახკრათ, სადაც ვის მაგივასთ გზაში. რომნით გზით წამავ, აბა ვინ იცის. თქვენ გზებ იციოა-დ ზოგნი სად შახკრავთ გზასა-დ ზოგნ სად, აგებ არ გადაგვივიდას მთას თორემ მაგას მემრ ჭელად ვეღარ ჩავიგდებთ. ეს სიტყვები რომ თქვა, თვითონაც თოფი აიღო და წავიდა ერთ-ერთი გზის შასაკრავად. დაღამდა კიდეც. ზოგმა სად შეკრა გზა, ზოგმა სად. სულხანაური ღამე ასულიყო ერთ მაღალ მთაზე. იქ გზა ვერ გაეგო და ღამე სადღაცა მაღლა გაეთია. დილით ჭალისაკე წამოსულიყვნენ, სადაც ეგონა, იქ არავინ იქნებაო. იქ ერთ შატილიონ ახალგაზრდას ჰქონდა გზა შეკრული, ბოციათ მამის კაცს, გიგიას; მეტსახელად კურდღლიშვილს ეძახოდნენ. სულხანაურს ყველა კარგად იცნობდა, რადგანაც ისაც ჭინჭარაული იყო და შატილშიც ყველანი ჭინჭარაულები არიან, ამიტომ ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმეორესთან. კურდღლიშვილმა იცნო რომ სულხანაური წინ მოუძღოდა ორ თავის ამხანაგს. თოფი მომარჯვებული

ეჭირა და იქით-აქეთ იხედებოდა. კურდღლიშვილი არ აჩქარდა, რომ არ აეცდინა და სირცხვილი არ ეჭამა. ახლო მოუშვა, კარგა მაგრად დაუმიზნა გულში. თოფი რომ გავარდა, სულხანაურს თოფი ძირს ჩაუვარდა და თვითონაც წაიქცა. ამხანაგები შეკრთნენ და გაიქცნენ. კურდღლიშვილმაც ადარ ესროლა მათ. ისინი რომ გაიქცნენ, კურდღლიშვილიც ადგა და საფარიდან წამოვიდა. მოვიდა და თქვა, რაც მოხდა. შვილის სიკვდილზე ხევსურეთში არ ტირიან. ნამეტნავად სხვის მოკლულზე. არც გიგიას უტირია და სულხანაურის სიკვდილის გაგონებაზე ცრემლები გადმოყარა და თქვა: „ჩემს შვილსა-დ სულხანაურს ერთ სხვა ძმებსავით უყვარდ. რად იყვნენ ასეთ უკლო უბედურებ, რო ორნივ ერთ დღეს დაიჭოცნეს, ორნივ ტყვიით. აბა რა ვქნა ჩემის შვილის ცოდოიც თაოდ დაიდვა-დ თავის ცოდვაშიაც სხვან გახვივნ". მივიდა გიგიასთან და აკოცა. უთხრა: „ხალხსაც მიზდიოდას, ხთის¬შვილთაც, ცასაც, დედამიწასაც, რომ მე ჩემის შვილის თავს გავღბრი სულხანაურის თავში. შენ თავს არ დაგდებ. ეე ხევსურეთულნი ანგელოზნი-დ ხთის ნაბადებნ იყვნან თავზდებნი, შავასრულებ, რასაც ვამბობ. შენ ჩემის გულისად გაეხვი ხათაბალაში. ბარაქალა, ღმერთმა ნუ მაგიშალას სახელი, კაიკაცობა". ერთ-ერთი ამხანაგი სულხანაურთან მივიდა და იქ დარჩა, მეორე წამოვიდა და ჭევსურეთ ჭმა გატეხა სულხანაური მოგვიკლესო. სულხანაურს გუდანში ჰყავდნენ შორიული ბიძაშვილები. თავისი მამა ჰყავდა მოხუცებული და ერთი პატარა ვაჟი ოთხი-ხუთი წლისა. წამოვიდა ხალხი და მიცვალებული ბარისახოში მიასვენეს. ორივე მიცვალებული დასაფლავდა თავისებური წესით. რიგი არც ეროს უყენებია, არც მეორეს. კარგა ხნის შემდეგ გიგიამ გოგოთურს მიუგზავნა კაცები – საქმე დავაბოლოვოთ, თავი-თავში გავღბარათო. მაგრამ გოგოთურმა შემოუთვალა: ჩემმა შვილმა შვილი მოგიკლა და მე თავს დავიდებ მე ბოციათ მამიკლეს შვილი და თავი დაიდონ. მე თავს თავში არ გავბრიო. შუაკაცებმა ბევრი იწვალეს, მაგრამ გოგოთურმა თავი თავში არ გაბარა. მერე სულხანაურისა მამკლავი კურდღლისშვილიც მოკვდა, სულხანაურისა და აბას მამაც ორივენი დაიხოცნენ და საქმე დაუბოლოვებელი დარჩა.

ვაჟუნათ ლეგუას და მგელათ ნადირასაგან ერთიმეორის დახოცა

ჩამაწერინა ხოისო ვაჟუნასძე ჭინჭარაულმა სოფ. შატილში, 69 წლისამ

ლეგუა ვაჟუნასძე ჭინჭარაული იყო ამ ამბის მოხრობელ ხოისოს ძმა. ბოციათ მამიდან, ნადირა მგელასძე ქეთელაური იყო სოფელ ბისოდან. ერთხელ ნადირა შატილში სტუმრად მოვიდა. შატილში არის ერთი საფეხვნო ადგილი, სადაც თავისუფალ დროს მამაკაცები იყრიდნენ თავს და საუბრობდნენ სოფლის საჭირბოროტო საქმეებზე. მასპინძელი მისულ სტუმარსაც იქ წაიყვანდა, იქ ხალხია და გაირთავო. მოსული მგელათ ნადირა საფეხვნოში იყო და ახალგაზრდებთან საუბრობდა. ხუმრობით საუბარზე შეყვნენ და შეკამათდნენ ლეგუა და ნადირა. ერთიც თავმომწონე ახალგაზრდა იყო და მეორეც. ლეგუა ბუდის ხევსურებს დასცინოდა, ნადირა შატილივნებს და ამაზე წაიშუღლდნენ. მეშველებმა მალე გაამეშვლეს და ერთიმეორისათვის არა დაუკრავთ რა. მხოლოდ დაემუქრნენ ერთიმეორეს: სადაც მარტოები შევიყრებით იქ დაგვეცდებაო. ლეგუამ იცოდა, რომ ნადირა მეორე დღეს უნდა წასულიყო. თუმცა დიდი სამტერო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ლეგუა მაინც წამოვიდა და ერთ ვიწრო ადგილას გზა შეუკრა. ნადირას თოფი მხარზე გადაეკიდა და ისე წყნარად მოდიოდა. ლეგუა უცბად გადმოხტა და ხანჯარი თავში ძალიან მაგრა დაჰკრა. ნადირა ნაჭრევს შეუჩვეველი არ იყო, მაგარი ვაშკაციც იყო, მაგრამ ხანჯრის ძლიერ დარტყმაზე დაეცა დაბლა. ლეგუამ ხანჯარი ჩააგო და წავიდა. ნადირა გონს მოვიდა და დაინახა ლეგუა მიდის. მოიგდებინა თოფი, ესროლა და იქვე მოკლა. თვითონაც ისევ დასუსტდა და დიდხანს იყო წაქცეული. მერე წამოვიდა და დიდის წვალებით მოაღწია კარში. აქ ნათესავები ჰყავდნენ. ჭრილობა შეუხვიეს და ცხენით წამოიყვანეს ბისოში. ლებაისკრიდან კაცი წავიდა და შატილში ხმა გატეხა ლეგუას მოკვლის შესახებ. ხალხი წამოვიდა და მიცვალებული წაასვენეს. ნადირა, თუმცა ძალიან მძიმე ავადმყოფი იყო, სწუხდა ნაჭრევისაგან, მაგრამ ხევსურეთის რჯულის მიხედვით მაინც რიგი უნდა ეყენა თავის მოკლულის ოჯახისათვის და ყველასთვის, ვისაც რიგის ყენება ეკუთვნოდა. სახლის რიგი, გვარის რიგი, დედულთ რიგი, და, მამიდა და სხვა. ნადირა კი ლოგინად იყო ჩავარდნილი, მაგრამ მისი მამა რიგს უგზავნიდა შუაკაცების ხელით ზემოაღნიშნულ ნათესაობას და სახლს. ნადირას სოფლის აქიმი დააყენეს, მაგრამ თანდათან შეწუხდა (ნამდვილი ექიმები მაშინ ხევსურეთში არ იყო და ხევსურებს არც სჯეროდათ, თუ ნამდვილ ექიმებს ხევსურეთის ექიმებისოდნად ესმოდა ჭრილობის რამე; „ჩვენ თუ თავის აქიმ არ გვყოვ, ქალაქურებ აქიმებ არას გვიშველან" – ტყოდნენ ხევსურები). ერთი სოფლური ექიმი ამ დროს არხოტში იყო და სხვა სოფლის ექიმებთან შედარებით ის უკეთესად მკურნალობდა. ნადირას მამა მგელია წავიდა არხოტში და დიდის

თხოვნით წამოიყვანა სოფლის აქიმი ალეკა. მაგრამ ლეგუას დის ქმარმა ე. ი. სიძემ, მგელას გზა შეუკრა ადგილობრივ საჭოვლეს, ცხენზე ნაჯდომს ესროლა (თუმცა სიძისაგან ხევსურეთში შურისძიება არ შეიძლებოდა, მაგრამ მას ცოლის-ძმა ძალიან უყვარდა და გადაწყვიტა იმის მკვლელს მამა მაინც მოუკლას). მგელია პირისახეში ცოტათი დაიჭრა. ტყვიამ ცხენს გაუარა და ცხენი კლდეზე დაგორდა. ალეკა მიეშველა, მგელა ცოცხალი გადაარჩინა, ცხენი კი თავის უნაგირით წყალში ჩავარდა მკვდარი. უკაცრავად ალეკაო, დაუძახა იმედამ და წამოვიდა. მგელა ალეკამ ფეხზე არ ააყენა და იმედას მკვდარი ეგონა (ლეგუას სიძე იყო ეს იმედა). მაშინ მგელა და აქიმი აქვე დარჩნენ, მეორე დღეს სხვა ცხენი შეუკაზმეს მასპინძლებმა და მგელა ისე გაისტუმრეს. აქიმიც გაჰყვა. აქიმმა ხანჯრისაგან დაჭრილ-დამტვრეული ძვლები ამოუღო, რაც ტვინზე ყოფილიყო დაწოლილი და ნადირა მომჯობინდა. ბოციანი იმის მოსაკლავად დადიოდნენ შატილიდან. ავადმყოფმა რომ იმჯობინა, აქიმი სახლში წავიდა. ახლა სხვა აქიმი მოუყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფი ისევ შეწუხდა და დიდხანს აღარ იცოცხლა. გარდაიცვალა ნადირაც. გამოირკვა, რომ ტვინის სკა დაწყვეტილიყო, ტვინი ამოჩენილიყო და ლურჯად მოქცეულიყო ის ადგილი, სადაც ძვალის დაწოლა იყო. ახლა ატყდა კაც-შუაკაცი. ნადირას ძმა ბაბუა პატარა იყო და სხვა ახლობელი არავინ ჰყავდა. მოხუცი მამა თავობდა ამ საქმეს. რიგი, რომელიც ნაყენები ჰქონდა, შატილიონთ უკან დაუბრუნეს და უყენეს: სახლს, სახლისკაცებს, დედას, დას, და სხვა. ამაზე დიდხანს იმტერეს იმედამ და მგელაის ახლობლებმა. ისინი ამბობდნენ: იმედასაგან მკვდარია მგელა და ხთისოსგან ცოცხალიო და სამთელ-სამკვდროს თხოულობდნენ, მაგრამ იმედა ეუბნებოდა: მე ძმა ცოლისძმაზე კარგად მაჩნიყვ. გული მტკიოდა, იმით ვესრი, და არას აძლევდა იმედა. კარგა წლებმა განვლო და არ დაბოლოვებულიყო მათი სისხლის საქმეებიც. ბოლოს შუაკაცებმა რჯულის კაცები შეუყარეს, რჯულს ჰკითხეს და იმან გაარჩია მათი საქმე. რიგი რომ ერთიმეორეში გაიბარა, საუკენმამკვდრო აღარავის დაედო, რადგან ერთიმეორისაგან იყვნენ მოკლულნი. ერთი საკლავი ბოციათ დაედო ზედმეტად, რადგან ნადირა პირველი დამნაშავე არ იყო. რჯულმა ლუდი ორივეს ადუღებია და პირშასამყრელო მოაწყვეს ჭაჭმატის ჯვარში. საკლავებიც პირშასამყრელოში ორივე მხარემ დაკლა, იმედას დაადვეს ცხენის ანაზღაურება და სასმლით შინ მისვლა. მან ცხენი მიუყვანა და არაყიც მიიტანა და შერიგდნენ. ასე დამთავრდა მათი ამბავი.

ხარათ და ოჩიაურთ შუღლი

ეს სხვა ადგილასაც იყო ჩვენს მიერ ჩაწერილი, რომ ჭარანი, ოჩიაურნი და ნაროზაულნი ერთიმეორის განაყრები ყოფილან და მერე აქვს თავ-თავის გვარი მიღებული. ერთიმეორის ნათესაობას დიდხნობამდინ მტკიცედ ინახავდნენ. ჭარანი და ოჩიაურნი უფრო ახლო განაყრები იყვნენ. ისე რომ შაბათი არ ქონდა გაყრილი, დაახლოებით ამ სამოცი წლის წინ გაყარეს შაბათი, მაშინ, როცა ჭარათ მამაში გაგუჩათ აბას შემოაკვდა ამღიონი ქორიათ გიგი (ეს მამკლავ-მამკვდრობა აწერილია მამკლავ-მამკვდრობის აწერილობაში). იგი რომ შემოაკვდა, მეშაბათე ოჩიაურს უნდა გაედო საძმო ხუთი ძროხის დრამა და მერე ბერდიშვილთან ხათრით უნდა ყოფილიყვნენ მამკლავ-მამკვდართ წესით, როგორც მეშაბათე, საძმოს გამღები. მაგრამ მაშინ ოჩიაურებმა საძმოს გაღებაზე უარი თქვეს – ჩვენ სხვა გვარი ვართ, ეგ ჭარანი ცისკარაულები არიან, სხვა გვარები და ჩვენ საძმოს არ გავიღებთო. ბერდიშვილებს უნდოდათ საძმო იმათაგან აეღო და ჭელსქვეითად დაეჭირა ოჩიაურების გვარიც. მაგრამ ოჩიაურებმა მაინც არ გაიღეს და ამის შემდეგ შაბათი გაიყარა. საძმო ცისკარაულებმა თვითონ გაიღეს. მაგრამ ოჩიაურები და ცისკარაულები მაინც ერთიმეორეს ახლობლებად თვლიდნენ. ერთიმეორის დისწული ცოლად არ მოყავდათ და არც ერთიმეორის ყოფილი ცოლი მოყავდათ. არც ქვრივი და არც ქმარს გაყრილი. ბოლოს ოჩიაურთ მამიდან ოჟიათ გიგიამ დაითხოვა ერთი კვირიწმიდელი ქალი მუშტარა. რამდენიმე წლის შემდეგ ცოლშვილი დაეხოცა ჭარათ მამის კაცს, ძუნძულთ გიგიას, ადგა და ეს კვირიწმიდელი ქალი მუშტარა ამან მოიყვანა ცოლად. ამ ქალის პირველი ქმარი ოჩიაური გიგია და ეს ძუნძულთ გიგია ახლო-ახლო ცხოვრობდნენ და ამ საქმის გამო ერთიმეორეს აშურდნენ. ჯერ იმიტომ, რომ ნათესაობის გამო პირველის ნაცოლარი მეორეს არ უნდა მოეყვანა, მეორე იმიტომ, რომ ახლო მეზობლები იყვნენ და სასაიამოვნო არ იყო ამ ქალის აქ მოსვლა. ერთხელ სულ უბრალო საქმეზე შელაპარაკდნენ და იშუღლეს. ერთი–მეორე ხანჯლებით დაჭრეს, მაგრამ მძიმედ არა. ძუნძულთ გიგიამ დაინახა ოჩიაურთ მამის კაცი და ესეც დაჭრა ხანჯლით. ჩაჩაურმაც ამოიღო ხანჯალი და გაჯავრებულმა ძალიან მაგრად დაჰკრა თავში. მოვიდა სოფლის ხალხი და გააშველეს. სხვები არა, მაგრამ გიგია, ძუნძულთი, მძიმედ იყო დაჭრილი, ხორციც და ძვალიც გაჭრილი იყო თავზე. აუტყდა კაც-შუაკაცი, ერთიმეორეს პატივი დასდვეს (პატივის დადება იყო ერთი აბაზიდან ექვს აბაზამდინ ჭრილობაზე) და დროებით შერიგდნენ (როცა პატივს დასდებდნენ, კაც-შუაკაცები მაშუღლარებს ერთად შაყრიდნენ, ხელს ჩამოართმევინებდნენ, რომ აღარ ეშუღლა. მერე, როცა ჭრილობები მოურჩებოდათ, მაშინ ისევ მტრად რჩებოდნენ რჯულამდინ და დრამით გასწორებამდინ). დააყენეს

ერთიმეორეს სოფლის აქიმი (ექიმი უნდა დააყენოს დამჭრელმა და საექიმო მან უნდა გადაიხადოს. ექიმს ერთი საკლავიც უნდა მისცეს სანათლავად, რადგან კაცის ჭრილობა უწმიდურად ითვლება და ექიმსაც აუწმიდურებს. ჯვარი, რომელიც აქიმს პატრონობს, აქიმის სიწმიდეს მოითხოვს, რომ ავადმყოფს დაეხმაროს). სოფლის აქიმს ჰქონდა ბალახის წამლები, ჰქონდა ღურბელი (ღრუბელი), წყლის დასასხმელი რეზინის მაშინკა. მაშინკით წყალს დაასხამდა ჭრილობაზე და გარეცხდა. წყალი იყო ნელთბილი, მერე ღრუბელს დაასველებდა, გაწურავდა და იმით მოამშრალებდა ჭრილობას. ერთი პატარა ჩხირი ჰქონდა ბრტყლად. მას ეწოდებოდა „ჭმალიკა". ამ ჭმალიკით ამოიღებდა ბალახის წამალს გამხმარს გაფქვილულს და ჩააყრიდა ჭრილობაში. მერე გაამრგვალებდა კანაფის თოკის ნაჭრებისაგან დამზადებულ დაწეწილ კანაფს, გაპოხდა მას თაფლ-ერბოში და რამდენიმეს ძალით ჩასჩრიდა ჭრილობაში ამავე ჭმალიკაით. ზედ ფართლის პირს დააფარებდა და მერე ზედ თავშალს შემოახვევდა. წამლები ჰქონდა მჩვარში გამოხვეული. ექიმი თავის ხელით გაიჭრიდა კანს და მერე ცდიდა თავის ჭრილობაზე სხვადასხვა ბალახებს და რომელიც კარგად იმოქმედებდა, იმ ბალახს გაახმობდა, დაზელდა, გამოახვევდა მჩვარში და იყენებდა წამლად. ზოგი ბალახები ძველი აქიმებისაგან ჰქონდათ ნასწავლები. ამ წამლებით დაუწყო აქიმმა მკურნალობა. სხვები უკეთესად შეიქმნენ, მაგრამ ძუნძულო გიგია უარესად გახდა. ჭრილობა შესივდა და გაშრა. ჩავარდა გიგია ლოგინად და სასიკვდილოდ მიიწურა. მოიყვანეს მკითხავი, ქადაგი ხოშექა. ხოშექას ჯვარი მოუვიდა და იქადაგა. ჯაჭველი მოუვიდა (ჯაჭველი ოჩიაურების სალოცავი იყო) და გაითხოვა ღირეული საკლავი მიქიელში. მე შევეხვეწები, რომ ჩემს ყმათაში სისხლი არ ჩამოაგდოს, დაეხმაროს ავადმყოფს მიქიელიო. მოატანებივა ჯაჭველმა– დამჭრელმა და დაჭრილმა ერთობით ვერძი მიიყვანეს და დაკლეს სამხვეწროდ მიქიელში, ერთი საკლავი მთიშეშაგში და ერთი ჯაჭველში. ხორცი სულ ავადმყოფთან მიიტანეს და იქ შეინახეს. „ნაჭრევიანმ ჭორც უნდა ჭამასა-დ ნაჭრევ ადვილად განიკურნებისო", იტყოდნენ ხევსურები და ამიტომ ეს საკლავების ხორცი სულ ავადმყოფთან მიიტანეს. იყო სამი-ოთხი თვე ლოგინად ჩავარდნილი გიგია. თურმე ძვალი ჰქონდა ხანჯლით გაჭრილი თავში და ძვლის ნატეხები ტვინის სკას აწვებოდა. აქიმს ჰქონდა პატარა მოხრილი რკინა. ამას ეწოდებოდა არხოტში „ხვეწი", ბუდე ხევსურეთში „ხოწი". აქიმმა ჩაბრუნებული ძვალი ხვეწით ამოსწია, ძირზე მას ხორცი გაუჩნდა და ძვალი ტვინის გარსის ზევით ამოვარდა, სადაც გატეხილი იყო. ძვალი რომ ამოვიდა ავადმყოფი კარგად გახდა. მანამდინ მხედველობაც დაკლებული ჰქონდა და ძვალის მოცილების შემდეგ საღი მხედველობა დაუბრუნდა. ამის შემდეგ თანდათანობით კარგად გახდა. ჭრილობაც გაიკურნა. მანამდე ისე ძალიან შეწუხებით იყო, რომ მთელ ტანზე კანი აუქარაჭდა და გაეცალა. ბოლოს სულ ადგა და გარეთაც გამოვიდა. იქამდინ

მივიდა საქმე, რომ შუაკაცებმა რჯულის პირობა დაადებინეს. დანიშნეს ერთი დღე და რჯულის კაცები ახიელის სოფლის ძირ, არხოტის ჯვარის სააშლესთან მინდორზე შეიკრიბნენ. რჯულის კაცებში იყვნენ: ბალიაური თათია, მარაიზძეთ თოთა და შედმათ გიორგი. ერთიმეორის მტრებიც მოვიდნენ და ცალ-ცალკე დასხდნენ. თათია ბალიაური ადგა, მოიხადა ქუდი და თქვა: „ჩვენ, რჯულის კაცები შავიყარენით დალოცვილის არხოტის ჯვარის კალთაში. ჩვენ გვინდ, რო ავ საქმე კარგად მავაქციოთ. დალოცვილს ჩვენს სალოცავს, დიდ არხოტის ჯვარს ვსთხოვთ, რო გვიწინამძღვრას ამ საქმეში. შაგვაძლებიოს სამართლიანად სისწორით გავრჯულათ, მიწევ-მაწევას არ ვცდილობდათ. დალოცვილ არხოტის ჯვარმ ისრ გვიშველას, რაჭელაც სწორად, სულის გაუმრუდებლად გავარჩევთ ამ მამჭდარ სამდურავ საქმეს. თქვენაც ერთუცის მოდავეთ მაგცასთ წყალობა არხოტის ჯვარმ. რაც ავ ჩამაგივარდათ, ნუღარა ავ ჩამაგიგდასთ ერთუცში. ჩამააგდას მშვიდობაი-დ მაგცასთ ერთუცის ნდობა-სიყვარული, მტრობის მაგივრად ჩამაგიგდას მეგობრობაი-დ ძმობა. დაგინდვნასთ არხოტის ჯვარმ, რაჭელც დაინდვათ ერთუცი. არხოტის ჯვარის სახელით ჭელს გართომთ იმაად, რო აღარ გქონდასთ შური თქვენს გულში. შურ შაგეცვალასთ ერთუცის დანდობაზე. გზაში შაყრილებ ერთუცს გასცილდათ მშვიდობიანად, უწყინრად". მივიდა და ჯერ დაჭრილს და იმის ბიძაშვილებს ჩამოართვა ხელი, მერე დამჭრელს და იმის ბიძაშვილებს (რჯულის დროს ბიძაშვილებიც მოდიან). მერე შეუდგნენ საქმეს. პირველად შეხსნეს შეხვეული თავი და ჭრილობა გასინჯეს, ამ დროს აქიმიც აქ ესწრობოდა. აქიმსაც კითხეს, რომელი ძვალი ამოვიდა, ზეთა ძვალი ჩხიმიანი, თუ ქვეთა ძვალი. ჭრილობას ეტყობოდა, რომ ძვალი ტვინზეით სულ ამოსული იყო. მარტო ტვინის სკა იყო დამრჩალი. ტვინის მოძრაობა კი ჭრილობას ეტყობოდა. აქიმმა დაამტკიცა, რომ ძვალი ტვინზეით ამოვიდა. მერე ისინი დაითხოვეს და დამჭრელი დაიბარეს და კითხეს: „შენ რაი გაქვ სათქმელი. ნაჭრევი ხო შენგან ას". იმან უარი არა თქვა (იმას კი მნიშვნელობა არ ჰქონდა, შუღლში ვისი ბრალი იყო. რჯული მაინც თავის წესით გარჯულავდა ჭრილობის მიხედვით). რჯულის კაცებმა ეს მხარეც დაითხოვა და შეუდგნენ გარჯულვას (როგორც ტვინზეით ამოსული ძვალი, ჯერ გადასწყვიტეს თექვსმეტი ძროხის დრამა. ამ დრამაში შედის ხუთი ძროხა „ალვანია" (ალვანიას იღებდა დაჭრილი. ზოგიერთ ჭრილობაზე, მაგალითად ტვინზეით ამასულ ძვალზე, ჭელ-ფეჭის გაუჭმარებაზე, პირისახეში ზოგიერთი ადგილის ჭრილობაზე სადაც თმა-წვერი არ ფარავდა და დრამა ათ ძროხას აღემატებოდა. ალვანიას აიღებდა რასაც თვითონ მოისურვებდა. შეუთვლიდა, ალვანიაში ამას და ამას მივიღებო – იარაღი, ფეჭითი, საქონი, მამულამდინაც შეიძლებოდა წასულიყო საქმე) გამოუცხადეს ნარჯულავი. ჯერი მიდგა ალვანიის დასახელებაზე. რჯულის კაცებმა ჰკითხეს ძუნძულთ გიგიას (ნაჭრევიანს). ჩაჩაურს იარაღი და რამე არა ქონდა

ძვირფასი და უთხრა: ხუთი ძროხა ფეჭითი იყოს ალვანიაშიო (ალვანიას რომ აიღებდა, იმის გარდა უფლება აღარ ქონდა, დრამა როგორიც უნდა ყოფილიყო– ძველი ქვაბი, თულუხი, ფარდაგი და სხვა). კაცებმა ხუთი ძროხა ფეჭითი მოურეკეს დაზარალებულს და თერთმეტი ძროხა სხვა დრამა. გიგიამ ორი ძროხა დაიჭირა და სამი რჯულის კაცებს აპატია. მათ ისევ ჩაჩაურს დაუბრუნეს. დრამის ნაწილიც დაუბრუნა ისევ. ჩაჩაურს არაყი ჰქონდა დამზადებული, მიიყვანეს კაცებმა გიგიას სახლში და შეარიგეს. დანარჩენების ჭრილობები არ იყო მძიმე და ყველა თავ-თავის წესით შერიგდა. გაიარა დრომ და მაინც ამ ორ ახლობელ გვარს შორის აღარ იყო წინანდებური სიმშვიდე, ხშირად იყო შარი და არასასიამოვნო შეხვედრა ერთიმეორესთან. ამის რამდენიმე წლის შემდეგ ამაღლება იყო, დღეობა. არხოტის ჯვარში ისხდა ჯარი და სვამდნენ ლუდს. ჭარა-ოჩიაურთ ჯარი ისევ ერთკან ისხდა. სმის დროს სულ უბრალო საქმეზე იშუღლეს ძუნძულთ ბურძგლამ და ოჩიაურ თოთიამ; როგორღაცა ბურძგლას დასძლია და წააქცია. ამ დროს აქ იყო ბურძგლაის ძმა გიგია. ამოიღო ხანჯარი და დაჰკრა თავში თოთიას. მოაშორეს ერთმანეთს და თოთიამ ვეღარაფერი დაჰკრა. ამ დროს თოთიას ძმა, მინდია მოვიდა სახლიდან და შუღლის შინაარსში მანამ გაერკვეოდა, მანამ გაიგებდა, ვინ შუღლობდა, იმასაც ისევ გიგიამ დაჰკრა შუბლში ხანჯარი. დაიწყო ორი გვარის შუღლი. შუღლი ჯვარში იყო და აქ დიაცები მეშვლად ვერ მოვიდოდნენ. მაშუღლარი იყო ყველა კაცი ჭარა-ოჩიაურთ გვარში. ნაროზაულნი, ბალიაურნი და ჯაბუშანურნი მეშვლობდნენ, მაგრამ ბევრი ხალხი არ შეხვდა ამ დროს მეშვლად. ოჩიაურთ თუშმა და თათიათ მარტიამ ერთი მეორე დასჭრეს (მარტია ცისკარაული იყო და თუში ოჩიაური). თითო მათგანს ჭრილობა ჰქონდა თავში. ძუნძულთ გიგია ოჟიათ გიგიამ ჭრა, ოჩიაურმა. სამი ჭრილობა ჰქონდა თავში მიყენებული. მთელ დღეს გაგრძელდა შუღლი და საღამოს ხანზე გაამეშვლეს. წვრილმანი ჭრილობები ზოგი მეშველს და ზოგი მაშუღლარს ბევრი სჭირდა. შუღლი რომ გაიყარა, მეშვლებმა თავ-თავის სახლში წაიყვანეს ყველა მაშუღლარები. მაგრამ კაც-შუაკაცი არ ეშვებოდა მაშუღლარებს, იმის შიშით, რომ ნაჭრევიანი არავინ შაწუხდეს და ერთიმეორე არ დახოცონ დანარჩენებმა. კაც-შუაკაცმა მთელი ღამე არ მოისვენა და ყველას ხელი ჩამოართვეს (ხელის ჩამართმევის შემდეგ აღარ იშუღლებდნენ, რადგან შუაკაცები ჭელის ჩამორთმის დროს ჯვართ აჭსენებენ და ბოლო სიტყვებში ეტყვიან: „დაგინდოსთ, როგორც ერთუცს დაინდობთ. მანამდინ, ან ჯვარჩი, ან სახლში სასმელში არ შეჰყრიან ერთად, მანამ არიან უმძრახად. გზაში შაყრილები ერთმანეთს ხმაამოუღებლად გასცილდებიან). მეორე დღეს ჯვარში ისევ დღეობა იყო. კაც-შუაკაცმა მაშუღლარები ჯვარში ერთად შეჰყარა. ლუდი ჯერ არ მოიტანეს, მანამ ერთი საკლავი არ მოაყვანინეს მაშუღლარებს. კაცის სისხლი უწმიდურად

ითვლება და ჯვარში სისხლის დენა ძალიან დიდ შეცოდებად ითვლება. არც ჯვარისკარს უყენეს რიგი საკლავის მიყვანამდინ. საკლავი დაკლეს ჯვარ-ჯვარისკარის სანათლავად, რადგან აქ კაცის სისხლი დაიღვარა და ასეთ გაუწმიდურებულ ჯვარ – ჯვარისკარში ჯვართ ხსენება აღარ შეიძლებოდა დანათვლამდინ. დანათვლის შემდეგ გახსნეს კოდი და ჯვარის რიგი აყენეს ჩვეულებრივი წესით. სანათლავის სისხლი თასში აკრიფეს და სადაც კაცის სისხლი იყო დაღვრილი, ყველგან უწიეს. ყარტისაგან (ჭვავის ნამჯა) გაკეთებული პატარა სასხურებლით. როცა კოდი გახსნეს და ჯვარის რიგი აყენეს, ერთი საწდე ლუდი დარბასის კარშიაც გამოიტანეს და დადგეს მაშუღლარებთან. ისინი ჩუმად ისხდნენ და ერთი მეორეს არ ელაპარაკებოდნენ. ჯვარიონნი გამოვიდნენ, თითო თასი ლუდი დალიეს და დაამწყალობნეს მაშუღლარები. უსურვეს მშვიდობის ჩამოგდება. მერე შუაკაცებმაც დალიეს. მერე თითოობით ამოუღეს თასებით ლუდი და მაშუღლარებს მისცეს (გამოგვრჩა: პატივი, როგორც ვის ეკუთვნოდა, იმავე საღამოს დასდვეს ერთიმეორეს შუაკაცების საშუალებით). მაშუღლარებმა თავ-თავის დაჭრილს თითო თასი პატივად მიუტანეს და უთხრეს: „არ მინდოდ შენთან ეს საქმე მამსვლიყვ, მაგრამ ხჭდების, ან სასმლის ძალით, ან სხვა უბედურობით. ეს თასი შენ პატივ იყოს. მაპატივი, რაიც დავლი შენთან (დავლი: დავაშავე), აქიმს დაგაყენებ, ყველაით წინ გიდგეორ, თეორი ოქროთ აგილესავ ნაჭრევს". ისიც ცოტას დაამდურებს: „რად გინდოდ ასეთის დაკვრა (თუ დიდი ჭრილობა აქვს მიყენებული)? ძალიანაოდ გამამიქჩერი, თორე ეე შუღლ კი მიწაწყალთ მაუდის, აქ არვის გაგვიკვირდების. ყველას გვინახავ შუღლი. ეხლა რაიც მახჭდ, აღარა ეშველების, მე შუღლისა, ნაჭრევის მერჯულედ ვერც შენ დაგიჭერა-დ ვერც თაოდ დავდგები. სხო აღარა ეშველების ეეხლად ნანობითა-დ ბევრის საუბრით. ეე ნაჭრევას აქიმს დაყენებაი-დ მარჩენა უნდ. თუნდაც სრუაც თაოდ დავიყენებ აქიმსაც, მავირჩენ ნაჭრევს". „აბა შენ რაად დაიყენებ?" – ეტყოდა დამჭრელი, „დავლი საქმეი-დ გაკეთებაიც უნდა შავზძლ, აქიმსაც დაგაყენება-დ, მაგივლიც". ნაჭრევიანი დამჭრელს ადღეგრძელებდა და ეუბნებოდა: (რადგან ჭარა– ოჩიაურნი ძმობდნენ და ერთი მეორის განაყრები იყვნენ) „არო უნდ, შენ ჩემს მტერსაც ეეგრ უზამ, როგორც მე მიყავი. როსაც მე ვინ დამატანს ძალას, შენ იქავ ჩემ ძმა იქნები. არ მამჭდარიყვ, კა იქნებოდა, მაგვიჭდა – რაიღ უყოთ. კლოვისად გავმთხილდათ, არ გვიჭდების ეროუცის სისხლის დენაი-დ ჭამა-გლეჯა". ასე რომ, ერთიმეორეს თასები მისცეს და ერთიმეორე ადღეგრძელეს. აქვე კაც-შუაკაცსაც არ ივიწყებდნენ, ეუბნებოდნენ: „შუაკაცებო თქვენაც გადღეგრძელნასთ, გწყალობდასთ არხოტის ჯვარიცა-დ ზეით ღმერთიც. კაის თქმადა-დ კაის გონობად ნუ დაგლივნასთ".

ამის შემდეგ ვითომც სულ არაფერი მომხდარა, დაიწყეს ჩვეულებრივი სმა. სოფლის აქიმს აქვე ყველამ სთხოვა: დაზდგომოდა აქიმად და შაეხვია ჭრილობები.

ჯვარში ჭრილობის შეხვევა არ შეიძლებოდა და ამიტომ სოფელში, სოფლის აქიმის სახლში წავიდნენ ყველანი. აქიმმა წყალი გაათბო პატარა ოუჯის ქვაბით (ერაწით), იქიდან წყალი ხის ჯამში გადაიღო. ნაჭრევიანები თითოობით დასვა ხის სამფეხა სკამზე. ღრუბელი დაასველა წყალში და ყველას ასე მოუსუფთავა სველი ღრუბლით სისხლიანი ჭრილობები. მერე დაძენძა კანაფის თოკის პირი, დაამრგვალა სელები, გაპოხა თაფლ-ერბოში და ჭმალიკით მაგრა გაჭედა ჭრილობებში. აქიმი ჭმალიკაით შეუბრალებლად მისწევ-მასწევდა ჭრილობებს, სინჯავდა, ძვალი იყო გაჭრილი თუ არა. თუ ძვალი გაჭრილი იქნებოდა და გაკურნვის საშუალებას არ მისცემდნენ, მანამ გატეხილი ძვალი არ ამოვიდოდა. თუ ძვალი გაჭრილი და გატეხილი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ჭრილობას ადრე გაკურნავდნენ. აქიმს ჰქონდა სხვადასხვა ბალახებისაგან დამზადებული წამლები. დაცდილი ჰქონდა, სად, რა ადგილზე და როგორ ჭრილობაზე რომელი წამალი უფრო კარგად იმოქმედებდა და ამის მიხედვით ხმარობდა წამლებს. ამ შუღლში ძალიან მძიმედ დაჭრილი არავინ აღმოჩნდა. მხოლოდ თავში დაჭრილებს ცოტათი დაჭრილი ჰქონდა თავისქალას ძვლის ზევით პირი – ზეთა ძვალი (ხევსურულად: ზეთა ძვალი, რომელიც ღირს ხუთი ძროხა დრამა, თუ ეს ძვალის ნამტვრევი ვისმე ამოუვიდა, თუნდა დიდი ყოფილიყო, თუნდა პატარა; თუუ მას ამოჰყვა ჩხიმი, მაშინ რვა ძროხა დრამა იყო და, თუ ქვეთა ძვალიც ამოჰყვებოდა, თექვსმეტი ძროხა. ძვლებს ყველა ცნობდა – უფრო ექიმები). აქიმმა კარგა ხანს თითქმის ორ-სამ კვირამდინ არ მისცა გაკურნვის საშუალება თავში მიყენებულ ჭრილობებს, ყოველდღე სინჯავდა ხვეწის პირით და ჭმალიკაით, ძვალი ამოვიდოდა თუ არა, გაჭრილ-გატეხილი იყო თუ არა. ამის შემდეგ გატეხილმა ძვლებმა იწყო ამოსვლა პატარ-პატარა ნაჭრებად. შესახვევად თვითონ მოჰქონდათ დაჭრილებს ფართლის ძველი ნაფლეთები, ხელსახოცები. გარეთ ზოგი თავშალს იხვევდა, ზოგი ფაშლაჭას (ფაშლაჭა: ყაბალახი). აქიმი ამბობდა: გატეხილი ძვალი, რომელიც უნდა ამოვიდეს – ძირზე ხორცი გაუჩნდება, ზევით ამოსწევს მიზეზიან ძვალს და ბოლოს ამოვარდებაო. მხოლოდ ყოველდღე უნდა მოედო ხვეწის პირი ან ჭმალიკა გატეხილი ძვლისათვის და ოდნავ ამოეწია ზევით. ასე ამ შუღლში დაჭრილ ნაჭრევებიდან ზოგიერთებს ამოუვიდა ზეთა ძვალი, ხოლო თუშის და მარტიაის ნაჭრევებიდან ორივემ (ერთიმეორე დაჭრეს მათ) ამოიყოლა ჩხიმი; ნაჭრევიანები ყველანი ფეხზე იყვნენ მზის მოსვლის დროს, ყველანი მოვიდოდნენ აქიმთან. ბოლოს ყველას ნაჭრევები გაიკურნა და შეხსნეს სახვიელი. კაც-შუაკაცმა რჯულის პირობა შეუკრა და დანიშნულ დღეს არხოტის ჯვარის ახლო მინდორზე დასხდა რჯულის კაცები.

რჯულის კაცებს ირჩევენ დაჭრილები და დამჭრელები. რამდენ კაცსაც ერთი მხარე აირჩევდა, იმდენსავე – მეორე მხარე. ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ შუაკაცი აურჩევდა რჯულის კაცებს. ეს, იმ შემთხვევაში, თუ დაჭრილი ან

დამჭრელი არ მოიწონებდა თავის მოპირდაპირის არჩეულ კაცებს. დაიწუნებდნენ ისეთ კაცებს, რომელზედაც ეჭვობდნენ, სხვა მხარისაკე გადაიხრებაო. ხანდახან არც დაიჯერებდნენ ნარჯულავს და დარჩებოდნენ ისევ მტრები, მერე შუაკაცები შეუყრიდნენ სხვა რჯულის კაცებს, რომლებსაც უნდა გაერჯულა და გადახრა-გადმოხრას ადარ ჰქონდა ადგილი. ამ ნაჭრევიანებს შორის კი ასეთი რამ არ ყოფილა. აირჩიეს რჯულის კაცები და მათ გარჯულეს. ჯერ შეაფასეს ნაჭრევები. მარტიას და თუშიას ნაჭრევები ერთნაირი გამოდგა და სულ ერთიმეორეში გადბარეს. სხვა, ზოგი ცოტა ნაჭრევი იყო, მხოლოდ მინდიას სჭირდა პირისახეზე. ნაჭრევი ძაფით დაზომეს, ძაფი სიპ ქვაზე დადვეს და იმის სიგრძე ხაზი გაავლეს. მოიტანეს ქერის და პურის მარცვლები და ხაზზე დააწყვეს. თითო მარცვალი სიგრძეზე და თითო გარდი-გაღმე. თითო მარცვალი პურისა და თითო ქერისა. სულ დაეტია თორმეტი მარცვალი. კილონი გადაყარნეს ე.ი. ორი მარცვალი ნაპირებიდან გადააგდეს და დარჩა ათი მარცვალი. რადგან პირისახეზე იყო, ამიტომ ალვანია ერგებოდა ხუთი ძროხა, კარგი საქონი, რასაც ნაჭრევიანი აირჩევდა; დანარჩენი დრამა, რაც უნდა ყოფილიყო. გიგიას იარაღი და რამე არ ჰქონდა, რომ ფასად ღირებულიყო და ამიტომ ფეჭითი მოითხოვა (ალვანიაში ღებულობდნენ: თუ ჰქონდა სახელიანი, ჯიშიანი ჭმალი, მაგ. ფრანგული. ქართული თოფი უფრო „მაჟარი". ასეთი იარაღის ქონა გვარში სასახელო იყო და ყველა ცდილობდა ხელში ჩაეგდო. გამტანისათვის სირცხვილი იყო ასეთი იარაღის გაღება და ამღებისათვის სახელი). შუაკაცებმა გადაფასეს:ᾶ ხუთი ძროხა ფეჭითი და ხუთი ჭელითი და მიუტანეს სახლში მინდიას. თან კაცებმა სთხოვეს: „გიგიას სახლში არცრა დარჩ. მაცემით კი ერთ ცუდ სიტყვა არ უთქომ, ისრ ჩაგვაბარ. თუ გწამს ღმერთი-დ ჩვენებ სალოცავები, ამ საქონის მთლიანად აღებას ნუ იკადრებ, არაი ას, აღებულ-გაღებულ საქონი კაცს ბედენას არ უზამს. აპატივი შენს კაცობასა, ჩვენს სალოცავებს ზოგ მაინც ამ საქონისაი; ჩვენა-დ ჩვენ თხოვნაიც ჩაგვყარენ კაცადა-დ, თხოვა – თხოვად. ის ძალიან ნანობს მამჭდარ საქმესა-დ ამბობს: „ჩემდ ახი ასავ ტანზე ტალავარიც რომ არ დამჩასავ, მე რომ რამთვნადაც მენანების მამჭდარ საქმეივ, მე იმის საფასურს რას გადავიჭდივ. მაგრემ, შენ იცი შენ კაცობამ, რას აიღება-დ, რას დაგვიბრუნებ შენის სასახელოდ". შუაკაცებმა ქუდები მოიხადეს და მინდიას წინ დაბლა დაყარეს (ქუდის მოხდით თხოვნა ხევსურეთში დიდად საპატიო და ანგარიშგასაწევი საქმე არის). მინდია ადგა, ყველა ქუდები აიღო, გაბერტყა და პატრონებს ხელში მისცა. ამ დროს აქ ესწრებოდნენ მინდიას ძმა-ბიძაშვილებიც. მინდიამ უთხრა: აი, მე აქ ძმა-სახლისკაცები მყვან, ესენიც რას იტყვიან. მე სრუაც არ მინდ მაგის მაცემულ საქონი. მერე ადგა ოჩიაურთ მამის ერთი უფროსი კაცი და იმან თქვა: „ეს საქონი არც აღებული ამდიდრებს კაცსა-დ არც გაღებულ აღარიბებს, მაგრამ ჭევსურეთის რჯულის წესი საქონის აღებ-გაღება. ეგ ნახევარი გვიპატივებავ ფეჭითიცა-დ ჭელითიც, ჯვარისადაცა-დ კაც-შუაკაცისადაც.

ნახევარი საქონი ქვე ჩაგვაბარეთ. შუაკაცებმა კიდევ მოიხადეს ქუდები და ამ უფროსის კაცის წინ გადაყარეს და უთხრეს: „აი, ეე ქუდით მადლობლები ორთ ოქვენის ნუგეშისაი, ჩვენაც კაცად ჩაგვყარენით. ჯიშიანნ კაცნი ხართა-დ ყველა საქმეს კაცურად აკეთებთ, რაც ოქვენს კაცობას არ ეკადრების, იმას არ იქამთ".

მერე მორეკეს ფეჭითი საქონიც და დრამაც გადმოაწყვეს. მინდიამ სამი ძროხა დაუბრუნა ფეჭითი და ორი აიყვანა. ორი ძროხის დრამა აიღო და სამის დაუბრუნა. შუაკაცებმა დამჭრელი გიგიაც მოიყვანეს, მან არაყი მოიტანა და გამართეს სმა. ასე მოხდა მათი საბოლოო შერიგება.

ჭარა-ოჩიაურთ შუღლი

ახიელში გიორგობა სამივე ჯვარში იციან: ქვექვ – მთავარანგელოზ მიქიელში, გორს – ჯაჭველში და მთას – მთიშეშაგში. ქვექურის ანუ არხოტის ჯვარს მიქიელობით ილოცავდნენ და მთელი არხოტი ეყმობოდა მას. დასტური დგებოდა მუდამ წელს: ორი ახიელიდან, ერთი ამღიდან ან ჭიმღიდან. ამღაში როცა ბოლოს გავიდოდა დასტურობა, მერე ჭიმღას გადავიდოდა. ახიელიდან კი მუდამ წელს დგებოდა ორი დასტური. გორს ჯაჭველ წმიდაგიორგი იყო ქავთარ-ოჩიაურთ ჯვარი და დასტურებიც მათი დგებოდა ყოველწლიურად ორი კაცი. ამაღლებას და ათენგენას კი შიგმდგომი დასტურნიც იცოდენ და ჩაბაკაურნიც აქვე ილოცავდნენ გიორგის. ამბობდნენ: ჯაჭველი და გიორგი ძმანი არიანო. იგივე გიორგი იყო მინდორის ჯვარი, რომელსაც ებარა „ცა-ღრუბელთ ჭელობა". ამ მინდორის ჯვარს აქვს თავის საარსოსთან ახლო მამული ორი დღისა „მინდორის ჯვარის ყანა". ამ მამულს სოფელი მორიგეობით ხნავდა, ვინც მოხნავდა, იმ წელს ის იყო მინდორის ჯვარის დასტური, ლუდს ადუღებდა ამაღლებას და ათენგენას. და ერთ-ერთი დღე მისი დღეობა იყო ამ ჯვარში. მთელი სოფელი მოდიოდა, ჯარი დასხდებოდა იქვე პატარა, ბალახიან მოედანზე და სვამდნენ ლუდს. ეს დღეობები ყველა აწერილია რელიგიურ კალენდარში.

მთიშეშაგი, მთის ვეშაგი – მთის ყარაული, იყო გაბრიელ მთავარანგელოზი. საკუთარი ყმანი იყვნენ ჭარანი, ცისკარაულები. მამულებსაც ესენი ხნავდნენ და ისინივე დასტურობდნენ. ხანდახან საჭელოს კი იზამდნენ ჯაბუშანურები და ნაროზაულებიც. ათენგენას მთას ასვლის დღეს მიდიოდნენ იქ (ამისი წესებიც აწერილია რელიგიურ კალენდარში არხოტში). აქ დასტურობას არავინ არ ეწეოდა ჭარათ გარდა (ჭარანი: იგივე ცისკარაულები). გიორგობა იყო და ყველა ჯვარებში დღეობა იყო (გიორგობას ჭარანი და ოჩიაურნი არხოტის ჯვარშიითაც მასმურის მიხედვით თავის წილ ლუდს თავის ჯვარში მოიტანდნენ და, თავის საკუთარ დამზადებული ლუდის გარდა, ამ

ლუდსაც სვამდნენ). თავ-თავის ჯვარში თავ-თავის მამის კაცნი იყვნენ და ერთი მეორესაც ეპატიუებოდნენ სოფლელები. ერთს აწევდნენ თავის ჯვარზე, მერე ის იქიდან მარტო არ წამოვიდოდა, გამოიყოლებდა ვისმე მათგანს თავის ჯარზე. წასული კაცი ხელ-ცალე არ წავიდოდა, თავის ლუდიდან ერთ თას ლუდს წაიღებდა, მივიდოდნენ იმათ ჯარზე. რომელმაც ეს კაცი მოიყვანა, ის წინ შეუძღვებოდა და ეტყოდა თავის ჯარის ხალხს: „აშენდით (სახელი, ვინც მიიყვანა, მაგ. მამუკა), მამუკას მაგგვრით". ის მისული კაციც ეტყოდა: „აშენდით, აშენდით, წაღმამც წაგიოსთ დღეი-დღეობა". წამოდგებოდნენ ყველანი ფეხზე: „დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მოსვლა-ი" და გადააჭდენდნენ (გადაიყვანდნენ) უფროსების სკამზე. ის ჯერ არ დაჯდებოდა, ერთ-ერთ უფროს კაცს დასვამდა, თავის მოტანილ ლუდიან თასს მისცემდა და ეტყოდა: „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ. ჯვარის წყალობა გქონდასა-დ, ხთისა, მტერ მაიყვანი ნებას". ეტყოდა უფროსი კაცი და ჩამოართმევდა მოტანილ თასს. მერე მოსულსაც დასვამდნენ და მიუტანდნენ ლუდიან თასს. დაილოცებოდნენ და დალევდნენ. აქებდნენ ერთიმეორეს ლუდს. ახლა ეს გაიყოლებდა კიდევ აქედან კაცს და მიიყვანდა თავის ჯარზე. ამ წასვლა-წამოსვლაში, პატიჟში და პატივსაცემად ლუდის ძალადებაში ითვრებოდა ხალხი. ახლა ქალები გზავნიდნენ სასანთლეს და თითო ბოთლ არაყს (სასანთლე წერია რელიგიური კალენდრის აღწერილობაში). მოსულ სტუმარს ლუდთან ერთად არაყსაც აძალებდნენ და ძალიან დათრობას ცდილობდნენ სტუმრისას, რაც სასახელოდ მიაჩნდათ. სწორედ ასეთ ამბავში მთვრალ ხალხს შუღლი ხშირ შემთხვევაში მოსდიოდა. ერთ-ერთ გიორგობა დღეს ჭარანი და ოჩიაურნი ერთი-მეორეს ასმევდნენ. დაითვრნენ და ორი კაცი შელაპარაკდა. ამოიღეს ხანჯრები, მაგრამ მეშვლები მალე დაესწვრნენ და ვერაფერი დააკლეს ერთიმეორეს. შემოსაღამოვდა და ხალხი შინისაკე მოდიოდა. ცისკარაულთ გვარში იყო შუღლში სახელგანთქმული ახალგაზრდა – ბერდია. ბერდიამ დაინახა ოჩიაურთ გვარის კაცი – გარსია, გაიქცა, მივარდა მასთან და თავში ორჯერ დაჰკრა ხანჯარი. გარსიას ხანჯარი არ ჰქონდა და ვერაფერი დაჰკრა (არხოტში ქვის და ჯოხის ხმარება სირცხვილია ჩხუბში). დაიჭრა გარსია ორ ადგილას და მოლიანად სისხლით შეიღება ტანსაცმელიც კი. გარსიამ ხანჯარი მოიტანა და სოფელში გაიქცა, მათი გვარიდან ვინმეს შესახვედრად და ჯავრის ამოსაყრელად. ვისაც შეხვდებოდა – სჭრიდა, ჯავრსაც ამოიყრიდა და სირცხვილსაც მოიშორებდა. პირდაპირ მოვიდა იმ კაცის სახლთან, რომელიც ცისკარაულების გვარში ყველაზე მაგარი და სახელოვანი კაცი იყო, სახელად ბაბო (შუღლში უფრო მამაც კაცთან მიდიან, რომ ხალხმა არ თქვას, იმისაგან ეშინოდა და უფრო ბეჩავ კაცსთან მივიდა, თუ მამაცი იყო, რატომ იმასთან არ მივიდა, ვინც მაგრა დაუხვდებოდაო). ბაბომ არც იცოდა თუ შუღლი სადმე იყო, რადგან იმ დროს მას ეძინა. მისულმა გარსიამ მაშინვე ხანჯარი

მოუქნია თავში. ბაბომ შემთხვევით მკლავი შეუფარა. იდაყვთან მძიმედ დაიჭრა. მიჰყვნენ თან მეშვლებიც და დაიჭირეს ორივენი. აქ ბაბომ ვეღარ მოასწრო დაკვრა, რადგან მეშვლები მალე მიეშველნენ. ასე ჩაერია სოფლის ხალხი და ეს ორი ერთიმეორესთან მაშუღლარი გვარი გააშველეს. დილამდინ რა იქნებოდა, ჭრილობებზე უბრალო თავშლები მოახვიეს და სისხლი ძლივს შეაჩერეს სოფლური სხვადასხვა წამლებით. მეორე დღეს შუაკაცებმა დაიწყეს სიარული და შერიგებაზე ლაპარაკი. თუმცა ორივე გვარის ხალხი ერთიმეორეზე გაბრაზებულები იყვნენ და მუქარას ითხოვებოდნენ, მაგრამ შუაკაცები ერთ გვარსაც ატყუებდნენ, რომ ისინი ნანობენ თავის დანაშაულს და ამბობდნენ: „წინ უდგეორთ, აქიმსაც დავაყენებთა-დ თეორი ოქროთ აულესავთ ნაჭრევს". მეორე გვარსაც ასე ატყუებდნენ და ორივე გვარს გული მოულბეს, ერთიმეორისათვის პატივი დაადებინეს და ბოლოს არხოტის ჯვარჩი ერთად შეყარნეს და დროებით შეარიგეს, ბაბომ გარსიას სიტყვა დაამდურა და უთხრა: „შინ ნაჯდომ კაცს რაზე მამჭერ ჭელი, საუჭმრო რაზე დამკარი? შუღლში მაგოვნად გონ რაჭელ უნდა აიჭადას კაცმ, რო იარაღს რაჭელ ან რა ალაგჩი უქნევს, ის აღარ იცოდას? მეორე ის, რო ჩემს ჭელჩი დაზრდილები ყმაწვილები ხართა-დ თქვენგან იარაღ არ მამექნევის, სირცხვილი თქვენდ (ბაბო შუათანა ხნის კაცი იყო, გარსია ახალგაზრდა). გარსიამ ვერაფერი უპასუხა, შენთან დამნაშავეი ორავ, უთხრა, მაგრამ ჯერ მოვრალ ვიყავი, მემრ ნაჭრევები მჭირდა-დ, განა მაჭსონს რას ვჩადიოდი". რაკი საუჭმროში შჭირდა ჭრილობა, ამიტომ „ჭმელ საკლავ პატივ"-ი ეკუთვნოდა. საკლავის მაგიერ ექვსი აბაზი ვერცხლის ფული და ერთი აბაზი კიდევ პატივი. ესეც შეასრულეს და დროებით შერიგდნენ. დააყენეს სოფლის აქიმი (მაშინ ხევსურეთში ექიმი და ექთანი, არც საავადმყოფო, არაფერი არ იყო. ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი და ძაუგი შორს იყო და აუცილებელი იყო სოფლის ექიმისაგან მკურნალობა). ბაბოს მორჩენა ღირდა ოთხი ცხვარი და გარსიას მორჩენაც იგივე ღირდა ნაჭრევების მიხედვით. თითო საკლავი აქიმის სანათლავი უნდა მიეცათ აქიმისათვის. აქიმი ერთი საკლავით გაინათლებოდა, ერთი თავისათვის რჩებოდა. აქიმი თუ არ გაინათლებოდა, ჯვარნი ჭელს არ მაუმართავდნენ ნაჭრევების გაკურნვაში. რადგან კაცის ხორცი, ე.ი. ჭრილობა უწმიდური საქმე იყო და აქიმი წმიდად უნდა ყოფილიყო. აქიმი სახვიელს რომ ხსნიდა, იტყოდა: „ღმერთო და ჩემებო სალოცავებო, დასწერეთ ჯვარი ამ ნაჭრევიანს (სახელი), ლხინის წამალი დააყარეთ. მე ჭორციელორ, არა შამიძლავ, თქვენ უშველეთ თქვენის ძალითა-დ სახელით". მერე შეუხვევდა ჭრილობას, წამლის დაყრაში კიდევ იტყოდა: „ღმერთო და ჩემო სალოცავებო, წამალ – ჩემი, შველვა – თქვენი, მე ჭორციელი ორ, არა შამიძლავ, თქვენ გაქვთ ძალი, შაძლება, თქვენ უშველეთ". მესამედ მაშინ დასწერდა ჯვარს უკანასკნელ თავშალს რომ მოახვევდა. ხელს დაადებდა თავზე ჯერ ერთზე,

ახლა მეორეზე, ისე რომ ჯვარის სახედ დაადებდა ხელს და ეტყოდა: „ღმერთმა-დ ჩვენებმ სალოცავებმ გილხინანა-დ მაგარჩინან". ასე დაიწყო ბაბოს და გარსიას მკურნალობა. გარსიას ერთი ნაჭრევიდან ჩხიმიანი ძვალიც ამოუვიდა, რომელიც უდრიდა რვა ძროხა დრამას. ბაბოს ხელი სახსარში იყო და დაუჩირქდა. შეიქმნა მწუხარე ავადმყოფი, სწუხდნენ ცისკარაულები იმიტომ, რომ მათ გვარში პირველი, ე.ი. ყველაზე კარგი კაცი კვდებოდა. ოჩიაურები სწუხდნენ იმიტომ, რომ კაცის თავი ედებოდათ და ისიც თავის განაყრებისა. მიმაროეს ჯვართ და მკითხავებს. ჯერ მკითხავების გარეშე დახოცეს სამეშვლოები (საკლავები საშველად ავადმყოფისა), მაგრამ ბაბო მაინც სწუხდა. მერე მოიყვანეს მკითხავი მოქადაგე ხოშექა. ხოშექას გორული ჯვარი მოუვიდა და ჯაჭველმა კურეტი გაითხოვა მიქიელისად დასაკლავად. გორული ჯვარი მიქიელს ეხვეწებოდა (ასე ქადაგობდა ხმამაღლა მოქადაგე): „დიდი ხარ, მიქიელო, სულთ ამარიდებაი-დ სულთ ჩადგმა შენ გბარავ, უშველი ჩემთ ყმათ, ნუ ჩამაუგდებ მესისხლეობას. მე ჩემით გავითხოვა-დ შამაგიჭდენენ ჩემნ ყმანი ბუღაურს". ამასთანავე იმკითხავა მკითხავმა: გარსია ითვრება და აქოთებს ჯვარ-ჯვარისკარს, შუღლობსო. ესეც უნდა მოიშალოსო. გარსიამ კურეტიც მიიყვანა და ჭკდე შააგდო არხოტის ჯვარში, მე აქ აღარ ვიშუღლებ, არც სხვა ჯვარებშიო. ბაბო ნახევარ წელიწადზე მეტი იწვა, როგორდაც ჩირქის დენამ იკლო და მომჯობინდა. ახლა ბაბოს ოჯახიდანაც დაკლეს სამეშვლოები. ავადმყოფს გამუდმებულად ხორცს აჭმევდნენ. ამბობდნენ, ჭორცი რომ ჭამოს, ნაჭრევი ადვილად იკურნებაო, ჭრილობის კურნვას ხელს უწყობსო. ბაბო გამორჩა, მაგრამ მკლავი გაშლილი დარჩა, ვეღარ ღუნავდა. ბოლოს რჯულში გავიდნენ და რჯულის კაცებმა ხელის გაუჭმრება თექვსმეტი ძროხა გარჯულეს. გარსიას თავიდან ჩხიმიანი ძვალი იყო ამოსული და რვა ძროხა ის გარჯულეს. ბერდია ბაბოს ახლობელი იყო და ის დაეხმარა, ბაბომ რვა ძროხა გაუბარა თავის ხელის დრამაში. რჯულის კაცებმა რვა ძროხა დრამა ბაბოს მიუტანეს. რაკი ნაჭრევებშიაც გაუბარეს და ბაბოს აღარაფერი რჩებოდა, ამიტომ მას აღარაფერი დაუბრუნებია, დრამა მთლიანად აიღო. ბოლოს გარსიას კაცებმა დააკისრეს სასმლით შინ მისვლა ბაბოსთან (არაყის მიტანა) და საბოლოოდ ამით შეარიგეს.

ბაიჭაურისა და გარსიაის შუღლი

ბაიჭაური იყო ცისკარაულების გვარისკაცი. მკითხავებმა უთხრეს, არხოტის ჯვარს მორიგედ უნდიხარო. თითქოს იმათ თქმას არ დაემორჩილა და თავის გულში კი ნასიამოვნები იყო ამ ამბით. ის ამბობდა: „მე თუ ჯვარს გამძღოდ უნდიორ, თავად გამაგებიებს, მე მკითხავების თქმით ჯვარში ვერ შავვარდები-დ ამით ჯვარს ვერ შავეცოდები". ბოლოს თვითონ დაიწყო სიზმრების ნახვა ჯვარის გამძღოდ მოსვლაზე. ბოლოს სიზმარში დაიწყო ხუცობა და ცხადადაც გაირყვნა (გარყვნა ამ შემთხვევაში ნიშნავს ზესთა ბუნებაში გადასვლას, გაწმიდებას; იწყებს „ხთიშვილთან პირად საუბარს და მათ ხედვას, მათ საქმეებში ერევა"). ბაიჭაურმა დაიწყო ხთიშვილთან საუბარი, მათ წმიდა ადგილებში სიარული. ხალხთან საუბარი ჯვარის სურვილისა და ბრძანებისა. ამბობდა: ამა და ამ მამულს პატრონმა თავი დაანებოს, ჯვარის მამული შაჭნულია, ჩამოჭნულია, სამან-სამძღვარი შერეულია. ვინმემ ეს სცოდა ჯვარს, ვინმემ ესაო და მკითხაობაც იწყო – ამას ეს მოუვა, ამას ის, თუ ესა და ეს არ გააკეთა (საკლავის დაკვლა, მამულის შეწირვა და სხვა). ბაიჭაური ხან ჯვარში იყო, ხან თავის სახლის ჭერხოში მიდიოდა. უწმიდურ ადგილებში აღარ დგამდა ფეხს, მაგალითად სადაც ქალების ფეხი გაივლიდა, ის იქ აღარ დადიოდა. ერთხელ შენიშნეს, ვიღაცა ქალი ესაუბრებოდა, მან თქვა: ქალი კი არა ჭაჭმატის ჯვარი იყოვო, აქ ხალხს ცოტა ეჭვი შეეპარა მის ჯვარის ჭელკაცობაში. ახლა კიდევ ერთ ბავშვს მოშინაურებული მტრედი გამოუფრინდა სოფლიდან და ჯვართან ახლოს დაჯდა. მოჰყვა პატრონი ბავშვიც. ბავშვი მივიდა მტრედის დასაჭერად. ბაიჭაურს ის მტრედი ხთიშვილი ეგონა მტრედის სახით ჩამოსული, პირჯვარს იწერდა და ბავშვს უყვიროდა: მაგასთან ახლოს არ მიხვიდე, შენ ეგ უბრალო მტრედი ხომ არ გგონიაო. ბავშვმა ყური არ უგდო, მივიდა, აიყვანა მტრედი და სახლში წაიყვანა.

გარსია ფიცხი კაცი იყო, ამ დროს მთვრალიც, და უთხრა: „შენ რას ამასხარავებ ან ხალხს, ან ჯვარს – სტყუიხარ, შენთან ჯვარი კი არა, ეშმაკიც არ არისო". შეჰყვნენ ამაზე და იშუღლეს, გარსიამ ამოიღო ხანჯარი, თავში დაჰკრა და დაჭრა. ბაიჭაურმა ხელი არ შაუქცია და უთხრა: მთავარანგელოზი თვითონ გაგისწორდებაო. გარსია დედისერთა კაცი იყო და მშობლები კარგად უვლიდნენ; უფრო დედა ევლებოდა თავს. გარსიას დედა ჯვართ მორწმუნეც იყო და შვილის სამხვეწროდ ხშირად ხოცდა ჯვარში საკლავებს. ეს ბაიჭაური რომ გაირყვნა, დიაცებს უფრო სწამდათ მისი ჯვარის ჭელკაცობა, რომ ის მართალა ხთიშვილთან იყო გართული და წმიდა კაცი გახდა, სახათრო და პატივსაცემი. გარსიას დედამ თამარამ გაიგო, რომ გარსიამ ბაიჭაური ჭრა, ჯვარის ჭელკაცი, წმიდა კაცი, რომელიც წმიდობის გულისათვის წყაროებზე და მდინარე ასაში ე.ი. არხოტის წყალში დღეში ხან ცხრაჯერაც ჩაჯდებოდა შალის პერანგიანი. ეს მისებურად გაბანა და განწმენდა იყო უწმიდურობისაგან. სწორედ

ასეთ გართულობის და წმიდობის დროს ჭრა და სისხლით მოსვარა ჯერ ბაიჭაურის წმიდა სხეული და მერე ჯვარ-ჯვარისკარი. ისიც გაიგო, რომ მან ხელი არ შეუქცია და უთხრა: მთავარანგელოზი თვითონ გაგისწორდებაო. ამ ამბავმა თამარა ისე შეაკრთო, რომ გონება დაებნა. როცა გონება მოიკრიფა, მაშინვე საკლავი წააყვანინა ჯვარ-ჯვარისკრის სანათლავად. საკლავი დაკლა და, სადაც ბაიჭაურის სისხლი იყო, საკლავის სისხლიც უწიეს იმ ადგილებს. ამით განათლეს და გაწმინდეს ადგილები. მაგრამ ბაიჭაურმა თქვა: მე და ხთიშვილთ დიდი საქმე გვქონდა გასაკეთებელი. რაკი მე დავსისხლიანდი (დავშამნიანდი, ჯვართ ენით) ხთიშვილთ ჭორცივლის სისხლი აკრთობს და ისინი წამკრთნენ ე.ი. ჩემგან განზე გადგნენო. მისმა მიმდევარ-მორწმუნეებმა ჰკითხეს, რა არის საჭირო, რომ ხთიშვილთ გული მოიბრუნონ, არც გარსიაზე იყონ გამწყრალი და არც შენზეო. მან სოქვა: თუ კურეტით გავინათლე, გავიწმიდები იმდენად, რომ ისევ საუბრის ნება მექნება ხთიშვილთანაო, თუ არა, არც გარსიას წაუვა საქმე კარგად და არც მე გავიხარებო. პირუტყვი მთაში იყო საძოვარზე გარეკილი და დედამ გარსია მაშინვე გაგზავნა, ბაიჭაური კიდევ გაიბანა მდინარეში. თავი ახალი ხელსახოცით შეახვევივა და კურეტი თავის სანათლავად სხვა ხუცესს დააკვლევინა. მაგრამ, მანამ ნაჭრევი არ განიკურნა და ბაიჭაურს წყრულიანი თავი ჰქონდა, ხთიშვილთ აღარ გასაუბრებია, რადგან „ხთიშვილნი წყრულიან კაცს არ ეკარებიან". აქიმმა რომ თავი მოარჩინა და სახვიელი შეხსნა, მერე დაიწყო წყალში ბანაობა, ისევ გაწმიდდა და დაიწყო ხთიშვილთან საუბარი. ბაიჭაურს ჭრილობა დიდი არ სჭირდა, სადრამე არაფერი იყო, რადგან ძვალი არ ამოუვიდა, შუაკაცებმა გარსიას დაავალეს სასმლით შინ მისვლა. ბაიჭაური ბოსელში არ შედიოდა, თავის ჭერხოში იყო მარტო. გარსია და შუაკაცებიც იქ მიუვიდნენ. მან არაყი არ დალია, ხთიშვილთაგან სასმლის დალევის ნება არა მაქვსო. შუაკაცებმა კი დალიეს და გარსიამაც. ამით დამთავრდა მათი შუღლი და მას აქეთ აღარც უშუღლიათ. ბაიჭაური ბოლოს ხუცესად მივიდა არხოტის ჯვარში.

უთურგათ დავითისა და აბიკათ გიგიას შუღლი

აბიკათ გიგია იყო სოფელ ამღიდან, წიკლაური, ბერდიშვილთ მამისა და ბერდიშვილთ მამიდან კიდევ ბაიათი. ეს ხალხი ამაყი იყო და თავმომწონე, არაფრად არავის აგდებდნენ. მაგათი წინაპრები სახელოვანი ხალხნი ყოფილან ქისტებთან ბრძოლით და ამიტომ ისევ ამაყობდნენ ძველი სახელით და ცდილობდნენ ახლაც დაემატათ ძველი სახელისათვის.

სოფელ ახიელში ნაროზაულთ გვარში, ჩაბაკაურთ მამაში იყო საშუალო კაცობის და სახელის კაცი უთურგათ დავითი. ნაროზაულნი მშვიდი და წყნარი ხალხი იყო, არ უყვარდათ შუღლი და ამით კაცობა-სახელობა. თუკი ვინმე ძალით გამოიწვევდა შუღლში, სხვაზე უარესად არ დახვდებოდნენ, მაგრამ თვითონ არავის აუტეხდნენ შარს. ხევსურეთში მაშინდელ დროში აქებდნენ შარიანს, ამაყს და მაშუღლარ ხალხს. წყნარს და არამაშუღლარ ხალხს არ აქებდნენ და აბუჩადაც იგდებდნენ. ერთხელ ამღაში რაღაც სმურობა იყო და უთურგათ დავითიც სტუმრად იყო ამ სოფელში მოსული. აბიკათ გიგიამ რაღაც ძველი შარი მოუგონა და ძალით ჩაითრია შუღლში (გიგია იყო ოცი წლის ახალგაზრდა, დავითი ორმოც წელს გადაცილებული). დავითი ისე გაბრაზდა, რომ შუღლი პირველმა მან დაიწყო სილის გარტყმით, თან ხანჯარიც მიაყოლა და თავში მაგრა დაჰკრა. გიგიამაც ხანჯარი ამოიღო, პირველად თავში დაჰკრა და მერე ბარკალში ჰკრა წვერით და გავარდნილი ხანჯრის წვერი მეორე ბარკალშიაც ნახევრამდინ წავიდა. დაკარგა ბევრი სისხლი და დავითს გული წაუვიდა (არის ზოგიერთი კაცი, რომ სისხლის ნახვაზე გული მისდის, ნამეტნავად თავის სისხლის ნახვაზე. ამ გულის წასვლას ხევსურები სისხლის მაგოზებას ეძახიან). დავითს სისხლი მააგოზა და დავარდა. ზოგიერთებს ეგონა კვდებაო და დაიწყეს ტირილი. ზოგები გიგიას და იმის ბიძაშვილებს ეუბნებოდნენ: სოფელს გაერიდენით, კაცი მოკვდა, ნაროზაულნი გაიგებენ, მოვლენ და ერთუცს გასწყვეტოო. გიგიასაც მძიმე ჭრილობა ჰქონდა თავში. ბევრი სისხლი სდიოდა და დასუსტდა. ის ამბობდა: ეგეც ნაჭრევიანია და მეც, რა ვიცით, რომ ეგ არ მორჩება და მე არ მოვკვდები. მე ჩემი სოფლიდან სად უნდა წავიდე. მაგას სისხლი აქვს მოგოზებული, მოგონოდება და ჩემი სოფლიდან ეგ წაიყვანეთო. მართლაც წყლის სხმით და თავისებური მოვლით დავითი გონზე მოვიდა, მაგრამ ადგომა კი აღარ შეეძლო. შეაბეს ხარები მარხილში და დავითი თავის სოფელში – სახლში მიიყვანეს. შუაკაცებმა საკლავ-პატივი მოიყვან-მოიტანეს დავითთან, რადგან სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. გიგიასაც დავითმა გაუგზავნა ჴმელი საკლავ-პატივი, რადგან იმასაც მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული თავში. დააყენეს ერთიმეორეს სოფლის აქიმი. ჭრილობები მეორე დღემდინ მოუსუფთავებელი და შეუხვევი იყო. მხოლოდ უბრალო

ძველი თავშლები ჰქონდა მოხვეული. აქიმმა ჯერ დავითს დაბანა თბილი წყლით ჭრილობები, მერე კანაფის თოკის პირი გარეცხა, მაგრად გაპოხა თაფლით და ერბოთ და გაუყარა გახვრეტილ ბარკალში თან ბალახის წამალი იყო ჭრილობაში ჩაყრილი. იქით-აქეთ პატარა ფართლის პირები დაადო, ჯერ ხელსახოცით შეუხვია და მერე გარედან ბატკნის ტყავი შემოახვია, რომ ნაჭრევი არ დაიღუბოს (დაღუბვა ხევსურულად ნიშნავს ჭრილობისათვის შეციებას, რაც იწვევს სიმსივნეს და დაჩირქებასაც. ფშავლები დახავებას ეძახიან). მეორე ბარკალშიაც ასეთივე სელი ჩადო მანამ მიდიოდა (სელს უწოდებენ თუ მოკლეა, ან თავის ჭრილობაში ჩასადებ მრგვალ კანაფს; თუ ჭრილობა ნაწვერწაღმართალია, ასეთ ჭრილობაში გასაშვებ სელს „უსმარ"-ს ეძახიან (ნაწვერწაღმართალი: ხანჯლის წვერით მიყენებული ღრმა ჭრილობა).ქისტებმა და არხოტელებმა ხშირ შემთხვევაში იცოდნენ ასეთი ჭრილობის მიყენება; (ბუდის ხევსურები არხოტივნებს დასცინოდნენ კიდეც: ხანჯარს წვერით ხმარობენ როგორც ქისტებიო. იარაღის ხმარება ვერ იციანო). თავის ნაჭრევიც შეუხვია, შიგ სელებიც ჩააწყო, მემრე ცხენი შეკაზმა, შეჯდა და ამღაში წავიდა. იქაც გიგია მძიმედ დაჭრილი დახვდა, მაგრამ მაინც წამოდგა, სკამზე დაჯდა და აქიმმა ჭრილობა ისე შეუხვია. ორივე ნაჭრევიანი მძიმედ იყვნენ დაჭრილი და უარესად ხდებოდნენ. მკითხავის უთქმელად ორივე მხარემ შეთანხმებით სამეშვლოები დახოცეს ორივე ავადმყოფისათვის: ამღას იაკსარში, იაკსარ სვეტად ჩამოსულში ე.ი. სვეტის ანგელოზში და პეტრეში. ახიელ: არხოტის ჯვარში, ჯაჭველში და მთაშეშაგში. ჭრილობები მძიმე იყო, მაგრამ არ მოიხიბლა, არ დაჩირქდა. აბიკათ გიგიაის თავში ჩხიმიან ძვალი ამოვიდა, დავითის თავში ზეთა ძვალი. ფეხებიც მოურჩა, მაგრამ გახვრეტილი ფეხი დასახიჩრდა, რადგან ძარღვები იყო დაჭრილი. გაშლილი იყო და მუხლიდან ვეღარ ღუნავდა.

როცა ორივენი გამორჩნენ, რჯული ჰქონდათ, რჯულის კაცებმა რვა ძროხა გიგიას ჭრილობაზე გადაწყვიტეს, როგორც ჩხიმიანი ძვალის ამოსვლა. დავითის ფეხის დასახიჩრება თექვსმეტი ძროხა, ზეთა ძვალის ამოსვლა ხუთი ძროხა. დავითისათვის მისაცემი დრამა დადგა ოცდაერთი ძროხა. მეორე ბარკლის ჭრილობა სადრამე არ იყო. ოცდაერთი ძროხიდან რვა ძროხა გიგიაის ძვალისა. დარჩა დავითისათვის მისაცემი ცამეტი ძროხა. ხუთი ძროხა ალვანია აიღო. ალვანიაში ხუთ ძროხად აიღო ფრანგული ხმალი და რვა ძროხა სხვა დრამა. ხმალი გიგიას არ ემეტებოდა, მაგრამ ალვანიაში რომ შეუთვალეს, მეტი გზა არ იყო, მისცა ის. მერე ერთიმეორეს შესარიგებად არაყით მიუვიდნენ, მაგრამ გულწმიდად მაინც არ იყვნენ ერთმანეთთან. მერე გიგია მეფის რუსეთის ჯარში წაიყვანეს და იქიდან ისევ საწყინო ლექსი მოსწერა დავითს. ამ ლექსში სხვაც ბევრია ნათქვამი სხვა და სხვებზე, მაგრამ აქ მოგვყავს ლექსის ის ნაწილი, რაც დავითს ეხება:

უოურგაო დავითს უოხარით დაბარებული ჩემია,
სასიკვდილოდ რო მიქნიე, კაცო კაცი ხარ ბერია.
ჩვენით რო ჴმალი წაიღი, განოურად იყო შენია.
წელზე ვარავინ შეიბომთ, ნაჴშირაულის ფერია
(ნაჴშირაული გიგიას მეტსახელია).
ტანჩი კარგად ას ნაქნარი, ვადა ვერცხლით აქვ ჭრელია.
ვაი ოუ ვერვინ უმჴედრეთ, არ მიგიწვდებისთ ჴელია.
იცის მტრისაკე ზიდილი, იყვა ძალიან მჭრელია.
გაყიდეთ ნაროზაულნო, არ შაგიჴდებისთ გძელია.

როგორც ვოქვით, ეს ლექსი ბევრებზე არის ნათქვამი, უფრო საქები. ამავე ლექსში ნიკოლოზ II-საც ეუბნებოდა, ბუნტოჩიკები მოგკლავენ შენცო. განა რკინის გრდემი ხარ, რომ ტყვიამ არ გაგხვრიტოსო. ჯარიდან ოვითონაც ავადმყოფი დაბრუნდა და ამღაში გარდაიცვალა.

ბლოელ-ფინჴადუელთ შუღლი

სოფელი წინჴადუ არის ბაცალიგოს სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი და აქ ცხოვრობენ არაბულების გვარის კაცნი. აქ ერთი ძალიან ამაყი კაცი ცხოვრობდა – მიხიელი. მამამისს გიორგი ერქვა და მისი შვილი გიორგით მიხიელი, მაშუღლარობით იყო სახელგანოქმული. ბევრჯელ ყოფილა ხევსურებთან მაგარ შუღლში და ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა. ამავე საბჭოში შემავალი სოფელი ბლო იყო. ეს სოფლები, ორივე, ბუდეხევსურეთის სათავეშია, კავკასიონის ქედის კალთებზე. სოფელ ბლოში ცხოვრობდნენ გიგაურები, მხოლოდ მამით სხვადასხვა. მარაიზძენი, ბევრანი, მამუკაურნი, ბოლოკაურნი და სხვა. ბოლოკაურთ მამაშიაც იყო საკმარისად სახელგანოქმული კაცი აბიკა. მარაიზძეთ მამაშიც იყვნენ კარგი კაცები, მხოლოდ შუღლის კალო უკვე მოლეწილი ჰქონდათ. ახალგაზრდობას გადაცილებულები იყვნენ და ადვილად არ შუღლობდნენ. ახალა და აბა გიგაურები სტუმრად იყვნენ წინხადუში. როცა დალიეს და დაითვრნენ, მიხიელმა შარი აუტეხა და შუღლად გაუხადა; ახალა კიდეც ჭრა ხანჯლით. თავში დაჰკრა ხანჯარი და მსუბუქი ჭრილობა მიაყენა. მიხიელი იარაღის ხმარებაში გამოცდილი და, ამასთან, მამაცი კაცი იყო და კაცს მძიმედ არ დაჭრიდა. ახალაც თავის დროზე შუღლში მარჯვე კაცი იყო, მაგრამ ახლა ვეღარ მოასწრო დაკვრა. თან მეშვლები დახვდნენ და მოასწრეს მისი დაჭერა, მანამ მიხიელსაც დაჰკრავდა. ბლოვლები გამოისტუმრეს და მოვიდნენ ბლოში. ბლოვლებმა თავის უფროსებისათვის შუღლად გახდა და მემრე ჭრა ძალიან იწყინეს და მთელმა სოფელმა მტრობა დაუბარა მიხიელს. „ჩვენ

ყველა მტერი ორთ ამ სოფლის ახალგაზდები, ჩვენის უფროსებისად იარაღის ქნევას არ შაგარჩენთ. იარაღის ქნევა ეეგრ არ უნდ, რო შენ ჩვენებს უფროსებს უქნი. შენის კბილისა (შენი ტოლი) როსაც ვინ შაგხვდებით, მაშინ დაგჭირდების მაგრად დადგომა. ჩვენ გასწავლით იარაღის ქნევას". მიხიელმაც დაუბარა: „მე გიორგით მიხიელი-ორ, შუღლის ფასით ვყიდულობ (ვითომც ვშუღლობ და დრამა გამაქვსო), როსაც ვინ შამეყრებით, მაშინ თქვენაც გაიგებთა-დ ე კაცნიც გაიგებენ, ვინ-ვის ასწავლის იარაღის ქნევასა-დ, ვინ დადგების მაგრადა-დ, ვინ ვერ დადგების. მე სრუ მზას ორ საშუღლარად. დიდხანს მზადება არ მჭირდების, თქვენ იდინეთ მზას, თორე მიხიელი მაუმზადებელი არ დაგხვდებისთ". ასე იყვნენ ერთიმეორეს დამუქრებულნი ბლოვლები და მიხიელი. ორი-სამი თვე გავიდა და ერთიმეორეს ვერავინ შეხვდა. ბოლოს მიხიელმა და იმისმა დედამ, ლელამ, ჩაასხეს ტიკში ბლომად არაყი და წავიდნენ ნათესავებთან არყით. ამავე დროს ამავე გზით მოპირდაპირე მხრიდან მიდიოდა ნათესავებისაკენ ბლოელი გიორგის შვილი აბიკა; შეხვდნენ ერთიმეორეს ერთ ვიწრო ბილიკში. მიხიელმა დაასწრო: „მუქარას რო მთხოვთ, ზოგს ბლოვლებსთან შუღლს არც ვიკადრებ, შენს შახვედრას ვნატრობდი, შამხვდი კიდეც. ამ თქმაზე ორივემ ხანჯრები ამაიღო და მანამ ერთი მეორეს დაჰკრავდნენ, მათ შუა გზაზე გაიშალა ხანში შესული დიაცის ლელაის მანდელი. ლელა ძალიან პატივცემული დიაცი იყო და ხევსურეთში ვინც კი მას იცნობდა, ყველა პატივს სცემდა, ისე კი არა, როგორც ხევსურეთში დიაცს ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან, არამედ ლელას იმდენი სიკეთე ჰქონდა დამსახურებული, რომ მამაკაცსაც ყველას არ ჰქონდა ასეთი სახელი და პატივისცემა. ჯერ ხევსურეთში საერთოდ მიღებული იყო: დიაცი თუ მეშვლად იყო – მის ხელიდან მაშუღლარი არ წაიწევდა მოპირდაპირე მაშუღლარისაკენ. ეტყოდა: „მე დიაცს უჭერიორ, ამის ჭელჩიით ვერ გამავიზიდები. მაიცადე, კაცებ მავლენ მეშვლადა-დ იმათ დამიჭირან. მაშინ მე მაგექცევი რაჭელაც შაგფერდების". შუღლის დროს თუ მოასწრებდა და წინ მანდელს გადაუშლიდა, მაშუღლარები აღარ „გადაღლაჭებდეს" მანდელს და გაჩერდებოდნენ. ერთიმეორეს ეტყოდნენ: „გიშველ ამ მანდლის ხათრმ, თორემ ეგრ კი ვერ წახვიდოდი მშვიდობიანად. კლოვ სად მარტონ შავიყრებითა-დ მაშინ ვცადათ ერთუცი, რახან ცის მეტ არაი გვხედევდას". ასეთი ხათრი ჰქონდა ხევსურებს მანდილოსნისა და მანდლისა. ამიტომ ლელას მანდლის გაშლაზე აბიკა დადგა და იმის შვილს მიხიელს უთხრა: „ხათრ აი ე ლელაის მანდლისა, თორემ ვერ წახვიდოდი მშვიდობით". მაგრამ მიხიელმა უპასუხა: „მე მანდელი ფეჭებზე მკიდავ" – ამოჰკრა ხანჯრის წვერი თავის დედის მანდელს და გზის ზემოთ შეაგდო (იმდენი პატივისცემა კი იმანაც გამოიჩინა, რომ არც გზის ძირში გადააგდო მანდელი და არც ზედ გადახდა, გზის თავში შეაგდო ის) და ხანჯარი აბიკას დაჰკრა თავში და ჭრილობა მიაყენა. ლელა მეშვლად შეუვარდა.

აბიკამ ხანჯარი კიდევ არ იხმარა, მანამ კიდევ სამი ჭრილობა არ მიაყენა. როცა სისხლი წამოვიდა და პირისახე წითლად შაეღება, თვალებშიაც სისხლი ჩაუვიდა, მერე (როგორც ის ამბობდა) გაჯავრებულმა გონება დაკარგა და არ ახსოვდა რას შვრებოდა. გონზე მაშინ მოვიდა, რომ მიხიელი გზის ზემოთ დაეცა და იმასაც სისხლით შეღებილი ქონდა სახეც და ტანისამოსიც. ერთი ჭრილობა პირისახეზე ჰქონდა, შუბლიც თმამდინ იყო გაჭრილი, თვალიც გაჭრილი იყო და ლოყაც ყბის ბოლომდინ. მეორე ჭრილობა ხელზე სჭირდა და ძარღვებიც გადაჭრილი ჰქონდა. თავშიაც იყო დაჭრილი. მიხიელი სისხლისაგან სუსტდებოდა. აბიკას ლელასაგან შეხათრდა და მოშორდა აქედან. მოკეთესთან ვეღარ წავიდა, როგორც იყო მოაღწია სახლში. ლელამ ეს ამბავი შეატყობინა ახლო სოფელში. მოვიდნენ და მიხიელი საკაცით წაიყვანეს სახლში. შეიქმნა ძალიან მწუხარე ავადმყოფი. მაშინვე წაიყვანეს და სამეშვლოები დახოცეს: წინჭადუს ჯვარში, გუდანის ჯვარში და ზეისტეჩოს ჯვარში. აბიკასაც აქიმი დააყენეს და მიხიელსაც (აქიმს დაუყენებდა დამჭრელი დაჭრილს), მაგრამ მანამ თითო საკლავი სანათლავი არ მიუყვანეს, მანამდინ ხელი არ დაზდო ნაჭრევიანებს. მემრე ნაჭრევები თბილი წყლით დაბანა, ჩააყარა ბალახის წამლები, ჩააწყო სელები და შეუხვია ფართლის პირებით და თავშლებით. შუაკაცებმა აბიკას მარტო პატივი დაზდვეს, რადგან მძიმე ჭრილობები არა ჰქონდა. მიხიელს კი აბიკასთანით ცოცხალი (ხევსურულად: სისხლიანი) საკლავი და პატივი მიუყვანეს, რადგან სახე, თვალი და ხელი ყველა დასახიჩრებული ჰქონდა. მიხიელი „ნაჭრევისად" მაგარი კაცი იყო, მაგრამ მეტად მძიმე ჭრილობები ჰქონდა და თან სისხლი დაკარგა ბევრი, ამიტომ ჩავარდა ლოგინად და ძალიან მძიმე ავადმყოფი იყო. საჭირო გახდა მკითხავები. მკითხავებმა კიდევ უმკითხავეს: მიხიელი აქ-და აქ შუღლობდა, ჯვარ-ჯვარისკარ აქოთებდა და ეს უსართავსო. დახოცეს საკლავები სხვა ჯვარებში, რადგან გუდანის ჯვარი არაბულების მთავარი სალოცავი და საიმედო იყო, აქ კურეტი დაკლეს. თავის მხრივ აბიკამაც დახოცა მიხიელის სამეშვლო საკლავები, ბლოს მუხის გიორგიში და გუდანის ჯვარშიაც. მიხიელი ბევრჯელ მივიდა სიკვდილის პირამდინ, მაგრამ როგორც ხევსურები ამბობენ: სიმაგრით თავი მოირჩინა. ექვსი-შვიდი თვის შემდეგ ჭრილობები ნაწილი გაიკურნა და ისეც გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა. საკლავებით კიდევ ზღვნობდნენ ჯვართ და ავადმყოფს ხორცს აჭმევდნენ. ბოლოს სულ ადგა. ხელი და თვალი ორივე უვარგისი დარჩა. თვალის კაკალი ორად იყო გაჭრილი და ისე გაიკურნა. ხელის თითები ნაწილობრივ სულ გაშეშდა და ზოგიერთებს ამოძრავებდა. დაიწყეს შუაკაცებმა სიარული. ასეთი მძიმე ჭრილობების გამო რჯულით სავალდებულო იყო მიხიელისათვის რჯულის საკლავის მიყვანა. უიმისოდ შუაკაცები მიხიელს რჯულის შესახებ ვერაფერს ეტყოდნენ და არც მიხიელი მოუსმენდა იმათ საუბარს.

აბიკამ შუაკაცებს ერთი საკლავი წააყვანინა (რჯულის საკლავი) და გაგზვნა მიხიელთან. მათ მიიყვანეს საკლავი და უთხრეს: „ჭევსურეთის რჯულით რჯულის საკლავ მაგიდის, აბიკამ ეს წამაგვაყვანივ შენთან. ჩვენ ეგ კაც ეგეთ მაცოდ არ გვეგონ; ისეთ სიტყვებ გვითხრ, რო მაგდენიყვ საით, შაგბრალდებოდ. წაიყვანეთავ საკლავივ, გვითხრ, შამახვეწეთავ, რჯულჩი გავიდათავ. წინ უდგეორავ, ამბობს ის, ჭარით გაუკეთავ ჩემს დალეულს. ჭევსურეთ რაც არავის უქნავ, იმას ვიქამ, თეორი ოქროთ აულესავ. ისი სჯობდ, რო მე მამკვდარიყავ, მანამ ეგ მამიკვდებოდ. აბა რაიდ ეშველების მამჭდარსა-დ დალეულ საქმეს გაკეთების მეტი. შუაკაცებმა ზოგი მართლა აბიკასაგან ნათქვამი უამბეს და ზოგი მისი გულის დასამშვიდები სიტყვები თვითონ ჩაუროეს, რასაც მოახერხებდნენ. ბოლოს მიხიელი რჯულზე დაითანხმეს და საკლავიც დაკლეს. ხორცი მოხარშეს და ყველამ ჭამა. ტყავი შუაკაცებმა წაიღეს. ერთ-ერთი დღე დანიშნეს რჯულისათვის „მირღოგუბათ". მირღოგუბანი, ბლოს და წინხადუს შუა ადგილზე ერთ პატარა დავაკება ადგილს ჰქვიან. ამ ადგილას ავდრის წყალი გუბდებოდა და ამიტომ ეძახოდნენ მირღოგუბათ. დანიშნულ დღეს რჯულის კაცებმაც მოიყარეს ამ ადგილზე თავი და ერთიმეორის მოდავეთაც. ორივე მხარეს მოჰყვნენ თან თავისი ახლო სახლისკაცები (რჯული პირაქეთ, ე.ი. ბუდის ხევსურებმა უფრო კარგად იცოდნენ და მტკიცედ იცავდნენ მას, ვიდრე პირიქითელებმა. არხოტში რომ ნარჯულავს რომელიმე მხარე არ დასჯერდებოდა, არ არის სწორად გარჯულვილიო, იტყოდნენ: ჭევსურები მოვიყვანოთ, ჭევსურეთის რჯულში გავიდეთ და იმათ ხომ კარგად იციან ჭევსურეთის რჯულიო) მირღოგუბათ ისეთი გორია, რომ ერთიმეორის მტრები ერთიმეორეს ვერ ხედავენ. ერთები გორის ერთ მხარეს ისხდნენ და მეორეები მეორე მხარეს. შუა ადგილზე მოედანზე რჯულის კაცები ისხდნენ.

რჯულის კაცებმა პირველად დაიბარეს დაზარალებული (ხევსურეთში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ჩხუბი ვისი ბრალი იყო და ვინ გამოიწვია, ან რის შედეგად დაიჭრა კაცი, ანგარიშობენ მარტო ჭრილობებს, ესა თუ ის ჭრილობა ხევსურეთის რჯულით როგორ არის შეფასებული; რითიც უნდა იყოს გამოწვეული ჭრა-ჭრილობა, ამას მნიშვნელობა სულ არა აქვს). დაზარალებულმა იჩივლა: „მე ხთისგან ცოცხალი ორ, მაგისგან მკვდარი, ცოცხალივ ვამბობ, თორე რა ცოცხალში სათვლელი დავრჩი. თვალ აღარ მაქვ, ჭელ აღარ მაქვ. პირისახე პირისახეს აღარ მიგავ. შუღლის მერჯულე გაჭდ თაოდაცა-დ, მიაც შუღლის მერჯულე გამჭად, სასიკვდილოდ გამიქჩერ, რად უნდოდ გონის აჭდა, მე იარაღს იარაღის მაქნევის წესით უქნევდი. მაგან მტერ-ურჯულოსავით სასიკვდილოდ მაცვით. აბა, რა ვიჩივლ? აი ნაჭრევებს ქვე ხედავთა-დ, ყველას თავ-თავის ანგარიში აქვ რჯულით დაწესებული. აბა, მე რაისაღ მაქმედი ორ, თორე მაგას რჯულ კი არ უნდოდ, ან ეესრ გაჭდა უნდოდ ეეხლად, რო მე ორ, ან მაკვლა იყვ მადლი ჩემ ეესრ გამჭდელისაი. სხვა უჩემო თოფს იჭმარებდა-დ თავის

ეესრ გამჭდელს მახკლევდ, მაგრემ მე ის ვერ შავზძალი. ეეხლად ოქვენ იცით. თუ გწყალობსთ გუდანის ჯვარი-დ ჭევსურეთულნი ხთიშვილნი, წესიერად გაარჩიეთ. ნუც იქისკე გადაიხრებითა-დ, ნუც ჩემკე გადმაიხრებით. გაგვარჩიენით, ნუღარ დაგვწირავთ ნამდურავად. იქისკე გადაიხრებით, მე არ დავიჯერებ, ჩემკე გადმაიხრებით, ის არ დაიჯერებს. ამით რჯული დაიშლებისა-დ ცუდ საქმე ჩამაგვივარდების, რაიც კარგ არ ას. მაცოდარ ხალხი ხართ, ჭევსურეთის რჯულისა ოქვენ რა მაგეტყუებისთ, რა გესწავლებისთ. ოქვენ იცითა-დ ოქვენმ კაცობამ. როგორც სისწორესა-დ სიმართლეს იტყვით, ისრ გიშველანთ ჭევსურეთულთ ხთიშვილთ". ამან ეს საუბარი დაამთავრა, მერე გამოვიდა ამათი მამის ერთ-ერთი ახალგაზრდა და იმან კი მუქარა გამოთქვა ბლოვლებზე: „თუ ეს რჯული წესიერად არ გაივლის და მიწევ-მიწევას ექნება ადგილი, ჩვენაც კაცები ორთ" – თქვა მან – „იარაღის ხმარება ჩვენაც ვიცით, ესეთას საქმეზე ქვეც მავხკლავთა-დ, ქვეც მავკვდებით. არცრაად ქვე ორთ ცოცხლები, კაც მაგათგან მიკაფულ – დასახიჩრებულ გვყოვ".

ეს მხარე საჩივრის შემდეგ წავიდა თავის ადგილზე და ახლა დამნაშავე მხარე დაიბარეს რჯულის კაცებმა და ალაპარაკეს. მან თქვა: „ამას წინ არა უდგას, რომ თავის დალეულ საქმე მე უნდა გავაკეთ. აღარც ის უშველს ამას, რო ჩემ ბრალ არ იყვ, თორე ძალად გამხვიეს მე ამ ხათაბალაში. მე ჯერ ნიაზ არ მქონდ მაგასთან შუღლისაი, მემრ ლელაის მანდელს გაუწი ხათრი. მანამ მესამე არ დამკრ, ჭელ აღარ შაუქცი, მანდლის ხათრით. მესამეც რო დამკრა-დ სისხლ თვალებში ჩამივი-დ, ალბათ, შიშია თუ რა მამივიდ, არ ვიცი, აღარა მაჭსონს, მანამ არ გავიყარენით (ქუდ მოხდილი იდგა და ლაპარაკობდა). ეხლა თუ გწყალობსთ გუდანის ჯვარი-დ ჩემ სალოცავ მუხის გიორგიც, რჯულ სწორად გაავლიეთ. მე თავის დალეულს გაკეთება მინდ, თავში ქვა უნდა ვიჭალა-დ გავაკეთ. მე ყველაით წინ უდგეორ, თუ რჯულის რჯულ იქნების; თუ გადახრა იქნების კი, მე უსულოდ ჭორცს პირში არ ჩავიჩრი, თუნდა ეეხლავ ამკაფან მაგათ. რა ვქნა, რაიც რჯულ არის მე ისითს ნარჯულავს ვერ დავიჯერება-დ უფრო ცუდად წაგვივ საქმე. ეგენ მე არ მამასვენებენა-დ, დავჭოცთ ერთუცს. თუ გწყალობსთ ჩვენებ სალოცავები, გაგვარჩიენით ისრ, რომ აღარა სამდურავ დარჩას ჩვენს შუაში. ჩვენ მავაჭდინეთ ეს საქმეი-დ ჩვენავ უნდა გავარჩიოთ, რო შვილსა-დ შვილიშვილს, ან ჩვენს გარეშამოს არ დაშჩას იმის საოქმელ, რო ჩვენს ძველებსავ საქმის დალევა სცოდნივაო-დ გაკეთების თავ აღარ ხქონივავ". იმან რომ საუბარი გაათავა, რჯულის კაცები შეუდგნენ ჯერ დაჭრილი ხელის შემოწმებას. ნახეს ჭრილობა, გასინჯეს დასახიჩრება, ხელი იდაყვიდან აღარ იღუნებოდა მთლიანად და ნაწილობრივ თითებსაც აკლებდა. ხელს ისეც ეტყობოდა, გალეული, გაწვრილებული და გაყვითლებული იყო. მერე დაზომეს შუბლის ნაჭრევი და ლოყაზე ის ადგილი, სადაც ყბა არ ეფარებოდა (ყბა ხევსურულად წვერს ეწოდება). ამ ადგილზე დაწყობილი მარცვლებიანი კილონი არ გადაიყრებიან.

მერე დაზომეს ის ადგილი, სადაც ყბა ფარავდა. აქედან „კილონი” ე.ი. ნაპირის მარცვლები გადაიყრება. ჩვენ ეს ვიცით, რომ დანარჩენი თითო მარცვალი თითო ძროხას უდრის. თვალი სულ აღარ ჰქონდა, კაკალი თვალისა შუაზე იყო გაჭრილი. ბოლოს მიხიელიც გაისტუმრეს და შეუდგნენ მსჯელობას. ჯერ ერთმა რჯულის კაცმა დაიწყო საუბარი, მოიყვანა ასეთი ჭრილობები და მათზე გარჯულვილი დრამის და გარიგების მაგალითები. იქ სადმე ის იყო, ამა და ამისაგან ნაჭრევიანი, ნაჭრევები იყო ასეთი და ასეთი, გავრჯულეთ ესა და ეს და ბოლოს შევარიგეთ ამდენ ამდენი დრამის მიცემითო. მერე მეორემ ისაუბრა ასე, მესამემ და მეოთხემაც. ბოლოს გადავიდნენ ამ ჭრილობების შეფასებაზე. მოპირდაპირეთ ოროლი კაცი ყავდა რჯულის კაცებში მოყვანილი და, ვისგანაც მოყვანილი იყვნენ, იქით იხრებოდნენ. მთლიანად ხელის გაუჭმრება, თვალი და პირისახე სამოც ძროხამდინ ადიოდა, მაგრამ ბლოელი კაცები წინააღმდეგ წავიდნენ: სამოცი ძროხა კაცის თავსისხლი ღირს და მიხიელი ხომ ცოცხალიაო. ბოლოს აბიკაის ნაჭრევებიც გაბარეს და ამის გარდა ორმოცდაათი ძროხა დააყენეს. ამაზე შეთანხმდნენ რჯულის კაცები. გარჯულავის გამოსაცხადებად დაიბარეს დაზარალებული. ერთ-ერთ რჯულის კაცი ადგა, ქუდი მოიხადა, ხევსურეთის სალოცავები ახსენა და თქვა: „ჩვენ ისრ გვიშველან ე ნაჭსენებთ ხთიშვილთ, როგორც ვეცადენით საქმე სისწორით გაგვერჩივ. არვისად მაგვეც ნამეტნავად შამწეობა-გადამწეობა. მართალი, შენებ ნაჭრევები ბევრ დრამას იჭერს სამოც ძროხამდინ, მაგრამ შენ ჩვენზე კარგად იცი, რო სამოც ძროხა კაცის თავსისხლს იშორებს. შენ კი ღმერთმა ადამის დღენ მაგცნას, ცოცხალი ხარა-დ ცხოვრებასაც იქავ შაზძლებ. არც უნდა ამოვენ ბევრ გვეოქვ, მაგრემ იქავ ისივ დავამკლეეთ, რო კლოვისად გამოხილდასა-დ იარაღ წესზე იჭმარას, არა ისრ, რო მტერ-ურჯულოზე. აბიკაის ნაჭრევების გარდა ორმოცდაათ ძროხა გარგინეთ თავის ალვანიით საკლავითად სასმლით შინ მაგიტანასა-დ მემრ შენ იცი-დ შენმ კაცობამ”.

მიხიელმა თქვა: „კაცებო, თქვენ რო სწვალდებით, მე და აბიკა იმის ფას არც ერთი ორთ, არც მეორე. ჩვენი გულისად ფეჭზე ადგომაიც არვის გეკადრებისთ, მაგრემ თავის¬კაცობას არ ხკარგავთ. სწვალდებით ჩვენის გარიგების გულისად. დაგიმკლეებიორთ კი, მაგრემ მე მაგის მაცემულ დრამა აღარას ბედენას მიზამს. რამთვენიც უნდა ავიღ, მე აღარ ვიქნებ ის, რაიც ვიყავი. მე აღარ მინდ რჯულიდ-ნარჯულავ დავშალ. რაიც გითქომთ, მე ჭმასაც არ ამავიღებ თქვენის ხათრით. იმას კი ვემართლები, სასიკვდილოდ გამამიქჩერ”.

მემრე დაიბარეს აბიკა და გამოუცხადეს ნარჯულავი. ამასაც ერთ-ერთმა რჯულის კაცმა ხთიშვილთ ხსენებით უამბო: „ჩვენ გავრჯულეთ ისეთ ნაჭრევების დრამა, რო გაძნელდ მაგის გარჯულვა. ნაჭრევებმ კაცის თავსისხლის მოსაშორებ დრამა დაიჭირ, მაგრემ ჩვენ ის დავამკლეეთა-დ ორმოცდაათ ძროხა დავაყენეთ

თავის ალვანიით, საკლავითა-დ სასმლით შინ მიტანით". აბიკამ ქუდი მოიხადა და უთხრა: „მადლობელი ორ კაცებო, სწვალობთ, ჩვენის გულისად ფეკზე ადგომა არ გეკადრებისთ, თავის შინ კას სკამზე სხეხართ, კა ტაბლა გიდგასთა-დ კას ლოგინზე სწვებით. აქ კი ყველას სთმობთა-დ იტანჯებით ჩვენის გულისად მაგრემ მეტად მძიმეს ას გარჯულვილი. ახლა კიდევ საკლავითა-დ სასმლით შინ მიტანა. ეს ორჯელ ეხლა ჩემს თავზე მავიდა. შინ წაიტანი ამ რჯულს. კლოვ თქვენ რა-ვის მაგიჭდებისთად იმას გეტყვიანთ: ეგ რჯულივ თქვენ დადებულიავ თქვენზეც ეგრ გაღრჯულვენა-დ მაშინ თქვენ რასაღ ვის ეტყვით. ხო ვერ ეტყვით ეგივ ურჯულო რჯულიავ, როსაც თაოდ თქვენ დადებულ რჯულ იქნების. მე კი თქვენი მაინც დიდ მადლობელი ორ, რომ ჩვენს დარიგებას სცდილობთა-დ თავზეით ჭირს გვაშორებთ. რაითაცაღ იქნების, მე მავიშორებ ამ დრამას. მე მაინც ღარიბი ორ. არ დავეჩვევი სიღარიბეს ეეხლად. დაუჩვევ არ ორ, სრუ სიღარიბეში გამაუვალი ორ (შეიძლებოდა რომელიმე მხარეს ნარჯულავი არ მოსწონებოდა, არ დათანხმებულიყო და აიშლებოდნენ რჯულის კაცები და ამით გაცხარდებოდა უფრო მტერობა. ასეთზე რჯულის კაცებს გაკიცხავდნენ: „ჭმალზეით გადაყარნესაო-დ თოფზე შაყარესავ"- იტყოდნენ. საჭმლე მტერი უბრალო ჭრა-ჭრილობის მტერი იყო და სათოფე მტერი უკვე მაგარი მტერი იყო, რადგან ერთიმეორე უნდა მოეკლათ თოფით). ასე რჯულის კაცებმა ორივე მხარე დაითანხმეს. აბიკას შეუთანხმდნენ, როდის მისულიყვნენ მასთან, დრამა გადაეფასათ და წაეღოთ მიხიელსთან. ვადა ორ კვირამდინ დადვეს. აბიკამ მეორე დღესვე ხუთ ფუთამდინ ერბო წაიღო თბილისში და სულ ვერცხლის ფულზე გაყიდა და ფული წამოიღო. ზოგს ძმა ბიძაშვილები დაეხმარნენ, შეაგროვეს სპილენძი, ტყავ-საღამო (ფარდაგები და გუდანურები), ვერცხლიანი იარაღი. ქამრები ვერცხლისა, მასრები და სხვა. დანიშნული დღისათვის დრამა ეროუცზე დაწყობილი ჰქონდათ, საარაყე გამაწურვილი და საკლავიც მზად იყო. მოვიდნენ რჯულის კაცებიც. აბიკას ფრანგული ხმალი ჰქონდა და ხუთ ძროხა ალვანიაში ის ჩაუთვალეს. დანარჩენი დრამა კაცებმა გადაფასეს. ვერცხლის ფული დაითვალეს (ერთი პარკი იყო სავსე) და თითო ძროხად ხუთ-ხუთი მანეთი გადადვეს. ოთხის ჩარექი სპილენძი თითო ძროხად ჩააგდეს (ათი გირვანქა სპილენძი) დანარჩენი, ვერცხლის და სხვა იარაღი კაცებმავე გადაფასეს. ზოგიერთის დაფასებაში კაცები ცოტა შეკამათდნენ, მაგრამ ბოლოს ისევ თანხმდებოდნენ. ეტყობოდა ერთები ემხრობოდნენ დრამის ამღებს, მეორენი დრამის გამღებს. ერთიმეორეს ვითომ უმალავდნენ, მაგრამ ხანდახან საუბარში გამოუაშკარავდებოდათ გადახრა და ამ საუბარს თვითონვე ჩააქრობდნენ. ბოლოს ყველაფერი მზად იყო. აბიკასთან არაყი დალიეს, პური ჭამეს. დაკაზმეს ცხენები, აიკიდეს დრამა და წავიდნენ წინჭადუში.

გზაზე დაუღამდათ და ვაჭშმობის დროს მიხიელის კარზე მივიდნენ. ერთი მათგანი წინგარდაზე ავიდა (წინგარდა: ბოსლის ბანი დაბლა, რომელიც ჭერხოს

აქვს დაფარებული) და დაუძახა: „მიხიელო, შინ არ ხარა? გამეედი კარჩი”. მიხიელმა სანთები ამოიტანა და საკვმიდან ჭერხოში ამოჭდა. სანთები ჭერხოში დადგა და გამოვიდა. გამოსულმა უთხრა: „გამარჯვება, ვაჟებო”. „გაგიმარჯოს ღმერთმ” – იყო პასუხი. მიხიელმა ამბავი ჰკითხა: „ხო კარგად ხართ, ხო არავის რა გიჭირთ, კაცი, საქონი, ხო ყველა მშვიდობით ხართ? სხო ამბავ ხო ადარა გაიგონების თქვენსკე, ხო ადარაი ას მამკვდარ-წამჭდრობის ჭმაი?”

„კარგათ ორთ” – ყო ყველათ პასუხი. „რა კითხვა უნდ ჩვენს ამბავს, სულ გვიდგას პირში. აქამდინ არც არა საქონ დაზიანებულ, არც კაცი. აი, ე უდარობამ კი შაგვაწუხნ. საქმეზე გასვლის ამინდ ადარ გვექნ ავდრობისგან. თუ რა მავთიბეთ, ვედარა ავკრიფეთ, აისიც იქ დაგვილპ. კაც სიბერისკე წავედი-დ ამოვენს ავდრობას არ შავსწრობიორ. სადარავდრონიც დავჭოცენით, არხოტისკე გველმყვარნიც გადავყარენით, მაგრამ არ იქნა, არ გაიდარ, ადარც თუ რა ხთიშვილთ შაუძლავ. შავჟჯერდით ამოვნივ უამინდობით (თიბის დრო იყო და უდარობის გამო ხალხი ვერ მუშაობდა). მოსულებმაც შესჩივლეს უდარობის შესახებ. აბიკა კი საუბარში ჩუმად იყო, ის მონაწილეობას არ იღებდა. მერე მოვიდნენ ცხენებთან, დრამა ჩამოიღეს და წინგარდაზე აიტანეს. მიხიელი შეუძღვა და ჭერხოდან საკვამისას ჩაჭდნენ ბოსელში. აშენება უთხრეს და იქ მყოფნი დიაცებიც მოეგებნენ. კითხეს მშვიდობა, ამბავი და სტუმრები სკამზე დასხდნენ.

შუაკაცებმა მოყვანილი საკლავი დაკლეს და ხორცი ქვაბში ჩაყარეს, ტყავი ხომ შუაკაცებისა იყო. აბიკამ არაყი დაასხა, პირველი ყანწი ბებერს ლელას მიუტანა და უთხრა: „ბევრის სტუმრის მასპინძელი ხარ, პატივდებულ დიაცი ხარ, კაცებზე მეტად შენ ხათრ ისრ მაქვ, როგორც საკუთარი დედისაი. დამნაშავეი ორ შენთან, რო შენ მანდელს პატივ ვერ დავზდევ, რაც ეკუთვნოდ. მართალი, ამით თავს შავარცხვინი, შენს დიაცობას ამით მე რა დავაკლივ, მაგრემ, ვითამ შენ შვილ ვყოფილორ, ისრ მაპატივი შენის მანდლის დალაჭვაი”. ლელამ ყანწი გამოართვა და უთხრა: „შვილო, შვილ ხთისაი ხარ, ღმერთმა გაპატიოს, რასაც ღნანობ, იმოვენ დამნაშავე კი არ იყავ, მაგრემ მაინც შენგან არ მეგონ, თუ ჩემს მანდელს პატივს არ სცემდი”. მერე აბიკა ადღეგრძელა და დალია. კაცებმა მიხიელს უთხრეს: დრამა გადავფასათავ. მიხიელმა დრამას ზედაც არ შეხედა. შუაკაცებს საქონის გამღებისაგან ერგებოდა ძროხაზე ნახევარი ცხვარი, ე.ი. ნახევარი ჩარექი სპილენძი. გამღებს აპატიეს და ამღებისაგან აიღეს. ისიც ნაწილი გამღებს შეაწიეს. მიხიელმა ათი ძროხა დაუბრუნა და ორმოცი აიღო. მერე შუაკაცებმა ვერცხლი ჩაუფხიკეს, მიხიელი და აბიკა აძმობილეს და საბოლოოდ შეარიგეს. მეორე დღეს მიხიელი თავისი არყით გაუმასპინძლდა და ყველანი პატივნაცემი გაისტუმრა შინ.

კოჭლათ ბერდიაისა და თათარათ ბაბუაის შუღლი

ბერდია იყო ცისკარაულების გვარის კაცი, იმის მამას ბაბო ერქვა; ის როდისმე კოჭლი ყოფილა, მერე გამომრჩალა და მაშინდელი სახელი შერჩა – კოჭლა. ესენი „თათიათ" მამის კაცნი იყვნენ. თათიანი საერთოდ მშვიდი ხალხი იყვნენ, მაგრამ ბერდია განსაკუთრებით შუღლის მოყვარული გაიზარდა. ღონე ჰქონდა და გაზრდილობაც, თითქმის არაჩვეულებრივი, ამასთან მამაცი იყო და არავის არაფრად არ აგდებდა. ოჩიაურთ გვარში ქალიელთ მამაში იყო თათარაის შვილი, ე.ი. თათარათ ბაბუა. ეს კაციც თავის წილად მამაცი იყო, მაგრამ შარი და გადაჭარბებული სიამაყე არ უყვარდა.

წელწადწუხრა იყო და მეკვლენი (ახიელელნი) საქვაბეში იყვნენ მოსულნი. მეკვლეთ წესი ყველაფერი რიგზე სრულდებოდა. საკლავები დახოცეს, ხორცი მოიხარშა. სასანთლეები გაარიგეს, ჯვარიონნიც გამოვიდნენ და ჯვართ დიდების წესი შეასრულეს „სადიდებელნი დადგნეს". ხორციც დაადგეს ტაბლაზე და დაიწყეს სმა და პურის ჭამა. ამ დღეობაში ყველა (კვამლს) ოჯახს ჰქონდა სოფელში არაყი და ერთიმეორეს ეპატიჟებოდნენ. მიტომ ხალხი სოფლიდანვე მოვრალი მოვიდა. ახლა აქ ლუდი დაუმატეს და შარიანი და შუღლის მოყვარული ხალხი ნამეტნავად დათვრნენ. მეკვლე-ღამეს შუღლი ადვილად არ იცოდნენ, მაგრამ ბერდია ძალიან თავხედი კაცი რომ იყო, დაიწყო შარი. ხალხი ხედავდა, რომ მეტისმეტი მოვრალი იყო; ფხიზელი კარგიც იყო სასოფლო სამეზობლოდ. ახლა ჯვარის ხათრი ჰქონდა ხალხს, ამიტომ ბერდიას ყველა უომენდა, ჭკვა არავინ ააყოლა. ბერდიას დიდი ხანჯარი ეჭირა ხელში, ამოკრავდა ხანჯალს ნაღვერდალში და ნაღვერდალს ხალხს შეაყრიდა ზედ, თან ეტყოდა: აბა, ვინც კაც ხართ, ჭმა ამაიღეთო. ახალგაზრდები ძალიან იყვნენ ასეთი საქციელის გამო ბერდიაზე გულმოსულნი, მაგრამ უფროსებიც უშლიდნენ და ბერდიას პატივისმცემლებიც ჰყავდნენ, რადგან ის სოფლის გარეშე მტერთან საიმედო იყო და თავის სოფლელების ზანს ის არ მოითმენდა, შუღლში ყველას მიეშველებოდა. დღევანდელ გადაჭარბებულ თავხედობას სიმოვრალეს, ან ჯვარის შეცოდებას აწერდნენ (ჯვარის შეცოდება: ჯვარი გამწყრალია, მას კარგი ანგელოზი აღარ პატრონობს და ჯვარი თუ ეშმაკი, რაღაცა ცუდ საქმეს ჩაადენინებს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს ყველა ერიდება, ჭკვას არ აყოლებენ, ეგ ჯვარს შაცოდებულია და მეც შამაცოდებს, ხიფათში გამხვევსო. ასეთი კაცისათვის მოთმენა არც სირცხვილი იყო). როგორც იყო ღამე მშვიდობიანად გაათენეს. მოსვენება და სიამოვნება არავის უნახავს. დილას რომ თენება დაიწყო, ხუცესი გამოვიდა, ხალხს ახალი წელი მიულოცა, სადიასახლისოში სამეკვლეო შააგორა და ცოტა ხანს დაჯდა მეკვლეთან. ლუდი დალიეს, მერე ხუცესი დარბასში გავიდა, იქ ჟამსაწირი გამზადებული დახვდა

და ჟამისწირვას შეუდგნენ. ჭელოსანი ანუ ხუცესი გავიდა და ზარი დარეკა. ზარის ხმაზე მეკვლენი ადგნენ, ქუდები მოიხადეს, პირჯვარი დაიწერეს და ყველამ ხმამაღლა თქვა: „დიდება ძალსა შენსა მიქიელ მთავარო ანგელოზო, ჭირ მავხპარი შენს ძალსა-დ შენს სახელს, შენ უშველი შენთ ყმათ, ბევრ წელწად მშვიდობისა მაღგვარი, შენის სახელის ჭირიმი". ამ სიტყვებით უკვე გამოვიდნენ საქვაბიდან და გავიდნენ დარბასის კარში. დარბასის კარში მადლი მასთხოვეს: „დიდება ძალსა შენსა მიქიელ მთავარანგელოზო, შენ გევედრებითა-დ გეხვეწებით, შაგვიხვეწნი, ნურას შაგვიწყენ, ნურაით შაგვიცოდებ, ნურაის ინაბარს ჩაგვიდებ, შენ უშველი შენთ ყმათ, ნუვის თვალ-გულს მაღრევ". მერე დასხდნენ ქვისგან გაკეთებულ სკამებზე. შუა დარბასის კარში ენთო დიდი ცეცხლი, ზედ ერთ ტვირთიანი არყის შეშის კონა იდო და ალი მაღლა იყო ავარდნილი. ხალხი თბებოდა. დასტურებმა წინწანაქარი არაყი გამოიტანეს და ხალხს ალევინებდნენ ვერცხლის თასებით. ზოგები კიდეც მღეროდნენ ფშაური სიმღერის კილოზე:

ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამასულაო,
წვერად მაუსხამ ყურძენი, საჭმელად ჩამასულაო,
მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო.

* * *

მიქიელის კარ შახკიდეთ ბაღათერაის ფარიო,
მაუვლის ომის სურვილი, ხანდიხან შაზძრავს ქარიო.

სხვა ასეთი სიმღერები, რომლებიც არხოტის ჯვარს ეხებოდა აქა-იქ დაიწყეს და ახმაურდა დარბასის კარში ხალხი. ხალხი მხიარულობდა, მაგრამ ბერდიამ წუხანდელი ამბავი გაიმეორა, რადგან წინწანაქარმა ისევ შარის გუნებაზე დააყენა და დაუწყო ხალხს ისევ არაფრად ჩაგდება. თათარათ ბაბუა იმაზე ხნით უფროსი იყო და უთხრა: „კაცო, ბერდიავ, გეყვ, იკმაი, ნუც შენ ეცოდვებ ჯვართა-დ, ნუც ხალხს აცოდვებ. არხოტის ჯვარჩი ორთ, წელწადდილა-წუხრანი, ეროუცს უნდა რა ვაამათ, რა დაგემართ, გონთ მეედ, ხალხ რო გითმენს, განა ქვე ვისამ აშინებ, შენ ღონით რო მოგწონს თავი? მაღალსა-დაბალს იარაღ ასწორებს. ხალხს ჯვარისაიც ხათრი აქვა-დ თავისობისაიც, თორე შენ ყველა კი არ მაგითმენს".

ბერდიამ უპასუხა: „თათარათ ბაბუავ, შენ ვინაღ რას გკითხავს, რახან კაცნ დაილივნან, შენ მაშინ იამბიდი. ხალხთ სიცოცხლით შენ რა გეკითხების". ეს არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ბაბუამ გონება სულ დაკარგა, ისე აღელდა და სწრაფად ორჯელ დაჰკრა თავში ხანჯარი. ბერდია დაიჭრა. სანამ ბერდია რამეს მოასწრებდა, უცბად მეშვლებიც მოვიდნენ, დაიჭირეს მაშუღლარნი. ბერდია ძალიან

ღონიერი ახალგაზრდა იყო, ძალიან მაგრა იწევდა, მაგრამ აღარ გაუშვეს, რადგან ბევრი მეშვლები იყვნენ. ბაბუამ ჩოხის კალთაი-თ ხანჯარი გაწმინდა, ჩააგო და დაჯდა. მეშვლებმა ბერდია კი სახლში წაიყვანეს. ამოვიდა არხოტის ჯვარის გამგე დარბასიდან და გამოაცხადა: „მანამ ჯურუმად საკლავი არ მოვა და კაცის სისხლით მოსვრილი ჯვარისკარი არ დაინათლება, მანამდინ ჯვარის რიგი დაკეტილია, არც ჯვარს უყენებთ რიგსა-დ არც სოფელს მივსცემთ დღეს, რაც ლუდ მიუდის". მეკვლენი აიშალნენ, ჯვარს მადლი მოსთხოვეს და ჩვეულებრივი წესით ფერჭისა დააბეს და ისე წამოვიდნენ სიმღერით სოფლისაკენ. თათარათ ბაბუამ კაცი გაგზავნა და ერთი საკლავი თავის სახლიდან მააყვანინა ჯვარ-ჯვარისკარის სანათლავად. ხუცესი და დასტურები დარბასიდან გამოვიდნენ და ბაბუა დაამწყალობნეს. მერე დასტურმა საკლავი სასაფლაოზე წააყენა, ხუცესმა გრძელი დანა ამოიღო და მარჯვენა ხელში დაიჭირა. იხუცა და ბაბუას სამწყალობნოდ დაკლა. ბაბუაც მუხლისკვერზე იჯდა, პირჯვარს იწერდა და ნელის ხმით ლაპარაკობდა: „დალოცვილო მიქიელ მთავარო ანგელოზო, დიდი ხარ, ღმერთმა ნუ წაგართოს ძალი-დ შაძლებაი, შამინდევ შანაცოდვარი. ჭორციელი ორ, ბევრს გცოდავ, ზოგს ჩემი ბრალითა-დ ზოგს ჩემს უნებურად. ყმა შაუწყენ არ იქნების დალოცვილო-დ ბატონ შაუნდობელი. მე თავ ყმად არ მშურსა-დ საქონ ზღვნად. შაიზღვენ ჩემ შანაზღვნობ დალოცვილო. შენ ყმაი ორ, შენ მიწა-მტვერი ორ, ნუ ვის თვალ-გულს მამრევ, ჩემ შანაცოდვარი-დ შანაწყინარი ზღვნითა სანთლით გადამაჭდი, ჭირ მავხპარი შენს ძალსა-დ შენს სახელ-სამართალს. მამიჭდ უცოდრობით შენ კარჩი აქოთებაი-დ, შენ გულთა მხილავი ხარ, მე არ მინდოდ, მაგრემ სხვის უკლოობა-უბედურობა ჩემზე შამავარდ. ახლა მიშველე, შამინდევ ეს შანაცოდარი-დ აწიდგე აქ იარაღს აღარ მავიყოლებ, წიხლითაც რო ვინ მგლიდას, ჭმას არ ამავიღებ". ხუცესმაც დაამთავრა ხუცობა და ბაბუაც გაჩუმდა. საკლავი რომ დაიკლა, მემრე ჯვარსაც რიგი უყენეს. მხოლოდ საკლავის სისხლი ყველგან უწიეს, სადაც კაცის სისხლი იყო დაღვრილი. ბაბუას სამეზღვნეო ლუდი გამოუტანეს, დარბასის კარში სხვა ხალხიც მოგროვდა და ლუდი ყველამ დალია. საკლავი გაატყავეს, შეიტანეს დარბასში და რკინის ჩანგალზე ჩამოკიდეს, რომელიც საკლავების ჩამოსაკიდებლად მუდმივ იქ იყო დაკიდებული.

მადლი მოსთხოვა ჯვარს ბაბუამ და სახლში წამოვიდა. აქ კაცი მოვიდა: ბერდია ცუდად არის და სოფელს გაეცალეო. ბაბუამ უპასუხა: „იმას მე მაგარ არა დავჩკარი, ისით არაი სჭირს. მე ჭელჩი იარაღის ანდეი მაქვ, ვიც, რო ზუბუქებ ნაჭრევები შჭირს, ის ჯერ ლუდნასვამ იყვ, მემრ იზიდებოდ, დაიღალა-დ ბევრ სისხლ გამაუვიდ, დასუსტდებოდ, სისხლს მააგოზებდ; ცოტაი ხნიდგე კარგად შავარდების". ბაბუა თავის სახლს არ მოსცილებია, სოფელში კი არ გასულა, რადგან ბერდიას ძმა-ბიძაშვილები ბევრები იყვნენ. ერთიმეორეს რომ შეხვდებოდნენ, იშუღლებდნენ

და ჭრიდნენ ერთიმეორეს. ამიტომ ბაბუა ერიდებოდა მათ შეხვედრას, რადგან შუღლისმოყვარული კაცი არ იყო.

სოფლის უფროსმა კაცებმა იწყეს შუაკაცად სიარული (კაც-შუაკაცი აუტყდა). ჯერ ბაბუასთან მივიდნენ და პატივის დასადებად ერთი აბაზი ვერცხლის ფული გამოართვეს; მემრე ჩვეულებრივად ხელი ჩამოართვეს, რომ გზაში შაყრილს აღარავისთან ეშუღლა. მემრე შუაკაცები ბერდიასთან მივიდნენ. ბერდიასთვის სისხლს მიეგოზა (გული წასვლოდა, დასუსტებულიყო), წყალი დაესხა და მომჯობინებულიყო ისევ. შუაკაცები რომ მივიდნენ, ბერდია უკვე სკამზე იჯდა. შუაკაცები მივიდნენ, ბერდიას პატივი დაზდვეს, ექიმი მოუყვანეს და ჭრილობები შეახვევინეს. მერე შერიგებაზე დაუწყეს ლაპარაკი. ბერდია ისეთი კაცი იყო, რომ გულში დება არ იცოდა, ბოროტი გული არ ჰქონდა. შუღლში რასაც იზამდა, ის იყო, მერე იმისაგან ცუდი რამე აღარ იყო მოსალოდნელი, არაფრად აგდებდა შუღლსა და ნაჭრევებს და შერიგებაც ადვილად იცოდა. სხვებმა გულში შენახვა იცოდნენ, როცა შუღლში დამარცხდებოდნენ და მერე შერიგდებოდნენ, მარჯვე დროს ელოდნენ სამაგიეროს გადასახდელად. ზოგი მეშვლებსაც გააქეზებდა: მე მაგას ვჭრი და შენ დაიჭირიდი, რომ მე არაფერი დამკრასო, მაგრამ ბერდიას ასეთი რამეები არ ახასიათებდა. შუაკაცებმა რომ შერიგებაზე დაუწყეს ლაპარაკი, მან ბევრი არ ალაპარაკა და უთხრა: რაად გინდათ ჩემსა ბაბუაის შარიგებაზე ხვეწნაი-დ საუბარი, მია ბაბუა არც კი ვღიროორთ მაგაად. ჩვენის გულისად ფეჭზე ადგომაიც არ გეკადრებისთ; წეედით ეეხლადა-დ ბაბუა აქ მაიყვანეთ. წელწად დღეი ას, საწელწდოდ საარაყეი მაქვ გამაწურვილი-დ თითო-ოროლ ყანწ მაგვერგების, სხვებსაც უძახებთა-დ მავიყონთ. არაყ შავსვათა-დ მემრ ჯვარჩი წავიდათ, ლუდი ვსვათ. ბაბუამ ეხლად მე მამიქნივ იარაღი-დ კლოვ ჩემს მტერს მაუქნევს. ჩვენ ძმაი ას. საიმედო კაცი ას. რაი შუღლ, რაად უნდა გაგვიკვირდასა-დ გავაჭირდიდათ, ჭევსურეთის მიწა-წყალთ ეგ მაუდის, სასმელში შუღლ უნდა იყოს, მაშ რა იქნების? შუაკაცებმა ბერდიას ხელი ჩამოართვეს, მემრე ერთი კაცი გაგზავნეს და ბაბუა მოიყვანეს, ბაბუამ ერთი ჭურჭელი (დოქი) არაყი წამოიღო და მოვიდნენ ბერდიასთან.

მოსულებს ბერდია და მისი ოჯახის წევრები მიეგებნენ. ბერდიამ ბაბუას აკოცა და სკამზე დასვეს. მერე ბერდია ადგა, ბაბუას და სხვებს ყველას სთხოვა, რომ ჩვენს წარსულ შუღლზე ნურაფერს ვიამბობთ. ვიამბოთ ახალწელზე და დრო გავატაროთო. „ის რაც იყო[1]იყო, ახლა ნუღარ გავაბევრებთ. ეგ შუღლ არ უნდა გაგვიკვირდას, წესიასა-დ შარიგებაიც". ამის შემდეგ, ბაბუამ ცოტა რომ ილაპარაკა, აიღო არაყიანი ჭურჭელი და ბერდიას წინ დაუდგა. „ეს ჭურჭელი შენ პატივ იყოს, მამიჭდ ეს ხიფართი ვისთანაც არ მინდოდ. თუ კი რა შამეძლიყოს, სხვა მტერ რამოვენი მყავ. ვისთანაც არ უნდა კაცს, იმასთან უფრო ყოფილამ მაუჭდების. შენს კაცობას არ ხკადრებ, თორე ჩემფერ კაცი ჭელთ საპოხლადაც არ გეყვ. აღარ გავაბევრებ, დამნაშავეი ორ

შენთანაცა-დ ჯვარ-ჯვარის კარსთანაც. ორთავ მაპატივეო, შენაცა-დ ჯვარმაც. ჩემს დანაშაულს მე შავზღავ. იმოვენს სიკეთეს მაგრევო შენაცა-დ ჯვართაც, რამოვენიც სხვა კაცს არ უნახავ". საუბარი ბერდიამ გააწყვეტინა: „მე გთხოვთ, რო შუღლსა-დ ნაჭრევებს ნუ გავაჭირდიდებთ. შორეულ მტერთან გვერდი დამიდგები. ჩემს მტერს უარეს უზამ, ახლა ეგ საუბარ გაუშოთა, გავათავათ". ჭურჭლიდან არაყი ყანწში დაასხეს, ერთ-ერთ უფროს კაცს მისცეს და მან ჩვეულებრივი წესით დალოცა ჭურჭელიც და ყანწიც ბაბუაის მამის – თათარაისად. მერე ერთმა ახალგაზრდამ აიღო ხელში ჭურჭელი და ყანწი და ყველას დაალევინა არაყი. ბერდიამაც მოიტანა და დადგა არაყიანი ჭურჭლები. აქედანაც ერთი ყანწი უფროს კაცს მისცეს და ორ-სამი ყანწი კიდევ დაასხეს და სხვებსაც მისცეს (სხვა თავისიანები და მეზობლებიც იქ იყვნენ მოწვეულნი). უფროსმა კაცებმა შანდობა უთხრეს ბერდიაის მკვდართაც: „ღმერთო, დიდება შენდა! ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, ჯსულიც შენ გებარებისა-დ კაციც შენ გემსახურების! ღმერთო, უშველი ბერდიასა-დ მაგის თავ-ჯალაფობას. ღმერთო, ბევრ წელწად-ქრისტეწმაღგვარი მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ბევრ ბედნიერ წელი კვალ გამაუცვალი მშვიდობით! ღმერთო, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჭსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ზედამრჩოების დღეგრძელობით, ეს დადგმულებ ჭურჭლებიცა-დ დასხმულებ ყანწებიც სულთამც ბერდიაის ბაბო-ბერდედათას, იმათ დიდ-წვრილისას მეეჭმარების!" „შაუნდნას ღმერთმ!"] თქვა ყველამ. შასანდობარი ყველას დაალევინეს და გაიმართა სმა. ხევსურებმა თამადა არ იცოდნენ და ვისაც როგორი სადღეგრძელო უნდოდა, ისე იტყოდნენ. შესანდობარს და სადღეგრძელოს ორივეს ერთ ყანწში ათავსებდნენ. ზოგი მღეროდა, ზოგი ანდრეზებს ყვებოდა და ასე გაიარა დღემ. მერე დიაცები შინ წავიდნენ და კაცები კი წავიდნენ ჯვარში. ბერდიას უვლიდა სოფლის აქიმი. ის ლოგინში არ წოლილა და ისე მოირჩინა ნაჭრევები. ერთი ნაჭრევი ძვლამდინ არ იყო ჩასული, ერთიდან კი ამოვიდა ზეთა ძვალი. როცა ნაჭრევები სულ გაინკურნა, საბოლოო გარიგება მოითხოვა ბაბუამ. ბერდიას კაცი მიუგზავნა: „თუ იტყვი რჯულის კაცები დავსხათ, თუნდა თაოპირად გავღრიგდათ (თაოპირად გარიგების უპირატესობა ის იყო, რომ დამნაშავე და დაზარალებული თუ გონივრები იყვნენ და ნაჭრევების ღირებულების შეფასებაში თვითონ შეთანხმებოდნენ, მაშინ საშუაკაცო აღარ გაუვიდოდათ, რომელსაც ამღები დრამისა იხდიდა თითო ძროხაზე თითო ცხვარს. დრამის გამღები კი – ნახევარ ცხვარს და აქ კარგა გასავალი იყრიდა თავს. რიგდებოდნენ კი თაოპირად, მაგრამ არა ხშირ შემთხვევაში). ბერდია თაოპირად გარიგებაზე დათანხმდა. ორივე მხარემ იცოდა, რომ ზეთა ძვალის ამოსვლა ღირდა ხუთი ძროხის დრამა. ბერდიამ შეუთვალა: „შენ ყველა რჯულ კარგად იცი, როგორც

მაიქცევი, შენ იცი". ბაბუამ გამოწურა საარყე. მოიყვანა ერთი თავისიანი კაცი, გადაწონეს დრამა და წავიდნენ ბერდიასთან. არაყით მისვლა ხევსურეთის რჯულით არ ევალებოდა, მაგრამ ბაბუამ მაინც არაყით მიუტანა დრამა. ბერდია დიდის ამბით შეხვდა მათ მისვლას. იმასაც არაყი ჰქონდა დამზადებული. დალოცეს არაყები ორივე მხარის მიცვალებულებისათვის, თავისიანებიც აწიეს და თავისებურად კაი დრო გაატარეს. ბერდიამ ორი ძროხის დრამა დაიტოვა და სამი ძროხის დრამა უკან დაუბრუნა. სააქიმოსაც სამი ცხვრის ანგარიშს და ერთი აქიმის სანათლავ ბატკანს ბაბუა გასწორდა და საბოლოოდ შერიგდნენ.

კოჭლათ ბერდიაისა და ჭუთლათ გიორგაის შუღლი

ბერდია იყო ჩვენი ნაცნობი, მაშუღლარობით განთქმული ცისკარაული. გიორგა იყო ჯაბუშანურთ გვარის კაცი, მამად „ბაჭათი", ფხიზელი, იშვიათი გონიერი და ბევრი რამის მცოდნე; სასმელში კი იგიც ფიცხობდა. ბერდია ხომ მუდმივად შუღლის გუნებაზე იყო. გიორგას ცოლად ჰყავდა ბერდიას ნახევარი და, ე. ი. გიორგას ცოლსა და ბერდიას დედა ერთი ჰყავდათ და მამა სხვადასხვა. მათ კარგი განწყობილება ჰქონდათ, როგორც სიძე-ცოლისძმას, როცა ფხიზლები იყვნენ და სიმთვრალის დროს წაიშუღლებოდნენ იშვიათ შემთხვევაში. ზამთრის ერთ-ერთი დღეობა იყო და არხოტის ჯვარში ღამე უთიეს. დასტურ-ჭელოსნებიც იყვნენ და სხვა სოფლის ხალხიც ერია ჯვარიონთაგან ნაწევი (არხოტის ჯვარში დარბასში ორ ქისტსა და არხოტივნებს ერთიმეორე დაუხოცია და ზოგი დაჭრილა, მას აქეთ აკრძალული იყო დასტურ-ჭელოსნების გარდა დარბასში შემოსვლა. მაგრამ დროს და ხნის, ე. ი. წლების, გავლის შემდეგ ყველა არა, მაგრამ წევით ზოგიერთები შედიოდნენ დარბასში, სხვები კი იტყოდნენ: „ჯვარმ შაიცოდავ, დარბასში დავა-დ ერთ უბედურება რა დაემართების. შემდეგ მოვიყვანთ იმ ქისტების და არხოტივნების ამბავსაც, მათ ერთიმეორის დახოცას; რა შანაცოდვარს აწერდა ხალხი). ბერდია დასტური იყო და გიორგა ნაწევი იყო, როგორც სოფელში კაი კაცი (კარგ კაცებს, მაცოდრებს, სოფლისად გამოსადეგებს და უფროსებს აწევდნენ დარბასში და განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ არაყით და ლუდით). ნაწევებს არაყით და ლუდით გაუმასპინძლდნენ. არხოტის ჯვარში არაყსაც მაგარს ამზადებდნენ და ლუდსაც, რადგან ჯვარს ბევრი მამული ჰქონდა და ბევრი პური მოდიოდა. ეს თავისებურად მაგარი სასმელები რომ დალიეს, დაითვრნენ. ჯერ მღეროდნენ და მემრე შარზე გადავიდნენ. სულ უბრალო რამეზე გიორგამ დაუწყო ბერდიას შარი. „შენ სრუ შუღლობ – ეუბნებოდა გიორგა– ზოგს შჭრი, ზოგს აგორებ, შენ თავის მამრევ არვინ გგონავ, შენ თუ ღონიერი ხარ, მაღალ-დაბალს, სუსტსა-შამძლეს იარაღ ასწორებს. შენ არ ვინ შაგხვედრივ ისითი, რო,უ„რა ღმერთ გამიწყრავ, ამას რა გადავეკიდევ", – ამბობდ. შენ თუ ჭკვიანად არ

ხარ, ისით ვინ შაგხვდების, რო მანამ თვალთ აატყერებ, ხუთს დაგკრავს. შენ შენს გიორგას გაუგონი, გონთ მეედ, თორე ვინ მაგიყონსა-დ თავბედსაც დაგაცილებს, ნეტაინ დედას არ გავშჩენიყავივ, იმასაც გათქმევს". ბერდია შედარებით ფხიზლად იყო და შუღლის გუნებაზე არ იყო, ეკამათებოდა კი, მაგრამ იცინოდა, ხუმრობაში ატარებდა გიორგაის საუბარს. გიორგა ამაზე უფრო ცხარობდა, რომ ჩემს საუბარს არაფრად აგდებსო და უფრო ფიცხობდა. ბოლოს ბერდიამ უთხრა დაცინვით: „მე შუღლს არ მავშლი-დ ვერცვინ მამაშლევს. ერთი კაცი ვერც დამიხვდების, რაიც მინდ, ერთ კაცს იმას უზამ; იარადთაც დავართომა-დ აისითას გაუშობ. შენ რო კაცი ხარ, ეეგეთა კაცებ კი ხუთნიც ვერ გამიძლებენ. სამნი რო ზურგთ ამეკიდნან, მეოთხესა-დ მეხუთეს წინ ნადგომებს იქვ პასუხს გავსცემ". გიორგამ ეს სიტყვები რომ გაიგონა, მეტი აღარც დასჭირდა. მარტო ეს კი დაიძახა აღელვებულის ხმით: „შენ ერთსაც ვერ დამიხვდებიო!", ამოიღო დანა (ურსა, ხევსურულად, რომელიც ტყავის ქარქაშში არის ჩაგებული და ხევსურები წელზე შებმით ატარებენ. სამეურნეო რამეებისთვისაც ვარგა წვრილმანის გასაკეთებლად და ხანდახან შუღლშიაც იყენებენ, როცა სხვა იარაღი რამ არ შერჩებოდათ ხელში), გადახტა და, მართლაც, თვალის დახამხამებაზე ბერდიას დანა თავზე გადაუსვა და კაი გრძელი ჭრილობა მიაყენა. ეცნენ მაშვლები და გააშველეს. გიორგამ დაღვედრა: „ეეხლა, რაჭელ იქნ, ალბექაისშვილი ორ მე, ვერ მაგექეცი, როგორც მინდოდ, ვერ დაგიხვდი მარტუაი". ბერდიამ ჯერ წყნარად უთხრა: „რაი ხქენ, გიორგავ, დანა გადამისვი?" – „დანა გადაგისვი, მეტიც გიყავ, ალბექაისშვილი ორ!" – უთხრა გიორგამ (ვიღაც სახელგანთქმული ქისტი ყოფილა ალბექაისშვილი და გიორგა იმის სახელს ირქმევდა მეტსახელად. მაშინ უფრო იცოდა, როცა სასახელო, სავაჟკაცო საქმეს რამეს სჩადიოდა: ალბექაისშვილი ვარო). ხევსურეთში ხელის მოსმა სირცხვილია იმ ადგილზე, სადაც დაჰკრეს რამე. ბერდიამ დანის გადასმა გაიგო და დაიჭრა თუ არა, ის ვერ გაიგო, სირცხვილით ხელით ვერ გაისინჯა თავი. გაიფიქრა: გიორგას ნუ ავყვები, თუ დაჭრილი არ ვარ და სისხლი არ მოვიდაო. ცოტა ხნის შემდეგ სისხლი პირისახეზე ჩამოვიდა და მერე ბერდიამაც გაიწია გიორგასთან შესაბრძოლებლად; მაგრამ ბევრი ხალხი იყო და არ გაუშვეს. მას წელზე დამბაჩა ჰქონდა, უცბად ის ამოიღო და ესროლა გიორგას. მეშვლებმა დაჭერა ვერ მოასწრეს. როგორ მოხდა, რომ ვერც მეშვლებმა მოასწრეს, ან ხალხში მისი ხელი როგორ გაარჩია, რომ ტყვია სხვას არავის მოხვდა – ეს ვერავინ გაიგო. მხოლოდ შემდეგ სროლისა გაიგეს, რომ გიორგას მკლავი ბერდიას ნასროლმა ტყვიამ გაუხვრიტა მაჯაში. გიორგამ თქვა: „ამ დაწყევლილმ ჭელ გამიფუჭვ". ნახეს რომ მარჯვენა ხელის მაჯა შუაზე იყო გახვრეტილი და სისხლი გადმოსდიოდა. გიორგას ხელი უკვე აღარ ემორჩილებოდა და დაჯდა, ბერდია კი გიჟივით იწევდა და ვეღარ იჭერდნენ მეშვლები, მარტო იმას

ყვიროდა: „რას მემართლებოდ დანაის გადასასმელს! არხოტის ჯვარის დარბასში რად მიყვ ესეო საქმე, რო ჯვარს შამაცოდ?!. ჩემ სისხლიც დაიღვარა-დ თავის სისხლიც დამაღვრივ! სრუერთი ჩემდ, მაგას ცოცხალს არ გაუშობ, უნდა დავასრულ, უნდა მავკლ!” როგორც იქნებოდა, მაშვლებმა ბერდია გაიყვანეს დარბასიდან და წაიყვანეს შინ. მერე გიორგაც წაიყვანეს თავის სახლში. მეორე დილას შუაკაცებმა ერთსაც პატივი დაზდვეს და მეორესაც და დროებით შერიგებაზე ყველაო ხელი ჩამოართვეს. გიორგასაც და ბერდიასაც სოფლის აქიმი მოუყვანეს; სისხლიანი ჭრილობები მობანა თბილი წყლით, ნატყვიარში კანაფის უხმარი გაუშვა, ბერდიას თავშიაც ხელები ჩადვა და შეუხვია. მერე ჯვარშიით კაცი მოუვიდა: ჯვარს რიგ არ დაუდგების, მანამ სანათლავს არ დახკლავთ დარბასისაო. გიორგამ და ბერდიამ ერთი საკლავი ჯვარ-ჯვარისკრის სანათლავი გაუგზავნეს და ერთი ჯურუმად, რომ ჯვარჩი იშუღლეს. გიორგას ხელი ტყვიისაგან დაშხამული აღმოჩნდა და დაუჩირქდა. ძალიან მძიმე ავადმყოფი შეიქმნა.

მკითხავებმა უთხრეს: „ახიელ სამსავ ჯვარში ღირეულებ სამეშვლოებ დაჭოცეთ, იქნება რამ უშველას, თორე არხოტის ჯვარი ძალიან გამწყრალი იმის დარბასის აქოთებაზე”. არხოტის ჯვარში კურეტი დაკლეს სამეშვლოდ. მთიშეშაგში და ჯაჭველში წელგამავლილ (ერთი წლისაზე მეტი ხნის) ვერძები დახოცეს. გიორგას ხელი მრავალ ადგილას დაუჩირქდა და თითქმის წლამდინ იწვა. მერე მოურჩა, მაგრამ ხელი დაუსახიჩრდა, თითებს სულ ვეღარ ამოძრავებდა. ბოლოს რჯულმა გიორგას თექვსმეტი ძროხა დრამა არგუნა. ბერდიას ძვალი არ ამოუვიდა და მისი ნაჭრევი სადრამე არ იყო. გიორგამ რვა ძროხა დრამა თავის სიდედრს, ბერდიას დედას აპატივა და რვა ძროხის ანგარიში აიღო. ბერდია შუღლისაგან გაღარიბებული იყო და არაფერი ჰქონდა, ამიტომ გიორგამ ალვანიაც აპატია, არ აიღო.

არაბულ-ჭინჭარაულთ შუღლი

მომითხრო და ჩამაწერინა ბათურა არაბულმა
სოფელ ბაცალიგოში, 60 წლისამ

წინათ იცოდნენ საკარგყმო. ვინც დიდ სახელს იქმოდა, მას საკარგყმო მოუდიოდა წელწადში. ჯერ იმას, ვინც სახელს იზამდა და მემრე იმის გვარს. გვარი სახელობდა ერთი კაცის სახელით და წელწადში საკარგყმოს მისაღებადაც მთელი გვარი მოდიოდა. საკარგყმო სინამდვილეში ბევრი არ იყო. ის იყო ერთი ჩხუტი ლუდი, მაგრამ მის მისაღებად მთელი გვარის მოსვლა სავალდებულო იყო. მოსულებს თვითონაც მოჰქონდათ არაყი და ლუდი და იყო ღრეობა. გუდანის ჯვარში იყო სამი საკარგყმო. იქ მოდიოდა ჭინჭარაული და არაბული, რადგან საკარგყმო მათ მოუდიოდათ. გოგოჭურები მთელი გვარი არ მოდიოდა, მაგრამ მოდიოდნენ ჯვარის

მსახურნი და მეზღვნე. სახელად ითვლებოდა ქისტებზე გამარჯვება, უფრო ბეგრის დადება მათთვის. აგრეთვე სახელი იყო ქისტეთში ქისტის მოკვლა შურისძიებით.

არაბული კიდევ ორ შტოდ იყოფა: ჩუჩაყეური და ბიჩინაგური. ჩუჩაყეურთ მოუდიოდა ორი საკარგყმო. პირველი საკარგყმო იყო თუხაკისა. თუხაკი ყოფილა ჩუჩაყეური. ქისტები მითხოში ისე შეუწუხებია, რომ ბოლოს პირობა დაუდვეს: ნუღარას გვავნებ და წელიწადში კვამლზე თოხლს გადავიხდითო. მათი შეწუხება ის იყო, რომ პატარა ლაშქარით ანუ მზირით ეცემოდა მათ; იტაცებდა პირუტყვს, ძროხას, ხარს და ცხენს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, კაცის კვლასაც არ ერიდებოდა. დაიდვეს მითხოელმა ქისტებმა კომლზე თოხლი ბეგარი და აძლევდნენ ყოველწლიურად. მეორე საკარგყმო ისევ ამათ, ჩუჩაყეურთ ეკუთვნოდა ჭირჩლა ბაბურაულის საკარგყმო. ბაბურაული ხევსურეთის ისტორიაში საკმარისად სახელქებული მეომარი იყო. ხევსურეთის ბრძოლებში, ლაშქრობებში და სხვა საგმირო საქმეებში ხშირად შეგხვდებათ ჭირჩლა ბაბურაულის სახელი. აგრეთვე ძველ საგმირო ლექსებში ბაბურაული არაჩვეულებრივ მებრძოლად არის დახასიათებული. ბაბურაულის სახელით ამაყობს მისი გვარი. ახლა იმის ახლობელ გვარში, თემროზაულთ მამაში აღარა სჩანს ვინმე ისეთი კაცი, რომ სახელის ღირსი გამხდარიყო; კი არა და, სხვა თავის გვარის მამებთან შედარებით დაბეჩავებულები არიან, მაგრამ ისევ ბაბურაულის სახელით ამაყობენ. ჭირჩლას ლექსებს, ანუ სიმღერებს ისევ უმღერიან იმის მოგვარეებს ფანდურზე, თავჭმელად და სხვა.

ჭევსურნ გიჭურვენ ჭირჩლაო, ლურჯამ აქნივა სახელი,
ჭევსურებს მიეც ლურჯაი, ქნან, თუ მარჯვეა საქნელი.

ერთ ბრძოლაში ჭირჩლა მტერს პირველი შეებრძოლა და გამარჯვება მოიპოვა. ხევსურებმა თქვეს: მაგას კაი ცხენი ჰყავდა, წინ მიგვისწრო და თავი იმიტომ ისახელაო; მაგრამ ჭირჩლას, თუნდა ლურჯა არ ჰყოლოდა, მაინც უსახელოდ არ დაბრუნდებოდა.

ზურაბის ლაშქართ ვინ ჩახყვა, ჩააცვეთს ბაბურაული.

ზურაბის ლაშქარს უნდოდა ხევსურეთის დამორჩილება, მაგრამ ხევსურებმა მოსულ ზურაბს წინააღმდეგობა გაუწიეს და ამ ბრძოლაშიც თავი ისახელა ბაბურაულმა. სხვა ასეთი ბრძოლები მას ბევრი აქვს გადატანილი და მითხოვლების ბეგარი თოხლიდან ცხვარზე გადაიყვანა. აქმდინ თუ მითხოვლები თუხაკის დადებულ ბეგარს ერთ თოხლს იხდიდნენ, ახლა ჭირჩლამ თითო ცხვარი დასდო ბეგრად და ამაზე იყო ბაბურაულის საკარგყმო, რომელიც იმის გვარს წელწადში მოუდიოდა და ამით ამაყობდნენ. ბოლოს კი ბაბურაული მითხოელმა ქისტებმა მოკლეს, მაგრამ ამ მტრის მიერ მოკვლამ მისი სახელი მაინც ვერ დაჩრდილა.

მითხოში ორი ძმანი იყვნენ – ამაისშვილნი ბრძოლით სახელგანოქმულნი. მანამდინ ყურაიანი თოფები ყოფილა. ყურა თოფს გარეთ ჰქონდა მიკრული, სადაც პირის წამალი ჩაიყრებოდა. ყურასთან თოფს პატარა ნახვრეტი ჰქონდა, რაც უერთდებოდა თოფში ჩაყრილ წამალს. მეთოფეს თან დაჰქონდა ტალი, კვესი და აბედი. კვესით ცეცხლს გააკვესებდნენ, ცეცხლი აბედს მოეკიდებოდა ცეცხლიან აბედს წამლიან ყურაზე დასდებდნენ, თოფის მიზანში ამოიღებდნენ, რასაც უნდა ესროლონ; ყურაში წამალი აფეთქდებოდა, თოფის ნასვრეტში ცეცხლი შევარდებოდა, თოფში ჩაყრილ წამალსაც ააფეთქებდა და გავარდებოდა ტყვია. ამას სჭირდებოდა დიდი დრო, შეიძლებოდა აბედი დანესტიანებულიყო და ცეცხლი აღარ გაკვესებულიყო, ან როდის მოასწრებდა ამდენ ამბავს. ჭირჩლას უკანასკნელად მოუხდა მითხოში ამაისშვილთან შებრძოლება. ბრძოლა ისე მოხდა, რომ ჭირჩლამ ისინი ახლო დაინახა და ხმალდახმალ გაექანა. იფიქრა: მანამ თოფისათვის ცეცხლს გააკვესებენ, მე ხმლით მივასწრებ და მერე მე ვიციო, მაგრამ სუიკას ამაისშვილსა თოფი აქვს ჩახმახიანი.

მას თურმე ჩახმახიანი თოფი ჰქონდა, რაც ახლად იყო შემოღებული და ჭირჩლამ ეს არ იცოდა (ჭირჩლა – იგივე ბაბურაული). სუიკამ შამაყენებული თოფი შემოუბრუნა, დასხლიტა ჩახმახი და ტყვია ჭირჩლას გულში მოხვდა. მოკლეს ჭირჩლა.

მითხოში ამაისშვილთა საღმეროოდ დაკლეს ჭარიო,
მავკალით ბაბურაული, მითხოს მავსწყვიტეთ ღვარიო.

იმის მოკვლაზე მოსალოცად მოდიოდნენ ქისტები.

შენი მამკლავი ჭირჩლაო მითხოს მემეტედ დგებოდა,
მაუდიოდა მლოცავი, ფეკზე არ აუდგებოდა.

მესამე საკარგყმო, მთხრობელის თქმით, მოუდიოდა ჭინჭარაულთ. ქისტეთში ყოფილა სახელიანი კაცი, ვიღაც ქისტი, და მას მოუკლავს ჭინჭარაულთ გვარის ხევსური. მას ახლობელი ჰყოლია, ვიღაც ბაღათერა. ბაღათერა მითხოში ღამით მისულა, თავის ბიძაშვილის მამკლავი ქისტი მოუკლავს და თითონ მშვიდობით დაბრუნებულა. ამაზე იყო მესამე საკარგყმო (არხოტში ეძახიან საყარყმოს, სახელის გაკეთების შემდეგ ჯვარში დაკლავდნენ ხარს ან კურეტს და ამას ეძახოდნენ საყარყმოს, ბუდის ხევსურები კი თურმე საკარგყმოს ეძახიან. ეტყობა, საყარყმო სიტყვა საკარგყმოდან არის გადმოკეთებული) აი, ასეთი საკარგყმოების მისაღებად მოდიოდნენ არაბულ-ჭინჭარაულნი, მოჰქონდათ თან კიდევ ბევრი სასმელი და ითვრებოდა ხალხი. მთხრობლის თქმით, მეორედ მომხდარა ორ გვარს შორის ასეთი დიდი შუღლი. ამ უკანასკნელ შუღლში ერთი კაციც მოკვდა – ბაცალიგველი ლაგაზა

და მისი სიკვდილის შემდეგ მოსპეს საკარგყმოები, რომ თემი აღარ მოსულიყო და ასეთი დიდი შუღლი აღარ მომხდარიყო (ეს შუღლი დაიწერება ქვემოთ).

როგორც ვიცით, გუდანის ჯვარში წელწადი იყო და თემმა თავი მოიყარა. შუღლი მოხდა სულ უბრალო პატარა საქმეზე. სულხანაური იყო სოფელ გუდანიდან, არაბულების გვარიდან, მამად ბუღნიაური. მაგასთან პირველი შუღლის დამწყები სოფელ გუდანიდან – გაგათ წიქა, გვარად ჭინჭარაული. ამ სულხანაურს მოსთხოვა საპაპიროზე ქაღალდი: ერთ პაპიროზს გავაკეთებ, ცოტა ქაღალდი მომეციო. სულხანაურმა არ მისცა, საპაპიროზე ქაღალდი შენი იქონიეო – უთხრა. რა დიდი საქმე არის ერთი პაპიროზის გამომავალი ქაღალდიო – უთხრა წიქამ, ძვირფასი რომ გქონდეს რამე და კაცმა გთხოვოს, რაღას იტყვიო. შეყვნენ ამ ლაპარაკს, იშიშვლეს ხანჯლები და მიაცვითეს ერთიმეორეს. წიქა რომ სისხლიანი დაინახა, მას მიეშველა ბუბუჩელათ ხთისო სოფელ ძეძეურთიდან, წიქას შორიული მოგვარე. ესეც დაჭრა სულხანაურმა და ახლა მიეშველა გუდანელი ომათ წიქა, ეს უფრო ახლობელი სახლისკაცი გაგათ წიქასი. სულხანაური ძალიან გამოცდილი კაცი იყო შუღლში და იარაღის ხმარებაში, ამასაც სამი ნაჭრევი დამართა. ესეც რომ დამარცხდა, ამათ მიეშველა გუდანელი ქარჩაულათ ხთისო და ესეც დაიჭრა. თუმცა კი სულხანაურსაც ბევრი ნაჭრევები ემართებოდა, მაგრამ ერთი ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს. გაგათ წიქა და სულხანაური ერთმანეთს მოაშორეს, მაგრამ ერთ ადგილზე სულხანაური შუღლობდა, თითოობით მიდიოდნენ ჭინჭარაულები და ყველას პასუხს აძლევდა. მეორე ადგილზე გაგათ წიქა შუღლობდა არაბულების გვარიდან, ხან ვინ შევარდებოდა იმასთან, ხან ვინ. წიქა და სულხანაური ორივენი სისხლით იყვნენ შეღებილნი, მაგრამ მაინც მოწინააღმდეგეს უჭრელს არ უშვებდნენ. სულხანაურს პირველ მიშველებაზე არაბულთა გვარიდან მიეშველნენ: ჯერ თავის ძმა ბეწი, მერე სოფელ ბაცალიგოდანვე არაბული ბათურა, არა ახლობელი სახლისკაცი. ისინიც ორივენი სისხლში შეღებილნი დადიოდნენ და შუღლობდნენ. ამათ გარდა მთელი გვარები ჩაერივნენ შუღლში, არაბული ჭინჭარაულს ეძებდა და ჭინჭარაული არაბულს, ვინც ვის შეხვდებოდა, ერთი მეორეს აცვეთდნენ იარაღს. იდგა ფარ-ხმალის და ხანჯრების ჩახაჩუხი.

ღელისვაკე კარგა შორს დაშორებულია გუდანიდან და იარაღის ხმა იქ ისმოდა. ჭიე და ძეძეურთა, სოფლები, გუდანის პირდაპირ არიან. აქ ცხოვრობენ ჭინჭარაულები; გაიგონეს იარაღის (ე. ი. ხმლის ცემის) ხმა და სოფლებიდან ყველა წამოვიდა, კაცი და დიაცი. ზოგი საშუღლარად და ზოგი მეშველად. მთხრობელმა თქვა: მაშუღლარი ასზე მეტი იყო და ნაჭრევიანი კი სამოცი იყოვო. ნაჭრევი იყო ორასამდინ. მთხრობელს რამდენადაც ახსოვს, ჩამაწერინა ვინ ვისგან იყო ნაჭრევიანი და როგორ შერიგდნენ ბოლოს. ახსოვს ბევრი რამ, რადგან თითონ ყოფილა ამ შუღლის მონაწილე, ხალხიც

დაუჭრია და თვითონაც დაჭრილი ყოფილა. ბათურას სჭირდა თავში ბუბუჩელათ ხთისოსგან. ხთისოსაც ერთი ნაჭრევი სჭირდა თავში ბაღათურასაგან. ერთი-მეორეს ჴმელი პატივი დაზდვეს, რადგან ნაჭრევები ცოცოტა იყო, ძვალი არ ამოსვლია. ჴმელი პატივი არის ერთი აბაზი ვერცხლის ფული, შეიძლება სხვა რამე ყოფილიყო. ნამგალი, ცელი, თუნდა სულ უვარგისიც ყოფილიყო – მას არ იტყოდნენ, ეს არ ვარგაო. პატივის დადება ნიშნავდა თავის მოხრას. ამავე ბათურას წიქაის ნაჭრევები სჭირდა – ერთი ხელს, ერთი თავში. წიქას ბათურაის ნაჭრევები სჭირდა თავში – ორი. ამათი ნაჭრევებიც არ იყო დიდები; ჴმელი პატივი დაზდვეს ერთი-მეორეს და სადრამე არცერთი იყო; ესენი ყველა გაიმართა ერთიმეორეში. ხევსურებმა ხნიერ ხალხთან შუღლი არ იციან და არც ახალგაზრდები შუღლობენ ხნიერებთან, მაგრამ ეს ისეთი მძიმე იყო, რომ უფროს-უმცროსობის წესები სულ დაივიწყეს და ოთხი ძალინ ხნიერი კაცი დაიჭრა და იმათაც დაჭრეს სხვები. ერთი ოთხმოცი წლისა დაიჭრა ბუბუჩელათ გაგა, სოფელ ძეძეურთიდან, მეორე ქარჩაულა, ხოსროთი, 75 წლისა სოფელ გუდანიდან; ესენი ორივე ჭინჭარაულები. არაბულების გვარში სოფელ ბაცალიგოდან დაიჭრა 81 წლის კაცი გადუა, ალუდიათ მამისა და მეოთხე – სამოცდაცხრამეტი წლისა მამუკათ ბაბუა, ბუღნიაურთ მამიდან.

ოთხმოცდაერთი წლის კაცმა, გადუამ, მძიმედ დაჭრა გუდანელთ გაგათ წიქა. ის თვითონაც დაიჭრა წიქაისაგან, ერთი თავში სჭირდა და ერთი ხელს. წიქაის ნაჭრევი, რომელიც მოხუც გადუაისაგან მკლავში სჭირდა, მოიხიბლა და დაჩირქდა, სიკვდილს ცოტათი გადარჩა. სამეშვლოები ბევრი დახოცეს გუდანის ჯვარში, პირქუშში, მუხათკარში. წიქამაც და გადუამაც სხვადასხვა შესაწირავებიც შესწირეს ჯვართ, თუ წიქა მორჩებოდა, რადგან უკანასკნელ დღეში იყო. ბოლოს ბალახის წამლებით მშაველათ გიგიამ (სოფლური ექიმი) მოარჩინა. გადუას და წიქას რჯული ჰქონდა. წიქას ხელი ოცდახუთი ძროხა შეფასდა.

გადუას, რაც წიქაისგან თავში და ხელზე სჭირდა, სულ ცხრა ძროხის ანგარიში დადგა. გადუამ წიქას შინ მიუტანა: საუჴმრო (რადგან ხელი გაუხმა ე. ი. დაუსახიჩრდა) საკლავ-პატივი, ცხრა ძროხა გამოიბარა გადუაის ნაჭრევებში და თექვსმეტი ძროხა კიდევ წიქას მისცა. ამ დრამაში ერია ერთი ხარი ფეჴითი, დანარჩენი სპილენძი და ტყავ-საღამო. ამ წიქას ხუთმეტი ნაჭრევი სხვადასხვებისაგან სჭირდა და მეთექვსმეტე ეს გადუასგან დაკრული სჭირდა მკლავში და დაუსახიჩრდა ხელი. დანარჩენი ნაჭრევებიც ზოგიერთი მძიმე იყო, მაგრამ ამ ხელის ჭრილობის გარდა მას არაფერი აწუხებდა, ამან კი კინაღამ გადაიტანა.

გუდანელმა ქარჩაულამ დაჴკრა ხანჯარი თავში და, სხვა ჭრილობების გარდა, ამანაც დაჭრა. ბაცალიგველი ბათირათ გიგია არაბული, მამად: ბუღნიაურთ მამიდან. გამწარებულმა გიგიამ ქარჩაულის ხნიერობას ანგარიში ვეღარ გაუწია და თვითონაც

ხმალი მაგრა დაჰკრა თავში. ხმალმა ძვალიც გაჭრა და ტვინის სკაზედამდინ დავიდა. ბოლოს ძვალი ტვინს ზემოდან სულ ამოვიდა. ტვინზე გადაკრული აპკი სულ ფეოქავდა, რომელსაც ხევსურები ტვინის სკას ეძახოდნენ. როცა საქმე დამშვიდდა და ნაჭრევებიც გაიკურნა, გიგიამ და ქარჩაულმაც ირჯულეს. გიგიამ რჯულამდინ გაუგზავნა ქარჩაულას საკლავ-პატივი. ოვითონ კი ჭმელი პატივი ერგებოდა და ის მისცა ქარჩაულამ. რჯულმა თექვსმეტი ძროხა დაადო თავშარისა, გიგიასაგან ქარჩაულასათვის მისაცემი (თავ-შარს ეძახოდნენ ტვინს ზევით ძვალის ამოღებას და ტვინის ამოჩენას, რომელსაც მარტო ტვინის აპკი ფარავდა). გიგიამ ქარჩაულას ჩააბარა ე.ი. შუაკაცების თანდასწრებით მიუტანა თექვსმეტი ძროხა სულ დრამა, სპილენძი. სპილენძი შუაკაცებმა აწონეს და ისე ჩააბარეს დაზარალებულს.

შუღლი დიდხანს არ გაგრძელებულა, დაახლოებით ორსაათნახევარს გაგრძელდა, ხალხი მოიქანცა, სისხლმაც შეაწუხა. ბოლოს ბუბუჩელათ ხთისომ დაიძახა – შაბაშ, ხალხნო! გვეყოფა შუღლი, შევისვენოთო. გავიდა განზე, ხანჯარი წვერით მიწაში დაყუდა და დაჯდა. „შაბაშ!" მის მოწინააღმდეგეებმაც დაიძახეს, სულხანაურმა და ბათურამ, ბაცალიგვლებმა. მივიდნენ, დააყუდეს წვერით მიწაში იარაღები და იმის გვერდზე დასხდნენ. მოვიდა პირველი მაშუღლარი წიქა და პირველ მაშუღლარ სულხანაურის გვერდზე დაჯდა. ხმალი ამანაც წვერით დაარჭო მიწაში. წიქა და სულხანაური პირველი დამწყებნი იყვნენ ამ შუღლისა და პირველი ისინივე გამოვიდნენ გახურებული შუღლიდან და დასხდნენ. ამათ მაგალითს მიბაძა ყველა ხალხმა და დაიშალა შუღლი. თუ ასე არ მოხდებოდა, მეშველი აღარ იყო და ვინ იცის რამდენ ხანს უნდა ებრძოლათ და როგორ უნდა დამთავრებულიყო ეს ბრძოლა.

ეს ოთხი მაშუღლარი რომ შეჩერდა და ერთიმეორის გვერდით დასხდნენ, სისხლი ღვარად მიდიოდა. ოთხივენი სისხლით იყვნენ შეღებილნი. თექვსმეტი ჭრილობა სჭირდა წიქას, შვიდი ჭრილობა სჭირდა ბათურას, ექვსი ჭრილობა სჭირდა სულხანაურს და ხუთი ბუბუჩელათ ხთისოს. მაგრამ რაკი შესვენება, ანუ შუღლის გათავება თქვეს და დასხდნენ, ამ ჭრილობებს აღარაფრად აგდებდნენ. ისხდნენ მშვიდად, ვითომ სულ არაფერი მომხდარიყოს. ამ შუღლში დაჭრილებში მოკვდა მარტო ერთი კაცი, სოფელ ბაცალიგოდან – ლაგაზა არაბული თინიბექთ მამიდან. მას სჭირდა ხუთი ჭრილობა: ორი ჭრილობა თავში, ერთიმეორის ახლო სჭირდა და ძალიან აწუხებდა. ის ვერ ერკვეოდა, ნამდვილად რომელი ჭრილობა აწუხებდა უფრო. ლაგაზა ბაცალიგოში წაიყვანეს, მშაველათ გიგია იქ დადიოდა და უხვევდა ჭრილობებს, როგორც იმას, ისევე სხვა ნაჭრევიანებს. ამას ნაჭრევები სჭირდა სოფელ ჭიეში მცხოვრებ მაჯიგათ იაისაგან და გუდანში მცხოვრებ გაგათ წიქაისაგან. ისინიც ლაგაზაისაგან ორივენი იყვნენ ნაჭრევიანები. როგორც ვთქვით, ლაგაზას ორი ნაჭრევი ახლო-ახლო სჭირდა თავში და ესენი აწუხებდა. მისი მდგომარეობა თანდათან როულდებოდა, ჯერ ფეხზე იდგა და მერე ლოგინად ჩავარდა.

ბევრი სამეშვლო-სამხვეწრო დაკლა, მაგრამ მას არაფერი შველოდა. გახდავ საქმე საარდარაოდ – ვისი ნაჭრევი კლავდა: წიქასი თუ მაჯიგათ იასი. ბოლოს ლაგაზა გარდაიცვალა და საქმე გაურჩეველი იყო, ვისზე უნდა შევარდნილიყო თავ-სისხლი, ვის უნდა ეყენა რიგი და დამდგარიყო მეთავედ. ის კი გაიგეს, რომელმა ნაჭრევმა მოკლა, რადგან ერთ-ერთ ნაჭრევში შარის ბოძი ყოფილიყო და სიკვდილის წინ ის ჩამძვრალიყო, ძვალი ნემსის ყუნწის ოდნად დახვრეტილი დარჩა. ის რომ ჩაძვრა, გარდაიცვალა კიდეც. ეს დაამტკიცეს, რომ შარის ბოძმა მოკლა, მაგრამ ვისგან იყო ეს დაკრული, ეს აღარ იცოდნენ. შეიყარა რჯულის კაცები და წიქას ფიცი უთვალეს: დაიფიცე, რომ ის შენი ნაჭრევი არ იყოვო. წიქამ გუდანის ჯვარში ფიცი ვერ გაბედა და თქვა: მე არ ვიცი, რომელი ნაჭრევი იყო ჩემი დაკრულიო. მაჯიგათ იამ კი თქვა: მე დავიფიცავ, რომ ჩემი ნაჭრევი მეორე იყო, რომელმაც მოკლა, ის არ იყოვო. ადგა და იამ მართლა დაიფიცა, მხოლოდ ტყუილად. იმ შუღლში იმან არ გაიგო, რომელი იყო მისი დაკრული. ამაზე გაუწყრა გუდანის ჯვარი, თვითონაც დაავადდა და დიდხანს აღარ იცოცხლა. იამ კაცის თავ-სისხლი გადაიგდო; მაგრამ წიქამაც ნახევარი რიგი უყენა, მან თქვა: იამ ნახევარი თავი გადაიგდო და მე ნახევარი კაცის თავი მედებაო. მაგრამ მაშინ ლაგაზას რიგიანი პატრონი არა ჰყავდა, თორემ იამ რომ კაცის თავ-სისხლი ფიცით მოიშორა, ამ შემთხვევაში დაუმტკიცა წიქას, რომ ის იყო მამკლავი და სრული თავი ედებოდა მას. მერე ლაგაზას შვილი გაიზარდა. მან თქვა: წიქა რომ ნახევარ რიგს გვიყენებს, მამაჩემის ნახევარი თავ-სისხლი სადღა ვეძებოო. იამ რომ დაიფიცა, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ დანაშაული წიქას დაუმტკიცდაო. ადგა და, რაც რიგი აკლდა, ყველაფერი შეასრულებინა წიქას. თუ არა და, მეც მოვკლავ და ახლა მე უყენებ ნახევარ რიგსო.

როცა ლაგაზა მოკვდა, რადგან მას იას ნაჭრევიც სჭირდა, თუნდაც ეს ნაჭრევი სულ პატარა და უმნიშვნელო ყოფილიყო, მაინც ჭელჩასამრთაო ხუთი ძროხა უნდა მიეცა იას ლაგაზას ოჯახისათვის. ამასთან, იას ორ ადგილას აუჩინდა ლაგაზაის დაკრულ ნაჭრევებში შარი, რაც ღირდა ორჯელ თექვსმეტი ძროხა. ამაზე ყველაფერზე იმსჯელეს რჯულის კაცებმა. რადგან ეჭვი იყო, რომ იაის ნაჭრევმა მოკლა ლაგაზა და ამან ფიცით ტყუილად გადააბრალა წიქას, ამიტომ რჯულმა იას ორი შარის დრამა სულ დაუკარგა. მხოლოდ იას რომ ჭელჩასამართაო გაუდიოდა ხუთი ძროხა, რჯულმა ეს კი აღარ გააღებინა მას და საქმის საარდარაოდ გახდის გამო, ოცდაშვიდი ძროხა კი იასაც დაუკარგა, რომელიც მას ლაგაზაისაგან ერგებოდა ნაჭრევებში (შარი, თავშარი, ტვინზეით ძვალის ამოსვლა ეს ერთი და იგივე არის. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ხევსური სოფლის აქიმები ძვალს ამოაცლიდნენ თუ ის გაჭრილი ან გატეხილი იყო, ძვალის ძირზე და ტვინის თავზე აქვს გადაკრული ქაღალდის სითხო, რომელსაც ხევსურები ტვინის სკას ეძახიან, მარტო ეს სკა ფარავდა ტვინს. ჭრილობა რომ განიკურნებოდა, მაშინაც

ისევ ეტყობოდა ტვინის მოძრაობა. სწორედ ასეთი ჭრილობა იყო შეფასებული თექვსმეტ ძროხად). ჯვარში შუღლზე დროშა „გამახყუდეს" (ეს წესი იყო, რომ ჯვარში მაშუღლარები თუ ჯვარ-ჯვარისკარს არ დაღნათლავდნენ, მაშინ დროშას გადმოჰყუდებდნენ, ვინც არ დანათლავდა, იმის სამრისხველოდ. ეს ძალიან დიდ, ჯვარის რისხვას ნიშნავდა). ყველა მაშუღლარებმა დანათლეს ჯვარ-ჯვარისკარი თითო საკლავით. ვისაც შეეძლო სამანანულო ზღვენიც დაკლა. სამეშვლოები უმრავლესობამ დახოცა. მხოლოდ ჭიელმა მაჯიგათ იამ არც ჯვარ-ჯვარისკარი დანათლა და არც სხვა საკლავი რამე დაკლა. მან თქვა: მე რად დავნათლავ, განა პირველმა მე გავჭადე შუღლადაო. დროშა დარჩა მაჯიგაისშვილის სამრისხველოდ. მაამიზეზა ჯვარმა. დახდენ ყველანი ავად, ვინც იყო ოჯახში და კინაღამ დაიხოცნენ. მერე მკითხავებმა უმკითხავეს, გამაუვიდა გუდანის ჯვარის მიზეზი, საკლავები უფრო მეტი დახოცეს, დროშა წელგამოვლილი საკლავით დანათლეს და მედროშაემ მიაბძანა თავის ადგილზე და, მთხრობელის თქმით, ყველანი გამორჩნენ. მხოლოდ იას არ წაუვიდა კარგად საქმე, რადგან გუდანის ჯვარი მასზე ძალიან გამწყრალი იყო. ია დაავადდა და დიდხანს არ უცოცხლია.

აქიმად ყველა ნაჭრევიანებს დააყენეს სოფელ კარწეულთაში მცხოვრები სოფლის აქიმი გიგია მშაველასძე ლიქოკელი. გიგია ითვლებოდა კარგ აქიმად. ის ხმარობდა სამკურნალოდ ბალახის წამლებს. მთხრობელმა თქვა: ლაგაზამ პირველად სხვა აქიმი დაიყენა და ნაჭრევები იმისაგან მაეხიბლა. მერედა მოვიდა გიგიასთან და ნაჭრევები უკვე დაჩირქებული იყო, გიგიამაც ვეღარა უშველა და მოკვდა ლაგაზა. ის თუ თავიდანვე გიგიასთან ყოფილიყო, ნაჭრევები არ გაუფუჭდებოდა და ლაგაზა არ მოკვდებოდაო.

ნაჭრევიანები ორ ადგილას იყვნენ ჭინჭარაულები ყველანი გუდანში და არაბულები ბაცალიგოში. აქიმი ნაჭრევების დახვევას დილას დაიწყებდა, მზე რომ პირველად მოვიდოდა და საღამომდინ ძლივს გადარჩებოდა. მერე სხვა სოფელში წავიდოდა და მეორე დილით იქ დაიწყებდა ნაჭრევების შეხვევას. ნაჭრევებში დებდა:ჩ̈კანაფის თოკის ნაჭრევებისაგან დაშლილ-დაძენძილ სელებს თაფლში გაპოხილს. ჭრილობებს ბანდა თბილი წყლით და აყრიდა გამხმარ ბალახის წამლებისაგან აზელილ ფხვნილს. გარედან შეუხვევდა ფართლის პირებით, ამ ყველა ნაჭრევიანს ჰქონდა თავთავის სახვიელი. ერთით შეუხვევდა და მეორეს მეორე დილისათვის გარეცხდნენ გამთბარ წყალში და დააშრობდნენ. აქიმის გაუნათლაობა არ შეიძლებოდა, რადგან გუდანის ჯვარი ნაჭრევების განკურნვაში ხელს არ შაუწყობდა, თუ აქიმი განათლული და წმიდა არ იქნებოდა. ამიტომ ის თითო საკლავით ყველამ განათლა. აქიმს ყოველ ხუთ ძროხაზე სააქიმოდ ჰქონდა სამი ცხვრის დრამა. ამ ნაჭრევიანებისაგან აქიმმა მიიღო სამოცამდინ სანათლავის ტყავ-ხორცი და სააქიმო მრავალი, რადგან აქ ბევრი დრამა იყო ასატან-გასატანი.

ყველა ნაჭრევზე იცოდნენ, რამდენი დრამა ერგებოდა. შეიძლება მაშუღლარებს ნაჭრევების დრამა ერთიმეორეში გაებარათ. მაგრამ აქიმი მაინც ყველა ნაჭრევის ღირებულების მიხედვით დამჭრელს ართმევდა სააქიმოს და ამიტომ მას იმდენი სპილენძი მოუგროვდა, რომ საპალნეებით, ცხენებით მიჰქონდა სახლში.

მთხრობელს ახსოვს ის, რაც დიდი ნაჭრევები იყო, ვინ როგორ გარიგდა და ვისი საქმე როგორ დაბოლოვდა. წვრილი ნაჭრევები ყველა არ ახსოვს. ზოგი ჭმელ პატივითდმოსაშორები, ზოგი საკლავ-პატივით, ზოგი შინ მისვლით, ანდა მცირე დრამის მიცემით (შინ მისვლა ნიშნავს არაყის მიტანას და მტერთან სახლში მისვლას. შინ მისვლა კარგავს ხუთ ძროხა დრამას. არის შემთხვევა: ან გადაიხადოს ხუთი ძროხა, ან არყით შინ მიუვიდეს. ბევრი არ კადრულობს შინ მისვლას. მას შინ ხვეწნაც ქვიან. შინ არ ვეხვეწები და დრამას გადავიხდიო. უმრავლესობა ასე ფიქრობს და შინ მისვლის მაგიერ იხდიან ხუთ ძროხა დრამას). ამ შუღლის შემდეგ მოსპეს საკარგყმო, რადგან აქ თემი იყრიდა თავს, ითვრებოდნენ და, ხალხის გადმოცემით, მესამედ იყო ასეთი დიდი შუღლი გვარებს შორის. ამის შემდეგ საკარგყმო აღარ არსებობს გუდანის ჯვარში.

ბათურაისა და იმედას შუღლი

მიამბო და ჩამაწერინა ამავე ბათურა არაბულმა

ბათურა, როგორც ზემოთ ვოქვით, არის სოფელ ბაცალიგოდან არაბულების გვარიდან. იმედა ყაზბეგის რაიონში სოფელ ჯუთაში ცხოვრობდა. ჯუთაშიც არაბულები ცხოვრობენ და კიდევ მამებად იყოფიან. იმედა იყო თილილათ მამიდან. კაცი შარიანი და შუღლის მოყვარული. იმედას ახლო სახლისკაცები ჰყავდა ბაცალიგოსთან ახლო, ზეისტეჩოში (ბუდეხევსურეთში). აქ მათ გვარში ერთი ქალი გაუთხოვარი დაბერებულიყო, ოჯახში ყველანი დახოცილიყვნენ და ეს ქალი მარტო ცხოვრობდა. ხევსურეთის ცხოვრებაში რაც სიმდიდრედ ითვლებოდა, მას ოჯახში ყველაფერი ბევრი ჰქონდა (ამ ქალს სახელად ერქვა ძილუკა. სიმდიდრით ჭორიელელი ძილუკა სახელგანთქმული იყო. ზეისტეჩო კიდევ სოფლებად იყოფა: ჭალაის სოფელი, ორბეულთა, ჭორიელა და ესაჩუ). ამ ბაცალიგოს საბჭოში იყვნენ ქურდები. იპარავდნენ ყველა წვრილმანს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. წისქვილიდან ფქვილსაც კი იპარავდნენ, რაც ხევსურეთში ძალიან სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. აქაური ახალგაზრდები მეზობელ მთიელებშიც კი მიდიოდნენ და იპარავდნენ პირუტყვს, ეცემოდნენ მცხოვრებლებს და ტეხდნენ სახლებს. ასეთ ხალხში არც ძილუკას ცხოვრება იყო ადვილი. ხშირ შემთხვევაში სახლი მარტო რჩებოდა და ოჯახიდან პარავდნენ ნივთებს, ერბოს, ყველს და სხვა. როგორც ვოქვით, ის მდიდრად ცხოვრობდა, ძროხები ჰყავდა და ყოველწლიურად ერბო მიჰქონდა თბილისში გასაყიდად. იქიდან მოჰქონდა: ნოხები (ხალიჩები), ქვაბები და სხვა, რასაც ხევსური ქურდები ეტანებოდნენ და პარავდნენ. ერთხელ ძილუკას

სამფუთიანი კასრი მოპარეს ერბო, ე. ი. სამი ფუთი ერბო. ეჭვი ბათურაზე მიიტანეს, მთხრობელის თქმით ტყუილად (ბათურამ ისე მიამბო, რაზე მოუვიდათ შუღლი, მხოლოდ ჩაწერის ნება არ მომცა ამ ქურდობისა; მხოლოდ ჩემთან თავს იმართლებდა, ტყუილად დამაბრალესო. მე იმასთან არ ჩავწერე, მაგრამ შუღლის მიზეზი დავიმახსოვრე და აქ იწერება მოლიანად). კასრი მას ვერ უპოვეს, მაგრამ ეჭვით მაინც მას აბრალებდნენ. ძილუკას სხვა პატრონი არ ჰყავდა და იმედა იყო მისი ახლობელი. მან დაუბარა ბათურას: ეგ ერბო მიუტანე, უზღე ძილუკას, თორემ მე შენი მტერი ვიქნები და იცოდე არ შეგარჩენო. ბათურა უარზე იყო, მე არ მომიპარავსო და პირიქით, კიდევაც მუქარას უთვლიდა ცილისწამებაზე. იმედა ამ მუქარაზე უფრო გაბრაზდა და ელოდა ბათურას შეხვედროდა და სამაგიერო გადაეხადა შუღლით. ბათურას მარილი აღარ ჰქონდა და საჭირო იყო ყაზბეგიდან მოეტანა (ბუდეხევსურებს, გარდა არაგვის ხევსურებისა, ყაზბეგი უფრო ახლო აქვს, აგრეთვე არხოტს, ნავთის, მარილის და სხვა ასეთების მოსატანად). წავიდა ბათურა მარილის მოსატანად და წაიყვანა ჯორი. ჩავლაზე იმედამ ვერ ნახა (ყაზბეგისაკე მიმავალი გზა სოფელ ჯუთის ბოლოზე მიდის, იქ მიმავალი ხევსური ჯუთას, კარკუჩას, ახალციხეს და სნოს ვერ ასცდება, ამიტომაც აღნიშნული სოფლების მცხოვრებნი თამამობენ და ხევსურებს პატარა ნაწყენზედაც ემუქრებიან: ყაზბეგში ხომ გინდათ წამოსვლა, სად წაგვიხვალთ, სამაგიეროს იქ გადაგიხდითო). ამოვლაზე მარილით დატვირთული ჯორი დაიღალა, თან უღამდებოდა და ბათურა ჯუთაში მიბრუნდა დასადგომად. თვითონ მასპინძელთან მივიდა და ჯორი ბალახში დააბა. იმედამ გაიგო ეს ამბავი. ბათურას ჯორი ახსნა და შინ წაიყვანა. მეორე დილას ბათურამ გაიგო, რომ მისი ჯორი იმედას წაეყვანა. იცოდა მისი ჭკუის ამბავი, რომ ბათურა თუ მივიდოდა და ჯორს მოსთხოვდა, იმედა არ დაანებებდა და მაგარი შუღლი მოუხდებოდა. ამიტომ არჩია კაცის მიგზავნა, მიუგზავნა კაცი და მოითხოვა ჯორი. იმედამ შეუთვალა: ჯერ ძილუკას ჩააბაროს ერბოიანი კასრი და მერე თავისი ჯორი წაიყვანოსო. გაბრაზდა ბათურა და პირდაპირ თვითონ წავიდა იმედასთან. იმედას და იმის სახლისკაცს, ბაბოს, სტუმრები ყოლოდნენ და შინისაკენ გამართულიყვნენ. მათ სტუმრებისათვის არაყი გამოეტანათ ჭურჭლით და მიაცილებდნენ. ამ დროს ბათურაც მივიდა და გაბრაზებულმა შეუტია იმედას: „რაად წამაიყვანი ჩემ ჯორი, უპატრონო ხომ არ გეგონ?". იმედამ უთხრა: „შენს ჯორს ვეღარ ღნახავ, როგორც შენი თვალით შენებს ყურებს ვერ ღნახავ, მანამ ერბოიანს კასრს არ მიუტან ძილუკას". ახლა ბათურამ უთხრა წავიყვანო და თუნდა შენაც გაგაყოლებო. ამ სიტყვაზე იმედას სახლისკაცმა ბაბომ არაყიანი ჭურჭელი დაკრა თავში; ჭურჭელიც გატყდა და თავიც. ბათურას დაშნა ჰქონდა, ამოიღო და წინ იმედა მიეგება ხანჯარამოღებული. დააცვითეს ეთიმეორეს დაშნა და ხანჯარი, ისე მაგრად შეიბრძოლნენ, რომ მეშვლად ვეღარავინ მიეკარა. ხან ერთიმეორეს ხელდახელ შეუვარდებოდნენ, წაიქცეოდნენ, წამოდგებოდნენ, არც ხმას ამოიღებდნენ, ისე უქნევდნენ ერთიმეორეს იარაღს. მიდიოდა სისხლი ღვარად. ბოლოს ორივეს მძიმედ დაეჭრა ორივე ხელები, მოიქანცნენ კიდეც და ხანჯრებიც

ჭრილობების გამო ხელში ვეღარ დაიჭირეს და ორივეს ჩაუვარდა მიწაზე, რომ აღარაფერი შეეძლოთ. ორივენი დასხდნენ ერთიმეორის გვერდით. მაშინღა მივიდნენ მაშვლები, მაგრამ საჭირო აღარ იყო. მათ შუღლი აღარ შეეძლოთ. იმედამ მოითხოვა: ორივენი ჩემს სახლში წაგვიყვანეთო. შეუსხდნენ მხრებში და ორივენი მიიყვანეს იმედას სახლში. ბათურას იქ არაფერი ჰქონდა, მხოლოდ იმედამ პატივიც დასდო და საკლავიც დაუკლა. მორჩომის შემდეგ კი იმედამაც შეუსრულა ეს წესი. სოფელ ჯუთაში იყო ერთი სოფლური ექიმი მინდიათ შიშია (ეს ამბავი მოხდა მეფის რუსეთის დროს და მაშინ სოფლებში ექიმები არ იყო). მოიყვანეს შიშია და სთხოვეს აქიმად დადგომა. იმედას ორივე ხელზე თითო თითი სულ მოჭრილი ჰქონდა და სხვა თითებიც გადაჭრილი, სამი ნაჭრევი თავში სჭირდა. ბათურას ხუთი ნაჭრევი სჭირდა ხელებზე, ერთი ხელი სულ ჩავარდნილი ჰქონდა მაჯიდან. აქიმმა შეუხვია ჭრილობები. თავის ხელით ჭამა აღარცერთს შეეძლო, სხვები აჭმევდნენ და სხვები უვლიდნენ. ორივენი იმედას სახლში იყვნენ. ბათურა ძალიან ცუდად გახდა, რომ სიცოცხლე აღარავის ეგონა. იმედას მამას უოურგა ერქვა და ძალიან კარგი კაცი იყო. ძალიან სწუხდა უფრო ბათურაზე, მანამ თავის შვილზე. ადუღა ლუდი და სამეშვლოებიც დახოცა. ღამისთევები გადაიხადა ჯუთის წმიდა გიორგისა და ღალანგურ წმიდა გიორგისა. აგრეთვე ერთი სამეშვლო გუდანის ჯვარისად დაკლა. ამით ყველაფრით ერთნაირად ახვეწებდა, როგორც თავის შვილს, ასევე ბათურას. კარგა ხნის შემდეგ ორივენი გამორჩნენ, მაგრამ ორივენი გახაიბრდნენ. ბათურას ერთ ხელზე მუდმივად საფუჭარი აქვს, არაფრის გაკეთება არ შეუძლიან. იმედასაც ორივე თითი სულ დაკარგული აქვს და სხვა თითებიც დაზიანებული.

მორჩომის შემდეგ ბათურა წავიდა შინ და რჯული მეორე წელს ჰქონდათ. ორჯელ აიშალა რჯულის კაცები, რადგან ვერ შეთანხმდნენ. მესამედ მოიწვიეს სხვადასხვა კუთხიდან მაცოდარი კაცები. არხოტიდან ბაბოთ ბეწიკა, ბლოდან ალავერდათ აბიკა, როშკიდან ვეშაგური, ჯუთიდან გიგიტა და ზეისტეჩოდან ქორიათ გიორგი. ამათ გასინჯეს ნაჭრევები და ხევსურეთის რჯულის მიხედვით შეაფასეს. ბათურას ნაჭრევები შეფასდა ოცდაათი ძროხა, იმედას ნაჭრევები ოცი ძროხა. რჯულმა ოც-ოცი ძროხა ერთიმეორეში გააბარა, ათი ძროხა ბათურას ერგო იმედასაგან. ბათურამ ხუთი ძროხა აიღო და ხუთი ძროხა იმედაის მამას აპატია, უოურგას. ასე დამთავრდა მათი შუღლი, ხოლოთ ორივენი ხაიბრები დარჩნენ.

ხთისოს და ლევანის შუღლი

მიამბო ხთისო ვაჟუნასძე ჭინჭარაულმა სოფელ შატილში, 69 წლისამ

შატილ სტუმრად მოსული იყო სოფელ მუცუდან თათო დაიაური, სახელგანოქმული სოფლური აქიმობით. თათოს ცოლად ჰყავდა ვაჟუნათ ხთისოს დედიდა (დეიდა). ლევანის ძმას ბაჭყიას ჰყავდა ცოლად დაიაურთ ქალი, გუათ თამარი. იმჟამად ბაჭყია ცოცხალი აღარ იყო. თამარი სილამაზით თავმომწონე იყო და პირიქით-პირაქეთ სახელგანოქმული; ამიტომ ცოტას ამაყობდა კიდეც. თავის მაზლ ლევანთანაც შუღლობდა (ჩხუბი მოსდიოდა რძალ-მაზლს). თათო ძალიან წყნარი და ჭკვიანი კაცი იყო, ლევანი კი გადაჭარბებულად ანჩხლი. ლევანი თათოს ყვირილით ეუბნებოდა: „ეს თქვენ ქალი-დ ჩემ ზალ თამარ წაიყვანეთ, მააშორეთ, თორემ ერთ მონას საქმეს რას ჩამააგდებს! რას აკეთებს, აქ ამას წილ არა უძეს (თამარს აქ შვილი არ ჰყავდა და ამიტომ წილუდებს ეძახოდნენ და არც უნდოდათ ეს რომ აქ ყოფილიყო. თუ შვილი ჰყოლოდა კი, ყველანი პატივისცემით მოეპყრობოდნენ და ხათრს შეუნახავდნენ).” თათო წყნარად ელაპარაკებოდა, თამარი თუ აქ არ გინდათ იყოს, წამაიყვანე და მამისახლს ჩააბარეო. ლევანი ისევ უყვიროდა თათოს. ხთისოს ეწყინა მისი სტუმრისათვის ასეთი ყვირილით და უხეშად საუბარი (თათო ხთისოსთან იყო სტუმრად) და უთხრა: „რას დახყვირი, განა წყნარად საუბარს ვერ გაიგონებს, ან ამას რას ავალებ. თამარს ძმაი ხყავ, წეედი-დ იმას უთხარი”. ამაზე შეაყოლეს ლაპარაკი ლევანმა და ხთისომ და იშუღლეს. ლევანმა ამოიღო ხანჯარი და ხთისოს შუბლში დაჰკრა; მეორე ნიკაპზე დაჰკრა. ხთისომ ხელზე დაჰკრა ლევანს და ერთი თითი სულ მოჭრა. აქ იყო შატილიონი ნათელიზძეთ გიგია, რომელიც შუაში მეშვლად ჩაუვარდა. ხთისოს მოქნეული ხანჯარი ერთ მეშველს გიგიას მოხვდა ხელზე და დაიჭრა. გიგიამ არ იწყინა, მან თქვა: „შუღლში ბევრიდ რაიმ ხჭდების, რა უყოთ, ხთისომ განა გონობითა-დ გიზამოობით დამკრ”. თათო კი ხთისოს დასისხლიანების ნახვაზე ლევანისკე დაიზიდა ხანჯრით, მაგრამ მაშვლებმა დაიჭირეს. მოვიდა ხალხი და ერთმანეთს დააშორეს, აღარაფერი დააკვრიეს ერთიმეორისათვის.

მეორე დილას ატყდა კაც-შუაკაცი. ხთისომ ლევანს გაუგზავნა ჭმელი პატივი, ერთი აბაზი ფული, რადგან ნაჭრევი პატარა იყო და მეტი არ ერგებოდა. ლევანმა კი ხთისოს გაუგზავნა საკლავ-პატივი, რადგან ხთისოს ჭრილობები პირისახეზედ იყო. მორჩომის შემდეგ რჯული ქნეს. ხთისოს დაკრული ლევანის ნაჭრევი ცოტა იყო, ის სადრამე არ იყო. ხთისოს ნაჭრევებზე კი თექვსმეტ ძროხა დრამა დადგა. პირისსერზე (პირისახეზე) თუ პირველად სჭირს ნაიარაღალი, აქამდინ არ ჰქონდა პირისერი შარეული, მაშინ კილონ არ გადაიყრებიან. თუ პირისერ წინავაც ხქონდ შარეული, მაშინ კილონ გადაიყრებიან (რჯულის წესები აწერილი გვაქვს ხევსურეთის

რჯულის აღწერილობაში). ჭრილობას ძაფით რომ დაზომავდნენ, ძაფს სიპზე დადებდნენ და იმის სიგრძის ხაზს გაავლებდნენ. მარცვლებს აწყობდნენ, თითო მარცვალი ქერისა იქნებოდა და თითო ხორბლისა (იფქლი). რამდენი მარცვალიც დაეტეოდა, დამნაშავე იმდენ ძროხა დრამას უხდიდა დაზარალებულს. როგორც ვოქვით, პირველად შერეულ პირისსერზე კილონი არ გადაიყრებოდნენ. რამდენი მარცვალიც დაეტეოდა, მოლიანად ითვლებოდა. თუ მეორედ, ან უფრო მეტჯერ იყო სახეზე დაჭრილი, მაშინ კილონი ე. ი. ნაპირებიდან ორი მარცვალი გადავარდებოდა და ნაჭრევის სიგრძის ოდენობას ორი ძროხის ანგარიშით აკლდებოდა დრამა და, რაც დარჩებოდა, დამნაშავე დაზარალებულს უხდიდა იმდენ ძროხას.

როგორც ვოქვით: ხთისოს პირისსერი პირველად შაერია და კილონი არ გადაიყარნენ. ნაჭრევების სიგრძეზე დაეტია თექვსმეტი მარცვალი და ლევანს თექვსმეტი ძროხა უნდა მიეცა ხთისოსათვის. ნახევარი ფეჭითი და ნახევარი ჭელითი. ლევანმა საარაყე გამოსწურა, დაიბარა რჯულის კაცები. რჯულის კაცებმა საქონი გადაფასეს – რვა ძროხა ფეჭითი და რვა ჭელითი. წაიყვანეს ლევანიც და ხთისოსთან მივიდნენ. ხთისო ძალიან კარგად შეხვდა, ერთი სიტყვა სამდურავიც არა თქვა; მარტო შუაკაცებს გადაუხადა მადლობა წვალებისათვის, ათი ძროხა აიღო და ექვსი ძროხა აპატივა ლევანსაც და რჯულის კაცებსაც. არაყი დალიეს, ხთისო და ლევანი ხუცესმა გიგიამ აძმობილა ფიც-ვერცხლით და ამის შემდეგ მათ შორის შური და შუღლი აღარ ყოფილა, ერთიმეორეს ძმებსავით პატივსა სცემდნენ.

გეჯურას და თოთიას შუღლი

ჩამაწერინა ბადიათ თოთიამ სოფელ გუროში, 63 წ.
გვარად გოგოჭურმა, სუკიათ მამისამ

ათენგენა ყველა ჯვარებში იციან. ეს დღეობა მოდის მკათათვეში და ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ხევსურები საზღვნელად. გუროს ჯვარში ათენგენა იყო და ხალხი მთვრალი. გეჯურა და თოთიაც მთვრალები იყნენ. ამ დროს ერთი არხოტიონი კაცი ბაჭა და თოთია გეჯურამ აწივნა ჯვარშიითა-დ წაიყვანა შინ. გეჯურა კარგად დაუხვდა, არაყიც დაალევინა და სიმთვრალეს კიდევ დაუმატეს. გეჯურამ დაუწყო გინება სტუმრებს. სტუმრებმა პირველად მოუთმინეს. სუიკათ მამაში ერთი ქალი იყო კოჭლი, ხაიბრობის გამო არ გათხოვილიყო და შინ შამაბრუნვილი იყო. კაი ნამუსიანი და მამისახლისათვის პატივისმცემელი, ამიტომ მამისახლსაც უყვარდა. გეჯურამ ეს იცოდა და გასაჯავრებლად თოთიას კოჭლი ქალი შეუგინა. თოთიას ეს ეწყინა და სილა დაჰკრა გეჯურას. გეჯურამ ხანჯარი ამოიღო და მოუქნია, თოთიამ ხანჯარივე შეუფარა და აიცდინა. თოთიამ გეჯურას შუბლში დაჰკრა ხანჯარი და დიდი ჭრილობა მიაყენა. გეჯურა აქ დარჩა და თოთია მეშვლებმა წამაიყვანეს. გეჯურამ თოფი აიღო და თოთიას სამჯერ

ესროლა. ტყვია ახლო მოდიოდა, მხოლოდ ეტყობოდა, დასაკრავად არ ესროდა. თოთიაც შევარდა სახლში და თოფი გამოიტანა. ამ დროს აქ აღარავინ იყო, წამოვიდა და გეჯურას გზაში ჩაუსაფრდა, ადგილობრ სანიაგორზე. გეჯურაც მარტო დაინახა. ახლა თოთიამ ესროლა სამი ტყვია. გეჯურა თოფის სროლაზე შეკრთა და ქვებს ამოეფარა. გეჯურა რომ ქვას ამოეფარა, თოთიამაც სროლას თავი დაანება. გეჯურა საფარიდან გამოვიდა და პირდაპირ თოთიასაკენ წამოვიდა. თოთიაც გამოვიდა საფარიდან და მოვიდა გეჯურასთან. თოთიამ შემოყენებული თოფი მიუბრუნა გეჯურას, გეჯურას თავი ეჭირა, მაგრამ მაინც შეკრთა და უთხრა: ბიჭო რას შვრები, თოფი არ დამკრაო. თოთიამ უთხრა: ეგ თოფი გადააგდე, თორემ შამაყენებული თოფი მაქვს, ვაზნა ლულაში არის, თითის მოდების მეტ არა მინდა-დ ამანდავ დაეცემი და მახკვდებიო. გეჯურამ თოფი გადააგდო. იშიშვლეს ხანჯრები და შეიყარნენ საშუღლაროდ. თოთია გეჯურას ამკლეებდა; ეს დაინახა გეჯურას ძმამ, ივანემ, ამოიღო ხანჯარი და თოთიას მკლავში მაგრად დაჰკრა და გადაუჭრა მკლავი. მოუბრუნდა თოთია და ორი დაკრა თავში, ჭრა ორ ადგილას. სუიკათ ქერხოსანათ თავი ეკიდა. ერთი ქერხოსანათ მამის კაცი იყო ამათ შუღლში და ამეშვლებდა მაშუღლარებს. ამ კაცს სახელად ზვიადი ერქვა, ბათაკაის შვილი იყო. გეჯურაისად მოქნეული თოთიას ხანჯარი მოხვდა და ზვიადი დაიჭრა. რადგან თავ-მეთავეები იყვნენ, თოთიას იარაღით ზვიადის ჭრას შეიძლება თოთიას მოკვლა მოჰყოლოდა. მაგრამ ზვიადი ჭკვიანი კაცი იყო და არაფერი თქვა. მან შემკრთალ თოთიას უთხრა: ნუ გეშინიან, მაშვლობაში ბევრი რამე ხდება, ეს შენ გიზამაობით არ დამკარ და იმიტომ მე გაპატიებო. ზვიადის დაჭრაზე თოთია ძალიან წუხდა, მაგრამ თვითონ ზვიადმა დაამშვიდა. როგორც იქნა მაშუღლარები გაამეშვლეს და წაიყვანეს თავ-თავის სახლებში. მაშინვე აუტყდა კაც-შუაკაცი. პირველ რიგში თოთიამ ქერხოსანათას წააყვანინა ერთი საკლავი და პატივი. მერე გეჯურას გაუგზავნა და ივანესაც საწინწინაო ჭმელი პატივები, სამ-სამი ვაზნა ბერდენკისა. გეჯურამ მას გამოუგზავნა ერთი ცელის ნალევი. ეს იმისათვის იყო, რომ კაცი როცა პატივდადებულია, მაშინ გზაში რომ შეიყარნენ, აღარ იშუღლებენ. ერთიმეორეს შეიძლება ხმა არ გასცენ, მაგრამ არ იშუღლებენ კი. მერე აქიმი მაიყვანეს შატილიდან, გუგუა, და ნაჭრევებს იმან დაახვივა. ნაჭრევები მძიმე აღმოჩნდა. გეჯურას პირისსერზე სჭირდა და თოთიას საუჭმრო სჭირდა მკლავში. ამ ნაჭრევებისთვის მარტო ჭმელი პატივი არ შეიძლებოდა. ორივეს ეკუთვნოდა საკლავ-პატივი და მიუყვანეს კიდეც ერთიმეორეს. გუგუა ნაჭრევებს აყრიდა ბალახის წამლებს. წყალს პირში ათბობდა, პირით ასხამდა ნაჭრევზე და ისე ბანდა მათ. ჭრილობებში ჩირქი გაჩნდა, გუგუა ჩირქსაც პირითვე სწოვდა და პირიდან გადმოღვრიდა. მერე ნაჭრევს კარაქით მოპოხდა, ჩასდებდა შიგ კანაფის სელებს და შეუხვევდა ძველი, ჭუჭყიანი ფართლის ნაფლეთებით. ამიტომ დაუჩირქდა ჭრილობები და სიკვდილს ცოტათი გადარჩნენ. გუგუას ბალახის წამლები კარგი

ჰქონდაო, თქვა მთხრობელმა, თორემ ორივენი დავიხოცებოდითო. წამლებს ის მოკრეფდა მზექცევამდინ. მზექცევიდგე მოკრეფილი წამლები არ ვარგა.

როცა ჭრილობები გაიკურნა, აქიმ გუგუას თოთიამ მისცა ხუთი ჩარექი სპილენძი სააქიმო. გეჯურამ მისცა ათი ჩარექი, რადგან გეჯურაის ძმის და გეჯურაისგან საუჭმრო ნაჭრევები სჭირდა თოთიას და მოსარჩენად ძნელი იყო. სააქიმოს იხდიდა დამჭრელი და არა თვითონ ნაჭრევიანი თავის თავზე. ეს ყველაფერი მოთავდა, სააქიმოც გაისტუმრეს. ახლა შუაკაცებმა შეუყარეს რჯულის კაცები. რჯულის კაცებმა ჯერ გეჯურა აჩივლეს, მისი პირისახე დაზომეს და დაიწყვეს მარცვლები. გეჯურაის ნაჭრევი დადგა ხუთი ძროხა. თოთიაის მკლავი – ცხრა ძროხა, რადგან ნაწილობრივ იყო გახაიბრებული. ივანესი და სხვა ნაჭრევები სადრამე არ იყო. ხუთ-ხუთი ძროხა ერთიმეორეში გაბარეს და ოთხი ძროხა დაედო გამოსაღებად გეჯურას. ის ღარიბი კაცი იყო და დრამა არ ჰქონდა. გაუხდა საქმე სამამულედ და თოთიას ოთხ ძროხაში მისცა ოთხი წერის ყანა (მამული). მიუვიდნენ ერთიმეორეს არაყით და საბოლოოდ დარიგდნენ.

თოთიას რომ ქერხოსანათ ზვიადი შემოეჭრა, ჭრილობა სადრამე ვერ იყო, მაგრამ, რადგან მამკლავ-მამკვდრები იყვნენ, ხუთი ძროხა დრამა დაადვეს თოთიას ქერხოსანათად მისაცემი. ერთი ჭურჭელი არაყი და საკლავ-პატივი. კაცებმა გადაფასეს დრამა. ზოგი სპილენძი იყო და ზოგი ფარდაგები. წაიყვანეს თოთიაც, არაყიც მიიტანეს და მივიდნენ ზვიადისთან. ზვიადი შინ მისულებს კარგად დაუხვდა. ორი ძროხის დრამა ისევ დაუბრუნა და სამი ძროხის დრამა კი აიღო.

მიამბო ისევ თოთია გოგოჭურმა სოფ. გუროში

მეშეშენი ვიყვენით (შეშის მომტანი მუშანი). თოთია არის სუიკათი და ამავე სუიკათ ერთ-ერთი კაცი, თაველეაქათ ბიძურა, მთვრალი იყო და სულ ტყუილად ხან ვის შარობდა, ხან ვის. არავინ არ აჰყვა და ბოლოს თოთიას სილა შემოჰკრა. ფხიზელი არც თოთია იყო, ამოიღო ხანჯარი და ბიძურას გაუქანა წვერით. ბიძურას ასცდა და ამათვე შორიულ მოგვარეს ბათაკათ მამის კაცს, ჩონქარათ აპარეკას ბარკალში მოხვდა და გაუხვრიტა. თოთია სადარათ მამიდან არის, საერთოდ კი სუიკანი არიან ყველანი. სადარათ ეკიდა ბათაკათ თავი. თოთიას რომ აპარეკა შემოეჭრა და ამათი თავი ემართა, ეს ადვილი საქმე არ იყო. ამაზე სულ ადვილი მოსალოდნელი იყო ბათაკათაგან თოთიას მოკვლა და უთხრა კიდეც აპარეკას: მომკალი – სჯობია ამის შემდეგ ჩემს სიცოცხლესაო. აპარეკა ძალიან ჭკვიან-გონიერ კაცი იყო და უთხრა: იშობარი მოგივიდა, არ მოგკლავ. გაშორდი აქაურობას, ჩვენებმა არ მოგისწრონ, თორემ მოგკლავენ და მეცოდებიო. აპარეკას სიტყვას დაემორჩილა და თოთია შინ წავიდა. გაიგეს ეს ამბავი აპარეკას ძმა-ბიძაშვილებმა, აიღეს იარაღი და თოთიას

სახლს სროლა აუტეხეს. ამათი გარეთ არავინ გამოვიდა და გადარჩნენ. ბათაკანიც მეშვლებმა დაიჭირეს და წაიყვანეს შინ. აპარეკა საკაცით წაიყვანეს. თოთიამ როგორც მეთავემ (მოსისხლე) ერთი საკლავი მაშინვე წააყვანინა აპარეკასთან და იმის ძმა-სახლისკაცებთან. ეს იმიტომ, რომ კაცის თავი ემართა და ახლა კიდევ ამისი ხელით იმათ კაცის დაჭრა და მათი სისხლის დაღვრა არ შეიძლებოდა. ამ საკლავის გარდა საკლავ-პატივი სხვა გაგზავნა. აპარეკა ძალიან მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. დააყენეს აქიმად ადგილობრივი კაცი, ბერდია გოგოჭური. ის წამლად ხმარობდა ჯიხვის ნაუღველს (ნაღველი), სხვა წამალი იმას არაი ჰქონდა. რკინის (თუჯის) ერაწში (ერაწი პატარა ქვაბი) წყალს გაათბობდა, ნაჭრევზე თბილ წყალს დაასხემდა და ხელით მობანდა. ერთი კვირის შემდეგ ფეხი სულ დასივდა და დაჩირქდა. ვინ იცის რამდენგან დაჭრა აქიმმა დანით და გამოუშვა ჩირქი. ბათაკანი მზად იყვნენ ან თოთია ან იმათი ახლობელი ვინმე მოეკლათ, მანამ აპარეკა მოკვდებოდა და ისინი მიიმალებოდნენ. მისი სიცოცხლის (აპარეკას მორჩენის) იმედი კი არავის ჰქონდა და ამიტომ ცდილობდნენ მის სიცოცხლეშივე ვინმე მოეკლათ და მას გაეგო, რომ მტერზე შური იძიეს. მაგრამ სადარანი ძალიან ფრთხილად იყვნენ, სოფელში დღისით გარეთ არ გამოდიოდნენ. მკითხავებმა ბევრი სამეშვლო დაავალეს. პირველ რიგში, თოთიამ სამეშვლოდ გუროს ჯვარებში დახოცა ვერძები. ერთი დაკლა სახმოოში და მეორე გმირ კოპალაში, ესენი ორივე გუროელთ სალოცავებია. რასაც დაკლავდა, ნახევარ ხორცს აპარეკას უგზავნიდა – ქნება ახალ ხორცსთან პური როგორმე ჭამოს და მოღონიერდესო. ხევსურეთში ამბობენ: ნაჭრევიანს თუ ხორცი აქვს საჭმელად, ნაჭრევი ადვილად იკურნებაო. ერთი საკლავი წმიდა გიორგიში დაკლა (ესეც გუროელთავე სალოცავია), ერთი კიდევ ცროლურისად დაკლა (ცროლური, უფრო უკანჭადუს სალოცავად ითვლებოდა, მაგრამ სხვადასხვა ადგილების მცხოვრებნიც ზღვნობდნენ, ამბობდნენ, მაგას შეუძლია ყველა გაჭირვებიდან დაიხსნას კაცი, რადგან სანება ყველა სალოცავების თავი არისო და ამიტომ ბევრ რამისათვის ეხვეწებოდნენ მას (ავადმყოფის მორჩენა, ფათერაკის გადაგდება – აცდენა ფათერაკისა. უშვილოები ზღვნობდნენ იმიტომ, რომ ცროლურს ბედი მიეცა და შვილი ჰყოლებოდათ და სხვა). ცროლს წასვლის დრო მაშინ არ იყო, მერე იქ წელიწადში ერთხელ იცოდნენ დღეობა და ამიტომ ცროლურისად აქვე დაკლა სამეშვლო. ერთ საკლავზე უჩანგა დადო – ჭკდე ქნა ჭაჭმატის ჯვარისად, რომ წავიყვან და სამეშვლოს დავკლავო. ერთი საკლავის უჩანგა შატილის მთავარ ანგელოზისად დადო, იქაც წაიყვანა და სამეშვლო დაკლა (შატილის ხევსურები უჩანგას ამბობენ და არხოტში მუჩანგა, ხეზე დაუჭკდევენ და პირობას დადებენ, თუ ეს ავადმყოფი მორჩება ან სხვა რამე სათხოვარი თუ აქვს და ეს შესრულდება, ერთს საკლავს მიუყვანენ, რომელ ჯვარსაც უჩანგას დაუდებდნენ), ღამეც გაუთია შატილის მთავარ ანგელოზში. სახმოოს ქნაზე

დადო უჩანგა, სახმოო გადაიხადა, ლუდი ადუღა, ერთი ვაცი დაკლა და ერთი ვერძი. სახმოო გადაიხადა აპარეკას მორჩომის შემდეგ და აპარეკაც სახმოოში მოიყვანა.

აპარეკა შვიდი-რვა თვეს იწვა და მერე მომჯობინდა, გაიკურნა ჭრილობები. მერე შუაკაცებმა რჯულის პირობა შეუკრეს, რადგან თოთია მათი მეთავე იყო, ამიტომ ერთი რჯულის საკლავი გაუგზავნა, უსაკლავოდ რჯულში გასვლას ვერ მოითხოვდა. შეიყარა რჯულის კაცები. რჯულში ყოველთვის დაზარალებული ჩიოდა პირველად. აქაც პირველად ბათაკათ იჩივლეს. აპარეკამ თქვა: „ეს ჭრა-ჭრილობა ჭევსურეთს მაუდის, ეს არაი ას საკვირველი. მეშვლობაში კაციც კვდების, მაგრემ ჩვენს თავს საკვირველ ისი ას, რომ მაგათ ჭელით ჯერ ერთხან დაიღვარ ჩვენ სისხლი-დ მაკვდ კაცი. მაგათ ჩვენ გვერდი არც უნდა ეშუღლა-დ არც იარაღ უნდა ამაეღ, ისიც გაბედა-დ, ხო ხედევდ, მე ვამეშვლებდი-დ იქ ვიყავი, რადარ გაუმთხილდ იარაღს, რადარ იფიქრ, ეს ვინ ასავ აქავ, ეს იარაღივ გონთ ვიჭმარავ, მე ამათთან ბრალი მძეს, ამათ სისხლით ჭელნი გვქონ დაბანილნიო-დ ამას არა მახვდასავ, თორე ამის ნება ამათთან არ მაქვაო-დ ბოლოს გამწარდებისავ. მესისხლეობაში ესეთ მამჭდარ საქმეზე ოცდაათ ძროხაი ას ჯურუმი. დანარჩენ დრამაი”.

მერე აჩივლეს თოთია. თოთიამ იჩივლა: „მე ბათაკათან სიტყვა არ მაქ. რასაც იტყვიან, ყველას შავასრულებ, ხოლოთ რჯულის კაცებს ვსთხოვ, რო იმას გაუწიონ ანგარიშ, რომ მე ეგ იშობრად მამიჭდ. მე განა ქვე მინდოდ ეს საქმე მამჭდომიყვ. მემრ სრუ უბრალოდ გამხვივ ამ ხათაბალაში თაველექათ ბიძურამ. ჩემდ რო იმას არ შამაეკრ, მე ამ საქმეში არცაით გავეხვეოდი. რჯულის კაცებმა ეს საქმე აწონ-დაწონეს და გაარჯულეს შემდეგი: ამ რჯულში მონაწილე იყვნენ ოთხნი კაცი, რომლებსაც ბათაკათ თავი ემართა: 1. თოთია, 2. აბა – თოთიას ბიძაშვილი, 3. ოდინა – გიც ბიძაშვილი და 4. ბიძურა – ესეც ამათივე სახლისკაცი. რჯულის კაცებმა გადაწყვიტეს ოცდასამი ძროხა ჯურუმი. ექვსი ძროხა ბიძურას დაადვეს, ექვსი – აბას, ექვსი ოდინას. რადგან თოთია პირველად არ იყო დამნაშავე და ამ ხათაბალაში გაეხვია, ამას დაადვეს ხუთი ძროხა ჯურუმი და ხუთმეტი ძროხა ნაჭრევის დრამა. რჯულის კაცებმა ამ დრამას სულ ეროგან მოუყარეს თავი. აწონეს, შეაფასეს. თოთიამ გაიღო ერთი ხარი და ერთი ფური, დანარჩენი დრამა, ფარდაგ-გუდანური (ტყავ-საღამოსაც უწოდებდნენ) სულ ოცდათვრამეტი ძროხა დრამა მიუტანეს აპარეკას, ერთი ქინთი არაყი და ერთი საკლავი კიდევ. რჯულის კაცებმა ეს საქონი რო ჩააბარეს, დამნაშავე პირებიც მოიყვანეს აპარეკასთან, საკლავი დაკლეს, მოტანილი არაყიც დალიეს და საბოლოოდ შერიგდნენ. მხოლოდ ძველი თავ-სისხლი დარჩა ისევე, როგორც იყო. ისევ რიგს უყენებდნენ ხევსურეთის რჯულის მიხედვით. აგრეთვე სადაც იმათ მამის კაცს შეხვდებოდნენ სმაში, ლუდიანი თასი იქნებოდა თუ არაყიანი ყანწი, პატივად გაუგზავნიდნენ. ბათაკათ მამაში თუ ვინმე მოკვდებოდა, ერთ საკლავს

გაუგზავნიდნენ. სადაც ბათაკანი იყვნენ, იქ სადარანი ვერც იშუღლებდნენ, ვერ იმღერებდნენ და ვერ ითამაშებდნენ. თუ ვინმე მათ აწყენინებდა და ბათაკათ ხათრით ესენი ვერ იშუღლებდნენ, მაშინ სამაგიეროდ ბათაკანი შუღლობდნენ. ეს ჩვენის ხათრით არას გეუბნება და შენ უშუღლოდ უჭდიო.

თოთიამ აქიმ ბერდიას ჩააბარა სააქიმო სამის ძროხის ანგარიშით. ორის წერის ყანა და ერთი სპილენძის თულუხი. აპარეკამ თოთიასაგან ხუთმეტი ძროხა აიღო და ხუთი ძროხის დრამა უკან დაუბრუნა. აქიმს ერთი სანათლავი მისცა თოთიამ, ხარი და ფური კი არ დაუბრუნებია; დაუბრუნა სხვა დრამა.

მიამგო თოთია ბადიასძე გოგოჭურმა სოფელ გუროში

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ სუიკათ ემართა ბათაკათ თავი. კაცი ჰყავდათ მოკლული და რიგს უყენებდნენ. როცა მოხდა ხევსურეთის საერთო ყრილობა და დაადგინეს რჯულის შეცვლა ზოგიერთ რამეში, მაშინ დაადგინეს, რომ ძველი თავი უნდა გათავდეს დრამით და სადუღრით (ამაზე ნათქვამია ხევსურეთის რჯულის აღწერაში). ამ ახალი რჯულის მიხედვით, სუიკათაც გაათავეს თავი ბათაკათან. თავის გათავების შემდეგ ერთიმეორის მიმართ მოსისხლეები რჩებოდნენ სხვა ჩვეულებრივი მოქალაქის მდგომარეობაში – არც ხათრი, არც პატივის მიცემა, შუღლიც შეიძლებოდა ერთიმეორესთან, არც ჯურუმი, არც წყენა – ჩემთან არ ეკუთვნოდა, რატომ იშუღლა ჩემთანაო.

ასე იყო გათავებული სუიკათ და ბათაკათ თავსისხლი: ლუდი ადუღეს, დრამა აიღეს, ყველა წესი შეასრულეს და გასწორდნენ. მოკლულის უფრო ახლოელი იყო კირკილა და მისი შვილები ისე დარჩნენ, არც მტრად და არც მოკეთედ. თოთია შატილში წავიდა, შინ არ იყო და ამ დროს ახალგაზრდებს, კირკილაის შვილსა-დ თოთიაისშვილს მოსვლიყო შუღლი. თოთიაისშვილს კირკილაისშვილისათვის ეცა ღაჯიაით და ერთ ადგილას სათითის (ღაჯიაის) კბილი შარამდინ დასულიყო. ამ შუღლიდან გაამეშვლეს. საღამო ხანზე თოთიაიც მოვიდა. კირკილაისშვილი თოთიას დაეტივა ხანჯრით საჭრელად, მაგრამ თოთია სწრაფი კაცი იყო, შუღლში გამოცდილი; ამიტომ მანვე დაასწრო და მაგრად დაჰკრა ხანჯარი თავში, თოთიას კი ვეღარაფერი დაჰკრა. კირკილაისშვილი შეწუხდა, შეიქნა მძიმე ავადმყოფი. აქიმად მოუყვანეს არჭილოელი ფაშქოშა. სათითის კბილის ჩანავარდნი დაუჩირქდა. დაჩირქდა ნახანჯრალი ნაჭრევიც. ფაშქოშა აყრიდა ჭრილობებში ბალახის წამლებს და პოხდა კარაქით, ჭრილობას გამთბარი წყლით ბანდა. ძვალი ჩირქმა დაცხრილა და აქიმმა სულ ამოიღო ორივე ჭრილობის ძვლები ტვინიდან. ორივე ჭრილობაში შარი აჩნდა. ბევრი იწვალეს, სამეშვლოები დახოცეს გუროს ჯვარებში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩირქის დენა შეჩერდა, დაზიანებული ძვლებიც ამოილია და გაიკურნა

ჭრილობები. აქიმმა ერთი თოხლი სანათლავად წაიყვანა და, ერთი ძროხის ანგარიშით, ოცი საწყავი ქერი წაიღო. რჯულმა ორი შარის დრამა – ორჯელ თექვსმეტი, ე.ი. ოცდათორმეტი ძროხა დააფასა და თოთიამ გადაუხადა ნახევარი ფეჭითი, ნახევარი ჭელითი (ბუდე ჭევსურეთში, დრამაში ფეჭითი არ იყო. არხოტში და შატილის ე.ი. მთასიქითში ფეჭითს ურევდნენ დრამაში). სასმლით თოთია აღარ მიუვიდა და დრამიდან არც დაუბრუნებია რამე, სულ მოლიანად აიღო კირკილაისშვილმა.

გუროელ გეჯურაისა და ოჩიაურ გიგიაის შუღლი

მიამბო მანვე, თოთია გოგოჭურმა, სუიკათ მამისამ, სოფელ გუროში

შატილში იყო ერთი სახელოვანი კაცი ბაბღია ჭინჭარაული. მას ჰყავდა სამი ქალი და ერთი ვაჟი. ვაჟი ახალგაზრდავე უცოლშვილო მოკვდა. დარჩა მარტო ქალები: ლელა, ყამარი და ძილო. ეს კაცი კაი მცხოვრები იყო და ქალებიც ვაჟებივით აღზარდა. თან სილამაზეც მეტისმეტი ჰქონდათ ამ ქალებს, ამ მხარეში სწორი არ ჰყავდა არცერთ დას სილამაზით. ეს ქალები სამივენი გუროში გათხოვდნენ. ლელას ქმარი ადრევე მოუკვდა და მერე არხოტში გათხოვდა ოჟიათ გიგიაზე, გვარად ოჩიაური, საჩინათ მამისა. არც ამ კაცს ჰყავდა არხოტში ცალი. რაც კი ხევსურეთში ვაშკაცის სიკეთე იოქმება, გიგია ყველაფრით იყო დაჯილდოვებული და ცოლიც კარგი შეხვდა. მეორე ქალი, ყამარი, გუროში ჰყავდა გეჯურა გოგოჭურს. მაგრამ ყამარს ეს კაცი არ მოსწონდა. ეუბნებოდა: მე შენთან ვერ ვიცხოვრებ, თავი დამანებე, რომ მამის სახლში წავიდეო. რატომ არ უნდა იცხოვროო, ის ძალით აჩერებდა, მე რა მჭირს შენი საწუნელიო. ხევსურეთში ვიდრე ქმარი არ ეტყოდა წადი, სადაც გინდა გათხოვდიო, მანამდინ ფეხს ვერ გადადგამდა ქმრის სახლიდან; თუ გაიპარებოდა, ამას მოყვებოდა შუღლი, ჭრა-ჭრილობაც და სიკვდილიც – ქალისთვის ხელ-ფეხის მოჭრა-გახაიბრება, ცხვირის მოჭრა, პირისახეზე დაჭრა-დამახინჯება და სხვა. ყამარი შეიძლება გეჯურასთან ცხოვრებას შეეგუებოდა, მაგრამ გული სხვაგან ჰქონდა. მას მოეწონა სიძე დიდიაის შორიული სახლისკაცი გიორგი (მეტსახელად გერგეტელი) ოჩიაური, ქალიელთ მამისა. თავისი სიძე გიგია და თავისი და ლელაც უწონებდნენ გეჯურასათვის გაყრას და გერგეტელისად გამოყოლას. ეს ამბავი გეჯურას ყურამდინ მივიდა და ამიტომ უფრო აღარ ანებებდა ყამარს თავს. თუ აქედან წახვალ, არც შენ გაგიშვებ ცოცხალს და არც შენს წამყვანსაო – ეუბნებოდა გეჯურა. ყამარი ეუბნებოდა: მე არ გავთხოვდები, ნეტავინ შენზედაც არ გავთხოვილიყავ, მოხუცი დედ-მამა მყავს და იმათ უნდა მოვუაროო. ქალმა მაინც თავისი გაიტანა და გაექცა გეჯურას. ბოლოს გეჯურასაც მობეზრდა ამდენი ამბავი და ყამარს თავი დაანება. მხოლოდ სოქვა: გერგეტელს ნუ წაყვება, თორემ ქმარსაც მოვუკლავ, თავადაც

მოვკლავო. ვაშკაცს თუ თავი მოსწონს, ასეთ შემთხვევაში წაიყვანს და მერე რაც მოხდეს, მოხდესო. თუმცა გეჯურაის მტრობა ადვილი არ იყო, მაგრამ გერგეტელმაც ასე გადასწყვიტა: ყამარს კი წავიყვან და მერე ვიბრძოლოთ, როგორც გეჯურას უნდაო. ადგა გერგეტელი და ყამარი მოიტაცა. არხოტი ისეთ ადგილას არის, რომ იქ მტრისათვის მოყოლა ან მოკვლა თითქმის შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ არხოტივნებს და იმათ მეზობელ მთიელებს, ღილღვლებს, დაუსრულებელი მტრობა ჰქონდათ. ამ ქისტების შიშით მისასვლელ გზებზე ღამ-ღამობით ყარაული იდგა. ერთი ხმის გატეხა და შეიარაღებული ხალხი იქ მოიყრიდა თავს და მოსულ მტერს იქვე მოკლავდნენ. ამ უხერხულობის გამო გეჯურა არხოტში ვერ მიდიოდა სამტროდ. მხოლოდ დროს ელოდა, ან გიგია შეხვედროდა, ან გერგეტელი. ის ამბობდა: ეგენი ჩემთვის სულ ერთია რომელიც უნდა იყოს. გიგია რომ არ ყოფილიყო, ეგ გერგეტელი არ გაჰყვებოდა; მეორე ის, რომ ერთიმეორის სახლისკაცები არიან, ჭირ-ლხინიც ერთი აქვთ და სახელ-სირცხვილიცაო. ბოლოს გიგია და მისი ცოლი ლელა შატილში ლელას მამისახლში წავიდნენ. ბაბღია და ისინი რადღაცა გუროში წამოვიდნენ. გიგია გუროელთ დისწული იყო და ალბათ დედულეთსაც უნდოდა წასვლა. ერთ ადგილას კლდის თავზე გადიოდა ვიწრო ბილიკი და ბოლოზე ძალიან მაღალი კლდე იყო. სწორედ ამ ადგილზე შეხვდა გეჯურა. მან მაშინვე დაუძახა: ვნატრობდი და კაი ადგილასაც შეგხვდიო. ჩემ ჭელნი შენ არ გიშველენ, მაედი-დ ოჟიაისშვილიც აქ დაგხვდებისო, უთხრა გიგიამ და მოუქნია ხანჯარი. გეჯურამ ხანჯარი შეუფარა და აიცდინა. თვითონ კი გიგიას ხელზე დაკრა და დაჭრა. შეიბრძოლნენ მაგრად. სამ-სამ, ოთხ-ოთხი ნაჭრევი დამართეს ერთიმეორეს თავში, ხელებზე, პირისახეზე. გეჯურა ისე იყო გამწარებული, რომ კლდისაკე მიიწევდა, უნდოდა ორივენი იქ გადაყრილიყვნენ. მაგრამ გიგიამ უთხრა: მანდ რომ მიიწევ გადავარდები, თუ ვაშკაცი ხარ აქ დადეგი და ვიბრძოლოთო. დიდხანს იბრძოლეს, უქნევდნენ ხანჯრებს ერთიმეორეს და ხანჯრებსავე უფარებდნენ. ისე დაიჭრა ხანჯრების ფხები, რომ ქარქაშში აღარ ჩადიოდა. გეჯურამ ბაბღია შეაგინა და გეჯურას ხანჯარი იმანაც დაკრა თავში ძალიან მაგრად და დაჯდა კიდეც გეჯურა. ხანჯარიც გადააგდო. გაიარა და გიგია ცალკე დაჯდა. ორივენი ისე დაიღალნენ და სისხლმაც დაასუსტა, რომ შუღლი აღარ შეეძლოთ.

გეჯურამ უთხრა: „წავიდეთ სოფელში, ნაჭრევებისად დავახვევიოთ“. გიგიამ უპასუხა: „მე თქვენს სოფელში აღარა საქმეი მაქვ; შენაც აქიმ დაიყენი, მე არხოტ წაოლ თავის შინა-დ იქ დავიყენებ აქიმს. მავირჩინათ ე ნაჭრევები-დ ბოლოს რჯულ გაგვარჩევს“. გეჯურა სახლში წავიდა და იქ დაიყენა აქიმი. გიგიას თავშალ-ჭელისაჭოცებით შეუხვიეს ჭრილობები ლელამ და ბაბღიამ და წამოვიდა არხოტში. იქ იმანაც დაიყენა სოფლის აქიმი და ჭრილობები მოირჩინა. გეჯურა ხელითაც

გახაიბრდა და თავშიაც ტვინზეით ამაუვიდა ძვალი. გიგიას ერთი ჭრილობა ცხვირზე სჭირდა, ერთი ყურის თავზე და სხვები თავში. ორივენი გამორჩნენ და თავ-თავის აქიმს მისცეს სააქიმო. რჯულით კი სააქიმო უნდა გაიღოს თავის დაკრულ ნაჭრევზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რჯული ბოლოს გამოუანგარიშებდა, ვინ რამდენი სააქიმო გაიღო და ვისგან დაკრულიც მეტი იყო, მას დაეკისრებოდა ის მეტი სააქიმო; „სააქიმო ჭელს მიხყვების", იტყოდნენ ხევსურები, ე. ი. რომელმა ხელმაც დაჭკრა, მან უნდა იხადოს სააქიმო. მეორე წელიწადს შუაკაცებმა რჯულის პირობა შეუკრეს და გავიდნენ რჯულში. რჯულის კაცებმა ნაჭრევები შეაფასეს – ზოგი ერთიმეორეში გაბარეს და გეჯურას კიდევ ეკუთვნოდა ხუთი ძროხა, მაგრამ გიგიას თავის მხრიდან რჯულის კაცებში ჰყავდა თათია ბალიაური. ძალიან თავგადატანილი და რჯულის მცოდნე, თან ძალიან მაგარი მოლაპარაკე კაცი. იმდენი იბრძოლა, რომ გიგიას ხუთი ძროხა აღარ დაადო. მაგრამ გეჯურამ ეს რჯული არ დაიჯერა და კაცები აშალა. დარჩნენ ისევ მტერობაზე. გეჯურამ თქვა: მეტისმეტი შამწეობა არის. თათია გიგიას მეტისმეტად ეწეოდა და ამიტომ ვერ დავრიგდითო. მაგრამ ბალიაურმა იმდენად გაიტანა თავი, თავისი სიმართლე დაუმტკიცა, რომ ისევე თვითონ შეარიგა უდრამოდ.

ოჩიაურ გარსიაის და მანგიათ აპარეკაის შუღლი

მიამბო იმავე თოთია გოგოჭურმა სოფელ გუროში

ხევსურეთში სტუმარი რომ მიუვიდოდა, მასპინძელი მიეგებებოდა, იარაღს ჩამოართვამდა, ცხენსაც ჩამოართვამდა, უნაგირს მოხდიდა. ცხენს ბალახში გაიყვანდა და იარაღებს თვითონ შეინახავდა. ასე იყო სტუმრად წასული უკანჭადუში ოჩიაური ალეკა და მასპინძლისათვის ჩაბარებული იარაღებიდან მოპარეს თოფი (რატომ იყო სტუმრად და როგორ მოპარეს თოფი? საჭიროა ესეც ითქვას მოკლედ). ალეკას მეუღლის მამიდას მოუკლეს შვილი სულ უბრალო საქმეზე, ამის საქნარებში (მიცვალებულის ხარჯები) ცოლ-ქმარი სატირლად წავიდნენ არაყით (არაყის მიტანას არაყით წასვლას უწოდებდენ). ეს კაცი მოკლეს შემდეგ საქმეზე: სოფელ უკანჭადუვლებს საარაყე გეჯა ერთი ჰქონდათ. იმას ხან ვინ დაათრევდა, ხან ვინ, ხანდახან შუღლიც ხდებოდა ამ გეჯაის თაობაზე – არა მე უნდა წავიღო, არა მეო. ასე იშუღლეს ამ გეჯაის გულისად ჭადუვლებმა: უსატნუათ ბაიკამ და ადიათ ბაბომ. ერთსაც სჭირდებოდა, მეორესაც და ერთმანეთს არ ანებებდნენ. იშუღლეს და ბაბომ წააქცია. ამიშვიო, უთხრა ბაიკამ. განა ჩემზე იზამორებო. ბაბოს დედამ უთხრა: მარტიათ ქალის შვილი ას, დაგაწვენს კიდეც, აგაყენებს კიდეც (განძაის მამას მარტია ერქვა). ამის გაგონებაზე ბაიკა აღელდა და ძირში ნადებმა ხანჯარი ჰკრა მუცელში და მოკლა. ამას სამი ძმა დარჩა ცოცხალი. ბაიკა გაიქცა და სოფლიდან გაიხიზნა. მისი ძმა-ბიძაშვილებიც გაიქცნენ ჩვეულების და რჯულის მიხედვით. რიგიც, როგორც

ვიცით, უყენეს ყველაფერი, რაც ხევსურეთში რჯულია. ამისი საქნარები იყო, როცა ალეკა და მისი მეუღლე სტუმრად მიუვიდნენ დოლათ ადიაის შვილებს უკანჭადუს. საქნარში სხვა ხალხიც ბევრი იყო მოსული პირიქითიდან პირაქათიდან. საქნარები ორ დღეს იყო და მესამე დღეს სტუმარი სახლისაკე წავიდ-წამოვიდა. მასპინძლები ლუდით და არაყით მიაცილებდნენ სტუმრებს. ამასთან ერთად გაემართა შინისაკე ალეკაც. ყველას მოუტანეს იარაღები და ალეკას თოფი დაიკარგა. ერთმა მოკეთემ, ე.ი. ალეკას მეუღლის მამიდაშვილმა ბეჟიტამ ჯვარი მოიხვედრა და ქადაგობა დაიწყო. საჯანგეს ცეცხლია გაპრიალებული, ყველანი შინ შემოდითო. ამ ახალგაზრდას ბეჟიტა ერქვა და ხალხმა ეჭვი აიღო, ეს სასაცილო და ხევსურეთში დაუშვებელი თავის სტუმრის გაქურდვა, თვითონ ჰქონდა მოწყობილი. ამით მას თურმე უნდოდა, ხალხი ჯვარის შიშით გზების შესაკრავად აღარ წასულიყო, რასაც აპირებდნენ ქურდის ხელში ჩაგდების მიზნით, რადგან იცოდნენ თოფს ქურდი დამით გაიტანდა სოფლიდან. საჯანგე არის სანების ჯვარის ტყე, სადაც მისივე კოშკი იდგა და ეს ადგილი წმიდად ჰქონდათ დაცული. აქ ჯვარის ხუცესის და მედროშაის გარდა ვერავინ მოვიდოდა, ისინიც წელიწადში ერთხელ.

ამიტომ შეკრთა მაშინდელი ხალხი და საყარაულოდ აღარავინ წასულა. ეს საქმე ბრალდებოდა ბეჟიტას. იმან მოიპარა თოფი და გუროელ მანგიათ აპარეკას გაატანაო. ხალხი ჩუმად ლაპარაკობდა, მაგრამ ნამდვილი მოწმე არ იყო. ოჩიაურები ეძებდნენ ქურდს, მაგრამ გზაკვალი სხვაგან არ მიდიოდა და ფიქრობდნენ ქურდებისათვის სამაგიეროს გადახდას. ქურდები კი უარს ამბობდნენ ჩადენილ ქურდობაზე.

გაიარა წლებმა და ალეკაის ძმისწული გარსია თიანეთში წავიდა. თიანეთისკენ მიმავალ გზაზე ერთი პატარა სოფელი თვალივია და ამ სოფლის ბოლოში გზის პირზე იყო დუქანი. დუქანში, როგორც წვრილმანი რამეები, ისე სასმელიც იყო, ღვინო და არაყი. ამ დუქანში ერთმანეთს შეხვდნენ გარსია და მისი ბიძაშვილი თოთია, სოფელ გუროდან – მანგიათ აპარეკა, რომელსაც თოფის მოპარვა ბრალდებოდა და ერთი მისი მოგვარე – ძაიათ ბეწია. პირველ შეხვედრაზე ერთი-მეორეს კარგად შეხვდნენ. მტრობის ხსენება სულ არ ყოფილა. დასხდნენ დუქანში და ერთად ღვინო-არაყი დალიეს. დაითვრნენ და პირველად აპარეკამ დაიწყო: თქვენ თოფის ქურდობას რად მაბრალებთო. გარსიასაც ეს უნდოდა, გაბრალებთ იმიტომ, რომ ბიძაჩემის თოფი შენ მოიპარეო – უთხრა და ხანჯარიც მიუყოლა, თავში მძიმედ დაჭრა. აპარეკა ძალიან მაგარი კაცი იყო და შუღლით სახელგანთქმული. იმანაც მაშინვე ხანჯარი ამოიღო და მოუქნია გარსიას. გარსიამ ხანჯარი შეუფარა და მოქნეული იარაღი ამით აიცდინა. ამის მნახველი აპარეკაის ბიძაშვილი ბეწია მივარდა ხანჯარამოღებული გარსიასთან, მაგრამ გარსიამ დაასწრო და ხელში დაჭრა. აპარეკა რომ გარსიასთან აღარ მიუშვეს, სულ გადაირია და ვინც ნახა, ყველას ხანჯარს უქნევდა. ერთი ხანჯარი სოფელ კვირიწმიდაში მცხოვრებ გიორგა გიგაურს დაკრა მკლავში. მეორე მოუქნია და გარსიაის ბიძაშვილს თოთიას დაკრა პირისახეში. აპარეკას ბევრი

სისხლი წაუვიდა, დასუსტდა და დავარდა დაბლა. აპარეკა რომ დასუსტებული ნახა, თოთიამ ხელი ადარ შეუბრუნა. გარსია მეშვლებმა აქედან სხვა სახლში წაიყვანეს. აპარეკას წყალი დაასხეს და მოსულიერდა. უნდოდა ისევ გარსიასთან როგორმე მისულიყო და სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ მეშვლებმა არ გაუშვეს. მერე თვითონ მოითხოვა დუქანშივე შესვლა და ჭრილობების შეხვევა. შევიდნენ ოთხივე ნაჭრევიანები: თოთია, გიორგა, აპარეკა და ბეწია. იყიდეს ფართალი და ჭრილობები ერთიმეორეს შეუხვიეს. ცოტა ღვინოც დალიეს და აპარეკა დამშვიდდა. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ყველანი თვითონ დაიყენებდნენ აქიმს და მოირჩენდნენ ნაჭრევს. სააქიმოს გაიღებდა თვითონ ნაჭრევიანი და ბოლოს, როცა რჯული იქნებოდა, თავთავის დაკრულ ნაჭრევზე (დამჭრელი) აგებდა პასუხს სააქიმოს გადახდითაც და დრამითაც. აპარეკას უნდოდა, რომ გარსიაც მასთან აქვე დუქანში მოეყვანათ და ვითომ შერიგებულიყვნენ დროებით. გულში კი სხვას ფიქრობდა, მოეტყუებინა და დარილით რამე დაეკრა. არც გარსია ზარობდა მასთან მოსვლას, თუმცა კი იცოდა მისი ღალატიანი ხასიათი; მაგრამ შუაკაცებმა არ მისცეს ნება და საშუალება აქ ერთად შეყრისა, რადგან იცოდნენ, რაც მოხდებოდა.

ასე წავიდ-წამოვიდნენ. გუროვლებმა გუროში მოირჩინეს ნაჭრევები და არხოტივნებმა არხოტში. აპარეკას ძვალი ტვინზეით ამოუვიდა, ბეწიას კი ბევრი არაფერი დაუშავდა, ხელით არ გახაიბრდა. თოთიას რომ პირისახეზე სჭირდა და მარცვლებით გაიგებდნენ, რამდენი დრამა ეკუთვნოდა. გიორგის ხელი სადრამე არ იყო, სულ ადვილად მოურჩა. გიორგას ერგებოდა მარტო ექვსი აბაზი საკლავის მაგიერ და არაყით შინ მისვლა. რადგან ოჩიაურთან მტრები იყვნენ და არხოტში ვერ დადიოდნენ, ამიტომ ნათესავების ხელით გამოუგზავნეს კუთვნილი ჭმელი საკლავი და სასმელი და ამით შეირიგეს გიორგა. ოჩიაურნი და სუიკანი დიდხანს დარჩნენ მტრად. ეს ამბავი იყო მეფის რუსეთის დროს. აპარეკა და მისი ძმა ტუჩა ქურდობაზე დააპატიმრეს და ორივენი ციხეში დაიხოცნენ. დარჩა მათი უნცროსი ძმა გიორგია. აპარეკას ცოლი ისევ გუროელმა კვირიკამ წაიყვანა. გიორგიამ ის მოკლა და ოჩიაურთ მტრობა - შერიგებისათვის სულ ვეღარ მოიცალა. ხუთი-ექვს წელზე მეტმა განვლო და ოჩიაურები ერთმა შუაკაცმა, ნისლაურთ ჭირჩლამ, წაიყვანა გუროში შესარიგებლად. იქ ან რჯულში გაგიყვანო – უთხრა მან, და ან თაოპირად მოგარიგებთო.

ნაჭრევიანი რომ გარიგებამდინ მოკვდება, ხევსურეთის რჯულით დამჭრელს საკლავ-პატივი უნდა მიეტანა რჯულის წინ. გუროში რომ მივიდნენ, ჭირჩლამ ეს საკლავ-პატივი მიიტანა გიორგასთან და უთხრა: „მე ის ხალხნი მოვიყვანენ თქვენთან შესარიგებად. თუ იტყვით, რჯულის კაცებს შეგიყრით, თუ იტყვით, თაოპირად შაგარიგებთ. ოჩიაურნი თანახმა არიან, რასაც თქვენ იტყვით". გიორგამ უთხრა: „ჩემ ძმას რომ ტვინზეით ძვალი ამოუვიდა, ეს ყველამ იცით, თოთია და ბეწია ცოცხლები არიან, ნაჭრევებიც იქავ ეტყობის. შენზე კარგად რჯული-დ და

სამართალ აბა ვინ იცის. გვეყვ ჩვენა ოჩიაურთ ამოვენს ხანს მტერობა, მადლობელი ორ, შენ ეწვალე-დ მახვედ. ჩვენის გულისად ფეკზე ადგომა არ გეკადრების. აზდეგ ,მთა გადმაიარი, ეეხლად ეგიც შენავ უნდა შაზძლა-დ გაგვარჩივნ ჩვენა ოჩიაურნი, ბოლოს გაგვიყვანნ. რჯულის კაცებ მე კი არაად მინდანა-დ თუ ოჩიაურნ იტყვიან, თაოდ იციან". კაის სიტყვის თქმისად ჭირჩლამ მადლობა გადაუხადა: „საითაც კაცად ჩამაგდითა-დ პატივ დაზდევით ჩემს მასვლას, მიაც ვეცდები სწორად გავარჩივ თქვენი-დ ოჩიაურთ საქმე. აპარეკას თავშარ თექვსმეტ ძროხა იყვ. ამას აღარ უნდოდ რჯული. თოთიაის პირისერზე ათის ძროხის დრამა დადგა. თორმეტ მარცვალი დაედვა-დ კილონ გადაიყარნეს, რო კი წინწინ შარეულ არ იყვ ამის პირისერი. ბეწიას ჭელის ცოტაად აკლებდა-დ ხუთ ძროხა დრამა დადგ. თოთიაისა ათ ძროხა გაღბარეს აპარეკაის დრამაში". აპარეკას ერგებოდა კიდევ ექვსი ძროხა. ოჩიაურთაგან მათ ეკუთვნოდა ორივეთ თერთმეტი ძროხა.

გურო და არხოტი რადგან შორიშორ იყო, ამიტომ დრამის წაღება ადვილი არ იყო და ოჩიაურთ დრამისათვის ვერცხლის ფული ჰქონდათ წაღებული. თითო ძროხა ღირდა ვერცხლის ფულზე ხუთი მანეთი. ჭირჩლას ოჩიაურებმა ფულიანი პარკი მისცეს. ჭირჩლამ ბეწიას დაუთვალა ოცდახუთი ვერცხლის მანეთიანები და გიორგას ოცდაათი მანეთი. ამ ფულიდან ჭირჩლას ერგებოდა ხუთ მანეთზე ექვსი აბაზი, მაგრამ მან არ აიღო არც სუიკათაგან და არც ოჩიაურთაგან საშუაკაცო. ის იყო თოთიას ცოლის ბიძა და ამიტომ საშუაკაცოს ხელი არ მოჰკიდა. ის კმაყოფილი იყო მოკეთეების შერიგებით.

ამის შემდეგ წავიდნენ ყველანი გიორგიას სახლში. მიიტანეს ოჩიაურთ მოტანილი არაყიანი ქინთი. გიორგიამ ერთი ცხვარი დაკლა, შინაც არაყი ჰქონდა და ძალიან კარგად გაუმასპინძლდა. მოპარული თოფის შესახებ გიორგიამ თქვა: ჩემს ძმას თოფი შინ არ მოუტანია, მე ის კი ვიცი, რომ ის თოფი ბეჟიტამ მოიპარა. ის არ ვიცი, ჩემს ძმას მისცა, თუ სხვას მისცაო. მე ჩემის ძმისაგან გამიგონია, თოფი ბეჟიტამ მოიპარა და მე ტყუილად მაბრალებენ ოჩიაურნი და სუიკანიო. ამრიგად დარიგდნენ და თოფი ბეჟიტაზეც დარჩა. ბეჟიტას ოჩიაურებმა კაცი მიუგზავნეს, თოფი აგვინაზღაურეო. მან თქვა: მადროვეთ, ვისმე დაუმტკიცებ და ორივემ ერთად იმას ვახდევიოთ, მე სტუმრის სასამცვარცავო და სახლის გასამტეხლო, და თქვენ თოფიო. გაიარა კიდევ დრომ და ბეჟიტა ხმას არ იღებდა, თან ნათესავი იყო და თან აშკარად მასზე მტკიცდებოდა; თუნდაც მას არ მოეპარა, მასპინძელი იყო და სტუმარმა იარაღი მას ჩააბარა; თუ დაკარგა, მანვე უნდა მოუნახოს. ბოლოს დააპირეს მათი ცხენების გამორეკა. ბეჟიტა და მისი ძმები დარწმუნდნენ, რომ ქურდობა მათ ბრალდებოდა და ამ ამბავს კაი საქმე არ მოჰყვებოდა და გამოგზავნეს შუაკაცი სოფელ ზეისტეჩოდან თემროზაულთ მამიდან ქორიათ გიორგი. იმან ითხოვა რომ სასმლით შინ მოვიყვან და ხუთ ძროხა დრამას მოვიტანთო. შუაკაცს და ნათესაობას ხათრი არ გაუტეხეს და დათანხმდნენ. მეორე კვირას გიორგიმ

დაპირება შეასრულა, ბეჟიტას უფროსი ძმა, ხახონი მოიყვანა სასმელით (არაყი), მოიტანა ხუთი ძროხის დრამა და ასე შერიგდნენ ოჩიაურნი და დოლანი (მათ მამას დოლათ ეძახოდნენ). დამთავრდა მათი ამბავი.

დოლათ და დამწვართ ბრძოლა, დოლათ წასვლა აპარეკად

ჩამაწერინა შიშია ქერაულმა 56 წლისამ, სოფ. ჭადუში

დამწვარანი და დოლანი ორივენი ჭადუს მცხოვრებნი იყვნენ. დამწვარანი ორნი ძმანი იყვნენ და სოფ. ჭადუში ყველაზე მეტად ამაყნი. მათ ახლობელი არავინ ჰყავდა, უკაცურნი იყვნენ, მაგრამ კაცრიელ გვარებსაც შიშის ზარს სცემდნენ. დოლანი კი კაცრიელი მამა იყო, მაგრამ ხევსურულ სიამაყეს ვაშკაცობას და თავგზიანობას მოკლებულნი. მათ სოფლელები ნამეტნავად არაფრად აგდებდნენ. ერთხელ დამწვარათ სიამაყით შუღლად გაჭადეს დოლათან. დამწვართ ხთისომ თავში ხანჯარი დახკრა დოლათ ხახონას და მძიმედ დაჭრა. თან უხეირო აქიმი შეხვდა. მოიხიბლა ნაჭრევი, დაჩირქდა და მძიმე ავადმყოფი შეიქნა. მკითხავებმა იმკითხავეს სანების ჯვარში სამეშვლოების დახოცვა, მაგრამ დამწვართ ყურადღება არ მიუქცევია. ისევ დოლათ იყიდეს საკლავები და დახოცეს: ერთი ჭადუს სანებაში, ერთი სანება ცროლის წვერის ჯვარში, საჯანგეს და სხვა. აქედანვე იყო საჭირო ყურადღების მიქცევა – სამხვეწრო-სამეშვლოები, აქიმი, აქიმის სანათლავი და ათასი სხვა რამე, მაგრამ დამწვარანი ახლო არ იკარებდნენ. ხახონას თავში ძველი ვიღაცის ნაჯოხარი სჭირდაო – ამბობდა დამწვარათ ხთისო. ნაჯოხარში ძვალი იყო დამტვრეული და დაჩირქებულიო: „მე იარაღის ჭმარებაში განა უცხო ვარ, რომ დავკრავ, სულ ვიცი, რა ჭრილობა უნდა დაემართოს, დაკვრის დროს ჭელჩი გავიგებ. რა ძალიან მაგისაგან დავშინდებოდი, რომ ვეღარ გავიგებდი, როგორ მეჭმარა იარაღი, მხოლოდ ის არ ვიცოდი, რამდენ ადგილას სჭირდა ნაჯოხარი და სწორად ნაჯოხარში მომიხვდა ხანჯარი. სულ მზუბუქად დავხკარ, რომ ჩემ ხანჯრის ფხა ძვალზე არ მივიდ. საფათვლია ნაჭრევა დაემართ (საფათვლე ნაჭრევი ეწოდებოდა პატარა ნაჭრევს, რომელსაც წამალი და შეხვევა არ სჭირდებოდა, მარტო ბალახის ფოთოლს დააკრავდნენ ცხრაძარღვა ან სხვა ამის მსგავსი ფოთოლი. თამაქოს ფოთოლიც იცოდნენ. ასეთ ნაჭრევს ეკუთვნოდა მარტო ჭმელი პატივი და არაყით შერიგება). აქიმმაც იცის, რაც ნაჭრევ იყვ. მემრ ამაჩინდ სრუ დამპალ-დაჩირქებულ თავი-დ ისი კლავს ხახონას". ხახონას თავი მართლა დაჩირქდა და ავადმყოფი სასიკვდილოდ მიიწურა. აქიმს თავისი ხელის და ავტორიტეტის დაცემა არ უნდოდა. ისიც დამწვარათ დაეხმარა და ძველ თავს დააბრალა. დოლანი ამბობდნენ: მანდ, სადაც ეგ ნაჭრევია, ხახონას აქმდინ ამ ადგილზე არაფერი სჭირდაო. ეს ხთისოს დაკრული

ნაჭრევი გაფუჭვდა და ისა კლავსო. როგორც ეტყობოდა, დოლანი მართალი იყვნენ, მაგრამ მათ სიტყვას გასავალი არ ჰქონდა, რადგან ხევსურეთში საჭირო იყო მეტი ფხიანობა, გამჭრიახობა და სიმამაცე. ამათ ასეთი არაფერი გააჩნდა და დამწვარანი სულ არ ეპოვებოდნენ. დოლათ თქვეს: ჯერ არაფერი და ეს თუ მოკვდა, ერთ-ერთ ძმას მოვკლავთო. რომელიც დავრჩებით, მთელ დოლათ ამოვწყვეტთო... ამ ბრძოლაში გარდაიცვალა ხახონა. დამწვარანი ადგილიდან არ აიყარნენ და არც რიგი უყენეს. შუაკაცები შეეცადნენ რიგი ეყენებინა, მაგრამ დამწვარათ მაინც არ უყენეს. ორივე ძმანი სოფელშიაც დადიოდნენ, არ იმალებოდნენ. ხახონა დაასაფლავეს, მაგრამ რიგის ყენება არსად ჩანდა, რაც ხევსურეთში დიდი სირცხვილია ჭირის პატრონისათვის. ხახონას ერთი ძმა დარჩა და სამი ალალი ბიძაშვილი: ხახონი, ბეჟიტა და თოთია. ეს ბიძაშვილები უფრო ვაჟკაცობდნენ და ხთისოს კაცი მიუგზავნეს: თუ თავს არ დაიდებ, ჩვენ ამ ადგილს გავსწირავთ, აპარეკად წავალთ და იქიდან ორივე ძმას მოვკლავთო. ხთისომ არც ეს მუქარა რადმე ჩააგდო – წადით სადაც გინდათ, მე თავს არ დავიდებ ტყუილადო – შეუთვალა მან. ადგნენ ეს სამნი ძმანი და აპარეკად წავიდნენ არხოტში. იქ ნათესავებთან ცხოვრობდნენ კარგა ხანს. ეგონათ, ხთისო ამით შეშინდება, თავს დაიდებს და სირცხვილი მოგვშორდებაო, მაგრამ ხთისომ პირიქით შემოუთვალა: მოდით, მოხედეთ ამ თქვენს ცხოვრებას, მე თქვენის წასვლით თავს არ დავიდებო (აპარეკად უკიდურეს შემთხვევაში წავიდოდა ხევსური და უეჭველად მოკლავდა კიდეც. როგორც ჩოდართ მამუკა და კინწანი). ხთისო არხოტისაკენ რადღაცა წამოსულიყო, შეხვედროდა ბეჟიტას თოფიარადიანს, ხთისოს ყური არ ეგდო და ისევ ბეჟიტას აექცია მხარი; არხოტივნებმა იმათ ნათესავებს დაცინვა დაუწყეს: როგორა გყავთ აპარეკები, როდის აპირებენ დამწვარათ ხთისოს მოკვლასო და სხვა. ნათესავებს შერცხვა და ურჩიეს: თქვენ იმათ ვერ მოკლავთ. წადით იმდენი მაინც შესძლეთ, რომ რჯულში მიიყვანოთ. რჯულმა თუ ფიცი უთვალა და დაიფიცეს, ჩვენმა ნაჭრევმა არ მოკლაო, ნაწილობრივ სირცხვილი მოგშორდებათო – უთხრეს ნათესავებმა. საამისოდ რჯულის კაცებიც დაითანხმეთ, რომ ფიცი უთვალონო. დაბრუნდნენ აპარეკები, რაც ხევსურეთში დიდ სირცხვილს ნიშნავდა. იქამდინ კი მიაღწიეს, დამწვარანი რჯულში მოიყოლეს. რჯულმა ფიცი უთვალა. მათ დაიფიცეს და ამით კაცის თავი მოიშორეს. ბოლოს რჯულის კაცებმა ჭელჩასამართაო მიაცემიეს დოლათათვის ხუთი ძროხა, ერთად შეყარნეს და შეარიგეს. დამწვარანი რომ დაიხოცნენ, მათ ტყუილ ფიცსა და სიამაყეს აბრალებდნენ იმათ დახოცას.

გაგა და ღილღველნი

ჩამაწერინა შიშია ქერაულმა 56 წლისამ, სოფ. ჭადუში

გაგას არხოტივნებიც აფასებდეს, ჯარზედა სხოდ პატივს უზიდევდეს, როგორც წინავ სახელიანის კაცისად იცოდეს. სიმღერებსაც უმღერდეს გაგაის სახელის შაშადარს. ისიც ურჯულოს ძალაზე ედგა, არ უტევდ არხოტივნების ადგილში.ისრ, რო, გაგა ამაგრებდ ადგილს.

თავს იქებთ არხოტივნებო, არცად-რა სამართალია,
ბერდიათაი გაგაი, სამის თემობის კარია,
ჭალას გალავნად მაივლის ღილღოთ ნაზიდი რვალია.

გაგაის ჯავრი შჭირდ ღილღველთ, ახლა სხო არხოტივნებიც არ ულევდეს ჭირსა-დ იმით გაბედეს ლაშქრად დაცემა არხოტზე.

ამავ დროს ერთ ღილღველ იყვ სახელგათქმული, სახელად ღანიშა. ეს ღილღველ ისით განთქმულ იყვ, რო ყველკან კარგად იცნობდეს მთის ხალხში. ჭშირად შაყარის ლაშქარი-დ ხან სად დაეცისა, ხან სად. იმთვნად დავლის წაღება არ უყვარდ იმას, რამთვნადაც ხალხის ჭოცა. ისით სახელგათქმულ იყვ ის, რო მთის ღილღოს იმის საყმოს ეძახდეს. სიმღერაშიც ას ნათქვამი:

ღანიშამ არ დაიჯერა, საყმო არ ჭამა ჭკვითაო.

იმისთანა შაუბრალებელ კაც, ჩვენს მთის ხალხში მეორე არ ყოფილ. იმან იცოდ: სადაც მივიდოდ თავის ლაშქრით, იქ კაცსა, დიაც-ყმაწვილს ვისაც გაეწეოდ, ცხვარივით თავს შჭრიდ. ხან ტყვედ მაუდიოდ ხალხი.

ღანიშას გაგაზედაც ჯავრ მაზდიოდა, სხოდაც ჯავრი შჭირდ არხოტივნებისაი - გადასწყვიტ ლაშქრად დაცემა არხოტზე, ნამეტნაოდ ამღაზედ. ამღას უფრო იმითაც მახქადდ, რო აქ გაგაი ცხოვრობდ, მეორეც ის სოფელ ღილღვლების მისავალს გზაში იყვა-დ სხვებ სოფლებ უფრო შორს. მაშინ არხოტ ხუთ სოფელ იყვ: ერთი ამღა, მეორე კალოთანა, მესამე ახიელი, მეოთხე კვირიწმიდა, მეხუთე ჭიმღა. ეს სოფლები ერთუცს დაშორებულ იყვ ოროლ-სამსამი ვერსით. ბუდის ჭევსურეთ ხო ნიადეგ შორს ას აქით. იქისკე გადასავალი ას არხოტის მთაი-დ ზამთრის კაც კი არ, ყორან ვერ მიეკარების იქ. იმით იცოდეს ღილღვლებმ, რო არხვატს ზამთრის ლაშქრევდეს. ბუდის ჭევსურეთ ბევრ ხალხი ცხოვრობსა-დ ღილღვლებს ის აშინებდ: ზაფხულის რო დავლაშქრავთავ, ღამით ვინ წავავ, ჭევსურეთს შაატყობიებსაო-დ, იქით რო ბევრ ხალხ მაეშველასავ, დაგვაზარალებენავ. აი, ღანიშამაც გადასწყვიტ,

რო წელწადში (ე. ი. იანვარში) დასცემიყვ არხვატს. იანვრის ექვს დღემდე წელწად იყვა-დ წელწდის მეხუთე დღეს „გამაცხადება” ექვივნ. ღანიშამ სწორად ამ დღისად გადასწყვიტ ლაშქრით მასვლაი-დ ამღისად დაცემა, რო მაშინ ხალხი მოვრალ იქნებოდა, სადაც დაეცემოდ, იქ გაიმარჯვებდ. სხო სოფლებ ქვე ვერ მეეშველებოდეს, ჯერ სიშორითა, მემრ სიმოვრალით ისეებ ვერას გაიგებდესა-დ ღანიშაის ლაშქარი ნასახელარ დაბრუნდებოდ ღილღოს მშვიდობით. ადგ ღანიშაი, დაიარ სოფლები, უთხრ ლაშქრად უნდა წავიდათაო-დ ერთ დღეს დაიბარ ყველა „იარდა”-ში. იარდა – ჩვენებურ საყდარი ას. ის თამარ მეფეს აუშენებავის, იმით, რო ღილღველთ მანათვლა ზდობნივ ჩვენებურად. მემრ რო თამარ მეფე აღარ ყოფილ, საყდარიც ეეგრ დამრჩალ, სახურავიც ჩამაღნგრევიოს. ღილღვლებს ჩვენებურ ხთიშვილების სურათებიც მაუკიდავ თოკებით, სურათებ ეეხლადაც კი იქავ ას კედლებზე, რასაც ღილღველებ ვერ შასწდომიონ. ამ საყდარს მაღალ გალავანი აქვ ქვისა შამავლეული, როსაც ღილღველნი სალაშქროდ მაემზადებოდეს, აქ შაიყრებოდეს ამ იარდაში. აქავ გადასწყდებოდ საისკე გაილაშქრებდესა-დ რომენს დღეს. ამ საყდრისად იარდაიც ღილღველთ დაუქვივნებავის.

ღანიშამ ღილღვლის ლაშქარი ამ იარდაში დაიბარა-დ აქ გამოუცხად თავის სურვილი, სად უნდა წასულიყვნენ ლაშქრადა-დ როს. ღანიშა მაინც წინავ არ თუ ეტყოდ ღილღვლებს, სად გაილაშქრებდეს, იმის შიშით, რო ამბავს ვინ გაიტანსავ. როსაც წასვლის დღე იყვ, მაშინ შახყრიდ ლაშქარსა, გამაუცხადებდ თავის აზრს. ეეხლად შაყრილს ლაშქარსაც გამაუცხად, არხოტ უნდა გავილაშქრათავ: „ეეხლად ზამთარი ასა, ვერცაით ვინ მეეშველების, ამღა ჩვენს მისავალს გზაში ასა, ჩვენ უნდა დავეცნათ, ქვა ქვას უნდა გავარეკათ, ის სოფელ ნასოფლარს უნდა დავაფერათ, იმით რო ბერდიათ გაგა არც თაოდ ისვენებსა-დ, არც ჩვენ. აქით დღისით წაოლთ ჩვენსა არხოტიონთ მიჯნამდენ – „ოჯახის სათიბეთანამდინ”. ეეხლად არხოტ წელწადი აქვა-დ აქ არაად ვინ დაიწყებს სიარულს, არც მენადირეი-დ არც სხოი. ოჯახის სათიბეთ თუ კიდევ დღეი, იქ ცოტას შავისვენებთ, როსაც ღამებას დაიწყებს, წაოლთ, თუ სახვევებისას ვერ გადავედით ტერღისკრამდინ იქნება ნაჭიდურებში ჭიდებ რა გავდოთ. ტერღისკრით კი არხოტივნების დასხმულებ ჭიდებ შაგვხვდებისა ადვილად წაოლთ. ეეხლა გაბრიყვებულები არიან, არც ქავისკარ ექნების შაკრული. შუაღამემდინ მიოლთ ამღას, ამღისკუდ (ადგილის სახელია). ცოტას შავისვენებთა-დ სოფლის დასაზვერავად კაცებს წავღლალავთ. ისენ მაგვიტანენ ამბავს: სოფელში ხალხი რას შვრების, ზძინავა ხალხს, თუ ღვიძავ, ან სხოდ რა მდგომარეობაი ას, იმის მიხედვით დავეცემით ჩვენაც, რაჭელც იქაურს ამბავს გავიგებთა-დ მაგვიჭერჭდების – ეეხლადავ დავეცემითა თუ ცოტას კიდევ შავისვენებთ. მემრ სოფელს ყარაულებს შამავახვევთ, რო სოფლის გარეთ არავინ გაგვივიდასა-დ სხვა ხალხი სოფელში

შაოლთ, სოფელში ბანებზე აგებულს ჩალა-თივის ზვინებს ცეცხლს შავაყრით, შაშინებულ ხალხ აირდაირევისა-დ თავის დიაც-ყმაწვილიანად სრუ ამავსწყვეტთ". ღანიშამ რო თავის საოქმელ უთხრ, თუ რა აზრისები ხართავ, მემრ ხალხსაც ხკითხ. ხალხმ მაიწონ ღანიშაის აზრ, უთხრეს: „ოდონდ შენ გაგვიძეღი-დ ჩვენ მუდამ მზას ორთ, შენთან ერთად ვიბძოლათ ნამეტნავად არხოტივნებსთან, რო იმათ ჩვენი სისხლით ხქონ ჭელნი დაბანილნი". ზოგებმ კი ქვეც იცოდეს, რო ამ დროს არხოტს წასვლა სალაშქროდ მარჯვე არ იყვ. ზოკან წყალთად რევა მაუნდებოდ ამ ყიამანშია-დ მარჯვე არ იყვ ესი; მემრ იქ თუ ამღის გარდა სხო სოფლებიც გაიგონებდეს, ლაშქრის დაცემასა-დ მაეშველებოდეს, ძალიან ძვირად დაუჯდებოდ ეს ლაშქრობაი. მაგრამ სირცხვილით ვეღარაი თქვეს, რო ხალხს შიში არ ჩაეგდ. საუბარ რო გაათავეს, წამავიდეს კიდეც საარხვატოდ. თავის საკმაო საგძალი, თოფ-იარაღი ყველას თან ხქონდ. გამამართულს ლაშქარს ქალ-ზალმ მშვიდობა უთხრა-დ წამავიდეს. წინ ღაზი მაუძღვებოდა-დ უკან ლაშქარი მადიოდ. ოჯახის სათიბეთ მალედავ მავიდესა-დ იქ ცოტა დაისვენეს. არხოტივნებს ზოგ ჭიდები წყალჩი ჩაეყარა-დ ლაშქარს წყალში მაუნდ გასვლაი, გზადაგზა ვერცაღ ცეცხლს აგზებდეს, რო არცაით ვინ გვნახნასავ ცეცხლის სინათეზედავ; სიცივემ შააწუხ ლაშქარ, რო ტალავარზე სრუ სისვ ყინვარ აესხ.

ქავისკარს რო მიუახლოვდეს, წინ წალალეს კაცები იმის გასაგებად, ქავის-კარ შაკრულია თუ არ. იმ დროს არხოტივნებს არ ეგონ, თუ მტერ დაეცემოდა-დ ყარაულებ აღარ ხყვანდ ქავჩი. გამოსცდეს ქავისკარსაც მშვიდობიანად და მოვიდეს „ამღისკუდ". ამ დროს შუადამე იქნებოდ, რო ამღას სოფლის დასათვალიერებლად კაცებ წალალეს. ნახეს, რო იწვ ხალხი, ეძინ. სოფელში სიარულიც დაიწყესა-დ საკვმებშიით ჩახედვაი; სუყველა კარგად გაიგესა-დ დაიჯერეს, რო აქ საშიშ არა იყვ. არცად ყარაულებ იყვა-დ, არც ხალხ იყვ მოხილად. მიუტანეს ღანიშას ამბავ, რო სოფელშიავ ხალხივ დაძინებულიავ, საშიშ არაიასავ. ღანიშამ ლაშქარი კიდევ დაარიგა-დ წამავიდეს. ამღას რო მავიდეს, სოფელს სიმირგვლივ ყარაულებ დაუყენეს, რო არვინ გასულიყვ სოფლის გარეთ, ან სხვა სოფლებში არვის გაეგებივ ამღას ლაშქრის მოსვლა. ყარაულების გარდა რაც ხალხ დარჩ, სოფელში შავიდეს. სოფელში ყველას სახლსთან ჩალ-თივის ზვინებს ცეცხლ წაუკიდეს. აქ რო ცეცხლ წაუკიდეს, საკვმებშიით დაღრიეს თოფები (ესროლეს) სამყოფ სახლებში. ჩალ-თივის ზვინებზეით ცეცხლ გადავიდ, სახლებს წაეკიდ. თან თოფის ხმით შაშინებულ მძინარ-შუშარ (ნამძინარევი, გამოუფხიზლებელი) ხალხი აირ-დაირივა-დ ვეღარ გაიგეს, რა უნდა ექნ. დიაც-ყმაწვილ ზოგ კარში გამაიყარ, ზოგი შინ ირეოდ ერთმანეცში. ამ არეულ-დარეულ ხალხს ეცნეს ღილღვლები, სრუ მუსრ გაავლეს, ზოგს ხანჯრებით თავ მაშჭრეს, ზოგ ცეცხლში ჩაწვეს. ზოგს კიდევ თოფ დახკრესა-დ მაკლეს. ზოგებმ

დიდის ვაი-ვაგლახით შაასწვრეს ქვიტკირებშია-დ იქით დაიწყეს თოფის სრევა. მაგრემ ღილღვლები ერიდებოდნენ იმ ალაგებს.საისკესაც ქვიტკირებს სათოფეები ხქონდა-დ იმით ვერას აკლებდეს ამღივნები. თითო-ოროლას თუ მახკლევდეს, თუ ცეცხლის სინათეზე ვის გაარჩევდესა-დ თოფის ტყვია დასწვდებოდ.

რაჭელც ვოქვით, ეს ლაშქარი უფრო გაგაის მუქარაზედ იყვა-დ იმის ჭელჩი ჩაგდებას ან მაკვლას ცდილობდეს, მანამ სხვის ხალხისას. შიშითაც იმისგან უფრო ეშინოდ, მანამ მთელის სოფლისგანა-დ იმით, იმის სახლს უფრო ბევრ ხალხ დაეც. ამ ღამით გაგა ახიელით მასულიყვ ნასვამი, სხვათ ჯალაფთ არ გეეგ იმის მასვლაი-დ მისულიყვა-დ დიაცი (ცოლი) გამაეღვიძ, გაგაი იმის დიაც ერთად დაწოლილიყვნეს (ხევსურეთში ცოლი და ქმარი ერთ ლოგინში არ იძინებდნენ, როცა ერთად დაიძინებდნენ, ისე საიდუმლოდ, რომ ოჯახში არავის გაეგო). ტალავარიც წაყრილ ხქონიყვ გაგასად აისეთას დაზძინებიყვ. ისით მაგრად ზძინებიყვ, რო თოფის ჭმასაც ვერ მაეყვან გონთ. ცოლს კი გამაღვიძებიყვა-დ ამ დროს შაყრილიყვნენ ღილღვლებიც გაგაის ლოგინსთან. ცოლს მთვრალხუშტი (ნამთვრალევი, ვიდრე გამოაფხიზლებს) გაგა გონთ კი ჩაეგდ, მაგრამ მანამ კარგა გონთ მავიდოდ, დახვევიყვნეს ღილღვლებიც ტიტველსა-დ და უიარაღოსა, დაეჭირ. ცოლ კი ამ ბძოლაში გადახტომიყვა-დ თავის მამამთილ ბერდიასთანა, სხვას ხიზანსთან ქვიტკირში შავარდნილიყვ. ბერდიამა იმის ჯალაფთ არ იცოდეს გაგა თუ მასული იყვა-დ ღილღველთ ჭელჩი დარჩ; ეს გაგაის ცოლმ იცოდა-დ სირცხვილითა-დ მამამთილის ხათრით ვეღარ ამბობდ. ერთიც ის, რო მამამთილს რო გაეგ შვილ-ზალთ ერთად წოლა, ეს სირცხვილ იყვ, მეორე ის, რო ზალ ხო მამამთილს არ ზძრახევდა-დ რაჭელ ეტყოდ. ღილღვლებ რო გაგას დაეცნესა იჭერდეს, გაგა გონთ მავიდა, შაიბრძოლ. გაგაის ცოლს სრუ ვეღარ მიაქციეს ღილღვლებმ ყურადღებაი-დ იმით დაშჩ დროი, გადაიცვ სადიაცოი-დ, რაჭელც ვოქვი, ქვიტკირში შავარდ. ქვიტკირის კარი მაღლად იყვა-დ კიბეი ხქონდ მიდგმული. მზუბუქ კიბე იყვ, რო ესეთ დროს რო ქვიტკირში შავიდოდეს, კიბესაც თან აიტანდესად, ვეღარცაით ვინ ავიდოდ მემრ ქვიტკირის კართან. ბერდიამ თავის ხიზან რო ყველა იქ ნახ, გაგა ახიელ ეგონა-დ კიბე აიღ მაღლად. ამ დროს გაგას ჭელებ დაუჭირესა-დ შაკონვას უპირობდეს, მაგრამ გაგა ისით ღონიერ ყოფილ, რო იმის დამორჩილება გაზძნელებივ. ამ ბრძოლაში ერთის ღილღველისად ჭელ უკრავა-დ ტვინ შაუსხმევავ ყორეთად დანარცხებულს. ამ არევ-დარევაში გაგას ერთის ღილღველისად ხანჯარ აუწვდავა-დ იმისადავ დაუცავ გულზედა-დ იმაშიავ მამკვდარ. გამაყრილან ღილღვლები წინგარდაზედა-დ გამახყოლივ გაგა ხანჯრითა-დ ახლა აქ გამართულ ბრძოლა. გაგა ისეთ გააფორებულ, რო ახლოს ვეღარ მიზდგომიონ. ვერცაღ საით თოფ დაუკრავ გაგაისად; რაკი ყველგან მირგვლივ ეხვეოდესა-დ ის აშინებდ, რო გაგაისად რო თოფ დაეკრ, ღილღველებსაც მახვდებოდ.

ქვითკირშიით ბერდია თავის წინგარდაზე არეულ-დარეულად ხალხს ხედევდა-დ არ იცოდ, ვინ იყვნეს, ეროს თეორად ხედევდა-დ ისიც ღილღველ ეგონ, თეორ ჩოჭიანი. ის თუ იმის შვილ გაგა იყვ ტიტველი, ხანჯრით ღილღველებსთან იბძოდა, იმან რა იცოდ. იმას გაგა ახიელ ეგონ. ბერდიამ მოიფიქრ, რო წინწინავ მაგ თეოროსანსავ მავხკლავაო-დ მემრავ სხვებს დაუწყებავ თოფის ჭლასავ. ზლისად უოქომ ბერდიას: აბა, იჭირიდი ზალო, აი თეოროსანას ვესრევა, შენ უფრო გაიგებ რას იქს, მე თოფის კვამლ დამეფარებისა, არამც ვერ გავიგ მახვდებისა თუ არ. თუ მაგას მახვდ, მემრ ამ სხვებსაც სრუ თესლად დავღლევ, თუ აქით არ წავიდეს. ზალმ ქვიტკირის სათოფეშიით გახენა, ნახ, რო თეოროსანა ღილღველი კი არ ას, იმის ქმარი გაგა, უტალავროდ. ზალ მამამთილს არ ზძრახევდა (ჩვეულების მიხედვით არ ელაპარაკებოდა), მაგრამ ნახ, რო ბერდიამ არ იცისა, თავის შვილს უპიროობს მაკვლას. მეტ გზა აღარ ექნა, თავისად თქო: „ნუ მახკლავს მამამთილი, ეგ მაგის შვილივ არ ას ღილღველი, აგერაი ღილღველებსთან იბძვის". მაშინ მიხვდ ბერდია, რო გაგა მასულ ყოფილაო-დ ჩვენ არ გვცოდნივავ, ანაბრივავ დიაცსთან იწვაო-დ ამანავ იმით იცისავ. დალიშნებულ თოფი თეოროსანას მააშორა-დ სხვას ესრივ ბანის პირზე ნადგომს. ბანის პირზე გაგას ხყონიონ ხანჯრით მიმწყვდეულები-დ აღარც შინ უშობდა-დ ან ბანზე უნდა გადაყრილიყვნეს. ეს ერთ ღილღველ გადავარდ ბერდიაის თოფის ტყვიითა-დ სხვები, რომნებიც გაგაის ხანჯარს გადაშჩეს, ქვე გაიქცნეს. ეს ყველა ერთბაშად მახჭვდ. მამამთილისა-დ ზლის საუბარიც, გაგაის ბრძოლაიც – რო თვალწამიერთ ხანს იყვ ყველა, საუბარ ქვე გრძელდებისა, დიდხანს ღგონავ კაცს ეს ამბავი. გაგაიც მაშინ გამაფხიზლდ, როსაც ბერდიაის თოფის ჭმა გაიგონ, მაშინ მაღგონდ სიმაგრეიც. ისიც მაღგონდ, რო ხანჯრით ლაშქართან ვერას გაჭდებისა-დ აჩქარებით იძახ: „ბერდიავ! კიბე ჩამაუშვი ხანზე". ბერდიამ მაშინ ჩამაუშვ კიბეი-დ გაგა ჭელ ხანჯრიანიდ სისხლით გასვრილი შავარდ ქვიტკირში. ცოლმ მაუტან საჩქაროდ შარვალ-პერანგი-დ გაგამაც ჩაიცვ. გაუჯავრდ ბერდია: თუ აქ იყავივ, რადარ კიბე მაიკითხევ დროზედავ, რო კინაღამ მაგკალივ, ხანჯრით რას უნდა გაუჭდავ ლაშქარსავ. ეს სიმღერის სიტყვა მაშინდელი, როსაც გაგამ კიბე იძახ:

ბერდიაობით იძახა: კიბე ჩამაუშვ ხანზედა!

ღილღვლებს რო გაგა იქავ ცოცხალ წაუვიდა-დ სიმაგრეში შავიდ, ახლა იქით ბერდია ისრევდ თოფს, ამის დაშინებულები გაგაის სახლ-კარს ახლოს აღარ მოზდგომიან. სოფელში კი სადაც სიმაგრეების სათოფეებ არ დახედევდა-დ იქით არ ეშინოდ, დათარეშობდეს, სახლებშიაც თავისუფლად შადიოდესა-დ სჭრიდეს თავს დიაც-ყმაწვილს. კარში გამასულს თოფით ჭოცდეს. ზოგს ქვე ხანჯრევდეს, ზოგებ კიდევ ტყვედ დაიჭირესა-დ გამალალეს. იმ ღამეს მაკლული დიდ-ცოტაი სამოც დათვალეს, მეორე დღეს ზოგ ხანჯრით ნაჭოცი, ზოგი ტყვიითა-დ ზოგი ცეცხლში

იყვ დაწული. ღილღვლებს სხო სოფლებშიით მასავალ გზებიც შაკრული ჰქონდათ, ისიც იცოდეს, რო არცვინ აქით წასულა-დ იმით უფრო გულდამშვიდებულად იყვნეს, სხვას სოფლებშიავ ვერ გაიგესა-დ აქ ვერცაით ვინ მაეშველებისავ. ამღას კარგა ხანს ითარეშეს, გალეწეს, დაწვესა-დ გაამტვერეს. დავლისად მასულებ არც იყვნესა-დ არცარა ბევრ გამაუტანავ. ოუნდა წატანაიც ზდობნიყვ, ვერ წაიღებდეს ისით სიცივეი-დ ყინვრიან გზებ იყვ. საბოლოოდ კიდევ შაამოწმეს სოფელში ცოცხალ ხო აღარ ვინ დაშჩ. ვინაც მაიმწყვდიეს, კიდევ დაჭოცესა-დ გაბრუნდეს. ღანიშამ უთხრ: ყარაულიც მახჭსენითავ, აღარ ასავ საჭიროივ, რაკი სხვას სოფლებში ვერ გაიგესაო-დ არვინ მაეშველავ. ამღა საკმაოდ გავანადგურეთავ, ტყვეებივ ჭელთ გვყოვო-დ ვეღარას ვინ გვიზამსავ. ღანიშაის სიტყვა გაიგონეს, მაეჭსნნესა, წავიდეს საღილღოოდ. ტყვეებიც წაიყვანეს.

სოფელი ახიელი ამღასთან არც ძალიან შორს ას, ზოგ თოფის ხმა ქვეც მადის, ზოგ კი არ; თუ ძალიან თოფი, იმის ჭმა კარგად მადის. ახიელის ბოლოშიითაცა-დ მარჯვენას გვერდზეითაც გორთ (გორი: ადგილის სახელია სოფ. ახიელის სამხრეთ მხარეს, იქვე ახლო გვერდზე) ამღას სახლები კარგად ჩინს. ახიელ კიდევ ყარაულების დაყენებაიც იცოდეს დღეობებში. ხუცეს შაუთვლიდ ახალგაზდაებს, რო წუხრავ ჯვარში მეედითავ საყარაულოდავ. ერთ ხუთი ექვს ახალგაზდა მავიდოდ. ჯვარჩიით კარგად დახვდებოდესა, მემრ ღამით სოფელსაცა ჯვართაც ოროლობით ყარაულობდეს. მანამ ჯვარიონნი ისხდეს, ორი კაცის გარდა სხვებ ყარაულებ ჯვარივნებსთან ისხდეს, მემრ ჯვარიონნი რო დაწვებოდეს, ლუდ-არაყს გაუწირევდესა, ყარაულებ გათენებამდინ ისხდ. ორ ყარაულ გავიდოდ: მთხილად სოფელსა-დ ჯვარ-ჯვარის კარს შამაუვლიდა-დ მემრ ორ სხვა გავიდოდ, სოფლის დათვალიერების დროს იმ გზებსაც შინჯევდეს, საითაც მტრის მასავალ გზა იყვ. ეესრ ეცვლებოდეს ეროუცს გათენებამდენ. ყარაულთ თუ ნახეს, მტერი მადის, სოფლის დავალებული აქვ, რო ორ თოფს გაისრევენ. ორ თოფ რო გავარდების, ეს იმის ლიშანი, რო მტერი მასული. თოფის ჭმა ვისაც გამააღვიძებს, ყველა კაც კარში გამავარდებისა, იძახებს ჭმამაღლად – რა ამბავიაო. ყარაულებიც უძახებენ, რაიც ამბავი ასა, სად ნახეს მტერი, საისკე უნდა წავიდას მდევარი. ასტყდების სოფელში ძახილ-ძუხილი (გაძახებ-გამოძახება). ამ ქოთში ყველას გამაეღვიძების; რო მდევარ წავიდასა-დ ერთ ვინ შინ დარჩ, მეორეს დღეს სირცხვილი კარში გამასვლა ქუდიანის კაცისაი. სხოდ ქვე არ იყვ ნება ღამით თოფის სრევისა, თუ მტერ არ ვის ენახ. ან მთვრალსა ან ფხიზელს რო ისრ ვის მახჭდომიყვ, რო ღამით უბრალოდ თოფ გაესრივა-დ ხალხ ტყუილად აეყარ, როსაც გაიგებდეს, ამან თოფივ ტყუილად გაისრივავ, გამასულ ხალხი მიუბრუნდებოდ ტყუილად თოფის გამსრევსა-დ სასიკვდილოს არ დაარიდებდეს, მემრ ჯვარშიაც მიაყვანიებდესა-დ დააკვლევდეს ერო საკლავს მაინც ჯურუმად, რაკი სოფლის წეს დაარღვივ. ამას ძალიან წყინობდეს იმითაც, რო ეს უბრალოდ

თოფის სრევა რო დამარჯვდასავ, ხალხსავ მაშინაც ტყუილ ეგონებისავ, როსაც მაროლა მტერ მავაო-დ აღარვინ გამავავ კარშიავ. თუ გამავავ, მაშინაც ბრიყვად იქნებისავ. აი ამ მიზეზით უბრალოდ აქ თოფს არვინ გაისრევდ.

ესრ ყარაულობდეს ახიელ ამ წელწადშიაც. შუადამე გადასულ იყვ, რო ამღისკე მჭარეზეით თოფის გრიალივით რაიმ გაიგონეს. გაიქცნესა, გავიდეს ისეთ ადგილზე, საითაც ამღაი ჩინდ. გახენეს, რო ამღას ცეცხლი აქვ წაკიდებული, ცას გადის ალი.

ყარაულნ მაბრუნდეს, მავიდესა-დ სოფელში ორ თოფ დაცალეს. თოფის ჭმაზე ხალხ კარში გამაიყარა-დ დაიწყეს ძახილი: რა ამბავიავ. ყარაულებმ უძახეს ხალხს: „ამღას სადამ ხყონ დაცემულნი ღილღველნი-დ სოფელი სრუ ცეცხლში იწვების". არხოტივნებს ერთპირ ფეჭსაცმელი-დ თოფ-იარაღი სრუ მზას ეკიდ ლოგინსთან, ჭმა რა შამავარდებისაო-დ ლაშქარ-მდევარში მაგვინდებისავ წასვლაივ. ეს რო გაიგეს[1]ამღასავ ლაშქარიავ დაცემულივ, საჩქაროდ ყველამ ჩაიცვ, აისხეს თოფ-იარაღი-დ დაიქცნეს ამღისკე. არხოტივნებ რო მდევრად წავიდოდეს, ყველა ჩქარობდ, რაიც ვის შაეძლიყვ ყველა მირბოდ, რო მტერსთან წინ მისულიყვა-დ თავ ესახელ. სახელის გულისად არავინ ზოგევდ, ხოლოთ სახელ ექნ, კაც მაეკლა-დ თუნდა თაოდაც იქავ მამკვდარიყვ, არას ინაუღლებდ. გზა-გზათ (გზა და გზა) ეროუცისად მაცდა არცრუ იცოდეს. ვინაც გაასწრობდ ყველას, ის იყვ სახელი. მაგრემ ეეხლად კი ისით ამბავ იქნ, რო ხალხს ეროუცისად დაშჭირდ მაცდა, იმით, რო ლაშქარი იქავ სოფელში იყვა-დ თითოობით მისულები ან თაოდ იზარალებდეს; დაღალულ კაც რო ლაშქარში შავარდნილიყვ მარტოი, აბა რას ჭელს გამაიტანდ, ან რას გაარჩევდ იმ შიგიშიგ ნაცემ ხალხში, ვინ ამღიონ იყვად ვინ ღილღველი. იმით მაუცად მდევარმ ეროუცსა-დ ამღის აქათი დაგროვდეს „ეკალთან" (ადგილის სახელია ეკალნი).

მაწმენდილ ცა იყვა-დ მასკვლავებს ეტყობოდ, რო თენება იყვ მაახლოებული. მრავალანი გორს მიახლოებიყვნეს (მრავალანი: ვარსკვლავების ჯგუფია, რომლებიც იანვარში თენების დროს მოეფარებიან დასავლეთში მთას). ესრ ხალხმ ეროუცს მაუცადა-დ რჩევა დაიწყეს [2]ეეხლადავ მივიდათაევ, თუ ლაშქარ რო გაბრუნდებისავ, მაშინ თან ჩავხყოთავ.

ახალნი ოჩიაურნი მდევართ უმართვენ პირსაო.

აი, ეს სიმღერის სიტყვები, მაშინდელი ასა-დ მაშინ ოჩიაურთ ახლებ საკმაოდ გამაცდილებ იყვნეს, ლაშქარ-მდევარშია-დ მტრისად მიყოლაში. ამ ახლებმ უთხრეს: ამღას რო მივიდათავ, ვერ გავარჩევთაო-დ ამღივნებს ვაზარალებთავ. ღილღველნივ ეხლა მალედ გაბრუნდებიანავ. იმათ არ იციან თუ ჩვენ გავიგით, ტყვია-წამალ ჯერ ბევრ არ აქვ იმათა-დ რაიც ხქონდ, იმასაც ამღას დახარჯევდეს. მემრ ხო იცით, მაგათ ფეჭსაცმლისაი-დ ტალავრის ამბავი, ეგენი ამ ზრომა-ტყრომაში (მეტისმეტი

სიცივე) წყალში ნადენები სრუ ფეჭშიშვლებ მარჩებიანა-დ არხოტის ჭალას რო ჩავეწევით, იარად სრუ არ გვინდ, ჯოხით საჭოცლად დაჭდებიან. ჟჯობ, რო იწროს ჭალაზე ჩავეწივნათ, გათენდების კიდეც. გავარჩევთ ღილღველსა-დ ამღიონს; ეხლა ტყვეებს წაიყვანდესა-დ თან ექნების ხალხი. სრუ თესლად დავღლევთ მაგ ლაშქარს". ოჩიაურთ რო ესი თქვეს, გადასწყვიტეს, რო ჭალაზე ჩაეწივნანა-დ იქ აუტეხან ბრძოლაი. წალალეს მზვერავები, ნახეს რო ლაშქარიც გაბრუნებულა, წასულ. ამღა სოფელ კი სრუ ნაოჭარი გაწირული. საქონის საჭმელი, სახლები დაწული, ხალხიც გაწყვეტილი, სიმაგრეში თუ ვინ იქნებოდ, თორე გარეთ რაც ხალხი იყვ, სრუ გაეწყვიტ. მზვერავებ მალე დაბრუნდესა-დ მდევარს მაუტანეს ამბავ, რო ლაშქარ გაბრუნვილაო-დ წასულავ.

ღილღვლებ ჯერ შიშით ყოფილიყვნეს, რო სხო სოფლებ გაიგებსაო-დ მაეშველებიანავ. რო არცად ვინ მაშველებიყვ, გაბრიყვებულს ღილღვლებს ყარაულიც მაეჭსნა-დ ყველან წასულიყვნეს. წაეყვან რამთვენიმ ტყვეი-დ წასულიყვნეს. მაშინ ყინვრების გამო საქონის გალალვა არცაით იქნებოდა-დ ისიც ნახევარ სრუ დაეწვ სახლებში. ზოგ ეეგრ ეჭოც.

მზვერავებმ რო მდევარს ლაშქრის გაბრუნვის ამბავ მაუტანეს, მდევარიც გამახყვ უკენ. მდევარი ნელ-ნელად მიხყვებოდ, იმით რო ამღის ჭალა განიერი ასა, გზის იქი-აქათი დამალვა შაიძლების ორწყალთანას. კალოთანისა-დ არხოტის წყალ რო ერთად იყრებიან, იქით იწყობის იწრო არხოტის ჭალაი; გადასწყვიტეს რო იქამდინ არ დასწევიყვნეს. იქ ისით იწრო ჭალაი ას, რო იტყვის კაცი, ეს წყალ რაჭელ ეტევისავ. ამ ჭალაის სიიწროეზე მელექსეები ესეთი სიტყვებით იტყოდნენ ლექსს:

იწროო ჩვენო ჭალაო, ძლივ ჩასავალო წყლისაო.

ეს ჭალა ისით იწროი, რო კაცს სრუ წყლის გაღმა-გამოღმ შჭირდების სიარული. ჭიდები მოკლ – მოკლედა ას. ხან წყლის ერთ მჭარეზედ ას სავალი, ხან მეორე მჭარეზე. ხან საით ჩამაუსხდებიან წყლამდინ კაცის მიუვალნ ქარაფნ კლდენი, ხან საით. რომენსაც მჭარეზე კლდენია, აქ ჭიდი ძესა, მეორე მჭარეზე მიდის გზაი. ესრ ცოდო-ჭირით სასიარულო ჭალაი. არხოტივნებს ამ ჭალაზე ხქონდ ღილღველთან გამარჯვების იმედი. იცოდეს, რო ჩასაცმელ-დასახურავსთან ერთად არც იარაღ უვარგოდ. ტყვია-წამალიც არ ხქონდ, არც თოფ-იარაღ უვარგოდ. არხოტ რო თოფის ჩახმახ ვის მაეშალის, წაიღისა ღილღოს გაყიდის. ქართულის თოფის ტყვია-წამალსა-დ მაწყობილობას არხოტივნები ქვე შოულობდეს საქართველოშიითა-დ ღილღვლებს არცაით არ ხქონდ იმის შოვნაი. თუ რას იშოებდეს, იმასაც ცოტასა-დ უვარგისს. აი ამით ელოდდეს იწრო ჭალაზე ჩასვლას, თან ყინვის იმედი ხქონდ, რო ღილღველთ ის შააწუხებდ. ბოლოს, ლაშქარ რო ორწყალთანას გასცილდა-დ იწრო ჭალას გაუდგეს, მაშინ ჩამაეწივნეს ახიელელნი, თუ ღამის სიბნელეში გაარჩევდეს,

რო ღილღველიასაო-დ ტყვედ წაყვანილ ამდიონ არ ასავ, დუწყეს თოფის ჭლაი-დ თითო-ოროლას მაკვლაი. ქავისკარს რო მიუახლოვდეს, აქ ეშინოდ, რო ქავისკარს შაგვიკვრენავ ღილღველნიო-დ აღარ გაგვიშობენავ.

ქავისკარი იმით ხქვიან რო აქ ქავი ას აშენებული (ქავი: მაღალი გალავანი, სადაც კაცი ვერ გადავა და შიგ მოთავსებული ქვიტკირის სიმაგრე). ეს ალაგი, არხოტის ჭალას ყველაზე იწრო ალაგი. ორსავ მჭარეზე ჭალაშიით წვერამდინ, მიუკარებელნ კლდენი. მარცხენას მჭარზე არხოტის წყალი კლდეთად ას მიმჯდარი ისეთ იწრო კალაპოტით, რო ამ წყალს აქ ყორან ვერ დაეკარების. მარჯვენას მჭარეს გზა ჩადისა-დ ხუთი ექვსის საჟენის სიგანე ცოტა ჭალაი ას. ამ ჭალაზე კლდეთანით გზამდინ მაღალ გალავანი ას აშენებულ, რო ფრინველის მეტი ზედ ვერა გადახტების. გზის პირში ერთი საყარაულო ქვიტკირი აგებული. ქვიტკირსაც სათოფეები აქვა-დ გალავანსაც ღილღველთ მასავლის გზისკე. გზის მარცხენას მჭარეზეითაც წყალშიითავ ამაყვანილი ას ქვის გალავანი, აისეთაივ მაღალი, გზამდინ ას ისიც მიყვანილი. გზაში ქავის კედლები იმ სიახლოეს ას ერთად, რო ქოჭიან გაბარგულ ჯორ გაივლის თავისუფლად. აქ ცულით დათლილი, სქელის ფიცრის კარები იყვ შამბულ, რო ქართულის თოფის ტყვია არ გადიოდ შიგ. როსაც შიშიანობა იყვ, არხოტივნებ რიგ-რიგობით ყარაულობდეს ამ ქავსთან აშენებულს ქვიტკირში. სათოფეებშიით გახედევდეს ღილღოთ მასავალს გზას, თუ ლაშქარ მავიდოდ, ზოგნ ლაშქარს არ შამაუტევდესა-დ, ზოგები არხოტ გასტეხდეს ჭმას. თუ მზირ მავიდოდ კი ყარაულებ თაოდ გასცემდეს პასუხს (მზირი: სამი, ოთხი ან ცოტა მეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც მიდიოდნენ კაცის მოსაკლავად. ჩაუსაფრდებოდნენ გზაში, მოკლავდნენ კაცს და გაიქცეოდნენ). ახლა კი ეს ლაშქარ რო მავიდ, არხოტივნებს შიში არ ხქონდ გულში, ამ ყიამეოში ვინ მავაო-დ იმით არ ხყვანდ ყარაულებიც ქავში.

ამ ქავში რო ღილღველთ ლაშქარმ გაიარ, არხოტივნებს იმით ეშინოდ, რო იქითას გვერდზეითავ მაგვისხდებიანავ, გვაზარალებენაო-დ არც გაგვიშობენავ. მივიდეს ქავისკარად, ვედარვინ გაიწონ წასვლა – ქავისკარ გავლა, დაბოროვიალდ ხალხი. დაიწყეს საუბარი, რაჭელ ვქნათავ, ერთ კაცს ჭადელ ექვივნა-დ მდევარს რაადამ ჩამაშჩომიყვა-დ დაგვიანებით მასულიყვა. ჭადელმ ნახ დაგროილ ხალხი, გაიცინ. კაცებ არ ხართაევ ნოქო, ამაში რას უბრუნავთავ? სრუ არ შახლათულ, გაუვლავა-დ გასულ ქავისკარ, მიხყოლივ სხვებიცა-დ გასულან მშვიდობიანად. ღილღვლები სიცივისაგან ისრ ყოფილან შაწუხებულები-დ თან ტყვია-წამალი ხქონივ გათაულ, რო სრუ აღარ უფიქრებავ მდევრისად გზის შაკვრა, აღარც თავ ხქონივ იმისა სიცივისაგან. ფეხსაცმელ სადამ შამაეცალავ გავიგითავ, თქვიან წინათ. ყინვარი სადამ იკრევდისავ ტიტვლებს ფეჭებსაო-დ სისხლიანნ მიდიოდიანავ აი ყინვრიანნი გზანივ.

არხოტივნები რო ქავისკარ ვეღარ გასულანა-დ ჭადელს გაუღიან გზანი, ის ბევრგან ას სიმღერეებში ნათქვამი, ფანდურზე სამღერალშიაცა-დ ფეჭზე შასამღერნებშიაც. მაგალითად:

1.

გაჭირდა, არხოტივნებო, ქავისკარ გასავალიო,
ჭადელმა ღერენათამა, მაგან გაიღნა გზანიო.

ზოგი ასეთი ვარიანტია:

დედამც ცხონდების ჭადლისა, მაგან გაიღნა გზანიო.

2.

ღერენათ ჭადელაისა დედაიმც ცხონდებისაო,
მდევართად გამეტებული, ქავისკარ გამღე გზისაო.

მესამე სიმღერეში ჭადელაი ას შაქებული, სხვა ნაქებ არხოტივნებსთან ერთად. ამ სიმღერებში ჩატანებული ას მკვდარ არხოტივნები, ვინაც სიცოცხლეში სახელიანები იყვნესა-დ ჭადელიც იმათან სტანავ:

სიკვდილმ თქო არ დავიჯერებ, ნაბრძანებს ვიქამ ხთისასა,
ბადათ მაუკლავ ბადასა, კულას ჩამავშლი ქვისასა.
უშიშას ოჩიაურსა, მგლებურ მჭამელსა მტრისასა.
ღერენათ ჭადელს მავხკლევდი, ქავისკარ გამღეს გზისასა.

ამ სიმღერებში სხვებიც ბევრი ას ჩატანებული არხოტივნები. ჭადელი ყველკან ჭსენდების, იმით რო ქავისკარ დაგუბებულს მდევარს იმან გაართვნ გზანი.

ქავისკრით თან მიხყვებოდეს ლაშქარს. ტყვია-წამალი სრუ გაუთავდ, ზოგები გზა-გზათ რჩებოდეს დაყინულები, ფეჭდამზრლები. არხოტივნები თავებს შჭრიდეს. ჯარაის წყარო გაიარეს, ტანიისკარი, „საძრომთ" გავიდეს, დაიწყ თენებაიც. ტყვედ გალალული ხალხი ზოგი გზა-გზათ მაემალა, ზოგები ქვე დაჭოცეს ღილღვლებმ, როსაც ატყობდეს, რო ვეღარც თაოდ წავიდოდეს მშვიდობით.

თათხელისკარ რო გავიდეს, გათენდ კიდევაცა-დ გასცნეს ერთმანეცი. ღილღვლებს ტყვია-წამალიც აღარ აქვავ, გაიგეს არხოტივნებმა-დ სიცივის გამო ვერცაღ ხანჯრებს ჭმარობენავ, გახალიზებულებმ დაისვეს ხანჯრებს ჭელი-დ დაიწყეს ჭოცა ხალხისა. თან კიდევ, ვისაც შეეძლიყვ, მიდიოდეს, მაგრემ არხოტივნები ატყობდეს, რო ყველას გაუჭირდ ღილღვლებსა-დ თანდათან დაიწყეს გზა-გზათ რჩომა. არხოტივნები აღარც ტყვია-წამალს ხარჯევდესა-დ თან მიხყვებოდეს ლაშქრის ნარჩომს ხალხს, ვინაც დარჩებოდ, იმას კლევდეს. ბოლოს ტერღისკარ ცოტა ველი ას, იქ წინა შამაუარესა-დ სრუ დაჭოცეს ხალხი, ღილღვლები. ახიელლებიც კი

დაღალულები იყვნეს, მაგრამ ეს ამბავი სხვას სოფელს კალოთანასაც გაეგა-დ დასვენებული ერთის სოფლის ხალხი, კალოთანელნი, ჩამაეწივნეს ტერდისკარად იმათ მაუღეს ღილღვლის ლაშქარს ბოლო.

ტერდისკარ კალოთანელნი, ვეფხვნი აბრუნდეს მწკალზედა.

ეს სიმღერის სიტყვები მაშინდელ ნათქვამი ას კალოთანელთაზე. არხოტის ჯვარს უშველავ ბევრი. ჩვენ ხალხ თუ ქვე ვერ ხედევდისა მაშინ, ტყვედ დაჭერილს ღილღველს უთქომ: ერთივ თეთრცხენიან კაც გაგვყვებოდისაო-დ ისი გვეოცდისავ ბევრს ხალხსავ. ყინვრებზედავ აი ცხენივ ისრ დავიდოდისავ, როგორც მშრალზედა-დ ცხენიც გვეოცდისავ ტოტითავ. არხოტივნებსთან საფარველ ზდებივა-დ ღილღვლებს ქვე უხედნავ არხოტის ჯვარი. ღილღვლებზე ას მაშინდელს ამბავზე ნათქვამი:

ხო არ დასცილდა ღილღვლებსა, სამანს რო დგემდეს ძვლისასა.
თეთრ ტაიჭოსანთ ხედევდეს, მწევართ არხოტის ჯვრისათა.

ამ ლაშქრობის სიმღერეები ბევრი ასა-დ ერთ-ერთ აი ეს სიმღერე იწერების აქ:

შაყარა მძიმე ლაშქარი: სავსეთ მაგლალავთ ტყვითაო!
ამდას ჩამუშვნა თარეშნი, ყამ ნუ გაქვთ, უთხრა, სხვისაო!
მძინარსა დიაც-ყმაწვილსა, ალი ახვიეს პირსაო,
ახიელ გაუგონებავ, ამდას ჭეხაი ცისაო!
ამლათად მაემზადნიან, არას ხყვარობენ ძილსაო;
ახალნი ოჩიაურნი, მდევართ უმართვენ პირსაო.
იციან ჯაბუშანურთა, ცდა მამად მაუდისაო.
ღერენათ ჴადელაისა, დედაიმც ცხონდებისაო!
მდევართად გამეტებული, ქავისკარ გამღე გზისაო.
ქავისკარ ჩამაეწივნეს, გურგურ დგას თოფებისაო;
გათენდა თათელისკარა, ცნობა აქვ ერთუცისაო.
თავ დაანებეს თოფებსა, პრიალ დგას ხანჯრებისაო.
ტერდისკარ ღმერთი აკსენეს, დაბრუნდეს სიცილითაო.

ტერდისკარ რო ლაშქარს ბოლო მაუღეს, წამავიდესა-დ ერთ კვირაეს სრუ საფლავები თხარესა-დ ლაშქრისგან გაწყვეტილ ამღიონ ხალხი ღმარხეს. ღილღვე-ლებმაც გაიგესა-დ ზიდეს მკვდრები. მკვდრის ზიდვაში კი აღარც არხოტივნებ რას უშავებდეს ღილღვლებს.

მითხოს დალაშქვრა ჭევსურებისაგან

მიამბო გიორგი ლიქოკელმა,

50 წ., 1936 წ., სოფელი აჭე

ჭევსურეთს ქისტისაი-დ ლეკის ლაშქარიც ჭშირად ეცემოდა-დ ჭევსურებიც კი ლაშქრევდეს თავის მეზობლად მცხოვრებს მთის ხალხს. უფრო ხშირად მითხოს ეცემოდეს, მეჭევეებსაც ეცემოდესა-დ თაოდ ჭევსურებიც კი ლაშქრევდეს ერთმანეცს, ვინაც ვის მაერეოდ. უფრო გუდანის ჯვარს ხყვანდ ბევრ საყმოი-დ საერთოდ ჭევსურეთიც იმას უფრო ემორჩილებოდ. თუ ჭევსურეთს ვის ლაშქრევდ გუდანის ჯვარის საყმო მაგანძური, მაშინ მარტო ეს ხალხ შაიყრებოდ, დასვემდეს ქადაგსა-დ ქადაგ რასაც იტყოდ, ისრ წავიდოდეს დასაცემლად. თუ მითხოს ლაშქრევდეს კი, სხო გვარის ხალხიც ესწრობოდ მაშინა-დ ჭევსურეთ ყველა ქუდიანი წავიდოდ ლაშქარში. ლაშქარ როსაც გავიდოდ, მაშინ თუ აოდ ვინ იყვ, ან ბერი, ყმაწვილი, ისეებ დარჩებოდეს შინ. თუ ან აოდ არ იყვა, ან ბერი (მოხუცი), ყმაწვილ არ იყვ, ისით ახალგაზდა დარჩებოდ შინ, დილას დიაცებში გამაჩინდებოდ სოფელში, ის სამუდამოდ შარცხვენილ დარჩებოდ, რო კარში აღარ გამაევლებოდ სირცხვილით.

როსაც ლაშქრობას გაღბედევდესა-დ ხალხი გუდან თავს მაიყრიდ, მაშინ ერთს მაინც საკლავსაც მაიყვანდეს, იმას დახკლევდეს, ჯვარს ერთმანეცს შაახვეწებდესა-დ ქადაგს დასვემდეს. ქადაგს რო დასვემდეს, სანოლებს აანოებდესა-დ ყველა ხალხ მუჭლს მაიყრიდა, შეეხვეწებოდეს გუდანის ჯვარს: „დალოცვილო გუდანის ჯვარო! დიდი ხარ, დიდ შაგიძლავ, შენის სახელის ჭირიმ. ჩამეედი-დ აუბნი ჭორციელის ენა. ასა თუ არ გამარჯვება ჩვენი, რო ლაშქრად წავიდათ? ასა თუ არ დრო, რო შენი ძალით გავიმარჯვათ მტერზედ? გაგვიძღოლება თუ არ შენს დროშას შენდა-დ შენთ ყმათ სასახელოდ? თუ კიდევ დამარცხებაი გოქვ ისიც დაზემი, დალოცვილო, შენის მეენის ჭორცივლის პირითა-დ იმისანიც ყაბულნ გავჭდებით, მანამ შენ ბძანება არ იქნების, არცად არ წაოლთ”.

ხალხ, რო შაეხვეწებოდ, ქადაგ ცალკე დაჯდებოდა-დ იწერდ პირჯვარს. თაოდაც ეხვეწებოდ გუდანის ჯვარს: „ნუ გამაქილიკებ (ნუ გამამასხარავებ), შენ გულის ნება მათქმი, რო შენ საყმო შენი ბძანებით წავიდასა გაიმარჯოს მტერზე. ჩვენ ჭორციელნი ორთა-დ უშენოდ არა შაგვიძლავ შენმა გამარჯვებამ”. ქადაგ რო დაჯდებოდ, დაიწყებდ მოქნარებას. დაიმწუხევდ თვალებს, დააშატებდ ეროუცს ჭელებსა-დ დაიწყებდ ქადაგობას. ის იქადაგებდ გუდანის ჯვარის ნებას. უნდოდა თუ არ გუდანის ჯვარს ეხლად ლაშქრობა. ეხლა რო ლაშქარში წავიდას ეს ხალხი, გაიმარჯვებს თუ არ, ან თუ ეხლა გამარჯვებას ვერ ხედავსა-დ წასვლაზე უარს ამბობს გუდანის ჯვარი, მეორედ როს უნდა შაიყარას ლაშქარი-დ როს წავიდან მითხოს.

ქადაგის ქადაგობას ხალხი გულით ყურობდ, რო გაათავებდ, ქადაგიც, სხო ხალხიც ყველან ქუდს მაიჭდიდესა-დ შაეხვეწებოდეს: გვაპატივე, რასაც გაწყენთავ, როსაც შენ გაგვიძღვებივ, გაგვიმარჯვევ მტერზედავ. მემრ ადგებოდ ქადაგი-დ კიდევ უბრალო სიტყვებით გამაუცხადებდ ხალხს გუდანის ჯვარის ნებას. ხანდიხან გუდანის ჯვარი ლაშქართ უარს ეტყოდ, ეეხლადავ ლაშქრობის დრო არ ასავ. რო წავიდათავ, გამარჯვება არ დაგვჩებისავ. ხან კი ქადაგი იტყოდ: გუდანის ჯვარის დროშა უნდა აებასაო-დ უნდა წავიდათავ ლაშქრადავ, გუდანის ჯვარივ იმას ბძანებსავ, რო მე გაგიძღვებითაო-დ გაგამარჯვებიებთავ მტერზედავ. ოქვენ მე ვერ მნახავთავ, მაგრამ მტერთან ბრძოლაშიავ ოქვენ გვერდი ვიქნებივ. სხვას გარდა ერთხან მაიგონეს ჭევსურთ მითხოს დალაშქვრაი-დ დავლის წამაღება. შაიყარნეს გუდან, დასვეს ქადაგი-დ გუდანის ჯვარმ ბძან: ააბითავ ჩემ დროშაივ, გაგიძღვებითაო-დ დალაშქრეთავ მითხოივ. იქავ მე ვიქნებიო-დ მტერს დაგიმარცხებთავ. ჭევსურებსაც ეს უნდოდა-დ მაემზადნეს სალაშქროდ. ყველამ ახალ ჯღან გაბანდ ახლით საბანდით.

ბევრამ ჭევსურამ გაბანდა ჭარის გავაის ჯღანიო! (ჯღანი: ფეხსაცმელი)
ბევრამ გაიღა ველადა, ჭელჩი ნაჭერი ფარიო!

მაამზადეს მშვილდისარი-დ ჭმლებიც დალესეს. საგძლად ყველამ ჩაიდვ ერბოთ მაზელილ ჭალი, იმით რო ის ცოტა უნდ საჭმელადა, ღონე ქვე აქვ. ააბეს გუდანის ჯვარის დროშაი-დ წავიდეს სამითხოოდ. დროშა მედროშაეს ედვ მჭარზედა-დ მიუძღვებოდ წინ, მემრ სამ ქადაგ მიხყვებოდ, მემრ ლაშქარ მიხყვებოდ. გამართულს ლაშქარს ქალ-ზალ გახყვ კარგა გზასა-დ ჯვარ დასწერეს: „მშვიდობით წეედით, ჭელ მაგიმართნათ ჭევსურეთის სალოცავებმ. მშვიდობით გამგზავრნასთა-დ შინ მშვიდობით დაგაბრუნნასთ". ცხენებ უფრო ბევრს ხყვანდა-დ ზოგებ კი ქვეითებიც მიდიოდეს, ვისაც კა ცხენ არ ხყვანდ შინ. ცხენიანები ცოტას გზას გაივლიდეს, მემრ ჩამაჭდებოდესა-დ სხვებს შასვამდეს თავის ცხენზედ. ისეებ ცოტას გზას გაივლიდეს ცხენებითა-დ ახლა სხვებ შაჯდებოდეს, ისრ, რო რიგ-რიგობით დადიოდეს ცხენით. გუდანით წასულმ ბისო-ჭაჭმატისას გაიარ. აქ ერთ საკლავი ჭაჭმატის ჯვარჩი დაკლესა-დ შველვაი სთხოეს ჭაჭმატის ჯვარსაც. გადაიარეს დათვისჯვარი (გადასავალი მთა შატილისაკე), კისტან-ლებაისკრის სოფლებ გაიარესა-დ სალაშქროს ჭალას ჩავიდეს (სალაშქროს ჭალა იმიტომ ეწოდებოდა ამ ჭალას, რომ აქ მუდამ ისვენებდა მითხოს მიმავალი ლაშქარი, პატარა მოედანი და ბალახიანი ჭალა იყო, ცხენებსაც მოაძოვებდნენ და თვითონაც დაისვენებდნენ, თან კიდევ ხელმეორედ ქადაგსაც დასვამდნენ და მოუსმენდნენ გუდანის ჯვარის ბძანებას. შეიძლება გუდანის ჯვარს პირველად წამოსვლა ებძანა და მერე აზრი

შეეცვალა და ლაშქარი დაებრუნებია. ამიტომ აქ აუცილებლივ იცოდნენ ქადაგის დასმა). სალაშქროს ჭალას ლაშქარს შამაუერთდ კისტნელი-დ ლებაისკრელ ახალგაზდაებიც. კარგად რო დაისვენეს, აანთეს სანთლები, დასვეს სამივ ქადაგი-დ შაზძახნეს გუდანის ჯვარს: ჩამეედივ გამარჯვებულო-დ დაზემევ შენ ნებაი. ჩვენ ლაშქრობაზე ხო აღარა შაიცვალავ. ამ დროს ლაშქარ იქავ მუჴლზე ისხდა-დ ეხვეწებოდეს ჯვარს. სამს ქადაგში თოთიას ახყვ ჯვარი-დ გუდანის ჯვარმ ბძან: ხთიშვილნივ ხთის კარზედ ვიყვენითავ შაყრილნივ იმის შამდეგავ, მე რო აქ წამასვლა-ი ვბძანევ, ხთის კარზედავ ერთის წლის ვადით შამეჴსნავ ჴმალივ, ეეხლად მითხოს ნუ წახოლთავ, თორე გამარჯვება თქვენ არ ასავ, დაზიანდებითავ, მე შველვის ნება არ მაქვავ, ერთი წლიდგეს რო ჴმალს შავიბომავ, მემრავ დავეცნათაო-დ გავამტვერათავ მითხოივ.

შაზძახნეს თავ-თავისადა, თოთიას ახყვა ჯვარიო;
არ მაქვის გამარჯვებაი, ნუ მიზდით ჩემნი ყმანიო.
ერთის წლის ვადით შამეჴსნა ფხასისხლიანი ჴმალიო.

ჴევსურებმ თოთიას ქადაგობაში ყურ უგდესა-დ ბოლოს უთხრეს: შენ გეშინიანაო-დ იმით ხქადაგობავ, გუდანის ჯვარმავ ჯერ ისი ბძანავ, რო წავედითაო-დ ეეხლა განა თავის სიტყვას გასტეხსავ. განა მაშინ ქვე არ იცოდავ, როსაც წასვლას ბძანებდავ – გამარჯვება ჩვენ იყვაევ თუ სხვისაივ.

არ დაიჯერეს ჴევსურთა, არ ბრუნავს ჩვენი გვარიო,
შიშით ხქადაგობ თოთიავ, არ გაქადაგებს ჯვარიო.
ამაშინ მაგჭრით კალთასა, როსაც დასხდების ჯარიო.
აბა თუ შიშით ვქადაგობ, გექნებით წინამძღვარიო.
თქვენ თუ მშვიდობით დაღბრუნდათ, გინდა მამჭრიდით თავიო.

ჴევსურებმა თქვეს: როს იყვავ რო ჩვენ გვარივ ლაშქრად მიმავალივ გზაშიით ბრუნდებოდავ, ჩვენ მაინც წაოლთავ. თოთიამ უთხრ: აბა თუ შიშით ვქადაგობავ, მე გაგიძღვებითავ, მაგრამავ, თუ მშვიდობით დაღბრუნდითავ, კალთა კი არავ, თუნდა თავ მამჭრიდითავ. ამოობაში დაღამდ კიდეც. გაიდვეს მჴარზე დროშაი-დ წამავიდ ლაშქარი სამითხოოდ.

შუადამე იქნებოდ, რო ჴევსურთ ლაშქარი მითხოს მავიდ. ცხენოსან ხალხი მითხოს ჩდილში დაიმალა-დ ქვეით ხალხი საყარაულოდ წავიდ. ისით გზებ შაკრეს, საითაც ეშინოდ, წავავ საით ვინავ, ღილღოსაო-დ ჭანთეოს გააგებიებენაო. ხალხ რო მაეშველასავ, დაგვაზარალებენავ. მაგრამ ქისტებმ ეს იცოდეს, რო ჴევსურებ გზას

შახკრევდესა-დ ლაშქარ რო დეეც, ჭანოეთისკე უგზოზე გაიპარნესა შაატყობინეს ხალხს. ყარაულების დალაგების დრო რო იქნებოდ, ცხენოსან ხალხმ სოფლებ გაიყვეს. შასხდესა-დ გასწიეს თავთავის ნამრგალის სოფლებისკე. მივიდეს ყველა სოფელში, ცხენები ყველკან მაფარებით დამალესა, თაოდ სოფლებს დაეცნეს. სოფლებში სახლებს ცეცხლ წაუკიდეს, სახლების მირგვლივ ჩასაფრდესა-დ ვინაც გამავიდოდ, თოფით ჭოცდეს.

შუ მითხო ჩაწვეს დადაგეს, ცას გაადინეს ალიო,
გაწყვიტეს დიაც-ყმაწვილი, კალოდ გალეწეს მკვდარიო.

ვისაც გეეწივნეს, ყველა მაკლეს. დიდი-ცოტა, კაცი-დიაცი. ზოგ დაჭოცესა, ზოგ ტყვედ დაიჭირეს. ქისტებ ვინაც ჭელში ჩაიგდეს, ან მაკლესა-დ ან ტყვედ დაიჭირეს, მაგრამ ზოგ ხალხ ისრ გავიდ გარეთ, რო ხევსურებმა ვერც კი გაიგეს. მითხოს რო ცეცხლი წაუკიდეს, ყარაულებმაც დაიწყეს თოფების სრევა თავ-თავის საყარაულო ალაგშიით ქისტების დასაშინებლად. მითხოს კაც რო გახენებდ, ყველა სოფელს ბოლ აზდიოდა, ყველკნით თოფის ჭმა მადიოდ. ჭევსურებმ სახლებშიაც დაიწყეს შადენაი-დ დავლის გამატანა, მემრ ყველას სოფელშიით გამაუშვეს ცხვარ-საქონი-დ ერთად შაყარეს (მაშინ ჭევსურთ ლაშქარში სამოც კაც იყვ, დანარჩენ ხალხი სამგზავროს იყვ წასულ-წამასული-დ ლაშქრის წასვლა ვერ გაიგესა-დ იმით დარჩეს ჭევსურეთ. ლაშქრად სრულ სამოც კაც იყვ წასული). ზოგ ხალხ წინ გამაუძღვ ცხვარ-საქონსა-დ ზოგი უკენ გამახყვ. მითხოს ჩდილს რო ამაუბრუნდეს, ყარაულებმაც ყველკნით ნახეს; მეეჭსნნესა, წამავიდეს. მანამ ჯარეგას ცხვარ-საქონ ამავიდოდ, მანამდენ ყარაულებიც მაწივნესა-დ გამაერივნეს ლაშქარშია-დ ჭმამაღლად მღერით წამავიდეს გზა-გზაო. ჭევსურებ გაბრიყვდესა-დ ნელ-ნელა მადიოდეს, თან იმღერდეს. თან თოთიას უსაყვედურებდეს: გუდანის ჯვარის ბძანებას რო გვატყუებდივ, აეხლა ვერ გავიმარჯვეთაევ. ხო ხედავ, რამოდენ ცხვარ-საქონ მაგვიდისაო-დ ჯერ ერთ კაც არ დაგვკლებივავ. გუდანის ჯვარ თუ არ გვშველდასაო-დ გამარჯვება თუ არ ხქონდასავ, ეესრ მშვიდობით დავბრუნდებოდითაევ.

მითხოს ბძოლა, საქონისაი-დ ცხვრის გამაშობაი, იმის ნელ-ნელა სიარული, ძალიან გაგძელდა, ამაობაში ქისტებმაც გააგებიეს ჭანოელთა-დ ღილღოს: ჭევსურთ ლაშქარ დაგვეცავ, მითხოსავ ცეცხლ წაუკიდესაო-დ მაგვეშველენითავ. შახკაზმნეს ცხენნიდ საჩქაროდ მითხოს მავიდეს ჭანოელნიცა-დ ღილღველნიც.

ჭანონი მავიდეს ჭანოეთით, მანაყეს ნალურსმარიო.

ჭევსურები გზადაგზა მადიოდესა-დ, მაუდიოდ ცხვარ-საქონიც. ღილღვლის მდევარმ კიდევ გზა გადაუჭრა-დ წინ მაასწვრეს. ჩაუსაფრდეს ტუტილისკიდურო, სადაც ყველაზე მეტად იწრო გზა იყვ. ჭევსურთ ლაშქარი სიმღერით მიდიოდა. ამ დროს ღილღური ენით გაიგონეს ძახილი: დადეგით, ნუღარ მიზდითავ. თუ თავისთავისად კა გინდათავ, დაყარეთავ ცხვარ-საქონიო-დ ეგ ტყვეებივ, თორე სრუ გაგწყვეტთავ. ჭევსურებმ რო ნახეს, საქმე ცუდად ასავ, ჯერ ძალით გასვლა დააპირეს, მაგრემ ქისტებმ ისრით ჭოცა დაუწყესა-დ აღარ გაუშვნეს, ნახეს რო წინაც გზაი აქვ შაკრული, უკენაც მდევარ მაზდევს, სათავეზედაც ხალხი ას მასული, ბლოზედ ახლოს წყალი ას, რო მიკარება არ შაიძლების. ჭევსურებმ ეს ყველა კარგად გაიგეს, რო წასასვლელი აღარცად ხქონდა-დ ძალაუნებურად გაუშვეს ტყვეებიც, ცხვარ-საქონიცა-დ თავის ცხენებიც ნადავლით დაბარგულები.

ტყვეებ რო გათავისუფლდეს, გალალეს ცხვარ-საქონიცა-დ ჭევსურთ ცხენებიც. ჭევსურებმ ახლა ომით გზის გაკაფვაი-დ შინისკე წასვლა მაინდომეს, მაგრემ ქისტებმ აღარ დაანებეს გზაი, გაჩაღდ ჯერ მშვილდ-ისრით შუღლი-დ მემრ ალაგ-ალაგ (ზოგიერთ ადგილებში) ჭმლით შუღლი. ჭევსურები, ზოგებ გულდაგულ შაიბრძოლნეს, რო მაინც ვიხოცებითავ ქვიაო-დ სახელ მაინც დარჩასავ. ზოგებ კი მაინც ვერ იბძოდეს ისრ, რაჭელც საჭიროი ომჩი. ზოგ რო ჭმლით შავიდ ომჩი, ზოგ იქავ ქვებსა-დ კლდეებს ეფარებოდ, მაგრემ ჩასაფრებულ ღილღვლები მაინც ჭოცდეს ისრებით.

აი, ზოგ ჭევსურებ, ვინაც უფრო სახელის გულისად თავს აღარ ზოგევდეს: ლოხაუტის შვილი ჭმალამაღებულ გადაეტან ჩასაფრებულს ღილღვლებს. ერთ-ორ კაცი ქვეც დაჭრ სასიკვდილოდ, მაგრემ მაკლეს ღილღვლებმ. ფუნჩიათდაპარეკაიც ჭმლით ომში შავიდა-დ ისიც მალევ მაკლეს. ბიჩინაგაო თინიბექი ჩასაფრებული იყვა-დ იმის ნასრევ ისარსავ ვერც ფარ უმაგრდებოდავ, მაგრემ სადაც ჩასაფრებულ იყვ ხალხი, ქისტებმ მეორეს გვერდზეით მაუარეს, ისარ დახკრესა-დ მაკლეს ისიც. ის იმით უფრო იბრძოდ გამწარებულ, რო ქისტებმ გვერდი ნამყოფ შინშ მაუკლეს – აპარეკა; იმის ძებნა უნდოდა-დ მაკლ კიდეც ერთ ქისტი-დ შასწირ აპარეკას; ორი კიდევ სასიკვდილოდ დაჭრ ისრით. აპარეკას რო ისარ მახვდა-დ თავს შაატყვ, ეეხლად მავკვდებივ, ჭევსურების გასაგონებლად იძახ ჭმამაღლად: „ჭევსურებო თუ ცოცხალ ვინ გადაშჩითაო-დ წახვედითავ, სახელ ნუ დაიმალებისავ. აქ რაიც ვინ სახელი ვქენითავ, ჭევსურეთ წაიღითავ ამბავიო-დ იქ იამბიდითავ, რო სახელ არ იყოსავ დაკარგულიო-დ აჭსონდასავ ჭევსურებსავ, აქ როგორ ვინ მავკვედითავ – სახელიანივ, თუ სირცხვილიანივ. ეს აპარეკამ რო იძახ, დალივ სულიც. როსაც აპარეკა მაკლეს, ამ დროს იქ ყოფილ გამახელ თემროზაული, რომენიც მარტო გადაშჩ ამ ლაშქარში ცოცხალი-დ წამავიდ შინ. ამბავიც იმან მაიტან, ვინ რახელ ომობდ.

მაგ ლაშქარში კარგად თავ უსახელებავ მარაისშვილს დავითს; კა მემშვილდ-ისრე ყოფილა-დ ისრით დაუჴოცავ რამთვენიმ ქისტი.

დავითო, მარაისშვილო, რა ტურფა გიდგას ტანიო.
ეეგრ გჴდებოდეს აბჯარნი, როგორც მანძილას რქანიო,
ეეგრ აღბრუნდი ტუტილა, როგორც კალოში ჴარიო,
ეეგრ გამაგდის ისარი, როგორც ობე-ბორბალს წყალიო.

ერთბაშად კარგად შაბძოლილ დავითი, მაგრამ დაუკრავ იმისადაც ისარი-დ მაუკლავ. ერთ ქისტი სახელგანოქმულ ყოფილ მეომრობით, სახელად ბაჩაყი. მაუსომ ბაჩაყს ჴმლისად ჴელი-დ გადასტანებივ ერთად ჩასაფრებულებს – შვიდ-რვა ჴევსურს. დაუქცევავ ეს ჴევსურები, ზოგ დაუჴოცავა-დ ზოგ კი გადაშჩომივ ცოცხალი.

წამაგვიყარნა ბაჩაყმა ჴევსურნი შვიდი-რვანიო:
მაგვწკეპდის, მაგვაწუხებდის, მაგვჭყივის: ბაჩაყ ვარიო!
ნეტავინ ჩამაგვიჩინნა ბაბურაულნი ძმანიო!
აგებად ბაჩაყს მაჴკლევდეს, მაგვშორდებოდა ღვარიო.

ჴევსურებს რო ბაჩაყ მაზდევდ, მაშინ ბაბურაულთ ნატრობდეს: ნეტავინ ისენ კი მაიყვანნავო-დ აგებად მახკლევდესაო-დ მაგვაშორებდესავ ბაჩაყსავ. ბაბურაულნი სახელგანოქმულ მეომარნ იყვნესა-დ ეეხლად ამ ლაშქარში არ ყოფილან. როსაც ლაშქარ წასულ, ისენი სამგზავროს სადამ ყოფილან წასულნი.

ომი, დილას შამბულ, წუხრიხნამდი გაგძელებულ (საღამო ხნამდინ) ქისტებს ღილღვლები, აჴვანი მაღმატებიონ თანდათანა-დ ჴევსურებს სრუ მირგვლივ შამახვევივ ხალხი. აღარცაისკე არ მიუცავ გზაი. ბოლოს სათავეშიით აუტეხავ საგორავი (აქ ქვიანი ადგილია და კლდეებს უგორებდნენ სათავიდან) ჴევსურნ აუხვევიან საგორავშია-დ და ამით უფრო უზარალებიან. იმთვენ ქვა-კლდე დაუგორებავ, რო ხალხ აღარ ჩინდისავ აი დაგორვილს ქვაშიავ. ვისაც მახვდისავ გაგორვილ კლდეივ, ისიც თან გაიყოლისაო-დ არლოს წყალში ეცნიანავ ქვაიცაო-დ ქვისგნ გატანილ ჴევსურიცაო-დ დახკარგისავ მკვდარივ წყალმავ. იქი-აქათიით ისრით სათავეზეით ქვითა-დ ზოკან ჴმლით სრუ გაუწყვეტავ ჴევსურთ ლაშქარი, რო ერთს ძლივ დაუხწევავ თავი, დიდის ცოდო-ჭირით წამასულ გამახელ თემროზაული. გამახელსაც ბარკალში ისარ მახვედრივა-დ დაჭრილ ყოფილ; სათავეშიით რო საგორავ აუტეხავ, შამკრთალ-შაშინებული ზოგი ხალხი არლოს წყალში შაყრილ, რო იქნება აქ უფრო რაჴელ გადავშჩათავ ცოცხლებივ, იქნება

გადავიდათავ წყალშიავ, მაგრემ ისით ძალიან იწროდა-დ ჩქარად მიდის ეს წყალ, რო იქ კაცის გასვლა ანდრეზ არ ას. ვინც წყალში შაყრილ, სუყველა წაუღავა-დ დაურჩვავ. რაჭელ რა მახჭდ, გამახელა რაჭელამ გაუგდავ გაჭეითას ნაპირჩი (წყლის გაღმა მხარეს) იქ ოხელს წყალში ერთ დიდ კლდე დებულა-დ იმის უკენ მიუდვავ. თემროზაულ გამახელას გონ არ დაუკარგავა-დ მთელ-მკვდარი გათრილ წყლის პირჩი, კლდეების შუაში ჩაწოლილა-დ დამალულ. ომ რო გათაულა-დ ქვის გორებაიც აღარ ყოფილ, ჭევსურებ სრუ დაჭოცილ, ღილღვლები მისულან ნაომარჩია-დ შაუმოწმებავ, ცოცხალ ხო აღარვინ დაგვჩავ. თუ ცოცხალ-მკვდარ მაუხელავ, ისიც მაუკლავ. მაუვლავ სათავე, დაუგორებავ მკვდრები, სრუ არლოს წყალში შაუყრავა-დ წყლისად წაუღებიებავ. თაოდ ღილღვლებსა-დ ქისტებს აქ თუ ვინ მახკდომივ, დაბრუნვილს ხალხს თან წაუღავ, მაგრემ იმათ ბევრ არ უზარალებავ, ღილღვლებს ჭევსურები შუაში ხყონიონ მამწყვდეულები-დ უჭოცია. თაოდ ჩასაფრებულებ ყოფილანა-დ თითო ოროლა მახკდომივ ჭევსურების ჭელით, ზოგ სადა-დ ზოგ სად (ქისტი, ღილღველი, აჭვანი ანუ აჭვა ეს ეროი და იგივე ხალხია, მხოლოდ ცოტა გარჩევა აქვს ენაში, მაგალითად თუში, ფშაველი და ხევსური, ყველა ერთად კი არის ქართველი). ქისტი-დ ღილღველ რო გაბრუნვილ, გაუგავ გამახელსავ, რო ეეხლადავ ვეღარვინ მნახავსაო-დ ისარს ვეღარვინ მესრევსავ. ამდგარ ცოცხალ მკვდარი-დ წამასულ, მაგრემ ვაი იმ წამასვლას, ჯერ ნაომარ ნაბძოლი, მემრ მშიერი, ახლა ბარკალში დაჭრილ ყოფილ, თან გზა არას იქ რომენზედაც ის წამასულ, იქ სრუ კლდენია-დ უჭირველს კაცსაც ძალიან გაუჭირდების სიარული, დაჭრილს კი არ; მაგრამ გამახელს უფიქრებავ: წავიდა კიაო-დ სადაც მავკვდებივ, მავკვდებივ. წამასულა-დ უვლავ ცოდო-ჭირით. უვლავ კლდეთასა-დ ჯოხის მაგივრად ჭმალ უარგნებავ (ის ჭმალი ეხლადაც იქავ აქვ ბარისაჭოს უჭკუათ იმედას. არგნებისგან წვერში ორად ას გაყრილი, ინახვენ მაშინდლის ომის მასაგონებლად. უვლავა-დ გათენებისად შატილ მასულ. შატილივნებს წაუყვანავ შინა-დ მაუვლავ კარგად. როსაც კარგად გაჭდილ, შაუკაზმავ ცხენი, გამახყოლიონა-დ ჭევსურეთ მაუყვანავ.

ამ ომში ქადაგებიც დაუჭოცავისა-დ დროშაიც მითხოს დამრჩალ გუდანის ჯვარისა. დავლის მატანის კვალად, ჭევსურთ თავებიც იქ დაშჩომივ. ამ ლაშქრობაზე ეს სიმღერე უთქომ გამახელ თემროზაულს, როსაც კარგად გამჭდარ ომშიით მასვლიდგეს. ეს სიმღერე ეეხლად ორ-სამნაირადაც იციან, ხოლოთ უფრო წმიდად აქ მაყვანილ სიმღერეი ას მიჩნეულ ჭევსურეთ. ხევსურებ ამბობენ, წინწინავ ეეგრ ყოფილავ ეს სიმღერეიო-დ მემრავ ზოგივ არეულადაღ აჭსონსავ ხალხსავ. ეს კი ნამდვილ მაშინდელიავ:

ჭევსურმ გაბანდა ბევრამა სამითხოოდა ჯღანიო,
შვიდს დღეს ემზადნეს, შვიდს ღამეს, ელვენ სიწმიდის ცანიო.
დათვისჯვარ გადადიოდეს, ეგრ რო მარილზე ცხვარიო.
მარჯვნივ თოთიას ხყვებოდა ლაღი გუდანის ჯვარიო.
სალაშქროს ჭალას ჩაგროვდეს, დიდ უდგა საუბარიო,
სამი ეტანა ქადაგი, გაუყარიან მჭარიო.
შაზძახნეს თავ-თავისადა, თოთიას აჰყვა ჯვარიო:
არ მაქვის გამარჯვებაი, ნუ მიზდით ჩემნი ყმანიო!
ერთის წლის ვადით შამეჭსნა ფხასისხლიანი ჭმალიო!
არ დაიჯერეს ჭევსურთა, არ ყივის ჩვენი გვარიო!
აღარ გვიდენავ ნელადა, მითხოს გაბევრდა ცხვარიო.
შიშით ხქადაგობ, თოთიავ, არ გაქადაგებს ჯვარიო,
ამაშინ მაგჭრით კალთასა, დარბას რა დასხდას ჯარიო.
აბა, თუ შიშით ვქადაგობ, გექნებით წინამძღვარიო;
თქვენ თუ მშვიდობით მახვიდათ, თუნდა მამჭრიდით თავიო.
ჩადიან გიორწმიდასა, ცხენთ ჩანაყს ნალ-უსმარიო,
ერთმანეცს ჩაეთამაშნეს ქვეითნი-დ ცხენოსანნიო.
ხუთშაბათს გათენაბადა, შუმითხოს დასცეს ცანიო.
ჩაწვეს, ჩადაგეს შუმითხო, ცას გაადინეს ალიო.
გაწყვიტეს დიაც-ყმაწვილი, კალოდ გალეწეს მკვდარიო.
ამაიბრუნეს ხარ-ცხენი, ტყვისა მაუდის ჯარიო.
ამაიშვილის ქვიტკირთა, ვის გიქრის ბედის ქარიო,
კაცი წალალეს აკვაში, აქად გვიჭირეთ მჭარიო!
დაგვეცა ჭევსურთ ლაშქარი, დიდ გვიდგა ცოდო-ბრალიო.
ჭანთნი მავიდნეს ჭანთეოით, მანაყეს ნალ-ურსმარიო,
მძიმე აგვიდგა მდევარი, არ დაგვანებეს გზანიო.
ლოხაურიშვილ დაბრუნდა, ჭევსურნვ მიჭირეთ მჭარიო!
ფუნჩიათ აპარეკამა სამეფო დასთმა თავიო.
თინიბექმ ბიჩინაგათამ დახარნა მშვილდის მჭარნიო.
ამაგის ნასრევს ისარსა ვერ უდგებოდა ფარიო,
გვერდს მიწევს აპარეკაი, მარტოს შავსწირენ ცხრანიო!
სახელ ნუ დაიმალების, წამავალ თუ ვინ ხარიო!
დავითო მარაისშვილო, რა ლამაზ გიდგას ტანიო;
ეეგრ გჭდებოდეს აბჯარნი, როგორც ირემსა რქანიო.
ეეგრ აღბრუნდი ტუტილსა, როგორც კალოზე ჭარიო.

ეგრე გამაგდის ისარი, როგორც თბე-ბორბალს წყალიო.
აგხვიეს საგორავშია, დაგკარგავს არლოს წყალიო.
წამაგვიყარნა ბაჩაყმა ჭევსურნი შვიდი-რვანიო;
მაგვწკეპდა, მაგვაწუხებდა, მაგვჭყივის ბაჩაყ ვარიო.
ნეტავინ ჩამაგვიჩინნა ბაბურაულნი ძმანიო,
იქნება ბაჩაყს მახკლევდეს, მაგვშორდებოდა ღვარიო.
ანამცი ლიქოკელები, ერთის დროშაის ყმანიო.
ამაგ ქართულის მათქვამი, მეც აიქ ნამყოფ ვარიო.
აიმათ გამამაქციეს, დავხიე არლოს წყალიო,
წამავედ ნაჭრევიანი, არგნად ვიჭმარე ჭმალიო.
მავკვდები, დავეხმარები, დამიტირებენ ქალნიო.
აიმათ შამავეყრები, არლოს ახყუდნეს ჭმალნიო.

მითხოვლებმ ჭარ დაუკლესა-დ იმით სცეს პატივი თავის დამხმარე ღილღვ-ლებს. ამ სიმღერის მათქვამი თავის სიმღერებში ამბობს, რო რახან მავკვდავ, იმათ შამავეყრებივ არლოს, რო ჭმალნ ახყუდნესავ. ვითამ ჭმლებივ ვისაც არლოს დაშჩავ. ასეთ ლაშქრობა უქნავ მაშინ ჭევსურთ.

ღილღველთ ლაშქარი ჯუთას და არხოტს

მიამბო და ჩამაწერინა გიორგი არაბულმა სოფ. ჯუთაში, 60 წ., 1934 წ.

ღილღველთ მაინდომეს არხოტ ლაშქრად დაცემაი-დ წინამძღვარს ღონდებოდეს. წინამძღვარი ისითი უნდოდ, რო გზაკვალიც კარგად სცოდნიყვა-დ არხოტაც ნავალ ყოფილიყვ. თან ლაშქრობაშიაც გამაცდილ უნდა ყოფილიყვ, რო თავის ჯარ არ დაეზიან. იმ დროს დასცემიყვ, როსაც უფრო მაჭერჭებულ დრო იყვა-დ ტყვეებიც ჭელჩი ჩაეყარა-დ დავლაიც. ისეთის გზისას წამასულიყვნეს, სადაც თაოდ არ დაზიანდებოდეს. ესეთ კაც ერთი იყვ ღილღოს, სახელად ყიბილაი. ღილღვლის ლაშქარ რო შაყრას აპირობდ, ყიბილას მიულალეს კაცი, შაუთვალეს: არხოტის დალაშქვრა გვინდაო-დ წინ უნდა გაგვიძღვავ. ყიბილამ უთხრ: არხოტ წასვლა ეეხლად კა არ ასავ. ხალხივ სრუ სოფელში არ ასავ, გასულ-გამასულ იქნებისავ იარაღიან ხალხივ, ჩვენ რო სოფლებს დავეცემითავ, სოფელშიით გასულ ხალხ გაგვიგებსავ, წავლენაო-დ ჯუთას, ჭევსურეთს გააგებიებენავ, შაგვიკრავენავ გზასაო-დ ერთს არ გამაგვიშობენავ ცოცხალსავ. იმათავ მთების საყელ იციანავ, ზაფხულის ყველკან გზაიაო-დ ძალიან დაგვაზარალებენავ. ზამთრამდე მავიცადათავ, ზამთრის დავეცნათავ არხვატსაო-დ სრუ გავანადგურათავ, როსაც ვეღარცაით ვინ მაეშველებისავ.

ყიბილამ ეს ურჩივ, მაგრამ ღილღვლები მაინც არ ეშობოდეს. გაგვიძვეღივ ეეხლადავ, არ გვასვენებენავ არხოტივნებიო-დ იმათ ჯავრ უნდა ამავიყარათავ – ოღონდ შენ გაგვიძვეღიო-დ ეროს სამეტოს ჭარს მაგცემთაო-დ იქ ჩვენ ვიცითავ, რასაც უზამთავ.

ბოლოს ყიბილა დაითანხმეს, შაიყარ ლაშქარ იარდაშია-დ გაღმართეს რჩევა, რომენ გზით მაუარანა-დ დაეცნან არხვატს. ამ დროს არხოტის წყალ ადიდებული ასა-დ არცაით ას ჭალაზე სავალი, კაც კი არ, ამ დროს ყორან არ დაეკარების არხოტის ჭალას. ან ტერღისწვერისას ას ამ დროს გზაი, ან საჭარისმაღლისას, აქაც ზაფხულობით არხოტივნების ვეშაგნ დადიანა, ათვალიერებენ გზას (ვეშაგნი: მეთვალყურე, მზვერავები, რომლებიც ათვალიერებენ ქისტების მოსასვლელ გზებს, ან ლაშქარი ხომ არ მოვიდოდა ან მზირი ხომ არ იყო გამოსული არხოტივნების დასაზიანებლად). იმით თქვეს – აქ არ გაგვიშობენავ, რო იცოდეს, თუ ვეშაგნ არ იქნებოდეს, მენადირე მაინც ვინ იქნებოდ, ღნახევდ არხოტისკე მიმდინარს ლაშქარს, გაიქცეოდ, გასტეხდ ჭმას, არხოტივნები ჭევსურეთსა-ჯუთას გააგებიებდესა-დ შაუკრევდეს გზასა-დ გასწყვეტდეს ხალხს. ბოლოს ყიბილამ უთხრ, შაონისას წავიდათავ. შაონის ჭორჭში შავდგათაო-დ წავლალათავ მზვერავებივ, ან იქაც ყარაულნ ხომ არ არიანა-დ ან მენადირე ხო არავინ იქნებისავ. ისენ რო დაბრუნდებიანავ, მაგვიტანენავ ამბავსავ, ასაევ წასავალივ, თუ კიდევ ჭელს რა შაგვიშლისავ, მემრ ჩვენაც იმ გზით მაუარათავ. შიბუღელით არხოტივნებს შიშ არ აქვავო-დ არც ყარაულს აყენებენავ. ეხლად საქმის დრონიაო, არც მენადირე ვინ იქნებისავ.

ყიბილაის აზრი ღილღველთაც ყველას მეეწონ. დეემზადნეს თოფ-იარაღითა, საგძლით. წასვლაში ერთ ჭარ დაკლესა-დ წავიდეს. ღილღოთ გადაიარესა-დ შავანის ჭალაში გადავიდეს, შავანისას შამაიარესა-დ შიბუს ჭორჭში დაგროვდეს. შიბუს ჭორჭშიით აირჩიეს უფრო გამაცდილებ ახალგაზდაები, წამალალეს მთების დასაზვერავად. მზვერავებს ნისლში გზა აერივა-დ არხოტის შიბუღელის მაგივრად ჯუთის შიბუღელე მაზვერეს (შავანის ჭორჭი, რომ მთავრდება, აქ სათავეში ქვიშიანი ღელეები არის, ე. ი. მთის გადასასვლელი დაბლობები. ორი გზა ეროი-მეორესთან ახლოა უფრო. ეროს ჰქვიან არხოტის შიბუღელე და აქედან არხოტში, ჭიმღას ჭორჭში, მთაში გადავა გზა. მეორე ასეთივე გადასავალია ამ გზის სამხრეთ მხარეს; ამ გადასავალს ჰქვია ჯუთის შიბუღელე და ეს გზა მთაში გადავა. ეროი გზა კიდევ დასავლეთის მხრიდან გადავა ჯუთის მთაში ეროს ხევში, ამას კიდევ „ჯვართ ჭორჭი" ჰქვია) რაჭელც ვოქვით, არხოტის შიბუღელეს მაგივრად, ჯუთის შიბუღელე გაშინჯესა-დ მაიტანეს ამბავ, რო იქ არვინ ასაო-დ თავისუფლად შაიძლებისავ გადასვლაივ; არხოტ მიმავალს ლაშქარს არხოტის ჯვარმ აურივ გზაი-დ ჯუთისკე გადაყარ.

დიდი ას არხოტის ჯვარი, სისხლიანს იბომს ჭმალსაო,
გამამართულსა ლაშქარსა, ბადეს გახურავს შავსაო,
არ გამოუშობს არხოტა, სხვაკე აურევს გზასაო.

აისრ აირივ ლაშქრის გზაი, ლაშქარ რო წამავიდ, აღარცვინ იქ დაფიქრდა-დ პირდაპირ გახყვეს მზვერავების ნავალს, რაიც ქვიშებზე კარგად ეტყობოდ. გადაიარეს მთაი-დ ნისლის ძალით დაბლამდენ ჩავიდეს. ერთს დაბალ ალაგში ჩასხდეს, რო ნისლიც აყრილიყვ აქ, ვერცაით ვინ ღნახევდ. აიყარ ნისლიცა-დ გაკვირებულებ მარჩეს გზის მცოდნეები, აქ სად ორთავ... არხოტის არე-მარეს რო არ ღგავავ. ბოლოს მიხვდეს, რო ჯუთის ჭორჭში თუკლად მავსულორთავ. აბა იქით სადაღ წავიდოდეს, ბოლოს გადასწყვიტეს, რო აქითავ არხოტ ვეღარცაით წაოლთავ, ჯუთას დავეცნათავ, ეგ გავანადგურათაო-დ არხოტავ კლოვ დავეცნათავ. ვისაც არხოტის ჯავრი შჭირდ, იმ ღილღვლებს კი ეს ამბავ არ მაეწონ, მაგრემ აქაით სადაღ წავიდოდეს, თუ ჯუთას არ დასცემიყვნეს. დაღამდა-დ ჩამავიდ ლაშქარიც ჯუთის ჭალაში. შუაღამე იქნებოდ, რო ჯუთას მაუახლოესა-დ მზვერავები წალალეს სოფლის დასათვალიერებლად. მზვერავებ მისულანა-დ სოფლის პირდაპირით გაუხენებავ ჯუთისად. უნახავ, რო ზოკნით იქავ სინათე გამადიოდ საკომშიით. იმ დროს ჯუთას სტუმრიანობა ყოფილასა-დ არხოტივნებიც ყოფილან აქ სტუმრად, რაკი სტუმრიანობა იყვ, ხალხი იმით არ დაწოლილ მალედ. მზვერავები დაბრუნდესა-დ ლაშქარს ამბავ მაუტანეს, რო ზოგ ხალხივ კიდე არ დაწოლილავ. ყიბილამ თქო: აქავ სტუმრიანობა იქნებისაო-დ ეგ ხალხივ გათენებამდინ არ დაწვებისავ, აქ ხო არ უნდა გავითენაო-დ გავეწყვეტივნათავ. გაყვეს ხალხ ორად, ნახევარ ხალხ სოფლის თავისას წავიდა-დ ნახევარ სოფლის ბოლოსას. პირობა შაკრეს, ვისაც გავეწევითავ, თუ ტყვედ არ დაგვეჭერივავ, მავკლათავ, თუნდ კაც იყოსა-დ თუნდა დიაცივ. სახლებსავ, რასაც ცეცხლ წაეკიდების, წაუკიდათავ, რასაც არაო-დ ავხყარათავ ბანიო-დ ზედ დავსცათავ.

წამავიდ ლაშქარი, შუაღამე გადაცილებულ იქნებოდ, რო სოფელს დაეცნეს.

იძახეს უხანოს ხანთა, ჯუთას დაეცნეს ბანთაო,
ნაგები ქურსიკაისა მაივლებს ცეცხლის ალსაო.

სოფელს რო დაეცნენ, დაიწყეს სროლა და ცეცხლის წაკიდება სახლებისათვის. ჯუოლებმა და მათმა სტუმრებმაც დროზე გაიგეს და დაუწყეს თოფების სროლა. თან სოფლის გარეთაც გავიდნენ ჯუოლები და ართხმოში კაცი წალალეს, მაგვეშველენითავ (ართხმო ჯუთის ახლოს არის ხევსურებისავე სოფელი, მოხევეების სოფლებთან ახლო). ლაშქარმ ჯუთას დიდ ვერა გააკეთეს, როგორც ეგონ, იმთვენ

ვერც ხალხ დაჭოცესა-დ ვერც დავლა წაიღეს იმით, რო ხალხმ დროზე გაუგა-დ სროლა აუტეხეს. ზოგ სიმაგრეებში გამაგრდ, ზოგ სახლებში. ჯუოლებიც კი დაჭოცესა-დ ზოგებმ ჯუოლებმაც თავ ისახელესა-დ დაჭოცეს ღილღვლები.

ზენუბან მიეშველენით, თხრიან უთუათ ბანსაო,
ტირილით გადმააგლევენ ლამაზთ უთუათ ქალთაო!
ბრალი ას, ხან რო არ მისცეს უთუათ მშაველასაო.
უთუათ კიბალაური ჭმალზე ცდის მკლავის ჯანსაო,
რომენიც მაეწონების, შასწირავს მშაველასაო.

უთუათ სახლის ბან ასთხარესა, გამასულს მშაველას თოფ დახკრეს. მშაველაის ძმამ კიბილაურმ გაიგ, რო ძმა მამიკლესავ, გამეეტან ხმლითა, ერთ ღილღველს კი მაასწრ, თავ ორად გაუხეოქა, სხვებ ბანზეით დაუხტეს. მაკლული მშაველას შასწირ, თავის ძმას: „უნცროსიმც ხარ მშაველაისა, ჯღანთამც უბანდავ, წყალსამც უზიდავ", უთხრ კიბილაურმა-დ ამასაც დააყარეს თოფები; ტყვიის ქარმ კიბილაური ბანზეით გადააგდ, ღილღვლებს ეგონ მავკალითავ, იმას ყურ აღარავინ უგდ, ადგა-დ წამავიდ; ახლა სხვას გვერდზეით მაუარა-დ კიდევ გადეეტან ღილღვლებს ჭმლით, ერთ ორს აქაც შამახკრ ჭმალი-დ, ზოგ მაკლა, ზოგებ დაჭრ. მემრ კი ვეღარც თავის სახლთან საით მივიდა, სხვებთან შავარდ სიმაგრეში. იმათ კი, ღილღვლებს, ნება დაშჩა, უთუათ ქალნი ტყვედ მაიჭირნეს:

ტირილით გადმააგლევენ ლამაზთ უთუათ ქალსაო.

ზოგ ჯუოლებ წავიდესა გზებ შაუკრეს, ართხმოსაც გაიგესა-დ წამავიდ მდევარი, ართხმოს გადასულ იყვნეს ამღით გილანი. გილათ კვირიკა სახელგანოქმულ მეომარ კაც იყვ. ის ქვეითა წამავიდა ჯუთას, სოფელში არ მავიდ. ის მოიდიმოივ ფადუხისას წავიდა-დ ღილღოსკე გადასავალს ღელეში შაკრ გზა ჯვართ ჭორჭ ლაშქარიც გამაბრუნდა-დ წამავიდ, თან ჯუოელებ მახყვებოდეს გზა-გზათა-დ აჭლიდეს ეროუცს თოფებს. უთუათ ქალი ერთი გამეექც გზაშიითა-დ თოფ დახკრეს, მაგრემ იმისად თოფის დამკრავს ძალიან გაუჯავრდეს ამხანიგები – მთაში ქალის მაკვლა სირცხვილი ას. ერთ და კი მაკლესა-დ მეორე ტირილით მიხყვანდ.

ართხმოს ერთ კიდევ ცხოვრობდ, სახელგანოქმულ კაცი ჯურჭა. ეს ჯურჭა, ჯუოელი თოთელი, არხოტიონ იონაი-დ სხვებიც, ზოგიერთ ჯუოლები მაზდევდესა, ხქონდ ეროუცისად თოფის ჭლაი; თოთელს გილათ კვირიკაის იმედ ხქონივა-დ აქ რო ვერცად უნახავ, მალ-მალე თქვისავ: აი კვირიკაო, სად წახვედივ, მე შენ იმედი მქონდაო-დ ეეხლა შენ თუ დაიმალევ, მემრ კი აღარ ვიცივ, რაიღ საიმედო კაც იქნებივ. ვაიმე, სადრა ხარავ კვირიკაო! თოთელს ის არ ეგონ, თუ კვირიკა წასული ასა-დ გზაი აქვ შაკრული.

ღილღველნი ზოგნი წინ მიდიოდეს, ტყვეიც იქ მიხყვანდ, უოუათ ქალი-დ ზოგები მდევარს უბრუნებდეს, უსხდებოდეს გზაშია-დ აჭლიდეს ოოფს. ხედავს ოოთელ, რო ლაშქარი შაჟჯარდ მთასა-დ მიხყავ ქალიც. ერთს ყურეზე გასწივ, აგებავ მთაზე ავასწვრავო-დ ან ტყვე ქალ გავაწირვივავ, ან თავიც იქ მავკლავ. ოოთელმ შაუჭელსწორ ლაშქრის წინას ხალხსა-დ ჩასაფრებას აპირობდ, რო კლდესთანით ოოფ გამავარდა-დ წინ მიმავალ კაცი, ღილღველი გამაგორდ, გამახყვ მეორეიცა-დ მეორე ღილღველ გაგორდ. გაწირეთავ ეგ ქალივ ცხენის მჭამლებო, ოორე თესლად დაგლევთავ – მეედინ – გილათ კვირიკაი ორავ. ოოთელს რო კვირიკაის ჭმა მაედინ, სიხარულით ფეჭზე წამახტა-დ ჭმლით გადახტომა დააპირ. კვირიკამ უთხრ: რომენი ხარავ, არ გარმაშჩინდავ, ოოფს ისრევენავ. ოოთიათ ქალი ღილღვლებს დაეგლიჯა, გამაიქც ოოთელისკე. გილათ კვირიკაისკე გასაქცევი აღმა აუდიოდ ქალსა-დ ვერ გაასწრობდ ღილღვლებს, ოოთელისკე გამასაქცევ კი ჩაღმცერი მაუდიოდა-დ ოოთელისკე იმით გამაიქც. ჩამაეწივ ერთ ღილღველი, დაიჭირ ქალი-დ ხანჯრით ფარაგ მაშჭრა-დ გაუშვ აისითაი (ფარაგის მოჭრა ქალისათვის მაშინ ნიშნავდა მთელი ერის შერცხვენას. ე.ი. ქალისათვის ფარაგის მოჭრით ღილღვლებმა ხევსურებს სირცხვილი დასდვეს. ხევსური ქალები ტანზე იცვამდნენ მარტო ერთ სადიაცოს და ფაფანაგს. ორივე იყო თვითონ მოქსოვილი შალი. ამ სადიაცოს რომ ფარაგს მოსჭრიდნენ, გულმკერდი გაშიშვლებული დარჩებოდა, რადგან სხვა აღარაფერი ეცვა, და ამიტომ მთის ხალხში ეს ამბავი დიდი შეურაცხყოფა იყო. ქალის მოკვლა სირცხვილი იყო მკვლელებისათვის და ფარაგის მოჭრა კი სირცხვილი იყო ქალის არა მარტო გვარისათვის, მთელი მისი ერისათვის. ამიტომ მოჭრეს ღილღვლებმა უოუათ ქალს ფარაგი). ქალს რო ფარაგ მაშჭრ, გავარდ გილათ კვირიკაის ოოფიცა-დ ფარაგის მამჭრელ ღილღველი გულს ნატყვიარ უსულოდ დაეც ქვიშაში.

დედამც ცხონდების ვაჟისა, ამდით გილაის ძისაო,
ქალ მაგან გააწირვივა, საფიცარ ექნა მზისაო.

აისრ გადაარჩინ კვირიკამ ეს ქალი-დ იმის მემრ ძმების მაგივრად კვირიკაის მზეს იფიცებდ. ეს ღილღველიც, რო გაგორდ, დაიქც პირჩაღმ ღილღველის ლაშქარიც, რო ნახეს წინ აღარ გოქვავ წასავალივ. გავარდ ფარაგმაჭრილ ქალიც ოოთელსთანა-დ გულს რო აღარა ეფარებოდ, სირცხვილით პირქვ დაეც. ჩემო დაო, უთხრ ოოთელმ, ნუ გცხვენიანავ, მტრის ძალ გვადგასავ. წაიყარ პერანგი-დ, აჰალევ, ჩაიცვივ, უთხრ; თაოდ უპერანგოდ ჩოჭა ჩაიცვა-დ მაიხვივ სარტყელი.

ამ დროს აუქცევავ მჭარი-დ სათავეში შამაჭდეს: ჯურხათ მარტია, არხოტიონ გაბუურთ იონაი; ჩაუსაფრდესა-დ დაუწყეს ლაშქარს ოოფების ჭლაი. აღარ გაუშვეს აღმ ლაშქარი. ახლა სხვებ ჯუოლებ მაეშველნეს, დაიბრუნეს ჩაღმ ლაშქარი.

ჯვართ ჭორჭ იონა შაბრუნდა, გაბუურისძე ჭარიო,
წელთ ასხავ ჩაწყულაები, ვეზნა არ უყორს ჭრელიო.
ნაჭოცსა იონაისას, რაად სახელობთ სხვანიო.

ეს გაბუურთ იონა სტუმრად ყოფილ მაშინ ჯუთასა-დ ლაშქარს ისიც გამაზდგომივ. თოთელი-დ მარტიაიც ძმან ყოფილან სახელიანნი იმ დროს.

ბევრი აქვ ტყვია-წამალი თოთელსა-დ მარტიასაო.
ნეტავინ მარაიზძენო, საღმერთოდ დახკლავთ ჭარსაო,
შაახვეწებდით თოთელსა, აგებ არ აკლებდ თვალთაო.
თვალთ რო არ აკლდას თოთელსა, ახლებს დაშჩვევდა ცდასაო.

ამავ სიმღერებში კარგად ას ჯურჭაიც ჩატანებული:

ართხმოთ წამავა ჯურჭაი, ცხენს შაჯდა ბაბღიასაო,
ვედარ წაუხოლთ, ღილღვლებო, მკვდარზე შააგდებს მკვდარსაო.

აქით დაბრუნვილ ლაშქარი იქავ ჭალაში ჩამაყარეს, აჭლიდეს კი თოფებს, მაგრემ ტყვია-წამლის სიხარბის გამო ბევრს ვერ; ეტყობოდ, რო ტყვია-წამალ ღილღვლებსაც დაზძვირდ, მაგრემ, რაკი ღილღვლებ ბევრი იყვა-დ ჯუთელ ართხმოვლებ ცოტაი, იმით ვერ მიდიოდეს ხანჯრითა-დ ჭმალით საომრად. აქით დაბრუნვილ ლაშქარმ შიბუსას დაილამინ (დააპირა წასვლა), მაგრამ აქაც ჯუთლებ დახვდეს ჩასაფრებული-დ დაუწყეს თოფის ჭლა. ღილღვლებმ ძალ გაბედეს, მაგრემ ერთ-ორ კაც რო თვალწინ მაუკვდ, აქითაც ჩაღმავ დაბრუნდეს. საისკესაც ლაშქარ დაიხარ, ჯუთელ-ართხმოვლებმ წინ მაასწრესა-დ არ დაანებეს გზაი. ლაშქარს რო გზა აღარ მისცეს, თან თოფების ჭლით მიზდევდ ხალხი, აღარცად იყვ გზაი-დ არხოტისკე წავიდ. არხოტისკე წასულს ლაშქარს თან კიდევ მდევარ მაზდევდა-დ ზოგები არხოტ წავიდეს სამორეხლოს მთისასა-დ გააგებიეს, რო ჯუთასავ ლაშქარ დაეცავ, გამავიბრუნეთაო-დ ცირცლოვნისას მადისავ აქისკესავ. თან მახყვებისავ ჯუთელ-ართხმოვლებიცაო-დ ზოგივ არხოტივნებიც არიანავ იქავ. ეხლად ჩვენ იმით წამაგვლალნესავ, რო გზა არ დაანებანავ საღილღოოდავ. აქით ჩვენ ვიქნებითავ, წინ არხოტივნებ დახვდანაო-დ თესლად უნდა დავლიოთავ ეს ლაშქარივ.

კაცი გააგდეს არხოტა, აქ რადარ გვიჭერთ მჭარსაო,
თქვენკე მაგვიდის ლაშქარი, ნუ დაგვინებებთ გზასაო.

არხოტივნებმ მასულს ჴმის გამტეხებს ხკითხეს: ბევრი ასაევ ლაშქარივ, ბევრ აზარალეს ხალხი, ტყვეებ წაასხესა თუ ვერ, ან ვინ ისახელ უფრო თავი. მასულებმაც უამბეს, რაჴელაც რა მაჴვდ, უთხრეს, არხოტივნებიც ძალიან სახელობენავ, სხვას გარდა გილათ კვირიკამ მაასწვრავ ლაშქარსავ. ქალიც იმან გააწირვივაო-დ მანამ სხო ხალხ მიეშველებოდავ, ლაშქარიც მარტომ არ აუშვავ ადმავ. ამ ამბავმ არხოტივნები ძალიან გაახარნ, რო აქაურებს თავ უსახელებავა-დ არხოტისად არ შაურცხვნავ. ეეხლადავ, უთხრეს არხოტივნებმ, ჩვენ ვიცითავ იმ ლაშქრისაივ, თუ აქ მადიანავ. საჩქაროდ მაემზადნესა-დ ცირცლოვნისკე წამავიდეს გზის შასაკრავად. ამ დროს ლაშქარიც გადმაიყარ ცირცლოვანად მთიდიმთივ, დაილამინ მითხოსკე წასვლა, მაგრემ ჯუოლებმ აქაც წინ გაასწვრეს ლაშქარსა-დ არ გაუშვეს. ლაშქარს ტყვია-წამალიც გაუთავდა-დ პურიც. ეტყობოდ, რო ხალხი თანთან დაუსუსტდ. ჯუოლებს ქალ-ზალ შამეეწივა-დ მაუტანეს პური. ხალხი ღონივრად იყვ. სრუ ერბოთ გაზელილ ჴალ მაუტანეს, რო ომჩიავ ღონივრად იყვნანავ. ცირცლოვან რო არხოტის სოფლებს მიუახლოვდების, აქ გზა ორად იყრების, ერთი გზა ახიელისკე წავა-დ ერთი ჭიმღისკე. ლაშქარი ახიელისკე მომავალს გზას არ გახყვა-დ ჭიმღისკე წამავიდ, აქით ნახეს, რო არხოტივნების მდევარი მადის ლაშქრისად დასახვედრად. აქ ჭიმღის კლდეში ერთი ყურეი ას იწროი, ეროს გვერდზედაც კლდენი ხქონ, მეორეზედაც. სათავეზედაც აისეთანივ ქარაფნი, რო აქით წასვლა სად შაიძლებისა-დ ვერცვინ აქ მიეკარების შამდგარ ხალხს. ლაშქარს რო წინ არხოტივნებ დახვედრიონა-დ უკენ ჯუოლები მახყვებიან, თან დასუსტებულ ხალხი ას, არცაღ ტყვია-წამალი აქვა-დ რა უნდა ქნან! ხედვენ რო მტრის ჴელჩი იყრებიან, მიბრუნდ ეს ლაშქარი-დ ამ იწრო ყურეში შავიდ (ამ ყურეს ახლაც ქვია იგივე სახელი: ლაშქრის შანადგომ ყურე). ყურეში რო მაღლად ავიდეს, აქ კაც ვეღარცაით ვინ მიეკარებოდ, თუნდა თოფ-იარაღიდ ტყვია-წამალი სრუაც არ ხქონიყვ, ვერას ვინ დააკლებდ, მანამ შიმშილით არ გაუჭირდებოდ. ბოლოშიით რაიც არ ასავალ არცაით ასა-დ მისულს ხალხს თუნდა სრუ ქვის გორებით ამოსწყვეტდეს, ისით გვერდალი ეს ყურე.

აქ რო ლაშქარ შასულ, არხოტივნებს ვეღარა უქნავ, თან ვერ შახყოლიონა-დ სხოდ თოლით აღარ ჩენილან. ერთ ღილღველი ძალიან გვერდალში მავალ ყოფილას, სახელად გუ ხქვივნებივა-დ მერცხალიშვილ ყოფილ, სიმღერეებშიაც მერცხალიშვილი ნათქვამი-დ ხალხიც მერცხალიშვილობით უფრო იცნობს. ეს მერცხალიშვილი მამზადულას: მიავ ამ კლდეთას ავივლივ, უთქომ, ეემ ყურის სათავეში რო ქარაფნ კლდენიავ. ლაშქარს მერცხალიშვილი სასაცილოდ აუგდავ: აივლისავ მერცხალიშვილი ამ კლდეზედავ. წაუყრავ მერცხალიშვილს ჯღნები წელზე წამაუხვევავ. დაუსერავ დანით ფეჴები, წასულ ამ კლდეთას, ორნ სხვან გახყოლივან. თუ ავედითავ ხო რა კარგიო-დ თუ არა, სრუ ერთიავ, ხო მაინც

ვიჭოცებითავ. აქითავ განა ცოცხლებს გაგვიშობენაო-დ მტრის ჭელით სიკვდილსავ აქავ დაჭოცა გვირჩევავ. ეესრ დაუსერავ დანაით ძირის ფეჭები; ფეჭშიშვლებ წასულ იმით, რო სისხლიან ფეჭივ კლდეს გეემბისაო-დ აღარ დასხლტებისავ (არ დაუცურდებაო), ლაშქარმ ბევრმ ცად, მაგრამ სამი კაცის მეტ ვერვინ წავიდ. ამ სამმ კაცმ კი დიდი წვალებით აიარნეს კლდენი-დ შაჭდეს სათავეში. იქ ისით წვალებით ავიდეს, რო სათავეში ასულებს ბევრს გონი-დ ღონე აღარ ახყვ. კლდეებს ფეჭს აწებებდ სისხლი-დ ძალიან ბევრს დაეჭმარ ისიც. ორკან სამკან ისით წვრილ ღრანტებს შახვდეს გასაჭედს, რო თოფებ გასხეს ჭიდივითა-დ ზედ გაჭდეს. იმ კლდეზე ასვლა, იმ ლაშქრის გარდა, ბევრმ მენადირემ ცად, მაგრემ ყორან არ დაეკარებისავ, კაც კი არავ, იციან. საკვირველი იმ კაცების ასვლა იქ. არც მანამდენა და არც იმის მემრ ანდრეზად არ მადის, რო აქ კაცს გაევლას. კი არა-დ ან დაიჯერას, რო აქავ კაც გაივლისავ.

მერცხალიშვილი-დ იმის ორი ამხანიგი ამ ქარაფთ სათავეში რო შაჭდეს, იქ ცოტა მიედან იყვა-დ დასხდეს, თან შიშით, თან შიმშილით, ახლა ფეჭებშიით ბევრა სისხლ გამაუვიდა-დ, რო ბევრ ღონე აღარ ხქონდ. ცოტა ხანს შაისვენესა-დ რაკი გადაშჩეს, სიხარულით მალე მაღონივრდეს. სადაც ამათ დაისვენეს, აქით ზედ ჩამახედავ ამდა-ახიელით მასავალს გზას. ლაშქრის გადმასვლა ამდივნებს უფრო ნელად (გვიან) გაეგ, მანამ ახიელლებს იმით, რო ახიელა ახლოს ას ჯუთით მისულებისადა-დ ამდა უფრო შორს. ამდივნებს ნელად გაეგა-დ მდევარში ნელად წამასულიყვნეს. ბერდიათ გაგა ცხენით წამასულიყვ ღვედრით, რო მიოლავ, იმთვენს დავხჭოცავ ღილღვლებსავ, რო ლაშქარს გავანახევრებავ.

შამარბის გაგაის ცხენი, ოთხთავ ანათებს ნალთაო,
მაღვედრის მაგის პატრონი, დავანახევრებ ჯართაო!
მუჭლად მაქვ ცხენის იმედი, არც მე დავზოგავ თავსაო!
მერცხალიშვილის ჭირიმი არხოტ ჩახყრიდა ჭმათაო,
გაგაის ნაბამს ხანჯარსა დაუმტვრევს სპილოს ძვალსაო.

მერცხალიშვილს სახელგანთქმული თოფი ხქონდ შორს სრევითაცა-დ მართლის სრევითაც. კლდეთ თავზე ასულებმ, მერცხალიშვილმა-დ იმის ამხანიგებმ ცოტა რო შაისვენეს, მაემზადნეს. ჭიმღის კლდეთ მაღალთაკე წასავლად, იქ უნდა ასულიყვნეს, მემრ იქით ან ცირცლოვნის მხარეზე წავიდოდესა-დ ან ჭიმღის ჭორჭში ჩაიყრებოდესა, შიბუღელეს გადაივლიდეს ღილღოსკე, აქ სრუ ისეთის გზებისას ხქო სავალ, რო მტერ იმათ აღარცად შახვდებოდ. წასავლად რო მაემზადნეს, ნახეს, რო თეორი ცხენით რაიმ შამარბის ერთ კაცი, უკენ სხო ხალხ მახყვების. მერცხალიშვილმ ამხანიგებს უთხრ, რო აბა იჭირეთაო. აი თეორ ცხენიან კაცსავ ჩემ თოფ რას უზამსავ. ძალიან შორ კი იყვ, მაგრემ თოფის იმედი ხქონდ. ორ სრევა

წამალ ჩაყარ (ორი სროლა) თოფშია-დ უფრო დიდ ტყვია ჩადვ რო თოფში ჭიკად (მაგრად, ვიწროდ) ჩასულიყვ. ტყვია თუ ლაღად ჩაიდებოდ, ქართულ თოფ შორს არ ისრევდ. თუ ჭიკად ჩაიდებოდა-დ წამალიც ბევრ დაეყრებოდა, შორს ისრევდ.

ეესრ მერცხალიშვილმა თავის ჭირიმი შორს სასრევლად გატენ, დაღლიშნ შამამავალს გაგასა-დ თოფ; რო გავარდ ნახეს, რომ მჭედარ გადმავარდ ცხენზეით, იმათ ის ეგონ ქვეთუ მავკალითავ, მაგრემ გაგაის ხანჯრის ტართ მახვედრიყვ ტყვიაი, სპილოს ძვალ დაემტვრივა-დ ტანზე ქვე აღარა მახვედრიყვ. ცხენზეით ტყვიის ქარს გადმეეგდა-დ რო გეეგ არაი მჭირსავ, ჩასაფრებულიყვ, მეორე აღარ დამკრანავ. მასულიყვ სხო ხალხიცა-დ ჯუთელთ მდევარი-დ არხოტიონ ხალხი ცირცლოვან სრუ ერთად შაყრილიყვ. ლაშქარ კი ამ დროს ყურეში იყვ შასული-დ არცაით იყვ მისავალი.

მერცხალიშვილი თავის ამხანიგებით წასულ, ჭიმღის კლდეთ გვერდი გაუვლავა-დ შიბუს ჭორჭში გადავარდნილასა-დ მისულ შაონ. იქ მიუტანავ ამბავი, რა დღეში იყვ ლაშქარი. კაცებ კი შინ აღარვინ ყოფილა-დ შავანელთ დიაცებს პურიც უჭმევავ მერცხალიშვილისადა-დ იმის ამხანიგებისად. ფეჭებ დაუბანავ, გამაუცვლავა-დ ძლივ მაუგონთებიან ამოვენ ნაწვალები, იმ ლაშქარშიით თავდახწეულებ ღილღვლები. მემრ გაუსტუმრებიან თავ-თავის სოფელში.

შინ მიოს მერცხალიშვილი, ღილღოს გასტეხდა ჭმასაო,
გუ მარტო არ მავიდოდა, ორთ მაიყოლებს სხვათაო.

აი, ამ ლაშქარშიით ეს სამ კაც წასულ მშვიდობით. ეს დანარჩენ ლაშქარ გამაგრებულ ამ ყურეში სამ დღემდინ. ჯუთელ ხალხი ნაომარი-დ დაღალული ჯერ კი ყოფილ აქა-დ, რო ლაშქარი აღარ გამასულ, წასულან შინ. იქაც ნალაშქრალი სოფელი, სახლები დანგრეული, მკვდრები დასამარხავი, დიაც-ყმაწვილის მეტი არც ვინ ყოფილაღ იქ სოფელშია. აბა, რას იქმოდეს, რო არ წასულიყვნესა-დ არ მიეხენ თავის სოფლისად, ან როსნამდინ უნდა ეცად ლაშქარ, რო მალედ არ გამასულიყვ-ყურეშიით. თან არხოტივნებმაც უთხრეს ჯუთელებს: ჩვენ ამაგყრითავ ჯავრსავ მაგ ლაშქრისასავ. ვიყარაულებთავ, რო არ გაიპარნანაო-დ როსაც გამავლენავ, მემრავ ჩვენ ვიცითავ თაოდავ. ერთხანს, იქნებისავ მაშივდებისაო-დ წავლენავ. ჩვენ გამაგყვებოდითავ, უთხრეს ჯუთლებს არხოტივნებმ, მაგეშველებოდითავ მკვდრების დამარხვასაო-დ დაშლილის სახლების ჩაფარებასავ, მაგრემ ამ ლაშქარსავ ეესრ ვერ გაუშობთავ, თორე კლოვ უარეს იზმენავ, თუ ეეხლა არ შავანანეთავ ეს ლაშქრობაივ. ამ საუბრიდგეს ჯუთლებ წასულან. არხოტივნებმ ორს დღეს უცადეს ლაშქრის გამასვლასა-დ იყარაულეს. ლაშქარ რო მაინც არ გამადიოდ, მემრ გადასწყვიტეს დაბალითებით (დაბალითება: მოტყუილებით მინდობა და მიყვანა

თავისთან) გამაესხ ეს ხალხი ყურეშიით. ეროს ახიელელს ჭადელა ექვივნა-დ ღილღოს იყვ გაზდილი, ღილღვლებიც ბევრი იცნობდა-დ იმათ ენაიც წმიდად იცოდ, ისრ, რო ქართულ ენა უფრო ვერ სცოდნივ (ჭადელა ღილღოს გაზდილი ყოფილა, ღილღური ენა წმიდად სცოდნია და ქართული დამახინჯებულად, ღილღოდან რომ მოსულა, ჭადელას კვირიწმიდელი ქალი შეურთავს, სახელად ზექუა. ეს ქალი ოურმე ჭადელას სწუნობდა და ხანდახან მამისახლში ოურმე გაიქცეოდა. ჭადელა რომ მოიყვანდა გაქცეულ ცოლს, ოურმე ასეთი დამახინჯებული სიტყვებით იცოდა ქართული ლაპარაკი და ამ სიტყვებით დაემუქრებოდა: „კვირიწმიდელთ ზაქუო, შენივ ღილღოს წაიყვანებოდისავ, ღილღოს ბერს თხაზე გაიყიდებოდისავ, ბერ თხაივ მარილზე გაიყიდებოდისავ. ხევსურული ენით კი ეს სიტყვები ასე ითქმევა: კვირიწმიდელთ ზექუავ, შენ ღილღოს წაგიყონა-დ იქ ბერს თხაზე გაგყიდი, ბერს თხას მარილზე გავხყიდი). აი, ეეს ჭადელა მიულალავ ლაშქრისად არხოტივნებს შუაკაცად, გამეედითავ, იარაღ აიყარეთაო-დ ზავ-ი ვქნათავ, შავრიგდათავ. წინწინ მისული ჭადელა ღილღვლებს არ შაუტევავ იმ ყურეში, სადაც თაოდ იყვნეს, ხოლოთ დაბლით დაუწყავ ღილღურად ძახილი; შასარიგებლად ორავ მასულივ, არხოტიონთდ წამალალულივ. ლაშქარს უძახებავ: წაედივ, მაგვშორდივ მანდითავ, ჩვენ ვიცითავ რაიც შარიგება გინდათავ. მეორედ, მესამედაც, კიდევ წაულალავ ჭადელა არხოტივნებსა-დ ლაშქარსაც გაშჭირებივ შიმშილით. უკენობას მისულა-დ დაუწყავ კიდე ძახილი: გამეედითავ, მე ჩაგიდგებითავ თავზდებადავ. მემრ მიუყვანავ ჭადელა ლაშქარსა-დ უუბნავ შარიგებაზე. ჭადელას იმთვენ უუბნავ, რო დაღნდობივა-დ გამახყოლივ ლაშქარი. ლაშქარი რო გამასულ, არხოტივნებიც აქ ყოფილან. შამაეხვივნენ მირგვლივა-დ უთხრეს: თუ იარაღს აიყრითავ შავღრიგდათავ, თუ არადა ვჭოცათ ეროუცივ. ღილღველნი ყველანაირად ძალღონე გამალეულნი ყოფილან, შიმშილითაცა-დ აღარც ტყვია-წამალი ხქონივ. მეტ გზა რო აღარ ხქონდ, აუყრავ იარაღი-დ ჩაუბარებავ. მიუცავ არხოტივნებისად. არხოტივნებს წამაუყვანავ ეს ლაშქარი-დ მაუყვანავ ახიელის ძირ მინდორზე. დამსხდარ უიარაღო ხალხი-დ არხოტივნები მირგვლივ შამახვევიონ შაიარაღებულები. არხოტიონს ხალხს, ღილღველთ ცალკე გაუმართავ საუბარი, რა უყვათავ ეეხლადავ ამ ხალხსავ, დავჭოცათაევ, თუ გაუშვნათავ. ზოგს ხალხს უთქომ, რო ცოდოიავ, უიარაღოს ხალხს ნუ დავჭოცთავ, ცოდოი ასავ. ზოგებს კი გაუნიავეებავ, ეგენივ ჩვენ დასაჭოცლად არიანავ წამასულებიო-დ ჩვენ რაადაღ გაუშვნათავ ცოცხლებივ. წამასულან არხოტივნები-დ არხოტის ჯვარის კარჩი შაყრილან, ბევრ უუბნავა-დ გადაუწყვეტავ, რო დავჭოცათ ეს ლაშქარივ. ახიელ ერთ ციხეი დგასა-დ ეს ციხე ჭარათაი ას. („ჭარანი არის ცისკარაულების ქვეგვარი). ჭარათას ვისამ მეგობარ კაც ხყონივ ერთ ღილღველი ტარშელი („ტარშა”, ქისტის ანუ ღილღვლის სოფელი). ჭარათ რო გაიგეს, რო ლაშქრისად თავის გაჭრას

აპირობენ, გაუკითხავ ცალკე თავის მეგობარ ღილღველი-დ უოქომ: შენაო-დ თუ ვინ კიდე გტანავავ სახლისკაცებივ, ჩემთან წამეედითავ, თორე აქ კა საქმე არ მაჭდებისავ. იმ ღილღველს ორ კიდე მაუყვანივ თავის სახლისკაცები-დ ჭარაო გაუპარებიან ღამითა-დ თავის ციხეში შაუყვანიან. პურიც მიუტანავ, წყალიცა-დ ციხის კარი გარეთიით დაუკედავ. ლაშქარსავ პურ ვაჭმიოთავ, უოქომ ზოგებს, მშიერ ხალხიავ; სხვებ ქვე გაუჯავრდომიონ: პურ რო ვაჭმიოთავ, მემრ უფრო ცოდო არ ასაევ, რო პურ-მარილში გარეულ ხალხ დავჭოცათავ, არ დავჭოცათაო-დ რა კაის მაქმედებიავ ჩვენდავ, აქით რო წავიდანავ, მაგვიბრუნდებიანაო-დ უარესს გვიზმენავ. საბოლოოდ გადაწყვეტილ, ლაშქრის დაჭოცა. უიარაღოებისა დაჭოცას ბევრ ხალხ კი ზარობდ, მაგრემ ხალხმ რაიც პირ აიღ, იმას ვეღარ ტეხდეს. ზოგს ჯუთას დაუჭოცეს მაკეთეები. ზოგს წინანდელ ჯავრი შჭირდა-დ მაინც ლაშქრის გათავისუფლებაზედ უარს ამბობდეს.

ერთ ღამე კიდევ ახიელის ძირ გაათენებიეს ამ ლაშქარს, დაჭოცა საწუხროდ გადასწყვიტეს, მაგრემ ღამითავ დაგვექცევისავ ხალხივ, დილამდინ მაიცადეს. ღამით კი სრუ მირგვლივ ხყვანდეს შამახვეულები-დ ყარაულობდეს. მეორე დილას ყველა არხოტივნებმ ღილღვლებსთან მოიყარეს თავი, ღილღვლებს ვეჭ კი ხქონდ (ეჭვი ქონდა), რო არ გვიშობენავ, გულში რაიმ აქვავ ცუდიო-დ აბა ვინ იტყოდ; თავმართლად კი საით გაიგებდეს – დაჭოცაი ღგულავავ. ერთ არხოტიონ მისულ ნასხდომებს ღილღვლებსთანა-დ ერთისად მჭარზე ჭელ დაუკრავა-დ უოქომ: დასაკლავს ჭარს რაიღ გვიანობა უნდავ. ვითამ, ამ ხალხის დაჭოცას ხო ვაპირობთაო-დ გვიანობა რაადაღ უნდავ. რომენსაც მჭარზე ჭელ დახკრ, იმასა-დ იმის შვილს ქართულ ორთავ კარგად სცოდნივა-დ გაუგონავ ამ არხოტივნის ნათქვამი-დ გაუგავ, რო დაჭოცას გვიპირობენავ. ამ მამაშვილთ ხანჯრებიც ორთავ დამალულებ ხქონივ ჩოჭის შიგათი. რაკი ამ არხოტიონს ეს უოქომა-დ დარწმუნებულან იმაში, რო მაინც დაგვჭოცენავ, მაუსომ ხანჯრებისად ჭელ ამ მამა-შვილთ ღილღველთა-დ მიუცვეთავ იმ არხოტივნისა-დ რომენმაც თქო: დასაკლავს ჭარსავ რაიღ გვიანობა უნდავ. ხანჯრებ რო დაუცვეთავ, ეს არხოტიონ გახქცევიათა-დ გაზდგომიან. მანამ კიდევ დასცემდეს ხანჯრებსა-დ დაათავებდეს, სხვებ არხოტივნები მიშველებიონა-დ დაუჭოციათ ხანჯრით ეს მამა-შვილნი; იმათ ისრ მარჯვედ ვერ დახოცეს, მაგრემ ვისაც მიზდევდეს, იმათ იმაზე ხქონივ გული.სხვებ ზურგთანით წასწევიონა-დ ღილღვლებ დაუხანჯრიან. ეხლად კი დარეულ ხალხ ეროუცშია-დ დამდგარ იარაღის ჭმა, ცემა, ყვირილი, ღრიალი, ღილღვლებს იარაღ აღარ ხქონივა-დ აბა უიარაღოდ რასაღ იქმოდეს, შაბრძოლილან კი. ზოგისად ქვა დაუკრავ, ზოგს ჭელდაჭელ შაღმბიონ, მაგრამ ბოლოს მაინც ყველა დაუხანჯრავ. დაუთხრავ აის მკვდრები-დ ახიელის ძირ ერთად დაუწყვავ მინდორზე. ერთ ღილღველივ ისით იყვისავ, რო უჩინს ღამეში (ბნელ ღამეში) მოვარესავით ანათებდისავ. ერომ არხოტიონ ქალმ გაიარავ ღილღოს ნატყვევარმაო-დ ნახავ ეს

ღილღველივ მკვდრებშიავ. დაღგლიჯავ ბალახიო-დ პირისახეზე დააყარავ; ცოდო კი ასავ – ოქოევ, რო შენავ ეეგრ იწვავ. შენ ფერივ არცაღ რჯულიანჩი იქნებისაო-დ არც ურჯულოშიავ. ბალახ რო დააყარავ, იმის ბრალითავ ცრემლებ გადმაედინავ. მემრ უკითხავ იმ ქალისად: ვინ ასავ ეგ ღილღველივ. ეგივ ისიავ, უოქომ ქალს, მე რო ტყვედ ვიყავი წაყვანილივ, ამაგან მიმიბარაო-დ ძმა ვერ შაინახავსავ დასავ, მე რო ტყვეობაში მაგან შამინახავ. ეე საურჯულოოს მაგას ცალ არ ხყვანდავ, არც ვაშკაცობითაო-დ არც სვინდის-ნამუსითავ (მთხრობელს ამ ღილღვლის სახელი არ ახსოვდა, სხვებს ვისაც ვკითხე ვერც იმათ მითხრეს). მემრ ჭარათ რო ტარშელნ დაუმალიან, ისენ გაუპარებიანა-დ შახყოლიონ მთამდინ. იმათ უოქომ, რო ოქვენგან ცოცხლებ დავრჩითაო-დ მანამ ჩვენ საგვარეულო იქნებისავ, შვილ-შვილიშვილიო-დ კიდევ მემრავ, ჩვენ ოქვენ ძმებ ვიქნებითავ ამის შემდეგავ. სადაც გაგიჭირდებათავ, ოქვენკე მამავალს ტყვიასავ ჩვენ შაველობებითავ წინავ. იმის მემრ ტარშელთა-დ ჭარათ დიდ ძმობაი აქვ დღესნამდინ. ისენიც ხშირად დაუდიოდეს სტუმრადა-დ ჭარანიც, შვილ-შვილიშვილიცა-დ ბოლოს გვარის გაგძელება. თუ ეროს რა გაუჭირდებოდ, მეორე მიეშველებოდ. სტუმრად მისულს ერთიმეორეს მუდამ დაუკლევდეს საკლავს პატივის საცემლად.

ტარშელ რო წასულან, იმათად უკითხავ ღილღვლებს მდევრის ამბავი, როგორ წავიდავ საბოლოოდავ. იმათ ყველა უუბნავ, რაიც რაჭელ მახჭდ მერცხალიშვილის წასვლიდგეს, ან თაოდ რაჭელ გადაარჩინნეს ჭარათა-დ ან ლაშქარ რაჭელ დაიბალითესა-დ დაჭოცეს უიარაღო ხალხი, ან მკვდრებ რაჭელ დარჩ. ამ ლაშქარზე სიმღერის მოქმელს კი ისრ უოქომ, რო წითელ წყალ მისულავ ღილღოსაო-დ იმით გაუგავავ, ან არხოტივნებს სჭრიანავ თავსაო-დ ან იქნება არხოტინებმ დაჭოცესავ ლაშქარივ, რო სისხლიან წყალ მავიდავ, მართალ ამბავ კი ტარშელთ მიუტანავ.

ბერები ქომოციხლები ცუდად შახედვენ მთათაო,
დაგვიგვიანდა ლაშქარი, გადასცდა პიროობასაო,
შუ ღილღოს კაცი წალალეს, შინჯვენ არხოტის წყალსაო,
წყალი მავიდა წითელი, არხოტ თუ სჭრიან თავსაო.

ღილღველთ რო ეს ამბავ დაწვრილებით გაიგეს, დაიწყეს მკვდრების ზიდვა, ხოლო არხოტივნები მკვდრებს უსაჭსროდ არ აძლევდეს, ზოგის საჭსრად სპილენძს აზიდვინებდეს. ზოგისად იარაღს. ღილღვლებს თავის მკვდრები, ზოგი მალულად, ზოგი გვიან, ყველა წაუღავ.

ამ ხალხის დაჭოცის დროს რო მამა-შვილთ ღილღველთ არხოტივნისად ხანჯრებ დაუცვეთავ, მძიმედ კი დაჭრილ, მაგრამ იქავ გამამრჩალ. ლაშქარ რო გაუწყვეტავ,

არხოტის ჯვარჩი არხოტივნებს ერთ ჭარ დაუკლავ საყარყმოდ. არხოტის ჯვარის ახლოს მინდორზე ყოფილ ზოგ მკვდრები-დ არხოტივნებს შორს დაუთრავ – აქავ ჯვართ ახლოს დასულდებისავ. იმეების გამთრელები აოდ დაჭდილანა-დ ჯვარს მაუმიზეზებიან, მკითხავს უთქომ, რო არხოტის ჯვარმ მკვდრების დათრაივ შორსავ, ეგეებივ ჩემის გამარჯვებით დაჭოცავ ხალხმაო-დ აქ უნდა იყონავ... მაუთრავ აის მკვდრები, სადაც იყვ, იქავ დაუწყვავ, მანამ პატრონებს არ წაუღავ. იმეებისად მატანილ საჭსარ არხოტის ჯვარში მიუღავ. ზოგ სალუდეებ ქვაბები-დ ზოგი სხო რვალი. ღილღველთად აყრილ თოფ-იარაღიც ზოგ კი წაუღავ საჭსრითა-დ ზოგ ქვე დამრჩალ. რაიც დამრჩალ, ისიცა-დ ნაზიდ საჭსარიც გაუყვავ არხოტივნებს. იმის შემდეგ დაჯავრებულებს ღილღვლებსაც ბევრჯელ დაუყრავ ცუდ დღე არხოტივნებისად.

ღილღვლის ლაშქრის დაცემა ფხიტუს ცხვარზე, საპარისმაღალ არხოტივნების დაწევა მდევრად და ბრძოლა ერთიმეორესთან

მიამბო გიორგი ქიბიშაურმა სოფ. ახიელში, 63 წლისა. 1938 წ.

სოფელ ხამხაი არხოტსთან ძალიან შორს არ ასა-დ აქაურები-დ არხოტივნები ძალიან კარგად იცნობდეს ერთუცს. მესისხლეობაიც ბევრჯელ ხქონივ ერთადა-დ მემრ იქავაც შარიგებულან. კაცებ კი უჭოცავ ერთუცისად, მაგრემ განსაკუთრებით დიდ ზიანიოდ კი არცად მიუყენებავ. იმით, შითურასაც ლაშქარი საჭევსურეთოდ მაუმზადებავ, რო არხოტ დიდ ზიან არ მიეყენ, რაზედაც ეხლა გვექნების საუბარი.

ხამხას ცხოვრობდ ერთი სახელგათქმულ ღილღველი შითურა. შითურა ხანდიხან ღილღვლის ლაშქარსაც ზძღოლივას წინა-დ მზირ ხო სრუ დაუდიოდ, უსაფრდებოდ გზაშია-დ სახელის გულისად ჭოცდ ხალხს. ერთხან შითურამ მაინდომ ღილღვლის ლაშქრის შაყრაი, არხოტიონთ ადგილებისა ღამიღამ გავლაი-დ ბუდის ჭევსურების მთაში ჭარავანზე დაცემა (ჭარავანი: საიალაღე მთაზე გაშვებული ხარები და ბერწი საქონელი). შითურა ფიქრობდ, რო არხოტივნებს რო დავსცავ ლაშქარივ, ახლოს არიანაო-დ არ შამარჩენენავ, მემრ ზაფხულიავ, მამასწრობენაო-დ დამიზარალებენ ხალხსავ; რაკი ეხლა ზაფხულიაო-დ ბუდე ჭევსურების ჭარავანს გამავღლალავავ, მთებზე გზას შავხკრავავ, აღარვის გამაუშობაო-დ, ერთხან თუ ბისნას გადავასწვერითავ, მემრ ვეღარას გვიზმენავ. ბუდის ჭევსურებმავ აქ არც მთის საყელებ იციანაო-დ არც გამაგვყვებიანავ აქამდინავ. არხოტივნები მანამ გაიგებენავ, ქვე გადავასწრობთავ ჩვენს სამძღვარზედავ.

შითურამ ამ აზრით დაიბარ ღილღვლები-დ შაიყარნეს იარდაში. აქ შითურამ თავის აზრ უამბა-დ ყველას გაუხარდ ეს აზრი. მეორე დღეს აისხეს თოფ-იარაღი-დ წამავიდეს. შამაიყარნეს ნეთხას, ამავიდეს ჩორეხა-დ აქ დაისვენეს. აქით წინ წალალეს მზვერავები-დ თაო შორიახლოს გახყვ ლაშქარი. მზვერავები სრუ უგზოს

გზაზე მიდიოდესა-დ იქით ათვალიერებდეს გზებს – რო აქ არხოტიონ არვინ იყოსავ, ან მენადირეიო-დ ან მზირად წამასულივ. ისრ იარესა-დ ბისნის კუროზე ერთად მავიდეს ყველანი, მზვერავებიცა-დ სხო ლაშქარიც. ამავიდეს საჭარის მაღალ, აქით ათვალიერეს გზები-დ, რო ვერცად ვინ ნახეს, ჩამაიყარნეს ნასოფლარ. (ნასოფლარი ეწოდება ტანიეს. აქ ოდესღაც სოფელი ყოფილა, უფრო ქისტებისა, ახლა კი ეს ადგილი არხოტივნების ხელშია და ზამთრობით მიუდის საქონელი. ზაფხულში კი მარტო თივის დასამზადებად მიდიან. ამზადებენ თივას და დადგამენ ადგილზე ზვინებად. ზამთარში, როცა საქონელს მირეკენ, მაშინ მოაქვთ თივაც. რაკი ძველად სოფელი ყოფილა, ამიტომ ჰქვიან „ნასოფლარი“. ეტყობა კიდეც ძველი ნასახლარები; ახლაც იმავე ნასახლარებში აშენებენ საზამთრო გომურებს). ნასოფლარით წამავიდესა-დ მეორეს მთაზედ შამაჭდეს „ოშანიკე“-ს ღელეში. აქით კიდევ ათვალიერებდეს გზებს – ან ხალხ ხო არცად ვინ იყვ საშიშ ალაგში, ან ყარაულებ ხო არცად იყვნეს.

ამ დათვალიერებაში ნახეს, რომ ამღის მთაში შიტუს მემცხვარეებს მაუსხამ ცხვარი-დ სრუ უჭერავ ეგ მოები. აქ რაკი ცხვარი ნახეს, ღილღვლებს იქისკე წაზძლივ სულმა-დ თქვეს: ეს ცხვარ ხო არხოტივნებისა არ ასავ, ამ ცხვარს დავეცნათაო-დ გავლალათ ღამითავ. წყემსებ თუ ჭელჩი ჩავიყარეთავ, ცხვარს გამავაყოლათავ თანავ, თუ ჭელჩი ვერ ჩავიყარეთავ, ქვე დავჭოცათავ, ვინაც გაგვექცევისავ; თორე, რო გაგვექცასავ ვინავ, არხოტ გასტეხსავ ჭმასავ. წინ მაგვასწრობენაო-დ არ გაგვატანენავ ცხვარსავ. იმათ იცოდეს, რო თავის მთაში ნადგომს ცხვარ-წყემსს აისრავ პატრონობდეს, როგორც თავის საკუთარს. ზოგებმ კი თქვეს: აქით ცხვარს ისრ ვერ გავღლალავთავ, რო არხოტივნებმ არ გაიგანავ, ცხვარ ხო ჩქარად არ იდენსავ, მანამ ჩვენ ამ ორს მთაზე ცხვარს გადავღლალავთავ, მანამ გაიგებენავ არხოტივნებივ, წინ მაგვასწრობენავ, არც ცხვარს გაგვატანენაო-დ ხალხსაც გვაზარალებენავ. უკეთესიავ, რო პირიქითელ ჭევსურების ჭარავან გამავლალათავ. მაგრემ ზოგებმ თქვეს: რაიღ პირიქით ვიდინათავ, ეს ცხვარ აქ ასავ. ჭევსურების ჭარავანიც რო წამავიღათავ, არხოტივნებ მაინც მდევრად გამაგვიდგებიანავ, თუ გაიგესავ. ბოლოს შითურამაც თქო, რო დავეცნათავო-დ ეს ცხვარ წავიღათავ, რაიც მაგვივავ, მაგვივავ. დღისით წვერი-წვერ გაიარესა-დ შიტუს თავ ეროს ჭვაფს ალაგში დასხდეს დაღამებამდინ. რო დაღამდ, ჩაიყარნეს ჭალაშია-დ გასწიეს ცხვრის ბინაისკეს. ცხვრის ბინას რომ მიუახლოვდეს, ფეჭის ჭმაზე ძაღლებმ დაიწყეს ყეფა. ვინაც მაჭერჭებულ წყემსებ იყვ, განზე გავიდეს, რო ცხვარს კარგა შორად მაშორდეს. ერთ-ორმ წყემსმ არ დაანებ თავი ცხვარსა-დ მასულმ ლაშქარმ აქავ დაჭოცნ ისეები. ლაშქარი ცხვარს მირგვლივ შემეეხვივა-დ გამაუქეჩეს ისრ, რო აქ ბევრ ხანს არ დაშჭირდ ბძოლაი, ერთ-ორ წყემს შახვდა-დ ისეებიც მაშივ დაჭოცეს. ცხვარ ქოოდ უპატრონოდ დარჩა-დ გამალალეს, ზოგებმ ქეჩებ წამაიყარეს წინა-დ სხვა ხალხი შუად-შუ ჩაუდგ გამამართულს ცხვარს

(ქეჩი: თხა ან ვაცი, თითო ფარაში ასეთი რამდენიმე ყავთ გაწვრთნილი. როცა ცხვრის გარეკა უნდათ, ქეჩებს გაუჯავრდებიან. ისინი ცხვრის წინ გავარდებიან და გაუდგებიან გზას, მერე ცხვარიც დამწკრივდება და ქეჩებს გაყვება უკან. უქეჩებოდ ცხვრის გარეკა არ შეიძლება, ცხვრები რომ ცხვრის ფარიდან განზე გარეკოთ, მობრუნდებიან და ისევ ცხვრის ფარაში შემოვარდებიან, მთლიანი ფარა კიდევ ვიწრო ბილიკზე კი არა, შარაგზაზედაც არ გაირეკება. ამიტომ თხები ისე გაწვრთნილი ყავთ მეცხვარეებს, ერთი რო დაიძახონ – „ქეჩი“, მაშინვე წინ გავარდებიან და გაუძღვებიან ცხვარს. ქეჩებს თავ-თავის საკუთარი სახელიც ჰქვიან და ძალიან კარგად ესმით თავისი სახელი; მაგალითად, ერთ-ერთ ქეჩს „არსილა“ ჰქვიან. პატრონმა თუ დაიძახა – „არსილავ ქეჩი“, არსილა მაშინვე წინ გავარდება და გაუძღვება ცხვარს. მერე თხები მარდები არიან და მათი გარეკა ჩქარა შეიძლება, ცხვარიც ასეა დაჩვეული, რომ ქეჩებს გაუდგებიან უკენ, თუნდა ქვეც აბრუნებდას ვინ, აღარ მაბრუნდებიან, ქეჩებისკე გარბიან მაინც). ქეჩები მიუდიოდ აჩქარებითა-დ დამწკრივებულ ცხვარ უკენ მიზდევდ. ამაიარეს მთიდი-მთივა-დ მეორეს დილას სადილობისად ნასოფლარ ჩავიდეს. აქ ცოტა შაისვენესა-დ აუყენეს ლარტანის გორს პირაღმ. მძიმე ფარა იყვა-დ მარჯვედ ვერ მიდიოდ იწრო გზებში, შვიდას-რვაასი სული იქნებოდ, სრუ ჭედილაი-დ ბერწ ცხვარი. საჭარის მაღალაცა-დ სხვას წვერებზედაც ყველკან მეწვერე-ი ხყვანდ ლაშქარს (მეწვერე: ყარაულები ყველგან, სადაც გადასასვლელი და გზის შესაკრავი ადგილები იყო მთებზე, ე.ი. მეწვერე ჰქვიან მთების ყარაულს). მეწვერემ რო ნახ, მძიმე ფარა მაუდის, დაიწყეს თოფის სრევაი-დ თამაშობა სიხარულით, თან იმღერდეს „ილალას“-ს. ცხვარიც მაღლად ამავიდა-დ შაჟარდ საჭარის ღელეს (ქისტეთისაკე გადასავალ მთას). ამ დროს შამაეწივნეს არხოტივნებიც, ზოგნი ცხვარსა-დ ზოგთ პირდაპირ გასწიეს საჭარის ღელისკე.

ცხვარ რო გაელალ ღილღვლებს, იქით დაქცეულებ წყემსები პირდაპირ არხოტ მასულიყვნენ ღამითა-დ დაეწყ ძახილი: ცხვარზე დაგვეცნესაო-დ ცხვარ გაგვილალესავ ღილღველთავ, მაგვეშველენითავ. ზოგ წყემსებ ქვე დაგვიჭოცესაო-დ ჩვენ გამავექცენითაო-დ თქვენ გატყობიებთავ. არხოტ ყველას სოფლებში ჭმა გატეხილიყვა-დ, ეროუცის მემჯობიას, დაქცეულიყვ ხალხი სამდევროდ. მამზადება ქვე არა ბევრ უნდოდ ხალხს, იმით რო სრუ მზას ხქონდ ერთ ჭელ ფეჭსაცმელი, თოფ-იარაღიც, ესეთის დღისად არხოტივნებს. საჩქაროდ მაემზადნესა-დ წამავიდეს.

არხოტში ჭმანი ჩაყარნეს: მაგვეშველენით ხანზედა,
სამდევროდ არხოტივნები დეემზადნიან წამზედა.
ოროლ პირ მასრა აისხეს, თოფებ უელავს მჭარზედა.
არხოტის ჭალას მდევარი ეროუცს არ უცდის გზაზედა.
ზოგებ წვერისკე წავიდეს, ზოგნი საჭჩუათ გზაზედა.

საჭუათ გზაზე წამასულ მდევარი. ცხვრის ფარას შამაეწივნესა-დ დაუწყეს ერომანეცს ოოფვა ცხვრის ფარის გამლალავ ღილღვლებმა-დ არხოტივნებმ. არხოტივნებ ჩაუსაფრდესა-დ გზას აღარ ანებებდეს, მაგრემ, მეწვერის იმედით, ღილღვლები ცხვრის ფარას მაინც არ წირევდეს. ცოტაად თუ აუედითავ, ფიქროობდეს, მემრავ მეწვერე მაგვეშველებისაო-დ, როგორც იქნებისავ, გადავასწროობთავ ამ ცხვარსავ მთაზეო-დ მემრ ვეღარ დაგვაყრევენავ. აქ რო ერომანეცის ოოფვა იყვ, ამ დროს ზოგ ხალხ საჭარისმაღალ შაჭდ; მეწვერეებმ რო ესეები ნახეს, დაუწყეს ოოფების ჭლა, რო მდევარივ წვერზე არ ამაუშვათაო-დ ცხვარ არ დაგვაყრიონავ. მაგრემ ზოგებ არხოტივნებ ამ მეთოფეებს, ანუ მეწვერეებს, აჭლიდეს ოოფსა-დ ზოგები სხვის გზისას წავიდესა-დ მეწვერეს სათავე მაუარეს. ცხვარ ვისაც მაუდიოდ, ამ ღილღვლებმ წალალეს კაც, რო მეწვერე მაგვეშველასავ (ერთ ღილღველ სახელად აშუყო ყოფილ, მაშინ ამ ცხვრის გამლალავი. მემრავ ისივ არხოტ დავიდოდისაო-დ გვიამბისავ მაშინდელ ლაშქრობაივ, თქვიან წინათ. აშუყომ თქვისავ: ოოფის ჭმა რო გავიგონეთავ, ჩვენ მეწვერე თამაშობსავ, გვეგონაო; რო გადმავხენეთაო-დ არხოტიონთ ოოფნი ელევდესავ, მაშინ დავანებეთავ ცხვარსავ თავივ. ერომ ღილღველმ იძახავ: ხთის ნაცემიავ ჩვენს თავსავ, ჩვენ მეწვერე კი არავ, არხოტივნებ მასულანავ). გადახენესა-დ „მტყელზალტიანნი ოოფნი ელევდესა-დ ნიშან თავნ ბრუნევდეს" (ეს სიტყვები არის აშუყოს მიერ ნათქვამი. მტყელზალტიანნი ოოფნი და ნიშა თავები. მაშინ ღილღვლებს ოოფებისათვის წვრილი რგოლები ცოდნიათ სალტედ, არხოტივნებს კი ბრტყელი სალტეები. ნიშა თავი: მელოტი თავი. ასეთი თავები არხოტივნებს უმრავლესობას ჰქონდა) მაშინ უძახებავ ერთ ღილღველს, რო ჩვენ საქმეივ ცუდად ასაო-დ თავ დაანებეთავ ცხვარსავ, თორე სრუ გაგვწყვეტენავ. ღილღვლებმ, რო ამთვენ წვალება ტყუილად დახკარგესა-დ ცხვრისად თავს მაუნდ დანებება, რაიც დიდ დუმიანებ ვერძებ იყვ, ხანჯრებით დაშჭრეს აი დუმაები ცოცხლებს ვერძებს. გააცვეს არგანზედა-დ გაისხნეს მჭარზე შინ წასაღებლად. ზოგი ჯავრით ხანჯარს დასცემდ ცხვარსა-დ კლდეზე დააგორებდ მკვდარს. ზოგებ კი იმას ეუბნებოდეს: დუმეებ კი არავ, თავებიც აქ დაგჩებისთავ, ცოდოი ასავ, დაანებეთავ ცხვარსავ თავივ. გაიარეს ამ ღილღვლებმაცა-დ მეწვერეებს შაუერთდეს, ზოგებ კი გაიპარნეს სხვის გზისას, მაგრემ აქაც არხოტივნებს გზაი ხქონდ შაკრული-დ არ გაუშვნეს. გაჭდ საჭარის ღელეს ოოფების ჭლაი.

ომ იქნა საჭარის ღელეს, ნისლები წვება მთაზედა,
კვამლი გავიდა კვამლშია, ბოლი გაირთხა ცაზედა,
მაჟრებ სჭეხს საჭარეზედა, ჭირიმებ – თავის ჭმაზედა.
დაჭურდეს ოოფნი სტამბოლნი, ტყვია ჩამადის ფარზედა.
ოოფმა აჯობნა სიათამ, ტყვია ალალა ძალზედა.

ისით ბევრ თოფის ჭლა გაიმართ, რო ზოგის ჯიშის თოფები სრუ ამაიმჭვარდლა-დ აღარ ისრევდეს ტყვიას, ზოგებ თოფებ კი თავისთავად იწმიდებოდეს ტყვიისაგან. ზოგებ თოფებ ისრ დაჭურებულან, რო ჭელ აღარ ეკიდებოდავ. ღილღველნი სანგალში მსხდარანა-დ იქით უსრევავ (სანგალი: ქვებისაგან შემოღობვილი საფარი, საიდანაც თოფს ისვრიან და მოფარებული არიან). არხოტივნებ უფრო მაღლა ყოფილან ჩასაფრებული-დ იქით უჭლავ თოფები. ისეთ თოფის ჭმა ყოფილ გამბული, რო საჭარის ღელით არხოტ მამდინარ, ცა რო დაიქუხნებსავ შორადავ, ეეგრ გურგუალ გაიღისავ ცაზედავ თოფის ჭმამავ, - იცოდიან წინათ. სადილობაში შამბულ ომივ წუხრიხან მავიდავ, იქავ ომ იყვავ გაჭურებულივ. აშუყომ თქვისავ: ჩვენავ დაღამებას ველოდითავ, დაბლად ვისხედითაო-დ ღამითავ არხოტივნები ვეღარ გვნახევდესავ. ჩვენავ ქვე ვღნახევდითავ არხოტივნებსავ ცის ტატნადავ მაღლა ნასხდომებსავო-დ მაშინ ვაზარალებთიდავ (ზემოთაც ვოქვით:ᾶაშუყო ერთ-ერთი ღილღველი იყო, რომელიც ამ ლაშქარში ერია, ამ ლაშქრობის შემდეგ ის დამეგობრებულა არხოტივნებს, ხშირად თურმე მიდიოდა სტუმრად არხოტში და, სხვათა შორის, ამ ლაშქრობის ამბებსაც უყვებოდა არხოტივნებს). დაჭოცით მაშინ ბევრ არ დაჭოცილ, არც ღილღვლები-დ არც არხოტივნები. იმით, რო ყველა ჩასაფრებული ყოფილასა-დ ტყვია მარჯვედ არცაით ხვედრივ. ერთ ღილღველ მაჟჯდომივ კლდესა-დ მარაიზძეთ სისკარაისად უჭლავ თოფი; სისკარაიც მენადირეი-დ ძალიან კა მეთოფე კაც ყოფილა-დ ამასაც უჭლავ – ორნივ ჩასაფრებულნ ყოფილანა-დ ვერც ერთს დაუკრავ, ვერც მეორეს (სისკარა გვარად ოჩიაური იყო). რას შჩადივ, სისკარაო, უძახებავ ამხანიგებს, ტყვია-წამალს ნუ ხარჯავავ ტყუილადავ, დააცალევ, რო ამაჩინდასავ. უცლავ სისკარასა-დ ქუდ ამაჩინდავ ღილღველსაივ. სისკარას ძალიან მართალ თოფ ხქონივა-დ უსრევავ. აი ქუდივ შორს გაისრივავ ტყვიამავ. მაუტყუებავ სისკარაი, ქუდი არგნით ამაუჩენავ, სისკარას კაცის თავი ღგონებივ (არგანი: ჯოხი, რომელსაც კლდეში სიარულის დროს ხმარობდნენ მონადირეებიც და ასეთ ამბებზე მოსიარულე ხალხიც უჯოხოდ არ წავიდოდა). გამავარდავ იმის თოფიცავ, თქვის სისკარამა-დ ზედ გადმამაშალავ აი კლდის ნამტვრევივ. მაუსწვრავ კიდე სისკარას თოფის გატენაი-დ დამჯდარ ჩუმად. კარგა ხანს რო გამავიდავ, კიდე ამაჩინდავ ქუდივ, გაუგავ სისკარას, რო ის ქუდი ჯოხითავ იყვ ამაჩენილი-დ აღარ უსრევავ. ღილღველს უფიქრებავ, რო აღარ მესრივავ, ქვეოუ მავკალივ. მეორედ ამაჩენილ ქუდი-დ თეთრად შუბლიც ამახყოლივ თან. ამ დროს სისკარას დალიშნებულ ხქონივა-დ დაუსხლეტავ თოფი. თოფ რო გავარდავ, ლეგადავ ტვინ შაასხავ აი კლდესავ, თქვის სისკარამ. შუბლში მახვდრივა-დ თავ გაუხეთქავ ღილღვლისად ტყვიას. მემრ სხო ვინამ გამახკიდებივ, მე მავკალიო-დ ხალხს გაუმტყუილებავ ისი – მაგ ღილღველსავ სისკარამ დახკრავ თოფივ.

მაკლულსა სისკარაისას რაად სახელობთ სხვანიო.

ზოგ სად ვინ ყოფილ ჩასაფრებული-დ ზოგი სად, უჭლავ ერთუცისად. ამ ჭლაში დაუჭრავ ერთ ამდიონი მინდიაი. მეორეიც იქავ ამდიონ დაუჭრავ ხომიზურაი. მინდიას მჭარს შჭირებივ ნატყვიარი-დ ხომიზურაისად თავ გაუღარავ ტყვიას. თამარიზძე ხომიზურაის ძმა ყოფილა. რო უნახავ, ხომიზურასავ ტყვია დახკრესავ, წამამფრინდალა-დ გაქცეულ, პირდაპირ ღილღვლების სანგალში გადამხტარ. გაქცეულს შამაუყენებავ თოფი, იმას ის ღგონებივ ფეჭზე შამავაყენევ, მაგრემ აჩქარებულს ამეეცილა-დ ფიცარზე შამეეგდ (ქართულის თოფის ჩახმახს ისეთი მოწყობილობა ჰქონდა), ქვე მამკვდარ. ხომიზურა იმთვნად მაგარ კაც ყოფილ, რო არხოტამდენ იქავ ფეჭით უვლავ სასიკვდილოდ დაჭრილს.

ბრალი ას, გიორგაისძე ურჩოდ დაიჭრა ტანზედა,
აეგრავ მინდიაისად, არწივ დაკოდეს მჭარზედა.

ომ რო გათავდ, დაბრუნდეს არხოტივნებიც. საკაცით საზიდავად მარტო მინდია გაუჭდ, სხვებ კი ყველა ფეჭით მადიოდ. დაჭრილ ხომიზურაიც კი ფეჭითავ მავიდოდ. იმთვენ დარჩ ღილღველის ყარწიკაი-დ სასაგძლე, რო ძლივ წამაიღ ხალხმ (ყარწიკა: შალისაგან არის მოქსოვილი, მერე მოთელილი, ამას მთიელი ხალხი ნაბდის მაგიერ ხმარობდა და სატარებადაც მსუბუქი იყო. მას მოხეურად ყისინა ქვია).

ამაგათ გუდა-ნაბადსა ნასოფლარ ყოფდეს ბანზედა,
ცუდად ქნეს, წილ არ დაგვიდვეს, ვერ მაგვიხვედით ხანზედა.

ცხვრის პატრონებიც მავიდეს აქა-დ დააბრუნეს თავის ცხვარი. წუხრ მდევარიცა-დ ცხვარიც ნასოფლარავ ჩამავიდ. გათაულ პური ხქონდ ხალხსა-დ დაღალულ-დაოსებული იყვ (დაოსებული: დაქანცული). დააგზეს დიდ ცეცხლი, ამ ღამეს აქ დარჩეს. ღილღველთ დაწირულ ყარწიკები-დ სასაგძლეებ გაიყვესა. ზოგ კი ჩიოდ, რო ჩვენავ წილ არ დაგვიდვესაო-დ ცუდად ქნესავ. წილ არ მიუცავ იმეებისად, ვინაც დაგვიანებით მასულასა-დ ომში მონაწილეობა ვერ მიუღავ. ამ ღამეს ტანიეს ნასოფლარ დარჩ მდევარიცა-დ ცხვარ-წყემსიც. მეორეს დილას ახყარეს ცხვარი-დ გამალალეს შიტუსკე. ოშანიკის ღელე გადმაავლიეს კალოთანის წყალზე ჩამაყარეს. აქით კი მემცხვარეებმ თაოდ გალალეს შიტუსკე თავის ცხვარი. ის მწყემსებიც, რომნებიც აქავ ადგილზე დაეჭოც ღილღვლებს, მემცხვარეებმ გადახკიდეს ცხენებზედა-დ წაიღეს თავის სოფელში დასამარხავად. პურ კი მიაგებეს გზაზე დიაცებმ, როსაც თოფის ჭმა აღარ მადიოდ, ომ გათავდავ გეეგ დიაცებსა-დ წამასულიყვნეს შაშინებულები.

აჭვათ ლაშქარი
შიშნია (იგივე მინდია) ბალახურიზძისაგან
არხოტ მომავალი აჭვათ ლაშქრის დაბრუნება

მიამბო გ. ჯაბუშანურმა სოფ. ახიელში, 52 წლისამ. 1935 წ.

„მამა გემდურის მინდიავ, შვილო უჯეროდ ხარიო,
აჭვათა, არხოტივნებსა, შენ აუშალე ზავიო“.

იმ დროს, როსაც მინდია, ანუ შიშნია ბალახურიზძე, წამაიზარდა-დ ვაშკაცობის სახელ გაითქვ, ღილღველთ აჭვათა-დ არხოტივნებმ ზავ დადვეს. კაც-შუაკაც შაიყარა-დ შარიგება გადასწყვიტეს. ერთ ჭარ დაკლეს შარიგების დროს. პირობა დადვეს, რო ძველ სისხლივ რაიც იყვავ, ყველამ დავსთმათაო-დ ახალს ნუღარას ჩამავაგდებთავ. თუ ისეთ უჭკო ვინ გამაჩინდავ, რო ეს ჩვენ დადებულ ზავ ჩაშალავო-დ კიდევ საქმე რა დალივავ, ისით კაცივ პირში მივსცათავ, ნუ დავღმალავთაო-დ, თუ ის მესისხლეთ მაკლესავ, მდევარ ნუ გაუდგებითავ, ნუცაღ თავ-სისხლ იქნებისავ ზავის ჩამშლელის მაკვლაზედავ. თუ ზავის ჩამშლელ კაც დავმალეთავ, მაშინ თემმ აგასავ პასუხივ ხალხსთანავ, თუ ამას ცუდ რა მახყვავ. ზავ დადვეს, მაგრემ ამ დროს მინდიას ვალ მიუდევდ აჭვათ ე.ი. სისხლ ემართ მინდიაისი. სოფელი, თემი სთხოვდ მინდიას, რო ჩვენის ხათრითავ სისხლს თავ დაანებევ, ზავს ნუღარ აგვიშლივ; მაგრემ მინდია სისხლის დათმობის გუნებაზედ არ იყვ: თუ აქამდინ ყმაწვილ ვიყავივ, არა შამეძლიყვავ, ეეხლადავ იარაღ ავიღიო-დ არ შავარჩენავ. ღილღო უფრო ახლოს ას არხოტსთანა-დ აჭვან შორს არიან. აჭვაში წასვლა შურის საძებრად ძალიან ძნელ საქმეი ას. შორ გზაი ასა-დ მემრ, სრუ სამტროი. მინდიას დედ-მამათ იცოდეს, რო მინდია იქ ემზადებოდ შურის საძებრად, ბევრს ეხვეწებოდეს ნუ წახოლავ, ნუც ხალხის პირს გასტეხავ, დადებულს ზავს ნუღარ აუშლიო-დ, მეორე ისივ, რო იქ წასულივ ცოცხალ ვეღარ მახოლავ, შორნ გზანიაო-დ სრუ სამტრო-სისხლიანნივ. მაგრემ მინდია მაინც აჭვათ ჯავრს არ იცილებდა-დ წასვლას აპირობდ. ბოლოს გაიპარ მარტო მინდიაი, ღილღოს გაიარა-დ ჩავიდ აჭვაში. აჭვაში სოფლის ახლოს ჩაუჯდ წუხრიხან. რო მავიდ სოფლის პირში, საფეხვნოში ფეხონ შაიყარ. ისხდეს, საუბრობდეს. მინდია ვეღარ იცდიდ, ხანდიხან მეემზადის გადავეტანებივ ჭმლითავ, ერთ-ორს ქვე მავხკლავაო-დ მემრავ ნიადეგ აღარ გამიშობენავ ცოცხალსავ. ნიადეგ მამკვლენავ. მემრ უფიქრებავ, რო დავაცალაო-დ ხალხი რო შაცოტავდებისავ, მემრ იქნება დამჩასავ დროივ, რო გადავშჩავ ცოცხალივ. მაიცად დაღამებამდინ. რო დაღამდ, მაშინ სრუ ახლოს მიიპარა-დ ჩაჯდ საფეხვნოსთან. როსაც წავიდ-წამავიდესა-დ ორ კაც დარჩ საფეხვნოში, მინდია ადგა-დ წყნარად მივიდ იმათთან. უჩინ ღამე იყვა-დ იმათ ღილღველ ვინამ ეგონ მისული. საუბარში ყურადღება არ

მიუქცევავ. მინდიამ თავის ხანჯარს გაიკრ ჭელი, ერთს კისერში დახკრ რაიც ძალი ღონეი ხქონდა-დ იქავ თავმაჭრილი დაეც, მეორეს წვერით გულში ჩასცა-დ ისიც იმაშიავ მაკვდ. მინდია გადმახტა-დ წამავიდ ისრ, რო სოფელში ვერცვინ ვერ გაიგ ეს ამბავი. მინდია სრუ ისითას გზაზე წავიდ, რო მდევარი იქ ეჭვს არ აიღებდ, იმ გზაზე არ დაედევნებოდესა-დ მშვიდობით გადაშჩ.

სოფელში შასტანებიხარ, ფეხონს გაუჭერ თავიო.

ღილღველებმ კარგა ხანს ვერ გაიგეს ეს ამბავი, როსაც ეს ორ კაცი შინ აღარ მივიდ, დაძიესა-დ საფეხვნოში დაჭელეს დაჭოცილები; გატყდ სოფელში ჭმაი-დ გამაუდგ მინდიას მდევარი, მდევარ გზაზე მიდიოდ, მინდია კი სრუ უგზოთას წამავიდა-დ ასცდ მდევრის სავალთ გზათ. მდევარმა ბევრი იარ, ბევრი იწვალა-დ მაინც ვერ გაიგეს კვალი, საისკე წავიდ ეს ორის კაცის მამკლავ მტერი. ეჭვი მაშივ მინდიაზედ ხქონდ, ის იქნებოდავ. დაიწყეს აკვათ აქ სიარული-დ ძევა არხოტივნებში, იქავ რო ეს ამბავ მახკდავ, მაშინ სად ვინ იყვავ. არხოტივნებმ იცოდეს, რო იმის მაქმედ მინდია იყვ, მაგრემ მაინც არ ტეხდეს, არვინ აკლიყვავ, მაშინავ აქაურ ხალხივ სრუ შინ იყვავ, ეუბნებოდეს. მაგრემ სოფელში ავის ენის კაცი არ გამაილევის, ჩუმად ვინამ უთხრ, რო იმ დროსავ მინდია არ იყვ შინაო-დ ეგ იქნებოდავ. წავიდეს ამ ამბის გაგებაზედ აკვანი შინა-დ წასვლაში თქვეს, ეეხლად ჩვენ ბრალ ნუღარ ასავ, ზავივ თქვენ აშალეთაო-დ მამკლავიც არ გვითხარითავ. არხოტივნებმ უთხრეს: ჩვენავ ჯერაც არ ვიცითავ, ვინ ასავ მამკლავივ; რას გეტყოდითავ, ეეხლადაც არ ვიცითავ, ვინ რა მაგატყუვათაო-დ ვის ტყუილ დაიჯერეთავ. იმ დროსავ მინდიაიც შინ იყვაო-დ ყველა ხალხივ, თუ ძალად შარი-დ მიზეზ გინდათავ, თორე ეგ მართალ არ ასავ. არხოტივნებს უნდოდ ამის დაფარვა, მაგრამ ავენა კაცისგან ნათქვამი ხქონდა-დ აკვათ აღარ დაიჯერესა-დ მუქარაზე წავიდეს.

არხოტივნებმ იცოდეს, რო ეეხლადავ აკვან არ მაისვენებენავ, ან მზირ წამავავ კაცის მასაკლავადაო-დ ან ლაშქარად დაგვეცემიანავ. მინდიასაც დაემდურნეს: აღარ უნდა დაგეჭოცავ კაცებივ, ცოტახან მაინც ზავ გვქონიყვავო-დ თავისუფლად ვყოფილიყვენითავ, თან კი იმასაც ამბობდეს: ჩვენი-დ ღილღველთ ზავივ თოვლით წყლის გუბებას ღგავავ, რო გადახეოქსავ წყალიო-დ გაივლისავ, ჩვენ ეგენ მაინც არ დაგვინდობენაო-დ ახიავ მაგათადავ.

აქამდინ თუ ზავი იყვა-დ არხოტივნებ თავისუფლად იყვნეს, ეეხლ გაუჭდ იქავ საშიშ ამბავი-დ საჭირო გაჭდ მთხილად ყოფაი. მალ-მალედ ლალევდეს მთებზე ვეშაგთა-დ ათვალიერებდეს ღილღოსა-დ ლაშქრის მასავალს გზებს. რაკი ზავის აშლა მინდიაისაგან მახჭდ. მინდია უფრო აღარ ისვენებდ, ყარაულობდ იმათ მისავალს გზებს, უნდოდ, რო

არხოტიონ აღარვინ მამკვდარიყვა-დ იმის მიზეზითა-დ თაოდ მინდიას გადახჭდენიყვ, რაიც გადახჭდებოდ. მინდია ხან ტერღის წვერ წავიდისა-დ იქით ათვალიერებდის ღილღოსა-დ აჭვათ მასავალს გზებს. კეებ ძმობილები ხყვანდიან ღილღოსა-დ ხანდიხან ჩუმად იქ წავიდის, ღამით მივიდის ღილღოს ძმობილსთანა-დ ღამითავ წამავიდის. იქით იგებდ ამბავს, ემზადებოდა ვინ თუ არ არხოტისად დასაცემლად. ბოლოს ძმობილ ღილღველმ უთხრ, რო არხოტისად დასაცემლადავ აჭვან ემზადებიანაო-დ მთხილად იყვენითავ. მინდია წამავიდა-დ ეს ამბავ არცვის არ უთხრ. მე სანადიროდ მიოლაო-დ მტრის მასავალს გზებსაც დავათვალიერებავ, მხოლოთ მთხილად იყვენითავ, რო მტერმ არ დაგაზიანასთავ. თუ გაუგივ, რო მადიანავ კი, თქვენთამდენ არ მაუტევავ, თუ არა, თქვენ იციოთავ. მინდია რო ჭალაისკე იყვ წასული-დ იცოდეს იმის ამბავი, იმას ვერ შამაეპარებოდ გაუგოდ, არხოტივნები მაშინ სხვა გზებს ათვალიერებდეს, საითაც ღილღვლების მასავალი იყვ. ჭალაისკე მინდიას იმედი ხქონდ (ჭალა: ჰქვიან არხოტიდან დაწყებული ღილღვლების საზღვრამდინ, „ოჯახის სათიბეთამდინ“. მას ეწოდება „არხოტის ჭალა“. ეს ჭალა არის ვიწრო, ტყიანი. მიდის მდინარე ასა. ტყე აქ ფიჭვია უმრავლესობა, აგრეთვე არის არყი და ცაცხვიც. საზღვრიდან ღილღვლის სოფლამდინ არის ადგილი: დუქე – ძალიან მდიდარი ტყით, მერე ღილღოდან იწყება: „ღილღოს ჭალა“. ასე არხოტივნები ჭალას რომ იტყვიან, ეს უკვე გასაგებია, რომელ ჭალაზე არის ლაპარაკი. ღილღველებიდანაც ამ ჭალიდან უფრო მეტი შიში ჰქონდათ, რადგან აქ სოფლები ახლოა არხოტთან, ღილღვლებისა და ხშირ შემთხვევაში ამ მხრიდან ეცემოდნენ და აზიანებდნენ არხოტივნებს). ჭალას ერთ იწრო შამასავალ გზაი ას, ისით, რო წყალი ძლივ ეტევის კლდეთ შუაში, გაჭეით-გამაიჭეითი ქარაფნ კლდენ-ი ხქონ, იმით ხქვიან ამ ადგილს „საძრომნი“, რო გასაძრომი პირდაპირ კლდეთ შუაში, ორ მთა ერთუცზე კინაღ ას გამბული, ჩაეს მარჯვენაზე საძრომთ დიდ ეხი-ას (გამოქვაბული). ისით დიდი ეხი, რო ორ სამის სახლის ოდენი. იმ ეხშიით ღილღველთ მასავალ გზა შორითავ ჩინს. ეხის კარში ქვით აგებული სანგალი, რო აქ მტერ ვერას დააკლებს, თუ ტყვია-წამალი-დ გულ შაშჩ. თაოდ კი ერთ კაცი მძიმეს ჯარს გაუძღვების. იმით, რო ერთ საცალფეხო გზაი, სხო გზა აქ არცაისას არ ას. აი ამ საძრომთ ეხში ბალახურიზძე მინდია ძალიან ჭშირად იჯდა-დ ყარაულობდ ღილღოთ მასავალთ გზათ.

ამ დროს აჭვაშიაც შაიყარ მძიმე ლაშქარი-დ წამავიდ საარხვატოდ. ღილღვლებს კი სთხოვეს, რო არხოტ ნუვინ გააგებიებთავ, თქვენავ ცოტა ცლანგიან ენაი გაქვთავ (ცლანგიანი: დაუნდობელი).

დაჯავრებულთა აჭვათა მძიმე შაყარეს ჯარიო,
ქრთამად აძლიეს ღილღვლებსა სოფლად თითოი ჭარიო.
ნუ ვინ გაგვცემდით არხოტში, ენა გაქვთ ცლანგიანიო.

აკვათ ლაშქარმ ღილღო შამაიარ. ნეთხისკარს რო შამასცდეს, ცოტა შაისვენესა-დ იქავ გამასწიეს. ლაშქარი – ცხენოსანი იყვ უფრო ბევრი ხალხი, ცოტა ხალხი ქვეითად მადიოდ გზების შასაკრავად; ცხენიან ხალხ კი ცხენდაცხენ შაჭრას აპირობდეს არხოტის სოფლებში დღისითავა-დ აისრ გამტვერებას სოფლებისას. ისენ ფიქრობდეს: ცხენებით ერთბაშად დავეცემითავ, რო სრუ დაიბნევისავ ხალხივ. მანამ ისენ ჭელს შამაგვიქცევენავ, ჩვენ გავანადგურებთავ კიდეცაო-დ დავბრუნდებითავ ცხენდაცხენ საჩქაროდავ, ქვეით ხალხ გამამდგარს მდევარს შაუკრავსავ გზასაო-დ, არ გამაუშობსავ. ამ მიზნით დღისით მადიოდეს ცხენდაცხენ. თუ გზაში ვინ შაგვხვდებისავ, იქავ მავხკლავთავ, რო არხოტ მაცნე არ გაგვივიდასავ. აი ამ მიზნით მამდინარ ლაშქარი, შუადღის დრო იქნებოდ, რო საძრომთ მავიდ (ამ ადგილს ორი სახელი ჰქვიან: „საძრომნი“ და „ტახე“). ტახეს ყველაზე იწროდ ზის არხოტის წყალი-დ ყველაზე მეტად აქ უჭირს ცხენს გასვლა. ამ დროს შიშნიაიც, ანუ მინდია, აქ იჯდ საძრომთ ეხში, ლაშქარი აჩქარებით მავიდ წყალსთანა-დ წყლის სიდიდის გამოთ შააყენეს ცხენები. ამ დროს საძრომთ ეხშიით გამავარდ მინდია – ს თოფიც, ეხშიით ჭელჩაღმ ცერად საჭლელი ას გზაში, ისრ რო, ნასრევ ტყვია კაცს თუ მახვდ, იმისად განავარდნი ცხენსაც მახვდების მინდიაის თოფის ტყვია, წინა ნასრევი წინამძღვარს მახვდა-დ იმისად განავარდნი ცხენსაც გაღვარდ, ცხენ, კაც ორივ წყალში დაეცა-დ წყალმ წაიღ.მეორე გამავარდა-დ მეორე კაც გადმავარდ ცხენზეით. ისრ ჩქარ-ჩქარად ესრივ მინდიამ, რო ლაშქარს ბევრ ხალხ ეგონ, აირ-დაირივნეს ერთმანეცშია-დ ვინაც ვის გაასწრობდ, დაიქცნეს უკუღმავ, მინდიამ სამი-ოთხის მაკვლა კი მაასწვრა-დ სხო ხალხ კი წავიდ ისრ, რო ვეღარც კი გაიგეს თოფის სრევაი. ღილღოს ჩასულებს ეთქვ: არხოტივნები ისით იწრო ჭალაში დაგვხდესავ, აღარცაით არ გვექნავ გასავალივ. იმთვენ ხალხ დაგვხვდავ, რო მიწას უმძიმდავ. მართლად კი მარტო მინდია შახვდ. მაშინდელ სიმღერე:

1.

არხოტის ჭალას აკვათა ხვადთ მაანათნეს ნალნიო.
ეხშიით თოფი გამადის, ბალახურიზძე ვარიო!
ჭერამა შიშნიაისამ ტყვია დალალა ჩქარიო,
კაცს დახკრა, ცხენსაც გაღვარდა, წყალს მიაქვ აკვათ მკვდარიო.
ჯერ აქ მე გაჭმევთ სადილსა, მემრ მავლენ არხოტ ყმანიო,
ნუმც შაგეკსნების შიშნიავ ბალახურიზძევ კმალიო,
ნუმც გაგვიტყდების ჭერაი არხოტის რკინის კარიო,
ნუ დაიცილებთ შიშნიას, საცა დასხდების ჯარიო,
შანდობა ბალახურიზძეს, არხვატს შააბა კარიო.

2.

საძროომთ შიშნია დაგიხვდათ, ბალახურიზძე გვარადა,
არ შამაგიშობთ აკვანო, არხვატს შავემბი კარადა,
ჭერაი შიშნიაისა ტყვიას დაღლალავს ჩქარადა.
აკვათა ცხენ-კაცისაი მკვდარი ჩაყარა ჩალადა.

მინდიას რო ლაშქარი დაუბრუნებავ, მასულ ნასახელარი-დ არხოტივნებს სახელ მაულოცავა-დ მადლობა გადაუკდავ ლაშქრის დაბრუნებისად.

ლეკის ლაშქარი კისტან

მიამბო დ. ლიქოკელმა 50 წლისამ, სოფ. ქობულო, 1937 წ.

კისტნელს ვისამ ლეკეოში კაცებ დაუკოცავისა-დ ლეკებს იმით შჭირებივ კისტნის ჯავრი. ლეკეთი კისტანსთან ძალიან შორს ასა-დ იმით ვერცად საით სამზირლადა-დ კაცის მასახკლავად უდენავა-დ დიდხანს დამრჩალ ეს ვალ, რო ლეკებს ვედარ უძებნავ შური. მაგრემ ლეკებმ დიდხანს იცოდნეს ჭირის დახსონებაი, შვილ თუ არ, შვილიშვილ მაინც მაიგონებდა-დ იძებნიდ მამ-პაპათ ჭირს. ას ნათქვამი: ერთ ლეკმავ ასი წლიდგეს იძებნავ ჭირიო-დ კიდევ ავჩქარებულორავ – თქოევ. დახლოებით შვილის შვილ იქნებოდა თუ კიდევ იმის შვილი, კისტნელთ მაკლულის ლეკებისა, ერთ კაი ახალგაზდა გაზდილ. ის ლეკი მამით მალე დაობლებულა-დ დედას გაუზდავ. დედა ძალიან კა დიაც ყოფილასა-დ ქმრის სიკვდილიდგეს აღარ გათხოილ. ერთ ვაჟ დაშჩომივ მუცელთა-დ ქმრის სიკვდილიდგე გაშჩენივ. ამ ლეკს ყმაწვილობითავ ეტყობოდ, რო აუცილებლად სახელიან კაც გამავიდოდ. დედაიც იმას ძალიან კარგად ზდიდ. იმას საჭმელსაც ცალკე უმზადებდ. რაც ამ ყმაწვილმ ჭამა შაზძლ, დედა არჩეულის წმიდის ფქვილს ზისცვრით (რძით) მაზელდ, იმას გამააცხობდა-დ აიმ პურს აჭმევდ სრუ. დილ-დილას გრილს წყალზე გაღბანდ ზამორისაცა-დ ზაფხულისაც. მემრ მკლავებს დაუზელდა-დ დაუპოხდ კარაქით. ვინაც დედა შვილს მეომრად ზდიდ, ესრ სცოდნივ გაზდა წინანდელს დედებს. იმით ას მაშინდელ ნათქვამი:

ბალხი ყმა ბალხმა დედამა გაზარდა საადიმოდა,
მკლავნი უზილნა, უპოხნა, გაგზავნა სანადიროდა.
შინამც ნუ მახოლ ცოცხალი, თუ მოყმემ გინადიროსა!
– ამინ, ნუმც მაოლ დედაო, თუ ერთმ კი მინადიროსა!

ესრ გაუზდავ დედისერთა ლეკი-დ ძალიან სახელიან ოშკაციც გამასულ. ჯერ ჯიკვებზე დაუწყავ ნადირობა, მემრ მარტოს უვლავა-დ, სადაც ვის ქრისტიანს

გეეწეოდ, კაცებ უჭოცავ. მემრ მზირთად დაუწყავ ძღოლაი-დ მზირით ხალხის ჭოცა. ბოლოს დაუწყავ ლაშქრის წინამძღვრობა. ხან კახეთ დაულაშქრავ, ხან ოუშეთი-დ ხან ფშავი. ბოლოს ლეკებს შაუყვედრებავ, რო შენავ ძველ ვალ მიგიდევსავ კისტანსავ. სხვაკან კი არ გინდავ სიარულივ, თუ კაი კაცი ხარავ, შაყარევ ლაშქარიო-დ კისტანზე იძიევ შურივ.

ამ ყმაწვილმ გამაიკითხა-დ ყველა დაწვრილებით გაიგ, რაჭელ მასულან ჭევსურები, ჩასაფრებიან გზაშია-დ დაუჭოცავ იმათ გვარში კაცები, მემრ დამრჩალან უძებრები. ეს რო ყველა კარგად გაიგ, დაიწყ ჭევსურეთისკე სიარულ გზებისა-დ ადგილების შასასწავლად. გახკვლივ კარგად გზები, რომენ გზაზედ წავიდოდ ლაშქარი ისრ, რო არ ყოფილიყვ სოფლები-დ საშიშ არ ყოფილიყვ სოფლებში ჭმის გატეხაი. ეს რო ყველა კარგად შაისწავლ, შაყარ კარგა მძიმე ლაშქარი-დ წამავიდ. ლეკის ლაშქარში აჭვანიც ერივნეს.

კისტან მავიდა ლაშქარი ლეკისა-დ აჭვაისაო.

ლაშქარს გამაუძღვა-დ ლეკეთითავ სრუ მთიდიმოივ წამავიდეს. ოუშეთის მთან გაიარნესა-დ ჭევსურეთის მთათა-დ ფშავეთის მთათ მაებნეს. აქ გაუთენდა, ერთ ჭვაფს ალაგში ჩავიდეს, რო იქით ცის მეტ არაი ჩინდა-დ არც კაცის ფეჭ რაად მავიდოდ. ის დღე იქ დაიღამესა-დ წუხრ წამავიდეს. ღამი-ღამ იარესა-დ შუაღამის დროს კისტან მავიდეს. მასულებმ კისტნის მიდამოებში ჯერ ყარაულ დააყენესა-დ მემრ შიგ შავიდ ხალხი სოფელში, დაიწყეს საკვმებშიითა-დ კარებშიით თოფის სრევაი. მაგრემ კისტნელთ ლაშქრის მასვლა მალევ გეეგ ძაღლების ყეფაზედა-დ დიაც-ყმაწვილი მალე შახიზნულიყვ აბულეთაურთ ქვითკირშია-დ ზოგებ კიდევ სხვებს ქვიტკირებში. ზოგებ კიდევ სოფლის გარეთ გასულიყვნეს, მანამ ლაშქარი სოფელს დაიჭერდ.

კისტნელები ქვიტკირების საოოფეებშიით ისრევდესა-დ ლაშქარი გარეთიით. მასულმ ლაშქარმ, სადაც ვინ ჭელჩი ჩაიგდ, ყველა მაკლეს, კისტნელებმაც კი დაჭოცეს საოოფეებშიით ლეკები.

კისტან მოვიდა ლაშქარი ლეკისა-დ აჭვაისაო,
აბულეთაურთ ციხესა კარ არ შაგვიჭსნან ხისაო,
შიგ სადამ შადგა ხოლიგა, თეთრი მანძილა ტყისაო.
მაგ მისურაულთ ახლებსა ჯიში აქვ არწივისაო.
აქებენ ბაბკიაურთა, ცდა მამად მაუდისაო.
ჭაჭმატს მავიდა მაცნეი, კისტანს ძალ ადგა მტრისაო!
წინ-წინ ჭაჭმატით მავიდეს, ეტლ მახყვა გიორგისაო,

ცოტინათ ჭორმეშიონთა ჭეხა თან მახყვა ცისაო.
გუდანაც გაგვიგებიეთ, ძმას ბრალი მისწვდა ძმისაო,
გუდანელ-ბაცალიგვლებსა იმედ აქვს ხვადებისაო.
ჭადუს ლეგ-ლუგან მავიდეს, მოკლე საყელ აქვ მთისაო.
გუნდი ლიქოკით გამასქდა ქორისა, შავარდნისაო.
დათვისჯვარ გადაიარეს ნამი გაბერტყეს მთისაო.
ჩაგროვდეს კისტნის ჭალასა, თეთრ ჩაჩქნებ გელევდისაო.
აბულეთაურთ ციხესა თავს ალი გადაზდისაო.
შაიბნეს ლეკნი-დ ჭევსურნი, გურ-გურ დგას თოფებისაო,
ზოგნი ომობენ თოფითა, ზოგს წკეპა უდგას ჭმლისაო.
იმ დოლათ გაიდაურსა მუჭლი მასტეხეს მგლისაო,
ნუ იტყვით ჩალხის სიკვდილსა, საწყინარი ას ხთისაო.
მზემ რო გაიგა, იწყინა, მთვარე შავს ივლებს პირსაო.
მგელათ უთურგათ აუგით ეკალდამაი რვლისაო,
შიგ ჩააწვინეთ უთურგა, შუქ რო ჩაადგას მზისაო.
გვერდი ლეკ შამაუწვინეთ, მჭოცელი ოროლისაო.
ლეკო, ოროლის მჭოცელო, პირ თეთრის სიათისაო.
ურჯუკამ ქავთარიშვილმა შაშარ ჩამაგკრა ჭმლისაო.
ეგ დოლათ გაიდაური, მანძილა დასცეს ტყისაო;
მაგას არ დაშჩა პატრონი, მძებნელ რო იყვას მტრისაო.

სოფლის გარეთ ვინაც გავარდ, ეროს სამი-ოთხს ახალგაზრდას შაუთვალეს. ცხენები სოფლის გარეთ ებ ბალახზე, შასხდესა-დ გასწიეს ჭევსურეთისკე ჭმის გასატეხლად. ეროი კაცი ლიქოკ წავიდ, ერთ ბისო-ჭაჭმატ. ეროი გუდან-ბაცალიგოსა-დ ეროი ჭადუს. წინწინ ჭადუს გაიგეს იმით, რო კისტნით ჭადუსკე მოკლე გადასავალ მთაი. ჭადუზე ახლოს კისტანს ჭევსურეთის სოფელ არ ხყავ. იმითაც იყვ, რო ჭადუელნი ყველაზე წინ მეეშველნეს.

ჭადუთ ლეგ-ლუგან მავიდეს საყელ ახლოს აქვ მთისაო.

ჭადუვლები კაი მებძოლ ხალხ იყვ მაშინაც. მაგ სოფლის ხალხი ფერით ლეგაიასა-დ ტანად დაბალი სრუ ყველა. მაგრემ გულით მაგარ ხალხი ასა-დ მამაცობის ჯიში აქვ. ჭადუვლებ რო მავიდეს, ჯერ თოფების ჭლა დაუწყეს ლაშქარსა-დ მემრ ჭმლით დეერივნეს შიგ. თაოდაც ბევრ დაჭოცესა-დ ლეკებმაც კი მაუკლესა-დ დაუჭრეს სამი-ოთხ კაცი. სხვა ჭევსურეთაც ყველკან გატყდ ჭმა, სადაც სოფლები კისტანსთან შორს არ იყვ. ჭადუს გარდა, კისტანსთან ახლოს

ას ბისო-ჭაჭმატი. ბისო ერთი სოფელ ასა-დ ჭაჭმატი მეორე, ესრ ორ სოფელ ისრ ახლოს ას ერთუცსთან, რო ერთს სოფელშიით ნაძახინარი მეორე სოფელში მიზდის. აქ ორსავ სოფელში ერთბაშად გატყდ ჭმაი-დ საჩქაროდ მავიდეს კისტან. ბისოელ-ჭაჭმატელნი გიორგის ყმანი არიანა-დ იმით ას ამათაზე ნათქვამი: „ეტლ მახყვა გიორგისაო". ვითამ გიორგის (ჭაჭმატის ჯვარი) ყმათ გიორგის იღბალ, ძალა მახყვა-დ იმით გაიმარჯვებდეს ლეკებსთან.

გაიგეს გუდანა-დ ბაცალიგოსაც. შასხდეს ცხენებზედა-დ გამასწიეს ამათაც კისტნელთად დასაშველებლად.

ახლებსა ბაცალიგვლებსა იმედ აქვ ხვადებისაო.

ლიქოკი უფრო შორს ას კისტნითა-დ აქ ცოტა დაგვიანებით გაიგეს, მაემზადნეს, ერთად შაიყარნესა-დ ერთად წამავიდეს:

გუნდი ლიქოკით გამასქდა ქორისა, შავარდნისაო.

არაგვის ხალხსა-დ წყალსიქითას ვერცაით გააგებიეს სიშორის გამოთ, დანარჩენ ხალხი ყველა წავიდ კისტან მისაშველებლადა-დ, მანამ ლაშქარი სოფელშიით გაბრუნდებოდ, მანამდინავ მიასწვრეს. ვინაც წინ მივიდ, იმეებმ შაუკრეს შინისკე წასავალ გზა ლეკებსა-დ აღარ უშობდეს. ხალხი თანდათან მადიოდა-დ ემატებოდ ჭევსურებს, მაგრემ ლაშქარი მაინც იქავ მეტ იყვ ჭევსურებზედ. ღამით შაიბ ომი, გათენდ, გძელ სადილობა მავიდა-დ იქავ ომ იყვ. აი ლეკის ბელადი ბოლოს ჭმლით ომჩი შავიდა-დ ძალიან მაგრა იბძოდ. ერთხან ორნ ჭევსურნ წაეხვივნეს ჭმლებითა-დ ორნივ ერთბაშად დაჭოცნ, თაოდ უჭირველივ გადაშჩ. მაშინდელ ნათქვამი ას:

ლეკო, ოროლის მამკლაო, დედა გაგიწყრა ხთისაო,
მაგაბა ბულაურამა პირ თეთრის სიათისაო.

ეს ლეკი ჭმლით ისრ თიბდ ხალხს, როგორც ცელით ბალახს. ბოლოს ჭევსურები იმას ახლოს ვეღარ ვინ უდგებოდ – რაკი იცოდეს, რო იმას ჭმალში ვერვინ გაუძლებდ. ბოლოს რო ძალიან გაუჭირდ, ერთმ ჭევსურმ ბულაურამ (ზოგი ამბობს ბუნო და ზოგი ბულაურ-ას ამ კაცის სახელს) დაღლიშნ თავის სიათაი, თოფ გავარდა-დ ლეკის ბელად მიწაზე უსულოდ დეეც. ლეკებმ რო თავის ბელადი მამკვდარი ნახეს, აირ-დაირივნეს. ჭევსურებს გზები ხქონდ შაკრული, აღარცად უშობდეს, ბოლოს ლეკებმ ძალით გაიწიეს წასავლადა-დ გაიტანეს კიდეც თავი. გზის შამკრავები ზოგებ დაჭოცესა-დ ზოგები თოფის ჭლით შააწუხეს, რო დაქცევა მაუნდ. გაიტან

ლაშქარმ გზაი-დ წავიდეს. ჭევსურებმა ჯერ კი მიზდიესა-დ ბოლოს თავ დაანებეს. მაბრუნდეს ჭევსურნი, ზოგთ ჭევსურეთ მკვდრებ წაიღესა-დ ზოგები ნალაშქრალს სოფელს კისტანს ეჭმარებოდეს, მკვდრების დამარხვას უშველეს, მემრ დამწვარ-დანგრეულის სახლების აგება - დაფარებას უშველეს. ლეკების მკვდრებ კიდევ ეროკან მიიტანესა-დ ზედ ფათვლიან ტყის ტოტებ დააყარეს. ლეკებმ თავის მკვდრები მალედ ვერ მაიკითხესა-დ დასულდ. ხოლოდ ბელად რო იყვ, იმან არც ფერ იცვალა-დ არც დასულდ. ბოლოს ორ-სამი კვირაიდგეს მავიდეს ლეკები მკვდრების წასაღებლად, საჭსარიც მაიტანეს (საჭსარი: მანამდინ რამდენიმე სპილენძს ან იარაღს არ მოუტანდნენ თავის მკვდრების გამოსასყიდად, მანამდინ პატრონებს არ დაანებებდნენ. გააჩნდა, ვინ რამდენს მოითხოვდა. ეს იცოდნენ ლაშქრიანობაში; სხვა დროს მოკლულისა საჭსარი იშვიათ შემთხვევაში თუ მოხდებოდა რაიმე ჯიბრზე, თორემ ისე საჭსარი არ იცოდნენ). ბელადის დედაიც მავიდ სხვა ლეკებსთან ერთად. ნახ თავის შვილი სხვებს მკვდრებშია-დ იტირ: შვილო, განა იმაად გაჭმევდივ ზისცვრით მაზელილს იფქლის პურსავ, რო ლოჭიანებს ჭევსურებს მეეკვლიებოდივ. ანკი, იმას მეუბნებოდივ, რო მიავ ერთ ტყვია ვერ მამკლავს, არც მე მეგონავ შენ თუ რა მაგერეოდავ, ოხერ ტყვია მაგერივავ, თორე ჭმლით კი ვერას ვინ გამაგჩებოდა. ჩაიარავ, შვილო, უბრალოდავ ჩემმ ამაგმავ. რამთვენ წვალება გადავხყარევ შენ გაზდაშიაო-დ შენავ ერთ დღეს დამიბნელევ მზეივ. დედა ენაცვალავ შენს თოვლივით თეთრს თვალ-პირსავ. ასეთი სიტყვებით უტირავ დედას. ამ დედისა-დ არც საჭსარ გამაურთომა-დ აისრ გაუტანებავ თავის შვილი, სხვების ლეკებისად კი უსაჭსროდ არ ვინ დაუნებებავ.

ლეკის ლაშქარი ღულში

მიამბო დ. ლიქოკელმა, 50 წლისამ, სოფ. ქობულო, 1937 წ.

ლეკის ლაშქარს ჭევსურეთი ბევრჯელ დაულაშქარავ. ისითს მძიმე ლაშქარს უდენავ მაშინ, რო, რომენსაც სოფელზე გაივლიდეს, ჭმას ვერ გასცემდეს, არცრას თაოდ ეტყოდეს, აისრ გასცილდებოდეს. ზეზერ ჭევსურეთ ისით სოფელ არ ას, რო ლეკის ლაშქრისგან დამწვარ დანგრეულ არ ყოფილიყოს. ქმოსტი, როშკა, ბისო, ჭაჭმატი, გუდანი, ჭორმეშავი, ღული, გორშელმიონთ სოფლები, ჭევამდინაც კი გადამდინარა-დ ულაშქავ სნოი. სადაც უფრო მაგარ სიმაგრე-ი ხქონდა-დ ძალზე შაუდგებოდ, უფრო ისეებ ულაშქრავის. უჭოცავ ხალხი, უდენავ ტყვეები. ეხლადაც კიდევ ას ზოგს სოფლებში მაშინ დამწვრების სახლების ხეები. ნამწვარევები იქავ სახლებს უსხავ. ისით მძიმე ლაშქარ მადიოდ ლეკებისა, რო რომნისსაც სოფლისკე დაიხრებოდეს, სხო სოფლის ხალხი ჭმას ვერ სცემდ. ხანდიხან ჭევსურეთის ნაპირის სოფლებ

გაიარიანა-დ შუას ჭევსურეოში დაეცნიან ერო-ერო სოფელსა-დ გაანადგურიან ისრ, რო სხვებმ სოფლებმ ვერც კი გაბედიან მიშველება. ერო ესეო მძლავრ ლაშქარი შაიყარ ღულისა-დ ჭორმეშავის მუქარაზე ჩაგვირილაის მეთაურობით, მთიდიმოივ წამავიდეს ალაზნის თავისას. ჭორმეშავი-დ ღული ერთიმეორესთანით შორ-შორს არიანა-დ იმით ორსავ სოფელში ერთბაშად მისვლა ვერცაით მაუჭერჭდა-დ ღულს (ერომა ხევსურმა მიამბო: ვითომც მაშინ ჭორმეშავშიც მოსულან, მაგრამ უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ჭორმეშავში ლეკის ლაშქარი ყოფილა კი, მაგრამ სხვა დროს, ეს ლაშქრობა სხვა იყო, როცა ჭორმეშავიც გაუნადგურებია, ქმოსტი და როშკაცაო, რომლის ცნობები მე ჯერჯერობით დაწვრილებით კიდევ არა მაქვს. მხოლოდ რომელი ლაშქრობაც იწერება, ამისი ცნობები არის.) დაეცნენ მარტო. ჭორმეშავ ქვე ვერცაით მივიდესა-დ ღულის ბძოლაზე ეს სიმღერეი ნათქვამ:

ამბობდა ჩაგვირილაი, გამავედ დავლათიანი,
გადმავიარე ქაჩუი, კლდიანი კინჭუხიანი.
ხიდოტან გადმავიარე, რთვილიანი, მარახვლიანი.
გადმავედ ალაზნის თავა, ველ ყოფილიყვა ტრიალი.
ჭორმეშავ უნდა ვატირა თორმეტი ქალი თმიანი.
ღულელთ სიმაგრეთ ჯავრი მჭირს, წინ მაგათ მიყვეს ზიანი.
ცხენნი მავიდეს ღულისთავ, ნალ-ურსმარს გააქვ ძგრიალი.
ღულის კლდით ამადიოდა თეთრის სიათის ჟრიალი.
თათარაისა თათარა ომობს, არწივი მჭრიანი.
ლეკი-დ აფშინა შაიბნეს, კლდე ჩამასტირის ტყიანი.
ჭმლითა სცა ბებურიშვილმა, დადგა ხანჯრების პრიალი.
სრელოვან ჩამაქვითინებს ღულელთ ქალ-ზალი თმიანი,
რა გატირილებსთ ქალ-ზალო, ვეფხია დაგჩათ ჭმლიანი.
იდუა ჭრელაისშვილი, ა ზნაურივით ყმიანი.
სიძე ხყავ ხახიკაური, სიათის ტყვია მტკივანი.

ლეკეთით წამასულ ლაშქარს სრუ მთათას უდენავა-დ როსაც გაუთენდებოდ, ქვე დადგებოდეს მთის დაბლობებში, რო არვის ენახნეს. ასეთი სიარულით მაახწიეს ღულის თავამდინა-დ იქით ჩამავიდეს ცხენდაცხენ.

ღულისთავ ცხენნი მავიდეს, ალამს გახჭონდა ბრიალი.
ნეტავინ, ღულელთ შვილებო, დღე გაგითენდათ მზიანი!
წამახვალთ სიმაგრეთაკე, ვითამ ჯიჭვნი ხართ რქიანნი.
თათარა თათარაისა ვეფხვი ას ქიბოშიანი.

ღული, სოფელი, დაბლობ ადგილზე ასა-დ ლეკის ლაშქარი სოფლის სათავით დატიებული ცხენებით შამაყრილ სოფელში. ღულლებს ზოგებს სიმაგრეში შაუსწვრავა-დ ზოგის ხალხისად კი სოფელში მაუსწვრავ, ჭორწილში ნამყოფებისად. ამ დროს ღულს ჭორწილი ყოფილას ვეფხვიაისა, ხალხ ხყონივა-დ სწორად ლუდის სმის დროს დასცემივ ლაშქარი.

ღულის კლდით ღულელთ შვილებსა სიმღერე გამუდიოდა,
ჭორწილ აქვ ვეფხვიაისა, სტუმარიც მაუდიოდა,
კოდნ უდგან ლუდით სავსენი, ქაფ პერად მაუდიოდა,
გულჭადარაებ ლეკები ძალით შინ შამადიოდა,
კოდთ ნადგომთ ლუდით სავსეთა სისხლ პერად გადმაზდიოდა,
ჭირიმი იდუაისა ნელ-ნელა გამადიოდა,
იქნებიმც ვეფხვიაისად, ვეფხვიას ყურთ მიზდიოდა,
ღულის კლდით ღულელთ შვილებსა თოფის ჭმა გამუდიოდა,
ღულელთ შვილების ნაჭოცი მკვდრებ კლდეზე გადადიოდა.
ღულის ძირ წყალი დაგუბდა ორწყალში აღარ დიოდა,
კვირობდეს ფშავლის შვილები, წყალი რო აღარ დიოდა.
სულეთში ღულელთ შვილები ჩივილით შამადიოდა:
მჭარ ვერ გვიჭირეს ჭევსურთა, მარტოთგან არ გადიოდა.

ჭორწილში იმ დროს დასცემიან, რო ჯერ ჭევსურებ ბევრ არ ყოფილ მასული-დ მარტონ ყოფილან ღულელნი. ლეკები პირდაპირ სახლებში შასულან, სადაც ვის გასწევიან, უჭოცავ ხალხი.

რაჭელც სხვებს სახლებში, ჭორწილშიაც აისრ შასულან, დაღრევივ ეროუცს ხალხი ჭმლით, ხანჯრითა-დ თოფითა, უჭოცავ ეროუცი. ვისაიც ჭორწილი ხქონდ, ისიც მაშივ მაუკლავ ლეკებს. მეორეს ღულელს ლეკისად დაუკრავ იმაშიავ თოფი-დ უნცროსიმც ხარავ ვეფხვიაისავ, უოქომ. ამ დროს ვეფხვია იქავ ცოცხალ იყვა-დ გაიგონ, რო იმის შური იმის სიცოცხლითავ იძიესა-დ ვეფხვიაისამც უნცროსი ხარავ, რო უთხრ იდუა-მ თავის მაკლულს ლეკს, მაშინ ვეფხვია სიკვდილის პირზე იყვავ მისული-დ, გაუხარდ ამ სიტყვის გაგონებაი. ვეფხვიას იმით გაუხარდ, რო საიქიოს შასულს უნცროსი (მოსამსახურე) მზას დახვდებოდ, არცაღ ჯავრ გახყვებოდ გულით მტრისაი. ბძოლაში საქორწილო ლუდიც სრუ სისხლში არეულა-დ სისხლიო-დ ქაფივ კოდებსავ ეროუცში გადმაზდიოდისავ, იცოდიან. ერთ ღულელ ყოფილ, სახელგანოქმულ მეომარი, თათარაის თათარაი. შაზდგომივ სიმაგრეშია-დ თოფით სამი-ოთხ ლეკ მაუკლავ. აფშინაი ყოფილას ღულელი-დ ის ჭმლით გადასტანებივ ლეკებს. იმასაც კარგა უზარალებიან, მანამ

მახკლევდეს ლეკი-დ აფშინა შამბულან ჭმლიოთა-დ ხანჯრიო; ისენ რო იბძოდეს, მეორე ლეკმ დასც აფშინას ხანჯარი ზურგშიიოთა-დ ისიც მაკლ. ღულელთ ქალ-ზალი ტყვედ მაუჭერავა-დ ამ დროს იდუა ჭრელაიშვილი ყოფილ გზაში ჩამჯდარი, ქალ-ზალის ტირილ რო გაუგონავ, ჯერ თოფ უსრევავა-დ მაუკლავ ლეკი, მემრ ჭმლიო გადასტანებივ. ახლა სხვებ მიშველებიონა-დ დაუყრევიებავ ტყვეები. მაუყვანიანა-დ იქავ სიმაგრეში შაუხიზნებიონ. ლაშქარს რო ხალხის ჭოციო გულ მაუჯერებავ, სოფელიც დაუბეგრავ, რასაც ცხენებ მეერეოდ, დავლა აუღავის; მაშინ წამასვლა დაუპირებავ იქავ ღულისთავისას, მაგრემ ღულელთ არ დაუნებებავაღ გზა, ლაშქარი ღულის ძირისკე დაძრულა-დ აქაც გზა დახვედრივ შაკრული. ჯერ თოფ უჭლავის ღულელთა-დ მემრ ჭმლიო გადასტანებიონ ზოგები. აქაც ლეკები-დ ღულლების ხუთი-ექვსამდინ კაც მამკვდარ. მეთოფეებს ლაშქრისად გზა მაინც არ დაუნებებავა-დ იქავ ღულისთავისას წასულ, იქ ჩამსხდრებ მეთოფეები ზოგებ დაუჭოცავა-დ ზოგებს ტყვია-წამალ გასთავებივა-დ ვეღარ უსრევავ, გზა დაუთმავისა-დ გაუშვავ ლაშქარი.

ღულლები ბევრ დაჭოცილ ახალგაზრდებიცა-დ დიაც-ყმაწვილიც, ღულელებსაც კი უზარალებიან ლეკები. სიმღერეშიაც ეგრ ას ნათქომ, რო ჭევსურთავ მჭარ ვერ გვიჭირესაო-დ მარტოთგან არ გადიოდავ. მართლაც ესრ ყოფილ, ღულელთად ლაშქრის დაცემა სხვა ჭევსურებმ გაიგეს კი, მაგრამ არვინ მიეშველ. ერთ-ერთ მაშინდელ სიმღერეში ას ნათქვამი:

მხარ არ გვიჭირეს ჭევსურთა, მარტოთგან არ გადიოდა.
დაიქცნეს ჭევსურთ შვილები, მთა-წვერზე მიდ-მოდიოდა.

ჭევსურები თავის სოფელში აღარ დამდგარან, მთაწვერთ გადასულან, რო აქ თუ მავიდავ, ლაშქარმავ სოფლებში არ მაგვიმწყვდიოსაო-დ იქით ყარაულობდეს თავ-თავის სოფლებს. ღულს იმით შასულან განსაკუთრებით, რო ღულელთ ჯავრი შჭირდ ჩაგვრილას.

ღულელთ სიმაგრეთ ჯავრი მჭირს, წინ მაგათ მიყვეს ზიანი.

წინათ ღულელთ უდენავ მზირადა-დ უზარალებავ ლეკები, იმის ჯავრზე მაუსხამ ლაშქარი-დ დაურბევავ ღული. ტყვეების წასხმა ზდობნიოსა-დ ის კი ვეღარ მახჭერჭებივ. რაკი ღულლებიც მაგრა დახვედრიონა-დ გზებ შაუკრავ. სხვა ლაშქრობების დროს კი ლეკებს ჭშირად მიზდენივ ჭევსურეთით ტყვეები. ლაშქარ რო წასულ, ღული ნაოჭარ გაუწირავ, ხალხ დაჭოცილი, დასამარხავი, სახლ-კარი მინგრეულ-მანგრეული, თაოდაც ნაბძოლ ხალხი, დაღალული. ლაშქრის წასვლა რო გაუგავ, მემრ ძლივ მაშველებივ ხალხი-დ უშველავ მკვდრების დამარხვასაცა-დ დაშლილის სახლკრის შაკეთებასაც.

ღილღველთ ლაშქარი საჭევსურეთოდ
გაგაის ძოძის მეთაურობით

მიამბო დ. ლიქოკელმა. 50 წლისამ, სოფ. ქობულო, 1937 წ.

გაგაის ძოძი იყვ ლაშქრობაშია-დ თარეშობაში მუდამ გამარჯვებულ ღილღველი. ღილღოივ გაგაის ძოძის საყმოი ასავ, იტყოდეს მაშინდელნ კაცნი. ის საისკესაც გაუძღვებოდ ლაშქარსა თუ მზირს, ყველკან იმარჯვებდ. ერთხან გაბედ ბუდის ჭევსურეთის დალაშქვრაი-დ დაბეგვრაი. შაყარ ღილღოს მძიმე ლაშქარი-დ წამავიდ შაონის ჭორჭისას საჭევსურეთოდ. შაონის ჭორჭშიით გადმაჭდეს ჯუთის ჭორჭშია-დ გამაემართნეს საძელისას ჭევსურეთ გადმასვლად.

ჭევსურთ ეჭვი ხქონდ, რო ლაშქარ რაით დაგვეცემისაო-დ მთებზე ყველკან ვეშაგნი ხყვანდეს წალალულნი, საითაც მტრის მასავალ გზები იყვ (ვეშაგნი: მეთვალყურენი, ყარაულნი, მზვერავნი). საძელესაც ვეშაგნი ჭევსურეთით ჭევისკე გადასავალ მთაზე. ვეშაგნ ისით ალაგში იყვნეს ჩამსხდარნ, რო იმათ ვერცაით ვერ ვინ ღნახევდ. დღისით იმათ არც სიარულ იცოდეს იქი-აქათი, რო შამავალს მტერს თვალ არ შეეგდა-დ არ გამთხილებულიყვ.

გაგაის ძოძის ლაშქარ რო ჯუთის ჭორჭში მავიდა-დ საჭევსურეთოს გზაზე გამაემართ, ეს საძელეს ვეშაგთ გაიგეს; წამალალეს საჩქაროდ კაცი-დ გატეხეს ჭმა ჭევსურეთ: მაგვეშველენითავ, ლაშქარ მადისავ. ჭევსურეთ ჯერ ახლო სოფლებში გატყდ ჭმაი, მემრ იმ სოფლებმ სხვას სოფლებში გატეხეს ჭმაი-დ ერთუცის მემჯობიას წამავიდ ხალხი ლაშქრისად დასახვედრად. მაშინ ჭმლით ომი იყვა-დ ჭმლებითა-დ საფარი იარაღით წამავიდეს. ცხენებ როშკის ჭორჭში დაწირესა-დ თაოდ საძელე მთაზე შამაჭდეს. მანამ ღილღვლის ლაშქარ არ შამაჭდებოდ, ჭევსურებმავ შამაასწვრეს მთაზე წინ.

შამაჭდ ღილღველთ ლაშქარიცა-დ დაერივნეს ჭევსურებიც ჭმლით. წინწინ ძოძი შამაეგებ ჭმლიანი-დ სცეს ჭევსურებმაც ძოძის ჭმლებითა-დ სრუ წინწინ ის მაკლესა-დ გადააგდეს გზის ძირში. ღილღვლებიცა-დ ჭევსურებიც ყველა ჭმლით ომში შავიდ, მარტო თითო-ოროლას ხქონდ მშვილდ-ისარი-დ ისრით დაიწყეს ხალხის ჭოცა. ძოძის ჯერ ჭმლით სცესა-დ მემრ ისარ დახკრესა-დ იმით დაასრულეს. ჭევსურები თანდათან ემატებოდეს, შორეულ სოფელშიითაც დაიწყ ხალხმ მადენა. თითქმის ყველას კუთხეშიით მავიდ უფრო ფარ-ჭმალში გამაცდილ მეომრები, ჭევსურები. მაგალითად: ჯურჭა, მარტია ფიცხელაური, გუდანელი ინა, ჭევსურეთის დიდად სახელგანოქმული ჭირჩლა ბაბურაული, თვალაჯათ ალუდაური, ხიტალიონ ღერენაი-დ სხვებ კიდევ. ამეებმ ამ ომშიაც ისახელეს თავი-დ სხვაკანაც სახელიანები იყვნეს, სხვებს ომებში, ე. ი. ლაშქარ-მეკოპარში. ჭევსურნ რო მოგროვდეს, თან-თან

გაკშირდ ომი, გაიმართ ზედ მთაზედ დიდ ბძოლა. ჯერ კი არ ბრუნებდ ღილღველთ ლაშქარი-დ ძალდაძალ იწევდ ჭევსურეთისკე, როსაც ნახეს, რო ჭევსურნი თან-თან მადიოდესა, ემატებოდეს ერთუცს, წინამძღვარი ძოძიც მაუკლეს, აირივ ლაშქარი-დ დაბრუნდ უკენ. ყველას ღმეტდებოდ იმ დროს ჭირჩლა ბაბურაული. დაბრუნვილმ ღილღველებმ თაოდაც კარგა ხალხ დაჭრესა-დ დაჭოცეს. ამ შუღლის შემდეგ ჭირჩლაისად უკითხავ ჭევსურთ: ჭირჩლაო, საკარგყმოივ შენ გეკუთნისაევ თუ სხვა ვინ გჯობდავ. ჭირჩლას უთქომ: საკარგყმოივ მე კი არ მეკუთნისავ, ღულელს თვალაჯაისძეს ეკუთნისავ, იმითავ, რო მანამ მე ჭმალს ამავიღებდივ თვალაჯაისძემავ ორ ქვე მაკლაო-დ მესამეს სცაევ ჭმალითავ. მემრ ჭევსურეთ საკარგყმო არ მიუცავ თვალაჯაისძისად. წინწინ რო მასულ თვალაჯაისძე, ვინაც არ იცნობდ, იმეებს არაად ჩაუგდავ, იმით რო ძველ ჩოხა სცმივ, დახეული-დ ბეჩავა ღგონებივ. ვინაც იცოდ, რო იმას ზურაბის ლაშქართანაცა-დ სხოდაც ბევრკან უსახელებავ თავი, იმეებს კი იმედ მისცემივ თვალაჯაისძის მასვლით. წინწინ რო შუღლ ქნილ, მართლაც ჭირჩლა ყოფილ წინა-დ თვალაჯათ ალუდაური კიდე წინ გასცილებივ შუას ლაშქარში შაჭრილასა-დ იქ სამ მაუკლავ, მანამ ჭირჩლა ეროს მახკლევდ. აისრავ სხვებს აქ ნათქვამს მეომრებს ერთუცის მემჯობიაზე უჭოცავ ხალხი-დ ზოგები თაოდაც დაჭოცილან. ღილღველთ ჭელით დაფანტულ ღილღველთ ლაშქარი-დ ზოგ რომენ გზით წასულა-დ ზოგ რომნით. ჭევსურთ მდევარი ჯუთამდინ კი მიხყოლიოსა-დ იქით დაბრუნვილ. ამაზე ნათქვამ სიმღერე სხვა-სხვანაირად იციან, ხოლოთ უფრო, სწორი, ძველი აქ მაყვანილ სიმღერე უნდა იყოს:

გაგაის ძოძივ, გერჩიყვა, საყმო გეჭამა ჭკვითაო;
ყანა გეკნ, ჭარი გელალა, ჯოხი მაგეჭრა ტყისაო!
ჭევსურეთ რად მახვიდოდი, მართული თავის ყმითაო,
გიკვეხნავ საფეხვნოჩია, სავსე მაგიოლთ ტყვითაო!
საძელეს დაგხვდეს ვეშაგნი დალესულები ჭმლითაო.
თვალნ უზის თურმანაულსა ჯურჭასა შავარდნისაო.
მარტიას ფიცხელაურსა, სამდევროდ მუჭლი მგლისაო.
ჭმან ჩაგიყარნეს ჭევსურეთს, უხნოდა, არცრა ხნითაო.
გუდან გაიგა ინამა, ხთითა და ხთიშობლითაო.
ჭირჩლაი ბაბურაული, ორბი ცხენს შაჯდა მჭრითაო.
ბლო-ღელე გადაიარა, საძელე კინკილითაო.
თვალაჯათ ალუდაური ქვეითა ცხენთან რბისაო,
ხიტალით მავა ღერენა, არწივი კივილითაო.
უკენ გამაუდგ მამაი, ბებერ ქვითინებს ჭმითაო:

„შვილო, არ მახოლ ცოცხალი, არ მაღბრუნდები გზითაო.
სახელის მაყვარული ხარ, შიგ ჩაერევი ჭმლითაო“.
აბამა ბასილაურმა მშვილდი აჭეხა რქისაო,
ჯაჭვს დახკრა, დააფლეთივა, სისხლმ წითლად შაღებისაო,
საძელით ძოძი გაიგდეს, გზის ძირ ჩაიღეს გზითაო.
ჯაჭვ ბოძალს დაუხევიეს, რო ყარწიკაი ქსლისაო.
საკარგყმო ვის მივსცათ ჭირჩლაო? შენ მეტ ვინ სცემდა ჭმლითაო?
თოლაჯათ ალუდაურმა ჩამამიარა მჭრითაო.
სანამ თავს მავიბრუნებდი, მესამესა სცა ჭმლითაო.
მიზდიეს ქოთანამდინა, ჯუთა აავსეს მკვდრითაო,
ჩატირის ღილღვლის ლაშქარი ყვარის წყალაზე ჭმითაო:
დაგვლივნა ბაბურაულმა, ვეფხვმა დაგვლივნა მწკლითაო.
თვალაჯათ ალუდაური ჩამაგვერია ჭმლითაო.
ღერენამ ხიტალიონმა აგვიღნა კივილითაო.

ეს ლაშქარ კი ვეშაგო წყალობით ჭევსურეთამდინ აღარ მაუშვავ, ხალხს კი უზარალებავ, მაგრემ დიაც-ყმაწვილ გადაშჩომივ დაწიოკებასა-დ სახლ-კარი დაწვა-დანგრევას. დაბრუნვილს მდევარს გზაში მაღგებებივ დიაც ყმაწვილი-დ მაუტანავის დამშეულის ხალხისად საგძალი. სახელის მაქმედებისად სახელ ულოცავ სწორებსაცა-დ სოფელში მამრჩლებს უფროსებსაც. თან საქებ სიმღერეებ უოქომა-დ დღესაც ჯარზე იმღერენ იმათ სიმღერეებს, რაითაც იმათ გვარი ჯერაც იქავ ამაყობს თავის ძველების ნაქნარი სახელით.

ხევსურთ ლაშქარი ოსეთში და მოხევეებში

მიამბო დ. ლიქოკელმა, 50 წლისამ, სოფ. ქობულო, 1937 წელი

ერთხან გუდანის ჯვარში შაიყარნეს ჭევსურები-დ გადასწყვიტეს: ჯერ ორუსოს (ოსები) დალაქვრაი-დ მემრ სნოსაი (სნო მოხევეების სოფელი). მაგრემ არც ადვილი იყვ იქ წასვლაი, იცოდეს მეჭევეთ ამბავიც, რო მშვიდობიანად არც ესენ გამაუშობდეს იქ მისულს ჭევსურთ ლაშქარს. იმით წალალნეს ვაშაგნი ოსეთისა-დ ჭევის დასათვალიერებლად (ვეშაგნი – მზვერავნი) ვეშაგთ დავალებული ხქონდ ოსების სოფელში მისვლაი-დ დათვალიერებაი-დ სნოს დათვალიერებაიც. იმათ უნდა გაეგ მეჭევეები-დ ოსები მთხილად არიანა თუ ბრიყვად, სოფლებში ხალხ ბევრი ასა თუ წასულ-წამასულებ სად არიან, ყარაულებ უდგასა თუ არ, ან შაიარაღება რაჭელი აქვ, ეეხლადავ ჭჯობდა დალაშქვრა, თუ სხო რომენიმ დრო უფრო ჭელსაყრელი

იმათ დასალაშქრავად. აი ამ ამბვების გასაგებლად გუდანის ჯვარში აირჩიეს ორი კაცი-დ წალალეს ოსეთშია-დ მეჭევეებში. ისენ რო იქაობას მაზვერევდესა-დ დაბრუნდებოდეს, გუდანის ჯვარის გამძღოთ მაუტანდეს ამბავს, ისენი ჭევსურთ დაიბარებდესა-დ ეტყოდეს ვეშაგთაგან მატანილს ამბავს. მემრ გადასწყვეტდეს, როს უნდა შაყრილიყვ ლაშქარი-დ წასულიყვ დასაცემლად. ვეშაგნ რო აირჩივნეს, დაამწყალობნესა-დ გაისტუმრნეს საჭეოდ. ისენი ჯერ ოსეთში მივიდეს, იქ დაიწყეს სოფლებში სიარული, ვითამ სამუშაოდ დადიოდეს. იქ მაზვერეს ხალხი, გზები, ცხვარ-საქონი, ჭარავანი-დ გაიგეს ყველა დაწვრილებით. გაიგეს, რო ახლად ას მარჯვე ოსების დალაშქვრაი, ხალხიც წასულ-წამასული სოფლებშიითა-დ ჭარ-ცხენიც მარჯვედ დგას. ორუსოთ დაბრუნვილები სნოს მავიდესა-დ აქ დაიწყეს სოფლებში ჭეტიალი. აქაც სოფლის მაზვერვით გაიგეს, რო ეეხლად ჟჯობ სნოს დალაშქვრაიც, თორე მემრ ხალხიც უფრო ბევრ მავ სოფელში, ეხლად წასულ-წამასულები არიან. ჭარ-ცხენიც აქაც მარჯვეს უდგასა-დ მემრ უფრო გაჭირდების აქ ლაშქრის დაცემაი. გზებიც კარგად გაიგეს, სიმაგრეებიც შაათვალიერესა-დ დაბრუნდეს ჭევსურეთ. მივიდეს გუდანის ჯვარის გამძღოთანა-დ უამბეს ყველა, რაიც გაიგეს ჭევს.

ჭევით მავიდნეს ვეშაგნი, საჩქაროს იტყოდიანა,
გუდან აბემდეს დროშასა, სალაშქროდ ჩკაზმებდიანა.

გუდანის ჯვარის გამძღოთ დაიბარეს ჭევსურეთის სოფლებშიით თითო უფროს კაცი-დ გამაუცხადეს ვეშაგთ მატანილ ამბავი; ისიც უთხრეს, რო ვეშაგთავ ის ამბავ მაიტანესავ, რო ახლად ასავ იმათ დალაშქვრაივ მარჯვეივ. მემრავ მთაზედ სასიარულოიც აღარ იქნებისა-დ იქაც ჭარ-ცხენი მთაში აღარ იქნებისავ, არც გარეთაო-დ მემრ გაძნელდებისავ დავლის წამაღებაივ. სოფლის თავ-თავ კაცებს უთხრეს, რო შაემზადასავ ხალხიო-დ ენკენიას დილას გუდანით უნდა გაემართასავ ლაშქარივ. გუდანის ჯვარის დროშა უნდა აებასაო-დ წინ გაუმძღვასავ. ამის მომხრეი ასავ გუდანის ჯვარიცავ – ოქვეს ჯვარის გამძღოთ. სოფლის თავ-თავ ხალხ წავიდა-დ გამაუცხადეს თავ-თავის სოფელში ხალხს. ვეშაგთ მატანილ ამბავიცა-დ ჯვარის გამძღოთ სურვილის დროიც უთხრეს: ენკენიას დილასავ გუდანის ჯვარის კარზეით გაემართასავ ლაშქარივ საჭეოდავ (ენკენია: ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაული იყო, ენკენიის თვის თოთხმეტ რიცხვში). ენკენიაც მოახლოებული იყვ, ჭევსურები სალაშქროდ მაემზადნეს, შაიყარნეს გუდანის ჯვარის კარზე ენკენიის წინა დღეს. გუდანის ჯვარს ჭელოსნები ბევრები ხყვანდესა-დ ლაშქარში მიმდინრებს ისეთს უნდა წაეღ დროშა, რო ლაშქრის წინამძღვრობაიც შაზძლებიყვ. დღეობებში კი მედროშაე საკუთარი ხყვანდ, მაგრემ ლაშქარში სალაშქრო დროშას ერთს ააბემდესა-დ,

რაჭელაც ვოქვით, აირჩევდეს უფრო გამაცდილს მედროშაესა-დ დაავალებდეს ლაშქრის წინამძღვრობას, მემრ ხალხიც იმის წინამძღვრობას დაემორჩილებოდა-დ იმის სიტყვას იგონებდეს.

გუდან შაყრილმ ლაშქარმ შალვა ჩუჩაყური აირჩივ დროშაის წამყვანადა-დ ლაშქრის წინამძღვრად.

დროშანი, ჩუჩაყურო, შალვავ შენ შაგკდებიანა!

გუდანის ჯვარის ყმათ უფრო აქ მაიყარეს თავი, წყალსიქითელ ხალხი როშკის გორ დაგროვდა-დ ჭაკმატლები – ჭაკმატ (ბუდე ხევსურეთის ხალხი ადგილების ანუ მდებარეობის მიხედვით არის ოთხად გაყოფილი და თავთავისი სახელი ჰქვია. ერთი არის „გორშედმი“, მეორე „წყალსიქითი“, მესამე „ჭაკმატის ჭეობა“ და მეოთხე არაგვის ხალხი).

ვაჟები წყალსიქითლები როშკისგორ გროვდებიანა,
ელიან ჭაკმატელებსა, ხვადნ არცად მაჭყივიანა,
იმ ენკენიას დილასა საძელეს გადადიანა.

ამნაირად ლაშქარი წამავიდა-დ როშკის ჭორკში გაიერთ თავი (თავი გაიერთა: ერთად შეგროვდა, საძელე: ხევსურეთიდან ყაზბეგისაკენ გადასასვლელი მთა). საძელე გადაიარეს, ჯუთის ჭალა გაიარესა-დ ჯუთას მივიდეს, ჯუთელთ სალოცავი ას აქ გიორგიი-დ იმის კარზე დაისვენეს. გიორგის მადლ მასთხოესა-დ ერთ ჭარ შაუოქვეს: ამ ლაშქრობაშიავ წაღმ დაგვყევიო-დ ჭელ მაგვიმაროევ.

ჯუთას ჩავიდეს ჯვართანა, სიმღერეს ჩაეტყვიანო.
წაღმ დაგვყევ ჯუთის გიორგივ, საკარგყმოს გითქვემდიანო.

ჯუთით ჩაიარესა-დ ჩავიდეს ჭევს. კარკუჩა, ახალციხე, სნო, ეს სოფლებ გაიარეს, ზოგ ცხენიან იყვა-დ ზოგი ქვეითი-დ, თუ ვინ ხკითხევდ: „სად მიზდიხართ ჭევსურნო?“ ჭევსურებ უპასუხებდეს: „ჩვენ თაოდ ვიცით, სადაც მივდით, ეგ თქვენ საქმე არ ასრ̄. მეჭევეები რო ხედევდეს მიმდინარს ლაშქარს, უკვირდ, სად მიდიანავ ჭევსურნივ, რო არცად სწორს პასუხს იძლევიანავ, ვითაიც მეჭევე რას შეეკითხებოდ, სწორად არ უპასუხებდეს.

კვირობენ მეჭევეები, ლაღნ ჭევსურნ სად მიდიანა?

მაგრამ ის კი არ იცოდეს:

არშას მიდიან ჭევსურნი, სადილად სნოს მადიანა,
ცხენნ არშით გამაბრუნვილნი მავლენა-დ სნოს მაღგლიანა,
სნოს ღუდუშაურთ ციხესა ჩარდახით ჩამაშლიანა.

სნოს წყალ გაიარეს ჭევსურთა-დ აჩხოტით სათრუსოოდ შაბრუნდეს, ორუსოს დაეცნესა-დ რასაც მაასწვრეს, დავლა წამაიღეს. ბევრ ხანს იქ არ დამრჩალან, არც ხალხ უზარალებავა-დ ვერც დავლა წამოიღეს ბევრი, რაკი ოსები მაგრად დახვდეს, იქით მაბრუნვილნ ჭევსურნი აჩხოტის მინდორში ჭარ-ცხენს დაეცნესა-დ გამალალეს. აქაც მეჭევეებ დახვდესა-დ ჭმლებით ომ მაუჭდ. ზოგ ხალხ წამავიდა-დ სნოს დაეცნეს დასაბეგრავად. მაგრემ აქაც სნოელ ხალხი მაგრა შახვდა-დ გაიმართ ბრძოლა. აჩხოტის მინდორთ რო ომ ქნილ, ყველას ვერ მიუწონავ იმ ომში. ზოგებ ოუ ქვე იბძოდეს ომშია-დ ზოგები შორით ოვალით იჭერდეს.

თავკანი აჩხოტის მინდორთ ჭარ-ცხენებს ღლალევდიანა (თავკანი, უფრო კარგები)
ომი მაუჭდა ძრიელი, ჭმალნ სისხლში ჩაფერნიანა,
ზოგნი შავიდეს ომშია, ზოგნ თვალით იჭერდიანა.
აიმათ თვალით მჭერლები, ნეტარ შინ რას იტყვიანა,
შინ ჯალაფთ მაატყუებენ, კარში სწორთ რას ეტყვიანა.
სწორებს თუ მაატყუებენ, იქ ნამყოფთ რას ეტყვიანა.

ისრ, ზოგები ჭევსურებ ქვე ომობდეს აჩხოტის მინდორთა-დ ზოგებ ქვე ვერ შავიდეს ომში. აქ სიმღერეში იმით ას ნათქვამ, რო ომში ვინაც ვერ შავიდავ, ჯალაფთ თუ მაატყუებენავ ან სწორთავ, რო ჩვენაც ვიომეთავ, იქ ნამყოფ ხალხს რასაღ მაატყუებენავ, რო თვალით ხედევდესავ, ომში ვერ დაიწონესავ შასვლაივ. ბოლოს დაბრუნდეს ჭევსურნი-დ წამავიდეს საჭევსურეთოოდ; მეჭევეები დაედევნნესა-დ გზადაგზა კიდევ ხქონდ შუღლი. ხოლოთ ის არვის აკსონს, იმ ომში რამთვენ დაიჭრა-დ რამთვენ მაკვდ, ან ოსი, ან მეჭევეი-დ ან ჭევსური. მეჭევეები იმასაც ამბობენ, რო ჭევსურებივ დაბრუნვილეებივ ცალეებ წავიდესავ. ვერც დავლა წაიღესავ. მეჭევეებმავ საძელემდინ მიზდიესაო-დ იქავ დროშაიც წაართვესავ.

ამბობენ მეჭევეები: ჭევსურებ დავაქციენით,
წითელ-ყვითელნი დროშანი საძელეს დავაყრიენით.

მაგრამ ჭევსურების ნათქვამი ანდრეზიცა-დ სიმღერეიც ისრ ას, რო გამარჯვებულებ დაბრუნებულან.

ბარაქალთ ჭევსურთ შვილებო, მამათაც ეეგრ ქნიანა,
არშით ახყარნეს ყორნები, საძელეს ბუდობდიანა,
ჭევსურთ ჭმლებს დაღლოცევდიან, რო ლეშით გვაძღებდიანა!
ჭმალნი, საძელეს ნაცადნი, დალესნეს, იქავ ჭრიანა.

ამ უკენას სიტყვას ეტყობის, რო მეჭევეებსთან უომებავ საძელესაც, აქამდინ მახყოლიონ მეჭევენი დაბრუნვილს ჭევსურთ ლაშქარს.

თუშ-ფშაველ-ხევსურთაგან მითხოს დალაშქვრა

მიამბო უნცრუა (ლუკა) ჯაბუშანურმა, 48 წლისამ, სოფ. ახიელში, 1935 წ.

მითხოელნი ჭშირად ეცემოდეს თუშ-ფშავლების ცხვრის ბინაებს, ხალხს ჭოცდესა-დ იტაცებდეს ცხენების ჯოგს, ცხვრის ფარებს. აისრავ ჭევსურეთითაც მიუდიოდ ჭარები, ცხენები, თითო-ოროლას ხალხსაც ჭოცდეს. ეს ამბავი იყვ სრუ ბოლოს დროს, მენშევიკების მთავრობა რო იყვ. მთავრობა ქვე ვერას ეუბნებოდ მითხოვლებსა-დ თავისუფლად თარეშობდეს სადაც ეწად. ბოლოს თუშ-ფშავლებმ გადასწყვიტეს ლაშქრის შაყრა, გადასვლაი-დ მითხოელთ გაბეგვრაი-დ სამაგიეროს გადაჭდაი. შაიყარნეს თიანეთშია-დ წამავიდეს მენთეშაშვილის მეთაურობით. გზა-გზათ კიდევ უერთდებოდ ფშავლები-დ ჭევსურები მოხალიზედ, ყველას სოფლებში გააგებიეს, ვისაც გინდათავ წამეედითავ, მითხოთავ დავლა ავიღათაო-დ ყველამ გავიყოთავ, რასაც ან წამავიღებთაო-დ ან გამავლალავთავ. ან თუ ვალ რა ვის მიუდისავ, ისიც წამავიდასავ. ხალხმ ეს ამბავ რო გაიგ, ზოგი დავლის გულისადა-დ ვისაც ჯავრი შჭირდ ჯავრის ამასაყრელად მაემზადნესა-დ წავიდეს მითხოს დასაცემლად. უფრო ბევრ ხალხი ცხენოსან წავიდ. ვისაც ცხენ არ ხყვანდ, ქვეითეებიც მიდიოდეს. ყველას მჭარეზეით გადავიდესა-დ შატილ მაიყარეს თავი, კარგა მძიმე ლაშქარ შადგ. აირჩიეს ლაქრის ჭელმძღვანელები-დ წავიდეს მითხოს. ღამით წალალეს ხალხი-დ შაკრეს მითხოს გზები, საითაც საეჭვო იყვ კაცის წასვლაი-დ ჭმის გატეხა ღილღოსად ახვაში. იქით რო ხალხ არ მაშველებიყვ. გზებ რო შაკრეს, დაიძრ ჯარისა-დ შავიდ მითხოს სოფლებში. ყველას სოფელს მირგვლივ შამაეხვივნესა-დ აღარ ვინ გაუშვეს სოფლის გარეთ. ეს იყვ დილას მალედ. ცხვარ-საქონ თავად გამაუშვესა-დ თავის წყემს დაუყენეს. ხალხი დაიჭირესა-დ ეროკან შაყარეს ყველაი-დ დაუყენეს ყარაული. იარაღ, თუ რა-ვის ხქონდ, ახყარესა-დ თავისად შაინახეს. დიაც-ყმაწვილ კი თავ-თავის სახლებში იყვ. ხოლოთ არც იმეებს აძლევდეს ნებას, რო იქით სხვაკან სად წასულიყვნეს.

ყველას სოფელში დაჭოცეს რაიც მსუქან ცხვარ-ჭედილაი-დ ან ჭარ მაეწონებოდ. დადგეს კარში დიდიდებ ქობები, ადუღილებდეს ჭორცს, თან მწვადს წვევდეს, ჭურს

ქისტის დიაცებს აცხობიებდეს, ზოგს ერბო გამახქონდ სახლებშიით. სახლებში შადიოდესა-დ, რაიც მაეწონებოდ, გამახქონდა-დ ინახევდეს შინ წამასაღებად. შეშის მაგივრად გამახქონდ სახლებშიითა-დ ოჯისგანს წვევდეს (ავეჯს ღილღვლების). ქისტებს ეუბნებოდნენ: რაც თუშებისაი-დ მშავლების ცხვარ-საქონი გყავთავ გამალალულივ, ის მალალეთავ, თორე აქითავ ეროს თვეს არ წაოლთა-დ სრუ გაგანადგურებთაო-დ სრუ თავებს დაგჭრითავ, ღილღვლებ კი ეუბნებოდეს: თქვენ ცხვარ-საქონ ვისაც მაუდისავ, ისეებივ ყაჩაღები არიანაო-დ ტყეში არიანავ გაქცეულივ, ჩვენ რას გვემართლებითავ, ალალ-მართალს ხალხსავ. ჟჯობავ, რო თავ დაგვანებათავ ალალ-მართალს ხალხსავ, თორე არ შაგჩებისთავ, არც თქვენავ. წეედითაო-დ ქურდ-ყაჩაღ ხალხს წაართვითავ. აბა, ჩვენ რაზე გვანადგურებთავ. მაგრემ ჩადგეს სოფლებშია-დ აღარ ეშობოდეს იქით. ვინაც გარეთ გასულებ ქისტებ იყვნეს, გაიპარნესა-დ ღილღოსა-დ აჭვაში გააგებიეს: მითხოსავ ლაშქარ დაეცაო-დ მაგვეშველენითავ. იქით ხალხ წამავიდ მასაშველებლად, მაგრემ, რაკი ხალხი დაჭერილი ხყვანდ, არცაით იყვ საშველი. მასულ ხალხს რო თოფის სრევა დაეწყ, ლაშქარი დაჭერილს მითხოვლებს დახჭოცდ, რო დღეღამ იმათ ყარაულობაში იყვნეს. ამის გამო დასაშველებლად წამასულ ხალხი ჯერ მითხოს არ გამაცხადდ. მითხოს ახლო-მახლო იყვნეს დამალულები-დ ელოდდეს დროს, თუ ეს ლაშქარი ტყვეებს გაუშობდ ჭელჩიით, მაშინ აუტეხდეს სროლასა-დ აზარალებდეს ლაშქარს.

ერთი სახელგანთქმული ყაჩაღი იყვ სახელად ბაგი. ეს გასული იყვა-დ ხალხს ეს უფრო არ აძლევდა თოფის სრევის ნებას. ეხლა რო ვესრიოთავ, ეუბნებოდ – ჩვენს ხალხს აზარალებენავ. მაუცადათავ დროსავ (გასული: ყაჩაღი, ტყეში მოსიარულე, რომელსაც ასეთ შემთხვევებში ხალხი ემორჩილება). თუშ-ფშავ-ჭევსურეთ ლაშქარი მითხოს ხუთ დღემდინ იყვ. ყველას დღეს არჩევდესა-დ ჭოცდეს საუკეთესო საკლავებს და ათასნაირად ხრაკავდნენ, აკეთებდნენ მწვადებს, ყაურმასა-დ სხვა ესეთები. მშავლებმ ფშაური ხინკლის დუღილიც დაიწყეს. ტყვედ დაჭერილები ხყვანდეს ოცდაათამდენ კაცი-დ იმათაც აჭმევდეს იმათავ საქონის ჭორცს. ლაშქარი ჯერ მთხილად იყვა-დ დღე და ღამ ყარაულობდეს გზებს, თანდათან ისრ შეეჩვივნეს, რო ბოლოს სრუ აღარას აქცევდეს ყურადღებას. გზებზეით ყარაულიც მახჭსნესა-დ სოფლებში სრუ თავისუფლად დაიწყეს ქცევა. დიაც-ყმაწვილსთან კარგად იქცეოდეს, მაგრემ ყველაზე მეტად ქისტები იმან გაამწარ, რო თუშებს მთის წეს დაერღვივა-დ დიაცებსთან ძალადობა მაეჭმარ. რა თქმა უნდ, ეს ყველას თუშებს კი არა-დ ორ-სამ კაცს ჩაედინ ეს მთის წესების შამრცხვენელ საქმე (მთიელები როცა ერთიმეორეს ლაშქრავდნენ, ქალებთან სრულ თავდაჭერილობას იჩენდნენ და ცუდი თუ რამე ვისმეს ჩაედინა, თავისი ამხანაგები არ აცოცხლებდნენ. აგრეთვე პატივს ცემდნენ მოხუცებს და ბავშვებს). ეს რო გაიგეს, მთელ ლაშქარი გამწარდა-დ დაუჟჯელად არ გაუშობდეს დამნაშავეებს, თუ ქისტებს ისეები ცოცხლები გამეეშვ. მაგრემ ამ ამბავმ

ქისტები სრუ გააცხარნა-დ თავს სასიკვდილოდ აღარ ზოგევდეს, ერთ-ერთის იმ ქალის ქმარი მითხოს სახელგანთქმული კაც იყვა-დ გაჯავრებულ მეემზად, სთხოვ, რო, როსაც დრო დაგვჩებისავ, სრუ დავჭოცათავ ეს ხალხივ. ქისტებიც, როგორც ვიცით, დროს ელოდდეს.

ლაშქარმ ჯერ კი ეუბნ, მაასხითავ თუშ-ფშავლების ცხვარიო-დ თქვენს დაგიბრუნებთავ, მაგრემ ქისტებმ ის ცხვარ ვერცაით მაასხესა-დ ლაშქარმ იმათ ცხვარ-საქონ გამაიბრუნ წამასასხმელად. დაჭერილის ქისტებისა ტყვედ წამასხმა დააპირესა-დ ზოგებმ თქვეს: რად გვინდავ ესეებივ იქ წაყვანილებივ? ცხვარ-საქონ გაუშვათაო-დ ქვე გავლალავთავ, ეს ტყვეები ქვე გავათავისუფლათავ, აქ ხო აღარაი რჩებისავ, რო ტყვეების საჭსარ ვინ მაგვცასავ, ტყუილადავ ესეებ რად გვინდავ იქ ნადენებივ. ზოგებმ კი უთხრეს, რო ეს ტყვეებივ მანამდინ მაინც გავიყოლათავ, მანამ სამშვიდობოს არ გაოლათავ, თორე ჩვენ რო ესეებ გავათავისუფლათავ, გზას შაგვიკვრენაო-დ ცოცხლებს არ გაგვიტევენავ. სხვებმ თქვეს, რო მითხოს რაც იარაღ იყვავ, ისიც ხო ჩვენ წამავიღითაო-დ რაითაღ შაგვიკვრენავ გზასავ. ბოლოს გადასწყვიტეს ტყვეების გათავისუფლებაი. ცხვარ-საქონი, ცხენებ, რაიც იყვ მითხოს, ეს სრუ გამალალეს. ტყვეებ რო გაუშვეს, წავიდ-წამავიდესა-დ სუყველამ იშოვ თოფები, დამალულები ხქონიყვა-დ აიღეს ჭელში, ამ დროს გამაცხადდ დამალულ ხალხიც, რომნებიც მითხოელთ მასაშველებლად იყვნეს მასულები-დ ტყვეების გაშობას ელოდდეს. გამაცხადდ ისრ, რო შინისკე გამამართულს ლაშქარს წინ მაასწვრეს ჯარეგასა-დ აღარ დაანებეს შინ წამასასვლელ გზაი. ლაშქარმ ცხვარ-საქონს თავ დაანებ, თავის ცხენებსა-დ ჯარეგას სახლებში შააფარეს თავი. ქისტებმ წამასავალ გზაიც შაუკრესა-დ სადაც ლაშქარი თავშაფარებულ იყვ, იმ მიდამოსაც სიმირგვლივ შამაეხვივნეს. მიულალეს ქისტებმ ლაშქარს შუაკაცები: აიყარანავ იარაღივ, თორე ძალით ავხყრითავ იარაღსაო-დ ვაზარალებთავ კიდევაც. მაგრემ ლაშქარმ იარაღის აყრაზედ უარი უთხრეს. აბა, თუ იარაღს არ აიყრითაო-დ ჩვენ ბრალ ნუ ასავ, უთხრეს ქისტებმ. ლაშქრისა ერთ ნაწილი სოფლის ბოლოზე იყვ მამწყვდეული, რაიც სახლებში ვერ დეეტეოდა-დ ვერც მაასწვრეს სახლებში შასვლაი. ერთს სახლის ეზოში შაიყარნეს ერთ – ბარისაჭოს მცხოვრები გიგია ჭინჭარაული-დ მეორე – სოფელ აკუშოში მცხოვრები იმედა ლიქოკელი. უჭკუათ გიგიაის (უჭკუანი: ჭინჭარაულების ქვეგვარია) შინშს, სულხანაურს, წინავ ერთი მითხოელ ქისტი ხყვანდ მაკლული-დ უჭკუათ მითხოვლების თავ ეკიდ (თავი ეკიდა: სისხლი ემართა). ღილღვლებმა გაიგეს, რო სულხანაურის შინშ მასულაო-დ მაინც მაკვლას უპირობდეს: სხვა რო ყველა ცოცხალ წავიდასავ, მაგას არ გაუშობთავ ცოცხალსაო-დ აფშინათ აბასავ. თქვეს ქისტებმა-დ ეს გიგიასა-დ აბასაც გაგებული ხქონდ. აბა ბლოში მცხოვრები იყვ, გვარად გიგაური. იმასაც ქისტები ხყვანდ

დაჭოცილები-დ იმათ თავ ეკიდ. ეს ამბავ რო დაიწყვა-დ ქისტებმ იარაღ მაითხოეს, მაშინ აფშინათ აბა ნაცნობ ქისტებმ გამააპარეს, მაგკვლენავ, უთხრეს, არ გაგიშობენავ; სხო ამბავიც ძალინ ცუდ მახჭდებისავ, აქაო-დ არ გვინდავ, იმ ქარ-ცეცხლში შენ გაეხვივავ. აბა გავლენიან კაცი იყვ, ყველგან ხყავნდ კეები მეგობრები-დ იმეების დაჭმარებით წამავიდ; თითო-ოროლა სხვა ხალხიც გამააცილესა-დ წამალალეს ქისტებმ. ერთ ჯარეგიონ ქისტი იყვ, რომნის ცოლსაც ოუშებმ შეურაცხყოფა მიაყენეს, იმ ქისტმ ქართულ იცოდა-დ შუაკაცად უფრო ის დავიდოდ: იარაღ აიყარეთაო-დ ცოცხლებს გაგიშობთავ მემრავ. მაგრემ იმას უნდოდ ლაშქარს იარაღ აეყარა-დ მემრ ოუნდა ეროს მითხოელს არ ესრივ თოფი, ის აპირებდ ხალხის ჭოცასა-დ ჯავრის ამაყრას. ამას სხვებიც ხყვანდეს მემჭრეები-დ მააჭერჭეს კიდეც ნახევარზე მეტის ხალხისად იარაღის აყრაი. აიჭსნეს თოფ-იარაღი-დ ჩააბარეს. ხოლოთ სოფელში ვინებიც იყვნეს შასულები, ისეები მაგრდებოდეს იარაღის აყრაზე. ბოლოს უთხრეს გაგიშობთაო-დ ბანზე გამაუშვეს ხალხი. ერთ ქისტი, სახელად ძალუმჭაჩი ბოსელში შავიდ გიგიაისა-დ იმედაის გამასაყვანად. იმათ გადაწყვეტილი ხქონდ ქისტს რო ვღნახავთავ, მავკლათავ, თორე სრუ ერთიავ მაინც არ გაგვიშობენაო-დ გულჯავრიანებ მაინც ნუ დავიჭოცებითავ. ძელუმჭაჩ რო კართან მივიდ იმათ გამასაყვანად, გამავარდ იქითაც თოფი-დ ძალუმჭაჩი ბოსლის კარში მკვდარ დაეც. ეს რო ნახეს ქისტებმ, ექნ იმათაც ბედადა-დ დასცხეს ტყვია ამ ხალხს, ისით თოფის ჭმა ავარდ, რო ცის ქუხილს ღგვანდ. ღილღვლები, იგივე ქისტები, ახლოს იყვნეს ჩასაფრებულები-დ ერთ ტყვია არ დაუხარჯავ ისრ, რო ერთ კაც მაინც არ მეეკლას.

სოფლის ბოლოზე რაიც ხალხ იყვ, სრუ გაწყვიტეს, რო მკვდარ რიყესავით ეყარ. ღილღველთ რო თოფვა დაიწყეს, ბანზე ვინაც იყვ, ის ხალხ მიაწყდ ჭერხოს კართა-დ თოფები სრუ ბანზე მაშჩ აჩქარებულებს, რო კარებში მარჯვედ ვერ შაძვრეს თოფიანები. ზოგ ხალხი აქაც დაჭოცესა-დ ზოგმ კი შაასწვრ ცოცხალმ. იქაც თითო ოროლა ტყვია შამავარდის საკომშიით. ბოლოს ცოტაად შანელდ თოფის ჭმაი, ეროს კისტნელ ახალგაზრდას კვირიკა ექვივნა-დ საკომშიით დაიწყ გახედვა ნეტარ რა ამბავიავ. ნუ გახედავავ, ტყვიას ისრევენავ, დაუშალეს ამხანიგებმ. მაგრემ იმან თქო, მე მიცნობენავ ქისტებიო-დ თოფს არ მესრევენავ. ამ დროს გამავარდ თოფით, კვირიკას შუბლში მახვდ ტყვიაი-დ ტვინი ყორეთ შაასხ. მაკლეს კვირიკაიც. თოფის ჭმა რო დაჭშირდ, იმ დროს გამაიყარნეს უჭკუათ გიგიაი-დ იმედა ლიქოკელიც. ხალხს ჭოცენაო-დ ჩვენავ აქ ნუ ვიმალებითავ, იქნება გავასწვრათაო-დ არა და იქ დავიჭოცნათავ ჩვენაცავ, სადაც ხალხ იჭოცებისავ. დაქცეულნ რო გამაყრილიყვნეს, დაეყარ ქისტებსაც თოფები-დ იქავ დაეჭოცნეს ისენიც. ერთის ქისტისად კი იმათაც კიდევ მაესწვრ თოფის დაკვრა, მანამ დაიჭოცებოდეს. ხალხ რო ჭერხოში შაიყარნესა-დ თოფებ ბანზე დაშჩ, ერთმ არხოტიონმ, გიორგი ჯაბუშანურმ, მაავლ ამ თოფებს ჭელი, შაყარ ჭერხოში: არ გცხვენიანთაევ, უთხრ, ხალხივ ეროუცს

ჭოცსაო-დ ოქვენავ იარაღს კარში სწირავთავ. არხოტიონი ამ ომში ორ კაც იყვ მარტო, ძმები გიორგიი-დ უნცრუაი.

ქისტებმ ორმოცდაათამდე კაც მაკლესა-დ მასწყინდ ხალხის ჭოცა, გულიც მაიჯერეს, იყარეს ჯავრი. კიდევ მაულალეს კაცი, რო იარაღ ჩაგვაბარეთავ, ვინაც გადაგვრჩითაო-დ წეედითავ, აღარ გვინდავ ოქვენ დაჭოცაივ. გვეყვავ, რაც სისხლ დაიღვარავ. ხოლოთ ოქვენს თავს აბრალეთავ, ცოდოიც იყოსავ ეს სისხლივ. ჩვენ ამთვენს არ დავხჭოცავდითავ, მაგრემ ყველა ცუდ-ი ხქენითაო-დ იმან მაიყოლავ. შუაკაცად წამალალეს ღილღვლებმ სოფელ გუროში მცხოვრები ჭევსური მამუკა გოგოჭური, რომენიც დიდხანი იყვ მითხოს წასული საცხოვრებლადა-დ იქ ცხოვრობდ. მამუკა დისწულ არხოტიონთა იყვ, სოფ. ახიელით ნაროზაულთაი. იმან რო გიორგიი-დ უნცრუა არხოტივნებ აქ ნახ, იმის დედიძმათ სოფლელები, გაუკვირდა უთხრ: ოქვენ რაიღ გინდოდათავ აქავ, მითხოელთავ ოქვენ რა ემართავ. წავიდა-დ ღილღველთ უფროს ყაჩაღს, ბაგის, უთხრ, რო აქავ ორ არხოტიონ მახყოლივავ შემოხვევითავ. ისენივ ჩემებ დედულებიავ, ჩემის ხათრის გულისად გაუშვივ ისეებივ. მემრ ბაგიმ უთხრ, რო წეედიო-დ ერთივ ჩემთან წამაიყვანევ. მამუკა წავიდა-დ გიორგი წამაიყვან ბაგისთან. ბაგი გიორგის კარგად მიეგებ, ჭელ ჩამაართვ, ამბავი ხკითხა-დ უთხრ: ჭკვიან კაც მაჩნიხარაო-დ რა გინდოდავ აქავ. მითხოელთავ არხოტიონთა რა წამაუღავავ, შენ რაიღ გინდოდავ აქავ. ხო ხედავ აქ რამთვენ ხალხ დაიჭოცაო, რო მამკვდარიყავი, შენ რაის გულისად მახკვდებოდივ. მემრ ეოქვ ბაგის ერთის ქისტისადა-დ მამუკაისად: ეს კაც გააცილეთავ, თოფ-იარაღიც თან წაიღასაო-დ ძმაიც წავიდასავ ამისაივ. ამათ არავინ რა დაუშავასავ, თორე ოქვენ იქნებითავ პასუხისმგებლებივ. დავალებულ კაცებსაც გამეეცილნეს ძმანი თავის იარაღით სამშვიდობო გზამდინ. დანარჩენ ხალხს მეტ გზა არ ხქონდ, აიყარეს იარაღი-დ ჩააბარეს ქისტებს. რო დაღამდ, გამაუშვეს ეს ხალხიც. გამააყოლ ბაგიმ კაცებ, რო ესეებ აღარვინ დაჭოცასავ; წამავიდ ხალხი, ვინც ცოცხალ დარჩ. ქისტებ თუშებზე იყვნეს დაჯავრებულები-დ, თუ თუშს გაიგებდეს, არ უშობდეს ცოცხალს. იმით ბევრიც დაიჭოც, თუშებ უფრო. მშავლებიც ბევრ დაიჭოცა-დ ჭევსურ მარტო სამ მაკვდ. ზოგ ხალხს ბაგიმ უშველ, ჭევსურებს. უფრო ბევრ ხალხ კი სროლის დროს ჭერხოში თავშაფარებით გადაშჩა-დ აღარ დაჭოცეს მემრ ქვე. არცრა უწესობა ჩაედინ ამ ლაშქარში ჭევსურებსა-დ ღილღვლებმ იმითაც არ მაინდომეს ჭევსურების დაჭოცა. წამავიდ ლაშქრის ნარჩომი ხალხი-დ ცხენები-დ იარაღ კი მითხოს მარჩ სრუ. ყველას კაებ ცხენები ხყვანდ, კარგად შაკაზმულები, ქვეით ცოტა იყვ. ცხენ-უნაგირიცა-დ ამოდენა მკვდრებიც სრუ მითხოს მარჩა-დ გაინაწილეს მითხოელთ. მკვდრები ზოგები წაიღეს მეპატრონეებმა-დ ზოგები იქ მარჩ. ქისტებს აძლევდეს ფულს, ისენი ეჭმარებოდეს მკვდრის დაძევებაშია-დ მშვიდობიანად გამაცილებაში. ვისაც რიგიან პატრონ არ ხყვანდ, დაგვიანებით

წავიდეს მკვდრების მასატანად. ჭევსურებმ კი დაიჭმარეს ნაცნობ ხალხი-დ დროზე მაიტანეს თავის მკვდრები. მშავლები-დ თუშებ კი ბევრ დარჩ იქ, უპატრონობის გამო. მკვდრებს რაც ტალავარ ეცვ, სრუ წახყარეს ქისტებმა-დ შიგათი საცვლებ გაუწირეს, აისრ დათარესა-დ გადაყარეს სოფლის ბოლოში შორს.

ერთ-ერთი ქეიფის დროს ხევსურმა და ფშაველმა მაშინდელ ამბავზე შეუმღერეს ერთიმეორეს შემდეგი ლექსი:

– *მითხოს გადაედ, მშაველო, თქვენებ მკვდრებ აიქ ხყრიაო! (ხევსური)*
– *მენ იქ არ წავალ, ძმობილო, განა მენ არ მჭვრეტს ტყვიაო. (ფშაველი)*

ამ ლაშქრობის შემდეგ ფშავლებმა და თუშებმ ხელი აიღეს მითხოვლებთან ბრძოლაზე, ჭევსურებმ კი, აქ დახოცილი მკვდრების მეპატრონეებმ, არ მაისვენეს, მანამ სისხლ არ აიღეს მითხოვლებზეით. მაგრემ სისხლის აღებას მახყვ კიდევ მეორე მჭრითაც სისხლის აღებაი-დ სამ-სამ, ოთხ-ოთხ კაც კიდევ მაკვდ.

უჭკუათ გიგიას დაშჩ ცოცხალი შინში სულხანაური. ის წინიდგესავ მტრისად მიმყოლ ახალგაზრდა იყვა-დ გიგიაის სიკვდილიდგეს დავიდოდ სისხლის ასაღებლად. ქისტ უნდა მაეკლა-დ შაეწირ გიგიაისად, ხოლოთ, რომენიც უნდა ქისტ ყოფილიყვ, ის კი სრუერთი იყვ სულხანაურისად. ერთხან წავიდ სულხანაური შურის საძებრად. შაკრ ქისტების მასავალი გზაი-დ ელოდებოდ ქისტის მასვლას. ამ დროს მავიდ ქისტის მოლა ცხენით. ესრივ სულხანაურმ, მაკლ მოლა. გადახტ, ჭელიც მაშჭრ, თავიც. ჩასხ იმისავ ცხენის ხურჯინში. შაჯდ ცხენზედა-დ წამავიდ. მოლაის თავი იმით წამაიღ, რო გიგიაის იარაღი იყვ მითხოს დამრჩალი-დ იმას თხოულობდ. მანამ იმ იარაღებს არ მამიტანთავ არ მაგცემთავ მოლაის თავსავ. მაულალეს კაცები:Ᾰმაგვეცივ ეგ თავივ. ჩვენ საით მაგიტანათავ ის იარაღივ, რა ვიცითავ, ვინ წაიღავ, რამთვენ ღილღველ იყვავ მაშინავ შუღლშიაო-დ სად ვინ წაიღავ, რა გავიგათავ. სულხანაურმ თავ არ მისცა-დ ქისტებმაც თავ დაანებეს იმის თხოვას. დარჩ მოლა ქისტეთში დასაფლავებული-დ მოლაის თავი ჭევსურეთ, ბარისაჭოს. მოლა როსაც მაკლავ, მაშინავ ლიქოკლებ ეტანნესავ სულხანაურსავ, ამბობდ ხალხი-დ სულხანაურივ იმათობას იმით არ ამბობსავ, რო ქისტების მასავალად, კაცის მასაკლავად ლიქოკი იმათ მარჯვეს ასა-დ არ შაარჩენდეს ქისტები. ბარისაჭოს ქვე ვერცაით მავიდოდეს ისენი-დ იმით იბრალებდეს თაოდ. მაგრემ, ხალხს გაუგო რა დაშჩების? გაიგ ხალხმა-დ მიუტანეს ეს ამბავ ქისტებმაც. ქისტებმ უფრო მამკლავის სოფლელისა, ან მოგვარის მაკვლა იცოდეს, თუ თაოდ მამკლავს ვერ ჩაიგდებდეს ჭელში. ჭევსურებისად კი სრუ ერთი იყვ, ხოლოთ ქისტურ ტალავარ კი სცმიყვა-დ ვინაც უნდა ყოფილიყვ. აი, ამით დამალ ლიქოკლების ამხანიგობა სულხანაურმ, რო იმ სოფელს დააზიანებენავ ქისტებივ.

სულხანაურმ რო ამით ვერ მაატანივ გიგიაის იარაღი, კიდევ წავიდ. იფიქრ: მავხკლავავ ეროს ქისტსავ, კიდევ შავსწირავ გიგიასაო-დ იარაღსავ ქვე წამავიღებავ გიგიაის იარაღის მაგიერავ. წავიდ სულხანაური-დ ერთ ბარისაჭოელ ახალგაზრდა გახყვ, სახელად ხოისიკა, გვარად ისიც ჭინჭარაულ იყვ. ერთ მშაველ გახყვ, იმასაც ამ ლაშქრინდელ შური ხქონდ საძებარი. შატილ ძალიან კა მეგობარი ხყვანდ სულხანაურს, გიგიაო აბა. სხვა დროს, როსაც უნდა წასულიყვ შურის საძებრად, ან სხოდ რაად, აბასთან მიუვალად არ დადგებოდ. ძალიან უყვარდ ეროუცი-დ ერთ ორ დღეს მაინც აღარ გამაუშობდ აბა სულხანაურს, როსაც სტუმრად მიუვიდოდ. გვარად ისიც ჭინჭარაული იყვ. საუბედუროდ ახლა აღარ მიბრუნდეს შატილ სულხანაური-დ იმის ამხანიგები-დ პირდაპირ ჩაიარესა-დ ანატორ შაკრეს ქისტების მასავალ გზა. ამ დროს, სულხანაურის მეგობარი გიგიაო აბა წასულ ყოფილ მითხოს საკლავების სავაჭროდ. ღილღოს წასულს ღილღურ ტალავარ ჩაუცომ, რო ჭევსურულის ტალავარს დასცინოდეს იქ. ახალგაზრდებს ღილღურ ტალავარი ხქონდ ზოგებს ღილღოს სასიარულოდ, შატილივნებს. ბუდის ჭევსურებ კი ესეოს ტალავარს მაშინ არ იცვემდეს. აბას უვაჭრებავ მითხოს ცხვარ-თოხლები-დ გამალალ შინისკე. სულხანაურმა-დ იმის ამხანიგებმ ეროს დღეს იყარაულეს გზა, არცად ვინ მაუვიდ. მეორეს დღეს, გძელ-სადილობა იქნებოდ, რო აბამ ცხვარ-თოხლებ მაასხ. სულხანაურსა-დ იმის ამხანიგებს ქისტ ეგონ, კარგად გამაწყობილ რო იყვ ქისტურ ტალავარში. სულხანაურმ უთხრ, რო ჩემის შინშის შასაფერ ქისტივ ეეხლად მავიდავ, რო სიარულზედა-დ მიხრა-მოხრაზე მაეწყონ. ამხანიგებმ უთხრეს: კაცო, ეგ შატილიონ არ ვინ იყოსავ, ეგ ცხვრებ სად მიუდისავ. სულხანაურმ გაიცინა-დ უთხრა: ქისტებსავ სრუ დაუდისავ ცხვრებივ დასაყიდადავ შატილავ. განა არ ვიცნობავ, შატილივნებს ეგეთ ტალავარ ვის აქვავ. აბა მარტო არ იყვ, ამხანიგებიც ეტანნეს ჭევსურულად ჩაცმულები. აგერაილევ, შატილივნებივ თან სტანიანავ, უთხრ სულხანაურმ, რადარ ეროუცს ღგონავ ეგ ახალგაზრდაიო-დ ეგ სხვებ ამხანიგებივ. მე დამაცალეთავ, ჯერ მე ვესრევაო-დ მემრ თქვენაც ესრივიდითავ. გავარდ სულხანაურის თოფი-დ აბა ჩაიქც. ესრიეს სულხანაურის ამხანიგებმაც იქავ იმას. თოფის ჭმა რო გათავდ, იქით მეედინ ძახილი, რომენი ხარავ, რა გვემართავ შენივ, აბა რაზე მაგვიკალივ. მაშინ უთხრ სულხანაურმ: ჩემ ძმობილ მამიკლავავ, ნეტაინ იმის კვალად მე მამხვედრიყვავ ტყვიაივ. სულხანაური ამხანიგებმ ააყენესა-დ წამაიყვანეს ძალად, აბაის მაკვლიდგეს სიცოცხლე აღარ მინდავ, აგებ მიაც აქ მამკლანავ, ამბობდ ისი. ამ ამბავზე დიდ ლექსები ნათქმები-დ ერთ-ერთ ლექსში ეს სიტყვები სტანავ:

ნუ იცომ, გიგიასშვილო, დუსურბნის ტალავარსაო,
შაგხვდების სულხანაური, გაფერებს ქისტის ყმასაო.

ეს ამბავი ანატორ მახჭდა-დ შატილსთან შორს არ ას ეს ადგილი. წამავიდეს ამხანიგები-დ შატილ გატეხეს ჭმაი. შატილივნებმ გაიგეს, რო ესი სულხანაური იქნებოდ. დაიქც სოფლის ხალხი-დ შაუკრეს სულხანაურს ბუდე ჭევსურეთისკე წამასასვლელი ყველა გზები. წასვლაში გიგიამ უთხრ თავის სოფლელებს: ვისაც შაგხვდებისთავ, მაკალითავ სულხანაურიო-დ დღესავ ჩემ მუშები ხართავ, ჩემის შვილის მაკვლაზე რო კაცს ხკლავთავ, თავსავ თავში გავდბრივ. ე. ი. სისხლს სისხლში გაუბრივ (საერთოდ ეს ხევსურეთის წესში არ იყო, ერთი გვარის რო მოკვდებოდა, მისი მკვლელი მის ახლობელს უნდა მოეკლა, თუ შორეული მოგვარე იყო თავისი შორეული მოგვარის მკვლელის მკვლელი, მაშინაც არ ებრებოდა თავი თავში, არამც თუ თავის სოფლელის მოკვლაზე). საერთოდ, მაინც ეს ამბავი ასე მოხდა. სულხანაური მოკლეს ამავე სოფლელებმა ე. ი. გიგიას სოფლელებმა ამავე გზაობას, მაგრამ სულხანაურის მამა გოგოთური თავს თავში არ ბრიდა, ის უთვლიდა გიგიას: შენი შვილის სისხლს მე დავიდებ და ყველა წესებს შეგისრულებ, რაც ჭევსურეთში მოსისხლის წესია, ხოლოთ ჩემი შვილის სისხლი უნდა დაიდოს იმან, ვინც ჩემი შვილი მოკლაო. მე იმას სისხლს რად გაუბრი, ვინც შენი ახლობელი არ იყო, იმას რა საქმე ქონდა ჩემი შვილის მოსაკლავად. თავის დროზე შენ მოკლავდი თავის შვილის მოსისხლეს და მაშინ მე ხმასაც არ ამოვიღებდიო. გიგია კი შუაკაცების პირით ეუბნებოდა: შენი შვილი ჩემის დავალებით მოკლეს ჩემი შვილის გულისათვის და თავი თავში გავბარეთო. სულხანაური მუდამ დადიოდა შატილში და მას არავინ კლავდა. მიზეზი თვითონ გახდა ჩემი შვილისიც და თავისი მკვლელობისიც და, ვინც ამ მიზეზზე სულხანაური მოკლა, კაცის თავი მას რად უნდა დავსდოო. ბევრი შუაკაცები დადიოდნენ, მაგრამ გოგოთურმა თავი თავში არ გაბარა, გიგია კი თავის გაბრას მოითხოვდა. ბოლოს ორივენი დაიხოცნენ და ეს საქმე შეურიგებლად და გაურჩევლად დარჩა მათ შთამომავლობას). წამავიდეს შატილივნები-დ ზოგმ სად შაკრ გზაი-დ ზოგმ სად, ოროლ-სამ-სამთ. სადაც მივავ, სულხანაურს მავკლავთავ. გიგიამაც ის უთხრ, რო ამხანიგებ ექნებიანავ, მაგრემ სულხანაურის მეტ არვინ მახკლათავ. სულხანაური-დ იმის ამხანიგები ჯერ მთისას წამავიდეს ანატორითავ. ღამით რო მთა-მთა გადიოდეს წვერზე, სულხანაურს რაიმ მეეჩვენა, კაცები იყვავ, თქო, მთაზედაო-დ არ გაგვიტევენავ. იქ გზა კი არავის ხქონიყვ შაკრული, რაი რა მაეჩვენ. დაბრუნვილიყვნეს მთაზე შამჭდრები-დ ჭალაშიავ ჩამაყრილიყვნესა-დ ჭალაზე გზაურ წასულიყვნეს. თენებაზე მისულიყვნეს იქ, სადაც გზაი ხქონდ შაკრული. სულხანაურ წინ მიმავალიყვა-დ სხვები უკენ მიმდინარიყვნეს. ჩასაფრებულებში ეროს ახალგაზრდას გიგია ექვივნ, კურდღლიშვილს გიგიას ეძახდეს ამ ახალგაზრდას. წინწინ ამას ესრივ სულხანაურისადა-დ დაეკრ. ესრივ სხვებსაც. სულხანაური იქავ დაცემულიყვ. იმის ამხანიგები გადამხტარიყვნესა-დ კლდეს მახფარებიყვნეს. შატილივნებს ეძახ: თოფ

არ გამაისრიოთავ, თორე ამაგაშიავ გაგწყვეტთავ. ეს კაცივ სისხლზე მავკალითაო-დ თქვენ თუ თავ ცოცხალ გინდათავ, ადეითაო-დ წაედითავ. თუ ჭელ დაზძარითავ, ვერც თქვენ წახოლთავ ცოცხლებივ. ისეებიც წამასულიყვნესა-დ შატილივნებიც წასულიყვნეს შინ. სულხანაურისად შატილივნებს ჩოჭა შამაეხურ ზედ, რომ მანამ წაიღებენავ, ცოდოი ასავ, პირდაუფარებლად იყოსავ.

ეს საქმე ბოლოს გაურჩევ დაშჩ გიგიასა-დ გოგოთურს. გიგიამ დაუბარ გოგოთურს: შენ კი აგაღებივავ არგანივ შვილის სიკვდილმაო-დ მე ვერ ამაღებივავ. მე შენზე მაგარ კაც ვყოფილორავ. ვითამ გოგოთურმ შვილის სიკვდილზე ჯოხ აიღა-დ ჯოხით დაიწყ სიარული, ისრ წელში მასწყვიტ შვილის სიკვდილმ.

გეუბენ სულხანაურო, ღრიდე სისხლიანს გზასაო!
ერთხან გატყდების კოკაი, მუდამ არ ზიდავს წყალსაო.

ეს სიტყვები იმისად ნაოქვამს ერთ-ეროს ლექსში ას, იმის სიკვდილიდგეს. ჭშირად ლექსობენ ჭევსურები ახალუხალში.

ქისტებმ იცოდეს, რო მოლაის სიკვდილშიაც ეტან ლიქოკელი კაცი-დ სხოდაც ქისტეთში ჭშირად დადიოდეს ისენი-დ აწუხებდეს ქისტებს. ამის ჯავრზე იმათ მოკლეს სოფელ აკუშოში მცხოვრები ბათირა ლიქოკელი. ბათირას ორ ძმა დაშჩ. ძალიან კარგები იყვნეს მტრისად მისაყოლადაცა-დ სხოდაც. არა მარტო ძმებ დაშჩ, სახლისკაცებიც კეებ დაშჩესა-დ დაიწყეს სიარულ ბათირაის სისხლის ასაღებად. ხოლოთ ესენი უბრალო კაცის მასაკლავად აღარ დადიოდეს, ან უნდა მაეკლ თაოდ მამკლავი-დ ან იმის ძმა სახლისკაც მაინც, რო ბათირაის მამკლავს გულ მაინც სტკივნებიყვ. ბათირაის მამკლავი გვარად ლამუროვი იყვა-დ ამათ გვარისას იძევდეს. ბევრჯელ წავიდეს, ბევრჯელ შახვდ სხვა ქისტი მარჯვე ალაგში, მაგრემ არ კლევდეს. ბოლოს ჩაუსაფრდეს სოფლის ახლოსა-დ დილას კარში გამასული ლამუროთ ელიზბარი მაკლეს. თაოდ მაბრუნდესა-დ უგზოზე წამავიდეს მთიდ-მთივა-დ მავიდეს ლიქოკ. ამაზე ძალიან თავ ისახელეს ჭევსურეთ გაგუჩამ, ხახონამა-დ აბიკამ (პირველი ორი – ბათირას ძმები იყვნენ, ბაჭყურათ გიორგი და აბიკა მათი ბიძაშვილები იყვნენ, რომლებიც სისხლის აღების დროს თან ახლდენ ბათირას ძმებს) ამ ელიზბარის მაკვლაზე საქებს ლექსებსაც ეუბნებოდეს ჭევსურები. უმღერდეს ჯერზედა-დ აძლევდეს პატივს.

ბოლოს ლამუროთ მაულალეს კაცი, რო შავღრიგდეთავ, ლიქოკლებს. რჯულის კაცებ შავყარათაო-დ რჯულივ რასაც იტყვისავ, ჩვენაც აისრ შავღრიგდათავ. ჩვენავ, უბრალო ხალხ, რაზედ ვჭოცთავ ერთმანეთსავ. ბათირაიც ალალ კაც მაკვდავ, ბათირაის მაკვლაზე ელიზბარიც, ალალ კაც მახკალითავ. ბათირაის მამკლავივ ყაჩაღად ასავ გაქცეულივ, ან მოლა რაზე მაგვიკალითავ. მითხოს ხალხ

რო დაჭოცესავ, ჩვენის მოლაისა რა ბრალ იყვავ, რო თავიც კიდე წაიღითავ, რაც ჩვენს ქვეყანაში არ მამჭდარავ. განა არ ვიცითავ, რო იმის მაკვლაში სულხანაურს თქვენ ეტანენითავ. ეს ყველა გავარჩიოთავ რჯულითავ, თორე ჩვენ თქვენსავით უბრალო კაცს კი არ მავხკლავთავ, დამნაშავეს მაგიჭელავთაო-დ შიგ თქვენს სოფელში მაგკლავთავ. ამ რჯულში დაიბარეს მცოდნე ჭევსურებიც, ქისტებიც. თაოდ ლიქოკლებიც მავიდესა-დ ლამურონიც. რჯულის კაცებში ჯერ ლამუროთ იჩივლეს თავის საჩივარი-დ მაითხოეს ელიზბარის სისხლის ანაზღაურება ლიქოკლებისაგან, რაკი ის მეტად მაგვიკალითაო-დ არცრაის დამლევ იყვავ. მემრ ლიქოკელთ იჩივლესა-დ უარი თქვეს ელიზბარის სისხლის ანაზღაურებაზე. ჩვენავ ვალზე მავკალითავ ბათირაის მაკვლაზედავ. იმის მამკლავივ მაგათ სახლისკაც იყვავ, იმას მასთხოვანავ პასუხივ. რჯულის კაცებმ ბევრ იწვალეს, რო შარიგება მაეჭდინ, მაგრემ ვერა გააწყვესა-დ ჩაიშალ რჯული. წასვლაში ლამუროთ თქვეს: ეხლად რო ცუდ საქმე მახჭდასავ, ჩვენ ბრალ ნუღარ იქნებისაო-დ წავიდეს.

ლიქოკელებმ იცოდეს, რო ქისტები ვალს არ შაარჩენდესა-დ ძალიან მთხილად იყვნეს წინას წლებში. უიარაღოდ კარში არვინ გამავიდოდ. ისითს გზაზე არვინ გაივლიდ, საითაც ქისტების მასავალად მარჯვე იყვა-დ გზის შასაკრავად. მაგრამ ქისტები შურის საძებრად ეშმაკ ხალხ იყვ. იმათ ჭევსურებსავით აჩქარება არ იცოდეს სისხლის ასაღებად. ჭევსურები იტყოდეს: „ხე წაქცევაზე იქს ჩქამს,“ ვითამ ხე რო წაიქცევისავ, მაშინ გამაიღებსავ ჭმასავ. ე. ი. როსა მაგვიკვლენავ, მაშივ უნდა მავკლათავ, თორე გულ რო შანელდებისავ, მემრ აღარა იქნებისაო-დ დარჩებისავ უძებარივ. ქისტებზე კი ისრ ას ნათქვამი: ერთმ ქისტმავ მამაივ ასი წლიდგე იძებნაო-დ კიდევ ავჩქარებულორავ, თქოევ. ესრ კარგა წლებმ გაიარა-დ ლიქოკლებს სიმთხილე თანთან დასცილდ (დაავიწყდა), ბოლოს ბაჭყურათ გიორგიმ ბულალაურთას სახლიც კი იყიდა-დ იქ დაიწყ ჭვნა-თესვა (ბულალაურთა ფშავლების სოფელია, მაღლა მთაზე, სადაც ქისტების მოსასვლელად სულ ადვილია. ბულალაურთას ხშირად ეცემოდნენ ქისტები და საქონელი გადაუდიოდათ მოტაცებით, რადგან გადასავალი მთა ქისტებისაკენ ახლო იყო). ბოლოს დროს ცხვარ-საქონიც კი დაუდიოდ იქ, რაკი კა საძოვარ იყვ ბულალაურთის მთაში. გიორგი კაი მცხოვრებ კაცი იყვა-დ შრომისმოყვარე. სხვებ უშლიდეს: ბულალაურთას ნუ წახოლავ, თორე მაგკვლენავ. რაკი ის ელიზბარის მაკვლაში ეტან, ქისტები იმას უფრო მახქადდეს მასაკლავად. გიორგი მაინც არ იშლიდ ბულალაურთას სიარულს. ბოლოს ერთ დღეს ცოლქმართ ბულალაურთას საქმე ხქონდა-დ იქით მადიოდეს აკუშოსკე. ამ დროს მასულიყვნესა-დ ჩასაფრებულიყვნეს ლამურონი. გზაში მამავალს გიორგის დააშალეს თოფები-დ მაკლეს ცოლის თვალწინ. ერთ გადმახტ, გიორგის მჭარზე ნაკიდებ თოფ აღგლიჯა, წაიღ. აქ აწერილის ლაშქრობის სისხლი აქამდინ გაგძელდ. ამის შემდეგ კი აღარვინ მამკვდარ.

ფშავლის ლაშქარი შატილში გარას მეთაურობით

მიამბო მგელია ჭინჭარაულმა, 50 წლისამ, სოფ. შატილში

საგინამ გიორწმიდელმა ლუდი ადუღა სვიანი,
აწივნა ჯალაბაურნი, მამით შვილამდინ მგრიანნი.

საგინა გიორწმიდელი ცხოვრობდ სოფელ გიორწმიდაში. გიორწმიდა მაშინ ძალიან კა ადგილი იყვ, კა მასავალი იცოდა-დ სასაქონედაც კა იყვ. აქაურ ხალხ კარგად ცხოვრობდა-დ საგინაიც კას ცხოვრებაზე იყვ. მენადირე იყვაc კა იყვ, ხოლოთ საოშკაცოდ ვერ ყოფილ ძალიან გამჭრიახი. შატილით ჯალაბაურთ ქალი მაუყვანავ ცოლად. ამ ქალს ბევრ ძმები ხყონიონ, თავაყრილნ ხალხნი ყოფილან, რო მთასიქით კაცად არვინ უგდავ.

საგინამ ერთხან ჯიჭვ მაკლა-დ მახქონდ შინისკე ჯიჭვის ჭორცის ბარგი. შახვდეს ცოლის ძმები, მახჭადეს ზურგზეით ბარგი, შინ წაიღესა-დ ის ცალე გაუშვეს შინ. მეორედ კიდევ მახქონდ ჯიჭვის ჭორცის ბარგი, იქავ შახვდეს ცოლის ძმები, ძალით წაართვეს ჯიჭვის ჭორცის ბარგი; დაუწყ ხვეწნა: დისშვილებ მაინც არ გებრალებისთაევ, რო ცალე წავიდავ შინავ, ნახევარ მაინც გამატანეთავ ე ჭორცისაივ. დაიკარგევ აქითავ, თორე კარგა გაგრეხვავთავო-დ აისრ გაგიტევთავ, გააგდეს ცალეი (იმათ დას საგინასთან შვილებიც ჰყავდა). ამ ნადირის ბარგის წართმის გარდა, სხოდაც მასხარაად იგდებდეს თავის სიძეს. იარაღ რა მეეწონებოდა, თუ სხვა რა მაეწონებოდ სიძის სახლში, გამაართვემდესა-დ შინ წაიღებდეს. შააღონეს სიძეი-დ აღარ აძლევდეს მასვენებას. ბოლოს ცოლმ უთხრ საგინას: შენავ ჩემებ ძმებივ მასხარაად გიგდებენაო-დ მე ეგეთ კაც არ მამწონსავ. მაგ ჩემებს ძმებსავ ნუ ეგდებიებივ მასხარაადავ, შაუქციევ, თორე მე მამწყინდავ ასეთს ყოფაში ცხოვრებაივ. საგინას უნდოდ, რო ეთქვ ცოლის ძმებისად: თავს თუ არ დამანებებთავ, უფერ საქმე მაგვივავ. მაგრემ შიშით ვერას ეუბნებოდის. იმის ცოლის ძმები, ჯალაბაურნი, არ მაიჭდენდეს ასეთს ნათქვამს. სცემდესა-დ მასხარაად აიგდებდეს. მაინც რო აღარ მაასვენეს, საგინამ გადასწყვიტ იმათ დალევა. მაგრემ კაც არ ხყვანდ იმათ დამლევი. ისენ თუ ცოტან დეეჭოცნესა-დ ზოგებ დამრჩალიყვნეს, ისენ სუყველათ გასწყვეტდეს, აღარვის გაუშობდეს ცოცხალს. ბოლოს საგინამ გადასწყვიტ: ლუდის ადუღება, ჯალაბაურთ წევაი-დ ამ დროსად მშავლის ლაშქრის მასხმაი-დ ჯალაბაურთ დათრობიდგეს ლაშქრის დაცემაი-დ იმათ დაჭოცა ყველათაი. საგინა წამავიდ მშავს. მშავის ჭევ ერთ სახელოვან კაც იყვ, გარა თურმანაული. ის ისით სახელიან კაც იყვ, რო მშავ-ჭევსურეთ გარაის სახელ ყველამ იცოდ. ის ქისტეთაცა-დ ლეკეთაც უძღვებოდ მშავლის ლაშქარსა-დ, სადაც წავიდოდ, ყველკნით ნასახელარი ბრუნდებოდ. გარაის სახელი

საგინასაც გაგონილი ხქონდა-დ მშავს პირდაპირ იმასთან მავიდ. გარას უთხრ, რო მშავლის ლაშქარ შაყარევ, წამეედივ, მე ჯალაბაურთ დავიბარებავ, ლუდს ვადუღებაო-დ სასმელზე ყველას მავიყონავ. დაულიშნ დღეი. ამა-დ ამ წუხრას მეედივ შენი ლაშქარითავ გიორწმიდასავ. ხალხივ მთვრალ იქნებისავ, პირდაპირ ჩემთ სახლთ დაეცენითავ, ჯალაბაურნ დალიენითაო-დ მემრავ შატილითავ იმათ ცხვარ-საქონიო-დ დავლაიც თქვენ წამაიღითავ. ვისაც ჩემთან მაასწრობთავ, იქ დახჭოცთავ, თუ შინ ვინ დარჩავ, მიხოლთავ იქაც დაცემითავ, კიდევ დახჭოცთავ იმეებსავ, რო სრუ გათავდანავ, თორე არ მაისვენებენავ.

ესრ პირობა დადვესა-დ წამავიდ საგინაი. დალიშნულ ღამისად საგინამ დაამზად ლუდი-დ აწივ ცოლეურები. სხვა ყველა წამავიდა-დ ერთ ძმა დარჩ შინ – ვარდანა, რომელიც ძმებზე კა იყვ.

გარამაც შაყარ მშავლის ლაშქარი, ააბეს ლაშარის ჯვარის დროშაი-დ წამავიდეს შატილის დასალაშქრავად.

გარამა თურმანაულმა, მშავისჭევ დაიარაო,
შაყარა მშავლის ლაშქარი, მათურა აიარაო.
წითელ-ყვითელი დროშაით ბოროლა გადიარაო.
კისტან ატირდა ბებერი, ჯარით სად მიხოლ გარაო?
შატილ მივდივარ, ბებერო, ვარდანამ დამიბარაო.
მე-დ იმან უნდა ვიომათ, უნდა იჭეხნას ცამაო!
გვერდ უნდა გადაიქცივას ვარდანის ციხის ქვამაო!
უნდა ჭყიოდან გოზანი ვარდანის ციხესთანაო!
უნდა ტყვრებოდან ისარნი ციხისწვერ ჩარდახთანაო!
პირ ცრემლით უნდა იბანას შუქომ ვარდანის დამაო!
სისხლნი წავიდან ღვარადა, არ გაირივნას ზღვამაო.
უნდა დაჭერდან ღურბელნი, აღარ იწვიმას ცამაო.
გადუჩნდეს საჭვრეტელშია, ცა წმინდა უცემს თვალსაო.
ჭმა გადის საგათენებოდ, ბიბინ გაიღა ცამაო.
საგათენებოდ დაეცნეს ვარდანის ციხის კარსაო.
– კარზე გამოდი, ვარდანავ, ნუ მაიმთვრალებ თავსაო,
თას თუ გეჭირას ჭელშია, გადააწვადე სხვასაო,
თუ ჭელში ფანდურ გეჭირას, ძმას მიეც მგელიასაო!
– გამავალ, მგელიას მზემა, გამავაყოლებ ფარსაო.
დავიქნევ წარა-მარათა ჩემს მისურაულს ჭმალსაო.
ვა, თქვენს ვარდანას მშობლებო, ვეღარ გადმოვედ ქავსაო.
თორ, თუ ქავს გადმავსულიყავ, გათრევიებდით მკვდარსაო.

გარა მასულ მშავლის ლაშქრითა-დ პირდაპირ გიორწმიდას მისულ. ერთ-ერთი ჯალაბაურთ ახალგაზრდა გურიელთ ქალს ხყვარებივა-დ კარგა ხან რო გასულ სმაში, მემრ გამაუყვანავ ის ახალგაზრდა, წაუყვანავ სადამ სხვაკანა-დ იქ დაწოლილან ერთად. ხალხ რო კარგად დამოვრალ, შაუტყობიებავ მშავლებისად საგინას – ეხლადავ დროიაო-დ დასცემიონ კიდეც. შინ შასტანებიონ პირდაპირ ჭმლებითა-დ დაუჭოცავ ჯალაბაურები. ჯალაბაურებსაც, ვისაც ჭელჩი იარად შაშჩომივ, იმასაც უომებავა-დ ერთ-ორი მშაველიც მაუკლავ. ესეებ რო დაუჭოციან, წასულ მშავლის ლაშქარი-დ ახლა შატილ დასცემიონ ჯალაბაურთ ქვიტკირს. აქ ვარდანა ყოფილ დამრჩალი-დ მისულს ლაშქარს რო სრევა დაუწყავ ისრებისა, ვარდანაიც გამავარდნილ ფარ-ჭმლით. მაგრემ წინწინ გამასულისადავ დაუკრავ ისარი. ერთი ბებერ კაც ყოფილ, ჯალაბური, კიდევ სახლში. გაბრუნვილს მშავლის ლაშქარს თათარ გაზდგომივ უკენა-დ გიორწმიდას რო დარჩ, ის შვილიც მაეშველა-დ ქაჩუს მაკლეს კიდევ ერთ-ორი მშაველი. მშავლის ლაშქარი გაბრუნდა-დ წავიდ შინისკე. საგინამ ცოლის ძმებ რო დააჭოცივ, ადგა-დ თავის ცოლ-შვილით ფშავს წამავიდ. აიყარ იქით, იმით რო აქ აღარვინ დააყენებდ იმას. თურმანაულმ გარამ მაიყვან საგინაი-დ თავის სოფელში გოგოლაურთას დააყენ. ადგილ-მამულიც აქ მისცესა-დ სახლ-კარის გაკეთებაც უშველეს. ეხლადაც იმათი ჩამომავლობა გოგოლაურთას ხახონიშვილობით ეწერებიან.

1. თათარი ჯალაბური, საფეხვნოს იჯდა ტყავითა.
დაკეცა ჯაჭვ-მუზარადი, დაწვა, დაიდვა თავითა.
ლაშქრად მასულთა მშაველთა დაუხვდა სტუმართავითა.
სამდევროდ გამაუდგების თოფითა უმართავითა.
გამაუყენებს შვილებსა ლეგის მგლის როტოთავითა.
შამაეწივის ქაჩუსა, აგორებს დათვებსავითა.
ცაში ეძახდა ყორნებსა, რაად დაზ-მაზდით მცავითა.
შახენეთ გიორწმიდასა, მშავლებ ხყრავ რიყესავითა.

2. შატილს ნუ წახვალთ მშავლებო, შატილს ვაჟნი დგან ჭმლიანნი,
თაოდავ ნაყენ წამალსა, ბაკნებით უდგან ტყვიანი.
მშავლებმ თქვეს, არ დავბრუნდებით, განა ქალნი ორთ თმიანნი.
ორშაბათ თენებაზედა დადგა თოფების ტყრიალი.
გარბის გამარბის გარაი, მანძილა ქორბუდიანი.
ორშაბათს გათენებაზე დარჩა შატილი მკვდრიანი.
რად ეგრე, ჩემო ბატონო, მაგთვენ რად გვიყავ ზიანი?
გარა ვარ თურმანაული, მე ბევრკან მიქნავ ზიანი.

ლაშარის გორზე მიჭოცავ ქისტის ჭარები რქიანი.
ქუდსაჭდელაში მავიდეს, ცხენნ ლაშდართხმულნი ტიალნი.
თოფ-სიათანიც მაიღნეს, ბუჩა მაიღეს ტიალი.
რო გამავარდის ბუჩაი, მთა-ბარმ გაიღის დგრიალი.

ასეთი ლაშქრობის შედეგად ცხრა კაცი მოკვდა ჯალაბაური და ჯალაბაურთაც ბევრი აზარალეს მშავლები. რვა კაცი ჯალაბაურთ გვარიდან იყო და მეცხრე – მათი წყემსი.

წედან ვოქვით, რო ერთი ჯალაბაურთ ახალგაზრდა თავის მეგობარ ქალს გამაუყვანავად გადაურჩენავ. იმას სახელად წიქა ექვივნ. წიქამა-დ თათარმ კიდევ მეტი დაჭოცეს მშავლები იმაზე, რამოვენიც მშავლებმ ჯალაბაურთა მაკლეს. გაჭდ ამაზე მტრობაი ერთი-მეორესთან. ბოლოს ადგ კაც-შუაკაცი-დ ლაშარის ჯვარში მააჭდინეს შარიგებაი. კაც-შუაკაცში, მშაველ-ჭევსურების გარდა ქისტებიც კი ერივნეს, მცოდნე კაცები. რჯულში ბევრ სასაუბრო გახდ. იანგარიშეს ჯალაბაურთ მკვდრებიცა-დ მშავლებისაიც. მშავლები უფრო მეტ ყოფილიყვ მკვდარი ჯალაბაურთ მკვდრებზედა-დ მშავლებმ თავ-სისხლი მაითხოვეს იმოვენი, რამოვენიც მკვდარ მეტ იყვ. მაგრემ შუაკაცებმ ისი მააჭერჭეს, რო ლაშარის ჯვარისად აპატივებიეს ეს თავ-სისხლი. რჯული ლაშარის ჯვარში იყვ. შუაკაცებმ იმოვენ კენჭ აიღეს (ქვის კენჭები) რამოვენიც მეტი იყვ მშაველი ჯალაბაურების მკვდრებზე, ჯალაბაურთაგან მაკლული. ამააბრუნეს ერთ დიდ ქვაი-დ ჩაყარეს ეს კენჭები ამ ქვის ძირშია-დ უთხრეს მშავლებს: აი ჩვენ რჯულის კაცებმავ ეს გადავსწყვიტეთავ, რო ლაშარის ჯვარს თუ არ აპატივეთავ, ჩვენ ვერ მავაჭერჭებთავ უიმისოდ შარიგებასავ. იმოვენ კენჭი, რამდენიც მკვდარ მეტ იყვავ, იმით ჩავყარეთავ ამ ლაშარის გორზედავ ქვის ძირშიავ, რო ეს მკვდრებივ ლაშარის ჯვარმ იპატივაო-დ თქვენაც უნდა დასთმათავ. მშავლებმა ჯერ კი არ მაიწონეს, მაგრამ ვეღარაი ქნეს ლაშარის ჯვარის ხათრით, რაკი კენჭებ იქ ჩაიყარა-დ დასთანხმდეს შარიგებაზე. ადუღეს ლუდი, ერთი ჭარი დაკლესა-დ შაიყარნეს ლაშარის ჯვარში ერთად მოსისხლენი. შუაკაცებმა-დ ჭევისბრებმ შარიგების დროს ორი ჯალაბაურთ ყმაწვილი დაასახელესა-დ დააყმეს ლაშარის ჯვარს, საბოლოოდა-დ მტკიცე ზავის ლიშნად. ეს ყმაწვილები ჯერ კი იყვნეს თავის შატილ, მაგრემ ბოლოს ლაშარის ჯვარმ მაითხოვა-დ გადმაიყვან ის ყმაწვილები თავის მიწა-წყალზედა-დ დაასახლნ მისრიანოკარში. ერომ ისწავლ მჭედლობა ლაშარის ჯვარის დაჭმარებითა-დ დღეისნამდის მაუდის იმათ გვარს მჭედლობაი. იმათ გვარში ერთი მაინც გამავ კა მჭედელი ლაშარის ჯვარის მადენილობით. იმათ ადგილს მისრიანოკარ ექვივნა-დ ბოლოს ესენიც მისრიაშვილად დაეწერნეს, ხოლოთ ამათ ძირითად გვარ კი ჯალაბაური ას. ისენი დღესაც იქავ არიანა-დ კა განწყობილობაი აქვ შატილის ჯალაბაურებთან.

ღილღველთ ლაშქრის დაცემა, ამღაზე და ახიელზე

ღილღველთა-დ არხოტიონთ წინავ ძალიან დიდ მტერობაი ხქონდ ერთად. ხან ერთ მჭარე ეცემოდ მეორეს, მიუდიოდ ცხვარ-საქონი, კლევდეს ერთიმეორეს, ხან მეორე მჭარეი. ხოლოთ, როსაც ძალიან შაჟჯერდებოდეს ღილღველნი არხოტიონთ მაუსვენრობით, მაშინ ისენი შაიყრებოდეს, წამოვიდოდეს ლაშქარადა-დ სრუ გაანადგურებდეს არხვატს. ღილღველნი იყვნესა-დ შეეძლიყვ არხოტის დალაშქვრა, არხოტიონთ კი ღილღველთ დალაშქვრა ვერ შეეძლიყვა-დ, მთებში კი ხპარევდეს ცხენებს, ჭარებს, ხანდიხან ცხვარ-ბინასაც დაეცემოდესა-დ მიუდიოდ. კაცებს ხო სრუ ჭოცდეს, სადაც ვის გაეწეოდეს. ღილღვლის მაკვლაი სახელ იყვა-დ უბრალოდ სახელის გულისადაც ჭოცდეს, სადაც ვის შახვდებოდეს. ღილღველნი წინწინ არას დაღლევდესა, ბოლოს ქვე არ შაარჩენდეს ვალს. ბოლოს დროს არხოტივნებმ დაუწყეს ღილღვლებს ღონება, ხან კაც მაკლეს, ერთხან ცხენების ჯოგ გამაულალეს. ცხენების ჯოგ რო მაასხეს, ღილღველთ მალალეს კაცი სახელად საითი, არხოტივნებსთან სათხოვლად: დაგვიბრუნეთავ ეგ ცხენებივ – რას გვემართლებითავ, რო ჯოგობრივ მიგიდისთავ. ერთისა-დ ორის ცხენის მაპარვა კიდევ აღარცრაივ, თუ არა ოცი-დ ოცდაათ ცხენ რო მიგიდისთავ თითოს გალალვასავ, განა უპატრონოი ასავ ისი. გგონავთაევ, რო შაგრჩებისთავ ეგ ცხენებივ. თუ თავის თავისად კა გინდათავ, ეგ ცხენებ დააბრუნეთავ, თორე ხო იცითავ, ჩვენ ვერ გაგვიძლებთავ. წამაოლთაო-დ სრუ გაგანადგურებთავ. მაგრემ ჯერ ეს არ გვინდავ ჩვენავ. გვეყვავ, რაც ერთმანეთ ვაწუხეთავ, ეეხლა ნუღარ ვიქთავ ისრავ საქმესავ, რო თქვენ ღონდებოდათავ ჩვენგანაო-დ, ან თქვენგანავ ჩვენ რაად უნდა გვეშინოდასავ. ეს გზაივ სადენივ ერთად გვაქვავ ჩვენაო-დ თქვენავ. ვერცაღ იმას ვხყრითავ ჭელსავ. თქვენაც გაკლავთაო-დ ჩვენაცავ – ერთუცის შიშითავ მთებში ვეღარ მივდითაო-დ სასაძოვრე მთებიც ყამირად რჩებისავ. ჟჯობავ, რო დავამშვიდათავ ეგ წარამარა საქმეებიო-დ მშვიდობიანად ვიცხოვრათავ. საითას პურ-მარილით კი კარგად დაუხვდეს არხოტივნები-დ ცხენების დაბრუნებაზე კი უარ უთხრეს, იმის მიუხედავად, რო უფროს ხალხი ურჩევდ დაბრუნებასა-დ ეუბნებოდეს: დაუბრუნეთავ ეგ ცხენებივ, თორე ღილღველნივ არ შაგვარჩენენავ. ცუდს რას იქმენაო-დ მემრ აღარ იქნებისავ კაივ. ქურდებმ არც საითაის თხოვა გაიგონესა-დ არც თავის უფროსების რჩევაი, ცხენები მაინც აღარ მისცეს. საითა სწორად იმ დროს იყვ აქ მოსული, რო ქურდები ნაქურდალ ცხენებს ყოფდესა-დ თითოს კაცს სამ-სამ ოთხ-ოთხ ცხენ შახვდ, საითა ძალიან ნაწყენი იყვ, რო აქ მყოფს ასწორებდეს ღილღველთ ცხენებსა-დ საითას გაწბილებულს ღილღოსავ მიღლალევდეს, მაგრემ ერთ ღილღველს ამოვენ ხალხში რა გაუვიდოდ, ძალით ხო ვერ გაღლალევდ ცხენებს. წავიდ საითაი-დ ღილღველთ ყველა უამბ,

როგორ მავიდ ისი არხოტ, როგორ მაითხოვ ცხენები, რა უპასუხესა-დ როგორ ყოფდეს ღილღველთ ცხენებს არხოტიონ ქურდები. საითა ძალიან ნაწყენ მივიდა ღილღოს და ღილღველთ სთხოვ: მე არხოტის გზა კარგად ვიცი, არხოტივნების ამბავიც კარგად ვიცი, სად დადიან, რას საქმობენა-დ სად შაგვიძლავ იმათად დაცემა, ან რო ჟჯობ, რო სრუ გავანადგურნათ ეგენი. მე გაგიძღვებით წინა-დ მაგათ ჯავრს მაშინ ამავიყრ, როსაც მაგათ ჭარ-ცხენს მაგათ თვალწინ გავასწორებთ ღილღოს. საითამ დაიარ ღილღველთ სოფლები, შაყარ ხალხი-დ გადასწყვიტეს ლაშქრად წამასვლა არხოტ. არხოტ სამ სოფელი ასა-დ ამდა უფრო ღილღველთ მისავალს გზაში ას, ჯავრიც უფრო ამღიონთაი შჭირდ ღილღველთ. რაკი უფრო ისენ აწუხებდეს ქურდობითაც, კაცის კვლითაც. მეორე სოფელი ახიელაი ასა-დ ისენიც ცოცოტას მონაწილეობას ღებულობდეს ღილღველთად პარვაშია-დ ამათაიც ჯავრ კი შჭირდ ღილღვლებსა-დ, მაგრემ ისრ ძალიან კი არ, როგორც ამღივნებისაი. მესამე სოფელი ჭიმღაი ას. ჭიმღივნები ღილღვლებს ბეგარასაც აძლევდესა-დ არცრას ხპარევდეს, ამათ ჯავრ სრუ არ შჭირდ ღილღველებსა-დ არც ფიქრობდეს იმათად დაცემას.

საითას წინამძღოლობით ღილღველთ გადასწყვიტეს ჩორეხისას წამასვლაი. მთიდიმთივ მასვლაი-დ შიტუს ამღიონთ ჭარავანზე დაცემაი. მაემზად კარგად მძიმე ლაშქარი-დ წამავიდეს, ჩორეხით ბისნას გადმავიდესა-დ საჭარის მაღალ შამაჭდეს. საჭარის მაღალ დიდხანს იყვნესა-დ ათვალიერეს გზები, ან მენადირე ხო არცად ვინ იყვა-დ ან ყარაული. დვირბინებით რო გზები კარგად დაათვალიერესა-დ გაიგეს, რო აქ არცად ვინ იყვ, ადგესა-დ წამავიდეს, ტანიეს ჩაიყარნეს, ტანიით ოშანიკე იარესა-დ ოშანიკის ღელის ჭოფებში დაიმალნეს დაღამებამდინ. აქითაც დვირბინებით ათვალიერებდეს გზებს, მოებს, ჭარავანსა-დ სხვას ცხვარ-საქონს, რო ღამით სცოდნიყვ, სად რას დააყენებდესა-დ საით უნდა მაევლ, რო არ დაზარალებულიყვ ლაშქარი, მშვიდობიანად გამაელალ ჭარ-ცხენი-დ, თუ შახვდებოდ, ცხვარიც; დაღამებამდენ აქ იმალებოდ ლაშქარი-დ დაღამებიდგეს წამავიდეს კალოთანის ჭორჭისკე, ამღიონთ ჭარავანზე დასაცემლად, რაკი დღისითავ დაათვალიერესა-დ გაიგეს, აქ შიტუს ჭარავანიც მარჯვეს იდგ. ერთ ცხრა-ათ კვამლი ამღივნებიც იყვნეს ამასულები საზაფხულო სამთოდ, თავის ცხვარ-საქონითა-დ აქ ცხოვრობდეს. ღილღველნი შიტუს მებოსლეებს უნდა დასცემიყვნეს, ისენი სრუ ტყვედ უნდა ჩაეყარნეს ჭელშია-დ ცხვარ-საქონ ქვე უნდა გამაელალ. ამავ დროს უნდა დასცემიყვნესა-დ ამღიონთ ჭარ-ცხენი უნდა გამაელალ შიტუთ. მაგრემ საჭარის მაღალი რო გადმაიარეს, იქ ძალიან მბილი-დ უბალახო ქვიშანი არიან, რო შურთხმა რო გაიარას ისიც კვალს დააჩნევს. მთაზე გადმამჭდარმ ლაშქარმ ის აღარ მაისაზრ, რო ამ ქვიშაზე რო გავილითავ, კვალ დააჩნდებისავ, ღნახვენავ არხოტივნებიო-დ გაგვიმთხილდებიანავ. მთაზე გადმამჭდარმ ლაშქარმ

სრუ მწკრივად გამაიარ ცხვრის ფარასავით. ისეთ კვალ დააჩნდ ქვიშას, როგორც ორას-სამას სულ ჭარავან გაელალას.

არხოტივნებს ბევრს ხქონდ კეებ დვირბინები-დ ფეხონ სადაც შაიყრებოდ, იქ იცოდიან დვირბნების მატანაი-დ ათვალიერებდიან მთა-წვერთ. სწორედ ამ დღეს, რას ღამესაც ლაშქარს გამაევლ, ფეხონი ისხდ ახიელა-დ აქით ნახეს ღილღველთ გარმანავალი საჭარის ღელეშიითა-დ ქვიშა გაჭნული. გატყდ ჭმა, რო მტერივ მთას გარმამჭდარი ასავ. გააგებიეს ერთუცს, აისხეს თოფ-იარაღი-დ წამავიდეს შიტუსკე. არხოტიონთ იცოდეს, რო საჭარის ღელისას მასულ მტერი წინწინ შიტუს დაეცემოდა-დ იმით ხალხმ პირდაპირ იქ გასწივ. ღამე იყვ, რო არხოტივნებმ ოშანიკის რუვის ბოლოს მიახწიეს; იქ ღამით სპიჭკა გაანათეს კვალის გასაშინჯავად, ჩამავიდა ლაშქარი თუ არ. ამ დროს ლაშქარიც ჭალას იყვ ჩამაახლოებული-დ ნახეს სინათლეი. ხალხის ჭმაიც გაიგონესა-დ გაიგეს, რო ჭმა გატყდავ, გაგვიგესაო-დ ვეღარას ვიქთავ, შაგვიკვრენავ გზებსაო-დ გვაზარალებენავ. მიბრუნდ ლაშქარი-დ წავიდ იქავ ღილღოსკე. არცაღარა ბევრ ხან იყვ. ამ დროს დაიწყ თენებაიც. მივიდეს არხოტივნები-დ ნახეს, რო ლაშქარ ჩამასულ, აქ მსხდარა-დ უკენ დაბრუნვილ. გამაუდგეს უკენა-დ ოშანიკეს რო შაჭდეს, ნახეს, რო ლაშქარი ტანიეს ჩაყრილა-დ მიდის პირგაღმ. დაუწყეს თოფის ჭლა, მაგრემ შორი იყვა-დ ვერას აკლებდეს. ხოლოთ, საითას კი მახვდ ფეჭში ერთ ტყვია-დ დაიჭრ. ფეჭით სიარულ კი აღარ შეეძლიყვა-დ მჭრით წაიყვანეს. დაბრუნდ ლაშქარ, მაგრემ ძალიან გამწარდეს ღილღველნი-დ გადასწყვიტეს: რაც უნდა ძვირი დაგვიჯდასავ, ეგ ორ სოფელივ მაინც უნდა გავანადგუროთაოდ მაინცავ. შაუდგეს ჭელმეორედ მზადებას ლაშქრისას. ეს რაიც იყვ. იყვა-დ არხოტივნებმ ამას კიდევ დაუმატეს ღილღველთ გასამწარებ საქმეი. წავიდ შვიდი-რვა ახალგაზდა, საამღოს ჭორჭში დაეცნეს მთაში ნადგომს ღილღველთ ცხვრის ფარას, წყემს ქვე მაკლესა-დ სამას სული ცხვარი შინ გამალალეს. ეს ცხვარი ბარის ღილღველებისა იყვა-დ ახლა ისენი გამწარდეს მთის ღილღვლებზე უარესადა-დ ისენიც შაუეროდეს მთის ღილღველს ლაშქრად წამასავლად. არხოტივნებმ მალალეს ეს ცხვარიცა-დ გაიყვეს იქავ იმ ქურდებმ, რომნებმაც მალალეს. ახლა კი დაიწყეს ჯავრობა ალალ-მართალმ ხალხმ, თქვენავ ისრ იქცევითავ, რო თემ-სოფელსავ წყალს შამაგვიგდებთაო-დ თაოდ მშვიდობიანად დასხდებითავ. ვის გაუგონავ ამთვენ ცხენებისა-დ ცხვრის დენაივ, ვინ შეგვარჩენსავ მაგთვენსავ, ან ხალხის ჭოცასავ. ქურდები კი ამბობდეს: ღილღველნივ ისრ დაშინებულნ-ი გვყონავ, რომავ ჭმას ვეღარ ამაიღებენავ შიშითავ. თუ ვინ აქ მავიდავ, ჩვენ ვიცითაო-დ იმათავ. ღილღველთ ამ ცხვრის ფარას გამალალვაზე აღარც კაც წამაულალავ არხოტა-დ არც დაბრუნება მაუთხოვავ. პირდაპირ შაუდგეს ლაშქრის შაყრას. მაგრამ ახლა ძალიან სიმთხილით იყრებოდ ღილღვლის ლაშქარი, რო ჭმა არცაით გასულიყვა-დ

არხოტიონნი აღარ გამოხილებულიყვნეს. ორი კვირაის წინ, მანამ ლაშქარ შაიყრებოდ, დაიწყეს მთაზე ვეშაგო ლალვაი. იმათ გადასწყვიტეს ეხლა ისითის გზით წასვლა, საითაც არხოტივნებს არ ხქონდ მოლოდინი-დ შიში. ესეთ გზა მარტო ერთი იყვ შავანის ჭალაისასა-დ შიბუღელისას. შიბუღელე იმით იყვ მშვიდობიან გზა, რო შიბუღელით გადამჭდარ გზა წინწინ სოფელ ჭიმღას მივიდოდ, ჭიმღა არხოტივნების ერთ ერთ სოფელი იყვა-დ ამათ ადგილსა-დ შავანლების ადგილს ყოფდ ცალ-ცალკე. შავანი ღილღვლების სოფელი ას. ჭიმღიონთა-დ შავანელთ კა მეგობრობაი ხქონდ ერთადა-დ პირობა დადვეს წინავავ, ერთსხვის პატრონობაზედ. ჭიმღიონნი შავანელთ ბეგარას აძლევდეს წელში თითო ცხვრის ანგარიშს კომლზედ. ისენიც პატრონობდეს ჭიმღიონთა-დ აქისკე მტერს არ გამაუშობდეს ჭიმღიონთ დასაზიანებლად. არ ვის მისცემდეს ნებას არც მაპარვისას იმათა-დ, თუ რას ვინ მახპარევდ, შავანელნი მაუჭელევდესა-დ მაღგვრიდეს ნაქურდალს საქონს იქავ ჭიმღიონთ (ეხლადაც ლაშქარმ ამათ არა დაულივ). ჭიმღიონთაც პირობა-ი ხქონდ მიცემულ, რო შავანელთ თუ რა არხოტივნებისაგან წაუჭდებოდ, ჭიმღიონნ აგებდეს პასუხს. ნაქურდალსაც ისენ მაუჭელევდესა-დ, თუ ვერ მაუჭელევდეს, უზღებდეს. არც სხვას მტერს გაუშობდეს იქისკე. სხოდაც ღილღველთან მესისხლეობა არ ხქონდ, არც ეხლა რაში ღებულობდ მენაწილეობას ღილღველთ წინააღმდეგობაში, არც კაცის კვლაშია-დ არც ცხვარ-ცხენების პარვაში. დანარჩენ ორ სოფელს კი ყველაში წილ ედვ, უფრო ამდას. ამ ჭიმღას ღილღოთ მასავალ გზა მარტო შიბუღელეი ხქონდა-დ აქითაც შიშ არ იყვ, რაკი ჭიმღიონთ შაონელთან ზავი ხქონდ. აქით არ მავავ მტერივ, ეგონ არხოტივნებსა-დ იმით არ აქცევდეს ყურადღებას ამ გზას. ღილღველთაც ესი ყველა კარგად იცოდესა-დ იმით გადასწყვიტეს ლაშქრის წასვლა შიბუღელისას. მანამ ლაშქარ წამავიდოდ, მანამდინავ ორი კვირაით წინ დაიწყეს მთებზე ვეშაგო ლალვა. არა მარტო შიბუღელეს დადიოდეს ვეშაგნი, საითაც არხოტის არემარეი ჩინდა-დ ღილღოთ არხოტ მისასვლელ გზა იყვ. ყველას მთებზედა-დ გზებზე ლალევდეს კაცებსა-დ ათვალიერებდეს არხვატს: არხოტივნები სად დადიოდეს, რას საქმიანობდეს, სამგზავროს იყვნესა თუ შინ, ან ამ გზებზე ხო არაად ვინ დადიოდ, რომენზედაც ლაშქარ უნდა მისულიყვ არხოტ. ათვალიერებდეს იმასაც, თუ სად ჟჯობდ გზების შაკვრა, რო ლაშქარ აღარცაით დაზარალებულიყვ. ეს ამბვები ღილღველებმ ყველა კარგად გამაიკვლიესა-დ ბოლოს მთისად ბარის ღილღვლებმ ყველამ ერთად მაიყარ თავი-დ დაგროვდეს შიბუს ჭალაში. ყველა კარგად იყვ შეიარაღებული-დ უფრო ბევრ ხალხი ცხენოსან იყვ. აქ დათვალეს რამოვენ შავიყარენითაო-დ ათას ოთხასი კაცი გამავიდ. აირჩიეს ლაშქრის წინამძღვრად სოფელ ჭართაში მცხოვრები ელმარძაი, ანდარუყოს შვილი. ელმარძა საურჯულოოს განოქმულ კაც იყვ, სახელიანი-დ თავგატანილი. არხოტის გზებიც კარგად იცოდა-დ მტერს რაჭელ მეევლებოდ, რო ლაშქარ აღარ

დაზიანებულიყვ, ამის კილოიც იცოდ კარგად. ღილღველთ ელმარძას შახფიცეს, რო ის რასაც უბძანებს, ყველანი შაასრულებენ იმის ბძანებასა-დ იმის უკითხავად ეროს ნაბიჯს არცად ვინ გადაზდგემდ, ხოლოთ ელმარძას ეწინამძღვ, ლაშქრისად. ამ ლაშქარში შავანელნიც შიგ ედგესა-დ ხალხს სთხოეს, რო ჭიმღიონნი ჩვენ მებეგრენი არიანავ, არცარაში ურევიანავ ჩვენთან დანაშაულშიო, იმათ ნურას დაუშავებთავ. ელმარძაიცა-დ სხო ღილღველ ხალხიც დახპირდეს, რო ჩვენავ ჭიმღიონთავ ეროს ბეწვს არ გაუმრუდებთავ, ხოლოთ იმათ სოფელს უნდა შამავეხვივნათავ წინწინაო-დ ეგ ხალხივ, ე.ი. ჭიმღიონ ხალხივ, უნდა დავიჭირათაო-დ თან გავიყოლათავ ამღასაო-დ ახიელავ. ჭიმღასავ ყარაულებ უნდა დავაყენათავ, რო ამღიონ-ახიელელთ ქალ-დისწულ არვინ გაიპარაოსა-დ ჴმა არვინ გაგვიტეხასავ იმ სოფლებშიავ. ჭიმღიონ ხალხივ, კაცებივ, თან ჩავიყენათავ, მანამ ამღიონ ახიელელთ არ დავიმორჩილებთავ. ჭიმღიონთ დიაცებსავ სოფლისად გაცილების ნებას ნუ მივსცემთაო-დ, როსაც ამ ორს სოფელს დავიჭერთავ, ჭიმღიონ კაცებიც მაშინ გაუშოთავ. ამღა-ახიელ ქვას ნუ გავსწირავთავ ქვაზედაო-დ ჭიმღას ბეწვსაც ნუ გავამრუდებთავ. ელმარძა ჯარის უფროსად იყვ არჩეული-დ იმან კიდევ თავის თანაშემწეები დალიშნა-დ მისც თავ-თავის დავალება. ამ საუბრის მემრ წამავიდეს საარხვატოდა-დ რო დაბნელდ, ჭიმღის ჴორჴში გადმავიდეს. გძელ ოჴშმობის ხან იქნებოდ, რო ჭიმღას ღილღვლის ლაშქარი შამაეხვივ მირგვლივ. დაიბარეს უფროს კაცები-დ დაავალეს სოფლის შაყრაი. სოფელი მააგროვეს, ვინც კი იყვ ქუდიანი სუყველი. უთხრეს შაყრილს ხალხს: „აი ჩვენ ხო გვხედავთავ, რო აქავ მძიმე ჯარი ორთავ მასულივ. ამღა-ახიელასავ ვალ მიგვიდევსაო-დ უნდა ავანაზღაურათავ ის ვალებივ. თქვენავ ჩვენთან არა დანაშაული გაქვთავ, არცრას დაგიშავებთავ, თუ ეეხლად არაში შაგლიშნენითავ. აქით არვინ გაჩუჩუნდესავ, ან დიდიო-დ ან ცოტაივ, ან კაციო-დ ან დიაცივ, ჴმა არვინ გაგვიტეხათავ, თორე ყველას გაგანადგურებთავ თქვენაცაო-დ ამღიონ-ახიელლებსაცავ. თქვენ კაცებ ჩაგვიდექითავ შიგავ, გზაიც გვასწავლეთაო-დ ისიც გვასწავლეთავ, სად უნდა შაუკრათავ გზებივ, სად ასავ უფრო ისით ადგილივ, საითაც ჩვენ არ დავზარალდებითაო-დ ამღიონ-ახიელელთავ კარში არ გამაუშობთავ. თუ ცოტა რა მიზეზი-დ ტყუილ შაგატყვითავ, მემრავ ჩვენ ბრალ ნუღარ იქნებითავ. თქვენავ ისრ გიყურებთავ, როგორც ჩვენს მეგობრებსაო-დ ისრაც უნდა მაიქცნათავ, თუ თქვენის თავისად კა გინდათავ.

ეესრ ჭიმღივნები წამაიყვანეს ამღისკესა-დ ახიელისკე, შუადშუ ლაშქარ იდგ, შუადშუ ჭიმღივნები. დიაც-ყმაწვილ კი სოფელში დარჩ თავთავის სახლებში. აქ ზოგი ამღიონთ ქალ-დისწულ იყვა-დ ზოგი ახიელელთაი. ისეებ კი სწუხდებოდეს, მაგრამ რასაღ იქმოდეს, სიწუხილით რას ვის აშველებდეს. სოფელს ყარაული ხყვანდა-დ კარში არვის უშობდეს.

ლაშქარ რო გამაემართ, ერომ ღილღველმ ჭიმღიონთ ძნები გადმააყრივ ცხენს წერილაზეით. სხვებ გაუჯავრდეს, აქავ ძნებს ნუ აშლევდითაო-დ იქავ ააგეს აი ძნები. ისრ ძალიან უმთხილდებოდეს ჭიმღიონთ ყანა-ძნას, რო ბეწვ არ გაამრუდეს. ლაშქარი რო ნამერცხალაებ გამავიდ, ორად გაიყარ. ზოგნი ნარღვევთას ჭალაზე წამავიდესა-დ ზოგნი ჭიშველის გორისას. ორკანავ გაიყოლეს ჭიმღივნები. ჭიშველის გორისას წასულმ ლაშქარმ გამაყვ ახალგაზდობაი, დაავალ ზეთზე, მაღლიდან წასვლაი-დ ახიელის სოფლის მაღლა სათავეებში გზების შაკვრაი. ეს ჭიმღივნებმ ასწავლეს, სადაც იყვ გასავალი-დ გზის შასაკრავ ალაგები. დავალებულმ ხალხმ გაიარ მთები-დ სრუ შაკრეს ის ალაგები, საითაც ახიელ კარში გამასულს კაცს თოფ დასწვდებოდ, თუ იქ კაც გამავიდოდ, თუ ახიელა ჭელჩი ჩაგდებულ არ იქნებოდ. დაიკეთეს ქვის საყუჩები-დ ჩასხდეს პირსოფლისკე. ახიელისძირ მისული ლაშქარი კიდევ ორად გაიყვ. ერთს ნაწილს ელამარძა გაუძღვ წინა-დ ამღას წავიდეს (ამ გზით მოსული ლაშქარისათვის ამღა უფრო შორს იყო, ვიდრე ახიელი). ახიელისად დასაცემად, რაიც ლაშქარ დარჩ, ამათ თავის თანაშემწე გაუწირ ელამარძამ წინამძღვრად. ახიელისძირ კიდე გაანაწილეს ხალხი, შამაეხვივნეს ახიელას მირგვლივ. ახლოს დაიკეთეს საყუჩები-დ ჩასაფრდეს. მემრ, უფრო მოშორებით მეორედ შამაეხვივნეს სოფელს. მესამედ სრუ გაჭეით-გამაჭეითი შამაეხვივნეს სოფელს, რო იქით თოფის ტყვია დასწვდებოდა კი სოფელს, ახლო კი არ იყვნეს, ეს მესამე შამახვეულ ყარაულები.

როსაც ლაშქარი ახიელას მიუახლოვდ, ერთი კაცი ახიელელი სახელად კოტე ამ დროს სამკალად წამასულიყვ „ჭანჭახას“. ჭიმღით მიმავალს გზის პირში მასულმ ლაშქარმ კოტე დაიჭირა-დ ახიელის სოფლის ბოლოში თან წაიყვანეს. თივის საკრეფზე მიდიოდეს ბალიაურები: ვახტანგი, ლადოი-დ თომაი. ჯერ კიდევ ღამე იყვა-დ ღილღვლები ჩასაფრებულები იყვნეს სოფლის მირგვლივ. საკრეფზე მიმდინრებს ღილღვლებ ერთბაშად შამაეხვივნეს მირგვლივ. ვახტანგი-დ ლადო ცოცოტეებ იყვნესა-დ ღამის სიბნელეში დაექცნეს, თომას კი ბევრ ღილღვლებ შამაეხვივა-დ ჭელში ჩაიგდეს. შაუკრეს ჭელები-დ ისიც ახიელის ძირ წაიყვანეს სახლში. თომას უნდოდ ჭელებ გაეჭსნა-დ გასვლიყვ საით, მაგრემ შაუტყვესა-დ კინაღამ თოფ დახკრეს, შენავ ჩვენდ ღალატს აპირებავ. მემრ დაავალეს თომას, რო სოფელს უძახევ, რუსის ჯარი ასავ მასულივ, მეედითავ აქაო-დ შაიყარენითავ, ჯარის უფროს გიბარებსთავ. თომამ სოფელს ჭმამაღლა უძახ: „ჯარი ასავ მასულივ, სახლებში გამაგრდითავ“. აქ ქართულის მცოდნე ღილღვლებ ეტანნეს, გაიგონეს თომაის სიტყვები-დ უთხრეს: „ჩვენ გავალებთავ, რო სოფელ შახყარაო-დ შენ კი ეძახავ, რო სახლებში გამაგრდითავ; არ გემართლებითაევ, რო ეხლადავ დაგჭვრიტათავ. თომას რო მაინც ვერ აძახებიეს, რაიც იმათ უნდოდ, მემრ კოტე წაიყვანესა-დ სოფლის

ამარჩეულის კაცისად, ქორიაო უნცრუაისად, აძახებიეს. უნცრუა მაუყვანესა-დ უთხრეს: ჩვენ რუსის ჯარი ოროთავ მასულიო-დ თქვენს სოფელსთანავ საქმეი გვაქვავ. წეედივ, ჩქარა შაყარევ სიფელივ, აქ მაიყვანე ხალხივ, ჩვენს უფროსთანავ, თორემ პასუხისგებაში მიეცემივ. უნცრუაიც დარწმუნდ იმათ საუბრით – ესენივ რუსის ჯარიავ, რაკი ღილღლურად არ ამბობდეს. საუბარი ნამდვილად რუსული ხქონდ. ღილღლურად არცვინ არ იღებდ ჭმას, ვინაც რუსულ ენა იცოდ, მარტო ესეები საუბრობდეს, ვითომც ჯარსაც რუსულ ენაზე კამანდრობდეს. წავიდ უნცრუაი, მაუარ სოფელსა-დ ყველას უთხრ: ჯარი ასავ მასულივ, ჩამეედითავ სოფლის ბოლოშიავ, თქვენთან მაქვავ საქმეივ, ამბობსავ ჯარის უფროსივ. არ დააკლდესავ არც ერთ კაცივ. იარაღ ქვე არვინ მიიღათავ, თორე ჩამაგარომენთავ. იარაღი ყველამ შინ დამალა-დ წამავიდეს სოფლის ბოლოში. ჯარის უფროსის დაბარებაზე. კაცები სრუ შაიყარა-დ სოფლის ბოლოში მივიდეს. აქ ლაშქრის უფროსმ უთხრ, რო დაითვალენითაო-დ, თუ კიდევ ვინ ასავ კაცივ დამრჩალივ, ისიც მაიყვანეთავ აქავ. ბოლოს ხალხ რო სრუ შაიკრიფესა-დ მაასხეს, მაშინ დაიწყეს ღილღურად საუბარი-დ გაიგ ხალხმაც, რო ეს ღილღვლის ლაშქარ ყოფილასავ, რუსის ჯარ კი არავ. მანამდენ ყველას რუსის ჯარ ეგონ, თუ ღილღურად საუბარ სად-ვინ გაიგონა-დ ეჭვ შაეპარ, ესივ ღილღვლის ლაშქარ თუკლაღ ასაო-დ თოფის სრევა გაბედ, სხვებ გაუჯავრდეს, რას შვრებითავ, რუსის ჯარი ასავ, თოფს ვინ ისრევთავ. თოფის მსრევლებს – მიხა ოჩიაურს, გიორგი ჯაბუშანურსა-დ სხვებს ყველა გაუჯავრდა-დ აღარ ასრევიეს. როსაც ყველა ხალხ მოგროვდ, შამაეხვივნეს მირგვლივ თოფებითა-დ უთხრეს: ეხლა აქ ჩუჩუნ არაად ვინ ხქნათავ, თორე აქავ დაგპვრეტთავ. ჩვენ ჯოგებიო-დ ცხვრის ფარებ რო მაგიდიოდათავ, ეხლა სადაღ წაგვიხოლთავ, ქვას ქვაზე არ გავსწირავთავ ამ თქვენს ორ სოფელშიო-დ ჭიმღიონთავ ბეწვს არ გაუმრუდებთავ, რო ეგენივ ჭკვიანად იყვნესაო-დ თქვენ კი, რაპელაც შაგფერდებისთავ, ისრ მაგექცევითავ. სოფელში ბევრ ხალხ მაკრიფეს, რაც დიაც-ყმაწვილი იყვა-დ ისეებიც ამ დატყვევებულ ხალხს შამაუეროეს. მემრ დეერივნეს სახლებსა-დ სრუ გამაიტანეს, რაიც კა მაპელეს. თოფები, ვერცხლის იარაღი, ფლას-ფარდაგი, ტალავარ, თუ რა მაეწონ, ისიც წაიღეს. ზოგი ტანზე იცვემდ აქავ, რაიც მაეწონებოდ. ცხვარ-საქონიც სრუ გამაუშვესა-დ სოფლის ბოლოში მალალეს. სხვაფრივ ძალიან სვინდისიანად იქცეოდეს, არც დიაც-ყმაწვილისად რა უწყენავ, არც თაოდ კაცებისად რა ვისად უოქომ ცუდად. სრუ იმას ეუბნებოდეს ახლებს: ხნიერს ხალხსაო-დ დიაც-ყმაწვილს არავის აწყინათავ; რო ქვეც გლანძღევდასთაო-დ ჭმა არვის გასცათავ, მთიელს ხალხსავ არ შაშვენისავ დიაც-ყმაწვილისაი-დ უფროსის ხალხის ჯავრებაივ. ერთმ დიაცმ, სარექათ მზექალმ, შინ არ შაუშვ ღილღვლები. კარზე ნადგომ საქონ კი გალალესა-დ სახლშიით აღარა წააღებივ. ლანძღევდ, სწყევლიდა-დ ღილღვლები ქვე იცინოდეს; დაანებეს თავი,

აღარ შავიდეს სარექათას, სხოდაც უფროსებისაგან ნაბძანები ხქონდ, რო ახიელავ კაც არ მახკლათავ, მაგათავ ჩვენიც არვინ ხყავავ მაკლულივ. ცხვარ-საქონ კი სრუ უნდა გამაღლალათავ, იმითავ რო ჩვენს ცხენებისა-დ ცხვრის გამალალვაშიავ წილ უძესავ ახიელლებსაცავ.

სოფელში ცხვარ კი სრუ არ იყვა-დ ღილღველო ესიც იცოდეს. ჭარავან მთაში იდგ, ცხენებიც; შინ მარტო საწველავ საქონ იყვ. ახლა ჭარავნისაი-დ ცხენის ჯოგის ჩამალალვაიც მაითხოეს მთაშიით, გაიყოლეს ჯორით უნცრუაი-დ ოცამდენ ღილღველ გახყვ ცირცლოვან (ცირცლოვანი: ახიელელების საზაფხულო საიალაღე მთას ჰქვიან). ეს ხალხ რო სრუ ჭელჩი ჩაიყარეს, ჭიმღივნებ შინ გაუშვნეს. ცირცლოვან რო მივიდეს, გაუთენდ კიდეცა-დ მაკრიფეს ჭარ-ცხენი, გამალალეს სრუ. თითო-ოროლა კი დამრჩალიყვ შორს წასულები-დ ყურემარეში მიფარ-მაფარებული. სოფელშიით რო სრუ გამაზიდეს, რაც კი გამასადეგ ქონება იყვ, ცხვარ-საქონიც სრუ მაასხეს. ჯერ კიდევ ღამე იყვ. ახიელლები, კაცები, ამღას წამაიყვანესა-დ დიაცებ ქვე გაუშვეს თავისუფლად. ხოლოთ ხალხი სრუ არ წამავიდ ახიელით; ელოდდეს ჭარავნის ჩამალალვასაცა-დ სახლებშიაც კიდევ იძევდეს, ხო აღარა დაგვჩავ, ან ხო არავინ დაგვიმალავ კა იარაღიო-დ საქონელივ.

კვირიწმიდას ცხოვრობდ ერთ მეკომური ამღიონი, სახელად კრუა ექვივნ. იმის საქონი-დ ცხენი შიბუღელისას გალალეს ზოგებმ. ახიელელთ ცხვარ-საქონ კი ამღას გალალეს ჭალაისას წასასხმელად ღილღოსკე. ახიელელთ ცხვარ-საქონ რო ამღას მილალეს, ზედ დააყენეს ამღიონთ ძნებზედა-დ ბევრ გაანადგურებიეს. მაშინ სთველი იყვა-დ ძნები ყანებზე იდგ იქავ, ზოგი მასამკალიც იყვ. ამღას წასულს ლაშქარს ნაბძანები ხქონდ, რო ამღიონ კაცი სასიკვდილოდ არვინ დაეზოგ, ვისაც გაეწეოდეს. ამღას რო მივიდეს, სოფელს მირგვლივ შამაეხვივნეს ორ-სამ პირად. აქაც გაჭეითი გაიფანტ ხალხი-დ ჩაუსაფრდ, ისეთ ალაგებში, საითაც სოფელი ჩანდა-დ თოფ დასწვდებოდ. მაგრემ ამღას მისვლა ამღიონთ მალე გაიგეს იმით, რო დღემუდამ მალოდინი ჰქონდ ლაშქრისა – ბევრ დანაშაული ხქონდ ღილღველთან. ახიელელნი კი ბრიყვად იყვნეს, ეგონ, ჩვენ არ დაგვეცემისავ ლაშქარივ. წინწინ, რო ამღას მივიდ ლაშქარი, ძაღლების ჭმაზე გამავიდეს კარში ზოგიერთები-დ ხალხ რო ნახეს სოფელში, ან სოფლის პირთ მასული, მაშინ გაიგეს, რო ლაშქარ მასულავ, დაქცეულებ სოფელში შაიყარნესა-დ იძახეს, ლაშქარი ასავ მასულივ, სახლებში გამაგრდითავ, ამ დროს ასტყდ თოფის სრევაიცა-დ ყველას მჭარეზე იმოვენმ თოფმ დაიწყ გამადენა, რო სრუ განათდ გაჭეით-გამაჭეითი. ზოგს ბანებზე ჩალის ზვინებ იდგა-დ ცეცხლ შააყარეს. ამ დროს კარში გამავიდ მარაიზძეთ დავითი, მძინარს გამაღვიძებიყვ ხალხის ჩქამზედა-დ აჩქარებული გამავარდნილიყვ უიარაღოი, ვინები არიანავ, იმის გასაგოდ. დავით კი ახალგაზდა იყვ ძალიანა-დ არც შიშ იცოდ;

იმით ღილღვლების გუნდში შავარდ შიგ, რომნები ხართავ? დავით რო უიარაღოი ნახეს, ღილღველნი შამაეხვივნეს სიმირგვლივა-დ დაიჭირეს. დაჭერილი შორს აღარ წაიყვანეს, რაკი უფროსის ბძანებაი ხქონდ, დახკრეს ტყვიაი-დ იქავ მაკლეს, ზედ ძნებ დააფარეს. დავითი დედისერთა შვილი იყვა-დ ერთ ბიძაი ხყვანდ. სხვა მეგვარე არვინ ხყვანდ. არცრა დანაშაული ხქონდ დავითს ღილღველთანა-დ ის შახვდ იქავ ამ უბედურებას. სხვა ხალხი სახლებში გამაგრდ. ზოგები სიმაგრეში შავიდეს.

ახიელლებ რო მაიყვანეს დაჭერილები, ერთი უფროს კაცი იყვ, ახიელელი თათია ბალიაური. თათია ღილღვლებს ძალიან კარგად აჩნიყვა-დ ძალიან პატივს სცემდეს. წინავ მისვლა-მასვლაი ხქონდ, სტუმარ-მასპინძლობაი-დ პურ-მარილი ღილღველთან. ბევრ ნაცნობ-მეგობრები ხყვანდეს, არ უნდოდ იმის დაჭერაი-დ არც ქონების წაღება, მაგრემ თავის გადაწყვეტილი აღარ დაარღვიეს, წინავ ხქონდ ნათქვამი, რო არხოტავ ყველას გვყოვავ ნაცნობივ, ნუვინ მავითხოვთავ ნაცნობის გათავისუფლებასაო-დ ამით ვეღარას ამბობდეს ღილღველნი, თორე თათიაის დაჭერა ძალიან უმძიმდ. დაჭერილივით იყვ, მაგრემ თავისუფლად კი დავიდოდ. სხვებ ტყვეებს ქვე არ აძლევდეს ნებას იქი-აქათი გავლისას, თათია თავისუფლად იყვ. ცოტას ნაწყენებ იმით კი დარჩეს ამაზედაც, რო იმის ძმისწულის კარში ნახეს ღილღოთ გამალალულის ცხვრის ნაწილი. ისიც კარგად გაიგეს, რო იმის ძმისწულმ ჯოგის გამოლალვაშიაც მიიღ მონაწილეობა ცოტაად. ამაზე ცუდგულობდეს, თორე ღილღველნი თავის დადგენილებას გადაუხვევდესა-დ თათიაისას არას წაიყვანდეს, როგორც ელმარძა ამბობდ. თათიას უთხრეს ღილღვლებმ, რო წაედიო-დ ამღივნებს უთხარივ: რაცრა საქონი ასავ, გამოუშონავ, წავიდანავ, ის ჭარავანიც ჩამაგვილალანავ მთაში რო უდგასავ, თორე ჩვენ აქით აღარ წაოლთავ. ამღიონთავ სრუ გავსწყვეტთავ კაცსაო-დ დიაცსავ. თაოდ კი გაოენებიდგეს ისეთ ადგილზე ისხდეს ღილღვლები, რო ამღიონთ სახლებშიითა-დ სიმაგრეებშიით არა დაეკლებოდ. თათია წავიდა-დ მივიდ ისითს სიმაგრეში, სადაც ბევრ ხალხი იყვ თავშეფარებული, უოურგათ ქვიტკირში. აქ ხალხს კიბე ჩაეგდა-დ საბლით ახყვანდ ეროუცი. თათიაც თავისთან საბლით აიყვანეს. თათიამ უთხრ, რო მე ღილღველთ გამამგზავნესავ, საქონ ჩაგვაბარეთაო-დ ჭარავანიც ჩამაგვილალეთავ, თორე სრუ გაგანადგურებთავ. თან ისიც უთხრ, რო გამაგრდითავ სახლებშიავ, ჩვენ ჩაგვიყარნესავ ჭელადავ მატყუებითაო-დ თქვენ მაინც ნუღარ მიხოლთავ ჭელადავ, რაც უნდა დაგემართათავ.

თათია იქავ ჩამაუშვეს საბლით, მავიდ ღილღველთანა-დ უთხრ: ჩვენავ, ამბობენავ, აღარაი გვყოვავ, რაც საქონი გვყვანდავ, ხო ჭელჩი ხყავავ-დ ჭარავანიც წავიდანაო-დ თაოდ ჩამალალანავ. საქონი ნაპირის სახლებშიით გალალულ კი ხყვანდ ღილღვლებს. შუაგულ სოფელში სიმაგრეების ახლომახლო კი არ მისულან

შიშით; არც საქონი იყვ გამაშობილი იქით. ღილღვლებმ თათიას კიდევ დაავალეს ამავ საქმეზე ამღივნებთან მისვლა. თათიამ უთხრ თავის ძმისწულს თომაზე, რო ეს გამამაყოლეთავ, ორნივ ვეტყვითავ უფროევ. ღილღველნიც გაბრიყვდესა-დ გაუშვეს თომაი. თომა შაუერთდ სიმაგრეში ახალგაზრდეების ჯგუფს, რომნებიც მტერთან საბძოლლად იყვნეს მამზადებულები. იქ ერთ ზედმეტ თოფიც ხქონდა-დ მისცეს თომას. თათიამ თომას უთხრ, რო შენავ აქ დარჩივ, ნუღარ წამახოლავ, თაოდ იქავ ღილღველთან წავიდა-დ მიუტან იქავ ისეთ ამბავი, რაიც ამბავი წინწინ მაუტან. თომაზე რო ხკითხეს, თქო: ვეუბენიო-დ აღარ წამავიდავ. იწყინეს კი ღილღვლებმ, მაგრემ აღარა უთხრეს, ხოლოთ ის კი თქვეს, რო მაგეებსავ ყველას გამავიყონთავ აქავ. თათია რო ამ სოფელში დავიდოდ, გაჭეითიით ღილღველნი სოფელს ტყვიას უშენდეს. ამ დროს დიაცებ გამავიდეს კარშია-დ სახლშიით სიმაგრისკე წავიდეს. ეროს დიაცს მზექალიკას თავის ქალიც ჭელში ეჭირ. ოთხ-ხუთის წლისაი-დ თან მიხყვანდ. გაჭეითიით გამასრეული ღილღველთ თოფის ტყვია მახვდ ამ ქალსა-დ დედის ჭელჩი იმაშიავ მაკლ. მიბრუნდა მზექალიკაი-დ იქავ შინ შაიყვან თავის მკვდარი ქალი, თავის შინ. თათიას ამღას ხყვანდეს დედიძმანი მარაიზძენი, წეღან რო ვოქვით, რო კარში გამასულ მაკლესავ დავითივ, ისი თათიაის დედიძმის შვილიშვილ იყვ. იმათ სახლის გვერდ დავითი მაკლული ნახა-დ კიდევ დააფარ ძნები. დამალ იმის სიკვდილი, რო დავითის ბიძამ თოთამ რო გაიგასავ, გაჯავრებულივ თოფის ჭლას დაუწყებსავ ღილღვლებსაო-დ ისეებივ დაჯავრებულივ ახიელლებს დაუწყებენავ ჭოცასავ. მემრ ღილღვლებს ოცდახუთ კაცი ახიელლები ჭელში ეჭირ ტყვედ. ამღივნებს, რო მაეკლ ვინ, ახიელლებს ერთსა არ გაუშობდეს ცოცხალს, დახჭოცდესა-დ თათია ამით ეუბნებოდ ამღივნებსაც, ხალხივ ჭელჩი უჭერავავ, თოფ არ ვინ გამაისრიოთავ აქავ. თან თოთა ეძახს ჭერხოშიით, რო ჩემ ძმისწულ დავითიავ დაჭერილიო-დ ამღივნებს უთხარივ თოფს არ ვინ გაისრიოსავ, ძმისწულ მამიკვლიონავ. ამ დროს დავითი მკვდარ იყვ, თათიას ნანახი ხქონდა-დ დაუმალ თოთასაც. დავითის დედას მინდა ექვივნა-დ თათია რო ნახ, უძახ: ჩემ შვილი ასავ ფეხშიშველივ გამასულივ, ღილღველთ სადამ ხყავავ დაჭერილიო-დ თათები მაინც წაუღივ რო ჩაიცოსავ. თათიამ იმასაც დაუმალა-დ არ უთხრ, რო შენ შვილივ მკვდარი ასავ. ახლადავ უთხრ თათების წაღების დრო არ ასავ, მაიცადევ. ამღის პირდაპირ ბაბოთ ბეწიკაის ცხვარი იდგ სამასი. მივიდეს ცხვრის გამასალალავად. ამ ცხვარს ედგ ბეწიკაის წყემს თოთხმეტ-ხუთმეტის წლის ყმაწვილი, გუდამაყრელი. წყემსმ რო ისეები ნახ, ღილღვლები, გამაიქც შინისკე. გამაქცეულს წყემსს ესრიეს ღილღვლებმა-დ მაკლეს. ცხვარი პირაღმ გაუშვეს უწყემსოდ ამღის პირდაპირ. ამღის პირდაპირ ჩასაფრებული ბევრ ღილღვლები იყვ. თუ კარჩი ვინ გამაჩინდებოდ, უშენდეს ტყვიას. თუნდა კარში არვინ გამაჩენილიყვ, მაინც წვიმასავით მადიოდ ტყვია, აჭლიდეს სახლების საკვმებს, კარებს. ამ ბძოლაში სამ ახალგაზდა

გავარდ: ამდიონი ობოლა, თომაი-დ ბაბო. სოფლის ბოლოში ჩაუსაფრდესა-დ დაუწყეს თოფვა. ერთ ღილღველი დაჭრეს სასიკვდილოდ, თაოდ დაიქცნესა-დ იქავ სოფელში მავიდეს. თომა კი წისქვილში შაძვრა-დ იქ გამაგრდ, ტყვიამ რო დაიწყ მადენაი. კარგა წამაშუადღდ, რო იქავ იყვ ლაშქარი. ულალევდეს კაცს ამდივნებს: აიყარეთავ იარაღიო-დ დაგვნებდითავ, თორე ჩვენ აქით არ წაოლთავ, სხო რო არა იყოსავ სრუ უწყლოობას ამაგწყვეტთავ. მაგრემ ამდივნებმ იცოდეს, რო ლაშქარ აქ დიდხანს ვერ დარჩებოდ ჭევსურეთის შიშითა-დ ცოტა ხანს იყვ გამაგრება საჭირო. მაინც რო არ დადმორჩილდეს, ბოლოს შაუთვალეს: ჩვენ წაოლთავ, ეე ტყვეებსაც გავღლალავთაო-დ თქვენის ფეჭით ჩამაგალალვიებთავ თქვენს ცხვარ-საქონსაო-დ ჭარავანსავ. თუ არ ჩამაღლალავთავ, მაშინ დავბრუნდებითავ იქავაო-დ სრუ თავს გაგჭრითავ. ამ თქვენს სოფელსავ ნასოფლარად გადავაქცევთავ, ისრ აგიკლებთავ ბომბებითავ. ამ მუქარით გაბრუნდ ლაშქარი, წავიდ არხოტის ჭალაისას. ბებერ კაცი-დ ავადმყოფ თუ ვინ იყვ, გაუშვესა-დ ოცდახუთ კაცი ახიელლები თან წაიყვანეს ტყვედ. ცირცლოვნითაც მაასხეს ახიელელი ჭარავანი-დ ცხენის ჯოგი, სოფელში რაიც იყვ ეს ცხვარ-საქონიც შაუეროეს ეროუცსა-დ გამალალეს. შუადშუ ტყვეებ ჩაიყენესა-დ წამავიდ ლაშქარი. სამი-ოთხ კაცი ამდის პირდაპირზე წავიდ. ბეწიკაის ცხვარ რო უწყემსოდ იყვ წასული, იმას მიხპატრონდესა-დ გადალალეს ზეოუკის წვერისას. ამდივნებმ გაიგეს ლაშქარი წავიდავ, გამავიდეს, მაგრემ უკენ ვერ გაუდგეს, იმის შიშით, რო იქ ტყვეები მიუდიოდა-დ აქით რო სროლა ვის აეტეხ, ღილღვლები ტყვეებს დაუწყებდეს ჭოცას. ზოგები ღილღვლები იქავ შიბუ-ღელისას წავიდესა-დ კრუაის საქონი-დ ცხვარ გალალეს კვირიწმიდით. ღილღვლები იქავ ჭიმღას იყვნეს, რო ჭიშველისას (ჭიშველი: ადგილის სახელია) ლადო ბალიაური ჭიმღას მავიდ. წინწინ რო ახიელ ლაშქარ შამავიდ, თომა ჭელჩი ჩაიგდესა-დ ლადოი-დ ვახტანგი ყმაწვილებ იყვნესა-დ ქვე დეექცნეს. ვახტანგი ნეოხიჩას (ადგილია) ტყეში დამალულიყვა-დ ლადო მოისკე წასულიყვ. მიმდინართად ღილღვლებს ეროკან ბომბ გადაეგდ ღამით. ორ-სამკან ქვე ეოოფ ლადოი, ე მთან სრუ შჭერიყვნეს ყარაულებსა-დ ღამით ლადო ხან სად შავარდნილიყვ ყარაულებზედ, ხან სად. მაგრემ გადაშჩ, ტყვია არ მახვედრიყვ, იმის მიუხედავად, რო ღილღველთ ბევრკან ეოოფ ისი. ჭიმღას რო მისულიყვ, ღილღვლებ იქავ ყოფილიყვნეს, ენახ ლადოი-დ ეოქვ: ესივ ტყვედ უნდა წავიყვანათავ, ვინ ასავ ეს ყმაწვილივ. ბაჭყიასა-დ სხვებს ჭიმღივნებს მაეტყუვ, რო ეს ყმაწვილივ ჭიმღიონიავ, სხვაკან სადამ წასულიო-დ ეეხლა მავიდავ. ახიელით კაცებ სრუ გალალულები ხყვანდ ტყვედა-დ დიაცებ იყვნეს მარტოები. აღარც იცოდეს ლადო ან ვახტანგ სად იყვნეს. ვახტანგმ რო გაიგ, ლაშქარივ გაბრუნდავ, მაშინ ის კი მალედ მავიდ, ლადო კი წუხრიხანამდინ ვერ მავიდ. არც იცოდეს თუ ცოცხალი იყვ კიდევ. ეს ყმაწვილებ დარჩ სოფელშია-დ ორ-სამი ბებერ კაცი. სხვა ხალხი სრუ წაიყვანეს ტყვედ. ცხვარი-დ საქონიც სრუ

გაწმინდეს ახიელით, რო სამ თიკან კიდევ დარჩ ერთის სოფლის ცხვარ-საქონისა. ესრ სამს გზაზე წავიდ ამღა-ახიელელთ ცხვარ-საქონი, ერთი იქავ იმ გზაზე, რაზედაც მავიდეს, შიბუღელეზე, მეორე ცხვრის ფარა ზეოუკაზედა-დ მესამე არხოტის ჭალაისას გალალეს ახიელელთ ჭარცხენი-დ ცხვარ-ძროხა ქვე. ამღას რო გასცილდების, იქ ახლოს კალოთანის წყალ გამადის. ამ გზაზე შიტუს ამღივნები მთაში დადიან. ერთ დიაცი ნინო მთაშიით წამასულიყვ საშინაოდ; ერთ კა იორღა ცხენი ხყვანდ. ორწყალთანას რო მავიდ ლაშქარი, ცხენს გამაეკიდა-დ არ დაანებ ნინომ. იქ ვინაც იყვ იმ ღილღვლებმ კი არა უთხრეს ნინოს, მარტო ცხენს სთხოვდეს. ორწყალთანაის გაჭეით-გამაჭეითი ყარაული იდგ ღილღვლებისაი-დ იმეებს კაც ეგონა, კაცის გონობით ესრიეს თოფი, ნინოსაც მახვდ თოფის ტყვიაი-დ ცხენსაც. ორივ მაკლეს ორწყალთანას. ნინოს ძმა მინდია ტყვედ მიხყვანდ, ნახ თავის და მაკლული-დ აბა რას იზამდ, ნინო იქ დარჩ მკვდარი-დ მინდია სხვა ტყეებთან ერთად ღილღოს წაიყვანეს.

ამ დროს არხოტის ჭალას არაად ვინ დადისა-დ ზაფხულის ადიდებულის წყლისაგან ჩაწმენდილი გზა-ჭიდი გაუკეთები იყვ დამრჩალი. აქ მდინარე ასა ზაფხულის ძალიან დიდდებისა-დ სრუ ჩასწმენდს გზა-ჭიდს, არხოტივნები ზამორამდინ არ დადიან ჭალასა-დ არც გზას აკეთებენ მანამდინ. ზაფხულის კი აუცილებლივ წაიღებს ალაღებულ წყალ გზებსაცა-დ ჭიდებსაც. იმით რო ძალიან იწრო ჭალა იყვა-დ წყალმ ადიდება იცოდ, ტანიის კარამდინ აკეთებდეს გზასა-დ იმის ქვენ მაინც ძვირად იცოდეს გზის გაკეთებაი. ესეთს გზაზე ჩაუყენეს ცხვარ-საქონი-დ წვალობით წავიდეს. იმ ღამეს ჩავიდესა-დ ტერღისკარ დადგეს. ტერღის კარი ღილღოსთან ახლო ას, არხოტივნებს კი ეკუთნის ეს ალაგი. აქ ცოტა ბალახიან მინდორი ას; ცხვარ-საქონიც აქ დააყენესა-დ ტყვეებიც. საეჭვო გზებშიაც ყარაულებ იდგა-დ ტყვეებსაც მირგვლივ შამახვეულები ხყვანდეს ყარაულები. დააგზეს მინდორზე ფიჭვის შეშის ცეცხლები ბევრკან, შაარჩიეს მსუქნებ ვერძები-დ დაჭოცეს, ზოგებს ქვაბები ხქონდ არხვატით წამაღებული, ჩაყარეს ჭორცი-დ ადუღეს. მარილი-დ პურიც ახიელით ხქონდ წამაღებული, ტყვეებიც დახპატიჟეს თავის ცხვრის ხორცის მწვადებზე. მეორე დილას ახყარეს ცხვარ-საქონი-დ წავიდეს საღილღოოდ. თათიასთან მივიდ ერთ ნაცნობ ღილღველი-დ უთხრ: „თათიაო შენავ კაი კაცი ხარავ, არც მე მემეტებივ, რო გაწყინასავ რა ვინავ, არც სხვას შენს ნაცნობ მეგობრებს ღილღვლებს ემეტებივ, მაგრემ, ხო იცივ, რო აქავ ბევრ ღილღველი ასაო-დ შენავ ყველა ვერ გიცნობსავ. შენის ძმისწულის კარზე რო გამაჩინდავ ღილღოთ გადალალულ ცხვარივ, ამაზედ ცუდ გულ ექნავ ღილღვლებსავ, თათიაივ თუ კაი კაცი ასავ, ამბობენავ შენ უცნაურებ ღილღვლებივ, რად არ დაუშალავ ძმისწულსავ ქურდობაივ. თავიან კაციაო-დ თავის ძმისწულ კი არავ, თუ დაეშალავ, სხვებიც გაუგონებდესაო-დ ეს ცუდ საქმე არ მახჭდებოდავ. ეეხლად შენ წეედივ შინავ, არამც რა ვინ გაწყინასავ, ღილღოსად

საქჩერო კაც არ ხარავ. აბა, რა გინდავ ღილღოსავ, არც ასავ შენის საკადრისაივ, რო ტყვეივ ღილღოს მახვიდავ. ამ საუბარში ღილღველმ წინა ხალხ ქვე გაიცილა-დ უკენა ხალხი მასულ არ იყვ. თან იწრო გზა იყვ ტყიანი-დ საცალფეკო. მოსაუბრე ღილღველმ ისრ მააკერკ, რო იმისა-დ თათიაის მეტი იმ იწრო გზაში აღარვინ იყვ. ჩამა�ღილღველმ კელი-დ შავიდ თათიაიც ტყეში, ღილღველ ქვე წავიდა-დ ამხანიგებს შაუეროდ. თათია, ლაშქარ რო ჩამაილივ, წამავიდა-დ მავიდ არხოტ. ღილღველთ გაიგეს თათია წავიდავ, ზოგებმ კი იწყინეს იმის წასვლაი-დ იმის მეგობრებმ უთხრეს, რო არა უნდავ, წავიდესავ, მაგის პურმარილივ ღილღველთაზედავ ბევრიავ დახარჯულივ. ეგ კაცივ აქამდინაც არ უნდა წამასულიყვავ. დანარჩენ ტყვეები-დ ცხვარ-საქონი კი მილალეს სოფელ გოშტიკაურთას. გოშტიკაურთისა-დ ჯარიეხის შუაში მინდორ ასა-დ იქ დაიწყეს ცხვარ-საქონის გაყოფაიცა-დ სხო ნადავლისაიც. ტყვეები ცალკე ხყვანდეს დაქუჩებულები, ყარაულებ ედგ. ღილღველთ ლაშქარ რო ჩავიდ, მაშინ ტყვეებმ იქ ნახეს საითაც, რომენიც ცხენების დაბრუნების სათხოვლად იყვ მასული. მემრ ლაშქარს გამაუძღვ საკარის მაღლისასა-დ ფეკში ტყვია დახკრეს არხოტივნებმა-დ დაჭრეს. ეხლა იატკაზ – მიავ არხოტ არ ვიყავივ ლაშქარშიავ, დღეს მავედივ გოშტიკაურთასავ, საქმეი მქონდავ. მაგრემ ის ყველამ იცოდ, რო საითა ლაშქარში იყვა-დ იქ ღილღველთ ლაშქარს მაეგებ ღილღველთ ქალ-ზალი-დ მაულოცეს სახელი-დ გამარჯვებაი, გაღმართეს თამაშობა. ამ საქონში ყველაზე ტანიან კარ იყვ თათიაის კარი, როგორც ჩავიდეს გოშტიკაურთას, მაშივ აარჩიეს ახიელელთ კარავანშია-დ დაკლეს ეს კარი. ადუღეს კორცი დიდს კარჩამავალ ქვაბშია-დ თაოდაც ჭამესა-დ ტყვეებსაც აჭმიეს.

საქონს როცა ყოფდეს, ტყვეებ ცალკე ხყვანდ მაშინ, რო თავის საქონის გაყოფა არ ენახ. სხოდაც ტყვეებს ცუდად არ ექცეოდეს, მიხქონდ იმეებსთანაც ჩანგური-დ ყველა თამაშობდ ჩონგურის დაკვრაზე, ვითამ სრუ არა მამკდარ. სასმელ-საჭმელს ნიადე არ აკლებდეს. ბოლოს ღილღვლებმ ტყვეებს უთხრეს: ეეხლად აირჩიეთავ სანდო კაცივ, რომენიც წავაო-დ იქავ მავავ, ამბავს მაიტანსავ აქავ, წავიდესავ ერთ კაციო-დ ამღიონთ უთხრასავ, რო ეგ კარავანიო-დ ცხვარ-საქონ ჩამალალეთავ, თორე ამაოლთაო-დ სრუ გაგამტვერებთავ იქავ. მანამ არ მაღლალავთავ კარავანსაო-დ ცხვარ-საქონსავ, მანამდინავ ამ ტყვეებსავ დღეში ორს კაცს მავხკლავთავ. როსაც ცხვარ-საქონ მავავ, მემრ გაუშობთავ იმ ტყვეებსავ, რომნებიც ცოცხლებ დარჩებისავ. ამ საუბარში გაიყვანეს ორ კაცი ტყვეი, აი დღესავ ამ ორს დავხკვრეტთაო-დ ხვალავ კიდევ სხვებს დავხკვრეტთავ ორს კაცსავ. აარჩიეს ისით კაცები, ვისაც უფრო ბევრ სახლისკაცებ დაშჩებოდ: გარსიაი-დ გიორგი ოჩიაურები. ესეებ გაიყვანნეს დასაკვრეტლად. ეს იმით, რო იმათ დანარჩენები სახლისკაცები ვითამ მაითხოვდეს იმათ თავ-სისხლს არხოტიონ ქურდებისგანა-დ

ამდიონთ ცხვარ-საქონის ჩალალვაშიაც ჭელს შაუწყობდეს. გარსიაი-დ გიორგი მააფარნეს გორსა-დ იქ ტყუილად ორ თოფ გაისროლეს, ისენი იქ დაწირნესა-დ თაოდ ღილღვლები ტყვეებსთან მავიდესა-დ უთხრეს, რო დავჭოცენითავ ისენიო-დ ხვალავ ორს კიდევ მავხკლავთავ. სინამდვილეში კი გარსიაი-დ გიორგი ცოცხლები იყვნეს, იმათად არა დაუკრავ, თოფები ტყუილად დაცალეს.

არხოტ წასასვლელად აირჩიეს მინდია ოჩიაური-დ უნცრუა ჯაბუშანური. უთხრეს: მალე მაღლალავთავ ცხვარ-საქონსავ, მეტ ხალხს გადაარჩენთავ ცოცხალსავ, თუ დაღგვიანდებითაო-დ სრუ დღით ორ კაც მაკვდებისავ. ეს ორ კაც რო წამავიდ, მემრ მაიყვანეს ტყვეებსთან გარსიაი-დ გიორგიიც. არხოტ წამსვლელებს კი აღარ გააგებინეს, რო ესეებივ ცოცხლებივ არიანავ. წამალალულმ კაცებმ კარგად იცოდეს, რო ამდიონნი იქ ცხვარ-საქონს არ ჩაულალევდეს, მაგრემ მაინც წავიდეს. მისულებმ უთხრეს, ჩვენავ ეემაად წამაგვლალენესაო-დ რასაც იტყვითავ, იმ პირს წავიღებთავ, იქავ ღილღოს წაოლთავ. ცხვარ-საქონის ჩალალვაზე ხო უარ უთხრესა-დ აღარც ეს მასულებ კაცებ გაუშვეს ამბის წასაღებად. იმათ თაოდ კი უნდოდ წასვლა, მაგრემ ხალხმ აღარ გაუშვნ. ვინ იცისავ იმ ტყვეებსაც რა მაელისაო-დ თქვენ მაინც ნუღარ წახოლთავ, თქვენ მაინც მშვიდობიანად გადაშჩითავ. ღილღვლებმ გაყვეს ცხვარ-საქონიცა-დ ცხენებიც, სხო დავლაიც გაიყვეს, ჯერ კი არ გამაუშვეს ტყვეები-დ, რო მაინც არავინ მიულალ ამდიონთ ჭარ-ცხენი, გამაუშვეს ტყვეებიც. არც მაკლეს ვინა-დ არცრა აწყინეს პირადად ტყვეებს. ღილღოთ მასხმულ ცხვარი, რაიც გაიყვ ღილღველთ გალალულ ცხვარ-საქონში, ის ცხვარ პატრონებმ მაითხოეს, მაგრემ ღილღვლებმ არ დაანებეს. იმათ ცხვარიც ლაშქარმ გაიყვ, როგორც არხოტიონთ ცხვარ-საქონი. ამდას კი დარჩ ცხვარ-საქონიცა-დ ჭარავანიც, ახიელ სოფელში სამ თიკან დამრჩალიყვა-დ ისეებიც დაჭოცეს – ესეებ რადად გვინდავ. მთაშიაც ცოტა რაიმ დამრჩალიყვ ჭარავნისად გადაჭობილი-დ თითო-ოროლ კვამლს დაშჩ ზოგს მაზვერი, ზოგს დეკეული. ჭარი-დ ცხენ კი აღარვის დაშჩ. მაშინდელს ლაშქრობაზე ლექსებიც ბევრია ნათქვამი. აქ მარტო ერთ ლექსს მავიყონთ:

სამშაბათს გათენებადა დიდი დგას ცოდო-ბრალია;
იხევის დედამიწაი, ცოდვით ჩამადნეს ქვანია.
ცაზე აყენებს მასკვლავთა არხოტივნების ბრალია.
სიბრალულისგან ქრებოდა ცისკარი ამამჭდარია.
ორს სოფელს თავზე დაეცა მთელი ურჯულოს ჯარია,
უკენ ას ერავნელები, არა მიშჭირეს მჭარია,
მჭრის ჭერის კვალად ვაჟებმა ჩამაასწავლნეს გზანია.
ჯარი მავედით, საქმე გოქვ, მასულთ ჩაყარნეს ჭმანია,
ამდას გვყავ გიანარალი, მჭარზე წითელი ჯვარია.

ჩამაიყვანეთ უფროსი, რომენ გყავთ მაუბარია.
გათენებამდენ მაკრიფეს სოფელში ქუდოსანია.
მემრ იარაღებ მაკრიფეს: თოფი, ხანჯარი, ჴმალია.
ახიელის ძირ შაყარნეს არხოტის ჯვარის ყმანია.
ცოტანი ახიელელნი, მიწას ჴნავს ღილღველთ ჯარია.
გათენდა, მაშინ გაიგესრ „ურჯულომ დაგვცნა ცანია“.
ღალატით მასვლის ჯავრითა კბილით დაკვნიტეს ქვანია;
შაეკრა ყარაულებსა ველთ გასავალი გზანია.
სრუ დაუჭერავ სოფელი, შაკრეს სიმაგრის კარია.
ახლა დაეცნეს ამღასა, დილა თენების ხანია;
დახკივლეს ქისტიშვილებმა, დაღვედრა ყველამ გვარია.
თოფის ჴმა, ელვა, ქუხილი, სრუ იძვრის მთა და ბარია.
კარში გამავა დავითი, ხოდედიშვილი ჩქარია.
დადგების გაკვირვებული, თან ღგონავ საოცარია.
აიმ დრო წამაეხვივნეს ქისტის შვილების ჯარია.
ნუ მახკლავთ, ქისტის შვილებო, ქვრივის გაზდილ ას, ბრალია.
დედა დაშჩების ბებერი, დიაცი ახალზალია.
არცრას შველს დედისერთასა, სალოცავმ ახკრა მჴარია.
სიკვდილს არ დაზდევს დავითი, გულ უძე როგორც ქვანია.
ბრალი ას დავითისადა, არ მისცეს ომის ხანია.
გაწირა წუთისოფელი, არხვატს დასწერა ჯვარია.
მშვიდობით ამდის ციხეო, შენი ჩამაშლა ბრალია,
თუ მახკვედ, ღმერთმა გაცხონას, შინ ხო არ დაიმალია.
წაედით ურჯულოებო, ჩავლილთამც დაგლევსთ წყალია,
გიხარის ელამარძაო არხვატით წანატანია.
მიხოლ, მიგიდის ტყვეები, მიგიდის ჴარავანია.
იცოდი, არც შენ შაგრჩების არხოტივნების ვალია.
წინავაც გჴოცდესთ რჯულ-ძაღლნო, როსაც არ გედვათ ბრალია.
გაჴსონსთა, საამღოშიით გამაგილალესთ ცხვარია,
წყემსიც ქვიშაში გაწირეს, ტყვიამ დანაყა ძვალია.
ამაგის მალექსებელი ეგრ ტირის, როგორც ქალია.
არცარა ლხინით ვიამბე, სრუ ცრემლით ჩამავთვალია.
ეგეთან არა მეგონნეს არხოტ დაზდილნი ყმანია.
უშინებავის ქისტები, ბევრ რო შაყარეს ჯარია.
მაშინ კი გადაგაჴდევენთ, ტყემ რა გაიბას თვალია.
ბევრჯელ წინავაც დაგეცნესთ, თავზე დაგხურნესთ ცანია.

ამღას რო ლაშქარ დაეც, მაშინ იმათ ეგონ, რო ლაშქარივ მარტო ჩვენ დაგვეცავო-დ ახიელელნ მაგვეშველებიანავ. მაგრამ არ იცოდეს, რო ახიელელთაც ლაშქარ დაეცაო-დ ვერცაით მაგვეშველებიანავ. ახიელლებ რო ჭელში ჩაიყარესა-დ ამღას მაიყვანნეს, მაშინ თათია შუაკაცად მილალეს ამღივნებსთან, ის ჭმამაღლად მაუბარ კაც იყვა-დ იმის საუბარ რო გაიგონეს, მაშინ მიხვდეს, ახიელლებივ ტყვედ ჩაუყრავავ ჭელშიაო-დ იმათ მაშველების მალოდინივ ტყუილად გოქვავ. მაშინდელს ერთ-ერთ ლექსში ნათქმები ას აი ეს სიტყვები:

მაველით ახიელელთა, არ მაგვივიდეს ხანზედა,
მეთემე მაგვეშველების, ხო მავლენ თენებაზედა.
ახიელითაც მავიდეს, თათიაი ცნეს ჭმაზედა.
ღალატით დაგვიბალითნეს პოლიციაის ჭმაზედა.

ეესრ დარჩ ახიელაი-დ ამღა განადგურებული. ამღას კაც-დიაცებ ჩაჭოცესა-დ ახიელით ცხვარ-საქონი-დ ტყვეებ გალალეს. ახლა ამაზე არხოტივნებმაც დაიწყეს მუქარის თხოვა ღილღველთად – თუ სხვას ვერას გავჭდებითავ, სადაც ვის გავეწევითავ, ჭოცას მაინც დაუწყებთავ. ორ კვირაე იქნებოდა ლაშქრობიდგეს გასულ, რო ღილღველთ ადგილში, ჩორეხ, არხოტიონ მენადირეებ წავიდეს სანადიროდ. აბიკაი-დ იმედა წიკლაურები. დღისით ინადირესა-დ ღამით წავიდეს ჩორეხის ეხისკე (ეხი: გამოქვაბული, კლდე) ღამის გასათენებლად. ჯერ კიდევ დღე იყვ, რომ მიუახლოვდეს სადგომს. ჯერ უდვირბინოდ გახენესა-დ ნახეს, რო ეხის კარში რაებიმ დად-მადის; იმათ ჯიჭვებ ეგონ. ამაიღეს დვირბინი, გახენესა-დ გამოსცნეს, რო ჯიჭვებ კი არ ას, ორ ღილღველ დავ-მავ ეხის კარში – ამზადებენ სალოგინეს, ბალახსა-დ შეშაიც მაუტანავ. ესეებ რომ ნახეს, ჩასხდეს კლდეში, რო ღილღვლებმ ადარ გვნახანავ. გადასწყვიტეს, რო დაღამებიდგეს მივიდაოთაო-დ ეგეებივ დავჭოცათავ. დაღამებამდინ ადგილზე ისხდესა-დ დვირბინებით გახედევდეს. რო დაღამდ, ეხში ცეცხლ დააგზესა-დ სინათემ დაიწყ გამადენაი. ადგეს არხოტიონ მენადირენიცა-დ წამავიდეს ეხისკე. ეხი ისეთს კლდეში იყვ, რო იმის კართან ცუდ შასაჭდომი იყვ. შასაჭდომსთანამდინ რო მივიდეს, აბიკამ უთხრ იმედას: ეეხლადავ მე შავჭდებივ ეხის კარშიაო-დ გავიგებავ, რაჭელ არიანავ, რაჭელან საით უფრო მარჯვეი ასავ მაგათ დათოფვაივ. თუ გამავიდავ ვინავ, დახკარივ, თორე მე მანამ იქ შავჭდებივ, დამაზიანებენავ. ორთავ დაამზადეს თოფები-დ აბიკა შაჭდ ეხის კართან. ეხში რო შახენ, ერთ ფეჭზე იდგ ცეცხლთანა-დ მეორე ქვე იჯდა-დ ერთუცს არხოტ ლაშქრობის ამბავს უამბობდეს. აბიკამ არცაღ ამხანიგისად მაცდა მაიგონ, რაკი იმათგან არხოტის ჭსენება გაიგონ, მაუბრუნ თოფი-დ წინწინ ფეჭზე ნადგომს დახკრ. ღილღველს რო ტყვია მახვდ, ზედ წაეფშვნიტ აი დაგზებულ ცეცხლზედ.

მეორე ღილღველი აირივა-დ ვეღარ გაიგ, რას უნდოდ ქნაი, მანამ ის გონთ მავიდოდ, მაასწვრ იმასაც აბიკამა-დ დახკრ ტყვია. ისიც წამაიქც პირქვ. მაუყოლ მეორ-მეორეიც აბიკამა-დ, რო გაიგ, რო ორივ სასიკვდილოდ დაიჭრავ, გადმახტა-დ მავიდ ამხანიგსთან. რაი ხქენივ, უთხრ იმედამ, უჩემოდ რაად სთოფვევ. რადაღ მინდოდა შენობაივ, ორნ იყვნესაო-დ თითო ნასრევივ ორთავ დავხკარივ, მემრავ მეორ-მეორეიც მაუყოლეო-დ ორნივ ცეცხლზე კი წაიქცნესავ. მაბრუნდესა-დ წამავიდეს. საჭარის ღელეში წინას დღეს მაკლულ ჯიხვი ხყვანდად, იქ მავიდეს, იქ სადგომებს ეხებში ღამე გაათენეს, მეორეს დღეს აიკიდეს ზურგზე ჯიხვის ტყავ-ჭორცის ბარგები-დ მავიდეს არხოტ. არხოტივნებს ღილღვლების ჯავრი შჭირდა-დ ძალიან გაუხარდ, რო უამბეს ღილღვლების დაჭოცის ამბავი. თავის სოფლელებ ხო ულოცევდესა-დ სხვას სოფელშიითაც მადიოდეს სახელის მასალოცავად.

ღილღოს რო აღარ დაბრუნდეს, წამავიდ ხალხი საძევლადა-დ დაჭელნეს ეხში ნახევრად დამწვრები. ამაზე კიდევ ძალიან გამწარდეს ღილღველნი-დ შამაუთვალეს არხოტივნებს მუქარაი.

მაგანძურის ლაშქარი არხოტში

მიამბო კუკუა ცისკარაულმა (56 წ.)
და მაშინ ჩავწერე 1920 წელში. ს. ახიელში

მაგანძური ხქვიან გუდანის ჯვარის ყმათ, ეს გვარები ჭევსურეთ ყველაზე ბევრ ხალხიან გვარები არიან. როგორც ამბობენ, ესენ სამის ძმისგან არიან გაჩენილნი. „არაბა“-ისაგან, „ჯინჭარა“-ისაგანა-დ „გოგოჭა“-ისაგან. არაბული, გოგოჭური, ჭინჭარაული – ეს გვარები სამივ ერთად გუდანის ჯვარს ეყმობიანა-დ იმათ მამულებიც ამტკიცებს იმათ მენათესავეობას. სადაც სოფლებში ცხოვრობენ, ყველკან ერთუცზე აქვ მამულები იმათ მამ-პაპისგან გაყოფილები. ამ სამ გვარს ერთუცშიაც კი ხქონდ შურმაქნეობაი-დ საერთო საქმეში კი ერთუცს გვერდი ედგეს, მჭარს შჭერდეს ერთუცს. ნამეტნავად მაშინ, როსაც გუდანის ჯვარი ბძანებდ წასვლას ერთ-ერთ სოფელში ან კუთხეში დაცემასა-დ ბეგრის დადებას გუდანის ჯვარის სასარგებლოდა-დ დავლის წამაღებას. ასეთს ბძანებაზე შაიყრებოდ მაგანძური-დ წავიდოდეს ბეგრის დასადებად. გუდანის ჯვარის დროშაით ყველკან დადიოდეს ქისტეთში, მეჭევეებში, არხოტში, არდოტ-ხახაბოშია-დ სხვაკან. ბევრკან ადგილ დაიჭირესა-დ ბეგარ დაზდვეს. ერთხან დასვეს ქადაგი გაიდაური-დ იქადაგ: ჩემნ ყმან შაიყარენითავ, დროშა ააბითაო-დ არხვატ გაბეგრეთავ:

ქადაგობს გაიდაური, ბძანებს გუდანის ჯვარიო:
ჩემს კარზე შაიყარენი სამის ბატონის ყმანიო.

სამი ააბით დროშაი, სამსავ შააბით ზარიო.
ახიელის ძირ ჩავიდათ, ვატირათ ქალი, ზალიო.
იქ უნდა დავზდვათ ბეგარი კვამლად თითოი ცხვარიო.
გაიგა არხოტის ჯვარმა, წელთ შამაირტყა ჭმალიო,
სხვაკნით ამიღავ ბეგარი, დამპალო, სად მიხვალიო?

გაიდაურის ქადაგობის შემდეგ მაგანძურებმა ერთიმეორე დაიბარეს და წამოვიდნენ არხოტის დასაბეგრავად. რაიცაღ შემთხვევით გოგოჭურებ არ გამახყოლივან. არაბულებისა-დ ჭინჭარაულების ლაშქარს აუბომ გუდანის ჯვარის დროშაი-დ წამასულან. კვირიწმიდას რო ჩავიდეს, მარტია შუქიაურ ავიდ ციხეშია-დ ახიელისკე მიმდინარს ლაშქარს უძახ: „გაიარეთავ, მანდავ სადილსავ ახიელელნ გაჭმევენაო-დ სამხარსავ აქავ მე გაჭმევთავ; ვითამ, ახიელ რო მიხოლთავ, იქავ ისენ დაგხვდებიანთავ შასაფერადავ, აქ რო შამაივლითავ – მე ვიცივ; ვითამ, მიაც არ გაგიშობთავ უჭირვლებსავ. ლაშქრის მაახლოება გაიგეს ახიელელთა-დ სიმაგრეში შავიდეს. ჭევსურთ ლაშქარ მავიდა-დ დაერივნეს სოფელს. ციხეშიით დაიწყეს თოფის სრევაი. თოფის სრევაზე ჭევსურებ შინ შავიდეს. ახიელლებ ციხეში იყვნესა-დ ჭევსურებ სახლებს ხყვანდეს დარეულები. ერთ ახალგაზდა ყოფილ ჭარათაი, იონეურ ექვივნა-დ ერთი ძალიან გძელი საციხეე თოფი ხქონდ. ამ თოფს ბურა ექვივნ. ორს სრევას წამალს იყრიდა-დ ორის ტყვიისოდენ ტყვია იდებოდ შიგ. სრევითაც ორის თოფის ძალით ისრევდ სიშორეზე. იონეურ თაოდაც კი ახალგაზდა იყვ, თოფ ხო გათქმული ხქონდ.

თოფ კი აისეთა უნდა, ახიელ რო ბურაია,
თამარიზძე ჩაუქცევავ, ჯინჭარაულთ კულაია.
ჭელით გითრევსთ, ჭევსურებო, ქალი აგუნდურაია.

იონეურ რო ციხეში შავიდა-დ სხო ხალხებიც ჭევსურები იონეურის სახლში შავიდეს, იქ ფაფა ხქონიყვ ნადუღარი-დ ლაშქრის მასვლაზე რო ციხეში წავიდეს, ფაფა უჭმელ დაშჩ. ჭევსურებმ ეს ფაფა ამაჭამესა-დ ერთ ჭევსური ბაკანში სათაონაპიროდ დაჯდ. ეს სახლი ციხესთან ახლო იყვ, გამავიდეს ჭევსურები-დ ამ სახლის დარიფანშიით ერომ ჭევსურმ უძახ ივანეურს (ივანეური და ეს ხევსური წინათ ძმობილები ყოფილან): „ძმობილო, ფაფიან ბაკან ქვე ამაგიჭამეთავ, შიგ ქვე „ჩაგიკუნტეთავ“ ბაკანშიავ. ამ დროს ივანეურს ციხის სათოფეშიით თოფი ხქონდ ჩამადებული-დ ჭევსურ არ ჩენილ, შიგათ დარიფანში ყოფილ; ივანეურმ უძახ: ძმობილო! არ მამდისავ, რას იძახავ, აბა ცოტაად გამაჩინდიო-დ კარგად მიძახევ. ჭევსური ქოოდ კი არ გამაჩინდა-დ ცოტაად წამადგ წინ. იმოვნად წამადგ, რო ერთ ბანის სანაპირონი ეფარებოდეს (სანაპირო:

მიწური სახლის ბანის პირზე დაწყობილი თხელი ქვები, „სიპი“). ივანეურმ გაიგ, რო სიპის მეტ აღარა ეფარებისავ. დაადვ ლიშან ამ სანაპიროს, ივანეურს თავის თოფის ძალის იმედი ხქონდ, რო, თუ ამ სანაპიროს თოფს დახკრევდ, იმისად გავარდნილი, არც კაცს გასწირევდ უჭირველს. თოფ რო გავარდ, ტყვიამ სანაპიროიც გაჭვრიტა-დ ჭევსურსაც მახვდა, იქავ მკვდარ დაეც. ეეხლა გავიგონევ – უძახ, რაიც იძახევ, ძმობილო. მეორეს კიდევ სოფლის ბოლოში დახკრეს ტყვიაი-დ მაკლეს. ერთიც სასიკვდილოდ დაჭრეს. ამაებში ერთ არაბულ მაკვდ სოფელ ბაცალიგველი, ორი ჯინჭარაულ მაკლეს ერთი გუდანელი-დ ერთი ძეძეურთელი. ჭევსურებმ რო ნახეს, რო საქმე ცუდად ას, ვითაიც გამავარდ ციხეშიით, იმთვენ ტყვიამ ცალეზე არ გაიარ, შაშინდესა-დ წამასვლა დააპირეს, მაგრემ საითაღ წამავიდოდეს, იმათ გამასავალს გზას ციხის სათოფეები ზედ ჩამახედევდ. იცოდეს, რო გამამართულებს ახიელლებ უერთოდ აღარ გაუშობდეს. სხო ვეღარა მააჭერჭესა-დ ერთმ ქალმ გამააცილ ყველაი, ეს ქალი ახიელელი იყვ, სახელად აგუნდა ექვივნ. გამასავალი გზა ისრ იყვ, რო წამასულს კაცს ზურგი ციხისკე ექნებოდ. ოცდაათ ორმოც საჟანს რო გამაივლიდ, იქ ერთ გორია, იმ გორს აქეთ გადმაეფარებოდა-დ მემრ ციხე აღარ ჩინდ. თითო ჭევსურმ აიკიდის ზურგზე აგუნდა ქალი-დ მანამ გორზე არ გადმაეფარის, აისრ გადმაავლივის. მემრ მიბრუნდის აგუნდაი-დ სხვამ ჭევსურმ აიკიდის ზურგზედა-დ გადმაავლივის. აგუნდაის ხათრით ციხეშიით თოფ ვეღარ ესრიეს, რო ნასრევ ტყვია ჭევსურს არ მახვდებოდ, თუ წინწინ აგუნდას არ მახვედრიყვ, ციხეშიით ქვეც უძახეს: „კახპაო, ნუ მიგიდისავ ეგ ჭევსურებივ, თორე გესრევთაო-დ მაგეებსთან ერთადავ შენაც მაგკლავთავ. მაგრემ აგუნდამ არ გაუგონ თავის მამისახლსა-დ ეს ლაშქარი თითოობით გადმააცილ გორს.

გადადის არაბულები, აგუნდის დანერბულები.

მკვდრებიც როგორც იქნებოდ ასეთი ჭერჭით წამაიღეს, აქ ვერცრა ბეგარ დაზდვესა-დ ვერც დავლა წამაიღეს. პირიქით, საკაცეებ დააკეთესა-დ მკვდრებ წამაიღეს. ახლა კვირიწმიდისას შამავლა აშინებდ, რო მარტია შუქიაურ რო დაემუქრ, ის არ გაგვიშობსავ, კვირიწმიდის გზისას ვეღარ წამავიდეს, რაკი გზა სოფლისას მადიოდა-დ ციხეშიით მარტიაის შიში ხქონდ. აუქციეს სოფელს მჭარი-დ თავის საკაცეებით კვირიწმიდას სოფლის თავი გადმაიარეს. ახიელით წამასულებს საჭევსურეთო გზა ორი ხქონდ, ერთი წყალშუისასა-დ მეორე კურკულისას. ჭევსურებივ ამაზე შამაივლიანავ, ოჩიაურ თათარასა-დ სხვებიც სტანებიონ, წყალშუისას წასავალ გზა შაუკრეს მიტალათ. ჭევსურებმ წყალშუის გზისას არ შამაიარესა-დ კურკულისას წავიდეს. გზის შამკრავებმ ნახეს, რო ჭევსურები

კურკულისას მიდიანა-დ ქართულის თოფების სასრევლად შორ მანძილ იყვ. თათარამ უთხრ ამხანიგებს: შორ კი ასაო-დ აბა აიმ ქუჩას რო მიდიანავ, აიმეებსაღ ვესრევავ – რას იქსავ, მიიტანსაევ თუ არავ ტყვიასავ. ესრივ თათარამა-დ ერთ ჭევსურ ჩაიქც. გაუკვირდ ყველას; საით-სად მიიღავ ტყვიაიო-დ მახვდავ. სად შჭირსავ, სადავ? – უძახეს ჭევსურებს. ჭევსურებმაც უპასუხეს: „ჯორჯას შჭირსავ, ჯორჯასავ“. „აუ, გააოჭრასავ ღმერთმავ, ქვე კბილთაც ვესრიევ, ჯორჯაში რაიღ უნდოდავ – უძახ თათარამ. თათარა ეხუმრებოდა-დ ჭევსურებს ის ეგონ, რო ისით მართალ თოფ ხქონივავ, რო ამ სიშოროსავ კბილთად ნასრევივ ჯორჯაში მახვდავ. დაშინდეს ჭევსურები-დ რაც ძალიდ ღონე-ი ხქონდ, დაიქცნეს. საკაცეებ კი მაინც არ დაწირეს, თან წამაიღეს. მეტი აღარც ამეებმ ესრიეს. რომნებს გზაი ხქონდ შაკრული, რო ნახეს რო საკმაო საკაცეებ მიხქონდა-დ ნადავლ ქვე არა მიხქონდ. ახალგაზდა ხალხი ხო ლაშქარში იყვა-დ ხნიერს ხალხს მალოდინი ხქონდ დავლის მატანისა. მაგანძურთ ახლები არხვატით მავლენაო-დ დავლას მაიტანენავ. ბაცალიგო სოფელ ისეთს ალაგში ას, რო არხოტით გადმამჭდარს მგზავრს არხოტის მთაზედავ ღნახავს. ბაცალიგოს ერთ არხოტიონთ ქალ იყვ გათხოვილი, იმას ძალიან სწყინდ მაგანძურის წასვლა არხოტა-დ რას იქმოდ, ხო ვერ წავიდოდ ქმარ-შვილიან ქალი. არხოტიონთ ქალს მამამთილი ხყვანდ სიბერისგან უსინათლო, ზალს მალმალედ უთხრის: „წეედიო, გახენევ ჭერემეებ არცად მაუდისაევ (ჭერემა: ძროხის სახელია). ზალს ეს ამბავი მამამთილისგან ძალიან სწყინდ, მაგრემ თავის წესის მიხედვით, ხათრს უნახევდა-დ ვერას ეუბნებოდ. მამამთილის თქმაზე გავიდის, გახენისა-დ შამასულმ თავისად თქვის: არვინ მავავ, არავ. ლაშქარ რო დაგვიანდ, შასწუხდ ეს უსინათლო კაცი-დ უფრო მალ-მალე გაახენებივის ზალს. ზალი თან-თან გამწარდ ამ საუბარზე. ბოლოს რო გაახენებივ, გადმაჩინდ ლაშქარიც მთაზედა-დ სამ საკაცე მააქვ თან, ჭერემეების მაგივრად. გამწარებულმ ზალმ მამამთილის წარამარა გახედვნიებით საკაცეებ რო ნახ, შამავიდა-დ მამამთილს უთხრ: „თქვენმა ამაწყვეტამავ, ჭერემეებ მაგილალესავ არხვატითავ, ჭერემეების კვალადავ საკაცეებ მააქვავ. არ იცოდითაევ, რო არხოტივნები ჭერემეების კვალადავ ჭირს მისცემდესავ კარზე მისულს მეძალესავ. მამამთილმ რო ზლისაგან ეს სიტყვებ გაიგონ, გაჩუმდა-დ ჭმა აღარ ამაუღავ. მაიტანეს საკაცეები ერთ ბაცალიგოს, ერთ გუდან, ერთი ძეძეურთას. თამარიზძეზე ერთმ ჭმით მატირალმ იტირ:

თამარიზძეო, შაგენაცვლეო,
დაყინულნ არ დაგილხვესაეო.
მაკლულო უსაფერითაეო.
ღილღველთა, ყარწიკაიანთაო.

ამ დროს ერთ არხოტიონთ ქალი იყვ აქ ჴმით მატირალი. ის თამარიზძის სატირლად არ მივიდოდ, რო იქავ ტირილში ჴმით მატირლებივ არხოტივნებზედავ ცუდად დაიწყებენავ ტირილსავ, მე იმას ვერ მავითმენაო-დ ისივ ჴევსურებს ეწყინებისავ. იმ ქალს ძალიან მამაც ქმარ ხყონივა-დ იმას უთქომ: „შენ წამეედივ იქავ, არხოტიონთადავ თუ ცუდ ვინ იტირავ, შენავ, რაიც გინდოდასავ ის იტირიდიო-დ, თუ რა ვინ თქოევ, მე იქ ვიქნებივ“. ჴევსურის დიაცს რო თამარიზძეზე უტირავ: „უსაფერეოთ მაკლულოო”, ეს ეწყინ არხოტიონთ ქალს, თაოდ გადმაჴდ ჴმით სატირლადა-დ იტირ:

თამარულაო, მახვედაეო,*
არხოტივნები შინ დაგიხვდაო.
ტყვიის სკამები ესხაღაეო.
წამლიან კოდნი ედგესაეო.
ვაჟებ ციხეში ხყონიყვაეო.
ბურაი გამადიოდაეო.

ჴევსურებმ რო არხოტიონთ ქალისა ესეთი სიტყვებით ტირილი გაიგონეს, ძალიან იწყინეს: უყურეო, მაგის მამისახლისგან მაკლულს თამარიზძეზედავ რად ტირისავ. დაიწყეს ჯავრობა, მაგრემ იმის ქმრის შიშით ჴმა ვერ გასცეს. ლაშქრობასა-დ ბეგრის დადებას კი თავ გაანებეს მაგანძურებმ, რაკი გაიგეს რო არხოტივნები ბეგარს არ იდებდესა-დ იქ დაჴოცვილის კაცების თავ-სისხლ კი დაზდვეს არხოტივნებს. ჴევსურეთის წესით ყველა რიგ იყენესა-დ ბოლოს თითო საკლავსად ქინთით არაეს უზიდევდეს წელში თითოჯერ, თითო კაცის თავში. ამას ხქვიან რიგის ყენება. ერთხან იონეურის ჩამამავლობის კაცმ, სახელად ბურძგლამ წაიღ თამარიზძის რიგი, გზაზევ არაყ ქვე დაეხარჯ, დამთვრალიყვ, გადაქცეულიყვა-დ ცხენის ხურჯინიცა-დ წაყვანილ საკლავიც დახკარგ. დაბრუნვილი შინ მავიდა-დ არცად წასულან ამ წელს რიგის საყენებად. იწყინეს რიგის აღარ ყენება თამარიზძის მოგვარეებმა-დ წამავიდეს შურის საძებრად. ეს იქნებოდ თამარიზძის სიკვდილიდგეს მესამე თუ მეოთხე თაობა, რიგ რო აღარ უყენეს. ამ წელს მალე დაზამორდა-დ მეორე ზაფხულ რო მავიდ, დაიწყეს შურის საძებრად სიარული. უნდა მაეკლ თამარიზძის მამკლავო გვარში, ე. ი. ჴარათ გვარში ერთ-ერთი კაცი, ვინაც უნდა ყოფილიყვ. მასულები ჴარათ სახლებთან ახლოს ჩასაფრდეს კაცის მასაკლავად, მაგრემ ერთმ ამათ გვარის ბებერმ კაცმ, სახელად ოდინამ თვალ შააგდ ჴევსურის მზირთა-დ სოფელში ჴმა გაუტეხ. ახიელელნი შაიარაღდეს, ჯერ იქ დაიწყეს ძევაი, მემრ მიხვდეს, რო ესეებივ გუდანლები იქნებოდესა, წამავიდეს, გზა შაუკრესა-დ მოელ ღამე თეორად გააოენეს იმათ ყარაულობას, მაგრემ ჴევსურებმ ეს იცოდეს; ჴმა რო გაგვიტყდავ, ეხლად

* აჩქარებულმა თამარიზძის მაგიერ თამარულა ახსენა. ეს კი ქალის სახელია.

გზას შაგვიკვრენაო-დ იმით უგზოზე გაიპარნეს მიტალათ-ას. მემრ იქავ რიგი იყენეს ჭარათ – წინას წელს რაიც დააკლდ, ის რიგიც უყენესა-დ ახალ რიგიც კიდევ ორივ ერთად მოღგვარეს საკლავიცა-დ სასმელიც მიუტანეს. ბოლოს ჭევსურების საერთო კრებამ გადაწყვიტ ძველის თავების გათავებაი. მეთავეს ლუდ უნდა ედუღ, ერთ კურეტ უნდა დაეკლა-დ თექვსმეტ დრამა უნდა მიეც მესისხლეთად. ამ ლუდზე და კურეტის დაკვლაზე თავ-მეთავეები იმ ჯვარში ერთად შაიყრებოდეს, სადაურიც კაც მკვდარი იყვ. დრამაც აქ მაიტანესა-დ ასწონდეს შუაკაცები. აქ მახჭდებოდ საბოლოოდ შარიგება თავ-მეთავეთ გვარებისაი-დ ამ შარიგებიდგეს იქნებოდეს ისრ, რაჭელაც თავისუფალ ხალხი. მამკლავის გვარ მაკლულის გვარსთან, აქამდენ თუ ხათრიანად იყვა-დ ყმებივით ექცეოდ, ამ შარიგებიდგეს სრუ იკარგებოდ ხათრიცა-დ სხოიც სუყველაი. ჭევსურთ ამ ახალი რჯულის მიხედვით არხოტივნებმა-დ მაგანძურებმაც გაათავეს ეს სამის კაცის თავი. თითოზე ამ მოკლულების ჩამომავლობამ თექვსმეტ ძროხა დრამა აიღეს, კურეტი დაკლეს თითოი, თითო ქვაბ ლუდ ადუღესა-დ შუაკაცების დაჭმარებით ერთად შაიყარნესა-დ გაათავეს საბოლოოდ თავ-სისხლი. ამ ლაშქრობის დროს ნათქვამ ლექს კიდევ ას ჭევსურებზედა-დ არხოტივნებზე:

შავხენე კვირიწმიდასა, ყროლანი გამადიანა,*
აქა ნუ მაზდით, ყროლანო, გულს სისხლი გადამდიანა.
არ დაიჯერეს ყროლათა, სოფლადავ შამადიანა,
ციხით დაშჭეხნა ბურამა, ყაწიმნი ლამში ხყრიანა.
ამადეგ თამარიზძეო, ლულუან გელევიანა.
ჩამაკედ ივანეურო, ყმაწვილას გაქებდიანა.

(ლულუანი: ბრჭყვიალა რამეზე ბავშვებს ეტყვიან ის ლულუა არისო და ამ ლექსში თამარიზძეს ირონიით ეუბნება ბავშურის ენით მელექსე. ლულუან გელევიანო. კვირიწმიდა: სოფელი ხევსურების მოსასვლელ გზაში). ერთი ასეთი ლაშქრობა ქმოსტზე მაუჭდენავ მაგანძურსა-დ ბეგარ დაუდვავ წელში ერთ ცხვარი-დ სასმელი გუდანის ჯვარში მისაყვანადა-დ მისატანად. ის კი არვის აჭსონს, რაჭელ იბძოლეს ქმოსტელთა-დ მაგანძურმ. ეს ბეგარი ნელობამდინ კი მიუდიოდ მაგანძურსა-დ გუდანის ჯვარს. ბოლოს ქმოსტლებმ ბეგარზე უარ უთხრესა-დ მაემზად მაგანძურიც ქმოსტისად დასაცემლადა-დ ძალით ბეგრის წასაღებად. ქმოსტი ერთ სოფელია-დ ერთ სოფელი არხოტ ხყავ მამიძმაი. ქმოსტელთ მამიძმაი ას სოფელ ახიელი. ის კი არვის აჭსონს, ნამდვილ მამიძმაი ასა, თუ ჭარით შაყრილან მამიძმაობაზე. ხოლოთ საერთო მტერთან კი გვერდი უდგებოდეს ერთუცს. ახიელელთ გაიგეს,

* ყროლანი – ბუდის ხევსურები.

რო მაგანძურივ ქმოსტზე დასაცემლად ემზადებისავ; წალალეს ქმოსტ კაცი. ამ კაცს ბაიჭაური ექვივნ. ახიელელთ ქმოსტელთან ბაიჭაურს დაბარეს: თვალყურით იყვენითაო-დ, როსაც მაგანძურივ თქვენკე წამავავ, ჩვენ გაგვაგებიეთაო-დ მემრავ ჩვენ ვიცითავ, რაჭელ დაუხვდებითავ მაგათავ. თქვენის უძმო-უმამიძმო თუკლად ღგონიხართავ მაგანძურსა-დ კაც-ბევრაობით უნდავ, რო მაგერივნანთაო-დ ბეგარ წაიღანავ. თქვენ არ ხართავ უმამიძმონივ, აქ გყვიორთავ ჩვენავ. თუ ეგენივ არ დაიშლიანაო-დ მაინც ძალს გაღბედვენავ, სრუ მკვდრებით ავავსებთავ მაგათავ. ქმოსტელთ ბაიჭაურის პირით ახიელლებს მადლობა შამაუთვალესა-დ სრული იმედი გამაოქვეს. მემრ მაგანძურსაც შაუთვალეს: მეედითავ, თუ მაზდითავ, თქვენ თუ ბევრი ხართავ, მამიძმანივ ჩვენიც ახიელელნიო-დ ვნახათავ ვინ იზარალებსავ. თუ მაინც არ დაიშლითავ, ჯერ კი გირჩევთავ, რო თავ დაგვანებეთაო-დ ბევრ სისხლ არ დაიღვარასავ. ჩვენ არა გვმართებსავ თქვენივ, წინავაც ძალმამრეობით გვართვემდითავ ბეგარსავ. მაგანძურსაც ხყვანდ ჭკვიან ხალხი უფროსები-დ დაუშალეს ახლებს ქმოსტის დალაშქვრაი, იმის მემრ აღარც ბეგარ მიუცავ ქმოსტელთ.

ქისტის ლაშქრის დაცემა თუშების და ფშავლების ცხვარზე ბაგის მეთაურობით

მიამბო ბიჭურ ბადრიშვილმა, 50 წლისამ, სოფ. შუაფხოში, 1939 წელს

ქისტები ხშირ შემთხვევაში ეცემოდნენ ფშავლების და თუშების ცხვარ-ძროხას და მიუდიოდათ მითხოსაკე. სხვათა შორის, ერთხელ წამოვიდა ძალიან მძიმე ლაშქარი ცხვრის ფარების გასარეკად. მაშინ გაზაფხული იყო და მთებზე თოვლი კარგად არ იყო გამშრალი. ამ დროს ცხვარი შირაქიდან ამოსულიყო და თუშეთშიც და ფშავშიც ჯერ კიდევ ბარ ადგილებზე ტრიალებდა. მთაში ჯერ ბალახი ვერ იყო მოსული და ამიტომ საზაფხულო საძოვრებზე არ ამოსულიყვნენ. ქისტები ამ დროს იმიტომ წამოვიდნენ, რომ მაშინ მთებზე კიდევ თოვლი იყო და არავის ეგონა, თუ იქ, ან ადამიანი გაიძლებდა ღამით, ან ცხვრის გარეკა შეიძლებოდა ამ თოვლიანს მთაზე. მაგრამ ქისტები თუ რამეს დაეცემოდნენ და მოიპარავდნენ, საამისოდ თავს არც სასიკვდილოდ დაზოგავდნენ. ფშავლებს კი ეგონა, და თუშებსაც, ჯერ მთები გამოსული არ არის და მტერი აქ ვერ მოვაო, ამიტომ იყვნენ გაბრიყვებულად. ლაშქარი ღამით მოვიდა თუშთ-ბორბალაზე (მთა გადასასვლელი თუშეთისკენ). რადგან ძალიან მძიმე ლაშქარი იყო და ამდენი ხალხის ერთად წასვლა საჭირო არ იყო, ამიტომ აქ ლაშქარი ორად გაიყო შემდეგის პირობით: ნახევარი ლაშქარი თუშეთში უნდა წასულიყო და აქედან წამოეღო ცხვრის ფარა, ნახევარი კი ფშავში და აქ, სადაც

შეხვდებოდა, წამოიღებდნენ ცხვრის ფარას. ფშავიდან გამოატარებდნენ ფშავეთის მთებს და თუშთ ბორბალაზე მოვიდოდნენ, თუშეთიდან წამოღებულ ფარასაც ამავე თუშთ ბორბალაზე გადმოატარებდნენ და ანდაქის მთებში ერთი მეორეს შეუერთებოდნენ. მთლიანად ლაშქრის წინამძღოლი იყო მითხოში სახელგანთქმული ყაჩაღი ბაგი და ერთი თანაშემწე ყავდა. ბაგი ფშავში წამოსულ ლაშქარს გამოუძღვა და მისი თანაშემწე თუშეთში გაუძღვა ლაშქარს. პირობა ჰქონდათ: ვინიცობაა, თუ ერთ-ერთმა ლაშქარმა გაიმარჯვა და მეორემ რაიმე მიზეზით ვერ გამორეკა ცხვარი, მაშინ რომელიც მორეკავდა ცხვრის ფარას, ყველანი გაინაწილებდნენ, ხოლოთ მეტი წილი ერგებოდა გამარჯვებულ ლაშქარს. ფშავში წამოსული ლაშქარი სულ მთიდიმთივ წამოვიდა; გზადაგზა, სადაც საჭირო იყო, მეწვერე ყარაულები დააყენეს, ბორბალოდან მოყოლებულის სოფლიონამდინ. სოფლიონი თიანეთის ახლო არის იორზე და აქ შემომდგარიყო ფშავლების ცხვარი, საზამთრო საძოვრიდან – შირაქიდან, საზაფხულო სამთოებისკე წამოსული. აქ ბევრი ცხვრის ფარები იდგა. უფრო სათავეზე იდგა ჯლუგა ახალაურის, ანუ ჩორხაულის ცხვარი. ჯლუგა სოფელ უძილაურთიდან იყო და შვიდას-რვაასი სული ცხვარი ყავდა. ცხვარი მოდიოდა უძილაურთისაკე, მაგრამ, რადგან უძილაურთა მთა ადგილია და სოფლიონი უფრო ბარად არის, ჯერ-ჯერობით აქ ტრიალებდა, ვიდრე მთებში ბალახი ამოვიდოდა. მთა ბორბალოდან სოფლიონამდინ ძალიან შორს მანძილზე არის გადაჭიმული და კარგა ბლომად ხალხი დაშჭირდა მთის წვერებზე საყარაულოდ. ბოლოს ცხვარზე დასაცემად მაინც ასზე მეტი კაცი დარჩა კიდევ. ლაშქარი ღამის სიბნელეში სოფლივნის თავს მიიპარა და იქ ტაფებში დაიმალა, სადაც ამ დროს არავინ დადიოდა. იქით-აქეთ ყარაულები ედგა და ათვალიერებდნენ გზებს. საღამო ხანზე შეათვალიერეს ჯლუგას ცხვარ-ბინა, რომელიც უფრო ახლო იყო მათთან. დაღამდა და გრძელ ვახშმობის დროს დაეცნეს ბინას. ერთი წყემსი მოკლეს და სხვები გაიქცნენ. ბევრი ისროლეს, რომ მთლად განათდა ის არემარე. ჯლუგას ცხვრის ფარას გამოუქეჩეს და გამორეკეს. დანარჩენ ფარებს პატრონებმა წამოურბინეს და სულ ბარად ჩარეკეს. თოფის ხმაზე ხმა გატყდა იორზე დასახლებულ ფშავლის სოფლებში და მდევრად წამოვიდნენ, ცხვარი კი მოდიოდა მთიდიმთივ. ჯლუგას ძმისწული ლექსო წამოვიდა ღამიღამ და მოვიდა ფშავისჭევს, ე. ი. არაგვის სათავეებში დასახლებულ ფშავში, უკანაფშავის თემში და აქ გატეხა ხმა. უძილაურთაც ამ თემში შედის და ეს ცხვარ-ბინა აქაური იყო. აქ ყველა სოფლებში მეორე დღეს გატყდა ხმა და ეს ხალხიც წამოვიდა გზის შასაკრავად. ცხვარი პირველად ჩქარა წამოვიდა, მაგრამ, როცა თოვლიან მთაზე ამოვიდა და თანაც დაიღალა, ნელ-ნელად მოდიოდა. მეორე დღეს ფშავის მთები ვერც კი დაანახევრეს. ივრიდან, სოფელ ბაჩლიდან წამოსულა ოთხი კაცი პირველსავე ჭმის გატეხაზე. იმავე ღამეს ამოვიდენ მთაზე, ნახეს კვალი და ჯერ არ იყო ცხვარი გამოვლილი. ახალგაზდებს გაუხარდა, რომ ცხვარს წინ შემოასწრეს და ადგილობრ

ქადღელეში ჩაუსაფრდენ. ჩაუსაფრდენ დაბალ ადგილზე, მაგრამ ძალიან მოტყუვდენ. იქ იყო მაღალი მწვერვალებიც და იქ თუ ჩასაფრებოდენ, ქისტებს საშუალება არ მიეცემოდა ჩასაფრებულების დაზიანებისა, აქ კი მწვერვალიდან შემოუარეს ქისტებმა და ჩასაფრებულები დააზარალეს; ფშავლებმა სანგლები გააკეთეს ქადღელეში და ისე ჩასაფრდენ, რომ ცხვარი რომელი გზიდანაც მოვიდოდა, თვალი იქით ეჭირათ. მათ იცოდნენ, რომ აუცილებლივ ამ გზით, ე. ი. წვერიწვერ გამოატარებდნენ ცხვარს. სხვა გზა აქ არ იყო. გათენდა, მზე ამოვიდა და ამ დროს მოვიდა პირველად ქეჩები, ჯლუგას დიდი ვაცები ჰყავდა მაღალრქებიანი და ისინი იყვნენ ქეჩებად გაწვრთნილნი. ფშავლებმა პირველად ხმაური გაიგონეს, რომ ქისტები ცხვარს მოერეკებოდნენ. მოკლედვე გამოჩნდა ჯლუგას ვაცის რქები და მოჰყვნენ ქისტებიც. ეს მაღლობზე იყო და ფშავლები დაბალში იყვნენ ჩამსხდრები. ზევიდან ქვევით უნდა დაეშვას ცხვრის ფარა და მერე ჩამოვიდოდა ამ ღელეში (უღელტეხილში) სადაც ოთხი ფშაველი იყო ჩასაფრებული. ცხვარი და ლაშქარი რომ მოვიდა, ფშავლებმა ცოტა ხანს აცალეს, რომ უფრო ახლოს მოსულიყვნენ და მერე ოთხივემ ერთბაშად აუტეხეს სროლა. პირველ სროლაზედვე ერთი კაცი მოკლეს და მეორე დაჭრეს. ცხვარს თავი დანებდა და ქისტები იქით-აქეთ გაიფანტნენ. ჯერ აქედან დაუწყეს სროლა ქისტებმაც, მერე ივრის მხარეზე გაუარეს ღელეს, სადაც ისხდნენ ფშავლები. ამ ადგილს ზურგიდან და ზემოდან მოუარეს, ფშავლები იმათვე ესროდნენ, ვინც პირდაპირ იმათ ესროდა, მეორეებმა კი შემოურბინეს და ზურგიდან ერთი ოცამდინ კაცმა ერთბაშად ესროლა და იქვე მოკლეს ოთხივე ფშაველი. ერთ მათგანს ხელიც მოაჭრეს და სხვებს ყურები დააჭრეს. იარაღიც აჰყარეს და ეს ყველაფერი თან წაიღეს. არც თავისი მკვდარი დასტოვეს აქ, ცხვარიც გარეკეს და გაუდგნენ ისევ გზას. ამ ამბავზე და ოთხ ფშაველზე, რომლებიც აქ დაიხოცნენ, გამოთქმულია შემდეგი ლექსი:

პირველად ღმერთი ვახსენოთ, ერში საყდარში მჯდარია.
მეორე თამარი ნეფე, ქრისტიანთ სახვეწარია.
მესამე ლაშარის ჯვარი, ფშავლების საკვეხარია.
ამბობენ ჯარეგაშია, მითხოს იყრება ჯარია.
სულითამც დაიკარგება, ბაგი ხყავ წინამძღვარია.
დილა ნუმც გათენებულა სამშაბათ საწყინარია.
ორშაბათს გადმაუტეხავ ჩვენის სამშობლოს კარია.
ახალაურსა ჯლუგასა ნუმცა ჰყოლია ცხვარია!
სუ მაგისაგან დაბრუნდა ამოდენ ცოდვა-ბრალია.
მაცნე მოიდა ბაჩალსა, ქისტებმ წაგვართვეს ცხვარია.
შაიყრებიან ბაჩალსა ოთხნივე ვეფხვნი ძმანია.

საქისტოს გორ-გორ წამავლენ, ამაზე მოკლე გზანია;
ერთმანეთს ეუბნებიან, ძმურად უჭიროთ მჭარია.
წინ მაუძღვება ბერიძე, შური შჭირს საძებარია.
მაშ რა ქნას, თუ არ წავიდეს? შვიდის წლის ნაწყემსარია.
მაჰყვება ნაკვეთაური, გულ უძეს უშიშარია.
ჭამაურ უფრო წინ უსწრებს, მთის შავარდენი ჩქარია.
უკენ მაჰყვება მჭედლური მძიმედა, როგორც ჭარია.
შამოხდეს ქადღელეშია, სადაც რო მადალნ მთანია.
ერთმანეთს ეუბნებიან, არ გაუტანავ კვალია.
თქვეს, მშვიდობითა ბაჩალო, მთებს შამაავლეს თვალია.
სანგალს დაუწყოთ კეთება, თორე თენების ხანია!
იქ გააკეთეს სანგალი, საც ვიწრო გასავალია;
გათენდა, კიდეც გადმოჩნდეს ჯლუგაის ვაცის რქანია.
მაუქეჩებენ რჯულძაღლნი, ეჟვნებს გაჰქონდა ჩქამია.
გადმაჰყვეს ქისტის შვილები, ჩუმი აქვს საუბარია.
ესროლეს, გამააგორეს: ეხლა გარეკეთ ცხვარია.
იმათაც ხელი უქციეს, რო ნახეს თავის მკვდარია.
ვაჰმე, რას ვერას გიქმოდათ ეგ მაგოდენა ჯარია?
ომია ქადღელეშია, დაბლა წვიმს, მაღლა დარია.
თითოს შჭირს ორორლ-სამ-სამი, პეტრეს მოგვიჭრეს მხარია.
მჭარს რადღა შჭრიდით, რჯულძაღლნო, რასად გიქმოდათ მკვდარია.
ან ყურებს რადღა აჭრიდით, ეგ რაღა საკვეხარია.
უშველე თამარ ნეფეო, შენც ხო წაგისხეს ცხვარია!
არც თუ შენ გხურავ გვირგვინი, არც ლაშარის ჯვარს ჭმალია
აღარ თუ ხყავის ლურჯაი, როგორც რო ნიავქარია?
ცავ, რადარ ჩამაიქცევი? ზედ მაგევლება ბარია!
ნუ მიწყენთ დალოცვილებო, ჩემ სიტყვა პირისქარია.
უფრო ბერიძე დამნანდა, მაგის სიკვდილი ბრალია.
ბებერნ დედმამან დაწირნა, დიაცი ბატარძალია!
ეგ საქორწილო პურ-ღვინო, ახლა სარიგოდ არია.
ნახნავებ დასაფარ დარჩა, გუთანში შაბმულ ჭარია.
სათიბე გასათიბავი, ყანები დასამკალია.
დედ-მამა დასამარხავი, გამაეჯარა კარია.
ამაგის მალექსებელი სოფლად ყვარაში მდგარია.
გიორგი მქვიან სახელი, კობრეშვილობით გვარია.

ეს ოთხ ახალგაზდა რო მაკლეს, ეროის ჭელი-დ ყურები ყველაისა დაშჭრეს, თან წაიღეს. ზოგებმა საკაცე გააკეთეს და თავისი მკვდარიც თან წაიღეს. ზოგმა ცხვარს გამოუქეჩა ისევ. ფშავის ხევის ხალხი წამოვიდა. ზოგი ბორბალოზედ გზის შასაკრავად და ზოგი სხვა, ფშავის მთების გადასავლებში მიეშურებოდნენ, მაგრამ აქ ყველგან ქისტის ყარაულები დახვდნენ და მთებზე ასვლის და ცხვრისათვის გზის შეკვრის საშუალებას არ აძლევდნენ. ცხვარს თანდათან გაუჭირდა თოვლში სიარული უჭმელს, თან საკვალავი თოვლი იყო და ამიტომ ნელ-ნელად მოდიოდა. მეორე დღეს ისევ მშავის მთებზე დაუდამდათ, ხალხი ივრის მხრიდანაც მოჰყვებოდა მდევრად, არაგვის მხრიდანაც, მაგრამ წვერებზე ყველგან იყო ყარაულები და არ უშვებდნენ მდევრად მისულ ფშავლებს. ცხვარს მეორე დღეს მთიდიმთივ სიარული გაუჭირდა, უკანაფშავის მთებში, სახელდობრ საჭარავნოში გადმოყარეს არაგვის სათავეებში, აქ აპირობდნენ ბოთანაში გასვლას და იქიდან გადარეკას ანდაქის სათავეებში. მგრამ აქ ფშავლებს გზა ჰქონდა შაკრული და სროლა აუტეხეს. აქედან ცხვარი ისევ უკან დააბრუნეს და გადავიდნენ ალაზნის სათავეებში წიფლოვანში. ფშავლებს სროლა ნაჩქარევი მოუვიდათ, თუ ედროვა და ცხვარი დაბლა ჩამოსულიყო, მაშინ ფშავლები ცხვარსაც დააყრევინებდნენ და ლაშქარსაც აზარალებდნენ. მაგრამ გადმოვიდა თუ არა ცხვარი პირაქეთს, იმათ თოფის სროლა დაიწყეს და ქისტებმა ცხვარი შეატრიალეს და, როგორც ვოქვით, ამ მთას მეორე მხარეზე მოექცნენ, ქისტებს სადაც ცხვარი მიუდიოდა, აქ მძიმე ლაშქარი იყო, წინაც, მთებზე ბლომად ყარაულები იყვნენ და ცხვრის გასავალ გზაზე, მდევრად მისულს ფშავლებს არ უშვებდნენ. სადაც გაატარეს ცხვარი, აქაც გზადაგზა ყარაულებს ტოვებდნენ, რომ მდევარი უკან ცხვარს არ წამოსწეოდა და ზარალი არ მიეყენა ლაშქრისათვის. ყარაულების საშუალებით ისეთ მოხერხებულად მიუდიოდათ ცხვრის ფარა, რომ არავის არ შეეძლო მისი დაყრევინება. ასეთი ყოფით ორი დღე-ღამე იარეს ფშავის მთებში და მესამე დღეს მიაღწიეს თუშთ ბორბალამდინ. ყარაულებსა და ფშავლებს გზადაგზა სუ ყოველთვის განუწყვეტელი სროლა ჰქონდათ, ფშაველი იმ ოთხი კაცის გარდა აღარავინ მომკვდარა, ქისტი კი ორი კიდევ მოკლეს. ერთი ისეთ ადგილას მოკლეს, რომ ლაშქარმა ვეღარ მოახერხა მისი ცხედარის თან წაღება და ადგილზე დარჩა. მისი ძვლები დიდხნობამდინ იყო იქ და მერე წაიღეს ჩუმად.

ცხვრის წამოღების მესამე დღე იყო, რომ ფშავლები ნამდვილ ბორბალოს მთაზე ავიდნენ. ბორბალოდან ყველა ადგილები ჩანდა: ალაზნის სათავე, ივრის სათავე, არაგვის სათავე და არღუნის სათავეები. ჯლუგას ცხვარი ჯერ კიდევ არ იყო თუშთ ბორბალოზე გასული, არც ამ ბორბალოდან ჩანდა ის ცხვარი, რადგან პირიქითს მოფარებით მოუდიოდა წიფლოვანზე. ბორბალოზე ასულმა ფშავლებმა ქისტის ყარაულები სროლით მოიშორეს და თვითონ დაიჭირეს მწვერვალი. ეს იყო

დილას ადრე, მზის ამოსვლის დროს. ნახეს, რომ ჯლუგას ცხვარი არსად არის მოსული, ხოლოთ თუშეთიდან მოდის დიდი მძიმე ცხვრის ფარა; ტბათანის თავზე წამოწოლილი გორი იყო და ტბათანიდან გამოტაცებულ ცხვრის ფარას ლაშქრის მეორე ნახევარი მოერეკებოდა. როგორც ეტყობოდა, თუშები მდევრად მოჰყვებოდნენ და დაუსრულებელი თოფის ხმა ისმოდა. მაგრამ ცხვარი მაინც დაუბრკოლებლად მოდიოდა, იმიტომ, რომ აქაც ლაშქარს ყარაულები წინაც გაეგზავნა და უკანაც დაეტოვებინა. თუშებთან სროლა ჰქონდა ამ ყარაულებს და ცხვარი თავისუფლად მოდიოდა. თუშის ორ ბინას, ახლო-მახლო მდგომს, დასცემოდა ლაშქარი, სამი მწყემსი იქვე მოეკლა და ორი ფარა გაეერთიანებინა და გამოერეკა. თუშები რომ მოსდევდნენ და ესროდნენ, აქ ერთი ქისტი მომკვარიყო და ორი დაჭრილიყო. ფშავლებმა რომ დაინახეს თუშეთიდან მძიმე ცხვრის ფარა მოდის, მაღალი ბორბალოდან დაეშვნენ თუშთ ბორბალოსაკე, თუშეთიდან მომავალი ლაშქრისათვის გზის შესაკრავად, რადგან დაინახეს, რომ თუშთ ბორბალოზე ყარაული არ იყო. აქ ისეთი ადგილია, რომ ფშავლები თუ მიასწრობდნენ და შეკრავდნენ თუშთ ბორბალოს, მაშინ აღარც თუშეთიდან წამოღებულ (გამორეკილის მაგიერ წამოღებულს ლაპარაკობენ ასეთ შემთხვევაში) ცხვრის ფარას გაატანდნენ და არც ფშავეთიდან წამოღებულს და ლაშქარსაც დიდ ზიანს მიაყენებდნენ, მაგრამ გზის შესაკრავად წასულ ფშავლებს ქისტებმა თვალი შემოაგდეს და ცხრა-ათმა კაცმა გამოსწია ზევით მთისკენ. ორი მოპირდაპირე, რომელიც მთაზე მიასწრებდა და გამაგრდებოდა, ის იქნებოდა გამარჯვებული, რადგან მეორეს აქ აღარ დაანებებდა გზას. ქისტები თან გამორბოდნენ და თან ესროდნენ ფშავლებს. იმათ მანძილიც მოკლე ჰქონდა, მაგრამ გამბედაობა და სიმარდეც ფშავლებზე მეტი გამოიჩინეს და მათ შეასწრეს თუშთ ბორბალოს ღელეში; ამოსვლისას ერთმა ქისტმა ქართულ ენაზე ხმამაღლა დაიძახა: „გაუმარჯოს”. ამიტომ ფშავლებს ეჭვიც ეპარებოდა: შეიძლება ვინმე მიღმაჭეველი ჭევსური ედგაო, ე. ი. შეიძლება არდოტელი ან მუცუელი ხევსური ვინმე იყო ამ ლაშქარში და ქართულ ენაზე იმან დაიძახა „გაუმარჯოს”-ო. მაგრამ ქისტებიც ბევრი არიან, რომ ქართული ენა წმიდად იციან და იმათაც შეეძლო ქართულად გამარჯვების აღნიშვნა. ქისტები რომ მთაზე ამოვიდნენ, მაშინვე ჩასაფრდნენ კლდიან ადგილებში და იქისაკე მიმავალი ფშავლები სროლით მიაბრუნეს უკან. ცხვარს წინ მოუმძღვარებდენ ქეჩებს და შუადაშუა კიდევ ხალხი ედგა. ვინც ცხვართან იყო, ისინი არც ზრუნავდნენ სხვა რამეზე, გარდა ცხვრის გამორეკისა. მათ არ სჭირდებოდა არც თავდაცვა, რადგან დამცველი ხალხი წინაც ჰყავდათ და უკანაც დატოვებული. ცხვარი დამშეული მოდიოდა და თან საკვალავ თოვლში სიარული უჭირდა. ამიტომ ნელ-ნელა მოერეკებოდნენ. ცხვრის ფარა რომ მთას მოუახლოვდა, ხალხის უმრავლესობა წამოვიდა და მოებზე პირიქით-პირაქეთ ყარაულებად გაიფანტა. ფშავლებს ეჭირა მაღლა ბორბალოს მთავარი მწვერვალი,

მაგრამ ქისტებს ეს გზა აღარ სჭირდებოდა, რადგან ფშავლებიდან გატაცებული ცხვრის ფარაც ამ მთის მეორე მხარეზე მოაქციეს და თუშთ ბორბალოსკენ მიუდიოდათ, მათი გასავალი გზაც უზრუნველყოფილი იყო ყარაულებით. ამ ცხვრის ფარას ფშავლები ბორბალოდან ზედ დაჰყურებდნენ, დურბინდებით თხას და ცხვარსაც სცნობდნენ ცალკ-ცალკე, უიარაღო თვალით კი ხალხს დათვლიდნენ რამდენი კაცი იყო, თოფებს ესროდნენ ფშავლებიც და ისინიც, მაგრამ ბევრი არაფერი აკლდებოდათ, რადგან მანძილი კარგა შორს იყო. ამიტომ ნელ-ნელა ესროდნენ ერთიმეორეს. ქისტებმა რომ თუშთ ბორბალო დაიჭირეს, ფშავლებს ეგონა, ისინი მარტო ამით დაკმაყოფილდნენ, მაგრამ ქისტები ისე გაიფანტნენ, რომ სულ დაიჭირეს იქაური მიდამოები. ფშავლებმა საისაკეც ფეხი გადგეს წასასვლელად და გზის შესაკრავად, იმდენი ტყვია გამოისროლეს ქისტებმა, რომ წვიმასავით მოდიოდა და გამართული ფშავლები უკანვე ბრუნდებოდნენ. ისე მრავლდებოდა თოფის ხმა, რომ კაცი იტყოდა ეს კლდეები ფეთქდებაო. თუშეთიდან გამორეკილი ფარა ამნაირად ამოვიდა თუშთ ბორბალოზე, გადაეფინა ანდაქის მთებში და დამშეული ცხვარი დაედო საძოვარ ბალახს. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჯლუგას ცხვრის ფარაც და გადავიდა თუშთ ბორბალოზე, გადავიდა ანდაქის მთაში და ორი მძიმე ფარა გაერთიანდა ფშავლებისა და თუშების ცხვრისა. ყარაულებმა რომ მთები საკმარისად დაიჭირეს და გამაგრდნენ, ქისტებმა აქ თითქმის ნახევარი დღე დაისვენეს. ცხვრის ფარები მოაძოვეს და თვითონაც ძალიან დაქანცული ხალხი ისვენებდა, თან მოელოდნენ უკან ჩამორჩენილ ყარაულებს. თუშეთის მხრიდან კარგა ხანს ისმოდა თოფის ხმა, მდევრად გამომდგარი თუშებისაგან და ყარაულებისაგან. ფშავლებიც სხვას ვედარაფერს ახერხებდნენ, რადგან მთები ქისტებს ეჭირათ. ბოლოს თუშებმაც რომ ვედარაფერი გააწყვეს, დაბრუნდენ უკან. რადგან ქისტის ყარაულებმა არსად გზა აღარ დაანებეს, ფშავლებმაც საღამო ხანზე დაანებეს თავი და წამოვიდნენ ფშავში. ქისტებმა კი ეს ორი შეერთებული ფარა გარეკეს ანდაქ-არჭილოს მთების თავებზე და გადავიდნენ მითხოში; იქ გაინაწილეს ამოდენა ცხვარი.

ასეთი შემთხვევები თუშ-ფშავლებსა და ქისტებს შორის აუარებელი იყო, ამის ჯავრზე იყო რომ ეს თუშ-ფშავლებიც ეცემოდნენ ქისტებს, მაგრამ ქურდობა-ყაჩაღობაში გამარჯვებული მაინც ქისტები რჩებოდნენ.

ასეთი ზარალის შემდეგ, ფშაველმა და თუშმა მეცხვარეებმა ერთიმეორისათვის დახმარება იცოდნენ. რამდენითაც ვის შეეძლო, იმდენ ცხვარს აჩუქებდენ. იტყოდენ, მაგას თავის უხეირობით არ მოუვიდა, ეგ მტრის ძალა იყო და მერე სხვას მოგვერგებაო. ამიტომ აჩუქებდენ და, თუ მეტი არა, იმავე წელს ასი ცხვარი მაინც მოუგროვდებოდა დაზარალებულ მეცხვარეს. ჯლუგაც ძველი მეცხვარე იყო და ასეთი დახმარება ბევრისთვის ჰქონდა გაწეული. ახლა რომ ამანაც იზარალა,

ბევრმა აჩუქა ცხვრები და ამავე წელს ორასამდინ ცხვარი ყავდა და ისევ მეცხვარედ დადიოდა. თუშებშიც ასევე იყო და, ვისიც ცხვარი წავიდა, იმასაც თუშებმ მიცეს ცხვარი ასამდინ სული.

ქისტის ლაშქრის წამოსვლა საჭევსურეთოდ, თუშეთს მიმავალ კარატის ჯვარიონთა შეხვედრა ბორბლის მთაზე და ბრძოლა ფშაველთა დახმარებით

მიამბო გიორგი ლიქოკელმა, 56 წლისამ, სოფ. აჭეში, 1936 წ.

კოპალას გადმარჯვებივა, ბორბალ გაივლის მთისასა.
არ წირავს კარატის ჯვარი თუშეთ ბეგარსა ცხვრისასა.
შაიბნეს ქისტნი-დ ჭევსურნი, ბორბალ წვერს დაზძვრენ მთისასა.
დაგლეკდესთ ქისტნი ჭევსურნო, გიშველათ თათარაულმა.
ბერმა გიშველათ ჯაჭნამა, ჩაბაკის ივანეურმა.
ხახიკის ხახონმ გიშველათ, ჟულაკმა მარიემულმა.
ხახიკის ხახონმ ჩაგიდგათ არგამაქცევის სამანი:
ვინც მაგას გარმასცილდებით, დღენიმც ნუ გისხენთ სამამდი!
წინ ბუბნი გამაუფრინდა, ვეფხვმა დაშალა ძაგარი.
ჭმანი ჩაყარნა მშავჩია, მანდით მაუვლენ თავ-კანი.
ბორბალ შაიბნეს ვაც-ვერძნი, რქათ ისარ გაზდის თბიანი.
ვაც-ვერძნ კი არა ყოფილან, კარატის ჯვარ ას ჭმლიანი.
ბორბალ აგებენ ციხესა, ბროლ-მარილაის ქვისასა.
ლიბუდ უსხედმდეს ვადათა ხახიკთ ხახონის ჭმლისათა,
შუბს უყენებენ კუთხადა, ბერისა ჯაჭნაისასა.
ფარს შაბემდეს კარადა ჩაბაკთა ყმაწვილისასა.
კედად უყრიან გალოთა მარიემულისძისათა.
ხე-ჭრად უყრიან გალოთა თავ-თავის მითხოვლისათა.
ადეშად ფერცხალს აყრიან სამოცის ფხაჭეხლისასა.
შიგ შადგა მარიემული, ფერს დაიდებდა მგლისასა;
ზოგნი მასთესნა კლდე-კართა, ზოგნი ნახრამს ხკრნა კლდისასა.
დაგვეკსენ, მარიემულო! მადლსად დაგვეკსენ ხთისასა.
გაფიცებთ ხატსა, დროშასა, ლაღის კარატის ჯვრისასა.
არ დაიჯერა ჟულაკმა, ნაქნარს ვიქ ხახონისასა.
ლანგისთ აბანო შენ გითქომ, ბორბალ მარჯვე ას სავალი,

ღნახიდი მარიემული, ლიქოკ გულდიდად მავალი!
ვნახეთა-დ მაგვეწონების, ისარნ ხქონიყვნეს მწავანი.
ჟულაკისთანა გაზარდას ჭევსურის ქალის რძემაო,
წაიარა და წაჭოცა მარიემულისძემაო.
ყველამ ეგრე ქნას ჭევსურმა, ომმ ქვე რა იცის გძელმაო.
ქალ ყველა დაიფიცებდა, ჩემისა ძმისა მზემაო.
ხახიკის ხახონმ გიბოძა ისარი ორპირიანი,
ქისტო, მთით ჩამაგაბრუნა, მიწა გაჭმივა მტვრიანი!
ჭანთეს, ტერელოს, ფხაჭეხა, კაც რამ დალივა ჭკვიანი.
გზას რად უკრევდეს კოპალას, მსახურნ ეტანნეს ჭმლიანნი.
სამოცის ფხაჭეხლისაი სამნ კიდევ დარჩეს ჭმლიანნი.

კარატის ჯვარს ახქონდ ბეგარი ოუშეთით. აქ ამ ჯვარის ჯვარიონნი სრუ წლისთაოდ დადიოდესა-დ მიხქონდ კარატის ჯვარის დროშაიც. შამაუვლიდეს ოუშეთში სოფლებს. ოუშებს კარატის ჯვარი სწამდა-დ ყველას სოფელში უჭოცდეს საკლავებს. სოფელიც სასოფლოდ უკლევდ საკლავსა-დ ვისაც სურდ თავ-თავის ოჯახშიითაც ცალკ-ცალკე დახკლევდეს საკლავს, დროშას დაღნათლევდესა-დ ჯვარიონთაც პატივს სცემდეს. ტყავიც კარატის ჯვარიონთ შჩებოდ ამ ჯვარისად დაკლულის საკლავისა, ჭორცს კი იქ ადუღილებდესა-დ იქავ ჭამდეს. როსაც შიშიანობაი-დ მტრიანობა იყვ, მაშინ კარატის ჯვარის ჯვარიონთ კიდევ გახყვებოდ კარატის ჯვარის ყმათაშიით ახალუხალი, რო სამტროს გზაში არვინ დასცემიყვ ჯვარიონთ, დროშა არვის წაეღა-დ ჯვარივნები არ დაეზიანნეს. ეხლადაც ეს ომ რო მაუჭდ, მტრიანობის გამო ჯვარიონთ ახალუხალი ხყვანდ გაყოლილი. ჯვარიონთ ლიქოკითავ მთიდიმოივ იცოდეს წასვლაი, ფშავის მთებს გაივლიდესა-დ გადავიდოდეს ოუშეთში. ამ ფშავის მთებზე ოუშეთამდინ სრუ სამტრო გზა იყვ. აქ ჭშირად დადიოდ ქისტის ლაშქარი, ან ოუშეთისად დასაცემად, ან ფშავისად, ან ჭევსურეთისად. თუ ლაშქარ არ იქნებოდ, მზირ ხო ძალიან ჭშირად დადიოდ, ან კაცის მასაკლავადა-დ ან ჭარ-ცხენისა-დ ცხვრის მასაპარავად. კარატის ჯვარიონთ ერთხან წინავაც ხქონივ ესეთ შემთხვევა, რო ამ გზაზე შახვედრივ ქისტების მეკოპარი, მედროშაევ ბღარა ქვე მაუკლავა-დ დროშა ქვე წაუღავ. მაშინ ამ დროშას ისით ზარ ხქონივ, რო იმის ჭმაივ წვერზეითავ ჭალაში მადიოდისავ. ამ ზარს ექვივნ „გაჟეკაური". ეხლადაც ჭევსურ მელექსეები თავის ფანდურს გაჟეკაურს ხქვივნებენ, ვით ჭმა-მაღლა მაძახინარს. ამ ომში, რომენიც აქ დაიწერ, კარგა ბევრ ახალ-უხალ გახყვა კარატის ჯვარის ჯვარიონთ. ბორბალ რო გავიდეს, აქ დასვენებულს ქისტის ლაშქარს წააწყდეს. ლაშქარი საფშაოდ იყვ მიმდინარი-დ კარატის ჯვარის ჯვარიონთ დაეცნეს თავს. ერთ ახალგაზდა გაიქცა-დ მთაში ამასულ ფშავლებს

შაატყობივა-დ ისენიც მაეშველნეს. თაოდ ჭევსურებსაც მშვილდ-ისრები ხქონდა-დ გაჭდ ძალიან დიდ ომი. ზოგნი ჭმლით ომობდესა-დ ზოგნი მშვილდ-ისრით. ორსავ მჭარეზედ ბევრ ხალხ დაზარალდ. ბოლოს ერთ ქისტი ვეღარაით მაკლეს, რაკი ისით ჯაჭვ ეცვ, რო ისარ ვერას აკლებდ, ვერც ჭმალი. ბოლოს ხახიკის ხახონმ ესრივ ისარი წახრილსა-დ ჯაჭვის ბოლოში დაკრული ყელჩი გაშჩინდა-დ მაკლ ისიც. გიორგის თქმითა-დ ხალხის გადმაცემით, იმ ომში მამკვდარ სამოც ქისტი ფხაჭეხელი. ჭევსურებიც კი დაჭოცილან ამ ომშია-დ არ არიან დასახელებული.

გიორგანი, მათი მონადირეობა და ქისტებთან მოსისხლეობა

მიამბო და ჩამაწერინა კაგა ნაროზაულმა,
80 წლისამ, სოფ. ახიელში, 1925 წელს

გიორგანი ეს ერთ მამაი ას წიკლაურების გვარშია-დ ამღას ცხოვრობენ. ამათ მამა-პაპას საქმე არა ბევრად უკეთებავ. ესენი სრუ სანადირო კლდეში ისხდეს, ჭოცდეს ნადირსად, ზიდევდეს ჭორცს. ნახევართხან იმის ჭორცით იკვებებოდეს. სთველთ ლეშ წამაიღიან შინა, ძვალ იქავ სწირიან სანადიროში, გაზაფხულ ლეშ არა ბევრად მახქონდ, ძვალ წამაიღიან – ლეშივ გაგვიფუჭვდებისავ ზაფხულისავ, გაზაფხულის ძვალსავ ტვინი აქვავ ბევრიო-დ იმით იკვებებოდეს. მაშინ ნადირიც ცხვრის ფარასავით ბევრ ყოფილა ჩვენს სანადიროს კლდეებში. ხანდიხან სათიბზე ნამყოფთ მაიგონიან: ეეხლადავ ახალ ჭორც მავიტანათავ; წავიდიან, მაკლიანა-დ წუხრისად ნადირის ჭორცის ბარგებ მაიტანიან. სხოდაც ყველაად სახელგანთქმულნ ყოფილან გიორგანი, მეთოფენი, მამაცნი, პურადნი, მუჭლადნი, ერთი სიტყვით, რაიც საოშკაცო საქმე იყვ, ამათ გვარის ხალხნი ყველაში საიმედონი-დ გამასადეგნ იყვნეს. ერთს უშიშა ექვივნ ამათასა-დ ისით ჩქარა მსრეველ ყოფილ თოფისა, რო ზეამამავლის ყორნისად სამის სრევა მაუსწვრავ ქართულის თოფისაი, ზეამამავალს (ჰაერში) ყორანს მესამე ნასრევ ტყვია მახვედრივა-დ ჩამავარდნილ. თამარიზძეი-დ უშიშა. თამარიზძეს უთქომ უშიშაისად, ნაწოლნ ჯიჭვნ რო უნახიან: შენ წეედივ დასთოფნიო-დ მე აქ შამამიჭდებიანავ დაღალულნიო-დ მემრავ მე ვიცივ. უშიშა წასულ ისითის გზისას, სადაც ჯიხვები ვერ ღნახევდეს ნაწოლები, შორისას უნდოდ მავლა-მიპარება ჯიჭვთად. თამარიზძეს უშიშა კი აღარ უჩინდ თვალითა-დ, სადაც იჯდ, აქით ჯიჭვთ კი ზედ ჩახედევდ. უშიშას რო ნახევარ გზა ექნებოდ გავლილი, ამ დროს ხედავს თამარიზძე, რომ ჯიჭვთ მგელი გადაეტან, სხვა ჯიჭვებ ქვე დაექცა-დ ერთ ჯიჭვი მიიმწყვდივ კლდის ძირშია-დ აღარცად უშობდ. ეტანებოდ მგელი-დ

უფარებდ ჯიჭვი რქათ. მგელ ცდილობდ, რო ყელში სად სწდომიყვა-დ მაეკლ ჯიჭვი, ჯიჭვი რქებით იცევდ თავს. მავიდ უშიშაის მისვლის დროიც ჯიჭვთანა-დ შასწუხდ თამარიზძე, რო თოფ დროზე არ გამავარდა-დ ჯიჭვ არ განთავისუფლდ, თან ამბობდ, რო ეეხლავ თუ მგელ გაუშვავ ჩემ ძმამაო-დ ჯიჭვ მაკლავ, მაშინავ ძმობას ადარ ვეტყვივ მაგასავ. ამ ამბავში იყვ თამარიზძე, რო გამავარდ თოფი-დ მგელი დაეყუდ თავზედ, ჯიჭვ ქვე გაიქც. წამახტ ფეჭზე თამარიზძე-დ უძახ: აი, შენი ჭირიმევ შენივ, რო ჯიჭვ არ მახკალიო-დ ეს მგელ მახკალივ. მგელს ტყავ გახჭადესა-დ სათოფის ბუდეედ წამაიღეს, სხვაკან წავიდეს, იქ მაკლეს ჯიჭვი-დ იმის ჭორც წამაიღეს შინ. ერთხან სანადიროს კლდეში დევების ნამყოფლავ სახლიც მაჭელეს. ერთკან ცოტა კარი იყვ შასავალი, შავიდესა-დ ნახეს შიგ ლამაზად გაკეთებული სახლი, დიდიდის ქვებისგან აგებული-დ შიგ კაცისგან მაურევალის კლდეების სკამები იყვ დაწყობილი სახლის მირგვლივ. ეს ღამე აქ გაათენესა-დ საკვლაოდაც დაისწავლეს ეს სახლი. მემრ სხვებსაც ასწავლეს. იმ დევების სახლში თუ შავიდოდ კაცი დასაძინებლად, დაძინების დროს შაეხვეწებოდ ამ ადგილის პატრონს: „შენ სტუმარი ორავ, შენ შამინახევ დღესღამავ". ისრ კარგად გაათენებდ იმ ღამეს, რო უფერს სიზმარსაც არ ღნახევდ. თუ არ შაეხვეწებოდ კი სიზმარნ დაზარებდეს, სრუ საშინელს რასამ ღნახევდ სიზმარში.

გიორგანი არც ბევრნი იყვნეს, სამი-ოთხნ იყვნეს ძმა-შინშებ, მაგრემ დიდად სახელიანნ იყვნეს, როგორც მენადირეობით, აისრივ მტრისად მიყოლითა-დ მტერზე შურისძიებით. წინავ თქვიან: „გიორგათ ჭირივ ქვათაც არ სცხავავ". ვითამ გიორგათ სისხლივ ქვათაც არ შაშჩომივავ, იმაზედაც კიდე შურს იძევენავ.

ერთხან სანადიროდ წავიდეს ორნ ძმანი თამარიზძეი-დ მინდია. არხოტის ჭალა ჩაიარესა-დ ტერღისკრით აბრუნდეს ტერღის სანადიროთ კლდეოკე (ტერღა: ადგილი ღილღვლებისა-დ არხოტივნების სამძღვარზე. ტერღის წვერს იქითას გვერდზე ქისტები დასახლებული-დ აქათა გვერდი არხოტივნების ადგილი. დაბლა საჭნავ-სათესი-დ ცხვრის სადგომ ალაგები ასა-დ მაღლა, სანადირონ კლდენი) ავიდეს შიბთ წვერ, ინადირესა-დ იქავ მაღლა კლდეში დადგეს, ეროს ეხში. მეორე დღეს უშიშაიც წავიდ სანადიროდ, ახიელით თავის დისწული ოდინა ეტანა-დ ამღით გაჯალათ ოდინა. ჩამაიარეს არხოტის ჭალაი-დ ესენიც ტერღის კარა-დ შავწყლისკე ლამინობდეს სანადიროდ წასვლას, მაგრამ ბისნის კარ მზირ დაუხვდად. სასიკვდილოდ დაჭრეს უშიშა.

ამღას ერთ სახელიან კაცი ცხოვრობდ, გაგათ აბაიზძეი. ეროს ღილღველს, სახელად ღაზიას, ამ აბაიზძის ჯავრი ხქონდ. ღაზიმ შაყარ თექვსმეტის კაცის მზირი-დ აბაიზძის მუქარაზე წამაიყვან საარხვატოდ. მაიყვანეს ეს ხალხი-დ ბისნისკარ ჩასხდეს გზაში. – გაგათ აბაიზძეივ სანადიროდ სად ჩამაივლისაო-დ ის უნდა მავკლათავ. როსაც სულხანაური უშიშაი-დ იმის ამხანიგები მივიდეს ბისნისკარ, ჩასაეს დიდიდებ

წყალ-სარევები ხქონდა-დ თათიათ ოდინას, უშიშაის დისწულს, თოფი წყალში ჩაუვარდა-დ დალაფდ. ქართულ თოფის ტყვია-წამალიც სრუ დაულაფდ. ეს იმით, რო ოდინა ყმაწვილი იყვა-დ გამაუცდელი. უშიშამა-დ გაჯალათ ოდინამ წყალში თოფებს წვერებ წასტაცესა-დ მაღლა დაიჭირეს, ისრ რო იმათ თოფებს წყალი არ მიეკარ. თათიათ ოდინას თოფ კი ისრ დალაფდ, რო ცეცხლშიაც რო ჩაედვ, იმის წამალი მაინც აღარ აფეთქდებოდ. ბისნის კარ რო მივიდეს, ღაზიამ უშიშა ვერ იცნ, თორე ვერ დასწონდავ იცოდიან, იმითავ, რო ჩქარ იყვავ თოფის სასრევლადაო-დ, თუ გასცდომიყვავ, აზარალებდავ მზირთავ. მისულებმ წინ ნადგომს უშიშას დააჭალეს თოფები. წინა ნასრევები დასცდ. უშიშა წინ მივიდოდა-დ ამხანიგნი უკენ მიხყვებოდესაო-დ იმით მარტო უშიშას ესრიესა-დ ვერც ერთ ვერ დახკრეს. უშიშა საჩქაროდ წაეფარ ფიჭვის ხესა-დ ესრივ იმანაც კვამლზედ. თაოდ ღაზია რომენსაც ხეს ხყვანდ მაფარებული, იმ ხეს მახვდ უშიშაის ნასრევ ტყვიაი-დ ნაფხენტალ გაასრევივ. მემრავ ღაზიამ თქვისავ: აი ნაფხენტალივ ზედ მკრაევ მაშივავ, როგორც ჩვენ თოფებ გაიყარავ, ცოტაით მავშჩივ. უშიშამ მასრა მიაბრუნა-დ თოფის ისრით ტყვიისად ცემაში ხეს გვერდზე წასცილდა-დ თოფის ისრიან ჭელ რო მაღლა ასწივ, იმ დროს მახვდ იღლიის ძირში ტყვიაი-დ მჭარში გავარდ. ერთმ ტყვიამ თავს გაუარ ახლოსა-დ ცოტაად გაღარ ჭორცი, ჩაიქც უშიშაი-დ თოფიც ჭელშიით ჩაუვარდ. ამ დროს მივიდეს: თათიათ ოდინაი-დ გაჯალათ ოდინაიც. თათიათ ოდინა დროთ ცოტა იყვ, გაჯალათ ოდინა კი კაის დროს ოშკაცი იყვ. გაჯალათ ოდინამ გამახკრ ჭელი უშიშაის თოფსა-დ მასრა საპირისწამლესაცა-დ გამაიქც შინისკე. დარჩ თათიათ ოდინა წყალში ჩავარდნილით თოფით უშიშასთან. ეს თოფ აღარ გავარდებოდა-დ უშიშაის თოფ გაჯალათ ოდინამ გაიტაც. თათიათ ოდინა თავის დედიძმას არ მაშორდ, რო ამასთანავ ზედ მაინც ნუ მაუტევავ, თუ მავიდესავ, მიაც ამასთან მამკლანავ. გამაემზადნიან ღილღვლები უშიშასთან მასავლადა-დ გადაუდვის თათიათ ოდინამ თავის მაშლილი თოფი. ღილღვლებმ რა იცოდეს, რო ეს თოფივ წყალში ჩავარდნილი აქვაო-დ არ გავარდებისავ, თორე იმასაც იქავ მახკლევდეს. იმათ ეგონ, რო თოფივ გატენილი აქვაო-დ ტყვია-წამალს ხარბობსავ, არ უნდავ რო ტყუილად გვესრივასავ, ძალიან გულით უნდოდ მკვდარსთან მისვლა, მაგრამ თათიათ ოდინაის შიშით ვერ მივიდეს. ჯერ კი იბრუნეს აქა-დ მიბრუნდესა, წავიდეს საშინაოდ.

თათიათ ოდინაისა დედაიმც ცხონდებისაო,
არ მაუტივნა მკვდარზედა, დისწულ ას დედიძმისაო.

აქ რო ეს თოფებ ესრიეს ერთუცს, თოფის ჭმა ტერღისწვერ გაიგონეს თამარიზძემა-დ მინდიამ. უშიშას ჭმა – ძალიან თოფ-ი ხქონდა-დ ძმათ იცნეს უშიშაის თოფის ჭმაი, ერთუცს უთხრეს: უშიშაის თოფივ, რო ერთის მეტ აღარ გამავარდავ, იმას უჭირსავ

რაიმავ, თორე სხვებ თოფებ რო ბევრ გავარდავ უშიშაის თოფ უფრო მეტ უნდა გავარდნილიყვავ. დაბრუნდეს ტერღის წვერითა-დ დაიქცნეს პირჩაღმ. სადუცე ჩამაიარესა-დ ტერღისკარ იწროს სახვევზე ჩავიდესა-დ აქ შაუკრეს გზა. ცოტა ხან დაილივა, მიუვიდეს ღილღვლის მზირნიც. უშიშას რო დახკრესა-დ წავიდეს, ჩასაეს ღილღვლებს კვალ ენახ, რო არხოტივნებს ჩაუვლავ სანადიროდ. ღაზიმ უთხრ ამხანიგებს, რო სახვევებისას ნუ წაოლთავ, თორე ეს დათვების კვალ რო მიდისავ, ეგეებ რაით დაგვაზიანებენავ. ამხანიგებს არ დაუშლავ – ჩვენავ წყალთსარევებისას ვერ წაოლთაო-დ წასულან სახვევისას (სახვევი: ვიწრო ბილიკი, გადასავალი წყლის ერთკე მხარეზე, რომელიც ააცილებს წყალში გასვლას, მხოლოდ არის ძალიან ცუდი გადასავალი), ღაზი კი ორ-სამი ამხანიგით სახვევთ ბოლოზე წყალდაწყალ წასულა-დ გაპარულ. „წევლილიან“ იყვისავ ღაზიივ, იცოდიან. წინავ გაიგისავ, თუ ცუდ რა ეხედვებოდისაო-დ მჭარ აუქცივისავ. ეესრ ღაზი გადაშჩომივ თავის ორი-სამი ამხანიგით. სხვებ ამხანიგებ მისულან სახვევზე, სადაც მინდიაი-დ თამარიზძე ისხდესა-დ გზა ხქონდ შაკრული. წინწინ რო მივიდეს, თამარიზძემ თვალ შააგდ ღილღვლის მზირთა-დ თქო: აგერაილევ ჩემის ძმის გერშ მავიდავ. ჩვენის უშიშაის თოფის ბუდეივ ღილღვლის თოფს შაშვენისავ. უშიშა რო დაეთოფ, თოფის ბუდე ჩაღვარდნიყვა-დ ღილღვლებს წამაეღ. ეს თოფის ბუდე ძმებმ იცნეს. ღილღვლებს რო მიუახლოვდეს, დაახალეს თოფები მინდიამა-დ თამარიზძემაც. სამ ღილღველ აიმაშიავ მაკლესა-დ სხვები ჩდილში ტყედატყე დაიქცნეს, ვეღარც თოფ გაცალეს ღილღვლებმ, ეს მაკლულები სამივ უშიშას შასწირეს: უნცროსებიც ხართავ – უთხრეს, უშიშაისებივ, ჯღან¬თამც უბანდავთავ, წყალსამც უზიდავთავ. წამავიდეს პირშეღმ, უშიშაის თოფის ბუდეიც წამაიღესა-დ მავიდეს ბისნის კარ. ნახეს რო უშიშა ჩაქცეული ასა-დ იმათ დისწულ ოდინა დაღბრუნავს, ჭელჩი მაშლილ თოფ უჭერავ. უშიშამ იქავ გაიგ, რო ჩემებ ძმებ მავიდესავ. მასულებმ უთხრეს: „ძმაო, დაგკრესავ განაევ, არც თაოდ წავიდესავ უჭირვლადავ. ამა ტერღისკრის იწრო სახვევზედ სამნ დავჭოცენითაო-დ სამნივ შენ შამაგწირენითავ. უნცროსებივ ეეხლად მზას გყონავ. დაუწყეს ძმებმ უშიშას შინჯვა- რამ მაკლავ, სად შჭირსავ ამასავ? ეს თავში რო შჭირსავ, ეს ვერ დაიგდებდავ. უშიშამ უთხრ: არავ, ბრიყვებო, არავ, უშიშასავ ეგეთ ჭრილობა ვერ დაიგდებთაო-დ ა, ემან დამიგდავ. ასწივ მარცხენას ჭელსა-დ იღლიის ძირშიით ფირტვთ ამაღბერნეს. მაშინ მიხვდეს რო აქ შჭირდ ურჩო ნატყვიარი უშიშას.

გაჯალათ ოდინამ რო უშიშაის თოფ გაიტაცა-დ გაიქც, იმას ეგონ, რო უშიშა ქვე მაკლესავ, თათიათ ოდინასავ მაშლილ თოფი ხქონდაო-დ იმასაც მახკლევდესავ, არცერთი იქნებისავ ცოცხალიო-დ ტყუილს ვეღარვინ გაიგებსავ. არხოტ მივიდა-დ ჭმა გატეხ. თათიათ ოდინაიო-დ უშიშაივ ორნივ დაჭოცნესავ, მე დავრჩივ მკვდრებსთანავ, მანამდინ ტყვია-წამალი მქონდავ, ქვე ვისრიეო-დ. ტყვია-წამალ რო გამითავდავ, ქვე გამავიქეცივ. ეს ყველა ტყუილი თქო, მართლა კი თათიათ ოდინა

ცოცხალ გაწირ მაშლილი თოფით, უშიშაის თოფი აღარც თაოდ გამაიტაცა-დ ტყვია-წამალ გზაზე დაშალ, ვითამავ თოფ ვისრიეო-დ გამითავდავ. არხოტ რო ჭმა გატყდ, დაიქც ხალხი-დ წამავიდეს მდევრად. ოდინაიც იქავ წამავიდ. მავიდ ხალხი-დ თამარიზძეს, მინდიასა-დ თათიათ ოდინას საკაცე გაეკეთა-დ უშიშას უპირობდეს ცოცხალსავ წამაყვანას. ხალხმ ხკითხ, რაჭელ თოფნეს, უშიშას რო დახკრეს გაჯალათ ოდინამ თოფ-იარაღ რაჭელ გაიტაცა-დ გაიქც, თაოდ მაშლილი თოფით უშიშასთან დარჩა-დ არ მაუტივნ ღილღვლები უშიშასთან. ისიც თქო, რო, ან თავის თოფ თუ მქონიყვავ მართულიო-დ ან უშიშაის თოფ არ გაეტაცავ მაგასავ, ღილღვლებ რო გაბრუნდესავ, დავეწეოდიო-დ თესლს დაულევდივ იმათავ, თუ არა, რას უზმოდივ უიარაღო კაცივ. ეს ამბავ რო გაჯალათ ოდინამ გაიგ, ძალიან შასცხვენდ; თათიათ ოდინაიც რო ცოცხალი ნახა-დ უშიშაიც კიდევ არ იყვ მკვდარი, თავის ნათქვამი ყველა ტყუილ გამაშჩინდ. თან გაქცევა იყვ დიდ სირცხვილი-დ თათიათ ოდინაისა, ყმაწვილისა იქ გაწირვაი. ეს რო ყველა გაიგ, გამატყდ, რო მე მეგონავ ოროთავ დახჭოცდესავ. ხალხმ შაარცხვინა-დ თითქმის ერთ წლამდინ სირცხვილით ხალხში ვეღარც გადიოდ. მემრაც შუღლის დროს სრუ აყვედრებდეს: „გაქცა"-ს ეძახდეს. მარტო იმას კი არ აყვედრებდეს, ეს საყვედური იმის შვილებზედაც გადავიდა-დ შუღლის დროს იმათაც უძახიან: „გაქცაის შვილო". ბისნისკრით ის ადგილ შორს არ იყვ, სადაც გიორგათ დაჭოცნეს. წავიდ ხალხი-დ მართლა ნახეს რო იწროს სახვევზე დაუჭოციან ღილღვლები-დ დაგორვილებ წყალში ჩაყრილან. გამათარეს წყალშიით, წყლის პირზე შამააწვინესა-დ იმათავ ყარწიკებ შამახურეს. წამავიდეს, იარაღ არ წამაიღეს, იმ დროს წეს არ იყვ, მაკლულს იარაღს არ ხყრიდეს ადვილად. უშიშა საკაცით წამაიყვანესა-დ ამღას მაიყვანეს ცოცხალი. მეორე დღემდინ კიდევ იცოცხლ. ამის შემდეგ უფრო თავ ისახელეს გიორგათ, ჯერ იმით რო თოფის ჭმა იცნეს ძმისაი, მემრ იმით რო იმავ დღეს იძებნეს ძმა, კი არა და ცოცხალსავ გააგონეს უნცროსებივ მზას გყავავ. ამის შემდეგ ამ სახვევს სადაც გიორგათ ღილღვლებ დაჭოცეს „გიორგათ ნაომარ სახვევ" დაექვივნ. დღესაც იქავ ხქვიან: გიორგათ ნაომარი. ამ ომზე სიმღერეებიც ას ნათქვამი-დ სოფლის ჯარზე ფანდურზე იმღერს ხალხი.

დახკარით, ნუღარ გაუშობთ ძაღლს, დადიკაის შვილსაო!
ღაზია გამაუძღვების თექვსმეტის კაცის მზირთაო.
ჩაუსხდეს ბისნის ჭალასა, გზა მავა ჩვენის მტრისაო.
ელიან აბაიზძესა ამდით, გაგაის შვილსაო.
თვალ მენადირეთ შაგდეს, ხანია შუადღისაო.
უყვიან არგონებული, ალი ახვიეს პირსაო.
თუ ეცნა, ვერც კი დასწონდეს სულხანაურის შვილსაო.

ამით აშინებს უშიშა, ჯარ უწყვავ მასრაისაო!
ტერდის წვერ გაუგონებავ ბისნას დაქცევა კლდისაო;
საკვირველი ას ვაჟებო, თოფის ჴმა იცნეს ძმისაო.
ჴირიმი უშიშაისა ნელ-ნელად გამადისაო.
დაბრუნდეს სათავქვაოდა, ქარ მუჴლებს შაუჯდისაო.
სადუცე ჩამაიარეს არწივებმ კივილითაო.
იწრო შაუკრეს სახვევი, გზა მავა ღილღვლებისაო!
შუადღის დრო რო მავიდა, ჯარი მააწყვეს მზირთაო.
ეტყოდა თამარიზძეი, გერშ მავიდ ჩემის ძმისაო.
თოფის ბუდე უშიშაისა ღილღვლის თოფს შაშვენისაო.
ახლა მაგათ უყვეს არგონებული, ალი ახვიეს პირსაო.
ღაზ ეტყვის ამხანიგებსა, ჩვენი შინ წასვლა ჭირსაო.
სამნი შაგვყარნეს წყალშია, სხვები აგვბღატნეს ჩდილსაო.
ცოცხალს უშიშას მაუვლენ, უნცროსებ მზას გყვანდისაო.
თათიათ ოდინაისა დედაიმც ცხონდებისაო.
არ მაუტივნა მკვდარზედა, დისწულ ას დედიძმისაო.
გაჯალათაი ოდინა ჭალაზე შამარბისაო.
ოცდახუთიანთ მასრათა შამაეს შამაშლისაო.

2.

ღმერთმა თქვა, განა ეშმაკმა, კაც კი რას მაიგონებდა;
უშიშას, სულხანაურთას, თუ მზირი აუდგებოდა,
სიკვდილსა უშიშაისას ქვეყანა გაიგონებდა.
ბრალია უშიშაისად, შუღლის ხან არ ექნებოდა.
მაგას თუ შუღლის ხან ხქნიყვა, გვიანაც გაიყრებოდა.

ამნაირად მაუკლავ სულხანაურო უშიშაი-დ იმის ძმებსაც ეს ღილღვლებ დაეჴოცავ. მაშინდელი სახელით ეხლადაც სახელიანი იმათ ჩამამავლობაი.

ერთხან ყოფილ უშიშა სანადიროდ წასული მარტოი, ტერდისკე (ტერდაი-დ შავწყალი უფრო ბარის სანადიროდ ითვლების, რაკი ბოლოზე ტყეი აქვ). აქ ალბათ ბარჩიით საითამ იყვ მასული ვეფხვი, ის შახვედრივ უშიშას. უშიშა ჯიჴვთ მიხპარვებივა-დ რო ახლოს მისულ, გაუხენებავა-დ უნახავ, რო ვეფხვიც ჯიჴვთ ეპარებისა-დ უშიშასთან არ ას ძალიან შორად. მაუკიდებავ ვეფხვსაც უშიშაისად თვალი-დ აუშლავ ჯაგარ. ვეფხვმ ჯიჴვთად პარებას თავ დაანება-დ გაბრაზებულმ უშიშას დაუწყ აზრებაი-დ ხანდიხან ნაბიჯიც გადმადგის იმისკე. უშიშას არ უნდოდ ვეფხვისად თოფის სრევა, თან არ ემეტებოდ მასაკლავად, თან ის აშინებდ, რო

ტყვიამ რო არ დაიგდასავ, დაჭრილივ მე არ გამიშობსავ. მაგრემ ხედავს, რო ვეფხვი ნელ-ნელა უშიშაისკე მავ ჯაგარაშლილი. მეტ გზა არ ექნ, დაადვ ოოფის ლიშანი-დ ესრივ, რაიც გინდა მახჭდასავ ეგივ უერთოდ არ გამიშობსავ. ვეფხვს ტყვია მახვდად მზუბუქად დაჭრ. მანამავ ოოფის კვამლ ამაჭდებოდავ, ოქვის უშიშამ, ვეფხვივ ზედ მეცავ, გამკრავ კბილიო-დ ჩოჭის კალთაივ პირით გაიყოლავ. ჭორცზე კი კბილ ვერ მამავლავ. გამცილდაო-დ წავიდავ, არცად იკადრავ მეორედ მაბრუნვაივ. აღარც მე ვესრიევ მეორეივ. რახან მე ვხედევდივ, ქვე არ იკადრისავ გაქცევაიო-დ, რახან გადაეფარისავ, მაშინ გაიქცისაოდ. წავიდავ ვეფხვივ. გადავხენეო-დ აღარც ჯიჭვნ იბადებოდესავ – ოქვის უშიშამ.

კვირიკათ კუკუა

მიამბო და ჩამაწერინა კაგა ნაროზაულმა, 80 წლისამ,
სოფ. ახიელში, 1925 წელს

კვირიკათ კუკუა იყვ ახიელელი, ცისკარაულების გვარისა, მამად კი კვირიკათაი ას ისი. კვირიკანი ისით ამაყნ კაცნ იყვნეს, რო თავის სიამაყით სრუ დალეულან, ეხლად იმათა ქალ-დისწულიც აღარ ას, კაცი-დ გვარ კი არ. ისითნ ამაყნ ყოფილან, რო სოფელშიავ რაიც ეწადისავ, იმას იქმოდესაო-დ სოფელსაც თავის ჭკვაზე გაავლევდესავ. ჭმის გამცემ არვინ ხყვანდავ. მტრისად მისაყოლად, სანადიროდ სრუ სახელგანოქმულნი ყოფილან. მაგრემ სიამაყეს არც ღმერთ მაიწონებსა-დ არც ჭევსურეთულნ ხთიშვილნი, საბოლოოდ ამაყს კა არავის მაუვა-დ ბევრი ას შამოხვევა, რო ამაყ გვარი საბოლოოდ გაძევდების. ბოლოს კი კვირიკათაც ესრ მაუვიდა. ეხლა ახიელელნი რისხებაში ერთიმეორეს ესრ ეტყვიან: „გააძეოს შენობა არხოტის ჯვარმ, როგორც კვირიკათობაი გაძეებული" (გაძეება: გვარის გათავება, ამოწყვეტა). ჯერ კიდევ ამაყობდ იმათ გვარი, როსაც ყველაზე კარგ ახალგაზდა წამაეზარდ – კვირიკათ კუკუა. კუკუა სახელგანოქმული იყვ არხოტაცა-დ ღილღოსაც; უჭოცავ ნადირიცა-დ ღილღვლებიც. ღილღველნი ისით დაშინებულნი ხყონიონ, რო ყმაწვილ თუ ტირილს დაიწყებდ, იმით დააშინებდეს: დაჩუმდივ, თორე მავავ კვირიკათ კუკუაიო, თავს მაგჭრისავ. ყმაწვილებსაც საშიშ პირად გაგონილი ხყვანდ კუკუაი-დ იმის ჭსენებაზე გაჩუმდებოდეს, აღარ იტირებდეს კუკუაის შიშით. კუკუა ღილღოს დავიდოდა-დ სახელის გულისად, სალაღ-სანებივროდ ჭოცდ ღილღვლებს. ერთხან წავიდ კუკუა ღილღოს კაცის მასაკლავად, ავდრიან ღამე იყვა-დ ერთ სახლთან მივიდ სოფელში, საკვამთან მიუჯდა-დ ელოდებოდა კაცის გამასვლას კარში, კარში გამასულს დახანჯრევდა-დ წამავიდოდ. ამ სახლში ორ-სამის წლის ყმაწვილი ხყვანდა-დ ჯალაფთ რაზედამ გაუბრაზდა-დ დაიწყ ტირილი. ტიროდა,

ვეღარაით აყენებდეს, ხან ეფერებოდესა-დ ხან უჯავრდებოდეს. ყმაწვილი მაინც აღარ დუმდებოდ. ბოლოს აიყვანეს მაღლადა-დ საკომშიით კარში გადმასვეს, თუ არ დაზდგებივ, მავავ კუკუაიო-დ თავს მაგჭრისავ. კუკუა რო იქ იჯდ, იმათ რა იცოდეს. მეორედაც იქავ გადმაუშვეს საკომშიითა-დ უთხრეს: მავავ კუკუაიო-დ თავს მაგჭრისავ. კიდევ არა უთხრ კუკუამ. მესამედაც რო ესეთ სიტყვებით გადმაუშვეს ეს ყმაწვილი, მაისვ კუკუამ ხანჯარს ჭელი, წამახკრ ყმაწვილს კისერშია, გააგდებივ თავი; უთაო გადაიყვანეს ჯალაფთ. მაშივ გაიგეს, რო კუკუა იქნებოდავ აქაო-დ იმან გვიყვავ ეს საქმეივ. გატეხეს სოფელში ჭმაი, გამაუდგ კუკუას მდევარ, მაგრემ ის ისითის გზისას წამავიდ, რო მდევარმ ვეღარა გაიგ, სად გაუქრ. ამ საქმის ქნიდგეს უფრო ჭმა გაუვარდ კუკუას, ღილღოსა-დ იმის შიშით ღამით კარში ვეღარ გამადიოდეს დაღამებიდგეს, უფრო დიაც-ყმაწვილი. თაოდ კი იმის თქმა იცოდის, რო ბევრ მამიკლავ ღილღველივ, მაგრამ იმ ყმაწვილის მაკვლაივ ცოდოი ვქენივ. მართალიავ, „ძაღლისა ბატკან არ გაიზდებისავ", მაგრემ ყმაწვილის მაკვლა მაინც ცოდოიავ, იმას ჯერ არაი ხქონდავ დალეულივ. დიდის ღილღვლების ჭოცა კი მადლიც ასავ, ქვეყანას ჭირ მაშორდებისავ, რამოვენსაც ღილღველს მახკლავსავ კაცივ.

კუკუა და ჯურჭა

ერთხან ჯურჭა გაიყოლ, თავის სოფლელი, კუკუამა-დ წავიდეს ტერღის წვერისკე სანადიროდ. კუკუა ხო სახელიან კაც იყვ, არც ჯურჭა ჩამაუვარდებოდ ვაშკაცობით. სანადიროდ წავიდეს თათელისას. წინას დღეს თათელად ჩხატათ ინადირეს, აქ სხვა მენადირეებ ყოფილიყვნესა-დ დაემთხვ ნადირი-დ იმათ აღარა შახვდ. გაიარეს მთიდიმთივა-დ გადავიდეს ტერღას. რაჭელაც არხოტივნებმ იცოდეს სახელის გულისად სამზირ წასვლაი-დ ღილღვლების ხოცაი, აისრივ ღილღვლებმაც იცოდეს. ვინაც კას ოშკაცობაზე დებდ თავს, ის შახყრიდ მზირს, გამაუძღვებოდ, ჩაუსაფრდებოდ გზაშია-დ მახკლევდ არხოტიონს. არცარას წაიღებდ. ხოლოთ სახელ დაშჩებოდ. მავიდოდ ხალხი, სახელს მაულოცევდეს; აი, ამის გულისად ჭოცდეს ერთუცს არხოტივნები-დ ღილღვლები.

ამ დროს ერთ ღილღველი იყვ სახელიანი, სახელად ბოშტუა. ბოშტუას წინავაც დაუდიოდ არხოტ მზირი, ხან ჭარ-ცხენს იპარევდ, ხან კაცის მასაკლავად. ბევრჯელ თავიც ისახელა-დ ნასახელარ დაბრუნდ ღილღოს. კუკუაი-დ ჯურჭა რო სანადიროდ წავიდეს, სწორად ამ დროს ბოშტუამაც წამაასხ მზირი ტერღის წვერისკე. იქავ არხოტიონ მენადირე ვინ იქნებისაო-დ აგებავ კაც მავკლათავ. ტერღის წვერ ჩასაფრებული იყვ ბოშტუაის მზირი, რო კუკუაი-დ ჯურჭა მიუახლოვდეს ტერღის წვერს. მიუახლოვდეს ამ მზირთაცა-დ ერთბაშად თოფებ დააშალეს კუკუასა-დ ჯურჭას. ჯურჭას ტყვიამ ტალავარში გაუარა-დ ტყვიის ქარმ გააგორ. მზირთ რო

ჯურჭა წაქცეული ნახეს, ეგონ, რომ მავკალითაო-დ დაიქცნეს შინისკე. ჯურჭას ჭორცთაზე არა-ი შჭირდა-დ მალედავ წამაფრინდ, კუკუამ უთხრ: რაი ხქენივ, სად დაგკრესავ? მგონავ ჭორცზე არაი მჭირსავ – უთხრ ჯურჭამ, არიქავ, არ წაგვივიდანავ. შამაუბრუნეს ჭელზეითა-დ რომენიც უფრო თვალში მეეწონ, იმას ესრიეს ორთავ. ორივ ტყვია მახვდა-დ ჩაიქც ბოშტუაის ძმისწული, თოლგაის შვილი. დანარჩენ ღილღვლები ქვე დაიქცნესა-დ თავს უშველეს. მივიდეს კუკუაი-დ ჯურჭაი თავის მაკლულ ღილღველსთან, შამააწვინესა-დ ზედ იმისაივ ყარწიკა შამაახურეს. თოფ-იარაღიც ზედ შამააწყვეს, რაკი წინავ მკვდრის იარაღის შინ წაღება სირცხვილი იყვ. ინადირესა-დ ჯიხვის ჭორცის ბარგებიც წამაიღეს. ეს ამბავი უამბეს თავის სოფლელებსა-დ სახელს ულოცევდეს ჯურჭასა და კუკუას: „სახელი-დ კაი კაცობა ღმერთმა ნუ მაგიშალასთავ, მუდამ გამაჯვებულებ გამყოფნასთავ მტერზედაცაო-დ ნადირზედაცავ. ღილღვლები კი ჯერ ახლოს ვერ მიეკარნეს თავის მკვდარს, აქავ იქნებიანავ არხოტივნებიო-დ კიდევ ვის მაგვიკვლე-ნავ. მემრ წაიღეს საკაცით, ხოლოთ ბოშტუას კი უსაყვედურებდეს: არ დაზდეგივ, არ დაისვენეო-დ ეეხლად ძმისწულ მააკვლიევ. როგორც სხვა სახელიან კაცებისად იცოდეს, კუკუასა-დ ჯურჭასაც უთხრეს სიმღერე:

ბოშტუა გადიდებულა არხოტივნების ჯავრზედა;
კაც არ უჭოცავ ბოშტუას, მლოცავ არ უდგას კარზედა.
გაიგა არხოტის ჯვარმა, ურჯულო დადგა ძალზედა!
ჩამახყვა მენადირეთა, ბეჭდებ გადასხა მჭარზედა.
ტერღისწვერ გადამდინრებსა ყორნებ გადახყეფს თავზედა.
გზას უსხავ ბოშტუას მზირი ნახალიზრები სხვაზედა.
აკლიან, არ ეკიდების, ანგელოზნ ადგან თავზედა.
იციან არხოტივნებმა თოფთა ჭმარება მკლავზედა:
არ დაზდეგ თოლგაიშვილო, ტყვია აგასხეს ტანზედა!
ამბავ წაიღი, ბოშტუავ, გულდიდად გახვიდ ჯარზედა.
შამამხვდეს არხოტივნები ტერღის სასწოროს გზაზედა;
გამაწირვიეს ძმისწული გაზდილი მუქარაზედა.
ბოსელთ აბრუნდეს ყორნები, ეთელებიან მკვდარზედა,
ჯერ იქ დაითვრნეს სისხლითა, მემრ ჩავლენ ტერღის წყალზედა.
კუკუასა და ჯურჭასა დასხდომა ულირს ჯარზედა.

ამ სიმღერეს ჯარზე იმღერდეს ჯერ კუკუაისა-დ ჯურჭას სიცოცხლესავ, ჯარზე პატივად ჩხუტსა-დ კოშსაც უზიდევდეს სახელის ქნისად. იმათ სიკვდილიდგეს იმათ გვარს უმღერენა-დ სახელობენ ამ სიმღერით მთელ გვარი. კვირიკათა კი აღარ ასა-დ გარეთულ მოგვარეებიც – ცისკარაულებ სახელობენ.

ჭირჩლათ მარტია

ჩამაწერინა კაგა ნაროზაულმა, 80 წლისამ, სოფელ ახიელში, 1925 წელს

ჭირჩლათ მარტიაიც მამად ახალათა იყვა-დ გვარი წიკლაური ხქონდ. სოფელ ამღას ქვე ცხოვრობდ. ეს კაციც ნადირობისა-დ მტრისად მიყოლის მეტს არას აკეთებდ. ნახევართხან სრუ სანადიროს კლდეში იჯდ, ჭოცდ ნადირსა-დ მახქონდ ტყავ-ჭორცი.

თათიათ ოდინა ახიელელი, სულხანაურთ უშიშაზე რო ღილღველნ არ მაუშვნ, ის უშიშაისა დისწული იყვა-დ ამ ჭირჩლათ მარტიაისა სიძე, მარტიაის დაი ხყვანდ ოდინას. ოდინაიც ხო ვიციით სახელიან კაც იყვა-დ ჭშირად სიძე ცოლის¬ძმანი ერთად დადიოდეს სანადიროდაცა-დ სამზირლადაც. ერთხან დაუბარ ამღით მარტიამ თავის სიძეს ოდინას: წამეედიო-დ სანადიროდ წავიდათავ. მეემზადა-დ წავიდ ოდინაიც. სანადიროს კლდეში რო მივიდეს, წილი ყარეს, სად ვის ერგებოდ წასვლაი. ერთ ეროკან წავიდოდ, სხო სხვაკან; სადაც რას მახკლევდეს, ტყავ მამკლავს დაშჩებოდა-დ ჭორცს ორნივ წამაიღებდეს. თავთავად გაიყარნეს, ისეთ შორ-შორად წავიდეს, რო ღამის გათენებაიც კლდეში ცალ-ცალკე დაშჭირდ, ერთად ვერცაით მივიდეს. მარტიამ დღისით ინადირა-დ ტერღის წვერის ძირში დაუღამდ. აქ ერთ სადგომ ეხ (გამოქვაბული) იყვა-დ იმაში დადგ ღამის გასათენებლად. ეს ეხი ისითს ალაგში იყვ, რო გათენდებოდ, შორს წასვლა არცად უნდოდ კაცს, ამ ეხის კარშიითავ იჭერდ ნადირს თვალითაც, დვირბინდითაც (იჭერდ: ათვალიერებდა, გაჰყურებდა). ამ ღამეს საგძალ კი ხქონდ მარტიასა-დ ამ მთებზე შეშა კი არსად ას, რო ცეცხლ დაეგზ ღამით. დადგ მარტიაი წუხრ, პური ჭამ, გაეხვივ თავის ყარწიკაშია-დ დაიძინ. სიზმარში ნახ, რო ისი ღილღველებ შაიყარნეს ეროუცზედა-დ თოფევდეს ეროუცს. ამ თოფვაში ვითამ ერთ ჯიკვს მახვდ ტყვიაი-დ მაკვდ, კლდეთ გადავარდ. მარტიას გასატყავებლად მისვლა ეზარებოდ ამ ჯიკვთან. გამაეღვიძ მარტიასა-დ გაუჭდ საგონად – რაი ვნახევ ესივ. გათენდ. დილას გამავიდ ეხის კარში მარტია. ამაიღ დვირბინი-დ გახედავს სანადიროთ. იმას სანადიროთკე ხქონდ გული-დ გოშტიკაურთ მზირთ ნახესა-დ ისენი მარტიას ეპარებოდეს. მარტიამ იმ დროს შააგდ თვალ ამ მზირთ, რომ ისენი კიდეც ჩაუსაფრდეს კლდეებშია-დ დააშალეს მარტიას თოფები. მარტიას ერომ ტყვიამ მჭარს გაუარა-დ ცოტა გაღგლიჯ, სასიკვდილოდ კი არა მახვდ. ტყვიამ წააქცივა-დ ღილღვლებს ეგონ, ქვეთუ მავკალითავ. ის წაქცეულ მაშივ საყუჩს მაუჯდა-დ თოფ გადაუდვ. გოშტიკაურნ მარტიაისკე წავიდეს. გავარდ მარტიაის თოფი, ერთს ღილღველს გულზე მახვდ. რო ეს წაიქცა-დ მიხვდეს, რო მარტია ვერ მაგვიკლავავ, მიბრუნდესა-დ დაიქცნეს; მარტიამ მასრა მიაბრუნ, ესრივა-დ მეორეს ღილღველს მჭარ დაანაყივ. მჭარდანაყილ ღილღველ კი იქავ წავიდა-დ მკვდარ იქ დარჩ. მარტია საყუჩშიით დიდხანს არ ადგ, ეშინოდ, რო აქ ჩასაფრებულ არვინ იყოსაო-დ

დამადარილანავ. ბოლოს რო დრო გავიდა-დ დაიჯერ აქ აღარ ვინ იქნებისავ, მივიდ თავის მაკლულს ღილღველსთან, შამააწვინ, ზედ ყარწიკა შამაახურა-დ იმის თოფ-იარაღიც ზედავ დააწყვ მკვდარზედ. მარტიაი ოდინა რო ერთად შაიყარნეს, ოდინას ჯიჯვებ დაეჭოცა-დ მარტიას ხკითხ: შენ რაიდ სთოფვევ, რო თოფის ჭმა მადიოდაო-დ ისიც არეულადავ. მარტიამ უამბ თავის თავგადასავალი; ოდინამ უთხრ: შენ უფრო დიდ ჯიჭვ მაგიკლავავ; ნეტაინ იქ ვყოფილიყავივ, რო მიაც თავ მესახელავ. ეს ჩემის მაკლულის ჯიჭვის ჭორც ქვე გათავდებისაო-დ შენ სახელ მიწაწყალთოობამდინ დარჩებისავ. ჭირჩლათ მარტიამ კი არ თქო, რო მიავ სახელი ვქენივ. მაგრემ ოდინამ ხალხს ყველა უამბა-დ დაიწყ ხალხმ მარტიაისად სახელის მასალოცავად სიარული, მარტიას რო სახელს ულოცევდეს. ღილღველთაც თავის მკვდარ წაიღესა-დ თავის დროზე ისენიც არხოტივნებზეით სისხლს აიღებდეს, იმათაც ისეთ წესი ხქონდ, რო ვალს არ შაარჩენდეს მალე თუ ნელად.

სახელს ხო ულოცევდეს მარტიასა-დ ორ-სამ სიმღერეიც უთხრეს საქები. ჯარზე ეხლადაც იქავ იმღერს ხალხი ამ სიმღერებს:

ცეტნი ხართ არხოტივნებო, თქვენ არაი გკრავთ ჭკვისაო,
თავში არ გიძესთ ტვინისა, მუცელში ნაწლევისაო.
ველობა გაუბედავის ჭირჩლათ, ჭირჩლაის შვილსაო.
ახიელ დაუბარებდა სიძეს თათიას შვილსაო,
საამხანიგოდ ნაქებსა, წინავ ნაცად ხყავ მზირთაო.
არხოტის ჭალას ჩადიან, გულში აქვთ ჯიჭვებისაო.
წილს ყრიან სანადიროთა, მაზვერვა სწადის მთისაო;
თავთავად გაიყარნიან, ძალი აკსენეს ხთისაო.
წვერის ძირ დაღამებივა მარტიას, ჭირჩლას შვილსაო.
კლდის ძირში დაძინებულსა სიზმარ უნახავ ცდისაო,
მეელის გათენებასა, მასვლა უხარის მზისაო.
გახედავს სანადიროთა, თვალი შააგდა მზირთაო.
თოფს ეხვეოდა მარტია, ყინჩად დახპარავს ჭირთაო:
„ეეხლად ნუ მიდალატებ, ნუ დამილადებ მზირთაო,
ცალეზედ არ გაიარა, თავ არ ირჩივა სხვისაო.
აკლიან გოშტიკაურნი, მარტიას არ ხვდებისაო,
ნასრევი მარტიაისა გალოზედ აჭკვავდისაო.
სწყევლიან გოშტიკაურნი თემბოლოთაის შვილსაო:
შარშ გადმაღლალე ჭარ-ცხენი, ვალ გადმაგვკიდე მტრისაო.
შორს დარჩა ჯურჯიაული, ბრალია კაის ყმისაო.

თან რო ხყვანიყვა ოდინა, თესლს დაულევდეს მზირთაო.
ამაგ სიმღერის მათქვამი კორმოვან წვერზე ზისაო.
ვესრიე, გამავაქანე, ჯიკვი თორმეტის წლისაო.
ქებას არ მავშლი მარტიავ, სადაც ჯარ ისხდას სმისაო.
2. ჭაუხში ვეფხვი ნადირობს, ჯიკვებსა ეპარებოდა.
ესრევდეს გოშტიკაურნი, მარტიას არ მახვდებოდა.
ნასრევი მარტიაისა გალოზე აჩქამდებოდა,
დიჩინი გოშტიკაურთა ყორნის საჭმელად ჴდებოდა.
იმას ჩიოდა მარტია, თოფ სახელს მეკიდებოდა.
მაგას რად შჩივი, მარტიავ, ორივაც შენ დაგრჩებოდა.
წამახვედ საშინაოდა, სახელ წინ მაგიძღვებოდა.
სახელს გილოცვენ სწორები, მამას პირს ედიმებოდა.

გულბაათის მოკვლა ოჩიაურთაგან

მიამბო კაგა ნაროზაულმა, 80 წლისამ, ს. ახიელში, 1925 წელს

ღილღვლებმ დაჴოცეს არხოტივნები-დ ერთ ოჩიაურთაიც მაკვდ ამ დაჴოცაში (აქ რასაც ვსწერთ, არც ერთის სისხლ არ დამრჩალ ისრ, რო ღილღველთაც სამაგიერო არ მაეკლას, ზოგ მალედავ, ზოგ გვიან. მაგრამ ზოგ ქვე არ მაჴსონსო – თქო კაგამ. არხოტიონნი თავის ნაქნარს სახელს უფრო იჴსონებდესა-დ გვიამბობდეს უნცროსებს, თან მაშინდელს სიმღერებს გვასწავლიდესა-დ გვამღერებდეს ჯარზე, მემრ გვიამბობდეს რაზე ნათქვამი იყვ ეს სიმღერები-დ ვის უსახელებავ თავ, რო ეს სიმღერე უთხრეს). ოჩიაურთაში მაშინ ერთ კაი მტრისად მიმყოლ ახალგაზდა დამრჩალ, სახელად თათარა. ეს ტანად დაბალ კაც ყოფილ, მაგრემ ძალიან გულადი, მუჴლადი, მენადირეიც ყოფილასა-დ მტრისად მიმყოლიც, რაიც მაშინ კაცს სახელს გაუთქვემდ. ამ ოჩიაურთ კაცის მაკვლაში ერთი „ლუდელი“ (ლუდე, ქისტის სოფელია) კაც სტანებივ, სახელად გულბაათაი. გულბაათა ღილღოს სახელიან კაც ყოფილ, რო კაცის ყამ არ ხქონდავ. ცით თუ რა დაეცემისავ გულბაათასავ, თორე მიწაზეით კი ვერას ვინ უზამსავ, თქვიან. გულბაათას სხო ზიანიც ბევრ უქნავ არხოტ. ოჩიაურთაიც რო მაუკლავ, ოჩიაურნივ მუქარას სთხოენავ, გაუგავ გულბათას დედასა-დ ოჩიაურთან დაცინვით დაუბარებავ: ოჩიაურთავ საკვირველ კი არა მიყონავ, შვილივ გულბაათა არ მამიკლანაო-დ სალუდე ქვაბივ ქვიტკირის ბანზეით არ გადმამიგდანავ. ლუდე შუას ღილღოს ასა-დ იმას დედა ხყონივ იმ გულბაათას ისით ამაყი-დ თამამ, რო იმედ ხქონივ ოჩიაურნივ იმოვენს ვერ გაღბედვენავ, რო აქ მავიდანავ, ჩემს შვილს დასწონანავ მაკვლაივ. სალუდეს ქვაბს ხო ნიადეგ ვერ გადმააგდებენავ ქვიტკირის ბანზეითავ (სალუდე ქვაბის გადმოგდება შურისძიებაში სავალდებულო კი არ

იყვ, მაგრემ ვითამ დასცინ ამ დიაცმ. ოქვენავ იმის მეტად ვერ მახკლავთავ ჩემს შვილსავ, როგორც შუა სოფელში ჩემის ქვიტკირის ბანზეით სალუდე ქვაბს ვერ გადმააგდებთაო-დ ოქვენს თავსავ ჴმას არ გაუტეხთავ. სალუდე ქვაბიც შემოხვევით ზდგომივ იქ, თორე იმას რა უნდოდ ქვიტკირის ბანზე). ეს ნაბარევ რო გაუგონავ ოჩიაურთ, ძალიან სწყენივა-დ უთქომ ერთუცისად: ან უნდა სრუ გავწყდათაო-დ ან ის შვილიც მაუკლათაო-დ ქვაბიც გადმაუგდათავ იმ დიაცსავ, რო თქოსავ: რა ღმერთ გამიწყრავ, ეს რა დავაბარევ, რა მიყვესავ ოჩიაურთავ. ამდგარანა-დ წასულან სამნი, ერთი თათარაი-დ ორნ სხვან გახყოლივან სახლისკაცები. წაიღეს ერთის კვირაის საგძალი-დ ჩაუსხდეს სოფლის პირდაპირ. ორ დღეს იყვნეს დამალულები-დ ათვალიერებდეს სოფელს. მისვლა არ უძნელდებოდ, მაგრემ სახლ არ იცოდესა-დ არც იცნობდეს გულბაათას. მესამეს წუხრას რო დაღამდ, ერთ ღილღველ სათიბით მავიდ წისქვილის თვალის დასავლებლად: ის რო წისქვილში შავიდ, შაეტანნეს ოჩიაურნიცა-დ დაიჭირეს ეს კაცი. უთხრეს: თუ შენის თავისად კა გინდაო-დ ის გინდავ, რო შენ ცოცხალ დაშჩავ, გულბაათაის სახლ უნდა გვასწავლავ, ან სალუდე ქვაბ რომენს ქვიტკირის ბანზე უდგასავ. შენ ჩვენგან ნუ გეშინისავ, ჩვენ შენობას არ ვიტყვითავ. სახლივ თუ არ გვასწავლევ, მაშინ არ გაგიშობთავ ცოცხალსაო-დ იმის მაგიერავ შენზე ვიძიებთავ შურსავ. ღილღველმ უთხრ: არ მავალებთავ მარჯვეს საქმესავ, ეს რო ღილღველთ გამიგანავ, რო სოფლელს უღალატავ, ჯერ გულბაათაის სახლისკაცებ არ გამიშობენავ ცოცხალსაო-დ, მემრავ, ღილღოს აღარ გამამევალისავ კარშიავ, თორე მე გულბაათაის მადლობელ კი არ ორავ. სოფელში კაცს კაცად აღარ გვაგდებსავ, ახიც ასავ მაგის მაკვლაივ. გამახყვ ღილღველი-დ გამაუძღვ წინ. შუას სოფელში რო მავიდეს: აეგერაილევ, უთხრ, გულბაათაივ ამაგ კალოში წევსავ (უბრალო კულეებზე დაფარებულ კალო იყვ), ლოგინ უდგასავ მანდავ, სალუდე ქვაბივ აგერაი, აი, მაღალ ქვიტკირ რო დგასავ, აიმის თავზე უდგასავ. ქვიტკირის ბანზე ასაჴდომლადავ იქავ ხის კიბეი დგასავ წინგარდაზედავო-დ იმით ახოლთავ. ღილღველმ ესეებ ნელით ჴმით საჩქაროდ მაუამბა-დ წავიდ თავის გზაზე. ოჩიაურთ იმისგან აღარ ეშინოდ გაგვცემსავ, რაკი იმან თავის რჯულზე ხთის ფიც მისცა არ გიღალატებთავ.

გულბაათის კალო ქვიტკირს მაშორებული იყვ ერთ ცხრა-ათის შაჟნით. ღილღველ რო წავიდ, გადახტეს ოჩიაურნიც ხარიხაზედა-დ შავიდეს კალოში. გულბაათას ღვიძებიყვა თუ ამათ მისვლაზე გამაეღვიძ, უჩინჩი კაცები ნახა-დ გაიქც შინისკე. ოჩიაურთ თათარა ტანად დაბალ კაც ყოფილ, მაგრამ ისით მქისე ყოფილ, რო ერთბაშადავ გაქცეულ ცხენ ვერ გაასწრობდავ (მქისე: მარდი). გულბაათა რო შინისკე გაქცეულ, გამაფრინდალ თათარაიცა-დ აჩქარებულს დაუცავ მჴარში ხანჯარი-დ თაოდაც ზურგზე შახტომივ. ის გულბაათა ისეთ ტანიან კაც ყოფილ, რო ღევივით იყვისავ აი ხალხშიავ. თათარა მანამ ხანჯარს ამასწვდიდა-დ მეორედ ჩასცემდ, გულბაათას გადაუღიან ზურგში ჴელნი, დაუჭერავ თათარაი თავის ზურგზედა-დ

ჭელის გაჩუჩვის ნება აღარ მიუცავ, ისრ მაგრა დაუჭერავა-დ ბიჯ არ შაუშლავ, იქავ გარბოდავ შინისკესავ. ეს ყველა ერთბაშად მამჭდარ, რო თვალწამიერთ ხანს. არიქავ, კაცები არ ხართაევ უძახ თათარამ, დამიჭირავ კაცმავ, ხანჯარი მჭარში შჩრავაო-დ აისითასავ შინ მივხყვიორავ. მისულან ამხანიგებიც დაქცეულები-დ გვერდებზეით დაუხანჯრავ გულბაათაი. მანამ არ ჩაიქცავ, თათარასავ კიდევ არ უშობდავ. ეს რო დაუხანჯრავ, არც დაიგმინაო-დ არც ჭმა ამაიღავ, ისრ უჩუმრად დალივავ სულივ. გულბაათა რო მაკვდ, ამხანიგებმ უთხრეს თათარას: ეეხლა წავიდათავ თორე აქავ შუ-ღილღოს ორთაო-დ ჭმა რო გაგვიტყდასავ, ვინ გაგვიტევსავ აქითავ. თათარას უთქომ: მე აქითავ ესრ ჩუმად ვერ გავიპარებივ, იმ ქვაბს გადმოვაგდებაო-დ, რაიც მაგვივავ, მაგვივავ. ბევრ უშალეს ამხანიგებმ, მაგრემ თათარამ მაინც არ დაიშალ. აჭდ ქვიტკირის ბანზედა-დ მართლა მაჭელ დიდი სალუდე ქვაბი; გამააგორა-დ გადმააგდ ქვიტკირის ბანზეით. სოფელი გვერდალს ალაგში ასა-დ გადმავარდნილი ქვაბი სოფლის შუაზე გაგორდ პირჩაღმა-დ ისით ჯღარ-ჯღურ გაიღ, რო მთელ სოფელ გამააღვიძ. თათარა საჩქაროს ჩამაჭდ, მავიდ ამხანიგებსთანა-დ დაიქცნეს. მაგრემ სოფელშიაც ხალხი ქვაბის ჭმაზე კარში გამაყრილიყვა-დ ნახეს დაქცეულები. გამაუდგ მდევარი-დ, თუ გზაში მჭარ არ აექცივ, სამთავ გასწყვეტდეს. ამაზე სიმღერები იყვ. ამ სიმღერეებს ეხლადაც იმღერს ხალხი ფანდურზედაცა-დ თავჭმელადაც.

ბლოსთავ შამარბის ლურჯაი, ალამს გახქონდა ბრიალი.
იქნების საკაისშვილი, სულხავა გულჯავრიანი.
ეეგ აქ რამ მაიყვანა, ჩვენგან რა შჭირდა ზიანი?
ძმა რო თინიბექმ მაუკლა, ჭმალ-ქარქაშ ხილიფიანი.
მეორე ოჩიაურთა, კალო დგას სისხლტიგრიანი.

გულბაათა რო მკვდარ უნახავ, იმის დედას უთქომ: შვილო, შენ მამრევ კაც არ მეგონავ, როგორ მაგივიდავ, რო ეგრ მარჯვედ მაგკლესავ. რადარ ენა გამიჭმავ, ან მე რაად უბარევ ოჩიაურთავ – ესივ, რაიც ეხლა მიყვესავ.

თათარა ოჩიაური და თორღვა

მიამბო კაგა ნაროზაულმა, 80 წლისამ, სოფელ ახიელში, 1925 წელს

ეს თათარა მენადირეიც ძალიან იყვ. სრუ სანადიროს კლდეში იჯდა-დ ჭოცდ ჯიჭვებს. ერთხან ტერღისწვერ წავიდეს სანადიროდ თორღვა შუქიაური-დ თათარაი. იჭირეს დვირბინითა-დ საწოლში ჯიჭვნი ნახეს ჩაწოლილნი. ეროს გზა უნდა შაეკრა-დ ერთი ქვე მიეპარებოდა-დ ნაწოლთ დასთოფვედ ჯიჭვთ. იქით აშლილნი ჯიჭვნი, რომენსაც გზაზე წავიდოდეს, მენადირეებმ ის იცოდესა-დ მეორე აქ

შაუკრევდ გზას. ნადირნ რო ნახნეს, პურ არ ხქონდ ნაჭამი-დ წუხრამდინ ვერცაღ მაიცლიდეს პურის საჭმელად. აბა ჯერ პურ რა შავჭამათაო-დ მემრ წავიდათავ. ამაიღეს საგძალი, ქვიშაში დასხდესა-დ დაიწყეს ჭამა. თორღვამ სატანი (ყველი) მუჭლზე დაიდვა-დ აისრ დაიწყ ჭამაი. თათარამ უთხრ, რო თეორია-დ თვალ-მასამბელ რაიმ ტანზე არ უნდა მიიკარასავ. აქავ სამტრო ალაგი ასაო-დ მტერივ კაცის ტანზე თეორად თუ რას ხედავსავ, თოფის ლიშანსავ იმასავ ადვილად დაადებსაო-დ დააზიანებსავ კაცსავ, მაიშორევ ეგ სატანივ მუჭლზეითავ. ახლადავ მტერსავ აქ რა უნდავ, უთხრ თორღვამა-დ არ გაუგონ. აიღ მუჭლზეით სატანი. შენ ნუ იტყვი, ამ დროს ღილღვლებ მახპარებიონა-დ ჩასხდომიან საყუჩში. გამავარდავ თოფიო-დ აი თორღვაის სატანივ ცით მავიდავ (ტყვიამ შააგდო ჰაერში). თორღვასაც აის მუჭლი დაამტვრივა-დ პირქვ წამაიქც. გეუბენივ, უთხრ თათარამა-დ არ გამიგონევ, ეეხლა ეემაად გაჭადე საქმეივ, არ დაიძრავ მანდითაო-დ თაოდ საყუჩს მიუჯდ. ღილღვლებმაც ბევრი იწვალეს, ხან თოფ აჭალეს, ის უნდოდ, რო ისიც მეეკლ, ან ტყვია-წამალ გაეთავებივა-დ მკვდარსთან მისულიყვნესა-დ თათარაიც მეეკლ (თორღვა იმათ მკვდარ ეგონ), მაგრამ თათარა გამაცდილ კაც იყვა-დ უბრალოდ ერთ თოფ არ გაცალ. ღილღვლები საყუჩში ისხდეს, იმათ არა მახვდებოდ, აბა რად უნდოდ ტყუილად ტყვია-წამლის ხარჯვაი. დიდხან იყვნესა-დ, რო მაინც არა გაუვიდ, თითოობით გაიპარნეს ღილღვლები. თათარამ საყუჩშიით ქუდ ამაუშვ არგნით მაღლადა-დ რო თოფ არცად გამავარდ, გაიგ, რო გაპარულანავ. ჩაიარ იმათ ნასხდომში. ცემულიყვნეს მბილთ ქვიშათა-დ ჭალაში გაყრილიყვნეს. თათარამ ნახნ, მაგრამ ქართულის თოფის ტყვია იქ აღარ დასწვდებოდ. მავიდ თორღვასთან, გაშინჯა-დ მუჭლი ხქონდ დამტვრეული. აიქით წამაყვანილ თორღვა მესამეს დღეს სრუ ზურგით ვლევით მაიყვან შინამდინ. აქ სოფლის აქიმებ იყვნეს, ბალახის წამლებით ახვევდესა-დ მაურჩინეს ფეეი, ხოლოთ გახაიბრდა კი, მახრილ დაშჩ აი მუჭლი. მაშინდლის სიმღერის ნაწყვეტი ას თორღვაისადა-დ თათარაისად ნათქვამი ეს სიტყვები:

დედანიმც ნუ მიტირებენ, ნუმც არხოტიონთ ქალნიო,
თქვენ თუ თორღვაზე მაგიშვნათ, წელზე რად მინდა ჭმალიო.

ესრ არ მაუშვიან თათარას ღილღვლები თორღვასთან, ხოლოთ ვერვინ მაუკლავ, რაკი ჩასაფრებულები ყოფილან ისენი სანგლებში. ერთხან ღილღველთა-დ არხოტივნებს ზავი (შერიგება) ხქონივ ნაქნარი, რაიც ჭშირად ხჭდებოდა-დ მემრ ან ერთ მჭარე ჩაშლიდ ზავსა-დ ან მეორეი-დ იქავ გააბემდეს ერთუცზე ნადირობასა-დ ჭოცას ერთსხვისას. ზავ რო ხქონივ ნაქნარი, ღილღველთაცა-დ არხოტივნებსაც თავისუფლად უდენავ სანადიროდ. ეს თათარა ძალიან დაუნდობელ კაც ყოფილა-დ

ჯავრიც შჭირებივ ღილღველთა, რაკი ერთხან თორღვაიც კიდე ზურგით ათრევიეს ტერღით არხოტამდინ.

ერთხან ერთს ეხში მისულ დასადგომად. შაუხენებავა-დ ღილღველი მჯდარ შიგ ამ ეხში. ის უფრო წინ მისულიყვ დასადგომლად. თორღვას რო ეს ღილღველი უნახავ, მაუბრუნებავ თოფი-დ შიგ ლაშჩი დაუკრავ (ლაშჩი: პირში). ეს ღილღველ გვერდზე მჯდარ, პირში მახვედრილ ტყვიას კბილებ დაუმტვრევავა-დ ქურში გადავარდნილ (ქური: ლოყა). ღილღველ ცოცხალივ დამრჩალ, თათარას ის ეგონ, მავკალივ, მაბრუნდა-დ გამაიქც, ღილღველიც წამავიდა-დ ცოდო-ჭირით შინამდინ მიახწივ. გამაარჩინეს ღილღველი აქიმებმ (მაშინ ქისტეთში უფრო იყო შინაური ექიმობა გავრცელებული. მკურნალობდნენ ბალახის წამლებით). ეს რო მორჩ, წამავიდეს ღილღველები-დ არხოტ მავიდეს, ვინ ხქენითავ ეს ამბავივ, რო ზავის ქნიდგესავ კაც დაგვიჭერითავ კიდევავ. არხოტიონთ იცოდეს, რო თათარა იყვ, მაგრემ უთხრეს: აქითავ იმ დროს სანადიროდ არვინ ყოფილავ, ყველა შინ იყვავ. იქნება ბუდის ჭევსურ ვინ იყვავ სანადიროდ მოსულიო-დ იმან ქნაევ ეგ საქმეივ. ჩვენებურ კაცივ ეეხლად მაგას არ იქმოდავ, ზავს არ აუშლიდავ ღილღველ-არხოტიონთავ. მართლად კი ბუდის ჭევსურები არხოტ ჯიჭვებზე სანადიროდ არვინ დავიდოდ, ეს ღილღვლებმაც კარგად იცოდეს. არხოტივნებმ რო უატკაზეს, იმ დაჭრილმ ღილღველმ თქო, რო ხალხ შაყარეთავ, რო არვინ დააკლდასაო-დ მე ვიცნობავ იმ კაცსავ. ეხში რო შამამხენავ მე კარგად დაუაზრეო-დ დავისწავლევ იმის სახეივ. არხოტივნებმ იცოდეს რო ამის მაქმედი თათარა იყვ, მაგრემ მაინც არ გატეხეს, ის რო გაეტეხ, მაშინ ღილღველნი პირის ჩაშლაზედა-დ კაცის დაჭრაზე საქონს მასთხოვდეს. საქონს თათარა არ მისცემდა-დ უარეს იქნებოდ. ხალხ რო შაყარეს, თათარა ციხეში შაიყვანესა-დ იქ დამალეს. ღილღველებს უთხრეს: აი ხალხი ორთაო-დ, თუ იმის მაქმედივ აქ ასავ, რაც გინდა გადაგვაჭდიეთავ. ჩვენავ სხო კაც კი აღარ გვყოვავ, ჩვენავ აქ ვიქნებითავ, თუ არ გვენდობითავ, თქვენ წეედითაო-დ ნახეთავ სახლებში, თუ დიაც-ყმაწვილის მეტ ვინ ასავ. ხალხ რო შაიყარ, მავიდ ის დაჭრილ ღილღველი, დაათვალიერ ხალხი. ისივ აქ არ ასავ, თქო, ისივ არც ბუდის ჭევსურ იყვავ, არხოტულ ტალავარ ეცვაო-დ ლეგა ყარწიკა ეხურავ. ბუდის ჭევსურებს ხო ყარწიკაებ არ აქვავ. ისივ დაბალა კაცა იყვაო-დ მელუასავითავ წითელან თვალან-ი ხქონდესავ. არხოტივნებ მაინც არ გატყდესა-დ პირობა მისცეს, ჩვენ ვიძევთაო-დ თუ გავიგითავ, გეტყვითავ, ვინ იყვავ მაგის მაქმედივ.

ჭირჩათ მინდია

მიამბო მინდია ოჩიაურმა, 70 წლისამ, სოფელ ახიელში, 1939 წელს

ოჩიაურთ გვარისა იყვ ჭირჩათ მინდიაი-დ მამად ჭირჩათ ეძახდეს. ჭირჩათ მინდიას ღილღვლებმ შინშ მაუკლესა-დ იმაზე გამწარებულმ დაიწყ ღილღოს სიარული-დ ჭოცა ღილღვლებისა. შინშ რო მაუკლეს, მაშინ უთხრ დამარხვაში მკვდარს, რო რაიდ მინდია ვიქნებივ, თუ „იოგისთაოდ" ვერ გიძებნევ (იოგის თაოდ ძებნა თორმეტის კაცის მაკვლას ექვივნ. კაცსა თორმეტ იოგი აქვავ იცოდიან წინათა-დ. ვინაც ვაჟიავ, თავის მკვდარსავ იოგისთაოდ იძებნისავ. ერთის კაცის მაკვლაზედავ თორმეტს კაცს მახკლავსაო-დ თორმეტსავ მკვდარს შასწირავსავ. იოგისთაოდ ნაძებნს მკვდარსავ საიქიოს თორმეტ უნცროს ექნებისაო-დ ყველაზე მეტად იაღშიავ ისიავ). შინშ რო დაღმარხ, დაიწყ მინდიამ შურის საძებრად სიარული, თერთმეტ ღილღველ მაკლა-დ მეთორმეტე ტყვედ დაიჭირა-დ მაიყვან შინ. საჭსარ მისცესა-დ გაუშვ იქავ. მემრ იფიქრ, რო ერთ კაც მიკლავავ, ისიც უნდ მავკლავ, რო თორმეტად შავასრულავ. წავიდ მეთორმეტე კაცის მასაკლავად, სხვაკან ვერცად ვინ შახვდ, მივიდ თავის შინშის მამკლავო სოფელშია-დ იქ მაკლ ერთ კაცი; გამაიქც თაოდ. რო გაიგეს ღილღვლებმ, გამაუდგეს მდევრად. მანამ ტყვია-წამალ ხქონდ, კი არ მაუშვნ ახლოსა-დ, რო გაუთავდ, ერთს დეკაში გაძვრ (დეკა: ძალიან დაბალი ბუჩქები მთის ადგილებში იცის, ხელით გლეჯენ ამ ბუჩქებს და შეშის მაგივრობას ეწევა). იქით შამაზძახნ გორულ ჯვარს: მიშველეო-დ შინავ რო ქორა ჭარი მყავავ, იმას დაგიკლავავ თუ მშვიდობით გადამარჩენავ. ჭარ რო შაუთქომ, გორულს ჯვარს საფარველ დაუდებავა-დ ვეღარ უნახავ ღილღვლებს. ზედ დადიოდანავ, გაჭეითიითაც ეძახდიანავ, რო ამაგ დეკათან მივიდავ, მემრ აღარცად წასულაო-დ მაინც ვერ მაუჭელავ, საფარველივ ზდებივ. დაუნებებავ თავი, წასულან. ჯერ კი მჯდარ მინდია ამ დეკაშია-დ მემრა-ღ წამასულ. მასულ შინა-დ უთქომ თავის თავგადასავალი, ქორამ მიშველავ, უთქომ; გორულ ჯვარსავ რო ქორა შამაუთქვივ, მემრ დამედვავ საფარველიო-დ ვეღარ მნახესავ ღილღველთავ, თორე მამკლევდესავ. ცოლს გაჯავრებულა-დ უთქომ: ერთ ჭარი გვყავავ, გორულმ ჯვარმავ რო სრუ დაგვჭოცნასავ, იმ ჭარს ვერ დაგაკვლევთავ ეეხლადავ. მინდიასაც ძალად არ გაუნიჟებავ ჭარის დაკვლაი. გაშჩენივ მინდიას ისეთ სატკივარ ამ ქორაის არდაკვლაზედ, რო ვერ გაუძლავ სატკივრისადა-დ თოფ დაუკრავ თავისთავისად. თოფის ჭმა რო გაიგონეს, ხალხი შავიდ მინდიასთან; ნახეს, რო კაცი სისხლიანი, თოფ დაუკრავ. რაი ხქენივ – უთხრეს, მინდიაო, რაზე მაიკალივ თავივ (ჯერ კიდევ ცოცხალ იყვ მინდიაი). ეჰავ, ოჭერივ, მე არ მავიკალივ თავივ, ქორამ მამკლავ, ქორამავ. ქორაი მყვანდავ შათქმულიო-დ ის რო არ დავკალივ, ისეთ სატკივარ გამჩინდავ, რო ვეღარ გაუძალიო-დ თოფ დავიკარივ – უთქომ მინდიას.

მინდიას დები ხყონივ ქმართას წასულები. ეროს დას ნანა ქვივნებულასა-დ ჴმით მატირალ ყოფილ. მინდიას უოქომ: ეეხლადავ ჩემს სიკვდილს გაიგებენავ ჩემებ დებიო-დ სატირლად მავლენავ. ჩემს სატირლადავ ნანას ნუ მაუტევთავ აქავ; იმათავ, რო ქება-დიდებით ტირილ იცისაო-დ მე არ მწადისავ ხალხშიავ რო ჩემებ დებ მაქებ-მადიდებდანავ. თუ საქებ რა მიქნავავ, ისივ ხალხმ თაოდ იცისავ, შინაურებისგან არ ვარგავ ქება-დიდებაივ თავისისაივ. მემრ მაკვდ მინდიაი-დ აბა დებს ვინ დაუშლიდ ძმის სატირლად მასვლას. მასულან დები-დ ნანას ძმაზე ჴმით უტირავ:

ზენუბან ციხე დაიქცა
ნაგები ბასრი ქვისაო.
მამკვდარა ოჩიაური
მგელი, მჭამელი მტრისაო.
დათა მიუვა ამბავი:
ყინჩად იკაწვრენ პირსაო,
თავი რად მახკალ, მინდიავ?
სიათა ყინჩად ტირსაო!
თორმეტის შურის მძებნელო,
ჴელად მამყვანო ტყვისაო.
ღილღვლები ქომოციხლები,
გაიმტყელებენ ძილსაო.
ვინაღ შაგვიყრის ლაშქართა,
ვინაღ აუსხამს პირსაო?
კიშაოს ჭალა დაგვნებდა,
ვინაღ ჩაგვისხამს მზირთაო.

აისეთონ ამაყნ ყოფილან ჴირჩანი-დ ბოლოს ქოოდ დაილივნეს, აღარვინ დარჩ იმათაი. ოჩიაურნი ოთხ მამად იყვნეს: „ალუდიკანი“, „საჩინანი“, „ქალიელნი-დ”, „ჴირჩანი“. სამ მამაი კიდევ დამრჩალი, მეოთხენ ჴირჩანი ქვე დალეულან თავის სიამაყით.

უშიშა ოჩიაური

ჩამაწერინა: ბაიჭაურ ცისკარაულმა, 58 წლისამ, სოფ. ახიელში, 1939 წელს

უშიშა ოჩიაურიც მენადირეი-დ მტრისად მიმყოლ კაც ყოფილ. ოჩიაუროებიც უჭოცავ მტერსა-დ არც უშიშას ურჩენავ იმათად თავის ჭირი:

1.
უშიშავ ოჩიაურო, დალოცვა შენის პირისა!
ბევრა მაგიკლავ ღილღველი, წყენა არ იცი ჭირისა.
2.
ჭიმღის კლდეთ ყეფენ ყორნები, ერთი უძახებს სხვასაო;
„ველთ გაოს ოჩიაური, გავხყოთ ამაგის კვალსაო,
თოფს დახკრავს ღილღვლის გაზდილსა, ფეჭთ ძირ გასთელავს მკვდარსაო.
არ მაგვაკლებდა უშიშა სახრაოდ ღილღვლის ძვალსაო.

ერთხან წასულ უშიშა შურის საძებრადა-დ ორნი სახლისკაცებ გაუყოლებიან. ამღისას გაუვლავა-დ გამდინარნი ამღიონთ ფეხონს უნახიანა-დ ფეხონმ სიცილ თუ დაიწყ – ოჩიაურთ ჩაიარესაო-დ ეეხლადავ მამკლავს მახკვლენავ. იქ ერთი ოჩიაურთ დისწული ყოფილ აბათ კურდღელაი-დ სწყენავ იმას ამღიონთ სიცილი-დ უოქომ: არ გინდათავ სიცილივ, ოჩიაურთავ ბევრჯელ მაკლესავ მამკლავიცაო-დ არა მამკლავიცავ, ეეხლად რახან მავიდანავ, მაშინ გაიგებთავ, თქვენ კი ისით ხალხ იცინითავ, რო შინით კარში გასვლაიც არ შაგიძლავთავ. გაჩუმებულ ფეხონი-დ ადარ უოქომ კურდღელაისად, რო გაუგონავ ეწყინავ. ოჩიაურთ სამი-ოთხ დღეს დაუგვიანებავ. სოფელში მისულანა-დ მართლა მამკლავ შახვედრივა-დ ის მაუკლავ. მეოთხე დღე იყვ, ოჩიაურთ წასვლისაი-დ იქავ ფეხონ ისხდ ამღას. ერთ ჯვარის ჭელკაცი იჯდ ფეხონში. ერთბაშად წამოხტა-დ პირჯვარ დაიწერა-დ (ჯვარის ჭელკაცი: მოწმიდარი კაცი, რომელიც მკითხაობს კიდეც და ჯვარშიც მსახურობს) თქო: „დიდება ძალსა თქვენსა მიქიელის მწევარნო". ეს რო თქო, დაჯდ ეს კაცი. ფეხონს გაუკვირდა-დ უთხრეს: რა იყვავ, რა საოცარ დაგიდგავ? „მიქიელის მწევართ შამაიარესავ სისხლით დასვრილთავ, თქო, აუცილებლივავ ოჩიაურთ რაიმ ზიანი ქნესავ ღილღოსაო-დ იქ ჩაეშველებოდესა, იქით მამდინარნ იყვნესავ. ეს ისეთი ჯვარის ჭელკაცი-დ მკითხავ კაც იყვ, რო ხალხი ამის ნათქვამ-ს ყველას იჯერებდ. სხო ხალხი კი აბა რას ღნახევდა-დ ამას კი გაეჩვენნეს სისხლით გათხვეფულნ მწევარნი. რახან არხოტიონმ სად ვინ გაიმარჯვის, ეს კაც წინავაც ხედევდის ამ სახით არხოტის ჯვრის მწევართ. იმ დღეს არცად ვინ მავიდა-დ მეორე დღეს ამღის

პირდაპირზე მავიდეს ოჩიაურნი. კურდღელა გაიქც ფეხონშიით, წყალს გავარდა-დ გაუვიდ გზაში დედულთ. რაი ხქენითავ? სოფელში მივედითავ, მამკლავიოდ შაგვხვდავ, იმას დავაშალეთავ თოფებიო-დ მავკალითავ. კურდღელას გაუხარდ იმის დედულთ სახელის ქნაი, მაბრუნდ. ამდიონთ ფეხონშიავ მავიდა-დ შალანძღ ისეებ, ვინაც ოჩიაურთ ჩავლაზედ იცინოდ – აბა ვერ მაკლესავ ოჩიაურთავ მამკლავივ. თქვენავ რო აქ ნაცართ ხქაქავთავ, ეგენივ მაშინავ საურჯულოოს დადიანაო-დ სახელს ცდიანავ. წამავიდ უფროსიან ხალხი-დ მასულებს სახელ მაულოცეს. ამ წელმ ჩაიარა-დ მეორეს წელს ღილღვლის მზირთ აბათ კურდღელას, ოჩიაურთ დისწულს დახკრეს თოფი-დ მაკლეს. კურდღელა უკაცურ კაცი იყვა-დ მძებნელ აღარვინ დაშჩ. უშიშა ოჩიაური მიუვიდ შინშებს, ალუდიკასა-დ ეროს სხვას: ჩვენავ ღილღველთავ დისწულ მაგვიკლესავ, იმათ შინით არვინ ხყავავ მძებნელიო-დ სირცხვილი გვძესავ, შურის საძებრად უნდა წავიდათავ. ისიც გაიგეს, სადაურმ ღილღველმ მაკლ კურდღელაი, ეს იყვ ძალიან შორიულ ღილღველი, ქორიალამოელი. მაემზადნესა-დ წავიდეს პირდაპირ იმ სოფლისკე მამკლავის მასაკლავად.

რად გაგიხარდათ, ღილღველნო, არხოტივნების ზიანი?
უშიშამ, ოჩიაურმა, არ დაგიბარათ გზიანი.
მიუვლენ ალუდიკასა, შინშო, ორთ სირცხვილიანნი,
ამდას მაგვიკლეს დისწული, აბათ კურდღელა ჭმლიანი.
ადგეს ჩაიდვეს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,
გავიდეს ქორიალამოს, ას დილა თვირთვილიანი;
მაუვას ჩხორეგორელი მანძილა რქაჯანგიანი.
ჩამაეხვივნეს თოფებსა, მაჟრებს გახქონდა ჟრიალი.
ეგ გინდა ღილღვლის გაზრდილო, მიწა შენც ჭამე მტვრიანი.
„იქნებიმც კურდღელაისა-დ, მანდ დაწევ გულს ნატყვიარი!“
ჩორეხ აყეფდა ყორნები, „ვინ იყავ, ვინ ხქენ რიალი?“
იყვნიან ოჩიაურნი, ბევრკან სხვაკან ქნეს ზიანი.
ნეტავინ მაგათ დედასა, ჯარზედ სხენ სახელიანნი.
ამაგ სიმღერის მათქვამი ზენუბან ბანზე ვზივარი.
საამხანიგოდ რად გძულდით, მე განთ ქალ ვიყავ თმიანი;
მეწადა, არ გამიყოლეთ, ჭმალ-კი წელთა მბავ ფხიანი.
მჭართ თოფი მკიდავ ჭირიმი, ძალიან ჭმა-ძალიანი.

წამავიდეს, ჩორეხის წვერ შამაჭდესა-დ გადავიდეს ქორიალამოს. აქ ჩაუსაფრდესა-დ ელოდდეს მამკლავის მასვლას. უშიშა თაოდ იცნობდ მამკლავსა-დ შუადღის დროს ნახ, რო ეს ღილღველ მავ გზაზედა-დ მჭარზე შიშველი თოფ უძეს. უშიშამ

უთხრ ამხანიგებს: „ეეხლად არ აშჩქარდათავ, თოფ არვინ გაისრივათავ, მანამ ახლოს არ მავავ. ახლოს რახა მავიდასავ, მე გეტყვითავ, დავხკრათაო-დ თოფებივ დალიშნებული გქონდასთაო-დ მე რახან გითხრათავ, მაშინ დასხლიტიდითავ. ეგივ თაოდ ასავ კურდღელაის მამკლავიო-დ ადარ ‍ვაგვივიდასავ. მავიდოდ ეს ღილღველ გზაზედა-დ მააყოლებდეს თოფის ‍ვვერებს. ერთბაშად ამ ღილღველმ თვალ შააგდ გადასხმულებს თოფებსა-დ შამაიბრუნ თოფი-დ გამაიძაბნეს კვამლნიც. ‍ვინ‍ვინ სრევა იმანავ დაას‍ვრა-დ ალუდიკას აი მი‍ვა ზედ გადმააშალ ტყვიამ. ხოლოთ კაცს არა მახვდ, რაკი სანგალში ისხდეს. ღილღვლის თოფის ‍ვმას გახყვ ამათ თოფების ‍ვმაიცა-დ ჩაიქც ეს ღილღველი, ერთ ტყვია მახვედრიყვ გულზედა-დ მკვდარ ‍ვაიქც. ადგესა-დ უნცროსობა უთხრეს: „უნცროსიმც ხარავ კურდღელაისაივ, ჯღანთამც უბანდავავ, ‍ვყალსამც უზიდავავ, მამსახურეებასამც უ‍ვევავ საიქიოსა. მაკლეს, შამაა‍ვვინეს, ზედ ყარ‍ვიკა შამაახურესა-დ გას‍ვირეს აიმაში. თაოდ მაბრუნდესა-დ სახელიანნი შინ მავიდეს. იმათ სახელს ამ სიმღერის მათქვამიც მიღნატრიდა-დ სხვებიც. ნეტავინ მაგათავ, რო ჯარზედავ სახელიანნ დასხდებიანავ.

ღილღველთაგან ცეცხლში დაწვა არხოტივნებისა

მიამბო ბაიჭაურ ცისკარაულმა, 58 ‍ვლისამ, სოფ. ახიელში, 1939 ‍ველს

არხოტივნებს ერთ ადგილი ხქონდ ძაუგის ახლოს (ძაუგი: ახლანდელი ორჯონიკიძე). ამ ადგილს ჩურიაანთა ექვინა-დ ძალიან კა ალაგიც იყვ. იქ ზაფხულის კი არვინ ცხოვრობდ, მარტო თივას თიბდეს აქა-დ ზამთრის ცხვარ-საქონ მიუდიოდ. გაზაფხულ იქავ ‍ვამავიდიან არხოტის მთაში. ჩურიაანთას ‍ვასავალი-დ მისავალ გზა სრუ ღილღვლების სოფლებზედ ხქონდ არხოტივნებს. ზავი ხქონდ თუ მტრობა არხოტივნებს ღილღვლებსთან, სრუ ერთი იყვ, მაინც იმაზედ უნდოდ სიარული. მაგრემ საშიშ კი იყვ კაცის მასაკლავადაცა-დ ღამით დამდგრებისად ცხენების დასაპარავადაც. დადიოდეს არხოტივნებ, მაგრემ ძალიან სიმთხილითა-დ ყარაულობით, რო არაით დაზიანებულიყვნეს, მაგრამ რაკი იმათ გზაზე იყვ სავალი, ღილღველნი მაინც არ აძლევდეს მასვენებას, ხან ცხენების დასატაცებლად ეცემოდეს, ხან კაცის მასაკლავად. არხოტივნები ჯერ კი უომენდესა-დ, როსაც ადარც თმენა გავიდოდ, ისენიც ‍ველს უქცევდეს. ხან ღილღველს მახკლევდესა-დ ხან ღილღველი მახკლევდ არხოტიონს. იყვ დაუსრულებელი ‍ოცა-ულეტა ეროუცისაი-დ ნადირობაი ერთმანეთზე.

ერთხან, გაზაფხულ საჭნავად ‍ვამავიდეს არხოტისკე ჩურიაანთით ოთხ კაცი: გუგუჩათ თომა, ჯურ‍ვათ იონეური, საფარათ უშიშაი-დ ალიათ გიორგა. ჩურიანთით

ნელად წამავიდესა-დ მალედ დაუღამდ. იქ ანგუშტის ახლოს ერთი ფიცრული ქოხი იდგა-დ იმაში შავიდეს დასადგომლად. მიიტანეს ტყეშიით ბევრ შეშაი-დ ააგზეს დიდ ცეცხლი, დადგეს შიგ ღამის გასათენებლად. ამ დროს მგზავრად მიდიოდეს ნეთხლები-დ ორ სხო ღილღველი, სრუ ოთხ კაცი; ნეთხლების სისხლ ემართ არხოტივნებსა-დ ელოდდეს დროს, რო შახვედრიყვნესა-დ შური ეძივ. ამ ქოხს რო მიუახლოვდეს, ნახეს რო შიგ ცეცხლ ვისამ უგზავ. ჩამაჭდ ცხენზეით ერთ ნეთხელი, მიიპარა-დ საკომშით ჩუმად ჩახენ — ვინები არიანავ აქავ. ის არხოტივნებს ყველას იცნობდ, რაკი ნეთხა სოფლებზე ახლოს ას არხოტსთანა-დ ერთუცს ყველა იცნობდ ნეთხლები-დ არხოტივნები. საკომში რო შახენ, ცეცხლზე სინათეზე ნახ, რო არხოტივნები არიანა-დ ღამის გასათენებლად დამდგარან. სწორად ის არხოტივნები, ვისაიც ჯავრ ამ ნეთხლებს შჭირს. მავიდ ეს ღილღველ ამხანიგებსთანა-დ უთხრ: აქავ ისეთ არხოტივნებ დამდგარანავ, ვისაც სისხლ მიმართებსაო-დ შახვედრას ვნატრობდივ. თქვენ თუ მიშველთავ, კა იქნებისავ, თუ არ მამეშველებითავ, მე მაინც უნდა დავჭოცაო-დ ცეცხლში დავწვავ ეგეებივ დღეზღამავ (დღეზღამ: ამაღამ). ზოგებმ ამხანიგებმ ჯერ კი დაუშალეს: ცეცხლში დაწვაივ ცოდოიავ ხალხისაივ, მაგრემ ეს რო აღარ იშლიდ, ამხანიგებმაც უთხრეს: კარგივ, ამხანიგები ორთავ, თავს ხო არ გაგანებებთავ. ჩვენაც მაგეშველებითავ. ჩამაჭდეს ყველანი ცხენებზეით, ცხენები შორს დააბეს თივის ზვინზედა-დ თაოდაც იქ დასხდეს არხოტიონ მგზავრების დაძინებამდინ. არხოტივნებმ რო ცეცხლ დააქრესა-დ დაწვეს დასაძინებლად, კარგა ხანს კიდევ იცადეს ღილღვლებმ. ეხლა კი დაეძინებოდავ, რო თქვეს, დაშალეს ერთ თივის ზვინი (ამ დროს აქ ყაზახების თივა იდგა მინდორში), მაზიდეს ბევრ თივაი-დ ამ ფიცრულს ქოხს მირგვლივ მააყარეს. მემრ მაუკიდეს ცეცხლი-დ თაოდ განზე დადგეს თოფებით მზას. გაფიცხებულს თივასა-დ ამ ქოხს მალე გაშჩინდ ცეცხლი-დ სახლში ბოლ დადგა.გამააღვიძ მგზავრებიც ბოლმ. თომა წინავაც მდგარიყვ ამ სახლშია-დ სცოდნიყვ აქ ორმო-ი ასავ ერთის კაცის ჩასაძრომივ. გაქცეულ ეს თომა, ორმოში ჩამძვრალიყვ. ერთ რომენიმ საკომში ამამძვრალიყვა მაღლა, რო ამაჩენილიყვ, ღილღვლებს თოფ დაეკრ ამისადაცა-დ შიგავ ჩავარდნილიყვ ცეცხლში. ერთი კართან მასულიყვა-დ დეეკრ თოფი იმისადაც ღილღვლებს. ეესრ ეს სამ კაცი დამწვარიყვ ცეცხლში, სახლ რო ჩაქცეულიყვ, ბან დასცემიყვ ზედა-დ, ზოგ ნაწილებ გადამრჩალიყვ დაწვას, ნახევრად კი დამწვარიყვნეს სამნივ. თომა გადამრჩალიყვ ორმოში. ღილღვლებს ჯერ კი ეცად აქ, მანამ არ დაეჯერ, რო ეეხლადავ ცოცხალ აღარვინ იქნებისავ, მემრ დაენებ თავი-დ წასულიყვნეს. თომას რო გაეგ, რო ეეხლა თუკლაღ გათენდავ, ამამძვრალიყვა-დ წასულიყვ იქავ ჩურიაანთას. იქით წამასულიყვ ხალხი, ამაეთხარ ნახევრად დამწვარ სამ კაცი. ერთ კაცი არხოტ წამალალესა-დ სხვებმ ეს მკვდრებ წამაიღეს არხოტისკე.

არხოტ წამალალულმ კაცმ არხოტ გატეხ ჭმაი-დ წამავიდეს არხოტიონნი, მაეშველნეს მკვდრების ზიდვას. ამ ამბავმ ქნა ღილღველთა-დ არხოტიონთ მტრობისა უფრო გაძლიერებაი-დ ერთუცის ჭოცა. ეს სამ კაც რო ცეცხლში დაწვეს, თითო კაცის სამაგიეროდ თითოს მაინც უნდოდ მაკვლაი; ახლა იქავ ღილღველს მახკლევდესა-დ ესრ გძელდებოდ მესისხლეობა. ბოლოს იქმდინ მივიდის ზოგჯერ ღილღველთაი-დ არხოტიონთ საქმე, რო გზაში შაყრილს ჯიჭვს შაიძლების გაუშობდ კაცი თოფის დაუკრავადა-დ ღილღველი-დ არხოტიონ კი ერთუცს არ გაუშობდ გზაში შაყრილი მაუკლავად. ერთუცს თუ ღნახევდეს, მეტ არ უნდოდ, რომენიც დაასწრობდ, ის დახკრევდ თოფს. ყარაულობდეს ერთუცის სავალს გზებს, დაუდიოდ მზირი, უსხდებოდეს გზაში ერთუცსა-დ ჭოცდეს ნადირივით. ვისაც ვალ ეკიდ, ხო მაინც იძევდ მასაკლავად კაცს, ვინც უნდა შახვედრიყვ, მახკლევდეს, ხოლოთ ღილღველი-დ არხოტიონ კი ყოფილიყვ. ვისაც ვალ არა მიუდევდ, ისენი სახელის გულისად ჭოცდეს. სხვები ჭოცენავ, სახელობენავ თავსაო-დ რაით მეტებიავ ჩემზედავ, მე რაადაღ ვიყვავ ისრავ, რო სახელ არაი ვქნაევ. სახელ თუ არ ხქონდ ნაქნარი (სახელი იყო კაცის მოკვლა) არც ხალხს მასწონდა-დ არც ქალებს. თუნდ სხოდ არ ვარგნილიყვ, თუ სახელიანი იყვ კაცი, არც ერთ ქალ არ დაიწუნებდ იმას. თუნდ სხოდ ძალიან კაი კაც ყოფილიყვ, ლამაზი, ჭკვიანი, მცხოვრები, თუ სახელი არ ხქონდ ნაქნარი, იმას კა ქალი ცოლად არ გახყვებოდ; რაით მეტები ასავ ჩემზედავ სხო ქალებივ, რო სახელიანს ქმრებს ხყონავ, იტყოდ კა ქალი, მე რაადაღ წაუოლავ ისითს ქმარსავ, რო სახელიანი არ იყოსავ.

ქალმა თქო, ქმარსა წაუოლ, ბასრის ჭმლის ამამღებელსა,
შორად მძებნელსა შურისას, სახელის წამამღებელსა.

აი, ეს სახელიანობის სურვილი, თან სიმღერეები, სახელის მალოცვაი, ქალებისგან ქებაი-დ კარგ ჭსენება, უფრო მეტად უძრევდ კაცის მაკვლისა-დ სახელის ქნის სურვილს ახალგაზდაებსა-დ საწადინოდა-დ სალაღ-სანებივროდ ნადირობდეს ერთმანეთზე. მარტო არხოტივნებ კი არ იყვნეს ესრ, არც სხო ჭევსურები, ესეთ სახელობა ღილღოს უფრო მეტად იყვ. უსახელო, ე. ი. ვისაც სახელ არ ხქონდ ნაქნარი, ესეთ ღილღველი სრუ უცოლოი რჩებოდ. არ გახყვებოდ ქალი, თუუ ქურდ მაინც არ იყვ. თუ კაცებ არ ხყვანდ დაჭოცილები, ჭარ-ცხენებ მაინც უნდა ეპარ, რო ამით თავ ესახელ ღილღველ ახალგაზდას, თორე არცრაად ვინ ჩააგდებდ, არც ქალი-დ არც კაცი.

ღილღვლებში რომ ასეთი სახელობა იყო, ბაიჭაურმა მაგალითისათვის ჩამაწერინა შემდეგი ამბავი:

ერთ ღილღველ ახალგაზდა ძალიან თვალად-ტანადი-დ კაი მცხოვრებ იყვ. არც ქურდობა იცოდა-დ, არც კაცი ხყვან-დ მაკლული. ის კარგად ცხოვრობდა, თავისა-ი ხქონდ ყველაი-დ არ ეწად ქურდობა. არც ვალ ვის მიუდევდა-დ სალაღ-სანებივროდაც სახელის გულისად ის კაცს არ კლევდ. სხოდ იმას სწორ არაით ჟჯობდად.

ერთხან ღილღვლებს ლხინი ხქონდ გამართული-დ ბევრ ქალ-ვაჟი იყვ ერთად შაყრილი-დ თამაშობდეს. ეს ოშკაც გადმაიყვანეს სათამაშოდ, რომენიც არ მიზდევდ ღილღურ სახელობას. ეს ყველაზე კარგად ჩაცმულ-დახურვილი-დ შაიარაღებული იყვ. გადმაჭდა-დ კარგადაც ითამაშ. ერთ ქალს უთხრეს: ადეგივ, გამახყევივ, ითამაშე მაგ ოშკაცსთანავ. ქალმ ძალიან დაუხათრებლად თქო: „მიაც ქალი ორავ, ქალსთან არ ვითამაშებავ. ვითამ მაგასავ სახელ არა უქნავაო-დ ქალებსთან ჩასათვლელიავ“. ამ ახალგაზდამ ქალის ნათქვამ გაიგონა-დ არაფერ არ თქო. წელში გატანებულ დობანჩა (დამბაჩა) ამაიღა-დ შამააყენ ფეჭზე (ქისტებმა თამაშობაში დამბაჩების სროლა იცოდენ მაღლა), ვითამ მაღლა გავისრევავ. ამ ქალის ძმა იჯდ იქ, რომენმაც ამ ოშკაცისად თქო, ქალსთან ვერ ვითამაშებავ. მივიდ ეს მეთამაშე ღილღველი ამ ქალის ძმასთან, თავისებურად იმის წინითი მიუთამაშდა-დ დახკივლ. გადმაიბრუნ ეს დობანჩაი-დ ქალის ძმას დახკრ შიგ გულშია-დ იქავ მაკლ. ამის ძმა-სახლისკაცებმ ამ ვაშკაცს დასცეს ხანჯარი, იმას თავის მოგვარეებ მეეშველა-დ თვალწამიერთ ხანში შვიდ მკვდარ დაწვ ამ ლხინში, ერთი ქალის ცუდი სიტყვის თქმაზე, ორს გვარში შვიდ მკვდარ ამავბაშად გაჩინდა-დ მემრ მესისხლეობის გაგძელება სხო იყვ.

პატალა და ბაბუჭური

მიამბო და ჩამაწერინა ბეწიკა წიკლაურმა გიორგის ძემ, სოფ. ამდაში, 67 წლისამ, 1939 წელს

ამ ჩურიაანთითავ წამავიდ ერთხან მგზავრი საარხვატოდ გაზაფხულ. არხოტივნებმ ჩურიაანთას ჩასვლა ხიზნით იცოდესა-დ ხიზნითავ ამასვლაი. ჯალაფნი ერთიანად იქ წავიდიანა-დ ერთიანად იქით წამავიდიან. მგზავრს თან მაუდიოდ ცხვარ-საქონიც, ცხენებიცა-დ ბარგიც თან მახქონდ. კაცებიც ბევრ მადიოდა-დ დიაც-ყმაწვილიც თან მაუდიოდ. იქ ბართიბოთ ერთ მთაი გადმასავალი, ეს მთა გადმაიარესა-დ ღილღოსკე რო გადმავიდეს, დაუდამდ, ცხვარ-საქონიც აქ დააყენესა-დ ხიზანიც აქ დადგ. სადაც

ესეებ დადგეს, იქ ცოტაად მაშორებით ერთ წყარო იყვა-დ წყალს იქით ზიდნევდეს; კარგა რო დაღამდ, ქურდობის დრომაც მაატან, მაშინ რიგრიგობით ყარაულობაიც მააყოლეს; ხიზნისა-დ ბინაის იქი-აქათი, რო არვინ მაგვეპარასაო-დ ან კაც არვინ მაგვიკლასავ, ან ჭარ-ცხენ არავინ მაგვპარასავ. გძელ ოჭშმობა რო მავიდ, ორ კაც წყალზე წავიდა-დ უჩინს ღამეში იმათ ბინაისკე მამდინრებს ღილღვლებს შეეყარნეს ზედ. ღილღვლები-დ არხოტივნებ რო ეროუცს შახვდეს, მანამ ეროუცს რას დახკრევდეს, ღილღვლებმ მაასწვრეს გზის ძირში გადახტომაი-დ დაქცევაი. ღილღვლებ რო გაიქცნეს, მაბრუნდეს ეს წყალზე წასულებიცა-დ ამხანიგებს უთხრეს: ეემაშიავ მტერ-ი ვნახეთავ. ახლოს მაგვპარებიყვნესავ, ზედ გადაუჩინდითაო-დ დაიქცნესავ, ვედარა დავასწვერითავ, მთხილად ვიყვნათავ, თორე ეგეებივ დღეზღამ არ მაგვასვენებენავ, ან ჭარ-ცხენს გაგვილალვენავ. დიაც-ყმაწვილი დააწვინეს. კაცები ზოგი ბინასთან ახლოს დაჯდ ყარაულადა-დ ზოგები წავიდესა-დ თითოობით ჩასაფრდეს ბინასთანით კარგად მაშორებით, უფრო ისეთებს ალაგებში, საითაც ღილღვლების მასავალ გზებ იყვ. ამ მგზავრში ერთ კაცს ბაბუჭურ ექვივნა-დ ძალიან გამაცდილ მეველეი-დ მენადირე კაც იყვ. სრუ სანადიროს კლეებშია-დ ველზე იყვ თავის სიცოცხლეში. ჯიხვებიც ასობით ხყვანდ დაჭოცილი. ეს კაცი გავიდა-დ ბინასთანით კარგა მაშორებით დაჯდ. გაიკეთ საყუჩი, თოფიც ღილღვლების მასავლის გზისკე დაიჭირ მზას. გძელ ოჭშმობა რო გადავიდ, გახედავს ბაბუჭური – გზაზე შავებს რასამ ხედავს. შამააყენ თოფიც ფეჭზედა-დ უფრო ისრ ჩასაფრდ, რომ იმას აღარცაით მახვედრიყვ ტყვიაი. ეს შავები თანდათან მაახლოვდესა-დ ბოლოს გამაიცნ, რო სამ კაციასა-დ იმათ ბინაისკე ფეჭაკრეფით მთხილად მადიან. ბაბუჭურმ ეროს დაადვ თოფის ლიშანი-დ დასხლიტ თოფი, თოფის ჭმას კაცის კივილნ გახყვეს ღილღვლებსთანით. იქითაც გამაიყარ თოფებ, მაგრამ ბაბუჭური ისითს საყუჩში იჯდ, რო იმასთან ტყვია არ მასულ. ცოტახან კაცის გმინვასავით რაიმ მადიოდავ, დაილივ ჩუმი. ბაბუჭურიცა-დ იმის ამხანიგებიც დიდხანს არ ამდგარან თავ-თავის ალაგშიით. მემრ რო დრო გავიდ, ადგესა-დ მავიდეს ბაბუჭურსთანა ეს ღამე კაცებმ თეორად გაათენეს ყარაულობაში. დიაც-ყმაწვილნ ბინაში იყვ, მაგრამ თოფის ჭმამ გამააღვიძა-დ დაშინებულებს აღარც იმეებს დაზძინებივ. აწ დაგვეცემიანაო-დ აწავ ღილღვლებივ. გათენებამდენ ვერცად წამავიდეს, რო შუა ღილღო-ი ხქონდ შამასავალი. გაჭეით-გამაჭეითი სრუ ღილღველთ სოფლები ასა-დ შუაზე საარხვატო გზა მადის. იცოდეს, რო ეს ღილღვლები აქაურებ იქნებოდესა-დ მამკვდარ რო იყოსავ ბაბუჭურის ნატყვიარ კაცივ, გზა გვექნებისავ შაკრულიო-დ ძალიან გვაზარალებენავ. დღისითავ თვალით მაინც ვღნახავთაო-დ იქნება ჩვენაც ჭელ გამავიღათავ. აიმ გულისად გათენებამდინ არც ყარაულ მახჭსნესა-დ არც ბინა გაჩუჩეს ალაგშიით. რო გათენდ, მივიდეს ბაბუჭურსთანა-დ ასწავლებიეს, აბა, რომენჩი

იყვნესავ, რო ესრიევ. ბაბუჭურმ ასწავლ, რასაც ალაგში ესრივ. მივიდ ხიზანათ აბიკაი-დ ნახ სისხლით მოსვრილი იქაობა, სხვებიც მივიდესა-დ ნახეს სისხლი. აბიკამ დაუაზრა გზის თავში ტყვიის ანაგლეჯი ბორცვი. გამათხარა-დ კაცისა-დ განავარდნი სისხლიანის ტყვიის ნაჭყლეტი გამაიტან მიწაშიით. დაიჯერეს, რო მახვედრივ. მავიდეს კაცები-დ ბაბუჭურს სახელ მაულოცეს, მაგრამ რა მაულოცეს, ხამხისას, ისმაოლათას, გოშტიკაურთას, არიეხისასა-დ სხო ესეო სოფლებისას უნდ წამასვლაი-დ იციან, რო ეს კაცები ბეჯითად ამ სოფლელებ იქნებოდეს. ამ ხალხს ამთვენ ცხვარ-საქონ მაუდის, ეს დიაც-ყმაწვილი. გზაში ეს კაც მაკლული-დ ძალიან მარჭეს საქმეში ჩაიყარნეს, მაგრამ რასაღ იქმოდეს, აღარცად ხქონდ წასავალი. რაც უნდა მასვლიყვ, მაინც ამ გზაზე უნდა გამაევლ. რას იზმოდეს, ახყარეს დილას ცხვარ-საქონი, მაიმზადეს თოფ-იარაღი კარგადა-დ გამაუდგეს გზას. დიაც-ყმაწვილს უთხრეს: თუ ჩვენ დაგვეცნესაო-დ ომ მაგვიჭდავ, თქვენ ნუ დაშინდებითავ. ეგ ცხვარ-საქონ გალალეთავ, თქვენ არ გამაგეკიდებიანთაო-დ არცარას დაგიშავებენთავ. ჩვენ კი, რაიც შაგვიძლავავ ვიბრძოლებთავ, მანამ ცოცხლები ორთავ, ჭელგამაუტანლად აგებ არ დავიჭოცნათავ. წამავიდეს, წინ დიაც-ყმაწვილი-დ ცხვარ-საქონ დაიყენესა-დ უკენ თაოდ მახყვებოდეს კაცები. ხამხის ძირ რო მავიდეს, გახენესა-დ ხამხას შუას სოფელში ერთს სახლთან ნახეს შავ ალამი. მაშინ ღილღვლებმ მკვდარსთან შავის ალმის გაკეთება იცოდეს. ეს ალამ რო ნახეს, გაიგეს რო პატალაის სახლთან ას ეს ალამი. პატალას ყველა იცნობდ, რო ქურდი-დ ავ კაც იყვა-დ, ახლა კი მიხვდეს არხოტივნებიც, რო ბაბუჭურს პატალა მაუკლავ. ამ პატალას ბევრი ხყავ სახლისკაცები-დ მაკეთეი, ეხლა მიხვდეს რო მშვიდობით გადარჩომა მარჯვე აღარ ას ამ გამწარებულს ურჯულოშიით. ხამხა გზის თავზედ ასა-დ ბოლოზე გაშლილნ ყანან-ი ხქონ. არხოტ წასავალ გზა ამ ყანათ ბოლოზე მიდის. ნახეს ღილღვლებმაც შამამდინარ ხიზანი-დ ხამხის ძირ, აი ყანათას, ურჯულოს გუნდ წამავიდ პირჩაღმ. ჩამავიდეს, დიაც-ყმაწვილსა-დ ცხვარ-საქონს ყურ არ უგდეს, გადეეღობნეს კაცებსა-დ შუაში შამაიყარნეს. უთხრეს: გუშინწუხრავ თქვენავ პატალა მაგვიკალითავ; მაგვეცითავ ის კაცივ ჭელშიავ, რომენმაც მაკლავ, თუ არა და ყველას გაგწყვეტთავ. არხოტივნებმ უთხრეს: ჩვენს ბინაზე რაისად მავიდოდავ, ჩვენ ყველამ ვესრიეთაო-დ ვის ტყვია მახვდავ დამითავ, ჩვენ ამას რაით გავიგებდითავ. რაიც გინდათავ, ისი ქენითავ, ხოლოთ უჭირვლად კი ვერც თქვენ წახოლთავ. ჩვენაც თოფებივ ჭელჩი გვიჭერავავ, ახლოს არვინ მოხვიდათავ, თორე თოფს დაგკრავთავ. ჭირის პატრონები მავიდესა-დ მაშივ თოფებ მაუბრუნეს. ასთემურა პატალაის ბიძა იყვა-დ ის უფრო საქმეს აჭირებდ. იჭერდეს სხვები, ღილღვლები-დ იზიდებოდ: ამ ჭიაის მჭამლებმავ (ასე ეძახოდნენ ღილღვლები ხევსურებს) ღილღოს განთქმულ ძმისწულ მამიკლესავ. მე ამათავ ერთს არ გაუშობავ ცოცხალსავ. სხვას სოფელშიით მისული მშვიდობიან

ხალხ ჩაერივ გამშველებლადა-დ ჭირის პატრონებს ისენ არ აძლევდეს ნებას თოფის სრევისას. იჭერდეს, ეხვეწებოდეს დიაც-ყმაწვილ მიუდისავ, ეეხლა გაუშვენითაო-დ შურისძიების ხანივ მემრ გექნებისთავ.

ეს ბძოლა სხვას სოფლებშიითაც ნახესა-დ უფროს ხალხ მავიდ (ხნიერი ხალხი). დაიჭადეს ქუდები-დ ეხვეწებოდეს ხამხელთ: გაუშვითავ ეს ხალხივ, ხიზან მიუდისავ. მემრ გაიგებთავ, ვინ იყვავ პატალაის მამკლავიო-დ სად წაგივათავ არხვატითავ. ეხლა კი ჩვენ გვაპატივეთავ. ღილღველთ უფროსები გზაშიით მააშორებდეს ხალხსა-დ გამაუშობდეს არხოტივნებს, მაგრემ სხვები დაიქცეოდესა-დ იქავ წინ გადაუდგებოდეს. ღილღველთ უფროს ხალხი იმთვენ შასწუხდ, რო სრუ ოფლში გაიბანნეს. ბოლოს ხამხელთ დახათრდ უფროსებისაი-დ გაუგონეს ხვეწნა (ღილღვლებმ ძალიან იციან უფროსის ხალხის ხათრი), დადგესა-დ გამაუშვეს დაგუბებული მგზავრი. არხოტივნებს კიდევაც არ ეგონ, თუ ან გზა არ ვის ექნებოდ შაკრული-დ ან მდევარ არ დაეწეოდ, მაგრემ არც ერთ მახჭდ ესი-დ მშვიდობიანად გამავიდეს თავის მიწა-წყალზე.

პატალას ბაბუჭურის თოფის ტყვია გულში მახვედრიყვა-დ იქავ მაეკლ. ორნ ამხანიგნ შასხდომიყვნეს მჭარსა-დ მკვდარ მიეტან შინ. არხოტივნების ბინაზე ცხენების დასაპარავად მიმდინარნ ყოფილიყვნეს. ეს პატალაის სისხლი დარჩ უძებარი-დ იმის სიკვდილიდგეს პატალაის სახლისკაცებმ სამოცდაათის წლიდგეს მაასხ მზირი, არხოტის ჭალას ჩაუსხდესა-დ ორ ახალგაზდა მაკლეს (ამათ სიკვდილზე მერე იქნება საუბარი). პატალაის სახლისკაცს ტურტური ექვივნა-დ ტურტურის მზირმ დაჭოცნ ბეწინა-ბეწინანი, სრუ უდანაშაულო ახალგაზდანი. მაშინ ბაბუჭურმ კარგად თავ ისახელა-დ არხოტივნებმაც, რო იქავ შამაიარეს ღილღოს გზაზედ. არც ბაბუჭურ გატეხესა-დ მშვიდობით გამავიდეს ღილღველთ ჭელშიით; არც იარად აიყარეს, თოფის წვერებ სრუ ღილღვლებისკე ხქონდ მამარჯვებული-დ არც ახლოს უშობდეს ღილღვლებს. ამ სახელის ქნაზე სიმღერებიც იყვ ნათქვამი, რომენსაც ჯარზე ბაბუჭურსაც უმღერდესა-დ. ეხლადაც იქავ იმღერენ ფანდურზედა-დ თავჭმელად მღერაშიაც.

1.

ხამხით ტირილით წამავლენ, ქალებ იძახან თავზედა:
ძმაო, იძახან, შენ მამკლავნ მადიან ჩვენსავ გზაზედა.
მაგათ მაკლული დიჩინი, პატალა გვიწევს კარზედა.
მავიდა ასთემურაი, სიცილით დანდობაზედა.
წინა მგზავრმ ვინ შაიარა, ძმისწულ მამიკლეს რაზედა.
მე რომ პატალა გავზარდე, ხამხას გაღმეტდა გორზედა.

2.

ანგუშტით მგზავრი წამავა, ეხლა ხანი ას ჭვნისაო.
დადგიან ღილღოს მთაზედა, ღამით დარდი აქვ მტრისაო.
შუადამის დრო მავიდა, თვალი შააგდეს მზირთაო.
ერთმანეთს ეუბნებიან: - ნუ დავენდობით ძილსაო!
არამც დაგვეცან ღილღვლები, გულ გაგვილადან მტრისაო.
თოფ გადის ღილღოს მთაზედა, ხან იყვა შუღამისაო.
ბარაქალ ჭოლიკაურო, თესლი გაქვ არწივისაო.
შენის ჩახმახის ჩქამზედა ღილღველ აყოლებს გმინსაო.
საკვირველ კი ას, ვაჟებო, შამავლა იმავ გზისაო.
ხამხას თვალით ჩინს ალამი, ხამხლების დიჩინისაო.

პატალას სისხლის აღება ტურტურისაგან 70 წლის შემდეგ

მიამბო ბეწიკა გიორგისძე წიკლაურმა, ამღაში, 69 წლისამ, 1941 წელს

ღილღვლებმ არ იცოდეს აჩქარება შურის საძებრად, არხოტივნებ კი მაშიავ აჩქარდებოდეს, სხვა ჭევსურებიც, შურივ მაშივ თუ არ ვიძიეთავ, მემრავ გული განელდებისაო-დ ვედარას ვიქთავ.

ტურტური გაჩენილ არ იქნებოდ, როსაც ბაბუჭურმ პატალა მაკლ. დარჩ უძებარი პატალაი-დ ყველას დასცილდ, ეგონ ყველას, რო პატალაივ დასცილდაო-დ სამუდამოდ დარჩავ უძებარივ. პატალაის ახლოს სახლისკაცი ტურტური გაიზარდ, დაბერდა-დ ნახევრად თმა-წვერიც გაუთეთრდ. არხოტივნებიც დადიოდეს იმათ სოფელშია-დ თაოდ ტურტურის სახლშიაც სტუმრად. იმას არც კი უჭსენებავ პატალაი-დ არც ვისთან ცუდგულობა შასტყობივ. ტურტურის გაჩენამდინ მალევ მამჭდარს საქმეს თუ ტურტური მაზდევდ, არცვის ეგონ ისი; მემრ ტურტური ბეჩავაი-დ თავდაბალა კაცა იყვ.

ორმოცდაათ წელს კარგად გადაცილებული იქნებოდ ტურტურ, რო შაყარ ერთ ხუთი-ექვს კაცი მზირი, გამაუძღვა-დ ჩაუსაფრდეს არხოტის ჭალას, ადგილობრივ საძრომთ. ეს ძალიან იწრო ჭალაი ას, რომ ორ კაცი მთელს ლაშქარს აზარალებს ჩასაფრებული. ამ დროს გაზაფხული იყვა-დ ტყე ახალ აფათვლულ იყვ, გზის თავში ცაცხვის ტყის ბუჩქებში გაიკეთეს სანგლები-დ ისითს ალაგში ჩასხდეს, რო იმათ ქვე არცაით რა დაეკლებოდა-დ გზაზე მიმავალს კაცს ქვე არ გასცდებოდ თოფი, ისრ ახლოს იყვნეს გზასთან. ორს დღეს ისხდეს აქა-დ არვინ შახვდ. ტურტურ იმ აზრით კი იყვ წამასულ, რო ვინაც უნდა არხოტიონ შახვედრიყვ, სრუ ერთი იყვ იმისად, მაინც მახკლევდ. იმან ისიც იცოდ, რო ბაბუჭურიც აღარ იყვ ცოცხალი-დ იმის შვილიც მაკვდ. შვილიშვილი ქვე არ დაშჩ ბაბუჭურსა-დ ისიც იმით ფიქრობდ, რო

მამკლავო ქვე ვერა დავაკელივ, აღარც არიანავ, არც იმათ სახლისკაცებს ვიცნობავ. ეხლად ვინაც შამხვდებისავ, მავხკლავავ. ამ წინას წლებში ერო ამდიონ მაკლეს ღილღვლებმ ბერდიათ გიგია. ამას ორ ახალგაზდა დაშჩ ცოცხალი, სახლისკაცები. ერთსაც ბეწინა ექვივნა-დ მეორესაც (იმით იტყვიან „ბეწინა-ბეწინათ“ დაჭოცაივ). ეს ახალგაზდაები ძალიან კარგები იყვნეს, დაახლოებით ცხრამეტ-ოც წელში იქნებოდეს ორნივა-დ დაიწყეს გიგიაის სისხლის ასაღებად სიარული. ხან მთათას დადიოდესა-დ ხან ჭალაისას. ხოლოთ ისით დრო იყვ, რო ჭალაზე სიარული საშიში იყვ ღილღვლებისგან. იმათ ბევრს უშლიდეს, ჭალაზე ნუ დაზდითავ, მტერივ ზედ სად შაგიყრისთაო-დ დაგჭოცსთავ, მაგრემ ისენ არ იშლიდეს, მაინც დადიოდეს. ალალს ღილღველს კი ბევრსაღ შახვდებოდესა-დ მახკლევდეს, მაგრემ იმათ უნდოდ მამკლავ საით ჩაეგდ ჭელშია-დ ის მაეკლ – „მტკივნისად ეტკივნ”. ღილღვლების მასვლისა-დ მზირად ჩასხდომის მესამე დღე იყვ, რო ბეწინა-ბეწინანი ჯალაფთ ძალად ჭალაისას წამავიდეს, ღილღოსკე, შურის საძებრად. მეემზადნეს საგძლით, თოფ-იარაღით კარგადად. დილას კარგად გათენებულ არ იყვ, რო გამაემართნეს, ჩამაიარეს არხოტის ჭალაი-დ სამტროს გზას რო მაებნეს, ცოტა შორ-შორად დაიწყეს სიარული, არამც მტერ სად იყოსავ ჩასაფრებულივ, ზედ შაგვიყარნასაო-დ დაგვჭოცნასავ ერთადავ. ცალ-ცალკე რო ვიქნებითავ, უფრო ვერას დაგვაკლებენავ. საძრომთ რო ჩამავიდეს, წინ ჭირჩლათ ბეწინა მივიდოდა-დ ერთ ოცის საჟნის დაშორებით ბაბუტთ ბეწინა მახყვებოდ. ჭირჩლათ ბეწინა რო იმ ჭალაში მივიდ, სადაც ტურტურის მზირ ისხდ, ნახეს ღილღვლებმა-დ ზოგებმ თქვეს: „ნუ მავხკლავთავ, ყმაწვილიავ, ჯერავ წვერ-ულვაშ არ აქვავ. სხვებმ კი უთხრეს: მესამე დღეი ასავ, აქ ვსხეორთავ – არავინ მავიდავ. ეს საგძალიც გათავდაო-დ როსნამდინ უნდა ვისხდათავ აქავ. თუ ყმაწვილიავ, თოფ-იარაღივ რაად აქვავ (ბეწინას არც წვერ-ულვაშ ხქონდ ჯერ ამასული-დ ტანადაც დაბალ იყვ). დააშალეს თოფებიდ, ჩააქციეს იმაშიავ, სამი-ოთხ ტყვია ერთბაშად მახვდა-დ მაშივ მკვდარ დაეც მიწაზე. ბაბუტთ ბეწინამ თოფის ჭმა გაიგონა-დ გაიქც ბეწინაისად მისაშველებლად. იმ დროს გადაჩინდ, რო ჭირჩლაის შვილს იარაღს ხყრიდეს, ბაბუტთ ბეწინამ ეს ამბავ რო ნახ, პირქვ წაწვ მაშიადავ კლდეზედა-დ ესრივ ღილღვლებს. ეროს კი დახკრა-დ დაამტვრევივ მჭარი. მანამ მეორეს ესრევდ, დააჭალეს ამასაც თოფები წინწინას საყუჩშიავ ნასხდომებმ ღილღველებმა-დ სამი ოთხ იმას დახკრეს. ჭირჩლათ ბეწინაისად იარაღის ასაყრელად რო ჩამავიდეს, ზოგები ამხანიგებ საყუჩშიით კიდევ არ ადგეს, რო ამის იარაღის აყრაშიავ არამც იარაღიან ვინ მავიდასაო-დ, ზოგნი თუ საყუჩშიავ არ ვიქნებითავ, დაგვაზარალებენავ. მართლადაც, თუ საყუჩშიით ყველა დაბლად ყოფილიყვ ჩამასული-დ ბაბუტთ ბეწინაისად იქითავ არ დაეკრ, აქ ისით ჭალაი, რო ეროს არ გამოუშობდ ცოცხალს. ის მეთოფეიც ძალიან იყვა-დ მამაციც. ჭირჩლათ ბეწინას რო ახყარეს იარაღი, ახლა ბაბუტთ ბეწინასთან მავიდეს იარაღის ასაყრელად. თოფ კი აიღესა-დ ამ დროს

ივანეურ გადაუჩინდ ოთხმოცის წლის კაცი. ღილღველნი ყმაწვილისა-დ ხნიერს კაცს არც მახკვლენა-დ, არც რას აწყენენ. ივანეურ რო ნახეს თავის საქმეზე მიმავალი, ხნიერ კაც უიარაღოი, დაანებეს ბაბუტო ბეწინაისად იარაღის აყრას თავი, მარტო თოფ კი წაიღეს. დვირბინი, პატრონაი, ხანჯარ სარტყელ სრუ ზედ დაშჩ, ჭელ აღარ ახლეს. ჭირჩლათ ბეწინაისად კი აყრილი ხქონდ იარაღი, წაიღეს თანა-დ წავიდეს. ის დაჭრილ კაციც სასიკვდილოდ არ იყვა-დ თანავ წაიყვანეს. მემრ ზოგმ კი ისი თქო მაკვდაო-დ ზოგ იმას ამბობდ, იქავ მარჩავ, ვეღარა გაიგეს კარგად. ივანეურმ რო ნახ ახალგაზდაები დაჭოცილები, მაბრუნდა-დ წამავიდ არხოტ გასაგებიებლად. აქ გზა-გზათ ხალხი იყვ მუშის ასაყრელად ჩამასული-დ იმეებს უთხრ ეს ამბავ მახჭდავ „საძრომთავ“ (მუში: ცაცხვის ქერქი, რომლისგანაც ამზადებენ თოკებს). მემუშე ხალხმ ერთ კაც არხოტ წალალეს ჭმის გასატეხლა-დ სხვებმ სამუშაოს თავ დაანებეს, გაუდგეს ღილღვლებს, მაგრამ ისენი სამშვიდობოსაც იყვნეს გასულები, რასაღ ვინ დააკლებდ, ესრ გვიან გამდგარ ხალხი. დააკეთეს საკაცეები-დ წამაიღეს მკვდრები, მემრ ამათ სისხლიც აიღეს, ამათ გარეთულებმ სახლისკაცებმ. ახლოელ კი ამათ აღარვინ დაშჩ.

აი, ესრ სამოცდაათი წლიდგეს იძებნ ტურტურმ თავის სახლისკაც პატალა. იძებნ, მაგრამ რა ძებნა იყვ: ბაბუჭური „ჭოლიკაური” იყვა-დ ეს ყმაწვილებ „აბაიზძენი” იყვნეს. ალალ-მართალ სისხლ დაღვარეს ორის ახალგაზდაისაი. ლექსიც ას ნათქვამი ამ ყმაწვილებზედ, ამათ სისხლ რო ამათ შორიულ სახლისკაცებმ აიღეს, ისიც შიგ ჩატანებული ამათ დაჭოცის ლექსში.

ლექსი თქვი, არხოტიონო, ვინაც რო სახელს იქამსა.
ადვილად დასთვლის სიტყვებსა, არცარას დაღლევს დიდხანსა.
არხვატით მადის ამბავი, ჭმა მისწვდა დედამიწასა.
მზე შაიღება შავადა, ნაპირს ჩავიდა ზღვისასა.
მაღლა ატირდეს ფრინველნი, ცრემლებ დაწურეს თბისასა.
ბრალისგან ველარ დავდითავ არხოტის ჭალაისასა.
ამღით სამზირლად წამავლენ, თქვეს, ჯავრს არ შავშჭამთ მტრისასა.
დიდხანს არ ვავლევთ მზეზედა მამკლავსა გიჟაისასა.
მამა დაბერდა უშიშა, ჩვენ ვხედავთ თოფის ლიშანსა.
ჩადიან, ჩაბოინობენ ვეფხვნი უშიშრად გზისასა.
ფრინვლად აკლიან თბეები, არ აჩქამებენ ქვიშასა.
ის კი რას მაღგონდებოდა, ღილღვლებ ელიან მისვლასა.
ჭირჩლათ ბეწინას მისულსა, დაღლიშნეს როგორც ჯილდასა.
ერთმანეცს ეუბნებიან: „თვალ არ შაგვაგდას ხთისმადლსა!

თორემ ვერ წაოლთ ცოცხლები, არ დაგვიფერებს სხვისასა.
არცა სწყინს, არცრა ეშინის, მიხქადს ნელ-ნელად სიტყვასა:
„ოვალ ვერ შაგაგდით, ღილღვლებო, ვა, დედას ჭევსურისასა!
მაგით ორ დასანანები, ხანს აღარ მაძლევთ ცდისასა".
რო დაათავა, ესრე თქო: „სული ღმერთს, ლეში მიწასა".
ჭმა მისწვდა ბაბუტიშვილსა, ვეფხვს მეომარსა კლდისასა.
უშიშა ჩამაეტანა გზაში ნასხდომს მზირს მტრისასა,
თოფის ჭმას ერთუცს გააბომს, ნათოზს გაიღებს ძვლისასა.
ბაბუტიშვილის ნასრევი ქისტს უმტვრევს ბეჭის ფიცარსა.
სულეთ წაღლალავს ბეწინა ორთავ მამტანსა წყლისასა.
მემრ ბეწინასაც დაგვიკრეს, მასკვლავს მასწილვენ ცისასა.
მესხნი გაებნეს მთვარესა, ნაპირის ადგილისასა.
არ ბოინობენ არწივნი, არ დიან ჩორეხისასა.
სულეთში არხოტივნები გზას დახყვეს სამოთხისასა.
პირს იყენებენ ნათელსა სანთლისას, კელაპტრისასა.
ჯავრს გულში ჩასვლას ამბობენ ბერდიშვილთ ახლებისასა.
მარტოთ ამბობენ წასულთა, იმედს არა ორთ სხვისასა.
ბაბუტამა და გიგიმა გზა დაისწავლეს მთისასა.
შაჭალის ჩდილში ჩაუსხდეს, ძალს აკსენებენ ხთისასა.
თან სტანავ არხოტის ჯვარი, ფხას გააწითებს ჭმლისასა.
თოფ დახკრეს ღილღვლის გაზდილსა, ბაიგულიშვილს ისასა.
ჭმა გატყდა საურჯულოოს, ფრინველნ დაფრინდეს ცისასა.
ამდას მავიდეს სოფლადა, სახელს ულოცვენ ჭირჩლასა.
არ ხკარგავთ ბერდიშვილებო, ნაქნარსა მამ-პაპისასა.
თქვენი ჭმა შორად გავიდა, ყურს მისწვდა ხემწიფისასა.
ამაგის მალექსებელი ნაპირს ზის კავკასისასა.
მაღლა მივდნატრი ღურბელთა მდინართა აერისასა.
ახიელაში ციხესა, აგებულს აბაისასა.

ეს ლექსი მემრ ნათქვამი ას, როსაც ეს ყმაწვილები დაჭოცესა-დ ამათ შორიულ სახლის კაცებმ ბაიგულიშვილ მაკლეს, ისა. ისა ალალმართალ კაც იყვ, მაგრემ იმის მამკლავებ იმას ამბობდეს, რო ბეწინა-ბეწინანიც ალალმართლებ დაჭოცნესავ. ჩვენ რაადაღ უნდა ვიძიოთავ დამნაშავეივ. ან სად მავჭელავთავ ჩვენავ ხამხელს ტურტურსავ, რომენმაც ჭოლიკაურთ ბაბუჭურისგან მაკლულის პატალაის შურივ ბეწინა-ბეწინათაზე იძივავ. როსაც ბაბუჭურმავ პატალა მაკლ, მაშინავ ბეწინა-ბეწინათ მამებიც არ იქნებოდავ იარაღის ამტანებივ, ისენ კი არავ.

მანგიათ ბეწიკა

ჩამაწერინა 58 წლის დია თეორაულმა, სოფ. ჭიმდაში, 1939 წელს

რაჭელც პატალაის მაკვლის დროს მადიოდ მგზავრი, აგეთაივ მგზავრი მადიოდ ძაუგშიით საარხვატოდ. სვით დაბარგულებ ცხენებ მაუდიოდ, ხიზან კი არ მაუდიოდ, აქ მარტო კაცებ იყვ. დაუღამდ გზაზედა-დ ღილღოს ჭალაზე დაშჭირდ დადგომა, რაკი უჩინ ღამე იყვა-დ გზა არ იგებოდ.

ღამით ცხენებს რიგ-რიგობით ყარაულობდეს, რო არვინ დასცემიყვა-დ ცხენებ არ გაელალ. ამ მგზავრში იყვ ერთ ყველაზე ახალგაზდა ყმაწვილი მანგიათ ბეწიკა. ბეწიკა უფრო ბევრ ხანს ყარაულობდ, როგორც ახალგაზდა კაცი. სწორედ ამის ყარაულობის დროს დაეცნეს ღილღვლები-დ ძალით გაუბედეს ცხენების დატაცება. ბეწიკას იმთვნად აღარ დასცალდ, რო ამხანიგებისად გაეგებივ. მაუბრუნ თოფი-დ ეროს ღილღველს თეორად რაიმ უნათობდ, აი თეორის ანდით ესრივ: „ალლაჰა” გახყვ თოფის ჴმას ღილღვლის ყვირილი. ეს თეორად სპილოს ტარ ყოფილიყვ ხანჯრისა; ტყვია მართლა ხანჯრის ტარს მახვედრიყვ. ძვალ დამტვრეულიყვა-დ აი ნამტვრევები ღვიძლში შაეტან ტყვიას. თოფის ჴმაზე ბეწიკაის ამხანიგებიც წამაიშალნესა-დ ბინაის იქი-აქათი ჩასაფრდეს. ცოცხალ-მკვდარ ღილღველი წაიყვანეს ღილღვლებმა-დ გზაზე მაუკვდ, მანამ შინ მიიყვანდეს. ამ დაჭრილის კაცის გმინვა-ყვირილი ბეწიკას ამხანიგებმაც გაიგონესა-დ გაიგეს, რო ის კაცი სასიკვდილოდ იყვ დაჭრილი. ახლა წამასვლაიც გაჭირდებოდ, ისიც იცოდეს, ბეწიკაის ამხანიგებ ცოტა არ იყოს დატყდესა-დ ბეწიკას უთხრეს: ნეტაინ სიმართლით კი არ გესრივავ, არ მაგეკლავ, ეეხლა არც ჩვენ გაგვიშობენავ ცოცხლებსავ; მემრ საურჯულოოს გზას გვინდავ გავლაივ. მემრ თქვეს: დავანებათავ თავივ ამ ცხენებსაცაო-დ ბარგსაცავ, ჩვენავ ღამის ძალით წავიდათავ უგზოს გზაზედავ, იქნება ცოცხლებ გადავშჩათავ, თორე სრუერთიავ, ცხენებსაც წაიყვანენაო-დ ჩვენაც არ გაგვიშობენავ ცოცხლებსავ. ბეწიკამ ჯერ კი იყურ ამხანიგების ნაუბარი-დ მემრ უთხრ: მე ბეწიკაი ორ, ცხენებს აქ არ დავსწირავა-დ არხოტ სირცხვილიან არ მიოლ, თქვენ სადაც გინდათ იქ წეედით. ცხენების აკიდებას მიშველეთა-დ მე გავღლალავ ცხენებს. ღილღოს გზას ღამით გავათავება-დ გათენებისად თავის ადგილში გადაოლ. იქ ქვე აღარვინ გამამიდგებისა-დ ვერცრას მიზმენ. აქ თუ ღამით მტერ შამხვდების, შორით ქვე ვერ მნახავს ღამით, რო გზაში ჩამიჯდას. ახლოს მასულისად მიაც აისითა კაცი ორ, რაჭელიც კაც ის იქნების. თოფი-დ ხანჯარ მიაც მაქვა-დ არც იმას ექნების ზარბაზან ქვე. მანამ ცოცხალი ორ, ქვე არ ვის დავანებებ ცხენებსა-დ რახან მავკვდ, მემრ ჯანაბეთ ჩემ თავიცა-დ ცხენებიც. გალალ ბეწიკამ ცხენები, ამხანიგებმ უშველეს აკიდებას, გატენ თოფიც, გადაიკიდა-დ წამავიდ. გამახყვეს ამხანიგებიცა-დ წამავიდეს ღამით. ღილღო სრუ ღამით შამაიარესა-დ გათენებისად

ოჯახის სათიბეთ გამასცდეს ღილღველთ-არხოტიონთ მიჯნას. მემრ კი დაუმშვიდდ გული ბეწიკაის ამხანიგებსაცა-დ დაუწყეს ქება ბეწიკას. მეორეს დღეს შუადღისად არხოტ იყვნესა-დ ხალხ მადიოდ ბეწიკაისად სახელის მასალოცავად. ის ღილღველი ჩხორეგოელ ყოფილიყვ. დაჭრილ წაეყვან ამხანიგებსა-დ გზაზე მამკვდარიყვ. ამხანიგებმ აჩქარებით მიასვენეს მკვდარი თავის შინა-დ წამავიდეს ამ მგზავრისად გზის შასაკრავად. გოშტიკაურთას რო გამასცდეს, ნახეს რო არხოტივნებს მალევ გაუვლავ გზაზედა-დ წასულან მშვიდობით. ეტყობოდ ცხენების კვალს მალევ გავლილობა. აბა, რასად იქმოდეს, ეხლა კი დაბრუნდეს, მაგრემ საბოლოოდ კი ისრ არ ჩაივლიდ ეს სისხლ, რო სამაგიეროდ ერთ არხოტიონ მაინც არ მაეკლ ჭირისპატრონებს.

მაშინდელს ბეწიკაის ნაქნარს სახელზე ლექსები უთხრეს ახალუხალში, სალექსოი-დ სიმღერეებიც ჯარზე სამღერალი. ამ სიმღერის ნაწილებ იწერების აქ, რაკი ამის ჩამწერიებმ მეტ არ იცოდ:

1.

ნასრევი ბეწიკაისა დაამტვრევს სპილოს ძვალსაო.
ეგ მაგ ხვდა შენის ჭკვისაი, რას წაიღებდი სხვასაო.
გათენებისად მაართმენ ჩხორეგოს ფალავანსაო,
დასტირის ღილღველთ ქალ-ბალი, ცრემლით იხოშვენ თვალთაო.

2.

ქალო, ორ შაწუხებული, თოვლი დათოვა მთა ზედა,
უნდა დაგწყევლა ბაფხულო, თუ არ მაგვიხვედ ხანზედა.
აბეჩავ არხოტიონო, ჴმაი გაქვ ქვეყანა ზედა,
მანგიათ ოსისფერაი გამასერნავდა ბანზედა.
არ იცის სიფუდულეი, არც სახელთ იყრის მჴარ ზედა.
არც იცომს ახალს ტალავარს, დაისარტყლების ტყავ ზედა.
წამავლენ ძაუგ შიითა, მზირი აუდგა გ ზა ზედა.
რა გინდათ, ცხენის მჭამლებო, რაად ხართ დაცემა ზედა,
ჩემთანით ვერას წაიღებთ, ნახალიზრებ ხართ სხვა ზედა.
ნასრევი ბეწიკაისა აჩქამდა სპილოს ძვალ ზედა.
ამბობენ ამხანიგები, ცხენებ დავწირათ გ ზა ზედა.
ბეწიკამ გადიხახანა, ჴელი დაიდვა ჴმალ ზედა.
რაიღ ბეწიკა ვიქნები, ცხენებ დავწირა გ ზა ზედა?
ღილღვლების გამაქცეულსა ქუდიმც ნუ მხურავ თავ ზედა.
ბეწიკავ მანგიაშვილო, დაჯდომა გიღირს ჯარ ზედა.

სახელს გილოცვენ სწორები ამხანიგთ მეტობაზედა.
გაჯალათ ქალის გაზდილო, გაითქვი გრანიცაზედა.
გლეხობას აღარვინ გეტყვის ე მთელსა ქვეყანაზედა.
შაგკდებოდ ჯვარი, მერდალი ლამაზს კულაის ტანზედა,
ტანად ხარ სასლად გაზდილი, გულ მაგარ გიძე ქვაზედა.
შენმა მზემ ჩემის ძმისამა, ქალს ცრემლი მამდის თვალზედა.
ქიჩილა მამიტანიდი, გადავიხურა თავზედა.

გაჯალათ უშიშას მოკვლა ღილღველთაგან

ჩამაწერინა ბეწიკა გიორგის ძე წიკლაურმა, 69 წლისამ,
ამღიონმა, 1941 წელს

მანგიათ ბეწიკამ რო ღილღველ მაკლ, იმის ახლოვლები დადიოდეს ბეწიკაის მასაკლავად, მაგრემ ჭელჩი ვერ ჩაიგდეს. ბეწიკა მთხილად იყვ. კარები-დ საკვმებ ისრ ხქონდ გაკეთებულ, რო აქ ღამით ვერას დააკლებდესა-დ დღისით ჭიმღას არცად ას მზირის ჩასასხდომი. ტყე სრუ არ ას აქა-დ სხოთაც სრუ გლუვებ საძოვრებ მთები ხვევავ სიმირგვლივ. ერთხან შურის საძებრად მასულებ რო სხვას ვერას გაჭდეს, ბეწიკაის ბოსლის კარებ დააღესა-დ ჭარ-ცხენებ გალალეს ბეწიკაისები. მაშინ სოველ იყვა-დ კალოობდ ხალხი. კალოს სალეწავად შუაღამიდგეს იცოდეს ადგომაი-დ ღამით კალოობდეს. ბეწიკა ამ სოფელში ყველაზე მეტად მუშა-მშრომელი კაც იყვა-დ ყველაზე მალე ადგომა ამან იცოდ. შუაღამე იქნებოდ, რო ადგა მაღალ-ბანზე კალო ჩაუდვ. დიაცს უძახ: ჭარ-ცხენებ ამალალევ. აანთ დიაცმ სანთები, ნახ, რო არცად ჭარები აქა-დ არც ცხენი. ამაჭდა-დ უთხრ ბეწიკას, რო ჭარ-ცხენებ ვისამ დაუპარავ – საძროხეს არცადად ასაო-დ კარებიც მღეები ასავ დაწირულებივ. ბეწიკა მიხვდ, რო ეს იმის მტრები იქნებოდესა-დ არხოტის ჭალაისას გაღლალევდეს ჭარებსა-დ ცხენს. სამდევროდ გაბანდული ახალ ჯღანნი ყველას ხქონდ არხოტივნებსა-დ, რა თქმა უნდ, რო ბეწიკასაც ექნებოდ. ჩაიცვ საჩქაროდ, აისხ თოფ-იარაღი. მემრ ჭიმღას გატეხ ჭმა: ჭარ-ცხენებ გამილალესავ. თაოდ ქვე გამაიქცა-დ გამაუდგ მდევრად ქურდებს. ახიელის ძირავ ჩამაეწივა-დ ახიელის ჭიდსთან თოფეს ერთუცი. ქურდებ ყოფილიყვნეს: ჯერნალი, ფარეშათ ოსი-დ ასმათი. ამ თოფვის დროს აირ-დაირივნესა-დ ჯერნალი სხვის გზისას წავიდ, ოსიმა-დ ასმათმ ჭარებ გალალეს სხვის გზისას. აქ ორ გზა იყვ. ერთ გზა პირდაპირ ჭალას ჩაივლის არხოტისასა-დ ღილღოს ჩავ; მეორე გზაზე, სადაც ჯერნალ წავიდ, იმას ზეოუკისას უნდა გეევლა-დ თათელ გადასულიყვ. იქით ლიგანს გაივლიდ, ჩხატათა-დ ტერღას გაივლიდა-დ პირდაპირ ღილღოს გადაჭდებოდ. ამის მგზავრობაზე მემრ გვექნების საუბარი.

ახიელის ძირ თოფვით ღილღვლებმ ჭარ-ცხენი არ დაწირეს, მაინც იქავ გალალეს, ამღას სოფლის თავი გადაავლიესა-დ მაახვედრეს პირჩაღმ ცერსა-დ სრუ რბოლით გაიყარნეს არხოტის ჭალას. ახიელაც ჭმა გატყდა-დ გამაუდგ მდევარი. მაგრემ მანამ ახიელელნ მაემზადებოდესა-დ წამავიდოდეს, ბეწიკა წინ მივიდ ამღას, აქ დედულნი ხყვანდენ, გაჯალანი. ბეწიკა დედულთას მივიდა-დ უთხრ: ღილღველთავ ჭარ-ცხენებ გამილალესავო-დ არ არიანავ შორსავ. ეროი უფრო ყოჩაღ დედიძმიშვილი, ბიძაის შვილი ხყვანდ, უშიშაი-დ მასულს ბეწიკას ეს დახვდ შინ. უშიშა საჩქაროდ მაემზადა-დ გაიქც არხოტის ჭალაისკე. სოფელშიაც ჭმა გატყდ. დაიქც მდევარ, მაგრემ უშიშა წინ წავიდა-დ ვეღარ ვინ მიეწივ. ჩაეწივ ქურდებს არხოტის ჭალას, ოსის ჭარ-ცხენებ მიუდიოდა-დ ასმათი შორგვარად უკენ მივიდოდ, რო დაწეულის მდევრისად ჭელ შაეშალა-დ ჭარ-ცხენების დაწირვა არ მაზდობნიყვ.

ძალიან უჩინ (ბნელი) ღამე იყვა-დ უშიშამ არ იცოდ, იმაზე წინ კიდევ ვინ იყვა მდევარში თუ არ. იმას უფრო ის ეგონ, რო ჭიმღიონნივ მალე წამასულნ იქნებიანაო-დ წინ წავიდესავ. ის გულდაგულ მირბოდ, რო წინას მდევარს ხალხს აგებ დავეწივავ, ერთად დავეწევითავ ღილღვლებსაო-დ ჭარ-ცხენს დავაყრევთავ. გამაქცეულ ეროს იწროს გზაში ვისამ წამაეწივ. გაიგ, რო კაც მივ წინა-დ მდევარ ვინამ ეგონ არხოტიონი. იმან არ იცოდ, რო ყველაზე წინავ მე ორავ, აქავ სხო არ ვინ ასავ. წინ რომენიც კაც გარბოდ, ახლოს მიეწივა-დ ქართულად უთხრ: რომენი ხარავ? ეს ასმათ ყოფილ ღილღველი. უშიშას არხოტიონ ეგონ. „აზ და” (მე ვარ) თქო ასმათმ ღილღურადა-დ ამ თქმასთან ერთად შამაბრუნებულ თოფიც დასხლიტ. დალიშნება ქვე აღარ უნდოდ, ისრ ახლ-ახლოს იყვნეს. თოფ რო გავარდ, უშიშას გულს მარჯვენას მჭარეს მახვდა-დ მარჯვენა ბეჭ დაამტვრივ ტყვიამა. ჩაიქც მაშივ. ასმათ ქვე გაიქცა-დ ოსისთან მივიდ. კაც მამეწივაო-დ მავკალივ. სცეს ამ ჭარებსა-დ რაიც ძალი-ღონეი ხქონდ, სრუ რბოლით გალალეს. მავიდ სხო მდევარიცა-დ უშიშას მაეყუდნეს გზაში ჩაქცეულს. ეს რო დაჭრილი ნახეს, ხალხ შახკრთ. ახლა უშიშაის შამაწვენაი-დ წყლის შასმევა, ახლა საუბარი. ამოობაში დრო გავიდა-დ გავიდეს ღილღველებიც სამშვიდობოს. დაანებ მდევარმაც თავი. უშიშაის მამა ჩაჩაური, ბიძა გაგა, სახლისკაცი მამუკაი-დ სოფლელი სულხანაურთ უშიშა გაერჩივნეს ამ მდევარშიითა-დ უთხრეს: თქვენავ ეს დაჭრილ კაც წაიყვანეთავ, ჩვენავ კიდე გაუდგებითავ, იქნება ან იმათ დავეწივნათავ, ანავ იმას იქნება ჩავასწვრათაო-დ შაგვხვდესავ. ამღის პირდაპირზე რო კივილით გამაიარავ, ის ვერ იქნებისავ ჯერავ ჩავლილივ. არა და, იქნება ღილღომდინ წავიდათავ შურის საძებრადავ. ისენ პირჩაღმ წავიდესა-დ ხალხმ უშიშა წამაიყვან. ჯერ კი მიზდიეს, იქნება დავეწივნათაო-დ ამჟორიტეს რო გასცდეს, დედუფლისწყალთან დაისვენეს (დედუფლისწყალთ ეძახიან: თამარ მეფე რომ მოსულა ხევსურეთში, ის ყველა წყაროებს წონიდა და ყველაზე მსუბუქი ეს წყარო გამოვიდაო. თამარ მეფემ თქვაო: ეს წყალი რამდენიც უნდა დალიოთ, არ გაწყენსთო – იტყოდენ ძველი არხოტივნები და

ამიტომ ამ წყაროს დედუფლისწყალნი ქვიან. მართლა ძალიან კარგი წყაროც არის). დასვენებულებ საუბრობდეს, თუ როგორ მაიქცნან, ღილღოს წავიდანა, თუ მაუცადან იმას იქ, რო ამდის პირდაპირ გამაიარ კივილით. ზოგებ ისი თქვეს, რო ისივ აღარ მავავ აქავ, ამდის პირდაპირ აივლიდავ, ზეთუკას შაჭდებოდავ, იქითავ მთიდიმთივ გადავიდოდავ ღილღოსავ, იმას აქ რა უნდოდავ. მაგრემ ზოგებმ ისივ თქვეს, რო იქნება არ იცოდავ იმაზედავ გზაივ, აქავ ჭალაში იქნება სად ჩამავარდაო-დ ჩვენს ჩამავლას ვერ გაიგებსავ, კვალს რო ღნახავსავ, თავის ამხანიგებისა ეგონებისავ. ცოტა ხანს კიდე მავიცადათავ, იქნება იღბალმ გაგვიჭრასაო-დ ის ღილღველივ აქ მაგვივიდასავ. ამ საუბარში იყვნეს, რო მავიდ ჯერნალიც. გაჯალათ გაგამ იცნა-დ უთხრ ამხანიგებს: ეგივ გაოქმულ ღილღველი ასავ, ჯერნალიო-დ თქვენ ნუ დაუწყებთავ საუბარსავ, არა ვის შაგატყვასთავ. ამდის პირდაპირ რო გამაიარავ, ეგ იქნებოდავ. ბეწიკამ რო მაკლავ, ეგ იმის მაკეთეი ასაო-დ მაგის გამალალვიებული იქნებისავ ის ჭარ-ცხენიცავ. ისითს გზაში ისხდეს არხოტივნებ, რო ჯერნალ ახლოს გადმეეყუდ ზედა-დ აღარცად ხქონდ წასავალი. ჯერნალ რო მავიდ, მაშინ ადგეს ფეჭზე არხოტივნები-დ გამარჯვება უთხრეს ქართულად. ჯერნალმ ქართულ იცოდ, მაგრამ ღილღურად შამაუქცივ გაგიმარჯოსთავ – „მარში ცოვაახალ". გაგამ ჭელის ჩამართმა მაინდომ, სხვებ კი იქითი მაშორებით იდგესა-დ ჯერნალამ ჭელ არ მისც; ტყუილად უთხრ: ჩვენ წეს არ ასავ გზაში ჭელის ჩამართმაივ. წეს კი იყვ, მაგრამ არ დაენდვ, ჭელ რო დამიჭირასავ, სხვებივ თოფს დამკვრენავ.

– სად იყავივ, ჯერნალო? – ხკითხ გაგამ. მარაიზძეივ ჩემ ძმობილიავ, თქვა ჯერნალმ, გავიგივ, რო შვილი ხყვანდავ აოდავ, დღისით მე არ მეცალაო-დ ღამი-ღამ მავედივ იმის საკითხავადავ (ავადმყოფის სანახავად. მარაიზძე თვითონ ამღიონი იყო, სადაურებიც ეს კაცები იყვნენ და მარაიზძის და იმისი შვილის ამბავი კარგად იცოდნენ. ისიც იცოდნენ, რო მასთან არავინ მისულა და გაუგეს სიცრუე. ვითამ დავიჯერეთავ, ამაზე აღარა უთხრეს. ჯერნალ მაშორებით იდგა-დ თოფ ჭელჩი ეჭირა. ახლა ამან ხკითხ, თქვენ საით მაზდითავ? ჩვენავ ნადირობად ვიყვენითაო-დ ვერცარა მავკალითავ – უთხრ გაგამ. ეს ჯერნალმაც იცოდ, რო ატყუებდესა-დ იმათაც იცოდეს, რო ჯერნალიც ატყუებდ. ჯერნალმა ის კი არ იცოდ, თუ იმის ამხანიგებმ გზაში კაც მაკლესა-დ იმის შურის საძებრად იყვნეს ესეები. იმას ის ეგონ, რო უბრალო მდევარში ნამყოფებ იქნებიანაო-დ აგებ არ მამკლანავ. ის თუ სცოდნიყვ, რო კაციავ მამკვდარიო-დ ეს ხალხივ იმით ასავ აქავ, ის მაშივ თოფს იჭმარებდ ისით მაგარი-დ ელდა კაც იყვის, რო იმას არა დაესწროობოდ (ელდა: სწრაფი).

ეს საუბარი ძალიან მოკლედ გათავდა-დ „მშვიდობითავ" – თქო ჯერნალმა-დ გაემართ. შენაც მშვიდობით წაედივ, უთხრ გაგამ. ჯერნალმ ისითმ გაიარ, რო იტყოდ კაცი, მჭრით გაფრინდავ. წამასცილდა თუ არა მააყოლეს იმეებმაც თო-ფები, ჯერნალს თავ აღარ მაუბრუნებავ უკუღმ, ის არ თქონავ, რო ჯერნალს ეშინიასავ. თოფებ რო გაიყარ, აშალ

ჯერნალმ ჭელები-დ პირქვ წაიქც. აი თოფიც ჭელშიით შორად გაუვარდ. ოთხივ ტყვია მახვედრიყვა-დ იმავ წამს მაკვდ. მივიდ გაგაი-დ: უნცროსიმც ხარავ უშიშაისაივ, უთხრ – ჯღანთამც უბანდავ, წყალსამც უზიდნავავ. ახლა სხვებმაც მიუთვალეს ეს სიტყვები, უშიშაის უნცროსობა. ჯერნალი ისით თვალ-ტანად კაც იყვ, რო თოფდასაკრავადავ საქჩერო არ იყვავ, თუ კაცივ მეტისმეტად გაჯავრებულ არ იქნებოდაო-დ ან გულზე არ მავიდოდავ. ჭიდისყურ თოფვიდგეს რო ჯერნალ ამხანიგებს ცალკე გაეყარ, იმის მიზან ის იყვ, რო მდევარივ მე გამამიდგასავ კივილზედაო-დ ჭარ-ცხენებივ თავისუფლად გალალანავ ჩემმ ამხანიგებმავ. კივილითაც იმით კიოდ გზაზე მიმავალი, რო მდევარმავ ჩემ ჭმა გაიგონოსაო-დ აქისკე წამავიდანავ. მაგრემ ხალხმაც იცოდ, რო ის კაცი ტყუილად მივიდოდ იქ, ჭარ-ცხენ ჭალაზე წავიდოდ, სადაც იმის ჭმა იყვ, იქ ჭარ-ცხენების გზა არ იყვ.

ბოლოს ამდის პირდაპირ გზა ვეღარ გაიღ, ჭალაში ჩამასვლაიც აღარ მაუჭერჭდ, რაკი იცოდ, რო მდევარ იყვ გამამდგარი. ერთ დიდ ქვაბ წამაეღ ჭიმღით სპილენძისა, ჯერ კი ზიდნა-დ რო დაიღალ, დააგდ ისიც გზაში. წავიდ ზეოუკისკე, ზეოუკის წვერზე შაჭდა-დ იქით ვეღარ გაიგ, რომენზე უნდა წასულიყვ. იმას მთათას უნდა გაევლა-დ ღილღოს გადასულიყვ სოფელ შაჭალ, მაგრამ, რაკი გზა არ იცოდ, ზეოუკით პირჩაღმ დაეშვა-დ ჩავარდ თათელის ჭალაში. იმან არ იცოდ ამ ჭალაზე გზა იყვა თუ არ, ან სად გავიდოდ კაცი. გამაუდგ თათელის ჭალას პირგაღმ. ამ ჭალაზე გზა არ ას. ისით წვრილ-ტყიანი-დ ნაგლეჯიანი, რო იქ კაცს თავისობას არ გაუვლავ. ჯერნალს რო წასავალ აღარცად ხქონდ, გავიდ თათელისკარ. ჯერნალ რო თათელისკარ გავიდ, ამ დროს გაჯალანი-დ სულხანაურთ უშიშა ჩავლილნ იყვნესა-დ იქ იცდიდეს, სადაც მაუვიდ ჯერნალი-დ მაკლეს. მაკლულის თოფი-დ ხანჯარ-სარტყელიც წამაიღეს. ამ სარტყელს შჭირდ ერთ ნატყვიარი-დ შუას წელში იყვ გაჭვრეტილი. ამ სახელის ქნაზე სიმღერეი ას ნათქვამი-დ იმ სიმღერეში ამბობს მოქმელი:

გამამიტანეთ სარტყელი, რასაც შჭირს ნატყვიარიო.

მავიდესა-დ უშიშას ცოცხალსავ უთხრეს, თოფიდ სარტყელიც აჩვენეს, უნცროსივ წაგილალეთავ, იქ დაგხვდებისავ. სახელის ქნაზე სიმღერე უთხრეს ჯარზე სამღერალი:

აზნაგით მზირი გამავა, არხვატს უნდ დავსცნათ ცანიო,
ჭიმღას შამაჭდეს ბანზედა, თვალ შუაღამის ხანიო;
ბეწიკაის სახლთ დაზძევენ, მაგას მიგვიდევს ვალიო,

გამაუყარეს ჭარ-ცხენი, გამაუდევნეს კარიო,
გამაუდგების მდევარი, დაიძრა მთაი-დ ბარიო.
ბეწიკა ამდას მავიდა, აქ თუ ხყონ დედიძმანიო.
მამეშველენით, დედულნო, მტერმ დამატანა ძალიო.
ჩაჩაურიშვილ უშიშა, შავარდენია ჩქარიო,
ბრალი ას უშიშაისად, არ ექნა ომის ხანიო.
ჩამაეწივნეს ჯერნალსა ამაგის მამ-ბიძანიო.
უშიშას, სულხანაურთას, უქრის დავლათის ქარიო.
გიორგათასა მამუკას არწივს აკლიან მჭარნიო.
თოფ დახკრეს ღილღველთ დიჩინსა, პირქვ დაეფშვნიტა მკვდარიო.
ცოცხალს უამბეს უშიშას, მზას გყავის წყლის მამტანიო.
გამამიტანეთ სარტყელი, რასაც შჭირს ნატყვიარიო.

ალიათ გაგას მოკვლა ღილღველთაგან

ჩამაწერინა მინდია ოჩიაურმა, 70 წლისამ, ს. ახიელში, 1939 წელს

ალიათ ახალა იყვ მტრისად მიმყოლ კაცი-დ იმის ჯავრ-ი შჭირდ ღილღველთ. ერთხან წამავიდ ღილღვლის მზირი ახალაის მუქარაზე. ახალაის სახლ-კარი იცოდესა-დ ღამ-ღამობით, როსაც ხალხ დაწვებოდ, სიმირგვლივ უვლიდეს ამ სახლს; ათვალიერებდეს, საით უნდა მეეკლ ან ახალაი-დ ან იმის ძმაი. ესენი ქვიტკირში ცხოვრობდესა-დ არცაით რა იყვ მასაჭერჭები. ერთ საკვამი ხქონდ, საითაც შაიძლებოდ თოფის სრევა შიგათია-დ ჯერ ერთ, რო მაღლად იყვ ეს საკვამი, მეორე, ღამით ამ ქვიტკირში სანთებს არ ანთებდეს, ის კი იცოდეს, რო აქ ვინამ იძინებდ. ორ-სამს ღამეს სრუ უარეს ამ სახლსა-დ ვერას გაჭდეს (მაშინ უფრო მამკლავს იძევდეს ან იმის ძმაშინშს, მემრ დაიწყეს ვინც უნდა შახვედრიყვ, ყველაის მაკვლა). ბოლოს გაიგეს, რომ ამ ოჯახში სტუმრებ მავიდესა-დ იფიქრეს ღილღვლებმ, რო ეხლა კი გავიმარჯვებთავ. ამ ქვიტკირში სტუმრებს დააწვენენაო-დ მაშინავ მასპინძელიც აქ იქნებისავ; მაშინ დავხკრავთავ თოფსავ. სტუმრებს არაყ-ი ხქონდ მატანილი, სმა იყვ კარგა ხანს. ღილღვლებ ახლოს იყვნეს დამალულები-დ ელოდდეს დაწოლის დროს; სადაც სმა იყვ, აქაც საკვმები დაგულვილები-დ გამაგრებულები იყვა-დ არცაით რა იყვ საქნარი. სმა რო გათავდა-დ, გაიყარ ხალხი, გაიგეს ღილღვლებმაც, რო ეეხლად დაწვებიანაო-დ მაემზადნეს. მაროლა სინათლეიც მავიდ ამ ქვიტკირში. ქვიტკირის საკვამს შიგათით ფიცარი ხქონდ მაყუდებული-დ ეს წინავ გამაქანებული ხქონდ ღილღვლებს ხანჯრის წვერით. მივიდეს საკომთან, ეროი ფეჭზე დადგ, მეორემ იმის მჭრებზე დადგ ფეჭები-დ აისრ ასწვდ საკომთანამდინ. ნახეს, რო ალიათ გაგა, ახალაის ძმა, ამახყოლიყვ

სტუმრებს დასაწვენად. მანამ სტუმრებ არ დააწვინ, არ ესრიეს, არამც სხვას ვის მახვდასავ ტყვიაივ. როსაც დახურ სტუმრებსა-დ აქათი გამაიარ, მაშინ დაღლიშნ თოფი კაცის მჭართაზე ნადგომმ კაცმა-დ გაგას იღლიის ძირში დახკრ ტყვიაი-დ მეორეს იღლიის ძირში გაღვარდ. იქავ დაეფშვნიტა-დ ამაუვიდ სული. ღილღვლებმ ის კი გაიგეს, რო გაგა ჩაიქცა-დ ის კი ვეღარ გაიგეს, მართლა მაკვდ თუ დაჭრილ დარჩ. დაიქცნეს ღილღვლები, არაგვის წყალათ გაიყარნესა-დ მზისპირ სოფლის პირდაპირ კორომათ ჩასხდეს, აქით სოფელ კარგად ჩინსა-დ გავიგებთავ, თუ მაკვდავ, მატირალ მავავ.

ხალხმ თოფის ჭმა რო გაიგონ სოფელში, გატყდ ჭმაი; გაიგეს, ღილღველთავ გაგა მაკლესაო-დ ჭალაისკე წამავიდ მდევარი, მაგრამ აქ რას მახჭელევდეს, ღილღვლებს საჭალაოს გზაზე არ გაუვლავ, ისენ მაშივ მზისპირ გაიყარნესა-დ კორომათ შაჭდეს, იქ დაიძინეს კიდეცა-დ მეორე დილას ნახეს, რო ჯერ სოფელშიით მავიდ მატირალი-დ, მემრ თემშიითაც დაიწყეს მადენა. მაშინ მიხვდეს ღილღვლებიც, რო მაგვიკლავავ. ადგესა-დ იმავ დღეს წავიდეს მოიდიმოივ.

ალიათ ახალა

ჩამაწერინა მინდია ოჩიაურმა, 70 წლისამ, ს. ახიელში, 1939 წელს

ახალა წინავ თუ სახელის გულისად დავიდოდ ღილღოს კაცის მასაკლავად, ეეხლა გამწარდ ძმის მაკვლაზედა-დ დაიწყ შურის საძებრად სიარული. ჯერ ჩხორეგოს წავიდ, იქ ჩაუსაფრდ გზაშია-დ დილას გზაზე მიმავალს ჩხორეგოელს დახკრ თოფი. მემრ იმას ძმები დაშჩ შურის საძებრად. ერთმ ძმამ დაინატრ რო თვალითამც მაინც მანახვივავ ახალაიო-დ მემრავ, თუნდა უიარადოიც ვყოფილიყავივ, ე კაცნ გაიგებდესავ, რას უზმოდივ იმასავ. ახალაის მამა მგელა წმიდა კაც იყვა-დ ჯვარ ჭელზე მაუდიოდ. შვილიც, ახალა, იქავ ჯვარის ჭელკაც გამავიდ, ჭელზე კი არ მაუდიოდ, მაგრემ პირად კი ეუბნებოდ ჯვარი; ღილღველმ რო ინატრ ახალაის შახვედრაი, არხოტის ჯვარი გაწყრა-დ იარადიან შაახვედრ ის ღილღველი, რომნისაიც ძმაი ხყვანდ ახალას მაკლული-დ ახალაის შაყრას ნატრობდ. არხოტის ჯვარმ ამ ღილღველს სრუ ჟამკარ აურივა-დ თოფის მაბრუნებაიც ვერ მააჭერჭ ახალაისკე; ახალამ მაუბრუნ თოფი-დ ეს მეორე ძმაიც იმაშიავ მაკლ. მემრ სხვებს ძმებს უთხრეს, რო თავ დაანებეთავ ახალასავ, თორე მაგასავ არხოტის ჯვარი ხყავავ მწყალობელიო-დ ვერას გამაშჩებითავ, იქავ თქვენ დაგაზარალებსთავ. მემრ დაანებეს თავი ახალაის ძევასა-დ სამაგიეროდ სხვებზე იძიეს შური.

ახალამ იცოდ, რო გაგაის მაკვლაში ხამხელ შითურა ეტან. შითურა სახელგათქმულ ღილღველ იყვ. უძღვებოდ მზირს, ხალხსაც ჭოცდა-დ ჭარ-ცხენსაც იპარევდ. სახელიც ესეთს კაცს ხქონდ მაშინ ღილღოს. ახალამ იარ შითურაის

მასაკლავად, მაგრემ ვერცად ჩაიგდ ჭელში. სოფელ ხამხაიც ისეოს ალაგში ას, რო იქ მისვლა მარჯვე არ იყვ. ეს სოფელი შუას ღილღოს ასა-დ სიმირგვლივ სხო სოფლები ხვევავ. ბოლოს რო მაინც ჭელჩი ვერცაით ჩაიგდ შითურაი, გადასწყვიტ სოფლად მისვლაი, ის კი მავკლაო-დ მემრავ, რაიც გინდა მამივიდასავ. წავიდ ხამხას. სოფლის სათავეში ღვიიან ალაგი ას, ღამით მივიდა-დ ეროს ღვიათ ძირში შაძვრ. ისითს ალაგში ჩაჯდ, რო სოფელს ზედ ჩახედევდ. მთელ დღე ამ ღვიათ ძირში დააღამდ. ნახ, რო შითურაიც სოფელში ასა-დ წითელ ქუდი ხურავ თავზე. ახალამ იცოდ, რო ხამხას საფეხვნო სოფლის პირში ხქონდა-დ ისიც იცოდ, რო დილა-წუხრ ხალხი სრუ საფეხვნოში ისხდ. დაწუხრიხანდა-დ ჩამახყვ ახალაიც ბნელის პირთ. მეეპარ საფეხვნოს გვერდზეით. ნახ, რო შითურა ფეხვნის ბოლოში ფეკზე დგასა-დ უამბობს რასამ ხალხს. დაადვ ლიშანი ახალამა-დ თოფ რო გავარდ, გაეფშვნიტ შითურა მიწაზედ. ახალა კი გადახტა-დ პირჩაღმ გაიქც. ხალხი მდევრად იქისკე დაიქც, სადაც ახალა-ი ნახეს. ახალა ჯერ პირჩაღმ გაიქც, მემრ აუქცივ მჭარი, პირაღმ წავიდ. ზედ უჩინ ღამე დაესწვრა-დ ვეღარა გაიგეს ღილღვლებმ, საისკე გაუქრ. ჯერ კი მაზდიესა-დ, რო ვერცად მაჭელეს, დაანებეს თავი. ის კი სრუ მთათას წამავიდა-დ მავიდ არხოტ. არხოტ მაულოცეს სახელი-დ სიმღერეიც უთხრეს ჯარზე სამღერალი. სხვებ სიმღერებიც კი ბევრ იყვ ახალაზე ნათქმები, თავჭმელად სამღერლებიცა-დ ფანდურზე სამღერლადაც.

1.

ჭევსურებ, არხოტივნებსა ხალიზს რად ულევთ ცდისასა?
სათავეს რად არ დასხემდით, კოშს დაურიგებთ რვლისასა.
ახალა მგელაიშვილი სიზმარს ღნახევდა ცდისასა.
ცოლი დაუცხობს საგძალთა, მგელ წაოს მაღლის მთისასა.
ხამხას ჩავიდა სოფლადა, დისწულ რო დედიძმისასა.
შითურავ, გადიდებულხარ, ჭელთ მაგცემ შენის ჭკვისასა.
აეხლად ვეღარ წაუხოლ ნასრევსა ჭირიმისასა.
თოფ დახკრა შუას ფეხონში, ნამტვრევს გაიტანს ძვლისასა.
ამანდით გამაბრუნდების, ვეფხვ წამავიდა მთისასა.
აუტყდა მძიმე მდევარი, კვალს ვერ მახჭელვენ მგლისასა.
შინ მასულ ცხვარსა დახკლევვდა, რიგს იქამს პირიჭსნისასა.
მეზობლებს გააგებიებს, სულს აჭსენებდა მკვდრისასა.
ქება შახჭდების ახალას, მაქმედსა უქნარისასა.

2.

ახიელ არწივ გაზდილა შავარდენთ ნაბიჭვარია,
უწოვავ ქრისტის დედაი, განთა ჭორცივლის ქალია.

ახალას მგელაიშვილსა პირად ეტყოდა ჯვარია,
უშიშრად ჩამაიარა იწრო არხოტის წყალია.
ღილღველთ მემეტეს თოფ დახკრა, ფეკთ-ძირ გათელა მკვდარია.
გაგაისადამც იქნები, ყოფილხარ შაშადარია.

3.

ახალა მგელაიშვილი კაც დაიბადა სხვაფერი,
დაბადების დღეს გამახყვა მარჯვენას მჭარზე სანთელი.
ახალას, არხოტივნებო, ქალ აურჩიეთ საფერი,
ცოლმ რო დაუცხვნას საგძალნი, დალაჭნას ვეფხვმა მთა-წვერნი.
თესლს ნუ დაულევ ღილღვლებსა, გეყვა მაგოდენ სახელი.
ბევრჯელ შაღებე წითლადა წყალი ჭალაზედ ნადენი.

ახალა მტრისად მიმყოლ კაც ხო იყვა-დ სოფელშიაც დიდ კითხულ კაც იყვ. არხოტის ჯვარის ჭელოსან იყვა-დ იმის უკითხავად არხოტ არა გაკეთდებოდა. ამაში ჯვარიც ჭელს უმართევდა-დ თაოდაც ძალიან კაად აჩნიყვ არხოტივნებს. მტრისად მიყოლასთან ერთად, მენადირეიც ძალიან იყვა-დ ჭოცდ ნადირს, ხოლოთ ჯვარმ რაც ჭელ დაზდვ, მემრ კი დაანებ თავი ნადირობას. მარტო მტერს კი მიხყვებოდ. ამას არც ჯვარ უშლიდ.

გაბუურთ ალუდაური

ჩამაწერინა ალეკა ოჩიაურმა, 90 წლისამ, სოფელ ახიელში, 1925 წელს.

არხოტივნებს სისხლ ემართ სოფელ გოშტიკაურთას მცხოვრების ღილღვლისა აჭდოლაისა. აჭდოლაისად ალიათ ახალას მაუკლავ ძმაი-დ ბევრ უწვალებავ იმასაც, ახალაის მასაკლავად ბევრ უვლავ, მაგრამ ვერას გაჭდ, რაკი ახალას არხოტის ჯვარი ხპატრონობდა-დ იმაზე მტერს არ გაამარჯვებიებდ. ბოლოს აჭდოლამ გადასწყვიტ, რო რაკი მამკლავ ვერ ჩავიგდივ ჭელჩიავ, ეეხლად ვინც უნდა არხოტიონ შამხვდასავ, მავკლაო-დ შავსწირავ ძმასავ. შაყარ ამ ღილღველმ მზირი-დ არხოტის ჭალას ადგილობრ ჯარაის წყაროთ ჩაუსხდეს. ჯარაის წყარო არხოტის სოფლებსთან შორს არ ას. ისეთს ადგილზე კი ას, რო საბოსლოს ტანიეს მიმავალ გზაიც ამაზედ გაივლისა-დ სხოდაც შეშაი-დ ყველა მასალა ხეტყისა აქით გააქვ არხოტივნებს. აჭდოლამ რო მზირ მაასხ, სწორად ამ დროს ჯარაის წყაროს სახლის ხეები ხქონდ მაღლით ჩამატანილები ალუდაურსა-დ იმის ძმას მინდიას. მესამე ახალგაზდა თავისავ სოფლელი ხყვანდ თან გაყოლებული,

პატარაო მანგია. ეს სამ კაცი ჯარაის წყაროთ ხეებს ამზადებდეს სოფელში წამასაღებად. გძლებს ხეებს შჭრიდეს, ქერქს აყრევდეს, ცხვირევდეს საუღლის გამასამბელადა-დ ჭართად მასამბელად. ესეებ ამ მუშაობაში იყვნეს გართულებ, რო აჭდოლა თავის ამხანაგებით მიეპარ ახლუაში, ესრიესა-დ მინდიას დახკრეს ტყვია. მინდია რო ჩაიქც, გაიგეს ღილღვლებმ, რო დავხკარითაო-დ პირჩაღმ დაიქცნეს. ალუდაურმ რო ნახ თავის ძმა ჩაქცეული, გაიქცა-დ არხოტის წყალს გაქცეულ გაფრინდ; გახყვ პატარაო მანგიაიც. რო გადაჩინდეს ჯარაის წყაროთ იქითი, იქ გზა ჩაღმ ცერად დაუხვევდა-დ გძელ ჭალა გადიოდ. ალუდაურმ გადახენა-დ იქ არცად ვინ ას, არცაღ იმთვენ ხან იყვ გავლილ, რო ეს ჭალა გაეთავ გაქცეულს ღილღვლებს. თუ არა, სად წავიდესავ, დაფიქრდ ალუდაური. ამ დროს გამავარდ თოფი-დ ტყვია ალუდაურის საპირისწამლეს მახვდ გულზე ნაკიდებს. საპირისწამლე რქისა იყვ გაკეთებული-დ ტყვიამ ზეთა გვერდ დაამტვრივა, მეორეს კი ვეღარა დააკლ. ალუდაურს ტყვია ისითს მაგარი ძალით მახვდ, რო ტან დაუძრა, ტოტზე დეეც. წინწინ ვერც თაოდ გაიგ, ტყვია ჭორცზე მახვდა თუ არ. რო ჩახენა-დ ნახ საპირისწამლე დაუმტვრევავავ, გაიგ, რო არაი მჭირსავ ტანზედავ. ღილღვლებს კი ის ეგონ, რო ჩაიქცავ, მავკალითავ ეგიცავ. ადგეს საყუჩშიითა-დ დაიქცნეს შინისკე პირჩაღმ. მაუბრუნ ალუდაურმაც თავის ჭირიმი-დ თოფ რო გავარდ, აჭდოლა წაიქც. პატარაო მანგიამ სხვებს ღილღვლებს ესრივ, მაგრემ იმათ მაასწვრესა-დ მალე კლდეს მაეფარნეს, გოშტიკაურნი იქავ ჩასაფრდესა-დ დაანებ ალუდაურმაც თავი, რო გაიგ ერთ კაც ქვე მავკალივ. მემრ ღილღვლები შაუსხდეს მჭარსა-დ დაჭრილ აჭდოლა წამაიყვანეს. მანგიაი-დ ალუდაური მინდიასთან მივიდესა-დ ნახეს, რო იქავ ცოცხალ იყვ, უთხრეს რო ერთ ღილღველივ ჩვენაც მავკალითავ, შამაგწირეთავ. მინდიასაც გაუხარდ, რო მტრის ჯავრ არ გახყვ საიქიოსა-დ მისულს უნცროსიც მზას დახვდებოდ. ალუდაურ მინდიას დაუბრუნდა-დ მანგია არხოტ წამავიდ ჭმის გასატეხლად. მივიდ არხოტიონ ხალხი-დ წავიდეს ალუდაურის ნასრევში. ნახეს, რო ტყვიის გატანილი ფირტვის ნაგლეჯებ-ი ხყრავა-დ სისხლით მასვრილი იქაობაი. ჩამახყვ ხალხი სისხლის კვალზედა-დ მაჭელეს ამჟორიტეს ტყის პირში შამაწოლილ აჭდოლა ცოცხალ მკვდარი. ამხანიგებს იქამდინ კი ევლივა-დ იქ ტყის პირში დაეწვინ, რო აღარ თაოდ შაზძლებიყვ იმის ვლევაი-დ არაცაღ აჭდოლას ხქონიყვ ღონე. ღილღვლებს ისიც ღგონებიყვ, რო აქამდინ არვინ გამაგვიდგებისავ მდევრადავ. ხვალ მკვდარს წავიღებთავ, თორე ისი სასიცოცხლეო კი აღარ ყოფილიყვ.

ცოცხალ-მკვდარ რო მაეჭელ, აღარც არხოტივნებს დეეკრ, ეგივ მასარჩო აღარ ასავ. მაბრუნვილიყვ მდევარი. მეორე დღეს აჭდოლა მკვდარ წაეღ ღილღვლებს. ალუდაურს ეს დიდ სახელად გაუვიდ ჭევსურეთ. ულოცევდეს სახელსა-დ უზიდევდეს პატივს, სადაც ჯარზე შახვდებოდ სმაში. ეუბნებოდეს ახალ-ახალ სიმღერეებს,

თავგმელად შასამღერნებსაცა-დ ჯარზე ფანდურზე სამღერლებსაც. ამ სახელის ქნით იმათ ჩამამავლობა დღესაც ამაყობსა-დ სახელიან გვარად სთვლიან თავს. ეხლანდელ ხალხიც ალუდაურის შვილ-შვილიშვილებს უმღერენ ალუდაურისად ნათქვამს სიმღერებსა-დ ლოცვენაც ლუდიანებს თასებს ალუდაურისად. იმისად ნათქმების სიმღერების მღერა იმის შვილბოლოსაც ახალიზებსა-დ თავს აწონებს, ესეთის მეომრის შვილბოლოობით.

ქავის კარ რა ამბავია, დილას ამაეს მზისასა.
გაბუურთ მზირი აუდგა, ჩამატეხნას ღგავ ცისასა.
ბრალი ას მინდიაისად, ხანს არ აძლევენ ცდისასა.
კუთხის კულაის ჩამაშლა, ბეჭნ რო მიანდვნა ქვიშასა.
ზედ დაშჩა ალუდაური, დაელნებას ღგავ ცისასა.
გაქცეულ გამაფრინდების მაგ წყალსა არხოტისასა.
აკდოლას ჩამახკიოდა: „ჭელთ მაგცემ შენის ჭკვისასა“.
გაქცეულ ვერ გაეხვეწებ ტყვიასა ჭირიმისასა.
თოფი დაგაყრის წამალსა, ტყვიას ზედ დაგკრავს ისარსა.
ბარაქელ ალუდაურო, გმინვას არ ხყურობ ძმისასა.
ჯარაის წყაროდ გახფრინდი, გაუფრინდომსა სხვისასა.
გოშტიკაური დოლაი ტოტით თხრის დაბლა ქვიშასა.
ჩამახყევ ალუდაურო, ნათოხსა გულ-ღვიძლისასა,
მახჭელავ ამჟორიტესა შასაფერს შენის ძმისასა.
აკდოლას გოშტიკაურსა, უკუღმ მლოცავსა ხთისასა.
დაბრუნდი გაბუურის ძევ, ნაპირს ამახყევ წყლისასა.
ქება ნიადე შაგჭდების, იმავ დღეს მძებნელს ძმისასა.

ულაკაურნი

ჩამაწერინა აპარეკა გოგოჭურმა, 47 წლისამ, ს. გუროში, 1938 წელს

ქისტებმ მაკლეს ულაკაური-დ დარჩეს ცო-ცოტეები ობლები ხოლიგაი-დ იდუა. ეს ყმაწვილებ ცო-ცოტებ იყვნესა-დ ულაკაურის სახლისკაცებმ იძიეს შური. მაკლეს სამაგიერო ქისტი. მაგრემ ეს ყმაწვილებ რო წამაიზარდეს, ხალხმ იქავ ყვედრება დაუწყ, მამა მაგიკლესთაო-დ, მაშინ თუ ყმაწვილებ იყვენითავ, ეეხლა ხო დიდებ დაიზარდენითავ, რადარ თქვენაც მახკლავთავ. თქვენებმ სახლისკაცებმ რო მაკლესავ, თქვენ მაშინ ცოცოტეებ იყვენითაო-დ ახლა დროი ასავ, თქვენაც მახკლათავ; თუმც ამათ კი აღარა სირცხვილ ედვ – ხო მაკლეს კაცი, თუნდა იმათ მაეკლა-დ თუნდა იმათ სახლისკაცებს, სრუ ერთ იყვ. მაგრემ ცუდის ხალხის ენა ცუდის მეტს რას იტყვის. კიდევ შააგულიანეს ეს ახალგაზდები შურის საძებრად წასავლად. ხოლიგა კი უფრო წარმამდგარ ახალგაზდა იყვა-დ იდუა კი თოთხმეტ-ხუთმეტი წლის ყმაწვილი იყვ. ამათ ერთ შინში (ბიძაშვილი) ხყვანდ აპარეკა. მაუვიდეს აპარეკას, რო ხალხ გვაყვედრებსავ; მართალიავ, მამაშჩვენივ ნაძებნიავ, მაგრემავ ხალხ მაინც არ ისვენებსაო-დ წასვლას ვაპირებთავ შურის საძებრადავ, შენაც თუ იტყვიო-დ წამახოლავ, თუ არა მემრ ნუ იტყვივ, რო რადარ მიაც გამაგებიეთავ, რაად წახვედითავ უჩემოდავ. აპარეკამაც უთხრ: აბა თუ იქავ გვაყვედრებენავ, წავიდათაო-დ კიდე მავკლათავ, მავიშორათავ ხალხის საყვედურივ. მაემზადნესა-დ წავიდეს, იდუამ წინ-წინ მაშინ შაირტყ ჭმალი, სადილდოოდ რო მაემზადნეს, ჩაჭდ ყვერფშია-დ დედას უთხრ: დამიაზრეო დედაო, არ მჭდებისაევ ჭმალივ? შვილო, ჭმალ კი გჭდებისავ, მაგრემავ ცუდს გზაზე მიზდითაო-დ მეშინისავ, მტერმ არ გაზარალნასთავ. ეჰ, დედავ, უთხრ იდუამ, – ხალხ გვაყვედრებსა-დ სირცხვილიანის სიარულს სიკვდილი გვირჩევ, რო ქვეც მავკვდათ, აბა რა მიწათ დავსწოვთ.

ეესრ მეემზადნეს, აისხეს იარაღი-დ, წამავიდეს სამზირლად მითხოსკე. მივიდეს იმ სოფელსთან, სადაც მამის მამკლავთ გვარ ეცოდინებოდ. სოფელში არ შავიდესა-დ ბასოხ (ადგილის სახელია ბასოხი) ჭიდსთან ჩაუსაფრდეს ტყეში. ელოდდეს, რო ამ სოფლელივ მგზავრად ვინ გამაივლისაო-დ იმას დავხკრავთავ თოფსავ. ელოდესა-დ ერთ დღეს ამ ჭიდზე თოფ-დასაკრავ კაც არვინ შახვდ. სრუ ხნიერები-დ დიაც-ყმაწვილ მიდ-მადიოდა-დ იმათ ხო არ ესრევდეს თოფს. იმ ღამესაც იქ დარჩესა-დ, მეორე დღე რო გათენდ, თქვეს: ვინაც უნდა შაგვხვდასავ, დავხკრათავ თოფივ. მეორე დილას მზე რო მავიდ, სოფელშიით გამაუშვეს ცხვარი-დ ერთი ახალგაზდა წყემს გამახყვ. წინ ცხვარ გამაიყარა-დ მემრ წყემს გამაჭდ ჭიდზე. გადაუსხეს თოფები-დ, რო თოფებ გაიყარ, ჩაიქც წყემსი-დ გადავარდ ჭიდისყურთან. ულაკაურნი დაიქცნესა-დ ჭიდ ჩააგდეს; ეგონ, ჭიდ თუ ჩავაგდითავ, ქისტებივ წყალში ვეღარ გამავლენაო-დ მდევარ ვეღარას დაგვაკლებსავ. თოფის ჭმა გაიგონეს ბასოხა-დ

გატყდ ჭმა სოფელში. გამაუდგ მდევარი. ისენ წამავიდეს კი, მაგრამ იმ იმედით, რო ღილღვლებივ ჭიდზე ვერ გამავლენავ, აჩქარებით არ წამავიდეს. მაგრამ წყალ არ იყვ ძალიან დიდი-დ ერთსხვის ძალით მდევარ წყალს გამავიდ. ულაკაურნ ჯერ სამნივ ერთად მიდიოდესა-დ, რო გაიგეს, მდევარივ წყალს გამავიდავ, აპარეკამ უთხრ, ეე გორი-გორ წავიდათავ. აქ ერთი ცოტა ტყე იყვ, ტყეში ნუ შაოლთავ, თორე წინ მაგვასწრობენავ. გორი-გორ წასულებივ ქვე არ მაუტევთავ ახლოსავ. გორზეითავ ვღნახავთავ მდევარსაო-დ ახლოს არ მაუტევთავ. იდუამა-დ ხოლიგამ არ გაუგონესა-დ ტყეში შავიდეს. აპარეკას მდევარ ჯერ კი გამაუდგა-დ, რო ვერა დააკლეს, დაანებეს თავი. იდუასა-დ ხოლიგას კი მაასწვრეს წინა-დ ისრ შამაიმწყვდივნეს შუაში, რო გასავალ აღარცაისკე მისცეს. ეროკნით რო დაუწყეს თოფვა, სხვაკე წამავიდეს, სხვაკნით დაუწყეს თოფვა, სხვაკე წავიდესა-დ ნახეს, აღარცად იყვ წასავალი. თაოდაც ჭლა დაუწყეს თოფებს, მაგრემ ჩასაფრებულს ხალხს რას დააკლებდეს. ამ თოფის ჭლაში ხოლიგას დახკრეს ტყვიაი-დ მაშივ მაკვდ. იდუას საყუჩ აღარ ხქონდა-დ თავის ძმა დაიდვ მკვდარი საყუჩადა-დ იმაზეით დაიწყ სრევა. ჯერ კი ისრივ იდუამაც თოფი-დ დახკრეს ამასაცა-დ ჩაიქც ძმაზედა-დ მაკვდ ისიც. ღილღვლებმ რო დაიჯერეს, რო ორნივ დავხოცენითავ, მივიდეს, ახყარეს იარაღიდ, ორით მითარნეს ჭიდსთანამდინ, ჭიდსთან წახყარეს ტალავარი-დ საბლით გადააბნეს ეროუცსა-დ ტიტვლები გადახკიდნეს ჭიდზე. ეს აპარეკამაც გაიგ, რო შინშნ დამიჭოცნესავ, მაგრამ აბა რასაღ იზმოდ, იმასაც მახკლევდეს. წამავიდ აპარეკაი-დ გუროს მაიტან ეს ამბავი. გუროვლებ წავიდეს მკვდრების მასატანად, მაგრემ მანამ საჭსარ არ მიატანიეს ღილღვლებმ, აღარ დაანებეს თავის მკვდრები. საჭსრის მიტანამდინ არც ჭელ ვის ახლებიეს, მკვდრები ჭიდზე ეკიდ. იმის გულისად გუროვლებმაც საჭსრის მიტანა არ დააგვიანეს, რო თავის მკვდრები არ ემეტებოდ ესრ ყოფილიყვ. საჭსრის მიტანიდგეს წამაიღეს მკვდრები-დ სამაგიერო სისხლის აღებაიც იმათ სახლისკაცებმ არ დააგვიანეს.

ამ ულაკაურთ ომზედა-დ დაჭოცაზედ სიმღერებიც ას ნაოქმები, ჯარზე სამ-ღერლად:

რა ამბავია, ვაჟებო? რა წყრომაი დგას ხთისაო?
ველობა გაუბედავის ულაკაურის შვილთაო.
შინშ გახყვა აპარეკაი, მაგრა მჭერელი მჭრისაო.
შავად იღებნეს მასკვლავნი, მთვარეც შავს იცომს პირსაო.
ჩამაიარეს ჭალაი, ბასოხ ჯავრი შჭირს მტრისაო.
წყემს თოფის ბოლში ახვიეს, მანძილა დასცეს რქითაო.
დაბრუნდეს ნასახელარნი, ჭიდ კი ჩააგდეს წყლისაო.
მატყუვდეს სიყმაწვილითა, წყალ დიდი არ მადისაო.

ეგ ვერ დაიჭერს მდევარსა, ქისტებ შიგ გამადისაო.
ომობენ ულაკაურნი, ბძანება იქნა ხთისაო.
წინ-წინ ხოლიგას დაუკრეს, ხანი არ მისცეს ცდისაო.
მთით ჩამაბრუნდა იდუა, ნდობა ძნელია ძმისაო.
ყელჭრელსა იდუაისას კვამლი სულწუხად ზდისაო.
ეგ უფრო საკვირველი ას, ძმას საფარ ხქონდას ძმისაო!
ღმერთო რა დიდი ბრალია, ჴიდს დაკიდება მკვდრისაო!
შინ წაედ აპარეკაო, წასვლა წესია მთლისაო.
დედას უამბე ამბავი ჩვენი-დ ქისტების ცდისაო,
ვინ ეტყვის მაგათ დედასა? მალოდინ ნუ აქვ შვილთაო.
ამაგათ დებს კი უთხარით, ნაჭაპნ მაიჭრან თმისაო.
ამაგ სიმღერის მათქვამი არხოტ წინგარდას ზისაო.
მეწადა შაწუხებულსა შამახენება მთისაო.
ქარმ მაიტანა ამბავი მაგ ულაკაურთ ცდისაო.
გამამიტანეთ ხანჯარი, ნაქონი ღილღვლებისაო.
არ მამცემთ, არ მეწყინების თვქვენ უფრო შაგჴდებისთაო.

2.
„ამბობენ ულაკაურნი, შური გოქვ საძებარიო,
ნაძებნ გვყოვ ულაკური, კიდევ გვიხედვენ სხვანიო.
ბასოხ ჴიდის პირ თოფ გადის, ურჯულოს შაზდვეს ზარიო.
ომობენ ულაკაურნი, სრუ იძვრის მთა და ბარიო.
ნაომარს ამაგათასა, თვალით ვერ ღნახვენ სხვანიო“.

გურიელთ ხარების დაპარვა ქისტებისგან და მისი ამბები

მიამბო და ჩამაწერინა თორელ გოგოჭურმა, 40 წლისამ,
სოფელ გიორწმიდაში, 1936 წელს

ქისტები-დ გუროვლები წინიდგესავ არას ზავზედ იყვნეს. ხან ერთუცს ჴოცდეს, ხან ხპარევდეს ერთუცს ქურდულად, ხან ეცემოდეს ქისტებიდ, ძალით იტაცებდეს ცხვარსა-დ ჴარ-ცხენს. ერთხან დასაცემლად მასულებმ მააჴერჴესა-დ გალალეს გურიელთ ჴარები მთაში ნადგომები. ჴარები გალალეს ოცზე მეტი, ვერც გაიგეს გურიელთ მეორეს დღემდინ. მეორეს დილას მეჴარავნემ მალედ გაიგა-დ ჴმა გატეხ სოფელში. სოფელში დაიქც მდევარი. გახყვეს ჴარავნის კვალს (სხვას დროს ესრ გაბედულად მდევრის გაყოლა ანდრეზ არ ას, მარტო ერთხან ჴადუელნ გახყვეს ღილღომდინ ჴარებსა-დ მეორედ გუროელნი. სხვას წვრილმანს საქმეზე კი ბევრიღ

გახყოლივა-დ ასეოს დამცემს ხალხს ვერვინ სწონდ ამოვენს). გახყვეს გუროელნ კვალს, კვალი ისაროღელისას წავიდა-დ არხოტის ადგილში ტანიეს ჩავიდ. აქით აიარ ლარტანის გორი, საჭარის ღელე გაიარ, ბისნა გაიარესა-დ ჩორეხ გადავიდ. ჩორეხით ჩაიარა-დ ნეოხის კარისკე წავიდ. ეს ისეთ მაღალ მოები გადავლილ, რო უცხომ რო ნახას, არ დაიჯერებს, თუ ამ მოების გადასვლას ჭარებ შაზძლებს, ჯერ გვერდალ კლდიან მოებია-დ, მემრ შორი. არც ვინ იმას დაიჯერებს თუ ღილღველთ ამდენ აღმა ჩაღმა ავლიესა-დ თან გუროელნ მიზდევდეს. ეროს დღე ღამეს იდინეს ჭარებმა-დ გუროელნ კი დილას წამასულები წუხრ მიეწივნეს ნეოხისკარ.

გუროვლებმ აქ დასახელებული მთა-კლდეები ჭარების კვალზე იდინეს; თან-თან ატყობდეს, რო კვალი ახალი იყვ. ბოლოს ისრ ახლოს მავიდეს, რო ჭარები სადაც წყალში იყვ გასული, წყალ აღარ იყვ გამშრალი წყლის პირებში. ღილღველებმ ნეოხის კარ მოლალეს ჭარები-დ ბალახიანში გაუშვეს. თაოდ აიარესა-დ კლდის თბესთან დასხდეს დასასვენებლად. ამ დროს გადაჩინდეს გუროელნიც ოცამდინ კაცი-დ ნახეს თავის ჭარები. გუროელნ რო მავიდეს, ნახეს ღილღვლებმაც. ჭარებს თავ დაანებესა-დ წავიდეს გორისად მასატოლებლად. ეს გუროვლებმაც ნახესა-დ ერთ ახალგაზდამ თოფის სრევა მაინდომ ქურდებისად, მაგრემ ამხანიგებმ უთხრეს: არ გვინდავ კაცის სისხლის დაღვრაივ, ეს ჭარებ ხო დაწირესავ ესეებ გავლალათავ. ამ საუბარში გამავარდ თოფი-დ სწორად იმ ახალგაზდას მახვდ ტყვია, რომენიც იმათ თოფვას მაითხოვდ. ტყვია გულში მახვდა-დ იმავ წამს მკვდარ დაეც დაბლა. გაიგეს ქისტებმაც, რო კაც მავკალითავ, გაიქცნეს მანამ გუროელნ ესრევდესა-დ გორს ამაეტოლნეს. აღარც აქ დადგეს, გასწიეს ტყედატყე-დ წავიდეს ღილღოსკე. გუროვლებმ ჯერ კი ვერ მიიწონეს ჭარებსთან მისვლა, ზოგებმ თოფებ გადაუსხ იქისკე, სადაც ღილღველებ გადაეფარნესა-დ ზოგებმ ჭარებ გამალალესა, გამაყარეს წყალს. გააკეთეს საკაცეი-დ წამაიღეს მკვდარი. მეორეს დღეს ტანიეს მივიდესა-დ მესამეს დღეს ჭარებიც გუროს მალალეს.

იმედაის შვილს, მაკლულს, ერთ უნცროს ძმა დაშჩა-დ ერთი ახლოელ სახლისკაცი. ესეებ ჯერ კი ძალიან ცოცოტეები იყვნესა-დ ერთ-ორი წლიდგე შაზძლეს იარაღის ჭელჩი აღებაი-დ სამზირლად წასვლა. ამათ მამ-ბიძაები მალევ დაჭოცილები ხყვანდა-დ ობლები იყვნეს დაზდილები. თექვსმეტ-შვიდმეტის წლისებ რო დაიზარდნეს, ტუჩათ-ნიკოი-დ იმედათ ბაჭუჭა წავიდეს ქისტეოში შურის საძებრად. იმათ ისიც გაიგეს, რო ამათ ძმის მამკლავი სახანოელ კაც იყვ. მივიდეს ღამიღამა-დ სახანოს სოფლის პირდაპირ ჩასხდეს ტყეში. თავის მამკლავისა სახლ-კარიც კარგად იცოდესა-დ კაცსაც იცნობდეს. უყარაულეს მამკლავის სახლთა-დ, აქით რო არვინ გამავიდ, მამკლავის შინშს დააშალეს თოფები კარში გამასულსა-დ დაჭრეს. იმათ კი ის ეგონ მაკვდაო-დ, ქისტ რო დაიჭრ, დაიდვ, აღარ დაიძრ, რო მკვდარ ვეგონეო-დ აღარ მესრევენავ. მართლადაც ამ ყმაწვილებს მკვდარ

ეგონა-დ აღარ ესრიეს. ადგესა-დ წამავიდეს მითხოს ჩდილისას პირაღმ. ამ თოფის ჭმაზედა-დ კაცის დაჭრაზე გატყდ ჭმა მითხოსა-დ მთელის სოფლების ხალხი დაიქც მდევრად. მითხოს ჩდილ ბოლოში ტყეი ასა-დ ტყეს რო ამაუწყდების, კლდიანები გორები მადის მოებისკე. ღილღვლებმ გზებიც კარგად იცოდესა-დ ისიც იცოდეს, რო მითხოს ჩდილი რო ამათავდებოდ, მემრ აღარცად ექნებოდ წასავალი. მანამ ისენი ტყეს ამაათავებდეს, ღილღვლები წინ შახვდესა-დ შაკრეს იმათ ასავალ გზაი. მივიდეს ისენიც, ასცდეს ტყესა-დ მაღლა კლდიანებს გორებს მაეკიდნეს. გახენესა-დ ნახეს, რო მაღლა ღილღვლები ხყონ ჩასაფრებულები. ნიკომ უთხრ, რო იქავ პირჩაღმ დავიქცნათავ, ტყეში შავიდათაო-დ იქითავ ღამით წაოლთავ, თორე აქ აღარ გაგვიშობენავ ცოცხლებსავ. ბაჭუჭა ძალიან დაღალული იყვა-დ უთხრ, რო რაიც გინდა მამივიდასავ, მე სიარულ აღარ შამიძლავავ. ნიკო გადახტ, ეც ეროს ყურესა-დ გაიქც პირჩაღმ. შავიდ მითხოს ჩდილშია-დ დაღამებამდინ აქ დაიმალ. დაღამებიდგეს წამავიდ უგზოს გზათასა-დ შატილ მავიდ.

ბაჭუჭას კი შამაეხვივნეს მირგვლივ ეროს გორზედა-დ დაუწყეს თოფვა. წინა ნასრევი მჭარს დახკრესა-დ მასტეხეს მჭარი. ჩაიქც კლდეთ შუაშია-დ თოფ მაინც ჭელშიით არ გაუშვ, უჭირველს ხელში იქავ თოფ ეჭირა-დ ღილღვლები იმით ვერ მიუდგეს ახლოს. ისითს ალაგში იყვ ჩაწოლილ, რო ერთის ხეცროს მეტი არა უჩინდა-დ. დახკრეს ამ ხეცროსაც ტყვიაი. მაინც ახლოს ვერ მიუდგეს, არ იცოდეს კარგად, დაჭრილ იყვა, თუ ეშმაკობდ. ერთ ჯარეგიონ ქისტი იყვ, თათარაის შვილი, გურიოვლების კა ნაცნობი, ქართულიც კარგად იცოდ. ურჯულოშიაც გავედიან კაც იყვ (გავედა // გავლენა). ისითი, რო ის რასაც იტყოდ, მითხოელნი იმის სიტყვას ძვირად დაღლაჭევდეს. იმან უთხრ ქისტებს, რო მე მიოლავ მაგასთანაო-დ თოფ აღარვინ ესრივათაო-დ საქვეყნოდ თავ მამჭრათავ, თათარიშვილმავ დანდობითავ კაც მააკვლევივავ. ღილღვლებმაც შაანელეს თოფის ჭლაი, თათარიშვილმ დაუწყ ქართულად ძახილი ბაჭუჭას: თოფ არ დამკრავ, მე მაოლავ შენკესავ თათარიშვილივ. ბაჭუჭა მაინც თოფის მამჭმარე აღარ იყვ, ისრ ხქონდ ჭელი დამტვრეული-დ ახლა სისხლ მიზდიოდ ბევრი. მავიდ ბაჭუჭასთანა-დ იცნ იმედაის შვილი, ხუთმეტ-თექვსმეტის წლისაი-დ ორს ალაგზე იყვ დაჭრილი. შაღბრალდა, უთხრ: ნუ გეშინისავ, მე შენ არ მაგაკვლევავ. ძალიან ბრიყვად კი დაზდითავ, შუა მითხოსავ შუა დღეში ხკლავთავ კაცსაო-დ ვინ გაგიშობსთავ აქითავ, არ იცითაევ, რო მდევარ გამაგიდგებისთავ. მემრ წავიდა-დ ღილღვლებს უთხრ: ყმაწვილ ყოფილავ, ორს ადგილზედ ასავ დაჭრილივ, ეგ ყმაწვილივ მე მაპატივეთავ, თოფს ნუღარვინ ესრევთავ, წავლალავავ შინავ, მაგრემ, სრუერთიავ, მაგას მოკლენ გზანი ხქონავ, ისრ მძიმედ დაჭრილიავ, რო ეგივ ცოცხალ ვერ მიახწევსავ შინამდინავ. ღილღველთ პირობა მისცეს, მაგრემ ჭირის პატრონებს მაინც არ ენდობოდ: წასულსავ იქავ რაით ესრევენაო-დ მემრ ჩვენაც ეროუცს გვინდავ ჭოცაივ, რო ჩემგან დაბალითებულ კაც

მაკლანავ (დაბალითება: მინდობა, მოტყუილებით, ღალატით მიყვანა ან თავისთან, ან საფარიდან გამოყვანა და დაზიანება). ბაჭუჭასთან მივიდა-დ უთხრ: ამ თოფსავ ვერც წაიღებავ შენავ, მე მამეცივო-დ მემრ მე გამაგიტანავ. იარაღიან რო გნახანავ, ვაი თუ ცუდ ექნავ ჭირის პატრონებსავ, თქვენავ კაც მახკალითაო-დ იმის პატრონებსავ გული სტკივავ. ე თოფ მამეციო-დ წაედივ თუ შაზძლებავ სიარულსავ. მე იქავ წაოლავ ქისტებსთანაოდ თოფს აღარვის გამავასრევიებავ. ბაჭუჭას სხვა გზა არ ხქონდა და მისცა თოფი ქისტს. ქისტი ცოტა გზას გამოყვა, მხარი დაუჭირა და ისე გამოაცილა გორამდინ. მერე ქისტი ქისტებთან დაბრუნდა და დაჭრილი ყმაწვილი წამოვიდა. ამ დღეს იარ, ღამით იარ სვენებ-სვენებითა-დ მეორეს დღეს შატილ მავიდ. აქ სოფლის აქიმ იყვ გუგუაი-დ იმან დაახვივ ნაჭრევებსა-დ კარგა ხნის წვალებიდგეს მაარჩინ, ხოლოთ მჭარ კი გაუხაიბრდ. იმათგან დაჭრილ ღილღველიც იქავ მარჩ. ბაჭუჭა მჭრით გახაიბრდა-დ დაიწყ ტუჩათ ნიკომ მარტომ სიარული სახანოს, მამკლავის მასაკლავად. ეს სახანოვლებმაც იცოდესა-დ ყველას თავ-თავისად ეშინოდ. ბოლოს შამაუთვალეს ნიკოს, რომ ჩვენ თავ დაგვანებევ, ნუ ვის მაგვკლავავ; მამკლავივ აქ გყავავ, მაკალიო-დ ჩვენავ მდევრად არ გამაგიდგებითავ. ნიკომაც მანამ იარ, მანამ მამკლავ არ ჩაიგდ ჭელჩია-დ არ მაკლ.

ნიკომ მამკლავ რო მაკლ, მაშინ შუას რიყეში ჩაუჯდ. ის კაც გამოხილებულ იყვა-დ ისითის გზისას დავიდოდ, რო ტყეში ჩამჯდარ კაც იმას ვერას დააკლებდ. სახანოს გვერდზე წყალ ჩამაუდისა-დ დიდ ქვიან რიყეი. იმ რიყეზე გავლით წავიდოდ, სადაც წასვლა უნდოდ გუროვლის მამკლავს. მივიდ ღამით ნიკოი-დ სოფლის პირში იმ რიყეში ჩაჯდ. გამავიდ ეს ქისტიცა-დ წასვლას აპირობდ, რო დაადვ ლიშან ნიკომ გულზედა-დ თოფ რო გავარდ, მკვდარ დაეც. იმის სახლისკაცებმაც გაიგეს, ნიკოიც ნახეს, რო გაქცეულ ტყეში შავიდ, მაგრემ არც თოფ ესრიესა-დ, არც უკენ გამაუდგეს. იმათ იცოდეს, რო ეს თავ თავში გაიბარა-დ თუ კიდევ კაცს მახკლევდეს, იქავ შიშ უნდოდა-დ არ შაარჩენდეს გუროვლები. ისიც ხო იცოდეს, რო იმედაიშვილი იმ კაცმ უბრალოდ მაკლ, ჯერ ჭარებ დახპარა-დ ღილღოსკე გაულალ, გზაში დაეწივნეს, ისენ არ თოფევდესა-დ იქავ ქურდმ ესრივა-დ მაკლ კაცი. ესრ წამავიდ ნიკო, ჯარეგასაც ქისტის სოფელზე დღისით გადმაიარა-დ ჭმა აღარვინ გასც. ცოტახან იცოცხლა-დ ნიკოიც ისართღელეს ზვავმ მაკლ. ნიკოს სიცოცხლეშიაც სახელს ულოცევდ ხალხი-დ საქებს ჯარზე სამღერალის სიმღერეებს ეუბნებოდეს. ეს რო ზვავმ დალივ, თავის ცოლ ეტანა-დ ერთ შატილიონი მაკლ იმათთან, ერთ შატილიონ ქვე გადაშჩ ცოცხალი. იმათად ნათქვამს ლექსშიაც ნაჭსენები ნიკოს სიარული ქისტეთშია-დ იმის სახელიანობა ქება-დიდებით ას ნაჭსენები ამ ლექსში:

ზვავისგან დაჭოცილები: ნიკო, მზექალა და წიქა შატილიონი
(იწერება ნიკოს სახელობასთან დაკავშირებით)

ოჭერო ისართღელეო, შაგეჭირხლება წვერიო.
სრუ თავზე გაძეს ლემადე, ეგ ოჭრად გასაჭდელიო.
შენა ხარ ცოდვით სავსეი, სრუ ძირით მასათხრელიო.
მირგვლივ ნახვევთა მთა-წვერთა სახელ გაღმეტდა შენიო.
ნეტავინ გჭვრეტდას ტყვიაი, ან გჭრიდას ჭმლისა წვერიო.
იმ დროს იჭეხე, ოჭერო, მთათ რო დაადგეს მზენიო.
ოროლს ლომივით ოშკაცსა რა უფერ დაზდევ ფერიო.
სხვებს მთებსთან დაიკვეხნიდი, სამნ კი მეც დავჭოცენიო.
რა ცუდნი ხქონდეს საწყლებსა ის ორნი დღე-ღამენიო.
ნიკოს არ სცივა, წიქაო, უფრო ბრალი მაქვ შენიო.
ზეპირ ხარ თოვლზე დამრჩალი, ჭელით გიჭირავ ჭელიო.
დაისვენებენ, წიქაო, სანადირონი კლდენიო.
ბევრჯელ ათენე მარტომა დიდი ღამეი ბნელიო,
ბევრჯელ კი გეწვა მკლავზედა შენი ბერდენკა ჭრელიო.
სიზმარში რა გეჩვენების, ზატორზე გიძევს ჭელიო.
მაელი გათენებასა, ჯიჭვებს შაუკრა წვერიო.
ბევრჯელ დასთოფე ჯიჭვები, ჩამააწითენ კლდენიო.
მაგის მეტ, არას გიამბობ, ლექსი არ მიყორს გძელიო.
ქვე დაგიბნელდა, ნიკოო, მზესავით პირისერიო.
რაად გასწირე გამზდელი, დედა ნათია, ბერიო.
რაად გასწირე ლურჯაი, ნიავქარივით ცხენიო.
წახვედი სახელიანი, სირცხვილ არ დაგჩა ბევრიო.
მითხოს უხარის ქისტებსა, ბევრას მაუვა ფერიო.
შენ დაგლილ იყო, ნიკოო, მითხოელთ მთა და ველიო.
მითხოს დახვიდოდ სოფლადა, ძალზე ვერ გედგა მტერიო.
სოფლისპირ მახკალ მამკლავი, წითლად შაღებენ კლდენიო.
უხარით ჭევსურთ შვილებსა, საქონ შაგვჩების ჩვენიო.
აქამდინ ხალიზ არ ხქონდა, უცბად უჭამდა მგელიო.
მკვდარ ხო ნიადეგ მკვდარია, ეგეთ უნდ იყოს მოელიო.
ბრალ-კი ას, ტუჩაის შვილო, რო გაგილაღდა მტერიო.
ვინაღ დარჩების ცოცხალი, ნიკოო, შენი ფერიო.

ქისტი ანდარუყო და კალოთანელ მარტიაის შვილნი

ჩამაწერინა გიორგი ქიბიშაურმა, 70 წლისამ, სოფ. ახიელში, 1939 წელს

ქისტის სოფელი, ქისტურად „ნელხ“ და ხევსურული გამოთქმით „ნეოხა“ ყველა ქისტის სოფლებზე უფრო ახლოს იყვ არხოტის სოფლებსთან. არხოტივნებსა-დ ნეოხელებს მიდენ-მადენაი-დ სტუმარ-მასპინძლობაიც ყველაზე ჭშირად ხქონდ ეროუცსთანა-დ სისხლ-ქურდობაიც ამათ უფრო მეტი ხქონდ ერომანეცში, მანამ სხვა ღილღვლებსა-დ არხოტივნებს.

ნეოხელნი ყველა ღილღვლებზე მეტად ღარიბად ცხოვრობდეს, ყველაზე მეტს ქურდობდესა-დ ყველაზე მეტად დაუნდონიც იყვნეს. არხოტ თუ დაუნდოი-დ ღალატიან ვინ იყვის, ნეოხელთ ღგავავ თქვიან, სხოდ კი სავაშკაცოდა-დ სამამაცოდ ღილღოს ყველაზე წინ იდგეს, ამ სოფელში ისით ვაშკაც არ გაიზდებოდ, რო სხვაზე ყოჩაღ არ ყოფილიყვ.

ამ სოფელში ეროი ძალიან თვალად ტანადი-დ მამაცი სახელგაოქმული ვაშკაცი გაიზარდ, ანდარუყო. ანდარუყოს მამას ფარეშა ექვივნა-დ არხოტივნებსთან არც ეს იყვ ცუდს განწყობილებაში. შვილიც ესეთ გაზარდ, რო არხოტ ჭშირად დავიდოდა-დ არც არას ხპარევდ არხოტივნებს, ხოლოთ ბუდე-ჭევსურეთისკესა-დ მშავისკე ნუ დამიშლითავ ქურდობასავ – ტყოდ ანდარუყოი-დ არხოტავ ბეწვს არ გავამრუდებავ. არც სხვას ვის მივსცემავ არხოტისად ღალატის ნებასავ. ამავდროს ორნ ძმანი კალოთანას ცხოვრობდეს ახალგაზდანი: ხირსილთ მარტიაის შვილნი: კვირიკაი-დ გიორგი. ეს ახალგაზდანიც მაშინდელის კაცის წესით, ღილღოსაც სახელგაოქმულნი იყვნესა-დ ჭევსურეთაც პურადობით, გულადობით, ქურდობაიც შეეძლიყვ, კაცის მაკვლაიც, მეგობრობაი-დ, მტრობაისა-დ მაშინ ვაშკაცსაც ესეთაობა გაუოქვემდ სახელს. ანდარუყოი-დ მარტიაის შვილნი მალე დაღმეგობრდეს, ერომანეცს, ჯერ უბრალო მიდენ-მადენა-ი ხქონდ ეროადა-დ, მემრ ქურდობასაც ჭელ მიხყვეს. მარტიაშვილთ ანდარუყო აპარვიებდ ღილღველთ ჭარ-ცხენსა-დ მარტიაის შვილნი ანდარუყოს დახყვებოდეს საქურდლად ბუდე-ჭევსურეთა-დ მშავს, იპარევდეს ცხენებს, მიუდიოდა-დ ყიდდეს ღილღოს. ხალხი უტყობდ ამ ამბავს, მაგრემ შიშით ვერასვინ ეუბნებოდ.

ეროხან მშავით დაიპარეს ცხენები-დ ღილღოს გალალეს. იქ ანდარუყოს უნდა დაეყიდა-დ რასაც ფასს აიღებდ, მემრ უნდა გაეყვ ყველას ეს ცხენების ნაფასური. ანდარუყომ ცხენებ დაყიდ, მაგრემ კალოთანელთ მაუშარ რაზედამა-დ დახუთ (დახუთა: არ გადაუხადა) იმათ წილი ცხენების ფასი. ამაზე კარგა მაგრად შაიმდურნესა-დ ბოლოს იქავ დაშოშმანდეს, ხოლოთ კალოთანელთ ძალიან გულში კი ჩაეჭრ ეს ამბავი-დ ფიქრობდეს: თუ დრო დაგვჩავ, ამას არ ვაპატივებთავ ანდარუყოსავ; ისრ პირად კი ვითამ სრუ არცრაივ, ისრ იყვნეს.

ერთხან ანდარუყო წავიდ ბარის ღილღოს, ნასირიეს (ნაზრანი ქისტურად). იქ ორი გაოქმული ყაჩაღი ხყვანდ მეგობარი, წამაიყვან ისეებიცა-დ წამავიდ კალოთანისკე. ამ სამ ყაჩაღს გარიგებულ ხქონდ: უნდა გაეყოლნეს მარტიაის შვილნიც ანდა, ან ცხვარზე სად დასცემიყვნესა-დ ან ჭარავანზე, გამაელალა-დ უნდა პირდაპირ ნასირიეს გაელალ, რასაც მაასხემდეს. შუაღამის დრო იყვ, რო კალოთანას მავიდესა-დ კვირიკაი-დ გიორგი გამააღვიძნეს მძინრები. კალოთანლებმ ღილღურ ენა წმიდად იცოდეს, მასულს სტუმრებს ღილღურად ხკითხეს მშვიდობა-ამბავი-დ შაიყვანეს შინ. რაიც სტუმარ-მასპინძლობის წესი, მასულებს კარგად დაუხვდეს. ანდარუყომ ქართულ იცოდა-დ ქართულად უთხრ მარტიაის შვილთ თავის მასვლის მიზეზი. გამაგვყევითავ თქვენაცავ უთხრ – გამავლალათავ ან ცხვარიო-დ ან ჭარ-ცხენივ, ნასირიეს გავყიდათაო-დ გავიყოთავ ფასივ. ეს ორ კაცივ ნასირივლები არიანავ გაოქმულებ კაცებიო-დ ესეებ შაგვიწყობენავ ჭელსავ. ეხლა კი დაღალულები ორთავ, თქო ანდარუყომა-დ ხვალწუხრ კი უნდა წავიდათავ, რო ჩვენ მოსვლა არვინ გაიგასავ. გიორგიმ უთხრ: „რაიც შენ გინდავ, ყველა სამსახურს გაგიწევავ, ეხლა თქვენ მაისვენეთავ. გიორგიმ ცხვარ დაკლ, გამააღვიძ სტუმრები, ახალ ჭორცის ყაურმა აჭმივა-დ დაიწყ თენებაიც. ღილღვლებმ ტყეში გასვლაი თქვეს მასპინძლის ხათრით, ვაითუ აქავ მავიდავ ვინაო-დ გაიგებენავ ჩვენს აქ ყოფასავ. მაგრემ გიორგიმ უთხრ: ჩემს ჭერხოში არვინ შამავავ. ტყეში რო გახვიდათავ, მზიან დღეი ასაო-დ ქურდის კაცისად არ ვარგავ მზის ნახვაივ. იქავ ამ ჭერხოში მაითმინეთავ (ქისტებმ იცოდეს, რო საქურდლად როსაც ემზადებოდეს, ერთს ან ორ დღეს მზეს არ ღნახევდეს. თუ დღისით მზეი ნახავ, ღამის სიბნელეში კარგად ვეღარ ხედავსავ, თუ მზე არ ნახავ, კარგად ხედავსავ, რაც უნდა უჩინ ღამე იყოსავ). მეორე დღეს სტუმრები გიორგის ჭერხოში ტახტებში იწვესა-დ ეძინ. არვინ არ იცოდ თუ ესეებ აქ იყვნეს, ხოლოთ კვირიკამა-დ გიორგიმ თავის შინშს ჭაბუკათ გიორგის გაანდვეს ეს საქმეი-დ დღისით ესი დავიდოდ ღილღვლებსთან. გიორგიმა-დ კვირიკამ თავის შინშს ისიც უთხრეს, რო საქურდლად გამაგვყევივ. ჭაბუკათ გიორგი ქურდ არ იყვ, მაგრემ ეხლა ისიც შაგულიანდა-დ მაემზად საქურდლად. ამ დღეს გიორგის ჭერხოში ექვს ქურდი იყვ, სამი ღილღველი-დ სამი კალოთანელი. ბევრის საუბრიდგე გადასწყვიტეს, რო პირიქით ჭევსურეთის მთებში ნადგომს ცხვარს სად დავეცნათაო-დ გამავლალათავ, მეორეს დღესავ მთიდიმთივ წასულებივ ჩორეხ გადაოლთაო-დ იქამდინავ არც მდევარ გამაგვიდგებისავ. ეს დღე საუბრით გაატარესა-დ რო დაღამდ, წამავიდეს ექვსნივ საჭევსურეთოდ. შამაიარეს კალოთანის ჭორჭი-დ წყაროსთავ (ადგილი არის კალოთანლებისა საზაფხულო საძოვარი და აქ მეცხვარეები ცხვარს აყენებდნენ) გზის მარჯვეს ნადგომი ჯლუგაის ცხვრის ფარა ნახეს (ჯლუგა იყო ფშაველი მეცხვარე სოფელ უძილაურთიდან და ამ მთაში ქირით აყენებდა ცხვარს). ჯლუგა ფშაველი

იყვ გვარად ჩორხაული. სრუ წლისთაოდ აძლევდ საბალახეს ქირას კალოთანლებს, გადმაუდიოდ ამათ მთაში, ზაფხულობით აძოებდ ცხვარს. ღილღვლებმ რო ეს ცხვრის ფარაი ნახეს, სულმ წაზძლივ აქისკესა-დ კალოთანლებს უთხრეს: „რაიღ შორს დენა გვინდავ, აი, ცხვარივ აქ დგასავ. კალოთანელთ უთხრეს: ეს ცხვარ-მეცხვარეივ ჩვენს მთაში დგასავ, ჩვენდ მაბარებულიავ ჯვარისადაო-დ კაცისადავ. ჩვენავ ამათ ვერ უღალატებთავ. მემრ ისით პატრონი ხყავავ მაგ ცხვარსავ, ჯლუგაივ, რო იმას ვერას ვინ წაართომსავ უსიკვდილოდავ. ბევრ უშალეს კალოთანლებმ, მაგრემ ანდარუყომ გაინიუ, რო აუცილებლივ აქით უნდა გავლალავ ცხვარიო-დ, თუ გინდათავ, თქვენ დამიშალეთაო-დ თქვენაც მემცხვარეებს მიეშველენითავ. მიოლავ, დავიბალითებავ, როსაც დაეძინებისავ, ჯლუგასაც შავხკონავავ მაგის წყემსებსაცაო-დ ე ცხვარს ქვე გავლალავთავ ჩვენავ. რო ვედარა გააგონეს, კალოთანლებს ანდარუყოსგან ძალიან ეწყინ ესეთი თავხედობაი-დ ერთუცს ჩუმად უთხრეს: „თუ ამას ეს განიუება არ შავანანეთავ, კაცებ არ ვიქნებითავ. ჩუმადავ ჯლუგას უთხრათავ ამათ ფიქრი-ოდ იმან თაოდ იცისავ. თუ ჯლუგას გაუჭირდავ, ჩვენაც იმას მივეშველნათავ. ჩვენდაო-დ ჩვენის ჯვარ-ჯვარის კარისად მაბარებულს ქრისტიანს ხალხს კი ნუ უღალატებთავ. ამაზედავ ამ ურჯულოს ქურდებს ნუ გავამარჯვებთავ. ანდარუყომ ბევრ აღარავის აუბნა-დ პირდაპირ მშავლების ბინაისკე წავიდ. ამათ მტრის შიშით მარჭე ძაღლები ხყვანდ, რო იმათ გაუგოდ ბუზვიც არ გაივლიდ. თაოდ ჯლუგაი-დ წყემსებიც აქ მთხილად იყვნეს, რაკი კალოთანის მთას ღილღო ახლოს ხქონდა-დ მასალოდნელი იყვ ცხვარზე დაცემაი-დ ცხვრის გალალვაი. მაშინ აინალ თოფი ახალ შამასული იყვა-დ ჯლუგას სადამ ეყიდა-დ დღესა-დ ღამეს ჭელჩიით არ იშორებდ. ღილღველ-არხოტივნებ რო ჯლუგაის ბინაისკე წავიდეს, იმის ძაღლებმ მაშივ გაუგესა-დ კარგა შორს გზაზე მაეგებნეს ყეფითა-დ ბინაისკე ფეჭის გადადგმის ნებას აღარ აძლევდეს. ძაღლების ჭმაზე ჯლუგაი-დ იმის წყემსებიც წამავიდესა-დ მამავალ კაცებს შორიახლოს მირგვლივ შამაეხვივნეს. ჯლუგამ უძახ: რომნები ხართავ. ღილღვლებ არ აშჩქამდესა-დ მარტიათ გიორგიმ უძახ: ჩვენ ორთავ მარტიაიშვილნივ, სხო სტუმრები გვტანავავ, ჯლუგაო მაგვაშორევ ეს ძაღლებივ. ჯლუგამ გიორგის ჭმა რო იცნ, გაუჯავრდ ძაღლებსა-დ ბინაში წაიყვან სტუმრები. ღილღვლების სტუმრობა ამ შუადამის დროს არ მაეწონ კი ჯლუგას, მაგრემ იფიქრ, სტუმარივ მაინც სტუმარიავ, რაიც უნდა დრო იყოსა-დ ვინაც უნდა იყოსავ, გინდა ქრისტიანიო-დ გინდა ურჯულოივ. მიიყვანა თუ არა ბინაში სტუმრები, ჯლუგამ უძახ ეროს წყემსს, საკლავ მააყვანივ, ღილღვლებს დააკვლივ, რაკი ისენი ქრისტიანის ჭელით დაკლულის ჭორცს არ ჭამდეს. მემრ წყემსმავ გაატყავა-დ გააკეთ თავისებურ ყაურმაი. აჭმიეს სტუმრებს ახალ ცხვრის ჭორცი-დ მემრ წყემსი თავის ადგილზედავ წავიდ. სხო წყემსებ არც მავიდეს ბინაზე, ღილღვლებმ ვერც ის გაიგეს, რამოვენ წყემს იყვ, ან იარად რა ვის ხქონდა-დ ან სად ვინ იყვ თეოზე.

პურ რო ჭამეს, ღილღვლებმ ჩუმად მაისაუბრესა-დ გადასწყვიტეს, რო დაეძინებისავ, ჯლუგა ან დავიჭირათაო-დ ან მავკლათავ (კალოთანელნიც ისრ იჭერდეს თავს, ვითამ ღილღვლებს უჭერდეს მჭარსა-დ გაალალვიებდეს ცხვარს). წყემსებიც, თუ ძალზედ ვინ შაგვიდგავ, დავჭოცათაო-დ ეს ფარაივ ნახევარ მაინც მავსხლიტათაო-დ გავლალათავ. მაგრემ ეს ღილღვლების აზრი კალოთანელებმ ჯლუგას გაანდვესა-დ უთხრეს: ძალიან მთხილად იყავივ, დაცემას გიპირობენაო-დ, როსაც საჭირო იქნებისავ, ჩვენაც შენ მაგეშველებითავ. ჯლუგამ ღილღვლებს ერთად გაუშალ ნაბადი-დ სამნივ ერთად დააწვინნ, არხოტივნებს – ერთად. თაოდ კი გაიარა-დ ცალკე შამაწვ ნაბადში გახვეული. იქით მაიპარ კალოთანლებთან მუცლით ქანვითა-დ უთხრ: ცოტაი ხნიდგესავ მე მაგათავ გვერდზეით დავხკრავავ თოფსაო-დ სამთავ ერთად დავაჭვრეტიებავ, ხოლოთ თქვენ მზას იყვენითაო-დ მამეშველენითავ. კალოთანელნიც დასთანხმდეს, მიცოცდ უჩინს ღამეში ჯლუგა იქ, სადაც ღილღვლებ იწვეს, პირქვ დაწოლილმ ესრივ ერთად ნაწოლებს ღილღვლებს, ორნ კი დააფარებივნ ერთუცსა-დ გაუარ ტყვიამ, მესამეს ქვე დასცდ მაღლა აბრუნვილ ტყვიაი. ერთ კი იმაშიავ დარჩ მკვდარი-დ ანდურაყო დაჭრილ წამახტა-დ გაიქცა-დ ქართულად იძახ:ᾶ „აი დედას გიტრი, მოიცა“. გაქცეულს ანდარუყოსა-დ იმ ღილღველს, რომენიც ცოცხალ დარჩ, გადეეტანნეს კალოთანელნი-დ ხანჯრებ დასცეს ორთავ. ჭაბუკათ გიორგის თავის სახლისკაცის, მგელაის თოფი ხქონდ ქართული, გაქცეულს ანდარუყოს ეს თოფი თავში დახკრა-დ ორად გადატყდ:

რას სწყალობს მგელაის თოფსა, ნამტვრევნი გადადიანა.

ეესრ ჩააქციეს ანდარუყოიც, გაქცეულს ერთ ტყვიაიც კიდევ მაასწვრ ჯლუგამ, თავში ესვრივა-დ ლაშ-ყბან დაამტვრევივნ:

რაი ხკრეს ანდარუყოსა, ლაშნჩი რო გვერდზე ღბიანა.

ამნაირად დაჭოცეს ღილღვლები. ეს ამბავ ისრ ერთბაშად მახჭდ, რო წყემსებმ ვერც კი მაასწვრეს თოფის ჭმაზე ბინაში მასვლა. მით უმეტეს, რო ჯლუგას წყემსებისად ნათქვამი ხქონდ, ამ ღამეს რაიც უნდა მამჭდარიყვ. გამთხილებულებიც ხყვანდეს, რაწამს გაიგონებთავ ჭმასავ, რაისასავ ბინაშიითავ, იმავ წამს ბინაში მეედითავო-დ მაგვეშველენითავ. წყემსებიც ესრაც მაიქცნეს, თოფის ჭმაზე მაშივ დაიქცნეს, ბინაში მავიდესა-დ ნახეს, რო საქმე გათავებული, სამ ქისტი წევს მკვდარი. ახლა კალოთანელნიცა-დ ჯლუგაიც იმან დააფიქრნ, რო ხალხ გაიგებსაო-დ სტუმრებ დაუჭოცავავ, იტყვიანავ. იმას არვინ დაიჯერებსავ, რო ისენივ თაოდ აპირობდესავ

ღალატსაო-დ დაცემასავ, რო ჯლუგას არ დაესწვრავ. მოის ხალხში სირცხვილ იყვ სტუმრის მაკვლა, რო სტუმრის მედალატეს კარში აღარ გამაევალოდ; თან კიდევ, მტერ გაუჩინდებოდ. ანდარუყოს ავ ხალხი ხყვანდ ძმა-სახლისკაცები, მამა ფარეშაი-დ ესენი არც კალოთანელთ შაარჩენდესა-დ არც ჯლუგას თავის ჭირს, როსაც გაიგებდეს. გადასწყვიტეს, რო დამალან ამეების დაჭოცვა.

დამალან რაჭელ? ერთ ის იყვ საშიშ, რო თოფის ჭმას ღამით ამღიონ მემოეებ გაიგონებდესა-დ იმათ ენაიც არ დაიჭერდ, ეტყოდეს ღილღვლებს, მეორე ის იყვ საჭირო, რო ისით ადგილას დაემარხ მკვდრები, რო ვერვის გაეგ. გადასწყვიტეს რო აიტანანანა-დ სანადირო კლდეთ ძირში, ქვიშაში დაღმარხანადა-დ ზედ ბევრ ქვიშა დააქანან. აიტანეს წყაროსთავ კლდეთ ძირში. აქ ძალიან მბილ ქვიშა იყვ. გაუთხარეს ქვიშა, ჩააგდეს სამივე მკვდარი-დ დააქანეს ზედ ქვიშა. ღამით მავიდეს ბინაშია-დ დილას მალედ მიაყარ-მააყარეს მიწა ამ სისხლსაც, სადაც ისეებ დაჭოცეს. მემრ ცხვარ გაავლ-გამაავლიეს ზედა-დ შაღრიეს ნასისხლარი. რომენსაც გზაზე აავლიეს ეს მკვდრები, ამაზედაც მეორეს დღეს ცხვარ გაშალეს კვალის შასარევლად, რო ან სისხლ არ ვის ენახა-დ, ან კვალი. ეს ყველა კარგად შაარევიეს ცხვარს. მეორეს დღეს ჯლუგამ ორ-სამ საკლავ მისც კალოთანელებსა-დ ისეებ გამალალეს შინ, ვითამ ცხვარზე საკლავების საყიდლად იყვნეს წასულები, იყიდეს საკლავები-დ მაასხეს მთაშიით. ერთ კვირაე რო გავიდა-დ ანდარუყო აღარ დაბრუნდ, შასწუხდეს ჯალაფნი-დ წამავიდ იმის მამა ფარეშა მარტიაის შვილთან ამბის გასაგოდ. ფარეშა პირდაპირ ამასთან მავიდა-დ უთხრ: კაცო რა იქნავ ანდარუყოივ, რო ორი ამხანიგით წამავიდავ თქვენთანაო-დ აღარცად დაბრუნდავ. გიორგიმ უთხრ, რო აქ არვინ მასულავ, თუ მასულიყვესავ, აქავ ხალხიც ღნახევდაო-დ, ხო იცივ, უჩემოდავ არც წავიდოდესავ, არც ჭევსურეთაო-დ არც მშავსავ. ალბათ ჩემთან არ მავიდესავ, ღამით შაიარესავ ან მშავს იქნებიანავ წასულებიო-დ ან ჭევსურეთავ. ფარეშა ჭევსურეთაც წამავიდ, გიორგიც გამახყვ, მაგრემ რას გაიგებდეს ჭევსურეთ. ფარეშა ეშმაკ კაც იყვ. მეგობრებიც ბევრი ხყვანდ არხოტ. ბევრ იძივ, იწვალ, კაცებიც დააყენა-დ ბოლოს ამღიონთ მემოეების ნათქვამ გაიგ, რომ ამა და ამ ღამესავ თოფის ჭმა იყვავ მშავლების ბინაშიავ. ეს ამღიონთ მემოეებისაგან გამაითქვა-დ გაიგონეს ფარეშაის მეგობრებმ; ამეებმ ფარეშას უთხრეს. გამაითქვავ ისიც, რო თოფის ჭმა რო იყვავ, მეორეს დღესავ კალოთანელებმავ იმ ბინაშიითავ საკლავებ მაასხესაო-დ ამაზე ფარეშამ ეჭვ აიღ, ეგენ ხო არ უღალატებდესავ, ნაქურდალიც რო დახუთავ ანდარუყომავ. ეს ამბავ ჯლუგამაც გაიგ, რო ეჭვ აიღესაო-დ. ერთ ღამეს იმათაც დაადვეს ჯოხ თავის ცხვარსა-დ, წავიდეს მშავის მოებში. ახლა ეს გაიგეს ღილღვლებმ, რო მემცხვარეებიც გაიპარაო-დ უფრო დაეჭვიანდეს, ტყუილად არ წავიდოდავ ისეებივ, თუ გულში მიზეზ არაი ხქონდავ. კალოთანა სამტროდ საშიშ ალაგში იყვა-დ მით

ეძნელებოდ ოქმა, იცოდეს რო მასვენებას აღარ მისცემდეს ნეოხელნი-დ იმათ მაკეთეი. ამ მასაზრებით ანდურაყოს მამკლავებმ ჯერ თავის მეზობლებს გაანდვეს: ისენივ ჩვენ დავჭოცენითავ, ამ ამბავს აღარა დაეფარებისაო-დ ჩვენ აქ აღარვინ დაგვაყენებსავ. ე ბინა გააცალეთავ ღამითავ, მემრავ ავიყარნათაო-დ კახეთს წავიდათავ. ესეები ჯერ არ გამატყდეს, მანამ ბინა სხვას სოფლებში არ გაიტანეს ახიელა-დ ჭიმღას, მემრ უთხრეს ფარეშას: ჩვენ კი არ ვიყვენითაო-დ მეორეს დილას საკლავების საყიდლად მისულებმავ ერთ ღილღველი ვნახეთავ მკვდარივ. მშავლების ბინაზედავ. ანდურაყო კი არ იყვავ იქავ. ვკითხეთავ მემცხვარეებსავ, რო ეს რა ამბავი ასავ, იმათ თქვესავ, რო ბინაზე დაგვეცნესავ გუშინწუხრავ. სამ კაც მავკალითაო-დ აიქავ ქვიშაში უნდა ჩავდმარხათავ, რო არვინ გაგვიგასავ. ორ კაც ატანილი გოქვაო-დ ესიც იქ უნდა ავიტანათავ. ნუ ვისთან იტყვითავ ამ ამბავსავ, ადგესაო-დ თითო ცხვარ მაგვცესაო-დ არც ჩვენ ვამბობდითავ იმითავ. მემრ უთხრეს, რო აიმა-დ აიმ ალაგშიავ ქვიშაში იქნებიანავ. ამათ ესრ გადაფერეს, მაგრემ ვინ დაიჯერებდ ესეოს საუბარს. ფარეშამაც გაიგა-დ სხვამ ხალხმაც, რო ისენ იყვნეს. არაფერ არ უთხრ ფარეშამ იმით, რო გამოხილდებიანავ რო ის შამატყონავ, რო მე მაგათ ეს გაუგივ. მავიდ ბევრ ღილღვლები, ამათხარეს მკვდრები-დ საკაცეებით ღილღოს წაიღეს.

მანამ ღილღველნი იმეებს დაღმარხევდესა-დ შურის საძებრად წამასავლად მაიცლიდეს, კალოთანელნ ადგესა-დ გადაიხიზნნეს პირიქით ჭევსურეთისკე. იქით კახეთ წავიდეს, კახეთ იშოეს გასაველებ ტყე ასხაბარი-დ იქ დასახლდეს, ქისტაურის მარჯვეს.

ღილღვლებმ რო მკვდრებ დაღმარხეს, წამავიდეს შურის საძებრადა-დ ნახეს კალოთანა სრუ დაცლილ – აქ აღარც კაცი ასა-დ აღარც საქონი. ამის მემრ გძელდების ღილღველ-არხოტიონთ მესისხლეობა. ამ ამბავზე კალოთანლებს ბევრ ლექსებ უთხრესა.

1.

წამავლენ ნასირივლები, შამაიარნეს გზანიო,
მაუვლენ ანდარუყოსა, დიჩინ, გვიჭირევ მჭარიო.
ემზადა ანდარუყოი, იწროდ გაბანდა ჯღანიო,
უბეს ჩაიდვა სუდარი, ჯალაფთ დასწერა ჯვარიო.
ან მიაც იქ უნდა მავკვდა, ან უნდ მავლალა ცხვარიო.
კალოთანაში მავიდეს თვალ-შუაღამის ხანიო.
წამაეგებნეს ხირსილნი, მარტიაის შვილნ ძმანიო.
ღილღურად ხკითხეს ამბავი, დაიწყეს საუბარიო.
ეტყოდა ანდარუყოი, მშავლებს სად უდგას ცხვარიო,

ვიდინათ ანდარუყოო, აღარ ას ბევრნი გზანიო.
მშავლის ბინაზე მავიდეს, ელვენ სიწმიდის ცანიო.
გიორგიმ ანდარუყოსა არ მისცა ომის ხანიო,
მა კვირიკაის ხანჯარმა, აისხა სისხლის ცვარიო.
ჴორჴშიით ღვედრა გამადის, ქიბიშაური ვარიო.
ვინ იყვავ, ვის გაგჴმ ენაი, ჴორჴში დგას ცოდო-ბრალიო.
სალექსოდ გამამიგზავნენ ტერდულის ჯიჴვის რქანიო,
გავაწყვნა ბედლის ყორესა, შორით ემბოდან თვალნიო,
მე თქვენსა ქებას არ მავშლი, სადაც დასხდების ჯარიო.

2.

ცდა უნდა აეგეთაი, მანდ რო კრაველან ცდიანა:*
ოჴშამთ წინ, ოჴშამთ უკენა, საბაკეს სისხლით სვრიანა.
გიორგიმ კრავლიანამა ჩაჩნური გააპრიალა;
კვირიკამ კალოთანელმა აღარა დააგვიანა.
ჭაბუკათამა გიორგიმრ̄ სრუ ცივ-ცივ წამაიარა.
რას სწყალობს მგელაის თოფსა, ნამტვრევნი გადადიანა.
მშავლის გაზდილმა ჯლუგამა, აინალ გააჴმიანა.
ორთ ერთუცს აფარებიებს, რაით დაკვრიტნა ტყვიამა?
რაი ხკრეს ანდარუყოსა, ლაშნი რო გვერდზე ღბიანა.
სატყავენ გააყრევივნეს, ტყავებზე წილსა ყრიანა,
გიორგი ეუბნებოდა, ერთს ტყავს ჩემობა ხქვიანა!
დედუნას დაუკერენით, ტყავთ საჴელნ არ გვიბიანა,
წყაროსთავისკე გასწიეს, ჴარნი უღელში ღბიანა.
წვერისძირ ამაიტანნეს, ქვიშაში ღმარხევდიანა.
ეეგ ლექს გამაგიგზავნათ ღულით ბაბილის ნიამა.

კალოთანელნი ისრ საჩქაროდ გადაიხიზნნეს, რო ღილღველთ ვედარა მაასწვრეს, შურის საძიებლად ერთხანაც ვედარ მაასწვრეს მასვლა იმათ აქ ყოფას. ესენ რო წავიდეს, დარჩ ამათ სოფელი ნასოფლარადა-დ მთა-ბარიც უკაცოდ. მაშინ ფარეშამ მაულალ კაცი არხოტიონთ, რო კალოთანის ადგილ-მამულშიავ კაცმ არ გაიარასავ, სამ კაც გვაკლავაო-დ მაგის გულისად აიყარავ ეგ სოფელივ, ეგ ადგილივ კაცის თავებში ჩვენ გვეკუთვნისავ (მთიელებში მაინც ის წეს იყვ მაშინ, რო კაცის მამკლავ რო აიყრებოდ, იმის ადგილ-მამული მაკლულის მეპატრონეს შჩებოდ). ჩვენავ იმათავ

* კრაველანი – ამ ძმებს იმიტომ ეწოდებოდა, რომ ძალიან ხუჭუჭი თმა ჰქონდა ორივეს, ბატკნის მატყლივით, ბატკნის მატყლს კრაველი ქვიან.

კახეთ ვედარცაით მივხყვებითავ, აი ადგილს დავიჭერთაო-დ ვინაც ამ ადგილს შაგვეცილებისავ, მამკლავიც ისიავ ჩვენივ. იმაზე ვიძევთავ შურსავ – ეს გაუგო ნუ გექნებისთავ, ამას წინსწრობით იმით გიცხადებთავ, რო მემრ აღარვინ სოქვათავ, წინავ რადარ გვითხარითავ, თუ ადგილს ჭელს ზდებდითავ.

კალოთანას ახლოს მესამძღვრედ ესახლ სოფელ ამღა. ამღიონთა-დ კალოთა-ნელთ მთა-ბარი ეროუცზე ხქონდ, უფრო სამთო საზაფხულო ადგილებ იყვ ეროუცზე გადაბმულები. ამღივნებმ უთხრეს: მაგათ ადგილ-მამულივ ჩვენს ადგილ-მამულზედ ასავ სრუავ. ჩვენ აქ არ შამაგიშობთავ, სამ კაცის თავ კი არაო-დ თუნდა სამოც კაცის თავ ემართასავ თქვენივ კალოთანელთავ. ჩვენავ ზოგ ფას მიცემული გვაქვავ კალოთანელთადავ, ზოგიც უნდა მივსცეთავ ადგილ-მამულშიავ. მართლადაც ამღივნებს ზოგს ვის მთა-ბარი ხქონდ ნაყიდი კალოთანლებისგანა-დ ზოგს ვისაი. ცალ-ცალკე კომლებს ცალ-ცალკე კომლებისგან. ფარეშა ხან კაცს უგზავნიდა, ხან თვითონ მიდიოდა და ურჩევდა: ჩემი შვილის ანდარუყოს და სხვების სისხლი აქ ასავ დაღვრილივ. აქავ ტბაი დგასავ სისხლისავ. მოდი, თავ დაანებეთავ ამასავ, ნუღარ დავღვრითავ სისხლსავ, მე კალოთანელთ ვერცაით მივხყვებივ. ამ მამულის დაჭერით თუ მაინც არ მამშორდავ სირცხვილივ, მე კარში გასავალი მაქვავ დალეულივ. მე აქ საცხოვრებლად ხო არ მაოლავ, ან ის ფასივ მე მომეცითავ, რასაც კალოთანელთ აძლევთავ, ან იჯარა მამეცითავ, მაინც ხო თქვენ ჭელსაყრელ იქნებისაო-დ, ჟჯობავ, რო ამ ადგილის გულისად სისხლს ნუღარ დავღვრითავ. ეს ამბავი ამღივნებმ კალოთანელებსაც უთხრეს, ღილღველნივ ან მამულს თხოულობენაო-დ ან იმის ნაფასურსავ, თუ არა, მუქარას გვთხოვენავ. ამაზე კალოთანლებმ უთხრეს: იმათავ ჩვენავ მამულს არ ვაძლევთავ, წამავიდანაო-დ მაგვკლანავ, ჩვენაც აისითა სისხლ გვიდგასავ, რაჭელიც სისხლ მაგათ ედგავ, თუ არა, ისიც საკმაოი ასავ, რო ადგილშიით ავეყარენითაო-დ ქონებაიც სრუ გაგვიქარწყლდავ. თქვენ რო ღილღვლებს რა მისცათავ, ტყუილად ჩაგივლისთავ, მანამ ფასს არ მაგვცემთავ, მამულში არ გაგავლევთავ.

ამაზე დიდხანს იყვ საუბარი-დ ბძოლა. ბოლოს ამღივნები კალოთანელთ სრუ გაუსწორდეს მამულების ფასში, ზოგმ მეკომურმ მეტ იყიდა-დ, ზოგმ ნაკლები, ვისაც რამთვენი შეეძლიყვ. ერთ ამღიონ კაცი, სახელად ბეწინა, ყველაზე კა მცხოვრები იყვ ამ სოფელში. სახელიანი-დ მაგარ კაცი ძალიან იყვ, რო ის არც ღილღველს ეპოებოდა-დ არც ჭევსურს. ამან არც შიშ იცოდა-დ შასაძლებლობაიც ხქონდა-დ მით უფრო ბევრ იყიდ კალოთანლების მამული-დ დაიწყ ჭვნა-თესვა იქ. ბოლოს ბეწინას შუღლ მაუვიდ ფარეშასთან, ნუ დახოლავ უთხრ ბეწინამ, ნუ რას ითხოვავ ჩვენგანავ, აგერაი შენაო-დ აგერაი კალოთანელნივ, მე მამულში ფას მივეციო-დ ჩემთან არა გესაქმისავ. გამწარდ ბოლოს ფარეშაი-დ დამუქარებულ წავიდ.

ფარეშას რო ანდარუყო მაუკლეს, მეორე შვილ დაშჩ კიდევ ოსი. ოსი მაშინ ცოტა იყვა-დ მალე წამაიზარდ. გაიგ ოსიმ რო ტანიესავ მემცხვარეებ გადმავიდესაო-დ ცხვარ-ბინა დადგავ. ანდარუყოს მაკვლაში რო ჯლუგა იყვ მემცხვარეი, ამის ჯავრი შჭირდ ოსისა-დ გადასწყვიტ ჯერავ მემცხვარეს მავკლავავ, იმის ჯავრ ამავიყარაო-დ მემრავ კალოთანელთ მაგივრადავ იმათ მამულ ვინაც დაიჭირავ, ამდიონს ვის მავხკლავავ. ჯლუგა ფშაველ მემცხვარე იყვა-დ ტანიეს გუდამაყრელ მემცხვარეებ გადმასულიყვნეს, მაგრემ ოსი ამას სრუ არ ფიქრობდ, ვინ იყვა-დ სადაურ იყვ. ხოლოთ მემცხვარე კაც კი მაეკლა-დ სადაურიც უნდა ყოფილიყვ. ამ გუდამაყრელ მემცხვარეებს ანდარუყოს მაკვლა არც კი ხქონდ გაგონილი. წამავიდ ოსი, ერთ ამხანიგ სხო გამაიყოლ, მაეპარნეს ცხვრის ფარასთან ერთს გუდამაყრელს წყემსსა-დ მაკლეს თოფით. ვითამ მემცხვარეზე იძიეს ანდარუყოს შური. წყემს რო მაკლეს, მანამ სხო წყემსები მავიდოდეს, ცხვრის ფარა უპატრონოდ დარჩ, მაგრემ ღილღვლებმ ჭელ არ ახლეს, სირცხვილ იყვ შურის საძებრად წასულის კაცის ქურდობაი. დაბრუნდ ოსიი-დ შინ მისულს ღილღვლები სახელს ულოცევდეს წყემსის მაკვლაზე.

ეს შური რო იძივ, ახლა დაიწყ არხოტ სიარული სამზირლადა-დ კალოთანლების მაგივრად ამღივნებზე სისხლის ასაღებად. აქ კი უფრო იმის მაკვლა უნდოდ, ვისაიც ჯავრი შჭირდ. უფრო იძევდ ახვათ ბეწინას, რაკი ფარეშასთანაც ნაშუღლარ იყვა-დ კალოთანელთ მამულიც იმას ეჭირ მეტი. ბევრჯელ იყვ ოსი სამზირლად, ბევრჯელ შახვდ არხოტიონ კაც მარჯვედ მასაკლავში, მაგრემ ჯერ არ უნდოდ უბრალო კაცის მაკვლა, მარტო ბეწინას ემტერებოდ. იცოდ, რო ბეწინას თუ ვერ მახკლევდა-დ იმისიანს სხვას ვის მახკლევდ, ისი ნეოხელთ ასაყრელად გაუჭდიდ საქმესა-დ იმით ეშურებოდ ჯერ ამის მაშორებას. რო წამავიდოდ, ისითს ალაგში ჩაუსხის მზირ, რო ბეწინას თვალ არცაით შეეგდ, თორე ძალიან ეშინოდ იმისგან; ის თუ ჩასაფრებას მაასწროობდ, აზარალებდ მზირთ.

არხოტივნებს, სოფელ ამღივნებსა-დ ახიელლებს ერთ სამთო ადგილი ხქონდ – ტანიე. ტანიეს ზაფხულის თიბდესა-დ ზამთრის საქონ მიუდიოდ გასაკვებავად. აქ სახლებიც ხქონდ საზამთროი. ტანიესაც წინავ ღილღვლები მდგარანა-დ მემრ არხოტივნებს ძალით დაუჭერავ ეს ადგილი-დ ამაზედაც ჯავრ მაზდიოდ ღილღვლებს. ოსიმ იცოდ, რომ ზაფხულის პირთ არხოტივნები ჭშირად დადიოდეს ტანიეს, ზოგი სახლებს მიწას აყრიდა-დ ტკეპნიდ, რო ზაფხულის წყალ არ ჩასულიყვა-დ ხე-ჭერ არ დამპალიყვ. ზოგს საქონი-დ ცხვარ მიუდ-მაუდიოდ, ზოგ კიდევ ჭალას დავიდოდ თავის სასაქმოზე. სწორად ამ დროს გაზაფხულ წამავიდ ოსი სამზირლადა-დ ორნ სხვან გამაიყოლნ. ორს დღეს იცადესა-დ ბეწინა არ შახვდ, ისენი ტანიის კარ ისხდეს ტყეშია-დ იქით კარგად შორს ჩინდ არხოტით მასავალ გზა. ჩაიარეს სხო არხოტივნებმ, მაგრემ ოსიმ არ ათოფვივ ისეებ. ერთის კვირაის საგძალი ხქონდ წამაღებული-დ ის ამხანიგებს ეუბნებოდ: ამ

საგძლის გათავებამდინ ქვე მაუცადათავ ბეწინასაო-დ, თუ მაინც არ მავიდავ, ბოლოს სხვა კაც მავკლათაო-დ მემრ წავიდათავ შინავ.

მესამე დღე გაუთენდ ღილვლებსა-დ მზემაის ხანთ მავიდ ახვათ ბეწინაიც, ერთ ამხანიგ სხო ეტან – ძიათ აბაიზძე. მზირი მაღლად ისხდ გზის თვალით საჭერლად. აქით შორ იყვა-დ არა დაეკლებოდ გზაზე მამავალს კაცს. ადგესა-დ ჩამოირბოლეს მაღლით. ტანიისკარ ტანიის წყლისგან გამახრამულ ბექ იყვა-დ იმას მაუსხდეს, არხოტის წყალზეით ბეწინაი-დ იმის ამხანიგ მადიოდეს. არხოტის წყალზე მიმავალ კაცი ტანიისკარ ჴიდსთან ცოტას მინდორზე გავა-დ ღილღველთ სწორად ამ გზისკე დაიკეთეს საყუჩეები-დ ჩასაფრდეს.

მავიდეს ბეწინაი-დ აბაიზძეიც ამ მინდორზე. ღილღვლები ბეწინას კარგად იცნობდესა-დ სამთავ იმას დაღლიშნეს თოფები. აბაიზძეს ყურ არ უგდეს, ბეწინას თოფიც ჰქონდა-დ აბაიზძე უიარაღო იყვ.

თოფებ რო გაიყარა-დ ბეწინას სამივე გასცდ, ერთ მირგვლივ კლდე იდვ გზის პირშია-დ ბეწინა იმ კლდისკე გაიქც ჩასასაფრებლად; რო გაიგ, ტყვიამავ ახლოს გამამიარავ, მე მოოფვენავ, მივიდა კი კლდესთანა-დ მეორედ გამაიყარ თოფები-დ ბეწინას გულზე მახვდ ერთ ტყვიაი-დ იმაშიავ მაკვდ.

ძიათ აბაიზძე არხოტის წყლის პირისკე გადახტა-დ მაეფარ; აღარ ჩინდ ის ალაგი, სადაც ღილღვლები ისხდეს. ბეწინაიც რო აქ გადამხტარიყვ, გადაშჩებოდ, მაგრემ ისი ისით უშიშარ კაც იყვ, რო პირდაპირ იქისკე გაიქც, საითაც თოფ გამადიოდ, ამ კლდესთან ჩაუსაფრდაო-დ მემრ კი ვერცაღ ერთ წაუვიდოდ ცოცხალ, თუ ამას საყუჩში მიესწვრ. ღილღველთ რო გაიგეს, მაკვდავ, დაიქცნესა-დ წავიდეს ჭალა-ჭალა რბოლით. ძიათ აბაიზძე კი წავიდა-დ არხოტ გატეხ ჴმაი, დაიქც მდევარ, მაგრემ რასაღ გამაშჩებოდეს, ისენ მალედავ დაიქცნესა-დ გადავიდეს სამშვიდობოს. ეს ბეწინა იმ გიორგათ ჩამამავლობის კაც იყვ, ჩვენ რო თამარიზძე, მინდიაი-დ სულხანაურთ უშიშა დავსწერენით აქ. ეხლადაც იმათ ჩამამავლობა აისეთივ ამაყი-დ მტრისად მიმყოლ ხალხ იყვ, როგორც ისეებ იყვნეს. მემრ ბეწინა ამათ გვარში ყველაზე კაი კაც იყვა-დ მთელს გვარს ძალიან უყვარდ. ბეწინა დაასაფლავეს კია-დ მეორესავ დღეს წავიდეს შურის საძებრად.

იმის სახლისკაცებ წავიდეს: ბადიათ იონაი-დ ხომიზურა – ძმანი, სულხანაურთ უშიშა, ორ გარეთულ სახლისკაც გახყვ – გაჯალათ გაგაი-დ ნისლაურთ ჴიჩლაი. ხომიზურას ცამეტის წლის შვილი ხყვანდ, ბაბუა; ამანაც მაინდომ სამზირლად წასვლაი-დ, ყმაწვილი ხარავ, არ გაიყოლეს. რო მაინც არ იშლიდ, იმეების წასვლის დროს ბაბუა შინ დაამწყვდიესა-დ გარეთიით გადმაუკედეს კარი. ისეებ რო წავიდეს, საკვმისას გამაძვრა-დ წავიდ იმათ კვალზედა-დ არხოტის ჭალას დაეწივ. გაიყოლეს ისიც.

ნეოხას სოფელში არცაით ას მისავალი, ისით ჩდილი აქვ, რო იქით წამასვლა ძნელი ას. ამის გულისად, რო წამასვლაში აღარ დაზიანდან, მზირები ჩავიდესა-დ ნეოხის კარ ჭიდის თავში ფიჭვიანში ჩასხდეს. აქ ოვალით უჩინდ ნეოხისკე მიმავალ გზაიც; შუდილდოთა-დ ნეოხით მამავალს კაცსავ ნეოხის ჭალაზედავ ღნახევდ. ნეოხელთ იცოდეს, რო ეს ვალი დიდხანს არ შაშჩებოდა-დ მოხილობდეს. უიარაღოდ შინით კარშიაც არვინ გამავიდოდ. წასვლა-მასვლაიც ძნელ იყვ ამ იწროს ჭალეებზედ, მაგრემ, როსაც აუცილებელ საქმე რა ექნებოდ, რასაღ იქმოდეს, წამასვლა უნდოდ. წამასასვლელი მარტო ერთ გზაი ხქონდ, რომენიც ჯერ იწრო ნეოხის ჭალას გამაივლიდ, მემრ ნეოხისკარ ჭიდს გამაჭდებოდა-დ დაბრუნდებოდ შუღილღოსკე, აქაც სრუ იწროდ ტყიანებ ჭალეებ იყვ. გიორგაო მზირი ღამით მივიდა-დ ჩასხდეს ფიჭვნარში, დაიკეოეს საყუჩებიც. გათენდა თუ არა-დ ორნ ღილღველნ მავიდეს ნეოხით, ღილღოსკე მიმდინარნი. მზირებმ ერთუცს უთხრეს, რო ჭიდს რო მიუახლოვდებისავ მაშინ ვესრიოთავ. თოფებ ყველამ გადაუსხა-დ დაღლიშნეს; ხომიზურას უთხრეს, შენ გვითხრიდივ, რო ყველამ ერთად დავსხლიტათავ თოფებივ. თოფების დასხლეტის დრო რო მავიდ, ხომიზურამ თქო: „აჰა“ ეს ნიშანი იყვა-დ ამის გაგონებაზე ღილღვლებისად დალიშნებულებ თოფებ ყველამ დასხლიტ. თოფებ რო გაიყარ, ერთ ღილღველი სირაღათ არსამბექი იმაშიავ ჩაიქცა-დ მეორე ღილღველი დაჭრილი ჭიდის ძირში გადაბრუნდ ტოტითა-დ ჩაიმალ. წაქცეულს ღილღველს კიდევ ესრიეს. ადგესა-დ წამავიდეს პირაღმ.

ეს თოფის ჭმა ნეოხას სოფელ გაიგონესა-დ გატყდ ჭმაი. საჩქაროდ შაიარაღდესა-დ დაიქც ახალგაზდობა სამდევროდ. ყველაზე წინ გამაიქც ფარეშაიშვილ ოსი. ოსი გამაქცეულ მავიდა-დ ჭიდზე უნდა გამასულიყვ. არიქათავ, თქვეს მზირებმ, ჭიდზე ნუ ვის გამაუშობთავ, თორე გზას შაგვიკვრენაო-დ დაგვაზარალებენავ. მანამდინ ოსი ჭიდზე შამაჭდებოდა, ესრიეს აქითაც. არ მახვდა კია-დ ტყვიამ რო ახლოს გაუარ, გაფრინდა-დ ბექს მაეფარ. მახყვ სხო მდევარიცა-დ ჩასაფრდესა-დ დაიწყეს თოფს სრევა. იმათ შორ ეგონ მზირებსთანამდენ, მაღლა დაიწყეს სრევაი-დ ტყვიამ თავში დაიწყ გადენა. მზირებმ ერთუცს უთხრეს, რო იმათავ შორი ღგონავავ, მაღლა გვაჭლიანავ, არ გაიგანავ რო ტყვია მაღლა გადადისავ, თორე დაგვაზარალებენავ. რახან თოფ გამავარდასავ, პირაღმ დავიქცნათავ, ვითამ ტყვია დაბლა მადისავ, მემრ უფრო მაღლა დაიწყებენავ სრევასაო-დ ვერას დაგვაკლებენავ. მართლადაც ესრ მაიქცნეს: თოფ რო გამავარდის, პირაღმ დაიქცნიანა-დ ტყვიამ უფრო მაღლა დაიწყ გადადენაი. თითო ოროლას ესენივ კიდევ აჭლიდეს, რო ჭიდისკე არ წამავიდანავ. ასეთი სიარულით შაჭდეს ჭშირს ფიჭვიანშია-დ ვეღარც ღილღვლებმ გაიგეს საისკე წავიდეს მზირნი-დ დაანებეს თოფის ჭლას თავი. მზირ რო არხოტ მავიდ, თემებშიითაც დაიწყ უფროს ხალხმ დენა, სახელის მასალოცავად, თავის სოფელში ხო ულოცევდეს; მაგრემ ხომიზურათ ბაბუას ამით გულ არ ხქონდ

ნაჯერები. ის ფიქრობდ, ბეწინასავ ოუ კიდე არვინ შავსწირევ, ვერ მავისვენებავ. თავის მჭრივ კიდე ღილღვლები იყვნეს დაჯავრებულები-დ ისენიც ცდილობდეს ახლა კიდე იმათაც მაეკლ არხოტიონ კაცი-დ ეძივ შური. ორივ მჭარე მზას იყვ, სადაც ვინ შახვდებოდ, ნადირივით მაეკლ, მაგრემ ერთუცის ამბავ რო იცოდეს, რო არც ერთნი მაისვენებდეს კაცის მაუკლავადა-დ არც მეორენი, იმით ღილღველებიც გამთხილებულებ იყვნესა-დ არხოტივნებიც. არც ერთ ხალხ დადიოდად სამტროს გზაზედა-დ არც მეორე. მთაიცა-დ ბარიც სრუ უქმად იყვ დამრჩალი, იმ მჭარეზე სადაც ღილღველ-არხოტიონთ ან მთაი ხქონდ ერთუცის ახლოს, ან ბარი-დ ან სადაც გზა იყვ ერთუცისკე მარჯვე მისავალი. ამ სიმთხილით ხუთი-ექვს წელმ გაიარ, რო ვერცად ღილღველო ვინ მაკლესა-დ ვერც არხოტიონთ.

ხომიზურათ ბაბუა წამაახალგაზდავდა-დ ნადირობადაც დაიწყ სიარული, მაგრემ ბეწინა რაკი ძალიან უყვარდ, სრუ ის იყვ იმის გულში, კიდევ მავკლავ საკუთრადავ ღილღველივ. ერთ სხვის გვარის კაცი ხყვანდ ბაბუას მეზობელი, ბაბუჭურთ თათარაი-დ ამასაც ღილღველთ ჯავრი შჭირდ. თათარაის შინშისად ამ კარგა ხნის წინ, ძაუგშიით მიმავლისად, გზა შაეკრ ღილღვლებსა-დ ცხენ წაერთვ. ერთხან ბაბუამა-დ თათარამ გადასწყვიტეს: წავიდათავ, ჯერ ღილღველ მავკლათავ, ამავიყარათავ ღილღველთ ჯავრივ, მემრ მავბრუნდათავ, ტერღას ვინადირათაო-დ ჯიჭვის ჭორციც მავიტანათავ. თათარაიც ბაბუასავით მაგარ ახალგაზდა იყვა-დ კაადაც აჩნიყვ ერთუცი. ჩაიდვეს საგძალი-დ წამავიდეს: ჯერ ღილღვლებზე სანადიროდა-დ მემრ ჯიჭვებზე. ჩაიარეს ჭალაი-დ ჩაუსხდეს ნეთხისკარ. დილას მზემაის ხანთ მავიდ ერთ ღილღველი ნეთხელი. დააშალეს თოფები-დ მაკლეს. მაბრუნდესა-დ ტყედატყე წამავიდეს ტერღისკე. ეს ღილღველიც იქავ ბეწინას შასწირეს. ნეთხას გაიგეს, მდევარ დაიქც, მაგრემ აფათვლულ ტყე იყვა-დ ვეღარ გაიგეს საისკე წავიდ მზირი. ბაბუაი-დ თათარა მივიდესა-დ შამაუდგეს ტერღის ჭალას ტერღად სანადიროდ წასავლად. ამ დროს ერთ ნეთხელ ღილღველ ყოფილ ტერღას სანადიროდ, სახელად ჩარგეზა; მაუკლავ ჯიჭვი, დაუწყვავ მძიმე ბარგი ჯიჭვის ტყავ-ჭორცისაი-დ კლდეთას რო ვეღარ უზიდავ, პირდაპირ ტერღის ჭალას გამაზდგომივ ბარგიანი. თუმც საშიშ კი იყვ ეს გზა, მაგრემ აგებ არვინ შამხვდესავ, ალბათ იფიქრ.

ჩარგეზა ძალიან მძიმე ბარგით მავიდოდა-დ გზაზე აღარ ხქონდ გული. თათარაი-დ ბაბუა ცალეებ მიდიოდესა-დ მთხილად ათვალიერებდეს თავის გასავალ გზას. ტერღის იწრო ჭალაში მალედ მახკრეს ჩერგეზას თვალი-დ ჩაუსაფრდეს. სრუ ახლოს რო მავიდ, ესრიეს თოფები-დ ჩარგეზაიც აქ მაკლეს. არც იარაღს ახლეს ჭელი-დ იმის ბარგს ხო რას ჭელს ახლებდეს, თაოდ წამოვიდეს კიდევ, ჯიხვებზე ინადირეს ტერღასა-დ თავის მაკლულის ჯიხვის ჭორცის ბარგებ მაიტანეს შინ.

როსაც არხოტის ჯვარში საყარყმოდ ვერძ დაკლეს, მაშინ მიხვდ ხალხი, რო ამათავ სახელ რაიმ უქნავავ. დაიწყ ხალხმ სახელის მასალოცად მასვლა. ზოგ კი იმასაც ამბობდ: ეგ ამბავი სასიხარულო არ ასავ, რამოვენიც ტყვია ღილღველს მახვდავ, თუ მეტ არავ, იმოვენ მაინც მაგვხდებისავ ჩვენავაც. აბა რაზედაო-დ რომენზედავ, რა სასარგებლო ან ჩვენდასაო-დ ან იმათადავ. უფრო ბევრ ხალხს კი უხაროდა-დ ამბობდეს: ახიავ ღილღველის მაკვლაივ. რამოვენიც ღილღველ მაკვდებისავ, იმოვენ ჭირ მაშორდებისავ ქვეყანასავ. სრუერთიავ, თუნდა მავკლათაო-დ თუნდა არავ, ეგენივ ჩვენ მაინც არ დაგვინდობენავ, სადაც ვის გაგვეწევიანავ, მაგვკვლენაო-დ აზირ ჩვენაც მავკლათ მაინცავ. სახელის მქნელებს პატივსაც აძლევდეს ჯარზედა-დ ლექსებსაც უმღერდეს საქებს.

თათარაი და ბაბუა იყვნეს ქისტების მტერნია.
ნეთხაში სადამ ჩავიდეს, აღარ გაწირეს მტვერია.
ცის ქუხილივით ამადის, ერთუცს უხმობენ კლდენია.
სულეთ შავიდა ჩარგეზი, არ შაიყოლა ფერია.
რა შუაზე შჭრის საწყალსა, გაგლეჯილი აქვ წელია.
მარჭედ აღონებს ნაჭრევი, თვალებით ცრემლის მღვრელია.
ძალიან იზიდებოდა ვერცაით გამამსვლელია.
ვეღარაი ქნეს ნეთხელთა, დადგა მეორე წელია.
ისრ კი ნუღარვინ მახკვდებით, ვერ გამაიღათ ჭელია.

ამ ამბავზე ღილღვლები ძალიან გამწარდესა-დ დაიწყეს შურის საძებრად სიარული. მაგრემ არხოტივნებ ისრ ძალიან გამთხილებულებ იყვნეს, რო თავის სოფლებს ბევრად აღარ სცილდებოდეს. ღილღვლების მასავალის გზისკე დაწირეს ადგილებიც, ზოგი საზაფხულოი-დ ზოგ საზამთროი, ისით ადგილებ, რო თითო ადგილი თითო სოფელს ყველაად შაინახევდ. მაგ.: ტერღა, ბისნა, თათხელი, ამჟორიტეი-დ ბევრად ტანიესაც აღარ დადიოდეს, საითაც სულთ იდგემდეს არხოტიონნი. ტანიეს თუ წავიდოდეს, ჯერ ყარაულთ წაღლალევდეს, გზებს შახკრევდეს, საითაც ღილღვლების მასავალ იყვ, მემრ მუშა ხალხ წავიდოდ სათიბლადა-დ ყარაულებსაც ხალხ უთიბდ. აისრავ თივის კრეფაში იქცეოდესა-დ ზამთრის, როსაც საქონს ჩაღლალევდეს, მთებზე ქვე არ იყვ გზაი-დ ჭალაზე აყენებდეს ყარაულს. თემ-სოფელ უსწორდებოდ საყარაულო ფასს. ტანიის გარდა სხვებს ადგილებში ჯიჭვების მეტ აღარ დადიოდ. აისრივ ღილღვლებმ დაანებეს თავის ადგილებს თავი, უფრო ჩორეხს. ეს ადგილი ზაფხულობით სრუ მთის ღილღოს ჭარ-ცხენს ინახებდა-დ ეეხლა სრუ თავ დაღნებდა-დ ჯიჭვებმ დაისადგურეს აქაც.

ამ სიმთხილით კარგა ხანმ გაიარა-დ ვეღარცვინ მაკლ ეროუცი, ოუმც ორივ მჭარე ჭშირად კი დადიოდ ერთსხვაზე სანადიროდ.

კალოთანელთ შააბეს ეს საქმე წინ-წინ ანდარუყოს მაკვლითა-დ ეხლა ამ ანდარუყოს შვილნიც დაზარდნეს ორნი – ნალი-დ ალბერდი. ანდარუყო რო მაკლეს, მაშინ ძალიან ცოცოტეებ დარჩესა-დ ეხლა წამაოშკაცდეს. მართალია, ოსიმ ბეწინაიც მაკლ, ტანიეს წყემსიც მაკლ, ანდარუყო უძებარ აღარ იყვ, მაგრემ უნცროს შვილ ალბერდი ავ კაც გამავიდა-დ ამბობდ, რო მამაშჩემ რო მაკლესავ, ჩვენ ობლებ დავრჩითაო-დ ობლობაშია ბევრ ტანჯვა გავიარეთავ. ბიძაშჩემ ოსიმ რო კაცებ დაჭოცავ, იმითავ თავის გულ მაიოხავ. ეხლა მე გავიზარდევ, ჩემი ჭელით უნდა დავდვარავ არხოტიონთ სისხლივ, რო გულ მავიჯერავ.

ალბერდიც უფრო იმ ხალხს იძევდ, ვისაც კალოთანელთ ადგილ ეჭირ. მამისჩემის სისხლივ იმ ადგილში დაიღვარაო-დ ეხლა სხვებ ხყრიანავ ჭელსავ იმ ადგილსავ. ორჯელ-სამჯერ გზაიც შაუკრ ალბერდმ ძაუგში მიმავალს მგზავრს. უნდოდ, რო ამღიონ ვინ ყოფილიყვა-დ მაეკლ. მაგრემ ამღიონი ამ გზაზე არავინ დავიდოდ, ქვეც დაცვარც ხალხი გზაში ჩასაფრებულმ ალბერდმ. არხოტიონს კაცს აღარ უშობდ. ბოლოს ბეგარ მაითხოვ, მაგრემ არ მისცეს.

გაჯავრებულმ ალბერდმ შაყარ სამი-ოთხის კაცისგან შამდგარ მზირი-დ წამავიდ ერთის კვირაის საგძლით, ამთვენ ხანსავ შამხვდებისავ ერთ მაინც ვინაო-დ მავხკლავავ. წამავიდესა-დ არხოტიონთ ადგილებში, ამჟორიტეს შაკრეს გზა. აქ აივლ-ჩაივლისავ ვინავ მენადირე მაინცაო-დ მავხკლავთავ; თუ ორ-სამს არავ, ერთს მაინც ხო მავხკლავთავ. იმ აზრით კი იყვ ალბერდ წამასულ, რო ერთ მგზავრში თუნდა ხუთ-ექვს კაც შახვედრიყვ, სრუ დაჭოცას აპირობდ. მამაშჩემს ანდარუყოსაო-დ იმის ამხანიგებსაც ეგრ უყვესავ, რო ყველან დაჭოცნესავ, ეხლად მიაც აისრ უზამავ არხოტივნებსავ. მაგრემ აქ მარტო ერთ კაც შახვდ ამღიონი, მზევინარათ მინდია. მინდია მარტო წამასულიყვ სანადიროდ, ის ღილღოს ცხოვრობდ წინავ, ბევრ ხალხ იცნობდა-დ ფიქრობდ, მე არ მამკვლენავ. იმით დავიდოდ ის მარტო ამ გზაზე ბრიყვად. მაგრემ ალბერდი ნაცნობობამ არ დაიჭირა-დ გზაზე მიმავალს მინდიას დააშალეს თოფები-დ მაკლეს. მამაშჩემივ ქვიშაში დაღმარხესაო-დ გვაძევიესავ, თქო ალბერდმ. ეს კაცივ უნდა ვაძევივავ არხოტიონთავ. დააკრ ზურგზე დიდ ქვაი, მიიტანესა-დ სადაც დიდ გუბე იყვ, წყალში ჩააგდეს. მიიტანესა-დ კიდევ დიდიდებ სიპებ მიასხეს ზედა-დ წავიდეს. ახლა ალბერდს მიულოცეს სახელი ღილღვლებმ. მინდია რო ნადირობით აღარ დაბრუნდ, დაიწყეს ჯერ თავის სახლისკაცებმ ძევაი, მემრ, რო მაინც არ მაიჭელ, თემშია-დ სოფელში რაიც ახალგაზდობა იყვ, ყველამ ძევა დაიწყ, არცად გაუშვეს დაუძევი, რაიც სანადიროებ კლდეები, ან სადგომებ ეხები სრუ დაიარესა-დ ვერ მაჭელეს. მემრ ღილღოსაც დაიწყ მშვიდობიანმ ხალხ დენაი-დ ძევა, ვისაც მტერ არ ხყვანდ იქ, ღილღველთად ვისაც დალეულ არა-ი

ხქონდ. დაიწყეს იქ კითხვა: აქ ხო არცად მასულავ, ან ხო არვინ იცითავ, მაგრემ ღილღველთ რო ქვეც სცოდნიყვ, არ ეტყოდეს. ისით ატკაზ იცოდეს. ბუდის ჭევსურეთაც იძიეს, შატილისკესაც, მაგრემ დაიკარგ კაცი. მკითხავებმაც ბევრ რაიმ იმკითხავეს, მაგრემ არცარა ამეების მკითხაობით გამავიდ. მკითხავებ უფრო იმას აბრალებდეს, რო მაგანავ თავის რჯულს უღალატავ, ღილღველთ რჯულზე დადგავ, იქ იცხოვრაო-დ იმით მაუვიდავ ეგივ. ეგივ ისრ დაიკარგებისავ, რო აღარც სრუ მაიჭელებისავ, ზოგ მკითხავ იმას ამბობდ, რო ღილღოს ასავ ცოცხალივ. ვისაც რა მაღგონდებოდ, ყველა იმას ამბობდ.

მინდია მაკლეს სთვლის დროს ენკენიის თვეში, თუ მარიანობის თვეში. დაზამორებამდინ მოელ თემ-სოფელ იძევდა-დ, რო მაინც არ მაიჭელ, დაანებეს თავი. ზამთარმ გაიარ, გაზაფხულ მავიდად - ამჟორიტეს წყლის პირში ერთ ჭელ მაიჭელ (იპოვნეს) მელ-კვერნაისაგან გამახრული. მესამე-მეოთხეს დღეს კიდევ გაღმ წყლის პირში ფეკ მაჭელეს. ამით მიხვდეს, რო აქ სადამ ასავ მაკლულივ; დაიწყეს წყალში ძევაი-დ ზურგზე ქვა დაკრული მინდიაის გვამ მაჭელეს. ჭელ-ფეკი ველის ნადირს დაეგლიჯა-დ უჭელფეკო მაჭელეს, თავ კი ზედავ ებ. მკერდსავ დიდიდებ სიპები ხქონიყვავ დასხმულიო-დ იმით ვერა დაეკლავ ველის ნადირსავ. თავსავ ქვა ზდებიყვავ. მემრ დაძიესა-დ მაკრიფეს, თუ სად კიდევ რა იყვ ველის ნადირისგან გაწირულ იოგები. წამაიღესა-დ დაღმარხეს.

კვირაეს დაღამებადა, ვაპირებ ლექსის თქმასაო.
ამბობენ ამჟორიტესა დამდგარსა ცოდო-ბრალსაო.
რაად ხკლავთ მენადირესა, ღილღვლებო, მინდიასაო?
ღალატით რად ხკლავთ რჯულძაღლნო, იწროს რად უკრავთ გზასაო?
თუ მახკლავთ, არ დაიჯერებთ, წყალს ნუ გაატანთ მკვდარსაო!
ავნია არხოტიონნი, არ შაგარჩენენთ ვალსაო.
აქებენ ჭირჩლაის შვილსა, გრანჯას აქებენ კასაო.
საიმედო ხყავ წვრილაი, გასწავლისთ თოფის ჭლასაო.
შურის საძებრად წამავლენ, მაგრად ჩაიცმენ ჯღანსაო.
თოფ გადის ნეთხის ჩდილშია, ქარაფნ აძლევენ ბანსაო.

მინდია რო დაღმარხეს, გაიგეს ღილღოსაც, რო მაიჭელაო-დ ალბერდმ დაუბარ: მაგ კაცის მაკვლაივ სხვას არვის დააბრალათავ, ეგივ მე მავკალივ. მამაშჩემივ რო გვაძევიეთავ, მიაც იმით გაძევიეთავ ეგ კაცივ, ეგ გასწორდავ ეეხლადავ, ხოლოთ ჩვენ სიობლეიო-დ ბეჩაობა კიდე გმართებსთავ თქვენავ. ახლა ადგილ დაიჭირეთავ, სადაც მამიჩემის სისხლ დაიღვარავ. თქვენავ მაგას ნუ შჩივითავ, ჯერ კიდე ბევრ ვალი გმართებსავ ჩვენიო-დ ყველას გადაგაჭდევთავ, მანამ არ მაგასვენებთავ.

თაოდ კი ალბერდი ისითს ალაგში დასახლდ, რო იმას არხოტიონნი ვეღარცაით რას დააკლებდეს, არხოტიონთ კი ისი შიშის ზარს ზდებდ. არხოტის ჭალას ვეღარც კი დადიოდეს იმის შიშით.

მზევინარათ მინდია რო მაკლეს, ამას სახლისკაცებ დაშჩესა-დ დაიწყეს შურის საძებრად სიარული. ის კი იცოდეს, რო მამკლავს ვერ მახჭელევდესა-დ არც დარდობდეს იმას, ხოლოთ ღილღველ შახვედრიყვა-დ ვინც უნდა ყოფილიყვ, სადაურიც უნდა ყოფილიყვ, სრუ ერთ-იყვ იმათად, ხოლოთ ღილღურ ტალავრიან კი ყოფილიყვ. დაიწყეს სიარულ, მაგრემ არ შახვდ ისითს ალაგში ღილღველ, რო მაეკლ ისი-დ თაოდ აღარ დაზიანებულიყვნეს. კარგა რო მაზაფხულდა, ამავიდ ცხვარ-წყემსი ჩორეხ. ცხვარი იყვ ბარშიით მასული აჩაროვლებისა. აქ მინდიას მამკლავთა კი არა, სრუ არვინ იყვ მთის ღილღველი, მარტო ბარის ღილღვლები იყვნეს ესეები.

ბერდიშვილებმ წინა დღეს იჭირეს დვირბინით, სად ვის ბინაზე იყვ უფრო მარჯვე მისავალი-დ წამასავალი (აქ მარტო ერთ ბინა კი არ იყვ, ოცამდინ ბინა იყვ გაჭეით-გამაჭეითი). ბოლოს ერთ ბინა შაარჩიეს, რომენიც უფრო სათავისკე იყვ კლდიანის ბოლოში. გადასწყვიტეს რო მაგ ბინაზე დავთოფნათაო-დ ერთ მაინც მავკლათავ. დამის ძალით ჩავიდესა-დ ჩასხდეს იმ ბინაის თავში კლდიანში. დილას რო გათენდ, წყემსებ თეოზეით ადგესა-დ ცეცხლთ მირგვლივ შამაეხვივნეს ბინაში. ამ დროს დაშალეს თოფები ბერდიშვილებმ. ერთ კაც აჩაროელ წყემს ქვე მაკლესა, მეორე წყემს ქვე დაჭრეს ტარგამელი.

გატყდ ჭმა ყველას ბინაებზე. ახყარეს ცხვარი-დ ყველამ ჭალაისკე ჩალალ. იმათ ეგონ ლაშქარ დაგვეცაო-დ ცხვარს გაღლალვენავ. იმის შიშით ჩალალეს ცხვარი დაბლა. ბერდიშვილებ კი ადგესა-დ წამავიდეს წვერისკე. ბინეებზეით პირაღმ წასულ მზირ რო ნახეს, დაუწყეს თოფის ჭლა ღილღვლებმ, მდევარიც გამაუდგ, მაგრემ ბერდიშვილები თოფის ჭლითავ პასუხობდესა-დ მდევარს ახლოს არ უშობდეს. ღილღვლები ჯერ კი ეცადნეს რო გზა საით გადაეჭრ მზირთან, მაგრემ თოფის ჭლით მაღლა ამასავალ აღარ მისცესა-დ დაანებეს თავი. წამოვიდეს ბერდიშვილნი. ის აჩაროელ წყემს იქავ მაკვდ. ტარგამელს ფეჭი ხქონდ ბარკალში დამტვრეული-დ მაარჩინეს ღილღველ სოფლის აქიმებმ, ხოლოთ გახაიბრდა კი, კოჭლი დარჩ სამუდამოდ.

ამ ამბავმ ღილღვლებ ძალიან გაამწარ, თუ რა ვის გიმაროებსთავ, – შამაუთვალეს არხოტივნებს, – რადარ იმას სთხოვთავ პასუხსავ, თუ არა მენადირეებ თქვენ არ ხართაო-დ ნადირივ ჩვენავ, რო სადაც ვის შაგვხვდებითავ, გვჭოცთავ, თუ არა, რას გვემართლებითავ ალალმართალს ხალხსავ, სადაც ვის გვნახავთავ. თუ არ გაარჩიეთავ ხალხიო-დ ეესრ გაურჩევლად კიდე ვინ მახკალითავ, იცოდათავ, რო უფერს საქმეს დაგმაროებთაო-დ ჩვენ ბრალ ნუ იქნებისავ მემრავ.

ამ ამბიდგეს ცოტაად დაწყნარდ ხალხი, საუბარიც კი ხქონდ შარიგებაზე. ღილღვლებ უფრო ამბობდეს: რაად ვჭოცთავ ერთუცსავ, ტყავ არაად გამაგვადგებისაო-დ ჭორცივ მაკლულის კაცისაივ. ეს სადაურიავ, რო პირდაპირ ნადირობა გაიმართავ ერთუცზედაო-დ აღარც თქვენ გაქვთავ მასვენებაიო-დ არც ჩვენავ. დავანებათავ თავივ ერთუცის ჭოცასავ. შავღრიგდათავ, მკვდრებივ მკვდრებში გავღბარათაო-დ, ვისაიც მეტ მკვდარ გამავავ, თავ-სისხლ გადავიჭადათავ. მემრავ თქვენაც მასვენებით იცხოვრებთაო-დ ჩვენაცავ.

არხოტივნებიც იყვნეს შარიგების მომჭრე, მაგრემ მაინც არ ენდობოდეს ერთუცს. ბევრჯელ ვქენითავ ზავივ, თქო ზოგმ ხალხმ, მაგრემ ღილღველ-არხოტიონთავ ზავივ ბოლოს არ გაუვიდავ. ზავის ჩაშლას ღილღვლები არხოტივნებს აბრალებდესა-დ არხოტივნები ღილღვლებს, მაგრემ ბედენებ კი არ იყვნეს, არც ერთ მჭარე ინდობდ ერთუცსა-დ არც მეორე, როსაც კი დრო დაშჩებოდ. ეეხლა კი ხალხი ვითამ დაწყნარდ ცოტაად, მიდენ-მადენაიც დაიწყეს ერთად, ვისაც ერთუცის სისხლ არა ემართა-დ მშვიდობიან ხალხად ითვლებოდ. უფრო ღილღვლებს არაად შჭირდებოდ არხოტ მასვლაი, არხოტივნებს კი ძაუგში წასავალ გზაიც ღილღოზე ხქონდ. ღილღოს ცხვარი ხყვანდა-დ ტყავ-მატყლის საყიდლადაც იქ უნდოდ დენა, მარილიც დათეხით მახქონდ; იქ ღილღვლები ვეძის მარილს ადუღილებენა-დ არხოტივნებსაც იქით მახქონდ. არხოტ უპურობა იყვა-დ სიმინდიც ბარის ღილღვლებშიით მახქონდ საპალნეებით. ისრ რო არხოტიონთად აუცილებელ იყვ ღილღოს წასვლაი-დ ისენ სრუ არაად გაივლიდეს. აი, ამ საქმეების გულისად არხოტივნებმ დაიწყეს ღილღოს სიარული; ან მავკვდაო-დ ან მავიტანავ, რაიც ოჯახში მჭირდებისავ, ესეთის ფიქრით დადიოდეს ღილღოს, რო მეტ გზა არ ხქონდ. ღილღველნიც რაიცაღ გაჩუმებულნ იყვნესა-დ არვის კლევდეს, ამით უფრო გაბრიყვდესა-დ მაუმატეს სიარულს არხოტივნებმ. ხოლოთ, ვისაც სისხლ ემართ, ისეებ კი არ დადიოდეს.

ჩორეხ რო ცხვარ-ბინას დაეცნეს, ერთ კაც ქვე მაკლესა-დ ერთ ქვე დაჭრეს. ამ მზირთ წინამძღვარ იყვ ბერდედიათ წვრილაი, მაშინდელს ლექსში ნათქვამიც ას:

გვეიმედების წვრილაი, მანგიათ ალვის ტანია.
თვალს უცემს წელზე ნახვევი აბოინაის ჯარია.

ეს ღილღველთაც კარგად იცოდეს, რო წვრილა ამ მზირთ წინამძღვარ იყვ, როგორც მენადირეი-დ მტერთან ბრძოლაშიაც გამაცდილი. ძალიანაც უნდოდ ღილღვლებს წვრილაის ჭელჩი ჩაგდება, მაგრემ არცაით უჭერჭდებოდ. წვრილას ერთი უფროს ძმაი ხყვანდ, გიგია; წინწინ კი ესიც ძალიან მთხილობდ, მაგრემ რამოვენიც დრო გავიდა-დ ღიღველო არვინ მაკლეს, თანთან ყველა გაბრიყვდ, დასცილდ შიში-დ სიმთხილეიც. იმათან ერთად გიგიასაც ქოოდ დასცილდეს

ღილღველნი. ჯერ ჭალას დაიწყ სიარული, ღილღველებისაგან საშიშ ადგილებში, საოჯახოდ აოჯისგნის მასატანლად. მემრ ადგა-დ ღილღოსაც წავიდ ცხვრის ტყავების საყიდლად. ერთ თავის სოფლელ ხნიერ კაცს გახყვ ბაჭათ უშიშას. იდინეს ღილღვლების სოფელშია-დ ივაჭრეს ტყავები. გიგიამ ღილღოს თავის სახელ დამალ. მე ახიელელი ორავ უთხრ, მაგრემ ღილღველთ რა ეერევის, თუ კაცს ერთხან თვალ დახკრეს, მემრ ის აღარ დასცილდების, თუნდა ოცი წლიდგე შახვდას. ბერდედიათ გიგია მალევ ნანახ ვისამ ხყონიყვა-დ იცნეს იქავ. წავიდესა-დ იმის მესისხლეებს გააგებიეს: აქავ წვრილაის ძმა მავიდაო-დ, ტყავებს ვაჭრობსავ. წამავიდ ორ კაცი-დ ნეთხისკარ გზა შაუკრეს. ღილღოს იმით არ მაკლეს, რო ვისთანაც სტუმრად იყვ მისული, მასპინძელი არ მისცემდ იმის მაკვლის ნებას, მანამ შინ არ წამავიდოდ. შინისკე რო გაისტუმრებდ მასპინძელი-დ იმის სოფლის მიჯნას გასცილდებოდ, მემრ აღარ იყვ იმის საქმე, რაც უნდა დაღმართვიყვა-დ აი ამ გიგიასაც იმით შაუკრეს გზა ნეთხისკარ.

ივაჭრეს ტყავები ბაჭათ უშიშამა-დ გიგიამ; აიკიდეს ზურგზედა-დ წამაიღეს. გიგიას თოფიც ხქონდა-დ უშიშა კი უიარაღო იყვ. ნეთხისკარ რო მავიდეს, აქ ცოტა ველი ასა-დ მისაფარებ აღარაისად აქვ გზაზე მიმავალს კაცს. ამ ველში წინ უშიშა ედგა-დ უკან გიგია მახყვებოდ. ამ დროს გამაიყარ თოფები; გიგიას მახვდა-დ იმავ წამს მაკვდ. გიგია რო ჩაიქც, ბაჭათ უშიშა გზის იქით გადაჭდა-დ ტყის ბუჩქთ მაეფარ. ღილღვლებმ ამას თოფ არ ესრიეს, ერთ – უიარაღობისა-დ, მეორე, ხნიერობის გამო. ერთი წვრილ-მაღალი ღილღველ მავიდ, თავ-პირზე ფაშლაჭაი ხქონდ დახვეული. უშიშაისკე თავ არ მაიბრუნ, მივიდ გიგიასთანა-დ თოფ აღგლიჯა, წაიღ. მეორემ წყლის პირისას გაიარ, არც იმან მაიბრუნ თავი უშიშაისკე. იქითი ერთად შაიყარნესა-დ წყნარი ბიჯით წავიდეს ღილღოსკე. უშიშასთან არ უნდოდ პირისახის გამოჩენა იმით, რო გვიცნობსავ, მაგრემ გაუგო რა დარჩებოდ. ბოლოს გაიგეს, რო ერთი გაჯალათ მაკლულის ჯერნალის შვილ იყვა-დ მეორე ბერდიშვილთ რო ჩორეხ დაჭრეს, იმის სახლისკაცი. ისენ თაოდ კი ისითს ალაგში ცხოვრობენ, რო იქ არხოტიონ კაც ვერცაით მივა-დ ვერას დააკლებს იმათ.

ისენი გიგიაის თოფს არ წაიღებდეს. მაკლულის თოფის წაღება ადვილად არ იცოდეს, მაგრემ აქ რო უშიშა ცოცხალ გაწირესა-დ არ ესრიეს, ის აშინებდ რო გიგიაის თოფი იმას არ აეღ, მზირთ არ გაზდგომიყვა-დ არ დაეზიანნეს გზაზე მიმდინარნი.

ღილღვლებ რო წავიდეს, მივიდ უშიშაი, გიგია პირქვ წაქცეულ იყვ. შამააწვინა-დ შამახურ ზედ ყარწიკაი. თაოდ წამავიდ არხოტა-დ იქ გააგებივ: ნეთხისკარავ ღილღველთავ გიგია მაკლესავ. მეემზად ხალხი, წამავიდესა-დ მაიტანეს საკაცით. გიგია რო მაკლეს, მაშინ აღარც გიგიაის ძმა წვრილა იყვ ცოცხალ, არც სხო ახლოელა ვინ დაშჩ მტრისად მიმყოლი. ორ ყმაწვილ დარჩ: ჭირჩლათ ბეწინაი-დ

ბაბუტ-ო ბეწინა. ესეებ კეებ ყმაწვილებ კი იყვნეს, მაგრემ ჯერ იარაღის ატანისა-დ მტრისად მიყოლის დროს არ იყვნეს. იმის გულისად, რო ახლოელ არვინ იყვ მძებნელი, გარეოულებმ სახლისკაცებმ დაიწყეს შურის საძებრად სიარული. შურს იძევდეს, მაგრემ ის კი არ იცოდეს, რო მამკლავ არცაით შახვდებოდა; ოღონდ ღილღველ შახვედრიყვ, სხვას არას დაზდევდეს, ვინც უნდა ყოფილიყვ, მახკლევდეს.

ეროს სოფელს შაჭალი ხქვიან ტერღის წვერის გადაბრუნვით. ამ სოფელში კაი მცხოვრებ ხალხიც იყვა-დ პურ-მარილიანიც, თან ალალ-მართალი-დ უდანაშაულო ხალხ იყვ, რო თავისობას არც მამა-პაპას რაი ხქონდ იმათას არხოტიონთად დალეული (დანაშაული). თაოდ ეხლანდელებ ხო დიდ პატივისმცემლებ იყვნეს არხოტივნებისად. ნამეტნავად ბაიგულისშვილნი. ეს ღილღველნ სამნ ძმან იყვნეს – მაჰამათ, მურწალი-დ ისა. ამათ ბევრ ცხვარი ხყვანდ, ზამთრის მინდორში დაუდიოდ, ზაფხულის არხოტივნების მთებს ქირაობდეს: ტერღას, ჩხატათა-დ თათელს. ამ მთებში იდგ ამ სამის ძმის ცხვარი-დ. იმათ ბინაზე სტუმრად მისულს არხოტიონს კაცს ისრ არ გაუშობდეს, რო პატივსაცემლად საკლავ არ დაეკლ. ნამეტნავად ბერდიშვილები ხვდებოდეს, შურის საძებრად ღილღოსკე მიმდინარ მამდინრები-დ მისულებს ყველას პატივს სცემდეს. არხოტივნებიც ამათ არაით აწუხებდეს, პირიქით, კარგად ექცეოდესა-დ კა განწყობილება-ი ხქონდ.

ბერდიშვილებმ ღილღოს იდინეს შურის საძებრად, მაგრემ ვერ მიახწიეს იქამდინ, სადაც საჭირო იყვ, არცად ვინ შახვდ მარჯვეს ალაგებში. ბოლოს ამ გვარშიით ორ ახალგაზდა წავიდ შურის საძებრად, ბაბუტაი-დ გიგი. ამათაც ჯერ სხვა-სხვა გზებ იყარაულეს, რო სხვა ღილღველ ვინ მეეკლ. ბოლოს რო ვერა გააწყვეს, წამავიდესა-დ სათიბში ნამყოფი ბაიგულთ ისა მაკლეს. წამავიდესა-დ სოფელში მაიტანეს ამბავი: ღილღველ მავხკალითაო-დ ულოცევდ ხალხ სახელს. ბოლოს რო გაიგეს ისა მაუკლავავ, უთხრეს თავისებმ: რაად მახკალითავ ჩვენ პატივისმცემელ ისაივ. ნისლაურთ აბიკამ ლექსიც უთხრ ბაბუტასა-დ გიგის, თავის ძმასა-დ შინშს:

სამზირ წავიდეს ვაჟები, მიდიან მაღლის მთისასა;
მივიდეს, თვალი დაავლეს სათიბეს შაჭალისასა.
სათიბში ნამყოფს თოფ დახკრეს ბაიგულიშვილს ისასა.
ვინაც გაჭმევდათ დუმასა, რაადაღ ხკლევდით იმასა.

ესრ მაკლეს ღილღველი-დ ჩაითვალ ნაძებნად გიგიაი. მემრ წამაიზარდნეს გიგიაის ახლოელნი, ბეწინა-ბეწინანიც. ახლა ამათ დაიწყეს კიდევ სიარული ღილღოს შურის საძებრად. გიგიაივ გარეოულებმ სახლისკაცებმ იძებნესაო-დ ახლა ჩვენ რო დავიზარდენითავ, ჩვენ უნდა ამავიყარათავ მტრის ჯავრივ. ისენი, მიმდინარნი არხოტის ჭალას, დაჭოცნ ტურტურის მზირმ (ეს დაწერილია: პატალაის

მაკვლიდგე ბევრის წლებიდგეს პატალაის სახლისკაცმ ტურტურმ მაასხ მზირი, არხოტის ჭალას ჩასხდესა-დ მზირად მიმდინარნ ბეწინა-ბეწინანი დაჭოცნეს). ამათაც აღარვინ დაშჩ შინაურ მძებნელი. გარეთულებ კი დარჩეს.

ბაიგულთ ისაის ძმას მაჰამადს ფეკ მაშჭრესა-დ გაცალფეკავდ. ცხვარი იქავ ბევრი ხყვანდა-დ ღონდებოდ ზაფხულის რო კა ალაგ აღარცად ხქონდ სასაძოვრე. არხოტიონთანაც ზავ აეშალ, ძმა მაუკლესა-დ ვეღარც ამათ მოებში მაუდიოდ ცხვარი. ბოლოს რო გაუჭირდ, გადასწყვიტ არხოტ წამასვლაი-დ არხოტიონთა-დ თქმა: ცხვარ დამაყენებიეთავ მთაშიავ, ძმის თავს გაპატივებთავ, არ მაგკლავთავ. მე რამთვენიც უნდა მავკლავ, ეხლა ჩემ ძმა აღარ გაცოცხლდებისავ. ამის სათქმელად წამავიდ მთათას ცალფეკ კაცი, ორი ჯოხითა-დ ერთ სხო გამაიყოლ ღილღველი. ეს ისითს დროს წამავიდ, რო არხოტ მაშინ დღეობა იყვ, ათენგენაი, ათენგენას ამდიონთ „ზეთუკობა“ იცოდეს. ზეთუკა მადალ მთაი ას ღილღვლების მასავალს გზაზედ. აქ ერთ სალოცავი ხყვანდა-დ წელში ერთხან ადიოდეს ერთიანად სოფელი ამღაი, სწორად ამ ათენგენას. აქ წინას დღეს ყარაულების წალალვა იცოდეს, რო დაეთვალიერ იქაობა, მტერ არცად ვინ იყოსავ. საყარაულოდ წასულ იყვ ორ ახალგაზრდა – ბათაკათ გიორგიი-დ ბაბუტა. ნახეს, რო ორ ღილღველ ამღის პირდაპირ ამღისკე მივ, ერთი ორი ჯოხით მივ იმ ცუდ ღადა-ღუდე სავალზედა-დ ერთ ფეკით მივ. წამავიდესა-დ თოფით დაჭოცნეს ორნივ. არც იმას გაუწიეს ანგარიში, ეს უფეკო კაცივ სამტროდ მამავალ არ იქნებისავ.

ეს მეორე ძმაიც ალალ-მართალ მაკლეს ბაიგულიშვილი. დარჩ მარტო ერთ მუწალი-დ აღარც ვინ მაუკლავ მემრ იმათ სამაგიეროი.

ჭადუელთ ჭარავნის გარეკა ღილღველთაგან

მიამბო ბეჟიტა ქერაულმა, 50 წლისამ,
სოფელ უკენხადუში, 1936 წელს

ჭადუ სოფელი ჭევსურეთის სათავეში ას. აქ წინავაც ბევრჯელ დასცემიონ ღილღველები-დ გადაულალავ საქონი. ტანიის მთის ძირში ცხოვრობენა-დ ტანიისას ძალიან მარჯვეი-ას ამათ საქონის გალალვა ღილღველებისად. ერთხან დაეცნეს ღამითა-დ მთაში ნადგომ ჭარავანი გალალეს ორმოცამდენ ჭარი.

მეჭარავნემ გატეხ ჭმა სოფელში. ჭადუელნი ამავ ღამეს მაემზადნესა-დ წავიდეს მდევრად. ერთ სტუმრად მასულ ახალგაზდა იყვ ხოშარაულთ ლაგაზაი. ისიც ჭადუელთან ერთად წავიდ მდევარში. გზაზე წინ-წინ ტანიეს დაეწივნესა-დ ღილღვლებმ რო ნახეს გვეწევიანავ, ლარტანის გორზეით დაუწყეს თოფვაი. ჭადულები არ აჭლიდეს თოფებს, იმით რო შორ იყვა-დ იქ არა დაეკლებოდ აქით.

ტყვია-წამალს ზოგევდეს ლარტანის გორზეით რო თოფევდეს, ჭადუვლებ ცოტა ხანს მაეფარნეს ნასოფლარ სახლებსთან, რო გაიგეს რო წავიდესავ ღილღვლებივ, გახყვეს ჭადუელნიც კვალზედ. ბისნის კუროზე რო გადავიდეს, იქ კიდევ თოფეს ეროუცი ჭადუვლებმა-დ ღილღვლებმ. აქითაც წავიდესა-დ გადავიდეს ჩორეხ. ჭარებ წინ მიდიოდა-დ უკენ ყარაულ რჩებოდ, ესენ უკრევდეს გზასა-დ თოფევდეს ჭადუვლებს. ჩორეხ რო გადავიდეს, დაღამდ კიდეც. ჭადუელთ აქ არც გზა იცოდესა-დ ვეღარც ჭარების კვალს იგებდეს. დარჩეს ჩორეხ ველი-ველ, ჩოჭიანები, ნაოფლარ-დაღალულ ხალხი. აქ მაღლის მთისპირი ასა-დ ძალიან შააწუხნ სიცივემ.

როგორც იქნებოდ, გაათენეს ეს გრილ ღამე, დილას ჩავიდეს ჩორეხ, პირდაპირ ღილღველთ ცხვარ-ბინაზე. აქ ჭარების კვალიც აირივ, რაკი ზედ ცხვარ გალალეს ღილღვლებმ. ჭადუვლებმ უთხრეს: ეხლადავ ეს კვალიც თქვენ აგვირიეთაო-დ, თუ არ გვასწავლითავ ჩვენებ ჭარებ საისკე წავიდავ, ჩვენავ თქვენს იქით გზა არ გოქვავ. თქვენ ღნახეთაო-დ ჭელ შაუწყვითავ. იცოდათავ, რო ან დავიჭოცებითაო-დ ან თქვენს ცხვარს გავღლალავთავ, თუ აქითავ სხვაკან არ გაგვართვითავ კვალივ. კარგა ხანს ბძოლიდგეს უთხრეს ქისტებმ, რო აი დაბლა რო ჭიდიავ, იქ ნახეთავ კვალივ, იქნება ჩვენ ვერ ვნახეთაო-დ იმაზე გალალესავ (ნახვით ნახეს, ჰურიც აჭმიეს, მაგრემ არ ამბობდეს). წავიდეს, გასინჯეს კვალი – წყალს გაუყრავ ჭარები-დ პირაღმ აუყენებავ, იქ ეროს მთას გადაივლისა-დ ღულ-ჩხორეგოს ჭალაში ჩავ. გაულალავ ღილღვლებს ჭარები-დ ღულ-ჩხორეგოსკე გადასულან. გახყვეს ჭადუელნიც კვალზედ. გადავიდეს ჩხორეგოს ჭალაში. ამ დროს სოფელშიით საქონ იყვ გამასული-დ აირივ ჭარების კვალი იმათ საქონის კვალში. მივიდეს სოფლის პირში ჩხორეგოსა-დ მაიკითხეს თავ-თავ ხალხი. უთხრეს რო ჩვენებ ჭარებივ თქვენს ჭალაში მავიდავ, ან დაგვიჭელეთავ, თუ არა და ჩვენაც გავწყდებითაო-დ არც თქვენს სოფელს გავსწირავთავ დაუზიანებსავ. ჩხორეგოვლებმ თავისებური წესით იუარეს: აქ რა უნდავ თქვენს ჭარავანსავ. ბოლოს წავიდეს ღილღვლები-დ მამასახლისი მაიყვანეს.

ღილღურ ხადუვლებმ არ იცოდესა-დ ქართული ჩხორეგოვლებმ. ღილღველთ მამასახლისს რუსულ სცოდნიყვა-დ ჭადუელთაც ხყვანდ ეროი რუსულის ენის მცოდნე ბეჟიტაი. შაიბნეს ბეჟიტაი-დ ღილღველთ მამასახლისი. ღილღველი ეუბნებოდ, რო თქვენავ ტყუილად თავს გვახვევთავ თქვენს ჭარებსავ. აქ ვინ მაღლალევდავ. ბეჟიტა კიდევ ეუბნებოდ: წამამყევიო-დ გაჩვენებავ ჩვენების ჭარების ჩამანავალის კვალსავ აიმ მთაზეითავ. ბოლოს ბეჟიტამ უთხრ, რო გამაგვყევითავ კაცებიო-დ დავძიოთავ ამ თქვენს ჭალაშიავ. იცოდ რო ჭალაში რო ჩამავიდ კვალი, ძალიან ახალი იყვ, შორს აღარ იყვნეს. დაეწეოდეს რო საქონის კვალს არ შაეშალ ჭელი-დ არცაღ იმოვენ დრო იყვ, რო აქით კიდევ სად შორს ყოფილიყვ წასული. ბეჟიტა არ მაეშვა-დ გაიყოლ მამასახლისიცა-დ სხვებიც ჩხორეგოს ჭალაში. ღილღვლებს წასვლა არ ეწადა-დ ფეჭტეხ მიდიოდეს, მაგრემ ბეჟიტა გამჭრიახ კაც

იყვ, მაინც არ ეშობოდ უნდა დავძიოთავ ეს ჭალეებივ. ცოტა კი შავიდეს ტყეშია-დ ნახეს, რო ჭადუელთ ჭარავანი ეროს ცოტას ველში წევს.

რაკი დაიჭელ, გამალალეს ჭარები-დ მაასხეს ჩხორეგოს. ქურდები ჭადუვლებსთან კი არ მივიდესა-დ კაც მაულალეს, რო ერთ ჭარ გაგვიწირანავ ფეჭის ქირაშიავ, მაშ ტყუილად უნდა ჩაიარასაო ჩვენმ ამოვენ წვალებამავ? (ეს ღილღველთ წესი იყო). ჩვენშიავ ქურდებს არას უწირვენავ, უთხრეს ჭადუვლებმ. ეს ჭარებიო-დ ჩვენც რო გვაწვალნესავ, თუ სად სამართალიავ, ესიც ქურდებმ უნდა ზღანავ, ჩვენ რაიღ უნდა მივსცათავ ქურდებსავ.

ბევრი ბძოლიდგეს ჭადუვლებმ წამაასხეს თავის ჭარავანი ჭალაზე. გოშტიკაურთას გამავიდესა-დ იქით დაუბრუნდეს არხოტის წყალს არხოტისკე. ეს დაღალულ ჭარები, ადიდებულ არხოტის წყალი-დ როგორც იქნებოდ ცოდოჭირით მაახწიეს არხოტამდინ მეორეს დღეს შუადღეში. დღეობაიც ხქონდ ამ დროს არხოტა-დ ამ დაღალულ ხალხს ლუდით კარგად გაუმასპინძლდეს. თან სახელსა-დ გამარჯვებასაც ულოცევდეს. მდევრად წასვლის მეოთხეს დღეს თავის ჭარავან მილალეს სოფელში ჭადუვლებმ მშვიდობიანად.

ამ გამარჯვებისად ერთ კარგ ჭარი ხყვანდ სანების ჯვარისად შაოქმული სოფელს, შვიდი-რვა საწყვის ლუდ ადუღეს. ეს ჭარიც დაკლესა-დ ერთ დღეს იდღეობეს. კარგა სახელადაც გაუვიდ ჭადუელთ, ღილღომდე მიყოლაი-დ ჭარებისა იქავ მალალვა იქით. ბევრ ცხვარ-საქონ გაულალავ ღილღველთა-დ ესრ გულდაგულ ვერვინ გახყოლივ მდევარი, როგორც ჭადუელნი. მაშინდელს ჭადუელთ მგზავრობას მდევრობაში გვიამბობს ბეჟიტა თავის ლექსში; ბოლოს კი ისრ გამახყავ, რო ვითამ ამ ლექსის მოქმელი ბეჟიტა ხაიბარ იყვა-დ ჭადუელთ რო სახმოიი ქნეს, ესიც იქ დახპატიჟეს, როგორც საწყალ კაცი. მართლა კი ბეჟიტაის გამჭრიახობით უფრო დაბრუნდ ჭადუელთ ჭარები.

მჭარიღ მიჭირე, ფანდურო, მავავლათ ლექსის ფარგალი,
რაიც ფარგალში არ მავა, სხვასწლამდინ იყოს დამრჩალი.
გადაგერია პატრონი, მირგვლივ უბრუნავს მთა-ბარი.
სამ დღე ალაგზე დავლიე, ვერ ვნახე კაცის ჭაჭანი.
მთაშიით ჩამამიჩინდა ტრედ მგალობელი-დ მართალი.
გამავეგებე გზაშია, ჭელით მივართვი სტაქანი.
ტრედო, მიამბე ამბავი, შენი თავს გადანაყარი!
საით-რა წამასული ხარ, ვისგან ხარ გამანაგზავნი?
არცად შაგხვდესა გზაშია ჭადუელთ ახალგაზდანი?
ქისტებს ჭარავან წაუსხამ, მდევარ ას უკენ გამდგარი.
ტრედმა თქვა, შამამეყარნეს სვილისფერანი გრანჯანი,

საჩქაროდ გადაიარეს გადაკვართულნი კალთანი.
მე წამამლალეს ჭადუსა, ხარ მართლის ამბვის წამტანი.
უფროსებს გაგვიგებიე, არ გაგვიცუდან ჯვარ-კარი!
მეთემეს დაუბარიდი, თუ ყანა დარჩას სამკალი!
ჩვენ აქით არ დავბრუნდებით, ძმურად ფიცი გვაქ ნაქნარი.
სიკვდილს ვინებებთ ჭელ ზედა, წილ კი არ ვის გოქვ ნაყარი.
ერთ გვტანავ ხოშარაული, საგძალთა შორად გამტანი,
ცდაი ჯილაგად მაუდის, საგძალთა შორად გამტანი.
კვალი ჭმელტბათკე წავიდა, ჭარების გადანაფშარი.
ჭმელტბათ კიდურზე დაგროვდეს ჭადუელები თავკანი,
პირი უკითხეს ერთუცსა, როგორ ვიჭმარათ აბჯარი,
პირდაპირ წასვლა ირჩიეს, რად გვინდა სტოლ-საფარი,
წინწინ ნასოფლარ მაგვთოფნეს, მთა ზე ყრილიყვნეს ძაღლანი,
ლარტანის გორზე ხქონიყვა შამაყორვილი ფარგალი,
მალედამც დათავდებიან საჭარის ადმა-ჩადმანი,
მეორე ბისნის ჩდილჩია, ქისტ-არხოტიონთ საყარი.
შვიდოც თოფ ჩამაგვაჭალეს, არა გვესრიეს ცატკარი
(არა ბევრი გვესროლეს, არც მაგდენი)
ჩვენებს ყმაწვილებს უკვირდა, აუტყდა სიცილ-ხახანი
ჩვენ მაგით არ დავბრუნდებით, ცოტან ორთ, განა ლაშქარი.
ეხლა ჩვენთანით იყურეთ ვინტოვკეების ნაყარი.
ჭადუელთ თოფვებ დატყვრების, ლუდისკლდეთ უდგა ზანზარი.
ტერდას კვირობენ ღილღველნი, რა ამბავია მამჭდარი?
ზედ ბნელი ღამე დაგვეცა, ველარ გავიგით გზა-კვალი.
სპიჩკაით ვშინჯეთ გორები, აქ არ ას გადმანაყარი?
პერანგიანა ხალხი ორთ მტრის ქვეყანაში მამრჩალი.
სიცივე მარჭედ გვაწუხებს, არცად პური გოქვ საგძალი.
თეთრად თენდების ღამეი, კბილებს გააქვის კანკალი.
ეგრე მაუდის მდევართა, განა ორთ ქალის მაყარნი.
მეორე დილა გათენდა, ვაჭსენეთ ღმერთი მაღალი,
შაუოქვეს სანების ჯვარსა ჭარი, განთურა ბატკანი.
გვიშველე, სანების ჯვარო, დაგვჭირდა მზირთ წინამძღვარი!
ცხადად ჩავედით ჩორეხა, ღილღვლების ბინა სად არი.
აქით ჩვენ, იქით ღილღვლებმა, ერთუცს უჭსენეთ მამკვდარი.
გძელმა, ურჯულოს ენამა შამაგვიქცივა მაგარი:
აქ თქვენებს ჭარებს რა უნდა? თქვენი ტყუილად ტანტალი!

დაბლა ჭალაში დაძიეთ, ჭიდს ან ას გამანაყარი!
ტყუილად ამბობთ ღილღვლებო, ჭეხით არ მადის ავდარი.
მასწყინდა ჩვენებურებსა მაგათ ქოთი და ყაყანი.
სუყველას მაუმარჯვებავ ჭელთ თოფი, წელზე ხანჯარი;
ერთმანეცს ეუბნებიან, მაგას დახკარი-დ მაკალი!
ზოგი ჩაყარეთ წყალშია, ზოგ ღორებულად დაკალი!
ჭელჩი ლიურლებ უჭერავ, რუსულად ხქვიან ნაგანი.
უფროსებს ელოდებიან, ბერნი მაგვივლენ ჯაჭნანი,
შუმითხოს დაუცვეთიან დავითფერულნი ვადანი.
არადა წასვლას ვეჩქარით, ერთ მთა კიდევ გოქვ დამრჩალი.
მემრე კი აიქ გადაოლთ, სადაც რო შუა ჩაჩანი.
ღულ-ჩხორეგოში ჩავიდეს შუა დღე იყვა დამდგარი.
იმთვენ ურჯულო მავიდა, არ იყვა გადასათვალი.
თან მახყვა მამასახლისი, ქისტი გაზდილი სასალი.
ბევრაის საუბარშია ყელ გაშრა, დადგეს ლაშ-ყბანი.
ეხალიზების პატრონსა ტყვე ძალით გამასაყვანი.
ძალმა დაჭელა ჭარები ღულის ჭალაჩი შამდგარი.
დაბრუნდეს ნასახელარნი, მაუხარიან მთა-გზანი.
სახელს ულოცვენ უფროსნი, ემადრივლების ქალ-ზალი.
ჭარის პატრონებმ ადუღეს ლუდი შვიდი-რვა ნაყარი.
მეც აიქ დამიპატიჯეს, ხაიბარი ორ საწყალი.

ბეჭიტათ ბაბუა

ჩამაწერინა ბეწიკა გიორგასძე წიკლაურმა, 69 წლისამ,
სოფ. ამღაში 1941 წელს

ბეჭიტათ ბაბუა ამღიონ იყვა-დ ძალიან სახელგაოქმულ ახალგაზრდა იყვ. რაითაც კი შაიძლების რო ოშკაც სახელიან იყოს, ის ყველანაირად კა იყვ. ღილღვლებს ბაბუაის ჯავრ-ი შჭირდა-დ ერთხან ნადიროობით მამავალს გზა შაუკრეს ისითს ალაგში, რო ჩასასაფრები არცად ხქონდ. ბაბუაის პაპას, ჭირჩლათ მარტიას, ბევრ ღილღვლები ხყონივ ნაჭოცები-დ ის სისხლ დამრჩალ იყვ. ეხლა ბაბუაის მაკვლა უნდოდ იმ ვალზედა-დ იმით შაუკრეს გზაი. წინწინ მასულს რო თოფებ დააჭალეს, ვერ დახკრეს, რაჭელაც ესრიეს ყველა ტყვიებ გასცდ. აღარცად საფარ იყვა-დ საჭირო გაჭდ გამაქცევაი საფრისაკე. გამაიქც ბაბუა ჩასასაფრებლადა-დ დააჭალეს ღილღვლებმ კიდევ ტყვიაი. ოცდაექვს ესრიესა-დ გააცდინეს, ოცდამეშვიდე მკლავში

დახკრესა-დ დაამტვრიეს მკლავი. თოფ კი წამაიღ მეორე ჭელითა-დ არც წაიქც, იქავ წამავიდ. რო გადმაეფარ გორზე, წამავიდეს ღილღვლებიც, ნეტარ რაი ქნაევ. ბაბუას ბევრ სისხლ გამაუვიდა-დ დასუსტდ. ჯერ კი იარა-დ მემრ გზის თავში შაჭდა-დ ფიჭვის ხესთან შამაწვ, რო სიარულ აღარ შეეძლიყვ. ღილღვლებმ სისხლ რო ნახეს, ჯერ კი გამახყვეს კარგა გზას, რო დავათავათავ. ფიჭვს რო მიუახლოვდეს, სადაც ბაბუა იყვ, კვალ დახკარგეს. სად წაუვიდ ბაბუა, ვეღარ გაიგეს. ბაბუას ღონე არ ხქონდაღ, მაგრემ თუ ზედ მავიდესავ, ხანჯრის იმედ იქავ ხქონდ – ერთს მაინც მავხკლავ. მაგრემ ღილღვლებმ თქვეს დავანებათავ თავივ, ის თავისთავად მაკვდებისავ. მიბრუნდესა-დ წავიდეს. ბაბუა ღილღვლებსაც ხედავდა-დ ნაუბარიც მიზდიოდ, მაგრემ მკლავი რაკი დამტვრეული ხქონდ, თოფს ვეღარ იჭმარებდა-დ თუ ახლოს მივიდოდეს კი, სიკვდილამდინ ძალ-ღონეს უნდოდ გამაჩენაი-დ ბძოლა.

ღილღვლებ რო დაბრუნდესა-დ წავიდეს, ბაბუა დიდხანს იყვ აქ. არცარაით ჭელი ხქონდ შასახვევი. ადგ მემრა-დ წამავიდ. სვენებ-სვენებით იარა-დ მაახწივ შინ. ერთ ორ თვეს კი ძალიან ცუდად იყვა-დ მემრ ჭევსურეთის სოფლის აქიმების დაჭმარებით მაშჩ ჭელი, ღილღვლების ჯავრ კი ძალიან გულში ჩაეჭრ. სადაც ჭმა გატყდებოდ, ყველკან წინ ის გარბოდ მტრისკე, რო აგებად საით შავხვდავ ღილღვლებსაო-დ ჯავრ ამავიყარავ. ერთხან ნეთხელ ღილღვლებ წავიდეს არხოტ საქურდლად. ღამით მივიდესა-დ ამღიონთ ჭარავანშიით ცხენებ დაიპარეს სამი. ამღიონთ მეჭარავნეთ მაშინ გაიგეს, როსაც ცხენები დაჭერილები ხყვანდა-დ დაიქცნეს კიდეც ცხენებით. მეჭარავნენი ჯერ კი დაედევნნეს, თოფებიც ესრიეს, მაგრამ ამ უჩინს ღამეში ცხენიანს ხალხს რას გამაშჩებოდეს. ჭარავანს მაშინ ორ კაც ედგ, ერთ კაც იქავ ჭარავანსთან დარჩა-დ, მეორე კაც გამაიქცა-დ ამღისთავ მთაზეით, სახელდობრ ბაგათით, ორ თოფ დაცალ. ეს ლიშანი ხქონდ: თუ ჭარავანს ვინ გაღლალევდ, მაშინ ჭმის გასატეხლად ორ თოფ უნდა დაეცალ. სოფელში ჩამასვლამდინ ბევრ გზა იყვა-დ მანამ იქით აქ კაც ჩამავიდოდ, ბევრ დრო უნდოდ; თოფის ჭმას სოფელში ერთ მაინც ვინ გაიგონებდა-დ, გასტეხდ ჭმას: ბაგათითავ ორ თოფ გამავარდაო-დ ჭარავანს სადამ დაეცნესავ. ეს ხალხმ იცოდ, რომნის გზისასაც გაღლალევდეს აქით წასხმულს ჭარავანს. ჭმის გატეხაზე საჩქაროდ მაემზადებოდესა-დ სოფელშიით იარაღის ამტანი ყველა მდევარში წავიდ სამოკლოების გზებისას, რო ქურდებისად წინ მაესწვრ.

მეჭარავნენიც ესრ მაიქცნეს, ბაგათით დაცალეს ორ თოფი. ამღივნებმ გაიგონეს. ვინაც გაიგონ, იმან ჭმამაღლად იძახ სოფელში: ჭარავანზე სადამ დაეცნესავ. ჩაიცვეს ფეჭებს სამდევროდ დამზადებულ ჯღნები-დ დაიქც ხალხი სამდევროდ. არხოტის ჭალა ჩაიარეს, ტანიისკარს შაუბრუნდესა-დ ზოგი ტანიისკე წავიდ; სამ ახალგაზრდა კი პირდაპირ საჭარის ღელისკე წავიდ „ნარღვევთ გორისას“ (ეს ძალიან მოკლე გზა იყო). ბეჟიტათ, ბაბუა, ბაბუჭურთ თათარაი-დ ბაჭათ გიორგი. სხვები

ტანიეს მივიდეს, ნახეს რო ცხენების კვალი ოშანიკის ღელეზედ გადმამჭდარა-დ გამაუვლავ ნასოფლარი. გამასცილებიონ, მდევარს ვეღარ შაუსწვრავა-დ წასულან ლარტანის გორისას, საჭარის ღელისკე.

აბა, რასაღ უზამთავ, წასულანავ, ოქვესა-დ წამავიდეს შინისკე ყველანი. ამ სამ კაცმ აიარ ნარღვევთ გორი (ერთ-ერთი მაღალი გორის სახელია, რომელიც დაბლა ჭალიდან იწყება და საჭარის ღელემდინ ადის, სადაც ქისტები ნაქურდალს აუცილებლივ ამ მთაზე გადაატარებდნენ. ადრე ვერც ავიდოდნენ რადგან ჯერ ოშანიკის მთა უნდა გადაევლოთ, ჩავიდოდნენ ტანიეში, ჭალაში და აქედან იწყებოდა ძალიან მაღალი ასასვლელი მთა. ეს იყო საჭარის წვერი). ნარღვევთგორისას ძალიან მოკლე ასავლად ითვლებოდ საჭარის ღელემდინ, მაგრემ საკმაო მაღალი მთა კი იყვ. მზემაეთ ეს ახალგაზდები შაჭდეს საჭარის ღელეშია-დ ნახეს, რო ეეხლადაღა გამაუვლავ ცხენებს, ნამ გაუბერტყავა-დ სრუ ახალ კვალი ას. გაირბოლეს მთაი, ჩახენეს, რო ქვეოკე ახლოს ჩაუდის ცხენები იწროს ყურეში. აქ ძალიან ცუდ ჩასავალი ცხენებისადა-დ ცოდვა-ჭირით მიუდის, სხო გზა ქვე არ ას აქ. ამ ყურეზე უნდა ჩაავლიონა-დ ამ გზას სიცუდის გამო „საჭჩუანი“ ხქვიან. ნახეს თუ არ ქურდები, გადაუსხეს თოფები, წინ ბეჟიტათ ბაბუაის თოფ გავარდა-დ ერთ ღილღველ მაშივ პირქვ დაეფშვნიტ. გაიყარ მეორეების თოფებიცა-დ მეორე ღილღველიც ჩაიკეც. ბაბუაის ნასრევი მჭარში მახვედრიყვა-დ გულზე გაღვარდნიყვ. მეორისად ფეჭ გაეჭვრიტ საორცხალზე. მესამემაც გაანებ ცხენებს თავი. ცხენებ შამამთხვა-დ მთაზე შამაჭდ. მაიჭირესა-დ დააბეს. ცოცხალ ღილღველმ კოჭლა ღილღველიც გადაითრივა-დ კლდეში ჩასაფრდეს ქვენ. მკვდარ კი აქ დარჩ. ჩაიარეს მკვდარსთანა-დ ბეჟიტათ ბაბუაის ამხანიგთ უთხრეს მკვდარს ღილღველს: „უნცროსიმც ხარავ ბეჟიტათ ბაბუაისაივ, რო შარშავ მჭარ მასტეხეთავ“. ბეჟიტათ ბაბუამ სიცილ დაიწყ. ცოცხალი ორავ განა მკვდარივ, რას მწირავთავ ამ ღილღველსავ.

ნახეს რო ფეჭგაჭვრეტილს ღილღველს ჯღან წაუყრავა-დ გაუსრესავ სისხლიანი. სხო არა წამაიღეს, ეს სისხლიან ჯღან შააბეს ცხენს ყელზედა-დ წამავიდეს.

ნასრევმა ბაბუაისამ ტყვიამ გაიღა ძვალიო,
ამხანიგნ ჩამახვიოდეს: ბაბუაისდამც ხარიო,
ახლა ოქვენ ჭამეთ, ღილღვლებო, შარშ რო მასტეხეთ მჭარიო.
ბაბუას ეცინებიან, განთურა ვიყავ მკვდარიო.

დაბრუნდესა-დ წამაიყვანეს ცხენები, სამ ცხენ ყოფილიყვ მაპარული. სამ კაცს თითო ცხენ წამაეყვან. ცხენებ ნარღვევთგორისას ვერ ჩამაივლიდა-დ ტანიისას დაშჭირდ წამასვლა. ტანიეს ნასოფლარ ჩავიდესა-დ იქით ცხენებით ამღას მავიდეს, ეროს ცხენს სისხლიან ჯღანებ ყელზედ. ამ დროს ამღას საბეკურში დღეობა იყვა-დ

ერთიანა ამდიონნ იქ იყვნეს. პირდაპირ საბეკურისკარ მავიდეს ცხენებით. ამდიონთ რო მასულები ნახეს, გამაეგებ მთელ ხალხი, ხკითხეს ამბავი-დ მაულოცეს სახელი. ცხენების პატრონებმ მაიყვანეს საკლავი-დ ამ სამის ოშკაცის სამწყალობნოდ დაკლეს ჯვარში. ამდიონთ ჩხუტ დაუდვეს პატივად ლუდიანი-დ უმდერდეს საქებს სიმღერებს. მემრაც ბევრ სიმღერეებ უთხრეს, რომნებსაც ეეხლადაც იქავ მღერობენ ჯარზე.

ღილღოთ წამავლენ ქურდები, ძალს აკსენებენ ხთისასა.
ამდის კარავანს მახქადან, მადიან უგზოს გზისასა.
შიტუთ დაპარვას ამბობენ ნარჩევის ცხენებისასა.
გაუგეს მეკარავნეთა, ყარაულთ კარ-ცხენისათა.
ჭელს უშლის დამის სიბნელე, ვერ ხედვენ თოფის ლიშანსა.
ამდას წამასვლას ამბობენ, ამანდ გატეხას კმისასა.
სამნი საკარეს წავიდეს, სხვებ მიდის ჭალაისასა.
თვალის შაგდებას ამბობენ, შინისკე წასულთ მზირთადა.
საკარის მადალ თოფი ჭეხს, ჩამატეხნას ღგავ ცისასა.
ეგ ბეჟიტათა ბაბუა ვეფხვსა ღგავ სალის კლდისასა.
დახკივის, გაყურებიებთ კმას ჩემის კირიმისასა.
არ შაგარჩენდით ღილღველნო, შარშ ჩემდ მატეხას მკრისასა.
ეგ ბაბუკურთა თათარა რკინას ღგავ ფოლადისასა.
ჩამადვედრიდა სახელსა, ჭელთ მაგცემთ თქვენის ჭკვისასა!
კაებ მყონ ამხანიგები, არ დაგიფერებთ სხვისასა!
შე სირადაის გაზდილო, ტოტით გათხრევენ ქვიშასა!
ასთემურაის გაზდილო, გიმტვრევენ გულის ფიცარსა!
დაბრუნდეს ნასახელარნი, ცხენებ მაუდის გზისასა.
ამდას მავიდეს სოფლადა, სახელს ულოცვენ ცდისასა.

თათიათ ბაბოს ცხვრის გალალვა ღილღველთაგან

მიამბო და ჩამაწერინა გიორგი ჯაბუშანურმა,
ს. ახიელში, 56 წლისამ, 1939 წელს

ჩვენ აქ ბევრკან ვოქვით რო ტანიეს არხოტიონნი ზაფხულის თიბევდეს. იქ არვინ არ ცხოვრობს ზამთრამდინ. რაკი ეს ადგილი ღილღველთ ახლოს ასა-დ საშიში ღილღველთაგან კაცის მასაკლავად. როსაც თიბენ, მაშინაც ყარაულ უდგას ღილღველთ მასავალს გზაზედ. ზაფხულის თივას დაამზადებდესა-დ ზამთრის

აჭმევდესა ცხვარ-საქონს. სახლებიც საზამთროდ თბილები ხქონდ დაკეთებულები. თათიათ იონაის შვილთ, ბაბოსა-დ მიხიელს ბევრ ცხვარ ხყვანდა-დ ტანიეს დაუდიოდ. სხო რო არვინ წასულიყვ, ისენ მაინც წავიდოდეს ზამთრის, იმით, რო იქ ზაფხულის არაი ძოვდა-დ საზამთრო საძოვრად კეებ ბალახები რჩებოდ. ერთხან ორ-სამ კვამლ სხო იყვ ტანიეს ჩასული-დ იონაის შვილთ ხყვანდ იქ ცხვარი. ეს ზამთარი ისეთ მშრალოით წავიდ, რო თოვლ სულ არცრუ მასულ. ეხლა წელწადნ იყვნესა-დ არცრუ ნახულ თოვლის სიმსი.

წელწადში ბაბო ახიელ იყვ წამასული-დ მიხიელ ედგ ცხვარს. სწორად ამ ღამეს მივიდეს ღილღველები-დ დაუწყეს კარს ღება. უნდოდ რო ცხვარ გამაეყარა-დ გაელალ; მაგრამ მიხიელმ გაიგა-დ გამავიდ კარში, იმას ღილღვლებ არ ეგონნესა-დ ლანძღვა დეეწყ: ვინ იყვენითავ, ვინ მიღებდითავ კარსავ. ამ ამბავში, რა თქმა უნდ, რო ღილღველნი მაიმალებოდეს.

მიხიელს გაუჭდ საგონად, რო ვინ აღებსავ ეგივ ამ კარსაო-დ აღარ დაეძინ გონობაში. ღილღველთ კი რო ეგონ, ეხლა კი დაეძინებოდავ, იქავ მაუჭდეს კართ. მიხიელს არ ეძინ, იქავ გაუგავა-დ გამავარდ კარში წირვა-გინებით – რომენი ხარავ. ეს ღამე ესრ გაიარ. მეორეს დილას მიხიელ მალე წავიდ ახიელა-დ უამბ ბაბოს გუშინწუხრანდელ ამბავი. ბაბომ ვეჭ (ეჭვი) აიღ, რო ეგენივ ქურდებ იქნებიანავ. მენადირეი-დ მეთოფე კაციც იყვ ესი-დ გაუჯავრდ მიხიელს: რადარ თოფ დახკარივ კართავ, როსაც აღებდესავ, კარისად განავარდნ ტყვიაივ კაცსაც მახვდებოდავ. იმათავ წინმძღოლ ვინ ექნებოდავ აქაურიო-დ ღილღველ ქურდებ იქნებოდესავ. მემრ უთხრ: შენ არ იცივ, მტერს რაჭელ უნდავ დახვედრაივ. შენ აქ იყავიო-დ წუხრავ მე წაოლავ ტანიესა-დ იქ მავიდასავ ვისაც უნდაო-დ რაჭელიც წავავ, ე კაცნ გაიგებენავ. ამ დღეს დღეობაში იყვ, ლუდ[არაყიც სვა-დ საწუხროდ აისხ თოფ[იარაღი, წავიდ ტანიეს. მიმავალმ, სოფელში დაიწყ ძახილ, რო გუშინ წუხრავ მიხიელისადავ კარ ვისამ უღავავ, ეგეებივ ღილღვლებ იქნებოდესაო-დ აქაურ ვინ ექნებოდავ წინამძღვარივ. მიხიელმ არ იცისავ, მტრისად დახვედრა რაჭელ უნდავ. ეეხლად ბაბო მივავ იქავ. მე ვიცივ, რაიც უნდავ, ვისაც თავ მასწონსავ, ეეხლად მავიდასავ იქავ.

ბაბომ ამის ძახილით გაიარ სოფელი-დ მივიდ ტანიეს. გზაზე ჯღანნ დაუნაგაბრდეს, წუხრ აშალნ ჯღანნი, ერთ ჯღან კი გაბანდა-დ ისით ძილ დაეც, რო ვეღარცრაჭელ ვერ შაზძლ ძილის გამთხობაი. მემრ იფიქრ: ცოტა ხან ჩავიძინებავ, ჯერავ მალეიავ, აქ არვინ მავავ. მალედავ გამავიღვიძებაო-დ ამ ჯღანსაც მაშინ გავღბანდავავ. სკამზე წამაწვა-დ დაიძინ. ამ დროს მივიდეს ღილღვლები, ჩახენეს საკომშიითა-დ ნახეს ცეცხლის ცოტას სინათლეზე ბაბო სკამზედ ას წამაწოლილი-დ ხვრინავს. გააღეს ღილღვლებმ კარები-დ შავიდეს, გამაუშვეს ცხვარი. ცხვარ მანამ კარში არ გამავიდ, ერთ კაც ბაბოს ედგ ყარაულად, თუ გამაეღვიძავ, თოფ დავხკრათავ. მაგრემ ბაბოს ისრ ყინჩად ეძინ, რო ვერცრა ვერ გაიგ. გამალალეს ცხვარი,

გამაუქეჩესა-დ წამავიდეს ჭალა-ჭალა. გზა მშრალი იყვ, წყალ ცოტაი̆დ არცრამ არ შაუშალ ხელი. გათენებისად ცხვარი ნეთხას მაასხეს. ბაბოს კარგა მაგრა ეძინ, რო გამაეღვიძ, გამახენა-დ ნახ კარებ მღეები, ადარც ცხვარი, გამოუყრავა-დ გაულალავ. ერთ სხვა ახალგაზდა იყვ იქ კიდევ, გააგებივ ბაბომ იმასაცა-დ გაუდგეს ღამით მდევრად ბაბოი-დ ჩაჩური (ბაბოს მეტსახელად კანჯარუა ერქვა).

ბაბოვ, რა გიყვეს ღილღველთა, ცხვრის ფარა გაგილალესა?
მთხლად დაგიღესა კარები, არც კედი დააჩქამესა,
გზაში რას დაეწეოდი, ვერ გაგიგავის მალედა,
ჩაჩურმა, კანჯარუამა არ მაუცადეს მთვარესა.
მდევრად წასულებ ვაჟები ბნელს გაივლიან ღამესა,
არხოტის ჭალას ჩადიან, ჩადიან, ჩაახანესა;
ნეთხას ჩავიდეს სოფლადა, არ დაგვიანდეს, მალედა.
მაჯლიგაისას შავიდეს, ნადუღარ ფაფა ჭამესა.
მანამ გამავლენ კარშია, ღილღვლებმ ცხვარ მააფარესა.
დაგიბალითნეს, ვაჟებო, მაგისტუმრებენთ ცალეთა.

არხოტის ჭალა ღამით ჩაიარეს დაქცეულთ, მაგრემ ცხვარს ვეღარ დაეწივნეს. ხოლოთ ნეთხას ბევრით კი არ მიასწვრ ცხვარმ. მიხყვეს კვალსა̆დ ნეთხას მივიდეს მზემაეთ (მზის ამოსვლის დროს). ცხვარ სოფელს ცოტაად გაცილებულ იყვ. თუ გადახყოლიყვნეს, იქავ დახჭელევდეს. მისულებს მეეგებ მთელი სოფელი, კაცი დიაცი, დაუწყეს მშვიდობა-ამბვის კითხვაი-დ გაუბეს თავისებურად ბევრ საუბარი. ამ სოფელს ყველას ნანახვ კი ხყვანდ, რო ცხვარ აქ იყვ მისული, კვალიც აქ მიიღეს, მაგრემ ღილღვლები მაინც უარს ეუბნებოდეს, აქ ცხვარ არ მასულავ.

წამეედითავ, უთხრ მაჯლიგამ, – პური ჭამეთავ. ჯერ კი იუარეს, მაგრემ ძალიან შიოდა-დ გახყვეს შინ. მემრ გამაოლთაო-დ დავზძევთავ ცხვარსავ, იფიქრეს.

მაჯლიგასთან რო შავიდეს, მაშინ დახკიდეს საფაფე წყალი, ძალიან გააგძელეს იმის დუღება. არ დაუგზეს დიდ ცეცხლი ქვაბსა-დ მალე არ ადუღეს ფაფა. ახლა ჭამაში გაუბეს საუბარი-დ დააგვიანეს. ესენ რო აქ ისხდენ, ღილღვლებმ ამ დროს დაადვეს ცხვარს ჯოხი-დ გადაღუპეს იქით. მემრ გამავიდეს ჩაჩური-დ ბაბოი; ვეღარც კვალ გაიგესა-დ ვეღარც ცხვარ დაჭელეს. გამაეშვ ღილღვლებს თავის სოფლის ცხვარი, გაელალ ზედ იმათ ცხვრის კვალზედა-დ იმით შაურიეს კვალიცა-დ დაიკარგ მთელ ცხვრის ფარა.

კაგა ნაროზაული

მიამბო გ. ჯაბუშანურმა, 56 წლისამ, ს. ახიელში, 1939 წელს

კაგაიც ძალიან მენადირეი-დ თოფოსნობით სახელგათქმულ კაც იყვ არხოტ. ერთ გძელ თოფ-ი ხქონდ ერაჯიბი. ქართულ თოფ იყვა-დ განსაკუთრებულ რაიმ ჯიშ თოფ იყვ. ორს სრევას წამალს იყრიდ, ორის ტყვიისოდენ ტყვია უნდოდა-დ სიგძითაც ორს თოფთ უდრიდ. კაგა თაოდაც ძალიან ტანიან კაც იყვ, რო ყველას უკვირდ: ამსიდიდო კაცივ სანადირო კლდეებში რაჭელ დავავ. საქმეს ბევრად არ აკეთებდ, სრუ სანადიროს კლდეში იჯდა-დ ხოცდ ჯიხვებს. კაგას ვაუ ქვე არ ხყვანდა-დ, ხუთ-ექვს ქალი ხყვანდ. ხანდიხან კაგამ ქალებ წაიყვანის ნანადირევის მასატანად, რაიც არხოტ წეს არ იყვ, დიაცის სანადიროში სიარული. მაიტანანავ – თქვის კაგამ, მაკლულის ჯიხვის ჭორც მაინცავ ხო უნდა ჭამანავო-დ რა უნდავ.

ესეთ უსაქმურ კაც რაკი იყვ კაგა, საქონის საჭმელი სრუ ნიადე უთავდებოდის (სრუ ნიადე: მუდამ). იმის გულისად ტანიეს თიბდისა-დ ათიბიებდის ქალებსაც. ხანდიხან ძალიან მტრიანობა იყვისა-დ კაგაის მეტ ტანიეს ვერვინ წავიდის სათიბლად. ის კი ტანიესაც თიბდა-დ, რახან იქაც გაუთავდის, გაზაფხულის პირთ ამჟორიტესაც ჩალალის საქონი (ამჟორიტე: ეს არის ის ადგილი, სადაც ზაფხულობით დადის. ღილღვლების სამძღვართან ძალიან ახლოა და საშიში არის იმათგან. გაზაფხულის ხანზე კი ძალიან გაჭირვებულმა ხალხმა იცოდა ძროხების ჩარეკა, რადგან აქ ძველი ბალახიც იყო და ახალიც ადრე მოდიოდა, რადგან ბარი ადგილი იყო). ერთ წელს კაგას ტანიესაც ხქონდ ნათიბი-დ ერთს დღეს ამჟორიტესაც ეთიბა-დ შაენახ თივა საგაზაფხულოდ. ზამთრის ტანიეს ჩალალა-დ იქ დაკვებ საქონი, წელწდიდგეს ამჟორიტეს ჩალალა-დ იქ აძოებდ. საქონის საყურებლად ხო კაგაის ქალებ იყვნეს აქა-დ დღისით ხან ბუნაგს აკეთებდ ცაცხვის ხისასა-დ ხან სანადიროდ დავიდოდ. ერთხან კაგაის ქალები საჯეროს მისატანად წავიდეს ახიელად კაგა მარტო დარჩ საქონთან. აქ ძალიან საშიშ კი იყვ ღილღველოგან საქონის გასალალავად, მაგრემ კაგა ძალიან მძიმეი-დ უშიშარ კაც იყვა-დ არ მთხილობდ ძალიან. ერთს წუხრას კაგა დაწოლილ იყვა-დ ცეცხლიც დამქრალი ხქონდ; დაძინებულ კი არ ხქონდ, რო კართ ვინამ დაუწყ ბძოლა გასაღებლად. კაგამ სრუ არ იფიქრ, თუ ესეებ ღილღვლებ იქნებოდესა-დ უძახ ნაწოლმ: რომენი ხარავ, რას ებძვივ მა კართავ. კაგაის ჭმა რო გაიგონეს, დაიქცნეს ღილღვლები. გაქცეულების ფეჭის ჭმა კაგამაც გაიგონ. გამავიდ კარში, გამახენა-დ არცად ვინაღ იყვ აქ. მაშინ მიხვდ კაგა, რო ესეებ ღილღვლები იქნებოდა-დ არცაღ დაუძინებავ ყარაულობას. მთელ ღამეს ეღვიძა-დ ჯავრ მაზდიოდ თავის თავზე, რაად უძახეო-დ დავამთხილევ, ეხლადავ ღილღველ მექნებოდავ მაკლულიო-დ სახელიან ვიქნებოდივ, რო არ მეძახავ. მეორეს ღამეს ცეცხლ კი მალე გააქრ კაგამა-დ არ დაიძინ კი მალედ, ყარაულობდ შუაღამემდინ;

არც ღილღვლებ მივიდეს, რაკი იცოდეს რო გამთხილებული ასავო-დ ყარაულობას დაიწყებსავ. იმათ იცოდეს ყარაულს რასაც დროს ზძინავა-დ სწორად იმ დროს მივიდეს, რო კაგა ძილს ვეღარ მაღრევიყვა-დ დაზძინებიყვ. გააღეს ღილღვლებმ კარი, გამაუყარეს საქონი-დ გალალეს. კაგას მალედავ გამაეღვიძ, გადახენ საქონთა-დ არ იბადების ჭაჭანი. კაგამ თქო: ამაგით იციანავ, ძილივ ოშკაცის ქმარიავ. მაავლ თოფს ჭელი-დ გამაუდგ ღილღვლებს. ვერცარა ბევრ გზა იმათ გეევლ, მალედავ წამაეწივა-დ ნახ, რო მიუდის საქონი. ესრივ კაგამ, ტყვია ღილღვლებსთან არ მივიდ, რაკი ლიშან არ ჩინდ. ისენიც გზადაგზა თოფევდეს, მაგრემ კაგამ მანამ მიზდივა-დ აჭალ თოფ, მანამ არ დაიქცნესა-დ არ დაწირეს კაგაის საქონი. ამალალ კაგამ თავის საქონი-დ ღილღველნ ცალენ გაუშვნ. ტყვია კი არც იმათ მახვდა-დ არც კაგას, რაკი თოფებს ვერ ღლიშნებდეს სიბნელით ეროუცს.

მიკვირხარ, ჭალას მთიბელო, რამ მაგაცდინა ჭკვიანი!
დაგბევრებივა საქონი, აღარ გიკვებენ თივანი.
ჩაღლალენ ამჟორიტესა, ბარიᲜს სათიბიანი.
„თუ თივა გამითავდების, სანეკროია ტყიანი“.
დაგძინებიყვა, კაგაო, ვითამ ჯიჭვი ხარ რქიანი;
გამაგიყარეს საქონი, გამახყევ ბოროტიანი.
ბრალია ერაჯიბისად, ლიშან არ ჩინდა ტიალი;
სულეთში არ შაჩინა ურჯულო, დოლბანდიანი.
მეშვიდმეტე რო ესრიე, ღილღვლებმ გაიღეს გრიალი.
ბევრკან კი ხყრიან, კაგაო, მაგ ერაჯიბის ტყვიანი.
დააწირვიენ ძროხანი, გაუშვენ პიროფლიანნი.
სალექსოდ გამამიტანე, რაისაც გვქონდა პირობა,
თორე აისეთს ლექსს გეტყვი, ღამით მძინარიც სტირდა.

ღილღველ–არხოტიონთ ყრილობა ზავზე

ჩამაწერინა გიორგი ჯაბუშანურმა,
56 წლისამ, სოფ. ახიელში, 1939 წელს

ღილღველ – არხოტიონთ ბევრჯელ ხქონდ საუბარი შარიგებაზე. ბევრჯელ ზავიც უქნავ, ერთᲜორს წელს კი გაგძელებულ ზავი-დ იქავ აშლილ. ან სისხლს ვინ აიღებდ, ან მაიპარევდ რას ვინა-დ დაიშლებოდ ზავიც. ერთხან გაგათ გიორგა რო ტანიეს დადგ ღილღველთ ნაფარეხლებში, მაშინ ღილღვლებ ახმტერდეს – ჩვენს ალაგში რად დაზდეგივ. გიორგიმ დაიბარ ეს ღილღვლები, შასარიგებლად

ჭარ დაუკლ, უდუღ ჭორცი-დ კარგად დაუხვდ. ჭამაში ერთ ღილღველმ უთხრ გაგათ გიორგას: ეს ჭარის ჭორცივ მანამ ყელში გვიდგასავ, კი გვაჭსონსაო-დ კა გულიც გოქვავ შენზედავ. ლუკმა რო ყელს ჩასცილდებისავ კი, დაგვცილდებისაო-დ ჩვენაო-დ თქვენავ, აისეთებივ ვიქნებითავ. ჩვენს შუაშიავ სისხლის ტბაი დგასავ გაუშრობელივ. მართლადაც ჭარის დაკვლის მეორეს წელს ღილღვლებმ დახკრეს თოფი-დ ტანიეს მაკლეს გაგათ გიორგა.

ესეთი ჩვენი-დ ღილღველთ შარიგება, მაგრემ ერთხან კიდევ ცადეს ზავის ქნა. ერთ ღილღველი ნეთხელი ხნიერ კაც დავიდოდ ღილღველ-არხოტიონთ შასარიგებლად. ამ კაცს მაჯლიგა ექვივნა-დ კაცკითხულ კაც იყვ ღილღოს. მაჯლიგამ ბევრ იარა-დ ბოლოს დაითანხმ ღილღვლებიცა-დ არხოტივნებიც რჯულზე. პირობა დადვ, რო ღილღველნიცა-დ არხოტიონნიც უნდა შაყრილიყვნეს ტერღისკარ ღილღველ-არხოტიონთ სასწოროს ალაგში, სამძღვრის ახლოს. ღილღველთა-დ არხოტიონთ უნდა აერჩივ რჯულის კაცები ღილღველებიცა-დ არხოტივნებიც. რჯულის კაცები იქნებოდეს უფრო ხნიერი-დ მაცოდარ ხალხი. მემრ წილს უყრიდესა-დ ვისაც წინწინ ერგებოდ ჩივილი, ღილღველთა თუ არხოტიონთ, წინწინ ის მჭარე იჩივლებდ. ჩივილის ნება ყველას ხქონდ, მაგრემ საჩივარში საერთო საქმე უნდა ეჩივლ. მარტო თავის საკუთარ საქმეზე არვის აჩივლებდეს. თუ საკუთარს საქმეზე ვის დეეწყ ჩივილი, მე ის მამიკალითავ, მე ის მაზარალეთავ, ამ საუბრისად ბოლოს საერთო საქმეიც უნდა მაეყოლ.

ეროს დალიშნულს დღეს დაიწყ მადენა ღილღველ ხალხმაცა-დ არხოტივნებმაც. ტერღისკარ ერთ ცოტა ველი ასა-დ ეროს მჭარეზე ღილღველთ დააგზეს ცეცხლები, მეორეზე არხოტიონთ. იმოვენ ხალხ იყვ, რო სრუ სამი-ოთხკან ეგზ ცეცხლი. გიორგობის თვე იყვ მაშინა-დ მთებში აგრილებულ იყვ. აქ ფიჭვის ხეების ნალეწი ხყრავა-დ ისით ცეცხლებ დააგზეს, რო ალი ცას მიდიოდ. სრუ გატყერებულ იყვ ტერღის კარი ღამითაც.

ხალხი-დ კაცშუაკაც რო მავიდ, ღილღვლებმაცა-დ არხოტივნებმაც ცხვრებივ, თხებ მაასხეს. ქვაბებიც მაიტანეს, დაჭოცეს საკლავები, ადუღეს ჭორცი-დ ეროუცს ხპატიჯებდეს ჭორცის საჭმელად. ღილღველნი ქრისტიანის ჭელით დაკლულის საკლავის ჭორცს არ ჭამდესა-დ იმის გულისად, რო ღილღვლებივ უნდა დავხპატიჯავ, არხოტივნებმ თავის საკლავებიც ღილღვლებს დააჭოციეს. ჭორცმ რო იდუღ, ახალგაზდეებ სრუ ფეჭზე იდგა-დ ხნიერ ხალხ ქვე დასხესა-დ მაართვეს პური. ხნიერმ ხალხმ რო პური ჭამ, მემრ ახალგაზდეებმაც ჭამეს პური. მემრ დასხდ კაცშუაკაცი-დ გაიმართ ჩივილი.

წინწინ ღილღველთ ერგ ჩივილი-დ ჭეგაისშვილ მავიდ კაცშუაკაცსთან სასაუბროდ (კაცშუაკაცსთან მარტო მაჩივარ კაც მავიდოდ, სხო ხალხ შორს იყვ იმათანით). ჭეგაიშვილმ დაიწყ საუბარი ძველისძველ მამ-პაპათ ამბეებით,

ვინ ვის მაუკლავ, მემრ სამაგიერო სისხლ ვის აუღავა-დ ვინ დამრჩალ უძებარი. ვის მაუკლავ მამკლავი-დ, ვის ალალ-მართალი, უდანაშაულო კაცი. როს ქნილ ზავი-დ ვის აუშლავ მემრ ეს ზავი. ბოლოს იანგარიშ ერთიმეორის ჭელით მაკლულ არხოტივნები-დ ღილღველ მეტ გამაიყვან მამკვდარი არხოტიონ მკვდრებზე. ზავის აშლაიც არხოტივნებს მაახვივ თავზედა-დ დამნაშავის მაგივრად უდანაშაულოს კაცის მაკვლა ხო არხოტივნებისგან მეტ გამაიყვან. ისეთის კაცის მაკვლა, რო მამკლავის გვარეულ მაინც არ ყოფილიყოს, ეესეთა ღილღვლებისგან ცოტა მაჭელ. ბოლოს თავისავ ჩივილს დაუმატ, რო არხოტიონ ხალხმავ რო კვამლზედა სამ'სამ ცხვარი ზღასავ, მაშინ ძლივ გასწორდებისავ ღილღველ-არხოტიონთ საქმეივ, თუ არა და ხალხის გულ არ გაიწმინდებისაო-დ ეს ზავივ იქავ ჩაიშლებისავ. ზავს რო ვიქთავ, თუ ეს პირობა შასრულდებისავ, მაშინ წინდიც უნდა მივსცათავ ერთუცსავ (წინდი: წარმომადგენელი, რომელიც ერთი არხოტიონი ღილღოს იცხოვრებდა და ერთი ღილღველი არხოტ, ეს კაცები იქნებოდნენ ძლიერი გვარიდან და ეს გვარი იყო პასუხისმგებელი, არხოტიონი ღილღველთ წინაშე და ღილღველი არხოტიონთ წინაშე რაიმე უწესო საქმის მოხდომისათვის). მემრავ ეს წინდიო-დ ამის გვარი იქნებიანავ პასუხისმგებლივ მეორე მჭარის ხალხთანავ; თუ არა, არა გამავავ ამ ჩვენი საუბრითავ.

მივიდა ჭეგაიშვილი, ძაღლივით იღერღებისა;
საკვირლა მაგრად იჩივლა: ჭარი რო ჭარსა ხვდებისა.

ჭეგაიშვილმ რო საჩივარ გაათავ, ახლა არხოტიონ უფროს კაც გამავიდ საჩივრად. ფილიპე (ფიცხელა) ნაროზაული. არც ეს იყვ ჭეგაიშვილზე ნაკლებ მაუბარ, მაგრემ ჭეგაიშვილმ ზოგ ამბვები ისითი თქო, რო ფიცხელას სათქმელი შასაქცევ აღარაი ხქონდ. უფრო ალალ-მართალის ხალხის ჭოცაზე არხოტიონთგან. ხოლოთ ფიცხელამ ძველ ამბავი იჩივლ, რო ღილღველნივ ლაშქრად გვეცემოდესავ. მარტო ეროს დამესავ სამოც მაუკლავავ ამდიონიო-დ ეხლა იმათ ჩამომავლობა რამთვენ გვაკლავავ. ჩვენგან კი არავ, ღილღველთგან გვერგებისავ სამ'სამ ცხვარიო-დ მეტიცავ. კარში გამასავალ აღარ გოქვავ თქვენგანავ, ან რას გაგიჭდებითავ სამოც კვამლივ ამთვენს ღილღველსავ. ძალმამრეობას ხჭმარობთაო-დ რაჭელაც გწადისთავ, ისრ აბრუნებთავ საქმესავ, კარი გაქვთავ ჩვენდავ შაკრულივ.

ფილიპე ნაროზაული წითელს გველივით შქენდისა.

მემრ ფიცხელაის ჩივილზე მაჯლიგა გამავიდა-დ იმან იჩივლ: მართალიავ, ჩვენ მამა-პაპანივ ლაშქრად ეცემოდესავ, მაგრემ ბევრ ხეირ არც თაოდ დაეყარავ იმ

ლაშქარსავ. ერთხანავ ჯუთით გადმაყრილს ლაშქარს გაშჭრესავ ახიელის ძირავ თავივ, დაბალითებით იარადაყრილს ხალხსავ. მეორედ: წელწადში რო დაეცნესავ ამდასავ, ის ლაშქარიც სრუ გაუწყვეტავ სიცივესაო-დ არხოტივნებსავ. ღილღველთ რამთვენ ჩამამავლობა გვაკლავავ იმათაივ. ჭეგაიშვილმავ სამ-სამ ცხვარივ ტყუილად თქოევ, ჩვენ მეტ ზარალი გოქვავ ღილღველთავ არხოტიონთგანავ კაციოთაცაო-დ საქონითაცავ.

მაჯლიგა დაითრებოდა, ყორნის სულ არ გაძღებისა;
სრუ ჩვენ ვერ ვაჭმევთ ღილღვლებსა, ვითასაც მაშივდებისა.

მაჯლიგაის ჩივილიდგეს მარაიზძეთ თოთა გამავიდ არხოტიონი-დ ამან იჩივლ. ამანაც თავის საჩივრის ბოლოს თქო, რო მაჯლიგა რო ჩივისავ, არხოტიონთავ ღილღვლის ლაშქარ აზარალესავ ორჯელავ, ერთი ხკითხეთავ მაჯლიგასავ, ის ლაშქარივ ჩვენ დავიბარეთაევ, თუ თაოდ მავიდავ ჩვენ გასანადგურებლადავ. ის ლაშქარივ ჩვენ მამა-პაპათ კი არ აზარალესავ, ჩვენ მამ-პაპანიცაოდ ძალმამრეობითავ ჩვენავ ღილღველთაგან ორთავ ამ დღეშიავ, რო არც გზა სად გოქვაო-დ, არც მასვენებაივ, თორე მაგათ კვალად რო სხო ხალხი ცხოვრობდასავ, ძაუგში სასიარულო გზა მაინც თავისუფალ გვექნებოდავ. ეეხლა ქვე არ გვიშობენავ გზაზედავ. რაც არხოტ ხალხ დასახლებულავ, ჩვენ მაგათგან ორთავ დაჩაგრულნივ, თორე ახლა კაციც მეტ გვექნებოდაო-დ საქონიცავ. ჩვენგან ერგების კი არავ, იმათგან გვერგებისავ საქონის მაცემაივ, თუ ეს რიგიან რჯულ იქნებისავ.

ესეთი საუბრით ბევრ გამავიდ ღილღველიცა-დ არხოტიონიც. ყველამ თავ[თავისა იჩივლა-დ შუაკაცებიც ყურობდეს. მწერლად იჯდ სისკარათ იონეური, ახიელელი, რასაც ვინ იჩივლებდა-დ ის ქვე სწერდ ყველას ქაღალდში.

სისკარათ ივანეური რუსულად რასამ სწერდისა.

აქ რო რჯულ იყვა-დ საჩივარ გაჴურებული, ერთ სთვლის ღამე თეორად გათენდა-დ მეორეს დილას ამდით ბაბუჴურთ თათარა მავიდ შაიარაღებული. იმან თქო რო ჩვენი-დ ღილღველთ შარიგებაივ უბრალოი ასავ, ტყუილად სწვალობთავ, ჩვენა-დ ეგენ ვერ შავრიგდებითავ; აქავ ფარეშაისშვილ იქნებისავ მასულივ, თქვენ გაღრიდეთავ როგორაო-დ მე ის უნდა მავკლავ, თორე მაგას ჴელჩი ვეღაროს ჩავიგდებაო-დ ძალიან ჯავრი მჭირსავ მაგისაივ.

ფარეშაიშვილი ახვათ ბეწინაის მამკლავიც იყვა-დ სხოდაც ბევრის უფრის ჩამდენი არხოტ. ამის ჯავრი ყველა არხოტიონს შჭირდ. ეს თათარაიც კი არ უყვარდ ღილღვლებს, ესიც იყვ ორის ღილღვლის მაკვლაში ნატანები-დ ძალიან

მაგარ მტრებ იყვნეს ესეები ერომანეცისები. თათარა არ გაუშვეს, უთხრეს: კაცო ხო ხედავ რამოვენ ურჯულოი ასავ მასულივ; ესეებივ ფეჭით არ გაგვიშობენავ არც ერთსავ, აქ თოფ არ დასცალაო-დ ეს ხალხ დააღუპვივავ. ამ საუბარზე თათარა ცოტა ხანს კი დადგა-დ მემრ გაიპარ ფიჭვიანებში, იქით ფარეშაის შვილის სათოფავად. ნახეს რო თათარა აღარცად ას, გაიქცნეს, დაძიესა-დ ფიჭვიანში მაჭელეს, მემრ კიდე გაუჯავრდეს, ეს ხალხ არ დააღუპვივაო-დ წამაიყვანეს იქავ ხალხში. ამ დროს ფარეშაიშვილიც ღილღველ ხალხში იჯდა-დ დვირბინით სრუ პირშედმ შამახედევდ არხოტიონ ხალხს.

გაღმიდან ფარეშათ ოსი დვირბინით იცქირებისა,
ამ დროს თათარა მავიდა, აივსა ჯიბგირებითა.
ვაბრუნებთ, ადარ ბრუნდების, გაღმისკე იზიდებისა.
ჭელჩი ბერდენკა უჭერავ, არ ვიცით, რა იქნებისა.
ვიძიეთ, ვეღარ მავჭელეთ, ფიჭვის ძირებში ძვრებისა.

ამ დროს აქვე იყვნენ თავის საკუთარს საქმეზე მაფიქრალ ხალხიც, რომნებიც მარტო თავის საკუთარ საქმეზე ფიქრობდეს, არას აჯავრებდ საერთო საქმე. ზოგს საყიდ რაი ხქონდ, ზოგს გასაყიდი, ზოგს ნაქურდლის გაცვლა უნდოდ. ესეთებ იყვნეს უფრო ქურდები. მაგ: კვირიწმიდელთ ბეწინაიშვილთ ბაბუასად ბეწიკას ცხენი ხყვანდ კახეთით მაპარული-დ ღილღვლებში წამაეყვან გასაცვლელად. ავაჭრიდეს ამ ცხენს ღილღვლებს, ხან უცვლიდეს, ხან არბოლებდეს, როგორ რბოლა იცისავ. ხან ღილღველ შაჯდის ზედ დასაცდელად, ხან ბეწინაის შვილნ შასხდიანა-დ არბოლებდიან რიგ-რიგობით. აწონებდეს ცხენს ღილღვლებს, აგებ როგორ გავსცვალათავ ნაქურდალზე მაინცავ, რო კახეთავ გზაი ხქონდასავ, ღილღოს უფრო არაად დავდითაო-დ აქაურ ნაქურდალს ცხენს ვიყონიებთავ.

შუაში ბეწინაშვილი მაპარულს ცხენსა სცემდისა;
ხანდიხან გააქცივიან, ჭრილ კარგად გაითვლებისა,
ერთ ძმა რო დაიღალების, მეორე გადაჯდებისა.
მაგოდენ ინაბარშია კახეთურა კი კვდებისა.
მაგათ მტერ არას აჯავრებს, თუ საით გაიცვლებისა.

ამ ერთმ ღამემ გაიარა-დ ჩივილ ძლივ მათავდ. მეორეს დღეს ახლა რჯულის კაცების საუბარი-დ ბძოლა იყვ. ღილღველნი მაითხოვდეს კაცის თავ-სისხლს, რამოვენსაც მეტს კაცს ანგარიშობდეს არხოტიონთგან მაკლულს. არხოტიონ რჯულის¬კაცები ქვე არ სთანხმდებოდეს ამაში, დიდის საუბრიდგე, არხოტიონთ გასაღებ გადასწყვიტეს ღილღველთ სასარგებლოდ – კვამლზე სამ-სამ ცხვარი.

რჯულის წესი ას, რო გარჯულვილს მაშივ არ გამაუცხადებენ. მტრებსავ, ან ეროს არ მაეწონებისაო-დ ან მეორესავ. საუბარ მახჭდებისაო-დ იშუღლებენავ. როსაც მტრები შინ-შინ წავლ-წამავლენ, ნარჯულავს მაშინ გამაუცხადებენა-დ, თუ რომენიმ არ დაჟჯერდების ნარჯულავს, მაშინ ეროუცს მაინც ვეღარცაით რას ეტყვიანა-დ არ იშუღლებენ, რო მემრ რჯულის კაცებ არ გაჭდან შუღლის მიზეზი.

ეხლადაც ღილღველ-არხოტიონთ რჯულის კაცებმ აქ არ გამააცხადეს ნარჯულავი. ეროუცს უთხრეს, რო თავ-თავის სოფელში გამავაცხადათაო-დ თუ არხოტიონნივ ყაბულს გაჭდესავ, შაგატყობიებთავ, თუ ყაბულს არ გაჭდესავ, აღარვინ მაოლთაო-დ იმით გაიგებთავ.

ეს ნარჯულავი აქ ვერვინ გაიგ, გამაემშვიდობნეს ეროუცსა-დ წავიდ-წამავიდეს. ღილღველთ რჯულის კაცებმ ღილღოს გამაუცხადეს ნარჯულავი-დ ღილღველთ არ დაიწუნეს რჯულის ნათქვამ, რაკი ხალხი თაოდაც ამას თხოულობდ.

არხოტიონთ რჯულის კაცებმ რო გამააცხადეს კი, არხოტივნები ძალიან ნაწყენებ დარჩეს, ეროს თიკანს არ მივსცემავ ღილღველთავ, სამს ცხვარს კი არავ, თითოითო არხოტიონმ თქვის. საბოლოოდ ჩაიარ უბრალოდ ამოვენ ხალხის წვალებამ, ვერ შასთანხმდეს ღილღველ-არხოტივნები-დ დარჩეს შაურიგებლად.

ამ რჯულში დამსწრომ ნისლაურთ მინდიამ ლექსიც თქო ამ რჯულზე:

დავჯე, გონობა დავიწყი, ხანია ლექსის ბეჭდვისა.
ნათქვამ ლექს იანვარშია ნიადეგ არ მასცდებისა.
გავღმართე დავითთეული, თუ წინა გამიტყდებისა,
ღილღვლებსა-დ არხოტივნებსა ლექსებს ვინ ეუბნებისა.
კიდევ გამასთქომს მერცხალი, როსაც კი დაითვრებისა.
ღღისთაოდ დავა მაჯლიგა, ყორნის სულ არ გაძღებისა,
ჩვენ ხო ვერ ვაჭმევთ, ნეთხელნო, ვითასაც მაგ შივდებისთა.
წავედით კაცშუაკაცი, იქ რო ტერღის კარს ვეტყვითა,
ბევრი მავიდა ღილღვლები, ცახ-ცახ გახქონდა ყბებისა (ყბები: წვერები),
სამ-სამკან ცეცხლი დავაგზით, თხებიც დავჭოცეთ, ცხვრებიცა.
გიორგიობის ღამეი სრუ თეთრად გათენდებისა.
ღილღველი ჭეგაისშვილი ძაღლივით იღერღებისა,
საკვირლა მაგრად იჩივლა, ჭარი რო ჭარსა ხვდებისა,
ფიცხელა ნარიზაული წითელს გველივით შქენდისა.
სისკარათ ივანეური რუსულად რასამ სწერდისა.
სამ-სამ ცხვარ გადაუწყვეტავ, მიმცემ ვინ იყვა ეროისა,
მე კი შავს თიკანს არ ვაძლევ, ზოგებ მკვდართ იწირებისა.
გაღმიდან ფარეშაშვილი დვირბინით იცქირებისა,

ახლა თათარა მავიდა, აივსა ჯიბგირებითა.
ვაბრუნებთ, აღარ ბრუნდების, გაღმისკენ იზიდებისა.
ჭელჩი ბერდენკა უჭერავ, არ ვიცით, რა იქნებისა.
ვიძიეთ, ვეღარ მავჭელით, ფიჭვის ძირებში ძვრებისა.
შუაში ბეწინაშვილი მაპარულს ცხენსა სცემდესა.
ხანდიხან გააქცივიან, ჭრილ კარგად დაითვლებისა.
ერთ ძმა რო დაიღალების, მეორე გადაჯდებისა,
მაგოდენს ანაბარშია კახეთურა კი კვდებისა.
მაგათ მტერ არას აჯავრებს, თუ საით გაიცვლებისა.
გამაგრდით, არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა.
ვინაც მაკვდების, დავღმარხათ, სხო კიდე გაიზდებისა,
ჭმა შორად გაგივარდებისთ, მტერ მაგით დაშინდებისა.
აბეჩავ, არხოტივნებო, მაგარს პირზე კი ზდგებითა!
ჭალაზე ქავი გივლევავთ, ქორი ვერ გადახტებისა,
შიგა სხავ მეთოფეები, ბერდენკაები ტყვრებისა.
თუ სად მავიდა ლაშქარი, სრუ მზორით აივსებისა.
მივსწერათ ჭემწიფიანთა, თოფებიც გვინდა, ჭმლებიცა.
სისხლის წყალმ უნდა წაიღას ჭიდებიცა და გზებიცა.
ოჟო, დადეგით ღილღველნო, თორ კიდევ იტირებდითა,
გაზაფხულინდელ დაგცილდათ, სოფელ აავსით მკვდრებითა,
მაგის მეტს აღარ გიამბობთ, ეგ თქვენის გამარჯვებისა.

ეესრ არხოტ რო დაბრუნდესა-დ ნარჯულავის გამაცხადებაზე უარ რო თქო ხალხმ, რა თქმა უნდ ეს ღილღველთაც გაიგესა-დ ძალიან ნაწყენებ დარჩეს. აღარცაღ თაოდ დადიოდესა-დ არც არხოტივნებს აძლევდეს მასვენებას. სამზირლად სიარულიც დაიწყ ჭირის პატრონებმ, რაკი შარიგება არ მახჭდ.

ხოხორა

ჩამაწერინა ბეწიკა წიკლაურმა გიორგის ძემ,
ს. ამღა, 69 წლისამ, 1941 წელს

ხოხორა იყვ მშაველ მემცხვარეი სოფელ უძილაურთაში მცხოვრები. ეს ფშავშიაცა-დ ჭევსურეთაც ძალიან სახელიან კაც იყვ. იმის ცხვარ-ბინას ბევრჯელ დასცემიონ შირაქში თათრები, ქისტები მთაში, საძოვრებზე, მაგრემ ვერვის რა წაუღავ ჭირის მეტი იმის ბინაზეით. ხოხორამ ერთხან ტანიეს გადალალ თავის ცხვრის ფარები ზაფხულში. აქ არხოტივნებისგან იქირავ მთაი-დ აძოებდ. ღილღველთ შიშით აქ ცხვარ ვერვის გადაუდიოდ, ხოხორამ კი შიშ სრუ არ იცოდა-დ იმით გადადიოდ ტანიეს. ცხვარს დააყენებდ ბინაშია-დ ღამით გავიდოდ თაოდა-დ ცხვარსთანით შორს ჩასაფრდებოდა-დ ყარაულობდ მთელს ღამეს.

ერთს ღამეს ხოხორამ შალიშნ, რო მტერ სადამ იყვ იმის ცხვარსთან ახლოს მასული. ძაღლები ეტანებოდესა-დ აჭმევდესა-დ აჩუმებდეს. ხოხორამ იქისკენ მაი-მარჯვ თოფი, სადაც ძაღლები ხყეფდ. ამ დროს გამაჩინდ შამბებშიით ოთხ კაცი-დ წავიდ ცხვრისკე. როსაც ერთად შაქუჩდეს მაუბრუნ ხოხორამ თოფი უჩინს ღამეში, თოფ კი მიუჭირ იქისკესა-დ დასხლიტ. თოფ რო გავარდ, გახყვეს ღილღვლის კივილნიც. ეს ღილღველ სასიკვდილოდ დაიჭრა-დ ამხანიგებმ არ გაწირეს, შაუსხდეს მჭარს, აიყვანესა-დ მაღლა თბილწყალთ საბინაოში გაწირეს.

მეორეს დილას სისხლის კვალს ახყვესა-დ ცხვრის სათავეში მაჭელეს მკვდარი. წამაწოლილიყვაო-დ მკვდარსაც ისრ დაშჩომიყვავ თვალებივ, რო იქავ ცხვარს ჩამახედებვდავ. ამის მემრ კი ახყარა-დ გადალალ ხოხორამაც ცხვარი, თორე ღილღველნი მასვენებას არ მისცემდეს.

ღილღველი ბათირი

ჩამაწერინა ბაიჭაურ ცისკარაულმა,
58 წლისამ, სოფ. ახიელში 1939 წელს

ბათირი სახელგაოქმულ ქურდი-დ ყაჩაღ ღილღველ იყვ. ხან ქურდობდა-დ ძალდაძალაც იტაცებდ ჭარ-ცხენს. ხოლოთ არხვატით არ აპარვიებდეს იმის მეგობრები ღილღვლები, არხოტიონთებიც ნაცნობ მეგობრებ რაკი იყვნეს. ერთხან წამავიდ საქურდლად ბათირი-დ ნეთხელ ფარეშა, გამახყვეს ორნ სხვანი. ბათირა ჯერ კი ეუბნ ამხანიგებს, არხოტიონთ ჭარ-ცხენებ დავიპარათავ. ამხანიგებ არ დასთანხმდეს, წავიდათაო-დ პირიქითით დავიპარათავ, თორე არხოტივნებივ ახლოს არიანაო-დ არ შაგვარჩენენავ.

როგორცაღ იქნებოდ, გააბედვიესა-დ წაიყვანეს პირიქით ჭევსურეთისკე საქურდლად. პირიქით ორ-სამკან მივიდეს ჭარავანზედა-დ ყველკან გაუგეს, ბოლოს ყველას სოფლებში ჭმა გაუტყდ: ქურდები არიანავ გადმასულებიო-დ მთხილად იყვენითავ. ყველკან გამთხილდ ხალხი-დ ვეღარცად ვერ გაიმარჯვეს. დაბრუნდესა-დ წამავიდეს საღილღოოდ. ტანიის ღელისას გადმაჭდეს, ტანიის ჭორჭ გაიარესა-დ, ნასოფლარ ჩამავიდეს. აქით ორ გზა მიდის, ერთი მთისას – საჭარის ღელისასა-დ მეორე ჭალაისას. ამ დროს გაზაფხული იყვა-დ არხოტიონ ხალხ ჭალაზე დადიოდ სამუშაოდ, ზოგ მუშს ხყრიდ, ზოგი მარჭილის ფეჭებსად, სხვას აოჯისგანს ამზადებდ. მანამ წყლის ადიდება იქნებოდ, მანამდინ ეშურებოდეს აოჯისგნის დამზადებასა-დ წაღებასაც. ეს ნეთხელ ღილღვლებმაც იცოდესა-დ ბათირს უთხრეს: მთათას წავიდათავ, თორე ჭალაზე არხოტივნებ იქნებიანაო-დ არ გაგვიშობენავ. რა გაშინებსთავ, უთხრ ბათირმ – ხევსურსავ, ჭიაის მჭამელსავ, ჭელით დაგიჭერთავ (ღილღვლები გასაჯავრებლად ჭიაის მჭამელს ეძახოდენ ხევსურს). ვერ დაიჭერთავ ხელითავ – უთხრეს, თოფ-იარაღი აქვავ თანაო-დ, არ დაგვეჭერიებისავ ჭელითავ. ბათირამ უთხრ: ეეხლ მთას არ აუდგებივ გადასავლადავ, თუნდა გზაზე სიკვდილ ვიცოდავ. წამავიდ ბათირი-დ გამახყვეს სხვებიც ჭალაისას. ტანიისჭალა ჩაღმ ცერად ას ჩამასავალი, ოღროჩოღრო, კლდიანი. ჩამახყვეს ამ გზას დაღამებიდგეს. ასურში (ადგილის სახელია) რო ჩამავიდეს, ფარეშამ უთხრ: აქავ კვამლის სული დგასავ, გზაზე სადამ ვისამ უგზავავ ცეცხლივ.

სიპიანაჭიდ რო ჩამაიარეს, იქ ნახეს რო ეხში ცეცლხ ვისამ უგზავა-დ ხალხი დამდგარი. ღილღვლებმ თქვეს, წყლის პირზე გავიარათავ, გავსცილდათავ. მიბრუნდესა-დ წამავიდეს წყლისპირისკე. აქ ტანიით მდინარე ჩამადის, რომენიც ტანიისკარ ასას უერთდების, გამაიარეს ამ მდინარის პირზედ სწორად იმ დროს, რო არხოტივნები, ვინაც აქ იდგეს, ამათა ვინამ ერთ-ერთი წყალზე გავლილიყვ წყლის შასასმელადა-დ. გამავლილ ღილღვლებს თვალ მახკიდ. ღილღვლებმ კი ვერ ნახეს ისი. იმათ რო გაიარეს, მავიდა-დ ამხანიგებს უთხრ: მტერმ გაიარავ. წამახტეს ყველანი-დ გამაუდგეს უკან. რო დაიქცნეს, წინ ფუნჩათ დავითი გამაუძღვ. ტყეში რო გადმავიდ, წამაეწივ ღილღვლებს. ღილღვლებს იმათ საუბარ გაეგონა-დ სხვები ქვე დაქცეულიყვნასა, ბათირი გზაში ჩამჯდარიყვ. დავით რო მისულიყვ, დაესხლიტ დავითისკე თოფი-დ ალი ზედ აეხვივ. მანამ თოფის ცეცხლ გათავდებოდ, გეერივ დავითის თოფის ცეცხლი ღილღვლის თოფის ცეცხლში. დავითის ნასრევი ღილღველს მჭარს მახვედრიყვა-დ დაემტვრივ. ამ დროს მასულიყვ მამუკათ დიაიც. ღილღველ პირგაღმ წავიდ დაჭრილი-დ ესრივ დიამაც. ეს ზურგში მახვდ ღილღველსა-დ მარჯვენას მჭარზე ჯიბაის მასრას გამაღვარდ. გადახტ სხვებ ღილღვლები გზის მარცხნივ ტყეში, დაჭრილიც თან გადაიყოლეს, არხოტივნებმ ეს ვეღარ გაიგეს,

პირდაპირ გზაზე მარბოდეს. ღილღვლებმ ბათირ წყლის მარჯვეს ეროს ტყის ბოლქვში ჩასვესა-დ გარშემო ქვე შამაუღობეს ფათვლიანით ტყის წოწკებით. თავად ქვე წავიდეს, არხოტავ ხმა გატყდებისაო-დ ჩვენაც დაგვჭოცენავ. არხოტივნები ზოგები იქავ წავიდეს თავის ბინაშია-დ ერთმ არხოტ გატეხ ჭმა: მტერ იყვავ აქაო-დ თოფვა მაგვიჭდავ. დაიქც ხალხი-დ, მავიდეს საგათენებლოდ სიპიანაჭიდ. ღილღვლების მთოფავებმაც უამბეს, ეემაშიავ ეესრ ვთოფეთავ. ნახეს ეროს ბოლქვში, რო ტყის ტოტებ რაიმ ას ჩაკაფული, ჩაწყობილი ბოლქვში. მივიდეს, შახენესა-დ ნახეს, რო დაჭრილ ღილღველი წევს შიგ. ღილღველმ რო ნახ მისული ხალხი, თავზე ჩოჭა მაიხვივ. ხალხმ რო ეს კაცი ნახ, მიუბრუნეს თოფები-დ დააშალეს. მეორ-მესამეს დღეს მავიდეს ღილღველნი-დ წაიღეს თავის მკვდარი. მკვდრის წაღების დროს წეს არ ას კიდევ თოფვაი, მავლენა-დ თავისუფლად წაიღებენ თავის მკვდარს. რა თქმა უნდ, რო არხოტიონნი არ გაისვენებდეს ღილღვლებისგან, აუცილებლივ სამაგიეროს მიიღებდეს – ეროს მაინც არხოტიონსაც მახკლევდეს სამაგიეროდ.

ამბობენ, თუ არ ტყუიან, ტანიეს ჭეხას ცისასა,
მჭისედ მაქცევას ამბობენ იმ ფუნჩათ დავითისასა.
ცეცხლი გავიდა ცეცხლშია, ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა,
ღილღველ მაუკლავ, ამბობენ, მამუკათ დიაისადა.
გულდაგულ მისვლას ამბობენ იმ მჭედელთ ბადაისასა.

ღილღველ-არხოტიონთ კორღანი და გაგა ბალიაური

ჩამაწერინა კაგა ნაროზაულმა,
80 წლისამ, ს. ახიელში, 1925 წელს

ღილღველ-არხოტიონთ ადგილებს ხქონდ ყველკან თვალსაჩინო სამძღვარი, გარდა არხოტის ჭალისა. შაონის ღილღოსკე იყვ სამძღვარი – შიბუს მთა, შაჭალ-ისკესა-დ ამღა-ბიფიელისკე – ტერღის წვერი. ჩორეხისკე – ბისნის წვერი; არხოტის ჭალაის სამძღვარზე ბძოლა იყვ. შიბუს მთა დასავლეთისკე იყვ არხვატით, ბისნის წვერი ამასავლეთისკესა-დ ტერღის წვერი ჩდილოეთისკე. სამჭრეთის მჭარეზე ბუდე ჭევსურეთი იყვ. სხვაკან არც გზაი ხქონდ. ჭევსურეთისკე კი სამი-ოთხ გადასავალიც იყვ მთაზედ. ღილღოსკე წასავალ კი ეს ოთხ გზა იყვ აქ დასახელებული. მთებზე სადაო არა იყვ, ეროს გვერდზე ღილღველთ ადგილ იყვ წვერამდინა-დ მეორეზე არხოტიონთაი. წვერი ყოფდ თავის ადგილს. ხოლოთ ღილღველნი არხოტის ჭალას მიიწევდეს არხოტისკე, მიაღწევდეს კორღანსაც.

ერთხან ღილღვლებმ დაქრთამეს ჭემწიფის მეჭელეები-დ მაასხდეს ღილღველ არხოტიონთ ადგილის გასამიჯნავად არხოტის ჭალას. არხოტიონნი ამბობდეს,

რო ჩვენ ადგილივ ოჯახის სათიბეთანით ასაო-დ კორღანიც იქ ჩავდგათავ. როსაც ღილღვლებმ ჭელისუფლების ხალხ მაიყვანეს, ამ დროს ბევრ ღილღველ მახყვ. წამავიდესა-დ პირდაპირ ტერღის კარ, დაიწყეს მიწის თხრა კორღნის ჩასადგმელად. ამ დროს დაიბარეს არხოტ თავგზიანი-დ მესაუბრე კაცი ბალიაურთ გაგაი-დ სამი ოთხ სხო კაცი.

ტერღისკარ რო თხრა დაიწყეს კორღნის გასაკეთებლად, ბალიაურთ გაგა არ აძლევდ ამის ნებას, ეს ადგილივ ოჯახის სათიბეთანამდინ ჩვენიავ, აქ რა უნდავ კორღანსავ. ხან კორღნის გამკეთებლებს მიღვარდისა-დ დაუსრივის თოჭ-ბარები, ხან ჭელისუფლების წარმომადგენლების კარავში შავარდის ყვირილით: ნუ აკეთებთავ აქავ კორღანსავ, თორე მავიყონავ არხოტიოთაო-დ სისხლის წყალს გავავლევავ აქავ. გაგა რო კარავში შავარდის, მახკიდიან მჭარს ჭელი-დ გამაიყვანიან იქავ გარეთი. მაინც რო მარტო გაგას ამოდენს ხალხთან არ გაუდიოდ ბძოლაი, არხოტ წალალ გაგამ კაცი, შაუთვალ არხოტიონთ: ყველა შაიარაღდითაო-დ ჩამეედითავ ჩქარადავ, რო მახოლთავ ყველა საყუჩს მაუსხეითავ, ხოლოთ ჩემს თქმამდინავ თოფ არვინ გასცალათავ. მანამ თქვენ მახოლთავ, მე არ გავაკეთებიებავ კორღანსავ. წალალულმ კაცმ ეს ყველა ამბავი კარგად მიიტან არხოტ. ხალხმ რო გაგაის დანაბარებ გაიგ, მაშივ მაემზადნესა-დ წამავიდეს შაიარაღებულები. ყველა წამავიდ, რო ყმაწვილებისა-დ ბებრების მეტი სოფელში ქუდიან კაც აღარ დარჩ. არხოტის ჭალა სრუ მდევრულად ჩაიარეს, ტერღისკარ რო მავიდ ხალხი, ყველამ საყუჩ გაიკეთა-დ ჩამაუსხდეს თოფებს. გაგამ რო ნახ არხოტიონ ხალხი ჩამასული-დ ჩასაფრებული, მივიდა-დ ჭელისუფლების კაცებს უთხრ: აგერაი, გახენეთაევ, რო არხოტიონ ხალხ ჩამავიდაო-დ თოფები აქვავ გარმასხმულივ. ეეხლა, თუ ცუდ საქმე მახჭდავ, თქვენ იქნებითავ მიზეზიო-დ უჭირვლებსავ არც თქვენ გაგიშობენთავ, ისრ გაბრაზებულ ხალხიავ მასულივ. აი, მე გიცხადებთაო-დ ჩემ ბრალ ნუღარ ასავ, ეხლად რაიც მახჭდებისავ, თუ აქით წაიღებთავ ამ მიჯნასაო-დ იქ არ გააკეთებთავ, სადაც ჩვენი-დ ღილღველთ სამძღვარიავ. ამ ხალხმა-დ ღილღვლებმ რო ეს არხოტივნები ჩასაფრებულები-დ იარაღში ჩამსხდრები ნახეს, აიღეს ბარგ-ბინაი-დ წაიღეს პირგაღმ. ღილღვლებიც თან გახყვ. აისხეს თოფ-იარაღ არხოტივნებმაცა-დ შორი-ახლო თან გახყვეს. მეკორღნე ხალხმ ორ-სამკან კიდევ დააპირეს კორღნის გაკეთებაი-დ ჩამაუსხდიან არხოტივნებიც თოფებს. ადგიან იქავა-დ კიდევ გაღმ წავიდიან. ეესრ ჩახყვეს არხოტიონნი-დ ბოლოს ოჯახის სათიბეთ ჩავიდეს, აქ მისცეს ნება კორღნის გაკეთებისა. მეკორღნეებმაც ამათხარეს მიწა, ჩააყარეს ნაჭშირი, ერთ მინა ჩააგდეს შიგ (ბოთლი), მემრ ააგეს კაცის სიმაღლე ციხია ზედა-დ ამ დღიდგე დაწესდ ღილღველ-არხოტიონთ საზღვარი ოჯახის სათიბეთ.

არხოტივნებმ კი ბალიაურთ გაგას არხოტის ჯვარში სამწყალობნელო ჩხუტ დაუდგეს ადგილის დაჭერისადა-დ გამაგრებისად. ყველას დღეობაში ერთ ჩხუტ

აავსიან ლუდითა-დ დაამწყალობნის ჯერ ხუცესმ გაგაი-დ მემრ ყველამ ერთად. ანთებულ სანთლითა-დ ლუდიან თასით ჩამაავლივიან გაგაის სადღეგრძელო-სამწყალობნელი.

არა მარტო ამ კორღნის გადაწევა გააკეთ არხოტიონთ გულისად გაგამ; ის რო მცოდნე კაც იყვ, არხოტიონნი ბევრს რაშიამ ირჩევდესა-დ აუბნებდეს სასოფლო საქმეებზე. ადგილებზე, სადაც რა ვის გაუჭდებოდ საბძოლლად არხოტიონთან, ხო გაგა სრუ არხოტიონთ კვალად იყვ მაუბარი-დ ისეთ საუბარ იცოდ, რო არც გაუშობდ საქმეს, ისრ რო არ გაემარჯვ.

ტანიეზედ რო იყვ ბძოლა-საუბარი, მაშინაც პირველ მაუბარ გაგა იყვა-დ მემრ სხვებიც ეშველებოდეს. არხოტიონთ ერთ ადგილი ხქონდ „ტანიე“. ძალიან მდიდარ ბალახ მადიოდ აქ. ზაფხულის თიბდესა-დ ზამთრის საქონს ინახევდეს. ამ ადგილზე ჯერ ღილღვლებ გადმაედავნესა-დ მემრ ჭევსურები ჭადუს მცხოვრებლები. ყველა ამ საჩივრებში გაგა იყვ ჭელმძღვანელი. ღილღვლები ამბობდეს, რო ტანიეივ ჩვენ გვეჭირავ, შემდეგს სამძღვრებში მაქცეულივ: მზის ამოსაჭედით საზღვრებდავ ისართ ღელე, დასავლეთით კალოთანის მთაი-დ ფატეხის ღელე. სამხრეთ მჭარეზე საზღვრებდ ტანიის ღელეი-დ ამის გადაღმ ჭევსურები ცხოვრობდეს ჭადუვლები, ჩრდილოეთის მჭარეს იყვ არწივის მაღალი.

ამ ადგილს ედავებოდეს ღილღვლები სოფ. ხამხას მცხოვრებლები. ერთ-ერთ საჩივარში ამ სოფლის ღილღვლები, სახელდობრ: მარზი, მაზიკოი-დ ჩიმირზა მასოსტოი ამტკიცებდეს, რო ამ ადგილშიავ ჩვენ წინაპარნი ცხოვრობდესავ. ეს ადგილივ ჩვენ გვეკუთვნისავ. ბოლოს დროს ცხოვრობდავ ჩვენის გვარის კაცივ სახელად ბელხი. ბელხის სიკვდილისდგესავ იმის შვილ დარჩავ იმ ადგილებშიავ, სახელად ბუბენტივ. ბუბენტმავ იქავ ციხეიც აიშენაო-დ წისქვილიცავ, დიდხანს ცხოვრობდავ. ის მამაშვილნივ სიკვდილამდინ იქ ცხოვრობდესავ ტანიესავ. ხოლოთ სიკვდილიდგეს აღარ დაწირნესავ იქაო-დ ჩვენებურის წესის გულისადავ მაასვენესავ თავის სასაფლაოზედავ, ხოლოთ ბუბენტის დედა კი მაკვდავ ტანიესაო-დ იქავ დაღმარხესავ. თუნდა იმის საფლავს გაჩვენებთავ, ამბობდ ღილღველი. ისიც რო მაკვდავ, იმის მემრ ცხოვრობდავ სხო ჩვენის გვარის კაცივ ურუშივ. მემრ ურუშის შვილ ურუსხანივ. სრუ ბოლოს ცხოვრობდავ ბახკუზარივ. მემრავ მაუჭდავ აურზაურივ არხოტივნებსთანაო-დ დაანებესავ თავივ ამ ადგილსავ. მემრავ ჩვენ გვთხოვავ აქ დადგომაივ ამღას მცხოვრებმავ გიორგამაო-დ ჩვენის ნებართვით დასახლდავ, ხოლოთ მამულის ღალა უნდა მეეცავ. ეროს წელს კი მაგვც ის ღალაი-დ მემრ კი ღალაზედაც უარ გვითხრ. ღალას რო აღარ გვაძლევდავ, მემრავ დასაჯესავ ჩვენ წინაპრებმაო-დ მაკლესავ ღალის არ მაცემაზედავ. მემრავ იმის ცხვარ-საქონიც სრუ ღილღოს გამალალესავ. მეორე კაციც კიდევ მაკლესავ ამღიონივ ტანიეს სიარულზედავ. ამის მემრ აღარ სარგებლოვდესავ ამღივნებივ

ტანიითავ. რამოვენისამ წლიდგესავ ძალით შავიდესავ არხოტივნებივ ტანიესაო-დ დაიწყესავ ცხოვრებაივ.

ღილღვლებ ესეთს ამბვებს ბევრს რასამ ჩიოდესა-დ ვითამ ამტკიცებდეს ყველას, მაგრემ გაგამ რო იჩივლ, მაიყვან ისით ძველ ამბვები ტანიეზედ, რო დაამტკიც ის, რო არხოტიონთ ეკუთვნოდ ტანიეი-დ არა ღილღვლებს, დაინარჩომ ამანავ, ე. ი. გაგამ, ტანიე არხოტიონთ სასარგებლოდ.

ღილღველთან რო გაიმარჯვესა-დ დაიჭირეს ტანიე, ახლა ჭევსურებ გარმეედავნეს, ჭადუვლები, ტანიეივ ჩვენ გვეკუთვნისავ. ჭადუვლებ იმას უმტკიცებდეს, რო ღილღველთ დადგომამდინავ ჩვენ ვმდგარობდითავ ტანიესავ. მემრავ ჩვენ ჭადუს გადმოვსულორთაო-დ ტანიესავ ღილღველ დაგვიყენებავავ ღალითავ. ღილღველივ ღალას გვაძლევდავ ჩვენავ, ტანიისასავ. ამაზე საჩივარში ღილღვლებიც დაიმოწმეს, ღალას ვაძლევდითავ ჭადუვლებსავ. ამაზე იმოწმებდეს ნეთხას მცხოვრებლებს, ესენიც ასეთნაირად ემოწმებოდეს, ღილღვლების მოწმობა ჭადუელებისათვის ასეთი იყო: „ნება დართვითა უკანხადოში მცხოვრებ ხევსურებისა, მე ვცხოვრობდი ექვს წელს ტანიეს ხეობაში და, რაც ხანს მე იქ ვიყავი, იმ მამულის ღალასა და ქირას ვაძლევდი უკანხადუელებსა, აგრეთვე საბალახესაც ისენი იღებდნენ ხოლმე, ხოლო მას აქეთ ხუთი ან ექვსი წელი იქნება, რაც უკანხადუელების სიტყვით ავიყარე და გადავსახლდი ჩემსავე უწინდელს სოფელს ნეთხაშია.

რაიც ვაჩვენე, სიმართლით არის: აშუყო გაზაშვილი.

ესევე უკანჭადუელები ამბობდეს, რო ჩვენავ ნეთხელებიც გვედგავ ტანიესავ, ხამხლებიცავ. ისენი ასახელებდეს აი ამ კაცებს: სოფელ ნეთხას მცხოვრებლებს: აშუყო ღაზიშვილი, ალიმირზა ბექობოლოთაშვილი, მოდი დაქიროვი, ასლიგა მათიევი, ფედა ნალბაბაშვილი დაქიროვი, ფარეშა ზაუროვი, დოლა გოშტიკაური. ხამხის სოფლელები: ორასხა უშაროვი და ასლამა თოთიევი. ერთ-ერთ საჩივარში ასეთნაირ ხერხს ხმარობდეს ჭადუვლებ, რო ამოვენ ღილღვლებ დაიმოწმეს. ამ საჩივარში თითქმის ჭადუვლებ გამარჯვებულებ დარჩეს, მემრ წავიდ გაჯავრებული გაგა ქალაქში საჩივრადა-დ ორი სხო კაც გაიყოლ. მთელს ეროს თვეს დარჩ ქალაქში საჩივარშია-დ მაიტან ბძანება, რო ტანიე არხოტიონთ უნდა დაშჩომიყვ. მაგრემ არხოტიონთ სანების ჯვარის შიშით აღარ დაიჭირეს, რაკი ჭადუვლებმ ტანიის ნახევარ ნაწილი სანების ჯვარს შასწირეს იმის შიშით, რო არხოტიონნი წაგვართმენავ. მემრ ნახევარ დაიჭირეს არხოტივნებმა-დ ჭადუელთ ნაწილსაც კი თაოდ იჭერდეს. ჭელს ხყრიდეს, ხოლოთ სანების ჯვარს აძლევდეს ადგილის ქირას.

ერთხან აღარ მისცეს არხოტივნებმ ქირაი-დ ჭადუელთ თივებს შაუყარეს ცეცხლი-დ დაწვეს. ამაზე გაუჭდ ჭადუელთა-დ არხოტიონთ შუღლი-დ ჭრა-

ჭრილობა. ბოლოს იქავ შაღრიგდესა-დ დაამშვიდეს საქმე, ხოლოთ ადგილის ქირა კი სრუ მიხქონდ სანების ჯვარში.

ამის გარდა ღილღვლები კიდევ დავობდეს: არხოტავ ჩვენები მამპაპები მდგარანაო-დ ეს ადგილი ჩვენ გვეკუთვნისავ. წინწინავ ღალას ვიღებდითავ ადგილისასაო-დ მემრავ მაგვისპესავ ღალის ძლევაივ. ამაზე ღილღველო ძალიც გაბედესა-დ თხოულობდეს ღალას. მაგრემ გაგაის მეთაურობით არხოტივნებმ ღილღვლებს პირიქით მასთხოეს ზოგიერთ სოფლებს მამულების ქირაი, ე. ი. ნაღალური. ჩვენავ წინავავ ღილღოს ვმდგარორთავ, უთხრეს, ამდასაო-დ მაღალ-ბიფიელშიავ (ამდა ქისტის სოფელსაც ჰქვიან ერთ-ერთს და არხოტშიც არის სოფელი ამდა). თამარ-მეფისობასავ ჩვენ მამ-პაპან გაქრისტიანებულანავ იქავ, იჩივლეს არხოტივნებმ. ამაზე აითვალწუნესავ მაჰმადიან ქისტებმავ ისენიო-დ თამარ-მეფის სიკვდილიდგეს ვეღარ დამდგარანავ იქაო-დ წამასულანავ, შამაერთებიონავ სხო არხოტივნებსავ. ის ადგილებივ ეგრ დამრჩალაო-დ ღილღვლებ დასახლებულანავ. მემრავ ჩვენავ იმ ადგილის ღალასაც ვიღებდითავ. ამავ დროს ერთი ძუნძული (სახელია კაცისა) ცხოვრობდ ახიელ, ღილღველნ რო ამას დაობდეს, რო არხოტის ადგილებივ ჩვენ გვეკუთვნისავ. ეს ძუნძული ამაზე ძალიან ბრაზობდ. წავიდა-დ სოფელ ბაასერელთ წისქვილებ დაამტვრივ, თქვენავ არხვატს კი არაო-დ ამ ადგილებსაც წაგართომთავ, ეს წისქვილებივ ჩვენს წყალზე გიბრუნავსთავ, ეს წყალივ ჩვენს მთას გამაზდისავ.

ამგვარად ადგილებზედა-დ სამძღვრებზე დიდ დავიდარაბა იყვა-დ ბოლოს შინაურ შარიგება მააჭდინეს ღილღველ-არხოტიონთ. წინდიც მისცეს ეროუცსა-დ კარგა ხანს დამშვიდებულად იცხოვრეს. წინდად ღილღოს მიცემულ იყვ ცამეტ-თოთხმეტის წლის ყმაწვილი ოდინათ გარსია. ერთი იმისავ სწორი ღილღველი იყვ არხოტ წინდად მასული. წინდას იქაცა-დ არხოტაც ძალიან კარგად უვლიდეს, ერთ-ერთ ოჯახს მიაბარებდესა-დ სასმელ-საჭმელს ხალხ უზიდევდ. ოდინათ გარსია იქ დიდხანს იყვა-დ, ღილღურს წმიდად ამბობდ, როგორც ღილღველი. ბოლოს მამამ წამაიყვან, როსაც დაცოლშვილების დროს მავიდ.

ზავი კი ქნეს ღილღველ-არხოტიონთ, მაგრემ ადგილებსა-დ ღალას კი მაინც იქავ სთხოვდეს ეროუცს. ზავმა-დ წინდის მიცემამ ეროუცისად იქამდინ მიიყვან მშვიდობიანობა, რო ეროუცს აღარ ჭოცდეს, ხოლოთ ადგილებზე საუბარი კიდევ გძელდებოდ.

ბარკანხიევის გვარის ხალხმ, ხამხის საზოგადოებისამ, მალალეს კიდევ ორი უფროს კაცი-დ მაითხოეს არხოტის ორ სოფელი-დ იმათ მთა-ბარი. ეს კაცები იყვნეს: ბახმათ ბათაევი-დ ახსაკ პარაგულოვი. ამ ორთ თქვეს: არხოტის ორის სოფლის მიწაწყალივ უპატრონოდ ყოფილასავ, ჩვენ პაპა ხაშილგა ბარკანხიევი თავგზიან კაცი ყოფილასა-დ წასულ საქართველოს ჭემწიფესთან ერეკლესთანა-დ

უთხოვავ: ეს ორ უპატრონო ადგილ გვიბოძევ, რო დავსახლდათავ. ერეკლეს ეს ორი სასოფლო ალაგი-დ იმის მთა-ბარი ჭიმღაი-დ კალოთანა უბოძებავ ხაშილ-გაისადა-დ სიგელიც მიუცავ. მემრ ჩვენ მამ-პაპათ იქ უცხოვრებავ. რაკი ძალიან მთა ალაგი იყვ, არ მასწონებივ ეს ალაგი-დ გადმასახლებულან იქავ ღილღოს. მემრ მასვლიონ პირიქითელ ჭევსურები ჩვენებს სათხოვრად, რო ამ თქვენებს ალაგებშიავ ჩვენ დაგვაყენენითავ, სოფელ კალოთანას დადგომა უთხოვავ ზეისტეჩოელ ჭევსურსა-დ ბლოელ ჭევსურს ჭიმღას დადგომა უთხოვავ. ჩვენ მამ-პაპათ უთქომ, რო ჩვენ მაინც იქ არ ვცხოვრობთაო-დ მივაქირავათავ ამ ჭევსურებსავ ეს ალაგივ. მაუთხოვავ ჩვენებს კვამლზე თითო ცხვარი, ვინც აქ დასახლდებისავ, კვამლზე თითო ცხვარ გვაძლიოსავ. დასთანხმდებიონ ეს ჭევსურებიცა-დ უძლევავ ეე ნელობამდინ კვამლზე თითო ცხვარი. ერთხან არ გადაგვიჭადესა-დ მაემზად ჩვენ ხალხი ძალით წამასაღებლად, გაიგეს კალოთანელთა-დ ერთ საკლავიც მაგვგვარეს – გვაპატივეთავ, რო გადაჭდა დაგიგვიანეთაო-დ გადასაჭდელიც მალე გადაგვიჭადეს. ამის გარდა, ამ ხარჯის ამკრეფს აძლევდეს კიდევ თითო ჯამს ერბოსა-დ თითოს სატანს ფეჭის ქირას. ვისაც ცხვარ არ ხყვანდ, სამ აბაზ თეთრს (ფულს) გვაძლევდეს. ან ათ იდაყვს (წყრთა) ჭრელს გრეხილს. ამ ადგილის სიგელები მაშინ დაგვეწვ, რო წინწინ რუსობა შამავიდ. მაშინ წინ-წინ რო ისეებ ჩვენს სოფელში შამავიდეს, ერთი პრიშტავი-დ ერთი მღდელი დაჭოცნეს ჩვენებმ. ამაზე შამასულ რუსის ჯარი-დ ჩვენებ სახლები საცხოვრებლით სრუ გადაუწოვ. აი ის სიგელებიც მაშინ დაწულ, რომნებიც ერეკლესგან ხქონივ ნაბოძები. მაგრემ ბეგარს სიგელების დაწვიდგესაც სრუ გვაძლევდეს.

ესეთის მაგალითების მაყვანით თხოულობდეს ღილღველნი კიდევ ამ არხოტის ადგილებს, მაგრემ ჭიმღივნები პირიქით შავანის ჭორჭსა-დ შიბუს ედავებოდეს, ეგ ადგილივ ჩვენ გვჭერივაო-დ ჩვენ გვეკუთვნისავ. თქვენებისგანავ ღალასაც ვღებულობდითაო-დ რაკი ბევრნი ხართავ, ეეხლადავ ძალით იჭერთავ ჩვენს ადგილსავ. ესეთ საუბარ სრუ გაუთავებლად ხქონდ ღილღველ-არხოტივნებს. როსაც ზავ აიშლებოდ, ხო ნიადეგა-დ, ზავზე როსაც იყვნეს, მაშინაც კიდევ არ ისვენებდეს.

მარტო ღილღველებ კი არ ედავებოდეს არხოტიონთ ადგილებს, ბოლოს არხოტივნებმ თაოდაც დაიწყეს ერთმანეცში ბძოლა ადგილებზე. ამდიონ-ახიელელნი როსაც არხოტის ჭალაზედა-დ ტანიეზე დავობდეს, მაშინ ჭიმღივნები მონაწილეობას არ ღებულობდეს. მაგრემ, როსაც დაიჭირეს ეს ადგილები, მაშინ ჭიმღივნებმაც დაიწყეს აქ სიარული. შეშის, აოჯისგნის მზადება. ამდიონ-ახიელელნი კი უშლიდესა-დ ეუბნებოდეს: როსაც ჩვენ ვიბძოდითავ ამ ადგილის გულისადავ, თქვენ მაშინ გასვენებით ისხეითავ, ფეჭდაწვდილნივ. ეეხლად მზა ადგილ მაინდომეთავ მუქთადავ. ჩვენ სისხლითა ჭმლით დავიჭირეთავ ადგილივ, ეეხლად ნუღარ დაზდითავ.

ამაზე შუღლი-დ ჭრა-ჭრილობაიც ბევრჯელ იყვ. ბევრჯელ აკიდებულს ჯორებსაც მაუჭადეს შეშაი-დ ცალეებ გამაუშვნეს ჭიმღივნები. ამღაი-დ ახიელა ორივ სოფელ ისითს ალაგში ას რო ჭალაისკე მიმდინართ ჭიმღიონთ ამ სოფლებზე უნდ გავლა. ამღიონ-ახიელელნიც იმით ეთამამებოდეს, რო ამ სოფლებს ქვე არაად ხქონდ სადენი ჭიმღისკე. ბოლოს რო მაინც არ აძლევდეს ჭალას სიარულის ნებასავ, მაშინ ჭიმღიონთ თითოობით თხოვა დაიწყეს: წელსავ მე მამეცითავ ნებაივ, რო ვზიდნავ ჭალაითავ ზეჭმელ შეშაივ. ამის გულისად საკლავიც მიღგვარიანა-დ შაეხვეწნიან არხოტის ჯვარში. ამ ხალხმაც ნება მისცნისა-დ სარგებლობდიან ეროს წელს. ზოგ თავხედ კაცი ეროი წლიდგესაც არ ანებებდა-დ ამაზე შუღლ მადიოდ. ჩირახის ნებას კი აძლევდეს, რასაც კაცი ჭიმღაით ზურგით მაიტანდ. ამ ჭალას სიარულზე ბევრჯელ ლექსსაც ეუბნებოდეს ჭიმღივნებს.

1.

დაიცადეთ გუგუანო, დამაცალეთ, აცალეთა,
ჭალას ადარ ჩამოგიშობთ, არ მაგაჭრევთ სატარესა.
შეშას არ მაგატანიებთ, მუში ჩემ[..] ეს ახყარეთა.

2.

რა კაი ზამთარ დაგვიდგა, ხალხი სრუ ჭალას დისაო,
ზოგებ დახკაზმავს ცხენებსა, ზოგ ხალხ ქვეითად ზისაო.
ზოგებ დაზდგემდა ყონდებსა, ზოგებ ცეცხლს შაუყრისაო.
ზოგებ კი იქავ აქრობენ, ნეტარ ვინარა ჟჯისაო.
უთურგათ დავითს გაექრა, მა ნიკაპაის შვილსაო.
უთხარით ერავნელებსა, გზა ხკვეთან ჭალაისაო.
კლდის ძირში შატოლებულნო, შუქ გენატრებისთ მზისაო.
რად შჩივით ოზიოსთანა, გზა გვინდა ჭალაისაო.
შეღმათ ადუას ეჩივლა, მა ორტვინაის შვილსაო.
რა გგულავთ, დედას გიტირებთ, გამავლა გინდათ გზისაო,
ჯორებს მაგიჭდით შეშასა, პატრონს გაგიგებთ ძირსაო.
ქოჭნილ დაზდგენით ბერდასა, მაგ მინდიაის შვილსაო;
შიშველზე არცად მივიდას, სქლად დააკეცეთ ძირსაო.
ბეთან დაზიდნეთ საფქავი, ძალი აკსენეთ ხთისაო.
მელექსეს თუ რას იკითხავთ, ნაჭშირაულის შვილსაო,
კისერ არავინ მასტეხას, არ ჩამახარათ ძირსაო.

ამ ლექსებზე შუღლი-დ ჭრა-ჭრილობაც მახჭდ, მაგრემ ჭიმღივნები ჭალას მაინც არ გაუშვეს. ჭიმღივნებს საჭნავ-სათიბი ბევრი ეჭირ თავის სოფლის მარჯვეს, ხოლოთ ტყე არ ხქონდა-დ შეშის ზიდვაი შჭირდებოდ ამღიონ-ახიელელთ ადგილშიითა-დ

ეს აწუხებდ. სათიბ მთებ ხქონდ ბევრი. ჭიშველი ხქვიან, დიდ ადგილი ტაფად რო მთელს სოფელს ხკმარობდეს, ესეთი ჭიშველი ხქონდა-დ ნახევარსაც ვერ თიბდეს. იმათ მემიჯნედ იყვნეს ახიელელნი-დ სრუ არ ხქონდ სათიბ მთაი. ახიელ სხო გვარებ უკაცურად იყვნესა-დ ცისკარაულების გვარ იყვ კაცრიელ გვარი. ცისკარაულებ გადაეკიდნეს ჭიმდიონთ იმ ჭიშველზე, რომენიც ახიელისკე ახლოს იყვ: ეგ ჭიშველიც ჩვენიავ, ოქვენავ ძალით გიჭერავთავ. ბოლოს ფიცზე მიდგ საქმეი, ცისკარაულებ დაემზადეს, რო არხოტის ჯვარში დავიფიცავთავ, რო ეგ მთა ჩვენ ყოფილავ, მაგრემ ჭიმდივნებს ჯვარი ძალიან აშინებდა-დ ადარ დააფიცეს. ჯვარივ დამფიცავსაო-დ დამფიცვიებსავ ორსავ ერთფერა-დ უწყრებისაო-დ, თუ კი ჯვარ გაგვიწყრებისავ, რადაღ გვინდავ ადგილივ. ადგესა-დ დაანებეს ჭიშველი, ბოლოს ახიელ ცისკარაულების გვარს იმთვენ სათიბი ხქონდ, რო ვერ თიბდეს ვერც ნახევარს, სხვა გვარის ხალხ იმათგან ქირაობდ სათიბეს.

ახლა საჭნავს მიწაზე გაუჭდ სასაუბროდ ახიელელთა-დ ჭიმდივნებს, იმათ ახიელისკე შორით ეჭირ ჭიშველის გორზეით, დიდის ბძოლით ეს ადგილიც დაიჭირეს ახიელლებმ ნამერცხალაებამდინ. ხოლოთ ძალიან ტაროცს (ტაროცი: თვალთვალი) კი ედგეს ერთუცის ცხვარ-საქონსა-დ არ უტევდეს თავ-თავის ადგილში.

ამდიონ-ახიელელთაც ხქონდ ბძოლა ადგილზე. ამდიონნი ახიელამდინ გადმადიოდეს ჭალაზე. ეს ჭალა ჩვენიავ. თათხელის გორსაც კორომათანამდინ თავისობდეს. სოფლის პირდაპირ მზის ამასაჭედისკე საბათაურომდინ გადმადიოდეს, ორჯელ-სამჯერ სოფელიც დაემზად ერთუცში მისასვლელადა-დ საშუღლარად, მაგრემ უფროსების კაცების ჩარევით იქავ დამშვიდდეს, ხან ერთუცს საქონს კუდებს უჭრიდეს ადგილში გადასულს, ხან საქონ გამალალიანა-დ მაემზადის მეორე სოფელი თავს დასაცემლად, მაგრემ უფროსებმ კაცებმ არ გაუშვიანა-დ შარიგება მააჭდინიან იქავ. ბოლოს არხოტის ჯვარის ხუცესმ შამაუარ დროშაითა-დ იმან დააწეს სამძღვრები-დ ჯვარის ხათრით ადარ გადადიოდეს ერთსხვის მიჯნაზე.

ტანიე ორად ხქონდ გაყოფილი ამდიონ ახიელელთ. ცალკე ამდივნების სათიბეებ იყვა-დ ცალკე ახიელლებისა. ერთსხვას თუ თხოვით გაათიბიებდეს, თორე ისრ არ გადადიოდეს ერთსხვის ადგილში.

თათხელიონნი

ჩამაწერინა ბეწიკა გიორგასძე წიკლაურმა, 69 წლისამ, ს. ამღაში, 1941 წ.

თათხელიონნი ერთ სოფელ იყვ ამღისა-დ ახიელის შუაში, სხოდ არვის აგსონს ეს ხალხი ვინ იყვ, ხოლოთ აქ საფლავებ მაიგელ ჭვნაშია-დ ამეებს ეტყობოდ, რო ქრისტიანულად პირწაღმ იყვ ნამარხი. თათხელიონთ ადგილი ცალკე ეჭირა-დ იმათ შიშით იმათ ადგილში მგზავრიც ვერ დადიოდ. ამღიონ-ჭიმღიონთა-დ ახიელელთ თათხელიონთ სოფლის ბოლოზე ერთუცში სადენი-დ იმათ შიშით გაწირეს ეს გზაი. ჭალაზე სიარულის კვალად, ჩდილზედა-დ ოღრო-ჩოღრო სავალზე გაიღეს გზაი-დ იმაზე დიოდ ხალხი. ეეხლადაც კარგად ეტყობის ის ნაგზევი, რომენზედაც თათხელიონთ შიშით დადიოდეს. საქონს ხო არც ახიელელთას შეეძლიყვ იმათ ადგილში ფეჭის გადადგმაი-დ, არც ამღიონთას. თუ მაასწრობდეს წაიყვანდეს შინა-დ აღარც დაუბრუნებდეს პატრონს. ან ვინ მივიდოდა იმათთან შიშით.

ამღიონნ უფრო ახლოს ცხოვრობდეს იმათანა-დ ბოლოს ამღივნებს ისრ გაუჭირეს საქმე, რო გადასწყვიტეს დაცემაი-დ ან თავის თავის გაწყვეტა ან იმათაი. ერთი ხუთი-ექვსი დღის ყანა იყვ ამღას ხთისად გაწირული ყველას მამულებზედ კას ალაგში. ამას საერთოდ ჭნევდესა-დ სახმთოს მუშაობდეს სოფლის სამწყალობნელოდ. სოფელმ რო თათხელიონთ დალევა გადასწყვიტ, მაშინ თქვეს: ვინაც თათხელიონ სისკარას მახკლავსავ, ეეს „უფალთ ყანანი“-ვ იმას ხქონდანავ. თათხელიონ სისკარა ყველაზე მეტად ამაყ კაც იყვა-დ ის აშინებდ ხალხს, რო ჭმლით შუღლშიავ იმას ვერას დავაკლებთავ. ამღიონთ ნაუბარი ხქონდ ერთუცში თათხელიონთ დალევაი-დ ჯერ წაულალეს კაცი: დაგვანებეთავ თავივ, ნუ გვაწუხებთავ, თორე სრუ ვერ მაგითმენთავ. ეს კაცი ხნიერ იყვ, რომენიც წალალესა-დ ამღიონთ ეგონ თათხელიონნივ უფროსობის ხათრს შაუნახვენაო-დ არას ეტყვიანავ, არას აწყენენავ ამასავ. მაგრემ თათხელიონთ ამ ბერიკაცის ნაუბარ არც სრუ იყურეს, დაიჭირეს ეს ბერიკაცი, შარვალ წახყარესა-დ ჭარის გალო შაუდვეს ტანში (გალო: მხრის ან ფეხის ძვალი). ჭელები ზურგში დაუკონეს მაგრად, რო გალო ვერ მაეშორა-დ აისითა მისულიყვ ამღას. მართლადაც ეს კაც ჭელდაკონვილ წავიდა-დ რაჭელიც თათხელიონთ გაუშვეს, აისითა მივიდ ამღას სოფელში. ამ ბერ კაცს გალო მააშორეს, ტანთ ჩააცვესა-დ, მეემზადნეს ამღიონნიც თათხელიონთან დასაცემლად. დიაცებმაც უთხრეს, რო ეეხლა კი თუ ეგენ არ გასწყვიტენითავ, ჩვენ ვეღარ ვიტყვით, რო ქუდიანებ ქმრები გვყოვავ.

შაიარაღდეს ამღიონნი-დ წამავიდეს. ერთ ამღიონ ძალიან მაგარ ახალგაზდა იყვ. უთურგიათაი-დ კარგად შაიარაღებულიც იყვ. როგორც ამბობენ, ისი თათრების ჩამომავლობაშიით უნდა ყოფილიყვ. თათრებ რო მდგარან წინავ, მემრ წასულანა-დ

იმათ კაც დამრჩალ ერთი, იმაზე გაშენებულან უოურგიანი, როგორც თაოდ ამბობენ ჭოლიკაურნიც.

თათხელიონთ სოფელს რო მიუახლოვდეს, ჩვეულებრივად იძახეს: თათხელიონნო, კარშია გამეედით, შინ ხართა (თათხელიონნი ასეთს ძახებას ყველას ავალებდეს, ვინაც იმათ სოფლის ახლოს გაივლიდ. თუ იძახებდ, გამავიდოდეს კია-დ რაკი არ გაიპარ, შაიძლების მშვიდობით გაეშვ, თუ არ იძახებდ გამვლელ კაცი-დ გაპარვით გაივლიდ, ვაი იმის დღეს, თუ ღნახევდეს, გაუდგებოდეს, მიეწეოდესა-დ სასიკვდილოდ დაშჭრიდეს). თათხელიონთ რო ძახილ გაიგონეს, ჯერ სისკარა გამავიდ. იმას ეგონ ჩვეულებრივი მგზავრი-დ მაინც გასაგოდ გამავიდ, ვინ ასავ. სისკარა რო გამავიდ, გადახტ ეს უოურგიათაიცა-დ სცა ჭმლით თავში. სისკარა ბრიყვად იყვა-დ ჩაჩქან არ ეხურ. უოურგიათამ ჭმალ ისრ მაგრად დახკრ, რო თავ ორად გაუხეოქ. დაეცნეს სხვებსაც ამდიონნი-დ დაჭოცეს ყმაწვილებიანად. სისკარაის ცოლ კი არ მაკლესა-დ ამდას რო თათრებ იყვნეს, ერთ-ერთმ იმან წაიყვან, რაკი ლამაზ იყვა-დ ვერ გაიმეტეს მასაკლავად. გაწყვიტეს თათხელიონნი-დ თაოდავ დადმარხნეს. ქონებაიც წამაიღეს იმათაი-დ გაიყვეს ამდიონთა-დ მამულიც სოფელზე გაყვეს. „უფალთ ყანან“ კი უოურგიათას მისცეს სისკარაის მაკვლაზე. ეეხლადაც იქავ არიან ის ყანანი. უოურგიათა კი აღარვინ ასა-დ სხვებმ იყიდეს იმათ მამული, ჯღუნათ მიხეელას უჭერავ ეეხლად. ნასახლარებ კი იქავ ას იმათები თათხელის ბოლოს. სასაფლაოიც ცალკე ხქონივ იმათ თავის სოფლის ბოლოში. სხვათ არხოტიონთ ახიელ ხქონდ სასაფლაო ყველას ერთად. კალოთანელთ კი გამაუყვავ ბოლოს ცალკე იმით, რო მკვდარ წამაუღავ ზამთრის ახიელისკე, დასცემივ ზვავი-დ ეს მკვდრის წამამღები ხალხ სრუ დაუხოცავ. მემრ სანების ჯვარის დროშაით შამაუვლავა-დ დაუწესებავ ერთს ალაგში თავის სასაფლაო. თათხელიონთ კი ცალკე რაად ხქონდ სასაფლაო, ის არავინ იცის. ან რაად იყვნეს ისითნ ამაყნ, რო თავის სოფლის მიდამოს არვის გაუშობდეს თუ არ იძახებდეს: „თათხელიონნო, კარშია გამეედითავ“. ეს ძახება ხალხში ისრ ას იქავ დამრჩალ, რო იმათ ნასოფლარსთან რო გაივლის დიაც-ყმაწვილი, იქავ იძახებენ იმავ სიტყვებს, რასაც იმათობას ეძახდეს. თუ ეს არ უძახეთავ, იციან ყმაწვილებმ: თათხელიონნ გამაგვეტანებიანაო-დ დავიჭელთებითავ. კაცებსავ წინავ კი დაშჩომივ ეს ძახილი ჩვეულებადა-დ, ეეხლა კი დიაც-ყმაწვილების მეტი ამას აღარვინ იძახებს. იმათ ტყეიც მარჯვეს ხქონდ თათხელის ჩდილში, სათიბიც იქავ ხქონდ. საჭნავი: სამთოდ თათხელის მზისპირზე ხქონდა-დ საბარო საჭნავ თავის სოფლის ბოლოზე ხქონდ, სასაძოვრე თათხელის გორზე ისრ მაწყობილსა-დ ცალკე გამაჭრილს ალაგში ისხდეს, რო სხვათ არხოტიონთან საერთო არცრა არ ხქონდა-დ არცრაად მივიდოდეს იმათან. როგორც გადმაცემით იციან, მდიდრებიც ყოფილან.

ის არ ეგონა სისკარას, თუ მტერი მაერეოდა,
თავის თათხელი, მზისპირი შიგიშიგ აერეოდა,
წინითი ნადგომ სუფრაი თუ სისხლში გაერეოდა,
ამაგის სამკლავ-საფუჭარს პატრონ თუ დაშჭირდებოდა.
ფლას-ფარდაგს ჭერში ნაქონსა ქანდარა გაუტყდებოდა,
სისკარას ცოლი, ლამაზი, სათათრედ გაუჭდებოდა.

ამდას მაშინ, ძველად, ორ გვარის ხალხ ყოფილ ძრიელი (ძრიელი: ბევრი, მძლავრი გვარი): უოურგიანი-დ ახალანი. სხვის გვარის ხალხი ცოტა ყოფილ. ამ ორს გვარს არაად ვინ უგდავ, რაიც სწადინებივ ის უკეთებავ. სადაც მამულ მასწონებივ, იქ მამულ დაუჭერავ. უფრო ახალან ყოფილან ამაყნი, უოურგიან ისრ ძალიან ამაყნ არ ყოფილან. ამავ დროს იყვ ბერდიშვილთ გვარისა ერთ ყმაწვილი-დ დედა ხყონივ. ისენ რაკი უკაცურნ ყოფილან, მამულ ბევრ ხქონივ მამ-პაპათა დამრჩალი. ერთხან ამ ბერდიშვილთ ყმაწვილსა-დ იმის დედას სასუქ უორევავ თავის მამულზე. ეს ყმაწვილ იმოვენ ყოფილ, რო ჯინის გადაქცევაც კი შაზძლებივ სასუქით სავსისა თავის მამულში. დედა აუვსებდ ამ ჯინს, ეს ყმაწვილი გაღლალევდ ჭართა-დ გაიტანდ მამულში, იქ გადააქცევდ ჯინს, მემრ იქავ მაასხემდ ჭართ, ეესრ ეშველებოდ დედას.

ამ დროს ერთ ახალათ გვარის კაც-ი ჭნევდ ყანას ადგილობრივ „საეშმავრუის ჩდილში“. ნახ რო ეს ყმაწვილ ათრევს სასუქსა-დ ერთს ალაგში ამ ახალათ კაცის მამულზედ ას ჭარების გამასავალი. როსაც ამ ყმაწვილმ ჭარებ მაასხ ამ ახალათ მამულში, მივიდ ეს კაცი, ჯინი თავის მამულში წააქცივა-დ დაცალ, ცალენ ჭარნ მიაბრუნნა-დ გაალალვივნ ყმაწვილს. ეს ყმაწვილი ტირილით მივიდ დედასთან. დედამ უთხრ: აბა, რა უყოთავ, შვილო, ჩვენ ვინ კაცი-პატრონი გვყოვავ. ნიადეგ იმას გვიზმენავ, რაიც ვის სწადისავ. ნუ რა უთხრიდივ, თორე არამც მაგკლანაო-დ დავიღუპებივ. სამი-ოთხჯერამც წააქციოსავ ეგ ჯინიო-დ მემრ შასცხვენდებისავ, თავს დაგანებებსავ; ან ეტყვისავ ვინავ, რო ცოდოი ასავ, ნუ აწუხებავ დიაც-ყმაწვილსავ. მეორედ გალალ ჭარები ამ ყმაწვილმა-დ ეს ახალათ კაცი იქავ გამაუვიდ გზაშია-დ გადაცალ ჯინი თავის მამულში. მასამედაც რო ესრავ გააკეთა-დ ამ ყმაწვილმ შალანძღ ტირილით, შენ როგორ თუ მლანძღავავ, ამ კაცმ დაიჭირ ეს ყმაწვილი, წაიყვანა-დ სადაც ჭნევდ, თავის ნაჭნავში კვალში ჩადვად ჩაღმარხ ცოცხალი.

ამ დროს ერთი უოურგიათ გვარის კაცი აქავ ახლოს ტყეში შეშას შჭრიდ. ეს კაცი ტყეშიით ყველას ხედევდ, იმ ჯინის თავის მამულში წაქცევასაცა-დ ეეხლადაც ნახ, რო ყმაწვილი ცოცხალ დაღმარხ. ეეხლა კი ვეღარ მაითმინ, შაღბრალდ ეს ყმაწვილი-დ გამაიქც. მავიდა-დ უთხრ ახალათას: შენ რას შჩადივ, დღესავ ჯერ სასუქ აღარ დაანებევ თავის მამულში გასატანადაო-დ ეეხლადავ ცოცხალ

დაღმარხევ, ახლოს არ მახვიდავ, თორე ეროუცს დავჭოცთავ მე და შენავ. მივიდ ეს კაცი-დ იქავ ცოცხალ ამათხარ ეს ყმაწვილი-დ გამაუშვ შინისკე. ახალათაიც მაერიდ ეროუცის დაჭოცასა-დ აღარა უთხრ უთურგიათას. ის იქავ ტყეში წავიდ სამუშაოდ.

ორბელნი

მიამბო და ჩამაწერინა ბეწიკა გიორგასძე წიკლაურმა, 69 წლისამ, 1941 წ.

არხოტისა-დ კალოთანის წყალ რო იყრებიან, ამას ხქვიან „ორწყალთანა“. ორწყალთანაის პირდაპირ მაღლა კლდეში, მზის ამასაჭედისკე მჭარეს იქავ ას ნასახლარები. ამ ალაგს სიმირგვლივ ისითნი კლდენი ხვევიან, რო ყორან ვერ დაეკარების, ხოლოთ ერთ გზაი ას მისავალი. იტყვის კაც, რო ეს კლდენიცაო-დ ეს გზაიცავ ჭელთ რასამ გაუკეთებავავ სიმაგრის გულისადავ. აქ მტრიანობაში დასახლებულ ხალხი-დ შასავალს კართან ყარაულ ზდგომივ. სხვაკნით არცაით არ იყვ კაცის მისავალი-დ არც შიშ უნდოდ. დიდიდ ნასახლარ კი არას, ცოცოტა ნასახლარი, ხოლოთ მსხვილისა-დ მაგრის ქვისგან გაკეთებული. აქ რაიც გზა მიდის, ცხვარ კი თავისუფლად დადის აქა-დ ზგელფეჭ საქონ ალბათ არც ხყვანდ. იმ კლდეში ეხლადაც იციან: სოფლის ცხვარს გაუშობენ, გამასავალს გზაში წყემსებ დასხდების, ცხვარ მთელს დღეს ძოვს, წასავალ ქვე არცად აქვა-დ წუხრ იქავ იქ მაუვა, წამაასხმენ შინ ცხვარს. ორბელნი თაოდაც ამაყნ ხალხნი ყოფილანა-დ მტერიც ბევრი ხყონივ. ბოლოს მტერს რო შაუწუხებიან, ამდგარანა-დ წასულან იმერეთშია-დ იქ დასახლებულან. ეეხლადაც იმ ალაგს ორბეულთა-ი ხქვიან, იმათ ნასახლერებს ორბელთ ნასახლარები. იმათ სახელიანობასა-დ კაობას ჯერაც იქავ ამბობს ხალხი-დ იმათ წასვლიდგეს ერთ სიმღერეიც ას იმათად ნათქვამი-დ ამას არხოტივნები ეეხლადაც უმღერენ ეროუცს:

ადგეს, წავიდეს ორბელნი, იმერეთ წყალსა გაჭდესა,
იმას კი ვერავინ იტყვის: ვერ იყვნეს, იმით წაჭდესა.

თათრების დასახლება ახიელში

ჩამაწერინა გიორგი ჯაბუშანურმა, 52 წლისამ, სოფ. ახიელში 1935 წელს

წინანდლების საუბრით ვიცით, რო ახიელ წინწინ თათრები მდგარან. საით მასულანა-დ აქ რაად დასახლებულან, ის არვინ იცის, ხოლოთ ის კი ნამდვილად იციან, რო აქ წინწინ თათრები მდგარა-დ ისენ რო წასულან, ორ კაც დამრჩალ იმათაი, ეროს ქვივნებულა ალია, მეორეს ბაჭა. ეხლა იმათ ჩამომავლობას იქავ იმათ სახელს ეუბნებიან „ალიანი", „ბაჭანი". თათრებ აქით იმით აყრილან, რო ზამთრის სიდიდეს შაუშინებიან. მაშინ ახიელის პირდაპირ დიდ ტყე ყოფილა-დ, ირმებ სცოდნივ ამ ტყეში. ეხლადაც ამ ადგილს საირმეი ხქვიან. გაზაფხულ ზედველაის რუვისას ეხლადაც დიდმ ზვავმ იცის მასვლა, რო ხანდიხან მამულებს დაიჭერსად მასაჭნავ დარჩების, რაკი თოვლი შუას ზაფხულამდინ არ გადნების. მაშინაც, როსაც აქ თათრები იდგეს, ეროს ზაფხულ დიდ ზვავ მასულა-დ ირმის ჭბო მაუტანავ მკვდარი. უნახავ თათრებს ირმის ჭბოი-დ ეროუცისად უოქომ: გაზაფხულ მასულავო-დ ჩვენ ვერ გაგვიგავავ; ასერაი, ირემს ჭბო ხყონივავ. ხაფხულ მასულასა-დ აყრილანა-დ წამასულან, ხოლოთ ერთ კოჭლა ყოფილა-დ არ იციან, რაადაღ დარჩ.

ალიაი-დ ბაჭა კი დამრჩალან აქ. ამათ ნასახლარები-დ ნადგომი ბევრკან ას ახიელის მიდამოებში. ეხლადაც იმათ ჩამომავლობის ხალხი ჭელს ზდებს ამ ადგილებსა-დ ვის აძლევენ მაჭვნა-მათიბის ნებას. იმათ ნასახლკრალები საკაკბიაის გორის ბოლოს ჭოვლ-კარაც ეტყობის, რუჩუასაც, ციხეებთაცა-დ ახიელაც ხო ეხლაც ცხოვრობენ სოფელში. როგორც ეტყობის, ციხეებთ უფრო დიდხანს ნაცხოვრისი იმათგან. იქ ნასახლარებიც იქავ ეტყობის, ჭელ-საფქავაებიც იქავ ხყრავ იქ. ცოცოტა წისქვილ ხქონივა-დ ჭელით უბრუნებავ ეროუცზედ. აისრ უფქავა-დ ის უჭამავ. დაბლა წყალ კი ას საწისქვილო, მაგრემ ისენი მტრის შიშით ვერ ჩამდინარან წყალზე. ჭელსაფქავაები ჩვეულებრივს წისქვილს ღგავ. ხოლოთ ზეთას წისქვილს ეროკან ნაპირისკეს აქვ ჩაჭვრეტილი, ჩხირის ჩასაჩრელი. იმაში ჩაუგდებდეს ჩხირსა-დ იმით შამააბრუნებდეს საზეოს წისქვილს საქვეოზედა-დ დააფქვევდეს. მაგრემ ძალიან ცოცოტეებ ქვებ იყვა-დ ცუდად ხორხნიდ. რო გაცრილიყვ კი საცერს არა გაუვიდოდა-დ ალბათ გაუცრელს აცხობდეს, რო მაშინ არც პურ ხქონიყვ საკმაო, უფრო ბალახეულობა უჭამავ ზაფხულის ბევრი-დ ნადირის ჭორც ხქონივ გაუთაო. ციხეებთ, ნასახლარებში სხოდასხო ნივთეულობაიც იჭელების. ერთხან ოქროს ვერძიც მაჭელ თათიათ ბაბომ. საფლავებიც ხქონივას აქა-დ, სხოდასხონაირ სამკაულებ ამაჩინდ. აქ ნასამჭედლოვრები ძალიან ბევრი, დამწვარ ქვაი-დ სამჭედლოს ხარჯიც ბევრი ხყრავ. აქ ეროს კაცს ალიათ უშიშას სამალავიც მეეჭელ. ქვაბ იყვავ ოქრო-ვერცხლით სავსეიო-დ შიგავ ყვითელ ჭბო იწვავ ოქროსფერივ. უშიშას უჭნავ

აქ ყანაი-დ საჭნისის წვერ გაედვავ რასამავ, დავაყენენივ ჭარნიიო-დ ჩავხენევ. დიდივ სალუდე ქვაბ იდგავ. საჭნისის წვერივ იმის ყურშატში გაზდებიყვავ. ავხჭადევ სიპიო-დ ჩავხენევ. სრუ ოქრო-ვერცხლით ამატენილ იყვავ ის ქვაბიო-დ, ოქროსფერ ჭბო იყვავ ზედავ, ანაბრივ ეშმაკ იყვავ ჭბოს სახითავ. შავშინდიო-დ გონ ამჭდიყვავ. გონთ რო მავედივ, მიაც ქვენ ვიყავიო-დ ჭარებიცავ. ავიარეო-დ ბევრ ღორღ მივაყარევ. უშიშამ არვის ასწავლ ეს ქვევრი, ან ქვაბი. თავის შვილს გიგოლს ასწავლა-დ ამაღების ნება არც იმას მისც. ეშმაკი ხპატრონობსაო-დ დაიჭელთებივ. გიგოლმ იცოდა-დ არცვის იმან ასწავლ, რომენს ალაგში ას. აქავ რო თათრებ მასულანავ, ბევრ ოქრო-ვერცხლ ხქონივავ, რო აყრილანავ, მიწაში დაუმალავავ, რო კლოვ წავიღებთაო-დ, კლოვ აქ ვედარვინ მასულასაო-დ დამრჩალავ იმათ სიმდიდრეივ. ციხეებთავ ბევრკან დგასავ ქოცოივ, იცოდიანად, ეშმაკი ხყავავ დაპატრონებულიო-დ იმის შიშით ვერ ვინ თხრიდ. ეშმაკებივ ცუდს გვიზამსავ, თორე რო მაეძივ, კი მაიჭელებოდ ქოცოი. თათრები ციხეებთით ვერც წისქვილებისად ჩამადიოდეს ჭალაში, არც წყალი ხქონდ ახლოს, ამ ადგილშიით კარგა შორს მაშორებით გამადიოდ ძალიან ცოტა წყარო. აქ საქონისად ლათბა ედგა-დ კაცისად ოჯახში საჭირო წყალიც იქით მახქონდ. ამ წყაროს ეეხლადაც თათართ წყლიანი ხქვიან. საჭნავ-სათესი აქვ კია-დ ბევრ კი არაი აქვ ციხეებთ ახლომახლოს. მეორე ნაცხოვრისი ას იმათა რუჩუას. აქ ჯვარნიც ხქონიონ იმათ, ეხლადაც იქავ ას ნადარბასალი-დ თათართ ჯვარანი ხქვიან. ახიელთ ნახევარ ვერსზედ ას დაშორებული ეს თათართ ჯვარანი, სოფლის მზის ამასაჭედისკე მჭარეს. იქავ თათრებს რახან დღეობა-ი ხქონდისავ, ფანდურზე მღერაივ სოფელში მადიოდისავ – იცოდიან წინათ. ახიელაც მდგარან სოფელშია-დ იქაც ოქრო-ვერცხლ ჩაუდგამ ქვაბით მიწაში. იმათ ნადგომში გუგუათ ბაიჭაურს უთხრავ სახლის ლიბუი-დ იქ ამაშჩენივ ერთ სალუდე ქვაბი ოქროთა-დ ვერცხლით სავსეი. ამასაცავ ზედ ეწვავ ყვითელ ჭბოიო-დ შამამაბობინნავ თვალნივ. ისივ ეშმაკ ანაბრივ იყვავ, გონ ამჭდაო-დ გონთ რო მავედივ, მემრ მივაყარევ მიწაიო-დ სახლის ლიბუივ წინ გარმავსვივ, იცოდის ბაიჭაურმ. ის ქოცო ჯერაც იქ ას დამრჩალი, ეშმაკების შიშით ვედარვის ამაუთხრავ. აი ეს თათრები ესეთ მდიდრებ ყოფილანა-დ საით მასულან კი არვინ იცის. ხოლოთ იმ ორს კაცზე გამრავლდეს: ბაჭანი-დ ალიანი. საეროო გვარ კი ჯაბუშანური აქვ თათრების ჩამამავალთ. სხვა არხოტიონთ ყველას ერთად აქვ სასაფლაო ნაკურთხი თამარ მეფისგანა-დ, იმ დროს ისენ რაკი თათრებ ყოფილან, თამარ მეფეს ნება არ მიუცავ, რო იმათ მკვდარ ქრისტიანების მკვდრებსთან დაემარხ. იმათ ცალკე მაუზომ მიწაი-დ ეხლაც ჯაბუშანურთ სასაფლაო-ი ხქვიან. ხოლოთ რო გაქრისტიანებულან, მემრ ერთი კაცი არხოტის ჯვარს თავის ხუცესად აუყვანავა-დ მას აქეთ იმათ გვარის კაცი აუცილებლად ას არხოტის ჯვარის ხუცესი. ერთ კაცს, რო ან დაბერდებსა-დ ან მაკვდების, არხოტის ჯვარი მეორეს მაამიზეზებსა-დ მიიყონს ხუცესად. იმათ

გვარშიით იყვ ალიათ მგელა ხუცესი-დ ჭელზედ მაუდიოდ არხოტის ჯვარი-დ პირად ეუბნებოდ. ხალხსაც ძალიან სწამდა-დ წმიდა კაცად იყვ ჩათვლილი. სიცოცხლით ანდრეზად გაწირ მგელამ, რო აქ დამმარხიდითავ, რახან მავკვდავ. სოფლის პირდაპირ ერთ ცოტა მიედანი ას, ფურთოკიაი ხქვიანა-დ იქ დაასახელ თავის საფლავი. რო მაკვდ, იქ დაასაფლავესა-დ იმის გვარი წელში ერთხან დღეობას ჩადის მგელა-ის საფლავზე. ერთს საკლავს კლავსა-დ ლუდ მიაქვ. ხალხსაც აწევენა-დ ეროს დღეს დღეობობენ. იმის შვილ ახალაიც ხუცეს იყვ. ახალაის შვილი ქორია, ქორიაის შვილ გიორგი, ეესრ გადადის ხუცესობა იმათ გვარში. ახიელელთად იციან ჯაბუშანურთ: ჩვენიავ ახიელაივ, თქვენავ ჩვენ ამანათად ხართავ მასულნივ დანარჩენ გვარებივ, წინწინ დამდგარნივ ჩვენ ოროთაო-დ ადგილ-წყალიც სრუ ჩვენ ყოფილიყვავ მაშინავ. ჩვენგან მაცემული გაქვთავ, რაიც ადგილ-მამული გაქვთავ ეგიცავ.

დიდის ხნის დამდგარნი ახიელ ჯაბუშანურნ. მაგრემ იმათ გვარი არაადამ გამრავლებულ, ცოტანი არიან ძალიან. ხოლოთ ავ ხალხნი არიან, მტრისად მიმყოლნი-დ მაგარნი ხალხნი. სხვა გვარები გვიან მასულები ახიელ, მაგრემ ისეებ უფრო გამრავლებულანა-დ ეხლა ძრიელ გვარები. ადგილ-მამული ნავაჭრი აქვ ხალხს, ზოგი ჯაბუშანურთგანა-დ ზოგი თაოდ დანაყესა-დ აქციეს საჭნავ-სათიბ მიწებად. ერთ ქვიტკირიც უდგას ბაჭათ, სამთვლიანი. ამ ქვიტკირს იყენებდეს მტრის დაცემის დროს, აქ ხიზან შავიდოდა-დ იარაღიან ხალხი ქვიტკირშიით თოფებს აჭლიდ მტერს. ალიათაც ხქონივ ქვიტკირი, ის კი არა, იმთვენ ყოფილა. ბაჭათ ქვიტკირ კი სახელგათქმულ ყოფილ სიმაგრით.

ფაცხვერას ბაჭინცაურსა შაზვერვა სწადის მთისაო,
ახიელის ძირ ჩამასვლა, ჟერება დროშაისაო.
გატეხა გაუტეხლისა იმ ბაჭათ ქავ-ციხისაო.
გამაყვანაი-დ წაყვანა ქალისა განძაისაო,
გამატანაი-დ წატანა ჯიგრაულაის ჭმლისაო.

მშავლებიც კიდე მახქადდეს ბაჭათ ქვიტკირსა-დ ამზადებდეს ლაშქარს დასაცემლად ბაჭათ ქავციხეზე, მაგრემ ალუდა იყვ ბაჭათა მაშინ კა მეომარი-დ ახლა იმან დაუბარ ფაცხვერას:

ლაშქარით დაგვეჭსენ ფაცხვერო, ერთხან გამუძვედ მზირთაო;
დაგხვდების ბაჭაისშვილი ცირცლოვან წვერის ძირსაო,
სხო ამხანიგებ არ უნდან, იმედ აქვ ქასაისაო.
შამაგეწევის მდევარი, შავქვიშას, წვერის ძირსაო.

მაგდევდას თათრისეული, ჭეხა გეგონას ცისაო.
გაჭლიდას მართალ-მართალსა, თავს გეშლებოდას ქვიშაო.
რადარ გარმახოლ, მშაველო, რაად მიასუქებ ნადირსა?
თოფი მაქვ ავის პირისა, თუნდ ტერდას ხკითხე ნადირთა,
ალუდ ორ კურდღელაისძე, მწარეს გიმზადებ სადილსა.

ასეთ გათქმულ იყვ ბაჭათ ქავ-ციხეი-დ მტერიც მახქადდ იმ დროს, მაგრემ პატრონებიც კეები ხყვანდესა-დ ვერას აკლებდ მტერი.

ყინვართ გამავლა ახიელ

მიამბო ხიზანა ნაროზაულმა, 55 წლისამ, სოფ. ახიელში, 1939 წელს

ახიელა სოფელი ერთს მიგვერდლებულს ადგილზედ ას. ეხლად ძველ სახლებ მაღლად გვერდალში ას. წინავ ყინვართ შიშით ჭალაში სახლებ არ ყოფილ, მემრ ნელად თანდათანობით ჩაუნაცვლებავ სახლები-დ ჩაუტანავ ჭალაში. მაშინ კი, როსაც ყინვართ გამაიარეს, სახლებ მაღლად ყოფილ. ახიელას მარცხენას გვერდზედ ერთ განიერ ჭეობაი აქვ. იქ ერთ წყალიც ჩამადის „არაგვის წყალა“. ეს არაგვის წყალა სანადიროს მთებშიით იწყობის. წინწინ ყინვართ ძირშიით გამადის. ეს ჭეობა სათავეში სამად იყრების: ერთი „ბერაული“ ჭეობა, მეორე „ჩამაგის“ ჭეობაი-დ, მასამე „ძველნასოფლარის“ ჭეობა. ბოლოში ყველა ერთდებისა-დ „ნეთხიჩოს“ ჭეობა-ი ხქვიან. აქ ნათქვამს სამსავ ჭეობას მუდმივ ყინვრები აქვ სათავეში. ზამთარ-ზაფხულ აქ სრუ ას ყინვრები მთის ოდოდენი, გაწოლილი, ზოგი გვერდალს კლდეებზე გაკრული-დ, ზოგი მიედანზედ. ერთი სიტყვით, ყინულის მთები. ზაფხულს როსაც სიცხე, დარებ დადგების, დნების ყინვარი, ეს არაგვის წყალა ისრ ადიდდების, რო სრუ მაამტვრევს ნეთხიჩოს ჭალას, ეს ჭალა ძალიან დახრილი ას (დაქანებული) თავისთავადა-დ მემრ, ქვა-კლდიანი. არაგვის წყალა რო ადიდდების, ისით-ისით კლდეს მააგორებს, რო ახიელ ღამით ძილს არ აძინებს იმის რახ-რუხი. ხანდიხან ამ ყინვრებსაც სქდების პირები-დ მადის წყალი, ყინვარი-დ, ქვა-კლდე ერთსხვაში არეულ, რო შავ ბუქვი ადის მაღლა ალაღებულის წყლისა. სადაც ის ყინვრები ას, ჯიჭვებ იცის ბევრი-დ იმ დროს არხოტივნები იქით ირჩენდეს თავს, ჯიხვის ჭორცით. იმათ ეს ყინვრებიც დათვალიერებული ხქონდა-დ ძველ ნასოფლარის ყინვარ ისითს ალაგში იყვ გადმაწოლილი, რო ადვილად წამავიდოდ. თან იმასაც ამბობდიან, რო მაგ ყინვართ ძირშიავ მთისოდენ გველაშაპ-ი წევსავ. ის თუ წამავიდავ, ამაგ ყინვართავ ზურგზე თან წამაიღებსაო-დ გაღლეწსავ ამ ჭეობასავ. მენადირეებმ თქვიან: კაცი რო ახლოს მივიდასავ, სრუ ჩხარ-ჩხურ გამადისავ შიგითავ, გველეშაპიო-დ ეშმაკებივ სრუ რასამ აჩხარჩხურებენავ, რო

ყურთ3მა არ ჩამავარდებისავ. იმასაც ხედევდეს მენადირეებ, რო ყინვარ მა3სნილ იყვ, საითაც წინ იყვ ძველ ნასოფლარი გადმაწოლილი. საშიშ იყვ გამასაქანავადა-დ მემრ, ნეთხიჩოს ჭალა რაკი დახრილ იყვ, რაიღ დაიჭერდ ამ მთისოდენს ყინვარს, თან გველეშაპი-დ ძალიან საშიშ იყვ ამ ყინვართ გამავლა. აი, ამის სიმთხილით ძველ ახიელლები მაღლად აგებდეს სახლებს, რო გველეშაპსა-დ ყინვარს არ დაეზიან სახლები. გველეშაპ რო გამაივლისავ, თქვიან წინათ, თავივ ყინვართაზე წინ ექნებისავ გამაყოფილივ, ყინვარნ კი ზურგზე ექნებიანავ შასხმულნივ, სადაც სახლთ ღნახავსავ, პირს გახკრავსაო-დ სახლსავ, შიგ ნამყოფს კაცსაო-დ საქონსავ, ერთ ლუკმად ჩასთქამსავ ყველასავ.

ბოლოს მართლა მეეკსნ ეს ყინვარი-დ წამავიდ დიდ უზარმაზარ გორის ოდენი. ის რო მთაშიით გამაემართ, ისით ჭექა-ქუხილ ასტყდ, რო მოებს სრუ ზანზარ გახქონდ. რა თქმა უნდ, რო ახიელაც გაიგეს, ყინვარნ წამავიდესავ. გველეშაპივ სახლებს შაშჭამსავ. ამის შიშით ხალხ გამაიყარ სახლებშიითა-დ უფრო მაღლისკე წავიდ. კაცები ზეთზე ნეთხიჩოსკე წამავიდეს, გველეშაპს ვღნახავთავ. დიაც-ყმაწვილ კი დაშინებული დასამალავს ალაგს იძევდ. ყინვარი, წყალი, მიწა დიდის გორის ოდნად მავიდოდ ნეთხიჩოს ჭალაზე, რო შავ ბუქვი ცას გადიოდ. ხალხ მაღლა იყვ, მაგრემ მაინც კიდევ საშიშ იყვ საზარელ იმის ნახვაი. მაღლით კლდეებს დაუწყეს გორება, რო ყინვარნ მავიდეს. „გველეშაპმავ დიდ კლდე რაიც ნახისავ, ჩათქისავ“ – თქვიან, წყლისაო-დ ყინვრის ბუქვში გამაყოფილი ხქონდავ ყინვართ ძირშიავ თავიო-დ აისრ მივიდოდავ. ისრ წიოდავ მიმავალივ, რო იმის წივილისგან იძროდავ არე-მარეივ. რო გაუვლავ, ისრ გაულეწავ ჯერ ნეთხიჩოი-დ მემრ არხოტის ჭალეებ, რო ერთ წლამდინ გასავალ აღარ ყოფილ. დაზამორებამდინ არცაღ დაწმიდებულ ნეთხიჩოს ჭალაზე წყალი. ახიელ კი სახლებ რაკი მაღლა იდგ, ვერ შასწდომივ იქამდინ. ეხლა სადაც ას სახლები აგებული, იქ კი სრუ ნაოჭარ დამრჩალ. ეხლა სახლებ კი ას აგებულ, მაგრემ საშიშ კი ას იქავ ყინვართაგან. რაკი მასალოდნელი დიდის ყინვრის მახეთქაი-დ გამაქანვა. წასულს წლებშიაც წამასულიყვ ბერაულით ყინვარი-დ მიწის ზვავი. სახლთ ოდოდენ ყინვარი ზოგ სად ეყარ ნეთხიჩოს ჭალაზედა-დ ზოგ სად. წყალიც ალაღებულ მავიდ, რო სოფელ ცოტაით გადაშჩ წაღებას. კვამლზე სამ-სამ ცხვარ გაიღესა-დ ჯაბირებით გაამაგრებიეს სოფლის გვერდი, მაგრემ თუ ყინვარ წამავიდ კი, ჯაბირებ ვერ დაიჭერს.

გელიკას ჩავარდნა ყინვარში

ერთ ახიელელი, სახელად გელიკა, ძალიან კა მენადირე იყვ. ძალიან ბევრს ჯიხვებს ჭოცდ, რო იმის ბან-კარი რქებით სავსე იყვა-დ რამოვენ ან ჯვარში ხქონდ შაწირული. ახლო-მახლო სანადიროების გარდა, შორს სანადიროებშიაც დავიდოდ ისი. ერთხან ერთი ამხანაგით წავიდ სანადიროდ ტანიისკე. აქ ეროს ალაგს „თბილწყალნი“ ხქვიანა-დ ბევრ ნადირ იცის. გელიკაი-დ იმის ამხანიგი პირდაპირ თბილწყალთ წავიდეს. აქ ზედ წვერზეით გადმაწოლილნი ყინვარნი, დაბლად ერთი ძალიან დიდ მიედანი, ტაფა-დ, ამ ყინვართ ბოლო ამ ტაფში უძეს. ყინვართ ერთკე მჭარეს არწივის მაღალი აქვ, მეორეზე ისართ ღელე, არწივის-მაღლით ღილღოსკე გადაჭდებისა-დ ისართ ღელით გუროს გადაჭდების გზაი. იმით ხქვიან ისართ ღელეს ორ სახელი: ისართღელეი-დ გუროს მთა. მენადირეები არწივისმაღლისკე გვერდზედ ხყვანდეს ყინვართად აქით იჭერდეს (იჭერდეს: ათვალიერებდნენ) კლდეებში ნადირს. აქით ნახეს რო ყინვართ ისართ ღელისკე გვერდზე ნადირთ საწოლებში ჯიჭვები წევს (ნადირთ საწოლი: ჯიხვებს ყველგან კლდეებში აქვს დაჩემებული საწოლი ადგილები და დღისით მუდამ იქ მივლენ და დაწვებიან. შერჩეული აქვს ისეთი ადგილები, სადაც მონადირე ადვილად ვერ მიეპარება ახლოს. ყველა საწოლებში არის ისეთი მაღლობები, სადაც როგორც ყარაული, ასე წვებიან თითო-ოროლა ჯიხვი და ამ მაღლობიდან ათვალიერებენ მტრის მისასვლელ გზას. ყველაზე ადრე ისინი გაიგებენ მონადირის მიახლოვებას. ერთი ფეხზე წამოხტომა ამ ყარაული ჯიხვისა საკმარისია, რომ ყველა იქ მწოლიარე ჯიხვები წამოვარდებიან და გაქცევით უშველენ თავს). ჯიჭვები ღამით საძოვრად ჩამადიანა-დ დილას მალედ საწოლებისკე წავლენ. მენადირეებმ თუ დილას ნახეს ნაწოლ ჯიჭვები, წუხრ შაუკვრენ გზასა-დ, ბალახისკე მამდინარს თოფვენ, თუ წუხრ ნახესა-დ თოფვის დრო აღარ ას, მაშინ დილას შაუკვრენ გზას საწოლისკე მიმდინარს ნადირსა-დ იქ თოფვენ. გზა კარგად იციან, რომენზეც ჩამაივლიან, ან აივლიან საწოლისკე ნადირნი.

გელიკამა-დ იმის ამხანიგმ ნახეს წუხრ, საწოლშიით ჩამაიშალ ნადირი-დ, წავიდ დაბლა საძოვრად (ჯიხვები სადაც წვებიან, იქ ბალახი არ არის, რადგან იქ ძალიან მაღალი მთებია და ბალახი აღარ მოდის. იქ არის სუფთა კლდეები და ქვიშები უბალახო. ამიტომ ჯიჭვები საღამოობით დაბლა მოდიან ბალახის საძოვრად). ამ დროს აღარცაით იყვ გასავალ, რო გზა შაეკრ ჩამამდინარის ნადირისად. გასავალ იყვ მიედანი, ყინვართაზე სხვაკან ქვე არ იყვ გზაი. გამავლებს მენადირეებს ღნახევდ ნადირი-დ დამოხვებოდ. ისით ყათლაღ გასავალ იყვ ყინვარ, რო ყველკნით კარგად ჩინდ იმაზე გავლილ კაცი-დ იმით ვერ უწუხრიეს ნადირსა-დ დილამდინ მაიცადეს. დილასავ ამამდინარს ჩაუკრათავ გზაივ, გადასწყვიტეს. იმ ღამეს აქ დარჩეს ეხშია-დ

დილას მანამ ნადირი ბალახშიით პირაღმ დაბრუნდებოდ (მენადირეებმა დაბრუნვის დრო იცოდეს) წავიდეს მენადირენიც გზის შასაკრავად. გელიკას ამ ყინვარზე წინავაც გეევლა-დ იცოდ, რო ალაგ-ალაგ დაგსნილ იყვ ეს ყინვარი, ხანდიხან დახეოქილებ ქარბუქვისგან პირწამბულ იყვის. გელიკამ არგნით გაუშინჯავად არ გაიარის ზედ. ეხლადაც წინ გელიკა ედგა-დ შინჯევდ არგნით გასავალს გზას. ეროკან დიდად ყოფილიყვ გახეოქილ ყინვარი-დ ზედ გამბულ თოვლიც მიეყინ, ისრ რო არგანი მაგარზე მახვდ, როგორც სხვას ყინვარზედ. სხოდ ქვე არა ეტყობოდა-დ გელიკა ჩვეულებრივად მივიდოდა-დ ერთირაოდ ჩატყდ ეს ყინვარი-დ ჩავარდ გელიკა შიგ. ამხანიგი უკენ მიხყვებოდა-დ ერთირაოდ წინ ნადგომ კაცი თვალშიით დახკარგ. ყინვრის ჩატეხა კი გაიგონა-დ შაშინებულს მაინც ეშმაკებისგან მამჭდარ ამბავ რაიმ ეგონა-დ დიდხან გონზე ვერ მავიდ. მემრ მივიდ ახლოსა-დ ნახ, რო ყინვარი ჩატეხილი, ჩავარდნილი გელიკა. ჯერ ქვე ვეღარა გაიგ რა ექნა-დ, მემრ რო გონზე მავიდ, დაიწყ ჩაძახილი: „გელიკაო"! ჯერ კი არად, მემრ იქითაც ყვირილივით რაიმ გაიგონ. დაღონდ ეეხლა ეს კაცი-დ აღარ იცის რაი ქნას, არხოტ წავიდასა-დ ისით შორი, რო ხალხი მეორეს დღესაც ვერ მავ. მემრ მაღგონდ რო გუროს წავიდაო-დ იქით მივიყვანავ ხალხივ, ჭაპნებიც მავიტანათაო-დ იქნება როგორ ამავიყვანათავ. რაიც ბარგი ხქონდ აქ დაყარა-დ პერანგიანა წავიდ გუროსკე. გადაიარ ისართ ღელეი-დ გძელ სადილობისად გუროს გატეხ ჭმა: გელიკაივ ყინვარში ჩავარდაო, მამეშველენითავ. გუროელნ საჩქაროდ მაემზადნესა-დ წამავიდ მთელ სოფლის ხალხი. წამაიღეს ჭაპნები (ჭაპანი: ძროხის ტყავისგან დაწნული თოკის მსგავსი, რომელიც ძალიან მაგარია და ხმარობენ მაგრად შასაკრავი საქმისათვის, ან მძიმე რაიმეს გასათრევლად, რომ საჭირო იყოს გამძლე რაიმეთი შეკვრა). გუროელნი ყინვარზე მავიდეს მზეგადენის ხანთ. დაიწყეს ჩაყვირილი-დ ნელად იქითაც გაიგონეს ყვირილივით რაიმ ჭმა. გადააბეს ეროუცს შვიდი-რვა ჭაპანი-დ ბოლოზე ქვა მააბესა, ჩაუშვეს ყინვარში გელიკასთან. რო ჩავიდ ეს ქვაი, ბევრ ღონე აღარ ხქონდ გელიკას, მაგრემ გაიგ რა ამბავიც ასა-დ მაიკრიფ ძალ-ღონეი, მაიხვივ წელზე ჭაპანი-დ გაინასკვ მაგრად, რო აღარ გაგსნილიყვ. მემრ ჩასწივ მაგრად ჭაპანსა-დ გააგებივ, ეეხლა ასწიეთავ. გუროვლებმ ამასწიესა-დ ამაიყვანეს ცოცხალ-მკვდარი. ფერ კი ცოცხლისა აღარ ამახყვა-დ სულს კი იქცევდ კიდევ. გუროვლებმ ასწიესა-დ მშრალზე გაიყვანეს. დაუგეს ყარწიკები, ზედაც ყარწიკეებ დახურესა-დ დააწვინეს. გონთ მავიდ, საუბარიც დაიწყ. რო ჩავვარდივ, აქით ჩაბრუნვილს თოვლში ავიხვიევო-დ მაგრა არას ვეჭლებოდივ. სადაც დავდეგივ, არც იქ დავეცივ მაგრადავ, რაკი წინავ თოვლ ჩამიძღვაო-დ ის დამდგარიყვაო-დ იმაზე დავეცივ. რაზედაც მე დავდეგივ, ის ალაგივ გახეოქილს ყინვარსავ ბოძივით გაჭიდული ხქონდაო-დ კაცის დასადგომ მიედან იყვავ. ახლა თოფ რაჭელამ გაიჭიდაო-დ არ ვიცივ, რაჭელ მახჭდავ ჩემ იქ

დადგომაივ. მე სადაც ვიყავივ, იმის დაბლად ვინ იცის, სადამდინ ჩავვარდებოდივ, თუ იქით გადავვარდნილიყავივ. ძირშიით ჩხარ-ჩხურიო-დ ქოთ ამადიოდავ ეშმაკებისაივ. მჩეჩელნ სადამ ხყვანდესავ ეშმაკებსაო-დ საორცხლებისაიო-დ ჩეჩის ჭმაიც მამდიოდისავ. ხანდიხანავ: გელიკაო – მიძახიანაო-დ ამეედინისავ სიცილივ. ანაბრივ იცოდიანავ რო მეშინოდავ. საბელივ თუ მალე არ ჩამაგეშვათავ, ბევრ გონ კი აღარ მქონდავ, მალე მავკვდებოდივ. საბელ რო გავიგივ ჩამაუშვითავ, ისით გამიხარდავ, რო უჭირველივით დავრჩივ. რო წამამიყვანეთავ, ჭყივილ-კივილ დადგავ ეშმაკებისაივ: გელიკა წავიდავ, გელიკა წაიყვანესავ. მე კი გორულს ჯვარს შამავზძახნეო-დ ჩუმ დაილივავ, რო გორულს ჯვარსავ ჭარ შამაუოქვივ სამეშვლოდავ (გორული ჯვარი ქავთარ-ოჩიაურთ სალოცავი იყო საკუთრად და ეს გელიკა ქავთართ გვარის კაცი იყო და ითვლებოდა გორულის ჯვარის ყმად. თავის ყმებს გორული ჯვარი ამისთანა შემთხვევებში ვითომც სხვებზე მეტად ეხმარებოდა) გელიკა რო ცოტაად მაგონდა-დ მაღონივრდ, წამაიყვანეს გუროვლებმა-დ ტანიეს საბოსლოებში ჩამაიყვანეს. მეორეს დილას გელიკა კარგად ადგ. ისი-დ იმის ამხანიგი ტანიის ჭალაისას არხოტ წამავიდეს. გელიკამ შინ მასულმ შათქმულ ჭარიც დაკლ გორულ ჯვარში, მაგრემ ერთ წლამდინ მაინც ავადობდ, ვეღარც ნადირობად დავიდოდ, გვერდებსაც იტკივებდა-დ გულსაც, არც ფერი ხქონდ კაი.

სინდიურისძე

ჩამაწერინა ბერდია წიკლაურმა, 30 წლისამ, ს. როშკაში, 1939 წელს.

სინდიურისძე გათქმულ მენადირე ყოფილ. იმის დავლილნ იყვნეს არხოტისა-დ მთასიქითის სანადირონი. შიბუსად ჭდესაც ბევრჯელ უვლავისა-დ უნადირებავის. როშკის ჭორჭში ას ერთი ძალიან მაღლად აყუდებული კლდის მთაი. ზოგს გვერდებზე ამ კლდეს ზამთარ-ზაფხულ გაუშრობლად თოვლი აქვა-დ ზოგზე მშრალ ას. ეს კლდენი ისრ არიან აყუდებულნ, როგორც კაცმ ჭელით რაიმ გააკეთას. იმ სიმაღლეი ეს მთა, რო მთის წვერზე სრუ გამაულევლად შამახვეული ნისლები. ამ კლდეში ერთ გზაი აქვ ჯიჭვებს, სხოდ იქ კაც ვერ მიეკარების. ცოტას გზას კი შაიძლების შახყვას ჯიჭვთ კაც, მაღლამდინ კი გზას ვერ იქს. თუ მენადირე არ შააწუხებს ჯიჭვთაც უჭირს იქ ასვლაი. ამ კლდეთ ჯერ უბალახონ ქვიშანი ხქონ ბოლოზედ, მემრ კიდე დაბლად საძოვარ მთებიც იწყობის. აქავ ამ კლდეთ ძირში „აბუდელაური" ხქვიან ადგილსა-დ ერთი ცოტა ტბაიც დგას. ამ ტბას ხქვიან „აბუდელაურის ტბა" (ამ ტბაზე თქმულებაიც ას, იჭსარსავ ტბაში დევ მაუკლავაო-დ სხო ასეთები). აი ამ კლდეთ ხქვიან „ჭიუხნი". ჭიუხში უფრო დიდიდ ჯიჭვ გადმავიდოდ გველის მთით. ჭიუხთ ბოლო ველი აქვ, რო ჯიჭვები მიმავალს

კაცს სრუ ხედვენა-დ მაღლა რო შადგებიან, კაც ვეღარ შახყვების ამ მიუკარებელს კლდეს, ვერ გაივლის.

სინდიურისძემაც ამ ჯიჭვების მუქარაზედ ბევრჯელ იარ აქ. ბევრჯელ ღამეიც ათენ, მაგრემ არ იქნ, ვერცაით ვერ მიუვიდ ისრ, რო ეთოფ ჯიჭვები. მიახლოებას მუდამ იგებდესა-დ გაურბოდეს. ბოლოს გაჯავრებულმ გადასწყვიტ რო კლდეში გავხყვავ, რაზედაც ეგენ გაივლიანავ, წრიაპიანივ მიაც გავივლივ. დაიკრ ფეჭზე მაგრებ წრიაპები-დ დილას უყარაულ, ნახ რო ჯიჭვებს იქავ გაუგავ სინდიურისძის მისვლაი-დ დაქცეულან. იმ სიშორეზე ნახნ, რო იქ თოფ არცაით დასწვდებოდ. ადგა-დ გახყვ კვალზე. შაჭდ იქამდინ, სადაც ჯიჭვნ იწვეს. მიეპარა-დ ნახ, რო თექვსმეტ ჯიჭვი წევს ერთს გორაზედ. დაათვალიერა-დ რომენიც ჯიჭვი ჟჯობდ იმას ესრივ. ის ჯიჭვი ცოტაად გადმაგორდა-დ კლდეს მაედვ. სხვებ ჯიჭვებ ეცნეს ეროს ქარაფიანს კლდესა-დ სხვას მჭარზე მეექცნეს მთას. სინდიურისძემ ჯიჭვი სადაც მაკლ, აღარცაით ექნ გასავალ, ვეღარცაღ ჩაღმ წამავიდ ესეოს კლდეში. კაცი აღმ აივლისა-დ ჩაღმ ჩამასვლა უჭირს, თვალიც შაუშინდა-დ გულიც სინდიურისძესა ჩაღმ ფეჭ ვეღარ ჩამადგ. თავისუნებურად პირაღმ წავიდა-დ შაჭდ ჭიუხთ წვერზე. წვერზეით ვეღარცაისკე ვერ ქნა ჩუჩუნი-დ იქ გაიყინა-დ მაკვდ. ხალხმ ბევრ იწვალ ასასვლელად, სინდიურისძის ჩამასატანად, მაგრემ ვეღარცაით ვერ მიეკარნეს. ბოლოს ხალხ ამბობდ, რო იმის ძვალნივ ქარმ გადაყარნავ ქვად ნაქცევნივ, ჭიუხთ წვერზეითავ ჯუთის მთაშიავ. იქ ერთ მუდმივ ყინვარივ ქვიშიანს ალაგშია-დ ეროი დიდ კლდეი ჩინს სახლის ოდენი. ხალხი იმას ეძახის „სინდიურისძის ძვალთ“ ეგ კლდეივ სინდიურისძის ძვალნიავ ქვად ნაქცევნიოდ ჯუთისკე გადაყრილნივ ქარისაგანავ. დღესაც იქავ ას იქ ის კლდე.

ამ კლდის მთას ხქვიან ჭაუხნი, ჭიუხნი. ზოგ ერთს ამბობს, ზოგ მეორეს. ამ მთის წვერს ხქვიან ჭიუხის წვერი, ჭაუხის კუჭულა, სინდიურისძის მაღალი.

არ ეშობიან ღურბელნი მაღალს ჭაუხის წვერსაო.
ჭაუხის კუჭულაზედა სინდიურისძე წევსაო.
ჯიჭვების მუქარაზედა ღამეს ათენებს ბნელსაო.
ნეტარ შამდგართ ჯიჭვთ რაი ქნეს, ან იმ ვეფხვს რა იჭერსაო?
ჯიჭვნი ჩივიან დამდგარნი, ვეღარ შაუდით კლდესაო.
ჩვენს გარდასავალს სარტყელში ვეფხვი მწკლიანი წევსაო.
ჯიჭვებ რო კლდეებს შასჩივის, კლდეები კალმის წვერსაო,
კალამი დასწერს ქაღალდსა, ამბავს გვიამბობს ძველსაო.
შიბუთ მაუვა ამბავი, წყალი მაიტანს პერსაო,
კაცს იკვლევს სინდიურისძე, ნაჭოცის ჩამამთვლელსაო,
თექვსმეტ ჯიჭვშიით ნარჩევსა, კლდეშიით ჩამამწვდელსაო.

დადუმდა თოფი მაჟარი, კლდეებში აღარ ჟერსაო.
დაისვენებენ ჯიჭვები, ვინაღ შაუკრავს წვერსაო,
ამაგ სიმღერის მათქვამი ჯვართ ჭორჭის წვერზე წევსაო.
წინავ აძლევდეს პატივსა კაის სიმღერის მოქმელსაო.
აეხლად პატივს აძლევენ წინ ყანწის გადამსმელსაო.
შინ აწევდიან სტუმარსა, ჭელს გახკიდებდეს ჭელსაო.
ეეხლად ქალებს ეტყვიან: „წაედ, წამაოლ თქვენსაო“.
ლექს მარტომ ქვე არ დავთვალე, უთხარ ფანდურის ყელსაო.

ხალხ იმოვენს ცდილ იქ ასვლასა-დ სინდიურისძის ძვალთ ჩამატანას, რო კლდე წერაქვითაც კიდევ უკიბავ. ეეხლადაც ეტყობის იქ ნაკიბავი, მაგრემ რას შააჭდენდეს იმსიმაღლეთ კლდეთ. მაინც ვერცაით ასულან. სინდიურისძეზე სხვებ ლექსებიც გამიგონავ (ამბობს მთხრობელი), მაგრემ მე ვერ ვიცი. ვის ან გვარისა იყვ სინდიურისძე, არც ის ვიცი, ხოლოთ ის კი იციან, რო ის ჭევსურ იყვ.

ხოგაის მინდი

ჩამაწერინა ლელა ბალიაურმა, 65 წლისამ, სოფ. შუაფხოში, 1940 წელს

ხოგაის მინდი არხოტიონ იყვ სოფ. ამღიონი. კა ახალგაზდა იყვ მენადირეი-დ მტრისად მიმყოლი. წინავ ჭევსურთ ლეკის ლაშქარს უდენავ, უჭერავ ტყვეები, მიზდენივა-დ ზოგ სად უყიდავა-დ ზოგ სად.

ერთხან არხოტაც მასულ ლეკის ლაშქარი-დ მაუჭერავ ტყვეები, სხვებს ტყვეებსთან ერთად ხოგაის მინდიიც დაიჭირესა-დ წაიყვანეს ლეკეთში. მინდი ჯერ იქ ხყვანდა, მემრ წაიყვანესა-დ კაცის მჭამლებში გაყიდეს. კაცის მჭამლებს სხო ტყვეებიც ბევრი ხყვანდ. გაასუქებდეს ტყვესად დახკლევდესა-დ ჭამდეს: კაცს შუბლზედაც ძაბს გადაახვევდესა-დ მკლავებზედაც. მემრ სრუ ხინკალს აჭმევდესა-დ ხინკლის წვენს ახვრეტიებდეს, რო ძალიან გასუქებულიყვა-დ დაეკლ. როსაც იმოვენ გასუქდებოდ, რო შუბლზედა-დ მკლავებზე გადახვეულ ძაბი შიგ ჩაიმალებოდ ჭორცში, მემრ ფეჭებით ჩამახკიდებდეს ტიტველს ჭერში, იქი-აქათი საორცხლის კბილთავით რკინები იყვ დაკეთებულები. ეროკე გააქანებდეს, ეროი გვერდით ეცემოდ მწვეტებს რკინებს, მეორეკე გაქანებული მეორეს გვერდით ეცემოდა-დ დაზდიოდ სისხლი. მანამდინ აქანებდეს, მანამ სისხლ სრუ არ გამაშრებოდა-დ მემრ დახკლავდესა-დ ჭამდეს.

მინდიას ძაბებ მაახვიეს შუბლზედაცა-დ მკლავებზედაც, მაგრემ მინდია ეშმაკობდ, რო არ გასუქებულიყვ. თან საჭმელსაც იკლებდა. ერომ ტყვედ ნამყოფმ ქალმ უთხრ, რო აი მე გავსუქდიო-დ დამკვლენავ მალედავ. შენ ეცადევ რო არ

გასუქდავ, ახალგაზრდა კაცი ხარაო-დ ცოდოი ხარავ. მე მაშინ არ ვიცოდივ, რაჭელ მავქცეულიყავივ, ნაცარ რო მეჭამავ, არ გავსუქდებოდივ. ეეხლად დაგვიანებულიღ ასავ, აღარა მეშველებისავ. შენ დაისწავლევ: პურს რო შჭამავ, მემრავ ცოტა ნაცარ შაშჭამიდივო-დ, აღარ გასუქდებივ, იქნებ გადაშჩავ. მინდიამ ეს დაისწავლა-დ პურის ჭამამდე უდუმლივ ნაცარ შაჭამის, რო არვის გეეგ. არ გასუქდ მინდიაი-დ უკვირდ იმის პატრონსაც: ეს რადარ სუქდებისავ. ხან სცემდ – შენავ ეშმაკობავ რასამავ, მაგრამ ცემით ძალად ხო ვერ გაასუქებდეს.

რო მაინც არ სუქდებოდ, დაუწყეს მინდიას სამუშაოზე ვლევაი. დახყვანდ სათიბზე, სამკალზედა-დ სხვა სამუშაოებზედაც, როსაც იმ ოჯახში მუშაობდეს. ერთხან წაიყვანეს გველების დასაჭერად, დაიჭირეს ბევრი გველები, მაასხეს დუდრუყეებით შინ. ამ გველებში ერთი სისხლივით წითელ გველ ერივ. შინ რო მავიდეს, დაჭოცეს ეს გველები სადუღებლადა-დ საჭმელად. ეს წითელ გველ რო დაკლეს, ისრ შაინახეს, რო მინდიამ ვერ გაიგ, სად წაიღეს, სისხლი რაიც გამაუვიდ სრუ ენით ალოკეს, ორ-სამ წვეთ სისხლი მიწაზე ჩავარდა-დ ისეებ რო კარში გავიდეს, მინდიამ ალოკ ეს სისხლი. ეს რო ალოკ, გაჭდ ცუდად, რო ვეღარცად ვერ ისვენებდ, სადაც დაუგებდეს ლოგინს ოცის თქმის ხანთ ვერ გაზძლებდა-დ სხვას ლოგინზე უნდოდ გადასვლაი. მემრ ერთ დიაც შამავიდ იმის მასპინძელსთანა-დ უთხრ, რო ეს კაცივ მეცხრეს ლოგინს მანამ არ გამაიცვლისავ, მანამდენ ვერ მაისვენებსავ. მეცხრეს ლოგინსაც რო გამაიცვლისავ, მემრ გაჭდებისავ კარგადავ. გაჭდ მინდი თანთან ცუდადა-დ უცვალ ლოგინები მასპინძელმ. მართლა რო მეცხრეს ლოგინზე გადავიდ, მაშინ დაეძინა-დ მეორე დღემდე ეძინ. რო გამაეღვიძ მინდის, იღლიის ძირებში ორსავ გვერდზე რეებიმ ხქონდ ჩამაკიდებული საკალტის პარკის ოდნად. მინდიას დანა-ი ხქონდა-დ ჯერ ერთ იღლიის ძირ გაიჭრა, მემრ მეორე. როგორც ნაცრიან პარკ გაჭრასა-დ ნაცარ გარმაიშალას, ეეგრ გარმაიშალ იღლიის ძირებშიით ტილი. გველის სისხლ რო ალოკ, იმისგან სრუ იღლიის ძირში შაყრილიყვ ის ტილი, რაიც კაცს ჭორცთაში აქვ (ხევსურებს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა: ვითომც ტილი ადამიანს ხორცში ჰქონდა, როგორც ბაცილები და ვისაც გარეთ დაეხვეოდა, ვითომც იქიდან იყო გამოყოფილი და გარეთ გამოსული რაიმე მიზეზის გამო, უფრო გულის სიმწუხარეს აბრალებდენ, მაშინ გამოიყოფა და გარეთ გამოვაო). გადმაყარ მინდიამა-დ გადმაფხიკ სრუ. მინდიამ თქვის: „სიმძიმეივ კაცსავ ტილისგან ხქონივავ. ის რო მამშორდავ, ისრ დავმზუბუქდივ, რო ქარ მიტაცებდავ, თუ ქვებს არ ჩავისხემდივ უბეშიავ. ეს ტილ რო მამშორდავ, დავმზუბუქდივ კიდეცაო-დ ნაუბარიც ყველაისა მამედინავ: ქვისა, ხისა, წყლისა, ბალახთაი. ერთი სიტყვით ქვეყანაზე რაც კი ას, მინდიმ ყველაის ნაუბარ გაიგონ. განაევ, უსვინდისოო, გაიპარეოდ შაღლოკევ იმ გველის სისხლივ, უთხრ თავის მასპინძლის ცოლმ ‘არა უნდავ, გამაიყენევ მაინცაო-დ არ გაგცემავ. მინდი რო დამზუბუქდ, ისით მუჭლ

მეეც, რო გაქცეულ ცხრას მთას გადაივლიდა-დ დაღალვას არ გაიგებდ. ეხლა გამაპარვაზე დაიწყ ფიქრი. სოფელშიით რო წამავიდოდ, აქ ეროს ჭიდზე უნდოდ გამასვლაი-დ მინდიამ არ იცოდ, თუ ამ ჭიდზე ნაცარს ყრიდეს, იმით რო, თუ იქ ტყვე გაიპარებოდ, გაიგებდეს კვალს, ამ ჭიდზე განავალ იყვა თუ არ. კვალ დააჩნდებოდ ნაცარზე. არც გზა იცოდ მინდიამ, რომელ გზით უნდა წამასულიყვ. ორჯელ გამაიპარ წამასავლად, ორჯელავ გაუგეს ჭიდზე კვალი, დაიჭირესა-დ მაიყვანეს იქავ. მემრ ეროს ლეკს შაღბრალდა-დ ჩუმად უთხრ მინდის: „გზასავ მე გასწავლივ, ხოლოთ არავინ გაიგოსავ, თორე მიაც მამკვლენაო-დ შენაცავ. ხვალ გადახვიდივ უთხრა-დ ემაგ შენის მასპინძლის კარში დაჟჯდიდივ. მე მაოლავ შენთანაო-დ ზურგ იქისკე დავდგებივ, საისკესაც შენ გზაიავ, თორე რო პირიქისკე დავდგავ, გამიგებენავ. იმით გაიგებავ შენს წასავალ გზასავ, რო მე ზურგივ იქისკე მექნებისავ. ჭიდზე რო მიხოლავ, პირუკუღმ გახჭდიდივ, რო იქავ ნაცარი ხყრავაო-დ შენ კვალივ ისრ დააჩნდასავ, ვითამ იქით ვინამ გამამჭდარავ. მემრავ იქ აღარ ვინ გამაგიდგებისაო-დ შენავ ქვე წახოლავ. ისეებ აქ დაგიწყებენავ ძევასავ, ხოლოთ ქარ იცისაო-დ უბეში ჩაისხიდივ, ქარმ არ გაგიტაცასავ. იქავ ეროივ ნაცრიან მთა დაგხვდებისაო-დ პირდაპირ წახვიდივ, იქ ციდამტკაველა კაცები ცხოვრობენაო-დ ისენ გასწავლიანავ გზასავ. ეს დღე რო დაღამდ, მინდი ჩუმად მაემზად გასაპარავად (ხოგაის მინდი უფრო სწორი სახელია, მაგრა ზოგნი მინდიასაც ეძახიან). რო დაღამდ, ივაჭშმესა-დ დაწვეს დასაძინებლად, ადგა-დ გაიპარ ჩუმად. ჭიდზედ რო მივიდ, პირუკუღმ გაიარ. ჭიდს რო გასცილდა წავიდ მთისკე, სადაც ლეკმ ასწავლ. აქაც გზა-გზა ნაცარი იყვ ნაყარი კვალის გასაგებლად, მაგრამ მინდიმ სადაც ნაცარ იყვ დაყრილი, იმ გზაზე აღარ გაიარის, იარ ეესრად, გამასცილდ ლეკის მთებსა-დ (პირუკუღმაო-დ წასულავ. მაბრუნდეს ჭიდსთანითა-დ იმ მჭარისკე, დაიწყეს ძევა) სამშვიდობოს გავიდ. მინდია მთებზე რო მივიდოდ, ძალიან ქარ იყვა-დ რო არ გაეტაც, უბეებში ქვებს ისხემდ. ისით დამზუბუქებული-დ მუჭლიან იყვ, რო აღმეებშიაც სრუ რბოლით დავიდოდა-დ დაღალვას ვერ იგებდ. ბოლოდ ერთ მთაზე მივიდ. სრუ ნაცრისა იყვ ეს მთა. ფეჭნ შიგ მიდიოდეს მუჭლამდინ. აქ რახან ქარმ დაღბერნის, ნაცრის ბუქვი ნისლივით გაწვის მთებზე. იარ ეესრ ცოდოჭირითა-დ ბოლოს ციდამტკაველების სოფელში მავიდ. ციდამტკაველებს სახლებიც თავის შაშადრად ცოცოტეები ხქონდ. ხოგაის მინდი რო ნახეს მისული, ყველან მაგროვდეს. იმასთან დაუწყეს საუბარი: სდაური ხარავ? საით მახოლავ? სად მიხოლავ? მინდიამაც უთხრ რო მიავ ტყვეი ორავ გამაპარულივ. შინ წასვლა მინდაო-დ გზა არ ვიცივ. გზასავ ჩვენ გასწავლიდითავ – უთხრეს ციდამტკაველებმა – მაგრემაო არ გვცალიანავ, დღეზღამავ ფრინველთ ლაშქარ უნდა დაგვეცასაო-დ ომ გვექნებისავ. ბევრ ფრინველ მავაო-დ ჩვენ იმათ რას გაუძლებთავ, გაგვანადგურებენავ. ოღონდ თქვენ გზა მასწავლეთავ, უთხრ მინდიამა-დ მაგ ლაშქარსავ მე მაგაშორებთავ, ისრ

ამავსწყვეტავ, რო მანამ მიწა-წყალნიავ, იმათ ოქვენ ახლო ვეღარ გაიარანავ. გაუხარდ ციდამტკაველა კაცებსა-დ უთხრეს: ეეხლადავ გაზაფხული ასაო-დ ჩვენავ მაინც ოქვენკე მჭარეს გვინდავ წამასვლაივ. ერთ კაცსავ შენ გამაგაყოლებთავ, რომენიც ამდას გაჩენილ, გაზდილი ასავ. იმანავ გზაიც კარგად იცისაო-დ თავის სოფელში მშვიდობით მიგიყონსავ, ხოლოთ ეეხლადავ ამ მძიმე ლაშქრისგან დაგვიჭსენივ (მინდის გველის სისხლის შალოკის მემრ ყველაის ნაუბარ მიზდიოდა-დ თაოდაც იცოდ ყველაის ენაზე საუბარი). მინდიმ იმ დღეს დაიმზად მშვილდ-ისარი-დ მაემზად ფრინვლის ლაშქრის საჭოცლად. რო დაღამდ, მთელ სოფლის ციდამტკაველეებმ ერთად მაიყარეს თავი-დ ელოდებოდეს ლაშქრის მასვლას. მინდიაიც ამათან იყვ. რო დაღამდ, ასტყდ მჭრების ბარტყ-ბურტყი, სტვენა, კივილი, ყრანტალი, რო იქაობა სრუ დაიძრ. ციდამტკაველაები მინდის მირგვლივ შამაეხვივნესა-დ მინდიმ დაიწყ ფრინველების ჭოცა ისრით, ფრინველებმ ნახეს რო ციდამტკაველებსთან ერთ დიდ კაც მასულა-დ ისრით ჭოცს. ჯერ კი შაიბძოლნეს ფრინველნი ციდამტკაველებსთან მისავლალა-დ ბძო-ლის გასამართავად, მაგრემ მშვილდისრიანს კაცს ვეღარ მიეკარნესა-დ ვინაც ცოცხალ გადაშჩ, უკენ დაბრუნდ. ციდამტკაველეები ისრ გადაშჩეს, რო წყლიან ჯამიც კი არვის წახქცევივ. მინდიმ რო ესეებ გადაარჩინ, მემრ უთხრეს: შენავ დიდ სიკეთე გვიყავიო-დ ეეხლა გადაგიჭდითავ სიკეთესავ, კაცს გაგაყოლებთავ. მაიყვანეს ერთ ცალთვალი ციდა-მტკაველაი-დ უთხრეს: აი ეს კაცივ ამდას გაჩენილ-გაზდილიაო-დ ეს გაგყვებისავ იქამდენავ. მემრ ამ ციდამტკაველამ უთხრ: „ვერ მიცნობაევ მიავ?“ „ვერ გიცნობავ“ – უთხრ მინდიმ. „მე ოსი ორავ, უთხრ ციდამტკაველამ, რო ამდასავ ყორეზე ვიჯედივ, ყმაწვილებმ გადამიარეთაო-დ შენ მესრიენივ ქვანივ. თვალში მამახვედრენიო-დ აი ეს თვალივ შენგან მაქვავ გამათხრილივ. მინდიას გაუკვირდ ამდასავ ციდამტკაველს რა უნდოდაო-დ ან მე ქვა როს ვესრიევ. მე ეს ხალხივ აქამდინ არ მინახავავ; მაგრემ მაშინ ციდამტკაველამ უთხრ: ჩვენავ მემთაბერე ხალხი ორთავ. ზაფხულობითავ ოქვენს მჭარეზე მავდიორთაო-დ ზამთარს აქ ორთავ. იქისკე რო წამაოლთავ, შუას გზაში ერთ მთაი დგასავ. იმ მთამდინ აი ეესეოეებ კაცები ორთაო-დ იმ მთას რო გამავსცდებითავ, გუგუტეებად ვიქცევითავ (გუგუტა: გუგული). ოქვენს ქვეყანაში გუგუტეები ორთავ. აქისკე რომ წამაოლთავ სოველთავ, მაშინ იმ მთის გამაცილებიდგესავ იქავ ესეთა კაცებად ვიქცევითაო-დ აქავ ეესრ ვცხოვრობთავ. მართალიავ, შენ თვალ გამამთხარევ, მაგრემ ეხლად დიდ სიკეთე გვიყავივ, მე გამაგყვებივ. მეორეს დღისად მაემზადნესა-დ წამავიდეს მინდიი-დ ცალთვალ ციდამტკაველა. რვა მთა გადმაიარესა-დ მეცხრეს მთაზე რო შამაჭდეს, მაშინ უთხრ ციდამტკაველამ: ეეხლად ამ მთას რო გავსცილდებითავ, მე კაც ვეღარ ვიქნებივ. აქითავ გუგუტაად ვიქცევიო-დ წინ გაგიძღვებივ. გადმასცდეს ამ მთასა-დ მართლად გუგუტაად იქც. გამაუძღვ იქით წინა-დ წამავიდეს. ესრ იარეს კარგა ხანსა-დ ბოლოს „მართოყანისგორ“

მაიყვანა-დ იქით გაანებ თავი (მართოყანის გორი ადგილის სახელი. ეს ადგილი ამდას ეკუთნისა-დ ორი ვერსით ას დაშორებული სოფელს). მინდი შინ მავიდ ამდას. მეეგებ ხალხი-დ ულოცევდეს ტყვეობით მშვიდობიანად დაბრუნებას. თან უკვირდ ხალხს მინდიაის გამაცვლა, რო სრუ აღარ ღგვანდ იმას, რაიც წინავ იყვ. მინდიამ ყველა უამბ ხალხს თავის თავგადასავალი. უთხრ ისიც, რო ეეხლა ყველაის ნაუბარ მიზდის, ქვა-ხეთაიც, მიწა-წყალთაიცა-დ ყველაისა. დაიწყ მინდიამ ამდას ცხოვრებაი სხვანაირად, რაიც წინავ იყვ. წინავ მინდია მტრის სისხლის სმით ვერ გაძღებოდა-დ ეეხლა კაცის კვლა კი არა, ჯინჭველასაცა-დ ბალახებსაც ყველას ფეჭს არიდებდ, ყველა ებრალებოდ. ტყეში წავიდის შეშის მასაჭრელად, ან აოჯისგნის რაის გასაკეთებად, მაგრემ ვერცრა ვერ გააკეთისა-დ ცალეივ დაბრუნდის. მოსაჭრელად რასთანაც მივიდის, ყველა ეხვეწებოდ მე ნუ მამჭრივ, გავიზდებიო-დ გამაგადგებივ რაადავ. ან ეტყოდ მე ეემად გამაგადგებიო-დ მე ეემადავ. სათიბზე რო წავიდოდ, ვერ მასთიბდ, ყველა ბალახ ეხვეწებოდ, არა მე ნუ მამჭრიო-დ არა მიავ. მე ეემის წამალი ორაო-დ მე ეემისაივ. ვერც გაივლიდ ბალახიანში, ყველა იმას ეხვეწებოდ ნუ წამაქცევავ, ნუ გამთელავავ, ცოდოი ორავ. გზაზე მიმავალიც დაღონებით დავიდოდ, მიწაზე მცოცავები ყველა ეხვეწებოდ, ფეჭს ნუ დამადგამ, ნუ გამჭყლეტავ. სამკალში კი კარგად მკიდ, რო ერთს თავთავს არ გასწირევდ. ყველა თავთავები იმას ეხვეწებოდეს, მე ნუ გამწირავავ, არა მიავ. თოვლ მამასწრობსაო-დ ზამთრისავ კარში დავრჩებივ. სხვის ყანაშიაც რო გაევლ, მთელ დღე იქ დაუღამდებოდ; დაუწყებდეს თავთვებ ხვეწნას – აქ დაგვწირავ პატრონმაო-დ ზამთარ მაგვასწრობსავ, აგვიღივ, ცოდოი ორთავ. ნადირის მაკვლას ხო სხვებსაც უშლიდ, სიცოცხლეივ ჯერ ქვა-ხეს უხარისავ, რაად უნდა მახკლათავ, რას ემართლებითავ.

მინდიმ თქვის: უმრეცხლომ (ორსული) დიაცმავ ველზე არ უნდა დაიძინასავ, თორე გველ ემტერებისავ. ყმაწვილივ სხვადასხვანაირიასავ მუცელშიავ ჩასახულივ. ისივ რო ნაწილიან იყოსავ, მძინარს დიაცსავ გველ შაუვავ მუცელშიაო-დ ყმაწვილსავ ნაწილს ამააცლისავ. უმრეცხლოს დიაცსავ თუ გველივ უკენ გამაუდგაო-დ გაექცავ, თუნდა არაუმრეცხლოსავ, გზადაგზა ყველა ასწავლისავ გველსავ, ქვა-ხე, ბალახიო-დ დედამიწაივ – ეემაზე გაიარავ. ხოლოთ თუ წყალში გავარდავ გაქცეულ კაცივ, ის წყალ ჩავლილ იქნებისაო ახალ წყალ ეტყვისავ მე არ მინახავავ, არ ვიცივ, მე ეეხლად მაოლავ. მაშინ გველიც ვედარ გაიგებსავ, გავიდაევ წყალშიავ თუ არაო-დ დაანებებსავ თავსავ (ნაწილიანი: ყმაწვილი იბადებაო, ამბობენ ხევსურები, სხვანაირიო. ბეჭებს შუა რაღაც პატარა ადგილზე ისეთ რაღაც აქვს ხორცში, რომ ღამე შუქს უშვებსო. ასეთი კაცები ბავშვობაშივე იხოცებიან და თუ როგორმე გაიზარდა, არაჩვეულებრივად კარგი უნდა გამოვიდესო. თვალად-ტანად და ყველაფრით, რაც კი შეიძლება ადამიანის სიკარგეში ითვლებოდეს. მხოლოდ ასეთი ბავშვის გაზრდა

იშვიათია, მისი ნაწილიანობა დედის გარდა არ უნდა იცოდეს არავინო. იმას უნდა ეცვას ორი პერანგი, რომ შუქმა გარეთ არ გაეტანოს, არ უნდა იბანოს ტანი ხალხში. სახალხოდ ჩოხაც კი არ უნდა გაიხადოს, თორემ თუ ვინმემ გაუგო და დაუნახა მხრებში ნაწილი, მერე აღარ იცოცხლებს, გახდება ავად და მოკვდებაო. თუ ვერავინ გაუგო ნაწილიანობა კი, ყველაფერში იღბლიანი იქნებაო. ამიტომ ხევსურები ძალიან კარგ კაცზე იტყვიან: ძალიან კარგია და ალბათ ნაწილიანიო). მინდი სხვასაც ბევრს რასამ ამბობდ ესეთებსა-დ იჯდ სრუ უსაქმურად. ბოლოს მინდის ერთმ მემცხვარემ გაუგ ყველა ეს ამბავი, გაიტყუვ ველზედ. წამახკრ კისერში ჩომახი-დ პირისას რაიმ წამააგდებივ ნიგვზის ოდენი (კაკლის ტოლი). მაავლ მემცხვარემ ჭელი-დ თაოდ შაჭამ. დარჩ მინდი აისეთაივ კაცი, რაჭელიც ტყვედ წაყვანამდინ იყვა-დ მემცხვარე აისით იქნ, რაჭელაც მინდი იყვ. ყველა მიზდიოდ ახლა იმას. ქვა-ხეთ ნაუბარიცა-დ მიწა-წყალთაიც. ეს მემცხვარე წავიდა-დ გადაიხიზნ აქით, მინდი შინ დარჩ ამდას. დაიწყ მინდიმ ნადირობადაც იქავ სიარული-დ შურის საძებრადაც, როგორც არხოტის წყლის ღილღოს ჭოცდ ღილღვლებს, აისრავ მითხოსაც დაიწყ სიარული-დ სახელის გულისად კაცების ჭოცა. მემრ მინდიასაც მაუკლეს მითხოვლებმ სახლისკაცი-დ გაუჭდ შური საძებრად. ბოლოს გაუძღვ მზირს მითხოსკე, სამი-ოთხნი გაიყოლნად წავიდ თერეთეგოს (ქისტის სოფელია). ერთი კა ძმობილი ხყვანდ მინდის-ალდისძე. ამხანიგებს უთხრ მინდიმ, რო ჩემს ძმობილსთან წავიდათავ თერეთეგოსაო-დ ის გვეტყვისავ, როგორ მავიქცნათაო-დ რაჭელ უფრო გავიმარჯვებთავ. თერეთეგოსთავ რო მივიდეს, მაუვიდ ისით დიდ წვიმა, რო ცას პირ მასტყდ. თან უჩინ ღამე იყვ, წავიდეს თერეთეგოსკე, მაგრემ გზა ეერივ უჩინში, ერთს სოფელშიით ძაღლის ყეფა მაზდიოდა-დ იქისკე წავიდეს. მივიდეს სოფელშია-დ ერთს ციხის კარში უძახეს მასპინძელს. ეს ციხე სწორად ალდიზძის ციხეს ღგვანდა-დ. მინდიმ ღამის სიბნელისგან კარგად ვეღარ გაიგ. ალდისძეობით უზახეს, მაგრემ ალდისძე არ გამადგ. გამავიდ ამ ქვიტკირშიით აღაჩა, სოფელიც თერეთეგო კი არ ყოფილ, მიზუ ყოფილ. აღაჩამ სტუმრებ შინ შაიყვან. რო შავიდეს, იცნეს მინდი, გაიგეს რო ეეხლადაც სამზირლად მასულ იყვ. წინავაც ბევრჯელ უზარალებავ მითხოსაცა-დ სხვას ღილღოსაც ხალხი. ერთ გათქმულ კაცი ბაზდეთაიც ხყვანდ მაკლული, სწორად იმათ მაკეთე, ვისთანაც ეეხლად მივიდეს. იცნეს მინდი, მაგრემ მაინც კარგად დაუხვდეს. არა შაატყობიეს, გიცანითაო-დ მტრებიც ორთავ შენებივ. იმ ღამეს პურ აჭმიესა-დ დასაძინებლად ყველანი ციხეში შაიყვანნეს. იარაღები ხო მისულებს, მთის წესით, მასპინძლისად ხქონდ ჩაბარებული-დ მასპინძელმ სხვას სახლში შაინახ. ესეები ციხეში დააწვინ უიარაღოდ (ციხე: კოშკი, სიმაგრე). რო დაწვეს, აღაჩამ ქვიტკირის კარი გარეთიით გადმაიკედ, თაოდ ერთ ახალგაზდა ბაზდეთ გაგზავნა-დ დააბარ: ხოგაის მინდი დავიჭირეთავ თავის ამხანიგებითავ. თუ ვალ ვის მიგიდევსთავ, ეეხლა მეედითაო-დ

ჭელო გვყონავ. ეეხლად ამავიყარათავ ამათ ჯავრივ. თაოდ წავიდა-დ თავის სოფელს გააგებივ. ხოგაის მინდი დავიჭირევ სამზირლად მასულივ. ოთხ კაც სხოი სტანავავ. ქვიტკირში მყონავ დამწყვდეულნივ. ხვალავ ბაზდეთითაც მავავ ხალხივ, კაცი მყავავ წალალულიო-დ თქვენაც მახოლთავ, იარაღიც აყრილი აქვავ.

ბაზდეთ წალალულ კაცი მივიდ იმ კაცის ძმასთან, ვინაც მინდიას იქ ხყვანდ წინავ მაკლული. იმის ძმათ ეროს ბათაჭა ექვივნა-დ მეორეს სულხავა. ამ ამბვის გაგონებამ, რო მინდიივ დაჭერილიავ, ძალიან გაახარნ ეს ძმან. ესენ ბევრჯელ უძღვებოდეს მზირს მინდის მასაკლავად, მაგრემ ვერცაით ჩაიგდეს ჭელჩი. ეხლა რაკი ჭელჩი ჩაგდებულ იყვ, ამაიყრიდეს ჯავრსა-დ იძევდეს იმაზე შურს. გავიდეს ეს ძმანი, სხვას ხალხსაც გააგებიეს: მითხოსავ მინდი დაუჭერავავ.

მაემზად ეს ხალხი-დ წამავიდ. მეორეს დღეს სადილობისად ცხენებით მიზუს მავიდეს. მიზუელ ხალხმაც თავ მაიყარესა-დ შამაერტყნეს სიმირგვლივ ციხეს.

ხაძაის ხაბირიკაო, ყველა გაგიწყრას ჯვარიო,
დანდობით დააჭოციენ არხოტ ნარჩევნი ყმანიო.

(აღაჩას მამას ერქვა ხაძა და ხაბირიკა არის მისი გვარი. მთიელთა წესით ამ ლექსში გაკიცხულია დანდობით და ღალატით დახოცინება სტუმრებისა).

ციხეს რო შამაეხვივნენ, გაიგ მინდიმ, რო გვიღალატავ მასპინძელმავ, მაგრემ რასაღ იქმოდეს, რო უიარაღოებ იყვნეს. ხოლოთ ციხის ზეთვალში აჭდეს. ამ მზირთ ერთი ძალიან მქისე ახალგაზდა ეტან, კვირიკა ჯაბუშანური. კვირიკამ უთხრ ამხანიგებს, რო მოდი დავხტათავ ამ ციხის ჩარდახშიითავ, რაიც მაგვივავ, მაგვივავ, სრუ ერთიავ ხო მაინც დაგვჭოცენავ. აქით გახტომა ვის გაუგონავ უთხრეს ამხანიგებმ. მე გავხტებივ, თქო კვირიკამ. დაიყარნ ჯღანნი, დაბანდნ იწროდა-დ ჩაიცვნ მაგრად. ციხეს ქისტები ჯარად შამახვეულები ხყვანდა-დ ამ დროს გადმახტ კვირიკაიც ციხის ჩარდახშიით. დაბლა რო დაეც, შახკრთ ხალხი, ეს როგორ გამახტავ იქითავ. აირ-გაირივნესა-დ მანამ გონზე მავიდოდეს, გადახტ კვირიკაი-დ სოფლის გვერდზე ტყეში შავარდ. ჯერ კი გამაუდგესა-დ დაანებეს თავი, რაკი მინდი ჭელჩი ხყვანდ.

გაბანდა ჯაბუშანურმა ციხის ჩარდახში ჯღანნიო,
ამანდით გამაუფრინდა, დახივა ღილღვლის ჯარიო.

წამავიდ კვირიკაი-დ არხოტ მშვიდობით მავიდ. მაიტან ამბავი, რაიც დღე ადგივ მინდისად იმის ამხანიგებს. კვირიკა რო გაიქც, შავიდეს ქისტებიც ციხეშია-დ

ტყვეებს ხელებ დაუკონესა-დ გამაიყვანნეს ხალხში. ესეებ რო გამაიყვანეს, მითხოელთა დიაც-ყმაწვილიც კიდევ მადიოდ მინდის სანახავად. მინდიამ ხალხს მასპინძელზე უთხრ: აი, ამ რჯულწაწყმედილმავ, სტუმრის მეღალატემ აღაჩამ მიღალატაო-დ ეეხლად უიარაღოი ვდგეორავ. მამეცითავ ჩემებ იარაღებიო-დ მემრ მნახიდითავ, რაჭელ მინდიი ორავ. თუ ოშკაცები ხართავ, მიაც იარაღებ მამეცითაო-დ გამავცადათავ ერთუცივ. ააბა, ღილღვლებ რას ჭელს გაუჭსნიდესა-დ იარაღებს მისცემდეს. გაიყვანეს, დააყენეს ჯილდაადა-დ დაუწყეს თოფების ჭლაი. მინდიივ თოფის ტყვიის ქარმ წააბრუნისავ პირ სხვასკესავ. მაბრუნდისავ მინდიიო-დ იქავ პირხალხისკე დადგისავ, მტერსავ ზურგს არ ვანახვევავ, პირ-წაღმ მავკვდებივ. ეესრ დაუჭოციან ოთხნი. მინდი, იკურა, აკა, ერთიც მინდის ძმა იყვ, რომნის სახელიც არვის აჭსონს კარგად. ჯაბუშანურ ყოფილ მეხუთეი-დ ის ქვე გამახქცევივ. აღარვინ იცის ისენი ქისტეთ დაღმარხესა თუ მაიტანეს მკვდრები არხოტ.

ხოგაის მინდი მართლა იყო და ეს მისი მოკვლაც ასე მოხდა. ჯაბუშანურის გამოქცევაც. აქ რაც ხოგაის მინდის ცხოვრებიდან დაიწერა, ხალხს ჯერაც სინამდვილედ მიაჩნია.

არხვატით მზირი გავიდა, ღალატით გახყვა ჯვარიო,
ხოგაის მინდი გაუძღვა, გააბერტყივა ნამიო.
ეშმაკიმც დაიწყევლების, ალბათ უქცივა მჭარიო,
დაეცა მონა ავდარი, გადაერივნეს გზანიო.
გადუსხდეს თერეთეგოსა, ას შუადამის ხანიო:
მინდიმ თქო: სოფლად ჩავიდათ, ძმობილ მყავ ფიც-ნაჭამიო.
მიზუს მიუდგეს ციხეთა, „ძმობილო, შინა ხარიო?“
ქავს გარეთ გამააგებეს ქემხით ნაკერი ტყავიო.
ახყარეს იარაღები მინდიას საომარიო.
შაყარნეს სიმაგრეჩია, გამაუჯარეს კარიო.
მინდი ძმას ეუბნებოდა: „ძმავ, რად გატეხით ხარიო?
აკასთან, აკურასთანა ჩვენც დაგვეთმობის თავიო.
მე თერეთეგო მეგონა, შიგ ალდისძეი ჭარიო,
აქ მიზუ ტიალებულა, აღაჩა ქისტის ქალიო.
კაცი წალალეს ბაზდეთა, თქვენაც გვიჭირეთ მჭარიო!
მინდი ჩავიგდით ჭელადა, მითხოელთ ნიავ-ღვარიო.
ცხენთ შასხდეს ბაზდელთ შვილები, მახქრიან როგორც ქარიო.
წინ-წინ მავიდეს ბაზდეთით ბათაჭ სულხავა ძმანიო,
ლურჯამა ბათაჭაისამ მაღლა მაიღა თავიო,
აივსა გათენებისად მიზუსა ციხის კარიო.

გაბანდა ჯაბუშანურმა ციხის ჩარდახში ჯღანიო,
ციხის ზეთას თვლით გამახტა, დახივა ღილღვლის ჯარიო.
კვირიკავ ჯაბუშანურო, დიდხანს ცოცხალიმც ხარიო!
წაედ-წაიღი ამბავი, მინდის ადგიყვა ძალიო.
გაგვაცნობიეთ მინდიი, ჩვენი-დ თქვენ მეომარიო.
გამაიყვანეს მინდიი, როგორც ნაკურთხი ჭარიო,
ჭელნ დაუჭსნენით მინდისა, ჭელშაკრულისად ბრალიო.
ჭელჩი მისცენით აბჯარნი, მინდიმ დაცადას თავიო!
აბჯარნ თუ ვერ მაიჭმარნა, ძაღლებს გადუგდით მკვდარიო!
არ დაიჯერეს ქისტებმა, ღაბაჭად შადგეს მკვდარიო.
ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითდებოდა, ცხრებოდა,
მასკვლავებ ჩამადიოდა, მთვარეიც უკუდმ დგებოდა.
ცაზე მდინარი ფრინველი თბე-ბოლოთ იხოშებოდა.
ხოგაის მინდის დედასა, მზე იდგა, აღარ სთბებოდა.
ცხენი მინდისა ტიალი, ლურჯა ტოტებზე დგებოდა".

თომა ბალიაურის მკვლელობის შესახებ

ლელა სულხანის ას. ბალიაური, ს. შუაფხო, 15. VII. 52 წ.
(ხელნაწერის ფრაგმენტი)

თომა რო მაკლეს, ჩვენ რიგ არ გვიყენეს, მარტო მიწათშასამსვლელო საკლავ დაკლეს, ბეწიკა (მკვლელის მამა) ამბობსავ – რიგს არ უყენებავ.

რიგის ყენება ისი, რო კაცებ მავლენ. მაიყვანენ ერთ ასამტეხლო საკლავს (ჯერ ის უნდა დიკლას, მანამ არ დახკვლენ, კაცებ ვერას იამბობენ). ერთ ცხვარ და ერთ მესამის კურეტ სახლში რჩებიან. მამკლავის ძმა მაკლულის ძმას რიგს უყენებს ერთის საკლავით. შინშიც შინშს უყენებს რიგს. სამის რიგისა უნდ სრუ. ძმაი და შინშ ერთნაირად უყენებენ რიგს, კაცებ დის, მაგრამ ჭირის პატრონ რიგს არ დაიყენებს ადვილად.

ჩვენ არ გვილალევდეს კაცებს, - იმაად რო არვინ გვყვანდ. მემრ გიგიტა იყვ იქ (სიძე ს. ჯუთიდან), იმან თქვა, რო დღეს დამავ რიგ თუკლად (მე მგონია) მააქვავ ამდიონთავ. მემრ ვახტანგ მავიდ (მოკლულის ბიძაშვილი). თქვა რო რიგ მააქვავ დღესავ. საუბარ მეედინ კარჩიითა, მჭედელთ მინდია შამავიდ, მეედინ ჩქამ სხვებისაიც. თოთია (მჭედელთ მინდიას ძმა) იყვ (ახიელელი, ოჩიაური). ჯღუნათ მიხიელ (ამდიონი, ჭოლიკაურთა) წამეელალ. იმის მამა ხომიზურათ ბაბუაის, – ჩემის სახლისკაცის მაკლულ იყვა-დ ეგივ მამკლავთ ქალიაო-დ მიხიელს არ გააჯავებსავ. მე მიხიელს

უთხარი, – ნუ მიწყენავ რო საუბარ დავიწყავ. არ მაქვავ იმის დროივ. გავედ კარში, იქითი დგას ერთ ცხვარი, ერთ კურეტი, ეროის ძროხისა სპილენძის ქვაბი. ის თომაის რიგი. სხვა საკლავებ კიდევ ძმა-შინსებისაი. კაცები კიდევ ახიელლები-დ ამღივნები. გამავედ მია-დ მინდიას უთხარი – ნურას მიამობავ, ორ კვირაე თავდებისაო-დ კაც არ გვინახავავ მასულივ, მე არ ავიღებავ რიგსავ, გამეედიოდ შინ წეედივ. – არ მაგვიტევაევ შინავ ლელაო – მითხრ მინდიამ. შამეედივ – უთხარ იმას, სხვებისად კი არა მითქომ. შავედი-დ დავჯედი. მემრ შამაბღუნდ მუჭლის ჯვრით სტეფანი, თოთიაი, ჯღუნათ მიხიელი, მაიყვანეს ასამტეხლო საკლავი. უნდა დაეკლ. არ დახკლავ – უთხარ თათარათ ბაბუას, თორე საკვირველს ვიქავ. ახლა ვახტანგმაც უთხრ. დავეზიდ სტეფანს საკლავზედ. – გაუშვივ თორე გავიბრუნებაო-დ ეროს ეგეთს კი შამაგდებავ (შემოსდო, შემოჰკრა) რო სისხლ დაასხავ! შენ გნახასავ კაცმავ, შენ შუაკაცობაივ“! ამადგ თუთი (მაკლულის ბიძაშვილი ქალი) გამაღგლიჯ აი საკლავი-დ ეზოში გარმაატყერ. გაჯავრდ თოთიაი – რაად ისრევთავ. მემრ ჯღუნათ მიხიელმ დაგვიწყ საუბარი. უთხარ რო დაგვანებ თავივ, არ მწადისავ შენთან საუბარივ. გეხვეწებივ, არ გებრალებიაევ, კაც მაკლესავ, თოფ დახკრესავ. იარად რო დეეკრავ – ვიტყოდივ მაუჭდავ. იმან დალიშნებულ თოფ დახკრავ.

მამიჭადეს ქუდები, შამამეხვეწნეს. გამავყარენ. მემრ შამავიდ ტორუაი (ჯაბუშანური. ჯვარის ხელოსანი). გვითხრ – დაიყენეთავ, მატანილიავ, მამკვდარიავ კაცივ. თუ რას იქმენავ ბალიაურნივ, იქმენაო-დ, თუ არა, რიგის არყენებით არა იქნებისავ. ვიყენეთ მემრ. ვახტანგმაც თქვა. შამაიყვანეს საკლავი, ქაზდარში (იატაკი) მაშჭრეს თავი-დ გაისრიეს. მემრ ძმის რიგი, მემრ შინშის რიგი (საკლავების დაკვლაში არას იტყვიან, უჩუმრად რასამ დაიუბნებენ სულისად). სამივ ქაზდარში დაიკლ. ცხვარი-დ კურეტ ცოცხალნ გაუშვენი. აი ძროხის ქვაბ იყვა-დ, ქვე შავინახი. ძალად იციან თავის მაჭრა საკლავისად. ჭელოსან მაშჭრის ან შუაკაცები.

თომა რო მაკვდ, ტანიეს საბოსლოს მარჩეს ბეწიკანი. ისენ სახლჩი არ უნდა მასულიყვნეს, თემჩი უნდა წასულიყვნეს. მამკლავი-დ იმის წილ არ უნდა ყოფილიყვნეს შინ, სხვებ კი. ისენ სრუ მასულიყვნეს შინ. არ გვერიდებოდეს უკაცურობით. მემრ უთხარ ვახტანგს – შენ ჩაუტანევ უკენავ ე რიგივ ტორუასაც. წუხრ ჩაუტან თუთიმ, ჩაავლივ კურეტი-დ ცხვარი. ეეგ ამღიონთ რო რიგ გადმაუყარესავ. მავიდეს კაცები-დ გაიღეს რიგ ჯურუმით. რიგ თუ გადმაყარეს, ის აღარ დაბრუნდების უჯურუმოდ. დრამაი ხქვიან. რიგ საკლავით მაიღესა-დ მააყოლეს კიდევ ეროი ცხვარ ჯურუმს, სრუ ორ საკლავ მააყოლეს. ისეებ დაჭოცეს. ავიტანეთ ის რიგ იქავ.

მემრ ბერდიშვილთ ითხოვეს – მკვდარ გვატირებიეთავ. თომა დისწულიც იყვ იმათაი-დ წესიც ას. მავიდეს დიაცები, მაიყვანეს საკლავი. მაისტელ (ამღიონი წიკლაური) მახყვ, ჭელში საკლავ ეჭირ. ჩვენ ტალავარ გამავიღითა-დ იტირეს.

მემრ ამდიონთ აკლიყვ (რიგთან ერთად არბითიც უნდა მაეტანათ) არბითი. ისენ გიგიტას აბრალებდეს (მეარბითე ისი, ვინაც ენას გაღრევს, ვის ენაზეც მახჭდების შუღლი). ჩვენთანავ, – ამბობდეს ამდიონნი, – მეარბითეს ვერ მახჭელვენავ. მე მითხრეს ახიელელთ ჩუმად, რო გიგიტასავ ვაჟებ რო არ ხყვანდასავ, მაში იქნებისავ მეარბითეივ. გიგიტაივ წილჩადებულ მაკეთეიავ, ვაჟები ხყავავ, ისივ არბითს არ გაიტანსავ. ერთად გაივლიდესავ ნიადეგავ გიგიტაიო-დ თომაივ.

გიგიტა მეარბითე იქნებოდ, რო ვაჟებ არ ხყვანიყვ. 5 ძროხას გადაიჭდიდ. არბითს არ გადაიჭდის მოგვარე, დისწული, მამიდაშვილი-მეარბითე ჩაჩაურთ გიგია (ამდიონი) იყვ, იმის ენაზე მახჭდ. იმან გაიღ არბითი-დ ჩვენ მაგვიტანეს ბალიაურთ (გიგიტაისად ბერდიშვილთ უნდა მეეთხოვ ბეწიკაის სიკვდილში).

ლადოს დედა ბაბუას ეძახდა. გავწირეთ ბაბუაის (თომას ბიძაშვილი) მასვლამდე. ბეწიკას (მკვლელის მამა) ხქონდ ნათქვამი – მაკვდასავ თუ მაკვდებისავ, ძაღლ ჩაადნასავ. ეგიც გავწირეთ. ახლა გერმანიას (ამდიონი) ეთქვ, რო ი კაც მახკალითავ, შენაც ეემაჩი დაგაწვენთაო თომასაც ძაღლ ჩაადნასავ – ეთქვ იმისადაც იმეებს. გიორგას გეეგონ (გიორგა ახიელელი, ჯაბუშანური). მემრ დამტკიცდ ეგი. მაგაზე გაიღეს 5 ძროხა სამეენეო. ზოგს რა ვის ხქონდ ნათქვამი, ზოგს რა ვის. ზოგს ნამღერალი ხქონდ, ზოგს ნათამაშარი. იმათ სრუ საკლავებ უნდა დაჭოცან.

ახლა აკიან შეებნეს ნისლაურთ ჭირჩლას (მკვლელის ახლობელი). მე უთხარი რო აქ ნუ მავლენავ. ჭარებს ნუ შაამბენავ. ჭირჩლას მაინც ჩეეთრივ თივა ნეთხიჩოთ.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ათეგრება, **ათეგრებული** – ამოჩემება, ამოჩემებული ადგილი (ცხოველის მიერ)
აიბრუნებს – ადმა არეკავს, ზემოთკენ მიაბრუნებს
ალვანია//ალმანია – განსაკუთრებით მძიმე ჭრილობისათვის ან მკვლელობის საფასურად აღებული რჩეული დრამა (3-5 ძროხის რაოდენობით)
ამავბაშად – ამდროულად
ამლათი – სწრაფი, უცები
ამლათად – სწრაფად, უცებ
ანდე – ალღო, ვარაუდი
აოჯისგანი//ავაჯისგანი – ყოველდღიური მოხმარების ხის ნივთები
აპარეკი – აბრეკი. აგრეთვე აპარეკად წასვლა
არგანი – ხელჯოხი, საბჯენი ჯოხი, სანადირო ჯოხი
არო – არა
ასამტეხლო – შუაკაცების მიერ საკლავით ხვეწნა ჭირის პატრონისთვის რიგის ყენებაზე საუბრის დასაწყებადდ
აშურდება – შეიძულებს, მტრობას ჩაიდებს გულში
აჩქამება – ხმის გამოცემა; ლაპარაკი
აწევს – აწვევს, მიიპატიჟებს
აჭკვავდების – ახმიანდება
ახალი, ახლები ‹ახალგაზრდა, ახალგაზრდები
აჭვა – ნგუშების, ღილღვლების ერთ-ერთი თემი

ბირკოლი – მარცხი, უბედურება
ბისნა – მთა არხოტში
ბუჩა – კაჟიანი თოფი

გავედა – გავლენა
გავედიანი – გავლენიანი
გათავთავადება – გაცალკევება
გათავწვერება – გაამაყება, გათავხედება
გაიჩუჩების – ოდნავ გაინძრევა
გალო – ღრუიანი ძვალი
გამჩვენეობა ‹სხვისთვის საჩვენებლად რამის კეთება
განთ(ა) – განა
გაინიჟებს – დაიჟინებს
გაჟეკაური – ფანდური
გარგინეთ – გარგუნეთ
გარდი-გაღმე – გარდი-გარდმო

გარეთული – შორეული, გარე
გარეთული სახლისკაცი – შორეული ბიძაშვილი, გარე ბიძაშვილი
გასული – ყაჩაღი, ტყეში მოსიარულე
გატევა – გაშვება
გაძეება – გვარის გათავება, ამოწყვეტა
გაჭეით-გამაჭეითი – გაღმა-გამოღმა
გეჯა – არყის სახდელი მოწყობილობა- დანადგარის ნაწილი
გზა-გზათ – გზადაგზა
გლის – ნაყავს, სრესს, ამსხვრევს
გოზა – მშვილდის სახელურის მარჯვენა და მარცხენა მხარე
გრდემი – გრდემლი
გუდანური (იგივე **ტყავ-საღამო**) – ცხვრის მატყლიანი ტყავებისაგან შეკერილი საბანი
გულჭადარა – ლეკების ეპითეტი
გურგუალი – ქუხილი, გრგვინვა, გრიალი
გურგური – გრიალი, გრგვინვა, ქუხილი
გძელსადილობა – გვიანი სადილობის დრო, დროსგადაცილებული სადილობა

დაბალითება, დაბალითებით – მინდობა, მოტყუილებით, ღალატით მიყვანა ან თავისთან, ან საფარიდან გამოყვანა და დაზიანება
დაგზება – ანოება, გაჩაღება (ცეცხლისა)
დაეტევება, დაეტიება – შეუტევს, იერიშს მიიტანს
დარილი (დაადარილებს) – ხელსაყრელი მომენტის გამოყენება, დროს შერჩევა და ღალატით ვინმესთვის ზიანის მიყენება
დაზემვა – საუბარი, თქმა, გამოცხადება (ჯვართ ენაზე)
დაილანიმა – დააპირა წასვლა
დალევა – 1. გაფუჭება, წახდენა 2. მოსპობა, განადგურება
დამარჯვება – გაიოლება
დამკაცრება – მიცვალებულს რომ თვალებს დაუხუჭავენ, ხელებს გულზე დაუწყობენ, მუხლებს გაუსწორებენ, პირსაც მოუკუმავენ და დააწვენენ გულაღმა
დამკლევება – დაჩაგვრა
დატიებული – დატევებული, იერიშზე გადასული
დაუაზრებს – ყურადღებით შეხედავს, დააკვირდება
დაღვედრავს – 1. დაიმუქრება, დაიკვეხებს. 2.გაკიცხავს, უსაყვედურებს. 3. დააბარებს
დაწირული – დატოვებული
დახუთავს – არ გადაუხდის ვალს
დაჭერდებიან – გაჩერდებიან
დიდება – ხატისთვის შესაწირავის შეწირვისას სათქმელი ლოცვა
დიჩინი – რჩეული, ამაყი, თავკაცი, ამპარტავანი

დრამა – სისხლის საზღაური
დუდრუყა, დუდურა – ნახვრეტიანი მსხვილი ღერო მცენარისა ან ხისთვის გაუჭრელად გაძრობილი ქერქი
დუსურბანი, დუსულბანი – მუსლიმი

ეზრახების, ზრახევს – ხმას სცემს,ელაპარაკება
ეკალდამა – აკლდამა
ელდა – სწრაფი
ელქეში – სწრაფი
ერავნელები – ასე ეძახიან სოფ. ჭიმღის მცხოვრებლებს
ერაწი – პატარა ქვაბი
ეხი – გამოქვაბული კლდეში

ვეზნა – თოფისწამლის ჭურჭელი, საიდანაც საპირისწამლეში და მასრაში ყრიდნენ წამალს
ვეღაროს – ძალიან გვიან, დროზე ვეღარ
ვეშაგი, ვეშაგნი – მეთვალყურე, მზვერავები, რომლებიც ათვალიერებენ ქისტების მოსასვლელ გზებს, ან ლაშქარი ხომ არ მოვიდოდა ან მზირი ხომ არ იყო გამოსული

ზუბუქი – მსუბუქი

თავი ეკიდა – სისხლი ემართა
თავ-კანი – უფრო კარგები
თავჭმელად – უფანდუროდ, უაკომპანიმენტოდ
თამაქო – თამბაქო
თაო – თვითონ, თავად
თაოპირად – თვითონ, დამოუკიდებლად
თეთრი ოქროთ გაულესავს – როცა ვინმე ვინმეს დაჭრის და შემდეგ ინანიებს დანაშაულს, იტყვის, თეთრი ოქროთ გავულესავო, ე.ი. ვერცხლით ავუნაზღაურებ ზარალსო
თბე – ფრთა
თბე-ბორბალი – წისქვილის ბორბალი და მისი ფრთები
თელება (ეთელებიან) – დასაჯდომად მომზადეული ფრინველის ტრიალი ჰაერში
თემ-თემი – სხვადასხვა თემი
თვალწამიერთი – თვალის ერთი დახამხამება
თულუხი – სპილენძის ჭურჭელი, ჩვეულებრივ, მაღალყელიანი

იაღში – ნათელში, წმინდა სულებთან
იმი(თ) – მიტომ
ინაუღლებს, ინაუღლის – ნაღვლებს, იდარდებს

იოგისთაოდ ძებნა – ოორმეტი კაცის მოკვლა სისხლის საფასურად
იშობარი – უნებლიე
იშობრად ˈუნებლიედ
იჭერს – 1. უყურებს, უცქერის 2. არქმევს, ეძახის
კა – კარგი
კაცრიელი – ვისაც თავის გვარში ბევრი მამაკაცი ჰყავს, გვარძლიერი
კვამლი – კომლი
კიბირჭი – იგივეა, რაც **კინჭუხი** – შვერილი კლდის ბილიკზე
კლოვ – სხვა დროს
კორამი – ნიადაგიდან ამოზრდილი კლდე
კოში – გივეა, რაც საკარგყმო
კულა – ოთხკუთხედი ქვის სვეტი
კურო ˈბორცვი

ლეგლუგა – რუხი, ლეგა
ლეგლუგანი – რუხი, ლეგა, ნაცრისფერტანსაცმლიანი
ლეში – რბილი ხორცი
ლიგანა, ლიგანი ˈმთებზე და სანადიროებზე აგებული პატარა კოშკი გზის გასაგნებად
ლოტონი – მგლების ხროვა
ლოჭიანი – ჭუჭყიანი

მაგარ – აგრეოვე
მაგიჭელავთ – მოგიძებნით
მაგრემ – მაგრამ
მამკლავ-მამკვდრობა – მოსისხლეობა
მამა (მამები) – ახლო ბიძაშვილები, ერთი გვარის განშტოება,ერთი წინაპრიდან მომდინარე, მოგვარეები.
მანძილა – კარგი ვაჟკაცის ეპითეტი; დიდი, ზრდადასრულებული და ხვნაში გაწვრთნილი ხარი
მაჟარი – ერთგვარი კაჟიანი თოფი
მარახვლიანი – ჭირხლით დაფარული
მასმური – ახალგაზრდა, თასის დალევას რომ შეძლებს, დაახლოებით 14 წლისა და ზევით
მაღალ, მაღალი – მწვერვალი, თავი
მაღალ-დაბალი – ძლიერი და სუსტი
მაჭყივის – ჭიხვინით მოდის
მებეკური – საბეკურში მომსახურე, საბეკურის მცველი.
მეზღვნე – ხატში სალოცავად მისული
მეთავე – მოსისხლე
მეკვლეობა ღამე – ახალწლის ღამე

მემჯობიაზე – დასწრებაზე, ჯობნაზე
მესხნი გაებნეს მთვარესა – მთვარე დაბნელდა
მეწვერე – ყარაულები ყველგან, სადაც გადასასვლელი და გზის შესაკრავი ადგილები იყო მთებზე, ე.ი. მეწვერე ჰქვიან მთების ყარაულს
მზეგადენა – საღამო ხანი
მზემამსწვრალ ეშმა – ცრურწმენით, თუ ეშმაკმა მზის ამოსვლამდე ვერ მოასწრო დამალვა,სადაც მზე მოასწრებს, იქ დარჩება
მზექცევა ̄ემზის მოქცევა
მზირი ჩასაფრებული და მოწინააღმდეგის მომლოდინე მტერი, ერთი ან რამდენიმე კაცი
მთვრალხუშტი – ნამთვრალევი, მთვრალ-ფხიზელი
მითხო – მთიელ ჩეჩენთა თემი
მიყოლა – ვინმეს შურის საძებნელად სიარული
მოხიბლვა – მოწამვლა, მოშხამვა
მრავალანი // მრევალანი ერთ-ერთი თანავარსკვლავედი, ხომლი ვარსკვლავების
მუში – ცაცხვის ქერქი, რომლისგანაც ამზადებენ თოკებს
მყოლი – მაყარი
მწკალზე ბრუნავს – საომრად ემზადება
მძღვარი – მიჯნა, ზღვარი ორ ყანას შორის

ნათოზი – ნამსხვრევი, ნაფლეთი
ნამრგალი – ნარგუნები, რაც ვინმეს ერგო, შეხვდა
ნარევნი – პირები, ვინც მიცვალებულს უთევენ ღამეს და გვამს აპატიოსნებენ
ნაუღელი – ნაღველი
ნაჭაპნი – ნაწნავი
ნაჭრევი – ჭრილობა
ნახევართხან – ნახევარ დროს; ხშირად
ნელად – გვიან
ნელობამდინ, ნელობამდენ – გვიან დრომდე
ნიადეგ – რაღა თქმა უნდა, ცხადია

პირისერი – პირისახე

ჟამის წირვა – ლუდის კურთხევა ხატში
ჟამის-საწირი//ჟამსაწირი – სამი ქადა, რომელთაც ჟამის წირვის დროს ადიდებენ
ჟერს – ჟღერს

რაგანდი – რაც გინდა, ყველაფერი; რაც უნდა
რაით – ვაი თუ, საფიქრებელია, რომ...
რიგის ყენება – მკვლელისგან მოკლულის ოჯახისთვის მისაყვანი საკლავის დაკვლა

რქაჯანგიანი – 1. ყოჩი, ვერძი 2. ბებერი ჯხვის ეპითეტი 3. კარგი ვაჟკაცის ეპითეტი

საადიმოდ – სანადიმოდ, სალაღობოდ, დროის გაასატარებლად
საარდარაოდ გახდომა – სადავოდ, საკამათოდ გახდომა
საბეკური – ხატის (ჯვარის) ადგილი (სოფ. ახიელში)
საბელი – თოკი
სადარავდრო – გვალვის ან დიდი წვიმიაობის დროს დასაკლავი საკლავი
სადიაცო – ხევსური ქალის კაბა
სადუღარი – ლუდის მასალა, ქერი და მისთანანი
სადუღრობა – ლუდის ხარშვა
საკარგყმო – ბუდე ხევსურეთში, საყარყმო - არხოტში: სახელის ქნის შემდეგ ჯვარში დაკლავდნენ ხარს ან კურეტს; ვაჟკაცის განსაკუთრებული დამსახურებისათვის მისაცემი ჯილდო
სამანი – რაიმე მიჯნის ნიშანი, ჩვეულებრივ, მაღალი ქვა
სამეზღვნეო ლუდი – მეზღვნეთათვის განკუთვნილი ლუდი
სამეკვლაო/სამეკვლეო – 1. სპეციალური ნამცხვარი, რომელსაც მეკვლეს შეაგებებენ კარებში. 2. მეკვლესთვის განკუთვნილი
სამეშვლო – ვისამე საშველად ხატისთვის შეწირული საკლავი
სამწყალობნო, სამწყალობნელი – ღმერთის(ხატის) წყალობის მიმღები
სანაპირო – მიწური სახლის ბანის პირზე დაწყობილი თხელი, „სიპი“ ქვები,
სანგალი – ქვებისაგან შემოღობილი საფარი, საიდანაც თოფს ისვრიან
სასალი – წვრილი და მაღალი, წერწეტი
სასანთლე – მეკვლესთვის გამომცხვარი საწირი, ერთი მოზრდილი და ერთი პატარა ქადა
სასუდარმამკვდრო – სისხლის გადასახადი, ერთი დღის სახნავი მიწა, რომელიც მკვლელს მოკლულის ოჯახისთვის უნდა მიეცა
საუკენმამკვდრო – მოსისხლეთა შორის ბოლოს მოკლულის ჭირისუფალისათვის მკვლელს შერიგების დროს უნდა გადააეხადა 5 ძროხის საფასური;
სუკენმამკვდრო განზრახ მკვლელობისთვის დაწესებული დამატებითი გადასახადი იყო
საუჭმრო – გამახეიბრებელი; საუჭმრო ნაჭრევი – გამახეიბრებელი ჭრილობა
საფათვლე – საფათვლე ნაჭრევი, მსუბუქი ჭრილობა, რომელზედაც კაცმა შეიძლება ფოთოლი მიიკრას და ისე, შეუხვევლად განიკურნოს
საფარველს დაზდებს – უჩინარს გახდის
საფუჭარი – ხელთათმანი
საქნარი – მიცვალებულის ხარჯები, ქელეხი
საქჩერო – გასამეტებელი, დასათმობი
საცხად – ცხადად, ყველას გასაგებად
საწოლო, საწოლნი – მიუდგომელი ადგილი, სადაც ჯიხვები დღისით წვანან
საწყავი – საწყაო

საყელი – უღელტეხილი, გზაჯვარედინი
საყუჩი – ჩასასაფრებელი ადგილი, საფარი, სამზირი
სახვიელი – შესახვევი
სახლისკაცი – ბიძაშვილი
საჴსარი – ტყვის ან სხვა რისამე გამოსახსნელი ფასი
სისვი – მწვანე
სთვა – რთვა
სისხლტიგრი – ბევრი სისხლი
სრუაც – სულაც კი, თუკი
სტამბოლი – ძველი, ერთგვარი კაჟიანი თოფი
სულწუხი – 1. მოსაწყენი, უფერული 2. ფიცხი, სწრაფი

ტაროცი – თვალთვალი, შესაფერისი დროის შერჩევა
ტაფი – ტაფობი
ტოტი – ხალი, ტორი
ტყავ-საღამო – ქვეშაგები, დასაგებ-დასახური

უთაური – უგერგილო,ვისაც საქმის გაკეთების თავი არ აქვს
უკლოობა – უბედურება, სახიფათო საქმე
ურსა – ცალპირა, არა საკეცი დანა. ის ტყავის ქარქაშში არის ჩაგებული და ხევსურები წელზე შებმით ატარებენ. იყენებენ სამეურნეო დანიშნულებითაც და ხანდახან შუღლშიაც, როცა სხვა იარაღი არ შერჩებოდათ ხელში
უჩანგა (შატ.), **მუჩანგა** (არხოტი) – ხეზე დაუჭკდევენ (ნაჭდევს გააკეთებენ) და პირობას დადებენ, თუ ეს ავადმყოფი მორჩება, ან სხვა რამე სათხოვარი თუ აქვს და ეს შესრულ-დება, ერთს საკლავს მიუყვანენ, რომელ ჯვარსაც უჩანგას დაუდებდნენ.
უჩინი, უჩინჩი – ბნელი, ბნელში
უჭურავს – ჭორს, საძრახის საქმეს უგონებს, ეჭვობს
უჯერო – ჯიუტი, ურჩი

ფარაგი – მოქარგული გულისპირი
ფაშლაკა ყაბალახი
ფეკითი – ღირებულების აღმნიშვნელი ცოცხალი საქონელი, ძროხა
ფუდულობა – პრანჭვა, კოხტაობა
ქადება – შეპირება
ქავი – მაღალი გალავანი, სადაც კაცი ვერ გადავა და შიგ მოთავსებულია ქვითკირის სიმაგრე
ქავის-კარი – ეზო-მიდამო
ქაზდარი – ატაკი
ქეჩი – ვაცი, რომელიც ფარას მიუძღვის წინ

ქინთი – ტიკი
ქიჩილა – თავშალი, ლეჩაქი
ქჩერება, ქჩერობა – გამომეტება

ღამისთევა – ხატის მსახურთა მოწვევა სახლში და მათი პატივისცემა
ღაჯია – ცერზე წამოსაცმელი ჩხუბში სახმარი კბილებიანი იარაღი
ღვედრით – დაქადებით, თავმომწონეობით, კვეხნით
ღონდების – წუხს; ეძებს

ყათლაღი – უტყეო, უკლდეო ადგილი; ველიანი ტყეში
ყამი – შიში, რიდი
ყარწიკა – შალისაგან მოქსოვილი და მერე მოთელილი უსახელოებო მოსასხამი, საწვიმარი, რომელსაც მთიელი ხალხი ნაბდის მაგიერ ხმარობდა და სატარებლად მსუბუქი იყო
ყინვარი – ყინული
ყინჩი – კარგი, მოსაწონი
ყონდი – დაჭრილი და ერთმანეთზე დაწყობილი შეშა
ყოფილამ – თურმე
ყურა – 1. უყურო 2. თოფისწამლის დასაყრელი ადგილი ძველებური თოფის ჩახმახზე
ყურება – 1. სმენა 2. მოვლა, ყურისგდება, მიხედვა

შამთხვება – დაფრთხება
შარი – ტვინსა და თავის ქალას შორისი
შარის ბოძი – ტვინის მაგარი გარსის თანაშეზრდილი ნაწილი საგიტალურ ნაკერთან
შაშარი ‹ხმლის წვერი
შიგიში[გ] ‹ერთმანეთში
შინ მისვლა – არაყის მიტანა და მტერთან სახლში მისვლა. შინ მისვლა კარგავს ხუთ ძროხა დრამას. არის შემთხვევა: ან გადაიხადოს ხუთი ძროხა ან არყით შინ მიუვიდეს, ბევრი არ კადრულობს შინ მისვლას. მას შინ ხვეწნაც ქვიან. შინ არ ვეხვეწები და დრამას გადავიხდიო. უმრავლესობა ასე ფიქრობს და შინ მისვლის მაგიერ იხდიან ხუთ ძროხა დრამას
შტროშაროში არის – გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არის
შურმაქნეობა‹მტრობა და სიძულვილი

ჩააცვეთს – ზედიზედ ჩაარტყამს
ჩაეს – ჩასვლისას
ჩარექი – ერთ კილოგრამამდე (960 გრამი)
ჩაწყულა – მასრა, რომელშიც ერთი გასროლა თოფის წამალი წინასწარ არის ჩაყრილი, აწყული
ჩდილი – ტყით დაფარული ფერდობი, რომელსაც მზე იშვიათად უყურებს; ადგილი, რომელსაც მზე იშვიათად ადგას

ჩხიმი – თავის ქალის ზედა და ქვედა ძვალს შუა მდებარე ღრუბლის ნივთიერება– დიპლოე (შან.)
ჩხუტი – 1. მომცრო კასრი ლუდისთვის. 2. ერთფუთიანი საწყაო (მარცვლეულის)

ცალე – ცარიელი, მარტო, თავისუფალი.
ცდა – ბრძოლა
ცერი – დამრეცი
ცივცივ წამაივლის – სწრაფად წამოხტება
ციხია – ვინმეს დაწყევლის ნიშნად აგებული პატარა კოშკი
ცლანგი – პირის მტეხელი, ღალატიანი
ცლანგიანი – დაუნდობელი; გამცემი
ცქამლა, გაიცქამლების – უბარაქო, უბარაქოდ გათავდება

ძაგარი – ჯაგარი

წევა // წვევა – მიპატიჟება
წევით – მიწვევით,მიპატიჟებით
წელწადი – ახალი წელი
წელწადდილა – ახალი წლის დილა
წელწადწუხრა – ახალი წლის საღამო
წერა – ერთად აგებული სამი წერილა
წერილა – ოთხკუთხედად აგებული 21 ძნა
წინგარდა – ბოსლის ბანი დაბლა, რომელიც ჭერხოს აქვს დაფარებული
წინიდგეს – ადრიდანვე, ოდითგანვე
წინწინ – პირველად, ჯერ, წინდაწინ
წირვა – 1. მიცვალებულის ლანძღვა
წუხრა – საღამო
წუხრ – საღამოზე, მიმწუხრისას
წუხრიხან – საღამოხანს, შებინდებისას

ჭიკად – მჭიდროდ, ვიწროდ, მაგრად
ჭკდე – ჭდე, ნაჭდევი
ჭკდევა – ხეზე ნაჭდევის გაკეთება ხატისთვის მიცემული აღთქმის შესრულების ნიშნად

ხეცრო(ნი) – გავა
ხვადი – კარგი ცხენის ეპითეტია
ხვალწუხრ – ხვალ საღამოს
ხილიფა – მშვილდის ჩასადები
ხიზანი ˹ოჯახი, ცოლ-შვილი

ხლათვა, ხლართვა [ხელის შეშლა, დაბრკოლება
ხუცობა, იხუცა – საღვთისმსახურო ტექსტის თქმა ხუცესის მიერ შესაწირავის შესრულების დროს

ჭალი ქუმელი
ჭარავანი [საიალაღე მთაზე გაშვებული ხარები და ბერწი საქონელი
ჭელითი – ნივთიერად გამოხატული საქონლის (ძროხის) ღირებულება (მაგ. სპილენძით, ვერცხლით, პურით, ერბოთი და სხვ.)
ჭვაფი [ჩაღრმავებული ადგილი, ორმო
ჭმელი პატივი [ერთი აბაზი ვერცხლის ფული მსუბუქი ჭრილობისათვის, შეიძლება სხვა რამეც ყოფილიყო.
ჭორჭი – ხეობის სათავე
ჭრილი – წვრილი, წმინდა მტვერი

ჯალაფი – 1. ოჯახის წევრები; 2. ცოლი
ჯარი – ხალხის თავყრილობა
ჯვარის შეცოდება – ჯვარი გამწყრალია ადამიანზე, მას კარგი ანგელოზი აღარ პატრონობს და ჯვარი თუ ეშმაკი რაღაცა ცუდ საქმეს ჩაადენინებს.
ჯვარის ჭელკაცი – ჯვარის მსახური, მოწმიდარი კაცი, რომელიც მკითხაობს კიდეც
ჯვარში შეჯდომა – მკვლელი ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი ღამე მივიდოდა დაზარალებულის სოფელში, ერთ ხარს ან მოზვერს მიიყვანდა, დააბამდა ხატის კარზე, თვითონ ხატის შენობაში შევიდოდა და ცეცხლს გააჩაღებდა. სოფლიდან რომ დაინახავდნენ, მივიდოდნენ და შუამავლად მიეგზავნებოდნენ დაზარალებულთან. ეს იყო ხატის სახელით პატიების თხოვნა, რასაც დაზარალებული ხშირად ანგარიშს უწევდა.
ჯორჯა – კისრის ძვალი
ჯურუმი – ჯარიმა
ჯურუმს უბომს – ჯარიმას აკისრებს
ჯღანი – ფეხსაცმელი; ბანდულები


ინგუშეთი
ნეთხა
მღასტა
არხოტის თემი
ახა
ამღა
ახიელი
კალოთანა
ჭიმღა
კვირიწმინდა
ბაღლასელი
არხოტის
უღელტეხილი
3235
უსტამალაე
ჭალა
ორბეულთა
უკანხადუ
წინხადუ
ხიტალე
ატაბე
ბლო
ბაცალიგო
მისახი
ჩხუბა
როშკა
აყნელი
ხორნაულთა
ჭორმეშავი
ქმოსტი
გუდანი
ბისო
ჭიე
ხახმატი
ღელისვაკე
ღული
ძეძეურთა
ოხერხევი
აჭე
ბოქჩვილო
ჭალისოფელი
უბანი
უკანახო
ჩირდილი
კარწაულთა
ბუჩუკურთა
ბაკურხევი
ბარისახო
ქობულო
აკუშო
ალგეთი
აჭეხა
ბველეთი
დათვისი
მოწმაო
ბუდე ხევსურეთი


ზემო ფშავი
ფშავ-ხევსურეთის
ბარი
პირიქითა ხევსურეთი
ანატორი
შატილი
მდ. არღუნი
გიორგიწმინდა
გურო
მუცო
ხონისწყალა
ხონე
ანდაქი
არჭილო
არდოტი
ხახაბო
ლებაისკარი
კისტანი
2676
დათვისჯვრის
უღელტეხილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები 5
ღირსეული მტრობის ვიწრო ბილიკებზე (ამირან არაბული). 7
შესავალი. 11

მონადირენი – ადუა და გიგიტა. 14
ლელას მოკვლა იშობრად. 21
უთურგით თათარაისაგან ბერდიათ ჯურჭაის მოკვლა იშობრად 25
მამკლავ-მამკვდრობა ახიელში. 37
მამკლავ-მამკვდრობა სოფელ ჭიმღაში 45
ცისკარაულების და თეთრაულების მამკლავ-მამკვდრობა 47
უძველესი დროის მამკლავ-მამკვდრობა. 53
აბაისგან გიგის მოკვლა. 56
ჯაბუშანურთა და გაჯალათ თავ-მეთავეობა. 59
მამკლავ-მამკვდრობა შუქიაურთა და მამუკაურთა. 61
გიორგათა და ჭოლიკაურთ მამკლავ-მამკვდრობა. 63
არხოტის ჯვარში ღილღველ'არხოტივნების შუღლი. 68
ღილღველ ანდარუყოს და მისი ორი ამხანაგის დახოცა. 71
ჯღუნათ მიხიელისაგან თავის ძმის გამიხარდის მოკვლა. 76
ალუდაურისაგან თავის ძმის ბაბოს მოკვლა. 78
შინშის სისხლზე თავის შვილის მოკვლა 80
მიამბო და ჩამაწერინა მანვე თათიკათ იმედამ. 82
მიამბო და ჩამაწერინა იმედა თათიკასძე გოგოჭურმა. 83
შატილივნები, მანგიანი და მუცუვლები, დაიაურნი, მათი თავ-სისხლი 86
ჩამაწერინა იმედა თათიკასძე გოგოჭურმა,ქაცუაურთ მამისამ. 92
გუროელ-შატილიონთ შუღლი. 94
ბაბუკთ ნათელიზძე. 101
კინწანი და ჩოდართ მამუკა. 109
ადუას მოკვლა 112
ადუაის მკვლელის მოკვლა. 113
კინწათ გიორგისაგან დამწვარათ ხთისოს მოკვლა. 114
შიშიასაგან კოხიოთ ყუდიაის მოკვლა მამულის თაობაზე. 118
უჭკუანი და კოკონი. 120
ვაჟუნათ ლეგუას და მგელათ ნადირასაგან ერთიმეორის დახოცა. 125
ხარათ და ოჩიაურთ შუღლი. 127
ჭარა-ოჩიაურთ შუღლი. 134
ბაიჭაურისა და გარსიაის შუღლი. 138
უთურგათ დავითისა და აბიკათ გიგიას შუღლი. 140
ბლოელ-წინჭადუელთ შუღლი. 142
კოჭლათ ბერდიაისა და თათარათ ბაბუაის შუღლი. 150
კოჭლათ ბერდიაისა და ჭუთლათ გიორგაის შუღლი. 155
არაბულ-ჭინჭარაულთ შუღლი. 157
ბათურაისა და იმედას შუღლი. 165

ხთისოს და ლევანის შუღლი. 168
გეჯურას და თოთიას შუღლი. 169
მიამბო ისევ თოთია გოგოჭურმა სოფ. გუროში. 171
მიამბო თოთია ბადიასძე გოგოჭურმა სოფელ გუროში. 174
გუროელ გეჯურაისა და ოჩიაურ გიგიაის შუღლი. 175
ოჩიაურ გარსიაის და მანგიათ აპარეკაის შუღლი. 177
დოლათ და დამწვართ ბრძოლა,დოლათ წასვლა აპარეკად 181
გაგა და ღილღველნი. 183
მითხოს დალაშქვრა ჭევსურებისაგან. 194
ღილღველთ ლაშქარი ჯუთას და არხოტს. 202
ღილღვლის ლაშქრის დაცემა ფხიტუს ცხვარზე,საჭარის-მაღალ არხოტივნების
დაწევა მდევრად და ბრძოლა ერთი-მეორესთან. 214
აჭვათ ლაშქარი,შიშნია (იგივე მინდია) ბალახურიზძისაგან არხოტ
მომავალი აჭვათ ლაშქრის დაბრუნება. 220
ლეკის ლაშქარი კისტან. 224
ლეკის ლაშქარი ღულში. 228
ღილღველთ ლაშქარი საჭევსურეთოდ გაგაის ძოძის მეთაურობით. 232
ხევსურთ ლაშქარი ოსეთში და მოხევეებში. 234
თუშ-ფშაველ-ხევსურთაგან მითხოს დალაშქვრა. 238
ფშავლის ლაშქარი შატილში გარას მეთაურობით. 248
ღილღველთ ლაშქრის დაცემა ამღაზე და ახიელზე. 252
მაგანძურის ლაშქარი არხოტში. 268
ქისტის ლაშქრის დაცემა თუშების და ფშავლების ცხვარზე ბაგის მეთაურობით. 274
ქისტის ლაშქრის წამოსვლა საჭევსურეთოდ,თუშეთს მიმავალ კარატის
ჯვარიონთა შეხვედრა ბორბლის მთაზე და ბრძოლა ფშაველთა დახმარებით. 281
გიორგანი,მათი მონადირეობა და ქისტებთან მოსისხლეობა. 283
კვირიკათ კუკუა. 289
კუკუა და ჯურჭა. 290
ჭირჩლათ მარტია. 292
გულბაათის მოკვლა ოჩიაურთაგან. 294
თათარა ოჩიაური და თორღვა. 296
ჭირჩლათ მინდია. 299
უშიშა ოჩიაური. 301
ღილღველთაგან ცეცხლში დაწვა არხოტივნებისა. 303
ღილღვლებში რომ ასეთი სახელობა იყო,ბაიჭაურმა მაგალითისათვის
ჩამაწერინა შემდეგი ამბავი. 306
პატალა და ბაბუჭური. 306
პატალას სისხლის აღება ტურტურისაგან 70 წლის შემდეგ. 310
მანგიათ ბეწიკა. 314
გაჯალათ უშიშას მოკვლა ღილღველთაგან. 316
ალიათ გაგას მოკვლა ღილღველთაგან. 320
ალიათ ახალა. 321
გაბუურთ ალუდაური. 323
ულაკაურნი. 326

გუროელთ ხარების დაპარვა ქისტებისგან და მისი ამბები. 328
ქისტი ანდარუყო და კალოთანელ მარტიაის შვილნი. 333
ჭადუელთ ჭარავნის გარეკა ღილღველთაგან. 352
ბეჟიტათ ბაბუა. 356
თათიათ ბაბოს ცხვრის გალალვა ღილღველთაგან. 359
კაგა ნაროზაული. 362
ღილღველ[არხოტიონთ ყრილობა ზავზე. 363
ხოხორა. 370
ღილღველი ბათირი. 370
ღილღველ-არხოტიონთ კორღანი და გაგა ბალიაური. 372
თათხელიონნი. 380
ორბელნი. 383
თათრების დასახლება ახიელში. 384
ყინვართ გამავლა ახიელ. 387
გელიკას ჩავარდნა ყინვარში. 389
სინდიურისძე. 391
ხოგაის მინდი. 393
თომა ბალიაურის მკვლელობის შესახებ. 401
ლექსიკონი. 404
ხევსურეთის სქემატური რუკა. 415
სარჩევი. 416